გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“

И(Ис.л)
839.6—31
ლ 298

ცნობილი ინლანდიელი მწერალი ჰალდორ ლაქსნესი მკითხველს იპყრობს თავისი გულწრფელობით, ცხოვრების ღრმა ცოდნით და ანტომაც ყველაფერი, რაც მის კალამს შეუქმნია, მართალი და დამჯერებელია.

„დამოუკიდებელი ადამიანები" დიდი სოციალური რომანია. მწერალი რეალისტურად გვიხატავს ღარიბი გლეხის ამაო ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის; ამ უთანასწორო ბრძოლაში იგი ჰკარგავს უკანასკნელ საარსებო წყაროს, ახლობლებს, რჩება მარტო, მაგრამ ფარ-ხმალს არ ყრის და იბრძვის თავისი ოცნების განსახორციელებლად.

თარგმანი
ნინო სამუკაშვილისა

7—3—4
214—68 იდგ.

ნაწილი პირველი

თავი პირველი

კოლუმკილი

ისლანდიური მატიანე მოგვითხრობს, რომ შორეულ წარსულში ისლანდიაში დასავლეთიდან მოსული ხალხი დამკვიდრებულა. მათ შემდეგ მარტოოდენ ჯვრები, ზარები და აგრეთვე საჯადოსნო სხვადასხვა რამ საგანი დარჩენილა. ლათინური წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა იმათი სახელი, ვინც ისლანდიაში პაპობის* პირველ წლებში დასახლებულა. წინამძღოლად ჰყოლიათ ვინმე ირლანდიელი კოლუმკილი — სულთა ცნობილი შემლოცველი. იმ ხანად ისლანდია განთქმული ყოფილა ნაყოფიერი მიწით, მაგრამ როცა ქვეყანას ჩრდილოელები სწვევიან, პირველი ახალმოშენეები აყრილან და გადაკარგულან. უძველესი მატიანეები მოგვითხრობს, კოლუმკილიმ შური იძია, ჯადოთი შეკრა ჩრდილოელები, დანავსა, ათასნაირი უბედურება დაატეხა თავს; ისეთი მოუსავლიანობა იყო, რომ ქვეყანა გაჭირვებაში ჩავარდაო.

დიდი ხნის შემდეგ, ისლანდიაში დასახლებული ჩრდილოელნი, თავის ჭეშმარიტ რჯულს განდგომიან და სხვა, უცხო ტომის მიბაძვით, კერპთაყვანისმცემლობა მიუღიათ. ყველაფერი ყირაზე დამდგარა ისლანდიაში, ჩრდილოელთა ღმერთებს მასხრად იგდებდნენ, აღმოსავლეთ-დასავლეთი ქვეყნების მიბაძვით თაყვანს სცემდნენ ახალ ღმერთებსა და პატარა კერპებს. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ იმ მიყრუებულ ხეობაში, სადაც შემდგომ გაშენდა დიდი ხუტორი ალბოგასტადი, კოლუმკილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, თითქოს სწორედ მაშინ აუგიათ ტაძარი. მას მერე კი, რაც ავმა სულმა დააქცია ხუტორი, 1750 წელს, უტირედსმირ-რეიკდალის ოლქის მოსამართლე იოუენი გამგზავრე-

* ისლანდიაში 1056 წლიდან 1550 წლამდე გაბატონებული იყო კათოლიკური ეკლესია.

ბულა იმ მაღალმთიან ხეობაში, სადაც, როგორც ამბობდნენ, მოჩვენებამ დაივანა. მოსამართლე იოუენი ფრიად ახირებული შემთხვევების მოწმე გამხდარა და თავის ცნობილ მოხსენებაში „ალბოგასტადელი ეშმა“ ასეთ ამბავს მოგვითხრობს: შუაზამთრიდან მოყოლებული სამებამდე ალბოგასტადელებს მოსვენება დაუკარგა თურმე იმ მოჩვენების კივილმა და მაშინ ხალხი ხუტორიდან აყრილა, დაბაში გაქცეულა. მოსამართლე იოუენს მოჩვენებამ ორჯერ ჩასძახა ყურში თავისი სახელი და ყოველ შეკითხვაზე თურმე „ლათინური უხამსი ლექსებით და უწმაწური სიტყვებით“ პასუხობდა.

მოჩვენებაზე ხალხში შემორჩენილი ყველაზე გავრცელებული თქმულებები იმ უძველეს ხანას ეკუთვნის, როცა ოლქის მოსამართლე იოუენი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ისლანდიაში ცხოვრობდა. ჰოდა, ზედმეტი არ იქნება, თუ ამ ამბავს შეავახსენებთ მათ, ვინც ოდესმე ამ სანაპირო ველებს ეწვევა, გაივლის ხავსმოდებულ, დაკლაკნილ, ოდესღაც ცხენთა ფლოქვებით ნატკეპნ ბილიკებს და იქნებ სანახაობით მოხიბლული წამითაც შედგეს ჭაობში ამართულ იმ უძველეს ბორცვთან, სადაც ოდესღაც იდგა ხუტორი ალბოგასტადი.

ეპისკოპოს გუდბრანის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ალბოგასტადში ცხოვრობდა ცოლ-ქმარი, ქმრის სახელი არავინ უწყის, ცოლს კი გუნვერი თუ გუდვერი რქმევია. ამბობდნენ, ის ქალი საშინელი რამ ასპიტი და ჯადოქარი, ისეთი ღვთის გარეგანი იყო, რომ ყველა გაურბოდაო. ქმარი სუსტი ნებისყოფის ყოლია, ყველაფერში ემორჩილებოდა დედაკაცს, კაცი კი არა, ნამდვილი ჩვარი ყოფილა. პირველ ხანებში ცოლ-ქმარს ცხოვრება უჭირდა, ცოტა მოჯამაგირეები ჰყოლიათ, თქმულება ამბობს, გუნვერი თავის ახალშობილ ბავშვებს ქმარს ახოცინებდაო. აიყვანდა თურმე გუნვერის ქმარი ახალშობილ ბავშვს მთაზე და დიდი, ბრტყელი ქვის ქვეშ ამოდებდა — გაზაფხულზე, თოვლი დნობას რომ იწყებს, დღესაც მოისმის იმ მთიდან ბავშვების ტირილი. ან კიდევ, კისერზე ქვამობმულ ჩვილს ტბაში გადაუძახებდაო — ზამთრობით, მთვარიან, ცივ ღამეებში იმ ტბიდან მუდამ ისმის მათი კვნესა. ამას ავდრის მომასწავებელ ნიშნად თვლიან.

გუნვერი თანდათანობით მიჩვეულა ადამიანის სისხლის სმას და ტვინის წოვას. ამბობდნენ, შვილებს ძარღვებს გადაუჭრიდა ხოლმე და სისხლსა წოვდაო. თავის სახლსუკან გუნვერმა ქოხი ააშენებინა და იქ ღამღამობით ცეცხლს ანთებდა ეშმა კოლუმკილისთვის პატივის მისაგებადო.

თურმე, ერთხელ გუნვერის ქმარს გაქცევა გადაუწყვეტია, უნდოდა მთელი სოფლისთვის შეეტყობინებინა ცოლის ამბები, მაგრამ ალქაჯი გამოჰკიდებია, უღელტეხილზე, რედსმირის მახლობლად დაუჭერია ქმარი და ქვით ჩაუქოლავს. გვამის შეგინებასაც არ დარიდებია, ნაწილ-ნაწილ დაუჭრია,

ძვლები ამოუცლია, გვამი ყვავ-ყორნის საჯიჯგნად დაუგდია მთაზე, ძვლები კი ქოხში წაუღია. მერე სოფელში ხმა დაუყრია, ქმარი მთაში ცხვრის ძებნისას დამეღუპაო.

ქმრის სიკვდილის შემდეგ გუნვერი გამდიდრებულა, კარგი ცხენები გაუჩენია... სამრეველოში ხმა დაირხა თურმე, ამ სიკეთეს გუნვერი კოლუმკილის უნდა უმადლოდესო.

იმხანად სოფელში სხვადასხვა კუთხიდან ბევრი ხალხი ჩადიოდა: ზაფხულობით გლეტჩერის მიდამოებში სათევზაოდ, გაზაფხულობით კი გასახმობი თევზის მოსამარაგებლად.

რაც მეტი დრო გადიოდა, მით აშკარად ხედავდა ხალხი, რომ გუნვერი ძალზე საეჭვოდ იქცეოდა, რომ თანდათან მოიმრავლა ცხენები. თქმულება გადმოგვცემს, მართალია, გუნვერი იმდროინდელი ადათ-წესის მიხედვით საყდარში კი დადიოდა, მაგრამ ყოველ სამება დღეს, რედსმირის საყდარში. წირვას რომ მოისმენდა, ისე გულაყრილი იყო ამ წუთისოფელზე, რომ მისთვის მზე ალარ მზეობდაო.

ბოლოს ხმა გავრცელდა, გუნვერის ქმარი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა, გუნვერი კაცის მკვლელიაო—ზოგს ფულის გამო ხოცავს, ზოგსაც სისხლსა და ტვინს სწოვსო. თითქოს ალბოგასტიდის მახლობლად, ხეობის სამხრეთით, პატარა, ეგრეთწოდებულ „წურბელების ტბაში“ ჰყრიდა თავის მსხვერპლთ. სტუმრებს ჩვეულებრივ ღამით ხოცავდა, მძინარეებს, მერე ყელს გამოღრღნიდა, აკუწავდა და მათი ძვლებით კოლუმკილისთან თამაშობდა. ხანდახან უშენამდე მისდევდა მსხვერპლს, ჩასცემდა ალესილ დანასა და ჭკლავდა. ღონით არც ერთ მამაკაცს არ ჩამოუვარდებოდა, კოლუმკილიც ეხმარებოდა თურმე ბოროტმოქმედებაში. ერთი მოშიშვლებული გორაკის კალთაზე, თოვლზე დღესაც ჩანს სისხლის ნაკვალევი, განსაკუთრებით შობის წინა დღეებში. გვამს გუნვერი ქვას გამოაბამდა და ტბაში აგდებდა. მოკლულის ტანსაცმელს, ფულსა და ცხენს კი ინახავდა. გუნვერის შვილები შერეკილები ყოფილან, ხან ზღრუბლთან ისხდნენ თურმე ქვაზე და შემზარავად, უაზროდ კრეჭდნენ კბილებს, ხანაც სახლის სახურავზე აძვრებოდნენ და ძაღლებივით იღრინებოდნენ. ეშმამ წაართვა მათ ჭკუა და ლაპარაკის უნარი. ამიტომ იმ კუთხეში ბავშვებს მწუხრის ჟამს დღემდე უმღერიან ამ სიმღერას:

ვინც მორთულია*,
ვინც მდიდარია. ნუ მიენდობა,
ნუ მიენდობა გუნვერს,
გუნვერი წყალში ისვრის ყველაფერს,
არავის ინდობს თურმე.

* ლექსები თარგმნილია მორის ფოცხიშვილის მიერ

სადაც გუინევერია — იქ სისხლის ღვარია.
გუნევერთან ვერავის ვერ გაუხარია, —
იძინე, იძინე ბალღო!
ვისაც ცხენი ჰყავს, ნუ მიენდობა,
ნუ მიენდობა გუნევერს,
გუნევერს ძალიან მკრელი დანა აქვს,
გულიც მკრელი აქვს თურმე.
სადაც გუნევერია — იქ სისხლის ღვარია,
გუნევერთან ვერავის ვერ გაუხარია, —
იძინე, იძინე, ბალღო!
ვისაც კი უდუღს მგზნებარე სისხლი,
ნუ მიენდობა გუნევერს,
გუნევერი სისხლს ღვრის, რათა ეს სისხლი
თვით შეიწოვოს თურმე.
სადაც გუნევერია — იქ სისხლის ღვარია,
გუნევერთან ვერავის ვერ გაუხარია, —
იძინე, იძინე, ბალღო!
ვისაც ღმერთი სწამს, ნუ მიენდობა,
ნუ მიენდობა გუნევერს,
ადამიანებს ცოცხლად სჭამს თურმე, —
არ გჭეკარო ასლო...
სადაც გუნევერია — იქ სისხლის ღვარია.
გუნევერთან ვერავის ვერ გაუხარია, —
იძინე, იძინე, ბალღო!
გულქვა კოლუმკილს უბრძანებია
სისხლის დალევა მისთვის,
ადამიანთა ძვლის ტვინის ხვრეპა,
ადამიანთა ზიზღი...
სადაც გუნევერია — იქ სისხლის ღვარია,
გუნევერთან ვერავის ვერ გაუხარია, —
იძინე, იძინე, ბალღო!

ბოლოს მაინც გამოაშკარავდა გუნევერის ბოროტმოქმედება, ხალხმა გაიგო, რომ ერთისა და ორის კი არა, ვინ მოსფვლის, რამდენი კაცის ცოდვა ედო კისერზე. ხოცავდა მამაკაცებს, ქალებს, ბავშვებს, ღამღამობით კი კოლუმკილისთან ღრეობდა. საოლქო თინგმა* გუნევერს სიკვდილი მიუსაჯა, სამება დღეს, რეფსმირის სასაფლაოს ჭიშკართან შაუი ჰკრეს. გუნევერი გულადად შეხვდა განაჩენს, მაგრამ სიკვდილის წინ დასწყეველა და შეაჩვენა ხალხი. გუნევერს თავი მოჰკვეთეს, დაჭრეს, ჩადეს ტომარაში, ალბოგასტადის დასავლეთით, უღელტეხილისკენ წაათრიეს, აიტანეს ყორღანის მწვერვალზე, რომელიც დღესაც

* თინგი—ჟრილობა (ისლანდ.).

შეგიძლიათ იხილოთ, და იქ მიწაში ჩაფლეს. ყორღანი ახლა ბალახითაა დაფარული და ხალხი მას გუნვერის ყორღანს ეძახის. როცა მგზავრი ამ უღელტეხილს პირველად გადაივლის, ყორღანზე ქვას ააგდებს — ეს ყოველგვარი განსაცდელისაგან დაიფარავს მას, მაგრამ ზოგი ყოველ გავლაზე ქვას ესვრის ალქაჯის ყორღანს, რამეთუ ხიფათი ასცდეს და სიმშვიდე ჰპოვოს.

თუ სიცოცხლეში გუნვერი ასპიტი იყო, სიკვდილის შემდეგ მთლად აიშვა თავი. საფლავში მშვიდად არ ნებავდა წოლა, მოევლინებოდა ხუტორს, აცოცხლებდა თავის მსხვერპლთ: კაცებს, ქალებს, ბავშვებს და შემოდგომის ბნელ ღამეებში ალბოგასტადში მოსვენება აღარ იყო ალქაჯისაგან, თავისი ჩვეულების ერთგული გუნვერი აწამებდა მკვდრებსა და ცოცხლებს. ღამღამობით ხუტორში ისეთი წივილ-კივილი ისმოდა, თითქოს აწრიალებულ, მბორგავ სულთა ხროვა ჩივის და ჰგოდებს თავის უბედურებასო. ხანდახან დედამიწიდან აისვეტებოდა გოგირდის სქელი ორთქლი, მოედებოდა მიდამოს, ავსებდა ყველაფერს, ხალხს სული ეხუთებოდა, ძაღლები, თითქოს ცოფდებოდნენ, გაავებით უღრენდნენ ერთმანეთს. ღამით ხან ისე გაშმაგდებოდა გუნვერი, ისე აიწყვეტდა თავს, ისეთ ამბავში იყო სახლების სახურავებზე, რომ კოჭებს ჭრიალი გაჰქონდა, მკვიდრად ნაგები სახლებიც კი ვერ უძლებდა ალქაჯის ჯირითს. გუნვერი ხან ზურგზე მოახტებოდა რომელიმე ხუტორელს და ცხენივით გააჭენებდა, ხან ხერხემალს ჩაუმტვრევდა ძროხას, ჭკუაზე შლიდა ქალებსა და ბავშვებს, აფრთხობდა ბერიკაცებს, არც ჯვარი აშინებდა უწმინდურს და არც შელოცვა. თქმულება გადმოგვცემს, ერთმა დიდად განსწავლულმა რედსმირელმა პასტორმა, როგორც იქნა, მოთოკა და კუდით ქვა ასროლინაო ალქაჯს. გუნვერმა თურმე მთას შეაფარა თავი, იმის წინ კლდე გაიპო და გაჩნდა ხეობა, რომელიც დღესაც არსებობსო. ზოგი ამბობდა, გუნვერი ტროლად გადაიქცა, კლდეში დაიდო ბინაო, ზოგი კი ამტკიცებდა, ტბაში დაივანაო. თუმცა, ვინ რა იცის, შემდგომ ხომ რამდენიმე თაობა გახდა იმის მოწმე, რომ ტბაში რაღაც საშინელი საფრთხობელა ცხოვრობდა? ბევრს შეეძლო დაეფიცა, მინახავს ეს საფრთხობელაო, იმათაც კი, ვისაც მოჩვენებების არსებობა არა სწამდათ. ზოგი ამბობდა, ავმა სულმა სამჯერ დააქცია ხუტორი ალბოგასტადიო, ზოგი კი გაიძახოდა, სამჯერ რა სათქმელია, შვიდჯერ მაინც დააქციაო. ვერც ერთმა გლეხმა ვერ გაბედა იქ ფეხისმოკიდება საბოლოოდ, ყველამ აიკრა გუდა-ნაბადი და ბოლოს ხუტორი გაუკაცრიელდა. როცა რეიკდალის ოლქში მოსამართლედ იოუენი იყო, ხუტორი ალბოგასტადი უტირედსმირს მიაწერეს და იქ ზამთრობით ცხვარს აბინავებდნენ. ამიტომაც შეარქვეს „საზამთრისი“. ბოლოს იქ ბატკნებისთვის გააშენეს ფარეხები.

თავი მეორე

მიწა

ჭაობით გარშემორტყმულ მაღალ ბორცვზე დგას ნახევრად დანგრეული სახლი.

ეგებ ეს ბორცვი მარტოოდენ ბუნების შექმნილი არ არის. იქნებ ის გლეხები, რომლებიც კარგა ხანია ქვეყნად აღარ არიან, ოდითგან ამ ხეობაში, ამ ნაკადულის პირას აგებდნენ სახლს და ახალი ხუტორი ძველის ნანგრევებზე შენდებოდა?

უკვე ას წელზე მეტია, რაც ამ ბორცვზე მხოლოდ ცხვრის ფარეხი დგას, მთელი საუკუნის მანძილზე ცხვრების ბღავილი და ბატკნების კიკინი ისმის. ბორცვის სამხრეთით გაშლილ ვრცელ ჭაობში აქა-იქ თავი ამოუყვია მანანის ბუჩქებით დაფარულ კორომს. რედსმირის უღელტეხილიდან ჭაობში ჩადის პატარა მდინარე, მეორე მდინარე სათავეს ტბიდან იღებს და უშენის აღმოსავლეთით გარბის ხეობაში. ფარეხის ჩრდილოეთით ამართულია მთა, მის კალთებზე ვეება ლოდებია დახორავებული. ამ ლოდებსა და ქვებს შუა ფესვი გაუდგამს მანანის ბუჩქებს. აქა-იქ ამართულა პიტალო, დაკბილული კლდეები, ერთ ადგილას, ფარეხის პირდაპირ, კლდე გაპობილა და დამსკდარი ჭეოდან გაზაფხულობით ჩანჩქერის წვრილი, გრძელი ნაკადი გადმოსჩქეფს. ზოგჯერ სამხრეთის ქარი წყალს აქაფებს, ზევით იტაცებს და ამ დროს ისე გეჩვენებათ, თითქოს ჩანჩქერი დაღმა კი არა. ზევით მიედინებაო, მთის მწვერვალისკენ. კლდის ძირი რიყის ქვითაა მოფენილი. ფარეხი იმ უშენ ადგილასაა გამართული, სადაც ხუტორი ალბოგასტადი იდგა, ამიტომაც დიდხანს შემორჩა სახელი „საზამთრისი“.

პატარა ნაკადული ჩაუდის ფარეხს, ნახევარწრედ გარს ურბენს საძოვარს, კაშკაშაა, ცივი, არასოდეს არ შრება. ზაფხულობით მზის სხივები ირეკლება მის მჩქეფარე ზვირთებში. ნაპირზე კი ცხვრები გაწოლილან და იცოხნებიან. ლაქვარდი ცა, ტბა, ტბაში მოცურავე თეთრი გედები და კალმახით სავსე მდინარე, მშვიდად რომ მიიკვლევს გზას ჭაობში — ყველაფერი ბრწყინავს, გალობს და ხარობს.

ხეობას ყოველი მხრით გარს აკრავს მთები და უშენი ადგილები. დასავლეთით უღელტეხილია, უტირედსმირის იქით რედსმირია, ანდა უბრალოდ მირი, ადგილობრივი სამრევლოს მამასახლისის კარ-მიდამო, ის გახლდათ აქამდე მთელი ამ მაღალმთიანი ხეობის ბატონ-პატრონი.

რედსმირის ქვემოთ უფრო მჭიდროდ დასახლებული ადგილებია. უშენი კი აღმოსავლეთ მხ-იდან, სადაც ფიორდის გზა გადის, სულ რაღაც ხუთიოდ საათის სავალზეა ქალაქიდან. სამხრეთით ხეობას დაბალი ბორცვების გრეხილები გასდევს, ბორცვები თანდათან მაღლდება და ერწყმის დიდ მთას — ბლაუფიედლს, რომლის დათოვლილი მწვერვალი (თოვლი იქ ივანობამდე არ დნება), ქვემოდან ისე მოჩანს თითქოს ცას მიჰჯენიაო. ბლაუფიედლის მიღმაც ვრცელი უშენი ადგილია. ზაფხულობით ხეობაში თბილი ქარი ჰქრის.

როცა გაზაფხულის სიო უბერავს ხეობაში, მზე დაკაშკაშებს მდინარის ნაპირად შემორჩენილ შარშანდელ ბალახს, ტბას და თეთრ გედებს, როცა მზის ცხოველმყოფელი სხივი ჭაობიდან ამოიტყუებს მცენარეთა ნორჩ ყლორტებს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ მშვიდობიან, ნაყოფიერ ხეობაში უწინ საშინელი ბოროტმოქმედება ხდებოდა. მხედრები მიჰყვებიან მდინარის ნაპირს, დაჰქრის გაზაფხულის მაცოცხლებელი სიო, მზე დაკაშკაშებს ხეობას. ასეთ დღეებში მზის სხივები წარსულის ჩრდილებს ჰფანტავს.

ახალმა თაობამ დაივიწყა ის მოჩვენებები, ძველად რომ ასე აწამებდა ხალხს. ავმა სულმა რამდენჯერმე დააქცია ხუტორი ალბოგასტადი, მაგრამ იგი ავ სულთა ჯიბრზე კვლავ აღსდგა. საუკუნიდან საუკუნემდე ბარის სოფლების ღატაკი გლეხები ამოდიოდნენ ტბისა და კლდის შუა ამართულ ამ ბორცვზე ბედის საძიებლად, ბრძოლაში იწვევდნენ შავბნელ ძალებს, რომელთაც მოაჯადოვეს ეს მიწა, რომელთაც სწყუროდათ ადამიანის სისხლი. ღატაკი გლეხი კვლავ და კვლავ იწყებდა შრომას ამ ბორცვზე, ავი სულის ჯინაზე, მის ხელყოფას რომ ლამობდა. ხეობის ისტორია, ეს გახლავთ მოთხრობა დამოუკიდებელ ადამიანზე, უშიშრად რომ შეერკინა ლანდებსა და მოჩვენებებს, ყოველ გამოჩენაზე ახალ-ახალი სახელით რომ ევლინებოდნენ — ის ხან სატანა იყო, ხან პატარა კერპი, მთელ ქეყანას შეჩვენებას რომ უთვლიდა, ხან კი ალქაჯი. ძველებს უმტვრევდა პირუტყვებს, ხან ურჩხულად იქცეოდა, ჭკუაზე შლიდა დიდსა და პატარას და ხუტორს განადგურებით ემუქრებოდა. ბოლოს და ბოლოს, ეს გახლდათ ერთი და იგივე მოჩვენება, საუკუნეების მანძილზე რომ დევნიდა ადამიანს. „არა, არ დაგნებდები“, — ამბობდა გამომწვევად ადამიანი.

და აი, უკანასკნელი ხუტორის დანგრევის შემდეგ ას ორმოცდაათი წელიწადი რომ გავიდა, ერთი კაცი კვლავ გაუდგა ალბოგასტადის გზას. უღელტეხილზე, გუნვერის ყორღანთან რომ გაიარა, კაცმა გააფთრებით გადააფურთხა: „ვერ ეღირსები ჩემგან ქვას, წყეულო ალქაჯო, ვერა!“ — და გუნვერის ყორღანზე ქვა არ შეაგდო.

კაცი წინ მიიწევს, არ ეპუება ქარს, სხეულის მოძრაობას უხამებს მის ქროლვას და სულ უფრო მტკიცედ მიაბიჯებს ოღრო-ჩოღრო ნიადაგზე. კაცს

ძუნძულით მისდევს ყვითელი ძაღლი, ჩვეულებრივი, ბინძური ქოფაკი, წაგრძელებული დრუნჩი აქვს, ბალანში იმდენი რწყილი ჩაბუდრებია, რომ წარამარა წკავწკავ-წკეტუნით წვება მიწაზე და გორაობს. ძაღლი ბალახს ჭამს. ეტყობა, ვიტამინები აკლია. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ პირუტყვს ჭია ჭყავს და ეს ძლიერ აწუხებს. კაცს შუბლი მიუშვერია გაზაფხულის გამახალისებელი სიოსთვის და ეჩვენება, თითქოს ცხრათვალა მზის შუქით გაჩახჩახებულ გზაზე მიაფრიალებენ ცხენები ფაფარს, ის ცხენები, შორეულ წარსულში რომ უქროლიათ ამ ბილიკებზე, ქარის ზუზუნში კი დიდი ხნის წინათ მიმწყდარი ფლოქვების თქარათქური ჩაესმის: საუკუნეების მანძილზე ტკეპნიდნენ ცხენები წყლის ნაპირზე ამ ბილიკს, რომელზეც დღესაც დადის ხალხი. აი თვითონაც, მეოცდაათე თაობის ისლანდიელი, გულადი, უშიშარი ჭაბუკი, ჯერ კიდევ გუშინ მოჯამაგირე რომ იყო, დღეს კი ხუტორის პატრონია, თავის ძაღლთან ერთად მისდევს ამ გზას. კაცი თვალს ავლებს გაზაფხულის ცხოველი მზით შუქმოფენილ ხეობას, ძაღლი შეეტოტა და დრუნჩით დამსკდარ, ნაჯაფარ ხელს ულოკავს. დგას ძაღლი, კუდს აქიცინებს, კაცი კი ჩაფიქრებული დაჰყურებს ძაღლს, მისი მორჩილება და ერთგულება საკუთარი ძალის რწმენას უღვიძებს, წამით იგი ეზიარა ადამიანის ყველაზე უზენაეს ოცნებას — ოცნებას ძალაუფლებაზე, როგორც სარდალი, თვალს რომ გადაავლებს თავის ჯარს და მტკიცედ სჯერა ერთგულება ლაშქრისა. გადის ხანი, ძაღლი მდინარის პირას, პატრონის ფერხთით ჯდება ბალახში და კითხვით შესციცინებს მას. კაცი ამბობს: „რასაც ადამიანში ეძიებ, მას საკუთარ ძაღლში ჰპოვებ“.

კაცი ხმამაღლა ფიქრობს, მაშინაც კი, როდესაც ბილიკიდან გადაუხვევს და ჭაობს გაჰყვება ფარეხისკენ. ათასნაირად ატრიალებს, აბრუნებს ერთსა და იმავე აზრს: „ძაღლი პოულობს მას, რასაც ადამიანში ეძებს. ეძიებდე და ჰპოვებდე შენც“. კაცი იხრება, ხელით მოსინჯავს ისლის ფესვს ჭაობში, მსხვილი თითებით ზომავს ფესვის სიგრძეს, ამოგლეჯს ერთ ფესვს ხავსიდან, შარკალზე გაისვ-გამოისვამს, წმენდს, პირში იდებს, ცხვარივით ცოხნის და თითქოს აზროვნებასაც ცხვარივით იწყებს. ისლი მწარეა, მაგრამ კაცი დიდხანს ღეჭავს. პირში სიმწარეს გრძნობს. გრძელი ზამთრის მანძილზე ნაშიმშილევი, დაქანცულევებული რამდენი ცხვრის სიცოცხლე გადაურჩენია ამ ბალახს. მიუხედავად სიმწარისა, რაღაც თაფლის მაგვარი გემოც დაჰკრავს ისლის ფესვს. სწორედ ჭაობის ეს ბალახი იხსნის ხოლმე გაზაფხულობით დამშეულ ცხვარს გაწყვეტისაგან, შემოდგომაზე კი ცხვარი იხსნის ადამიანის სიცოცხლეს. კაცი მსჯელობს ამ ბალახზე... აი, მან უკვე მიაღწია ფარეხს და ახლა ისე დგას ამ ყველაზე მაღალი ბორცვის მწვერვალზე, როგორც შორეულ წარსულში იდგა იქ პირვე-

ლი ახალმოსახლე და ირჩევდა საცხოვრებელ ადგილს. კაცი აქეთ-იქით იხედება, შარდვას იწყებს, ჯერ ჩრდილოეთით შებრუნდება მთისკენ, მერე აღმოსავლეთით—ჭაობისა და ტბისკენ, ჭაობებს შუა კი მშვიდად მიედინება მდინარე, მერე სამხრეთით გადაშლილი, მზით გაკაშკაშებული უშენისკენ იზამს პირს, ბოლოს თოვლით დაფარული ბლაუფიედლისკენ, ცის ტატნობს რომ სწვდება.

ბორცვის სამხრეთ კალთაზე უტირედსმირელთა ორი ცხვარი წიწკნის ნორჩ ბალახს. მიუხედავად იმისა, რომ ცხვარი მისი ყოფილი ბატონისაა, კაცი მაინც მიერეკება პირუტყვს: „ეს ჩემი მიწაა!“

მაგრამ უცებ ჩაფიქრდება: ჯერ ხომ მთლიანად არ გადაუხდია ამ მიწის საფასური? ამიტომ ძაღლს უცაცხანებს, რომ ცხვრებს არ გაეკიდოს.

საკუთარი მიწის ნაკვეთზე მდგარი კაცი თვალს ავლებს შემოგარენს, მან რომ იყიდა. მალე ამ მიდამოს ზაფხულის მზე მოჰფენს შუქს. კაცი ძაღლს ეუბნება:

— „საზამთრისი“ შეუფერებელი სახელწოდებაა ასეთი ხუტორისათვის. სახელწოდება არც კი ეთქმის. არც „ალბოგასტადი“ ვარგა, პაპობის დროებას გვაგონებს და ცრურწმენის ჩრდილიც დაჰკრავს. დალახვროს ეშმაკმა, არ მინდა, რომ ჩემი ხუტორის სახელმა წარსულის შემზარავი ამბები მოაგონოს ვინმეს. მე ბიარტური* მქვია და ამიტომ ჩემს ხუტორს „ზაფხულის სავანეს“ დავარქმევ.

და აი, ზაფხულის სავანის მეპატრონე ბიარტური დააბოტებს საკუთარ მიწაზე, ათვალიერებს ხავსმოდებულ ნანგრევებს, ფარეხის ნახევრად ჩამონგრეულ კედელს, აზრით ასუფთავებს ადგილს, აშენებს ახალ ხუტორს, ისეთივეს, როგორშიც თვითონ დაიბადა და გაიზარდა უშენის აღმოსავლეთით.

— დიდ სახლს აიშენებ თუ პატარას, განა საქმე ის არის, — ისე ეუბნება კაცი თავის ძაღლს, თითქოს შეეკვდაო, რომ პირუტყვმა ძალზე შორს შესტოპა,—იცოდე, ტიტლა, თავისუფლება ყველაზე მაღალ ჭერზე ძვირფასია. თვრამეტი წელიწადი ვიშრომე წელგაუმართავად იმისათვის, რომ ეს თავისუფლება მომეპოვებინა. ვისაც საკუთარი მიწა აქვს, ის არის დამოუკიდებელი ადამიანი ჩვენს ქვეყანაში, ის არის თავისი თავის ბატონ-პატრონი. ეს ზამთარი თუ როგორმე გავიტანე, ცხვარი თუ შიმშილით არ გამიწყდა, ყოველ წელს თუ შევიტან ვალის ანგარიშში განსაზღვრულ თანხას, ამ ვალისგან მალე დავიხსნი თავს. თავისუფლება სწორედ ის გახლავს, ტიტლა, რასაც ელტვის ყოველი ადამიანი

---

* ბიარტური — ნათელი (ისლან.).

ჩვენს ქვეყანაში. ვისაც სხვისი არა მართებს რა, ის ხელმწიფეა. ვინც თავის ცხვარს გამოკვებავს, ქოხშიც ისე იცხოვრებს, თითქოს სასახლეში იყოს.

ტიტლა, თითქოს პატრონს გაეხმიანაო, მხიარულად ყეფს, გარს ურბენს მას, მაძებარი ძაღლივით წვება, ლრუნჩს მიწას გაჰკრავს, თითქოს პატრონის ყვალს ეძებსო და კვლავ გარს ურბენს პატრონს.

— აბა, აბა, — სერიოზულად ეუბნება ბიარტური, — ნუ ეშმაკობ, ტიტლა! განა მე ვტრიალებ და ვყეფ? მიწას ცხვარს ვახლი? განა ვანცობ ან ვისმე ვუსაფრდები? არა, ასეთი ოინბაზობით ვერ ვეღირსებოდი დამოუკიდებლობას. თვრამეტი წელიწადი ოფლი ვღვარე უტირედსმირში, ჯანი შევალიე შამასახლისს, პოეტ ქალს, ინგოულფ არნარსონ იოუნსონს, ახლა რომ დანიაში გაუგზავნიათ. შენ გგონია საკუთარი სიამოვნებისთვის დავეხეტებოდი ყინვაქარში, იმ უშენის სამხრეთ კალთებზე, დავძვრებოდი მთებში, ვეძებდი პატრონის ცხვარს? ერთხელ ნამქერში მომიხდა ღამის გათევა და იმ კეთილ ადამიანებს როდი უნდა ვუმადლოდე, რომ მეორე დილით ნამქერიდან ცოცხალი ამოვძვერი.

ძაღლი დამშვიდდა, მიწაზე დაჯდა და ბალნიდან რწყილებს იწიწკნიდა.

— ცამ და ქვეყანამ იცის, რომ დღედაღამეს შრომაში ვასწორებდი. აი რატომ მოვახერხე შეთანხმებისამებრ. აღდგომა დილას პირველი შესატანის გადახდა მიწის ამ პატარა ნაკვეთის შესაძენად. ახლა ოცდახუთი გაუკრეჭავი ნერბი მყავს. ბევრ სხვას ჩემზე ნაკლები ცხვარი ჰყავდა საქმის წამოწყებისას, უმეტესობა კი მთელი სიცოცხლე მონობაში რჩება და ფარას ვერასოდეს ვერ გაიჩენს. მამაჩემმა ოთხმოც წელს ისე მიაღწია, რომ ახალგაზრდობაში აღებული ვალი — ორასი კრონი (ავადმყოფობისას სამკურნალოდ რომ მიუცია მრევლს) ვერ გადაიხადა.

ძაღლმა პატრონს ეჭვით შეხედა, თითქოს არა სჯერაო მისი ნათქვამი, ის იყო ყეფა უნდა აეტეხა, მაგრამ გადაიფიქრა, ფართოდ დააღო პირი და დაამთქნარა.

— გასაკვირი არც არის, შენ რომ არ გესმის ჩემი, — თქვა ბიარტურმა, — ძაღლის ცხოვრება აუტანელია, მაგრამ კაცის ცხოვრება მგონი ბევრად უარესია. თუმცა, იმის იმედი მაინც მაქვს, რომ ჩემს ძვირფას როზას, თუკი ოცდასამ წელიწადს გაძლებს ამ ზაფხულის სავანეში, არც ისე ცუდად ექნება საქმე, რომ შობის წინა დღეს მოჯამაგირეებს ბებერი ჯაგლაგის ძვლებით გაუმასპინძლდეს, როგორც შარშან უტირედსმირელმა პოეტმა ქალმა გააკეთა, შობის წინა დღეს ურცხვად რომ მიართვა მუშებს გადამღრძვალი ცხენის ხორცი.

ძაღლი ისევ გულმოდგინედ იწიწკნიდა ბალნიდან რწყილებს.

— ჰოდა, რაღა გასაკვირია, თუ ასეთი ხალხის ხელში ძაღლი გაქეციანდა და ბალახის ძოვა დაიწყო. მათ ოჯახში ხომ მნე ქალსაც ოცი წლის მანძილზე საკუჭნაოს გასაღები თვალით არ უნახავს. ხშირად გავიფიქრებ ხოლმე, მამასახლისის ცხენებმა, იმ უბედურმა პირუტყვებმა, უცებ ენა რომ ამოიდგან, კაი-კაი ამბებს მოჰყვებიან-მეთქი. ცხვრებზე ხომ რაღა ვთქვა. საცოდავი პირუტყვებისთვის გაუთავებელ წამებაში განვლო ამ წლებმა, კიდევ კარგი. ცხვრებს ზეცაში თავისი სამსჯავრო არა აქვთ, თორემ ზოგ-ზოგ მეპატრონეს კარგი დღე არ დაადგებოდა.

მთიდან ფარეხის ნანგრევებისკენ ნაკადული ჩამორბოდა, თითქოს განგებო, ჯერ ხუტორისკენ ეჭირა გეზი, მერე დასავლეთით მიემართებოდა, გორაკს უვლიდა ირგვლივ, შემდეგ ჭაობში მიიკვლევდა გზას. ორ ადგილას ჭორომი დამდგარიყო, მუხლამდე მიწვდებოდა წყალი კაცს, ზოგან კი ღრმა გუბე იდგა. ნაკადულის ფსკერი სილითა და ჭრელ-ჭრელი კენჭებით იყო მოფენილი. ნაკადული ბევრგან აკეთებდა კლაკნს და ყოველი მოსახვევის იქით სულ სხვა ჰანგზე მირაკრაკებდა, ოღონდ ნაღვლიანად კი არა, ისე მხიარულად, ისე მოკისკასედ, როგორც თვით ყრმობა. მის მელოდიაში მრავალხმოვანი ნოტა ჟღერდა და როგორც ჭეშმარიტი სკალდი*, დაუცხრომლად მიიმღეროდა თავის სიმღერას, სრულიად არ აღელვებდა ის. რომ ასეთული წლების მანძილზე არავინ უსმენდა. კაცი ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს, ზემო ჭორომთან შედგა და თქვა: „აქ თეთრეულს გავრეცხავთ ხოლმე“, ქვემო ჭორომთან: „აქ კი დაძარილებულ თევზს დავალბობთ“. ძაღლმა წყალში პირი ჩაჰყო და სვლეპას მოჰყვა, კაციც გაწვა ნაკადულის ნაპირას, წყალს დაეწაფა და ცოტა წყალი ცხვირში წაუვიდა.

— საუცხოო წყალია, — თქვა ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა, ძაღლს გადახედა, პირი სახელოთი მოიწმინდა და დაუმატა, — ეს დალოცვილი, ისე კარგია, გეგონებათ ნაკურთხიაო.

მაგრამ ამ სიტყვის თქმაზე, უთუოდ თავში გაუელვა, ავსულთა წინაშე სისუსტე გამოვამეღავნეო, უცებ შებრუნდა, სახე გაზაფხულის ნიავს მიუშვირა და წამოიძახა:

— ჩემთვის სულ ერთია, ნაკურთხია ეს წყალი თუ არა. ვერ შემაშინებ, გუხვერო, ვერა. ცუდი დღე დაგადგება, ალქაჯო, ჩემს ბედნიერებას თუ წინ გადაეღობები და ხელს შემიშლი! მოჩვენებების არ მეშინია, — კაცმა ხელები დამუშტა, ბრაზით მოავლო თვალი მთის ნაპრალს, უღელტეხილის დასავლეთ მხარეს, სამხრეთით გადაშლილ ტბას და უძველესი საგის გმირივით, გამომწვევად ჩაიდუდუნა: „არა, არ მოხდება ასეთი რამ!“

* სკალდი — პოეტი, მთქმელი (ისლანდ.).

ძაღლს ეგონა, პატრონი გაბრაზდაო, წამოხტა, ფართო ნახტომებით გაეცალა ცხვრებისკენ, ბორცვის ძირას რომ ბალახობდნენ და ფეხებში მიეტანა საკბენად. ბიარტური კი მარტოოდენ ახალი დროის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, დამოუკიდებელი ადამიანი გამხდარიყო, ისეთივე, როგორიც ძველი თაობის ხალხი; ოდესღაც რომ სახლობდა იქ.

— კოლუმკილი! — ზიზღით გადაიხარხარა ბიარტურმა და ძაღლს დაუცაცხანა, — მიქარვაა, ლაყაფია. ასეთი სისულელე ვიღაც ტაკიმასხარამ მოჩმახა დედაბრების გასაბრიყვებლად, ეგ იყო და ეგ.

თავი მესამე

ქორწილი

მუშა ხელის* დაქირავების დრო რომ მოახლოვდება, ისლანდიის მცენარეულობა ისე იყრის ტანს, იფურჩქნება, ღუის, მწვანდება ირგვლივ ყველაფერი, გინდ მოთიბე კიდეც. ცხვარი სუქდება, ხშირი ბალახი ფარავს მძორს ჭაობში. წლის ამ დროს ცხოვრება მშვენიერი და საამური ეჩვენება ადამიანს და სწორედ ამ დროს არის კარგი ქორწინება.

ძველ ნანგრევებში თაგვის სოროები ამოძირკვულია, გაწმენდილია იქაურობა, აგებულია ახალი სახლი—ბიარტურის ხუტორი — ზაფხულის სავანე. მოზიდეს ქვა, დაჭრეს კორდი, ამოიყვანეს კედლები, გამართეს კოჭები, ჩაიწყეს ნივნივები, გადახურეს სახურავი, ხავსით ამოქოლეს ღრიჭოები კედლებში. ამოაშენეს ქურა, გაიყვანეს საკვამური მილი და სახლი მზადაა — იგი უკვე შეერწყა ლანდშაფტს.

ქორწილი პატარძლის სახლში, ხუტორ ნიდურკოტში გადაიხადეს. სტუმრების უმეტესობა ნიდურკოტისნაირი ხუტორების მცხოვრები იყო, მთის ძირას მიყუჟული ან უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე მიკრული პატარა ხუტორების მოსახლეები. ყოველ ასეთ ხუტო ს ნაკადული ჩაუდის, ქვემოთ გადაშლილია ჭაობი, რომელსაც მდორე მდინარე ჰკვეთს. ერთი ხუტორიდან მეორისკენ მიმავალ ადამიანს მოეჩვენება, თითქოს ერთი და იგივე ხუტორია მის წინ, ერთი და იგივე სახელი აქვთ, ერთი და იგივე ხალხი ცხოვრობს. მაგრამ ეს ასე

* ისლანდიაში წელიწადში ორჯერ ქირაობენ მუშა ხელს, გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

არ გახლავთ. მაგალითად, ნიდურკოტელი ბერიკაცი ტოურდური მრავალი წლის მანძილზე ოცნებობდა წყლის წისქვილზე, უნდოდა თავისი ნაკადულის ნაპირას, სადაც წყლის დინება უფრო მძლავრი იყო, დაედგა წისქვილი, ახლომახლო მცხოვრები გლეხებისთვის დაეფქვა ქერი და ამით საარსებო სახსარი გაეჩინა. მაგრამ როცა ტოურდურმა საწადელს მიაღწია და როგორც იქნა, ააშენა წისქვილი, ისლანდიაში უკვე შეწყვიტეს მარცვლეულის შემოტანა. რადგან ხალხი მეტი ხალისით ყიდულობდა მზამზარეულ ფქვილს. გაზაფხულობით, როცა ღამის ბინდს მსწრაფლ ენაცვლება გარიჟრაჟი, ტოურდურის ბავშვებს უყვარდათ წისქვილთან თამაში. იმ დღეების ლაჟვარდი ცა მთელი ცხოვრების მანძილზე ჩარჩათ ხსოვნაში. ბერიკაცს შვიდი შვილი ჰყავდა, შვიდივემ იბრუნა ფეხი მშობლიური სახლიდან, ორი ვაჟი შორეული, უცხო ქვეყნის ზღვაში დაიხრჩო, ერთი ქალი და ერთი ვაჟი, ქვეყნის დასალიერში—ამერიკაში გადაიხვეწა. მაგრამ ვგონებ, ერთ ქვეყანაში მცხოვრებ ღარიბ ნათესავებს უფრო დიდი მანძილი აშორებს ერთმანეთისაგან. მომდევნო ორი ქალიშვილი გათხოვდა და ძეთევზეთა დაბაში ცხოვრობდნენ. ერთი დაქვრივდა, წვრილშვილი დარჩა, მეორე ჭლექიანს გაჰყვა ცოლად და სამადლოდ მრევლის შესანახი გახდა... რას იზამ, ასეთია წუთისოფელი.

ყველაზე უმცროსი ქალიშვილი — როზა, თავის და-ძმებზე მეტ ხანს ცხოვრობდა მშობლებთან. ბოლოს იმანაც აიკრა გუდა-ნაბადი, წავიდა და უტირედსმირელ მამასახლისს დაუდგა მოახლედ. ნიდურკოტში დარჩნენ მშობლები, მათთან შეკედლებული დედაბერი და ერთი ოთხმოცი წლის ბერიკაცი, რომლის შესანახ სარჩოს ტოურდურს მრევლი აძლევდა...

დღეს როზაც თხოვდება, დღეიდან აღარ დასჭირდება სხვისი მოახლეობა. ხვალ სამუდამოდ გამოეთხოვება მშობლიურ კერას და დარჩება მიტოვებული წისქვილი ნაკადულის პირას... ასეთია წუთისოფელი.

მართალია, ბიარტური ბავშვობიდან დიდ კარმიდამოში ცხოვრობდა, მისი ნაცნობ-მეგობრების უმეტესობა მაინც შორეული სოფლების ღატაკი გლეხობა იყო. ბიარტურივით არც ის გლეხები მისდევდნენ ვაჭრობას, ისინიც მხოლოდ ცხვარს უვლიდნენ, ზამთარ-ზაფხულ წელგაუმართავად შრომობდნენ, ასე ატარებდნენ თავის საწუთროს. ზოგი მათგანი კულტურის ისეთ საფეხურზეც ავიდა, რომ ხის სახლი აიშენა — თუნუქით გადახურული კოლოფი. ასეთ სახლში მუდამ დაქიქინებს ქარი, ჩნდება ნესტი. პირქარისაგან სახსრების ტკივილი, ხოლო ნესტისგან ჭლექი ემართებათ. გლეხების უმეტესობა იმითაც კმაყოფილი იყო, ხუთ წელიწადში ერთხელ ოუ მოახერხებდნენ მიწური ქოხის კედლების შეახლებას. მართალია, ყოველი მათგანი ოცნებობს უკეთეს მერმისზე, ყოველ ხუტორში ბეუტავს უკეთესი ხვედრის იმედი. ხალხი ხომ საუკუნე-

ობით იმ რწმენით ცოცხლობს, რომ რაღაც იდუმალი გზებით მიაღწევს მიზანს, ბედი გაუღიმებს, თავს დააღწევს გაჭირვებას, აიშენებს კარგ სახლს, გახდება შეძლებული. ოდითგანვე ეს ყოფილა გლეხის სანუკვარი ოცნება. ზოგი ფიქრობს, ეს ოცნება მხოლოდ ცათა სასუფეველში თუ ახდებაო.

აქ ხალხი თავისი ცხვრებისთვის ცხოვრობდა, ჰყიდდა ცხვარს ფიორდში. მამასახლისის გარდა, მყიდველი ყველას ერთი ჰყავდა, ვაჭარი ტულინიუს იენსენი (ბრუნი). მამასახლისი თავის ცხვარს მუდამ ვიკში ჰყიდდა და რაკი გასაყიდ ფასს თვითონ ადებდა საქონელს, ამბობდნენ, ალბათ სავაჭრო ფირმის თანამშრომელიაო.

დიდ მიღწევად ითვლებოდა ბრუნისთან კრედიტის მიღება. მართალია, როგორც კი ვაჭარი გლეხს ანგარიშს გაუხსნიდა, გლეხი საკუთარ ფულს თვალით ვეღარ ხედავდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ვაჭრის ფრთას შეფარებული, როგორღაც გაიტანდა ზამთარს, ექნებოდა ჭვავის ფქვილი, მეორეხარისხოვანი თევზი და ყავა ჯალაბის გამოსაკვებად. გაზაფხულობით კი გლეხები დღეში ერთხელ ჭამდნენ. ამბობდნენ, ბრუნის თუ გლეხი თვალში მოუვიდა, მიწის ნაკვეთის ყიდვაშიც ეხმარებაო. ასეთი გლეხი შემდგომ ხუტორის მეპატრონე ხდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ქაღალდზე მაინც და საბეგრო ქვითრებზე, აგრეთვე სამრევლო სიაში აღინიშნებოდა, როგორც მიწის მფლობელი, სიკვდილის შემდგომ კი მისი გვარი საეკლესიო წიგნში შეჰქონდათ სიგვარეულოს დამდგენელთა საყურადღებოდ.

მიწის მეპატრონე გლეხები მოხებად აღარ თვლიდნენ თავს, ღატაკთა მასაში არ ითვლიფებოდნენ, მარტოოდენ საკუთარი თავის იმედი ჰქონდათ, მათი ყველაზე დიდი კაპიტალი დამოუკიდებლობა გახლდათ, სჯეროდათ თავისი ძალისა, დიდად აფასებდნენ ფხიანობას და თუ ცოტას გადაჰკრავდნენ, ზეპირად კითხულობდნენ უძველეს საგებსა და პოემებს. ამ ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს არავითარი დაბრკოლება არ აშინებდა. განა ისინი უსულგულო მატერიალისტები, ან სულიერად ღატაკნი იყვნენ, რომ მარტო დღიურ ლუკმაზე ეფიქრათ? ურიცხვი ლექსი იცოდნენ ზეპირად, თეთრი თუ ოსტატურად გარითმული, ზოგი მათგანი თვითონაც თხზავდა ლექსებს — მეგობრებზე, თავის დუხჭირ ყოფაზე. საფრთხესა და ბუნებაზე, უკეთესი, ნათელი დღის იმედზე, იმედზე, რომელსაც მარტოოდენ ცათა სასუფეველში უწერია ახდომა და სიყვარულზეც კი (უხამს ლექსებს). ბიარტურსაც ეხერხებოდა ლექსების შეთხზვა. გლეხებმა მოთხრობებიც იცოდნენ სასაცილო დედაბრებზე, ბერიკაცებზე, იდიოტებზე, ან კიდევ ახირებულ პასტორებზე. თვითონ მათ ძალზე ახირებული სულიერი მწყემსი ჰყავდათ, ოღონდ სულელი და თაღლითი კი არ იყო მათი პასტორი გუდმუნდური. გლეხები ბევრ საინტერესო ამბებს ჰყვე-

ბოდნენ ამ გუდმუნდურზე და დიდადაც ემადლიერებოდნენ მათ სამრევლოში ჩინებული ჯიშის ცხვრის მოშენებისთვის. მის ცხვარს „პასტორ გუდმუნდურის ჯიში“ შეარქვეს. პასტორი თავის ქადაგებებში დღენიადაგ ჰკიცხავდა გლეხებს, ერთთავად ჩასჩიჩინებდა, ძალიან თავგამოდებით ზრუნავთ ცხვარზე, მამაზეციერი კი გავიწყდებათო. და მაინც პასტორმა გლეხებს დიდი სამსახური გაუწია, მისი ცხვარი, მართალია, ნაღიტა იყო, მაგრამ დიდი გამძლეობითა და ამტანობით გამოირჩეოდა. ამიტომ გლეხები პატივს სცემდნენ პასტორს, ხათრი ჰქონდათ მისი და სხვებთან შედარებით, ბევრ რამეს უთმობდნენ.

პასტორის აზრით, მარტო ცხვარი კი არ იყო იმის მიზეზი, რომ გლეხობამ ღმერთზე თითქოსდა გული აიცრუა, გონივრულად ვეღარ აზროვნებდა, არ ზრუნავდა სულის ცხონებაზე, რაიც მარტოოდენ ღმერთშია — ჭეშმარიტი რელიგიისაგან განდგომაში ხელს უმართავდათ უტირედსმირის მეპატრონე ქალი, რომელსაც „ფრუ“*-ს ეძახდნენ. ახლა ამ ფრუს შესახებ მინდა მოგახსენოთ.

ფრუ ვიკელი გლეხის ქალი იყო, იქაური ქალთა სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და გლეხკაც იოუნს მხოლოდ იმიტომ გაჰყვა ცოლად, რომ უნდოდა სოფლად ცხოვრების სიხარული გამოეცადა. სოფლად ცხოვრების სიტკბოებას უცხოური წიგნებიდან დასწაფებოდა, განსაკუთრებით ბიორსტერნე-ბიორნსონის** ნაწარმოებებში, რომელთაც ფრუ ჯერ მამის სახლში, შემდეგ კი ქალთა სასწავლებელში კითხულობდა. პირველად რომ დაორსულდა ფრუ, სიზმარში ისლანდიის პირველი პიონერი — ინგოულფ არნარსონი გამოეცხადა და ენამზიანად, მოქარგული სიტყვებით აუწერა სოფლად ცხოვრების სილამაზე, თან სთხოვა, შენს შვილს ჩემი სახელი დაარქვიო. ფრუმ მეუღლეს მზითევად მოუტანა ათი ათასად ღირებული მიწის ნაკვეთი, გარდა ამისა, თავისი წილი მემკვიდრეობა — მოძრავი ქონება. ქალი ხშირად ამბობდა, ამ ხეობის ხალხი ქვეყნად ყველას მირჩევნიაო და, როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, არწმუნებდა ყველას, სოფლად ცხოვრებას რა სჯობია, აქ, ამ მინდორ-ველად სიცოცხლეც და სიკვდილიც ნამდვილი ნეტარებაა. ფრუ სულიერ შუქს ჰფენდა მთელ ოლქს: დააარსა ადგილობრივ ქალთა კავშირი, რომელსაც თვითონ თავმჯდომარეობდა, დედაქალაქის გაზეთებში ჰგზავნიდა სტატიებსა და ლექსებს სოფლის ყოფიერების სილამაზეზე, იმ სულიერ და ხორციელ ნეტარებაზე, რასაც მარტოოდენ ბუნების წიაღში ჰპოვებს ადამიანი. მისი აზრით, ისლანდიაში მხოლოდ კუსტარულ სარეწს ჰქონდა არსებობის უფლება. თვითონ ოსტატურად ქსოვდა პრიმიტიულ ხის დაზგაზე. ამიტომ აირჩიეს დელეგ-

* ფრუ — ქალბატონი (ისლან.).

** ბიორნსტერნე-ბიორნსონი (1832—1900) — ნორვეგიელი მწერალი, გლეხთა ცხოვრებაზე დაწერილი მოთხრობებისა და დრამების ავტორი.

გატად ქალთა კავშირების ყრილობაზე დედაქალაქში გასაგზავნად. ამ ყრილობაზე ირჩეოდა კუსტარული სარეწების საკითხი, აგრეთვე მსჯელობა ჰქონდათ იმ ზნეობრივ ღირსებებზე, რასაც სოფლის ყოფა ჰქმნის და დაასკვნეს, რომ მარტოოდენ ამას ძალუძს ისლანდიელი ხალხის ხსნა მოსალოდნელი საშიშროებისაგან, რომელსაც უქადის ესოდენ მძიმე დროებაო.

ასეთ ქალს იმის უნარიც გააჩნია, რომ იგრძნოს და დააფასოს წლის სხვადასხვა დროის ცვალებადობისა და ლურჯი მთების სილამაზე, უტირედსმირში თავისი სახლის ფანჯრებიდან რომ ხედავდა. ბუნების სილამაზეზე ფრუ ისეთივე აღტაცებით ლაპარაკობდა, როგორც საზაფხულო არდადეგებზე ჩამოსული ტურისტები. ბუნების წიაღში შრომას ფრუ სასარგებლო ფიზიკურ ვარჯიშად თვლიდა, მით უფრო რომ ამ სასარგებლო ვარჯიშს ქვეყნის თვალწარმტაც ადგილებში ეწევიანო... ფრუს შურდა კიდეც ღარიბი გლეხის ბედი. ძისი აზრით, გლეხებს დიდი საზრუნავი არ გააჩნდათ, არც დიდი ხარჯი და გასავალი ჰქონდათ. მისი ქმარი კი ვალებში იყო ჩაფლული დიდი მშენებლობების, მელიორაციისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების ყიდვის გამო, თუ აღარაფერს ვიტყვით მოჯამაგირეების ხელფასზე, ასეთ მძიმე დროში, მაშინ, როცა გლეხს სრული ბედნიერებისთვის დიდი გარჯა როდი სჭირდებოდა, მას მხოლოდ დილით ერთი საათით ადრე ადგომა და საღამოს სამუშაოს ერთი საათით გვიან დამთავრება უხდებოდა. შეძლებულ ხალხში იშვიათია ბედნიერი ადამიანი, ღატაკები კი მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ბედნიერები არიანო. როცა რომელიმე გლეხი ჯვარს იწერს, ფრუ „სულიერად უერთდება“ მათ, „მათი ფეხის ნაკვალევს ჰკოცნის“. ბიარტურს საქორწინო სუფრისთვის ფრუძ დიდი კარავი დაუთმო, რომ ხალხს იქ ყავა დაელია და მისალოცი სიტყვები ეთქვა ნეფე-დედოფლისათვის.

გლეხები ეზოში იდგნენ, ვინ სახლის კართან, ვინ კედელს მიყრდნობილი, ესაუბრებოდნენ ნეფეს, თან ბურნუთს ყნოსავდნენ და საშინლად იჭყანებოდნენ. როგორც ყოველ გაზაფხულზე, ახლაც საუბარი ერთ უცვლელ თემას — ცხვრის დაავადებას უტრიალებდა. ოდითგან გლეხის დაუძინებელი მტერი მუცლის ლენტისებური ჭია იყო. ეს ჭირი მხოლოდ მას მერე დათრგუნეს, როცა ძაღლებს წესიერად უმკურნალეს. მაგრამ ბოლო წლებში ჭიის ახალი სახეობა, პირველზე არანაკლებ საშიში — ფილტვის ჭია გაჩნდა. მართალია, გლეხობის მუდმივი სალაპარაკო თემა ჯერჯერობით ისევ მუცლის ლენტისებური ჭია იყო, ბოლო ხანებში მაინც ახალმა ჭიამ მიიპყრო მეტი ყურადღება.

— ჩემის აზრით, — თქვა გილტეიგელმა ტოურირმა, — თუ ზამთარში ცხვარს როგორმე დავიცავთ ფაღარათისაგან, მაშინ შეგვიძლია არხეინად ვი-

ყოთ. გიხდაც ცხვირში გაძოეჩაროთ ჭია, საში'ში არა არის რა. მუცელი თუ არ აეშლებათ, გაზაფხულის ბალახს კარგად მოინელებენ, თუმცა, ვინ იცის, იქნებ ვცდები?

— არა, არა, მართალი ხარ, — უპასუხა ნეფემ, — სწორედ ამასვე ამბობდა ურდარსელელი ტოურარი, ახლა რომ ლოგინად არის ჩავარდნილი. ამ საქმეში კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ის ჩახედული კაცია. თუ ბატკნებს ფაღარათი დაერეოდა, საღეჭი თამბაქოთი წამლობდა. რამდენიმე წლის წინათ ტოურარის სახლში მომიხდა ღამის გათევა და მაშინ მითხრა, ზამთარში ჩემს ბატკნებს ზოგჯერ მთელ ჩარექ თამბაქოს ვაჭმევ ხოლმეო. გირჩევნია ყავა დაზოგო, შაქარზე აღარაფერს ვამბობ, ბატკნებს კი თამბაქოს ნუ მოაკლებო, დამარიგა.

— მართალია, სამაგალითო მეურნედ არასოდეს არავინ მთვლიდა, — თქვა ფსალმუნებისა და საგალობლების მთხზველმა, უნდირხლიდელმა ეინარმა, — მაგრამ დაკვირვებით ვიცი, ყველაზე მეტად იმათ უჭირთ ცხოვრება, ვინც მარტო თავის კუჭის ამოვსებაზე ფიქრობს, ბედი თითქოს დასცინის მათ. მე მგონია, თუ საკმაო საკვები არ გექნებათ ბატკნებისათვის, თამბაქო ვერას გიშველით. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, საღეჭი თამბაქო, რაღაც შეღავათს აძლევდეს, როცა უკვე უბედურება თავს დაატყდებათ, მაგრამ თამბაქო თამბაქოა, მთავარი კი მაინც საკვები გახლავს.

— სრული ჭეშმარიტებაა, — სიტყვა ჩამოართვა ისტადალელმა ოულაფურმა და მწივანა ხმით, სხაპასხუპით განაგრძო: — მთავარი, რა თქმა უნდა, საკვებია, მაგრამ საკვებიცაა და საკვებიც. ასე არ არის განა? ეს ხომ ყველასთვის ნათელია. განა ბეითლები ერთთავად ამაზე არ წერენ გაზეთებში? საქმე ის არის, რომ ზოგჯერ საკვებში ის ტიალი მიკრობები ბუდობენ და აი, სწორედ მათგან ჩნდება ჭია. ჯერ ქვეყნად არც ერთი ჭია არ გაჩენილა უმიკრობოდ, ეს ყველამ იცის, მაშ სადღაა მიკრობები, თუ არა საკვებში, მიპასუხეთ?

— აბა, რა გითხრათ, — თქვა ტოურირმა, — ჩვენ ფრთხილად ვარჩევთ ცხვრისთვის საკვებს და მოწიწებით ვასწავლით ბავშვებს საღვთო სჯულს. უცებ საიდანღაც ჩნდება მატლი. ასე ემართება კაცსაც და ცხვარსაც.

ქალები კარავში ისხდნენ და გილტეიგელ სდეინკაზე ჭორაობდნენ. სდეინკა მამის ოჯახს უძღვებოდა, გაუთხოვარი იყო და გასულ კვირას ბავშვი შობა. ზოგიერთმა ქალმა იტვირთა მელოგინისა და ჩვილის მოვლა. ასეთ გასაჭირში ჩავარდნილ ახალგაზრდა ქალს ხომ ხალისით სთავაზობენ დახმარებას, ყოველ შემთხვევაში, პირველი კვირის მანძილზე მაინც, ვიდრე არავინ იცის მამის ვინაობა. საბრალო სდეინკას მძიმე მშობიარობა ჰქონდა, ბავშვიც ძალზე სუსტი დაიბადა, შეიძლება ვერც იცოცხლოსო, ამბობდნენ. ქალები ნელ-

ნელა საკუთარ მშობიარობაზე, სნეულებაზე, მერე კი ბავშვების ავადმყოფობაზე ალაპარაკდნენ. ახლა ხალხი თავისი ჯანმრთელობით ვერ დაიტრაბახებს, მართალია, ბოლო ხანებში, ისეთი საშინელი სნეულებების, როგორიც შავი ჭირია და ყვავილი, ხსენებაც გაქრა, მაგრამ სულ რაღაც შეუძლოდ არიან — კბილის ტკივილი, გამონაყარი, ყელჭირვება, გულის დაავადება, სახსრების შეშუპება, დაჟეჟილობა, თუ აღარაფერს ვიტყვით ნაწლავების ბერვაზე და მუცლის საშინელ ბუყბუყზე, მაგრამ სულისა და სხეულისათვის ყველაზე დამაძაბუნებელი და ილაჯის წამრთმევი, მაინც ნერვების მოშლილობაა, დაასკვნეს ქალებმა.

უტირედსმირის მეპატრონე მგოსანი ქალი გაექცა ამ მოსაწყენ საუბარს, ჯაცებთან გავიდა ეზოში, მაგრამ როცა გაიგონა, რაზე მასლაათობდნენ ისინი, სთხოვა, გაჩუმდითო და გლეხები დაემორჩილნენ. ფრუ წარმოსადეგი ქალი იყო, სათვალეს ატარებდა, ისეთი ფართო, დიდებული სახე ჰქონდა, ზედგამოჭრილი რომის პაპი გახლდათ. ქალმა გლეხებს სთხოვა, ისეთ რამეზე ისაუბრეთ, რაც უფრო ჰარმონიული იქნება გაზაფხულის ასეთი ჩინებული დღისთვისო, თან ხელი გაიშვირა თავისი საყვარელი ლურჯი მთებისკენ, ლაჟვარდი ცისკენ, მდელობებისკენ, სულ მალე რომ აბიბინდებოდნენ მწვანედ. სტუმრად მოსულ გლეხებში, მთელ ოლქში განთქმული ორი სკალდი ერია — თვით ნეფე და უნდირხლიდელი ეინარი, აგრეთვე ისტადალელი ოულაფური, მეცნიერების დიდი თაყვანისმცემელი, „ხალხის მეგობრის“ კავშირის წევრი. გაზაფხულზე, ბუნების წიაღში, ვინ იცის, რანაირი საუცხოო აზრები არ მოუვა თავში ადამიანს.

მაგრამ სკალდები არასოდეს ისე არ გაჯიუტებულან, როგორც ახლა, ამ ქალის თანდასწრებით. ორივემ ციცი უარი თქვა საკუთარი ლექსების წაკითხვაზე. მართალია, ფრუ ცხარედ უმტკიცებდა მათ მეგობრობას და აღტაცებული იყო მათი ცხოვრების პირობებით, მაგრამ ამავე დროს, ისე ციცად იღიმებოდა, გეგონებოდათ, მათ შორის მთელი ოკეანეა გადაშლილიო, იმდენად განსხვავებული აზრთა წყობა და შეხედულებები ჰქონდათ ორივე სკალდსა და უტირედსმირელ ქალბატონს. ფრუ მსოფლიოს უდიდესი პოეტებით იყო გატაცებული, ქებით ცამდე აჰყავდა გლეხური ცხოვრების სილამაზე, მტკიცედ სწამდა სამყაროს განმგებელი ღმერთი, სწამდა, რომ ყველაფერში ღვთის ხელი ურევია, რომ ადამიანის ვალია — ღვთის შემწე იყოს ყველა მის წამოწყებაში. იმიერ ცხოვრებაზე ფრუს არასოდეს სიტყვა არ დასცდენია, სწორედ აზრთა ამგვარი წყობა მიაჩნდა პასტორ გუდმუნდურს წარმართობად და ამიტომაც ჰკიცხავდა ქალს. ეინარი ცხოვრებას კრიტიკულად უყურებდა, მხოლოდ გარდაცვლილებზე თხზავდა ლექსებს, ნუგეშს რელიგიაში ეძიებდა, ასე ეგონა, ღმერთი საიქიოში მაინც მიანიჭებსო შვებას ღატაკს. მაგრამ პასტორმა გუდ-

მუნდურმა გლეხებს სასტიკად აუკრძალა ეინარის შეთხზული, სულის მოსახსენიებელი საგალობლების სიმღერა გარდაცვლილთა დაკრძალვისას, რამეთუ ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გაეწიათ აღიარებულ, ნაციონალურ მეფსალმუნეთათვის მეტოქეობა ღვთისმეტყველებაში უმეცარ, უბირ გლეხებს. ბიარტური კი პატივს სცემდა ხალხურ პოეზიას, ამ პოეზიაში ჩაქსოვილ სულისკვეთებას, ყველაზე უფრო იმათ აფასებდა, ვისაც საკუთარი ძალისა და ძლევამოსილების რწმენა გააჩნდა, როგორც, მაგალითად, ჰერნოუტს, ბორნეიარკაპს, იომსის ვიკინგებს* და წარსულის სხვა გმირებს. ლექსთა წყობის წესები უძველეს პოეტთაგან აეთვისებინა, არად აგდებდა ისეთ ლექსს, რომელშიც არ იყო წრიული რითმა.

ამ დროს გამოჩნდა ცხენზე ამხედრებული, წარმოსადეგი, ზვინივით ზორზოხა პასტორი, ხვნეშა-ქოშინით დაქვეითდა, აჭარხლებული სახე ჰქონდა, ჭაღარა თმა. პასტორი ერთი უცხვირპირო ვინმე იყო, არასოდეს არავის არაფერში დაეთანხმებოდა. პირველად პოეტ ქალს მოჰკრა თვალი და მისი დანახვა არაფრად ეჭაშნიკა.

— ნეტა ვიცოდე, რისთვის მომაჩანჩალეს აქ? — უკმაყოფილოდ თქვა პასტორმა, — ამ ხალხში ზოგიერთებს ხომ ჩემზე უკეთ ეხერხება სიტყვიერ წარმოთქმა?

— დიახ, დიახ, — ჩაიცინა ბიარტურმა, თან პასტორის ცხენს სადავეში სწვდა, — ასეა, მაგრამ ჩვენ ჩვენი სიყვარულის დაკანონება გვინდა.

—რა სიყვარული, რის სიყვარული, — ჩაიბურდღუნა პასტორმა და აჩქარებით წავიდა სახლისკენ, ცერემონიის დაწყებამდე უნდა მოესწრო ყავის დალევა. დრო არა ჰქონდა, შაბათი იყო, ბავშვი ჰყავდა მოსანათლი და, გარდა ამისა, ჩრდილოეთ მხარეს, სანგდილში მიეჩქარებოდა, ერთი იქაური საყდარი მის სამრევლოს მიაწერეს.

— რაც კურთხევანში წერია, იმას ერთ სიტყვასაც არ დავუმატებ. მეყოფა საქორწინო სიტყვებით გამოსვლა ხალხის წინ. დაუფიქრებლად იწერენ ჯვარს, წარმოდგენა არა აქვთ, თუ რა არის საჭირო ქრისტიანული ქორწინებისთვის და რა მოსდევს ამას. უკვე თორმეტ წყვილს დაეწერე ჯვარი და დღეს ისინი თავისი ოჯახებიანად მრევლის სარჩენი გახდნენ. ჰოდა, კეთილ ინებე, იქადაგე ასეთებისთვის, — პასტორი დაიხარა, რომ წითხლისთვის თავი არ აეკრა და შინ შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ, უტირედსმირის მეპატრონემ კარავში ნაციონალურ

---

* იომსის ვიკინგები—ვიკინგები ციხე-სიმაგრე იომსიდან (ოდერის შესართავთან), ცხოვრობდნენ მე-10 ს-ში. სახელგანთქმულნი იყვნენ გმირობით, მამაცობით, სიკვდილისადმი ზიზღით. ძველისლანდიური საგა იომსის ვიკინგებზე დაწერილია მე-12 საუკ.

ტანსაცმელში გამოწყობილი პატარძალი შემოიყვანა. ქალი ძალიან დარცხვენილი იყო, ცალ თვალს ოდნავ აელმებდა. პატარძალს ფეხდაფეხ შემოჰყვნენ ქალები და კაცები, თავიანთი ძაღლებიანად. ყველაზე ბოლოს დაჭმუჭნილ სტიქარში გახვეული პასტორი გუდმუნდური შემობრძანდა, ის იყო ყავის სმა მოეთავებინა.

როზას ოცდაექვსი წელი შეუსრულდა, საშუალო ტანის, ფუნთუშა, პირმრგვალი, ლოყაწითელი, ჩუმი ქალი იყო, ცალ თვალს ოდნავ აელმებდა. კარავში შემოსვლისთანავე თავის წინსაფარს ჩააშტერდა და თავი აღარ აუწევია.

კარავში მდგარი პატარა მაგიდა საკურთხევლის მაგივრობას სწევდა. პასტორი მაგიდასთან შედგა, კურთხევანი გადაფურცლა.

ხმას არავინ იღებდა, მხოლოდ მგალობლები ჩურჩულებდნენ და ცოტა ხნის შემდეგ, ულაზათოდ, ხმაშეუწყობლად წამოიწყეს საქორწინო ფსალმუნი. ქალებს თვალთ ცრემლი მოადგათ.

პასტორმა ჯიბეში მოაფათურა ხელი, ამოიღო საათი, ზედ ნეფე-პატარძლის ცხვირწინ მომართა და ჯვრისწერას შეუდგა. კურთხევანში კითხულობდა ლოცვას. ფსალმუნის გალობა შეწყვიტეს, პასტორმა თავისი მოვალეობა შეასრულა, მიულოცა ახალგაზრდებს. მერე ნეფეს ჰკითხა, წავიდა თუ არა ვინმე ჩემი ცხენის გამოსაყვანად, ყოველი წუთი გამოზომილი მაქვსო. ბიარტური სიხარულით გაიქცა ცხენის გამოსაყვანად. ქალები კი პატარძალს შემოეხვივნენ და გადაჰკოცნეს.

ყავის გამოტანის დრომ მოაღწია. გააწყვეს მაგიდები, დადგეს სკამები და სტუმრები სუფრასთან მიიწვიეს. უტირედსმირის მეპატრონე ნეფე-პატარძალს მიუჯდა გვერდით. წავიდა თუ არა პასტორი, ლანგარებით შემოიტანეს ქიშმიშიანი ღვეზელები და ფუშფუშა ბურბუშელა. კაცები ბურნუთს ყნოსავდნენ, თან ისევ საქონელზე ლაპარაკობდნენ. ყავაც ჩამოარიგეს. სტუმრები როგორღაც უხალისოდ გამოიყურებოდნენ, ჩუმად სვამდნენ ყავას, ზოგმა ოთხი ფინჯანი დალია, ზოგმა რვა, ქიშმიშს კნაწაკნუწი გაუდიოდა მათ კბილებში.

სახეგაბრწყინებული ბიარტური გულღიად უმასპინძლდებოდა ხალხს.

— კიდევ მიირთვით ყავა, ნუ დაგვიწუნებთ ნამცხვარს, — სთავაზობდა სტუმრებს.

ყველამ გული იჯერა ყავით, გარედან კრონშნეპების სტვენა ისმოდა, იმათაც სიყვარულის ხანა დასდგომოდათ. ბოლოს წამოდგა რედსმირელი ფრუ, ეს რომის პაპივით დიდებული ქალი სტუმრებში სახითაც გამოირჩეოდა და წარმოსადეგი ტანითაც. მგოსანმა ქალმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, ქაღალდის ფურცლები ამოიღო.

ასეთ საზეიმო წუთებში, როდესაც ორი გული ერთდება, მან რამდენიმე სიტყვა უნდა თქვას. იქნებ, მას კი არა, სულ სხვა ვინმეს მართებდა შუქის გადმოფრქვევა ახალჯვარდაწერილთათვის, ახლა რომ იწყებენ ცხოვრებას, რათა თავისი ვალი მოიხადონ სამშობლოსა და ღვთის წინაშე — ეს უწმინდესი ვალი. მაგრამ რაკი ღვთით მოწოდებულნი თავს არიდებენ წმიდათა წმიდა მოვალეობას, სხვა გზა არა აქვს, თვითონ უნდა უთხრას ორიოდე სიტყვა ნეფე-პატარძალს. ეს მისი ვალიცაა, ჯვარდაწერილები თითქმის მისი შვილები არიან, მის ოჯახში ერთგულად მუშაობდნენ, ნეფე — თვრამეტი წლის მანძილზე. ჰოდა, მისთვის მძიმეა იმის წარმოდგენა, რომ ეს ორი ახალგაზრდა ცხოვრების ამ წმიდათა წმიდა გზას ისე დაადგეს, ორიოდე გამამხნევებელი სიტყვით არავინ დაულოცოს მათ მომავალი. რა ქნას, ასეთი ადამიანია: როგორც კი შემთხვევა მიეცემა, მუდამ აქებს გლეხებს მათი კარგი ღირსებებისთვის. მართალია, თვითონ ქალაქში გაიზარდა, მაგრამ ბედმა წილად გლეხის ცოლობა არგუნა და ამით უკმაყოფილო როდია, პირიქით, თავს ბედნიერად თვლის, რადგან ბუნება უზენაესი გახლავთ ყველა იმაზე, რაც უფალს შეუქმნია. ბუნების წიაღში გატარებული ცხოვრება, სრულყოფილი ცხოვრებაა, მასთან შედარებით ყველა სხვა მხოლოდ მტვერია, ამაოებაა.

— ქალაქის მკვიდრთ, — განაგრძო ფრუმ, — წარმოდგენა არა აქვთ იმ მყუდროებასა და ნეტარებაზე, რასაც აქ გვანიჭებს დედაბუნება, და ვიდრე არ ეზიარებიან ამ სიმშვიდესა და განცხრომას, ამაოებასა და წარმავლობაში ეძიებენ სიამოვნებას. მათ აკლიათ სიდინჯე, ისინი დღევანდელი დღით ცხოვრობენ, ზრუნავენ გარეგნობაზე, აინტერესებთ მოდა, ეტანებიან უშინაარსო, ბედითი გასართობებს. სოფლელები კი ბუნების წიაღში ატარებენ ცხოვრებას, სუფთა ჰაერს სუნთქავენ, მათ სულსა და სხეულში იღვრება უჩინარი სასიცოცხლო რამ ძალა, მყუდროებით მოცული მიდამო გულს უმშვიდებს ადამიანს, სისხლ-ხორცით ავსებს, სოფლის კაცის ფეხქვეშ ყვავილებით მოქარგული, ხასხასა, მწვანე ხალიჩაა და ეს არა მარტო სილამაზის შეგრძნების უნარს, თითქმის მოწიწების გრძნობას უღვიძებს მას. რა სჯობია ყვავილოვანი სურნელებით გაჟღენთილ ამ მიდამოში დასვენებას, სიმშვიდით დატკბობას. მდელო, ჩანჩქერები, მთები ჩვენი სიყრმის მეგობრები ხდებიან. რაოდენ ბუმბერაზი, რაოდენ მომხიბლავია ჩვენი მთები. გულის სიმებს ისე მძლავრად არა ეხმიანება რა, როგროც ამ მთების ამაღლებული, სპეტაკი იერი. მთები ბარს მფარველობენ, ისინი ჩვენც მოგვიწოდებენ, მფარველობა გავუწიოთ ჩვენზე სუსტს. სად ჰპოვებს ადამიანი, სად შეიგრძნობს, — იკითხა პოეტმა ქალმა, — ისვთ ნეტარ სიმშვიდეს, როგორც მთიან ხეობაში, სადაც ყვავილები, ეს ანგელოზთა თვალები, თუ ნებას მომცემთ, ასე გამოვთქვა, ცას შეჰყურებენ და

მოგვიწოდებენ მუხლი მოვიყაროთ მისი მძლეთამძლეობის, სილამაზის, სიბრძნის და სიყვარულის წინ? დიახ, ამაშია ჭეშმარიტი, ყოვლისმომცველი სიდიადე.

ასეთმა შთაბეჭდილებებმა, შეუძლებელია ადამიანის გულში კვალი არ დასტოვოსო, — ასეთი აზრი გამოთქვა ფრუმ.

სუსტთა მფარველობა შუა საუკუნეების რაინდთა ვალი იყო, რატომ დღესაც არ უნდა ვიქცეოდეთ ასე? სუსტებად პოეტ ქალს ისინი მიაჩნდა, ვინც ჩვენზე ნაკლებ უნარიანია, ვისაც ჩვენი დახმარება ესაჭიროებაო.

— ზამთარში პირუტყვზე ზრუნვა, მისი მოვლა, კეთილშობილური საქმეა. როცა ამ სიტყვებს ვამბობ, აზრით მადლობას გიხდი, შენ, ბიარტურ, უტირედსმირში ჩვენი ფარის მოვლისათვის. დიდ, საპატიო საქმეს უძღვებოდი ჩვენს ოჯახში, როცა მწყემსად გვყავდი. ერთ უძველეს ლექსშია ნათქვამი: „შეიყვარე მწყემსი შენი, როგორც სისხლი და ხორცი შენიო“.

მწყემსი უთენია დგება, ყინვასა და ქარში გადის გარეთ, რომ უენო უტყვ საქონელს მოუაროს. ის როდი ჩივის, — განაგრძო ფრუმ, — მას თანაგრძნობა ამოქმედებს, ქარბუქი და ნამქერი აკაჟებს, საკუთარ თავში ისეთ ძალას გრძნობს, როგორზეც უწინ წარმოდგენაც არ ჰქონია. სტიქიასთან ბრძოლაში გაკაჟებული, გმირულ საქმეებს აკეთებს და მთელი გულით ხარობს, რომ ათას გაჭირვებას იტანს უსუსური, უმწეო არსებების გამო.

რა მშვენიერია ცხოვრება ბუნების წიაღში. ეს ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგია ხალხის აღსაზრდელად. გლეხები თავისი ქვეყნის კულტურის ბურჯები არიან, მათი უპირველესი აღთქმაა — ვალის პირნათლად, დინჯად აღსრულება სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

პოეტი ქალი თავის სიტყვას დიდი დამაჯერებლობითა და აღტაცებით კითხულობდა, კარავში ცხელოდა, ქალს ფართო შუბლიდან ღაჟღაჟა ლოყებზე ოფლი ჩამოსდიოდა. მან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლი მოიწმინდა.

— არ ვიცი, თქვენთვის ნაცნობია თუ არა სპარსთა რელიგია. ამ ხალხს სწამდა, რომ სინათლისა და წყვდიადის ღმერთებს გამუდმებული მტრობა ჰქონდათ და ხალხს სინათლის ღმერთის დახმარება წილად ხვდა, მას მიწა უნდა დაემუშავებინა, მოევლო, გაენაყოფიერებინა. ეს სწორედ ის გახლავთ, რასაც გლეხები მისდევენ, ისინი, ასე ვთქვათ, სინათლის ღმერთს ეხმარებიან, თანამშრომლობენ ღმერთთან, ზრდიან მცენარეებს, საქონელს, ხალხს. ამაზე საპატიო ამოცანა დედამიწაზე სხვა არა არის რა. ამიტომ გლეხებსა და უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ნეფეს მინდა შემდეგი სიტყვებით მივმართო:

— თქვენ, გლეხკაცებო და გლეხის ქალებო, მთელი დღე წელგაუმართავად რომ შრომობთ, იგრძენით, რაოდენ კარგსა და კეთილ საქმეს აკეთებთ, თქვენ მონაწილეობთ ღვთის შემოქმედებით საქმიანობაში და იგი წყალობის თვალით

გვიყურებს ჩვენ, ნუ დაივიწყებთ, რომ ის ნაყოფი, რომელსაც საკუთარი შრომით იწევთ, შემოქმედების წყალობა გახლავთ.

შემდგომ ამისა ფრუმ ორიოდ სიტყვით მიმართა როზას, „ამ კარგად აღზრდილ, ნიდურკოტელ მშვიდ ქალიშვილს, ესოდენ რომ გვიყვარდა ყველას და პატივს ვცემდით ორი წლის მანძილზე, როცა იგი უტირედსმირში ჩვენი მარჯვენა ხელი იყო, გვეხმარებოდა საქმეში“.

— ჩვენი პატარძალი — ზაფხულის სავანის მომავალი დიასახლისი! ესოდენ საპატიო სახელი ტყუილუბრალოდ როდი ეძლევა ქალს, რომელიც ოჯახს მართავს. ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ ქალი დედობრივი სიყვარულის შუქს აფრქვევს ჯალაბს, არა მარტო უვლის მათ, არამედ მთელ მათ ცხოვრებას აცისკროვნებს დედობრივი სიყვარულის სითბოთი. ყოველი ქალი, ვისაც კი ოჯახის დიასახლისობა და დედობა ეღირსება, უნდა ფიქრობდეს, თუ რაოდენ ამაღლებული, რაოდენ ყოვლისშემძლეა მისი მოვალეობა, რომ მისი მადლი წინ ხვდება მესამე და მეოთხე თაობებს, თუმცა მეოთხეს კი არა, რატომ მეათასე თაობას არა? ძალზე საპასუხისმგებლოა ცოლობა, დიასახლისობა და ცოდნა იმისა, რომ გენიჭება ამქვეყნად უდიდესი, ყველაზე კეთილშობილური ვალის აღსრულება.

ალბათ, ბევრი ქალი იტყვის, შეუძლებელია საქმე ისე ააწყო, რომ შენს ოჯახში ყველაფერს დღენიადაგ ღიმილის შუქი ანათებდესო. ყოველ უმნიშვნელო წვრილმანს იმდენი ძალა უნდა შთაჰბერო, რომ ახლობლებს მშვიდობისმყოფელი ანგელოზივით გაუხარო გული, შენი სახლის კედლებში ისეთი მშვიდობა და თანხმობა უნდა დაამყარო, რომ ყოველმა შენმა ახლობელმა წარიხოცოს გულიდან მძულვარება, გულის ჯავრი და საკუთარ თავში ჰპოვოს ძალა უდიდესი გმირული საქმეების ჩასადენად და მაშინ შენი ოჯახის ყოველი წევრი იგრძნობს, რომ თვით ღმერთს მიჰყავს იგი მარადიული იდეალების გაზაფხულისკენ. თავს ყველა უმწიკვლო, თავისუფალ, გულად ადამიანად შეიგრძნობს, შეიგრძნობს ღმერთთან და სიყვარულთან ნათესაობას. ეს ჭეშმარიტად რთული, საპასუხისმგებლო ამოცანაა, მაგრამ ეს შენი მიზანია, შენი ვალია, დედავ და დიასახლისო, ეს გახლავთ ის ვალი, რომლის მოხდასაც თვით შემოქმედი გვიბრძანებს. შენ გაქვს საამისო ძალა, გინდაც თავად არა გრძნობდე, შენ აასრულებ ამას, თუკი გწამს სიყვარული. არა მარტო იმ ქალში, ვინც განგების ნებით ცხოვრების მზიან მხარეს მოხვდება, კარგ განათლებას მიიღებს, არამედ იმ ქალშიც, ვისთვისაც არაფერი უსწავლებიათ, ვინც ცხოვრების ჩრდილოვან მხარესაა, შეყუჟულია ქოხში, მძიმე პირობებში მიაჩანჩალებს წუთისოფელს, მასშიც კი ცოცხლობს ეს ძალა. ყო-

ველ თქვენგანს აქვს კეთილშობილების ასეთი ნიშანი, ყველანი უფლის შვილები ხართ.

იმ ქალის ძალა, ვინც თავის სახლსა და კერას ამქვეყნიური ბედნიერების მწვერვალზე აიტანს, იმდენად განუზომელია, რომ ეს ძალა მის უბადრუკ ქოხს სასახლეს გაუთანაბრებს, ერთიცა და მეორეც ერთნაირად ნათელია, თბილია. სწორედ ეს ძალა გახლავთ ჭეშმარიტი თანასწორობა.

გახსოვდეს როზა, რომ შენ ყოველდღე იწვევ ტალღათა სრბოლას. ეს სრბოლა თვით არსებულის საზღვრებს აღწევს, ტალღები მარადისობისკენ ჰიპერბოლიანი. არსებობს სინათლის ტალღები, ყოველი კიდით რომ ჰფენენ სიცოცხლესა და ბრწყინვალებას, არსებობს წყვდიადის ტალღებიც, რომელთაც მწუხარება მოაქვთ და ცივად ისადგურებენ ადამიანის გულში.

აღიქვი სიყვარული მისი ყველაზე სრულყოფილი სახით — უდრტვინველი მსხვრეპლის სახით — სიყვარული, შეხამებული ადამიანის სულის ყველაზე ამაღლებულ, კეთილშობილურ გრძნობებთან. ყურადღება მიაქციე, რაოდენ დიდი ძალა აქვს სიყვარულს, რაოდენ იმორჩილებს ყოვლად მდაბალსა და არაადამიანურსაც კი. ჩაუფიქრდი ძალას სიყვარულისა, როზა, ძალას, რომელიც ქოხს სასახლედ აქცევს, სიღატაკეს სურნელოვან ბაღნარად და ყინვას მარადიული ზაფხულის მცხუნვარებას ანიჭებს.

ნეფე-პატარძალი და სტუმრები მდუმარედ უსმენდნენ მგოსან ქალს, მარტო ბურნუთის მყნოსავთა ქშიტინ-სრუტუნი, ორი დიდი ბუზის ბზუილი კარავის ჭერქვეშ და ჩიტების სტვენა-ეღურტული არღვევდა ჟამით ჟამ მდუმარეობას. კაცებმა დაცემინება მაშინღა გაბედეს, როცა ფრუმ სიტყვა დაამთავრა და დაჯდა. აღტაცებულმა ქალებმა ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს. კვლავ სიჩუმე გამეფდა.

სიცხისა და ყავისგან მოთენთილი, ბუზების ერთფეროვანი გაბმული ბზუილით გაბრუებული, მზეზე კარვის თეთრად მოქათქათე კედლებისაგან შოჯადოებული სტუმრები გარინდებული მიჩერებოდნენ სივრცეს.

ბოლოს კელდელმა ჰროდლოგურმა, დიდცხვირა, თეთრწვერა ბერიკაცმა დაარღვია დუმილი და ბიარტურს ჰკითხა:

— ბიარტურ, მართალია, რომ ამბობენ, თითქოს თქვენთან უტირედსმირში ამ გაზაფხულზე ცხვარს რეტი შეეყარა?

ამ შეკითხვამ, სულგანაბული, ოცნებაში წასული ხალხი შეაკრთო. უცებ ამოიდგეს ენა, გაახსენდათ, რომელ კუთხეში გაჩნდა იმ გაზაფხულზე რეტი. ლენტისებურ ჭიაზე რამდენიმე სათაკილო სიტყვა წამოისროლეს და და-

ასკვნეს, რომ მათ კუთხეში, ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე, გულისყურით აღარ ეკიდებოდნენ ძაღლების კუჭის გაწმენდის საქმეს. ამაში ზოგი გლეხი მთების მეფეს* — იგივე მნათეს ადანაშაულებდა. პასტორის დახმარებით ჩაიგდო ხელში ძაღლის მკურნალის თანამდებობა.

— ასეა თუ ისე, მე კი მტკიცედ გადავწყვიტე, შემოდგომაზე საკუთარი ხარჯით გავუწმინდო ჩემს ძაღლს კუჭი, — თქვა ნეფემ.

გლეხკაცის კეთილდღეობისთვის მთავარია ჯანმრთელი ძაღლი, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ხალხს ეს არ ესმის, ძალზე უდარდელად ეკიდებიან მიკრობებს, ასე გასინჯეთ, კარგ ოჯახებშიც კიო, დაასკვნეს გლეხებმა.

— ხალხი რომ მიკრობებს უფრთხოდეს, — თქვა ამ საკითხში დიდად გაშოცდილმა და ჭირნახულმა ტოურირმა, — რა გვიჭირდა მაშინ. მაგრამ უდარდელობაა ყოველგვარი უბედურების სათავე. ყველას რომ ესმოდეს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიკრობებთან ბრძოლას, მაშინ ძაღლიც საღსალამათი გვეყოლებოდა. თუ ძაღლი დაგისნეულდა, საკუთარ თავს დააბრალე.

კიდევ დიდხანს ისაუბრეს ამ თემაზე, ყველა ცდილობდა ლაპარაკში ჩარეულიყო, თავისი აზრი გამოეთქვა. ეინარს რწმენა დაკარგული ჰქონდა, არ სჯეროდა, თუ ამ საქმეში ადამიანის ჩარევა რაიმეს შეცვლიდა: სამყარო დასაღუპავადაა განწირული, ვერავითარი წამლები და ექიმები ვერას გახდებიან. ჩვენ დროში ხომ განსაკუთრებით ნათელია ეს. გარდა ამისა, ძაღლი ძაღლად რჩება, მიკრობი მიკრობად, ცხვრები კი ცხვრებადო. ოულაფური არ ეთანხმებოდა ეინარს და ამბობდა, რეტის გამომწვევია ლენტისებური ჭიაო, ამით შეიძლება ადამიანიც დაავადდესო. ჭია კი იმიტომ უჩნდება პირუტყვს, რომ ძაღლებს მეცნიერული წესით არ წამლობენ. კარგად რომ მოუარონ და უწამლონ ძაღლებს, კუჭი წესრიგში ექნებათო.

თავი მეოთხე

მსრბოლავი ღრუბლები

მეორე დღეს ბიარტურმა პატარძალი შინ წაიყვანა. ქალი ბლესიზე შესვა და რაკი ცხენი ჯერ კარგად გახედნილი არ იყო, ჯიქდებოდა, ტლინკებს ჰყრიდა, სადავეში ჩაავლო ხელი ჭირვეულ პირუტყვს და წინ გაუძღვა. ბიარტურს

* მთების მეფე—გლეხი, რომელიც შემოდგომაზე მფაში ცხვრის შეკრებას ხელმძღვანელობს.

ზურგზე ბოხჩა ჰქონდა წამოკიდებული. ბოხჩაში, როზას მზითევი, ბუმბულის საბანი ეყო გამოკრული. უნაგირზე საწყვეტებით მიბმულ ორ ტომარაში სხვადასხვა საქორწინო საჩუქრებთან ერთად, ქვაბი და ჩამჩაც ეწყო. ქვაბი და ჩამჩა ერთმანეთს ეხლებოდა, ისეთი რახარუხი გაუდიოდა, რომ დამფრთხალი ცხენი განზე ხტებოდა, მაგრამ ბიარტური ღუზასავით ეკიდა სადავეს. ტიტლა უკან მოძუნძულებდა, ხალისიანად იყნოსავდა გაზაფხულის სურნელებას, როგორც იციან ხოლმე ძაღლებმა კარგ ამინდში. შეკრთებოდა თუ არა ბლესი, ტიტლა გააფთრებით ეცემოდა, უკანა ფეხებზე ეტანებოდა საკბენად და უფრო აფრთხობდა ცხენსაც და ქალსაც. ბიარტური ხან ცხენს უწყრებოდა, ხან ძაღლს უცაცხანებდა, ისე აიარეს უღელტეხილი, რომ მთელი გზა სულ მისი ქოთქოთი ისმოდა.

გუნვერის ყორღანს რომ მიუახლოვდნენ, როზამ იფიქრა, დავქვეითდები, სასაფლაოზე ქვას დავაგდებ, ეგებ ამან ბედნიერება მოგვიტანოსო.

— ბიარტურ, გუნვერი ქვას თხოულობს, ყველას ხედავს, უღელტეხილს ვინც გადაივლის.

— არა, როზა, არა, სისულელეა. ეგ ვერ მოგვიტანს ბედნიერებას. მოჩვენებასთან კუდის ქნევა და ლაქუცი ჩვენ არ გამოგვადგება და არც მინდა. იწვეს ექ, თავის საფლავში, ბებერი ალქაჯი.

— მე მაინც მინდა ცხენიდან ჩამოვხდე და ყორღანზე ქვა ავაგდო, — არ დაუთმო ცოლმა.

— რა ეშმაკად უნდა ქვა, იმ წყეულს? ვერა, ვერ ეღირსება ჩემგან, ან რომელიმე ჩემიანისგან ქვას! ჩვენთვის ისა სჯობს, ცოცხლებს გადავუხადოთ ვალი, ვიდრე იმათ, ვინც ასი წლის წინათ ჯოჯოხეთში ამოჰყო თავი.

— ბიარტურ, გემუდარები, მომეცი ნება! — ისევ სთხოვა ცოლმა.

— ცრურწმენაა ეგ და სხვა არაფერი, — მოუჭრა ბიარტურმა.

— ბიარტურ, ყორღანზე ქვის დაგდება მინდა.

— პასტორსაც მთლიანად გადავუხადე ჯვრისწერის საფასური, მაგრამ თუ მეხსიერება არ მღალატობს, გუდმუნდურმა მაინც არ ინება სიტყვის წარმოთქმა. ასე რომ, არავისი არა მმართებს რა.

— ბიარტურ, იცოდე, თუ ყორღანზე ქვას არ დამაგდებინებ, რაღაც უბედურება დაგვატყდება.

— მე მეგონა, ჩვენთვის ისიც საკმარისი იყო, რომ პასტორ გუდმუნდურის უნდა გვჯეროდეს. როგორც ჩანს, ეს არ ყოფილა საკმაო, თურმე ეშმასიც უწდა გვწამდეს. შენ ხომ თავისუფალი ქალი ხარ, როზა?

— ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო ბიარტურ, — თითქმის ტირილით ემუდა-

რებოდა ქალი. — ასე მგონია, უბედურება რამ შეგვემთხვევა, თუ ქვას არ დავაგდებ. ეს ამბავი ხომ ძველთაგანვე ასე მოდის.

— ჯანდაბას იმ წყეული ალქაჯის თავი! გაინძერი, ბლესი, ხმა ჩაიწყვიტე, ტიტლა!

ქალი შეშინებული ბავშვივით, ორივე ხელით ჩააფრინდა ცხენს ფაფარში, ბაგე მთლად ბავშვურად აუთრთოლდა, სიტყვის თქმა ვეღარ გაბედა, გატრუნული იჯდა უნაგირზე. როცა უღელტეხილი გადაიარეს და ჭაობს მიაღწიეს, ზაფხულის სავანეც გამოჩნდა. ბიარტური შედგა, ცხენს მიეყრდნო და როზას ახალ ხუტორზე მიუთითა. ახლად შემწვანებული მაღალი ბორცვის კალთაზე მიკრული სახლი შორიდან კოპწია და მბიარული ჩანდა. სახლს უკან მთა იყო ამართული, წინ ჭაობი, იქვე მახლობლად ტბა ლაპლაპებდა. ჭაობს მდორე მდინარე ჰკვეთდა, მიწის ბელტებით ამოშენებული კედლები ჯერ არ ამწვანებულიყო და სახლი შავად მოჩანდა.

— აი, ჩვენი სახლი, — წამოიძახა ბიარტურმა. იგი მოუთმენლად ელოდა იმ სასიხარულო წუთს, როცა ცოლს შორიდან დაანახვებდა თავის ხუტორს, სწორედ აქედან, ამ მთიდან, სადაც ახლა იდგა. მას ეგონა, რომ როზა სიამოვნებისაგან, ან აღტაცებისაგან შეჰყვირებდა. მაგრამ ქალმა გულგრილად მიმოავლო თვალი ხეობას, სახეზე წყენისა და შიშის ჩრდილი გადაჰფენოდა. იქნებ იმიტომ არ მოეწონა სახლი, რომ კედლები ჯერ ამწვანებული არ იყო?

— უცებ ხომ ვერ დაიფარება სახლი ბალახით. მომავალ ზაფხულს სახურავსა და საძოვარს ვეღარც კი გაარჩევს კაცი.

ქალმა არაფერი უპასუხა.

— ხომ კარგი სახლია? — ჩაეკითხა ბიარტური.

— ყორღანთან ცხენიდან ჩამოხდომის ნება რატომ არ მომეცი?

— წყეული ალქაჯის საფლავზე ქვა რომ ვერ შეაგდე, ნუთუ ამიტომ მებუტები? — ჰკითხა ბიარტურმა.

ქალი გულგრილად და ჯიუტად დასჩერებოდა ცხენის ფაფარს. უცებ მთლ ხეობას ჩრდილი დაეცა. ადრიანი ზაფხულის დღე იდგა. ადამიანის სახესავით ცვალებადი დღე, აზრივით, გამალებით მსრბოლი თეთრი ღრუბლები უცებ დაიგრაგნენ ცაზე, მთელ ხეობას გადაეფარნენ, ჩააბნელეს იქაურობა, მთის მწვერვალს კი მაინც ადგა ნათელი. რაკი როზამ ხმა არ გასცა, ბიარტურმა ისევ სადავეს ჩაავლო ხელი, ტიტლას გასძახა, თუმც ტიტლას სულაც არ სჭირდებოდა დაძახება და ცხენს გაუძღვა, უნაგირზე გადაკიდულ ტომრებში კვლავ არახრახდა საქორწინო საჩუქრები.

ხეობის გასწვრივ გზა ფერდობს ჩასდევდა, იქით, სადაც მდინარე რეტ-

სტადი უღელტეხილისკენ გზას მიიკვლევდა. წვიმის წვეთი დაეცა ხეობას და მდუმარე პატარძალმა ხმა ამოიღო.

— ბიარტურ!

— რა იყო? — ჰკითხა ქმარმა და შემობრუნდა.

— არაფერი. ცხენიდან ჩამოხდომა მიშველე. შინ მინდა, — უთხრა ქალმა.

ბიარტური შედგა, ცოლს შეხედა.

— ხომ არ შეიშალე, როზა?

— შინ მინდა, — გაიმეორა ქალმა.

— სად, შინ?

— შინ!

— ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ხუსტურიანი იქნებოდი, როზა, — უპასუხა ბიარტურმა და ისევ ცხენს გაუძღვა.

ქალს ცრემლი წასკდა. ადამიანის გულს არაფერი არ აძლევს ისეთ შვებას, როგორც გულამოსკვნილი ტირილი.

ნეფე-პატარძალი ხეობისკენ ჩაუყვნენ ფერდობს, ტიტლა უკან მოძუნძულებდა. ხუტორს რომ მიუახლოვდნენ, ბიარტურმა პირდაპირ ჭაობში შეიყვანა ცხენი. ჭაობი ღრმა იყო, ერთგან ცხენი მკერდამდე ჩაეფლო ბლანტეში. პირუტყვმა ერთი ბიძგით სცადა ტანის ამოთრევა და ქალი ძირს გადმოაგდო. როზა ჭაობში ჩავარდა, თიხასა და წყალში გაილუმპა. ბიარტურმა ამოიყვანა ქალი და კაბა ცხვირსახოცით ჩამოუწმინდა.

— მდედრობითი სქესი მამრობითზე სუსტია, — თქვა ბიარტურმა.

როზამ ტირილი შეწყვიტა და გვერდით გაჰყვა ქმარს. ხუტორის მახლობლად, ღელის ნაპირას ჩამოჯდა, კაბის კალთა გამოირეცხა. ბიარტურმა კი ცხენს უნაგირი მოხადა და დაბორკა. ველზე ჩრდილები აიკრიბა და პატარა საძოვარს მზის სხივები მოეფინა.

სახლსა და ფარეხს ერთი სახურავი აერთიანებდა. მიწის ბელტებით ნაშენი კედლების შავ ფონზე გამოირჩეოდა ორ ბოძს შუა ჩადგმული ხის ისეთი დაბალი კარი, რომ შინ შესვლისას თავი უნდა დაეღუნათ. ფარეხში ბნელოდა, ციოდა, სინესტისა და სოკოს ობის სუნი იდგა. როცა საძვრომის კარს აღებდნენ, ჭერიდან სუსტი შუქი იჭრებოდა ფარეხში, კედლების გასწვრივ ბაგები იყო გამართული, გვერდითა კედლის ბოლოს კი სათივეში გასასვლელი, თუმც სათივე ჯერ არ აეშენებინათ. შვიდსაფეხურიანი კიბე აერთებდა ფარეხსა და საცხოვრებელ ოთახს. ბიარტური წინ გაუძღვა ცოლს, თითქოს უნდა უჩვენოს, რომ კიბე მტკიცედ არის ნაგები, საიმედოაო. როზა ფეხდაფეხ აჰყვა ოთახში, მიმოიხედა და სარკმელი ძალზე პაწია ეჩვენა.

— გეგონებათ სასახლეში იყო გაზრდილ-დაბადებული, — უთხრა ქმარ-მა, — მზე თუ გინდა, გარეთ რამდენიც გნებავს, იმდენია...

— დასანანია, რომ ისეთი სარკმელი არა გვაქვს, როგორიც რედსმირშია,— უთხრა როზამ.

— იქნებ შენ რედსმირში სხვა რამეც დაგრჩა დასანანი? — მკვახედ შეაწყვეტინა ბიარტურმა.

— ვითომ რას გულისხმობ, როგორ არ გრცხვენია? — იწყინა როზამ.

ოთახი პატარა იყო, ისეთი დაბალი ჭერი ჰქონდა, ბიარტური ლამის თავით ებჯინებოდა. გაურანდავი ფიცრებისაგან შეკრული ორი საწოლი კედლებზე იყო მიჭედებული, მაგიდა კი ფანჯრის რაფაზე მილურსმული. კიბის თავთან მარცხნივ პატარა ქურა იყო ამოშენებული, ქურის ზემოთ ხელისგულისოდენა სარკმელი ჩაესვათ. სარკმელს მიღმა, კედლის შვერილზე ამოსულ ბალახის რამდენიმე ღერს ქარი არხევდა. კედლები იმსისქე იყო, რომ მზის სხივები ვერ ატანდა პატარა ფანჯრის მინებიდან, თუ მზე პირდაპირ არ მოადგებოდა სარკმელს, ვერც ერთი სხივი შინ ვერ შეაღწევდა.

მაგიდის გვერდით, კედელზე მიჭედებულ ნეფე-პატარძლისათვის გამზადებულ საწოლზე, ხავსით გატენილი ლეიბი იდო. საწოლქვეშ იატაკი არ იყო დაგებული. იქვე იდგა სანოვაგის დიდი ყუთი. ბიარტურს უკვე მოემარაგებინა ზოგი რამ: ჭვავის ფქვილი, ბრუნისთან ნაყიდი საუკეთესო ხარისხის შაქარი, ცოტაოდენი პურის ფქვილი მაჭკატებისათვის (რაიმე განსაკუთრებულ შემთხვევაში) და ვინ იცის, კარგად რომ მოგვეჩხრიკა, იქნება ყუთში ცოტაოდენი ქიშმიშიც გვეპოვა. ყუთის ძირში ერთი ტომარა საუცხოო, გამხმარი თევზი იდო. გილიელმა კრუსმა საქორწინო საჩუქარი გაუკეთა ბიარტურს, ცხვრის ერთი საპალნე წივა მოართვა. კრუსის კვიცი შარშანწინ ჭაობში ჩაიფლო, ბიარტურმა ამოიყვანა და ამისათვის ემადლიერებოდა. მაგრამ წივას უნდა მოფრთხილებოდნენ, ჯერჯერობით საწვავად ხავსი და მანანის ბუჩქები უნდა ეკმარათ. გარდა ამისა, ჭაობიდან ტორფის ამოსაღებად ბარის ერთი დაკერა საკმარისი იყო.

როზა ჭაობში ამოგანგლული კაბით ნეფე-პატარძლის საწოლზე იჯდა, ქუთუთოები დაწითლებოდა, მუხლებზე უღონოდ დაწყობილ თავის დიდ ხელებს დაჩერებოდა.

— მაშ არ მოგწონს ჩვენი სახლი? — ჰკითხა ბიარტურმა.

— შენ გგონია, უკეთესს ველოდი? — უპასუხა როზამ.

— ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ მაინც კარგია: ვისაც ასეთი ხუტორი აქვს, მოჯამაგირესავით დილიდან დაღამებამდე წელგაუმართავად აღარ მოუხდება შრომა, — თქვა ბიარტურმა. — ჭკვიან ქალად გთვლიდი, როზა, მე-

გონა, დამოუკიდებლობას აფასებდი. ცხოვრებაში მთავარი ხომ ეს არის. ჰოდა, მე ასეთი აზრისა ვარ, რომ სხვებზე დამოკიდებული კაცი კაცი არ არის, მისი სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჩაითვლება. ეს იგივეა, რაც კაცისთვის უძაღლოდ დარჩენა.

— უძაღლოდ დარჩენა? — ცხვირის სრუტუნით გულგრილად გაიმეორა როზამ.

ბიარტური ერთი ხანი ფანჯარასთან იდგა და ფიქრში გართული მდუმარედ გაჰყურებდა მთას.

— ამ ხეობის მიწა ჩვენს ცხვარს გამოჰკვებავს, — დაარღვია მდუმარება ბიარტურმა.

როზამ ხელის გული გაისვა ცხვირზე.

— სადაც ცხვარი ცხოვრობს, კაცსაც შეუძლია იქ ცხოვრება, — განაგრძო ბიარტურმა. — მამაჩემი სწორად ამბობდა: კაცი და ცხვარი თითქმის ერთი და იგივეაო.

— საშინელი სიზმარი ვნახე, — დაიჩურჩულა როზამ.

ბიარტურმა დამცინავად, ცერად გაჰხედა ცოლს.

— მერე რა მოხდა? სიზმარს იმიტომ ხედავს ადამიანი, რომ სისხლი აწვება თავში, ან უხერხულად წევს, ან აბურდული ლეიბი აწუხებს. გაზაფხულზე, ძველი ხუტორის ნანგრევებს რომ ვასუფთავებდი, ერთ ღამეს მეზმანა, თითქოს მთა გაიპო და იქიდან მზეთუნახავი გამოვიდა.

— ჰო, ეგეთები ხართ კაცები, სიზმარშიც ქალი გელანდებათ.

— მართალია, სიზმრებისა არაფერი მჯერა, — განაგრძო ბიარტურმა, — მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს სიზმარი კეთილად უნდა ამიხდეს. ალბათ, შემოდგომაზე სარფიანად გავყიდი ბატკნებს.

— ამბობენ, რომ აქ, ქვეყნის დასანახად, მოურიდებლად დაძრწის გუნვერი, — თქვა როზამ, — შარშანწინ თურმე ერთი კაცი ამ ხეობაში მიდიოდა ცხენით, უცებ, სულ უმიზეზოდ, დღისით-მზისით დაუფრთხა ცხენი და თავაწყვეტილი გაიჭრა.

— სიტყვა აღარ გამაგონო იმ შეჩვენებულ ალქაჯზე, — შეაწყვეტინა ბიარტურმა.

— ამ ხეობიდან გუნვერის შიშით განა ცოტა ხალხი აყრილა და გაქცეულა?

— უსაქმურები იქნებოდნენ, — უპასუხა ბიარტურმა, — როცა ასეთებს საქმე უკუღმა შეუტრიალდებათ, უბედურებას სხვას გადააბრალებენ ხოლმე, ღობე-ყორეს ედებიან.

— მაშ შენ გგონია, რომ ქვეყნად არ არსებობს ბოროტება?

— ამას არ ვამბობ. ზღვა იქნება თუ ხმელეთი, ყველგან შეიძლება საშინელ საფრთხეს გადააწყდეს კაცი. მერედა რაო? თუ განსაცდელში ჩავარდი, ან დაიღუპები, ან გადარჩები. მაგრამ იმის ფიქრი, თითქოს ქვეყნად მოჩვენებები, ავი სულები და სხვა ასეთი უწმინდურები არსებობენ, იმის ნიშანია, რომ სისხლი არ გივარგა.

— ძაღლები მაინც ბევრ რამეს გრძნობენ, — თქვა როზამ.

— ძაღლი მაინც ძაღლია, — შეესიტყვა ბიარტური.

— აკი ამბობდი, ძაღლმა ქვეყნად ყველაფერი იცის, ყველაფერს გრძნობსო?

— არასოდეს არ მითქვამს ეგ. მე მარტო იმას ვამბობდი, რომ ძაღლი ერთადერთი პირუტყვია, რომელსაც ადამიანისა ესმის, მაგრამ ძაღლი მაინც ძაღლია, კაცი კი კაცი, როგორც უნდირხლიდელი ეინარი ამბობს.

— მისნები ერთხმად ამბობენ, ამ ხეობაში მოჩვენებები დაძრწიანო.

— მიმიფურთხებია მისნებისთვის. ეშმაკსაც წაუღია იმათი თავი და ტანი, ვისაც საკუთარი ხუთი გრძნობის მართვა-გაძღოლა არ შეუძლია. ჰოდა, აი ასეთებს, ათასი ოხრობა ელანდებათ, იმ შერეკილისა არ იყოს, ცოტა ხნის წინათ, ფიორდში ხელის გულზე რომ ატარებდნენ და ელოლიავებოდნენ. რაღაც ტრანსში ვარდებაო, ამბობდნენ, ისიც ჩმახავდა, როშავდა აბდაუბდას იესო ქრისტეზე, ბერდლუ-კარაზე და ქრისტიან მეცხრეზე*. ბოლოს, საქმე იმით დამთავრდა, რომ იმ მისანმა ციხეში ამოჰყო თავი. თურმე ყალბი ხელმოწერა გაუკეთებია, ოლქის მოსამართლის სახელით.

— დარწმუნებული ვარ, შენ ღმერთიც არა გწამს, ბიარტურ, — ჩაფიქრებით თქვა ქალმა.

— მოდი, ამაზე ლაპარაკს მოვეშვათ, — სთხოვა ბიარტურმა ქალს, — ერთი რამ კი ცხადია ჩემთვის: პასტორ გუდმუნდურის გამოყვანილი ახალი ჯიშის ცხვარს მთელ ოლქში ბადალი არ მოეპოვება.

— ნუთუ ძილის წინაც არ ლოცულობ?

— არა, რატომ. თუ ლოცვა კარგად არის გარითმული, ძილის წინ ერთორს წავიკითხავ. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, ამას უწინ ვაკეთებდი, როცა ამდენი საზრუნავი არა მქონდა, მაგრამ „მამაო ჩვენო“ არასოდეს არ წამიკითხავს. ეგ ხომ ლექსი არ არის. ჰოდა, რაკი ეშმაკის არსებობა არა მჯერა, რისთვის უნდა ვილოცო. თუმცა, კმარა ამაზე ლაპარაკი. მოდი, ყავა ავადულოთ და დავლიოთ.

— შენ რომ ყურს გიგდებ, თმა ყალყზე მიდგება, — უპასუხა როზამ, —

---

* ქრისტიან მეცხრე (1818—1906) — დანიისა და ისლანდიის მეფე.

ასეთი ლაპარაკის შემდეგ, ღვთიური ანგელოზები ხომ ზურგს შეგვაქცევენ. მაშ, შენი აზრით, გარდა იმისა, რასაც საკუთარი თვალით ხედავ, ქვეყნად არაფერი არსებობს? აი, თურმე როგორი ყოფილხარ.

— მე ხუთი გრძნობა მაქვს, — მიუგო ბიარტურმა, — და არ მესმის, რაში მჭირდება კიდევ მეექვსე ანდა მეშვიდე გრძნობა?

— შენზე უკეთეს ხალხს ვიცნობ და ვიცი, რომ მათ სჯერა ბოროტისა და კეთილისა.

— ეგებ ასედაც იყოს. ვიცი, ვისაც გულისხმობ. უთუოდ იმ კაცს, ამ გაზაფხულზე, მირში, სულ ერთთავად თქვენ რომ გიტრიალებდათ და მოჩვენებებზე ათასი ამბების როშვით გიტყუებდათ.

— ვის „თქვენ?" — როზამ ქმარს შეხედა, ელამ თვალში ნაპერწკალმა გაუელვა, — რას გულისხმობ მაგ ნართაულში?

ბიარტურმა ღიღინით დაიწყო ქვაბის ძებნა, რადგან მტკიცედ გადაწყვიტა, ყავისთვის წყალი აედუღებინა. კიბეზე რომ ჩადიოდა, შემობრუნდა და ცოლს ამოსძახა:

— განა მავანი მავანს არ ეკურკურებოდა? ჰაი, ჰაი, რომ არ გამიკვირდება ეს.

თავი მეხუთე

საიდუმლო

ერთი შეხედვით, თითქოს ბიარტურის მიერ წამოსროლილი ეს სიტყვები გარკვეულ აზრს არ შეიცავდა, მით უმეტეს არც მრავალმეტყველი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაფერს ისეთი გავლენა არ მოუხდენია ახალგაზრდა წყვილის ცხოვრებაზე ზაფხულის სავანეში, როგორც ამ ანაზდეულ ნართაულს, განსაკუთრებით კი იმას, რა საბაბითაც ითქვა ზემოთ მოყვანილი სიტყვები.

— არა, — თქვა როზამ, — ეგ არ არის მართალი.

იგი ჯიუტად შებრუნდა კედლისკენ, საცოდავი და გულმოკლული.

— ვინ არის? — ჰკითხა ბიარტურმა.

— ეგ არ არის-მეთქი მართალი.

— შენს ადგილზე მე გულახდილად ვიტყოდი.

— განა შენს ამბებს მიყვები?

— რატომ, შემიძლია გიამბო, დასამალი არაფერი მაქვს.

— სულაც არ მაინტერესებს.

— ასეთები ხართ დედაკაცები, ქორწილის დღემდე წყნარები, ჩუმები, რწყილს არ გააღვიძებთ, მაგრამ ამავე დროს, ვინ იცის, ვისთან რას აკეთებდით. ჩვენ, ქმრებს, სიყვარული კი არა, მხოლოდ ნასუფრალი, ყვავ-ყორნისგან ნაჯიჯგნი გვამის მსგავსი რამ გვრჩება.

— შენ თვითონ ვითომ ანგელოზი ხარ?

— ის ტინსტადალელი ხომ არ იყო?

— მიდი და ჰკითხე.

— თუ ფიორდელი რეგვენი, ხვნაში რომ გვეხმარებოდა?

— შეიძლება.

— იმედი მაქვს, იმ მუსუს მასწავლებელთან არ გექნებოდა საქმე, გილტეიგელი სდეინკა რომ შეაცდინა და ბუში გააჩენინა?

— იქნებ ჩვენი სამრეველოს ყველა მუსუსის ჩამოთვლას აპირებ?

— არც ეგ გამიკვირდება, თუ ყველასთან გქონდა საქმე. თაეჩაღუნული და კუდაბზეკილიო, ნათქვამია.

რისხვით ანთებული ქალი ზეზე წამოიჭრა და გაწიწმატებით შეჰყვირა:

— ღმერთია მოწმე, იმას კი არ ვნანობ, რომ სხვადასხვებთან მქონდა საქმე, ვნანობ შას, რომ ·ცოლად გავყევი ასეთ კაცს, ვინც ცხვარს ადამიანზე მაღლა აყენებს, უძაღლოდ დარჩენა კი ყველაზე დიდ უბედურებად მიაჩნია. რა ღმერთი გამიწყრა, რატომ ჭკუა არ მეყო და დღესვე უკან არ გავბრუნდი, ჩემს მშობლებთან.

— ოო, მე მაშინვე მივხვდი, რომ ბებერმა ალქაჯმა კი არ შეგაშინა, უკან გაბრუნება რომ დააპირე, — თქვა ბიარტურმა, — შენ გგონია, ჩემს ცხვირს იქით ვერაფერს ვხედავ? არ გეგონოს, თითქოს გამოძიებას ვაპირებდე და მინდა სიმართლე გამოგტყუო. გულთამხილაობა არ არის საჭირო, რომ ქალს გაუგო. ასეთი ზნისანი ხართ დედაკაცები, ისინი გიყვართ, ვისაც გასართობად უნდიხართ და მიჰყვებით იმათ, ვინც გეზიზღებათ.

— ტყუიხარ, — თქვა როზამ.

— აი, თურმე რატომ დადიოდი ამ გაზაფხულზე ისე გაბრუებული, როცა ის ვაჟბატონი სასოფლო-სამეურნეო სკოლიდან დაბრუნდა. აი, თურმე, როგორ გესმის დამოუკიდებლობა, თავისუფლება. შენ გგონია ის ჩემზე კეთილშობილი შთამომავლობისაა, იმიტომ რომ მამამისმა წუწურაქობითა და ათასგვარი თაღლითობით დააგროვა ქონება? შიმშილით კუჭს იხმობდა, როცა მეთევზეობას მისდევდა, კუპრისა და ზეთის ქონის ნარევი საპოხის მაგვარი რაღაცით იკვებებოდა, არაყს წყალს ურევდა და ამხანაგებში ასაღებდა, ამ გზით ნაშოვნი ფულით დაბეხრეკებულ ცხენებს ყიდულობდა, მერე ის ცხენები ბაზარში გასაყიდად მიჰყავდა, ჯაგლაგებს კუდქვეშ მდოგვის საფენს დაადებდა და ცხენი

გაუხედნავ ურასავით ხტოდა. თუ ზოგს ბედმა გაუღიმა, რადგან თაღლითი და მეკახშე მამა ჰყავს, ადვილად მიიჩემებს დიდკაცობას, რაღა დაუდგება წინ, ღამღამობით მოახლე გოგოებთან თავს შეიქცევს, მერე მთელი დღე ლოგინში გდია გამოსაძინებლად.

— ტყუიხარ, ტყუიხარ! — იმეორებდა გააფთრებით ქალი.

— ჰოდა, იმ ტარტაროზის გულისთვის ვღვრიდი ოფლს თვრამეტი წელიწადი, ჩემი ცხოვრების თვრამეტი საუკეთესო წელი იმას შევწირე, რომ ვაჟბატონს ჯიშიანი ცხენები ჰყოლოდა, ესწავლა, ემოგზაურა, შენც იმ ტარტაროზის გულისთვის ითმენდი მამასახლისისაგან ლანძღვა-გინებას, მარდად გაინძერი, დროზე გაიტანე ღამის ქოთანიო, რომ გიყვიროდა, ახლა ისღა მაკლია, იმისი ბუში გამოვზარდო ჩემს ჭერქვეშ.

ზაფხულის სავანელ ბიარტურს ისე შემოენთო ცეცხლი, ისე დაჰკარგა გონება, რომ საწოლიდან გაშმაგებული წამოხტა და ნახევრად გაშიშვლებულ ქალს ხელის ერთი დავლებით ისე გადააძრო საბანი, თითქოს ესაა უნდა ეცეს და გაგუდოსო. დაფეთებულმა როზამ ლოგინში წამოიჩოქა, ხელები კისერზე შემოაჭდო ბიარტურს და ყველა წმინდანი დაიფიცა, რომ არც ერთს კაცს მისთვის ხელი არ დაუკარებია, იმას ხომ, არასოდეს, არასოდეს... ღმერთო, ყოვლად ძლიერო, დამსაჯე, თუ ვტყუოდე! ვიცი, ეს ხუტორი დანავსულია და დაწყევლილი. აკი შვიდჯერ დაანგრია ეშმამ აქ სახლი. რა აზრი აქვს იმას, რომ ახალ ხუტორს ზაფხულის სავანე შეარქვი, თუკი ჩემი მოკვლა გადაგიწყვეტია, თუკი მოჰკლავ შენს ცოლს ქორწილის ღამეს და მის ძვლებს კოლუმკილის მიუგდებ.

ცხარე ცრემლით მტირალი როზა ქმარს მანამ ემუდარებოდა შეწყალებას, ვიდრე ბიარტურს გული არ მოულბა, მან ხომ იცოდა, რომ ქალი მამაკაცზე სუსტია. ბიარტურმა ერთი მწიკვი თამბაქო აიღო და დასაძინებლად დაწვა.

ჯვრისწერის ღამე, ღამე ზაფხულისა.

ასე დაიწყო ერთ ჭერქვეშ მათი ცხოვრება.

თავი მეექვსე

სიზმრები

ყოველ დილით, გარიჟრაჟზე, როცა ბიარტური დგებოდა, როზას ისე მშვიდად ეძინა, რომ ენანებოდა მისი გაღვიძება... ტანთ რომ იცვამდა, ცოლს დასცქეროდა და გუნებაში ამბობდა:

— ყვავილსა ჰგავს, ნამდვილი ყვავილია.

ბევრს უთმობდა როზას, ბევრი რამ შეუნდო.

და მაინც უკვირდა, რომ ასეთი უმანკო ძილით, მშვიდად მძინარ ქალს, უთუოდ სხვა მამაკაცები უყვარდა, ოღონდ ამაში არ უნდოდა გამოტყდომა. „ისეთი ჩუმი, მოკრძალებული ქალიშვილია, — ფიქრობდა უწინ ბიარტური.— თავდაჭერილია, მოურიდებელი, კადნიერი მოპყრობის ნებას არავის აძლევს, ცოლად შევირთავ, მიწას ვიყიდი“. ჰოდა, ეს ქალი უკვე მისი ცოლია, მიწაც იყიდა და მერე რა გამოვიდა? ის, რომ ამ ქალს სხვა მამაკაცები უყვარდა, ოღონდ ამის შესახებ ძე-ხორცელმა არაფერი იცოდა. როზა მხოლოდ მაშინ იყო ბედნიერი, როცა ეძინა. რომ გაიღვიძებდა, ბიარტური მის თვალებში ძუდამ სასოწარკვეთილების და სევდის ჩრდილს ხედავდა, ერთი მხრივ, მის გაღვიძებას ამიტომაც ერიდებოდა. ხმას იშვიათად სცემდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ თვალსაც კი არიდებდნენ, თითქოს ოცი, ოცდახუთი წელიწადია ერთად ცხოვრობენ და ერთმანეთს ვეღარ ამჩნევენო.

დილით, შინიდან რომ გავიდოდა ბიარტური, სახლის კუთხესთან გაუხვევდა, ანგარიშმიუცემლად, ძველი ჩვევის ძალით შებრუნდებოდა აღმოსავლეთით და პირჯვარს გადაიწერდა. ფანჯრის ძირას, მიწაყრილზე მძინარე ტიტლა, პატრონის დანახვაზე ჩამოხტებოდა ძირს, ისეთი მხიარული ყეფით და კუდის ქიცინით გაიქცეოდა მისკენ, თითქოს დიდი ხანია არ უნახავსო, გარს ურბენდა, წკავწკავებდა, ძუნძულით მისდევდა ფარეხის ბოლომდე, აცემინებდა, ცხვირპირს ბალახს უგლუსუნებდა. ყოველ დილას ასეთი ყოფით მიაცილებდა ხოლმე საძოვრამდე. ბიარტურმა უკვე თიბვა დაიწყო.

ალიონი იყო, სუსხავდა, ტბა სარკესავით ლაპლაპებდა, პატარა კუნძულზე დედალ-მამალ გედს ბუდე გაეკეთებინა, იხვები და ყურყუმელები გუნდგუნდად დაცურავდნენ ტბაში, გარეულ იხვებსა და მექვავიებს უფრო ღრმა წყალი უყვართ, ბუდეს კი ნაპირზე იკეთებენ. ზოგჯერ გლეხი უნებლიეთ შეჩერდებოდა, თვალს მოსტაცებდა მამალი იხვების მდიდრული ბუმბული, იდგა და უყურებდა მათ. აღმოსავლეთიდან რამდენიმე ღალღა მოფრინდა, დაინახეს ბიარტური და ხმამაღალი ჟრიკჟრიკით მიესალმნენ. ტბის ნაპირას ზღვის მერცხლები კვერცხებზე ისხდნენ და მატლებზე ოცნებობდნენ. ხშირი ბალახიდან გარეულ ბატებს ამოეყოთ თავი, წყვილ-წყვილად, მედიდურად დააბოტებდნენ ტბის ნაპირზე. „ფრინველები ადამიანზე ბედნიერები არიან, მათ ფრთები აქვთ. ნაცარა ბატო, მათხოვე შენი ფრთები“. მარტო ჩომგა კიოდა შესაბრალისად, ეს აბეზარა, მუდო ფრინველი. ზაფხულის საკანელმა ბიარტურმა ცელი აიღო და თიბვა დაიწყო.

პირველ წუთებში, მთელ სხეულში რაღაცნაირი მოთენთილობა იგრძნო,

ᲛᲙᲚᲐᲕᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲣᲕᲠᲘᲓᲐ, ᲛᲣᲮᲚᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲡᲓᲔᲕᲔᲓᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲠᲐᲤᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲒᲓᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲠᲪ ᲫᲘᲚᲘ ᲐᲮᲡᲝᲕᲓᲐ, ᲐᲠᲪ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ. ᲡᲐᲣᲖᲛᲔᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲨᲘ ᲭᲐᲛᲓᲐ ᲪᲔᲚᲘᲡ ᲢᲐᲠᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲓᲜᲝᲑᲘᲚᲘ. ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲘᲒᲠᲫᲜᲝ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲦᲚᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲓᲘᲚᲓᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲮᲐᲜ ᲡᲐᲓ ᲒᲐᲭᲙᲠᲐᲕᲡ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲜ ᲡᲐᲓ, ᲮᲐᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲩᲮᲕᲚᲔᲢᲡ, ᲮᲐᲜ ᲬᲔᲚᲘ ᲡᲢᲔᲮᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ ᲗᲣ ᲘᲡᲔ, ᲑᲘᲐᲠᲢᲣᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲗᲘᲜᲒᲖᲔᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ. ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲮᲐᲓᲝᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲡᲣᲠᲘ, ᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ ᲗᲝᲠᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲙᲐᲠᲘᲙᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲓᲘᲡ, ᲐᲛ ᲓᲠᲝᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ. ᲓᲘᲐᲮ, ᲑᲘᲐᲠᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ, ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲝ ᲑᲣᲛᲑᲣᲚᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲡᲘᲚᲘ, ᲬᲙᲠᲘᲐᲚᲐ ᲮᲛᲘᲗ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲨᲘᲜ ᲛᲘᲡ ᲪᲝᲚᲡ ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲡ, ᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠ ᲪᲝᲚᲡ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲬᲘᲜ, ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲕᲘᲚᲐᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲚᲝᲑᲓᲐ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲐᲠᲢᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲓᲘᲚᲓᲘᲚᲝᲑᲘᲗ ᲑᲘᲐᲠᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲖᲠᲔᲑᲡ ᲚᲔᲥᲡᲐᲕᲓᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲐᲛ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲢᲘᲢᲚᲐ ᲭᲐᲝᲑᲨᲘ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲠᲗᲮᲝᲑᲘᲗ ᲘᲥᲪᲔᲕᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ, ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲘᲡᲔ ᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲢᲧᲘᲡ ᲥᲐᲗᲐᲛᲡ ᲐᲜ ᲑᲔᲥᲐᲡᲡ ᲓᲐᲘᲭᲔᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲡ ᲘᲥᲕᲔ ᲨᲔᲡᲐᲜᲡᲚᲐᲕᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲩᲐᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲨᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲡ ᲘᲚᲝᲙᲐᲕᲓᲐ, ᲮᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲪᲥᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲒᲐᲭᲧᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲡ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲑᲣᲠᲪᲝᲖᲔ ᲛᲝᲘᲙᲐᲚᲐᲗᲔᲑᲓᲐ, ᲒᲝᲠᲒᲐᲚᲘᲕᲘᲗ ᲓᲐᲔᲮᲕᲔᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲡᲗᲕᲚᲔᲛᲓᲐ. ᲛᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ-ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲬᲔᲕᲓᲐ, ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲘᲚᲔᲝᲓᲐ, ᲨᲣᲐᲓᲦᲘᲡᲘᲡᲐ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲪᲐᲖᲔ ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲒᲠᲐᲒᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲪᲘᲕᲘ, ᲜᲝᲢᲘᲝ ᲥᲐᲠᲘ ᲓᲐᲥᲘᲠᲥᲘᲚᲔᲑᲓᲐ. ᲡᲐᲣᲖᲛᲘᲡ ᲟᲐᲛᲛᲐᲪ ᲛᲝᲐᲢᲐᲜᲐ, ᲓᲦᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲓᲠᲝ ᲣᲙᲕᲔ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ. ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲚᲐ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲐᲠᲐ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲚᲐ ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲘᲝᲓᲐ, ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲬᲧᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲗ ᲒᲐᲚᲝᲑᲐ, ᲑᲚᲐᲣᲤᲘᲔᲓᲚᲘᲪ ᲔᲚᲤᲔᲠᲡ ᲰᲙᲐᲠᲒᲐᲕᲓᲐ. ᲓᲦᲔ ᲖᲠᲓᲐᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ, ᲓᲘᲚᲐ ᲙᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲜᲝᲠᲩᲘ ᲘᲧᲝ.

ᲑᲘᲐᲠᲢᲣᲠᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲘᲜ ᲛᲘᲡᲣᲚᲡ ᲪᲝᲚᲘ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲐᲓ ᲨᲔᲔᲒᲔᲑᲔᲑᲝᲓᲐ, ᲧᲐᲕᲐᲡ ᲓᲐᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲖᲔᲖᲔ ᲐᲜ ᲥᲐᲠᲑᲣᲥᲖᲔ ᲨᲔᲗᲮᲖᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐᲡᲐᲪ ᲛᲝᲘᲬᲧᲐᲓᲘᲜᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲥᲐᲚᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲝᲓ ᲘᲧᲝ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲘᲡᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲔᲠᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲓᲐ ᲗᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲝᲓᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲔᲒᲔᲑᲝᲓᲐ.

ᲑᲘᲐᲠᲢᲣᲠᲛᲐ ᲡᲐᲮᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲤᲠᲔᲚᲘ ᲙᲐᲑᲐ ᲣᲧᲘᲓᲐ ᲠᲝᲖᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲚᲘ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲯᲘᲑᲠᲖᲔ ᲡᲣᲚ ᲢᲘᲚᲝᲡ ᲙᲐᲑᲐᲡ ᲘᲪᲕᲐᲛᲓᲐ, ᲣᲬᲘᲜ, ᲣᲢᲘᲠᲔᲓᲡᲛᲘᲠᲨᲘ ᲫᲠᲝᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲔᲚᲘᲡᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲪᲕᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲐᲜ ᲨᲐᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲓᲐᲢᲐᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲔᲠᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲤᲗᲐᲡ ᲐᲛᲝᲘᲩᲔᲛᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲮᲓᲘᲓᲐ. ᲡᲣᲚ ᲨᲔᲣᲫᲚᲝᲓ ᲘᲧᲝ, ᲡᲣᲚ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ, ᲮᲐᲜ ᲗᲐᲕᲑᲠᲣ ᲔᲡᲮᲛᲝᲓᲐ, ᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲡᲔ ᲫᲚᲘᲔᲠ, ᲠᲝᲛ ᲣᲡᲐᲗᲣᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲛᲯᲓᲐᲠᲘᲧᲝ ᲠᲐᲛᲓᲔ-

ნიმე წუთით. ხან გული ერეოდა. დილით ცოლ-ქმარი ერთად სვამდა ტკბილ ყავას, ჭამდნენ ქერის პურს. უწინ როზა გამრჯე, მარჯვე მუშა იყო, ახლა კი ხშირად დაეყრდნობოდა ფოცხს და დიდხანს იდგა გარინდებული.

— რა გაფითრებული ხარ! — ეტყოდა ბიარტური.

როზა ხმას არ იღებდა.

— აბა, უფრო ცოცხლად გაინძერი, — ისევ გაეხმიანებოდა ბიარტური.

ქალი ტუჩს იკვნეტდა, ხმას არ იღებდა. საუზმის დრო რომ მოახლოვდებოდა, როზა ერთი საათით ადრე მიდიოდა შინ, თევზის მოსახარშად, მაგრამ ვერაფრით ვერ ახერხებდა ქურის ანთებას და ქმრისთვის ცივი თევზი, შავი პური და ყავა მიჰქონდა მინდორში.

— მაგ ოხერ შაქარს რისთვის ზოგავ, ყაირათს რად ეწევი, — ბუზღუნებდა ბიარტური. ტკბილეულობაზე ჩვეულებრივ აგდებულად ლაპარაკობდა.

ნასაუზმევს ბიარტური მდინარის ნაპირას წამოწვებოდა ხოლმე რამდენიმე წუთით. როზა კი იჯდა ჩაფიქრებული და ხავსს ძიძგნიდა.

კვირა დღეს ბიარტური ან მთაზე ადიოდა ფიჩხის მოსაგროვებლად, ან საკუთარი სიამოვნებისთვის ცხვრების დასახედად იალაღზე მიდიოდა. ერთი შეხედვით არჩევდა, რომელი ცხვარი ვისი იყო, ან რა ჯიშისა. გარდა ამისა, სიამოვნებას ჰგვრიდა ხეობაში დიდი ქვების გადაგორება.

როზა ნაკადულის ნაპირას ქვემო ჭორომთან რეცხდა სარეცხს. ერთ კვირა დღეს ბიარტურმა ძალიან დაიგვიანა, საღამო ხანს დაბრუნდა შინ და სიხარულით გაბრწყინებულმა ჰკითხა ცოლს, თუ მიხვდები, რა ვნახეო. თურმე წყაროს მახლობლად, სამხრეთ მხარეს, თავისი თეთრა ცხვარი ნახა, მშვენიერი ბატკანი მოუგია.

— სანაძლეოს დავდებ, რომ ბატკანი შემოდგომამდე ისე გაიზრდება, ოცდაათ გირვანქას მაინც აიწონის.

მაგრამ როზას სიხარული არ გამოუმჟღავნებია.

— კარგი ჯიშისაა, გუდმუნდურის ჯიშის,—განაგრძო ბიარტურმა,—ამ ჯიშის ცხვარი მაწანწალა როდია, უაზროდ არ დაბორიალობს აქეთ-იქით. არა, რაც სჭირდება ადვილად პოულობს და შორს არ მიდის. ჭკვიანი პირუტყვია, უსათუოდ უნდა გავიჩინო ამ ჯიშის ერკემალი.

— მაშ სწორედ ეგ არის შენთვის შესაფერი ჯიში, არა? — ჩაილაპარაკა როზამ.

— რაო? — ჰკითხა ბიარტურმა.

— არაფერი, კარგია-მეთქი, — უპასუხა როზამ.

როზა არ იზიარებდა ქმრის სიხარულს, გულგრილად ხვდებოდა მის ყოველ სურვილს, განზრახვას და თავის საფიქრალს ფიქრობდა.

— ბიარტურ, — წამოიწყო ცოტა ხნის დუმილის შემდეგ როზამ, — ხორცი მინდა.

— ხორცი? — გაიოცა ბიარტურმა. — ამ შუა ზაფხულში?

— ნერწყვი ჰომდის, ცხვარს რომ ვხედავ.

— ნერწყვი? — ისევ გაიოცა ბიარტურმა. — ყელი ჩომ არ გტკივა?

— ამ დამარილებული თევზით ძაღლსაც ვერ დაანაყრებ.

— ჩემო ძვირფასო, თუ ატყობ, რომ ამ ბოლო ხანებში ძალზე უცნაური გახდი?

— რედსმირში კვირაში ორჯერ გვაჭმევდნენ ხორცს.

— გთხოვ, მეორედ აღარ გამახსენო ის ოხერი ცხენის ხორცი.

— კვირა დღეს მუდამ ცხვრის ხორცს გვაჭმევდნენ, ზაფხულშიც კი. არც ცხენის ხორცია ურიგო, გემრიელია.

— მოჯამაგირეებისათვის მხოლოდ ბებერ ცხვრებსა და ჯაგლაგებს ჰკლავდნენ. ასეთი ხორცი იმათთვისაა კარგი, ვისაც სხვა გზა არა აქვს და იძულებით ემსახურება ვინმეს.

— უკეთესი სადღაა?

— თავისუფალი კაცი თევზითაც დაკმაყოფილდება. დამოუკიდებლობა ყველაფერს სჯობია.

— ღამღამობით სულ ძეხვი მელანდება. ვხედავ, ქვაბიდან ვიღებ ცხელ-ცხელს, ქონი ჟონავს, წვეთავს... ხან ჯიგრის ძეხვი მესიზმრება, ხან ცვრიანი... ეესო მაცხოვარო, მიშველე.

— ძეხვი ავდრის მომასწავებელია, — აუხსნა ბიარტურმა, — ქონი კი დარის. ეტყობა, გამოიდარებს. იქნებ კარგმა დღეებმა გასტანოს, ვიდრე თიბვას დავამთავრებდეთ.

— რძეც ხშირად მესიზმრება.

— რძე? თოვლი ამ შუა ზაფხულში?

ეს სიზმარი კი ამოუხსნელი დარჩა ბიარტურისთვის.

— ამას წინათ დამესიზმრა, თითქოს რედსმირში ვარ, საკუჭნაოში, სეპარატორში ვატარებ რძეს, ერთი მილიდან მოხდილი რძე გამოდის, მეორედან ნაღები. ისე მეჩვენებოდა, რომ ნაღები პირდაპირ პირში მეღვრებოდა.

— რა ძალა გადგას, რად ფიქრობ ძილში მოლანდებულ სისულელეებზე. არაფერსაც არ ნიშნავს ეგ შენი სიზმრები, — უთხრა ბიარტურმა ცოლს და გადაწყვიტა ყურადღება აღარ მიექცია მისი სიზმრებისათვის.

— დღისითაც, როცა არ მძინავს, ვზივარ და სულ რძე მელანდება. მინდორში მუშაობის დროსაც სულ რძე და ხორცი მიდგას თვალწინ.

ბიარტური ჩაფიქრდა და, ბოლოს უთხრა:

— ჩემო კარგო როზა, ჩანს გულის საქმე ვერა გაქვს კარგად.

— ბიარტურ, მითხარი, ნუთუ არ შეგვიძლია ძროხის ყიდვა?

— ძროხის? — გაიმეორა საგონებელში ჩავარდნილმა ბიარტურმა, — ძროხის?

— ჰო, ჰო, ძროხის ყიდვა! — ჯიუტად გაიმეორა როზამ.

— ჩემთვის უკვე ცხადია, რომ გულის ავადმყოფობა დაგეწყო. განსვენებულ დედაჩემსაც ასე დაემართა. რაღაც უცნაური, ახირებული სურვილები აეკვიატა, ბოლო ხანებში კი სულ რაღაც ხმები ესმოდა. ჯერ ექიმბაში მოეუყვანეთ, იმან რომ ვერ უშველა, მერე ექიმს მივმართეთ. მოკლე ხანში თუ არ გაგიარა, მითხარი, ვიდრე გვიან არ იქნება, ექიმ ფინსენს უფრო მაგარ წვეთებს გამოვართმევ შენთვის.

— წვეთები მე არ მესაჭიროება, მე ძროხა მინდა.

— მერე სადა გვაქვს ძროხისთვის საძოვარი? მგონი საკუთარი თვალით ხედავ, ამ ოხერ ბორცვზე რამდენი ბალახია, მოშიშვლებულ ბურცოებსაც ყოველდღე ხედავ ბალახის თიბვისას. საიდან მოვიტანოთ ძროხის საყოფი თივა?

— მდინარის ნაპირები ისლითაა დაფარული.

— ვინ მოთიბავს, ვინ მოიტანს? სახლამდე რით მოვზიდოთ? იქნებ გგონია, რომ მდიდრები ვართ. არა, შეძლება ჩვენ არ გაგვაჩნია, ახლა გავხდით ხუტორის მფლობელები. საიდან გავაჩინოთ ძროხის საყიდელი ფული? შენს ჭკუაზე ხარ, როზა?

— მე კი მეგონა, რომ შენ თავისუფალი ხელმწიფე ხარ, — მიუგო ქალმა.

— დამარილებული თევზი ცოტა გვაქვს, თუ რა არის? ჩვენ, ჩვენი თავის ბატონ-პატრონები ვართ, საკუთარ ხუტორში ახლა ვიწყებთ ოჯახის მოწყობას. რედსმირელი მოჯამაგირეებივით დამპალ თევზს ხომ არა ვჭამთ? დამარილებულ, სურნელოვან ქარიყლაპიას შევექცევით. კარტოფილი დიდი ხანი არ არის, რაც გაგვითავდა. პური საკმაოდ გვაქვს, არც შაქარი გვაკლია. რა ჩემი ბრალია, თუ ჭვავის ფქვილის გალეტები დაგიობდა. ხანგამოშვებით უნდა გეჭამა, შენ კი დააობე. გალეტი ხომ ნამცხვარია, შემოტანილი ნამცხვარი, ჩემო ძვირფასო.

— მამაჩემი სამ ცხენს გვათხოვებს ისლის გადმოსაზიდად.

— მათხოვრობას არ ვაპირებ, უკიდურეს გასაჭირში თუ არ ჩავვარდი, ისე არავის არაფერსა ვთხოვ. ჰოდა, მოდი მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს ერთხელ და სამუდამოდ. ასეთ მიყრუებულ ხეობაში მცხოვრები გლეხისთვის ფუჭი საქმეა ძროხაზე ოცნება. ჩვენი საქმეა ცხვრის მოშენება, ჩვენი კეთილდღეობა ამაზე არის დამოკიდებული, კმარა, სისულელეების ყურის გდება აღარ მინდა.

— ბავშვი თუ გვეყოლა, მაშინ?

— ჩემი შვილი დედის რძით გამოიკვებება. ძუძუთა ბალღი რომ ვიყავი, თევზის ქონში გაქნილ, დამარილებულ, მოხარშულ თევზს მაჭმევდნენ თურმე საწოვარათი და მაინც ხომ ხედავ, გავიზარდე.

როზამ შიშით შეანათა ქმარს თვალები, თავის ჭკუაზე აღარ იყო. ბიარტური შეცბა და თითქოსაბოდიშს უხდისო, ჩაილაპარაკა:

— თვითონაც კარგად იცი, რომ ჩვენთვის ყველაზე მთავარი ვალის გადახდაა. ბატკნების უმეტესი ნაწილი მამასახლისის ვალის გასტუმრებას შეეწირება. ჭკუიდან გადასული უნდა იყო კაცი, რომ ასეთ დღეში მყოფმა, კიდევ თავაღებით, დაუფიქრებლად ახალი ვალი დაიდო, დაკლა ცხვრები ძროხის გულისთვის. მომავალ წელს, ჩემო ძვირფასო, პატარა ბოსტანს გავიშენებთ.

და მან ისე დაჰკრა მხარზე ხელი ცოლს, თითქოს ცხენიაო.

თავი მეშვიდე

გულის დაავადება

უქეიფობამ თანდათან უფრო დარია ხელი როზას და ბიარტურმა გადაწყვიტა, წავალ, ფინსენს წამალს გამოვართმევო. საღამოობით როზა ქმარს დამარილებული ცივი თევზითა და პურით უმასპინძლდებოდა, თვითონ კი შვრიის ფაფას ჭამდა. ფაფის მოსახარშავად ქურაში ცეცხლს რომ დაანთებდა, ოთახი კვამლით ივსებოდა, ფიჩხი ნედლი იყო, ცეცხლი ვერ ჩაღდებოდა. ბიარტური ფხას აცლიდა თევზს, ერთ ნაჭერს მეორეზე დებდა, თითქოს ბუტერბროდს აკეთებსო, თან ცერად გაჰყურებდა ცოლს. ამ ერთი წლის წინათ როზა ლოყაწითელი, ხალისიანი ქალიშვილი იყო, საღამოობით ირთვებოდა, კოპწიაობდა, თუ რამე სასაცილოს დაინახავდა, წკრიალა ხმით კისკისებდა. ახლა გათხოვილი ქალია, ხამი ტილოს ძველ კაბას, უწინ ძროხების წველისას რომ იცვამდა, აღარ იხდის, ღაჟღაჟა ლოყები გაეცრიცა, სახე ჩაეთეთქვა, თვალში სხივი ჩაუქრა, ტანი უფორმო გაუხდა. ასე ანაზდად დაჭკნა ეს ყვავილი. მერედა რატომ? განა აკლდა რამე? თევზი გინდათ, პური თუ ბურღული, უხვად ჰქონდა. შემოტანილი კარტოფილი და გალეტები დიდი ხანი არ არის, რაც გაუთავდათ. გალეტი ხომ შემოტანილი ნამცხვარია. „კაცი იფიქრებს, რომ ვიღაცის სიყვარული ჰკლავს“, — ისე ჩაილაპარაკა ბიარტურმა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო. დეე, გაიგონოს, არაფერია. ერთი რამ ნათელი იყო მისთვის: ცოლი იმდენად ვერ იტანდა, რომ დასაძინებლად მაშინ წვებოდა, როცა ბიარტურს

ეძინა. თუ ამ დროს ბიარტურს გაეღვიძებოდა, ხელად ზურგს შეაქცევდა, თუ ბიარტური ყურში რამეს ჩასჩურჩულებდა, როზა ისეთ სახეს მიიღებდა, ვითომ ვერ გაიგონაო და მკვდარივით გაუნძრეველად იწვა ლოგინში. როზას ასეთი საქციელი ძალზე აწუხებდა ბიარტურს, დაღონდა, დაძმარდა, რაღაც სისუსტე მოერია, თითქოს დაქანცული იყო და გულში ილანძღებოდა: ცხოვრების თვრამეტი საუკეთესო წელი მამასახლისსა და მის ოჯახს შესწირა, ჯანი მათ შეალია და ახლა, როცა დამოუკიდებლობა ეღირსა, ვერ ტკბებოდა ცოლ-ქმრული ბედნიერებით. იმ ღამეს ბიარტურს გაცოფებული ძროხა ესიზმრა, ისე შეეშინდა, როგორც ბავშვობისას შეშინებია რამის. თვალი გაახილა და ძილ-მღვიძარემ ჩაილაპარაკა: „ძროხის ყიდვას სიკვდილი მირჩევნია“. მას მერე, დილით პირჯვარს რომ გადაიწერდა და იტყოდა: „სახელითა მამისათა და ძისათა!“ თან დაატანდა: „ძროხის ყიდვას სიკვდილი მირჩევნია. უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“

როზა ფაფას აკეთებს, უმატებს და უმატებს ქურაში საწვავს, ფიჩხს ტკაცატკუცი გაუდის, კვამლიც მატულობს, ბოლქვებად გამოსჩქეფს ქურიდან.

— მოუფრთხილდი ფიჩხს, ძვირფასო, — ეუბნება ქმარი.

ქალი ყურს არ უგდებს ქმარს, კიდევ უმატებს ფიჩხს.

— რა მენაღვლება, შენვე მოგიწევს ფიჩხის მოგროვება, ჩემო ძვირფასო.

როგორც იქნა, ფაფა მოიხარშა. როზამ ჯამი პირთამდე აივსო. ნუთუ ამდენ ფაფას შეჭამს? როზამ მაგიდის უჯრაში ჩაჰყო ხელი, მოიტეხა დიდი ნატეხი შაქარყინული და ფაფას შეატანა. ბიარტური ცერად გაჰყურებს ცოლს, უკვირს, როგორ შეუძლია შაქარყინულის და ფაფის ერთად ჭამა. განა შაქარყინული ენანება მისთვის? პირიქით, ეამაყება კიდეც, რომ მისი საკუთარი ცოლი ჭამს მის საკუთარ შვრიის ფაფას, თუნდაც შაქარყინულით. მაგრამ როცა როზამ ისევ დაავლო ქვაბს ხელი, ჯამი ისევ გაივსო და შაქარყინული ჩამოტეხა, ბიარტური შეშფოთდა. ფაფით პირთამდე სავსე ორი ჯამი მოაცარიელა! ამას ჭამს ქალი? თან შაქარყინულს ატანს? სულ უფრო აოცებდა როზას ახირება, რასაც იგი გულის დაავადებას მიაწერდა. გუშინ როზას ხორცი და რძე მოეპრიანა, დღეს ორი ჯამი ფაფა შეჭამა შაქარყინულით, ვინ იცის, ეგებ ხვალ სპილო მოეხასიათოს! ბიარტურს არაფერი უთქვამს ცოლისთვის და როგორც წესად ჰქონდა, როცა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა ხოლმე, ორმაგრითმიანი ლექსების ბუტბუტი დაიწყო თავისთვის, მერე ღილ-ღილნით განაგრძო კითხვა, მახვილს შინაგან რითმაზე სვამდა. ეს გახლდათ მისი სულის მონოლოგი. ნავახშმევს როზამ გასარეცხი წინდები მოკრიბა და ნაკადულისკენ გასწია. ბიარტური კი დასაძინებლად დაწვა.

მეორე დილით, როცა ბიარტურმა გაიღვიძა, როზა ლოგინში აღარ დახვდა. ძალზე ეუცნაურა ეს, სწრაფად ჩაიცვა და სახლიდან გავიდა.

— როზა! როზა! — ყვიროდა ხუტორის წინ, მოედანზე მდგარი ბიარტური. შემოირბინა მთელი ხუტორი, მთის მხარეს გასძახა: „როზა!“ მაგრამ ლამაზ სახელს როდი გაეხმიანა მთა. მზე ამოვიდა, მიწაზე ზოლებად გაწვა ჩრდილი და პატარა ხუტორი სასახლედ აქცია. დასავლეთი კი ჩაბნელებული იყო. ზაფხული უკვე მიიწურა, ჩიტებმა უკვე იგალობეს თავისი ყველაზე დამატკბობელი სიმღერები, მოკლედ, აჩქარებით უსტვენდნენ, თითქოს ახლაღა გაიგეს, ოა არისო დრო.

— ტიტლა! — დაიყვირა ბიარტურმა. ძაღლი არ გამოჩნდა, არც მიწაყრილზე იყო, სადაც ჩვეულებრივ იძინებდა. როგორც ჩანს, ტიტლამაც უღალატა ბიარტურს. რაღაც უბედურება მოხდა, მაგრამ ბიარტური არ დანებდება, მან მთას მუშტი მოუღერა, დაემუქრა და ისევ ტიტლას გასძახა. რიგრიგობით უძახდა ხან ცოლს, ხან ძაღლს. გინდაც ამკუწონ, არ დავნებდები. როზა! ტიტლა! გინდაც ამკუწონ, არ დავნებდები!—ბუტბუტებდა ბიარტური.

უცებ ჭაობის დასავლეთით გაისმა ტიტლას ყეფა. ძაღლი წკავწკავით მორბოდა უღელტეხილის მხრიდან. ბიარტური ძაღლისკენ გაიქცა.

— სად არის? — ჰკითხა ძაღლს.

ტიტლა ტალახში ამგოგანგლულიყო, ენაგადმოგდებული მძიმედ სუნთქავდა, ზედ მკერდზე შეაბობღდა ბიარტურს და დაღებული პირი პირდაპირ სახეში ატაკა, მერე შებრუნდა და იმ მხარეს გაიქცა, საიდანაც მოვიდა, პირდაპირ ჭაობში, ბლანტეში შეტოპა. ბიარტური უკან გაჰყვა, დროდადრო ძაღლი ჩერდებოდა და პატრონს ელოდა, როცა ბიარტური დაეწეოდა, ისევ მოწყდებოდა ადგილს და გარბოდა. ტიტლა გონიერი ძაღლი იყო. მზეს ღრუბელი გადაეფარა, უცებ აგრილდა, გაავდრებას აპირებდა. ტიტლა გარბოდა, გზას უჩვენებდა პატრონს, ბიარტური ფეხდაფეხ მისდევდა. უღელტეხილზე შედგნენ, ყორღანთან, ასეული წლების წინათ გარდაცვლილი ქალის საფლავთან.

ალღომ არ უღალატა ტიტლას, ბიარტურის ცოლს ყორღანის ძირში, ბალახზე ეძინა. ისევ ის ძველი, ხამი ტილოს გაცვეთილი კაბა ეცვა, თავზე თავშალი წაეკრა, წინდები ჩაჩაჩოდა, მუხლამდე ტალახში იყო ამოსვრილი, იმ მაწანწალა დედაკაცივით, უღელტეხილზე რომ იპოვეს მკვდარი, თავქვეშ ფუთა ჰქონდა ამოდებული. ბიარტურმა ცოლი გააღვიძა. როზამ შეშფოთებით მიმოიხედა, კბილს კბილზე აცემინებდა, კანკალებდა. ბიარტური დაელაპარაკა, ქალმა ხმა არ გასცა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ მოახერხა. ნუთუ მოჩვენებებმა მოათრიეს აქ მძინარე?

— რა მოგვივიდა, როზა, სად მიდიოდი?

— გამეცალე!

— მძინარე მოხვედი აქ?

— მომშორდი!

— ძალით ხომ არავინ წამოგიყვანა?

მიუხედავად იმისა, რომ ბიარტური ცრუმორწმუნე არ იყო, ლამის გაიფიქრა, მოჩვენების ხელი ხომ არ ურევია ამ უცნაურ ამბავშიო. როზა წამოაყენა, წინდები აუწია, გათოშილი ქალი სიცივისაგან ძაგძაგებდა, ლაკარაკი უჭირდა, სისუსტისაგან მუხლი ეკვეთებოდა. ბიარტურმა ბილიკზე გაიყვანა.

— აბა, ფეხზე დადგომა სცადე, ჩემო ძვირფასო, — უთხრა ბიარტურმა.

— ისე მინდოდა რძე, რომ... — ჩაილაპარაკა როზამ.

— დიახ, ჩემო ძვირფასო, ეგ სულ გულის დაავადების ბრალია, — უპასუხა ბიარტურმა.

მაშ ასე, როზა უტირედსმირში მიდიოდა რძის სათხოვნელად, შემთხვევით ისარგებლა, და ბარემ, გუნვერის წინაშეც მოვიხდი ვალსო, იფიქრა.

მაშასადამე, ავ სულებს არ შემოუტყუებიათ აქ, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ იმ ავ სულს, რომელიც მის გულში ბუდობდა. რძე მოეპრიანა! ზაფხულის სავანის ძეპატრონის ცოლი სხვის ხუტორში წავიდა რძის სათხოვნელად? არა, ბიარტურს ამის გაგონებაც არ უნდა.

— მათხოვრობას არც ვაპირებდი, — თქვა როზამ.

— ეგ რა გაქვს მანდ? — ჰკითხა ბიარტურმა.

როზამ ხელი დაავლო თავის ფუთას და იღლიაში ამოიჩარა, თითქოს ეშინოდა, არ წამართვანო.

— ჩემია, — თქვა ქალმა.

მაგრამ ბიარტური არ მოეშვა, მითხარი, რა მიგაქვსო და გამოირკვა, რომ როზას ფუთაში თავისი საკუთარი ცხვრის — კოდლას მატყლი ჰქონდა გამოკრული. კოდლა როზას საკუთრება იყო, ოცდაექვსი წლის მანძილზე მძიმე შრომით მონაპოვარი. როზას უნდოდა ეს მატყლი მიეცა უტირედსმირის დიასახლისისთვის ერთ ბოთლ რძეში, მაგრამ უღელტეხილს რომ მიაღწია, ღონემ უმტყუნა, ფეხებში ძალა გამოეცალა, ქვა დადო გუნვერის ყორღანზე და იქვე დაეძინა.

— მომავალ ზაფხულს ექვს-შვიდ ცხვარს გამოვარჩევთ და წველას დავიწყებთ, — უთხრა ბიარტურმა.

ღონემიხდილი ქალი ცუდად გახდა, ღებინება დააწყებინა. ბიარტურმა თავი დაუჭირა. ამასობაში გაწვიმდა კიდეც. ჯერ კანტიკუნტად ცვიოდა წვეთები, მერე უმატა. როზას მთლად გამოეცალა ძალ-ღონე, უკვე კოკისპირულად

დაუშვა და ბიარტურს ხელში აჰყავდა ცოლი, როცა გუბე ან ბლანტი ჭაობი ჰქონდათ გადასავლელი.

— ნუთუ დიდხანს გასტანს ავდარი? — თქვა ბიარტურმა, — ცა თუ მოიწმინდა, არა გვიშავს რა, მაგრამ თუ ზღვაურმა დაგვჭროლა, კარგა ხანი გადაუღებლად იწვიმებს და ხეირი არ დაგვეყრება.

ზოგჯერ ავდარი გლეხის რამდენიმე დღის ნაშრომს მიწასთან ასწორებდა. ცის ცვალებადობის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო. ხუტორელებისათვის ეს გახლდათ თავისებური მსოფლიო ომი. ბიარტური მხედართმთავარივით მეთაურობდა და არმია ემორჩილებოდა — პატარა არმია, ყველაზე პატარა, როგორც კი მსოფლიო ომის ისტორიას ახსოვს, ხორცს, რძეს, ნოყიერ საკვებს წონატრებული.

ბალახის ხორომებად შეკვრა ვერ მოასწრეს, ცამ ისევ მოიხსნა პირი.

ერთ ასეთ წვიმიან დღეს, როზამ ტბის ტოტის მახლობლად მოაქუჩა თივა და უცებ თვალი ჰკიდა ისლით, შლამით და ჭუჭყით სავსე ტოტში რაღაც ცოცხალი მოძრაობდა, იკლაკნებოდა. როზამ ფოცხის ტარი მოსდო და წყლიდან ერთი წყრთის სიგრძე გველთევზა ამოაგდო. გველთევზა ზევით აიჭრა, თავს გადაუარა ქალს და მის უკან დაეცა, უზარმაზარ ჭიაყელასავით იკლაკნებოდა მოთიბულ ბალახში. ქალში მონადირის ინსტინქტმა გაიღვიძა. ეს ხომ ღევზი იყო და, ბუნებრივია, ხმელეთზე ცუდად გრძნობდა თავს. როზას ბიარტურისა ეშინოდა, იცოდა, ის არ მოუწონებდა ამ საქციელს, გაკიცხავდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, ხელიდან არ გაეშვა ნადავლი. ამოიღო ჯიბის დანა, დასწვდა გველთევზას. გველთევზა იკლაკნებოდა, უსხლტებოდა, ხელზე შემოეწნა. მაგრამ როზამ იმარჯვა და დანით შუაზე გადაჭრა. ახლა ორი გველთევზა ჰქონდა, ორივე სხვადასხვა მხარეს მისრიალებდა და როზამ გაჭირვებით დაიჭირა, როგორც იქნა თავშალი მოიხსნა, შიგ გამოკრა თევზის ორივე ნაწილი და ფუთა ბურცოზე შემოდო. ფუთა საღამომდე გაუჩერებლად ირხეოდა. როცა როზამ ვახშმის გასამზადებლად შინ დააპირა წასვლა, ფუთა ბურცოდან ძირს ჩამოგდებული დახვდა.

— ჩემო კარგო, სულ არ უფრთხილდები საწვავს, მაგ სისაძაგლეზე ხარჯავ, — უთხრა ბიარტურმა და საყვედურით შეხედა ცოლს, რომელიც მისი აზრით გულით ავადმყოფი იყო. გველთევზას ნაჭრები ქვაბშიც იკრუნჩხებოდნენ, რგოლებად იხვეოდნენ, ვიდრე არ მოიხარშა. როზამ მოხარშული თევზი ქვაბიდან ამოიღო და ქმარს ჰკითხა:

— გინდა თევზი?

— რა ეშმაკად მინდა! ფუი, ჭიის ჭამას დავიწყებ სწორედ. ეგ ხომ წყლის ჭიაა.

— ეგრე იყოს, მე უფრო მეტი დამრჩება, — უპასუხა როზამ და ჭამას შეუდგა. ქმარი ზიზღით უყურებდა, ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ასეთი სასაძაგლის პირში ჩადება.

როზამ გველთევზა სულ შეჭამა.

— უთუოდ ელექტრული გველთევზაა. რაღა ეგ და რაღა ზღვის რომელიმე ურჩხული. შენ კი არხეინად შეექცევი, ვითომც აქ არაფერიაო.

— დიახ, — უპასუხა როზამ და ახლა თევზის ნახარში დაისხა.

— მართალი გითხრა, ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი ცოლი ასეთ სისაძაგლეს პირს დააკარებდა, როცა შინ ყველაფერი უხვად აქვს.

— მართალს თუ ვიტყვი, სისაძაგლე ეგ შენი დამარილებული ქარიყლაპიაა, მთელი ზაფხული რომ მაჭმევ, — უპასუხა როზამ.

ბიარტურმა გადაწყვიტა, არ აჰყოლოდა ცოლს, ის ხომ გულით ავადმყოფია, არ უნდოდა ძილის წინ წაჩხუბებოდა. ტანთ გაიხადა. იქექებოდა, დუდუნებდა ლექსებს გონგუროლფზე, მეზღვაურ გრიმურზე*. ბოლოს დასაძინებლად დაწვა.

თავი მერვე

ხოტრშაპი

გამოიდარა, მაგრამ ჩრდილოეთიდან ისე მძაფრად დაჰბერა ნაპირის ქარმა, რომ მშრალი ამინდი გულს აღარ უხარებდა ცოლ-ქმარს. ქარი თივას ხელიდან გლეჯდა მათ, აქეთ-იქით ფანტავდა. ნაწილი თივისა მოუთიბავ ბალახს ძოედო, ნაწილი წყალში ჩაცვივდა. სამი კვირის ნაშრომი გაატიალა ამინდმა. ბიარტური და როზა სამი დღე აგროვებდნენ გაფანტულ თივას, პატარ-პატარა ზვინებს აწყობდნენ. ბოლოს ქარი ჩადგა და ცაზე კვლავ დაიგრაგნა ღრუბლები. ზაფხულის საუკეთესო დრო წავიდა, თავი უნდა გადაეკლათ და რაც შეიძლება მალე გადაეზიდათ თივა ეზოში, ვიდრე გაავდრდებოდა. არა, მუცლის ამოსავსებად საჭმელის კეთებაზედ დროს ვეღარ დაჰკარგავდნენ, არც ძილისათვის ეცალათ. წელში უნდა გაწყვეტილიყვნენ და დაეჯიბნათ სტიქია. ზაფხულის სავანის მეპატრონე ბიარტურისთვის ეს თავისუფლებისათვის ბრძოლა

* გონგუროლფი და გრიმური — ვიკინგები, ისლანდიური საგების გმირები.

გახლდათ. როცა გაფანტული თივა მოაქუჩეს, ბიარტურმა ხორომების შეკვრა დაიწყო. დღე მიიწურა, შემოდგომა მოახლოვდა და დღემ საგრძნობლად იკლო. როცა მთლად ჩამობნელდა, ბიარტური ცხენის საძებრად წავიდა, უნდა დაეწყოთ თივის ეზოში გადატანა. ცოლი მინდორში დასტოვა, რომ ილაჯგაწყვეტილ ქალს ცოტა სული მოეთქვა და თვალი მოეტყუებინა. ბლესი რედსპირელთა რემაში იპოვა. ვიდრე შეკაზმა ცხენი და უკან დაბრუნდა, ინათა კიდეც. თივის ზვინზე როზას ეძინა. ცოლ-ქმარმა ისევ ხორომების შეკვრა დაიწყო, მერე ცივი თევზით დანაყრდნენ და წყაროს წყალი დააყოლეს. ცაზე კვლავ წამოიშალა ღრუბლები, გაავდრებას აპირებდა, უნდა ემარჯვათ, მოესწროთ თივის გადაზიდვა. ბიარტურმა ცხენი დატვირთა, როზას უთხრა, უკან რომ გამობრუნდები, სულ ჭენებით ატარე ცხენიო და გაისტუმრა.

როზა ჭაობში მიიკვლევდა გზას, მიუძღოდა დატვირთულ ცხენს, ეზოში გადმოყრიდა ხორომებს, შეჯდებოდა ცხენზე და უკან მიდიოდა ახალი ტვირთის წამოსაღებად. ქარმა ღრუბლები გაფანტა, ნამგალა მთვარემ გამოანათა. ამან ცოტა გაამხნევა ქალი, ასეთი მძიმე ჯაფის შემდეგ ზთვარის კაშკაში ზღაპარი ეგონა. ელფები ადამიანზე ბედნიერები არიანო, ფიქრობდა, გამოდიან თავისი მღვიმეებიდან და მთვარის მზერით ტკბებიანო. მაგრამ შუაღამე რომ გადავიდა, ვეღარც კი ამჩნევდა მთვარეს, მნათობის კაშკაში აღარ ახარებდა, ოცნების თავი აღარ ჰქონდა, შიმშილმა და დაღლილობამ ყველა სხვა გრძნობა დაჩრდილა. იმ ღამეს, ვინ მოსთვლის რამდენჯერ გადაიარა ჭაობი იქით-აქეთ, არაქათგამოცლილი ქალი ბორძიკობდა, ეცემოდა, უკან გამობრუნებისას ცხენზე მჯდომარე თვლემდა, როცა ცხენი შედგებოდა და ბალახს დაუწყებდა წიწკნას, ეღვიძებოდა.

— ოჰ, რა საშინელი ძილის გუდა ხარ. ასე როგორ შეიძლება? მე და შენ ხომ საკუთარი თავისთვის ვშრომობთ, — უსაყვედურა ქმარმა.

როზამ ხმა არ გასცა, ენა აღარ ემორჩილებოდა, ხმის ამოღება უჭირდა. დასცქეროდა მთვარის ანარეკლს ნაკადულში, იქვე რამდენიმე ქათამი ცურავდა, მოხდენილად, ნარნარად აკანტურებდნენ თავს. ბედნიერი ჩიტუნები, მათ ხომ არსად მიეჩქარებათ, შეჰხარიან მთვარის შუქს. ისეთი საამური ქათმები იყვნენ, რომ როზას მათი შეჭმა მოუნდა, განთიადი ახლოვდებოდა, ცხენმა ნაბიჯი შეანელა, ძლივსღა მიათრევდა ტანს, მოძრაობა უჭირდა. მთვარე შავ ღრუბლებს ამოეფარა, აღარც ის მძაფრი სურნელი იგრძნობოდა ჯერ კიდევ გუშინ რომ უდიოდა თივას, თითქოს გაქრა, როზა ვეღარ ამჩნევდა, წყალში მიტოპავდა, თუ მიწაზე მიაბიჯებდა. ირგვლივ ყველაფერი გაბუნდდა, გაიდღაბა, პირში მწარე გემო ჩაუდგა და გულისრევის აუტანელი გრძნობა აწუხებდა. დროდადრო როზა ჩერდებოდა, აღებინებდა, მწარე ნაღველა

ამოსდიოდა, შუბლიდან ცივ ოფლს იწმენდდა და მწარე ნერწყვის გადაყლაპვას ცდილობდა. აი, როგორი იყო ეს მსოფლიო ომი.

ირიჟრაჟა, ღრუბლები კი კუპრივით ჩაშავდა. ბიარტურმა თივის უკანასკნელი ხოროში შეკრა. გამარჯვება მოახლოვდა, მაგრამ როზა ისე იყო მოწყვეტილი და დაძაბუნებული, რომ ესეც კი არ უხარებდა გულს. არავის არ ახარებს მსოფლიო ომში მოპოვებული დიდი გამარჯვება. ქალს სწყუროდა, ნაკადულის ხავსმოდებულ ნაპირზე გაწვა, წინ გადაიხარა, რომ პეშვით ამოეღო წყალი და უცებ მოეჩვენა, თითქოს ალერსიანი ხელები შემოეკვრო, ნაზად მოუკირა და ისიც მთელი არსებით მიეცა ამ ალერსს, სამუდამოდ, სამარადისოდ, თავისი ბებიის მსგავსად, ნეტარი სიკვდილით რომ მოკვდა და ერთადერთი რამ, რაც ებადა, ბუმბულის საბანი, როზას დაუტოვა ანდერძით. როზა გრძნობდა, რომ ქვევით მიექანებოდა, ხედავდა. წყლის ნაკადში როგორ ჭრებოდა მისი გამოსახულება, მიწაც მასთან ერთად მიქროდა სივრცეში, როგორც ანგელოზი მიგვაქროლებს სიკვდილის ჟამს და მან კვლავ იგრძნო მიწის მსუყე სურნელება, შემოდგომის მიწის სურნელება. ბოლოს მიწა დედასავით ლოყაზე მიეკრა როზას, წყალმა სიყვარულით, ალერსიანად ჩასჩურჩულა ყურში რაღაც — და უცებ ყველაფერი გაქრა.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

გ ა ს ე ი რ ნ ე ბ ა „ტ ყ ე შ ი“

კ ვ ი რ ა დ ღ ე ა. ბაავდრდა. ბიარტურმა ცოლი ნაკადულის ნაპირას იპოვა. როზას ხელი თავქვეშ ამოედო. ლოყით მიწას მიკვროდა და ეძინა. თივის ერთადერთი ხოროში გარდიგარდმო იდო ნაკადულზე. უნაგირი გატეხილი იყო, მოსართავი გაწყვეტილი. ცხენი კი მშვიდად ბალახობდა. როზამ შიშით ისე მიმოიხედა ირგვლივ, როგორც გულისძილით მძინარე ადამიანმა, მოულოდნელად რომ გააღვიძებენ. ქალი ჩუმად ყურს უგდებდა გულმოსული ქმრის ბუზღუნს. ბიარტურმა მიწის ბელტები დააწყო ხორომზე, რომ დროებით მაინც დაეფარა წვიმისაგან. როზა კი წამოდგა, ზურგი დაბეჟოდა, საშინლად ტეხდა, ხმისამოუღებლად წაჩანჩალდა შინისკენ. შევიდა თუ არა სახლში, მაშინვე დაწვა და დაიძინა, ქმრისთვის ყავაც კი არ გაუცხელებია.

შუადღისას ისევ გადაისარკა ცა. ბიარტური აქოშინებული შევარდა შინ, როზა გააღვიძა და უთხრა, ადექი, ყავა მოხარშეო. თურმე აღმოსავლეთ მხარეს

მხედრები გამოჩნდნენ, მათი სახლისკენ მოაქროლებდნენ დაოთხილ ცხენებს. ეტყობა, ვილაც უქნარები არიან. ნახეს რაღა დრო!

— მე მათთან ვერ გამოვჩნდები, — თქვა როზამ.

— აქ თუ მოვლენ, ყავის მოხარშვა მოგიხდება, — უპასუხა ბიარტურმა,— მოსარიდებელი რა გვაქვს?

ბიარტური სარკმლისკენ დაიხარა, გზას გაჰხედა, აკვირდებოდა მხედრების ჯგუფს და როცა ცხენები ისეთ მანძილზე მოახლოვდნენ, რომ მათი გარჩევა შესძლო, იცნო მხედრებიც და ცხენებიც. მდიდარი გლეხის ქალ-ვაჟი, პასტორის სამი ქალიშვილი და უტირეფლსმირელი სეზონური მუშები იყვნენ, მათ შორის ინგოულფ არნარსონ იოუნსენი, თავის რუხ ტაიუზე ამხედრებული.

ბიარტურმა უკან რომ მოიხედა, როზა ოთახში აღარ იყო. ახალგაზრდებს ცხენებით გასეირნება გადაეწყვიტათ, ქალიშვილებს—მწიფე კენკრის დაკრეფა. ამას ეძახდნენ „ტყეში“ გასეირნებას. თან წამოეღოთ საჭმელ-სასმელი, პურის ჭამას „ტყეში“ აპირებდნენ. ინგოულფ არნარსონმა ბიარტურს ჰკითხა, შენ სამფლობელოში ნადირობის და თევზაობის ნებას თუ მომცემ, ქალიშვილებს კი კენკრის დაკრეფა სურთო.

ბიარტურს ეამა, ნებართვას რომ სთხოვდნენ და თქვა, გოგონებმა უკეთ იციან, რისთვის დაძვრებიან აქ, ჰოდა, რაკი მობრძანდნენ, არ ენანება, დაკრიფონ, რამდენი კენკრაც უნდათ. რაც შეეხება მამასახლისის ვაჟს, თუკი მან ტბაში რამდენიმე საცოდავი კალმახის დაჭერა გადაწყვიტა და ამ კვირაუქმე დღეს სწადია სიცოცხლე მოუსპოს ჭაობზე მოფრთხიალე ამ ყოვლად უწყინარ ფრინველებს, ნება მისია, საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

— ოღონდ ეს კია, რომ, — დასძინა ბიარტურმა, — აგრონომი დიდად არ შესცოდავდა, თუ სახლში შემოვიდოდა და სალამს მეტყოდა. თავის დროზე, მე ხომ არა ერთხელ და ორჯერ მივხმარებივარ მას შარვლის შეკვრაში. მამამისის წინაშე ვალს მუდამ კეთილსინდისიერად ვიხდიდი, არ მეშინია თამამად შევხედო ხალხს, არც იმას ვუწევ ანგარიშს, შეუძლიათ თუ არა სხვებს ჩემთვის თვალის გასწორება. მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, ნეტა სად გადაიკარგა როზა?! მოგეხსენებათ, როგორები არიან ქალები, ცერემონიები უყვართ, საშინაო კაბაში სხვებთან ვერ გამოჩნდებიან, არა, უსათუოდ უნდა მოიკაზმონ. რა გაეწყობა, შემობრძანდით, ადრე თუ გვიან, მაინც გამოჩნდება როზა. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ზაფხულის საკანეში! ყავა საკმაო გვაქვს და თუ გულდაგულ მოვძებნით, იქნებ ცოტაოდენი შაქარიც ვიპოვოთ.

ახალგაზრდებმა მადლობა გადაუხადეს ბიარტურს, ყავაზე კი უარი თქვეს. ზოგიერთს მაინც უნდოდა შინ შესვლა და სახლის დათვალიერება. ამ ჭაბუკებისა და ქალიშვილების უმეტესობა მდიდარ ხუტორებში ცხოვრობდა და ზაფ-

ზულის სავანის ვიწრო, დაბალ კარში მოკუზული შესვლა, ბოსლის წყვდიადში გამდგარი მიწის სუნი, მძიმედ რომ შემოჩქროლათ, ერთგვარი გასართობი იყო მათთვის. ზოგმა დაქვეითება არ ინება, სარკმელში შეიხედა მხოლოდ. სარკმელი ისე დაბლა იყო, რომ ადამიანი ხელს მიუწვდენდა. ზოგი კი აჰყვა ჭრაჭუნა კიბეს. ქალიშვილებმა როზა მოიკითხეს, კენკრის საკრეფად გვინდა წავიყვანოთო. ბევრი ეძებეს, უძახეს, ჰაუს ძახილით გააყრუეს იქაურობა, მაგრამ ქალი არსად ჩანდა. როზა ამ დროს ცხენის ბაგის ქვეშ, მიწის კედელს ეკვროდა, ღმერთს ევედრებოდა, რომ არ მიეგნოთ მისთვის. გოგონების წიკვინმა და ძახილმა ბიარტურს თავი მოაბეზრა, ცოლს ძებნა დაუწყო, მიაგნო, ხელი ჩაჰკიდა, გამოათრია ბაგის ქვემოდან და გულმოსულმა ჩაილაპარაკა: — რასა ჰგავს ეს. ნეტა ვისი რცხვეხია, განა ჩემი კანონიერი ცოლი არ არის?

— მე მინდა,—უთხრა ბოლოს ცოლს ბიარტურმა, რომ შენ ჩემს სტუმრებს ყავით გაუმასპინძლდე, ვიდრე ყავა მოგვეპოვება სახლში. ასეთი ბაიყუში როგორ უნდა იყო. აბა, მიესალმე ხალხს.

და ასე ხელჩაკიდებული აიყვანა ცოლი ზევით. როზას ტილოს ძველი, გაცრეცილი კაბა ეცვა, ასეთივე ძველი თავშალი მოესხა მხრებზე, თავით ფეხამდე მიწასა და მტვერში ამოგანგლულიყო. თავშალის ბეწვს სოკოს ობი მოსდებოდა.

— აი, როზაც აქ გახლავთ.

გოგონები უცებ დადინჯდნენ, თავაზიანად მიესალმნენ როზას.

არა, ყავის დალევა არავის უნდოდა. ქალიშვილებმა როზას ხელი ჩაჰკიდეს და თან წაიყვანეს. ნაკადულის ნაპირას რომ ჩამოსხდნენ, გოგონებმა თქვეს რაოდენ საამურია, აი ასე, ზედ სახლთან რომ ჩამორბის ალერსიანად მორაკრაკე ნაკადულიო. მერე როზას ჰკითხეს, როგორ ცხოვრობთ და ქალმა უპასუხა:

— კარგად.

— სახე რატომ შეგიშუპდა?

— კბილი მტკივა, — მიუგო როზამ.

— როგორ შეეწყვე ამ მიყრუებულ, უკაცრიელ კუთხეში ცხოვრებას? — ჰკითხეს ქალიშვილებმა.

როზამ უხერხულობისაგან ცხვირით დაისრუტუნა, თვალი არ აუწევია, ისე ჩაილაპარაკა, რომ აქ ლაღად და თავისუფლად გრძნობს თავს.

სტუმრებმა ახლა მოჩვენებებზე ჩამოაგდეს სიტყვა, მაგრამ როზამ უპასუხა. არავითარი მოჩვენებები აქ არ არსებობენო. ქალიშვილები ცხენებზე შესხდნენ და გაქუსლეს.

ახალგაზრდობა საღამომდე დაყიალობდა მდელოებზე, მათი მხიარული

კისკის-ჟრიამული ხუტორამდე აღწევდა. ჭაობის მხრიდან დროდადრო ისმოდა სროლის ხმა. ბიარტური ისვენებდა. ბოლო ხანებში ისეთი ჯაფა დაადგა, რომ არაქათგამოცლილს ახლა ჩაეძინა. როზა ფანჯარასთან იჯდა, ყურს უგდებდა სროლის ხმას, თვალჩაციებით გასცქეროდა ჭაობს, კრთომით ელოდა თოფის ყოველ დაქუხებას, თითქოს ეშინია, მას დასჭრიანო... მხოლოდ მას, პირდაპირ გულში. შიგ გულში მოარტყამენ. თურმე ბიარტურს არც ისე ღრმა ძილეთ ეძინა, ბურანში წასული თვალს მაინც ადევნებდა ცოლს, ხედავდა, როგორ კრთოდა იგი და უცებ ჰკითხა:

— რა იყო, სროლის ხმა ხომ არ გეცნაურა?

— მე? — აიმრიზა როზა, დაიბნა, წამოდგა, — არა!

— მაგ ხალხს, მთელ ოჯახს, ისე არ შეუძლიათ არსებობა, თუ არ ისარგებლეს, თუ არ მოსპეს ყოველი სულდგმული, რომელსაც კი თვალს მოჰკრავენ,— თქვა ბიარტურმა და ისევ ჩათვლიმა.

შებინდებისას სტუმრებმა ისევ ხუტორთან მოიყარეს თავი, იქ უცდიდნენ ბოხადირეს. ინგოულფს კი გადაწყვეტილი ჰქონდა, მანამ ედევნა გარეული ფრინველისთვის, ვიდრე მთლად არ ჩამობნელდებოდა. ქალიშვილებს თავისი ტოლჩები პირთამდე აევსოთ კენკრით. ცოტ-ცოტა ყველამ უწილადა ზაფხულის სავანის დიასახლისს, ასე რომ ტოლჩა აავსეს და როზას დაუტოვეს.

როზა უარობდა, არ უნდოდა ამ საჩუქრის მიღება, მაგრამ ქალიშვილებმა არ დაუთმეს:

— რას ამბობ, ძვირფასო, ეს კენკრა ხომ შენს საკუთარ მამულშია დაკრეფილი!

სტუმრები სათიბზე გაიფანტნენ და სხვადასხვა თამაში წამოიწყეს. მთა მათ კისკისსა და შეძახილს მქუხარე ექოთი ეხმიანებოდა. წყნარი საღამო იდგა, ტბა მოსარკულიყო, ჰაერში ურიცხვი მუმლი ირეოდა, ცაზე ნამგალა მთვარე ეკიდა. ბიარტური მივიდა სტუმრებთან და უთხრა, როგორც ჩანს, ამ შუა თიბვის ჟამს დაბაში შრომით წელს არავინ იწყვეტსო.

— ნეტა ერთი დამანახა, მამასახლისის ბალახს თუ გათელავთ ეგრე და როგორ ამღერდებიან თქვენი პატრონები, გაზაფხულზე თუ თივა შემომაკლდა და ცოტა დავესესხე.

პასტორის ქალიშვილებმა და რედსმირელმა მუშა ქალებმა ბიარტურს ბუზღუნი შეაწყვეტინეს, მის გამხიარულებას ცდილობდნენ, დაჭერობანას თამაშში ჩააბეს და მალე დაიჭირეს კიდეც. მიუხედავად იმისა, რომ ბიარტური გულში წყევლა-კრულვას უთვლიდა გოგონებს, მაინც გაეკიდა დასაჭერად, — ოდესღაც ხომ დასდევდა და იჭერდა მფრთხალ ბატკნებს; ჰოდა ახლაც დაიფურთხა ხელებზე, ვიდრე გაეკიდებოდა ქალიშვილებს. ქალიშვილებ-

მა ბიარტური განზე გაიყვანეს და სთხოვეს, ლექსები წაგვიკითხეო. ამის გაგონებაზე, ბიარტური მთლად დადნა და ენად გაიკრიფა, აღარ გაჩერდა, ვიდრე უწმაწური სტროფები არ წაუკითხა ზეპირად გონგუროლფიდან, იმ ადგილიდან დაწყებული, სადაც ელვერი ბრალსა სდებს როლფურს ვილიამსისადმი არაბუნებრივ სიყვარულში (ქალიშვილები ერთიმეორეს ამოეფარნენ და ჩაიხითხითეს), ბოლოს დაამთავრა იმით, სადაც აღწერილია, ინგებორგმა მენდულას როგორ გადაასხა თავზე სიბინძურე ღამის ქოთნიდან (აქ კი ქალიშვილებმა თავი ვეღარ შეიკავეს და გულიანად გადაიხარხარეს). შემდგომ ამისა, გოგონებმა ბიარტურს სთხოვეს, აბა ჩვენზე გამოთქვი ლექსიო. ბიარტურმა უპასუხა, რომ სწორედ იმ დილას, როცა გოგონები კენკრას კრეფდნენ, რამდენიმე სტრიქონი მოუვიდა თავში, მაგრამ მათ გასარითმად დრო არა ჰქონდა. პირველი ოთხი ტაეპი მაინც შედარებით კარგად გაირითმა.

სიგა და გუნა ერთად მიდიან,
თვალწინ ეშლებათ ზურმუხტი ველი,
ცა არის თითქოს ლურჯი კარავი,
გზა არის თითქოს ხალიჩა ჭრელი.
სიცილი აწყდება ცარიელ მღვიმეს,
მრცვის ბუჩქებთან დახტიან ლხენით,
სიგას და გუნას ხოხბისფერ ველზე
სიცილთან ერთად სიმღერაც შვენით.
რაინის ღვინოზე ძლიერი სურნელით
სავსეა გარემო, —
მოცვი კრთის ალებრივ..
ლურჯი დარაია ახურავთ ბუჩქებს
და მთვარეულებივით დადიან ქალები.

ლექსმა აღტაცებაში მოიყვანა ახალგაზრდები, სიცილი წასკდათ, ერთმა ჭაბუკმა ჩაიწერა კიდეც ლექსი.

ასეთ მხიარულებაში რომ იყვნენ, მამასახლისის ვაჟი, ინგოულფ არნარსონ იოუნსონიც დაბრუნდა. ცივად, ისევე თავმომწონედ და მედიდურად იღიმებოდა, როგორც დედამისს სჩვეოდა. ასეთი ღიმილის გამო ფრუს ლექსები კიდევ უფრო ბუნდოვანი და გაუგებარი ხდებოდა მსმენელებისთვის. ინგოულფს მხარზე გადაგდებული თოკის ერთ ბოლოზე იხვები და ქათმები ეკიდა, მეორეზე — კალმახები, ნანადირევი მწყემსს მისცა, უნაგირზე დაამაგრეო და ბიარტურს ცივი, გამაღიზიანებელი, მფარველური ღიმილით მიესალმა.

— მე მაინც მგონია, მამაჩემს დიდი შეცდომა მოუვიდა, როცა, ასე ვთქვათ, გაჩუქა ეს „საზამთრისი“ მთელი თავისი მდიდარი გარემოთი. რამდენი გერგება ჩემგან, ნადირობის ნება რომ დამრთე?

— ო, ეს კი შეტისმეტი იქნება, გადასახადი რომ მოგიხოვოთ ოქვენსაკე ნაბოძვარში, — უპასუხა ბიარტურმა, — ნამდვილად, შენი თქმისა არ იყოს, ერთი მტკაველი მიწა, რომელსაც მე ზაფხულის სავანე შევარქვი, თუ შენ ჯამდე არ იცოდი ეს, ისეთი საგანძურია, რომ ეგ მძორი, რომლის დევნაშიც მთელი დღე დაიღალე. არ მესაჭიროება, ჩემო პატარა ინგე. ჩემს ცხვრებს ამ ლანაპიროზე მოთიბული ბალახი უფრო ეპრიანებათ. მაგრამ იქნებ თქვენ რედსმირში საქონელს ბაგაში თივის ნაცვლად ფრინველსა და თევზს უყრით? თუ ასეა, დიდი სიახლე იქნება.

— ოჰო, ჰო, ჰო, რა კაცი ხარ, რანაირი ხასიათი გაქვს, დალახვროს ეშმაკმა! — წამოიძახა ინგოულფ არნარსონმა ცივი ღიმილით. მერე ჩამოხსნა რამდენიმე იხვი და კალმახი და ფეხებთან დაუყარა ბიარტურს.

— ჩემი თხოვნა იქნება, ამ საძოვარზე არ დასტოვო ნანადირევი, — უთხრა ბიარტურმა, — მე ვამჯობინებდი თავად შენ გეზღო კვირა დღეს დახოცილი ფრინველის ცოდვა.

ქალიშვილებმა ხვეწნა დაუწყეს ბიარტურს, უარს ნუ იტყვის იხვსა და თევზზე; როზასთვის მაინც წაიღე, თუ შენ არ გინდაო.

— ფრინველის ხორცს რა სჯობია, — ეუბნებოდნენ ქალიშვილები.

— როცა რედსმირში ვმუშაობდი, ფრინველის ხორცი კარგ საკვებად არ ითვლებოდა, ცხენის ხორცი კი დიდ პატივში იყო, — თქვა ბიარტურმა, — და თუ ახლა რედსმირში ფრინველის ხორცს შეექცევიან, მაშინ გთხოვთ ესეც თან წაიღოთ მამასახლისისთვის.

— დარწმუნებული ვარ, — უთხრა ერთმა ქალიშვილმა, — რომ როზას ეახარებს ფრინველი, ამ ზაფხულს უთუოდ არც ისე ხშირად უგემნია ახალი ხორცი.

— ჩვენთვის, ღარიბი გლეხებისთვის. ყველაზე მთავარია პირუტყვის საკვები, — თქვა ბიარტურმა, — რა მნიშვნელობა აქვს, რასა ჭამს კაცი ზაფხულში, თუკი ზამთრისთვის ცხვრის საკვებს მოიმარაგებს.

ამ პასუხზე ყველას გაეცინა. ერთობ ფუქსავატურად მოეკიდნენ ღარიბი გლეხის ცხოვრებისეულ სიბრძნეს. ბევრი მათგანი ახალგაზრდობის კავშირის წევრი იყო. ამ კავშირს ინგოულფ არნარსონი თავმჯდომარეობდა და მათ რწმენა ჰქონდათ თავისი ქვეყნისა. მათი დევიზი იყო — „ყველაფერი ისლანდიისაგვის!“ „ისლანდია ისლანდიელებისათვის!“ და აი ისინი პირისპირ დგანან ამ კაცთან, რომელიც დამოუკიდებელი გახდა, გახდა მიწის მფლობელი, რომელსაც სწამდა თავისი ქვეყნისა და საქმითაც დაამტკიცა ეს. მართალია, ისინი გუნებაში დასცინოდნენ გლეხის შეხედულებას, აზრთა წყობას და მაინც ამ წყნარ კვირა საღამოს, საკუთარ მიწაზე მდგარმა გლეხმა, შეუპოვრად რომ

იბრძოდა თავისუფლებისათვის, მტრული ძალების წინააღმდეგ — ბუნებრივი თუ ზებუნებრივი ძალების, თავს რომ არ ზოგავდა საქმის ბოლომდე მისაყვანად, შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ახალგაზრდებმა ცოტა ხანს კიდევ შეიცადეს იქ, ვიდრე მუშები ცხენებს შეკრებდნენ, არავის სწყენია ბიარტურის ახირებული ლაპარაკი.

ინგოულფ არნარსონმა თანამგზავრებს სთხოვა, ვიმღეროთო.

— მე და ბიარტური ძველი მეგობრები ვართ. თითქმის ძუძუმტეები, — თქვა მან, — ასე, რომ კარგად ვიცნობ ბიარტურს და მწამს, გულის სიღრმეში ჩვენ გვესმის ერთიმეორისა. ყოველ შემთხვევაში, მე დიდად ვაფასებ ბიარტურს, ასევე როზას. მათ დაგვანახეს, რომ პირველმოსახლეთა გულოვნობა კიდევ ცოცხლობს თანამედროვე ისლანდიელებში. მაშ გაუმარჯოს ისლანდიელ გლეხს.

კვლავ გაუმეორა თანამგზავრებს, ვიმღეროთო და წამოიწყეს:

დედჯ სამშობლოს ვიცავთ და ძმები
კვლავ ერთმანეთის მხარდამხარ ვდგებით.
ხუთანს მიეგებეთ და ვყიჟინებთ ერთხმად:
— სამშობლოვ, მეტად ვაშალე მხრები!

ახალგაზრდები ფიქრობდნენ, რომ ამ სიმღერით ხოტბას ასხამდნენ ბიარტურს, სწორედ მას, ისლანდიელ პიონერს, მთის ხეობის მოსახლეს, ისლანდიის ამ გულად ძეს. ზაფხულის სავანის მფლობელ — ბიარტურს და მის მეუღლეს! ერთ პატრიოტულ სიმღერას სტუმრებმა მეორე მოაყოლეს:

მთების დედოფალო, დედაო-ღმერთო,
შენსკენ ვისწრაფვით ერთობ!
სიხარულს შენთან ვიპოვით. გეკერა,
შენ მოგაპყარით აჭკერად მზერა.
შენი შვილები, ბოლოს და ბოლოს,
შენით ცოცხლობენ მხოლოდ!

გაუმარჯოს ახალგაზრდა ისლანდიას! დღეგრძელი იყოს, ვაშა! მთიდან ექო ეხმიანებოდათ, გამოძახილი გრგვინვით ჰკვეთდა ზაფხულის ღამის მყუდროებას. ვიდრე ტბაში ბატასინი გაოცებისაგან არ დადუმდა. მუშებმა ცხენები შეკრიბეს, ყველა გულთბილად გამოეთხოვა ბიარტურს, რამდენიმე ქალიშვილი შინ შევიდა, როზასთან გამოსამშვიდობებლად, მაგრამ როზა ისევ გაქრა. როცა ყველა შესხდა ცხენებზე, ინგოულფ არნარსონმა კვლავ წამოიწყო სიმღერა, ახლა სოფლური ყოფის სადიდებელი საგალობელი და ჭაობიდან ისე მოაქროდა მათი ხმა, თითქოს სალამს უძღვნიან ზაფხულის სავანის მეპატრონეთო:

შორეულ მხარეში, მზის სიელვარეში,
ბედნიერ ბავშვობას, ვით სიზმარს ვხედავ,
სხვა გაზაფხულია, სხვა გზნება, სხვა ეშხი,
მსგავსი გაზაფხული
საფ არის, ნიტ?
შორეულ მხარეში, მზის სიელვარეში,
ხალხიც წმინდაა და ოუხეთაც წმინდა,
შორეულ მხარეში, მზის სიელვარეში
მარადიული სიცოცხლე მინდა!

გვიანობამდე არ შემწყდარა მხიარული ხმები და როცა მხედრებმა ჭაობი გალიეს, უკვე მყარ ნიადაგზე გადაიყვანეს ცხენები, ახლა ფლოქვების თქარათქური გაისმა. ზაფხულის ბინდი ჩამოწვა ხეობაზე, გლეხი ერთ ხანს მარტო იდგა საძოვარზე. მერე დასაძინებლად წავიდა.

საიდანღაც გამოძერა როზა, არაფერი უკითხავს ქმრისთვის.

— ქვევით, მდინარის პირას საჩუქარი დაგიტოვეს, — უთხრა ბიარტურმა?

— მე დამიტოვეს?

— დიახ. ფრინველი და თევზი.

— ვინ?

— წადი და ნახე, იქნებ მ ი ს ი ნიშანი იცნო.

როზას შინიდან გასასვლელი შეთმხვევა მიეცა და ისარგებლა ამით, მდინარესთან ჩავიდა. იქ მართლა იდო მ ი ს ი ფრინველი. მ ი ს ი თევზი. ქალს მოეჩვენა. თითქოს იმ ხალხის ხმა, ცოტა ხნის წინათ რომ მღეროდნენ აქ, კვლავ ისმოდა, სიმღერა ჯერ კიდევ ყღერდა მის ყურში, ეფინებოდა ჭაობს.

იხვების დამფრთხალმა გუნდმა დაბლა გაუქროლა საძოვარს.

— ნურაფრისა გეშინიათ, — დაიჩურჩულა ახალგაზრდა ქალმა, — ი ს აქ აღარ არის.

დიდხანს იდგა როზა მდინარესთან ბინდში და ყურს უგდებდა მიმწყდარ სიმღერას, სროლის მიმწყდარ გრგვინვას და ფიქრობდა მ ი ს ი ხელით დახოცილ ფრინველზე.

მალე შემოდგომა მოვა.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

მ თ ა ვ ი ლ ა შ ქ რ ო ბ ი ს წ ი ნ

ძთაში წასვლის წინ, ბიარტურმა მოშვებული წვერის გაპარსვა გადაწყვიტა. მთელი ზაფხული მის სახეს სამართებელი არ მიკარებია. ვერ დავმა-

ლავთ, რომ ეს ცერემონია ჭირივით სძულდა ბიარტურს და წვერის პარსვისას საშინლად იგინებოდა. მაგრამ ახლა ამას ვერაფრით თავს ვერ დააღწევდა, რადგან ახლოვდებოდა ცხვრის დღე. გარდა ამისა, ერთი უსიამოვნება კიდევ ელოდა. ბიარტურის ცოლს ეშინოდა ხუტორში მარტო დარჩენა: რას იზამ, გულით ავადმყოფია. ბიარტურს სამი დღე მოუხდებოდა მთაში ცხვრის ძებნა, იქიდან სხვა გლეხებთან ერთად ქალაქს უნდა წაესხა გასაყიდი ბატკნები. ცოლმა კი გამოუცხადა, არასგზით არ დავრჩები მარტო ხუტორში, თუ ძაღლს არ დამიტოვებო. მთაში წასვლა უძაღლოდ, მთის მწვერვალზე უფეხოდ ასვლას უდრისო, მიუგო ბიარტურმა. როზა აღარ ჩააცივდა. მაშასადამე, ერთი გზა დარჩენია. უნდა წავიდეს უტირედსმირში, ამ მიყრუებულ კუთხეში. სადაც ავი სულები ბუდობენ, მარტო რა გააჩერებს. ბიარტურისთვის იმის გაფიქრებაც კი აუტანელი იყო, თუ თვითონ, ან მისი ცოლი ოდესმე. დახმარებას ითხოვდნენ უტირედსმირში, ამიტომ შეპირდა ქალს, ძაღლის ნაცვლად ბატკანს დაგიტოვებო, ცოტა ხნის წინათ ცხვრის პატარა ფარაში რომ ნახა, ბუნწია. წვერის პარსვას რომ მორჩა ბიარტური. ბატკნის საძებრად წავიდა, ტიტლას დახმარებით დაიჭირა და საღამოს შინ მოჰგვარა ცოლს. ბატკანი საკოვრის ნაპირას, ღობეზე მიაბა, სასელიც შეარქვა: „გუდლბრაუ". მაგრამ იმ ღამეს როზამ თვალი ვერ მოხუჭა, ბატკანი გაუჩერებლად ბღაოდა, ვერ გაეგო ხალხის უცნაურობა და ახირება.

ჯერ სად იყო განთიადი, მწყემსებმა რომ მოაგელვეს ცხენები, ყველას თავთავისი ძაღლი მოსდევდა. ბიარტური ღია კარში იდგა, შარვალი წინდებში ჩაეტანებინა და რაღაცნაირი საზეიმო იერი ჰქონდა, სიამოვნებისაგან გაბრწყინებულმა ჩამოუარა სტუმრებს, სათითაოდ ჩამოართვა ხელი და ყველაზე მიიპატიჟა. ბევრს უნდოდა მისი სახლის დათვალიერება, ზოგი ზევით აეცა როზასთან, კვამლით სავსე ოთახში, ხალხს ძაღლებიც მიჰყვნენ, მაგრამ სწორად აყუდებულ კიბეზე წკავწკავით ჩამოცურდნენ ქვემოთ.

— აი ჩემი სასახლე, — უთხრა ბიარტურმა სტუმრებს, — ვალს ჯერჯერობით პირიანად ვიხდი.

— ზოგს მაგდენიც არ ებადა საქმის წამოწყებისას, რაც შენა გაქვს და მაინც გზაზე დადგა, პატივისცემა დაიმსახურა, — თქვა მთების მეფემ. თვითონაც იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც ერთ დროს არა ებადა რა, ახლა კი ხალხში გამოვიდა, მრევლის მნათე იყო, ძაღლების მკურნალის თანამდებობაც ეჭირა და ვინ იცის, ეგებ მომავალში ბედმა გაუღიმოს, სამრევლო საბჭოშიც გავიდეს.

— გადმოცემა ამბობს, ხუსავიკელმა იოუნმა ეშმასგან ნაბოძებ ერთ

მტკაველ მიწაზე მიჰყო ხელი მეურნეობასო, — დაუფიქრებლად წამოაყრანტალა ერთმა ახალგაზრდამ. ეს ყმაწვილი შეძლებული ოჯახიდან იყო.

— აბა, ყმაწვილებო, მოცოცხეთ აქედან, — დაუტატანა მთების მეფემ ახალგაზრდებს.

ძალიან გაბრაზებული იყო ამ ყმაწვილებზე და სახლიდან უნდოდა გაებრძანებია. აქეთ რომ მოდიოდნენ და ალმართს შეუდგნენ, თურმე ბიჭები უკან მოექცნენ. დააოთხეს ცხენები და მთების მეფის ცხენს მიერეკებოდნენ. ჭაობში კი დაწინაურებულან, სულ მხეფებს აყრიდნენ, ჰოდა ამიტომ არაფრად ეპიტნავებოდა ყველა ვიგინდარასთან ერთად სუფრასთან ჯდომა და ყავის სმა. მას დარბაისელ ხალხთან უყვარდა მასლაათი, იმათთვის არაყსაც არ დაიშურებდა. აქ კი ყველა ნარჩიელას უნდა გაუყადროს თავი, ღარიბ ხუტორელებს, მოჯამაგირეები რომ არა ჰყავთ და მთაში ცხვრის შესაკრებად თვითონ მიდიან. ამ ნარჩიელებში ერია ნიდურკოტელი ბერიკაცი ტოურდურიც, ბიარტურის სიმამრი. ბერიკაცმა ბევრი შვილი დაჰკარგა, გადარჩენილ შვილთაგან კი არავითარ სიხარულს და შემწეობას არ ელოდა. თავისი ერთადერთი ოცნების (საკუთარი წისქვილის) მარცხიც იგემა და გადაიტანა, მაგრამ ამდენ უბედურებას მისი გული არ გაუბოროტებია, როგორც ეს საერთოდ ხდება. ეხა, ტოურდური ყოველგვარ განსაცდელს ფილოსოფიური სიმშვიდით და ღვთისმოსაური მორჩილებით ხვდებოდა. ახლა მისი საყვარელი უმცროსი ქალიშვილის სახლში კვამლიც კი რაღაცნაირი განსაკუთრებული ეჩვენებოდა და ბერიკაცს ცრემლი მოერია. როზამ მამას ხელი შეაშველა კიბეზე ამოსვლისას, სახით მიეკრა ქარდაკრულ, ჭაღარა, აბურძგნული წვერით დაფარულ ლოყაზე.

— დედამ მთხოვა, გულითადი სალამი და ეს პატარა საჩუქარი გადავცე მის ქალიშვილს, — თქვა ტოურდურმა და როზას ცხვირსახოცში გამოკრული, ნახევარი გირვანქა შაქარი და ყავა გაუწოდა.

როზა ვეღარ მოსწყდა მამას, გულში ჩაეკონა, წინსაფრის ბოლოთი იწმენდდა თვალებს, მის საქციელში ისე დიდი უშუალობა და ბავშვური გულთბილობა იყო, რომ ბიარტური გაოცებული შეჰყურებდა, თითქოს პირველად ხედავსო როზას. ქალმა წამით გადაიყარა უგუნებობა, სევდა-ნაღველი, თითქოს პატარა გოგოდ გადაიქცა და არ რცხვენოდა თავისი გრძნობის გამომჟღავნებისა.

— შამიკო, ჩემო ძვირფასო, საყვარელო! — იმეორებდა როზა, — როგორ მომენატრე, რომ იცოდე!

ასე თქვა როზამ. ბიარტურს ფიქრადაც არ მოსვლია, თუ მის ცოლს მამა ენატრებოდა, ელოდა მშობელს და როცა დაინახა, როგორი ბავშვური ალერსით ეკვროდა ქალი მამას, ისევ გაჰკრა უსიამოვნო ეჭვმა, როგორც ქორწილის

ლამეს — რომ მისი მეუფება, მეუფება უშენის მფლობელისა, არცთუ იმდენად განუსაზღვრელი იყო, როგორც მას უნდოდა და წარმოედგინა.

კაცები ჩამოსხდნენ, სათუთუნე ამოიღეს და ამინდზე გააბეს მასლაათი. სერიოზულად, საქმის დიდი ცოდნით, როგორც ყოველთვის, ერთი და იგივე გამოთქმებით მსჯელობდნენ ამ საკითხზე. ზამთრის თვეების საერთო მიმოხილვას რომ მორჩნენ, მერე გაზაფხულის თვეებზე გადაიტანეს საუბარი, ბეღდეგ ცხვრების, ბატკნების, მატყლის შესახებ ილაპარაკეს, ბოლოს კი ზაფხულის ამინდზე. არჩევდნენ ყოველ ცალკეულ კვირას. ერთიმეორეს უსწორებდნენ, ასე რომ სიზუსტეში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. იხსენებდნენ დროის ცოტა თუ ბევრად მნიშვნელოვან მონაკვეთს, როდის იდგა მშრალი ამინდი, როდის გაავდრდა ან შტორმი ამოვარდა, იხსენებდნენ, ვინ რას ყარაუდობდა ამინდზე, მაგრამ მიუხედავად მათი ვარაუდებისა, ყველაფერი თავის რიგზე წავიდა. ყოველმა მათგანმა გადაიტანა თავისი მსოფლიო ომი ულმობელი სტიქიის წინააღმდეგ. ზოგმა მოახერხა თივის აღება და შინ გადახიდვა, ვინ მშრალი მიიტანა, ვინ წვიმისგან დასველებული. ზოგს ჯერაც არ ჰქონდა აღებული თივა, ზოგს ქარმა გაუფანტა, ზოგს კიდეე წყალმა წაართვა.

მთების მეფის გარდა, იმ დღეს ბიარტურის სახლში სულ ღატაკი გლეხები შეიყარნენ, არც ერთს არა ჰყავდა მოჯამაგირე, ამის საშუალება არა ჰქონდათ, სჯერდებოდნენ თავისი მოზარდი შვილების, მოხუცების, ჭკუასუსტებისა და ოჯახის სხვა დაუძლურებული წევრების დახმარებას.

— თხუთმეტი წელიწადი მეც ისე ვუძღვებოდი მეურნეობას, მოჯამაგირე არ მყოლია, — თქვა მთების მეფემ, რომელსაც საშუალო შეძლების გლეხად თვლიდნენ, — და გულახდილად თუ ვიტყვი, სწორედ ის იყო ჩემი ყველაზე საუკეთესო წლები. მოჯამაგირეების ხელფასი ისეთი ხარჯია, ვისაც გინდა გააკოტრებს.

უნდირხლიდელი ეინარი სულ სხვა აზრისა იყო. მისი ფიქრით, თუ კაცს მოჯამაგირე არა ჰყავდა, მის ცხოვრებას ცხოვრება არ ეთქმოდა. ეს არის ძალლური ცხოვრება სხეულისთვის და შიმშილით სიკვდილი სულისთვისო.

— ეჰ, ჩემო ეინარ, შენ მაინც არ გეთქმის საყვედური, — უთხრა ეინარს გილიელმა კრუსიმ, — ვიდრე სტეინი შინა გყავს, მანამ არა გიჭირს რა.

ეგ არც ისე დიდი ნუგეშია ჩემთვისო, თქვა ეინარმა. განა შინაურები უცხოებივით არ თხოულობენ გასამრჯელოს? გარდა ამისა, მიწა ზღვას ვერასოღეს ვერ გადასძლევს, და სტეინიც, დღეს თუ არა ხვალ ფეხს იბრუნებს შინიდან, ისიც იქით წავა, საითაც სხვებმა მოუსვეესო.

— შეღერებას ვერც კი მოასწრებენ ხეირიანად, რომ მათი კვალი გამქრა-

ლია. მიწა მიწაა, ზღვა კი ზღვაა. მაგალითისათვის ავიღოთ ურდარსელელი განსვენებული ტოურარი. სამი ვაჟიშვილი ჰყავდა, ზორბა, მოსული ბიჭები, ჯერ ასაკში არც კი იყვნენ შესული, ზღვისკენ რომ გაუწიათ გულმა. მიატოვეს დედ-მამა და წავიდნენ. ერთი დაიხრჩო, ორმა ამერიკაში ამოჰყო თავი. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ორიოდ სიტყვა მაინც მოსწერეს დედას ამ გაზაფხულზე, მამა რომ გარდაეცვალათ? თქვენც არ მომიკვდეთ, არც უფიქრიათ. ორიოდ კრონიც არ გაიმეტეს ქვრივი დედის სანუგეშოდ. ახლა დედაბერმა და მისმა ქალიშვილმა ხუტორი პასტორს დაუთმეს და გუდმუნდური ინახავს მათ. -- ეინარი ფიქრობდა, მეც ეს ბედი მეწევაო. ორი ვაჟიშვილი უკვე გამოეხლოვა. სტეინიც აღარ ემორჩილებოდა. გილიელი კრუსი კი ამბობდა, ბავშვები არც ისე დიდი უბედურებაა, მოხუცებია რაც არის, მგლის მადა აქვთო. აი, თუნდაც მამამისი, ოთხმოცდახუთი წელიწადი იცოცხლა და შარშანდლა გარდაიცვალა.

— ყველამ კარგად იცით, რომ მე სიდედრის შენახვა დამაკისრეს. მართალია, პატარა შეღავათი კი მომცეს, ბეგარა შემიმცირეს, მაგრამ ქალი უკვე ოთხმოცდაორი წლისაა, სიბერისაგან ისე გამოჩურჩუტდა, რომ მოსვენება აღარ არის მისგან. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ზაფხულს სამზარეულოდან მთელი ჯამ-ჭურჭლის გამოტანა მოგვიხდა. გადამალვა აიჩემა, გადაირია ამაზე, ხან სად შეჩურთავდა ნივთებს, ხან სად. მიდი და ეძებე.

— თავის დროზე კი, რა მარჯვე ქალი იყო, -- სიტყვა ჩაურთო ჩიდურკოტელმა ტოურდურმა.

— ეჰ, ჩემო კეთილებო, თქვენ რა გეთქმით, — დაიწყო გილტეიგელმა ტოურირმა სდეინკას მამამ, იმ სდეინკასი, გაზაფხულზე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თავისი მამა ბაბუად რომ გახადა. — ვაჟიშვილები თავის თავს თვითონ მიხედავენ, საითაც არ უნდა გადასტყორცნოს ბედმა, არც მოხუცების ყოლაა ოჯახში დიდი უბედურება, თუმც ზოგი მათგანი მართლაც ცას შეაბერდება ხოლმე, მაგრამ იმათაც უწევს თავისი ჯერი. ქალიშვილები კი, კეთილო ხალხო, ქალიშვილები! აი, სად ტრიალებს ცოდო-ბრალი. იმათ გადამკიდეს საზრუნავი არასოდეს გამოელევა. არ მშურს იმათი ბედი, ვისაც ამ მძიმე დროში ქალიშვილი ჰყავს. თქვენ გგონიათ შინნაქსოვი შალის კარგ წინდებს დაგჯერდებიან? ნურას უკაცრავად. კოხტაობა, პეწიანად ჩაცმა ნებავთ, მშობლებს სულ ეკინკლავებიან, კრიჭაში უდგანან.

– არც ეგრეა საქმე, ტოურირ, ქალიშვილებისგანაც ბევრ სიხარულს ხედავენ მშობლები, — შეესიტყვა მთების მეფე. — აბა, რა სჯობია, როცა ოჯახში უდარღელი, მხიარული არსება დაცქრიალებს?

— ნეტა რა არის მაგაში სასიხარულო? თუ საშუალება არა გაქვს, ჯიბეს

ვერ გამოუტენი ფულით, რომ თავის გემოზე ფლანგონ ქალაქში, ამას თუ ვერ მოახერხებ, ვაი შენი ბრალი, ატყდებიან, სამხრეთში გაგვიშვი, მოახლედ დავუდგებით ვინმესო. ჰოდა თუ არ გაუშვებ, აი მაშინ გამოიჩენენ თავს. ბამბის ძაფის თხელ წინდებს მოგთხოვენ. მერედა, არ იკითხავთ რა წინდებია? ხალხის გასაყვლეფად თაღლითების მიერ მოგონილი. ასეთ ძონძში უნდა გადაყარო ტანჯვით ნაშოვნი ფული. ათბობდეთ მაინც. ის ოხერი, იმ სიგრძეა, საზარდულამდე სწვდებათ, სითბო კი სულ არ აქვს. თანაც თვალი თუ ჩაუვარდა, მოგვამა ჭირი, რაღა ფასი აქვს, გადასაგდებია. ჩემს ახალგაზრდობაში, ქალს თუ წინდა პერანგის ამხანაგამდე სწვდებოდა, ვითომ რა უჭირდა. მაშინ ასეთი ურცხვი როდი იყვნენ ქალები, განა ასეთ მოკლე კაბებს იცვამდნენ, როგორც ახლა?

— მართალი ხარ, — კვერი დაუკრა მთების მეფემ, — მაგრამ, მე ოუ მკითხავ, ეგ არც არის ურიგო. რომ კაბებზე ახლა ნაკლები ქსოვილი ეხარჯებათ ქალებს. ვიდრე უწინ.

— ჰოდა, რა მოჰყვება ამას? სარწმუნო წყაროდან ვიცი. რომ ახლანდელ ქალიშვილებს ბამბის წინდებიც აღარ ეპიტნავებათ! როგორც ყური მოვკარი, თურმე ერთ ქალიშვილს უყიდია... როგორ ფიქრობთ, რა? აბრეშუმის წინდები, გესმით? — თქვა ტოურირმა.

— აბრეშუმისა?!!

— სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. აბრეშუმის წინდები! სუფთა აბრეშუმის ძაფისა. იმ ქალიშვილსაც დაგისახელებთ: პასტორის შუათანა გოგო გახლავთ, შარშან რეიკიავიკში რომ იყო წასული.

— მოუგონეს, ალბათ. — ულვაშში ჩაიდუდუნა ნიდურკოტელმა ტოურდურმა.

— მართალია, ჩემს სდეინს ცოტა ნაკლი არა აქვს, მაგრამ სხვებზე მატყუარა როდია. დაიფიცა, საკუთარი თვალით ვნახეო. ქალიშვილები კოპწიაობისთვის ჯერ ქვედაწელს იხდიან, მერე ბამბის თხელი წინდები მოუნდებათ. წყვილი ასეთი წინდის ფასად ბატკანს იყიდი კაცი, მერე კაბებს იმოკლებენ და რაკი ურცხვობას იადვილებენ, დიდი დრო არ გავა, ყველა აბრეშუმის წინდას მოგთხოვს. იქნებ მალე ქაედაწელიც გაიხადონ.

— შვიდი წელი ხდება. რაც შარვლის ყიდვა მინდა და ვერ მომიხერხებია. — ჩაიბურტყუნა ტოურდურმა. — ასეთი მოდა კარგს არაფერს მოგვიტანს, დაგვაჭლექებს და ეგ იქნება. თუ ხალხი სინდისს დაჰკარგავს, თუ დედაკაცები ნამუსზე ხელს აიღებენ, რაღა ხეირს უნდა ველოდეთ. ბევრ მამას ძვირად დაუჯდება ქალის ასეთი ფუქსავატობა, წელში გაწყდებიან, აბა რა მოუვათ.

— პასტორის ქალიშვილებს რა ენაღვლება, გაჭირვება რა არის, არ იციან, — თქვა ვიღაცამ.

— ასე გახლავთ, ასე, — კვერი დაუკრა ტოურირმა, — პასტორს რა უჭირს, როცა ხაზინა ყოველი წლის დამდეგს ათას ხუთას კრონს ჩაუჩხრიალებს ხოლ-მე ჯიბეში. მერედა რისთვის? ათასნაირი ობროდობისთვის! აი, მესმის ცხო-ვრება! ჩვენსავით ხომ არ წყდება წელში.

— არა, ეგ შეუძლებელია, — თქვა ნიდურკოტელმა ტოურდურმა, — ათას ხუთას კრონს როგორ მისცემენ. შეპირდებოდნენ მხოლოდ.

— მე ჩემი სიტყვა უკან არ მიმაქვს, — უპასუხა ტოურირმა.

— მაგ ბებრუხანას თავისი კარგი მხარეებიც აქვს, — საუბარში ჩაერია ბიარტური. არ მოსწონდა, როცა პასტორზე ვინმე აუგს იტყოდა, რადგან დი-ღად აფასებდა ცხვრის კარგი ჯიშის გამოყვანისთვის, — ჩინებული ცხვარი ჰყავს მაგ ბებერ ობროდს, მიუხედავად იმისა, რომ სწავლულია. მართალი გითხრათ, მარჩევნია პასტორის ერთი ცხვარი ჩავიგდო ხელთ, ვიდრე მისი სამი-ვე ქალიშვილი, გინდაც ათას ხუთასი კრონი ზედ დამისართონ. ჰო, სიტყვამ მოიტანა და, ხომ არავის გაგიგიათ, ამ შემოდგომაზე ქალაქში როგორია ხორ-ცის მაზანდა?

მთების მეფემ უამბო, რაც გაეგონა ამის თაობაზე, მაგრამ როცა საქმე ფა-სებს ეხება. ყურმოკრულს ძნელად ენდობა კაცი. კელდელმა ჰროდლაუგურ-მა, რომელსაც მამასახლისის ერთ-ერთი ხუტორი იჯარით ჰქონდა აღებული, თქვა, ისევ მირელ იოუენს მივყიდი ცხვარს, იჯარისა მაინც უნდა გადავუხა-დოო. განსხვავებას კი, რა თქმა უნდა, ბებერი მელა ნაღდ ფულად მისცემს. მართალია, მცირე ფასს აძლევს, მაგრამ ჰროდლაუგურს მაინც დღეანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს. ფიორდში ხომ ფულს თვალით ვერა-ვინ ხედავს, იქ მუდამ ვალშია კაცი.

ბიარტური არ უარჰყოფდა, რომ კარგია, თუ კაცი ნაღდ ფულს ხანდახან მაინც მოიგდებს ხელში, მაგრამ თუ საკითხს ისე დააყენებენ, ვისი ვალი სჯო-ბია კაცმა დაიდოსო, მას მაინც ურჩევნია ბრუნის მოვალე იყოს. მამასახლის-თან გარიგებისას, მამასახლისის მეტი ფულს ვერავინ ხედავს, კარგად ახერ-ხებს ხელის მოთბობას, დიდ სარფას ნახულობს იმათგან, ვისაც ბრუნი კრე-დიტზე უარს ეუბნება. აქვე, ადგილზე აძლევს იმის მესამედს, რასაც მათ ბრუნი ფიორდში მისცემდა. მერედა, რამდენს იგებს, როცა ჩალის ფასად ნაყიდ საქონელს ვიკში ასაღებს? ბრუნიზე ორჯერ მეტს იგებს. ასობით, ბი-თუმად ჰყიდის ცხვარს, მაშინ როცა სხვები ოც-ოცს ძლივს გაჰყიდიან. სავაჭ-რო ფირმასაც თვითონ უდგენს ფასს.

— არა მგონია, მთლად ასე იყოს, — დაეჭვდა ნიდურკოტელი ტოურდუ-რი, რადგან მას დიდი გაქანებისა არაფერი გაეგებოდა და არცა სწამდა, — წარმოუდგენელი რისკია, ძვირად დაუჯდებათ მათ, ვინც სამხრეთისკენ გა-

რეკავს ცხვარს, გზაში არ შეიძლება პირუტყვი არ დავარდეს და ზარალი არ ნახონ.

მთების მეფე ამტკიცებდა, ბრუნის კრედიტს ბევრი დაუხსნია გაჭირვებიდანო, ბრუნი მუდამ ზრუნავს იმაზე, რომ მისმა მუშტრებმა როგორმე გაიტანონ თავიო. აბა, თუ ვინმეს გაუგონია, გლეხისთვის ბრუნის უარი ეთქვას. თუ მისი ნდობა აქვს? მართალია, ასეთ მძიმე დროში, ნაღდი ფულით ანგარიშის გასწორება არც ბრუნის უყვარს. დიდი ხანია მისგან გროშიც არავის ახსოვს, გარდა ამისა, კარგ საქონელსაც ხელს უჭერს. მაგრამ მისი მუშტრები მაინც შედარებით უზრუნველყოფილი არიან. თუ განსაკუთრებული რამ არ შეემთხვათ. ისე კი, გაზაფხულობით, გასაჭირს ვერავინ დააღწევს თავს. თუმცა, დაასკვნა ბოლოს მთების მეფემ. ყველაფერი ფულზე როდია დამოკიდებული, ზოგს ფული თვალითაც არ უნახავს და მაინც გზაზე ადგა, სალაში გამოვიდაო.

— ჰო, ვიდრე არ დამვიწყებია, — გაბაგრძო მთების მეფემ. — ამ გაზაფხულზე. თინგზე ოლქის მოსამართლე შემხვდა და მკითხა, ხომ არ გეგულება ისეთი კაცი, ძაღლის მკურნალობისა რამე გაეგებოდესო.

— კარგი იქნება, თუ ამაზე იზრუნებენ, — თქვა ბიარტურმა, — ძაღლების მოვლა სჭირდება. თუ გახსოვთ, ჩემს ქორწილში ვთქვი, ტიტლს მე თვითონ ვუწამლებ-მეთქი, ასედაც გავაკეთებ, თუ შენმა ძველისძველმა მიქსტურამ ვერაფერი უშველა.

— ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ ოლქის ექიმის წამალი უვარგისია? — შეაწყვეტინა ბიარტურს მთების მეფემ ოფიციალური ტონით, — ეს წამალი მეცნიერული წესების მიხედვით მზადდება. მაგრამ, რა თქმა უნდა, იმის თავდები ვინ იქნება. რომ წამალს ყოველთვის დანიშნულების მიხედვით და წესიერად აძლევენ პირუტყვებს. აი რატომ მიაჩნია საჭიროდ ოლქის მოსამართლეს ჩემთვის საიმედო თანაშემწის დანიშვნა.

გლეხებმა ერთხმად გადაწყვიტეს. ხასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო, რადგან ამ გაზაფხულზე უტირელსპირშიც გაჩნდა რეტიო.

— რამეს მოვისაზრებთ, — ისეთი კილოთი თქვა მთების მეფემ, თითქოს ამბობდა, დაკისრებული პასუხისმგებლობა შეგნებული მაქვსო. — ძაღლების მკურნალობა მნიშვნელოვანი საქმეა. მაგრამ საკმაოდ საზიზღარიცაა, როგორც საერთოდ ექიმის სამუშაო. საქმიანი კაცია საჭირო, ადვილი შესაძლებელია იმასაც მივაღწიო, რომ მოსამართლეს თანაშემწისათვის კარგი ხელფასი დავანიშნინო. თუმცა, ამაზე ჯერჯერობით ნუ ვილაპარაკებთ.

— მამასახლისი ხომ არ დაენიშნოთ მაგ ადგილზე? — იკითხა ბიარტურმა,

მას ხომ მირის ხსოვნა გულში ხინჯად ჰქონდა ჩარჩენილი. — ჩემის აზრით, იოუნი ურიგო თანაშემწეობას არ გაუწევს ძაღლების მკურნალს.

გლეხებმა ბიარტურის წინადადება ხუმრობად ჩათვალეს, ხმა არავის ამოუღია. დაცინვით ჩაიფრუტუნეს მხოლოდ და დაიღრიჯნენ.

ამ დროს შემოვიდა როზა, ყავა შემოიტანა, ფინჯნები არ ეყოთ და სტუმრებმა რიგრიგობით დალიეს.

— მიირთვით, — სთხოვდა ბიარტური სტუმრებს, — იმის შიში ნურავის გექნებათ, რომ ნაღებისაგან მუცელი აგეშალოთ. ყავა კი არ დაგვიშურებია.

— დანიური ნაღები ხომ არ გავსინჯოთ, — თქვა მთების მეფემ და უბის ჯიბიდან ძათარა ამოაცოცა. ამოაძრო საცობი და გლეხებს გახევებული გაცრეცილი სახე ნეტარი ღიმილით გაუბრწყინდათ, — მთაში წასვლის წინ მეგობრებსა ყოველთვის სიხარულით ვუმასპინძლდები, — ბრძანა მოების მეფემ და ფინჯნებში ცოტ-ცოტა არაყი დაუსხა ყველას, — ვინ იცის, იქნებ ამ ჩემმა მეგობრებმა მეც რამით მასიამოვნონ დაბაში. უკანასკნელ წლებში გლეხობის უფრო მოუჭირეს მარწუხები, სულსა ხდიან მძიმე ბეგარით. თქვენ ეს სხვებზე უკეთ იცით. მაგრამ ეგებ საქმე ისე შეტრიალდეს, რომ ახლო მომავალში ღატაკებმა თავისი წარმომადგენელი გაიყვანონ სამრევლო საბჭოში. თუმცა, ამაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ.

— ნამცხვარი მიირთვით, მეგობრებო, — სთავაზობდა ბიარტური სტუმრებს. — ნუ გენანებათ ეგ ოხერი შაქარი, შეექეცით. როზა, ერთი ფინჯანი ყავა კიდევ დაუსხი ჩვენს მთების მეფეს.

— მაშ ასე, მეგობრებო, — თქვა მთების მეფემ, არაყი რომ ჩამოარიგა,— მართალია, ამ ზაფხულს ამინდმა გიმტყუნათ, მაგრამ ვიცი, თიბვის დროს მაინც შეიხზავდით ლექსებს.

უფროგო არ იქნება, კარგი ლექსების მოსმენაო,— მხარი აუბეს მთების მეფეს სხვებმა.

— როგორც მოგეხსენებათ, — სიტყვა ჩაურთო ეინარმა, — ოსტატურად გარითმული ლექსების მოყვარული არ გახლავარ, თვითონაც ვთხზავ ხანდახან ბატარა, ღმნიშვნელო ლექსებს, მაგრამ მე იმდენად რითმას არ მივდევ, რამდენადაც ჭეშმარიტებას.

ყველამ კარგად იცოდა, რომ ზაფხულის სავანელი ბიარტური დიდად არ აფასებდა ეინარის პოეზიას, თვითონ უძველეს საგებზე იყო აღზრდილი, სათაკილოდაც კი მიაჩნდა ფსალმუნების წერა, ახალმოდურ პოეზიასაც აბუჩად იგდებდა ისევე, როგორც ყოველგვარ სხვა ახირებულ, უცნაურ ფანტაზიებს.

— მამაჩემს, — დაიწყო ბიარტურმა, — ძალზე უყვარდა ლექსები, ოსტატურადაც თხზავდა. მისგან ჯერ კიდევ ბავშვობაში ვისწავლე ლექსთაწყობის

საიდუმლოება. მას მერე მივდევ ამ წესებს, მიუხედავად თანამედროვე სკალდების ახალმოდური გამონაგონებისა, როგორიც მაგალითად უტირედსმირელი ფრუს ლექსებია. მამამ ლექსების შვიდი კრებული დამიტოვა და უნდა მოგახსენოთ, რომ იმ დროს ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი ოსტატები იყვნენ, მკაცრად იცავდნენ ზომას, მათ ოთხი პწკარის მეტი არ სჭირდებოდათ ერთი სტროფისათვის, რანაირ კილოზეც არ უნდა წაგეკითხათ ის ლექსები, აზრს მაინც არ ჰკარგავდა. მაშინდელი პოეტები სევდა-კაეშანს ან ცრემლთა ფრქვევას როდი უგალობდნენ, ფსალმუნების შეთხზვას პასტორებს უთმობდნენ. ისინი არაფერზე არ ჩიოდნენ, მკერდში მჯიღს არ იცემდნენ. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ულფარის ლექსები, დიდ ბრძოლებს, გულოვანი ხალხის ბრძოლებს რომ აგვიწერს. აი ვინ იყვნენ ჭეშმარიტი გმირები. ისინი ქალის წინ მუხლებზე როდი ხოხავდნენ, როგორც თანამედროვე პოეტები. მაგრამ თუ რომელიმე ბზეთუნახავის სახელს ყურს მოჰკრავდნენ, ცხრა მთას იქით რომ ყოფილიყო ის ქალი, მაინც დაადგებოდნენ გზას იმ ქალის ხელის მოსაპოვებლად, იპყრობდნენ ქვეყნებს, ხალხს. მათ განვლილ გზაზე გვამთა მთები რჩებოდა.

გლეხები გამუდმებით პოეზიაზე კამათობდნენ, მაგრამ ყველას თავთავისი აზრი ჰქონდა. ზოგს უძველესი, ჰეროიკული სულისკვეთებით განმსჭვალული პოეზია იზიდავდა, ზოგიც საეროს ან საღვთო პოეზიას ანიჭებდა უპირატესობას. ისე გაიტაცებდათ ხოლმე კამათი, რომ საკუთარი ლექსების წაკითხვას ვეღარც კი ასწრებდნენ.

— ვისაც თავსატეხი ლექსები უყვარს, ისინი უმეტეს შემთხვევაში ქედმაღლობენ, თავის თავს იმათზე მაღლა აყენებენ, ვინც ადამიანის სულისთვის წერს, — თქვა ეინარმა.

ბიარტურმა უპასუხა, რომ არასოდეს დიდ სკალდად არა თვლიდა თავს, მაგრამ სძაგს ცუდად შეთითხნილი ლექსები. ლექსი ოთხტაეპიანი მაინც უნდა იყოს, წრიული რითმითო.

— მე რომ სკალდი ვიყო, — თქვა ბიარტურმა, — ხალხში არასოდეს არ გავავრცელებდი ისეთ ლექსებს, რომლებშიც სამ შინაგან რითმაზე ნაკლები იქნება.

მთების მეფე მიხვდა, რომ მისმა მაგარმა სასმელმა აღაგზნო და გააცხარა გლეხები. მაგრამ რაკი ახლა ამ საკითხზე მსჯელობის დრო არ იყო, ამიტომ გადაწყვიტა კამათი შეეწყვიტა და გლეხებს მიმართა:

— მე მგონია, არ დამემდურებით, თუ კამათში ჩავერევი და ჩემს აზრს მოგახსენებთ. მართალია, თავის დღეში ლექსი არ დამიწერია, მაგრამ ვფიქრობ, რომ პოეტები საშუალო გეზს უნდა მისდევდნენ ჭეშმარიტების სიყვა-

რულსა და რითმებში. რითმაში უნდა მოაქციონ ის ჭეშმარიტება, რისთვისაც თავის გამოდება შეუძლიათ და ხოტბა არ უნდა შეასხან ჭეშმარიტებას, თუ მას რითმაში ვერ მოაქცევენ.

— თუ ჭეშმარიტება რითმაში ვერ თავსდება, მაშინ ის ჭეშმარიტება აღარ არის. თუ რითმა სწორია, თავისთავად უკვე ჭეშმარიტებაა, — თქვა ბიარტურმა.

— ეს კი ნამდვილად გაუგებარია ჩემთვის, — წამოიძახა ეინარმა, — მიკვირს ასეთი სიტყვები თქვენისთანა ჭკვიანი ხალხისაგან, რითმა მუდამ რითმად რჩება, ჭეშმარიტება — ჭეშმარიტებად.

ისტადალელი ოულაფური გულგრილად უგდებდა ყურს მათ კამათს. მას უფრო მეცნიერულ საკითხებზე მსჯელობა და რთული პრობლემების გადაჭრა უყვარდა. უნდოდა საუბარში ჩარევა, თავისი წვლილის შეტანა, ასეთ სიამოვნებას ვერ დასთმობდა და როგორც კი დრო იხელთა, მარჯვედ ჩაურთო:

— დიახ! ჭეშმარიტად ბევრი უცნაური მოვლენაა ქვეყნად! ამბობენ, მომავალ წელს აღდგომა შაბათ დღეს მოუწევსო...

ერთ ხანს ყველა დუმდა.

— შაბათს? — ჩაფიქრებით გაიმეორა მთების მეფემ. — შეუძლებელია. აღდგომა მუდამ კვირა დღესაა.

— მეც ასე მეგონა, — ზეიმურად განაცხადა ოულაფურმა. — ოღონდ, რაც ახლა გითხარით, ჩემი შეთხზული არ გეგონოთ, ალმანახში წავიკითხე. ხალხთა მეგობრობის კავშირის ალმანახში თეთრ ქაღალდზე შავი ასოებით წერია, აღდგომა მომავალ წელს შაბათ დღეს ხვდებაო.

— შეცდომა იქნება, — თქვა მთების მეფემ.

— შეცდომა ალმანახში? რა ბრძანებაა. ასეთი რამ როგორ მოხდება. ნუთუ ალმანახში შეცდომა გაეპარებათ? ვიფიქრე, ვიფიქრე ამაზე და აი, რა გადავწყვიტე: ამ რამდენიმე წლის წინათ პასტორ გუდმუნდურის სახლში გავათიე ღამე და მახსოვს, ერთ ძველ წიგნში წავიკითხე, ხანდახან ხდება, რომ მზე ცოტა ხანით ყოვნდებაო. თუ ეს მართალია, ასეთ შემთხვევაში დროც უნდა ჩამორჩეს. აკი ბიბლიაშიც ნათქვამია, რომ ოდესღაც მზე გაჩერდა.

— ჩემო კარგო, ოულაფურ, — უთხრა ბიარტურმა, — ძე-ხორციელს არ გაუმხილო, რომ გჯერა ეგ. ფრთხილად უნდა მიუდგე იმას, რასაც წიგნებში წერენ. პირადად მე არასოდეს არ ვენდობი წიგნებს, ყველაზე ნაკლებ კი ბიბლიას. ვის შეუძლია შეამოწმოს, მართალი წერია იმ წიგნში, თუ ტყუილი? წიგნში, რამდენიც გინდა, იმდენ ტყუილს იპოვი. შენ ხომ იქ არ იყავი... დრო რომ მართლაც ჩამორჩებოდეს, მაშინ იმით დამთავრდებოდა, რომ აღდგომა შობა დღეს მოუწევდა.

— მე მხოლოდ იმას ვეყრდნობი, — თქვა მთების მეფემ, — რასაც ისტორია გვასწავლის. იესო ქრისტე მკვდრეთით აღსდგა კვირა დილას, მაშასადამე, აღდგომა კვირას იწყება, დამოუკიდებლად იმისა, წინ მიდის დრო, თუ ჩამორჩება.

— არ ვიცი, — სიტყვა შეაგება ბიარტურმა, — როდის აღსდგა ქრისტე, ვინ ესწრებოდა ამას? უთუოდ რამდენიმე ისტერიული დედაკაცი. მერედა, განა შეიძლება ისტერიულ დედაკაცებზე დანდობა? მაგალითისათვის გეტყვით: ამ რამდენიმე წლის წინათ უტირედსმირში ერთი მოახლე ქალი იყო, წარმოშობით სამხრეთელი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ამ ქალს მოეჩვენა, რომ პატარა ბავშვის ტირილი შეესმა, მთის კალთაზე დაგდებული ბავშვის. ზაფხულში მოხდა ეს ამბავი. გვიანი საღამო იყო, ქალს პაწია ბავშვის შესაბრალისი ტირილი ესმოდა. ჰოდა, არ იკითხავთ, რა იყო სინამდვილეში? დალახვროს ეშმაკმა, თურმე გარეული კატა ჩხაოდა ასე.

მთების მეფეს არ უნდოდა ასეთ განყენებულ თემაზე კამათში ჩაბმა და ხმადაბლა უთხრა მეგობრებს:

— რაკი ბიარტურმა გარეული კატა ახსენა, მინდა გავიგო, ნათლიდედა მელაზე რასა ფიქრობთ?

— ფიქრი არა კმარა, რაღაც უნდა ვიღონოთ, — უპასუხეს გლეხებმა, — რას იტყვით, მამასახლისს ხომ არ მოველაპარაკოთ ამ საკითხზე?

— ოო, მამასახლისს ის გაქნილი გრძელკუდა მაინცდამაინც არ აწუხებს,— თქვა ბიარტურმა, — შარშან მელიის ოცი ტყავი გაჰყიდა, კარგა სარფიანადაც გაასაღა.

ღარიბ გლეხებს მელა ხეირს არ დააყრის. შარშან რამდენჯერ დაეცა ცხვარს, ამ შემოდგომაზეც შემოგვეჩვია ის წყეული, — თქვეს გლეხებმა. მთების მეფემ კი ავტორიტეტულად გამოაცხადა, მელა, ეჭვს გარეშეა, ადამიანის ყველაზე ულმობელი მტრების რიცხვს ეკუთვნისო. ნიდურკოტელმა ბერიკაცმა შეაჯამა კუდგრძელაზე ნათქვამი, და ასე დაასკვნა:

— მელამ შარშან დაატრიალა უბედურება, უბედურება დაატრიალა ამ გაზაფხულზე და შემოდგომაზეც დაატრიალებს.

ყავის სმას რომ მორჩნენ, მთების მეფემ თავი დაუცვა მათარას, ჯიბეში ჩაიდო. უკვე ისე ინათა, რომ ცხვრის გარჩევა შეეძლოთ.

— მაშ ასე, — თქვა მთების მეფემ და წამოდგა, — ერთხელ და ორჯერ არ შემომივლია უშენი ადგილები, მაგრამ ასე არასოდეს არავის არ მივუღივარ. გულს ეამება შემოდგომის სუსხიან დღეს სტუმართმოყვარე მასპინძელთან მოხვედრა. დიდებულად გაგვიმასპინძლდი, ჩემო ბიარტურ. ახლა კი, ძმებო, დროა წავიდეთ, ვდიოთ ჩვენს ცხვარს.

— სტუმართმოყვარეობაში კი არ არის საქმე, — მიუგო ბიარტურმა, — შთავარი დამოუკიდებლობა გახლავთ. ცოცხალი ხარ, თუ სული გძვრება, არავის ეკითხება შენს მეტს. მე მგონია, სწორედ ეს არის დამოუკიდებლობა და თავისუფლების ასეთი წყურვილი ყველას აქვს სისხლში გამჯდარი, ვინც სხვაზეა დამოკიდებული.

— მართალი ხარ, მართალი, — კვერი დაუკრა მთების მეფემ, — ჩემთვის ეს სავსებით გასაგებია. ისლანდიელი ხალხი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოყვარული ხალხია. თავის დროზე, ისლანდიაში ცხოვრობდნენ თავისუფალი ხევდინგები*. ის ხალხი უცხო ხელმწიფის სამსახურში სიცოცხლეს თავისუფლებაში სიკვდილს ამჯობინებდა. ბიარტური და სხვა მისი მსგავსნი თავისუფლების მოყვარული ისლანდიელები არიან, სწორედ მათ ეყრდნობა და კვლავაც დაეყრდნობა ისლანდიის დამოუკიდებლობა. ჩანს, არც როზა დაუსუსტებია ამ ხეობაში ცხოვრებას. არასოდეს ასეთი გაფურჩქნილი და ჯანით სავსე არ მინახავს. როგორ გრძნობ თავს ამ მიყრუებულ კუთხეში, როზა?

— რა თქმა უნდა, ლაღად და თავისუფლად, —უპასუხა როზამ და ცხვირში დაისრუტუნა.

— დიახ, ჩემო კეთილებო, — განაგრძო მთების მეფემ. არაყი რომ გადაჰკრა, რაღაცნაირი ზვიადობა დაეტყო, ისეთი, მდიდარ გლეხს რომ ახასიათებს. — ძთელი ჩვენი თაობა ასეთივე სულისკვეთებით რომ იყოს განმსჭვალული, როგორც ეს ახალგაზრდა წყვილია, ისლანდია გულდამშვიდებული შეხვდებოდა მომავალს.

— რას იტყვით, გამგზავრების დრო ხომ არ არის. ეჰ, ერთხელ კიდევ მოშიწევს ჩემს ბებერ ჯაგლაგზე აბობღება, — თქვა ნიდურკოტელმა ტოურდურმა.

ტოურდური კიბის თავთან იდგა და მთების მეფეს არ შეეძლო მდუმარედ ჩაევლო ამ პირდამჭკნარი ბერიკაცის გვერდით, ოცნებებით ღარიბი ცხოვრების გზა რომ გალია და მთების მეფემ გამამხნევებლად დაჰკრა მას მხარზე ხელი.

— ასეა, ბერიკაცო, არა! ყოველი ჩვენთაგანისთვის ცხოვრება ლატარიის მსგავსი რაღაცაა.

— რაო, რაო? — გოცებით იკითხა მოხუცმა. ვერ გაიგო ამ შედარების აზრი, თავის ცხოვრებაში ერთხელ ჰქონდა ლატარიის ბილეთი. რამდენიმე წლის წინათ, რეიდსმირის დიასახლისმა ლატარიაში გასათამაშებლად სასაფლაოს ფონდისთვის კვიცი შესწირა. გათამაშება იმით დამთავრდა, რომ მამასახლისმა საკუთარი კვიცი მოიგო.

---

* ხევდინგი — ბელადი, მეთაური (ისლანდ.).

— მამიკო, ძვირფასო, — უთხრა როზამ ტოურდურს, ეზოში რომ გააცილა, — აბა, შენ იცი, ამეღამ, მთის ქოხში რომ იქნებით, თბილად დაიხურე.

— ეეჰ, გაჭირვებას რა ვუთხრა, თორემ განა მე უნდა დავდევდე ამ ძფრთხალ ბატკნებს ძთასა თუ უშენ ადგილებში? ოთხმოც წელს მივაღწიე უკვე, საკუთარ ხუტორშიაც ძლივსღა დავჩანჩალებ, — დაიჩიცლა ტოურდურმა და სადავე ზურგზე გადაუგდო ცხენს.

მთის კალთაზე ძაღლები ერთმანეთს დაერივნენ, ერთი ვაიუშველებელი, გნიასი და ღავღავი ჰქონდათ. გლეხებმა თავ-თავის ძაღლებს უხმეს. საძოვრის ნაპირას, ღობეზე მიბმული ბატკანი, ძაღლებს და ხალხს რომ ხედავდა, გაუჩერებლად ბღაოდა. ტოურდურმა ქალიშვილს აკოცა, ცხენზე შეჯდომა დააპირა, როზამ უზანგი დაუჭირა. უნაგირზე ტოურდურს შავი ცხვრის ტყავი ეგო, რომ უფრო რბილად მჯდარიყო და უნაგირი არ გაფუჭებოდა. როზამ ცხვირ-პირზე ხელი ჩამოუსვა ბებერ გლაისის, საყვარელ პირუტყვს, ამ თვრამეტი წლის წინათ პატარა კვიცი რომ იყო. როგორ უყვარდა როზას და მის და-ძმებს გლაისისთან თამაში, რა დიდ სიხარულს ანიჭებდათ. მაშინ როზას და-ძმები ჯერ არ იყვნენ დაქსაქსულები, ერთ ჭერქვეშ, მშობლებთან ცხოვრობდა ყველა; ახლა კი აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ. ამ დროს, ძაღლებთან ბრძოლით დაქანცული, აქოშინებული, ენაგადმოგდებული სამური მოიკრა, იცნო როზა, ხელად გადაავიწყდა ბრძოლის პერიპეტიები, მხიარული წკმუტუნით მივარდა ქალს... როზას გულმა არ მოუთმინა, შინ შებრუნდა და თევზის ნაჭერი გამოუტანა მამის ძაღლს.

— მამი, რომ არ ვიცოდე, როგორ გჭირდება სამური, გთხოვდი, დამიტოვე-მეთქი. არა მგონია, ემაგ ბატკანმა რამით მანუგეშოს.

ამ დროს ბიარტური მივიდა მათთან, ბლესი სადავით მოჰყავდა. ცოლს აკოცა, დავალებები მისცა, ტიტლას უხმო და დაიძრნენ კიდეც. როზამ მიმავალთ თვალი გააყოლა, მამამისი ყველაზე უკან მიჩაქჩაქებდა, მხრებში მოხრილი ბერიკაცი ფერდებში ფეხებს სცემდა გლაისის, მძიმედ რომ მიდგიფუნობდა ტალახში.

თავი მეთერთმეტე

სექტემბრის ღამე

დიდხანს არ გაუვლია გლეხების წასვლის შემდეგ, რომ ქინქლა დაიწყო, ცას კუპრივით შავი ღრუბლები გადაეკრა, წვიმის წვეთები თანდათან გამსხვილდა, დამძიმდა და ბოლოს შემოდგომის ნამდვილი დელგმა წამოვიდა, ყრუ

ხმაურით რომ ავსებს სამყაროს და შიშსა ჰგვრის ყველას. ცა თითქოს ფეხად ჩამოვიდა, იფიქრებდით, ვეღარაფერი შეაკავებს ამ უკიდეგანო სივრციდან გადმოხეთქილ ღვარსო. რუხმა საბურველმა შესუდრა შორეთი, მძიმედ დააწვა მიდამოს. ერთფეროვნად, ნელა შხაპუნებდა წვიმა ჭაობის ჩამჭკნარ ბალახზე, ამღვრეულ ტბაზე, წყლიდან ამოყუნცულ ქვიშოვან მეჩეჩებზე, ჩაშავებულ ძთაზე. ბურუსი მრუმე კედლად აღიმართა ხუტორის წინ, დაფარა თვალსაწიერი და ეს ყრუ, სასოების წარმკვეთი ხმა თითქოს სახლის ყოველ კუნჭულში იჭრებოდა, ყურს აგუბებდა, ფარავდა ყოველივეს შორს თუ ახლოს — როგორც თვით ცხოვრებაზე დაწერილი პროზაული ნაწარმოები, რომელსაც არც რითმი გააჩნია, არც ძლიერი, არც სუსტი ადგილები, მაგრამ მაინც გხიბლავთ, გიტაცებთ თავისი სიღრმით. და ამ უფსკრულივით ღრმა, აბობოქრებულ ოკეანის ფსკერზე იდგა პატარა სახლი, სადაც გულით ავადმყოფი ქალი იჯდა მარტოდმარტო.

როზამ წინდების კემსვა დაიწყო, მაგრამ მალე თავი დაანება საქმეს, სულ არა ჰქონდა მუშაობის ხალისი, წვიმის შხაპუნით გაბრუებული, გარინდული მიმჯდარიყო სარკმელთან და უაზროდ გაჰყურებდა რუხ ბურუსს, ხან ბავშვივით დასცქეროდა სარკმლის რაფაზე დაგუბებულ წყალს. საღამოს ქარი ამოიჭრა, ცხვრის ფარასავით მიერეკებოდა საავდრო ღრუბლებს, ქაფმოგდებული ღვარი ჩარბოდა ჭაობში, იქოჩრებოდა, ეცემოდა და იშლებოდა, როგორც წყალკვეთების დროს ზღვის ტალღები.

ბატკანი მიყუჩდა და რამდენადაც საბმელი ამის საშუალებას აძლევდა, წინ წაიწია, მოიკუზა, თავი დახარა, რქები ქარს მიუშვირა. როზას ეცოდებოდა პირუტყვი, ასეთი მწარე ხვედრი რომ ხვდა წილად, მარტოდმარტო დატოვეს დატყვევებული და გადაწყვიტა ფარეხში შემოეყვანა. გუდლბრაუ ქალის დანახვაზე დაფრთხა, გაქცევა დააპირა, მაგრამ სად წავიდოდა, მაგრა იყო მიბმული. როზა თოკს წასწვდა, მოზიდა, რქებში ჩაავლო ხელი ბატკანს, ფეხებში მოიქცია, წაათრია, ფარეხში შეაგდო და კარი გადარაზა. გუდლბრაუმ ვერც ფარეხში მოისვენა, ჯერ ტანი შეიბერტყა, მერე სირბილს მოჰყვა, აქეთ-იქით აწყდებოდა და რაკი დარწმუნდა, ტყვეობას თავს ვერ დავაღწევო, ისეთი საშინელი ბღავილი მორთო, მთელ ხუტორში ისმოდა მისი ხმა. როზას ბატკნის დამშვიდება უნდოდა, წყალი დაუდგა წინ. გუდლბრაუმ არც დახედა წყალს, ქალმა ახლა თივა დაუყარა, არც თივას დააკარა პირი, დამფრთხალი განზე გახტა, ფარეხის კუთხეში შეიყუჟა და როზას შიშით, უნდოდ უყურებდა, სიბნელეში მისი თვალები მწვანედ ანათებდა, მერე იატაკზე ისე დაბაკუნა ფეხები, თითქოს ემუქრებაო ქალს. როზამ თევზი და პური დაუდო წინ, და რაკი

არც ამას მიეკარა ტყვე, გადაწყვიტა თავი დაენებებინა. დამფრთხალი ცხვარი საშინელი ხმით ბღაოდა.

ასე მიდიოდა დრო. ბინდი ჩამოწვა. როზამ ფაფა გააკეთა და შეჭამა. ამასობაში დაღამდა კიდეც. როზა ხშირ-ხშირად უკეთებდა ცეცხლს ფიჩხს, სახლში ციოდა, ნესტი იდგა, ორ ადგილას სახურავიდან წვიმამ ჩამოყონა, გარდა ამისა, ლამპა არა ჰქონდა და ცეცხლის მბჟუტავ შუქზე ცოტა მშვიდდებოდა. დიდხანს იჯდა ასე, ქურის კარი ნახევრად გამოღებული დატოვა, რომ ცეცხლისთვის ეცქირა. მერე გაიფიქრა, რა დაშავდება, თუ ცოტა თავს გავინებივრებო, დედის გამოგზავნილი ყავა მოხარშა, ჭამდა დედის გამოგზავნილ შაქარს, ერთი ნატეხის ნაცვლად, ხუთი შეჭამა, სვამდა ყავას, ერთ ჭიქას რომ გაშოცილდა, მეორეს დაისხამდა, თან ცეცხლს თვალს არ აშორებდა, მაგრამ შიში იქვე იყო ჩასაფრებული, მხოლოდ შემთხვევას ელოდა, რომ დაუფლებოდა როზას, საცაა ჟრჟოლით დაუვლიდა ზურგში. როზა განზრახ იგონებდა წარსულის მხიარულ შემთხვევებს, ერთ ხანს ამით შეიქცია თავი, თითქოს დამშვიდდა კიდეც. წვიმა გადაღებას არ აპირებდა, ისევ შხაპუნით ასკდებოდა სარკმელს, ქარი უფრო ძლიერ ღმუოდა და ზუზუნებდა, სახლი ირწეოდა. როზა ქურას ვერ სცილდებოდა, ეჩვენებოდა, რომ წყვდიადში ჩაძირული სახლი სავსე იყო ავი სულებით. ფეხმორთხმული იჯდა, ხელები იღლიაში ამოედო, ეგონა, თუ წინ გაიწვდიდა ხელებს, ვიღაც მოეპიდებოდა და ამაზე რომ არ ეფიქრა, კვლავ მოგონებებს მისცა თავი. დიდხანს, დიდხანს იჯდა ასე ფეხმორთხმული, გულხელდაკრეფილი, თავის საფიქრალს მისცემოდა, თითქმის დათრგუნა შიში, მაგრამ გუდლბრაუს, როგორც ჩანდა, მობეზრდა წოლა, წამოდგა და ისეთი ყურთასმენის წამღები ხმით აბღავლდა, თითქოს ვიღაცამ ძალით წამოაგდოო ზეზე, მერე აქეთ-იქით მიაწყდა, გეგონებათ, დასდევს ვინმეო. რამდენჯერმე შედგა, იატაკზე დააბაკუნა ფეხები. როზას მოეჩვენა, რომ ვიღაცამ ვიღაცას სახეში სული შეუბერა. ვინ ვის? იქნებ არავის...

როზა ფრთხილად წამოდგა, ფეხაკრეფით მიიპარა კიბის თავთან და დაიყვირა:

— ცხვარო, ნუ გეშინია!

მაგრამ წყვდიადში ჩაძირულ მდუმარე სახლში რომ გაისმა მისი ძახილი, ქალს გული აუთრთოლდა, ისე ეუცხოვა საკუთარი ხმა. როზა ერთ ხანს უძრავად იდგა კიბის თავთან. ვაგლახ! უბედურება, რომელსაც მთელი ღამე ელოდა, მისკენ მოისწრაფოდა. როზას ტანში გასცრა, მწვავე ტკივილმა შებოჭა, ერთ ადგილზე გააქვავა. ქვევით ვიღაც იყო, ცხვარს დაეცა, გააფთრებით ყელში წაუჭირა, ახრჩობდა, გუდლბრაუს ხმა ჩაუწყდა, მერე იმ ვიღაცამ ცხვარი ას-

ნია და კედელს მიანარცხა... როგორც იქნა, კვლავ გაისმა პირუტყვის უფრო განწირული, შემზარავი ბღავილი...

როზას გული არ წასვლია, ისევ ქურას მიუჯდა, შეყარა ფიჩხი, ფიჩხის ტკაცატკუცი, ცეცხლის მოლურჯო ალი, ეს იყო მისი ერთადერთი იმედი. არა, არა, როგორ შეიძლება ცეცხლის გაქრობა. ღმერთმა ნუ ჰქმნას.

იქნებ სულაც არავინ არის ქვევით? გაუელვა როზას და გაშეშებული თითებით კიდევ შეყარა ფიჩხი ქურაში.

ვიღაცამ რაღაც... იქნებ არავინაც არ არის... როზა დასცქეროდა ნაკვერჩხალს, თავისი პატარა კერის ცეცხლს, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადიდებლად აგუზგუზებულ ცეცხლს და გადაწყვიტა საფრთხეზე აღარ ეფიქრა, დამშვიდებულიყო. არავითარი მოჩვენებები არ არსებობს, არავითარი კოლუმკილი არ ბუდობს ამ კუთხეში, აქ მხოლოდ თავისუფლების კეთილი ღმერთია, ღმერთი, რომელიც ადამიანს ძაღლზე მაღლა აყენებს (შესაძლოა). ვინ იცის, იქნებ ოცდასამი წლის შემდეგ როზაც მამასახლისის ცოლი გახდეს, უტირედსმირელ ფრუსავით? „ცხოვრება თავისებური ლატარიაა“, — უთხრა მამამისს მთების მეფემ. — ღმერთო, წყალობას ნუ მოაკლებ იმ კეთილ მოხუცს! ნეტავი კი არ გაცივდეს და ფილტვების ანთება არ დაემართოს... მან ხომ ოთხმოც წელს მიაღწია. და ახლა მთელი ღამე მთის ქოხში უნდა გაატაროს.... ოჰ, არა, არა, ამაზე ფიქრიც კი აუტანელია როზასთვის. ცუდ რამეზე არ იფიქრებს, არა, მხოლოდ კარგზე მხოლოდ ლამაზ რამეზე უნდა იფიქროს. „რა საამო ხარ, რა კარგი, მიწავ ჩვენო!“ დიახ, ჭეშმარიტად ლამაზია!

მას შემდეგ, რაც გათხოვდა და ამ მიყრუებულ კუთხეში დასახლდა, როზას ერთხელაც არ უმღერია და ახლა ჩაბნელებულ სახლში კერასთან მჯდარმა ახალგაზრდა ქალმა პირველად წამოიწყო ეს სიმღერა; მაგრამ სუსტი ხმა ჰქონდა და არ შეეძლო ესოდენ ლამაზი სიმღერის შესრულება, დიდი მონდომებით კი ცდილობდა მელოდიის გადმოცემას, მაგრამ სუნოქვა ეკვროდა, შიშით ხმა ჩაეხლიჩა, ყოველ ნოტაზე უწყდებოდა და რაც უფრო აგრძელებდა სიმღერას, მით უფრო გამალებით უცემდა გული. და მაინც არასოდეს არავის უმღერია პატრიოტული სიმღერა ასეთი გრძნობით. სიმღერის ხმას როზასავით დამფრთხალი ცხვრის ბღავილი ერთვოდა: მე-ე-ე... დიახ, არც ერთი პატრიოტული სიმღერა არ გამოუხატავთ ესოდენ ცოცხლად, ესოდენ ნათელი ბგერებით.

ბოლოს ცხვრის განწირულ ბღავილს შესაბრალისი კვნესა, თითქმის ხრიალი მოჰყვა. როზას ეშვმა გაჰკრა: ვითომ ცხვარი კია, ცხვარი ბღავის ასე? ბღავილი კი არა, საცოდავი გმინვა ისმის. ვაითუ რომელიმე ურჩხული აწამებს პირუტყვს, უნდა ბოლო მოუღოს? ცხვარი დროდადრო ჩუმდებოდა, ისევ

ფხაკურს და სირბილს იწყებდა. აი, ვიღაც კიბეს მოეპიდა, შეანჯღრია, კართან აბრაგუნდა, კოპები ააკრიალა. მერე ისევ მიყუჩდა ყოველივე, მხოლოდ გრიგალი აწყდებოდა ზათქით სარკმელს და როზას გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. როზას მოეჩვენა, რომ ქარტეხილი ჩადგა, ცხვარიც მიყუჩდა და როცა გულმა თანაბრად დაუწყო ცემა, უცებ გარეთა კარზე საშინელი ბრაგუნი გაისმა, რაღაც მძიმედ ეკვეთა სახლს, ისეთი გრუხუნ-ჭრიალი და ღრაჭუნი ატყდა, თითქოს ყველაფერი ინგრევაო.

როზას ჯერ ეჩვენებოდა, რომ გრუხუნი მთიდან ისმოდა, მაგრამ როცა კარს მოასკდა რაღაც, მოელანდა, თითქოს სახლის წინა ნაწილი ჩაიქცა. ამ დროს ფარეხიდან ისეთი ბღალივი გაისმა, აშკარა იყო, ვიღაც ახრჩობდა ცხვარს. როზა ხელებით საწოლის კიდეს ჩააფრინდა, შიშით აცახცახებული, ანგარიშმიუცემლად, როგორც სასიკვდილოდ განწირული ადამიანი, ღმერთს შველას ევედრებოდა. ბოლოს ფრთხილად, სუნთქვაშეკრულმა დაიწყო კაბის გახდა. მარტო კაბა გაიხადა, ეშინოდა, ვაითუ წყვდიადში მიმალული მოჩვენება ოდნავმა ფაჩუნმაც კი გააღვიძოსო. ასე ფრთხილად შეძვრა საბანქვეშ, კარგად ჩაიფუთნა, თავფეხიანად ჩაიმალა და გაისუსა. დიდხანს იწვა განაბული, მთელი ტანით ცახცახებდა, გული ეკუმშებოდა, შვება ვეღარ მოჰგვარა მხიარულმა მოგონებებმა, შიში სძლევდა ცხოვრებაში განცდილ ყოველგვარ ბედნიერებას. და შორეულ განთიადზე დაიწყო ფიქრი. ადამიანი მუდამ რაღაცაში ეძიებს ნუგეშს, მაშინაც კი, როცა არსაიდან არავითარი იმედის ნიშანწყალი არ არის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ჯერ კიდევ ცოცხლობს. ჯერ არ დამდგარა ისეთი ბნელი და გრძელი ღამე, რომ ხალხს განთიადის იმედი დაჰკარგოდეს.

როზა იწვა, დიდხანს ცახცახებდა შიშით, ბოლოს რული მოერია, მაგრამ ამას არც ძილი ეთქმოდა, არც დასვენება, ეს უფრო მძიმე, დამქანცველ, იძულებით მოგზაურობას ჰგავდა ქვეყნის გარშემო, ქვეყნისა, რომელსაც სივრცე არ გააჩნია და სადღაც დროის მიღმაა. როზა ხელახლა განიცდიდა შორეულ წარსულში მომხდარ და გაგონილ დაუჯერებელ ამბებს, ხედავდა ხალხს, უწინდელ ნაცნობებს. ამ ზმანებებში ყველაზე არაბუნებრივი ის იყო, რომ საოცრად ცხადად, ზუსტად ცოცხლდებოდა განცდილი. აი როზას ჩაესმა დიდი ხნის მივიწყებული მეღერი ხმა, რომელსაც მის გულში კვალი არ დაუტოვებია, კვლავ დაინახა დიდი ხნის დავიწყებული სახე, ნაოჭი ამ სახეზე, ასე ანაზდეულად რომ გაიქროლა მის ცხოვრებაში. ამ ზმანებებში, ყოველი სახე მის ცნობიერებას ავთვისებიან სიმსივნესავით ესისხლხორცებოდა. იმ დილას მათ ოჯახში მოსული სტუმრებიც გამოეცხადნენ, ისე გამოწვლილვით ხედავდა მათ, რომ თითქმის ურცხვობის მიჯნაზე იდგა და რაც უფ-

რო ნათლად ეხატებოდნენ ისინი, მით უფრო კრთოდა და ამ ხილვებს თავს ველარ აღწევდა. გარიჟრაჟის ძილისმომგვრელ ბინდბუნდში ერთი მეორეს ცვლიდნენ, ირეოდნენ მიცვალებულივით სახეგაყინული ქალი თუ კაცი, როგორც სიზმარში ვხედავთ მათ: გამოგეცხადებიან, ცოცხლებივით იქცევიან, თქვენ კი იცით, რომ მკვდრები არიან, დიდი ხნის დამარხულები, მათი უნდილი, ქუში ღიმილი—მიცვალებულის ღიმილია, მათი შემზარავი ლაპარაკი—მიცვალებულის ლაპარაკია, მათი ნიღაბი — ყინულის საბურველივით ფარავს გარდუვალი მარცხის შიშს. ოდესღაც ისინიც ოცნებობდნენ უკეთეს ხვედრზე, ნათელ ცერმისზე, მაგრამ არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ სჯეროდა ამის. ბიარტური? ისიც ხომ იმ იმედით ცხოვრობს, რომ ოცდასამი წლის შემდეგ მამასახლისი გახდება? „მე სად ვიქნები მაშინ?“ — გაუელვა როზას. განა მამამისი კი არ ოცნებობდა ნათელ მომავალზე, შეძლებაზე, ეგებ მამასახლისობაზეც? მან ააშენა წისქვილი ნაკადულის ნაპირას. ჰოდა, სად არის ახლა მამამისი ამ ღამით, ოთხმოც წელს მიღწეული, ფილტვებსუსტი, ქარებით დასნეულებული ბერიკაცი? მიყრუებულ ადგილას, მთაში, გაყინულ ქოხში წევს. წისქვილი კი, ნაკადულის პირას მდგარი, ხავსს დაუფარავს. ნეტა რა იქნა ცხვრის ძვლები, ნიდურკოტში რომ თამაშობდნენ ბავშვები? პატარაობისას როზაც ოცნებობდა ცხვრის ფარაზე, ჯიშიან, ცურსავსე ძროხებზე, საკუთარ იალაღებზე მოჯირითე კვიცების რემაზე. ოცნებობდა, რომ ისეთივე ჭკვიანი და ნიჭიერი გაიზრდებოდა, როგორიც უტირედსმირელი ფრუ იყო და ისეთივე დიდებულ სახლში იცხოვრებდა. ჰოდა, სადა ცხოვრობს ახლა როზა? სად არის მისი ჯოგი? სად გაქრა მისი ნიჭი? გაჭირვებით ისწავლა წერა-კითხვა და ერთადერთი ცხვრის პატრონია. ბავშვობისას მეწისქვილის ქოხში ის მდიდარი იყო, ოცნებობდა, რომ მასაც ეყოლებოდა ძროხები, ზუსტად ისეთი ცხენები, ლექსებში და სიმღერებში რომ აღწერენ. ნაკადულს თავისი განსაკუთრებული მელოდია ჰქონდა, წიქვილს, რომელიც არასოდეს არ ამუშავებულა, — თავისი განსაკუთრებული მომხიბლაობა, რომელსაც ქვეყნად ვერაფერი შეედრებოდა. როზა ხედავდა ცხვრის ძვლებს იქ, თავის ქოხთან და ნიჟარას, რომელიც მამამისმა იპოვა ზღვაში. როზას უყვარდა ნიჟარა, მისთვის ის ყველა საგანძურზე ძვირფასი იყო ქვეყნად, და-ძმებს ხელს არ აკარებინებდა, არავის არ აძლევდა სათამაშოდ... ნეტავ, სად არის ახლა ის ნიჟარა?

— მე-ე-ე-ე-!..

ამ კიკინმა როზას ყურში უცნაურ, არგაგონილ ნოტასავით გაიხმიანა და უცებ თვალი გაახილა.

ჯერ კიდევ ძილ-ღვიძილში მყოფ ქალს ეჩვენებოდა, რომ ცხვარი ამ სამი საათის წინ მოკლეს და ახლა ეშმამ მკვდრეთით აღადგინა. ეს ჩახლეჩილი ხმა

თითქოს მიწის სიღრმიდან ამოდიოდა. არა, ცოცხალი არსება ვერ გამოსცემდა ასეთ ხმას. ეს წამებულთა გოდებას უფრო ჰგავდა, იმათ კივილს თუ ხავილს, საღვთო წერილში რომ არის აღწერილი. უთუოდ უშენი ადგილის მთელი მოჩვენებები და ეშმები ჩაბუდებულან ამ ცხვარში, მასში ჩაბუდებულან ქვიან უდაბნოში, კლდის ძირას მიგდებულ ბავშვთა აჩრდილები, იმ ბავშვთა, რომელთაც ყელი გამოღადრეს, ტვინი გამოსწოვეს, ანდა პაპისტების — იმათი, ვისაც სძულს ღმერთი და იესო ქრისტე, ვინც მხოლოდ ერთს ოცნებობს: რომ ყოველი ცოცხალი არსება მათსავით განწირული იყოს, სამარადისო ტანჯვა-წამება ხვდეს წილად.

ასე მიიწურა ღამე.

როგორც იქნა, როზამ გაბედა საბნიდან თავის გამოყოფა და ოთახში შუქის მკრთალი სხივი რომ დაინახა, ენით გამოუთქმელი შვება იგრძნო, დარწმუნდა, ღამე მიიწურა, რომ ყველაზე საშინელ, გაჟიანურებულ ღამესაც კი ენაცვლება დღე. ქარი ჩამდგარიყო, წვიმა კი არემარეს ძველებურად აყრუებდა შეუნელებელი დგაფუნით. გუდლბრაუ ბღაოდა. შუქმა თანდათან იძალა და როზასაც გუნება შეეცვალა. ღამის შემზარავი ზმანებები მოახლოვებული დღის შუქმა უკუაგდო. ის მოთენთილობაც გაქრა. ახლა როზას ცხვრისა აღარ ეშინოდა, მხოლოდ სძულდა, თავის მტრად მიაჩნდა. მისი ბღავილი თანდათან უფრო უშლიდა ნერვებს. არა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ხმა უნდა ჩააწყვეტინოს მაგ მიწრიელს. ერთი კარგად გათენდეს, გამხნევდება და ხელს ვეღარაფერი შეუშლის, რა ხერხითაც არ უნდა იყოს, მაინც გააფრთხობინებს სულს. ბოლოს ვეღარ მოითმინა, გადმოხტა საწოლიდან, ჩაცმაზე არც კი უფიქრია, პერანგის ამარა, მკერდმოშიშვლებული, გახელებული დარბოდა ოთახში წინ და უკან. იმ უძილო ღამის შემდეგ ჩვეულებრივზე უფრო გაფითრებული იყო, ანთებული თვალები საზარლად უელავდა. როზამ ჭერქვეშ, კედელზე მოაფათურა ხელი, სატომრე ნაჭერში გახვეული ცელი გამოიღო, ფანჯარასთან მივიდა, დახედა ცელის პირს, თმაზე მოსინჯა, კარგად იყო თუ არა გალესილი და ქვევით ჩავიდა. გუდლბრაუ უფრო დაფეთდა, კედლებს აწყდებოდა, როზა დასდევდა, ხან ფოცხს წამოსდო ფეხი, ხან ოოკის კონას, ღამით გუდლბრაუს შფოთვასა და ალიაქოთში რომ ჩამოცვივნილიყო ძირს. როზას აღარ ეშინოდა, ვერავითარი ძალა ვეღარ დაახევინებდა უკან. ცოტა ხანი სდია და ბოლოს მოახერხა ცხვრის დაჭერა, თოკს დაავლო ხელი, ცხვარი ეზოში გაათრია. გუდლბრაუ გაჯიქდა, ფრუტუნებდა, როზამ მაინც მიათრია ნაკადულთან, იქ, სადაც წყალი ჭაობს ერთვოდა, წამოაქცია და ფეხები შეუკრა.

როზა არ ჩქარობდა, გამოცდილი, დახელოვნებული ყასაბივით გადაუწია

პირუტყვს ყელზე ბეწვი. ცხვარმა იგრძნო აღსასრულის მოახლოვება, გამწარებული ფართხალებდა, ბღაოდა, პირს აფჩენდა, ნესტოებს ბერავდა, ფხარკალებდა, გასხლტომას ლამობდა. მაგრამ იმ წუთებში როზას გულს სიბრალული არ ეკარებოდა, გადაალაჯა ძირს გართხმულ ცხვარს, მაგრა მოუჭირა ფეხები, მიადო კისერზე ცელი და გაუსვა. ასეთი საქმისთვის ცელი ვერ იყო მოსახერხებელი იარაღი, პირი კი ბასრი ჰქონდა, მაგრამ დანასავით მაინც ვერ მოიხმარდა ადამიანი, ამიტომ სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ხელი არ გასჭროდა. როზა იძულებული გახდა ცხვრის თავისთვის ხელი გაეშვა, მაგრამ ვერც ამ სიძნელემ შეაშინა, ორივე ხელი ჩასჭიდა ცელს, მანამ უსვამდა, უხერხავდა ცხვარს კისერს, ვიდრე თბილი სისხლი არ შეეშხეფა სახეში და ხელები არ დაესვარა. სისხლის დაკარგვისაგან ცხვარი თანდათან დასუსტდა, წინააღმდეგობას აღარ უწევდა, გაუნძრეველად იწვა და ხრიალებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ცელის პირი კისრის მალას შეეხო, თანდათან ღრმად შევიდა მალაში, როზამ იგრძნო, მის ფეხებში მოქცეულ ცხვარს უკანასკნელად როგორ დაუარა ტანში თრთოლვამ. გუდლბრაუ კუდსღა აქიცინებდა. ქალმა მალა გადახერხა, გამოჩნდა ხერხემლის თეთრი ტვინი, გუდლბრაუ ერთხელ კიდევ შეთრთოლდა და ყველაფერი გათავდა. როზამ ცხვრის თავი განზე გადადო. კისერი ნაკადულში ჩაუყო, რომ სისხლს წყალში ედინა, მაგრამ ბალახზე მაინც დარჩა წითელი გუბე. როზა ნაკადულის ნაპირას ჩაცუცქდა, ხელ-პირი დაიბანა, ცელი საგულდაგულოდ გაწმინდა ხავსით. უცებ შეაჟრჟოლა. ახლაღა იგრძნო დაღლილობა, მოთენთილობა, არც დაფიქრებულა რა ჩაიდინა, შიხისკენ წალასლასდა ტანისამოსის ჩასაცმელად. აღგზნება ჩაცხრა, უკვე დამწვიდდა და მთელ ტანში საამო სისუსტემ დაუარა. ოთახში დილის რუხი შუქი შემოჭრილიყო, როზას ტანთ არ ჩაუცვამს, დაწვა, საბანი თავზე წაიფარა და იმ წუთს დაეძინა.

შუადღე იყო, როზამ თვალი რომ გაახილა, სახეზე ხელი მოისვა, თითქოს გამოფხიზლება უნდოდა, უნდოდა გარკვეულიყო, ცხადში რა შეემთხვა და სიზმარში რა ნახა. მას უტირედსმირის დიასახლისი ეზმანა. როზამ ისეთი საშინელი რამ ჩაიდინა, რომ მთელი მრევლი შეაძრწუნა: მან უტირედსმირის დიასახლისს ყელი გამოღადრა. ქალმა სარკმელს გახედა და გაახსენდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ცხვარი დაკლა, საცოდავი პირუტყვი, რომელსაც მარტო ღამაში მიუძღოდა ბრალი, რომ როზასავით ეშინოდა ღამით მარტო დარჩენა. როზას სინდისის ქენჯნა არ უგრძვნია, მხოლოდ გაოცდა, მისთვის თითქო უცხო იყო ის ქალი, ამ საწოლიდან უძილო ღამის შემდეგ უთენია რომ წამოდგა სიკვდილივით ხელში ცელმომარჯვებული. როზამ ტანთ ჩაიცვა, თავზე ხილაბანდი წაიკრა და ახლა ისეთივე ქალი იყო, როგორიც გუშინ. მან იცოდა,

რომ ყოველგვარი კვალი უნდა მოესპო, ბიარტურისთვის უნდა დაემალა, რაც ჩაიდინა. ჩავიდა იქ, სადაც ცხვარი დატოვა, გუდლბრაუს ფეხი წაჰკრა. ნაკლავი, ნაკლავი! და უცებ საშმელს დახარბებულ ქალს სიხარულით შეუთრთოლდა ყოველი ძარღვი. შიგანიც აქვს, და ხორციც... ხორცი!.. ახლა კი მიხვდა, რაც ჩაიდინა: ხორცი, ქვაბში მოსახარში ხორცი იშოვა. ზაფხულის ოცნება, ყველაზე სანუკვარი ოცნება, აუხდა.

როზას ნერწყვი მოერია, შიმშილით კუჭი ეწვოდა, აზრით ხედავდა, როგორ გააკეთებდა კერძს და გაძღებოდა, ტკბებოდა ამის წარმოდგენით, მაგრამ ჯერ ცხვარი უნდა გაეტყავებია, ცეცხლზე ქვაბით წყალი უნდა დაედგა. ჯიბის დანა აშოიღო, ქვაზე ალესა და საქმეს შეუდგა. მართალია, თავისი ხელით არასოდეს გაუტყავებია საქონელი, მაგრამ ნახვით ბევრჯერ უნახავს და დაახლოებით იცოდა, რა უნდა ექნა. ჯერ შიგანი გამოაცალა ცხვარს, ფრთხილად ააძრო მუცლის ქონი, რომ ნაღვლის ბუშტი არ გაეხეთქა და ნაკადულში გარეცხა შიგანი. ეს საქმე მოთავებული არა ჰქონდა, მაგრამ საშმლისთვის ისე მისდიოდა სული, რომ შინ გაიქცა, ცეცხლი დაანთო და ქვაბით წყალი შედგა. მერე ქონი და ღვიძლი დაკეპა, გამოტენა ცხვრის ნაწლავი, გააკეთა ძეხვი. გული და თირკმელები ძეხვთან ერთად ჩადო ქვაბში. მალე მთელ ოთახში გემრიელი საშმლის სუნი დატრიალდა. ვიდრე ძეხვი და თირკმლები მოიხარშებოდა, როზამ ცხვარი აქნა და ისე მოასუფთავა ის ადგილი, რომ უკავიც კი ვერ იპოვნიდა ერთ ნამცეცს. შემდეგ კარის წირთხლს გამოაბა ცხვრის მსხვილი ნაწლავი, გაასუფთავა, ხორცი კი ორად გაჰყო, უუთში ჩადო და დაამარილა.

ამასობაში ძეხვი და თირკმელებიც მოიხარშა.

უთუოდ მდიდარი გლეხის ოჯახში სადღესასწაულო სუფრაზეც კი არ მიუტანიათ ასეთი გემრიელი, პირის ჩასატკბარუნებელი კერძი. ყოველ შემთხვევაში, ის კი ცხადია, რომ გუდმუნდურ მდიდარის დროიდან არასოდეს არავის უგრძვნია სულისა და სხეულის ისეთი ნეტარება, როგორიც განიცადა როზამ, როცა ქონით გაპიპინებულ ძეხვს, ცხვრის ნაზ გულს შეექცეოდა, თირკმელები ხომ ენაზე ადნებოდა. ამის შემდეგ გაროიანი, მარგებელი წვნიანიც დაისხა და შეექცა. ჭამდა დიდხანს, ჭამდა ისე ხარბად, გეგონებოდათ, ვერასოდეს ვერ გაძღებაო. გათხოვების შემდეგ როზასთვის ეს იყო პირველი ბედნიერი დღე. ბოლოს უკავიც აადუღა, დედის გამოგზავნილი უკავა, კარგად დაატკბო და შეექცა.

ნასადილევს ისევ მოერია ძილი. ჯერ ქურასთან იჯდა, ხელები მუხლებზე ეწყო, მაგრამ როცა ჩაუვინთა, იგრძნო, რომ ჯდომა აღარ შეეძლო, ჩაწვა ლოგინში და დიდხანს, დიდხანს ეძინა.

თავი მეთოთხმეტე

ექიმის რჩევა

ბიარტური მეოთხე დღეს, საღამო ხანს, დაბრუნდა სხვა გლეხებთან ერთად და კვლავ გაუდგა გზას, ამჯერად ქალაქისკენ. თითქმის მთელი ფარა ჩამორეკა საძოვრიდან, თორმეტი ბატკანი ვალის ანგარიშში მამასახლისს ჩააბარა, ოცი გასაყიდად წაასხა. დანარჩენ ბატკნებში ვაჭარმა ერთი ტომარა ჭვავის ფქვილი, რამდენიმე გირვანქა პურის ფქვილი, დამარილებული თევზი, ყავა, შაქარი, შვრია და ცოტა ბურნუთი მისცა. გარდა ამისა, ორი ბატკნის ჯიგარიც ჩამოიტანა. სამჯერ მოუხდა ნავაჭრის გადმოსაზიდად ქალაქს ჩასვლა, რადგან ცხენის დაქირავება არ უნდოდა, თავისი ბლესით გავიდა იოლად. ცოტა ეძინა, დღედაღამ გზაში იყო, მაგრამ ახალი ვალის აღებას სამი გზობის გაკეთება ერჩიენა. შეძლებულ გლეხებს ამდენი სიარული არ უხდებოდათ, რამდენიმე ცხენით ერთბაშად გადაჰქონდათ სარჩო. ყველაფერი რომ მოაგვარა ბიარტურმა და დაქანცული, შემოდგომის წვიმით თავით ფეხებამდე გალუმპული, წალეკილ გზებზე სიარულით მუხლამდე ტალახში ამოსვრილი დაბრუნდა შინ, გული გაუხარა როზას ჯან-ღონით სავსე იერმა. ქალი მოფერიანებულიყო, თურაშაული ვაშლივით ღაჟღაჟებდა, დამშვენებულიყო. ალბათ, მოჩვენებებზე აღარ ფიქრობდა და ცხვარი გაუშვაო, გაუელვა გულში ბიარტურს.

ქალაქში ყოფნისას ბიარტურმა ექიმ ფინსენთანაც შეიარა, რადგან იცოდა, რომ გულის დაავადება ეგრე ადვილად არ მოეშვება კაცს, არ შეიძლება დროდადრო არ გაუძეოროს. სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო, ნათქვამია და ექიმი მოინახულა. ბიარტურმა ჯიბიდან აბებით სავსე ბოთლი ამოიღო, როზას გაუწოდა.

— ამბობენ, თითქოს ამ აბებში დიდი ძალაა, მთელი მეცნიერებაა ჩაქსოვილი. ძაღლების წამალი როდია. გულ-მუცელს ჩაგიწმენდს და სატკივარი ვეღარ მოგერევა. რაღაცნაირი წვენია თურმე მაგ აბებში, მავნე ნივთიერებას ისრუტავს, აღარც მუცლის გვრემა აუტყდება კაცს, სისხლსაც წმენდავს და ძალას ჰმატებს.

როზამ საჩუქარი ჩამოართვა. ისე ასწია ბოთლი, თითქოს წონისო.

— როგორ ფიქრობ, რა დამიჯდებოდა ეგ წამალი? — ჰკითხა ბიარტურმა.

აბა, საიდან ეცოდინებოდა როზას, რა მისცა ბიარტურმა წამალში?

— იცი, ბერიკაცმა ფინსენმა რა მითხრა, როცა საფულე ამოვიღე? „კარგი ერთი, ბიარტურ, როგორ გეკადრება, ეგ რა წვრილმანობაა. ჩვენ ხომ ერთი პარტიის წევრები ვართ!“ რაო, რაო-მეთქი, ვკითხე, ჩემთვის ასეთი პატივი აქა-

მდე არავის დაუდვია, ექიმმა რომ თავისი პარტიის წევრად ჩამთვალოს, მე ხომ ღარიბი გლეხი ვარ, უბირი, ჯერ წელიწადიც არ გასულა, რაც ხუტორის მეპატრონე გავხდი. ის კი მეუბნება: „ჰო, ჩემო კარგო, სიტყვამ მოიტანა და ხომ არ გახსოვს, უკანასკნელ არჩევნებზე მე და შენ ვის ვუჭერდით მხარს?“ მე იმას ვუჭერ მხარს, ვისაც მუდამ ვუჭერდი. მოჯამაგირის ან ღატაკი გლეხისთვის სახელმწიფოს მართვაში და სხვა ამგვარ საქმეებში ცხვირის ჩაყოფა ფუჭი საქმეა. ყველასთვის ნათელია, რომ მთავრობა მუდამ წარჩინებულთა და ძლიერთა მხარეზეა და არა უბრალო ხალხის! ასე რომ, თუკი ძლიერნი ამა ქვეყნისანი უბრალო ხალხთან ურთიერთობის გაბმას ინებებენ, უბრალო ხალხი ამით ვერაფერს მოიგებს-მეთქი, ვუპასუხე.

„ამაში მთლად მართალი არ ხარ, ჩემო კარგო ბიარტურ, — ისე მიპასუხა ფინსენმა, როგორც თანატოლმა თანატოლს. — მთავრობა, უწინარეს ყოვლისა, ხალხისთვის არსებობს და თუ ხალხს ჭკუა არ ეყოფა, ალღოს ვერ აუღებს, ვის უნდა მისცეს ხმა, ადვილი შესაძლებელია უპასუხისმგებლო ხალხი გაძვრეს მთავრობაში. ყველას უნდა ახსოვდეს ეს, მათ შორის იმათაც, ვისაც ქონება ბანში არ ამოსდით“.

სრული სიმართლეა (გულახდილდ რომ გითხრა, ბერიკაცთან კამათის თავი სულ არ მქონდა), შენ, ფინსენ, რა თქმა უნდა, სწავლული კაცი ხარ-მეთქი.

— ჩემის აზრით, ბედმა ნამდვილად გაგვიღიმა, რაკი ალთინგში ჩვენი წარმომადგენელი ასეთი სწავლული კაცია. სწავლული რომ არის ფინსენი, ამაში უმალ დარწმუნდები, როგორც კი ხელებზე დახედავ. ისეთი სათუთი ხელები აქვს, თანაც ოქროს ჩარჩოიან სათვალეს ატარებს. მე მაინც არ მინდოდა წამლის მუქთად წამოღება და ექიმს ვუთხარი: როცა რამეს ვყიდულობ, მუდამ ფულს ვიხდი, ასე ვარ ჩვეული და მე მგონია, ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობაც ამაში მდგომარეობს-მეთქი. როცა კაცს არავისი არაფერი მართებს, იგი თვით არის თავის ბატონ-პატრონი. ამიტომ, გთხოვთ, ძვირფასო ფინსენ, ნუ მოგერიდებათ, გამომართვით ფული ამ ოხერ აბებში. დარწმუნებული ვარ, კარგი, სასარგებლო წამალია, რაკი თქვენი ხელიდან მივიღე-მეთქი.

მაგრამ ბერიკაცს ფულის გაგონებაც არ უნდოდა. სამაგიეროდ, მითხრა, შემოდგომაზე გავიხსენოთ ერთმანეთი, სადაც საჭიროა, იქ შევხვდეთ საათანადო დროს, რომ ხმა მივცეთო. ეჰ, ცუდი, ძალზე მძიმე დროა, ბევრი რთული ამოცანა დგას ალთინგის წინაშე. კეთილგონიერი ხალხი გვჭირდება ამ ამოცანების გადასაჭრელად, იმისათვის, რომ გაჭირვებულ ხალხს შევუმ-

სუბუქოთ აუტანელი ყოფა და ისლანდიის დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოლოთო.

ჰოდა. წამოდგა ეს კეთილშობილი, დარბაისელი კაცი, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: არ დაგავიწყდეს, მოიკითხე შენი მეუღლე, სალამი გადაეცი ჩემგან და უთხარი, რომ ამ აბებს საცდელად ვუგზავნი. ყველაზე საიმედო საშუალებაა სხეულში დაგროვილი სითხის საწინააღმდეგოდ და გულსაც ამაგრებსო.

თავი მეცამეტე

პოეტი ქალი

შემოდგომით ზაფხულის სავანეს ბევრი სტუმარი ჰყავდა. დაბიდან ქალაქისკენ მიმავალი გზა ხეობას გასდევდა. ყოველდღე დატვირთული ცხენების გრძელი ქარავანი მიუყვებოდა მდინარის ნაპირს აღმოსავლეთით. შეძლებული გლეხები აღალსა და მოჯამაგირეებს უკან მოიტოვებდნენ, თვითონ კი დაწინაურდებოდნენ ხოლმე. ზოგჯერ მდიდარი გლეხები შუაღამისას მიადგებოდნენ ზაფხულის სავანეს, ფეხზე წამოჰყრიდნენ ბიარტურსა და როზას, ხმამაღლა დიდხანს ლაპარაკობდნენ პოეზიაზე, გოგონებზე, ღრიალებდნენ ოსტატურად შეთხზულ სახუმარო კუპლეტებს, პატრიოტულ ჰიმნებს, უხამს სიმღერებს, კომიკურ ფსალმუნებს და ასე მხიარულობდნენ მთელი ღამე, ვიდრე არ ასაქმებდათ. მერე კი დასაძინებლად წვებოდნენ ცოლ-ქმრის ლოგინში. ჯიშიან ცხენებზე ამხედრებული მანდილოსნებიც, მდიდარი გლეხის ცოლები, ხშირად გზიდან გადაუხვევდნენ, ჭაობს გადაჭრიდნენ მხოლოდ იმისათვის, რომ საყვარელი როზა მოენახულებიათ, ეკოცნათ მისთვის. ამ ქალბატონებს შორის გახლდათ უტირედსმირის მეპატრონის ცოლიც, ისიც ცხენით ქალაქს მიდიოდა, ფარჩის კაბაში გამოწყობილი. ეს კაბა იმსიგანე იყო, ნახევარი მრევლი ჩაეტეოდა შიგ, თავზე პირბადიან ქუდს იხურავდა; გზად მიმავალი შეივლიდა ძვირფასი როზას მოსანახულებლად, კოცნიდა თავის საყვარელ, გამორჩეულ გოგონას. ერთხელ ფრუმ პატივი დასდო როზას და მის ოჯახში ოთხი ფინჯანი ყავა დალია. ახალგაზრდა ქალმა უჩვენა სურსათის მარაგი და ფრუმ თქვა, რომ დამარილებული თევზი შობამდე ეყოფოდა ცოლ-ქმარს, ჭვავის ფქვილს კი, თუ ყაირათიანად დახარჯავდა, ახალწლამდეც გამოიზოგავდა. ახალ მიწებზე ხალხის დასახლება მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაო, ტყუილად

როდი ჰპოვა ამან ხალხში მოწონებაო, განაცხადა ფრუმ. ეს ხალხი პირველი ახალმოშენეების სულისკვეთებით არის განმსჭვალული და სწორედ ამას ემყარება ხალხის ბედნიერება და მომავალიო. ეს მოძრაობა „კერძო ინიციატივის“ განვითარებას გამოიწვევს, დაჯაბნის იმ მავნე მიმართულებას, რომელიც დღეს ფეხს იკიდებს სანაპირო ქალაქებში. ამ მავნე მიმართულების არსი ადამიანის სულიერი და ფიზიკური დამცირება გახლავთ, ადამიანის დაყვანა ძაღლის დონემდეო. ფრუს განწირულად მიაჩნდა ისინი, ვინც მიწას მოწყდა და დარწმუნებული იყო, რომ ასეთ ხალხს დაღუპვა არ ასცდებოდა. როგორ უნდა მივიდეს ადამიანი იქამდე, რომ ეს კურთხეული ხეობა მიატოვოს, მიატოვოს ეს ყვავილები, ეს ლურჯი მთები, ადამიანის სულს ზეციისკენ რომ უკაფავენ გზას? ისინი, ვინც უშენში სახლდება, ღმერთის ჭეშმარიტი თანაშემწეები არიან, იცავენ, განამტკიცებენ სილამაზესა და სიკეთეს. ხეობაში მცხოვრები გლეხი — მუდამ იყო ისლანდიელი ხალხის ბურჯი, არის და იქნება მომავალშიც.

— მართალი ბრძანებაა, — კვერი დაუკრა როზამ, — კარგია დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ეს არის ადამიანისთვის თავი და თავი.

ეს სიტყვები ძალიან მოეწონა პოეტ ქალს. აი მესმის სწორი შეხედულება. ასეთი მარტივი, სწორი აზროვნება ქალაქად ცხოვრების მოჩვენებით სიამესა და ფუფუნებას აცამტვერებსო. აი, ჩვენს წინ დგას ქალი, რომელსაც უმაღლესი იდეალებისკენ მიუპყრია მზერა და ვერავითარი მოჩვენებები ვერ ააცდენენ სწორ გზას. ამ ქალმა კარგად იცის, რომ უძველეს ხანაში მცხოვრები უმეცარი, სულმდაბალი ხალხის მოგონილია ის ამბავი, თითქოს ამ ხეობაში მოჩვენებები დაძრწიან. შემდეგ სტუმარმა დიასახლისს მადლობა გადაუხადა კარგი ყავისთვის და თქვა, რომ განსაკუთრებულ შურს უღვიეებს გულში აი, ეს პაწია ოთახი, სადაც ყველაფერი ხელთა აქვთ. სულ სხვაა დიდი სახლი, არავინ იცის, დიდი სახლის მობინადრენი რამდენ ღამეს ათენებენ თეთრად. ავიღოთ, მაგალითად, მისი სახლი. ოცდასამი ოთახი აქვს, როზას შეუძლია დაუმოწმოს, ოც კაცზე მეტი ცხოვრობს ამ სახლში, სულ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა ზნისა და ჩვევების. მან თვალი უნდა ადევნოს ამდენ ხალხს, არაკეთილსინდისიერ მოსამსახურეებს, უნდა მოაგვაროს ყოველგვარი გაუგებრობა, დააშოშმინოს, სითბო აგრძნობინოს მათ, შეალამაზოს მათი ცხოვრება.

— ჭეშმარიტი ბედნიერება, — განაცხადა ფრუმ, — ის როდია, რომ დიდი სახლი ჰქონდეს კაცს. გაცილებით უკეთესია პატარა ხუტორი, ერთი მტკაველი მიწა, პაწია სახლი. და იცი, რატომ? პოეტის სიტყვებით გიპასუხებ: „სადაც სიყვარული და თანხმობაა, იქ სიხარულიცაა და სინათლეც“. შემდეგ იბადები-

ან პაწიები, მათ ახალი სიხარული მოაქვთ. შენ რას იტყვი, ჩემო ძვირფასო როზა, როდის ელი?

ამ მოულოდნელმა კითხვამ ისე შეაცბუნა როზა, რომ განზე გაიხედა და პასუხის გაცემა ვეღარ მოახერხა. და როცა პოეტმა ქალმა მუცელზე წაატანა ხელი, ისე გადახტა, თითქოს ფრუს ხელის მიკარებაში რაღაც ამაზრზენი უტიფრობა იყო, თან ანთებული თვალებით ისე ბურღავდა უტირედსმირელ ქალბატონს, რომ ასეთი მზერა სრულიად არ შეეფერებოდა მათ მშვიდობიან, ალერსიან მასლაათს. რა იყო ეს? შიში, სიძულვილი, დაბნეულობა, თუ ყველა ეს გრძნობა ერთად? როზას თვალებში ერთი რამის ამოკითხვა შეიძლებოდა: „ხელი არ მომაკარო“, და კიდევ მოზეიმე სიამაყე: „ნუ გეშინია, შენთან არასოდეს არ მოვალ დახმარების სათხოვნელად“.

რაც არ უნდა ეფიქრა, როგორც არ უნდა აეხსნა როზას საქციელი ინგოულფ არნარსონის დედას, ერთი რამ ცხადი იყო: ქალბატონი მგოსანი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, ბავშვზე ლაპარაკი შეწყვიტა, როზას თვალს ვეღარ უსწორებდა და სარკმელს მიაჩერდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბლაუფიედლი ამ დროს ბურუსში იყო გახვეული და საბაბი არ მიეცა, რომ ეთქვა, მთები მწვერვალებს ცად აღაპყრობენო. ისე შეცბა ფრუ, ახალგაზრდა ქალს ვერც კი შესთავაზა დახმარება, ახლა თუ მომავალში. ბოლოს თქვა, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ჰპოვებს თუ არა ადამიანი თავის მოწოდებასო. და ეს ერთი ბრძნული წარმონათქვამი საკმარისი გახდა იმისათვის, რომ პოეტი ქალი კვლავ თავის კალაპოტში ჩამდგარიყო.

— ეჭვი არ მეპარება, რომ ამ უშენ ადგილას დასახლებულმა ცოლ-ქმარმა ჰპოვა საკუთარი თავი. წეღანაც ვთქვი, ღარიბები ეგრეთ წოდებულ მდიდრებზე ბედნიერები არიან-მეთქი. რას წარმოადგენენ მდიდრები? მართალია, ქოხება ბანში ამოსდით, მაგრამ მათ ხომ მეტი საზრუნავიცა აქვთ, და ბოლოს, როცა დაჰკრავს ჟამი აღსასრულისა წუთისოფელს ისეთივე ღატაკები ეთხოვებიან, როგორც სხვები. საზრუნავი მათ არასოდეს არ ელევა, ნამდვილი სიხარული კი რა არის, არ იციან. საკუთარ თავზე მოგახსენებ. ჩვენი ოფლითა და ჯაფით ნაშოვნი ყოველი ერე მოჯამაგირეების ხელფასში მიდის. სამი წელიწადია ახალ კაბაზე ვოცნებობ და ამის საშუალება დღემდე ვერ გამოვნახე.

— დიახ, — გულგრილად თქვა როზამ.

— სულით და გულით მინდა დავეხმარო სხვებს, — განაგრძო ფრუმ, — მაგრამ ასეთ მძიმე დროში ძალაუნებურად თავის შეკავება მიხდება ხოლმე.

— ჩვენ ყველაფერი საკმარისი გვაქვს, — თქვა როზამ.

ამ სიტყვებმა ფრუ ძლიერ გაახარა: სწორედ აზრთა ასეთი წყობა უდევს საფუძვლად ხალხის დამოუკიდებლობას.

— იქნებ შენ არც კი იცი, ჩემო ძვირფასო როზა,— თავმომწონედ დაიწყო პოეტმა ქალმა, — რომ ბიარტური რამდენიმე წლის მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა ჩემს ქმარს, მომყიდე მიწის ნაკვეთიო, რომ მთელი მრევლი წინაადმდეგი იყო, არავინ მხარს არ უჭერდა ბიარტურს, ის კი თავისას არ იშლიდა, თხოულობდა. მრევლში ასეთი აზრი ჰქონდათ: ბიარტური ცოლს ვერ შეინახავს, აბა რას გახდება მაგ უნაყოფო მიწაზე, გარდა იმისა, რომ წიწილებივით მოამრავლებს შვილებსო. ბოლო ხანებში იმდენი ოჯახი დააწვა მრევლს საარჩენად, რომ ეს უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ცოტაა ისეთი, ვინც წელში გაიმართა, თავის რჩენას ახერხებს, უმეტესობა თავს ვერ ართმევს გადასახადებს და ტვირთად გვაწვება ჩვენ, ეგრეთ წოდებულ, შეძლებულ გლეხებს. ჰოდა, ეს მძიმე ტვირთი ჩვენთვის თანდათან აუტანელი ხდება. აი, რატომ არ. უჭერდნენ მხარს შენს ქმარს და შარშან ზამთარს უტირედსმირში მითქმა-მოთქმაც იყო თქვენზე. დაახლოებით იმ ხანებში შედგა სამრევლო საბჭოს სხდომა და მაშინ გადავწყვიტე, უსათუოდ დამეცვა ბიარტური. — ნუ სწუხართ ბიარტურზე, — ვუთხარი საბჭოს წევრებს, — თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეიდურკოტელი ტოურდურის ქალიშვილს არ შესწევს შრომის უნარი, რომ ხუტორში ვერ ჰპოვებს თავის მოწოდებას და ქმარს მხარში ვერ ამოუდგება, მაშინ ტყუილუბრალოდ ნეღარ ვკარგავთ დროს, მეც მრევლის კმაყოფაზე ჩამრიცხეთ. თუ ჩვენს სამრევლოში სანდო, შრომისმოყვარე კაცი მოიპოვება, პირველ რიგში ეს ნიდურკოტელი, ჩვენი ძვირფასი ტოურდური გახლავთ. ამ მოხუცს ვერავინ დაასწრებს ბეგარის შემოტანას. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ბოვა ხოლმე ჩემს ქმართან, ქუდს მაგიდაზე დადებს, უბის ჯიბე ინგლისური ქინძისთავითა აქვს შეკრული, გამოაძრობს ქინძისთავს, ამოიღებს ორ ცხვირსაიოცში გახვეულ ფულს, ერთი ცხვირსაბოცი წითელია, მეორე—თეთრი. ასეთი კაცი ტვირთად არასოდეს არავის დააწვება. ასევეა ბიარტურიც, მას ხომ მე საკუთარი თავივით ვიცნობ. ეს ახალგაზრდა არც ფათერაკების მაძიებელია, არც მოგებისთვის იკლავს თავს, არც ქლესაა და მლიქვნელი, პატიოსანი, პირდაპირი კაცია, არავისი არაფერი მართებს. ასეთი კაცი სამადლოდ არავის გაუშვერს ხელს, არავის შესანახი არ გახდება, ასეთი კაცი ხალხის გული გახლავთ-მეთქი.

როზამ არც ახლა ამოიღო ხმა. ფრუ ხომ მხოლოდ იმის შემდეგ დაუდგა თავდებად ბიარტურს, როცა თავის მოახლე გოგოს უდროო დროს ძალზე შეუფერებელ ადგილას წააწყდა. როზამ გულგრილად მოისმინა ფრუს ნაამბობი იმაზე, თუ რა მონაწილეობა მიიღო მან ბიარტურის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში, რომ მისი მეშვეობით და მეცადინეობით მისცეს ბიარტურს ამ ხუტორის ყიდვის ნება და შეუმჩნეველი არ დარჩენია, როგორ აიმრიზა იმედ-

გაცრუებული სტუმარი. ცოტა ხნის შემდეგ პოეტი ქალი წამოდგა, მადლობა გადაუხადა მასპინძელს, აკოცა თავის ძვირფას როზას, პირბადე ნიკაპამდე ჩამოიწია და თავის სოუტის მოახტა.

თავი მეთოთხმეტე

გამოთხოვება

მეორედ რომ მოიარა ბიარტურმა მთა და დაბრუნდა, ბებერი ცხვარი დაკლა, ხორცი დაამარილა, კასრში ჩადო. ხორცი უნდა გამოვიზოგოთ, მარტო კვირა დღეს და დღესასწაულებში ვეჭამოთო. მაგრამ ზოგჯერ, კვირა დღეს, ხორციან კერძს რომ შეექცეოდა, ისეთი გემრიელი ნაჭერი შეხვდებოდა, უკვირდა, იმ ბებერ, ძარღვიან ცხვარს ასეთი ნაზი ხორცი როგორ აქვს, რომ პირში მადნებაო. გუდლბრაუ, რა თქმა უნდა, ვერ იპოვა. მეორედ რომ ავიდა მთაში, ბევრი ეძება, მაგრამ უშედეგოდ და ძალიან შეაშფოთა ამ ამბავმა, რას არ ფიქრობდა, რას არ ვარაუდობდა. ყველაზე სარწმუნოდ მაინც ის მიაჩნდა, რომ ღობეზე მიბმული ცხვარი შიშით გადაირია, გაწყვიტა თოკი და სამხრეთ მხარეს, ბლაუფიედლისკენ გაიქცა. ხშირად ეკითხებოდა როზას: უკანასკნელად როდის ნახე ცხვარიო. დიდი ხნის წასული არ იყავი, თოკი რომ გაწყვიტა და ჭაობისკენ გაიქცაო, ეუბნებოდა როზა.

გლეხებმა მესამედ მოაწყეს ლაშქრობა მთაში, ბიარტურმა მთელი თავისი ცხვარი შეკრიბა, გუდლბრაუ კი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არსად ჩანდა. უკვირდა, ასე უგეშოდ როგორ დაიკარგა, სწორედ ისე, როგორც ძველ იგავ-არაკებში წერიაო.

— რა საუცხოო ცხვარი იყო, — სინანულით ამბობდა ბიარტური, — რა ლამაზი პირუტყვი, რქებმოღუნული, ხორციანი, გუდმუნდურის ჯიშისა. ანდა, როგორი გამოხედვა ჰქონდა: მტკიცე, უნდო, თითქოს გეუბნება, მე დამოუკიდებელი ცხვარი ვარ, ადამიანი არ მჭირდებაო... ასეთი ცხვარი მთაში დედოფალივით გამოიყურება. მართალია, მფრთხალები კი არიან ამ ჯიშის ცხვრები, მაგრამ თავაღებით არ ვარბიან უგზო-უკვლოდ. უკეთეს ადგილს თუ ეძებენ, პოულობენ კიდეც.

საღამოობით, დაწოლის წინ, ხშირად იტყოდა ხოლმე ბიარტური:

— ნეტა კი ამეღამ ჩემი გუდლბრაუ დამესიზმროს!

— შენ არ ამბობდი, სიზმრის არაფერი მჯერაო? — უთხრა ერთხელ როზამ.

— მე იმისი მჯერა, რაც მინდა, — მკვახედ მიახალა ბიარტურმა, — მჯერა ის, რაც გონივრულია. ისეთი სიზმრებისა კი, გულს რომ ასნეულებს და ხალისს უკარგავს ადამიანს, არაფერი მწამს, — და გულმოსული შებრუნდა კედლისკენ.

ერთ დილას ბიარტურმა თვალი გაახილა და უცებ გაახსენდა, რომ წადილი აუსრულდა.

— ახლა კი იმედი მომეცა, გუდლბრაუ ნამდვილად ცოცხალია, ხიფათი არ დასტეხია, — უთხრა ცოლს ბიარტურმა. — წუხელ დამესიზმრა, თითქოს პატარა ხეობაში ვარ, თითქოს ბალახი იქ ჯერ არ დამჭკნარა. ჰოდა, ვხედავ: დგას ჩემი გუდლბრაუ. ნეტა კი გამახსენდეს, სად ვიყავი, მეცნაურებოდა იქაურობა, ნამყოფი ვიყავი იქ, მაგრამ ვერასგზით ვერ ავედი მთაზე, რომ კარგა დამეთვალიერებინა მიდამო და გამეგო დანამდვილებით სადა ვარ. მგონი, თბილ წყაროებთან ვიყავი, ბლაუფიედლის სამხრეთით. ცხვარი კი მაშინვე ვიცანი, ჩემი გუდლბრაუ იყო.

— ჰოო, — თქვა როზამ და სუფრაზე კვირა დღის სადილის მონარჩენი დადგა თეფშით — იმ ცხვრის ნეკნები, რომელიც ღამით ეზმანა მის ქმარს.

გვიანი შემოდგომა იყო, ხან წვიმა წამოუშენდა, ხან თოვლ-ჭყაპი წამოვიდოდა. ბორცვები უკვე თეთრი საბურველით დაიფარა, უშენი ადგილიც ალაგ-ალაგ გადათეთრდა, მთამ თოვლის ქუდი დაიხურა, მაგრამ ჯერ მაინც სითბო იდგა, საქონელი ნავროტზე ჰყავდათ გაშვებული. ბიარტურის ფარა რედსმირელთა ცხვართან ერთად ძოვდა, ხუტორის დასავლეთით. რამდენიმე დღე ისევ გამოიხედა მზემ, მთამ თოვლის თეთრი ქუდი მოიხადა, მარტო ხეობის ჩრდილოეთი მხარე იყო ჭირხლით დაფარული.

— დღეა ჩემი გუდლბრაუსათვის კარგი დღეა, სადაც არ უნდა იყოს, — თქვა ბიარტურმა.

მაგრამ მალე ისევ შეიცვალა ტაროსი, აცივდა და ერთ დილას დაინახეს, რომ ჭაობის ზედაპირი უკვე მოყინულიყო, ჩამჭკნარი ბალახი ჭირხლს გადაეთრებინა, ნაკადულს კი ყინულის ნაწიბურები გაეკეთებინა. ნაწიბურებქვეშ ჰაერის ბუშტები დასხლტოდა, როზა წყლის ნაპირზე იდგა, ყურს უგდებდა კამკამა ნაკადულის რაკრაკს. მისი ბავშვი ამ ნაკადულის ნაპირზე გაიზრდება, როგორც თვითონ გაიზარდა წყლის ნაპირას, წისქვილის გვერდით.

ერთხელ ბიარტურმა ცოლს უთხრა:

— როზა, ჩემო კარგო, სამი დღის საგზალი მომიმზადე, წავალ; მივივლ-მოვივლი უშენის სამხრეთ მხარეს.

ზამთარი ორი კვირის დამდგარი იქნებოდა, ეს რომ მოხდა.

— სისულელეს თავი დაანებე, — უპასუხა როზამ, — დარწმუნებული ვარ, ცხვარი სადღაც გადაიჩეხა და ტყუილად გაირჯები.

— გადაიჩეხა? — გაიმეორა შეურაცხყოფილმა ბიარტურმა. — ჩემი გუდლბრაუ? პასტორ გუდმუნდურის ჯიშის ცხვარი? რომელიმე საცოდავი დამშლეებული ბატკანი ხომ არ იყო? რას ამბობ, რას, ჭკუაზე ხარ?

— თუ არ გადაიჩეხა, მაშ ჭირი მოკლავდა, — არ დაუთმო როზამ.

— არა, — მტკიცედ თქვა ბიარტურმა, — ჭირი არ შეჰყრია გუდლბრაუს, გეყოფა სისულელის როშვა.

— მერე, ზამთარი რომ არის, დაგავიწყდა? რა იცი, როგორი ამინდი დადგება?

— ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მივლია, ჩემი კი არა, სხვისი ცხვრის საძებრად და განა ზამთრის დასაწყისში? შუა ზამთარში. მაგრამ არავის შევცოდებივარ. თუმცა, რა მქონდა შესაბრალი?

— ჩემზე სულ არ ფიქრობ, ხომ?

— საბანქვეშ მუდამ კარგი ამინდია.

— არც კი გრცხვენია!

— კმარა, შევწყვიტოთ კამათი, — თქვა ბიარტურმა, — ბიბლიაშიც კია ნათქვამი, რომ გზააბნეული ცხვრის პოვნა ადამიანს გულს უხარებს.

— კი მაგრამ, ვთქვათ და ცხვარი მართლა ჭირმა მოკლა?

— ვერ მოვისვენებ, თუ არ გავიგე, რა დაემართა, ცოცხალია თუ მკვდარი. ხომ არ გინდა, სინდისის ქენჯნამ მომკლას?

— თუ ავად გავხდი შენს დაბრუნებამდე?

— არ გახდები ავად. ყოველ შემთხვევაში, მოკლე ხანში არაფერი მოგივა.

— ქარბუქმა რომ მოგისწროს სადმე და დაიღუპო?

— კარგი-მეთქი, — შეჰყვირა ბიარტურმა, — მეყოფა, ყელამდე სავსე ვარ ასეთი ბოდვით. სულ გულის სნეულების ბრალია. რაც არ უნდა მოხდეა, ნუგეშად ის გექნება, რომ ცხვარი აქვე გყავს, გვერდით. ძაღლს კარგად აკვამე. ახლა კი საგზალი მომიმზადე. რამდენიმე ცვრიანი და ჯიგრის ძეხვი შემიხვიე. კარგი იქნება, თუ ერთ ბოთლ ყავასაც გამატან. მაგარი ყავა მომიდუღე.

როზა ერთი წუთით ჩაფიქრდა. ძალა ხომ მის ხელთაა, მის ერთ სიტყვაზეა დამოკიდებული, წავა თუ დარჩება ბიარტური. მაგრამ მეტისმეტად ამაყი იყო, რომ ეს ძალა გამოეყენებინა. მან მუქარა ამჯობინა, თუმცა ეს ხელსაყრელი საშუალება არ გახლდათ ბიარტურის მოსატეხად.

— იცოდე, ბიარტურ, თუ მარტო დამტოვებ, ავდგები და დაბაში წავალ.

— დაბაში? არა, ასე არ შეირცხვენ თავს. შენ ხომ დამოუკიდებელი ქალი ხარ!

— ასეა თუ ისე, მე მაინც წავალ, — გაიმეორა როზამ.

— რასაკვირველია, წახვალ თუკი გაჯიუტდი. ცხვრები გაქირიანები არიან, მაგრამ დედაკაცებს მაინც ვერ გაუტოლდებიან სიჯიუტეში.

— შენ ხომ იცი, რომ ბავშვს ველი?

— მე მარტო ის ვიცი, რომ ჩემი ბავშვი ნაახალწლევს უნდა დაიბადოს. სხვის ბავშვებთან კი არა მესაქმება რა.

— დიდია ხანია, რაც იძრა.

— მერე რა, მე ეგ არ მეხება.

რაც არ უნდა ეთქვა როზას. ბიარტური იოტის ოდენს არ უთმობდა, ქმარი წასვლის თადარიგს შეუდგა, ორი წყვილი წინდა და შალის ქურთუკი ჩაიცვა და რაკი დარწმუნდა, რომ როზა მისთვის საგზლის ჩალაგებას არ აპირებდა, ამ საქმესაც თვითონ მიჰყო ხელი. როზა ქურასთან მიმჯდარიყო, ქმრისკენ ზურგშებრუნებული, ფიქრადაც არ მოსდიოდა, გამოტყდომოდა, რომ ცხვარი დაკლა. ბიარტური ზოზინობდა, თითქოს ელოდა, რომ როზა გონს მოვიდოდა. რამდენიმე ლექსიც ჩაიდუდუნა. მაგრამ როზა ისევ გაუნძრევლად იჯდა ერთ ადგილას.

— მაშ ასე, რაღას ვაყოვნებ, დრო არ იცდის, — ჩაილაპარაკა ბიარტურმა.

როზა არც ახლა გაინძრა. ისევ ისე იჯდა ქურასთან თავჩაქინდრული.

ბიარტურმა ერთხელ კიდევ მოსინჯა ფეხსაცმლის ყაითანი, რაღაც ჩაიბუზღუნა, მოღუნული თითით დააკაკუნა ჭერზე, გეგონებათ სახლი საცაა დაინგრევა და ამოწმებსო. რომელიღაც პოემიდან რამდენიმე სტრიქონი წაიკითხა და ისევ თქვა:

— მაშ ასე, მივდივარ.

როზა არც ახლა განძრეულა. კრინტი არ დაუძრავს.

— როგორ ფიქრობ, ძაღლი დაგიტოვო? მე მგონია, ბევრ ცხვარს ვერ შევკრებ.

ისევ დუმილი.

— რაც იქნება, იქნება, დაგიტოვებ ტიტლას და გთხოვ, როზა, არსად წასვლაზე არ იფიქრო. ვისაც არ უნდა მიადგე კარზე, ყველას მძიმე ტვირთად დააწვები, იცოდე. ჰოდა, რა გეჭირს საამისო. შენ ხომ დამოუკიდებელი ქალი ხარ.

დუმილი.

— დალახვროს ეშმაკმა, რა მკვდარივით ხარ გაშეშებული? — დაიყვირა შოთმინებადაკარგულმა ბიარტურმა. — საფლავშიც გეყოფა დუმილი.

მერე ქვევით ჩავიდა, ძაღლს გასძახა. ტიტლა ხელად მიხვდა, რომ მისი პატრონი სადღაც აპირებდა წასვლას, გაუხარდა, ეგონა, თან წამიყვანსო,

მაგრამ როცა იგრძნო, შინ მიპირებენ შეყვანასო, შეეშვდა, ადგილიდან აღარ დაიძრა. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, რომ ბიარტური შინ გამოკეტილს დატოვებდა.

— აქეთ, ტიტლა, ადგილზე, — დაიყვირა ისევ ბიარტურმა, — თქვენ, ქალთა სქესს, ერთად ყოფნა გირჩევნიათ.

ძაღლი ათასნაირი ხრიკებით ცდილობდა თავის დაძვრენას: კუდი ააქიცინა, აქეთ-იქით იყურებოდა, ყური აცქვიტა, აწკმუტუნდა. ძახილზე რომ არ გამოჩნდა ძაღლი, ბიარტური მის საძებრად გაიქცა და მოყინულ ბალახზე იპოვა, ტიტლა ბავშვივით წკნაოდა, მაგრამ მალე დანებდა, მუცელზე გაწვა, პირი მიწას დაადო და პატრონი რომ მიუახლოვდა, თვალები მოწკურა, მერე ზურგზე გადაბრუნდა, თათები გაჭიმა. ბიარტურმა იღლიაში ამოიჩარა ძაღლი, ფარეხში რომ შეიყვანა, ქეჩოში დაავლო ხელი, კიბე აიარა და ოთახში შეაგდო. წევს ტიტლა იატაკზე, აღარ ჯიუტობს, მაგრამ ჯერ კიდევ თრთის.

— შეხედე, როზა, ძაღლი მოგგვარე. იცოდე, კარი ჩაუკეტე, თორემ გაშოშეკიდება. აბა, ნახვამდის, ჩემო ძვირფასო. შენ იცი, თუ არ შემარცხვენ და იმ ოხერ მამასახლისთან არ წახვალ. ნუ დაიწყებ ხუტორებში წანწალს.

ბიარტურმა ხელსახოცში გამოკრული საგზალი და ჯოხი აიღო, ერთხელ კიდევ აკოცა ცოლს.

— ნახვამდის, ჩემო როზა, — გაიმეორა მან.

როცა როზამ ქმრის სიტყვებში სითბო იგრძნო, ხელად მოულბა გული და ვიდრე ქმრის საკოცნელად წამოდგომას მოასწრებდა, ცრემლი წასკდა.

— მშვიდობით, — ხმადაბლა უთხრა როზამ ქმარს და ცრემლით დანამული სახე კაბის კალთით მოიწმინდა.

ძაღლი კიბის თავთან გაწოლილიყო, თათები გაეჭიმა.

ბიარტური დაჰყვა ჭრაჭუნა კიბეს, დახურა საძვრომის კარი, მერე ფარეხის და ჩქარი ნაბიჯით სამხრეთისკენ გაუყვა ჭირხლით დაფარულ ჭაობს.

თავი მეთხუთმეტე

ძებნა

ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა სხვებზე უკეთ იცოდა მთის იალაღების შორეული, მივარდნილი ადგილებიც კი, სადაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა კაცი ცხვარს წაწყდომოდა. თვითონ თვალუწვდენელი უშენის აღმოსავლეთ კალთა-

ზე. გაიზარდა, სიჭაბუკეში დასავლეთ კალთაზე აძოვებდა ცხვარს, ახლა კი, როცა დამოუკიდებელი გლეხი გახდა, ისეთ ხეობაში დასახლდა, რომელიც ათასჯერ ჰქონდა შემოვლილი, იცოდა მისი ყოველი ბილიკი, მისი სურნელება, ფრინველები, ვინ მოსთვლის რამდენჯერ უვლია იქ ქარბუქსა და თოვლქუყაპში თუ დარში ცხვრის საძებრად, ცხვრისა, რომელმაც მტკიცედ დაუკავშირა ის ამ ხეობას. მაგრამ ბიარტურისთვის უშენს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: იგი იყო მისი დედა, მისი ტაძარი, მისი სამყარო, ისეთივე სამყარო, როგორც ზღვაა მეზღვაურისთვის. როცა ადრიანი ზამთრის სუსხიან, ნათელ დღეებში მარტოდმარტო დადიოდა ამ უშენში, სახეს უშვერდა მთის თავანკარა ქარს, მისთვის უფრო გასაგები ხდებოდა სიმღერები სამშობლოზე, ამ დროს დაბის სანიადაგდღეო წვრილმანები ყოველგვარ შინაარსს ჰკარგავდა მისთვის, იგი ტკბებოდა თავისუფლების იმ ნეტარი შეგრძნებით, რომელსაც ქვეყნად ვერაფერი შეედრება, თუმცა, იქნებ ამ გრძნობას გაუტოლდეს კიდეც ცხვრების სიყვარული მშობლიური მთებისადმი. ისინი თავისით არასოდეს ჩავლენ ბარში, მთაში დაიხოცებიან, თუ ძაღლებმა არ ჩამორეკეს. ასეთ დღეებში, როგორიც იმ დღეს იყო, ბიარტური რომ გუდლბრაუს საძებრად წავიდა და ერთი ნაკადულიდან მეორისკენ მიდიოდა, უღელტეხილიდან უღელტეხილისკენ, თითქოს მისი გზა თვით მარადისობაზე გადისო, ოდნავი ნაღველიც კი არ ბურავდა სკალდის ამაყ გამოხედვას. არაფერი ისე არ ანვითარებს სკალდის ნიჭს, როგორც მარტოობა მთაში. მას შეეძლო ათასნაირად შეეტრიალებინა ერთი და იგივე სიტყვა, ვიდრე ამ სიტყვებს ლექსებად არ გარდათქვამდა, აქ მის გულისყურს სხვა არაფერი იპყრობდა, შეეძლო მხოლოდ პოეზიაზე ეფიქრა. დღეს, როცა ამ უშენში კვლავ შეხვდა ქარს, თავის ძველ მეგობარს, უსიამოვნო ფიქრმა, ცოლთან გამოთხოვებისას რომ აეკვიატა, ხელი ვერ შეუშალა დამტკბარიყო იმ ჭეშმარიტი თავისუფლებით, რითაც აქ სუნთქავდა ბუნება. შემოდგომით უშენ ადგილებში ხეტიალზე მაცთუნებელი და მიმზიდველი არა არის რა და ბლაუფიედლი თავისი ელვარებით არასოდეს ისე არ ხიბლავს ადამიანს, როგორც შემოდგომაზე. ზაფხულის ფრთოსანი სტუმრებიდან თითქმის ყველა გაფრინდა, მხოლოდ თეთრ კაკბებს შეგვიანებოდათ, დაბლა ეშვებოდნენ, დასტრიალებდნენ მოყინულ ჭაობს, კუტკუტებდნენ და ჰაწია, ცნობისმოყვარე თვალებს აფახულებდნენ. იხვებმაც თბილ ქვეყნებს მიაშურეს, უშენში ხომ მდინარეები და ტბები უკვე დაიფარა ყინულით. მხოლოდ ყვავები დაჰქროდნენ, ჩხაოდნენ, მათი საზარელი ყრანტალი ხშირად იმის მომასწავებელია, რომ სადღაც მახლობლად გდია სულთმობრძავი ან მკვდარი ცხვარი. მართალია, თოვლი თხლად ეფინა მიწას, მაგრამ ქვიანი ნიადაგი, სადაც ბალახი არ იზრდება, უკვე შეებოჭა ყინვას. აი, ბორცვს გა-

დაღმა მელამ გაირბინა, ცოტა ხნის შემდეგ ფაფუკ თოვლზე ბიარტურმა ირმის ნაკვალევიც შენიშნა.

-ამ დღეს ბიარტურმა ორი ხეობა შემოიარა. ერთ ხეობაში, როგორც ახსოვდა, ბორცვები მანანის ბუჩქებით იყო დაფარული. ასეთ ადგილებში იცის ცხვარმა დამალვა. მეორე ხეობაში, ცხელი წყაროს მახლობლად, მწვანით დაფარული, ჭაობიანი სივრცე გადაშლილიყო. მაგრამ სულდგმულისთვის არსად მოუკრავს თვალი, მხოლოდ ხეობის სამხრეთ მხარეს, მდინარის გაუყინავ ზოლში ცურავდნენ შეგვიანებული იხვები.

შებინდდა, თოვდა, მიდამოს კარგად ვეღარ არჩევდა თვალი და ბიარტურმა გადაწყვიტა, ბლაუფიედლისკენ აეღო გეზი. იქ ერთი მყუდრო გამოქვაბული ეგულებოდა, სადაც ხშირად გაუთევია ღამე. ხვალ ისევ მთებისკენ გაუყვება გზას, მოივლის სამხრეთით მდებარე ხეობას, რომელიც შედარებით უფრო დაცულია სიცივისაგან. ყოფილა შემთხვევა, რომ ცხვრებს მთელი ზამთარი გაუტარებიათ იმ ხეობაში, უბალახნიათ. ჩამოწვა თუ არა ბინდი, მთვარემ გამოანათა. ქედებსა და ხეობას ცისფერი შუქი მოჰფინა, ოქროსფრად აბზინდა სილით ნახევრად დაფარული ყინული, ირგვლივ მდუმარება მეფობდა და ამ მდუმარებაში, ამ ცისფერ შუქში, ბუნების ამ წიაღში, სრულყოფილი ჩანდა ადამიანიც, რომელიც იმას ეძებდა, რაც მის ცხოვრებას აზრსა და შინაარსს ჰმატებდა.

კარგა შებინდებული იყო, როცა ბიარტურმა მიაღწია თავის მყუდრო სავანეს — გამოქვაბულს სდრუტფიედლის ძირში. გამოქვაბულთან ჩამოჯდა და მთვარის შუქზე ვახშამს შეექცა. წვრილი ქვებით მოფენილ იმ გამოქვაბულში ერთი დიდი ლოდი იდო. მგზავრები ძველთაგან აქ შედიოდნენ მუხლის ქარის ამოსაღებად და ამ ლოდზე ჯდებოდნენ. ბიარტური ქვაზე გაწვა. ხელსახოცში გამოკრული საგზალი თავქვეშ ამოიდო. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე, მის გარდა შემოდგომაზე თითქმის არავინ შედიოდა იმ გამოქვაბულში ღამის გასათევად. ბიარტური კი, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, არხეინად იძინებდა ლოდზე, ერთხელაც არ გაციებულა. ეს ადგილი ძალიან მოსწონდა და ახლაც ტკბილად დაიძინა, მაგრამ მალე სიცივით აკანკალებულს გამოეღვიძა, ცივ ამინდში სხვა დროსაც ასე დამართნია, საშიში არაფერი იყო, ამის წამალიც იცოდა. ადგებოდა, ლოდს ხელებს დაავლებდა და გადაატრიალებდა, იმდენჯერ გადაატრიალებდა, ვიდრე არ გათბებოდა. ღამეში სამჯერ მაინც აღვიძებდა სიცივე, დგებოდა, ქვას აბრუნებდა და კვლავ იძინებდა. დათვლილი ჰქონდა, თვრამეტჯერ უნდა გადაებრუნებინა ლოდი, რომ გამთბარიყო. სადმე სხვაგან გათბობის ასეთ ხერხს, ალბათ, უხერხულად მიიჩნევდნენ, რადგან ლოდი ორმოცდაათი გირვანქა მაინც იქნებოდა, ბიარტურისთვის კი თითქოს სრულიად ბუნებრივი

იყო ამ მძიმე ლოდის ღამეში ორმოცდათოთხმეტჯერ გადაბრუნება. საერთოდ, უყვარდა ქვების გადაგორება, ხელად თბებოდა. მეოთხედ რომ გაიღვიძებდა, უკვე დასვენებული იყო, თავს მხნედ გრძნობდა. ამ დროს, ჩვეულებრივ, ინათებდა კიდეც, ადგებოდა და წავიდოდა, მოიელიდა მთელ ხეობას, ახლა სიარულშიც გათბებოდა, დაჯდებოდა და ცვრიან ძეხვს შეექცეოდა.

მეორე დილას ბიარტურმა კლდეკარი გაიარა და შუადღისას რეიკის ხეობას მიაღწია. რეიკში ზოგიერთ ადგილას მიწა თბილია, მის სილოვან ზედაპირს ორთქლი ასდის, მაგრამ ცხელ წყაროს აშკარად არ ამოუხეთქავს. ცოტა ქვემოთ. ფართო სივრცე ალაგ-ალაგ წითლადაა შეფერილი რკინის წყლით და ამ აჭრელებულ სივრცეს მანანის ბუჩქებითა და ბალახით დაფარული მთების კალთები ერტყმის. ხშირად იქაც იმალება ცხვარი. იმ დღეს კი სულდგმული არ ჭაჭანებდა, მარტო ერთ ჩიტს მოჰკრა თვალი. უთუოდ იმ ფრინველთაგანი იყო, ცხელი წყაროების მახლობლად რომ ბუდობენ.

ხეობაში რამდენიმე სამკურნალო წყარო ამოჩუხჩუხებდა და ბიარტური იქით წავიდა, რომ ამ წყლით გული მოეჯერებინა. დარწმუნებული იყო, ეს სამკურნალო წყალი ყოველგვარ მავნე სითხეს აქრობს სხეულში, სისხლსა და ღვიძლს წძენდს, ავადმყოფობისაგან იცავს ადამიანსო და წელიწადში ერთხელ მაინც უსათუოდ უნდა დაელია ეს წყალი.

ბიარტურმა ახლა აღმოსავლეთით აიღო გეზი, უნდა მოეარა ყოველი ხეობა, რომელიც იმ უშენი ადგილისკენ ეშვებოდა, სადაც მდინარე იეგულა შხუილით მიედინება და ის ღამე მთის ქოხში გაეთია. დიდი გზა ჰქონდა გასავლელი. მართალია, არც ისე ყინავდა, მაგრამ ცა ღრუბლებმა დაფარა და ცოტა ხანში ბარდნა დაიწყო. ბიარტური იეგულას დასავლეთ ნაპირს მიჰყვებოდა, მეორე სანაპიროდან უკვე სხვა ოლქის იალაღები იწყებოდა. ცხვარი იშვიათად გადადიოდა მდინარეს, რადგან იეგულა ძალზე წყალსავსე, ჩქარი და ღრმა მდინარეა, სათავიდან მოყოლებული თვით მყინვარამდე. მაგრამ მდინარე ბევრგან უხვევდა, მოსახვევები ბუჩქნარით იყო დაფარული და ცხვარი ხშირად შუა ზამთრამდე იქაც იმალებოდა. მყინვარსა და დაბის შუა გამავალ გზაზე ერთი უპატრონოდ მიტოვებული სახლი იდგა, ამბობდნენ, ავმა სულებმა დაიბუდეს იქ და პატრონები ამიტომ აიყარნენო. თოვლის ბუქში იეგულა შავად მოჩანდა, ისეთი ხმაურით მოაგელვებდა ტალღებს, ისე ეხეთქებოდა ნაპირებს, რომ მისი ხმა შორს ისმოდა. თოვლის სქელმა საბურველმა ჩამოაბნელა თვალსაწიერი, უკვე შემოღამდა, მსხვილმა ფანტელებმა მალე შესუდრა დედამიწა. ბგზავრს გაუჭირდა სიარული, ყინვა ისე იკბინებოდა, გეგონებათ, ეს სუსხი სწორედ გაუყინავ. ჩქარ მდინარეს, იეგულას მოაქვსო.

ბიარტური მიხვდა, რომ ასეთ ამინდში ცხვრის ძებნას აზრი არა ჰქონდა

ქარბუქი გაძლიერდა, ლანდშაფტი მოიქუფრა. გაახსენდა ბატკნები, ნავროტზე რომ ჰყავდა გაშვებული და შეშფოთდა, ვაითუ ქარბუქმა მოუსწრო, მაშინ საფრთხე არ ასცდებათო. მაგრამ ახლა ბატკნების მისახედად შინ დაბრუნებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, ამ ქარაშოტში, ღამით, ასეთ გრძელ გზას ვერ დაადგებოდა, თანაც ძალზე დაიქანცა და ბიარტურმა გადაწყვიტა, ყველაზე გონივრული იქნება, თუ ჩემს პირველ გეგმას განვახორციელებ, იეგულას მარცხენა სანაპიროს გავყვები მთის ქოხისკენ და ღამეს იქ გავათევო. მაგრამ კაცმა ყოველთვის როდი იცის, მოკლე ხანში სად ამოჰყოფს თავს, ზოგჯერ რაღაც უცნაური, თითქოს დაუჯერებელი შემთხვევა ჩაშლის ზუსტად ნავარაუდევს. ასე დაემართა იმ ღამეს ზაფხულის სავანელ ბიარტურს, ის იყო გადაწყვიტა, მდინარისკენ გადაეტიმული მთის ერთ-ერთი ვიწრო გადაეჭრა, რომ უცებ ფეხმარდ პირუტყვებს ჰკიდა თვალი. ერთი მამალი ირემი იყო, სიმი დედალი, ხტუნვა-ხტუნვით მიჰქროდნენ ქვემოთ, მამალი წყლის ნაპირას შედგა, დედლები ისე ამოუდგნენ უკან, როგორც მფარველს. ოთხივე რქებით მდინარისაკენ შებრუნდა, საიდანაც ქარი უბერავდა.

ბიარტური პირუტყვებს ათვალიერებდა, ოთხივე ახალგაზრდა იყო, ერთიანად ინაცვლებდნენ ადგილს, მაგრამ ისე, რომ კაცი მხოლოდ უკანიდან ხედავდა მათ. მგონი, ბედმა გამიღიმა და ეგ არის, — გაიფიქრა ბიარტურმა, — ერთ-ერთი რომ დავიჭირო, კარგი იქნება, რა თქმა უნდა, მამალი სჯობია, უფრო დიდია, ხორციანი. ირმის ხორცი კი ბატონების სუფრაზეც ნუგბარ საჭმელად ითვლება. თუნდაც ვერ ვიპოვო ჩემი გუდლბრაუ, რაც მის ძებნას დრო მოვანდომე, ამაოდ დაკარგული არ იქნება, ირემს თუ დავიჭერ. მაგრამ ისე როგორ მოვკლა, რომ სისხლიდან არ დაიცალოს? მისი სისხლით კარგი ძეხვი გაკეთდება. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ ცოცხალს მივიყვან შინო. ბიარტურმა ჯიბე მოიჩხრიკა იმ ორი საგნის ამოსაღებად, რაც მგზავრისთვის აუცილებელია. იპოვა ერთიც და მეორეც, თოკის სქელი კონა და ჯაყვა. დაეცემი მამალ ირემს, დანით ცხვირს გავუხვრეტ, თოკს ნახვრეტში გავუყრი და ლაგამი მზად იქნება. ასე უფრო გამიადვილდება მისი წაყვანა. თუ ძალიან გამიჭირდა, სადმე ისეთ ადგილას დავაბამ, ადვილი მისაგნები იყოს, დაბაში ჩავალ და მაშველს მოვიყვან. აქედან ზაფხულის სავანემდე, ქვეითად მავალისთვის, ერთი დღის გზაა. თავდასხმის გეგმა რომ შეადგინა, მოიკუზა. ფრთხილად, სულგანაბული გაჰყვა ხეობის ნაპირს. ირმები იეგულასა და ხეობის შუა მიწის ვიწრო ზოლზე იდგნენ.

ბიარტური ფრთხილად აცოცდა ხეობის ნაპირზე და დაინახა, რომ დაახლოებით თორმეტი ფუტი აშორებდა იმ ადგილს, სადაც რქაბუდიანები იდგნენ. მასში გაიღვიძა მონადირის ინსტინქტმა, გული აუძგერდა, უჩუმრად მიეპარა

მამალ ირემს, კიდევ ერთი, კიდევ ნახევარი ნაბიჯი და ეცა, რქის ძირში სტაცა ხელი. ადამიანის მოულოდნელ გამოჩენაზე პირუტყვები შეკრთნენ, თავი ასწიეს, ყურები ცქვიტეს, დედლები ადგილს მოწყდნენ. დაოთხილი დაეშვნენ თავქვე. მამალმაც გაიწია, კაცის წათრევა სცადა, მაგრამ ბიარტური ადგილიდან ვერ დაძრა, გამწარებული იქნევდა თავს, გასხლტომას ლამობდა და მაინც ვერას გახდა. ვერ მოიწყვიტა რქებზე ჩამოკიდებული კაცი, ბიარტურმა იგრძნო, რომ საკმაოდ მჭიდედ ვერ ჰყავდა ჩაჭერილი პირუტყვი, რქები ძალზე სლიპი ჰქონდა, საოცრად სხარტი იყო, ბიარტური კი სხვა საყრდენ წერტილს ვერ პოულობდა. ჰოდა, ეჭვმა გაჰკრა, მოვერევი კი? რქები ხომ ძალზე საშიში იარაღია, თუ ნაწლავებში გამიყარა, კარგი დღე არ დამადგებაო. ორთა ჭიდილი გაგრძელდა, ირემმა თანდათან იმძლავრა, კარგა დიდ მანძილზე წაათრია ბიარტური. უცებ ბიარტურს ბავშვობაში ნასწავლი ერთი ილეთი გაახსენდა. პატარა მანძილზე სირბილით გვერდით გაჰყვებოდა გაუხედნავ ცხენს და უცებ ზურგზე მოექცეოდა. ბიარტურმა ეს ნაცადი ხერხი გამოიყენა. ერთ წამში ზურგზე მოექცა ფეხმარდს, ხელებით რქებში ჩააფრინდა, შემდეგ უყვებოდა ნაცნობებს, არც ერთ პირუტყვზე ისე ძნელი არ არის ამხედრება, როგორც ირემზეო. გაჭირვებით იკავებდა თავს ირმის ზურგზე, მაგრამ ეს მოგზაურობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მცირე მანძილი რომ გაირბინა ირემმა თავისი მქისე ტვირთით და ვერაფრით ვერ მოახერხა მისი გადმოგდება, გადაწყვიტა თავი გაეწირა, ოღონდ კი როგორმე კაცი მოეშორებინა. და აი, ერთი სწრაფი ნახტომი საწინააღმდეგო მიმართულებით, წამიც და ირემი იეგულაში გადაეშვა, უცებ ისეთ ადგილას ამოჰყო თავი, სადაც უფრო უადვილდებოდა ცურვა.

ვაგლახ! ბიარტური ცხვრის საძებრად წავიდა და აი, რა დავიდარაბაში გაეება: იეგულაში, წელამდე წყალი რომ ფარავდა, ჩვეულებრივ ცხენზე კი არ გახლავთ ამხედრებული, ისეთ ფიცხ ბედაურზე ზის, როგორსაც უთუოდ ფათერაკების სახელმოხვეჭილი მაძიებლები თუ დააქროლებდნენ ოდესმე. ვითომ თავი მოაქვს ბიარტურს ამ თავგადასავლით? არა, ასეთი რამ აზრად არ მოსვლია. სად იყო იმის დრო, რომ ამ უჩვეულო მოგზაურობის თავისებურებაზე ეფიქრა, მთელი გულისყური იქით ჰქონდა მიპყრობილი, როგორმე წონასწორობა დაეცვა, ირმის ზურგს არ მოწყვეტოდა და წყალში ტყაპანი არ მოეღო. ირმის რქებს მთელი ძალით ჩაფრენოდა, ფერდებზე ფეხებს უჭერდა პირუტყვს, ჩარბად ისუნთქავდა ჰაერს, თვალთ უბნელდებოდა. დინებამ ირემი ქვევით გაიტაცა, თითქოს არც ფიქრობდა ნაპირზე გასვლას. მდინარის მეორე ნაპირი ძალზე ციცაბო იყო. თან ბურუსიც ფარავდა, დროდადრო თუ მოჰკრავდა ბიარტური თვალს ნაპირს და მაშინ ეჩვენებოდა, რომ შუაგულ ოკეანეშია, დან-

ჯღრეულ, უნიჩბო ნავში ზის და ტალღები თავის ნებაზე მიაქროლებენ. ირემს ხან ტალღა თავს გადაუვლიდა და მაშინ ყინულივით ცივი წყალი ბიარტურს ნიკაპამდე წვდებოდა. ბიარტურს თავბრუ ეცხოდა, არ იცოდა, რა მოელოდა, გრძნობას დაჰკარგავდა, თუ ირემი ჩაჰყვინთავდა და ასე მოიშორებდა მას თავიდან. სულ ერთია, ერთიცა და მეორეც სიკვდილს უქადდა. ასე მიცურავდნენ ირემი და ბიარტური მდინარე იეგულაში.

თავი მეთექვსმეტე

რითმები

ბოლოს, ბიარტურმა იგრძნო, რომ ირემი წყლიდან ამოსვლას აპირებდა. გარშემო მიმოიხედა, თურმე უკვე მიუახლოვდნენ მდინარის აღმოსავლეთ ნაპირს, სულ რამდენიმე წყრთაღა აშორებდათ ყინულის ნიწიბურს. ერთ ხანს მიცურავდნენ ყინულით დაფარული ნაპირის გაყოლებით, ფრიალო კედლად რომ აღმართულიყო, ყინულის ამ სლიპინა ნაწიბურებზე კაცი ფეხს ვერ მოიკიდებდა. ბიარტური მიხვდა, მოთმინება ყველაფერს სჯობს, უნდა დაიცადო, ვიდრე ირემი ნაპირს მიუახლოვდებაო, როგორც კი მიატანს ნაპირს, ჩაშოვხტები და როგორმე ავცოცდები ყინულის ციცაბო კლდეზეო. ცივ წყალში მეტ ხანს გაჩერება შეუძლებელი იყო, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ძალზე საშიში ნახტომი უნდა გაეკეთებინა, რომ სასიკვდილო საფრთხის წინ იდგა. ამასობაში ირემი უკვე ერთ წყრთაზე მიუახლოვდა ნაპირს. ბიარტურმა შემთხვევით ისარგებლა, რქებს ხელი უშვა და წყალში გადაეშვა. აქ დაშორდა ირემს, მერე თვალი აღარ მოუკრავს, იმ დღიდან სძაგდა ის ცხოველი.

იყო ისეთი წუთები ამ განსაცდელის ჟამს და შემდგომაც, როცა ბიარტურს ეჩვენებოდა, რომ ირემი სხვა არავინ იყო, თუ არ ეშმა კოლუმკილი.

ყინულის თხელ ნაწიბურზე ფეხი რომ შედგა ბიარტურმა, ნაწიბური გასკდა, ყინულის ჩამოტეხილმა ნაჭერმა კინაღამ თან წარიტანა, მაგრამ, როგორც ჩანს, სიკვდილი არ ეწერა, ყინულის უფრო საიმედო ნაჭერზე გადაინაცვლა, თავით ფეხამდე გალუმპული იყო, ძაგძაგებდა, კბილს კბილზე აცემინებდა. ყინულის ამ ვიწრო ლოდზე დიდხანს დგომა საშიში იყო და ბიარტურმა ნაპირზე აცოცება სცადა. არც ეს გახლდათ იოლი, ფეხი ან ხელი რომ დასხლტომოდა, საქმე გათავებული იქნებოდა. ბიარტური ძლიერ დაიქანცა, რის ვაი-

ვაგლახით მაინც აფოფხდა ციცაბო ფერდობზე და აი დგას საღი და საღსალამათი იეგულას აღმოსავლეთ ნაპირზე, სხვა ოლქის მიწაზე. ქურთუკი გაიხადა, გაწურა, თოვლზე გაგორდ-გამოგორდა გასაშრობად, და თოვლი იეგულას წყალზე თბილი ეჩვენა. ხან წამოდგებოდა, ხან ისევ გაგორდებოდა. ძაინც, რა ოინი უყო იმ ირემმა? ჯერ წყალაწყალ ათრია, მერე კი, ხედავთ, სად ამოაყოფინა თავი, როგორ აურია გზა-კვალი? მთის ქოხში ხომ ვეღარ გააათევს ღამეს, როგორც ეს გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ ასე ანაზდად იეგულას აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩნდა. იეგულა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიედინება, მას კი ჩრდილო-დასავლეთისკენ ედო გზა. ერთადერთი გამოსავალი დარჩა იეგულას მარცხენა ნაპირზე გადასასვლელად: თავისი სახლის საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა წასულიყო, შორი გზა მოევლო, ვიდრე არ მიაღწევდა იმ დაბას, სადაც ბორანი მუშაობს. იქიდან კი თხუთმეტ საათს მაინც მოუნდებოდა იეგულას ხეობაში ყველაზე მახლობელ ხუტორამდე. ფეხჩაუკრებავად რომ ევლო, ორი დღე-ღამე მაინც მოუნდებოდა შინ მისვლას, მას კი ბატკნები ნავროტზე ჰყავდა გაშვებული.

ბიარტურს მთელი ტანი სტეხდა, თუმც თავისთავს არ უტყდებოდა იმაში, რომ სველი სამოსი ვერ დაიცავდა ყინვისაგან, თუ თოვლში ჩაეფლობოდა. ყინვა თანდათან მძაფრდებოდა, ფიფქები კბენდნენ და სუსხაედნენ, ბარდნიდა და ბარდნიდა შეუნელებლად. სველი ზედა სამოსი ისე შემოეყინა, რომ სანამ მოძრაობდა, საცვლებამდე ვერც კი შეატანდა სიცივე, წარბები და წვერი შეეჭირხლა, ხელსახოცში გამოკრული ძეხვი ქვასავით გამაგრდა. ჯოხი დაჰკარგა, წყვდიადი თანდათან ისე შედედდა, რომ ეჩვენებოდა, დანით შეიძლებაო მისი გაჭრა. აღმოსავლეთის ქარი შიგ სახეში სცემდა, ხან თხრილში ჩავარდებოდა, ჩაიფლობოდა წელამდე თოვლში, ფიფქები ისე დაფრინავდნენ ირგვლივ, როგორც ნაცარი ქარში, ნუგეშად ისღა დარჩენოდა, რომ გზას ვერ ასცდებოდა, რადგან მარცხენა მხრიდან მდინარის შხუილ-ბუბუნი ისმოდა.

რაც უფრო ცუდად ხდებოდა, მით უფრო გააფთრებით იგინებოდა. თან სულ ის სახელოვანი ბრძოლები ახსენდებოდა, უძველესმა პოეტებმა რომ აკაზმეს რითმებად. კბილქვეშ სცრიდა ძლიერ სტროფებს, განსაკუთრებით მკვეთრად გამოთქვამდა სიტყვებს ისეთი დემონური გმირების აღწერისას, როგორიც გრიმური და ანდრი იყვნენ. ეჩვენებოდა, თითქოს გრიმურს ებრძვის, ელანდებოდა, რომ დიდი ხანია, რაც ამ წყეულ ტროლგამელ ეშმას შეერკინა. და აი ახლა დადგა გადამწყვეტი წუთი. გონებით გადაავლო თვალი გრიმურის ამაზრზენი ცხოვრების გზას, იმ წუთიდან მოყოლებული, როცა მკითხავი გროუა მდინარის ნაპირას წააწყდა მას, როცა სიავით გააფთრებული გრიმუ-

რი ვერაგული ხრიკების მოწყობას აპირებდა. ბიარტური ამ ავგულ დემონს, ამ ჯადოქარს, სკალდების სიტყვებით აღწერდა. აი, ის წელამდე ჩაფლულა მიწაში, პირიდან ცეცხლს აფრქვევს, ბრდღვინავს, ადამიანს არ ძალუძს მისი დამორჩილება:

როგორც ეშმაკის მეჯლისზე, ღამით
ხტის ჯადოქარი... საკბილოს ელის...
ეს ღმუის, როგორც მშიერი მგელი —
მარადღამს ხარბი და სისხლის მსმელი.
რა არის მიწა,
რა არის წყალი,
სუყველაფერზე მრძანებლობს ავად.
მიწა კი არა, ზღვა რომ ზღვა არი,
ზღვასაც გასცურავს,
უფსკრულზეც გავა.

ამ ტარტაროზისადმი ბიარტური არავითარ სიბრალულს არა გრძნობდა, თუ ფეხი დაუცდებოდა და ღრანტეში ჩავარდებოდა, მაინც არ ნებდებოდა, პირიქით, გაორკეცებული ძალით ებრძოდა. ამობობღდებოდა, გზას აგრძელებდა, კრიჭაშეკრული, წყევლა-კრულვას უთვლიდა გრიმურს, მის დღენიადაგ დაფჩენილ ცეცხლისმფრქვეველ ხახას. მტკიცედ გადაწყვიტა, არ მოშვებოდა, ვიდრე იმ წყეულს ჯოჯოხეთის ყველაზე შორეულ კუთხეში არ შეაგდებდა, ხმლით არ განგმირავდა. ვიდრე აცეკვებული მიწისა და ზღვის ბუბუნზე სასიკვდილო კრუნჩხვა არ დაუვლიდა ურჩხულს.

კვლავ მოეჩვენა, რომ ჩააძაღლა გრიმური, აი, ის გაისტუმრა ჯოჯოხეთში, გზა დაულოცა პოეტის უკვდავი სიტყვებით. და მაინც, როგორც კი სულის მოსათქმელად შეჩერდებოდა, ქარბუქი საშინელი ძალით აცხრებოდა, თვალებსა და სახეში ბრჭყალებს უყრიდა, ყურში ავად ჩაჰღმუოდა და მიწაზე განრთხმას უპირებდა. ბრძოლა გრძელდებოდა, ხელჩართული ბრძოლა ურჩხულთან, რომელიც ისე ბობოქრობდა და მძვინვარებდა, რომ დედამიწას ზანზარი გაჰქონდა:

ღია აქვს ხახა,
გამხეცებული
ომს მოითხოვს და ყვირის,
თვალებს აბრიალებს,
კბილებს აღრჭიალებს,
დუქით სავსე აქვს პირი.

ამჯერად ანდრი და გარეკი შეებნენ ერთურთს:

ანდრი მრისხანებს, ბობოქრობს,
დაპრილ ლომივით ღრიალებს

ვით ხმალი ხმალზე,
კბილებზე
კბილები გაიხრჭიალებს...
ახდრის და გარეკს ომი აქვთ,
თელა აღარა აქვთ იარებს, —
მტრის სისხლი ბრძოლის ველიდან
მოედინება მდინარედ.

შემოგარენი ცეცხლშია,
ხეც კი აღარ ჩანს აღარსად, —
ანდრის მახვილი ძლიერი
გაჰკვეთს ქვასაცა მაგარსა.

და ასე შემდეგ, ისევ და ისევ.

ვერა, ვერ დაუძვრება ის ტარტაროზი დამსახურებულ სასჯელს. განა ოდესმე გაუგონია ვინმეს, რომ გარეკი, გონგუროლფური, ანდა ბერნოუტი დამარცხებულიყვნენ გადამწყვეტ ბრძოლაში? ასევე ვერავინ გაბედავს იმის თქმას, თითქოს ბიარტური დანებდა ურჩხულს, რამდენჯერაც არ უნდა დაგორდეს, რამდენჯერაც არ უნდა ჩაცარდეს ღრანტეში. „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ, როგორც არ უნდა გაშმაგდეს ქარი!“ ბოლოს ბიარტური შედგა და ქარს ისე მიეყრდნო, როგორც კედელს, მაგრამ ვერც მან დაასევინა ქარს, ვერც ქარმა მოაცალევინა ფეხი ადგილიდან. მაშინ ბიარტურმა გადაწყვეტა, თოვლში ჩაწოლილიყო და დაესვენა. მყუდრო ადგილს დაუწყო ძებნა, ხელებით ჩაალრმავა ნამქერი, ჩაჯდა, მოიკუზა და გარშემო თოვლი შემოიხვეტა, რომ შიგ თავით-ფეხამდე ჩამალულიყო, მაგრამ თოვლი ფაშარი იყო, იმქლეოდა, ცუდი თავშესაფარი გამოუვიდა, დიდხანს ვერ დარჩებოდა იქ, მთლად გაითოშა, ეს კიდევ არაფერი, უარესი ის იყო, რომ ძილი მოერია, მაცთუნებელი ბურანი, ქარბუქში სიკვდილს რომ უადვილებს ადამიანს. მთავარია, არ აჰყვეს ცთუნებას, სითბოსა და სიმშვიდის ქვეყნისკენ რომ უხმობს და იზიდავს. სხვა დროს, ასეთსავე განსაცდელში ჩავარდნილი ბიარტური, ცთუნებას რომ არ აჰყოლოდა და არ ჩაეთვლიმა, ლექსების კითხვას იწყებდა, ან მთელი ხმით მღეროდა. მღეროდა ყველაზე უხამს სიმღერებს, რომლებიც კი ბავშვობიდან ახსოვდა, მაგრამ ახლა სიმღერა უჭირდა, ხმა უწყდებოდა, რული კი ეძალებოდა, გრძნობას, გონებას უბინდავდა. აი, თვალწინ გაუქროლა წარსულის სურათებმა, ნაცნობთა სახეებმა, განცდილმა, ნანახმა, თუ ძველ პოემებში აღწერილმა სურათებმა. აი, დიდ ლანგარზე ცხენის ცხელ-ცხელი ხორცი დევს, ოხშივარი ასდის, ფარეხში ცხვრები ბღავიან, გადაცმული გოლიათი ბერნოუტი, პასტორის აბრეშუმის წინდიანი თავქარიანი ქალიშვილები. და ბიარტური გალღვა თითქოს უცხო პიროვნებად, ძალოვანი ულფარის

ძმად, გრიმურ ამაყად გადაიქცა. მათმა მამამ, ხელმწიფემ, სიბერეში შეირთო ახალგაზრდა ქალი. დედოფალი ღამღამობით ლოგინში მოწყენილი იყო. ერთხელ დედოფალმა თვალი მოჰკრა უფლისწულ გრიმურ ამაყს, რომელსაც ტოლი არ ჰყავდა მთელ სახელმწიფოში და ქალს სიყვარულის ისეთი ცეცხლი შემოენთო, რომ მოსვენება დაჰკარგა, ვეღარც ჭამდა, ვეღარც სვამდა, ღამეებს თეთრად ათენებდა, ბოლოს გადაწყვიტა, ღამით საწოლ ოთახში სწვეოდა გრიმურ ამაყს. შეევიდა კიდეც და მამამისს, მოხუც ხელმწიფეს, დაცინვა დაუწყო:

ვაი, მე უბედურს, ძნელია ერთობ
ბებერი ხელმწიფის ცოლობა, ღმერთო.
თეთრი აქვს თმები და უძლურიც არი,
ვის რაში არგია ასეთი ქმარი?!

გრიმურ ამაყს არაფრად ეჭაშნიკა დედოფლის სტუმრობა და ასეთი ურცხვი ლაპარაკი თავის მამაზე. ათასი რამ მიზეზი მოიგონა ქალის ჯავიდან მოსაშორებლად:

გაურბის გრიმური ქალს, როგორც ხანძარს,
ო, რარიგ ძნელია გაექცე ვნებას...
წამით ავიწყდება ყოველი გრიმურს,
დიაცი გრიმურთან წვება...

შაგრამ ვიდრე გრიმურ ამაყი გონს მოვიდოდა, აი რა მოხდა:

მეფისწულს ეხვევა დიაცი გზნებით,
დედოფალს მგზნებარე ამბორი წყდება,
ძნელია ფხიზლობდე, როდესაც თვრები,
ო, რა რიგ ძნელია, გაექცე ვნებას.

ახლა კი თვალნათლივ დაინახა გრიმურ ამაყმა, რაოდენ უტიფრად იქცეოდა დედოფალი, რისხვით ანთებული ჭაბუკი წამოხტა და ქალს ხელი ჰკრა:

მეფისწულს არ სურს ცოდვილად დარჩეს,
ვერც მორევია ცოდვილი დარდებს, —
მაცდურ დედოფალს,ვით კატის ცინდალს,
სარეცელიდან ეშორებს, აგდებს...
გდია დედოფალი ძირს,
ლაფით გასვრილია ყოველი...
— შენ ქალი კი არა,
ყოფილხარ
მთლად სულწაწყმედილი ცხოველი!

— ეშმაკსაც წაუღიხარ!—დაიღრიალა ბიარტურმა. წელში გამართული იდგა თავის თავშესაფარში, ხელი ჰკრა გარყვნილ დედოფალს. ქალმა თავისი ოსტატური ხრიკებით ვერაფერი გააწყო. — არა, გაგონილა, რომ პოემის გმირები მრუშობას ეწეოდნენ? ასეთი ხალხი ხომ ბრძოლის ველზე შიშით თრთის, ქალის მკლავებში კი გმირად წარმოიდგენს თავს. ვერავინ გაბედავს იმის თქმას, რომ ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა ბრძოლის ველზე მტერს ზურგი შეაქცია იმისათვის, რომ საზიზღარ, აღვირახსნილ რომელიმე დედოფალთან თავი შეიქციოს. ბიარტური გაბრაზდა, გამწარებული აფართხალდა თოვლში. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელებს ტანზე იტყაპუნებდა და მანამ არ დაჯდა, ვიდრე არ დასძლია მოთენთილობა, ის მაცთუნებელი გრძნობა. როცა სხეული ნეტარ სიმშვიდეს, იარაღის ღაყრას, დანებებას გთხოვს.

ერთ ხანს ასე გაშმაგებით იქნევდა ხელებს, მკერდსა და მხრებზე იტყაპუნებდა. მერე გაყინული ძეხვი ჩაიდო უბეში, თავისი სხეულით გაათბო, ხელში ჩაბღუჯა და ჩაკბიჩა. მადიანად ჭამდა ზამთრის ამ ულმობელ ღამეში თოვლით შეკაზმულ ცვრიან ძეხვს.

ეს იყო უსასრულო გრძელზე გრძელი ღამე. არასოდეს არ წაუკითხავს ერთ ღამეში იმდენი ლექსი. თავისი მამის მთელი ლექსები წაიკითხა. ყველა უძველესი პოემა, საკუთარი, ოსტატურად შეთხზული სიმღერები. ისეთი სიმღერები, რომლებიც გინდ თავიდან წაიკითხოთ, გინდ ბოლოდან, აზრს მაინც არ ჰკარგავენ. ამას უხამსი კუპლეტები მოაყოლა, ერთი ფსალმუნიც. დედამ რომ ასწავლა, და ყველა სახუმარო ლექსი, ოდითგან რომ იცოდნენ მათ კუთხეში—მამასახლისებზე, ვაჭრებსა და მოსამართლეებზე. ხანგამოშვებით ამოძვრებოდა თავშესაფრიდან და მანამ იბრაგუნებდა ხელებს მკერდსა და მხრებზე, ვიდრე სული არ შეუგუბდებოდა.

ძალიან ეშინოდა გაყინვისა, ვეღარ დარჩებოდა თოვლის ნამქერში. განთიადი ალბათ შორს აღარ იყო და არაფრად ეჭაშნიკებოდა მთელი დღე თოვლში ჯდომა, ისიც ამ სიშორეზე ადამიანის სამყოფელიდან და წასვლა გადაწყვიტა. გაუდგა კიდეც გზას. ჯერ გამართული, თავაწეული მიაბოტებდა ქარის საპირისპიროდ, მაგრამ უღელტეხილზე რომ ავიდა, ფეხებმა უმტყუნეს, ჩაჯდა, ხან ხოხვით მიიწევდა წინ. ხან მიბობღავდა ქვა-ღორღიან ფერდობზე, და გორდებოდა ხრამსა და ღრანტეში. ხელთათმანები დაჰკარგა, თითები მთლად გაუშეშდა.

მეორე საღამოს, როცა იეგულას ხეობაში ყველაზე განაპირა ხუტორის — ბრუნას ბინადართ უკვე ეძინათ, ერთ დღე-ღამეზე მეტი იყო, რაც ქარიშხალი მძვინვარებდა — ოჯახის დიასახლისი რაღაც ხმაურმა გააღვიძა, მიაყურა ქალმა, თითქოს ფანჯრის მილმა ვიღაც კვნესოდა, აკაკუნებდა. ქალმა ქმარი გააღ-

ვიძა, ისევ მიაყურეს და გადაწყვიტეს, რომ ფახჯარაზე გონიერი არსება შეკაკუნებდათ, თუმცა ასეთ შორეულ ხუტორში, ასეთ საშინელ ქარბუქში სტუმარს არავინ ელოდა. კაცია თუ ეშმაკი? ცოლ-ქმარმა ჰაიჰარად გადაიცვა და ლამპით ხელში წავიდნენ კარისკენ. როცა კარი გააღეს, ნამქერიდან ფეხებთან ჩაბოუგორდათ კაცი, თუკი მისთვის შეიძლებოდა კაცის დაძახება. ყინულის კავშნით შებოჭილი ადამიანი შემოგორდა სახლში, სახეც ყინულის ქერქით ჰქონდა დაფარული, თავით ფეხებამდე თოვლით გადათეთრებული კაცი წამოიმართა, მერე ჩაცუცქდა, კედელს მიეყრდნო და თავი მკერდზე ჩამოუვარდა, თითქოს რომელიღაც ურჩხულმა შემოაგდო აქ და კედელს მიაჭყლიტა, რაკი მისი მოსპობის იმედი გადაუწყდაო. ლამპის შუქი ეცემოდა სტუმარს, იგი მძიმედ სუნთქავდა, მკერდიდან ხრინწიანი კვნესა-გმინვა ალმოხდა, დახვეულებას და ამოფურთხებას ლამობდა. მასპინძლებმა ჰკითხეს, ვინა ხარ, საიდან მობვედიო. მან წამოდგომა სცადა და თავისი სახელი უთხრა: ზაფხულის საკანელი ბიარტური ვარ. ამასობაში მასპინძლის ვაჟიშვილიც ადგა, მამა-შვილმა სტუმრის შეყვანა დააპირა ოთახში, მაგრამ ბიარტურმა არ დაანებაო:

— მე თვითონ წავალ! — თქვა მან.

ბიარტური მასპინძლის ვაჟის საწოლზე გარდი-გარდმო გადაესვენა და როცა შეკითხვას მისცემდნენ, მთვრალივით გაუგებრად ლუღლუღებდა, ასაბღავლებლად მომზადებული ხარივით ქშინავდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— წყალი მწყურია!

დიასახლისმა დიდი ბადიით (ლიტრანახევარი ჩადიოდა) რძე მიუტანა. ბიარტურმა ბადია პირზე მიიდო, დაეწაფა, გამოსცალა და ჭურჭელი რომ დაუბრუნა დიასახლისს, უთხრა:

— მადლობთ, დედი!

დიასახლისმა, ამ ხანშიშესულმა ქალმა, რომელსაც ლამპა ეჭირა ხელში და რძე მიუტანა, დედა მოაგონა ბიარტურს. ქალმა თბილი ხელებით ჩამოუწმინდა ყინული წარბებიდან და წვერიდან, გახადა გაშეშებულ-გაფშეკილი ტანისამოსი, მარჯვედ უპოვა მოყინული ადგილები ხელ-ფეხზე, თიოები გაშეშებული, უგრძნობელი ჰქონდა, მოყინული კანი ეწვოდა, მაგრამ მძიმე დაზიანება არსად ეტყობოდა. როცა ბიარტურს ყინულის ჯავშანი შემოადნა, დედიშობილა ჩაწვა ბიჭის ლოგინში, თავფეხიანად ჩაძვრა ბუმბულის საბანში. იშვიათად უგრძვნია ასეთი ნეტარება. როცა დიასახლისი სტუმრისთვის ვახშმის მოსამზადებლად გავიდა, მამა-შვილი ბიარტურს მიუსხდნენ, ისე დაბნეულები და გოცებულები უყურებდნენ, თითქოს არ სჯერათ, რომ ასეთი საოცრების

მოწმენი არიანო, აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ. ბოლოს ისევ სტუმარმა ამოიღო ხმა, საბანქვემოდან ჩახლეჩილი ხმით იკითხა:

— ცხვარი თუ გარეკეს საძოვრებიდან?

მასპინძელმა უპასუხა, ცხვარი უკვე დაბინავებულია ფარეხებშიო და ჰკითხა, აქ საიდან გაჩნდი, იეგულას აღმოსავლეთით, ადამიანისთვის ახეთ მომაკვდინებელ ამინდშიო.

— ადამიანისთვის? — ბრაზით გაიმეორა ბიარტურმა, — დიდი ამბავია, თქვენმა მზემ! მე მუდამ ვფიქრობდი და დღესაც ასე ვფიქრობ, რომ მთავარი ცხვარია.

მასპინძელმა ისევ ჰკითხა რაღაც.

— მართალი მოგახსენოთ, ამ მხარეში პირადი სიამოვნებისთვის წამოვედი, ჩემი ერთი ცხვრის საძებრად. ჰოდა, უღელტეხილზე ავედი!

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა:

— ვაჰ, როგორ გადაირია დღეს ეს ტიალი ქარი!

— არც წუხელ იყო უკეთესი ამინდი. ნამდვილი გრიგალი დაგვატყდა, ლამის წაიღოს ქვეყანა.

— დიახ, — კვერი დაუკრა ბიარტურმა, — წუხელაც უღვთოდ ქროდა.

ღამე სად გაათიეო, ჰკითხა მასპინძელმა.

— თოვლში, — უპასუხა ბიარტურმა.

მასპინძლებს ძალზე აინტერესებდათ, როგორ გადმოლახა მდინარე, როგორ, რა გზით გაჩნდა აღმოსავლეთ სანაპიროზე, მაგრამ ამაზე ბიარტურმა წაუყრუა, არაფერი უპასუხა.

— კარგი საქმე კი იქნება, ასეთ ყიამეთში ბატკნები თუ საძოვარზე ეარჩნენ, — კუშტად ჩაილაპარაკა ბიარტურმა.

— შენს ადგილზე, ცხვრებზე კი არ ვინაღვლებდი, გამჩენს მადლს შევწირავდი, რომ ცოცხალი დავრჩიო, — მიუგო მასპინძელმა.

— როგორ გეტყობათ, რომ შეძლებული ხალხი ხართ, — თქვა ბიარტურმა, — მე კი ეს არის ახლა დავიწყე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. თვრამეტი წელიწადი ჯანი სხვას შევალიე იმისათვის, რომ პატარა ფარა გამეჩინა და თუ ახლა ქარბუქში დამეღუპა, სანანებლად ისღა მექნება, რომ ცოცხალი გადავრჩი.

როცა დიასახლისმა ვახშამი ლოგინში მიართვა, ბიარტური კარგა მაგრა მიაძღა საჭმელს, მერე ბალიშზე გადაესვენა და იმ წუთას ხვრიწვა ამოუშვა.

თავი მეჩვიდმეტე

შინ დაბრუნება

მეხუთე დღეს, საღამო ხანს, ბიარტურმა ჭაობი გადალახა, გულდამძიმებული მიუყვებოდა გზას, მისი ლაშქრობა სამარცხვინოდ დამთავრდა, ხელმოცარული ბრუნდებოდა. საძოვარზე დატოვებულ ბატკნებზე რომ ფიქრობდა, ხან შიში გაჰკრავდა, ხან თავს იმედებდა. ყველა ამას ისიც დაერთო, რომ შინ დაბრუნებულ ოჯახის მეთაურს ხუტორი ალერსით არ შეეგება, არსად ჩანდა შუქი, სახლი ჩაბნელებული იყო, მონამქერებული, კარ-ფანჯრის წინ არავის გადაეხვეტა თოვლი, მილიდან კვამლი ამოდიოდა. აი, ბიარტური მიადგა ფანჯარას, ხელით ჩამოწმინდა მინა და დაიყვირა:

— ოზა, ოზა, ნიჩაბი მომაწოდე!

ოთახში გამწარებით აყმუვდა ძაღლი. ბიარტურმა ისევ დაუძახა ცოლს. ძაღლი ფანჯარას მოაწყდა. თათებით დაუწყო მინას ფხოჭნა. ავად ხომ არ გახდა ოზა?—გაუელვა ბიარტურს და ელდანაცემმა გამხეცებით დაიწყო კართან მონამქერებული თოვლის გადახვეტა ხელებით. ადვილი არ იყო ხელით თოვლის ზვინის გადახვეტა, მაგრამ ბიარტურმა, როგორც იქნა, იშდენზე მაინც მოახერხა კარის გამოღება, რომ გაჭირვებით შემძვრალიყო შინ.

კიბე რომ აიარა, ძაღლი ცოფიანივით გადმოხტა და ყმუილით ეცა, თითქოს კუდზე ვინმემ ფეხი დაადგაო. ზამთრის პირი იყო, აღრე ბინდდებოდა და ოთახში ისეთი წყვდიადი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. ორივე ფანჯარა ნამქერს დაეფარა, ბიარტური ის იყო ხელის ცეცებით დაიძრა ადგილიდან, რომ უცებ რაღაცას წამოჰკრა ფეხი.

— ეს რაღა ოხრობაა, დალახვროს ეშმაკმა! — შეიგინა, როგორც ჩვევად ჰქონდა, როცა წაიბორძიკებდა.

ბიარტური დიდხანს ეძებდა ასანთს, როგორც იქნა, იპოვა, გაჰკრა და დაინახა, რომ ლამპაში საწვავი ამომწვარიყო, შუშა ჭვარტლისაგან შებოლილიყო. როცა ლამპა გამართა, პატრუქი გაიკლინთა და ოთახს შუქი მოჰფინა, მაშინღა დაინახა, რაც მომხდარიყო: თურმე თავის ცოლს წამოჰკრა ფეხი. როზა სისხლის გაყინულ გუბეში ეგდო იატაკზე, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. როგორც ჩანდა, რაღაცისთვის წამოდგა ლოგინიდან, ძალა აღარ ეყო. საწოლამდე ვეღარ მიაღწია და იატაკზე გაიშხლართა. ხელში სისხლით გაჟღენთილი პირსახოცი შერჩენოდა. მიცვალებულს რომ უყურებდა ბიარტური, მიხვდა, რა ამბავიც დატრიალდა მისი შინ არყოფნისას. ბიარტურმა საწოლს გადახედა. ძაღლი ლოგინიდან წამოიმართა და მისი მუცლის ქვემოდან გამოჩდა

პაწაწინა, ყვითელი, თვალდახუჭული, ბებერივით დაჭყანული სახე. უბედური პაწაწა არსება ძლივს გასაგონად კნაოდა.

ტიტლა ცდილობდა, რაც შეიძლება კარგად დაეფარა პაწია არსება, რომელზეც მზრუნველობა იკისრა, რომელსაც მისცა მხოლოდ ის, რაც მას გააჩნდა — თავისი დამშეული, გაძვალტყავებული, ჭუჭყიანი სხეულის სითბო. როცა ბიარტური საწოლთან მივიდა, რომ უფრო კარგად დაეთვალიერებინა ჩვილი, ძაღლმა ისე დაკრიჭა კბილები, თითქოს პატრონს ეუბნება, ამაზე შენ არავითარი უფლება არა გაქვსო. დედას ჭიპლარი გადაეჭრა, თავისი საცოდავი ბავშვი შალის ძველ ჩვარში გაეხვია. ეტყობა, მისი გაბანება უნდოდა, ამიტომ წამოდგა, ქურაზე ქვაბით წყალი იდგა, დიდი ხნის გაციებული, რადგან ცეცხლი ჩამქრალიყო, მაგრამ ძაღლის სხეულის სითბოს წყალობით ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი შერჩენოდა.

ბიარტურმა ასწია ცოლის გვამი და თავისუფალ საწოლზე დაასვენა, მათი საწოლის პირდაპირ რომ იდგა. როგორც კი შეეძლო, ჩამობანა სისხლი. ბევრი იწვალა, იჯახირა, რის ვაი-ვაგლახით გაუმართა ტანი, რადგან ქალის სხეული იმ მდგომარეობაში გაყინულიყო, რა მდგომარეობაშიც დალია სული. ხელებს არ უნდოდა გულზე გადაჯვარედინება, ამღვრეულ თვალებს არ უნდოდა დახუჭვა, განსაკუთრებით მარჯვენას — ელამს. ისევ ის სიჯიუტე. მაგრამ ყველაზე ძნელი და ყველაზე მთავარი ახალშობილის სხეულში შემორჩენილი სიცოცხლის ნაპერწკლის გაღვივებაა და აქ კი დამოუკიდებელი ადამიანი საგონებელში ჩავარდა. ამ საქმეში გამოცდილი ქალი იყო საჭირო. თვითონ პაწაწინა სხეულს თითსაც ვერ მიაკარებდა. ნუთუ უცხო ხალხს სთხოვს დახმარებას? ნურავის გაუშვერ ხელს, თავს ნუ შეირცხვენ! ამ სიტყვებით გამოემშვიდობა ბიარტური ცოლს. დამოუკიდებელი ადამიანისთვის ეს იგივეა, რომ მოსისხლე მტერს სამოწყალოდ გაუშვიროს ხელი. ახლა კი მას, ზაფხულის სავანელ ბიარტურს, მაინც მოუწევს თავის დამცირება. და მან მტკიცედ გადაწყვიტა, ყველასათვის გადაეხადა შრომის საფასური, რაც არ უნდა დაჯდომოდა.

თავი მეთვრამეტე

უტირედსმირი

— სად არ მატარა, სად არ ამომაყოფინა თავი ბედისწერამ ამ უკანასკნელ დღეებში! — ჩაიბურდღუნა თავისთვის ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა, საღამო ხანს უტირედსმირის სამზარეულოს კარზე რომ დააკაკუნა.

კარი მოჯამაგირემ გაუღო, წინდების ამარა იყო, ხელში ახლად მოთელილი ძაუდი ეჭირა, ორთქლი ასდიოდა ნაჭერს, უტირედსმირში, როგორც ყოველთვის, კუსტარული წარმოება ჰყვაოდა.

— მადლი უფალს, შენი ნახვა რომ გვეღირსა. ცოცხლებში აღარც კი გვეგულებოდი, — წამოიძახა მოჯამაგირემ.

— სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ, — უპასუხა ბიარტურმა, — ცხვრის საძებრად ვიყავი მთაში წასული.

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? — ჰკითხა მოჯამაგირემ.

— უგეშოდ დავკარგე ცხვარი.

— შენს მეტი სხვა ვინ იზამდა ამას. აქ მთელი ფარა საბალახოზე უპატრონოდ დაჰყარე და ერთი ბატკნის საძებრად გადაიკარგე მთაში.

— რა გაეწყობა, იქნებ წინდაუხედავადაც მოვიქეცი, მაგრამ აკი ბიბლიაშიც წერენ, მთაში ნაპოვნი ერთი ცხვარი შინ დატოვებულ ათ ცხვარზე ძვირფასიაო, — უპასუხა ბიარტურმა, ძალიან უყვარდა ის ადგილები ბიბლიაში, სადაც ცხვარზე ეწერა რამე. — მდიდრების მეზობლად ტყუილად როდი ვცხოვრობ, ვინ იცის, ეგებ უამინდობაში გაჭირვებიდან მიხსნან კიდეც.

სწორედ ასე მოხდა იმ საღამოს, ქარიშხალი რომ გაძლიერდა, რედსმირელების მწყემსებმა ბიარტურის ცხვარი თავის ფარასთან ერთად წამოასხეს. მამასახლისმა უთხრა, ხვალ დილით გარეკეთ ბიარტურის ცხვარი ზაფხულის საკანში და გაიგეთ, ხომ არაფერი შეემთხვა იმ კაცსო.

— ცხვარი თუ იპოვე?!

— ცვარი კი არა, დალახვროს ეშმაკმა, ერთი სულდგმულისთვის არ მომიკრავს თვალი, თუ პატარა ჩიტს არ ჩავაგდებთ სათვალავში, ბლაუფიედლის სამხრეთით, ცხელ წყაროებთან რომ ვნახე, — მიუგო ბიარტურმა, — ბატკნები როგორ არიან, დაიჭაშნიკეს თუ არა თივა?

— არა უშავთ რა, ნელ-ნელა იკრავენ სუნს, — დაანუგეშა მოჯამაგირემ. — დარდი ნუ გაქვს, შენი ბატკნები გემოს მალე გაუგებენ თივას.

ამ საუბარში რომ იყვნენ, კარში მნე ქალი გუდნი გამოჩნდა, ხმით ეცნო ბიარტური, სამზარეულოში შეიპატიჟა, ფაფას და ცხენის ხორცს ხომ არ ინებებო, შესთავაზა. ბიარტურმა ჯიბის დანით ჩამოიფხიკა ტანსაცმელზე შეყინული თოვლი, ქუდი რამდენჯერმე ჩამოჰკრა კარის წირთხლს და შევიდა. სამზარეულო ოთახი დიდი იყო, საჯალაბოს მაგივრობასაც სწევდა. მოჯამაგირეები და მოახლეები თავ-თავის საქმეს მიჯდომოდნენ, ვინ მაუდს ოელავდა, ვინ ცხენის ძუას ამუშავებდა, ქალიშვილები მატყლს ჩეჩავდნენ. ძაღლებიც იქვე გაწოლილიყვნენ იატაკზე. ყველა ბიარტურის ძველი ნაც-

ნობი იყო აქ, ძაღლებიც კი. ბიარტურს შიმშილით კუჭი ეწვოდა. მოჯამაგირეები მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშხალზე ლაპარაკობდნენ, ცხვრებზე როგორ იმოქმედებს ასეთი ამინდიო, ბჭობდნენ.

— ისეთი პირი უჩანს, ნამდვილად საშინელი ზამთარი გველის. ჯერ შობა სად არი და ხედავთ, როგორი ყინვები დაიჭირა? — თქვა ერთმა.

— როზა როგორ არის? — იკითხა მეორემ.

— ჰმ... — ჩაიზმუვლა ბიარტურმა, პირი ფაფით ჰქონდა გამოტენილი, — მაინც როგორ ბობოქრობდა ეს ტიალი ქარი იეგულას აღმოსავლეთით... უწინაც კი მიელია უშენ ადგილებში ქარბუქში, ნაცადი ვარ, მაგრამ ასეთი რამ ჯერ არ მომსწრებია.

— იეგულას აღმოსავლეთით? — გაოცებით იკითხეს მოჯამაგირეებმა. — როგორ არა, ხელად დაგიჯერეთ, რომ იეგულას აღმოსავლეთ ნაპირზე იყავი.

— რატომ, ვითომ რაო? ფონს მიუვალ ადგილებშიც ისევე იპოვის კაცი, როგორც სხვაგან. ყველა ხომ თქვენსავით შინაყუდა არ არის!

— ნეტა რას დატორღიალობ უშენ ადგილებში, როცა როზა, როგორც ამბობენ, ისეთ მდგომარეობაშია? — თქვა გულმოწყალე გუდნიმ.

— სხვის საქმეში ცხვირს ნუ ჩრი, გუდნი, — დამცინავად ესროლა ბიარტურმა. — ჩემი თავის ბატონ-პატრონი რომ ვარ, ნუთუ ეს არ იცი? — და ძაღლს ძვალი მიუგდო. — ქალბატონი დაწვა უკვე, თუ როგორ არის საქმე?

სახლის შიდა განსასვენებლიდან შემოცურდა მამასახლისის ტანადი, მოსული, მკერდფუშფუშა მეუღლე. გამომცდელი თვალი ჩააშტერა სათვალის შუშიდან სტუმარს, შუშები, თითქოს ჩარჩოში კი არა, სქელ, ღაჟღაჟა ლოყებში ჰქონდა ჩასმული, ჩვეული ცივი, მედიდური ღიმილი შეჰყინოდა სახეზე — ისეთი ღიმილი, რომელიც მიუხედავად მაღალი იდეალებისა და პოეტური ნიჭისა, მტკიცე ზღუდედ აღიმართებოდა ხოლმე პოეტ ქალსა და მათ შორის, ვის კეთილდღეობასაც საერთო არაფერი ჰქონდა რომანტიკასთან.

ფაფისა და ცხენის ხორცისთვის ბიარტურმა ზრდილობიანად მადლობა მოახსენა მასპინძელს.

— არა მგონია, იმიტომ გარჯილიყავ, რომ ერთი კოვზი ფაფისთვის გადაგეხადა მადლობა, — უპასუხა ფრუმ, ცხენის ხორცზე კი არა უთქვამს რა, ვითომც არ გაუგონიაო.

— რა თქმა უნდა, არა, — მიუგო ბიარტურმა, — ერთი პატარა საქმე მაქვს შენთან... იცი რა... არ შეიძლება პირისპირ მოგელაპარაკო?.. მე... ჯერ ერთი, მადლობა უნდა გადაგიხადოთ შენ და შენს ქმარს იმის გამო, რომ თქვენმა ძწყემსებმა წამოასხეს ჩემი ფარა, მთაში რომ ვიყავ წასული.

სტუმარმა კარგად იცის ამ ხუტორის ადათ-წესები, ისიც მოეხსენება, რომ

პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში ის არ ერევა, ამას სხვები უძღვებიან.

— ვიცი, — თქვა ბიარტურმა, — ცხვრის წასასხმელად ხვალ მოვალ. მე მგონია მამასახლისს დიდად არ დააზარალებს ჩემი პირუტყვი. თუ გაზაფხულზე თივა შემოაკლდება. რა გაეწყობა, მომციას მიეცია უნდაო, გამომართვას.

— მაგას თავი დაანებე და მითხარი, როგორ არის ჩვენი ძვირფასი როზა?

— საქმეც სწორედ ეს არის. ამიტომ გეახელი. მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან, ერთ უბრალო რამეზე, მნიშვნელოვანი არაფერია.

ფრუ ბიარტურს მიაჩერდა, ეშვმა გაჰკრა, რაღაცის თხოვნას აპირებსო და მისი სული მსწრაფლ გაქრა, როგორც ვარსკვლავი უსასრულო ცივ სივრცეში, მიწაზე კი დარჩა მხოლოდ მისი გაყინული ღიმილი.

— მე მგონია, იმით არაფერი დაშავდება, თუ ჩემი ქმარიც მოისმენს ჩვენს საუბარს. ამას შენივე კეთილდღეობისათვის გეუბნები, ასე აჯობებს, — მტკიცედ განაცხადა ფრუმ.

— არა, არა, მამასახლისი ასეთ წვრილმან საქმეებში არ ერევა, — შეესიტყვა ბიარტური.

მაგრამ ფრუმ მაინც მამასახლისის ოთახში შეიყვანა ბიარტური. მთელ სახლში ეს იყო ყველაზე პატარა ოთახი. უკვე დიდი ხანი იყო, რაც ცოლ-ქმარი განცალკევდნენ და ფრუს თავის უმცროს ქალიშვილთან, ოდურთან, ერთად ეძინა. მამასახლისის ოთახი უბადრუკ სენაკს ჰგავდა. ასეთ სენაკებში მრევლის კმაყოფაზე დარჩენილ უპატრონო ბერიკაცებსა და დედაბრებს მიუჩენდნენ ხოლმე ბინას, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სენაკის ერთ კედელზე გამართულ თაროებზე შავყდაგადაკრული სქელი ტომები ელაგა — ეს გახლდათ მთავრობის განკარგულებები. წიგნების ყუაზე დაწებებულ თეთრ ქაღალდზე წელი და რიცხვი იყო აღნიშნული, გაურანდავი ფიცრისაგან შეკრული ისეთივე საწოლი, როგორიც ღატაკებს ედგათ, კედელზე იყო მიჭედებული და ზედ შეუღებავი შალის ძველი საბანი ეგო. იატაკზე იდგა ქაშანურის ლურჯი საფურთხებელი სილის საათის ფორმისა, საწოლს ზევით გამართულ თვითნაკეთებ თაროზე მოხატული ბადია, თიხის ფინჯანი და ძვლების დასაზელი მალამოთი სავსე ქილა იდგა. კედელთან გაურანდავი ფიცრის პატარა მაგიდაზე თანამედროვე საწერი მოწყობილობა ელაგა, ხოლო ფანჯრის ქვეშ — დიდი ყუთი. მაგიდასთან მიდგმულ ძველ, გაქუცულ, დანჯღრეულ სავარძელს ზამბარები ჩაწყვეტოდა და თოკით შეეკრათ. კედელზე მყვირალა ფერებით ნახატი ორი სურათი ეკიდა, იესო ქრისტეს გამოსახულება და რუსთ ხელმწიფის ნიკოლოზ პირველის პორტრეტი, აგრეთვე კალენდარი, რომელზეც ვიკელი ვაჭრის გვარი იყო დაბეჭდილი.

მამასახლისი იოუნი საწოლზე იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო, სათვალე ცხვირის წვერზე ჩამოცურებოდა, ის-ის იყო დაემთავრებინა გაზეთების კითხვა. მასპინძელი სტუმარს მიესალმა, რაღაც გაურკვეველი ბგერა გამოუშვა ცხვირიდან, პირის გაღებისა კი ეშინოდა, თამბაქოს ღეჭავდა, პირი წვენით ჰქონდა სავსე და არ უნდოდა ის ძვირფასი წვენი გადმოეღვარა. მამასახლისს ჩვეულად ექცა თამბაქოს ერთი ნაჭერის დიდხანს ღეჭვა, რომ რაც შეიძლება ძეტი წვენი გამოეწურა ყოველი მისი ბოჭკოდან. ისე იყო ჩაცმული, მათხოვარი გეგონებოდათ, დალაქავებული, დაკერებული, მოთელილი ქურთუკი ახლა მიწითაც ჰქონდა დასვრილი, ალაგ-ალაგ ბეწვიც მოსდებოდა, რაც იმის ნიშანი გახლდათ, რომ ეს-ეს არის ფარეხში ბრძანდებოდა. ასეთივე გაქუცულ-გაცრეცილი, ალაგ-ალაგ დაკერებული შარვალი შალის ყავისფერ წინდებში ჰქონდა ჩატანებული. დაკერებული ადგილები ისე იყო დაძენძილი. რომ ფოჩებად ეკიდა. ცხენის ტყავის დაღრეცილი ხამლი ეცვა, ისე საშინლად ყარდა, რომ ცხადი იყო, მთელი ფარეხები შემოევლო. ზაფხულის სავანელი ბიარტური ჩაცმითაც და გარეგნობითაც გაცილებით წარმოსადეგი ჩანდა, ვიდრე მამასახლისი.

ნუთუ არ იყო რაიმე ისეთი ნიშანი, რაც მამასახლისს გაუთლელი გლეხისაგან განასხვავებდა? დიახ, გახლდათ ასეთი ნიშნები: მიუხედავად მათხოვრული იერისა, თვალის ერთი შევლებითაც შეატყობდა ადამიანი, რომ ეს კაცი სხვებზე მაღლა იდგა, რომ სხვათა ბედ-იღბალი ეპყრა ხელთ. ეს კაცი ტუჩებს კუმავდა, თამბაქოს წვენს უფრთხილდებოდა, არ უნდოდა წვენი გადმოეღვარა და ამით უნებლიეთ ამეღვანებდა. რომ ხელიდან არასოდეს არაფერს გაუშვებს, ვიდრე არ გამოსწურავს წვენს უკანასკნელ წვეთამდე. ღია ნაცრისფერი, ცივი, მკაცრი თვალები ჰქონდა, სახის ზედა ნაკვთები სწორი, ფართო შუბლი, ხშირი, მუქი, საფეთქლებზე უკვე შეევრცხლილი თმა, მკვეთრად მოხაზული ყბები და ნიკაპი, მკრთალი ფერი — ნიშანი იმისა, რომ უმეტესად ჯდომა უხდებოდა. და განსაკუთრებით თხელი. ლამაზი ფორმის, თეთრი, მიუხედავად აშკარა მოუვლელობისა, სათუთი ხელები — მის ძლიერ ბუნებაზე, მის რთულ ხასიათზე მეტყველებდა. ისინი კი, ვინც მძიმე ჯაფით შოულობს ლუკმაპურს, ასეთ ნიშნებს მოკლებულნი არიან.

ბიარტურმა თავის ყოფილ პატრონს ხელი გაუწოდა, მამასახლისმა, როგორც ჩვეულად ჰქონდა, ხმის ამოუღებლად ორი თითით ჩამოართვა ხელი, დანარჩენი თითები მოკუმშული ეჭირა. ოცი წელიწადი იყო, რაც ბიარტური ამ კაცს იცნობდა და ამ ხნის მანძილზე მასთან მოქცევის განსაკუთრებული ხერხიც გამოიმუშავა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ბიარტური მამასახლისზე იყო დამოკიდებული, აქედან გამომდინარეობდა ხერხის ძიება, რადგან ერთთავად

თავის დაცვა სჭირდებოდა უხიაკი, ეჭვიანი პატრონისაგან. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს თანდათან იპყრობს ძლიერთა წინაშე თავისი უფლებების დაცვის მძაფრი სურვილი, იწყებს ბრძოლას, იბრძვის წლების მანძილზე დაუცხრომელი დაძაბულობით. ასეთ შემთხვევაში დათმობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მამასახლისის ცოლმა სტუმარს შესთავაზა, ყუთზე ჩამოჯექიო და თან დასძინა, სკამზე მამასახლისის მეტს არავის ეხერხებაო ჯდომა.

— ფუი! — აღშფოთებით წამოიძახა ბიარტურმა,—რა თავში ვიხლი ჯდომას? საკმარისი დრო მექნება დასაჯდომად, როცა დავბერდები. — და დაუმატა,—ეს-ესაა დიასახლისს ველაპარაკებოდი, ძვირფასო იონუ, თუ ზამთარში თივა შემოგაკლდებათ-მეთქი, იმის გამო, რომ შენმა მოჯამაგირეებმა ჩემი ცხვრები ორი ღამით შეიფარეს, გაზაფხულზე ერთ დატვირთულ ურემს მოგართმევ.

მამასახლისმა ფრთხილად წამოსწია ბალიშიდან თავი, თამბაქოს წვენი რომ არ გადმოღვროდა პირიდან, ან ყელში არ გადასცდენოდა და კრიჭაშეკრულმა კბილებში გამოსცრა:

— საკუთარ თავს მიხედე, ყმაწვილო!

ამ თვითკმაყოფილ, თანაგრძნობ კილოში, აშკარად შეურაცხმყოფელი არაფერი იგრძნობოდა, მაგრამ ბიარტურს მამასახლისის ხმაში მუდამ რაღაც ისეთი ჩაესმოდა, თითქოს ამცირებდა მას, კაცთა მოდგმის უკანასკნელ ნაბირალათა რიცხვს აკუთვნებდა, რაღაც ბოროტმოქმედებაში ადანაშულებდა და ეს მეომრულ განწყობილებაზე აყენებდა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ლტოლვას უღვიძებდა.

— საკუთარ თავს მივხედო? არხეინად იყავი, ვზრუნავ და ვიზრუნებ კიდევაც. ჯერჯერობით, მგონი, შენი არა მმართებს რა, ბერიკაცო, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულების თანახმად გერგება და რასაც თავის დროზე გიხდი.

მამასახლისის ცოლმა ბიარტურს უთხრა, ბარემ თქვი, რა გინდა, თუკი მასთან მოსალაპარაკებელი გაქვს, უკვე გვიანაა.

ბიარტური ჩამოჯდა იმ ყუთზე, ცოტა ხნის წინათ რომ შესთავაზა დიასახლისმა და „ჰმ“,—თქვა, კეფა მოიფხანა, თან დაიჭყანა.

— საქმე ის არის... — დაიწყო ბიარტურმა და ცერად გაჰხედა დიასახლისს. ასე აკეთებდა მუდამ, როცა ნიადაგის მოსინჯვას აპირებდა. — საქმე ის არის, რომ მთაში ცხვარი დავკარგე.

კარგა ხანს გაგრძელდა დუმილი, ბოლოს ფრუმ მოთმინება დაჰკარგა და ჰკითხა:

— მერე, რა მოხდა?

ბიარტურმა საბურნუთე ამოიღო, ხელის გულზე დაიყარა ერთი მწიკვი.

— გუდლბრაუ ერქვა,—განაგრძო მან.—გასულ გაზაფხულზე ერთი წელი შეუსრულდა იმ საცოდავს. საუცხოო პირუტყვი იყო, სულ თქვენ გედლირას ჰგავდა. ისიც პასტორ გუდმუნდურის ჯიშისა გახლდათ. ამ ჯიშის ცხვარს მუდამ ვაფასებდი. კარგი ცხვარია! — გუდლბრაუ ცოლს დავუტოვე ნუგეშად და გასართობად, პირველად რომ წავედი მთაში სალაშქროდ. თურმე ცხვარი გაქცეულიყო, მაგრამ გუდლბრაუ ვერსად ვნახე. მაშინ ჩემთვის ვთქვი: სჯობს სამხრეთით წავიდე, გადავჭრა უშენი და მოვძებნო ჩემი პატარა გუდლბრაუ-მეთქი. სამხრეთ მხარეს, მთებში განა ცოტა ცხვარი მიპოვია ფარის ჩამორეკის შემდეგ, თანაც ჩემი კი არა, სხვებისა. თქვენც კარგად იცით ეს. რაღა ბევრი გავაგრძელო, აგერ შარშანდელი შემოდგომა გავიხსენოთ.

მამასახლისი გაოცებული მიჩერებოდა ბიარტურს, ვერ მიმხვდარიყო, საით უმიზნებდა, რა უნდოდა.

— ჰოდა, წავედი, მაშასადამე, სამხრეთისკენ, გადავჭერი უშენი, ავედი ბლაუფიედლზე, მოვიარე რეიკის ხეობა, მერე აღმოსავლეთით გავეშურე, იეგულას აღმოსავლეთ სანაპიროზე გავედი.

— აღმოსავლეთისკენ? იეგულა გადაცურე? — გაოცებით ჰკითხა ფრუმ.

— ამაზე არც კი ღირდა ლაპარაკი, ერთი სულდგმულისთვის მაინც რომ მოძეკრა იქ თვალი. მაგრამ ეშმაკმა წამიღოს, თუ ერთი ჩიტისა და ირმის გარდა მენახოს ცოცხალი არსება. ჩიტი უთუოდ იმ ფრინველთაგანი იყო, ცხელ წყაროებთან რომ ბუდობს, ირემს კი პირუტყვად არა ვთვლი. ხუთი დღე და ოთხი ღამე დავყავი გზაში. ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ამ საღამოს, შინ დაბრუნებულს, რა ამბავი დამხვდა?

ცოლ-ქმარმა ვერაფრით ვერ ამოხსნა ეს გამოცანა, მაინცდამაინც არც უნდოდათ ამაზე თავის მტვრევა და მამასახლისის ცოლმა ბიარტურს უთხრა, რაღას აჭიანურებ, თქვი, რა მოხდაო.

— შენ ხომ პოეზიას დიდად აფასებ. ჰოდა, ლექსს წაგიკითხავ, ერთ უბრალო ლექსს, მაშინ რომ მომივიდა თავში, როცა დავინახე ჩემი არყოფნის დროს, რა ამბავი დატრიალებულიყო ოჯახში.

და ბიარტურმა წაიკითხა ლექსი, მახვილს, როგორც ჩვევად ჰქონდა, შინაგან რითმაზე აკეთებდა:

მიმწუხრი, ისე ვით მეკობარი,
სინათლეს იპარავს მიმქრალი ნისლებით,
სიკვდილის ფრინველი ამთავრებს ფრენას.
ტოტს წყდება ვარდი — ჩემი მეგობარი,
ჩემი ვერდადერდი რწმენა.

მამასახლისმა ნელა მიაბრუნა თავი ბიარტურისკენ, გაკვირვებით აძგიბა წარბები, მაგრამ პირის გაღებას და სიტყვის თქმას ჯერ მაინც ერიდებოდა. სამაგიეროდ მამასახლისის ცოლმა ჰკითხა:

— ვიმედოვნებ, მაგ ლექსით იმის თქმა არ გინდა, თითქოს როზას რაღაც უბედურება დაემართა.

— ვერ ვიტყვი, დაემართა უბედურება თუ არა, ან როგორ უნდა შევხედოთ ამას. მაგრამ ჩემს მიწაზე ის აღარ ცხოვრობს.

— ჩვენი როზა? — აღელვებით წამოიძახა ფრუმ. — შენ ამბობ, რომ როზა მოკვდა? ასეთი ახალგაზრდა ქალი?

ბიარტურმა ღრმად შეიყნოსა ბურნუთი, თამბაქოსგან აცრემლებული თვალი ასწია და ამაყად თქვა:

— დიახ, მოკვდა. ᲛᲝᲙᲕᲓᲐ მარტოდმარტო.

ამ ახალი ამბის გაგონებაზე მამასახლისი წამოიწია, ფეხები ძირს დაუშვა, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ყბა არ გაუჩერებია, ღეჭავდა და ღეჭავდა თამბაქოს, ძვირფას წვენს ვერ ელეოდა, ჯერ არ არის გადმოფურთხების დროო, ფიქრობდა.

— მაგრამ ეს კიდევ არაფერია, — ფილოსოფიურად განაგრძო ბიარტურმა, — სიკვდილი ისეთი ვალია, რომელიც ყველამ უნდა მოვიხადოთ, თქვენც ვერ დააღწევთ თავს. ყველა, ყველა მოახერხებს ამ ვალის მოხდას. სამაგიეროდ, ეგრეთ წოდებული სიცოცხლის ტვირთად წამოკიდება ყველას არ ძალგვიძს. ახალი სიცოცხლე გამუდმებით ევლინება ქვეყანას და სულელურად იწყებს ძიებას, ვინ არის მისი მამა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ურიგო არ იქნებოდა იმის გაგება, ვის ევალება ბავშვზე ზრუნვა. მერწმუნეთ, ცოლის სიკვდილის გამო არ მოვსულვარ აქ — ქალი მკვდრეთით ვერ აღსდგება, — მხოლოდ იმ საცოდავის გამო მოვედი შენთან, პატივცემულო ფრუ. ᲫᲚᲘᲕᲘᲡ რომ ფეთქავს ჩემი ძაღლის მუცელქვეშ. მე მინდა... რაღაც მინდა გკითხო...

— რაშია, კაცმა რომ თქვას საქმე, ძვირფასო? — ჰკითხა ფრუმ, თან ისევე ცივად იღიმებოდა, როგორ ცივადაც უელავდა თვალები სათვალის შუშის მიღმა.

მამასახლისი კი დაიხარა საფურთხელელზე, ერთბაშად, ერთ ნაკადად, უკანაკნელ წვეთამდე გამოასხა პირში დაგუბებული წვენი, თამბაქოს დაღეჭილი ნაჭერი ენის წვერით ყბის ქვეშ ამოიდო, სათვალე ერთი აკვრით ცხვირის ფუძეზე აიგდო და გამგმირავი მზერა ესროლა სტუმარს.

— საინტერესოა, რა ნართაულებით ლაპარაკობ, რას მიედ-მოედები? — განაგრძო პოეტმა ქალმა.—თუ იმის თქმა გინდა, რომ შენი ცოლი მშობიარო-

ბას გადაჰყვა, ბავშვი კი ცოცხალი დარჩა, ქარაგმებს თავი დაანებე და პირდაპირ თქვი. ვეცდებით დაგეხმაროთ, როგორც ბევრ სხვას დავხმარებივართ, უანგაროდ და უსასყიდლოდ. ოღონდ ერთ რამეს კი მოვითხოვთ ყველასგან: არავინ გაბედოს, შენ იქნები თუ სხვა, აქ მოსვლა და უცნაური, გადაკრული ლაპარაკით ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ჩრდილის მიყენება.

რაკი დაინახა, რომ ამ საქმის ხელმძღვანელობა მისმა ცოლმა ითავა, მამასახლისი დამშვიდდა და მთქნარება აუტყდა. ასე ემართებოდა, როცა თამბაქოს არ ღეჭავდა, მაშინვე მოიწყენდა, ძილი მოერეოდა, თვალებს აცეცებდა. ფრუმ კი ვერ მოისვენა, ვიდრე ბიარტურმა შიში არ გაუფანტა. არა, ბიარტური იმისათვის არ მოსულა აქ, რომ ბავშვინ მამის ვინაობა დაადგინოს, რომელიც ზაფხულის სავანეში ელის ახლა.

— მე ბატკნებზე უფრო მეხერხება ლაპარაკი, ვიდრე ბავშვებზე, პატივცემულო ფრუ, — ისეთი კილოთი უთხრა ბიარტურმა, თითქოს ბოდიშს უხდისო.—ოღონდ ის მინდა გკითხო, როგორ ფიქრობ, ორიოდ წვეთი თბილი რძე არ უნდა მივცეთ პაწიას, თუ იმ საცოდავს დილამდე შერჩა სული? რა თქმა უნდა, გადაგიხდით, რამდენსაც მოითხოვთ.

რაკი გამოირკვა, რომ ბიარტური ბავშვს თავზე არ ახვევდა მათ, ფრუმ ბრძახა, ჩემი ყველაზე დიდი, უკანასკნელი სიხარული ასეთ მძიმე დროსაც კი ის არის, რომ დახმარების ხელი გავუწოდო სუსტს, მხარი მივცე უძლურს, საყრდენად ვექმნე ახლადგაღვიძებულ სიცოცხლესო. ჩემი გული მთლიანად, განუყოფლად ეკუთვნის გლეხს არა მარტო სიხარულისა ჟამს, არამედ მწუხარებაშიც.

თავი მეცხრამეტე

სიცოცხლე

მამასახლისის ცოლი ცარიელ დაპირებებს როდი დასჯერდა, იმავე საღამოს გაგზავნა ზაფხულის სავანეში თავისი მნე—გუდნი. გუდნი ცხენით გაუდგა გზას, თან წაიღო ბოთლით რძე, პრიმუსი, ჩვრები და სახვევები ახალშობილისათვის. ბიარტური წინ მიუძღოდა ცხენს, გზას უკვალავდა.

სიმყრალე—ეს იყო პირველი, რაც გუდნიმ ზაფხულის სავანეში ფეხის შედგმისთანავე შენიშნა. ფარეხში მიწის კედლები ნესტით გაჟღენთილიყო, დამარილებული, აყროლებული თევზის სუნი იდგა. ზევით გვამის სუნი და აბო-

ლებული ლამპის მხუთარი ეცა ქალს ცხვირში. პატრუქი ისევ აშომშრალიყო და ოდნავღა ბუუტავდა. გუდნიმ ბიარტურს უბრძანა. პირველ რიგში, ფანჯრები გააღე, რომ ჰაერი გაიწმინდოსო, მიცვალებულს საბანი წააფარა და ბავშვთან მივიდა. ძაღლი არ უთმობდა, დამშეულ-გაძვალტყავებული ტიტლა დედასავით გადაეფოფრა ჩვილს, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია, დაეფასებინა მისი ერთგულება, საკბენადაც კი მიეტანა გუდნის. ბიარტურმა აყმუვლებულ ძაღლს კისერში ჩაავლო ხელი და კიბეზე გადასტყორცნა. ბავშვს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. გუდნი ატრიალებდა პატარას, თავით ძირს დაჰკიდა, მერე კართან მიიყვანა, და პირი ქარისთვის მიაშვერინა. პატარა, დამანჭულ არსებას, დაუპატიჟებლად, არასასურველ სტუმრად რომ მოევლინა ქვეყანას, თითქოს უკვე დაჰკარგოდა ძალა და ბრძოლის უნარი თავისი უფლებების მოსაპოვებლად.

ახალგაზრდობაში დაქვრივებულ გუდნის ეცოდებოდა პატარა, არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ ვერაფერს უშველიდა უმწეო არსებას. ქალმა კარგად იცოდა, რას ნიშნავს მთაში, მიყრუებულ ხუტორში, ქარის ღმუილ-ზუზუნში მშობიარობა. გუდნიმ პრიმუსზე ქვაბით წყალი დადგა. უკვე მეორედ ადუღებდნენ წყალს ახალშობილის გასაბანად. როცა წყალი გაცხელდა, ქალმა ბავშვი დაბანა, მთლიანად ჩამალა წყალში, მარტო ცხვირიღა მოუჩანდა და ასე დატოვა ერთ ხანს. ბიარტურმა ჰკითხა, ბავშვის მოხარშვას ხომ არ აპირებო, მაგრამ გუდნის არც გაუგონია მისი ხმა. სული ვერ ჩაუდგა ახალშობილს. მაშინ გუდნიმ წყლიდან ამოიყვანა ბალღი, ფეხით ასწია, თავქვე დაკიდებულს ატრიალებდა, იქნევდა გამწარებით. ბიარტური ქალს შეშფოთებით ადევნებდა თვალს და გაიფიქრა, უნდა შევაწყვეტინო ბალღის წვალება, ვთხოვ გუდნის დაეხსნას, შეიბრალოს პაწიაო.

— თეძო ხომ არ გინდა ამოუგდო ბავშვს, შე ეშმაკის კერძო?

გუდნიმ ახლაღა დაინახა, რომ ბიარტური ოთახში იყო და დაუტატანა:

— ამწუთში გამეცალე აქედან, ვიდრე არ დაგიძახებ, აღარ გაბედო აქ შემოსვლა.

ბიარტურს პირველად აგდებდნენ საკუთარი სახლიდან. სხვა დროს წინააღმდეგობას გაუწევდა, შეეცდებოდა შეეგნებინებინა გუდნისთვის, შენი არა შძართებს რაო, მაგრამ ახლა ნაცემი ძაღლივით, უჩუმრად გაიძურწა იქით, საითაც ცოტა ხნის წინათ ტიტლა გადასტყორცნა. აღარ იცოდა, სიბნელეში რა ეკეთებინა, ილაჯგაწყვეტილი იყო განცდილი ვაი-ვაგლახით და უცებ რაღაც საშინელი უმწეობა იგრძნო, თითქოს ზედმეტია ამ ქვეყნად. მან ისიც კი იფიქრა, მგონი, ზოგჯერ ცოცხლები არსებითად მკვდრებზე ზედმეტნი არიანო.

ზვინს ერთი იღლია თივა გამოაძრო, ძირს გაშალა და ძაღლივით მიეგდო. ბოლოს და ბოლოს, მაინც თავის სახლშია.

დილით ბიარტური ბავშვის ტირილმა გააღვიძა. როცა ზემოთ ავიდა, დაინახა როზას საწოლზე ჩამომჯდარი გუდნი. ქალს ბავშვი კალთაში ეწვა, საკინძე გაეხსნა და თავის, გულმკერდის სითბოთი ათბობდა, მათ პირდაპირ კი, მეორე საწოლზე, ახალშობილის დედა ესვენა. გუდნიმ მატყლის პაწია ფთილა გამოკრა ჩვარში, ბოთლის ყელზე დაამაგრა საწოვარასავით და ბავშვს წოვას ასწავლიდა. ბიარტური შუა ოთახში იდგა, როგორღაც დარცხვენით უყურებდა ამ სურათს, თითქოს კდემამოსილების გრძნობა შეულახესო, მაგრამ მალე მისი ქარდაკრული, წვერმოშვებული სახე, ნამქერში სიარულით აწითლებული თვალები ღიმილის შუქმა გაანათა.

— აი, შენი ქალიშვილი, საღი და საღსალამათი! — ამაყად უთხრა გუდნიმ, რაკი გაიმარჯვა და ეს პაწია წუთისოფელს დაუბრუნა.

— ეტყობა, რომ ასეა, — თქვა ბიარტურმა, — საბრალო!

გაოცებული ათვალიერებდა სუსტ, ნაზ არსებას, გუდნის კალთაში რომ იწვა.

— აბა, როგორ, უცებ ხომ ვერ დადგებოდა ფეხზე, — თქვა ბიარტურმა მობოდიშებით. — არა, მაინც რა საცოდავია ადამიანი. აი, ასეთ პაწიას რომ უყურებ, მაშინ ხედავ ადამიანის უსუსურობას.

— აი, შე პაწიავ, შენა! — თქვა გუდნიმ და ალერსით გადაუსვა ხელი ბალღს, — ვნახოთ, ერთი, რას დაგარქმევს მამაშენი?

— ასეა თუ ისე, მამობას მაინც გავუწევ საბრალოს. ლამაზ სახელსაც დავარქმევ.

გუდნის ხმა არ ამოუღია. ბალღს საწოვარა ჩაუდო პირში, თან ნანა დაუღიღინა. ბიარტური შეჰყურებდა მათ, ერთ ხანს რაღაცაზე ფიქრობდა და მერე მტკიცედ განაცხადა:

— აჰა, ყველაფერი რიგზეა, — და თავისი დაკოჟრებული ხელი სახეზე მიადო ჩვილს, ის ხელი, რომლითაც თვით ურჩხული მოსპო და მტვრად აქცია.

— მისი სახელი იქნება აუსტა სოულილია*.

ეამაყებოდა, რომ პატარა არსებას ქვეყნად მის გარდა მფარველი არ ჰყავდა და მტკიცედ გადაწყვიტა, მწედ შექმნოდა, სიხარულიცა და მწუხარებაც გაეზიარებინა მასთან.

— და ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, — თქვა თითქოს თავისთვის.

საცოდვილო და სადავიდარაბო ბიარტურს ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა. ცხვა-

---

* აუსტა — სიყვარული. სოულილია — მზის შროშანა (ისლანდ.).

რი უნდა გადმოეყვანა უტირედსმირიდან, ქალი დასამარხი იყო, კუბოზე უნდა ეზრუნა, პასტორთან მისასვლელი იყო, მეჯინეები უნდა დაებარებინა, ქალაქს უნდა წასულიყო, მიცვალებულისათვის ქელეხი გადაეხადა.

— იცი, რა მინდოდა მეთქვა, ძვირფასო გუდნი: ცომს ხომ ვერ მოზელავ? ქელეხისათვის ღვეზელია გამოსაცხობი. ქიშმიში და ის შავი რაღაც რომ არის, შგონი, ქლიავს უძახით, ბლომად უყავი, ყაირათს ნუ გასწევ, ყველაფერს გადავიხდი. მაჭკატებიც ბლომად გააკეთე, იმდენი, რომ ძღომაზე ეყოს ყველას. ყავა კი, იცოდე, ისეთი მაგარი უნდა იყოს, კუპრივით შავი. მე არ მინდა, რომ ჩემს სტუმრებს, ჩემი ცოლის ქელეხში, ყავის ნაცვლად თხლე დაალევინონ.

თავი მეოცე

რუდუნი

ექვი აღარავის ეპარებოდა, რომ ზაფხულის სავანეში კვლავ თარეშობდა მოჩვენება. გუდნისაც ეშინოდა იქ მარტო დარჩენა და კაცი გაგზავნა რედსმირში მოახლე გოგოს ჩამოსაყვანად. როზას სიკვდილმა ათასნაირი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, იდუმალი რამ ხმები გავრცელდა ხალხში და რაც უფრო შორს გასცდა ეს ხმა ზაფხულის სავანეს, მით უფრო იდუმალი ხდებოდა. ყველას სარწმუნოდ მიაჩნდა ეს ხმები. ამ უკაცრიელ ადგილს, სადაც ხუტორი იდგა, ხომ ძველთაგან დაუმკვიდრდა ცუდი სახელი. ჰოდა, რაკი პირველსავე წელს ასეთი უბედურება თავს დაატყდა ოჯახს, მომავალში რაღა ხეირი დაეყრებათო, შიშობდა ყველა. დაბაში ბიარტურს სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე შეხვდა, საუბარში სხვათა შორის ჩაურთო თავმჯდომარემ, რომ მას მუშა კაცის დაქირავება მუდამ შეუძლია, თან გადაპკრა, რომ ბიარტურს ხუტორში გაუჭირდება ცხოვრება, ქვრივს, ძუძუთა ბავშვით, ვაითუ ისე შეტრიალდეს სექმე, რომ მერე ეს მთელ სამრევლოს დაეტყოს. კაცმა ყველაფერი უნდა აწონ-დაწონოს. ჰოდა, რას აპირებს? ამბობენ, თუ ბიარტური უტირედსმირის პატრონებს შეეხვეწება, ბავშვის გაზრდას იკისრებენ, ჩვეულებრივ გადასახადსაც კი არ გადაახდევინებენ, ოღონდ იმ პირობით, თუ მიწას დაუბრუნებსო.

— შე თუ მკითხავ, — დასძინა სამრევლო საბჭოს თავმჯდომარემ, — ამას ოღლად გადარჩენა ჰქვია.

ბიარტურმა გაიფიქრა, რაკი რედსმირელები წინადადებით მომმართავენ, თუნდაც ასეთი მიკიბულ-მოკიბული გზით, ჩანს, საამისო საბაბი აქვთო.

— იქნებ თქვენ, სამრევლოს უფროსობა, იოლად გადარჩენას უძახით იმას, — მიუგო ბიარტურმა. — რომ კაცმა თავისი ბავშვი უტირედსმირელებს მისცეს გასაზრდელად. ჩემის აზრით კი ეს სულაც არ არის გადარჩენა. მე თვითონ ვიზრდებოდი უტირედსმირში, მთელი თერამეტი წელიწადი გავატარე იქ. ახლა კი დამოუკიდებელი კაცი ვარ, თავისუფალი ქვეშევრდომი ჩვენი ქვეყნისა. ჩემს მოვალეობას პირნათლად ვიხდი ღვთისა და ხალხის წინაშე. ჰოდა, ჩემს შვილსაც მე თვითონ გავზრდი, რედსმირში კი არასოდეს, არასდროებით არ გავგზავნი.

— კარგი, მაგრამ, ვთქვათ და ისე მოხდა, რომ მთელი შენი სურვილების მიუხედავად, თავი ვერ დააღწიე ვალს, — უპასუხა სამრევლო საბჭოს თავმჯდომარემ, — ვთქვათ, მუშის დაქირავება დაგჭირდა მიწის დასამუშავებლად. მაშინ რაღა დარჩება შენი დამოუკიდებლობიდან? ხოლო სხვას თუ დაუდგები, უზრუნველყოფილი იქნები.

— თერამეტი წელიწადი ვშრომობდი იმისათვის, რომ პატარა ფარა გამეჩინა და მიწის ყიდვის უფლება მომეპოვებინა. ავიშენე სახლი, თუმც მეფური როდია, მარმარილოთი და მეწამული ქვით არ გახლავთ მოპირკეთებული. მაგრამ ჩემთვის მაინც სასახლეა იგი. ისეთ საძირკველზეა აგებული, რომლის ამოყუანასაც თერამეტი წელიწადი დასჭირდა. ჯერჯერობით არც მამასახლისის, არც ვაჭრისა არაფერი მმართებს, ხელშეკრულების თანახმად შესატანი დროზე შემაქვს. ჩემი სახლი ისეთივე სასახლეა, როგორც შენი და მამასახლისისა. არასოდეს არაფერი მესაქმებოდა მამასახლისის შვილებთან. აურზაური არ ამიტეხია იმის გამო, თუ ვის გვარს ატარებდნენ ისინი. ჰოდა, ამიტომ მეც მოვითხოვ, რომ მამასახლისმა ჩემს პირად საქმეებში ცხვირი არ ჩაყოს, თავი დაანებოს ჩემს შვილს, როგორი სახელიც არ უნდა დავანათლო მას. ჩემი სალამი გადაეცი მამასახლისს და ყველა იქაურს.

იმ დღესვე წავიდა ბიარტური სტადურში პასტორ გუდმუნდურთან. ამ კაცს დიდად აფასებდა, იმიტომ, რომ მან ჩიხებული ჯიშის ცხვარი გამოიყვანა. ბიარტური თამბაქოს კვამლით დაბურულ ოთახში შეიყვანეს. პასტორი ბოლთას სცემდა, საქადაგოდ ემზადებოდა, სამეურნეო ანგარიშგებაც ჰქონდა გასაკეთებელი, იგი იშვიათად ჩერდებოდა და უფრო იშვიათად ჯდებოდა. ჭაღარა, გაფიქვინებული, წითელცხვირა უხიაკი კაცი იყო, ერთთავად სულ სადღაც მიეჩქარებოდა, იბღინძებოდა, ძველი, წარჩინებული გვარის ჩამომავალი. ახალგაზრდობაში სამხრეთ მხარეს დიდი მრევლი ჰყავდა, მაგრამ ცხოვრების უმეტესი ხანი ამ კუთხეში გაუტარებია. დრო მიდიოდა, პასტორი გუდ-

მუნდური მუყაითი მეურნე იყო, გახდა შეძლებული, თუმც ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე გლეხებთან მუდამ ზიზღით ლაპარაკობდა. სოფლის მეურნეობის დიდი მცოდნე იყო, ოღონდ ამ ცოდნას გლეხებთან არ ამჟღავნებდა. საერთოდ სიტყვაძვირი გახლდათ, როგორც საქმით დატვირთული ყველა ადამიანი. მასთან საუბარში, რაც არ უნდა გეთქვათ, სისულელედ ჩათვლიდა. ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონდა, მაგრამ თუ ვინმე დაეთანხმებოდა, იმ წუთშივე შეიცვლიდა შეხედულებას. ყველას უნდოდ უყურებდა, იშვიათად იტყოდა ვინმეზე კარგს, მხოლოდ დანიის ხელმწიფის ჩამომავალთ აქებდა, ცამდე აჰყავდა მათი ნიჭი, სათნოება, განსაკუთრებით პრინცესა ავგუსტა ხიბლავდა და მისი სურათი სამუშაო ოთახში ეკიდა კედელზე. პრინცესა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. პასტორი გუდმუნდური მაინცდამაინც კარგი შეხედულების არ გახლდათ თავის სამწყსოს ზნეობაზე, ამ საგანზე მუდამ გადაკვრით ლაპარაკობდა. მისი აზრით, მას შემდეგ, რაც ეს სამრევლო ჩაიბარა, აქ ბევრი დანაშაული იქნა მიჩქმალული. პასტორზე ისეთი აზრი იყო შექმნილი, რომ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს მუდამ ეხმარებოდა, მაგრამ მისი თანდასწრებით კაცი ვერავის შეაქებდა ან გაჰკიცხავდა, ერთნაირად აღიზიანებდა ქებაც და გმობაც. ისეთ ხალხთან, ვისაც მტკიცე რწმენა არ ჰქონდა, რელიგიაზე ძალზე სერიოზულად ლაპარაკობდა, იმათთან კი, ვინც ჭეშმარიტი მორწმუნე იყო, მისი საუბარი დიდი ღვთისმოსაობით არ გამოირჩეოდა. მისი ქადაგებანი უთავბოლო იყო, გაუგებარი და მრევლიც დიდად თავს არ იწუხებდა, რომ ამ ქადაგების შესაბამისად ეცხოვრა.

— ოჰო, არ იშლი შენსას ხომ, დაეხეტები ხუტორ-ხუტორ, არა? — წამოიძახა პასტორმა ჩვეულებრივი, ბრაზიანი კილოთი, ბიარტურს ხელი ჩამოართვა და ელვის სისწრაფით ჩაუქროლა, თან გამწარებული ჩიბუხს ქაჩავდა, კვამლის ბოლქვები თავზე ისე ეფინებოდა, როგორც დაოთხილ ცხენს მტვერი.

— როდის მქონდა ჩვევად ხუტორ-ხუტორ ხეტიალი? — ჰკითხა ბიარტურმა. — მაგრამ იმას კი არ დაგიმალავ, რომ დაბაში ვიყავი და იქ სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე შემხვდა.

— ფუი, სამრევლო საბჭოს თავმჯდომარე, — ზიზღით თქვა პასტორმა, ლუმელს ჩაურბინა და ნახშირის სათლში ჩააფურთხა.

— ვიმასლაათეთ აქეთურ-იქითურზე და ჩემს თავს ვკითხე: ჩვენ ორში რომელს უფრო აქვს-მეთქი გულში გამჯდარი თავისუფლების სიყვარული? ჰოდა, გადავწყვიტე, პასტორთან შემომევლო.

— თავისუფლების სიყვარული? — გაიმეორა პასტორმა, შედგა, წვრილი თვალები ბიარტურს ჩააშტერა, განმარტებას თხოვდა.

— მე ღატაკების თავისუფლებაზე მოგახსენებთ.

— ჩემის აზრით, თავისუფლება არც ღატაკებს სჭირდება და არც მდიდრებს, — აჩქარებით მიუგო პასტორმა და ისევ გააბოლა.

— იცი რაშია განსხვავება?—ჰკითხა ბიარტურმა,—მე მუდამ ვიბრძოდი, თავისუფლებისათვის, სამრეველო საბჭო კი სულ იმის ცდაშია, წელში მოდრიკოს ყველა.

— არ არსებობს არავითარი თავისუფლება, გარდა იმ ერთისა, რაიც მოგვანიჭა ჩვენმა მხსნელმა მაცხოვარმა, — ისე სხაპასხუპით, გულგრილი კილოთი უპასუხა პასტორმა, როგორც სულსწრაფი ვაჭარი მიახლის ხოლმე მუშტარს, რომელსაც არაფრად აგდებს:—არავითარი ტილო არა გვაქვს, გარდა ქერელის ტილოსიო,—საქმე ისე გახლავთ, როგორც ძველ ხალხსა აქვს აღწერილი, — და პასტორმა უცხო ენაზე დაიმოწმა ციტატი. მერე ბიარტურს ჰკითხა: — მაინც რა არის თავისუფლება? განა არ ვიცოდი, რომ თავადაც არაფერი გაგეგებოდა ამის. არ იფიქრო, თითქოს იმის საწინააღმდეგო რამე მქონდეს, რომ შენ საკუთარ ხუტორში ცხოვრობ, მთაში, ეს შენთვის ყველაზე შესაფერი ადგილია. როგორც უძველესი ხალხი ამბობს, — ამას მოჰყვა ისევ ციტატი გაუგებარ ენაზე.

— მე კამათს არ დაგიწყებ ძველებრაულ ენაზე, ძვირფასო პასტორო, — უთხრა ბიარტურმა, — ჩემთვის სულ ერთია, რას ამბობს სხვა, ოღონდ ეს კი ვიცი, რომ მეცხვარეობის საქმეში არავის ჩამოუვარდები. ისიც კარგად გამეგება, რომ შენმა ცხვარმა ამ კუთხეს დიდი სარგებლობა მოუტანა.

— ღმერთმა დასწყევლოს ეგ ცხვარი! — წამოიძახა პასტორმა. — დიდი სარგებლობა? დიახ, იმათ, ვინც თაყვანს სცემს საკუთარ სტომაქს და ამაყობს იმით, რისიც უნდა რცხვენოდეს.

— ჰმ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბიბლიაში ცხვარი საღვთო კრავად იხსენიება.

— არა, ეგ არ არის მართალი, — უპასუხა პასტორმა, — მე უარვყოფ, რომ ბიბლიაში ცხვარი საღვთო კრავად იწოდება. რა თქმა უნდა, იმას არ ვიტყვი, ცხვარი უფალს არ შეუქმნია-მეთქი, მაგრამ გადაჭრით უარვყოფ, თითქოს ღმერთი ცხვარს უფრო სწყალობს, ვიდრე სხვა პირუტყვებს.—ერთ ხანს იყუჩა პასტორმა და მერე საყვედურის კილოთი დაუმატა: — ცხვრის დევნა უშენში, მთასა და ხეობებში, აბა რისთვის? რა აზრი აქვს ამას?

— კარგი, მაშ მოგახსენებ, გულწრფელად, გულახდილად, რომ მე და შენ თითქმის ერთი აზრისა ვართ ცხვარზე. მართალი გითხრა, პასტორო გუდმუნდურ, შენთან იმიტომ შემოვიარე, მინდა ერთ საქმეზე მოგელაპარაკო, კარგა ხანია ამაზე ვფიქრობ, მესიზმრა კიდეც ერთხელ. მინდა გკითხო, ხომ არ მომყიდი შემოდგომის ერთ-ერთ ბატკანს, ღვთის შეწევნით, ნაღდ ფულს მოგცემ.

ყოველ შემთხვევაში. თუ ეს არ მოხერხდა, ეაჭარს მაინც გადმოვარიცხინებ ბენს სახელზე.

ბიარტური თავგამოდებით ცდილობდა, როგორმე ეპოვა საშუალო გეზი ლკთისმოსაობასა და „საკუთარი სტომაქის“ მსახურებას შორის, რომ პასტორისთვის თავდასხმის საბაბი არ მიეცა, მაგრამ ასეთი ხრიკებით პასტორთან ბას გახდებოდა.

— გადმორიცხვა? — გაგულისებით ჰკითხა პასტორმა. — მე არ მინდა არაეითარი გადმორიცხვა ლმერთიდან ეშმაზე. ჩემს უფროს მოჯამაგირეს მოელაპარაკე.

— ვიდრე პირადად შენ არ შეგითანხმდებოდი, შენს ხელქვეითებთან ამაზე არ მინდოდა ლაპარაკი.

— თუ ყავა გინდა, პირდაპირ თქვი, არაყი კი, ღმერთია მოწმე, არა მაქვს.

— მე ჯერ არ გადმომიფურთხებია ყავა, თუნდაც უარყო იყოს. ჩემისთანები, ვისაც მთელი ცხოვრება უარყოდ გაუტარებია, საკმაოდ ბევრია.

პასტორი სამზარეულოში გავიდა და განკარგულება გასცა, ყავა მოგვართვითო. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა, ისევ ქაჩავდა ჩიბუხს, კვამლის სქელი ბოლქვები ეხვია თავს.

— შენ მარტო ვარდკაჭაჭას მიიღებ, — უთხრა პასტორმა სტუმარს, — ჰო, რაღაც არასოდეს არ შემიმჩნევია, რომ სულის ცხონებაზე ზრუნავდე. თქვენ მარტო უდარდელობით კი არ მოგდით, თავი რომ აგიღერიათ და მთებში დაეხეტებით. არა, ნამდვილად ყველა ცოდვაში ხართ ჩამხრჩვალი და გულუბრყვილოდ კი ფიქრობთ, ვითომ ხალხს მარჯვედ უხვევთ თვალს.

პასტორის ერთ-ერთმა კოსტაპრუწა ქალიშვილმა სპილენძის დიდი ყავადანით სურნელოვანი ყავა შემოიტანა, მაგიდაზე დაალაგა ფაიფურის მოხატული ფინჯნები, შაქარი, ნაღები, სხვადასხვანაირი ღვეზელი. მერე ბიარტურს მადლობა გადაუხადა, რომ იმ ზაფხულს ისე გულთბილად შეხვდა მას და მის მეგობრებს ზაფხულის საკანში. ქალიშვილს არ დავიწყებოდა ბიარტურის ლექსი და მის პატივსაცემად ზეპირადაც წაიკითხა. პასტორი უხალისოდ უგდებდა ყურს, თან რაღაცას ბუტბუტებდა.

— ფუი, რა უშნოდ შეთითხნილია, მაგას ხომ ლათინურად ვერ გადათარგმნი,—თქვა პასტორმა, როცა ქალიშვილმა ლექსის კითხვა დაამთავრა და დაითხოვა შვილი: — წადი, გუნსა, შენ აქ არა გესაქმება რა.

როგორც კი ქალიშვილი გავიდა, პასტორი დაიხარა, საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და უცებ საშინელი ხველა აუტყდა თამბაქოს კვამლისაგან. უჯრიდან არყით სავსე მათარა ამოიღო, რაღაცნაირი გაბოროტებით ჩაასხა ჭიქაში არაყი, პირამდე გააესო და ყავადანაში ჩაუძახა. ყავა ფინჯნებში

დაასხა. ბიარტურს კრინტი არ დაუძრავს მასპინძლისა და არყის პატივისცემით. შეუდგნენ ყავის სმას. სამი ფინჯანი რომ გამოცალა, ბიარტურს ოფლმა დაასხა.

— დალიე, დალიე, მეგობარო, — უთხრა პასტორმა. — აბა, რისთვის გიმასპინძლდებიან ქალები ყავით ასეთ ამინდში?

— უკვე სამი ფინჯანი გვახელით, — ზრდილობიანად მიუგო ბიარტურმა.

— რა ვიცი, მე დღეში ოცდაათ ფინჯანზე ნაკლებს არასოდეს არა ვსვამ,— თქვა პასტორმა და ისევ გაავსო ფინჯნები. ასე შეექცეოდნენ, ვიდრე ყავადანი არ გამოცალეს. ექვს-ექვსი ფინჯანი ყავა დალია თითომ. ბიარტურს შუბლიდან და საფეთქლებიდან წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა ოფლი. იჯდა და მოხატულ ფინჯნებს ათვალიერებდა.

— ურიგოები როდი არიან ეს უსაქმურები, — მხედველობაში ჰყავდა ფინჯნებზე გამოსახული იაპონელი ქალები, — ვიცი, ბევრი წყალი ჩაივლის, ვიდრე ზაფხულის საკანეში ასეთი ფინჯნები გაჩნდება ზედ მოხატული მოღიმარი ქალიშვილებით, მაგრამ ეს არაფერია, ძვირფასო პასტორო, — თქვა ბიარტურმა და ოფლი სახელოთი მოიწმინდა, — იცი, რა უბედურება დამატყდა?.. ჩემი ცოლი, გაზაფხულზე ჯვარი რომ დამწერე, ეს-ეს არის გარდაიცვალა.

— როგორ მოხდა ეგ? — დაეჭვებით ჰკითხა პასტორმა — მე აქ არაფერ შუაში ვარ.

— რასაკვირველია, შენ არაფერ შუაში ხარ, მაგის თქმა ხომ არ მინდოდა,— მიუგო ბიარტურმა და ამ სიტყვებით მთლიანად მოხსნა პასტორს პასუხისმგებლობა. — ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა, როგორც ჩანს, სისხლის დაკარგვის გამო. კარგად მესმის, რაც მოხდა, მაგრამ ის კი ვეღარ გავიგე, სად გაქრა გუდლბრაუ, ერთი წლის შიშაგი, შენი გამოყვანილი ჯიშისა... ვფიქრობ და ვერ გამიგია, რა მოუვიდა. ღობეზე მიბმული დავტოვე, შემოდგომაზე პირველად რომ ავედით მთაში ცხვრის შესაკრებად. ცხონებულ ჩემს ცოლს დავუტოვე გუდლბრაუ, რომ მარტოობაში გაემხიარულებინა და გაერთო ცხვარს.

— რა მოგახსენო, — ცივად მოუჭრა პასტორმა, — მე ხომ ცხვრებს არ ვიპარავ. ჰოდა, გთხოვ ამისთანა საქმეებში ნუ გამრევ.

— რაღაც უნდა მოვისაზრო და ვიღონო, — წინდახედულად თქვა ბიარტურმა, — ყოველ შემთხვევაში, ცოლზე მაინც.

— ახლავე შემიძლია გაგირიგო ქალი. წყნარი ქალია, მშვიდი, რბილი ხასიათი აქვს, გამრჯეა და დაუზარელი, მაგრამ დედა ჰყავს ბებერი ალქაჯი. ასე რომ, დაუფიქრდი, კარგად ასწონ-დასწონე. დედამისმა ზეპირად იცის მთელი დავითნი.

— ჯერ მაინც ცოლის დამარხვაზე უნდა იფიქრო, — მოკრძალებით თქვა ბიარტურმა.

— ოჰ. რა საშინლად მეჯავრება დამარხვა, — თქვა პასტორმა.

— საქმე ის არის, რომ ხუტორში არავის უნდა გაჩერება, ვიდრე მიცვალებულს არ დავმარხავ. ხალხის ცრურწმენას და სისულელეს ხომ საზღვარი არა აქვს.

— თქვენ შეგიძლიათ გაზაფხულამდე, დროებით იქვე დამარხოთ მიცვალებული. აზრადაც არ მომივა იმ მაღალ მთაზე ასეთ ქარბუქში ამოსვლა. დაუძლურებული ბერიკაცი ვარ, დაბადებით სუსტი ფილტვები დამყვა. ვინ იცის, იქნებ ღვიძლის კიბოც მაქვს. გარდა ამისა, შემოწმებული და დამტკიცებული არ არის, რით მოკვდა შენი ცოლი. ხეობის მოსახლეებს ყოველთვის შეგიძლიათ თავი იმართლოთ იმით, რომ თქვენი ცოლი საიქიოს სწორედ მაშინ გაემგზავრა, როცა მთაში ცხვარს დაეძებდით. მე კი ვიცი, ქალს ცხვარზე ნაკლები მოვლა როდი სჭირდება. ბევრი რამის თქმა შემიძლია ამ ოლქში გარდაცვლილებზე... ოცდაათი წლის მანძილზე, რაც ეშმაკმა მიხიმანა და აქეთ გადმომტყორცნა, ბევრის მოწმე გავხდი, ბევრ რამესაც დავამტკიცებდი, ჩემი მრევლის სიბრალული რომ არ მაჩერებდეს. თანაც მოხუცი ვარ, სუსტი იმისათვის, რომ დამპალ ხელისუფალთ ვებრძოლო. ისინი ხომ დიდ ავაზაკებს, ცეცხლის გამჩაღებლებსა და მკვლელებს ხელს არასოდეს ახლებენ.

— მაგრამ შენ ისინიც დაგიმარხია, პასტორო, ვინც უფრო უცნაური სიკვდილით მოკვდა, ვიდრე ჩემი როზა.

— ვაგლახ, რომ ასეა, — მძიმედ ამოიოხრა პასტორმა. — მაგრამ წელანაც გითხარი, ავადმყოფი ვარ-მეთქი, მძიმე ავადმყოფი.

— განა მთაში ამოსვლას გთხოვ? არა, მხოლოდ ის მინდა, რომ შაბათს რედსმირის საყდარში მოხვიდე, თუ რიგიანი ამინდი იქნება.

— რედსმირის საყდარში ბარი გატეხილია, ღმერთსა ვფიცავ, — პასტორი ათას მიზეზს იგონებდა, — მიცვალებულის ხვედრზეც პასუხს არ ვაგებ, არც განკითხვის დღეზე, არც იმიერ ცხოვრებაზე, თუ ბარის ნაცვლად, რაღაც ნატეხი დაგხვდა იქ. ალბათ, შენ ორიოდ სიტყვის თქმასაც მომთხოვ. არ მესმის, რა საჭიროა მიცვალებულზე ლაპარაკი ასეთ ამინდში? გარდა ამისა, სათქმელიც არაფერია.

— გრძელი სიტყვა არც არის საჭირო, — უპასუხა ბიარტურმა.

— იქნებ რედსმირელმა დედაბერმა თქვას სიტყვა, ჰა? — შესთავაზა პასტორმა. — გაზაფხულზე ხომ წარმოთქვა სიტყვა, შემოდგომაზე ვითომ რაღა შეუშლის ხელს?

— რაღა დაგიმალო და, — დაიწყო ბიარტურმა, — მისი ნდობა არა მაქვს.

ხშირად ვფიქრობ, იქნებ ჩვენი საქმე ასე უკეღმა არ შეტრიალებულიყო, გაზაფხულზე რომ შენ გეთქვა სიტყვა. თუმცა, მართალი მოგახსენო, ასეთი სიტყვების საერთოდ არაფერი მწამს, ყველაზე მეტად კი გრძელი სიტყვისა.

— მე თუ ვიკისრებ სიტყვის თქმას, უსათუოდ გრძელ სიტყვას ვიტყვი, — თქვა პასტორმა, — როცა საკუთარი აზრის გამოთქმას იწყებ ადამიანი, სათქმელს ბოლო არ უჩანს ხოლმე. ხალხის ურთიერთ დამოკიდებულებაზე, მრევლთან მათ ურთიერთობაზე....

— როგორ შევხედოთ ამას? ზოგი ამბობს, რაც უფრო სიტყვაძუნწი იქნები, პასუხისმგებლობაც ნაკლები გექნებაო. თუმცა, ჩემთვის სულ ერთია რას იტყვი, ოღონდ ცუდი არაფერი თქვა. მთავარი ის არის, რომ პასტორმა წარმოთქვას სიტყვა თავის დროზე და თავის ადგილზე, თორემ მერე დაიწყებენ ენის ფხანას, აქაოდა ისეთი უბადრუკია, იმის თავიც არა აქვს, რომ პასტორისთვის სიტყვა შეეკვეთაო. ასეთ შეურაცხყოფას კი ვერ ავიტან, ვიდრე დამოუკიდებელი კაცი მქვია. ჩემი ცოლიც დამოუკიდებელი ქალი იყო.

— მაინც, რამდენის გადახდა შეგიძლია სიტყვაში?

— ოო... ამაზე კი უნდა მოვილაპარაკოთ. მე მგონია, გაზაფხულიდან ჩემი შოვალე ხარ, პასტორო გუდმუნდურ. ქორწილში სიტყვისაც გადაგიხადე, შენ კი არ ინებე. ჰოდა, ახლა შემიძლია ის სიტყვა მოვითხოვო. ვფიქრობ, ძალზე ნაადრევი არ იქნება.

— არა, — მოკლედ მოუჭრა პასტორმა, — არ ვიტყვი სიტყვას ისეთ ცოლზე, რომელმაც სულ ერთი ზაფხული იცხოვრა ქმართან და ასე უცბად მოკვდა. ღმერთს უმადლოდე. რომ მსვლელობა არ მივეცი ამ საქმეს. უკეთესი იქნება, თუ უფასოდ ვიტყვი საქორწინო სიტყვას, საქორწინო სიტყვის ნაცვლად გამოსათხოვარს კი არავითარ შემთხვევაში, არ მინდა, ასე ვერ მოვრიგდებით.

-- მე კი მგონია, ძვირფასო პასტორო, რომ შემიძლია დასაკრძალი სიტყვის მოთხოვნა, ამის უფლება მაქვს. თუ როზა სიბერეს ვერ ეღირსა, ის მაინც ცოლი იყო ჩემი და კარგი ცოლიც, როგორც შეფერის ქრისტიანს.

— განა ქრისტიანი იყო? — გაგულისებით ჰკითხა პასტორმა. არ უყვარდა, როცა მასთან ვინმეს აქებდნენ.

— დიახ, — მიუგო ბიარტურმა. იგი ცდილობდა ზოგი რამ დაეომო პასტორისათვის, ოღონდ როგორმე დაეყოლიებია, — იქნებ წმინდა ქრისტიანი არც იყო, მაგრამ თავისებურად მაინც ქრისტიანი გახლდათ.

— ჩემთვის ახალი ამბავი იქნება, ამ კუთხის ხალხში თუ ერთი ჭეშმარიტი ქრისტიანი გამოერია, — გულფიცხად შეაგება სიტყვა პასტორმა, — რანგარვალის ოლქში, აი სად იყო წმინდა ღვთისმოსავი ხალხი, ყოველ მეორე

ხუტორში ერთი წმინდანი ან წინასწარმეტყველი მაინც ცხოვრობდა. აქ კი, ოცდაათი წელიწადი გავატარე განდევნილობაში და ამ ხნის მანძილზე ერთხელ არ გავმხდარვარ მოწმე ჭეშმარიტი ქრისტიანული გრძნობისა, წრფელი მონანიებისა ღვთის წინაშე. მხოლოდ დანაშაულებანი, საზარელი დანაშაულებანი... თოთხმეტი მკვლელობა, მიტოვებული ბავშვები, მუცლის მოწყვეტაზე ხომ არაფერს ვამბობ.

— ასეთ ამბებს ჩემამდე არ მოუღწევია. ერთი რამ კი ვიცი: ჩემი ცოლი კარგი ქალი იყო. გულში ღმერთიც სწამდა და ხალხიც, მაგრამ იმას როდი ცდილობდა, არიქა, ქვეყანამ დაინახოს, როგორი მორწმუნე ვარო. თუ აპირებ ჩემს ცოლზე სიტყვის თქმას, კარგი რამ თქვი, რადგან განსვენებულს დიდად ვაფასებდი.

პასტორს მოერიდა, ვეღარ დაჰგმო თავისი სტუმარი უბრალო ქალის ესოდენ გაზვიადებული ქებისთვის, ქალისა, რომელმაც სულ ერთი ზაფხული იცხოვრა ქმართან და მოკვდა. სულიერი მამა იმით დაკმაყოფილდა, რომ მრავალმეტყველი მოძრაობით მიუთითა ბიარტურს პრინცესა ავგუსტას პორტრეტზე და დამამოძღვრებელი კილოთი თქვა:

— თუ შენ გინდა იხილო ისეთი პიროვნება, რომელიც კარგი ქალის, კარგი პრინცესის და კარგი ადამიანის მაგალითად გამოდგება, მაშინ შეხედე, აი — შენს წინაშეა იგი. და ურიგო არ იქნება, თუ ყველა ჩაუფიქრდებით ამას, თქვენ — საცოდაო კაცუნებო. თქვენ ხომ მუდამ დამცირებად, ღირსების შელახვად მიგაჩნდათ სული წმინდის მადლის წინაშე ტილიანი თავების მოხრა, ძიუხედავად იმისა, რომ ერთი საფეხურით დაბლა დგახართ საკუთარ ცხვრებზე, თქვენი უგერგილობის გამო შიმშილითა და ჭიით რომ იხოცებიან უფლის მიერ თქვენთვის ნაწყალობევ ყოველ გაზაფხულზე. ხელმწიფე ქრისტიანის შვილებს კი დილის ექვს საათზე აყენებდნენ ლოგინიდან, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, რათა მაცხოვარი ედიდებინათ. ისინი ლოცულობდნენ სასახლის ეკვდერში, ლოცულობდნენ, ვიდრე სასახლის მოძღვარს შიმშილისაგან ყელში არ წაუჭერდა და ხმა არ ჩაუწყდებოდა. ხედავ, როგორი არიან ჭეშმარიტი მორწმუნენი?

ბიარტურმა თავი ვეღარ შეიკავა, სიცილი წასკდა.

— ჰა, ჰა, ჰა! ამან რედსმირში მომხდარი ერთი ამბავი გამახსენა. ძაღლი რომ მიეჩვია ცხენის ხორცს და ვერაფრით ვეღარ მოაშლევინეს.

— რაო, რაო, რას ამბობ? — ჰკითხა სერიოზულად პასტორმა, განცვიფრებისაგან პირი ღია დარჩა, წარბები აძგიბა.

— ასე იყო საქმე, — დაიწყო ბიარტურმა, — რედსმირში ცხოვრობდა ერთი ქალაქელი ყმაწვილი, ნამდვილი ბიჭი იყო. ონავარი, სულ იმას ფიქრობდა,

სად რა ხრიკი და ოინი მოეწყო. ჰოდა, ამ ბიჭმა გადაწყვიტა, ძაღლებს დამეგობრებოდა, მათ შორის ჩემს ძაღლსაც. იშვიათი ერთგული პირუტყვი იყო, ჭკვიანი, ჰა, ჰა, ჰა!

პასტორი ისევ ისე გაუნძრევლად იდგა.

— არ მესმის შენი, — უთხრა ერთი ხნის დუმილის შემდეგ სტუმარს პასტორმა.

— არც არის გასაკვირი, — სიცილით მიუგო ბიარტურმა, — მეც არაფერი მესმოდა, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ძაღლს პირიდან ცხენის ხორცის დიდი, თითქმის მუშტის ხელა ნაჭრები არ ამოუვიდა. თურმე ის ეშმაკის კერძი ბიჭი მთელი ზამთარი სამზარეულოდან ცხენის ხორცს იპარავდა, რომ ძაღლები შეეცდინა.

— ფუი, ამის გაგონებაც კი ზიზღსა მგვრის! — დაიყვირა პასტორმა. — ღვთის გულისათვის, წადი, გამეცალე აქედან.

— კარგი, ძვირფასო პასტორო, — უკვე დინჯად უთხრა ბიარტურმა, — აბა, პასუხს ვინ აგებს საკუთარ აზრებზე, ან ამით ვის რა უშავდება. დიდი მადლობელი ვარ ყავისთვის. კარგა ხანია ასეთი გემრიელი ყავა არ დამილევია. მაშ ასე, შევთანხმდით შემოდგომის ბატკანზე და სხვა დანარჩენზე, ხომ?

— იმედი მაქვს, გაზაფხულზე მოვკვდები. მოკვდები და თავს დავაღწევ მთელ ამ ბრბოს. მშვიდობით.

მაგრამ ბიარტურს ასე არ უნდოდა პასტორის სახლიდან წასვლა, ტოკავდა, ფეხს ინაცვლებდა. ბოლოს გამბედაობა მოიკრიბა:

— ჰო, რისი თქმა მინდოდა, პასტორო გუდმუნდურ. თუ ყურმა არ მომატყუა, წეღან ვიღაც ქალი ახსენე, თუმცა ქალი კი არა, უფრო სწორად ორი ქალი.

— რაო? — ბრაზით ჰკითხა პასტორმა, — გინდა თან წაიყვანო? არ გეგონოს, რომ ძალიან მეჩქარება იმათი თავიდან მოშორება.

— ვინ არიან, რა ხალხია?

— ცისა და მიწის შუა ჰკიდიან, ცხოვრობენ უფლისა წყალობით, უწინ კი, ჩრდილოეთ მხარეს, სანგდილში სახლობდნენ, იმ სამრევლოში. ჩემსას რომ მიაწერეს. ოჯახის თავი რაღაც შინაგანი დაავადებით გარდაიცვალა. მთელი მათი ავლადიდება ჩვიდმეტი გაძვალტყავებული ცხვარი, ორი ბებერი ჯაგლაგი და ძველი საოჯახო ხარახურა იყო. საქონელი შემოდგომაზე ჩამორეკეს აქ. ქალები დარდით გულმოკლულები არიან. ბერიკაცი ორმოცი წელიწადი ღვრიდა ოფლს იმ ხუტორში, მაგრამ შავი დღისთვის ერთი გროშის შემონახვაც ვერ მოახერხა. ძალზე მწირი მიწაა იქ.

— ჰმ! მაშასადამე, ერთი მტკაველი მიწა აქვთ? — ჰკითხა ბიარტურმა.

— კი, მიწა აქვთ, — უპასუხა პასტორმა, უცებ კარისკენ შებრუნდა, გაღო და გასძახა: — ახლავე აქ გამოგზავნეთ ფინა და დედაბერი ჰალბერი, ერთ კაცს მათი წაყვანა უნდა.

ცოტა ხნის შემდეგ ორივე ქალი ღრიჭოდ გამოღებულ კარში შემოძვრა. დედა რაღაცას ქსოვდა, თავზე ღია ყავისფერი ჩაჩი ეხურა, წარბები აძგიბული ჰქონდა, როგორც გულჩახვეულ ადამიანს ახასიათებს, თვალი არ აუწევია, თავი უცანცარებდა, ცერად, როგორღაც ისე იხედებოდა, თითქოს თავის ცხვირის წვერს უყურებსო. ქალიშვილი ორმოც წელს მიღწეული იქნებოდა. ტლანქი იყო, გვერდელა, მაგრამ მის გარეგნობას ძალზე ლმობიერი, ნაზი გამომეტყველება ამშვენებდა, რაც დედამისს არ გააჩნდა. ორივე ქალი ზედ კარის ზღურბლთან შედგა ერთიმეორის გვერდით. ასე რომ კარის მიხურვა აღარ შეიძლებოდა.

მოხუცი ქსოვდა. ქალიშვილი კაცებს შეჰყურებდა. მის გაფართოებულ თვალებში იმედის შუქი ენთო. უთუოდ ოდესღაც ლოყები მოჰყინოდა, მოლურჯო სიწითლე დაჰკრავდა სახეზე და იმ წუთებში აშკარად გული უფანცქალებდა.

— აი, ამ კაცს უნდა მძიმე ხვედრისაგან გიხსნათ, — მიმართა პასტორმა ქალებს, — წაყვანას გიპირებთ თავის სახლში. ეს არის ახლა გარდაეცვალა ცოლი. ღმერთია მოწმე, რომ დარდით გულმოკლულია.

— გასაგებია, საბრალო! — ისე ჩაიბუტბუტა მოხუცმა, რომ თვალი არ აუწევია. ქალიშვილი კი თანაგრძნობით მიაჩერდა უბედურ კაცს.

— თუ არ ვცდები, ესენი დედა-შვილი უნდა იყვნენ ურდარსელიდან, განსვენებული ტოურარის ქვრივი და ქალიშვილი, — თქვა ბიარტურმა და ქალებს ხელი ჩამოართვა. მერე გულითადი მადლობა გადაუხადა პურადი მასპინძლობისთვის, ამ ხუთი წლის წინათ რომ გაუწიეს, როცა მთაში მამასახლისის ცხვარს ეძებდა და მათ ესტუმრა, დიახ, კარგად ახსოვს ბიარტურს თავისი მეგობარი ტოურარი, ის კარგი, საქმიანი კაცი. ტოურარზე მარჯვედ, აბა, ვის შეეძლო ავადმყოფი ცხვრის მოვლა? თავის ჯალაბს უშაქროდ და უყავოდ დატოვებდა, ბატკნებს კი საღეჭ თამბაქოს არ მოაკლებდა. მგონი, ნიშანსაც ადებდა ცხვარს, ორივე ყურს ხრტილამდე ჩაუჭრიდა ხოლმე. მისი ძაღლიც ახსოვს, ღია ყავისფერი, იშვიათი პირუტყვი, სიბნელეში ისევე რომ ხედავდა, როგორც დღის სინათლეზე და თითქოს წათელმჭვრეტელი იყო. მეორე ასეთ ძაღლს სად ნახავს კაცი.

ნამდვილად ასე იყო ყველაფერი. ტოურარის ქალიშვილი ფინა ბიარტურის სიტყვების გაგონებაზე მადლიერებით გაბრწყინდა, გული აუჩვილა იმან, რომ სტუმარს ასე კარგად დაეხსომებია ყველაფერი. თვითონაც ისე ცხადად ახ-

სოვდა ის დღე, თითქოს გუშინ იყოო. მათ ხომ იშვიათი სტუმარი ეწვიათ, რედსმირელი მწყემსი. მათ სახლში საერთოდ იშვიათი იყო სტუმარი, მით უმეტეს ბატონის კარ-მიდამოდან. დედა-შვილი დიდხანს ჩურჩულებდნენ მაშინ, ისეთი რა გავაკეთოთ, რომ რედსმირელ სტუმარს ვასიამოვნოთო, ის ხომ კარგს არის ნაჩვევიო. ჰალბერამ თქვა, მოდი ნაკვერჩხალზე გამოვაცხოთ კვერულებიო. ფინამ კი შეიცხადა, დედა, ტორფზე გამომცხვარ კვერულებს როგორ შეჭამს რედსმირელი კაციო.

— გახსოვს, დედი?

მაგრამ დედაბერმა უპასუხა, რომ ყველაფერი დაავიწყდა, წარსულიც და დღევანდელიც, მარტო თავისი პატარაობა ახსოვს, როგორ იზრდებოდა საქხრეთში და რამდენიმე საეკლესიო ლექსი. ძალზე მოტყდა და თუ აქ ღვთისნიერ კაცს, პასტორ გუდმუნდურს, გულმოწყალება არ გამოეჩინა, არ შეევრდომა, როცა ყოვლად ძლიერმა იხმო მისი ტოტარი...

— აკი გითხარით, რომ ზაფხულის სავანელ ბიარტურს თავისთან უნდა თქვენი წაყვანა, — მოუთმენლად შეაწყვეტინა პასტორმა, — გაზაფხულზე ამ კაცმა კარგი მიწა იყიდა ხეობაში. მოდური ახალმოშენება და გადაწყვიტა იმ სიახლეთა დანერგვა, რის შესახებაც ალთინგზე მსჯელობენ და დედაქალაქის გაზეთებშიც წერენ.

— მე დიდ ანგარიშს არ ვუწევ იმას, რასაც დედაქალაქის გაზეთებში წერენ, მაგრამ ის კი ღრმად მწამს, რომ ვინც თავისუფლებას აფასებს და უნდა დამოუკიდებელი კაცი გახდეს, ზაფხულის სავანე მას კარგ მომავალს უქადის.

დედაბერმა ხელი, ჩახლეჩილი ხმით თქვა:

— ძვირფასო ბიარტურ, ჩემს ახალგაზრდობაში რომ მომხდარიყო ასეთი რამ, ეჭვი არავის შეეპარებოდა, რომ შენი ცოლი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა. დიდი ხანია მაგ ხეობაზე და ფარეხზე ცუდი ხმები დადის. ასე ამბობენ აქაური ძველი მკვიდრნი.

— ფუი! — გაჯავრდა პასტორი, — ურდარსელში განა ცოტა ურჩხულები იყო! ორჯერ ამებნა გზა იქ, ისიც დღისით-მზისით, კარგ ამინდში, ორჯერვე კვირა დღეს, ღმერთია მოწმე.

— დიახ, ხანდახან მოხდებოდა უცნაური რამ ზოგიერთი სტუმრის ჩამოსვლისას, სამაგიეროდ, მეზობლები კარგი გვყავდა. ორმოცი წელიწადი მშვიდობიანად გავატარე იქ. ღმერთმაც იცის ეს და ხალხმაც.

— დედას იმის თქმა უნდა, რომ ჩვენთან არასოდეს არ ყოფილა მოჩვენებები, იშვიათად, ზოგიერთი სტუმრის ჩამოსვლისას თუ მოხდებოდა უცნაური რამ, — თქვა ქალიშვილმა,— სამაგიეროდ, კარგი ნაცნობები გვყავდა, ხშირად ხელს გვიმართავდნენ.

— აბა, რაღა კარგები იყვნენ, თუ არც ერთი მათგანი არ არის საეკლესიო წიგნში აღნიშნული.

— და მაინც, ცოტა ყავა როდი დაგვილევია ერთად, ვმუსაიფობდით, ვოცნებობდით, — თქვა ქალიშვილმა, — შაქრის ყაირათს იქ არავინ სწევდა.

— არა, მეზობლები ურიგოდ როდი გვიმასპინძლდებოდნენ. ყავაც იყო, სხვადასხვანაირი ხორაგიც, — კვერი დაუკრა შვილს მოხუცმა.

პასტორი ოთახში დააბოტებდა და ბრაზიანად ფრუტუნებდა. ბიარტურმა კი თქვა, რომ ბუნებაში ბევრი უცნაურობაა.

— საკვებით შეიძლება ირწმუნოს ადამიანმა, რომ ელფები არსებობენ, გინდაც საეკლესიო წიგნებში ნახსენები არ იყვნენ, არავის არაფერს უშავებენ, სიკეთეს კი უკეთებენ, მაგრამ იმის დაჯერება, თითქოს ქვეყნად მოჩვენებები და ავი სულები დაძრწიან, სისულელეა და ქრისტიანისთვის სრულიად შეუფერებელი. ჩემის აზრით, ეს პაპობის დროინდელი ცრურწმენაა ხალხში შემორჩენილი.

ბიარტური ყოველნაირად ცდილობდა დაეჯერებინა ქალები, ავი სულებისა ტყუილად გეშინიათო.

თავი ოცდამეერთე

მეჯინეები

შაბათ დილას ხუტორისკენ მიმავალ გზაზე გამოჩნდნენ მეჯინეები თავიანთი ძაღლებიანად. ოთხნი იყვნენ, ბიარტურის ძველი მეგობრები: მთების მეფე, სკალდი, უნდირხლიდელი ეინარი, არაჩვეულებრივი და ზებუნებრივი მოვლენების მოყვარული—ისტადალელი ოულაფური და, ბოლოს, გარდაცვლილი ქალის მამა — ნიდურკოტელი ტოურდური. ერთმანეთს კარგა დიდი მანძილით დაშორებულნი მიდიოდნენ, თითქოს შემთხვევით მოხვდნენო ერთ გზაზე. ხუტორში ყველაზე ადრე მთების მეფე მივიდა, შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით ეინარი და ოულაფური, სულ ბოლოს კი ნიდურკოტელი ტოურდური. ყველა სადღესასწაულო სამოსში გამოწყობილიყო, შარვალი წინდებში ჰქონდათ ჩატანებული.

ბლაუფიედლს თოვლის სქელი საბურველი ეფარა.

ყინვა ჭახჭახებდა, მიწისპირა ქარი ამოვარდა. ამ დროს ცხვარს უკვე ფარეხში აჭმევდნენ.

ბიარტური ისეთი კაცი როდი იყო, თავისი მწუხარება სხვისთვის ეჩვენებინა, მეფური გულთბილობით შეეგება სტუმრებს.

— შემობრძანდით, შემობრძანდით ჩემს დარბაზში, მეგობრებო. ყინვა ძვალ-რბილში ატანს, მაგრამ იმედიანად იყავით, ქალებმა უკვე დადგეს წყალი ცეცხლზე.

სტუმრებმა ჯიბის დანები ამოიღეს და ტანსაცმლიდან თოვლის ჩამოფხეკა დაიწყეს.

— საშინელი ამინდია, — თქვა ტოურდურმა, — რაღაცნაირი კოწიწა თოვლი მოდის, სულ ლანჩებზე ეკვრის ადამიანს.

მოხუცი ხვნეშით, ფრთხილად ჩამოჯდა გარეთა კართან და ძვლებმა ისე გაიტკაცუნა, თითქოს ესაა დაეშლებაო. გაოგნებული იყო. სახე გალურჯებოდა, თხელი წვერი ლოლუებად ეკიდა, ქუთუთოები დასწითლებოდა, თვალის ფერადი გარსი სიბერისაგან გამოხუნებოდა.

კუბო შუა ფარეხში იდგა იატაკზე, ფისიან ფიცარს ბეწვი მოსდებოდა. ალბათ ცხვრები გაეხახუნენ, ერთმანეთს რომ მიაწყდნენ გარეთ გასვლისას. როცა დასარწყულულებლად გარეკეს ყინულჭრილისკენ.

მოხუცმა გალურჯებული, დაკორძებული ხელი ჩასჭიდა კუბოს, თითქოს აძოწშებს, კარგად არის შეკრული თუ არაო, ან იქნებ ეს ალერსი იყო... ფრთხილად, გულდაგულ შემოაცალა ფიცარს მიწებებული ბეწვი. ფარეხის ერთი კუთხე დედაცხვრებისთვის გამოეყოთ, მეორე კუთხეც გადატიხრული იყო ბატკნებისთვის და ცხენისთვის. ჩასადენი ვერ მოეწესრიგებინათ და ფარეხში ცხენის შარდის მძაფრი სუნი იდგა. ზემოთ,საცხოვრებელ ოთახში, ორი უცხო ქალი დიასახლისობდა, ერთი ბავშვს უვლიდა, მეორე ცეცხლთან ტრიალებდა. ქალებს საგულდაგულოდ გაეფხიკათ ჭერი და იატაკი, მოეკრიალებინათ იქაურობა. ძაღლები ფარეხში არ შეუშვეს მიცვალებულის პატივისცემის ნიშნად. კაცები ჩვეულებრივად იქცეოდნენ, ისეთივე ხალისით, როგორც ყოველთვის, ცხარედ გააბეს კამათი ამინდზე, არჩევდნენ ყოველ კვირას და დღეს. საბურნუთე ქისა ხელიდან ხელში გადადიოდა. უნდირხლიდელმა ეინარმა ბიარტურს გადასცა დაჭმუჭნული ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი სულის მოსახსენიებელი ლექსი, რაც ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იყო, ბიარტური დამცინავად დაიჭყანა, წაიკითხა სათაური, მას ხომ არ მოსწონდა ის მიმართულება, რომელსაც მისი მეგობარი ეინარი მისდევდა პოეზიაში. ხელში რამდენჯერმე შეატრიალა ქაღალდი და, მერე გულგრილად ჩაჩურთა ნივნივას უკან. ნიდურკოტელი მოხუცი თამბაქოს ლაქებით აჭრელებულ ცხვირსახოცს დაწითლებულ თვალებზე ისვამდა. როცა სტუმრებმა დაასკვნეს. სამხრეთის ქარს ისეთი პირი უჩანს, მოკლე ხანში არ ჩადგებაო, ნიდურკოტელი

მოხუციც ჩაერია საუბარში, მოკლე ხანში კი არა, მთელი ზამთარი გასტანსო, თქვა და ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია, მან უკვე ისეთ ასაკს მიაღწია, როცა ადამიანი რწმენას კარგავს! აღარ სჯერა, თუ კარგი ამინდი კიდეკ დადგება. ცხოვრებაში აღარაფერი დარჩა მოხუცს, წისქვილის გვერდით მდგარი ქოხის გარდა, მაგრამ გული არ გაბოროტებია, უბრალოდ, ლაპარაკი უჭირდა ახლა, როგორც კი პირის გაღებას დააპირებდა, ყელში რაღაც მოებჯინებოდა და ხმას ვეღარ იღებდა. ისეთი უცნაური გამომეტყველება ჰქონდა ამ დროს, თითქოს საცაა შერეკილივით ჩაიხითხითებსო, თითქოს სახე გაედღაბნა, შიგნიდან გაუსკდა და საკმარისი იყო ოდნავი დაძაბულობა. თუნდაც ამინდზე რაიმეს თქმა, სახე დაეშლებოდა და ნაჭერ-ნაჭერ გაიფანტებოდა.

ოულაფურმა თქვა ავდრიან ზაფხულს მუდამ სუსხიანი ზამთარი მოსდევსო. ეს გასაგებიცაა, ბუნებაში ხომ სველი და მშრალი ერთურთს აწონასწორებსო. მთების მეფემ კი განაცხადა, რაკი ყინვები ადრე დაიჭირა, საშოჩაოდ თოვლი დნობას დაიწყებს და ზომიერი ამინდი დიდხანს გასტანს, ასე მოხდა ამ ექვსი წლის წინადაცო. დარწმუნებული ვარ, მიუხედავად ადრიანი ყინვებისა, ზამთარი ზომიერი იქნება და ნაადრევად დარდი და წუხილი არ გვმართებსო.

ეინერმა თქვა, რომ ყოველთვის წინათგრძნობით და სიზმრებით იგებს ამინდს, ახლაც გული უგრძნობს, ზამთარი მეტისმეტად მკაცრი იქნება, ამიტომ თივა უნდა გამოვიზოგოთ. სამაგიეროდ, ასეთ ზამთარს კარგი გაზაფხული უნდა მოჰყვეს. ასეთი სიზმარი ნახა: გამოეცხადა სამხრეთელი მზექალი, მართალია, შორს იყო მისგან, მაგრამ მაინც კარგის მომასწავებელია ესო.

— ძილში თუ ქალი გამოგეცხადა, მაგისთანა სიზმრის მაინცადამაინც არ უნდა გწამდეს, — უთხრა ბიარტურმა, რადგან უსაფუძვლო იმედებით თავის მოტყუება არ უნდოდა. — ქალზე დანდობა ცხადშიც არ შეიძლება, სიზმარში ნანახ ქალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— თუ საერთოდ გვჯერა სიზმრებისა, — შეესიტყვა ეინარი,—იმ სიზმარში რაღა დააშავა, რომელშიც ქალსა ვხედავთ, რით არის სხვაზე უარესი.

— ოღონდაც, ოღონდაც!—ჩაერია საუბარში რედსმირელი მნე——გუდნი.— რა ბრძანებაა, ქალზე დანდობა არ შეიძლებაო? სირცხვილია, დიდი სირცხვილი, ასეთი ლაპარაკი, როცა მისი ცოლი კუბოში ასვენია.

— მოდით, დროებით დავივიწყოთ სიზმრები, — სთხოვა მთების მეფემ მეგობრებს. ის სულ იმის ცდაში იყო, ამ ორ გამოჩენილ სკალდს შორის თანხმობა დაემყარებია. — გახსოვთ, შემოდგომაზე აქ რომ შევიყარეთ, რაზე ვლაპარაკობდით? ვიდრე არ დამვიწყებია, გეტყვით, რომ ექიმმა ფინსენმა ახალი წამალი გამომიგზავნა. მე ექიმს გადავეცი ადგილობრივი მოსახლეობის საჩივარი, აგრეთვე შენი საჩივარი, ბიარტურ. ჰოდა, განსაკუთრებული წამალი

გამომიგზავნა — სპეციალური. ახლა უკვე თავს დასდებს იმაზე, რომ ეს ახალი წამალი არა მარტო ლენტისებურ ჭიას მოსპობს. არამედ სისხლსაც გაუწმენდს და ნერვებსაც დაუწყნარებს ძაღლებს.

სწორედ სულზე მოგვისწრო წამალმაო, თქვეს გლეხებმა. მელა დიდუბედურებაა ჩვენთვის, ჭია ხომ იმაზე უარესიაო. ყოველ მათგანს შეეძლო ერთი და იგივე ამბის მოყოლა თავის ძაღლზე. ჭიამ არ დაინდო არც ერთი, ხალხსაც და პირუტყვსაც საფრთხე მოელოდა. ჰოდა, ბოლო უნდა მოეღოს ამასო. განუცხადეს მთების მეფეს.

— მოკლე ხანში მიიღებთ ჩემგან ცირკულარს, როგორც გასულ წლებში ვაკეთებდით. მე მგონია, უმჯობესი იქნება, თუ მკურნალობას არჩევნების დღეებში ჩავატარებთ. თქვენ არჩევნებზე ძაღლებიანად ჩამოხვალთ და ორ საქმეს ერთად გააკეთებთ. იმ ხუტორელებისთვის. ვისაც დამხმარე არა ჰყავს. დიდი მნიშვნელობა აქვს ორი საქმის ერთდროულად მოგვარებას, — თქვა მთების მეფემ.

— ძაღლის მკურნალის თანაშემწის დანიშვნის საქმე როგორღაა? — ჰკითხა მთების მეფეს ისტადალელმა ოულაფურმა, რადგან სხვებივით ისიც ოცნებობდა მსუქან ლუკმაზე და იმ პატივზე, რასაც თანაშემწის ადგილი მოუტანდა. — შემოდგომაზე აკი თქვი, ოლქის მოსამართლემ უკვე გადაწყვიტა ეს საქმე, მკურნალის თანაშემწეს ნიშნავს ჩვენს ოლქშიო?

— როგორ გითხრა, — ზვიადად მიუგო მთების მეფემ, — ასეთ მძიმე დროში ვითომ ოლქს ექნება იმის საშუალება. რომ კიდევ ახალი ხარჯი იკისროს? გარდა ამისა... თუ ჩვენ სამრევლოში დაინიშნება თანაშემწე, ვიდრე მე მკურნალად ვითვლები და ამ საქმეს ვუძღვები, ეს უკვე უნდობლობის გამოცხადება იქნება არა მარტო ჩემი და ექიმი ფინსენის. არამედ მთავრობის მიმართაც, რადგან, როგორც მოგეხსენებათ. წამლებით მთავრობა გვამარაგებს. მე რა, სიხარულით დავუთმობ ჩემს ადგილს სხვას. ასეც ვუთხარი მოსამართლეს: ან ხელს ავიღებთ ამ საქმეზე. ან მარტო მე უნდა ვიყო პასუხისმგებელი-მეთქი.

— სულ ამას არ გავიძახოდი, — ისე წამოისროლა ოულაფურმა, თითქოს დიდად გულგატეხილი არ არისო მთების მეფის პასუხით, — იმთავითვე ხეირიანი წამალი რომ გამოეგზავნათ.. ასე ვთქვათ, ცოდნა არ დაეზოგათ, დღეს ძაღლები საღი გვეყოლებოდა.

— აკი წელიწადიც მოგახსენეთ, — მიუგო მთების მეფემ, — წამლებით მთავრობა გვამარაგებს-მეთქი.

— ყველა ყველა და მთავრობა, რა თქმა უნდა, არ მოგვატყუებს, — აჩქარებით ჩაურთო სიტყვა ნიდურკოტელმა ტოურდურმა, უსაფუძვლო ნდობით აღვსილმა მოხუცმა.

— სწორია, მეც მაგ აზრისა ვარ, მთავრობა, ყოველ შემთხვევაში, ეს მთავრობა, უკანასკნელი წლების მანძილზე რომ განაგებს ჩვენს ქვეყანას, ხალხის საკეთილდღეოდ იღვწის, — თქვა მთების მეფემ, — ალთინგში ჩვენი წარმომადგენელი გვყავს, კარგი ადამიანი. ექიმი ფინსენი ყველაფერს აკეთებს ჩვენთვის, როგორც ექიმი. როგორც ადამიანი და როგორც დეპუტატი.

დუმილი ჩამოვარდა, მამაკაცებმა თვალი დახარეს, ჩაფიქრდნენ, დააცქერდნენ თავის ტლანქ, ფართო ხელებს, გრძნობდნენ, ახლა სიტყვა პოლიტიკაზე ჩამოვარდებოდა.

— ზოგი ამ საქმეს სხვანაირად უყურებს, — წამოიწყო ეინარმა, — ერთი რამ კი ცხადია: ვინც ფიორდელ ვაჭართან არ ვაჭრობს, ხმას ვერ მისცემს ფიორდელ კანდიდატს.

— ეჰ, ვინ არ იცნობს ჩვენს მამასახლისს, — ჩაერია საუბარში ბიარტური, — მთავრობა რომ იყიდებოდეს, იმასაც იყიდის, არ მოერიდება და მერე საარფიანად გაასაღებს, თუკი მუშტარი იშოვა.

გუდნი ქურასთან ფუსფუსებდა და ამ სიტყვების გაგონებაზე ჩაიდუდუნა:

— ვაი სირცხვილო, ეს რა მესმის, როგორ ლაპარაკობს თავის კეთილისმყოფელზე, თითქმის მამობილზე! ჰოდა, რაღა გასაკვირველია, თუ ასეთ ხალხს უბედურება ფეხდაფეხ მისდევს.

აშკარა გახდა, რომ ეინარის შეხედულება პოლიტიკაზე მცდარი იყო და მთების მეფემ გადაწყვიტა, სწორ გზაზე დაეყენებინა მეგობარი.

— ერთი ეს მითხარი, ეინარ, ფინსენს ოდესმე თუ მოუთხოვნია შენთვის ფული იმ წამლებში, რომელსაც განსვენებული დედაშენი ღებულობდა თავის დროზე?

ეინარი იძულებული იყო ეთქვა, რომ ექიმს ფული არასოდეს მოუთხოვია და რომ თითქმის ორასი ბოთლი წამალი ჰქონდა მისგან წამოღებული.

— ცოტაც და ერთ ძროხას იყიდდა კაცი მაგ ფულით, — თქვა მთების მეფემ.

ეინარს სიტყვა პირში გაუწყდა. მან ხომ მამასახლისის ვალის მოსაშორებლად ძროხაც დააგირავა და თავისი ფარას ნახევარიც. ერთ ხანს ჩუმად იჯდა, ბოლოს მაინც თქვა: „ძროხა—ძროხაა, წამალი—წამალია, მთავრობა კი მთავრობაა“. საერთოდ, ასე ფიქრობს, რომ მომავალ არჩევნებზე შინ იჯდება.

პოლიტიკაზე რომ გააბეს ლაპარაკი, ისტადალელი ოულაფური უხალისოდ უგდებდა მათ ყურს, სულ არ აინტერესებდა ეს თემა. ამ დროს ბავშვმა გაიღვიძა, ტირილი მორთო, გუდნი წამოდგა ჩვილის მისახედად. ოულაფური იმ ხალხის რიცხვს ეკუთვნოდა, ერთთავად რომ აოცებთ პატარა არსება, თუკი შეიძლება მათ არსება ვუწოდოთ, ქვეყნად რომ ჩნდებიან და ამ წუთისოფლიდან წასულებს ენაცვლებიან.

— ამას რომ ჩაუფიქრდები, ტვინი გადაგიტრიალდება კაცს: უცებ ჩნდება ახალი პაწია სხეული, ახალი სული. საიდან მოვიდა, რისთვის მოვიდა? ხშირად დღედაღამ ამაზე ვფიქრობ, რამდენად მარტივი იქნებოდა ცხოვრება, ერთსა და იგივე ხალხს რომ ეცხოვრა და ეცხოვრა. მაშინ იქნებ ადამიანს იმის იმედი ჰქონოდა, რომ შრომა-გარჯით ოდესმე კარგ ცხოვრებას ეღირსებოდა.

მაგრამ თვით გუდნისაც კი არ შეეძლო, ან არ მოისურვა ეს საკითხი გაერკვია და ისტადალელმა ოულაფურმა განაგრძო:

— ამბობენ, ახალშობილი ბავშვი წყალში რომ ჩასვა, გაცურავსო. აი რა მაოცებს ყველაზე მეტად. გუდნი, ოდესმე ხომ არ გიცდია ეს?

არა, მნე ქალს არასოდეს არ უცდია ასეთი რამ და მან ცივად მოუჭრა ოულაფურს, მასეთი ცნობები გირჩევნია შენთვის შეინახოო. იქნებ ფიქრად მოგვიდეს და საკუთარ შვილებზე ჩაატარო ასეთი ცდა. მაშინ ვნახოთ, ხალხი რას იტყვისო. ოულაფურმა უპასუხა, დარდი ნუ გაქვს, გუდნი, არც ისე მიყვარს ჩვილი ბავშვების ლოლიავიო.

— ეს არ მიცდია, მაგრამ, — დაუმატა ოულაფურმა, — ძაღლის ლეკვები კი ბევრჯერ დამიხრჩვია. საინტერესო ამბებიც შემიძლია გიამბოთ ამაზე. თავს წავაცლიდი ლეკვს მდინარის პირას ჩემი ჯიბის დანით, ტანს წყალში გადავუძახებდი. ჰოდა, როგორ ფიქრობთ? მიცურავს თუ არა ტანი?

ბიარტურის სტუმრები ახლა ამ საკითხს ჩაუფიქრდნენ, უკვე დაავიწყდათ პოლიტიკა, ორი კანდიდატის წამოყენება — ერთი ფიორდიდან რომ უნდა ყოფილიყო, მეორე — ვიკიდან. ქალებმა თქვეს, რასაკვირველია, ლეკვები იძირებოდნენო. ეინარმა კი ეჭვი გამოთქვა, ვინ იცის, ეგებ წყალზე სხეულს იკავებდნენ კიდეცო. მთების მეფის აზრით, კი, ლეკვები წყალქვეშ მიცურავდნენ.

— არა და არა, — უპასუხა მეგობრებს ოულაფურმა, გაამაყებულმა იმით, რომ საუბარი მეცნიერულ თემაზე გადაიტანა. — უნდა მოგახსენოთ, ჩემო ძვირფასებო, რომ უთავო ლეკვები ზუსტად ისე მიცურავდნენ, როგორც ცოცხალი თავფეხიანი ძაღლები ცურავენ. უწინამც მიწა გამისკდეს, თუ სრულ სიმართლეს არ ვამბობდე.

— ბევრი რამ არის ბუნებაში უცნაური, — ჩაურთო ბიარტურმა, — ვის შეუძლია ასეთ რამეზე დავა, მეც გეტყვით ერთ ამბავს, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. ცხონებულ მამაჩემს შეემთხვა ახალგაზრდობაში. ერთ დღეს მამამ ხბოს დაკვლა გადაწყვიტა, დაიჭირა პირუტყვი თავის ხუტორთან, ზედ სახლის კართან, ფეხებში მოიქცია ხბო, როგორც ჩვეულებრივ აკეთებენ და ყელი გამოჭრა. ჰოდა, მეც ოულაფურივით გკითხავთ: როგორ ფიქრობთ, რა ქნა ხბომ?

ხმა ვერავინ ამოიღო და ისევ მეცნიერული აზროვნების მოტრფიალე ოულაფურმა უპასუხა:

— მე მგონია, უთავო ხბომ ისკუპა და პირდაპირ საძოვარზე გადახტა.

— ბარაქალა. ოულაფურ. — თქვა ბიარტურმა, — თითქმის გამოიცანი. მთლად ზუსტად კი ვერა. საქმე ის არის, რომ რეიკში, ზედ ხუტორთან ცხელი წყარო ამოდიოდა და ღრმა ნატბორი იდგა, წელამდე წვდებოდა კაცს. ქალები იქ რეცხდნენ სარეცხსა და მატყლს. ჰოდა, წარმოიდგინეთ, უთავო ხბო მამას ხელიდან გაუსხლტა. დაექანა ფერდობზე და პირდაპირ ტბორში ჩახტა.

— აბა, მაგას საიდან გამოვიცნობდი, თუ იქვე ცხელი წყარო ამოდიოდა. ან ნატბორი იდგა? — ცოტა არ იყოს. ნაწყენი კილოთი თქვა ოულაფურმა.

ამ დროს ქალებმა დიდი ხნის ნალოდინევი ყავა შემოიტანეს და ბუნების სასწაულებზე ყურადსაღები საუბარი შეწყდა. ყავა ისეთი გემრიელი იყო, წარჩინებული ხალხიც კი ვერ დაიწუნებდა. ასეთი ყავისგან ოფლად იღვრება ადამიანი.

— დალიეთ, მეგობრებო. დალიეთ — სთავაზობდა ბიარტური სტუმრებს.

ყავასთან ერთად ქალებმა საშობაო ქიშმიშიანი ღვეზელის დიდი ნაჭრები შემოიტანეს, კარგი ბურბუშელა და ბლომად მაჭკატები. მაჭკატებს სქლად ჰქონდა შაქრის ფხვნილი მოყრილი.

— მიირთვით, მეგობრებო, მიირთვით!

კაცები ხარბად დააცხრნენ ტკბილეულს. ჯანდაბას პირადი შეხედულებები და ინტერესები! დასცილდნენ ჭიქას, ისევ ისხამდნენ ყავას, კრინტს არავინ ძრავდა, მხოლოდ პირის წკლაპუნი, ბურბუშელის ხრაშუნი, ხვრეპა ისმოდა და ცხვირის ქშიტინი ბურნუთის ყნოსვისას.

— ვინ იცის, ამ ჩემს სახლში კიდეე როდის მოიყრით თავს, — თქვა ბიარტურმა.

ძღომაზე რომ სვეს და ჭამეს, ზოგმა ხელის გულით მოიწმინდა პირი, ზოგმა სახელოთი. სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი განსაკუთრებული სიჩუმე, როგორიც ადრე თუ გვიან დგება დაკრძალვისას. სტუმრები დროდადრო ჩაახველებდნენ ხოლმე ყელის ჩასაწმენდად, თან უაზროდ აჭყეტდნენ თვალებს.

— პარაკლისს შინ არ გადაუხდით?

— არა, — თქვა ბიარტურმა, — ვერაფრით პირი ვერ დავაბანინე იმ კერპ პასტორს. ხომ იცით, რა ახირებული კაცია... თუმცა, განა სულ ერთი არ არის, აქ გადაუხდით პარაკლისს. თუ საყდარში?

— დედას უნდა. რომ სახლიდან გამოსვენებისას საეკლესიო გალობა დაიწყონ. — მორიდებით თქვა მოხუცმა ტოურდურმა. — დავითნი თან წამოვიღე.

— რა საჭიროა ეგ, ძვირფასო ტოურდურ? — ჰკითხა ბიარტურმა.

-- ის ჩვენი ბავშვი იყო, ჩვენი ქრისტიანული შვილი, — ხალვლიანად მიუგო მოხუცმა.

რაკი ბიარტურმა დაინახა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოხუცისთვის ამ ცერემონიალს, აღარ შედავებია.

ბლესი უკვე შეეკაზმათ, კარის წირთხლზე გამობმული იდგა გარეთ. მძიმე ცხენი იყო, გრძელი ცხვირ-პირი ჰქონდა, დროდადრო ქვედა ტუჩს ისე ჩამოსწევდა, ამოძრავებდა და ფ-უტუნებდა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო. ხან ყურებს ცქვეტდა. სახლში რაც ხდებოდა, თითქოს მის გონივრულ, მეტყველ თვალებში იხატებოდა. კიბის ქვეშ შეყუჟული კუდამოძუებული ტიტლა მთელი ტანით ძაგძაგებდა და საშინლად ყმუოდა. აღარც ხტოდა. აღარც ყეფდა.

ცხვარი უკვე სარწყულებლიდან ბრუნდებოდა. ზოგი ცხენის გვერდით გაძვრა, შევიდა ფარეხში, გაემართნენ ბაგებისკენ, ჩატაკეს შიგ ცხვირი და ბაგა ცარიელი რომ დახვდათ, იმედგაცრუებულნი აბღავლდნენ. შემოდიოდა და შემოდიოდა ცხვარი, იმათაც იმედის გაცრუება ელოდათ. ზოგი კი გარეთ შეჭუჩდა, კარს უკან, და გამომწვევად უყურებდნენ უცხო ძაღლებს. ისე იდგნენ იქ, თითქოს გამცილებლები შეყრილანო და თოვლით გადათეთრებულ უშენ მიდამოს, ყინულით დაფარულ ჭაობს რაღაც ისეთი სითბოს კვალს აჩნევდნენ, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დროს.

ყველამ კუბოსთან მოიყარა თავი. ნიდურკოტელმა ტოურდურმა ცხვირსახოცში გახვეული თავისი ცოლის დავითნი ამოიღო და დაუწყო ძებნა იმ ადგილს, სადაც გვერდი ჩაკეცილი ჰქონდა.

— რომელსა გაქვთ კარგი ხმა, რომ დაიწყოთ? — იკითხა მოხუცმა.

დავითნი ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ ჰანგი არავინ იცოდა. ეს ხალხი იშვიათად დადიოდა საყდარში, დავიწყებოდათ ფსალმუნის მოტივი. წიგნი ისევ მოხუცს დაუბრუნდა და მან ხმის მოსინჯვა დაიწყო.

ერთი ცხვარი ტოურდურს მიჩერებოდა. უცებ ბღავილი მორთო და. აი, საყვარელი შვილის კუბოსთან მდგარმა მოხუცმა დაიწყო გალობა. გალობდა ოცდამეხუთე ფსალმუნს, სადაც აღწერილია, თუ განსასვენებლად როგორ გამოიტანეს მაცხოვრის ნაგვემი სხეული. მოხუცმა ფსალმუნი ზეპირად იცოდა, წიგნში არც იხედებოდა, გალობდა სუსტი, ჩახლეჩილი ხმით, ჰანგის სწორად გადმოცემა არ ეხერხებოდა. ხშირად ერეოდა კილო და ყველა მიხვდა, რომ ტოურდური მელოდიას ამახინჯებდა.

ცხენმა ყური ცქვიტა, აფრუტუნდა, ძაღლი გაუჩერებლად, ისეთი საზარელი ყმუილით აძლევდა ბანს, თითქოს აწამებს ვინმეო. უთივოდ დარჩენილი ცხვრებიც ბღაოდნენ ფარეხში და გარეთ.

მოხუცმა უკანასკნელი სტროფი მჭახე, გამკივანი ხმით დაასრულა: დაწითლებული, ანთებული თვალებიდან ცრემლი ღვარად ჩამოსდიოდა თხელ წვერზე. გაურკვეველად გამოთქვამდა სიტყვებს, ჩიფჩიფებდა უკბილო პირით. ხმა უკანკალებდა, ყბები უთრთოდა. ამ დროს მოხუცი ბავშვსა ჰგავდა, ლაპარაკი რომ არ იცის და ტირის, ტირის დიდხანს, უნუგეშოდ.

მდუმარება გამეფდა. მამაკაცებმა დარცხვენით გადახედეს ერთმანეთს. მოხუცმა თავისი წითელი ცხვირსახოცი აიფარა სახეზე, მთელი ტანი უთროოდა. რედსმირელმა გუდნიმ ჩურჩულით თქვა:

— „მამაო ჩვენოს“ არ წავიკითხავთ?

მთების მეფემ ათრთოლებულ მოხუცს ხელი შეაშველა, რომ არ წაქცეულიყო და თვითონაც ჩურჩულით თქვა:

— გუდნი ამბობს, „მამაო ჩვენოც“ უნდა წავიკითხოთო.

მოხუცმა ტირილით წაიკითხა „მამაო ჩვენო“, არ გამართულა, ცხვირსახოცი არ მოუშორებია სახიდან. სიტყვების უმეტესი მის ქვითინში იკარგებოდა: „მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ ისე შორსა ხარ ჩვენგან, რომ არავინ იცის, სადა ხარ... თითქმის არსად... „პური ჩუენი არსობისაჲ მომეც ჩუენ დღეს“, ნამცეცები მაინც, რომ ვჭამოთ შენდა სადიდებლად: მოგვიტევე ჩვენ, რამეთუ ვალს ვერ ვუხდით ვაჭარს და კრედიტორებს. „და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა“, რომ არავინ მოიწადინოს ბედნიერება, „ვითარ არს სასუფეველი შენი ცათა შინა“.

ძნელად მოიძებნებოდა უფრო შესაფერი ადგილი ამ საუცხოო ლოცვის წასაკითხავად. თითქოს სწორედ ამ შემთხვევისთვის შეთხზაო მაცხოვარმა ეს ლოცვა. მამაკაცებმა თავი ჩაქინდრეს, ყველამ, გარდა ბიარტურისა. მას ფიქრადაც არ მოუვიდოდა ქედის მოხრა გაურითმავი ლოცვის წინ.

გაიტანეს კუბო, შედგეს ცხენზე, გარდიგარდმო თოკები გადაუჭირეს და ხელის შესაშველებლად აქეთ-იქიდან ამოუდგნენ მეჯინეები.

— ცხენს ვინმე ელაპარაკა? — იკითხა მოხუცმა და რაკი გამოირკვა, რომ ეს არავის გაუკეთებია, თვითონ მოვიდა ცხენთან, ყურში ხელი ჩააკვლო და ჩასჩურჩულა, ძველი ჩვეულების მიხედვით, რადგან სწამდა, რომ ცხენს ესმოდა ასეთი რამ: — შენ მიცვალებული უნდა წაასვენო... შენ მიცვალებული უნდა წაასვენო...

და სამგლოვიარო პროცესია გზას გაუდგა.

მთების მეფე წინ მიუძღოდათ, გზას მიიკვლევდა, ეძებდა ისეთ ადგილებს, სადაც ღრმა თოვლი არ იდო. უნდირხლიდელ ეინარს ცხენი სადავით მიჰყავდა. კუბოს ერთ მხარეს ოულაფური მისდევდა ცხენს, მეორე მხარეს ბიარტუ-

რი, მოხუცი კი უკან მოჩანჩალებდა თავისი კოჟრიანი ჯოხით ხელში, დიდი, ფართო ხელთათმანები ეკეთა.

ნამტირალევი ქალები კართან იდგნენ და გაჰყურებდნენ, როგორ მიიმალა პროცესია თოვლის კორიანტელში.

თავი ოცდამეორე

ქარბუქი

ნელა მიიწევდნენ უღელტეხილზე, დაღმართზე ცხენი დროდადრო ღრმა თოვლში ეფლობოდა. კაცები ფრთხილობდნენ, თვალი ეჭირათ კუბოზე, რომ არ გადმოვარდნილიყო. ბინდდებოდა, რედსმირში რომ ჩავიდნენ. პასტორი უკვე იქ დახვდათ, კარგა ხნის მოსული იყო, მის სახეზე არაფრის ამოკითხვა არ შეიძლებოდა, მაგრამ, როგორც ჩანდა, ძლიერ ეჩქარებოდა. რამდენიმე კაცი უკვე ელოდა დაკრძალვას და შემდეგ ქელეხს. პასტორმა მაშინვე განკარგულება გასცა, კუბო საყდარში დაასვენეთო. სამრეკლოზე ზარს ჩამოჰკრეს და ზამთრის გაყინულ ლანდშაფტში ისე სუსტად დაირხა ზარის ხმა, თითქოს ბავშვის ჩხარუნას აეღარუნებენო. ხალხი საყდარში შევიდა, მოკრძალებულნი. თვინიერნი წინაშე სიკვდილისა, რომელიც ადამიანს არსად ისე გარდაუვალი არ ეჩვენება, როგორც აქ, ამ ცივ, თეთრად შესუდრულ სივრცეში, ზამთრის დღის მიწურულს, მწუხრის ზარის ხმაზე. მამასახლისის ცოლი დაკრძალვას არ დასწრებია, შეუძლოდ იყო, შინ იჯდა და თბილი, მარილიანი წყლით ირეცხავდა ცხვირს—ეს გაციების საწინააღმდეგო უებარ საშუალებად ითვლება. მამასახლისი კი დაბორიალობდა საყდარში, ისევ ის შარვალი ეცვა, გაქუცული, საკერებელს რომ ვეღარ იმაგრებდა, მაგრამ პიჯაკი კი საკვირაო ჩაეცვა, რაკი დაკრძალვას ესწრებოდა. როგორც ჩვევად ჰქონდა, საკურთხევლის მახლობლად დაჯდა და მთელი ცერემონიის განმავლობაში პირი სულ მომუწული ჰქონდა. ბლესი საყდრის გალავანთან დააბეს, ტიტლა საყდარში არ შეუშვეს, ზღურბლთან იდგა, ელოდა პატრონს და ძაგძაგებდა.

აი, პასტორიც შემობრძანდა, თეთრი საყელოთი გაწყობილი, დაჰმუჭნული სტიქარი ჩაიცვა; ეს არც ისე საზეიმო შემთხვევა გახლდათ, რომ ბრიჯი გაეკეთებინა. ვიღაცამ საგალობელი წამოიწყო: „მე ვხედავ და ვიცი...“ სხვებიც აჰყვნენ, ხმაშეუწყობლად, ყველა თავისებურად გალობდა. მოხუცი კართან იჯდა, აღარც ტიროდა, თითქოს მთლად გაუშრაო ცრემლი. პასტორი კუბოს-

თან იდგა, საათი ორჯერ ამოიღო და დახედა, გეგონებათ, ასეთი წვრილმანეებისთვის დრო არა აქვსო. გალობა რომ დაამთავრეს, პასტორმა სათვალე გაიკეთა, კურთხევანი გადაშალა და ლოცვა წაიკითხა. რომელიღაც მივიწყებული. ძალზე ცუდი ლოცვა შეარჩია. როგორც მოსალოდნელი იყო ასეთ ამინდში, ხმაც ჩახლეჩოდა. შემდეგ მოკლე სიტყვა თქვა, იქადნებოდა კი, თუ ვიტყვი. უსათუოდ გრძელ სიტყვას ვიტყვიო. შეახსენა იქ შეყრილთ, ავი სული კაცთა მოდგმას ყოველ ფეხის ნაბიჯზე უდარაჯებსო. უწრმუნოებაზე საკმაოდ მკვახედ ილაპარაკა:

— მოკვდავთაგან ბევრს ავიწყდება ყოვლად ძლიერი ღმერთი და მთებში სულელ ცხვრის დევნაზე კარგავს დროს. აბა, რა არის ცხვარი? — იკითხა პასტორმა. — ცხვრები ისლანდიელი ხალხისთვის უფრო დიდი შეჩვენებაა. ვიდრე მელა და ლენტისებური ჭია ერთად. ცხვრის ტყავში იმალება ვერაგი ბგელი — ამ კუთხეში ალბოგასტადელ ეშმად, ანდა კოლუმკილად წოდებული. ხალხი დასდევს ცხვარს — ეს ცთომილი ცეცხლია. არსებობს მარტოოდენ ერთადერთი ჭეშმარიტი ცხვარი — ეს გახლავთ კრავი უფლისა. და რაც ახლა მოხდა, გაკვეთილად გამოგადგებათ.

შემდეგ პასტორმა რამდენიმე სიტყვით აღწერა ცხოვრების გზა განსვენებული ქალისა, რომელსაც არსებითად არავითარი ცხოვრების გზა არ ჰქონია. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ უმნიშვნელოა ყოველი ცალკეული პირის ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საეკლესიო წიგნში არიან აღნიშნულნი. და პასტორმა კვლავ კითხვით მიმართა ხალხს:

— რა არის ცალკე აღებული პიროვნება საერთოდ? არაფერი — სახელი მხოლოდ, უკიდურეს. შემთხვევაში — თარიღი. დღეს შენ, ხვალ კი მე. მაშ. მოდით, შევერთდეთ ერთსულოვან ლოცვაში უფლისა მიმართ, ყოველ ცალკეულ პიროვნებაზე მაღლა რომ დგას, მაშინ, როდესაც ჩვენი სახელები ხუნდება და სამუდამოდ ქრება საეკლესიო წიგნებში.

არც ცრემლნარევი კილო, არც გრძნობა, არც ისეთი რამ აო ეღერდა მის ხმაში, რაც ადამიანის გულის სიმებს შეეხებოდა. მხოლოდ ბლანტედ, დუნედ წარმოთქმული „მამაო ჩვენო“ და სანახევროდ ჩაყლაპული „ამინ“ ისმოდა. ეს უცნაური პასტორი თავისი წინააღმდეგობებით ისეთივე გამოცანა იყო, როგორც თვით ქვეყანა. ის მორწმუნე იყო მხოლოდ პროტესტის გამო უსულგულო ხალხის წინააღმდეგ, იმ ხალხისა, არაფერზე რომ არ ფიქრობდა. გარდა ცხვრისა და ძაღლისა. მან გამოიყვანა უკეთესი ჯიშის ცხვარი—ცხოვრების ზიზღით,—ამ ისლანდიელმა პასტორმა უძველესი ხალხური ლეგენდიდან.

მარტო მისი აქ ყოფნაც მანუგეშებელი იყო და თავდები იმისა, რომ ყველაფერი წესრიგზეა.

გაიტანეს კუბო.

ორი თოკით ჩაუშვეს სამარეში და ცოტა ხანს საფლავის პირას იდგა ხალხი. სამმა გლეხმა ქუდი მოიხადა და ქარბუქში იგალობეს: „როგორც ეული ყვავილი“. ეს სუსხიანი დღე თითქოს ჰალდგრიმ პიეტურსონის* მოსახსენებელი დღე იყო. ტიტლა კუდამოძუებული იდგა ბიარტურის გვერდით, ნაცემივით ყმუოდა და ძაგძაგებდა.

შემდეგ პასტორმა მდუმარედ მიაყარა ერთი მუჭა მიწა კუბოს. მთების მეფეს, თავის მნათეს, ბურნუთი გამოართვა, ბლომად შეიყარა ცხვირში. მეჯინეებმა ხელი დასტაცეს ნიჩბებს და გამალებით იწყეს საფლავის ამოვსება მიწით. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა.

თავი ოცდამესამე

გამოსათხოვარი სიტყვა

„ნეტარ არს ქრისტეს გულით მატარებელი“-ს პანგზე

ყრმობის ჟამს, ოდეს აზიდე
ეხრებით წამების მთა,
გეგონა, ღმერთმა გაგწირა,
ღმერთმა გაგწირა მთლად.
არა! ამ ქვეყნად სუყველას
ელის გამოცდა ღვთის,
ძაღლებს და ადამიანებს
თანაბრად საზღვრავს ის.
გახა არა სჯობს ერთთავად
ღვთის მსახურება ცად...
ო, ღმერთი გადაგვაიწყებს
ტანჯვა-წამებას მთლად.
ცაზე მღერიან საამოდ
ანგელოსები ცის,

* ჰალდგრიმ პიეტურსონი (1614—1674)—აეტორი ისლანდიაში პოპულარული ფსალმუნებისა.

ცაზე პურს არვინ თხოულობს,
ცრემლსაც არავინ ღვრის.
ჰოდა, ამაღლდი სამოთხის
დიად ქვეყნამდე ღვთის
და მიწიერი ცოდვა რამ
მზით მოიშორე, მზით.
იქ ყველა ღიმით შეგხვდება,
ღიმით ჩაგიკრავს თვალს,—
არც ერთი ძაღლი ზეცაზე
არ გედავება ძვალს.

უნდერხლიდელი ეინარ იოუნსონი.

თავი ოცდამეოთხე

ყინვის ალი

ბიარტური მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდა ზაფხულის სავანეში. ძაღლი უკან მოჰყვებოდა, თითქოს სიხარულით ელოდა რაღაცას. კარგია შინ დაბრუნება. დროდადრო ტიტლა წინ გადაურბენდა ბიარტურს, შემობრუნდებოდა, ღრმა ნდობით შეხედავდა და მერე ისევ უკან მოექცეოდა პატრონს, ისე ეთამაშანებოდა, რომ მის წინ წასვლას ვერ ბედავდა. რასაც ძაღლი ეძებს, ადამიანში პოულობს. ბიარტური წინ წახრილიყო, ქარი სახეში სცემდა, ბლესი სადავით მიჰყავდა, დროდადრო თავის ძაღლს თვალს შეავლებდა, რწყილებისა და ჭიისგან განაწამებ ამ საცოდავ ქმნილებას, მისი ყავისფერი თვალებიდან ხომ თვით ერთგულება იყურება, ერთგულება, რომელსაც ქვეყნად ვერაფერი შეარყევს. უბედურება, სახელის შელახვა, სინდისის ქენჯნა, რაც უნდა დატყდომოდა თავს ბიარტურს, რწმენის ამ ცეცხლს ვერ ჩაუქრობდა პატარა საცოდავ ძაღლს, რომლის თვალშიც ბიარტური მუდამ იქნება ყველაზე დიდი, ყველაზე კარგი, შეუდარებელი. რასაც ადამიანი ადამიანში ეძებს, ძაღლის თვალებში პოულობს.

დალახვროს ეშმაკმა, რა მოუვიდა დღეს, რატომ უჭირს ასე ბლესის ტარება სადავით. ცხენს ზურგზე ხომ ცოცხალი ადამიანი უზის?

ცოცხალი ადამიანი? ვინ?

ეს გახლავთ ურდარსელელი მოხუცი, შალში გახვეული, გვერდულად ზის ცხენზე. ქალების ბარგი-ბარხანა უნაგირზეა დამაგრებული. ფინა უკან მოს-

ღევთ, ცხენის ნაკვალევს მოჰყვება, ყინვისგან მთლად გალურჯებია სახე, კაბის კალთა აუწევია და ულაზათოდ მიაბოტებს.

ხმას არავინ იღებს. პატარა პროცესია მიჰყვება თავის გზას ზაფხულის საკანისკენ: ხალხი და პირუტყვები, სულ ხუთი სული. მეწამული მზე, ჩრდილოეთის ზამთრის ამ დილას, ასე ძლიერ რომ ჰგავს საღამოს, ბორცვიდან ბორცვზე სხლტება. უთუოდ შუადღემ მოატანა უკვე. მზის სხივებს ოქროსფრად დაუფერავს თოვლის სქელ საფარველში გახვეული უშენი და ისე აუბრდღვიალებია იქაურობა, თითქოს ცეცხლის ზღვა რიალებს ირგვლივო. კაშკაშებს, ღადღადებს ოქროს დიდებული კოცონი, მისი მოლივლივე ალი, მოციალე კვამლი თოვლიან უსასრულობას მოსდებია, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. მგზავრები თავის გზას მიჰყვებიან ამ ოქროსფერ ყინულის ალში, რომელსაც მარტოოდენ უძველესი ბალადების ჯადოსნური მომხიბლაობა თუ შეედრება.

ხუტორში დარჩენილი ქალები ახალმოსულებს მდუმარე თავაზიანობით შეხვდნენ და მაშინვე მოსთხოვეს ბიარტურს რძე, რომელიც მას პირობისამებრ უნდა ჩამოეტანა. ქალები იძულებული გამხდარიყვნენ წყალზე მოხარშული ფაფა მიეცათ ჩვილისთვის საწოვარათი. ახალმოსულთათვის ყავა რომ აადუღეს, ქალებმა გადაწყვიტეს, ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთო და თავისი ბარგის შეკვრა იწყეს. ბიარტურმა შესთავაზა მათ, გამოგყვებით, უღელტეხილს მაინც გადაგატარებთო, მაგრამ ქალებმა უარი უთხრეს, გულგრილი თავაზიანობით გამოემშვიდობნენ ყველას და წავიდნენ. ბავშვი უკვე კალთაში ეწვა ფინას, თავის ცხოვრებაში პირველად აკმევდა ჩვილს, დედაბერი კი ხმაურით დაუტრიალდა ოჯახის საქმეს.

ბიარტურმა ცხვარს თივა დაუყარა და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ძალიან ადრე იყო, მაინც დაწვა, ისე იყო ილაჯგაწყვეტილი. როზასთან გატარებული იმ უკანასკნელი ღამის შემდეგ, გუდლბრაუს საძებრად რომ წავიდა, ხომ არ დაუსვენია. უხაროდა, რომ წასვლისას ცოლს გამოემშვიდობა. დიახ, ბიარტურს საოცარი ფათერაკები გადახდა და ახლაღა იგრძნო, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. მას შემდეგ, რაც შინიდან წავიდა, მშვიდად არ დაუძინია. დაბაში ყოფნისას, ღამით ჩასთვლემდა თუ არა, მოეჩვენებოდა, რომ თოვლი ეყრება, აი უკვე საამურად დაუარა რაღაცამ, ფეხები შეუბოჭა, ზევით მოიწევს, ამოჰყვა წვივებს, მუცლამდე მოაღწია და შიშით დაზაფრული წამოხტებოდა იმ რწმენით, რომ თუ დაიძინებდა, ნამქერში გაიყინებოდა. ღამით უცებ გამოეღვიძებოდა. პირზე ჯერ კიდევ ედგა რომელიმე უხამსი სიმღერის ან კუპლეტების სიტყვები. ეს უხამსი სიმღერები მამასახლისის ან ვაჭრის გასამასხრებლად იყო შეთხზული. მზად იყო წამოსახტომად, რომ ხელების ქნევა დაეწყო გასათბობად.

იმ საღამოს კი, როგორც იქნა, დაშოშმინდა, იცოდა, საფრთხე აღარ ელოდა.

ლამპა ჩააქრეს საწვავის დასაზოგად, მხოლოდ თაროზე, მოხუცის საწოლს ზევით ბეუტავდა ჭრაქი. დედა-შვილი დიდხანს ისხდნენ ერთად და ხმადაბლა საუბრობდნენ. ქვემოთ ცხვრის ბღავილი ისმოდა, ბლესი ტოკავდა, ფეხს ინაცვლებდა თავის ვიწრო თავლაში, ბაგაში თავჩაყოფილი ფრუტუნებდა. ძაღლი ჭურასთან იწვა. დროდადრო წამოდგებოდა ტანის მოსაფხანად და მაშინ უკანა ფეხებს კედელს უფხაჭუნებდა, ერთს დაამთქნარებდა, ბორბალივით დაეხვეოდა და ისევ იძინებდა. ისმოდა ბავშვის ნელი ფშვინვა, ხან დაიკრუსუნებდა. თითქოს ტირილს აპირებსო. მაგრამ მერე ისევ იძინებდა.

ქალებმა ჩურჩული შეწყვიტეს, ფინა საწოლთან მივიდა და ტანთ გაიხადა. ბიარტურს ესმოდა, როგორ გაიხსნა საკინძე, გაიხადა ქვედატანი, მეორე ქვედატანი უფრო ვიწრო იყო და გაჭირვებით გადაიძრო თავიდან, შემდეგ ბავშვს მიუწვა გვერდით და საბნის ქვეშ კიდევ რაღაც გაიხადა. ბიარტურს ესმოდა, როგორ გაიხსნა ქალმა ღილები, საბნის ქვეშ ტანი მოიფხანა და დაამთქნარა.

მოხუცი კიდევ დიდხანს იჯდა საწოლზე, ჭრაქის მბეუტავ შუქზე, ნიდაყვებით მუხლს დაყრდნობილიყო და საჩვენებელი თითი უკბილო პირში ჩაეყო, თან საძრომს გასცქეროდა. რაღაცას ბუტბუტებდა, წამოდგა. ორჯერ მივიდა კიბის თავთან. მეორედ რომ მივიდა, შედგა იქ, ერთ ხანს ირწეოდა წინ და უკან, მერე ქვემოთ ჩაიხედა და წაიდუდუნა:

მაცდურო მელავ, ჭომწყდი თავიდან,
წადი, იარე შენთვის,
ეს კარი ქრისტეს კარია,
ამ კარს გააღებს ღმერთი.
ეშმაკო, გასწი, მომწყდი თავიდან,
წადი, იარე შენთვის,
ეს კარი მამა ღმერთის კარია.
ამ კარს გააღებს ღმერთი.
ჯუი ქაჯსა და სატანას,
ფუი სატანას ერთობ,
მშვიდობის ღამე დამდგარა.
სახლში შემოდი, ღ მ ე რ თ ო...

ეს ძველი ლოცვა რომ ჩამოათავა მოხუცმა, პირჯვარი გადაისახა და ჩაილაპარაკა:

— უფალს მივანდოთ თავი ჩვენი! ღამე ნებისა!
დახურა საძვრომის კარი, დაწვა.
და ყველამ დაიძინა.

ლაუგარვატნი—ბარსელონა,
1933 წლის ზაფხული.
(1929 წ. მონახაზების მიხედვით)

მეორე ნაწილი

თავი ოცდამეხუთე

ზამთრის დილა

ნელა, ძალზე ნელა თენდება ჩრდილოეთში.

იმ წამიდან, თვალების ჭუტვას რომ მოჰყვა, ვიდრე დამძიმებულ ქუთუთოებს ასწევდა, უსასრულოდ გრძელმა დილამ გაიარა, მარტოოდენ საათი საათს კი არ ძისდევდა, საუკუნე—საუკუნეს, სამყარო—სამყაროს, როგორც უსინათლოს ზმანებებში; ერთი სინამდვილე მეორეს ენაცვლება და უცებ ყველაფერი ქრება: გათენდა. აი, რა გრძელი მანძილია ზამთრის დილასა და დღეს შორის. დილა უსასრულოდ ჭიანურდება. პირველი მქრქალი სხივი ჰორიზონტზე და ფანჯარაში შემოჭრილი შუქი დღისა—თითქოს ორი სხვადასხვა საწყისია, სხვადასხვა სათავე. და თუ ასე გრძელია დილა, როდისღა მოსაღამოვდება? დღის საფეხურები — დილა. შუადღე, დღის მიწურული — სადღაც წინაა, შორს, როგორც ქვეყნები, რომელთა ხილვაც გვწადია და ვოცნებობთ იქ გამგზავრებაზე, როცა გავიზრდებით. საღამო ისევე შორსაა, როგორც სიკვდილი, რომლის შესახებაც გუშინ უამბეს უმცროს ბიჭს. სიკვდილი. დედას რომ შვილებს სტაცებს და შემდეგ მათ მამასახლისის ბაღში მარხავენ: სიკვდილი იქით მიაქროლებს ყველას, საიდანაც აღარავინ ბრუნდება, როგორც ბებიას ზღაპრებშია, და ეს სიკვდილი შენც გეწვევა, როცა მოხუცდები. კვლავ ბალღად იქცევი.

— მაშასადამე, მხოლოდ პატარა ბავშვები კვდებიან?

რატომ ჰკითხა ასე?

იმიტომ, რომ გუშინ მამამისი დაბაში ჩავიდა. ყუთში ჩადო თავისი გარდაცვლილი ბავშვი და ზურგზე წამოკიდებული წაიღო. პასტორმა და მამასახლისმა კი დამარხეს. პასტორმა ბრძანა, მამასახლისის ბაღში გაეთხარათ საფლავი და ფსალმუნიც იგალობა.

— როდისმე ისევ პატარა გავხდები?—ჰკითხა შვიდი წლის ბიჭუნამ დედას.

დედა თავის ბიჭუნას საოცარ სიმღერებს უმღეროდა, უამბობდა უცხო ქვეყნების ამბებს. ახლა კი დედა ავად იყო და მისუსტებული ხმით მიუგო შვილს:

— ადამიანი რომ ბერდება, შვილო, პატარა ბავშვივით ხდება.

— და მერე კვდება? — იკითხა ბიჭმა.

ბიჭუნას მკერდში თითქოს სიმი ჩაუწყდა, ბავშვობის ერთ-ერთი წმინდა სიმი, რომელიც მანამდე წყდება, ვიდრე მიხვდება, რომ მას ყღერა შეუძლია. და ეს სიმები უკვე აღარ ყღერს, რჩება მხოლოდ მოგონება შორეულ წარსულზე, როცა სიმები ჯერ კიდევ მთელია.

— ყველა მოვკვდებით.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი იმავე საგანს დაუბრუნდა, ახლა ბებიას გამოელაპარაკა:

— მე ერთი ისეთი ვიღაც ვიცი, რომელიც არასოდეს არ მოკვდება.

— ოჰო, მართლა, აი შე ჩურჩუტო, შენა, — მიუგო ბებიამ და ოდნავ შებრუნდა, ასე აკეთებდა მუდამ, როცა ვინმეს ელაპარაკებოდა, — ნეტა ვინ არის?

— მამა, — ცოტა ყოყმანით უპასუხა ბიჭმა და გაოცებით შეაცეცა თვალი ბებიას.

— არა. ისიც მოკვდება. — თქვა მოხუცმა გულღრძოდ, თითქოს ნიშნის მოგებით, თან დაისრუტუნა.

მაგრამ ბიჭი ვერ დამშვიდდა, ისევ ჰკითხა ბებიას:

— ბები, ჩამჩაც მოკვდება?

— ჰო, — ბრაზით მიახალა მოხუცმა, რადგან ეგონა. რომ ბიჭი ამასხარაევებდა.

— ბები, შავი ქვაბიც?

— რაც მკვდარია, იმას რაღა მოკლავს, ჩემო ბიჭუნი,—უპასუხა მოხუცმა.

— არა, ისინი მკვდრები არ არიან, — შეესიტყვა ბიჭი, — დილდილობით როცა ვიღვიძებ, ლაპარაკობენ ხოლმე.

ბიჭმა უცებ წამოაყრანტალა თავისი საიდუმლო, რაც აქამდის არავისთვის გაუმხელია. დილაადრიანად, როცა ყველა გულის ძილშია, ქვაბები და ტაფები ადამიანის სახეს იღებს. ის ხომ ყველაზე ადრე იღვიძებს და ესმის, როგორ ლაპარაკობენ ერთმანეთში — ღრმააზროვნად, მედიდური სახით, როგორც შეჰფერის სამზარეულოს ჭურჭელს. მაგრამ პირველ რიგში ჩამჩა შემთხვევით როდი ახსენა, ეს ფრიად ღირსშესანიშნავი ნივთია, იშვიათად ხმარობენ, როცა ხორციან წვენს აკეთებენ. ხშირად უქმად ჰკიდია კედელზე გაფხეკილ-გაკრიალებული, მაგრამ როცა ჩამოხსნიან, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, ამიტომაც ბიჭი პატივს სცემდა ჩამჩას, მისი შედარება მარტოოდენ მამასახლისის

ცოლთან თუ შეეძლო. შავი ქოთანი კი სხვა ვინ იქნება, თუ არა მამასახლისი. მამასახლისს პირი ერთთავად გამოტენილი აქვს საღეჭი თამბაქოთი, ქოთანიც ერთთავად სავსეა ფაფით, ხან ძირზეც მიიწვავს ხოლმე, გარედან კი ჭვარტლსა და მურს დაუფარავს; მასში მუდამ რაღაც დუღს, თუხთუხებს, ალბათ კუჭში ცეცხლი უნთია, და ცოლი იმისთვის სჭირდება, რომ მოურიოს, თორემ გადმოვა მაშინ ნაპირებიდან, რაც შიგ არის. თუმცა, განა მარტო ქოთანი და ჩამჩა? სხვა ნივთებიც სიბნელეში წარჩინებულ ან მდაბიო ადამიანებად იქცევა ხოლმე: მაგალითად, დანები: ისინი მრისხანე გლეხებად გადაიქცევიან, ბიჭს ძალიან ეშინია ამ გლეხებისა; ფინჯნები—ფუნთუშა გოგონებად, ვარდებით მოხატული წინსაფრები რომ უკეთიათ. ეს ფინჯნები ისე აცბუნებდა ბიჭს, დღისითაც, ჭამის დროსაც, ცდილობდა ხელი არ მიეკარებინა ქალბატონებისთვის, თვალსაც კი არიდებდა, ვაითუ მიხვდნენ, რომ მათი თავგადასავალი ვიციო. ღამით ფინჯნები თავმომწონე, მედიდური ქალიშვილები იყვნენ, დღისით უსუფთაოები, საცოდავები, სწორედ იმ სულელ სტუმრებს ჰგავდნენ, რომ დასხდებიან ხოლმე, ქშინავენ და განძრევისა ეშინიათ. ბიჭმა კარგად იცოდა მათი ღამის ცხოვრება და ეცოდებოდა, რომ დღისით ასე უდრტვინველად იტანდნენ ყველაფერს.

ერთი ნივთი კი, ყველაზე ძვირფასი, დღისითაც და ღამითაც ერთნაირად მომხიბლავი, თავისი მშვენიერებით რომ ჩრდილავდა ყველას, მის გვერდით სხვა ნივთები უვარგის ხარახურას ჰგავდა, საგულდაგულოდ იყო შენახული სკივრის ძირში და ბავშვები მხოლოდ მაშინ ხედავდნენ მას, როცა საპატიო სტუმარი ეწვეოდათ ოჯახში, შობა ან სამება დღეს. მაგრამ ბავშვებს ამ ნივთზე ხელის მიკარების ნებას არ აძლევდნენ, ისე უფრთხილდებოდნენ. ეს გახლდათ ღვეზელის დასაწყობი დიდი ლანგარი, უტირედსმირელი მამასახლისის ცოლმა რომ აჩუქა დედას, ყველაზე ლამაზი ლანგარი მთელს ქვეყანაზე. ლანგარზე საუცხოო სახლი იყო დახატული, აყვავებულ ბუჩქნარში ჩამალულ კოპწია სახლისკენ სწორი სუფთა ბილიკი მიდიოდა, ორივე მხარეს მწვანედ მოღაღანე ბალახი და ბუჩქნარი გასდევდა გზას. ეს ვინ დგას ბილიკზე ლურჯ კაბაში გამოწყობილი, თეთრი ქუდით, ხელში რომ ყვავილები უჭირავს და სულში კი მზე ჩადგომია? ბიჭმა კარგად იცოდა, ვინც იყო, მაგრამ არავის უმხელდა გულის ნადებს. ეს ოდური გახლდათ, მამასახლისის ქალიშვილი, ყოველ შემოდგომაზე სამხრეთში რომ მიემგზავრება, გაზაფხულზე კი უკან ბრუნდება, როგორც ჩიტი. ბუჩქებს უკან მდგარი კოპწია სახლი, ეს ოდურის სახლია, იქ, შორეულ ქვეყანაში. და ოდესმე ნონიც დიდი გახდება, აბა, სულ პატარა ბიჭი ხომ არ იქნება, ახლა ბებიას რომ უწევს ლოგინში.

ერთ ხანს ბიჭი მდუმარედ ზის საწოლის კიდეზე და თავისი ხამლის საფენსა ჰქსოვს, მაგრამ მოთმინება მალე ელევა:

— მე ვიცი. არსებობს ერთი ისეთი რამ, — თქვა ბიჭმა, საქსოვი ძირს დაუშვა და ბებიას მიაჩერდა, — რაც არასოდეს, არასოდეს არ მოკვდება.

— საინტერესოა. რა არის ასეთი?

— არასოდეს არ მოკვდება. — მიუგო ბიჭმა.

— მაინც. რა არის. ჩემო საყვარელო ბიჭუნი?

— არა, არასდიდებით არ გეტყვი.

ბიჭმა ორჯერ გადაიხვია მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე ძაფი და თვალი ამოიყვანა. ნეტა კიდევ არ წამოცდეს თავისი საიდუმლო. არის ერთი რაღაც. რაც სიკვდილ-სიცოცხლეზე, ღამის თავისუფლებასა და დღის დამცირებაზე მაღლა დგას, მაგრამ ძე-ხორციელი ვერ მიხვდება ამას. ეს ძვირფასი ლანგრის საიდუმლოება გახლავთ. არასოდეს ისე მწვავედ არ განიცდის ადამიანი იმედის გაცრუებას, როგორც დილით, როცა ყველას სძინავს, მას კი გაეღვიძება. თვალს გაახელს და უმალ იგრძნობს, რაოდენ სჯობს სიზმარი სინამდვილეს. პატარა ბიჭს ხშირად ეზმანებოდა მონეტები, ოცდახუთი ერე, კრონი. ორი კრონიც კი, და ყველა ეს უცებ ქრებოდა, თვალის გახელის უმალ. ხშირად სიზმარში დიდი კოვზით უჭამია გემრიელი მსუყე წვენი, ხორცის მსუქანი ნაჭერი. ისეთი მსუქანი, რომ თითებზე წურწურით ჩამოსდიოდა ქონი. იმ დიდი ლანგარიდან გადმოიღებდა საშობაო ღვეზელის ვეება ნაჭერს, იმისსქეს, რომ ადამიანის თვალის სიმსხო ქიშმიშებს აცლიდა. აი რა დიდ ბედნიერებას ანიჭებს ადამიანს სიზმარი. ბიჭი ამაოდ ცდილობდა ხელახლა დაძინებას. გულით უნდოდა დასიზმრებოდა კვლავ შესანიწნავი ნივთები ან ფული, ვერცხლის მონეტები, ზუსტად ისეთი. როგორსაც მამა უხდიდა მამასახლისს ხუტორის ვალის ანგარიშში. სიზმრად ნანახი ფულით ბიჭს ქიშმიშის ყიდვა უნდოდა, უნდოდა ეყიდა ნამცხვარი, დანა ან თოკი.

გაღვიძებისას საშინლად შიოდა, ოცნებობდა სიზმრად ნანახ საჭმელებზე. როგორც ძაღლი ძვალზე, მაგრამ მამამ სასტიკად აუკრძალა, ვისიმე გაღვიძება და პურის თხოვნა დილაადრიანად. დაემუქრა კიდეც, ხელ-ფეხს შეგიკრავ და ფარეხში დაგაგდებ პასტორ გუდმუნდურის ცხვრებთანო. ერთი მათგანი ღამითაც კი არ ისვენებდა, სულ ირქინებოდა. უჰ! ამის გაფიქრებაც კი ზარავს, ნონის არავისი ისე არ ეშინია. როგორც „პასტორ გუდმუნდურის". ეს ცხვარი ხალხს ვერ იტანდა, ღამეც კი არ ასვენებდა ნონის, მის ძილში შემოიჭრებოდა ხოლმე, სიზმრად ეცხადებოდა. ბიჭი გაურბოდა ერთი სიზმრიდან მეორეში, სიკვდილივით ეშინოდა ამ ურჩხულისა... მართალია, მამას ძალიან ეამაყებოდა ეს ცხვარი. ნონის კი რაღაც არაბუნებრივ სიმახინჯედ ეჩვენებოდა ისევე, როგორც არაბუნებრივად გემრიელი იყო ის ხორციანი წვენი და ღვეზელი. თურმე სიზმარშიც კი შეიძლება ადამიანს საფრთხე რამ ემუქრებოდეს.

და ნონი შიმშილის მოსაკლავად ყურს მიუგდებდა ხოლმე ქვაბებისა და ტაფების ჩურჩულს, მათს ჩვეულებრივ საუბარს ღამღამობით კარადასა და თაროებზე. რაზე უბედობდნენ ისინი? პატარა ბიჭისთვის არც ისე იოლი იყო უფროსების საუბრისთვის გულისყურის მიყოლება. ისინი ბჭობდნენ სამრეველო საქმეებზე, ყოველი მათგანი ცდილობდა სიტყვა ჩაერთო, სხვების ყურადღება მიექცია. ისინი ემდუროდნენ ღატაკებს, მრევლის სარჩენი რომ გამხდარიყვნენ, იმ დაუძლურებულ ბერიკაცებს, რომლებიც მძიმე ტვირთად დააწვნენ ყველას. ჩიოდნენ ყმაწვილი ქალების თავქარიანობაზე, საერთოდ, ახალგაზრდობის ლტოლვაზე ქალაქისკენ, მძიმე დროებასა და ხორბლის სიძვირეზე, ჭიის ახალ სახეობაზე, ასე რომ მოედო ცხვარს. ჩამჩის აზრით, საქმე სულ სხვაგვარად წარიმართებოდა, სიმღერისა და მუსიკისთვის რომ მეტი ყურადღება მიექციათ. საოცარია, როგორ ჰგავდა ამ ჯამ-ჭურჭლის, ქვაბებისა და ტაფების ლაპარაკი მოზრდილი ადამიანების ლაპარაკს. მათი აზრის ძალას იმდენად როდი მოჰყავდა ნონი აღტაცებაში, რამდენადაც გამოცდილებას, ცოდნას. ენამახვილობას. ყოველი შორეული კუთხის სახელწოდება იცოდნენ, ჰყვებოდნენ სად, რომელ კუთხეში გადაიხადეს ქორწილი, ამბობდნენ ოსტატურად შეთხზულ ლექსებს, შიგადაშიგ კაი მაგარ გინებასაც გაურევდნენ, ჰყვებოდნენ ქალაქის ახალ ამბებს. ხანდახან წაკინკლავდებოდნენ კიდეც, სულ უბრალო რამეზე. ერთი მათგანი იტყოდა, საყდარში ფისპარმონია უშნოდ ხრიალებსო, ან ვიკელ ვაჭართან სჯობია საქმის დაჭერა, ვიდრე ფიორდელ ვაჭართანო, ზოგს უკანონო შვილები ჰყავდა, ზოგს კიდევ არაფერი სწამდა ნაციონალური დამოუკიდებლობისა. მათ შორის ისეთებიც ერივნენ, რომელთა აზრით, ქოთანი მარტო იმისთვის ვარგოდა, რომ ცხენის ჩონჩორიკით აევსო. ზოგი ამბობდა, ლექსი—აი, ასე უნდა იწერებოდესო:

ღვთის წყალობა დიდია,
ო, უმისოდ რა ხარობს,
გინა არ გაგიგიათ,
„ქრისტე იხსნის სამყაროსს"

ზოგს კი ასეთი ლექსი მოსწონდა:

სირი რიმსი პომსი პრამს
პარი მიმსი ფირი
კირი სიმსი რომსი რამს
რირი დიმსი ნირი.

ღმერთო ძლიერო, აღარ გათენდება?

ბიჭი ნელა წამოსწევდა თავს, რომ წყვდიადში მიმალულ მოჩვენებას არ მოეკრა მისთვის თვალი.

რაც უფრო ახლოვდებოდა გარიჟრაჟი, მით უფრო ცხადად ჩანდა, რომ ჯამ-ჭურჭელს ელეოდა სიბრძნის მარაგი, მხოლოდ ღამის განმავლობაში რომ ჰყოფნიდა. როგორც კი მიჩუმდებოდნენ, ბიჭის სმენას ახლა სულ სხვა ხმები მისწვდებოდა; ქვემოთ იღვიძებდნენ ცხვრები, ცოტას წაიბღავლებდნენ, ძილის მერე ტანს შეიმსუბუქებდნენ, ზოგიც უკანა ჩლიქებზე დგებოდა და რქებით ბაგას ეჯახებოდა, აწყდებოდნენ ერთიმეორეს. როგორც კი ბიჭი მათ ხმას გაიგონებდა, მის გულში იმედი იღვიძებდა.

მაგრამ მოახლოებული განთიადის ამ სხვადასხვანაირ ნიშნებში ყველაზე უტყუარი და სარწმუნო მამის ხვრინვა იყო.

რიჟრაჟზე, როცა ბიჭი იღვიძებდა, მამა ხვრინავდა, გაბმულ, სადღაც გულის სიღრმიდან ამოსულ ბგერებს აფრქვევდა, ეს ბგერები დილის კი არა, ღამისა იყო, მათ არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდათ იმ სამყაროსთან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ვფხიზლობთ; ეს იყო უცხო მხარეში მოგზაურობა; მოგზაურობა უსასრულო სივრცეში, განუსაზღვრელ დროში, უცნაურ არსებათა შორის. დიახ, რაშები, რომელთაც მიაქროლებდნენ მხედრები ამ ლაშქრობისას, არაფრით არ ჰგავდნენ ჩვენი სამყაროს ცხენებს და მთელი ცხოვრება ამ ღამის სამყაროში სრულიად არ ჰგავდა ჩვეულებრივ ცხოვრებას.

რაც უფრო ახლოვდებოდა დილა, მამის ხვრინვა თანდათან ჰკარგავდა ჟღერადობას, მკერდისმიერი მეღერი ნოტები ყრუვდებოდა, ყელისკენ მოიწევდა, ყელიდან პირსა და ცხვირში გადმოინაცვლებდა, იქიდან ტუჩებზე გადასკუპდებოდა სტვენით ან მოუსვენარი ქშუტუნით — მიზანი ახლოსაა, რაშები სიხარულით ტორავენ მიწას, რომ საღსალამათებმა გამოაღწიეს უსასრულობის ყრუდ მოგუგუნე სივრციდან. და აი უკვე გადაიშალა მშობლიური სივრცენი.

ოჯახის სხვა წევრები სულ სხვაგვარად სუნთქავდნენ. მათ სუნთქვას როდი ჰქონდა ის ძალა, დიდებულება, როგორიც მამის ხვრინვას, არც დროის სრბოლვა იგრძნობოდა. მაგალითად, როგორ სუნთქავდა ბებია? მის სუნთქვას ყურს რომ უგდებ, განა შეგიძლია წარმოიდგინო, რომ შენს გვერდით ცოცხალ არსებას სძინავს? არა, ბებია ისე ნელა სუნთქავს, ისე იშვიათად ინძრევა, რომ უნებლიეთ გაიფიქრებ, იქნებ აღარც სუნთქავს? მაგრამ როცა ნონი ბებიისკენ დაიხრება და მიაყურადებს, სიცოცხლის რაღაც ნიშანწყალს ატყობს, დროდადრო მის ტუჩებს ნელი ფშვინვა სწყდება. რამდენიმე საათი მკვდარივით დევს, მერე კი სადღაც მიმალულ-მიყუჩებული სიცოცხლე ზევით მოიწევს, იმ პატარა ბუშტების მსგავსად, დროდადრო რომ ამოცურდებიან ხოლმე გუბის ფსკე-

რიდან — ეს სიცოცხლე მეღავნდება უცნაურ ბუტბუტში, ბუზღუნში, ჩურჩულში, გაუგებარი და საშინელი ფსალმუნების დუდუნში—ეს სულ სხვა სამყაროს მაცნეა. ბებიას ხომ, როგორც ყველას, საკუთარი, იდუმალი სამყარო აქვს—ლოცვის სამყარო, სამყარო ჰიმნების, იმ გრძელი, დამქანცველი ლექსების, ასე რომ სძაგს მამას, ულაზობელი და მოწყალე ღმერთის სამყარო, მრავლის აძტანი მამისა და მრისხანე მსაჯულის, ჯოჯოხეთის საშინელებებით რომ სჯის ყველა ცოდვილს. ამ სამყაროზე ბებია არავის ელაპარაკება და შეკითხვაზე პასუხის ნაცვლად, ახალ, გაუგებარ ლოცვებს ბუტბუტებს. მიუხედავად იმისა, რომ ბებია ერთთავად ფსალმუნებს გალობს და ბევრი რამ იცის მარადიული ცხოვრების სიხარულზე, არავის თავზე არ ახვევს თავის რწმენას. მართალია, ბებია ლოცვას ასწავლის ნონის, ძილისპირულ ლოცვას, ლოცვა ხომ მისი სამყაროს ენაა, მაგრამ ბიჭისთვის ლოცვა სინამდვილეს ისევეა დაშორებული, როგორც ის, რაც მამის ხვრინვაში ელანდება. და ეს უცხო ცხოვრება, ბებიის ჰიმნებში, მისი ტუჩებიდან შეუცნობლად მოწყვეტილ სიტყვებში რომ ეხატებოდა, ისევე ზარავდა მას, როგორც ჭაობი თავისი მღვრიე, შხამიანი წყლით, ბუსუსიანი უცნაური მცენარეებითა და წყლის ხოჭოებით.

დედ-მამის საწოლის პირდაპირ, ერთ საწოლზე სძინავს სამ უფროს ბავშვს: ჰელგი და გვენდური ერთ მხარეზე წვანან, აუსტა კი მეორე მხარეს. მძინარე ჰელგის სუნთქვა, აუსტას ტირილი და კბილების კრაჭუნი — რომელ სამყაროს ეკუთვნის ნეტა ძილის ეს ენა? უსიტყვო, მნიშვნელობას მოკლებული ენა, რომელშიც უაზრო სიაფთრის მეტი არაფერია; იგი უცრემლო და დაუკვნესებელი ტირილია — ეს მხოლოდ მწვავე, მჩხვლეტავი ტკივილია, თითქოს გოგონას სხეულის გავლით ერთი სამყაროდან მეორეს მიაწვდინესო საზარელი რამ ცნობა. არც ერთი ამ სამყაროთაგანი, არც ერთი იმ ბგერათაგანი არ ემორჩილებოდა დღის კანონებს ანდა ჩვენი ჩვეულებრივი სამყაროს გრძნობებს.

სად იყო მათი დედა ზამთრის ასეთ დილას, როცა შინ არავინ რჩებოდა, ყველა შორს იყო გადახვეწილი, საკუთარ სიზმრებში და ზაფხულის სავანის პატარა ოთახში ირეოდა ჩრდილები იმ სამყაროისა, სადაც ამდენი სასწაული ხდებოდა?

სძინავს თუ თვალღია წევს? მისი კვნესა, მამის ხვრინვაში რომ იკარგებოდა, ნიშანია თუ არა იმისა, რომ დედა ფხიზლობს, თუ ძილშიაც არ შეხებია თავდავიწყების მკურნავი ხელი? რა სანატრელიც არ უნდა ყოფილიყო დღის შუქი ნონისთვის, როცა ის მარტო იწვა, გარშემორტყმული უცხო და ცივი სამყაროებით, რომელთაც წარმოდგენაც არა ჰქონდა მის არსებობაზე, უფრო მეტად ენატრებოდა და სწყუროდა დედის ალერსი.

ერთხელ ღამით. ვანთიადი ჯერ კიდევ შორს იყო, ხოლო ბიჭი კიდევ უფ-

რო შორს, ძილის საკუთარ სამყაროში, როცა შუაღამის მთენთავმა, მაგრამ მაინც ტკბილმა რულმა თანდათან უფრო მაგრა შებოჭა, თუმც ბიჭი ვერ ეძლეოდა ამ ნეტარებას, რადგან ვიღაც ეძახდა. ვინ ეძახის ნეტა? თავდაპირველად სადღაც შორიდან მოისმოდა ეს ძახილი, ბიჭს ყურადღებაც არ მიუქცევია; ეჩვენებოდა, თითქოს ეს იყო უცხო ქვეყნიდან მოტანილი ცნობა, მაგრამ ეს ხმა თანდათან ახლოვდებოდა, თითქოს ვიღაც კვნესოდა, ახლოს, სულ უფრო ახლოს, თითქოს დაბაში გაისმოდა ეს ხმა, მაგრამ იქ როდი გაჩერდა, აქეთ მოიწევდა, ახლოვდებოდა და აი ახლა უკვე მის ოთახში ისმის... ეს დედის საწოლიდან ისმის კვნესა. ნონიმ გაიღვიძა, იგი ბებიას ლოგინში იწვა, ოთახში საცოდავად ბუუტავდა წვრილი სანთელი, ბებია დახრილია დედის საწოლთან, რაღაცას აკეთებს, ფუსფუსებს, საწოლზე მაძა ჩამომჯდარა, დედას ხელი უჭირავს, მოპირდაპირე საწოლზე ბავშვებს საბანი თავს წაუფარებიათ, მაგრამ დროდადრო გამოიხედავენ შიშით გაფართოებული თვალებით, თითქოს ზარავთ ერთმანეთის შეხედვა და თავს იმძინარებენ. დედა ძალიან ცუდად არის, კვნესის თანდათან უფრო ხმამაღლა, უფრო შესაბრალისად, ყვირის უკვე, ტირის... ეს არის მთელი სამყაროს ტანჯვა. ბიჭს წამოდგომა უნდა, უნდა იკითხოს, რა მოხდაო, მაგრამ ვერ ბედავს, საბნის ქვეშ იკუნტება. ბებია უკვე ქურასთან ტრიალებს, ცეცხლის გაჩაღებას ცდილობს — ეს ბებიას საუკუნეობრივი ბრძოლაა ცეცხლთან: მრავალი საუკუნის მანძილზე ბებია იტანჯება, ცდილობს ცეცხლის გაჩაღებას წყლის გასაცხელებლად. გადის ხანი, ბიჭს ისევ ძილი ერევა, ბებიის და მამის ჩურჩული იხშობა, წყდება, კვლავ შორს, სხვა მხარეში გაისმის მათი ხმა, მამა ბრაგუნით ჩარბის კიბეზე. სად არის? რედსმირის საყდარშია, თუ იქნებ, უფრო შორეულ საყდარში? არა, შინ არის, აი საძვრომის კარი დახურა და წავიდა.

როგორც კი მამამ კარი დახურა, დედა უფრო შესაბრალისად ატირდა და ბიჭს თითქოს ვიღაცამ ცივი, ბრჭყალებიანი თათი ისევ ჩასჭიდა გულში, როგორ ხდება, რომ ისინი, ვინც შენთვის ქვეყნად ყველაზე ძვირფასია, ასე იტანჯებიან, შენ კი ვერაფრით შველი?

უცებ ბიჭს თავში გაუელვა, რომ დედის ასეთი აუტანელი ტანჯვის მიზეზი მამაა, ის ხომ დედის მბრძანებელია. უთუოდ სინდისი არა აქვს სუფთა, რაკი ასეთ ყურადღებას იჩენს ახლა, დედის ხელიც კი უჭირავს, ეს ხომ წინათ მამას არასოდეს გაუკეთებია. ერთი უყურეთ, ღაბაშიაც გარბის ამ შუაღამისას.

მერყევი და დაუნდობელია მოყვარული გული და მაინც მხოლოდ ასეთ გულში ჰპოვებ თანაგრძნობას. მაგრამ ძილი მოყვარული გულის ყველაზე კეთილშობილურ გრძნობებზე ძლიერია. როცა დედის ტანჯვამ უკიდურესო-

ბას მიაღწია, შუქი გაბუნდდა, ნელ-ნელა მინელდა წყლის ჩუხჩუხი, ფიჩხის ტკრციალი, ბებიის ბებრული ჩიფჩიფი, ლოცვა-დუდუნი. ბრჭყალებიანი თათი აღარ უჯიჯგნის გულს.—იწყება სიზმრები, ოღონდ საზარელი და მტანჯველი კი არა, ალერსიანი, ვით ელფების ცხოვრება, და აი, კვლავ შებოჭა შუაღამის ნეტარმა სიმძიმემ, მისი ცნობიერება ნელ-ნელა ჩაეშვა სიზმრის უფსკრულში, თავდავიწყებაში ჩაიძირა.

გუშინ მამამ ჩვილი ბავშვი დაბაში წაიღო დასამარხად.

დედა? გამხიარულდა თუ არა? შეურიგდა თუ არა თავისი შვილების მსგავსად, ზამთრის დღეების უღიმღამო ერთფეროვნებას? თუ გულში იხშობს კვნესას, იცის, რომ ვერავინ შეიწყალებს, რომ ადამიანის გული ამაოდ არ უნდა ელოდეს თანაგრძნობას? ბავშვებს ხან შიში იპყრობდა, ხან მშვიდდებოდნენ, დედის ტანჯვას კი ბოლო არ უჩანდა. ბიჭს ეჩვენებოდა, რომ გაღვიძებას ვერავინ აპირებს. რა მოუვიდათ დღეს, რამდენი ხანი გამოაცხვეს ძილი? აი, ცხვრები უკვე ამოძრავდნენ, წამოხტნენ, ესმის როგორ რქენენ ერთმანეთს. მამასაც ეტყობა ხვრინვაზე, რომ მალე გაიღვიძებს. ჯამ-ჭურჭელმაც იგრძნო ალიონის მოახლოება და მიყუჩდა. პატარა სარკმელი, საიდანაც უკვე შემოიჭრა მკრთალი მოლურჯო შუქი, თითქოს ზამთრის დღის სარკმელია და ნელა, ძალზე ნელა იღება. ნუთუ ამ ხალხს გაღვიძებისა ეშინია? ბიჭმა ნელა დააკაკუნა კედელზე. მიუხედავად იმისა, რომ ხმაური სასტიკად აკრძალული ჰქონდა. მამა დასჯითაც კი ემუქრებოდა, ხანდახან მაინც ბედავდა ხმაურს, როცა დილა ძალზე გაჭიანურდებოდა. კაკუნმა რომ არ გასჭრა. წრუწუნი დაიწყო, თაგვივით წრუწუნებდა, მერე ხმას აუწია, წკმუტუნებდა, თითქოს ძაღლს კუდზე ფეხი დაადგესო. ბოლოს სტეენას მოჰყვა, ჯერ ნელა, მერე მთელი ხმით, გეგონებათ, სამხრეთ-დასავლეთის ქარი შემოიჭრაო გარეთა კარიდან.

— გეყოფა ცეტობა!

ეს ბებიამ უთხრა. აჰა, მაინც მიაღწია საწადელს. ბებია აბუტბუტდა, წამოიწია და ბოლოს ლოგინიდან გამოძვრა, ისეთი ოხვრითა და ვიშით, როგორიც მუდამ თან სდევდა ამ გმირულ მოქმედებას. ჩაიცვა ხამი ტილოს კოფთა და ქვედატანი, დაუწყო ასანთს ძებნა. ეს მუდამ იმით მთავრდებოდა, რომ ასანთს პოულობდა. ქურის ზევით კედელზე დაკიდული ლამპის შუქი ირხეოდა და ამ შუქზე ბიჭი ხედავდა ბებიას. მოხუცი თავშიშველი იყო, ბიჭი შესცქეროდა მის ქარდაკრულ, ნაოჭებით დაღარულ სახეს, წაწვეტებულ ნიკაპს, გამხდარ კისერს, თხელ, ჭაღარა თმას და ეშინოდა მისი. ბიჭს ეგონა, დილა მხოლოდ მაშინ დგება, როცა ბებია თავშალს მოიხვევსო.

აი, ბებიამ უკვე მოიხვია თავშალი, მისი ბებრული მოძრაობა, თვალის ცეცება ნონისთვის ახალი დღის სალამს ნიშნავდა, დაბრუნებული სინამდვი-

ლის სალამს. აი, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიჭისთვის ამ ბებრულ, კუშტ სახეს, თავშალის ქვემოდან რომ იცქირებოდა, მის ბუტბუტს, სრუტუნს, ჩურჩულს. მოხუცი ერთთავად დაბლა იყურებოდა, თითქოს თავის ცხვირის წვერს უყურებსო, სულ ფუსფუსებდა, ჯახირობდა, ქშინავდა, ცეცხლის ანთება უნდოდა. საცაა მამა მოჰყვება ქექვას, ხველებას, ფურთხებას, მერე ერთ მწიკვ ბურნუთს შეიყრის ცხვირში და ცხვრების მისახედად ჩავა ქვემოთ.

იწყებოდა დილის ის პერიოდი, როცა რეალური ცხოვრება მთლიანად ამქლავნებდა თავის უფლებებს. საამო იყო ფიქრი, რომ, ყოველ შემთხვევაში, დღიდან დღემდე ერთი რამ მაინც უცვლელი რჩება: ბებიას ცხარე ბრძოლა ცეცხლთან. სახმელებელი ნედლი იყო, თუმც მოხუცი წვრილად ანაფოტებდა ტორფს, ყველაზე გამომშრალ ნაპრებს ფიჩხზე აწყობდა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ისმოდა მხოლოდ სუსტი ტკაცატკუცი, ნესტიანი, მწველი კვამლი მიძვრებოდა სახლის ყოველ კუნჭულში, ცხვირ-პირს უვსებდა, სულს უხუთავდა ნონის. ბიჭი საბანს წაიფარებდა თავზე, მაგრამ კვამლი ლოგინშიაც აღწევდა. კედლის ლამპის შუქი დაბლა იწევდა, თუმცა რაც არ უნდა გაეგრძელებია ბებიას სავალდებულო ბუზღუნი, ეს მაინც იმის მახარობელი გახლდათ, რომ მალე დილის ყავას მიიღებდა. კვამლის ბოლქვებს რარიგ მწვავედაც უნდა აეწვათ მისთვის თვალები, ცხვირი, ყელი და ფილტვები, კვამლი მაინც წინამორბედი იყო იმ სურნელებისა, რომელიც მის გულს მხნეობითა და მომავლის რწმენით ავსებდა, — ყავის დაფქული მარცვლების სურნელის, როცა მდუღარე წყალს დაასხამდნენ ჩაიდანიდან.

რაც უფრო მეტი ხანი უნდებოდა ბებია ცეცხლის გაჩაღებას, ნონისაც მეტი დრო რჩებოდა, რომ წინასწარ დამტკბარიყო იმ სიხარულით, რასაც დილის საუზმე ანიჭებდა. დროის მოსაკლავად, ნონი მრუდე ჭერის თვალიერებას მოჰყვებოდა, წინასწარ ზუსტად იცოდა ამ კვლევის შედეგი და მაინც ყოველ დილით იმეორებდა ერთსა და იმავეს, თუ კვამლი თვალის გახელის საშუალებას აძლევდა. განსაკუთრებით დაჟინებით ათვალიერებდა ორ ნუჟრს. კვამლი რომ გაიფანტებოდა და ცეცხლი აგუზგუზდებოდა, საშუალება ეძლეოდა გულმოდგინედ დაეთვალიერებინა ნუჟრები. ე. ი. ყველაფერი წესრიგზეა, წყალი მალე ადუღდება. მაგრამ რას წარმოადგენდა ეს ორი ნუჟრი? ორი ნუჟრი—ორი კაცი გახლდათ, ღვიძლი ძმები, თითოს თითო თვალი ამოსვლოდა ზედ შუბლზე. პირმრგვალი იყვნენ დედამისივით. ეს როგორ მოხდა, რომ ცალთვალები ასე ჰგვანან დედას? საქმე ის არის, რომ ესენი დედამისის ძმები არიან, ნონის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე რომ გაემგზავრნენ უცხო ქვეყანაში, ზღვის გადაღმა და იქ მიაღწიეს ყველაფერს, რაც უნდოდათ.

— საოცარია, რას არ ხედავს ეს ბავშვი. — თქვა დედამ, როცა ერთხელ მარტონი დარჩნენ და ბიჭმა დედას უამბო, რასაც ხედავდა დილდილობით. დედა-შვილი დიდხანს ჩურჩულებდნენ, მუსაიფობდნენ ათას რამეზე, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი არ უნდა გაიგოს, ისინი სიმღერებზე, უცხო ქვეყნებზე ლაპარაკობდნენ.

ნონი დედის საწოლზე ჩამომჯდარიყო, მისი ხელი ეჭირა.

— შორს, ძალიან შორს რომ წავიდეს ადამიანი, — ჰკითხა ნონიმ დედას,— მიაღწევს ყოველივეს, რაც უნდა?

— ჰო, ჩემო ძვირფასო, — უპასუხა დედამ მოქანცული ხმით.

— და იმად გახდება, რადაც სწადია გახდომა?

— ჰო, — უგულისყუროდ მიუგო დედამ.

— როგორც კი მოახლოვდება გაზაფხული, — თქვა ბიჭმა, — ჩვენი ხუტორის წინ რომ მთაა, იმის მწვერვალზე ავალ, მინდა გავიგო, ჩანს თუ არა იქიდან სხვა ქვეყნები.

დედას არაფერი უპასუხია.

— დედი, შარშან ხეობაში ჩანჩქერი ვნახე და ქარმა შხეფი ზევით აიტაცა, თავზე გადაავლო მთას.

— ჩემო საყვარელო ბიჭუნი, — თქვა დედამ, — სიზმარში გნახე.

— როგორ მნახე, დედი?

— დამესიზმრა, თითქოს ფერიამ თავის კლდეზე ამიყვანა, დოქით რძე მომცა და მიბრძანა, დალიეო, როცა დავლიე, მითხრა: „ალერსიანად მოეპყარი პატარა ნონის, რადგან ის მთელი ქვეყნისთვის იმღერებსო“.

— ეს როგორ, დედიკო? — ჰკითხა ბიჭმა.

— არ ვიცი, — უპასუხა დედამ.

ბიჭი გულში ჩაეხუტა დედას, ქვეყნად არაფერი უნდოდა, გარდა დედის გულისა, გამალებით რომ სცემდა.

ბოლოს ბიჭი წამოდგა.

— დედი, რად უნდა ვიმღერო მთელი ქვეყნისათვის?

— ეს სიზმარია, შვილო, — მიუგო დედამ.

— ამ უშენისთვისაც უნდა ვიმღერო?

— ჰო, შვილო.

— ამ ჭაობებისთვისაც?

— ჰო.

— ამ მთებისთვისაც?

— ასე მითხრა ფერიამ, — მიუგო დედამ.

— მაშასადამე, რედსმირის საყდარში მომიწევს სიმღერა, — თქვა ბიუმ ჩაფიქრებით.

— თითქოს ასეა, — უპასუხა დედამ.

ბიუ ისევ მიეკრა დედას მოხიბლული ამ წინასწარმეტყველებით და დიდი ხანი ფიქრობდა ფერიის სიტყვებზე, ასე რომ აუჩქროლა გული და ფრთა შეასხა.

— დედი, მასწავლი, როგორ უნდა ვიმღერო მთელი ქვეყნისთვის? — ჰკითხა ბიუმ.

— ჰო, ჩემო ბიუნი, — დაიჩურჩულა დედამ. — გაზაფხულზე, — და მოქანცულმა ქალმა თვალი მილულა.

ხოსიშ კედლის როკებიდან კარადასა და თაროებზე ჩამწკრივებულ ჯამ-ჭურჭელზე გადაიტანა მზერა, შეაცქერდა კედელზე დაკიდულ ჩამჩის, იატაკზე მდგარ ქოთანს: ისე გამოიყურებოდნენ, ვითომც აქ არაფერიაო. ბიუ ამას შუადამ ამჩნევდა რიტრაკის მოახლოებისას. როგორც კი ოდნავ გატყდებოდა სიბნელე და დაინახავდა მალალი, მსხვრევადი ფინჯნების ბზინვას, უცნაურ ჭრელჭრულებში გამოწყობილ ქალიშვილებს რომ ჰგავდნენ, სიბრალულითა და თანაგრძნობით ეკუმშებოდა გული, გუნებაში ფიცს სდებდა, რომ არავის გაუმხელდა მათ საიდუმლოს, ერთი სიტყვაც არსად წამოცდებოდა, ზრდილობის გამო ცალ თვალსაც კი ხუჭავდა, მეორეთი უყურებდა და ამბობდა: არც მე ვარ ისეთი, როგორიც ერთი შეხედვით ვჩანვარ. ის იმ სიმღერებს გულისხმობდა, მომავალში რომ უნდა ემღერა და შორეულ მხარეს, ისეთ შორეულს, როგორც ზამთრის საღამოა ზამთრის დილას დაშორებული.

დაბოლოს გაისმოდა ჩაიდანის ნაცნობი ხმა, მაუწყებელი იმისა, რომ წყალი მალე ადუღდებოდა. ამ დროს ბიუს უკვე ისე შიოდა ხოლმე, რომ ეჩვენებოდა, თივასაც კი შეჭამდა გამგელებული, წივასაც, ტორფსაც. და რაღა გასაკვირველია, თუ იგი ნაღვლიანად ფიქრობდა პურის იმ ნაჭერზე, რომელიც მალე უნდა მიეღო. როგორი ნაჭერი შეხვდება? ბებია დიდი პურის კვერიდან მოუჭრის, თუ ნახევრიდან? ცალ მხარეს ძალიან თხელი ხომ არ იქნება? რას წაუსვამენ? დაადებს თუ არა ბებია ზედ თევზის ქონს, შუაში კი დამარილებული სხვა ქონის ნაჭერს ისე, რომ გუშინდელივით ქერქი მშრალი დარჩეს? ვერასოდეს ვერ ძღებოდა ამ ნუგბარი ქონით, პირში ცხარე გემოს რომ ტოვებდა. რაც მართალია, მართალია, ბებია არ ძუნწობდა, მარჯვენა ხელის ცერით სქელად წაუსვამდა ხოლმე ქონს. სამაგიეროდ შაქარს ძალიან ზოგავდა. თავშაქარს რომ

ჩამოტეხდა უსწორმასწორო ნატეხებს, ყველაზე პატარას ნონის არგუნებდა... ბიჭიც ყველა ამაზე შიშითა და ძრწოლვით ფიქრობდა.

ოთახში ყავის სურნელი დადგა. ეს იყო დილის საზეიმო წუთი. ამ სურნელებას რომ შეისუნთქავდა ნონი, ყოველგვარი გაჭირვება და ვაება ავიწყდებოდა, მომავლის რწმენა უმტკიცდებოდა გულში. ვინ იცის, ეგებ მართლა გაემგზავროს შორეულ მხარეში, შორეულ ქვეყნებში? ერთ მშვენიერ დღეს, რაგინდ დაუჯერებელი გვეჩვენებოდეს, მაინც დადგება გაზაფხული, აჭიკჭიკდებიან ჩიტები, ფერდობებზე ბაია წამოჰყოფს თავს. ჰოდა, ადვილი შესაძლებელია, დედაც გამოკეთდეს, როცა დღე იმატებს, როგორც შარშან და შარშანწინ მოხდა.

ასეთ ფიქრებში რომ იყო ბიჭი, მდუღარე წყლის ნაკადი უკვე ყავადანში იღვრებოდა და გაისმოდა ხმამაღლა თქმული პირველი სიტყვა მთელი დილის განმავლობაში — ეს შესავალი სიტყვა გახლდათ, დიდედა მუდამ ჯადოსიტყვასავით რომ წარმოთქვამდა გულის ძილით მძინარე აუსტას გასაღვიძებლად. ეს ჯადოსიტყვა ყოველ დილას გაისმოდა. მართალია, აუსტას კი ეჩვენებოდა, თითქოს პირველად გაიგონაო ეს, მაგრამ ბიჭმა დიდი ხანია დაიზეპირა იგი და სამუდამოდ დაიხსომა.

— სირცხვილი არ არის? ეს რა უმსგავსობაა? უკვე მოწიფული გოგოა. კარგია ერთი თქვენმა მზემ! ნეტა ვიცოდე, თავში რა აქვთ ამისთანებს?

როგორ შეიძლებოდა იმის ფიქრი, რომ ასეთი წყნარი ტუქსვა მძინარეს ეძაღვიძებდა? ეს უფრო ბუტბუტს ჰგავდა, თითქოს ბებია თავის ფსალმუნებს შიგადაშიგ რაღაც სხვა სიტყვებს ურთავსო.

აუსტა, რა თქმა უნდა, ბაიბურში არ იყო. საწოლის კუთხეში მიყუჟულიყო, პირი დაეღო, თავი უკან გადაეგდო, ცალი ხელი ყურქვეშ ჰქონდა ამოდებული, მეორე საბანზე ისე ედო, თითქოს ელის, რომ ვიღაც მოვა და ხელში ბედნიერებას ჩაუდებსო. მის პერანგს ზედ ყელთან საკერებელი ედო.

ბებია კელავ ჯადოსიტყვას იმეორებდა:

— თავიც რომ ცარიელი აქვთ, აი, ასეთ უტვინოებს. აბა, რა ხეირი გამოვა ამათგან? — ბებია მუდამ მრავლობით რიცხვში ლაპარაკობდა აუსტაზე.— არა, ერთი უყურეთ, პერანგიც რომ მთელი არ აცვიათ ტანზე... (უფრო ხმამაღლა) სოფლა, გოგო, დროა შენს საქსოვს მოკიდო ხელი, არ გესმის, სოფლა. საუზმე მზადაა, საცაა სადილობის დროც მოვა.

ბიჭებს მუდამ აოცებდათ ბებიის წარმოდგენა დროზე.

წყლის ნაკადი ლამაზად, ყრუ ხმაურით ისხმებოდა ყავადანში, ყავადანს ორთქლი ასდიოდა, სურნელს აფრქვევდა. ბებია ისევ აღვიძებდა აუსტა სოფლილიას.

— შენგან სასიკეთო არაფერი გამოვა. შენი დღე და მოსწრება თავმოძულებული იქნები.

აუსტა სოულილია გაღვიძებას არ აპირებდა.

— ხომ არ გგონია, რომ ქალბატონივით ლოგინში მოგართმევ ყავას? შენ, ცამეტი წლის გოგოს? საცაა თოთხმეტიც შეგისრულდება და მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ უკვე კონფირმაციის დრო მოვა! მაგრამ მანამდე მამაშენს ერთი მაგრა გავაჯოხინებ შენს თავს!

არც ეს ცისკრის ლოცვა ახდენდა შთაბეჭდილებას აუსტა სოულილიაზე. ძხოლოდ მაშინ გაახელდა თვალს, როცა ჰალბერა მის საწოლთან მივიდოდა და ნჯღრევას დაუწყებდა. მაშინ კი გაქირვებით ასწევდა ქუთუთოებს, შიშით დააფახულებდა თვალებს, ირგვლივ მიმოიხედავდა. ბოლოს, როგორც იყო. გამოფხიზლდებოდა, სახეზე ნიდაყვს აიფარებდა და სრუტუნებდა.

აუსტას მუქი თმა ჰქონდა, ფერმკრთალი იყო, ცალ თვალს ოდნავ აელძებდა, წარბ-წამწამიც მუქი ჰქონდა, თვალები კი რუხი, ფოლადისფერი. მთელ ოჯახში მხოლოდ მის სახეს გააჩნდა განსაკუთრებული მკაფიო ფერი და ფორმა, ამიტომ ბიჭი ხშირად აკვირდებოდა, თითქოს უკვირდა, საიდან გაჩნდა ასეთიო. ძალზე ფერმკრთალ, მოზრდილ ადამიანივით გრძელ სახეზე, გოგონას რაღაც ზრუნვის, თითქმის ცხოვრებისეული გამოცდილების დაღი აჩნდა. რაც თავი ახსოვდა ნონის, აუსტა მუდამ მისი უფროსი და იყო. მართალია, გოგონას მხრებისა და გულმკერდის მოხაზულობა არაფრით არ მოჰგავდა ნახევრად გაშლილ კოკორს—ან უკვე გაშლილი იყო, ან არასოდეს არ ყოფილა კოკორი, ამავე დროს, ქალისთვის დამახასიათებელი ნაზი სიმრგვალეც არ ეტყობოდა. აუსტა აღარც ბავშვი იყო, დაქალებასაც ჯერ ბევრი უკლდა.

— აი, აქ დავდგამ შენს ყავას, სოულილია, — უთხრა ბებიამ და ყველაზე შორეულ კუთხეში დადგა მისი ფინჯანი, — არასდიდებით არ მოგაწოდებ, იცოდე.

სოულა თავს იქექავდა, ამთქნარებდა, პირს აწკლაპუნებდა. ბოლოს, ბალიშის ქვეშიდან გამოაძრობდა თავის ქვედატანს, თბილი საბნის ქვეშ ჩაიცვამდა, გამოყოფდა ლოგინიდან შიშველ, გრძელ ფეხებს, მსხვილი ძაფის შინ ნაქსოვ წინდებს ჩაიცვამდა. ამ დროს ძალზე მოურიდებლად გადაიდებდა ხოლმე ფეხს ფეხზე. ნონი თვალს ადევნებდა, ათვალიერებდა გოგონას ფიზიკურად ჯერ კიდევ განუვითარებელ სხეულს და თანდათან რწმუნდებოდა, რომ მართალია, სოულა მისი უფროსი დაა, მაგრამ რაც შეეხება მის აგებულებას, ძმებივით სრულყოფილი ქმნილება არ გახლავთ.

ამ დროს ბებია ფიქრს აწყვეტინებდა ნონის, მიაწვდიდა ყავას და უფროსი ბიჭების გაღვიძებას იწყებდა.

ახლა კი საკუთარი თვალით შეეძლო დაენახა ნონის, პურის რომელი ნაწილიდან მოუჭრიდნენ, სქლად წაუსვამდნენ თუ არა ქონს, ისე რომ, ქერქიც დაფარულიყო, პატარა ნატეხი შაქარი ერგებოდა, თუ მოზრდილი. სარკმელში უკვე კრთოდა შუქი, ზამთრის დილა ერთხელ კიდევ ასწევდა თავის მძიმე ქუთუთოებს.

და დგებოდა დღე.

თავი ოცდამეეძვსე

დღე

ამ ოჯახში საქმელს მდუმარედ შეექცეოდნენ, თითქმის ზეიმურად, გეგონებათ, რაღაც იდუმალ წესს ასრულებენო. თეფში მუხლებზე ედგათ, ზედ იხრებოდნენ და თევზს ისეთი დაძაბული ყურადღებით აცლიდნენ ფხებს, როგორც მესაათე მუშაობს. ფაფას რომ ჭამდნენ, თეფში ზედ ნიკაპთან ეპირათ. რა სწრაფად ამოაცარიელებდა ხოლმე მამა ფაფით გალიცლიცებულ დიდ ჯამს, ბებია მუდამ ქურასთან იჯდა, სხვებისკენ ზურგშექცევით ჭამდა. დილის საუზმეზე მუდამ ჰქონდათ შვრიის ცხელი ფაფა, ცვრიანი ძეხვი, პურის ნაჭერი. წინა დღის სადილიდან მორჩენილი დამარილებული თევზი, შაქრის ნატეხი და ყავა. ყველაზე გემრიელი შაქარი იყო. დედა ჩიტივით ერთი ბეწოს შეკიკნიდა, ლოგინში ნახევრად წამომჯდარი; მერე გადმოიღებდა წამლის ერთ-ერთ ბოთლს, იმ ოთხმოცი ბოთლიდან, ალთინგის წევრმა რომ გამოუგზავნა, და სვამდა წამალს. ჩათეთქვილ სახეზე ნაცრისფერი ედო, აგზნებული თვალები უბრწყინავდა, პირში რაღაც წყლულები გაუჩნდა და გაჭირვებით ღეჭავდა საქმელს. უმცროს ბიჭს გული ეწოდა, როცა ხედავდა, რა გამგელებით ილუკმებოდა მამამისი, დედის თვალწინ იმდენ ფაფას რომ შესანსლავდა ხოლმე. დედა კი პირს ძლივს აკარებდა ამ დამარილებულ თევზს, ზიზღით ყლაპავდა. არასოდეს ისე ცხარედ არ ოცნებობდნენ ბავშვები ხორცზე და ჭვავის პურის სქელ ნაჭერზე, როგორც საუზმის შემდეგ.

ნასაუზმევს ბიარტური საწოლის ნაპირზე გაწვებოდა — ასე ჩვეოდა ბავშვობიდან და იმწამსვე ამოუშვებდა ხვრინვას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წუთს წაიძინებდა ხოლმე, მერე უცებ ისე წამოენთებოდა, თითქოს რაღაც სასიკვდილო საფრთხე ელისო და ფარეხში გარბოდა ცხვრის მისახედად. ბიარტურმა ახალი ფარეხი მიაშენა სახლს, ბატკნები და ორწლიანი ცხვრები კი ისევ

საცხოვრებელი ოთახის ქვეშ ძველ ფარეხში ჰყავდა. უფროსი ბიჭები ასუფთავებდნენ ბაგებს, გაჰქონდათ ნაკელი, ყინულჭრილს აკეთებდნენ ნაკადულზე, სახლის ირგვლივ გზას ასუფთავებდნენ, მაგრამ ისე გაუჩერებლად ბარდნიდა, რომ გზა ხელად იფარებოდა თოვლით. ირგვლივ ნამქერის მთები იდგა, ცხვარსაც და ადამიანსაც თოვლში გაჭრილი თვრამეტი საფეხურის ავლა უხდებოდათ თოვლის მთის გადასალახავად. სარკმელების ძირას ბიჭებმა თხრილები გაჭრეს, რომ დღის შუქს როგორმე შემოეღწია ოთახში.

მამა და უფროსი ბიჭები ფარეხში რომ წავიდოდნენ, აი მაშინ იწყებოდა უსასრულო დღე, იმდენად გაჭიანურებული, რომ ნონის ეჭვიც კი ეპარებოდა, ნეტავ თუ დაღამდებაო? მკრთალი შუქი ძლივს აღწევდა ოთახში, სარკმელი პატარა იყო, გარეთ კი მონამქერებული თოვლის მთები იდგა. დილით ორ საწოლს ასწორებდნენ, მესამეზე დედა იწვა გაუნძრევლად. უკვე ნაწოლები გაუჩნდა და საშინლად იტანჯებოდა. მისი მშობიარობა, როგორც შარშან, ასევე წელს მძიმე ავადმყოფობას დაერთო, შარშან ოთხი თვე იწვა, ის ბავშვიც მოუკვდა. სარკმელთან, საწოლზე ჩამომჯდარი აუსტა სოულილია კოფთას ქსოვდა, ფეხებს იატაკს ვერ უწვდენდა, სამაგიეროდ, დროდადრო კედელს მიეყრდნობოდა ხოლმე, ხან ჩათვლემდა კიდეც. ბებია სართავ ჯარას დაიდგამდა და მთელ სახლში ისმოდა ზუზუნი, ზამთრის გრძელ დღეებს რომ ავსებდა. ჯარის ბორბალი—როგორც დრო-ჟამის ბორბალი, შორს, შორს მიგვაქროლებს, ყველას თავ-თავის საზღვრამდე.

ახლა ნონის თამაშის ნება ეძლეოდა. გამორეკავდა საქონელს საძოვარზე: ესე იგი, ყოველ საწოლზე დაალაგებდა ცხვრის ძვლებს—ესენი ცხვრები იყვნენ. ზოგს ნივნივას ქვეშ დააწყობდა, მაშასადამე, მთის მწვერვალზე და მცირედ დაქანებულ ფერდობზე გაშლიდა ფარას. ცხვრის ყბები—ძროხებს გამოსახავდა, მან ქურის ფეხებზე მიაბა ისინი. პატარა ნონი ძროხებს სულ სხვა თვალით უყურებდა, ვიდრე მამამისი, ზაფხულის სავანელი ბიარტური: ბიჭს ათი ძროხა ჰყავდა. შემდეგ შორეულ მოგზაურობაში მიდიოდა. ცხენების მაგივრობასაც ცხვრის ძვლები უწევდა.

მან ხომ იცის გზა იმ უცხო ქვეყნისაკენ, მთისა და ჭაობის გადაღმა რომ მდებარეობს და ფიორდისკენ მიაქროლებს თავის რაშს; გრძელი, მძიმე გზა უდევს წინ. ამ ოთახში შეიძლება იმოგზაურო შორეულ ქვეყნებში, თუ წესებს დაიცავ. ეს წესები კი პატარა ნონის მეტმა არავინ იცის. საწოლის კიდეები—მთის ხეობების სახიფათო ბილიკებია, რა განსაცდელი არ უდარაჯებს იქ ადამიანს, ნამქერი, მოჩვენებები, ზოგჯერ ნონის შემოაღამდება, გზაზე უხდება ღამის გათევა (სარკმელთან, მაგიდის ქვეშ). გაზაფხულზე, როცა თოვლი დნობას იწყებს, დედაც მოიხედავს ხოლმე და ნონის თვალწინ მხოლოდ მაშინ იშ-

ლება ნამდვილი სივრცე, ოთახში წარმოდგენით შექმნილი სივრცე კი ქრება. ისე მაცთურია ამ ოთახის სივრცე, რომ ხელის გულის ოდენა პატარა მანძილიც კი—ნონის „ბოსლიდან“ კიბის თავამდე—უკიდეგანო მიდამოდ იქცევა, ნონის უჭირს კიდეც ამ მანძილის გადალახვა.

აი, ნონი უკვე ქალაქშია, ელაპარაკება ექიმსა და ვაჭარს, ფუთობით ყიდულობს ქიშმიშს,—მის ოჯახში ხომ მარტო ტკბილეულით იკვებებიან: კასრები და ყუთები სავსეა ქიშმიშით, ტომრები შაქარითაა გატენილი. ექიმს წამლებით სავსე ხუთასამდე ბოთლი უდგას სახლში, თითქმის იმდენი ბოთლი, რამდენი ცხვარიც ჰყავს უტირედსმირელ მამასახლისს. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ბიჭი ერთ წვეთ წამალსაც არ ყიდულობს, ჰოდა, მაშასადამე, თავის მამასავით არ ჰპირდება ექიმს, რომ ხმას მისცემს ალთინგის არჩევნებში, მისგან მიღებული შინაური წამლების სამადლობელოდ. ნონის ამ ექიმის წამალზე საზიზღარი და მწარე ჯერ არაფერი უგემნია... ეჭვმაც კი გაჰკრა გულში, იქნებ სწორედ ეს წამლები უშლის ხელს დედას გამოჯანმრთელებაშიო. ვინ იცის, მამა სწორედ იმიტომ ზიდავს წამლებს, რომ დედას ბოლო მოუღოს, ნეტა პირი ხომ არ შეუკრავს ექიმთან? ნონი ვერ იტანს ექიმს და ალთინგის არჩევნებში არასოდეს ხმას არ მისცემს. ექიმი ბრაზობს, ემუქრება ნონის, მოსამართლესთან გიჩივლებო, მაგრამ ნონის სულაც არ ეშინია მისი, იგი ექიმს პირდება ბებერ ძაღლს გაჩუქებო, ძაღლი პატარა კენჭია. გამწარებული ექიმი ილანძღება.

— რა მოხდა, რა ამბავში ხარ, ღვერთო ძლიერო, ეს რა ხმაური ასტეხე?— ეკითხება ბებია.

ბიჭი ერთბაშად როდი პასუხობს. ის სამყარო, საიდანაც ბებია მოვიდა, სულ სხვანაირადაა მოწყობილი: იქ სხვა ადათ-წესებია გამეფებული, მანძილიც სულ სხვანაირია. ბებია ტუქსავს, ეს იმის ნიშანია, რომ ჩრდილოეთიდან ქარბუქი მოისწრაფვის.

— თუ იქამდე მიხვედი, რომ საკუთარ თავს ეჩხუბები, ქამრით მომიწეეს შენი მორჯულება!

— ბები, შენ სულაც არა ხარ აქ. შენ ქარბუქი ხარ, მე კი გზაში ვარ.

— მთლად გადაირიე, ბიჭო, არა გრცხვენია? — ეუბნება ბებია,—ამოდენა ვაჟკაცი ხარ, დღისით-მზისით სისულელეებით ირთობ თავს, ქსოვა კი ვერ იქნა და ვერ ისწავლე.

ბიჭი საუბარს წყვეტს წარჩინებულ მამაკაცთან და ამბობს:

— ოი, ოი, ოი, რას გეუბნებოდით? ხედავთ, ქარაშოტი დაგვადევნა.

ნონი აჩქარებით ემშვიდობება წარჩინებულ მამაკაცს და ელვის სისწრაფით მიაგელვებს რაშს შინისაკენ, დაკლაკნილ ბილიკებზე, ოთახს რომ სერავს ყოველი მიმართულებით. მაგრამ აი, შუაგზაზე წამოეწია ბებია — ესე იგი ქა-

რბუქი, უცებ რომ დააცხრა უშენს. ნონი იყინება და თამაში მთავრდება. ბებია საწოლზე სვამს ბიჭს, ხელში საქსოვს მიაჩეჩებს. ნონი უხალისოდ გადაიხვევს თითზე ძაფს და ქსოვას იწყებს. მთელი კვირაა რაც ხამლის ერთ საფენს ჩაჭ-კირკიტებს და ჯერ ნახევარიც არ მოუქსოვია. თითქოს არაფერი არ იძვრის ადგილიდან, ჭიანურდება და ჭიანურდება, დასასრული არ უჩანს არც საქსოვს, არც დღეს, არც ცხოვრებას მამის სახლში, ასეთი ფიქრებისაგან ბიჭს ძილი ერევა, ახსენდება, რომ ქარბუქში მოხვდნენ და გზაზე გაიყინა.

— ბები, მე მოჩვენება ვარ, — ეუბნება ბიჭი ბებიას.

— შენ, პატარა ცუღლუტო, დღეს ჭგონი კარგი ფსალმუნი არ მოგისმენია.

ჰო, მართლა, ახლაღა გაახსენდა, რომ დღეს ფსალმუნი არ მოუსმენია. რა ვუყოთ მერე. ეს არც ისე დიდი უბედურებაა, ამაზე უარესიც შეიძლებოდა დაძართნოდა. ბებიამისი ხშირად ისე ერთობოდა „კარგი ფსალმუნით", ისე თავდავიწყებით გალობდა, რომ ქვეყნად ყველაფერი ავიწყდებოდა და ცუდი ნაქსოვის გამო აღარ ტუქსავდა პატარა ნონის. ხანდახან, როცა ბებია განსაკუთ-რებით კარგ ფსალმუნს გალობდა, ნონის ჩაეძინებოდა ხოლმე:

In dulci jubilo
დაე ხარობდეს გული
Impre saepio
ღმერთს ადიდებდეს სული.
დედაღვთისა gremio
Alfa hesido!
Alfa hesido!

ღმერთო, მამაო ჩვენო, parvuli,
ღმერთო მოგვხედე ღვთით,
O pura oftime,
შენი შვილები ვართ.
Prinsinn glorii,
გვატარე შენი გზით!
გვატარე შენი გზით!
O Peturs karitas!
O Cari Penitas!
მარადიული წამებით
Per nostra crimina
ალბათ არ დაგვსჯი ჩვენ,
Selorum gaudia
მოგვეც სიამის წყარო,
ვარდი, სოსანი, მზე!

სამოთხის ბაღი ვრცელი
მხოლოდ ღვთის მსახურთ ელის,

ანგელოსების გუნდი kantica
ტკბილ საგალობელს მღერის.
შვება, სიამე სრული
გულს ნეტარებად უვლის.
დაე, ხარობდეს სული!
დაე, ხარობდეს სული!*

დიდხანს გრძელდებოდა ეს. ფსალმუნები არასოდეს ისე გაჭიანურებული არ ეჩვენება ადამიანს, როგორც ბავშვობისას, რადგან ამ საგალობელთა ენა უცხოა ბავშვისთვის, მის გულს არ ეხმიანება. სიბერეში კი, პირიქით, ფსალმუნების გალობაში დრო ძალზე სწრაფად გადის. ამ წმიდათა წმიდა, უძველეს, შიგადაშიგ ლათინურ გამოთქმებით აჭრელებულ ფსალმუნებში ბებიას მეორე სამყარო იმალებოდა და გალობდა დიდხანს. თავდავიწყებით, გალობდა, ვიდრე ოთახის დაბალი ჭერი არ შეერწყმოდა მარადისობის ჰორიზონტს, ძაფი წყდებოდა, ჯარა ჩერდებოდა, ხელები მუხლებზე ეშვებოდა და გალობაც მთავრდებოდა. ამ საგალობლის გამოძახილი ჯერ კიდევ ყღერდა მოხუცის სულში, მის ბაგეზე, როცა გაწყვეტილი ძაფის ძებნას იწყებდა, იპოვიდა, დანერწყვავდა, გაუყრიდა ნახვრეტში და ნონის აღვიძებდა.

— განა ასე შეიძლება ქსოვა? — ტუქსავდა მოხუცი ბიჭს. — სირცხვილია, გუშინ იმსიფართე თვლები ამოგყავდა, გეგონებათ, სათევზაო ბადეს ქსოვო, დღეს კი ისეთ მჭიდრო თვლებს აკეთებ. ნემსიც ვერ გაეტევა შიგ. ჩვენ უკვე მეოთხე საფენსა ვქსოვთ, შენ კი საშველი არ დაგადგა, ერთიც ვერ მოგითავებია. აბა, ორჯერ გადაიხვიე ძაფი თითზე, შე ჩურჩუტო, შენა, თორემ დაგირღვევ და თავიდან დაგაწყებინებ ქსოვას.

არა, ასე აღარ შეიძლება, რაღაც უნდა იღონოს ნონიმ, როგორმე უნდა აიცდინოს თავიდან ბებიას წყრომა, მაგრამ ისე, რომ ვერაფერს მიუხვდეს. ბევრნაირი ფანდის მოგონება შეუძლია. მაგალითად, სთხოვს, კარგი ფსალმუნი იგალობე ან საგა მიამბეო, მაგრამ ის უფრო გასჭრის, ყურადღებას სხვა რამ უფრო დიდ დანაშაულზე თუ გადაატანინებს. აჰა, დღეს ბედმა გაუღიმა ნონის. აგერ, აუსტა კედელს მიყრდნობია, ნიკაპი მკერდზე ჩამოვარდნია, ჩხირები მუხლებზე ჩამოცურებია, — აუსტას სძინავს.

— ბები, — ეუბნება ბიჭი აღშფოთებით, — შეხედე, აუსტას ჩასძინებია.

ამრიგად გადაატანინა გულისყური ძილისგუდა აუსტა სოულილიაზე. არა, ამ გოგოს ტანიც რომ რაღაც უცნაური აქვს, მოუთავებელი.

— ეს რასა ჰგავს, ეს რა უმსგავსობაა, — ცხარობს ბებია.

---

* ეს ფსალმუნი ავტორს აღებული აქვს ისლანდიური 1747 წ. ლოცვანიდან. მოყვანილ ტექსტში ლათინური უაზრობამდეა დამახინჯებული.

მაგრამ როცა ჩვეულებრივი ქოთქოთით გააღვიძეს აუსტა, ყველაფერი თავიდან დაიწყო.

დღე თითქოს გაჩერდა, ერთი მტკაველითაც არ წაუწევია. დედა ისევ ისე შესაბრალისად კვნესის, როგორც უწინ.

ბორბალი კვლავ დატრიალდა და ბიჭს გაახსენდა, რომ დიდი ხანია მოჩვენებად იქცა.

— მოჩვენებები... — დაიწყო ბიჭმა, — რაც უნდათ, იმას აიღებენ. ხომ მართალია?

— ეგ რა სისულელეა!

— მათ ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, რასაც მოიწადინებენ!

— ქსოვე. ქსოვე!

— ბები, მიამბე საგა მოჩვენებებზე?

— ვითომ რისთვის?

— ერთ მოჩვენებაზე მაინც მიამბე რა, ბებიკო!

— აბა, მე რისი მოყოლა შემიძლია. დავბერდი, ცალი ფეხი სამარეში მიდგას, მეხსიერებაც მღალატობს.

ცოტა ხნის შემდეგ ბებია აბუტბუტდა. ეს ქარიშხლის პირველ შემოქროლვას ჰგავდა, მერე რომ თანდათან ძლიერდება. მისი ზღაპრები სულ ერთი ყაიდისაა. შიმშილობის წლებში, ვულკანის ამოხეთქვის მერე,* ხალხი ტყავსა ჭამდა, ისე დასუსტდნენ, ისე გაილივნენ, რომ კბენარი შიგ სხეულში ეჭდობოდათ. ბებიამისს კარგად ახსოვს ის საშინელი დრო. ერთხელ ფრანგების სანდალი, — ეს სამხრეთში მოხდა, — ქარიშხალმა ქვიშოვან ნაპირს მიახეთქა და დაამსხვრია. მთელი ეკიპაჟი დაიღუპა მეჩეჩზე. ტალღებმა ნაპირზე ბევრი რამ გამორიყა და ყველაფერი ერთმა მდიდარმა გლეხმა მოიპარა, მათ შორის ფულით სავსე ყუთი და კასრით ღვინო. სანდალის კაპიტანი და მზარეული მოჩვენებებად იქცნენ. მას მერე სდევნიან იმ გლეხსა და მის ჩამომავლებს, თვით მეცხრე თაობამდე. ახლაც ეცხადებიან გლეხის შვილიშვილებსა და შვილიშვილის შვილებს. ამაზე ლეგენდა არსებობს. ორი ძმა ქალაქს წავიდა, ერთი იმ დილითვე გამობრუნდა უკან, მეორე კი მეორე დღეს გაუდგა გზას შინისაკენ. ერთი მთა ჰქონდათ გადასასვლელი, წინ გრძელი გზა ედოთ. ამ დროს საშინელი ქარბუქი აშოვარდა, დაწინაურებულმა ძმამ მთის ქოხს მიატანა და თავი შეაფარა. იმ ადგილებში კი ავი სულები ბუდობდნენ. ჰოდა ღამით მიადგა იმ ქოხს მოჩვენება, ხან ‘ეედელზე მიუკაკუნა მგზავრს, ხან სახურავზე აძვრა. ქოხში იატაკი ქვით იყო მოგებული, ჭაბუკმა აჰყარა ქვა, მიაწყო კარზე, ჩახერგა,

* ნაგულისხმევია ვულკან ჰეკლას ამოხეთქვა — 1845 წ., რომელიც 15 თვე გაგრძელდა.

გაამაგრა. მოჩვენებამ საზარელი ყვირილი ატეხა, ჭაბუკმა უფრო მეტი ქვა მიხერგა კართან, მოჩვენებას შეუკურთხა, ჯანდაბამდის გზა გქონიაო.

დილით ქარბუქი ჩადგა, მაგრამ საშინლად ყინავდა. ჭაბუკმა ქვები განზე გადააწყო, კარი გააღო და პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა მკვდარი ძმა, გაყინულიყო ის საწყალი. მკვდარი ჭაბუკი მოჩვენებად იქცა, ღამღამობით ეცხადებოდა უფროს ძმას. უკიდეგანო სივრცეებში ამართული ნამქერის უძირო მთები, სახიფათო უფსკრულები, სადაც ადვილია გადაჩეხვა, გაყინული მდინარეები, კინულჭრილები, სადაც ხალხი ვარდება, და ყინულქვეშა მდინარე მათ პირდაპირ ზღვაში მიიქანებს. ჰოდა, მთელი ეს დაღუპული ხალხი მოჩვენებად გადაიქცევა ხოლმე, დაძრწიან, ფანჯრებზე უკაკუნებენ ცოცხლებს, ლექსებს ამბობენ, კლდის ძირას უსაფრდებიან და თავს ესხმიან ხალხს, ანგრევენ სახლებს, ემუქრებიან შინ მარტო დარჩენილ ქალებს. ამბობენ ეშმა კოლუმკილი უკვდავიაო. ალქაჯი გუნვერი ხომ ამ ხუტორში ცხოვრობდა, კოლუმკილთან პირი ჰქონდა შეკრული, მისი ამფსონი იყო, ერთად ხოცავდნენ ხალხს. ათას ამბებს ჰყვებიან გუნვერზე, თუ როგორ გაჰკვეთეს ოთხად რედსმირის საყდრის წინ და დაფლითეს. არც ერთი ღვთისმოსავი კაცი არ უნდა გაეკაროს გუნვერის საფლავს: „იმან მომტეხა ფეხი, თეძო და ხელის მტევანი“. კოლუმკილი ამბობს:

სადაც გუნვერია—იქ სისხლის ღვარია,
გუნვერთან ვერავის ვერ გაუხარია, —
იძინე, იძინე ბალღო.

უცებ ბიარტურმა საძვრომში ამოჰყო თავი და დაიძახა:

— ჰალბერა, ცეცხლზე წყალი დაადგი, სტუმრები მოდიან.

მოხუცს სიტყვა პირში გაუწყდა, ჯარა განზე გასწია და გუნებაწამხდარმა ჩაილაპარაკა:

— განა არა, ვიცოდი, ამ დილიდანვე ბევრი ცუდი ნიშანი გამოჩნდა. ნეტა რას აუღიათ თავი და დაეხეტებიან მთელ ოლქში!

— სოფლა, იქნებ შენ გააკეთო მაჭკატები, ყავაც მაგარი მოხარშე. ვინც აქეთ მოდის, ის ტყუილუბრალოდ არ გაირჯებოდა. აბა, მარდად, გაინძერი.

ცოტა ხნის შემდეგ საძვრომის ხვრელში გამოჩნდა მამასახლისის თავი, ხშირი, საფეთქლებთან შეეერცხლილი თმით მოჩარჩოებული სახის წვრილი, სწორი ნაკვთები. საცხენოსნო სქელ ქურთუკში იყო გამოწყობილი, გრძელყელიანი წინდები ეცვა და სელაპის ტყავის ჩექმები. ხელში კი ვერცხლის სამი პრიალა რგოლით მორთული შოლტი ეჭირა.

ერთი მოჯამაგირის თანხლებით ქალაქს მიდიოდა თურმე და გზად ბიარ-

ტურთან შემოიარა. მიესალმა მასპინძელს, ჩვეულებისამებრ, ორი თითი გაუწოდა და ულვაშში რაღაც ჩაიდუდუნა. აუსტამ სტუმარს ბიჭების საწოლზე მოუცალა ადგილი, ბიარტური ცოლის გვერდით ჩამოჯდა თავის ქვეშაგებზე. ოთახში მაჭკატის სუნი დადგა.

— ასე, ასე, ბერიკაცო იოუნ,— უთხრა ბიარტურმა თანავრძნობით. — ალბათ, გზების შესამოწმებლად გაირჯებოდი.

— გზები კარგია, რა შემოწმება უნდა, — უპასუხა მამასახლისმა ძილმორეული ხმით, ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, დაამთქნარა და ოთახს თვალი მიმოავლო.

— ოჰო! ის დროც მახსოვს, როცა ამბობდი, დიდ თოვლში ჭაობები ცხენისთვის სახიფათოაო, — უთხრა ბიარტურმა. ის ხომ ერთ სიტყვას არ შეარჩენდა მამასახლისს, — განსაკუთრებით მაშინ, როცა ცხენს მე გთხოვდი. რასაკვირველია, პატრონმა უკეთ იცის, რისი ძალა შესწევს მის ცხენებს.

— არც ისე ხშირად დავდივარ უშენში უმიზნოდ, საკუთარი სიამოვნებისათვის, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაურთო მამასახლისმა. — გარდა ამისა, ცხენები ხომ ჩემია?

ამ გადაკრულ სიტყვებზე ბიარტურმა უპასუხა, რომ მდიდრებსაც და ღარიბებსაც რაღაც მიზანი აქვთ, ქალაქს მიდიან თუ უშენში, მაგრამ ბიარტურმა მაინც უნდა თქვას, რომ უკანასკნელ ხანებში უშენში თოვლი არ აკლიათ. „თქვენთან როგორღაა საქმე, ბარში?“

იმაზე მეტი თოვლი არც ჩვენთანაა, რამდენიც უნდა იყოს ზამთარშიო, მიუგო მამასახლისმა და ვერცხლის სათუთუნე ამოიღო, თითით მოზომა დასაღეში თამბაქო, ჩაკბიჩა, დანარჩენი საგულდაგულოდ ჩაჭუჭკა სათუთუნეში და თავი დაახურა. მერე საწოლზე ღრმად დაჯდა, ეტყობა, კბენარის ზიზღი არა ჰქონდა.

— კარგი, კარგი, ბერიკაცო, — შემრიგებლური კილოთი უპასუხა ბიარტურმა, — ასე იყოს. რა ისმის თქვენთან ახალი?

მამასახლისმა უპასუხა, რომ მის ოჯახში ყველაფერი ძველებურადაა, რაც შეეხება სხვებს, იმათზე არაფერი იცის.

— ჭიაზე რას ამბობენ, ან ფაღარათი ხომ არ გაუჩნდა ცხვარს?

— ჩემ ცხვარს? — ჰკითხა მამასახლისმა.

— რამდენადაც გიცნობ, პირველ რიგში შენ მუდამ საკუთარ თავზე ლაპარაკობ.

— სულ ერთი არ არის, მოერევა ცხვარს ჭია თუ არა, როცა ფასები ასე დაეცა? ეს საცოდავი ცხვარი უკვე მძიმე ტვირთად გაგვიხდა ყველას.

ბიარტურმა თავს ნება მისცა და თქვა, მდიდრები მუდამ ცბიერობენ, როცა თავის ცხვარზე ლაპარაკობენო.

— რაც გინდა, ის იფიქრე, — მოუჭრა მამასახლისმა.

— განკარგულება თუ გაეცი, რომ საძოვრებზე თოვლი გადაწმინდონ?

— თივა ჯერ საკმარისი მაქვს, — უპასუხა მამასახლისმა.

— არც მე გამომლევია.

მამასახლისი საწოლზე გადაითხლაშა, გაცხარებით ღეჭავდა თამბაქოს, პირი ნერწყვით აევსო, ლაპარაკს უშლიდა და მოკლედ .პასუხობდა ბიარტურს, ნახევრად მილულულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ბოლოს ქურასთან მოფუსფუსე აუსტა სოულილიაზე შეაჩერა მზერა და კრიჭაშეკრულმა უთხრა ბიარტურს:

— იყო დრო, შენც თხოვდი სხვებს დახმარებას, როცა აუცილებელი რამ გაკლდა.

— ამაში კი სულ შენი ცოლია დამნაშავე, არაფრით არ მართმევდა ფულს. იმ ორიოდ წვეთ რძეში, ჩემი ბავშვებისათვის რომ მჭირდებოდა, როცა პატარები იყვნენ. რაც შეეხება მიწას, შემოსატანს დროზე გიხდი და შენი ერთი გროშიც არა მმართებს. ეს ღმერთმაც იცის და ხალხმაც, თუმცა თორმეტი წელიწადი უკვე შევწირე ამას.

— როგორც ჩანს, მიწა არ გყოფნის.

— საიდან ჩანს ეგ?

— შორს წასვლა არ გვჭირდება, ჯერ კიდევ გუშინ მოხვედი ჩვენთან, ზურგზე რაღაც ტვირთწამოკიდებული. თუ არა ვცდები—ეს უკვე მეოთხედ. ვერ გამიგია, რისთვის იყიდე ჩემგან ეს მიწა, თუკი მთელი ჩემი სასაფლაოს დაკავება გადაგიწყვეტია?

— იქნებ თქვენ თქვენს რედსმირში მოერიეთ სიკვდილს?

ამ დაცინვაზე მამასახლისს არაფერი უპასუხნია.

— რა ვუთხრა, ქალაქში რომ მოსამართლე შემხვდეს?

— უთხარი, რომ მისი ცხვარი, რომელიც შარშან, ივანობა დღეს ამოვათრიე ჭაობიდან, ქეციანი იყო.

მამასახლისმა ისევ გამწარებით აამუშავა ყბები, პირში დაგუბებული ნერწყვი ერთბაშად ისე გადმოაპურკყა, რომ ზედ ბიარტურის ფეხებთან დაეცა.

— რამდენი წლისაა ეს გოგო? — ჰკითხა ბიარტურს, თან თვალს არ აშორებდა აუსტას.

— მეთოთხმეტე წელში გადადგა. მგონი იმაზე ცოტა ადრე გაჩნდა, როცა ამ მიწის პირველი შემოსატანი გადაგიხადე.

— შენგან არ მიკვირს ასეთი რამ. კაცი თოთხმეტი წელიწადია მეურნეობას ეწევი ხუტორში და ამდენ ხანს ძროხა ვერ გაიჩინე.

— ამ ერთი მტკაველი მიწის სასყიდლად აღებული ვალის დარდი რომ არ მაწუხებდეს, რასაკვირველია, ვიყიდდი ძროხას, მოჯამაგირესაც ავიყვანდი. მაგრამ მე მთელი სიცოცხლე იმას გავიძახი, რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქონელზე ძვირფასია ადამიანისათვის, ასეთი რწმენა მაქვს: ჰოდა, ახალი ვალის აღება ძროხის სასყიდლად ჯერ არა ღირს.

მამასახლისი აქშინდა.

— რა ჰქვია ამ გოგონას?

— აუსტა სოულილია.

— ეგ რაღას ნიშნავს?

— ეს იმას ნიშნავს, ბერიკაცო, რომ ვიდრე მე ცოცხალი ვარ და ამ ხუტორში ვცხოვრობ, ეგ ბავშვი სხვაზე არ იქნება დამოკიდებული არც სულით, არც ხორცით. ჰოდა, მოდი ამაზე ლაპარაკს მოვეშვათ.

მაგრამ მამასახლისი ბიარტურის დამოუკიდებლობას უსაზღვრო ზიზღით უყურებდა.

— იქნებ ამ ზამთარს ჩვენთან გამოუშვა. შენც კარგად იცი, რომ ჩემი ცოლი დიდი ხალისით ასწავლის ბავშვებს წერა-კითხვას და სხვა ყველაფერს, რაც საჭიროა. ერთი თვე მაინც ვაჭმევთ ჩვენთან.

— ზაფხულის სავანეში საჭმელი საკმაო გვაქვს. რაც შეეხება იმ სისულელეებს, რასაც რედსმირში ასწავლით, იქნებ სასარგებლოც იყოს, მაგრამ მარტო იმ ბავშვებისთვის, რომლებიც საკუთარ შვილებად მიგაჩნიათ.

მამასახლისი წინ გადაიხარა, ძილმორეული სახით ისევ გადმოაპურჭყა იატაკზე, მთქნარება შეიკავა, შუბლსა და ლოყებზე ხელი მოისვა.

— მე ჩემ შვილებს ვუვლი, შენ—შენებს,—თქვა ბიარტურმა. იქით არც გაუხედავს, საითაც გადააპურჭყა მამასახლისმა.

— შენი ცოლი სულ ავადმყოფობს, — თქვა მამასახლისმა, — რამდენი დაგეხარჯა წამლებში ამ ზამთარს?

— ეგ სულ სხვა საქმეა. იმის უარყოფას არ ვაპირებ, რომ ქალები არ გამომადგა. როგორც პირველს, ისე მეორეს გულის დაავადება აღმოაჩნდა. ასეთი არის, ალბათ, ნება ღვთისა, ან ბედი მდევნის, მაგრამ ეს არავის არ ეხება.

მამასახლისს გული არ მოსდიოდა ხოლმე ბიარტურის მკვახე პასუხებზე, ძოსწონდა კიდეც ასეთი კილო, ახლაც, ვითომც აქ არაფერიაო, ტანის ქექვა დაიწყო, მგონი, მკბენარი არ ასვენებდა, მერე ისე თქვა, თითქოს არავის არ მიმართავსო:

— ასეთ საქმეებში არ ვერევი, მაგრამ ჩემი ცოლი სულ სხვა აზრისაა: ბავშვებმა წერა-კითხვა უნდა ისწავლონო, ამბობს. აკი კანონიც გამოვიდა ჩვენთან საეალდებულო სწავლების თაობაზე. ყველამ იცის ჩემი აზრი ამაზე. მთე-

ლი ეს დავიდარაბა, რაც წერა-კითხვის სწავლაზე ატეხეს, უბრალო ხალხისთვის შეჩვენებაა და მეტი არაფერი.

– უბრალო ხალხს უბრალო ხალხმა უნდა ასწავლოს, მდიდრებს კი მდიდრებმა. ასე გადაეცი ფრუს, სალმის ნაცვლად ჩემგან.

— ხალხის სწავლება მე არავითარ სარგებლობას არ მომიტანს, მაგრამ სამხრეთში ამას მოითხოვენ. ჰო, კიდევ რა მიხდოდა მეთქვა. ჩვენი ქალები პირდაპირ გადაირივნენ იმაზე, რომ შენ უსათუოდ უნდა გაიჩინო ძროხა.

— ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარ.

— რა ვუპასუხო, თუკი მოსამართლე ამ საქმეში ჩარევას ინებებს?

— მოახსენე მოსამართლეს, რომ ჩვენ, უშენის მკვიდრნი, დამოუკიდებელი ხალხი ვართ.

— დიახ, და საკუთარი ხელით ითხრით სამარეს, — ჩაიფრუტუნა მამასახლისმა.

და ვიდრე ბიარტური საკადრის პასუხს გასცემდა, ქურის მხრიდან ჩახლეჩილი, ხრინწიანი ხმა გაისმა:

— მართალსა ბრძანებს მამასახლისი, ასეთ სიცოცხლეს განა სიცოცხლე ქვია? ორმოცი წელიწადი გავატარე ურდარსელში და ერთი დღე არ ვყოფილვარ უძროხოდ, უფლისთვის სხვა სათხოვარი არც არა მქონდა რა.

— ყური მიგდე, — ისე წამოიწყო მამასახლისმა, თითქოს შემთხვევით გაახსენდაო რაღაც, — შემიძლია მოგყიდო ძროხა, შვიდი წლისაა, გაზაფხულზე მოიგებს. ძროხა კარგია. მართალია, რძეს მაინცდამაინც ბევრს არ იძლევა, მაგრამ დიდხანს იწველება ხოლმე.

— „ისევ იწყება ხრიკები“, — გაიფიქრა ბიარტურმა. დიდი ხანია შესწავლილი ჰყავს მამასახლისი, პირველად კი არ ეკამათებოდა. ამ კაცის დაჯერება იგივე იყო, რომ კედლისთვის თავი გეხალა. საშინელი თავკერძა გახლდათ, მოკვდებოდა და განზრახვაზე ხელს არ აიღებდა. რედსმირელ მამასახლისს ჩვევად ჰქონდა, სათქმელს მუდამ იქიდან იწყებდა. სადაც შეჩერდა. ძნელია იმის თქმა, აბრაზებდა ბიარტურს მამასახლისის ეს თვისება, თუ აღტაცებაში მოჰყავდა. მაგრამ ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რომ ბიარტურმა პასუხზე თავი შეიკავა.

მისმა სნეულმა ცოლმა წამოწევა სცადა, ნიდაყვზე დაეყრდნო და მოკრძალებით დაიჩურჩულა:

— ღმერთმა ქნას, — და ისევ ბალიშზე მიესვენა.

ქალი რომ გაჩუმდა, ბიარტურმა მამასახლისს უპასუხა:

— შარშან ან შარშანწინ ხომ არც კი გაიფიქრებდი ჩემთვის ძროხის შემოთავაზებას? მაშინ ჯერ კიდევ არ იყავი დარწმუნებული, დროზე გადაგიხდიდი თუ არა უკანასკნელ შემოსატანს.

— თავაც შემიძლია მოგცე, — განაგრძო მამასახლისმა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, — გაისმა კვლავ ბიარტურის ცოლის ჩურჩული.

— ფინსენისგან ხომ ღებულობ წამლებს? აბა, თქვი, ერთი დღე მაინც მოგკლებია წამალი? — უთხრა ბიარტურმა ცოლს.

მამასახლისის ჰომეოპათიური წამლები მთელს ოლქში იყო განთქმული. უფრო იმათ წამლობდა, ვინც მრეველის კმაყოფაზე იყო. ფინსენის ხსენებაზე, მამასახლისმა ბიარტურს სთხოვა, ნება მომეცი, დავხედო, რას უგზავნის შენ ცოლს ადგილობრივი ექიმი, ალთინგის დეპუტატი ფინსენიო. ფინამ, მისი საწოლის კუთხესთან, კედელზე დაკიდული პატარა კარადის ფარდა გადასწია და სტუმარს დაანახა თაროზე ჩამწკრივებული, ყოველგვარი ზომისა და ფერის ბოთლები. ამ ბოთლებიდან ბევრი უკვე ცარიელი იყო. მამასახლისმა რამდენიმე ბოთლი გადმოიღო, საცობი მოხადა და დაყნოსა. ბოთლებზე მიწებებულ ქაღალდზე წარწერა კაურით იყო გამოყვანილი: „გუდფინას, ტოურარის ქალიშვილს. დასალევი. მიიღეთ დღეში სამჯერ“. მამასახლისმა ზიზღით დაყნოსა რამდენიმე ბოთლი, თავის ადგილზე დადგა და თქვა:

— ხარშავს და ხარშავს თავის შხამიან ბანგს, ქოფაკი ბებრუხუნა!

ამ დროს ყავა დაასხეს და ბიარტურმა, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელს შეეფერება, მამასახლისი და მისი თანამგზავრი სუფრასთან მიიწვია, შეექეცით მაჭკატებსო, სთხოვა. მოხუცი ჰალბერა ქურასთან ფუსფუსებდა, თან რაღაცას ჩიფჩიფებდა თავისთვის. აუსტამ გაიგონა, რაც ითქვა სწავლასა და ძროხაზე, ჩაფიქრებული იჯდა, თითი პირში ჩაეყო, თან მოწიწებით შესცქეროდა, როგორ სანსლავდა მამასახლისი მის მიერ დამზადებულ მაჭკატებს. რაც უფრო ილეოდა შაქარმოყრილი მაჭკატების დიდი გროვა, მით უფრო ფართოდ აჭყეტდნენ თვალებს ბიჭები, ფერიფური მისდიოდათ, ლანგარზე უკვე გამოჩნდა ვარდებში ჩამალული სახლი და ზღაპრული ქალიშვილი. ნუთუ მათ არ დაუტოვებენ მაჭკატებს?

— ჰო, კიდევ რა მინდოდა მეთქვა, — დაიწყო მამასახლისმა, — ადვილი შესაძლებელია, ჩემი ვაჟი, ინგოულფი თქვენს ხეობას ესტუმროს თავისი საქმეებისა გამო.

— რა გაეწყობა, გზაზე არ გადავეღობები. ამბობენ, სამხრეთში დიდი კაცი გახდაო, — თქვა ბიარტურმა.

— სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულია, — დააზუსტა მამასახლისმა.

— ოჰო! ეს უკვე რაღაცას ნიშნავს.

— არ ვიცი, გაგებული გაქვს თუ არა, რომ მატყლი სამჯერ იმაზე მეტს ფა-

სობს, რამდენიც შარშან ბრუნიმ გადაგიხადათ. თუმცა, რაღა მატყლზე ვლაპარაკობ, განა ხორცის ვაჭრობით ნაკლებად მოითბო ხელი?

— რაც შემეხება მე, — უპასუხა ბიარტურმა, — ვიდრე იმის შესაძლებლობა მაქვს, რომ შენ და მედუქნეს კანონით კუთვნილი გადაგიხადოთ, ჩემთვის სულ ერთია, როგორ დაადანაშაულებთ ერთმანეთს მდიდრები, თაღლითობას დასწამებთ, ქურდობას თუ კიდევ სხვა რამეს. ასე ყოფილა პირველი ახალმოშენეების დროიდან და ასეა დღესაც.

— ლაჩრები ხართ ყველანი, ნამდვილი ლაჩრები, — წამოიძახა მამასახლისმა.—ისე ცხოვრობთ და კვდებით, იმ კაცის გწამთ, ვინც ყველაზე დაუნდობლად გყელეფავთ.

— შენზედაც ამბობენ, არც ისეთი მამა აბრამის ბატკანია, როგორც თავი მოაქვსო. ცოცხალი წონით ყიდულობს საქონელს ჩალის ფასადო. როგორც შემოდგომაზე მითხრა მედუქნემ, ხუთი-რვა კრონი მოგიგია თითო ბატკანში, სამხრეთში, ვიკში რომ გაჰყიდე. და განა მარტო ამას ამბობენ?

მამასახლისს ერთი უცნაური თვისება ჰქონდა: თუ ქურდობაში ან მკვლელობაში დასდებდნენ ბრალს, აინუნში არ ჩააგდებდა, არასოდეს არ გაცხარდებოდა, ისე იქცეოდა, თითქოს ეს ბრალდება ეამება კიდეცო, მაგრამ იმას კი ვერ იტანდა, თუ ერთ დანაშაულში—სახელდობრ, სარფიან ვაჭრობაში და ფულის ძოხვეჭაში სდებდნენ ბრალს. ასეთ ცილისწამებას ვერ იტანდა, ხელად აშოიდგამდა ენას. ახლაც ასე მოხდა, იოუნი უცებ გამოცოცხლდა, აენთო, მთელი ტანით წინ გადმოიხარა, სახე მოეღრიცა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, უწინდელი სიმშვიდის ნიშანკვალიც აღარ შერჩა და ენად გაიკრიფა.

— საბედნიეროდ, ჩემი საქმეებისა მე უკეთ მომეხსენება, ვიდრე ფიორდელ მედუქნეს. როცა გნებავთ, საბუთებით დაგიმტკიცებთ, რომ ცოცხალი ცხვრის ყიდვაში გაცილებით მეტი ზარალი ვნახე, ვიდრე მთელი ჩვენი ოლქის გლეხებს უნახავს მელიისაგან, რამდენიმე ათეული წლების მანძილზე. შენ მედუქნეს უჯერებ, რომ მე შემოდგომაზე, საკუთარი სიამოვნებისთვის ვყიდულობ ცხვარს? სინამდვილეში, თუ ჩემი სამრეველოს გლეხებისგან ვყიდულობ საქონელს, ვყიდულობ მხოლოდ მათი სიბრალულით. რა არის სიბრალული? გინდა დაეხმარო გაჭირვებაში მყოფ ადამიანს. კაცმა რომ თქვას, მე რატომ უნდა მადარდებდეს სხვისი გაჭირვება? მაგრამ არა, გული არ მითმენს, სულელივით ვეჩხირები, ოღონდ შიმშილსა და განადგურებას გადავარჩინო-მეთქი უბედური ხალხი. გავათავისუფლო ვალებისაგან, ყველაფერი კი სულ სამრეველოს გამო მომდის. ვითომ რა ხეირი მაქვს ასეთი თავგანწირვის პასუხად? გახდნენ მრეველის სარჩენი, მრეველი ოლქის სარჩენი, ოლქი კი სახელმწიფოს დააწვეს კისერზე — ეშმაკსაც წაუღია ყველა ერთად. განა მე

დავპატიჟე რომელიმე. კალთები ჩამოვახიე, გინდა თუ არა მოდით ჩემთან-მეთ-ქი? არა, მე არავის ვიწვევ, შვილოსან, ისინი კი მაინც მოდიან. ჰოდა, რა უნდა ქნას კაცმა? ერთი ხორბალსა გთხოვს, მეორე შაქარს, მესამე თივას, მეოთხე ფულს სესხულობს, მეხუთეს ბურნუთი უნდა. იქნებ მე ჩემი საყოფი საღეჭი თამბაქოც აღარ შემრჩა, ეს არავის აინტერესებს. მეექვსეს ესეც უნდა და ისიც. მეშვიდე თხოულობს, თამბაქო დამიჭერითო, თითქოს ეს ჩემი პირადი მოვალეობა იყოს. ბრუნის ჰგონია, რომ მე საჩუქრების საწყობი მაქვს და ყველას, რაც ნებავს, მუქთად შეუძლია წაღება. ჰოდა, ნება მიბოძე გკითხო, ტულინიუს იენსენი რატომ საკუთარ ქონებას ბანკად არ აქცევს და დაუბრუნებელ სესხს არ დაურიგებს ხალხს? არა, გადაეცი ჩემგან ბრუნის, რომ წლითიწლობით ჩემთან ჰოდის შისგან გატყავებული ხალხი, დედიშობილა რომ გაუშვა და საკუთარ ანგარიშში იმ საცოდავებს ერთი მუჭა ფქვილიც კი არ მისცა დამშეულ-დასუსტებული ბავშვებისთვის. ახლა თვითონ იფიქრე, რას გამოვრჩები ასეთ წყალწაღებულ ხალხს შემოდგომაზე? საცოდავ ბატკნებს, მელიის მისატყუებლადაც რომ არ ვარგიან?

ასეთი აფეთქების შემდეგ, მამასახლისმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, მოაფათურა, სათუთუნე ამოიღო, მაგრამ თამბაქოს დაღეჭვას კი არ აპირებდა. ასეთი ჩვევა ჰქონდა, როცა ვინმეს ეკამათებოდა, თამბაქოს მანამ არ მოჰკიდებდა ხელს, ვიდრე მოწინააღმდეგეს ფარ-ხმალს არ დააყრევინებდა ან ხელს არ ჩაიქნევდა, ერა ღირს შენთან ლაპარაკიო.

— დროა, დრო, — დაიწყო ისევ მამასახლისმა და სათუთუნე ჯიბეში ჩაიდო,—გამოფხიზლდნენ გლეხები, როგორც აქ, ისე სხვა ოლქებში და ვინც რამეს წარმოადგენს, მოითათბირონ ერთმანეთში, გამოარკვიონ რა არის მათთვის სასარგებლო და რა არა. მაშინ, ჩემისთანა სუსტ, პატარა სახსრებისა და დიდი პასუხისმგებლობის მქონე კაცს აღარ მოუხდება საკუთარი ოჯახის გატიალება ისეთი ხალხის გულისთვის, რომლებიც უკვე გაყვლიფა მედუქნემ და შიმშილით იხოცებიან მისი წყალობით. ამის მერე, მადლობის მაგივრად, ქურდობასაც დაგწამებენ.

— უწინ შენზე ამბობდნენ, თუ ვინმეზე ზრუნვა დაიწყო, იცოდეთ, კარგი ნიშანი არ არის, იქ საქმე სხვანაირადააო, — უთხრა ბიარტურმა.

— ერთ რამეში შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ შენი ფინასათვის გაცილებით უკეთესი წამლის დამზადება შემიძლია, ვიდრე ეგ ქაფურიანი არაყია, ფინსენისგან რომ მოგაქვს და ჭყიპავ ცოლს. ფინსენი და ტულინიუს იენსენი ერთი ჯურისანი არიან. რამდენადაც ვიცი, მაგ ძმაბიჭებმა ალთინგში ვერაფერს მიაღწიეს, გარდა იმისა, რომ ნავსადგურის აგება დაავალეს მათ სავაჭრო ხომალდებისათვის და კარგა ზორბადაც ჩასვეს ხაზინა. სუბსიდია მიიღეს ორი

ნავმისადგომის ასაგებად, მაგრამ უკან მოხედვა ვერ მოასწრეს, რომ მათი ნაცოდვილარი ნაგებობა ოკეანის ტალღებმა მილეწ-მოლეწა და გადარეცხა. ახლა მაგ ვაებატონებს მტკიცედ გადაუწყვეტიათ, კიდევ ასი ათასი კრონი გამოცინცლონ ხაზინას—მოლოს ასაგებად, რომელიც გაშლილ ზღვაში უნდა გავიდეს ვითომდა დანგრეული ნავმისადგომების ბურჯად. მერედა ვისმა კისერმა უნდა ზღოს ნაგავივით წყალში გადაყრილ ნაგებობებზე დახარჯული ეს დიდძალი თანხა? რა თქმა უნდა, ჩვენ, გლეხებმა, უამისოდაც ცოცხლად რომ გვაძრობენ ტყავს პირდაპირი თუ არაპირდაპირი გადასახადებით. დიახ, ჩვენ, ისლანდიელი გლეხები, ვაჭრების ყურმოჭრილ მონებად რომ არ გადავიქცეთ, უნდა გავერთიანდეთ ჩვენივე ინტერესების დასაცავად, ისევე, როგორც თინგეაში გააკეთეს ამ ოცდაათი წლის წინათ.

მამასახლისი წამოდგა, წელში გაიმართა, კისერზე შალი მოიხვია.

— ჰო, გოგონა, — თქვა მან და აუსტა სოულილიას გვერდით შედგა,— იმდენი სითბო იყო მის თვალებში, მისი სახის სწორ, მკაფიო ნაკვთებში ისეთი ძალა იგრძნობოდა, რომ გოგონას ალმურმა გადაუარა სახეზე,—ორი კრონი მინდა გაჩუქო. უმაწვილი ქალისთვის ცხვირსახოცის ყიდვაც კი დიდი სიხარულია,— საფულიდან ამოიღო ვერცხლის მონეტა და აუსტას გაუწოდა. გოგონას ყოველთვის ეშინოდა ამ კაცისა, განსაკუთრებით კი ამ წუთებში.

ბიჭებისთვის ერთხელაც არ შეუხედავს, ქურთუკი შეიკრა, წასასვლელად მოემზადა და თქვა:

— ძროხა ას ორმოცდაათი კრონი დაგიჯდება. თივა კი, როგორც შეეთანხმდებით.

თავი ოცდამეშვიდე

საღამო

საღამოვდება. იმ სიმღერებისა და ზღაპრების შემდეგ, დღეს რომ უამბობებიამ, ბიჭს როგორღაც გული საგულეს არა აქვს, განძრევისა ეშინია, ავი სულების შიშით იბუზება და ჩუმად ქსოვს. ბებია და აუსტა მისკენ ზურგშებრუნებული დგანან, საპასუხისმგებლო საქმით არიან გართული — კერძს ამზადებენ, თითქოს მღვდელმსახურებას ეწევიანო. ფიჩხი შიშხინებს, არ უნდა ანთება. ოთახი კვამლთ ივსება, წვავს, ყელში უხიცინებს ნონის. სწორედ ეს გახლავთ დღის პოეზია, ამ კვამლში რომ ცოცხლობს, ამ კვამლში ბიჭი ხედავს, როგორ

ათამაშებს გრიგალი თოვლის ფანტელებს, ხედავს უფსკრულებით დასერილ ხეობას და მოჩვენებებს, მოვლენილთ ჩვენდა per nostra crimina*. ეზოდან დროდადრო უფროსი ძმების ხმა ისმის, ისინი კინკლაობენ, მაგრამ ეს შვებას ვერა ჰგვრის ნონის, ბიჭს სევდა ერევა, თანდათან უფრო დაუდევრად ქსოვს, უსწორმასწორო თვლები ამოჰყავს, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითიც დაუბუქდა. ბინდბუნდში ოთახის კედლებმა თითქოს განზე გაიწია, მათ შორის უკიდეგანო სივრცე გადაიშალა და ბიჭს ეჩვენება, რომ ადამიანს არ ძალუძს ამ სივრცის გადალახვა. დედაც კი სადღაც შორსაა, შორს, მგონი, ვეღარ ეღირსება დედის მკერდში ჩაკონებას, ეშინია, რომ დედა სამუდამოდ ჩაიკარგება ბურუსის ტალღებში. განა სწორედ ამ ბურუსში არ არის ცხოვრების პოეზია, სიკვდილის პოეზია...

ვახშმობისას ბავშვები როგორღაც შებოჭილად გრძნობდნენ თავს. ოთახში სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. გასუსული ბიჭები დროდადრო თვალს გააპარებდნენ მამისკენ, მერე ერთმანეთს გადახედავდნენ. აუსტა უხალისოდ ციცქნიდა საჭმელს, მოხუცი ჰალბერა თავდახრილი რაღაცას ლუღლუღებდა. კარგად რომ დანაყრდნენ დამარილებული თევზით, კარტოფილიც მოათავეს, დილის მორჩენილ ცივ ფაფას პირი აღარავინ დააკარა. აუსტამ ჭურჭელი აალაგა, მღელვარებისაგან უფრო შესამჩნევად აელმებდა თვალს. უფროსი ბიჭები გაწიწმატებული ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს, დედაც ჩურჩულით ამშვიდებდა მათ:

— კარგით, კარგით, გეყოფათ ბავშვებო!

მოხუცმა თაროდან საქსოვი გადმოიღო და ხმამაღლა, თითქოს შეწყვეტილ ზღაპარს აგრძელებსო, თქვა:

— იზმუვლე, იზმუვლე, ბუკოდლავ, თუკი ცოცხალი ხარ!

— რაო? — უკმაყოფილოდ ჰკითხა ბიარტურმა.

— კუდიდან ბალანი გამომაძრე და მიწაზე დადე, — ჩაიჩიფჩიფა საქსოვზე თავდახრილმა მოხუცმა და ჩამომდგარ მდუმარებაში ისე გაისმა მისი ხმა, თითქოს ყინვამ გაიჭახჭახაო.

ბიჭები წაძიძგილავდნენ.

უცებ აუსტა მამისკენ წავიდა, ხელში თეფში ეჭირა, შედგა მის წინ და უთხრა:

— მამა, სწავლა მინდა!

ყინულის ბორკილები გალღვა.

— ვიდრე პასტორთან არ დავიწყე სიარული, რიგიანად არც მე ვიცოდი

* ჩვენი დანაშაულის საზღაურად (ლათ.), აქ: ჩვენი ცოდვების.

წერა-კითხვა. მაშინლა წავიკითხე „საგა ერვარ ოდაზე“ და კათეხიზმოც დავიზეპირე, — უპასუხა ბიარტურმა ბავშვს.

— მამა, მე სწავლა მინდა,—დაჟინებით გაიმეორა გოგონამ, თავი დაღუნა, თვალი დახარა, ხმა და ბაგე უთრთოდა, ხელიც, რომელშიც თეფში ეჭირა, უძიგძიგებდა.

— კარგი, ჩემო გოგონი, როგორმე ერთად წავიკითხავთ ლექსებს ბერნოუტზე და შენ მათ დაიზეპირებ.

აუსტამ ტუჩი მოიკვნიტა და თქვა:

— ბერნოუტზე დაწერილი ლექსების სწავლა მე არ მინდა.

— უცნაურია, — თქვა ბიარტურმა, — მაშ რის სწავლა გინდა?

— საღვთო სჯულის.

— მაგას მოხუცი ჰალბერაც კარგად გასწავლის.

— არა, რედსმირში მინდა წასვლა, როგორც მამასახლისმა თქვა.

— რად გინდა იქ წასვლა?

— მინდა ღმერთზე ვიცოდე ყველაფერი.

— ასეთი სისულელეების გაგონებაც კი არ მინდა, — უპასუხა ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა.

— მე მაინც მინდა უტირედსმირში წასვლა.

— ოჰო, აი თურმე რა ნებავს გოგონას! — თქვა ბიარტურმა. — ეს იცოდე, ჩემო კარგო, რომ უწინ მე მივყოფ ხელს რედსმირელი ბავშვების აღზრდას. ვიდრე ჩემ შვილებს მათ გავუგზავნი.

— რედსმირში მინდა...

— მე რომ მოვკვდები, მერე.

— რედსმირში... — ისევ გაიმეორა გოგონამ.

— განსვენებულ დედაშენსაც ერთი პირობა უნდოდა რედსმირში წასვლა. მაგრამ არ აჰყვა ამ სურვილს. სიკვდილი ამჯობინა და მოკვდა კიდეც: აი ის იყო ადამიანი. უტირედსმირი უტირედსმირად რჩება. თვრამეტი წელიწადი გავატარე იქ და მას მერე წელში ვეღარ გავიმართე. მალე ოცდაათი წელიწადი გახდება და დღემდე ანგარიში ვერ გამისწორებია მათთან. ახლა კი ძროხა უნდათ თავს მომახვიონ. დედაშენი აი ამ ოთახში მოკვდა, მოკვდა ისე, რომ მოწყალებისთვის ხელი არ გაუწვდია. ის დამოუკიდებელი ქალი იყო.

ცამეტი წლის შემდეგ ბიარტური თავისი გარდაცვლილი ცოლით ამაყობდა, თაყვანს სცემდა მის ხატებას, ისეთს, როგორიც ხსოვნაში ჩარჩა. მისი სუსტი მხარეები კი დაივიწყა. მაგრამ როცა დაინახა, როგორ უთრთოდა მხრები მის გოგონას, ჭურჭელზე თავდახრილი გულამოსკვნით რომ ტიროდა, გაიფიქრა, ქალთა სქესი საერთოდ სუსტია, ქალს ნუგეში უნდაო. არავის მიმართ

არა გრძნობდა ისეთ სინაზეს, როგორც ამ ელამი გოგონასადმი. მან ხომ ისეთი ლამაზი სახელი დაარქვა მას. კვირა დღეს, როცა არ საქმობდა, დიდხანს, დიდხანს უყურებდა ხოლმე აუსტას, უფრთხილდებოდა, როგორც შეეძლო, ზაფხულობით, ავდარში გაცხარებული მუშაობისას, დღეში ორჯერ შინ გამოისტუმრებდა ხოლმე დასასვენებლად.—ყოველივე ამას ზედმეტი სიტყვის უთქმელად აკეთებდა. აი, ახლაც შეჰპირდა, ხვალვე გასწავლი კითხვას, რომ რედსმირელებმა შარი ვერაფერში მოგვდონო. საუცხოო ლექსების შვიდი კრებული ჰქონდა;

— გაზაფხულზე კი, ვინ იცის, იქნებ სხვა წიგნიც ვიყიდოთ, სადაც ერვარ ოდას ამბავი წერია და ცხვირსახოციც...

დუმილი.

— გოგონა, სჯობს ეგ ვერცხლის მონეტა მე მომცე. ეგ იუდას ვერცხლია.

პასუხი არც ახლა აღირსეს.

— ამ ჩვენ სკივრში, ვინ იცის, იქნებ შენთვის ლამაზი კაბაც ვიპოვოთ. ჰო... ჩემ საგარეო ქურთუკშია გახვეული. ოღონდ გაზაფხულამდე ცოტა უნდა გაიზარდო, რომ კაბა გამოგადგეს!

— იზმუვლე, იზმუვლე, ბუკოდლავ! — ჩაიფიჩფიჩა ჯარაზე დახრილმა მოხუცმა. ტუჩით მიწვდა ნახვრეტში გამოყოფილ ძაფის წვერს და მოსწია.

— ჰალბერა, ბავშვებთან ასეთი სისულელეები მეორედ აღარ წამოგცდეს. იცოდე, გიკრძალავ-მეთქი ამას, — შეუწყრა მოხუცს ბიარტური.

— კუდიდან ბალანი გამომაძრე და მიწაზე დადე!

აუსტას ცრემლი ღვარად გადმოსდიოდა თვალებიდან.

— რაკი ამხელა გოგო გახდი, მე მგონია, დროა უკვე ცხვარი გაჩუქო. მოყვითალო-მოყავისფრო ძალზე ლამაზი ცხვარი მყავს, ცოტა შენა გგავს.

როგორღაც დარცხვენით შეჰყურებდა ბიარტური გოგონას მოხდენილ კენარ ტანს. ამ დათოვლილ ხეობაში გოგონასაც ჰქონდა თავისი ოცნება, ასე გულსაკლავად რომ ტიროდა ახლა. ბიარტური მივიდა მასთან, ნაზ ყვავილს თავზე ხელი გადაუსვა.

— გაზაფხულზე ქალაქში წაგიყვან. იქ წასვლა რედსმირში წასვლას ათასჯერ სჯობია. ზღვას ნახავ, ზღვასთან ერთად ქვეყანას ნახავ.

და როცა მამამ ხელი შეახო, გოგონა უცებ დამშვიდდა, გადაავიწყდა თავისი ნაღველი. მამა ისე იშვიათად ეფერებოდა... მიეკრო მამას და იგრძნო, რომ ქვეყნად მასზე ძლიერი არავინ იყო. მამის ყელზე, საყელოსა და წვერს შუა, ერთი საუცხოო ადგილი იცოდა, გოგონა ტირილით ათრთოლებული ტუჩებით მიეტანა იმ ადგილს და იპოვა... ასე ანაზდად ქრება ზოგჯერ ცხოვრებისეული ჭირ-ვარამი. ბინდში წამი გაიელვებს—და ყველაფერი დამთავრებულია.

აანთეს ლამპა.

დათოვლილ უდაბნოში ჩაკარგული, პატარა, გაჭირვებული ოჯახის ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. ბიარტურმა ახალი ბაგისთვის ფიცრის გაშალაშინება დაიწყო, ხავსისა და ბურბუშელას ნამცეცები მოედო წვერში, მუშაობდა, თან დროდადრო რომელიმე ლექსის ნაწყვეტს ჩაიღიღინებდა. უფროსი ბიჭები მატყლს ჩეჩდნენ, ერთმანეთს სულ არ ჰგვანდნენ. უფროსს, თმახუჭუჭა, გრძელხელება ბიჭს, მძიმე ხასიათი ჰქონდა, გულჩათხრობილი იყო. შუათანა ძმა—ჩაფსკვნილი და ფიცხი — ეს გულმართალი ადამიანის თვისებაა. უფროსი ბიჭი მამას ხშირად ეჭყანებოდა ზურგსუკან, ხან კი, როცა ფარეხში ან ეზოში მუშაობდნენ, უცებ მიატოვებდა საქმეს, ზემოთ აირბენდა, სადაც დედა იწვა, ლურსმნით ფხაჭნიდა მაგიდას და დედას სულელურად და ჯიუტად შეჰყურებდა. როცა იჯდა, ერთთავად მუხლებს ურტყამდა ერთმანეთს. შუათანა ძმას, საქმის დროს თუ ძილი მოერეოდა, თვალებს აჭყეტდა, გამოსაფხიზლებლად ხან ასანთის ღერსაც კი გაიჩხირავდა ქუთუთოს და ქუთუთოს შუა,--ეს მისი გამოგონება იყო; შრომისმოყვარე ბიჭი ქანცის გაწყვეტამდე მუშაობდა. ძმები მატყლს ჩეჩავდნენ და წარამარა მუჯლუგუნებს წაჰკრავდნენ ხოლმე ერთმანეთს, ალბათ საქმე ჩხუბით დამთავრდებოდა.

აუსტამ საქსოვს მიჰყო ხელი. ფუი, ერთი ამ კუდალას უყურეთ! მაინც რამდენი აკლია, ყოველ წვრილმანზე რომ იწირპლება. ფიქრად არავის მოუვა იმაზე ტირილი, რაზეც ეგ ამოუშვებს ხოლმე ფშრუკუნს... ეჰ, მადლი უფალს, გაჩერდა, აღარ ტირის. დედას კი გამოკეთების პირი არ უჩანს, ისევ ისეა, როგორც გუშინ და გუშინწინ იყო. იქნებ იმ წამალმა არგოს, მამასახლისი რომ შეჰპირდა მამას? — ფიქრობს პატარა ნონი.

ჯარას ზუზუნი მიარღვევს სივრცესა და დროს.

პატარა ნონი აღარ ფიქრობს საღამოზე, აღარც კი ახსოვს, თუმც უკვე მოსაღამოვდა. ხალხი და სამზარეულოს ჯამ-ჭურჭელი ნელ-ნელა ქრება სადღაც. მანძილი ოთახში იზრდება, ფართოვდება, თვალუწვდენელი სივრცე იშლება. ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფრო სულელური რამ, ვიდრე ოთახი, რომელიც ფართოვდება. ბებიის ჯარას ზუზუნი თითქოს იქვე ახლოს კი აღარ ისმის, არა, ის შორს, შორს მოქირქილე ქარია, უცნობ მთებს რომ ჩაუქროლებს ზუზუნით. ბებიის ღაწვი, ჩაჩიდან რომ მოუჩანს, ღრუბლებში იმალება. ნეტა საიდან გაჩნდა ეს ღრუბლები? სოფლა უკვე უტირედსმირშია, რომ იქ ღმერთზე გაიგოს ყველაფერი? თუ ძროხა აჩუქეს? არა, არა! ეს ძაღლია, კიბის თავთან წევს და ამთქნარებს, ტანს იფხანს, უკანა ფეხებით კედელს ფხოჭნის, მერე ბორბალივით დაეხვევა.

დედამისი—ეს მხოლოდ მოგონებაა, რომელიღაც ყურმოკრულ სიმღერა-

ზე, სიმღერაზე, მთელი ქვეყნისთვის რომ უნდა ითქვას, ეს სიმღერა იმაზეა, რომ მთელი დღე საითკენღაც მიუწევდა გული, მაგრამ ახლა აღარც კი ახსოვს, საით. ნეტავ მალე გაჩნდეს იქ! ახლოვდება დრო, როცა ყველა ოცნება აუხდება, თუმცა აქამდე ჯერ ერთი ოცნებაც არ ახდენია.

ასე დგება საღამო, ვიდრე შეამჩნევ. რომ გაჭიანურებული დღე მიიწურა. საღამოს თან მოსდევს ათასნაირი შუქჩრდილები, გამოსახულება, ისინი დნებიან, იშლებიან. ადამიანიც დნება, ის უკვე დროის მიღმაა და ჭრება სხვა გამოსახულებებთან ერთად.

ბებია უკვე ფეხსაცმელს ხდის პატარა ნონის.

თავი ოცდამერვე

ლიტერატურა

გულში ვინახავ ამოდ
ჩემი მიჯნურის სახეს,
ო, მისი მსგავსი ქვეყნად
ვერა, ვერავინ ვნახე.

თვალებს სითბო აქვთ მწველი,
ლამის გაქციონ ლხენად,
თაფლს ღვრის ნიადაგ მისი
ალერსიანი ენა.

მის ხავერდოვან ლაწვებს
მზე აელვარებს გზნებით,
შუბლს ჩანჩქერივით არხევს
ოქროცურვილი თმები.

სახეს უნაზესს მარად
ისევ ვიხსენებ თრთოლვით,
სულს სიყვარულის დარად
წმინდად აცვივა თოვლი.

და ისევ მღერის გული,
ხან ცა ციმციმებს, ხან მზე,
თვალთა უცნაურ ცეცხლზე,
ლაწვთა, ბაგეთა ვარდზე.

ასე ვინახავ სულში
ჩემი მიჯნურის სახეს,
ო, მისი მსგავსი ქვეყნად
ვერა, ვერავინ ვნახე.

ვით გაზაფხულის ია
დასკნა და გაჰქრა ერთობ,
სდეინზე ძვირფასს ქვეყნად
ვერსად ვიპოვი, ღმერთო.

აუსტა სოულილიას სწავლა იომსის ვიკინგებზე დაწერილი საგიდან ამოღებული ამ სამიჯნურო სიმღერით დაიწყო. გოგონა დამარცვლით კითხულობდა, როცა პირველი სტროფი დაძლია, ბიარტური სკამის ზურგს მიეყრდნო, თვალები მილულა და იმღერა წაკითხული სტროფი, მერე ბავშვს აუხსნა გაუგებარი ადგილები. ყოველ წაკითხულ სტროფს აუსტა იზეპირებდა და მარტო რომ დარჩებოდა, ხმადაბლა მღეროდა.

მთელი ეს სამიჯნურო სიმღერები მიმართული იყო ერთადერთი ქალისადმი, რომელსაც როზა ერქვა. აუსტას არასოდეს არ უკითხავს, ვინ იყო ის ქალიშვილი, ვისაც პოეტმა ასეთი, როგორც მას ეჩვენებოდა, საუცხოო ლექსები უძღვნა, მაგრამ მამასთან ერთად ხედავდა იმ ქალიშვილს, მამასთან ერთად უყვარდა იგი და გულში ღრმად ჩასწვდა ლექსის გულუბრყვილო სიტყვები, ბებიის ჯარაზე პრიმიტიულად ამოჭრილ, ღვთისმოსაურ წარმონათქვამებს რომ ჰგავდა.

აუსტას საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ როგორ იქმნება და იწერება ლექსები. მამის ხმა და გარდასული საუკუნის პოეტის გულში ანთებული სიყვარული ერთმანეთს შეერწყა, შეუსისხლხორცდა, ერთ შთაბეჭდილებად იქცა. როცა გოგონა წყლით სავსე კასრში თავის გამოსახულებას აცქერდებოდა, ბავშვურად ოცნებობდა, რომ დამსგავსებოდა იმ ქალს. რომელიც აღარ იყო ამ ქვეყნად...

როცა სამიჯნურო სიმღერებიდან საგებზე გადავიდნენ, სწავლა გაუძნელდა. აქ უკვე ბიარტურის განმარტებები აღარ კმაროდა იმისათვის, რომ მოეხერხებია ზოგიერთი გასაგები ადგილების ერთმანეთთან დაკავშირება და გამოუცდელი მკითხველი დაბნეული დაბორიალობდა გაუგებარი, ძნელად გამოსათქმელი სიტყვების წყვდიადში, თითქოს ამ სიტყვებს შორის არავითარი კავშირი არ იყო. გმირები—ვიკინგები, მათი ლაშქრობა და ბრძოლები—ყველა ეს ბავშვის მწირი წარმოსახვისთვის ძნელად დასაძლევი გახლდათ, და, როცა საქმე ვიკინგების სამიჯნურო თავგადასავლებამდე მივიდა, ამ ადგილებს მამა უკვე თავისთვის კითხულობდა ჩუმად, თან იცინოდა: „ერთი ამ მუსუსებს უყურე!“ დაკეცავდა წიგნს და იტყოდა, ახალგაზრდებისთვის მავნეა და ურიგოც არის ასეთი ამბების მოსმენაო. ბოლოს, ვიკინგებმა თავის სამიჯნურო თავგადასავლებში ისე ღრმად შესტოპეს, რომ წიგნი ბიარტურმა ბოლომდე აღარ წაი-

კითხა. ახლა სხვა საგა გადმოიღო, საგა ბერნოუტზე. ეს უფრო შესაფერი საკითხავი იყო ახალგაზრდებისათვის.

— ვიკინგების სამეჯნურო ამბების წაკითხვა რატომ არ შეიძლება ჩემთვის? — ჰკითხა აუსტამ.

— ოჰო!

—მე კი ძალიან მინდა ვიცოდე ეგ ამბები!

— გრცხვენოდეს! — აენთო მამა და სილა სტკიცა აუსტას. მთელი დღე ხმა არ გაუცია მისთვის. მას შემდეგ აუსტას აღარ წამოცდენია ასეთი რამ. როცა ბერნოუტზე დაწერილ საგას კითხულობდნენ და იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც გადაცმული გმირი მოახერხებს პრინცესა ფაუსტინას განსასვენებელში შესვლას, გოგონა გაწითლდა და თავი დახარა. ბერნოუტი ამბობს:

შეფის ასულს გულს გაუხსნის
ყმა—რაინდი ბოლოს:
—თქვენი სილამაზის ტყვე ვარ,
მიმსახურეთ მხოლოდ!
ქალი მალავს, ვეღარ მალავს
გულის სურვილს ბოლოს:
—მიყვარხართ და... სხვა რა ძალმიძს,
მეყვარებით მხოლოდ!

ასე ისხდნენ პრინცესა და რაინდი მთელი ღამე, მზის ამოსვლამდე. აუსტას კრინტი არ დაუძრავს, თვალიც არ აუწევია. მაგრამ საღამოობით, ლოგინში რომ წვებოდა, საბანს თავზე წაიფარებდა თუ არა, ზაფხულის სავანის პატარა ოთახი ქრებოდა. მზეთუნახავი ფაუსტინა იჯდა თავის სამთიობოში, ფიქრობდა რაინდზე, რომელსაც უნდა დაეძლია ყველა და მის დაბრუნებას ელოდა. მოლოდინში დრო ნელა მიზოზინობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ბერნოუტს, ხელმწიფის ავი ხრიკებისგან თავდასაღწევად, კუნძულ ბორნეარხზე გაქცევა მოუხდა. მაგრამ იქაც მიწვდა მსახვრალი ხელი, ყველაზე სულმდაბალი, საზიზღარი არამზადები გაგზავნეს რაინდის მოსაკლავად. ფაუსტინა მარტო იჯდა თავის სამთიობოში, შორეულ, უცხო სანაპიროზე გადახვეწილი რაინდი კი ერკინებოდა მტრის მიერ მოგზავნილ საიდუმლო მკვლელებს, მარტო უმკლავდებოდა მათ. ერთი იბრძოდა ყველას წინააღმდეგ.

უცხო მხარეში ერთი ათასებს
ტორლეიფ გმირი ებრძოდა რისხვით...
ებრძოდა მტერს და მღეროდა კიდეც,
ცას ათრთოლებდა სიმღერა მისი.

ებრძოდა მტერს და მღეროდა გმირი,
და მის სიმღერას ქარიავით აშლილს

ზუბთა მტვრევა და ისართა მსხვრევა
ვერ დაფარავდა ხმაურით მაშინ.
ებრძოდა მტერს და მღეროდა ასე.
სისხლისღერა იყო დიდი და ხშირი...
და დადგა მერე მტრის გვამთა მთაზე
გამარჯვებული ტორლეიფ გმირი.

ეს მამა მღერის.

აუსტა საბნის ქვემოდან იჭყიტება. ყველა დაწვა უკვე, მარტო მამა ფხიზლობს, საწოლზე ჩამომჯდარა და საქმეშია გართული, სძინავს მთელ ოჯახს. ჩამიჩუმი არ ისმის, მარტო მამა მღერის. პერანგისამარაა, ჩაფსკვნილი, მხარბეჭგანიერი, მძლავრი ხელები აქვს, აჩეჩილი თმა. წარბები ისე ჩამოსწოლია თვალებზე, როგორც ფრიალო კლდე მთას. მის მკვრივ ყელზე, წვერქვეშ, რბილი ადგილია. გოგონა დიდხანს მალვით უყურებს მამას. მამაზე ძლიერი ქვეყნად არავინ არის, ის ხომ უდიდესი სკალდია, ყველა კითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა, წაკითხული აქვს ყოველი საგა, არავისი და არაფრისა არ ეშინია. ზორეულ, უცხო სანაპიროზე ებრძვის მტრის ურდოს, თავისუფალი და დამოუკიდებელი — ერთი ყველას წინააღმდეგ.

— მამა, — საბნის ქვეშ დაიჩურჩულა გოგონამ.

აუსტა დარწმუნებული იყო, რომ მის წინ იჯდა გმირი ბერნოუტი, ის იყო, სხვა არავინ და მან ახლავე უნდა უთხრას ეს მამას. მამას კი არ ესმის.

— მამა, — ჩურჩულებს ისევ გოგონა და საკუთარი ხმა ეუცხოვება.

ვერა, ვერ გაუბედა ამის თქმა. როცა მამამ მისკენ გამოიხედა, მთელ ტანში ერუანტელმა დაუარა. ღრმად ჩაიმალა საბნის ქვეშ. ვაითუ ისევ სილა გააწნას, როგორც მაშინ, იომსის ვიკინგების ამბით რომ დაინტერესდა. კიდევ კარგი, არაფერი უთხრა.

ბიარტური ფარეხში წავიდა, დაძინების წინ უნდა დაეხედა ბატკნებისოვის. ფარეხში რაღაცას ღიღინებდა. აუსტა გაფაციცებული უგდებდა ყურს, ითვლიდა მის ნაბიჯებს, როცა იმავე ჰანგის ღიღინით ამოჰყვა კიბეს. გოგონას უფრო ძალუმად აუძგერდა გული.

მე ვიცი, სიტყვებს არ ძალუძთ ახლა
შენი მოხიბლვა, ლამაზო ქალო,
მაგრამ მე მაინც სიტყვებით ვცდილობ
მოგინადირო...
ვმღერი და ვგალობ.

როცა აუსტამ ისევ გამოჰყო საბნის ქვემოდან თავი, ბიარტურმა შუქი ჩააქრო.

ღამეა.

თავი ოცდამეცხრე

ძროხა

მარტის დამდეგს, ერთ წუნარ, თოვლიან, კაშკაშა დღეს, მოხდა ისეთი რამ, რაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ხსოვნაში რჩება. ამის მნიშვნელობას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც მსგავსი რამ გამოუცდია. დასავლეთის მხრიდან, მთის ფერდობზე უშველებელი, უცნაური რაღაც ნელა მოიწევდა. იმ ზამთარს ბიარტურის ბიჭებიც გაეცვნენ საგებს და ახლა, მოძრავი, ეეებერთელა რაღაცის დანახვაზე დაასკვნეს—ლაშქარი მოდის საბრძოლველადო. მივარდნილ, ყრუ კუთხეში მცხოვრები ხალხისთვის, შუა ზამთარში გზაზე ჯოხით მიმავალ კაცსაც რომ იშვიათად მოჰკრავდნენ თვალს, პატარა ამბავი როდი გახლდათ ლაშქრის დანახვა, ნელა რომ მოუყვებოდა ხეობას. ნონი და აუსტა ზედ სახლის კართან ამართულ თოვლის ბორცვზე აცვივდნენ. ჰალბერამაც გაჭირვებით აიარა თოვლში გაჭრილი თვრამეტი საფეხური, თვალი მოიჩრდილა და თქვა:

— ძროხაა!

— ჰო, ალბათ, ძროხაა! — თქვეს ბიჭებმა.

ყველაზე ბოლოს, თივის ბრელოში ამოგანგლული ბიარტური გამოვიდა კარში. გაცეცხლებული იყო. ძროხისთვის აქ ადგილი არ არის. როგორ არა, სწორედ თავის ცხვრებს მოაკლებს საკვებს და ძროხას დაუყრის. ჰოდა, მით უმეტეს, თავლიდან ხომ არ გამოაგდებს ცხენს. ძაღლის გარდა, ყველა სხვა პირუტყვზე უფრო ამ ცხენის მოვალეა. ბიარტური სადღაც მიიმალა და აღარ გამოჩენილა, ვიდრე არ დაუძახეს.

ის უცნაური რაღაც კი ნელა მოუყვებოდა ჭაობს, უკან ერთცხენიანი მარხილით თივა მოჰქონდათ. ძროხა იყო, ნამდვილად ძროხა.

— ძროხაა, ძროხა! — დაიძახეს ბიჭებმა.

ძროხა დიდი არ იყო, საძაგრავიდან ხალებიანი რუხი თავი გამოეყო. უნდოდ, გაკვირვებით იყურებოდა. ცური თავშალით ამოეკრათ მისთვის, რომ სიარულისას კერტები თოვლზე არ ეგლასუნებინა. რედსმირელმა მნემ, გუდნიმ, საკუთარი ხელით გამოაწყო მოგზაურობას შეუჩვეველი პირუტყვი და ზამთრის გრძელ გზას გაუყენა სალაშქროდ. ყინვიან წუნარ ჰაერში ძროხა ნესტოებიდან ბოლქვებად უშვებდა ორთქლს. დრუნჩქვეშ ბალანი შეჭირხლოდა. მილიდან ამოსული კვამლი და საცხოვრებელი სახლის სუნი ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა; ყურებს აპარტყუნებდა, ხმაურით ისუნთქავდა ჰაერს, ქშინავდა, დაბღავლებას ლამობდა, თითქოს დამხვდურთ უნდა მიესალმოსო, მაგრამ თოკი ყელზე მჭიდროდ შემოჭეროდა და ვერ ახერხებდა ბღავილს.

ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი ჩამოსულთა შესაგებებლად წავიდა.

— დალოცვილი პირუტყვია, — ჩაიჩიფჩიფა ჰალბერამ. — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი!

ძროხამ დაყნოსა მოხუცი, თითქოს ხელად იცნო, მისალმების ნიშნად ცალავ დაბღავლება სცადა.

— დალოცვილი პირუტყვია. — ისევ ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა. სხვა სიტყვებს ვერ პოულობდა, მაგრამ ასე ალერსით იშვიათად მიუმართავს ვინმესთვის. შეჰირხლულ დრუნჩზე ხელი მოუთათუნა პირუტყვს და ძროხამ ყელის სიღრმიდან რაღაცნაირი მობუყბუყე ხმა ამოუშვა. წუთში გაუგეს ერთმანეთს, ოღონდ ეს უცხო ადგილი მაინც აფრთხობდა პირუტყვს. მოუსვენრად ფეხს ინაცვლებდა, თრთოდა, მძიმედ სუნთქავდა. ქშინავდა, ფრუტუნებდა.

ბიარტურმა მოსულებს ჰკითხა, რა გინდათო. როგორ თუ რა? ძროხა უნდა ჩაგბაროთ. საიდან მოიყვანეთ, ვინ გამოგგზავნათ? რა თქმა უნდა, მამასახლისმა.

— წყეულიმც იყოს ასეთი საჩუქრის გულისთვის! — საგის სიტყვებით უპასუხა ბიარტურმა, თან დაემუქრა, ახლავე ავლესავ დანასო.

— ეგ უკვე შენი საქმეა!

— ვერ მოახერხებს, ვერა, მამასახლისი ჩემს წაქცევას. თუ ოცდაათი წლის განმავლობაში ვერაფერი გააწყო, ეს ერთი ძროხა რაღას უშველის? — თქვა ბიარტურმა.

საქმე იქით დამთავრდა, რომ ძროხა ბლესის სადგომში შეაბრძანეს. ფარეხში იატაკი ტორფით მოაკეთეს, ცხენიც იქვე, გვერდით სადგომში მოათავსეს, სადაც უწინ სუსტ ბატკნებს ინახავდნენ. ბიარტურმა გულდაგულ დაგმანა ღრიჭოები, საიდანაც ჰაერი და შუქი შედიოდა სადგომში. წინათაც უვლიდა ძროხებს და გამოცდილებით, ხალხის ათასწლოვანი გამოცდილებით იცოდა, რომ რაც უკეთ დაიცავენ სტიქიისაგან, მით მეტ რძეს მოიწველიან ძროხები.

როცა მოციქულებმა უკან გაბრუნება დააპირეს, ბიარტურმა შეაჩერა, პატარა ხანი დამიცადეთო, ზემოთ ავიდა, ხელი შეჰყო ცოლის ლეიბქვეშ, მოაფათურა და იქ დამალული ძველი ხელთათმანი გამოაძრო.

— სალამი გადაეცით მამასახლისს და უთხარით, რომ დღემდე მისი არა მემართა რა, გარდა იმისა, რაც ხელშეკრულებით ერგებოდა. თუ იმის იმედი აქვს, რომ შემოდგომაზე ჩემს ბატკნებს დაადებს ხელს, ნურას უკაცრავად, ძალიან შემცდარა. მოწმე თქვენ იქნებით, თუ ეცოტავა, რასაც ახლა გაგატანთ ამ ძროხის საფასურად, ხვალვე უკან წაიყვანოს. თუ ამას არ გააკეთებს, სრული უფლება მექნება, როცა მომეპრიანება, დავკლა ძროხა, თუნდაც ხვალ საღამოსვე.

ეს თავხედური გამოწვევა იყო.

ბიარტურმა დაანახა მათ, რომ თავისუფალი კაცია, არც მამასახლისზეა დამოკიდებული, არც სხვა ვინმეზე. ჰოდა, ამიტომ ნაღდ ფულს აძლევს ძროხაში. მაგრამ მოციქულებმა ფულის გამორთმევა არ ინებეს, რადგან ამის რწმუნებულება არ მიუღიათ. მათ ისიც არ იცოდნენ, აპირებდა თუ არა საერთოდ მამასახლისი ფულის გამორთმევას. იქნებ სხვა ვინმემ უკვე გადაიხადა. გადაიხადა? ვინ სხვამ?

ჭკუაზე შეიშალნენ, თუ რაღაც შეთქმულებას უწყობენ? მაშასადამე, ბიარტური ვიღაცაზეა დამოკიდებული? იქ, ქვევით, ხომ არ ჰგონიათ, რომ ბიარტური ღარიბია და ძროხის ყიდვა არ შეუძლია? არა, მეგობრებო, ძალიან შემცდარან, ბიარტურს ყველაფერი საკმარისი აქვს, არც ფული აკლია. მართალია, დარწმუნებული კია, რომ ცხვრის ხარჯზე ძროხის შენახვა არ ღირს, მაგრამ თუ ასე აუცილებელია, ნაღდ ფულზე რამდენიც საჭიროა, იმდენ ძროხას იყიდის. რაც მეურნეობას მიჰყო ხელი, ყველაფერი წინასწარ აქვს დაგეგმილ-ნაფიქრაუდევი, როდის რა გააკეთოს, როდის რა იყიდოს, ფული რაში დახარჯოს. მაინც რაში?

— ოჰო, თუ ამის გამორკვევა გაქვთ დავალებული, მოგახსენებთ, იქნებ მე სასახლის აშენებას ვაპირებ, გარშემო კი ხეხილი მინდა დავრგა. კარგად ბრძანდებოდეთ!

სულ მოკლე ხანში, ძროხა მთელი ოჯახის მეგობარი გახდა, ბიარტურის ვარდა. მისი საყვარელი პირუტყვები ძაღლი და ბებერი ბლესი იყვნენ. როცა ბოხუცმა ჰალბერამ პირველად ამოიტანა ქვევიდან სათლით რძე და ბიჭებმა დალიეს თითო ფინჯანი თბილი, ძვირფასი სითხე, დედამ კი — მთელი ტოლჩა, უკვე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ უშენის მოსახლეებს ახალი დრო დაუდგათ. მათ ცხოვრებას ახალმა სიომ დაჰქროლა. ყველაფერი გამოცოცხლდა, თოვლის უკიდეგანო უდაბნოსაგან დაბეჩავებულ გულში თითქოს გაზაფხული ჩაუდგა ჯველას. უფროსმა ბიჭებმა გამუდმებულ კინკლაობას უკლეს, მუჯლუგუნებით აღარ უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს, აღარ უძახდნენ დასაცინ, საგინებელ მეტსახელებს, მუშტით აღარ ემუქრებოდნენ ერთურთს.

აუსტამ კოფთის ქსოვა მოათავა და ჰაიჰარად დაიწყო პერანგის ამხანაგის ქსოვა—ისეთი თავგამოდებით, წინდახედულობით და ოპტიმიზმით, რომლის გარეშეც ასეთი საქმის დაწყება შეუძლებელია. ბებიას გაახსენდა უფრო ლამაზი, გასაგები ფსალმუნები, ამ ფსალმუნებში ლათინური სიტყვები აღარ სჭარბობდა. ზღაპრებიც შეიცვალა, მოჩვენებებიც აღარ იყვნენ ისეთი ასპიტი და ბოროტები. გაახსენდა ერთი თვინიერი მოჩვენება, რომელიც სამხრეთში ცხოვრობდა, არავის არაფერს უშავებდა, თუკი საჭმელს დაუდგამდნენ, როგორც ოჯახის სხვა წევრებს. შეიცვალა თოვლში ჩაფლულთა და კლდეზე გადა-

ჩეხილთა ხვედრიც. ხანდახან თურმე სამი დღის შემდეგ მიაგნებდნენ. კლდეზე გადაჩეხილებს, ამოიყვანდნენ უსფკრულიდან, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დაშავებულები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს ორივე ფეხი ჰქონდა მოტეხილი, დიდხანს ცხოვრობდნენ. ერთი კვირაც არ გასულა ძროხის მოწველის დღიდან, რომ მოხდა ყველაზე საოცარი რამ: ფინამ ლოგინიდან წამოდგომა სცადა, დედის მხარს დაეყრდნო და რამდენიმე ნაბიჯი გაიარა ოთახში. ლაპარაკიც დაიწყო, საწვავის საქმე როგორ გვაქვსო, იკითხა. შარშანდელთან შედარებით მთელი სამი კვირით ადრე დაეტყო მომჯობინება. მერე დახეული წინდები მოაგროვებინა, მონახა თავისი ნემსი, საწოლზე ჩამოჯდა და კემსვა დაიწყო. ერთ დილას ფინა ყველაზე ადრე ადგა და თავისი მარჯვე ხელებით ცეცხლი დაანთო. იმ დილას ოთახი ისე აღარ გავსილა კვამლით, ფიჩხიც მალე აბრიალდა და წყალიც მალე ადუღდა. მეორე დილას ბიარტური ფარეხში რომ ჩავიდა, ცოლი უკვე იქ დახვდა, ძროხისთვის ეპმია, იდგა მის გვერდით, აურვებდა და თან ელაპარაკებოდა.

— არ ვიცოდი, თუ ამ ოხერ პირუტყვს სხვებზე ადრე უნდა მოვემსახუროთ, — თქვა ბიარტურმა და ცხვრებისთვის თივის დასაყრელად წავიდა.

იმ დღიდან მოყოლებული, ფინა უთენია დგებოდა, აშმევდა ძროხას, წყალს მოუტანდა, ფარეხში იატაკს ასწორებდა, ხშირად ასუფთავებდა, რომ სველი არ ყოფილიყო. ძროხა ვალში არ დაგრჩება, კარგი მოვლისთვის მოახერხებს მადლობის გადახდას. ფინა იოლად, მარჯვედ წველიდა ძროხას, დიდხანს ელაპარაკებოდა. ქალმა თანდაყოლილი ალღო გამოამჟღავნა, ხალხის საუკუნოებრივი გამოცდილების საწინააღმდეგოდ იქცეოდა, დროდადრო აღებდა ფარეხის კარს ჰაერის გასაწმენდად, კარგ ამინდში კორდის ბელტს ამოაძრობდა ხოლმე ფარეხის სახურავზე დატოვებულ ნახვრეტიდან. ბებერი ბლესი ამ მოსაწყენი პირუტყვის მეზობლობით ქალზე უკმაყოფილო იყო, გაღიზიანდა, განერვიულდა, აბა, რაში ესაჭიროებოდა ასეთი ამხანაგი ამ სიბერეში? ის არ კმარობდა, რომ „გუდმუნდურის ცხვარს“ და მის ძმას ხედავდა ფარეხში, ტიხარს იქით? მთელი ღამე მოსვენება არ იყო იმათგან, სულ ირქინებოდნენ, ტლინკებს ჰყრიდნენ. მათდამი ზიზღის ნიშნად, ბლესი ყურებს გადაძგიბავდა და საათობით იდგა ასე, თან მოხერხებულ წუთს ელოდა, რომ ტიხარზე თავი გადაეყო და ძროხის ბაგაში რედსპირელთა თივას წაწვდომოდა. ღამე, როცა არ ეძინა, სულ საკბენად ეტანებოდა ძროხას და ფინას ტიხარის ამაღლება დასჭირდა.

— რა დიდ სიკეთეს გვიკეთებს, — თქვა ქალმა, სიყვარულით და პატივისცემით.

—იმედია, თვითონ იზრუნებ მაგის საკვებზე, მოჯამაგირეს საკუთარი ჯიბიდან გადაუხდი მოთიბული ბალახის საფასურს, — უთხრა ბიარტურმა ცოლს,—

ორმა ცხვრის დაკვლა დამჭირდება ამ წყეული პირუტყვისთვის თავის მოსამარაგებლად. ამას კი არასდიდებით არ გავაკეთებ.

— ვიცი, ღმერთი იზრუნებს ჩვენი ბუკოდლასთვის, — უპასუხა ფინამ ქმარს, თვალი ცრემლით აევსო, უფრო მეტი სიხაზით და ალერსით გადაუსვა ხელი ძროხას... ამ ქალს ღმერთი თავისებურად ესმოდა, მან ძროხაში ჰპოვა იგი, როგორც აღმოსავლეთელ ხალხს სწამს, რომ ღვთაება ძროხაშია განსახიერებული და საღვთო პირუტყვად თვლის მას.

იმ წელს საამური გაზაფხული დადგა, კარგი დარი დაიჭირა, თოვლმა დნობა იწყო და ბიარტურმა ცხვარი ჭაობზე გარეკა, იქ ქორფა საკვებს იპოვნიანო — ისლის ნორჩ ყლორტებს, გაზაფხულის განთქმულ ბალახს, ყველა დაავადებას რომ კურნავს, თუკი მოინელებს პირუტყვი. გასულ წლებთან შედარებით, ცხვარი ახლა უკეთეს მდგომარეობაში იყო, რაგინდ თბილი ზამთარი უნდა გამოეღოთ, გაზაფხულზე ცხვარი მაინც სუსტდებოდა, მოდუნებულები დაბორიალობდნენ ჭაობში, ბინძური, აბურდული ბეწვით დაფარულ, გამხდარ, გაწვრილებულ ყელს ისე საცოდავად ძგიბავდნენ, რომ მათ შემხედვარეს გული დაეწვოდა.

ბიარტური თეითონ მწყემსავდა ფარას, ეშინოდა ჭაობში არ ჩაიფლან და ამოსათრევი არ გახდნენო, მაგრამ ამ გაზაფხულზე ცხვარი არც ისე უღონოდ იყო, გინდაც მუხლამდე ჩაფლულიყვნენ ბლანტეში, მაინც მარჯვობდნენ, თვითონვე ახერხებდნენ გაჭირვებიდან თავის დაღწევას, იშვიათად გამოერეოდა ისეთი, რომელიც მორჩილად ელოდა შველას.

ხევში თოვლი დადნა, მზე დაჰნათოდა ფერდაკარგულ, ჩამჭკნარ ბალახს. ადიდებულ ნაკადულს, სამხრეთიდან უკვე მოფრინდნენ უშენის პირველი მეგობრები; თბილი ქარი უქირქილებდა ლაინს და ისიც არაკრაკებდა გაზაფხულის მოკრძალებულ საგალობელს. გამლღვალ ჭაობს გაზაფხულის ქორფა ბალახის და შმორის სუნი ასდიოდა, ყბედი ღალღა ცხვრის თარეს ხუტორამდე მოსდევდა, რა მოასვენებდა, თუ არ უამბობდა მხიარულ ამბავს, მაგრამ სათქმელს ვერასოდეს ვერ ამთავრებდა— ჰი, ჰი, ჰი, ჰი!

პატარა ნონიმ ფერდობზე აიტანა თავისი სათამაშოები — ცხვრის ძვლები და რქები. ნაკადული ისე ადიდდა, ნაპირები გადალახა, ზღვასავით მოედო მიდამოს. იქითა ნაპირიდან ხომ არ იწყება ნეტა უცხო ქვეყნები? რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მთებში მთლად დადნა თოვლი, ნაკადული კვლავ თავის კალაპოტში ჩადგა. ხომ არ დანაღვლიანდა ნაკადული? ნურას უკაცრავად! კამკამა და მხიარული, ძველებური კისკასით მოათამაშებდა ზვირთებს დაწმენდილ სილაზე და წვრილ კენჭებზე, გაყვითლებული, ჩამჭკნარი ბალახით დაფარულ ნაპირებს შუა. ათასეული წლები მონავარდობს იგი სულ ახალ-ახალი სიხარუ-

ლით, ყოველ გაზაფხულს ოდნავ შეცვლილი ჰანგით ჰყვება პატარა საგებს თავის გულუბრყვილო ენაზე

ნაპირზე კი ზის ბიჭი, ათასი წელი ყურს უგდებს მის რაკრაკს. ბიჭი და მარადისობა—ორი მეგობარია და მათ ულრუბლო, უკიდეგანო ცა დაჰყურებთ ზემოდან.

დიახ.

თავი ოცდამეათე

ძლიერნი ამა ქვეყნისანი

მამასახლისი ქალაქიდან შინ ბრუნდებოდა, უწინდებურად არც ახლა იყო მარტო, ოღონდ ამჯერად მისებრ წარჩინებული პიროვნებისთვის სავსებით შესაფერი თანამგზავრები ახლდნენ: სამხრეთიდან ახლახან დაბრუნებული მისი ორი შვილი—რწმუნებული ინგოულფ არნარსონი და ოცი წლის ტურფა ოდური, რომელსაც თახამედროვე განათლება მიეღო. საძოვარზე ხალხი გასულა, ნაკელს ჰფანტავენ, მიწას აპოხიერებენ, მხედრების დანახვაზე შედგნენ, დაეყრდნენ ფიწლის ტარს და გაოცებული უყურებენ ამ უჩვეულო სანახაობას. ბიარტურმა ცხვრებსა და ახალშობილ უმწეო ბატკნებს თავი მიანება, სტუმრების შესაგებებლად გაემართა. ქალიშვილი დაქვეითებას და ამ ტალახში გავლას არ აპირებდა, მაგრამ აი, მამამისი ჩამოხდა ცხენიდან, თუმც უხალისოდ კი, რწმუნებულიც დაქვეითდა, დიდი ჩექმები ეცვა. მამასახლისი, ჩვეულებისამებრ, ორ თითს უწვდის მასპინძელს. სულ სხვანაირად ესალმება ბიარტურს ინგოულფ არნარსონი, ხელისუფალთა სამყაროს თანაზიარი, ეს ახალგაზრდა როდი უფრთხის უბრალო ხალხს, თავისი ღირსებისთვის შეუფერებლად არ მიაჩნია ზაფხულის სავანელ გლეხკაცს ჩამოართვას ხელი. მხარზეც კი უტყაპუნებს ხელს, ლამის გადაეხვიოს. როგორც ჩანს, ეს დედისგან დაჰყვა. ინგოულფი ის თავქარიანი ყმაწვილი კი აღარ არის, უწინ რომ იყო, ახლადგამომცხვარი აგრონომი, უქმე დღეებში თოფის ბათქა-ბუთქით რომ იქცევდა თავს, სხვის ჭაობში ხოცავდა უმწეო ფრინველებს, ან ახალგაზრდობის კავშირის სხვა წევრებთან ერთად დაანავარდებდა ცხენს და პატრიოტულ სიმღერებს გაჰკიოდა. არა, წლების მანძილზე მან აითვისა თავდაჭერის ის სოლიდური, გულისმომგები მანერა, რაიც ესოდენ საჭიროა და აუცილებელი ორატორისთვის, რომ კრებებზე გამოსვლისას მეტი დამაჯერებლობა და სიმტკიცე

ჰქონდეს მის სიტყვას, იერიც სათანადოდ შეიცვალა, ხელების ქნევა, მკერდის ჯგიმვა და თავის უკან გადაგდება ისწავლა. ზაფხულის სავანელი ბიარტური კი ისეთივე დარჩა, როგორიც ახსოვს აუსტა სოულილიას, — არავითარ რიდსა და მოწიწებას არ იჩენდა წარჩინებულთა მიმართ, იმათ მიმართაც კი, ვინც შინაურულად ექცეოდა უბრალო ხალხს. და უნდა ითქვას, რომ ამ გლეხკაცის გვერდით ეს წარჩინებული ბატონები როგორღაც უცნაურები, თითქმის გონჯები ჩანდნენ, ექვსთითა ან სამთვალა მახინჯების მსგავსად.

— ნებას თუ მომცემს ფრეკენი, ცხენიდან ჩამოხდომაში ვუშველო, თორემ ასე ფეხი დაუბუჟდება, — ზრდილობიანად მიმართა ბიარტურმა ოდურს. მაგრამ ქალიშვილ იმის დაუხმარებლადაც მარჯვედ ჩამოხდა ცხენიდან—კარის წინ, ქვაზე. საცხენოსნო რეიტუზები და გაპრიალებული ხამლი ეცვა, მყუდრო, ქარისგან დაცულ, სამხრეთ ფერდობზე გაზრდილ ნორჩ მცენარესავით მაგარი და ღონიერი იყო. ერთი შეხედვით შეატყობდა ადამიანი, რომ ბევრი უმოგზაურია, ბევრი რამ უნახავს და იცის. კოხტად მორთულ-მოკაზმული, გაფურჩქნული ქალიშვილი, დაბალი კარის წინ, ქვის ზღურბლზე იდგა, იმ სახლთან, რომლის ასაშენებლად აღებულ ვალს გუდბიარტურ იოუნსონი თორმეტი წელიწადი იხდიდა. მანამდე, ვიდრე მიწის ყიდვას მოახერხებდა, თვრამეტი წლის ჯაფა დასჭირდა. ქალიშვილი კი ცხოვრობდა ყვავილებში ჩამალულ უკვდავ სახლში, საითაც სუფთა, სწორი ბილიკი მიდის.

— მადლობთ, — თქვა ქალიშვილმა,—დრო არა მაქვს, შინ მეჩქარება.

მაგრამ მამასახლისს ამ სახლში შესვლა უნდოდა თავის ვაჟთან ერთად. მოსალაპარაკებელი ჰქონდათ მასპინძელთან, სამწუხაროდ, საქმე არ ილევა. მუდამ გამოტყვრება რაღაც საჯახირო. როცა მშვიდობიანად გასცდნენ ზედ სახლის კართან დამდგარ გუბეს და ზემოთ ავიდნენ, ოდური ყოველნაირად ცდილობდა მიეხვევდრებინა მამა და ძმა, რომ საწოლზე არ ჩამომჯდარიყვნენ, კბენარის ეშინოდა, მაგრამ მამასახლისი გულაზიზი არ გახლდათ: რა ბედენაა, შეჩვეულია ამას. ისევ იმ საწოლზე გადაითხლაშა, რომელზეც ჩვეულებრივ ჯდებოდა აქ მოსვლისას. ქალიშვილმა მაგიდაზე მოიკალათა. ინგოულფ არნარსონი კი სკივრზე ჩამოჯდა და ოთახს თვალი მიმოავლო, თავი უკან გადასწია, მზესავით ბრწყინავდა, მაგრამ თავის დედასავით ცივად იღიმებოდა. მამასახლისი ისევ გაიტაცა ფიქრმა, არც კი გაუგონია, რას ეკითხებოდნენ ცხვარსა და ამინდზე, მან რაღაცნაირი რიდით, გაუბედავად ამოიღო ჯიბიდან საფულე, ხელები ოდნავ უთრთოდა, განსაკუთრებით მაშინ ემართებოდა ეს, როცა საქმე ფულს ეხებოდა; სახეზე მოწიწება, თითქმის ფანატიკური სერიოზულობა და პასუხისმგებლობის შეგნება ეხატებოდა. საფულე გახსნა, შიგ ჩაიხედა, თავი

უკან გადასწია, ქვედა ტუჩი გამოიშვირა, რომ პირიდან საღეჭი თამბაქო არ გადმოვარდნოდა და ბიარტურს უთხრა.

— რა ხანია შენთვის ამ ფულის დაბრუნება მინდა, ზამთარში მოჯამაგირის ხელით რომ გამომიგზავნე. ძროხის საფასური ხომ სხვამ გადაიხადა.

— საინტერესოა, ვის მოუვიდა აზრად იტრაბახოს, რომ ზაფხულის სავახელ ბიარტურს საჩუქრებს უკეთებს? სხვამ გადაიხადაო? არავისთვის არ მითხოვია ჩემი ვალის გადახდა და ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყველას, ვისაც კი ჩემი ვალის გადახდა ფიქრად მოუვა.

— ასეა თუ ისე, ფული გადახდილია.

— მოწყალებას არავისგან არ ვღებულობ, არც აქ, მიწაზე. არც ზეცაში.. გინდაც თვით მაცხოვარი იყოს, არავითარი უფლება არა აქვს იხადოს ჩემი ვალი, მე ვუკრძალავ ამას.

— რომელი მაცხოვარი? ქალთა კავშირმა გადაიხადა, — უპასუხა მამასახლისმა.

— ეგღა მაკლდა, — წამოიძახა ბიარტურმა. მერე მოდგა და მიწასთან გაასწორა ქალთა კავშირი.—იმათ ხომ არაფრად უღირთ ადამიანს ცილი დასწამონ, სულ იმის ცდაში არიან, მოვალედ გაიხადონ პატიოსანი ხალხი, რომ მერე თავერ მოიწონონ და ტრაბახით შესძრან ცა და მიწა, აქაოდა, ასეთი სიკეთე ვქენითო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, როცა იქნება დავკლავ მაგ ძროხას, ავკუწავ ნაჭერ-ნაჭერ. მაგან გაუფუჭა ჩემს შვილებს მადა, ისე დაასუსტა, რომ აღარც კი ძიძგილაობენ, დედაკაცებიც გახუსტურიანდნენ. მოკლედ, მაგისგან ჩხუბისა და უთანხმოების მეტი სხვა სიკეთე არ გვინახავს.

— ხალხი კი ამბობს, რომ შენმა ცოლ-შვილმა, გაზაფხულს აქეთ-მოიკეთა..

მაგრამ ამ შენიშვნამ ვერ დაამშვიდა ბიარტური, ის ყოველთვის ეჭვით უყურებდა იმათ, ვინც მისი კეთილდღეობისთვის ზრუნვას იწყებდა.

— ერთი ეს მიბრძანე, რა გესაქმებათ შენ ან ქალთა კავშირს ჩემთან და ჩემს ცოლთან? ან ჩემს შვილებთან? ჯერჯერობით არც შენი მმართებს რამე, არც ქალთა კავშირის. ჰოდა ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე, რომ ვერც შენ, ვერც ის კავშირი ცხვირს ვერ ჩაჩხირავთ ჩემს საქმეებში და ზრუნვას ვერ დაიწყებთ ჩემს ჯალაბზე. ცოლი და შვილები მე მეკუთვნიან, ცოცხლები თუ მკვდრები. გახდნენ, დაძაბუნდნენ თუ გასუქდნენ, ჩემს მეტს არავის ეკითხება. ზაფხულის სავანის მთელი ბურცოები უფრო ადრე მიუწვდენენ წვერს ცას და ყოველი ორმო უფრო ადრე გადაიქცევა ქვესკნელად, ვიდრე მე ჩემს ადამიანურ უფლებებს დავთმობ, ჩემს დამოუკიდებლობას.

ასეთი მგზნებარე სიტყვის საპასუხოდ, მამასახლისმა სათქმელი ვეღარ გამონახა, მისი გულგრილი გამომეტყველება კი მოწმობდა, რომ მასპინძლის

გულფიცხობა არ სწყენია, თვითონაც დამოუკიდებელი, დიდი გაქანების კაცი გახლდათ, ბიარტურივით არც მას სწამდა ქველმოქმედებისა და ქრისტიანული გულმოწყალებისა. მან ისევ ისეთი სერიოზული გამომეტყველებით ჩაჩურთა ფული საფულეში, როგორც ამოიღო და თქვა, რომ ეს მცირე თანხა დაუბრუნდება, ვისაც ჯერ არს. „მე ხომ თავზე არ გახვევ ამ ფულს!“

რაკი მასპინძელმა ასე ითაკილა და იუკადრისა ქალთა კავშირის მადლიანი საქმე, რაიც საერთოდ ქრისტიანული გულმოწყალების მაგალითად გამოდგებოდა, თითქოს სტუმრებს უკვე ხელი უნდა აეღოთ თავის განზრახვაზე, ძლიერნი ამა ქვეყნისანნი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ვერ მოახდენდნენ სასწაულს, — როგორც ვარაუდობდნენ, და ვერ მოიშინაურებდნენ დამოუკიდებელ გლეხკაცს. მაგრამ არა, რწმუნებულმა ბიარტურს ვერცხლის სათუთუნე გაუწოდა, წვრილად დაჭრილი. სურნელოვანი ბურნუთი შესთავაზა და დაიწყო დამოუკიდებელი კაცის მოთვინიერება.

— ასეა, ასე, ჩემო მეგობარო, შენ იოლად ვერავინ მოგახრევინებს ქედს, სტუმარ-მასპინძელმა თითო მწიკვი ბურნუთი შეიყარა ცხვირში.

შემდეგ რწმუნებულმა ჰკითხა ზაფხულის სავანელ ბიარტურს, მელოდი თუ არა, იცოდი, რომ ერთ პატარა საქმეზე უნდა მოგლაპარაკებოდიო.

— მოლოდინით არ გელოდი, მაგრამ არც გზის შეკვრას ვაპირებდი.

— ალბათ გეცოდინება, — დაიწყო რწმუნებულმა, — რომ ერთ დროს ინგლისში ფეიქართა შორის დაიწყო ისეთი მოძრაობა, რომელიც ხელს აძლევდა ვაჭრების მონობაში მოქცეულ გლეხობასაც. ასეთი მოძრაობა ირლანდიაშიც დაიწყო, ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში თინგეის ოლქში ვაჭრებისაგან გაღატაკებულმა და განადგურებულმა გლეხობამ დააარსა სამომხმარებლო საზოგადოება. ამან დაუდო სათავე ირლანდიაში კოოპერაციულ მოძრაობას და სამომხმარებლო საზოგადოებები ახლა არა ერთი და ორი გვაქვს ჩამოყალიბებული ჩვენს ქვეყანაში. მათი მიზანია, გლეხებისათვის კანონიერი, სამართლიანი ფასების დადგენა ყიდვა-გაყიდვაში. ეს სამომხმარებლო საზოგადოებები მსხვილ სავაჭრო საწარმოებად უნდა გადაიქცეს და შეავიწროვოს ვაჭრები. თინგეის ოლქის ღატაკ გლეხთა საქმე, რომლებმაც ინგლისელ ფეიქრებს მიბაძეს. ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს ირლანდიის ახალგაზრდა საზოგადოებისათვის.

ჩვენს დაბაში ყველა დარწმუნებულია, რომ თქვენთვის, გლეხებისთვის. ფიორდში ვაჭრობა სახეირო არ არის. იქ თქვენგან პროდუქტებს ჩალის ფასად იძენენ, ფასს თვით ვაჭრები ადებენ, აუცილებელი საჭიროების საგნებს კი მამასისხლად გაძლევენ. ეს არის ძარცვა, და ასე ყოველ წელს გლეხებს უმოწყალო ძარცვით ვაჭრები დიდძალ თანხას აგროვებენ.

რწმუნებულს გამოანგარიშებული ჰქონდა, რომ ადგილობრივი გლეხობის ძარცვით ერთ წელიწადში მოხვეჭილი ფულით ბეტონის კარგი სახლის ყიდვა შეიძლება, ერთი კი არა, ორი სახლის, უკიდურეს შემთხვევაში, კარგად გამართული ელექტროდანადგარის შეძენა შეიძლება ყოველი ხუტორისთვის.

— რატომღაც მგონია, რომ ეგ დანადგარები თქვენ უფრო მოგიტანთ სარგებლობას, — თქვა ბიარტურმა.

— მთელ ამ ფულს ბრუნის სავაჭრო სახლი საკუთარ ჯიბეში იდებს, თუმცა ლომის ულუფას ტულინიუს იენსენი სულ თავისკენ ითვლის, ყოველ წელს მიემგზავრება მისი ცოლ-შვილი დანიაში გასართობად და სამკურნალოდ. მაგრამ შვილები, როგორც არ უნდა მოინდომონ, მაინც ვერ მოახერხებენ იმის გაფლანგვას, რასაც ფირმა ყველაფს გაღატაკებულ, გატანჯულ ხალხს.

— შენც კი ბრძანდებოდი დანიაში, პატარა ინგე, — უთხრა ბიარტურმა.

— არავისთვის საიდუმლო არ არის ის ამბავი, რომ მმართველმა ფიორდში ნამდვილი სასახლე აიშენა, რაღაც უცნაური კოშკით, და დიდძალი ფული დახარჯა ფირმის შენობის გადაკეთებაში.

— ჰო, — თქვა ბიარტურმა, — ვითომ რატომ არ უნდა აიშენოს ბებრუნამ კოშკები, თუკი უნდა?

— გარდა ამისა, როგორც ცნობილია, ექიმი ამ ფირმის ინტერესებს იცავს, იმასაც კი მიაღწია, რომ ხაზინა ზღვა ფულს უყრის მოლოებისა და ნავმისადგომების ასაგებად. საქმის მთელი არსი ის არის, რომ ექიმი იმავე ფირმის თევზის სარეწების თანამფლობელია ფიორდში. მართალია, ჩვენი კუთხე ნაყოფიერი კუთხეა, მაგრამ იმის უარყოფა არ შეგვიძლია, რომ საზოგადო საქმეებში ბევრად ჩამოვრჩებით სხვა ოლქებს. ახლა სხვა დროებაა, მეგობარო. სამხრეთში, ისინი, ვისაც ხალხისთვის გული შესტკივა, ნათლად ხედავენ თუ შორეულ რაიონებში რაოდენ საკალალო მდგომარეობაშია გლეხობა. ამიტომ ცდილობენ დაარწმუნონ ისინი, მიბაძონ თინგვეის ოლქის გლეხობას, გაერთიანდნენ ამ შეთქმულთა ბანდის წინააღმდეგ საბრძოლველად. ის ყაჩაღები ხომ ყველაფერს იჯიბავენ, რასაც წაგლეჯენ სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს. თქვენც ასეთ დღეში ხართ, წელებზე ფეხს იდგამთ, შრომა-ჯაფაში დღედაღამე გასწორებული გაქვთ და თითო ხელი ხეირიანი ტანსაცმელიც კი არ გაბადიათ. საზრდოზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს, გაზაფხულობით ზოგიერთ კუთხეში ნამდვილი შიმშილობა იწყება. ფულს თვალით ვერ ხედავთ, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ იმ ორიოდ კრონს, რაღაც სასწაულებრივი ოავგანწირვით რომ შეაგროვებთ ხოლმე.

— ზაფხულის სავანეში ფული საკმაოდ გვაქვს, — მოუჭრა ბიარტურმა.

— კი, წელიწადში ორიოდ კროხი. თვითონაც კარგად იცი, ძვირფასო ბიარტურ, რომ სიმართლეს გეუბნები და არავითარი აზრი არა აქვს საკუთარი მძიმე ყოფის შელამაზებას. ჰოდა, გეკითხები, როგორც პატიოსან კაცს: რას იტყვი ხალხის ესოდენ უმოწყალო ძარცვაზე?

— ჰმ... მართალი მოგახსენო, სრულიად არ მაინტერესებს, როგორ კინკლაობთ და ჭამთ ერთიმეორეს მოთავეები. ეგ არ არის ლამაზი. არ ვერევი ვაჭრის საქმეებში. არ მეკითხება ეგ. მისგან ჯერ ცუდი არა მინახავს რა. მარტო ის ვიცი, რომ ჩემმა ფარამ წელს კარგად გამოიზამთრა, ვალებისაგან გაწმენდილი ვარ, ღვთისა და ხალხის წინაშე, ფული არ მაკლია და ვერც ჯანმრთელობას დავემდურებით მე და ჩემი ჯალაბი. რედსმირელებს ამაში არ ჩამოვუვარდებით, არც ისინი არიან უკვდავნი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შვილები გაცილებით ჯანმრთელები არიან ფიორდელი ვაჭრის შვილებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველ წელიწადს გზავნიან დანიაში სამკურნალოდ და დასასვენებლად, როგორც თვითონ ბრძანე. ამ უშენის მოსახლეები ბედს არ ვემდურით და არავის გავუცვლით ადგილს.

— დაწყნარდი, დაწყნარდი, ძვირფასო ბიარტურ!

— მე „ძვირფასი ბიარტური“ კი არა ვარ, მე მქვია გუდბიარტურ იოუნსონი, ზაფხულის სავანელი გლეხი.

— კარგი, კარგი, გუდბიარტურ იოუნსონ, — თქვა ცივი ღიმილით რწმენებულმა, — მე კი ინგოულფ არნარსონი გახლავართ. და, როგორც ჩემი სახელი მოწმობს, პიონერთა გვარეულობას ვეკუთვნი.

— ჰო, ცოტ-ცოტა ყველაფერია შენში არეული, — კვერი დაუკრა ბიარტურმა.

— მე მინდა, რომ ეს ქვეყანა ათვისებულ იქნას. საუკუნეების მანძილზე უშინაარსოდ და უაზროდ მიათრევდა აქ ხალხი წუთისოფელს, შიმშილით იკლავდა თავს, ხოცავდა პირუტყვს და მაინც ვერ აითვისა იგი. აი რას გეტყვი: ჩვენს ქვეყანაში ორი პარტიაა, მათ არ შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა და მაგრამ ებრძოლებენ. ვიდრე ერთი მათგანი არ გაიმარჯვებს. ერთ მხარეს კონსერვატორები და რეაქციონერები არიან, მათგან გლეხს სიცოცხლე აქვს ვამწარებული; ამ პარტიაში შედიან ვაჭრები, გემთმფლობელები, მოხელეები და ექიმი. მეორე პარტიას უნდა გლეხობას დაეხმაროს, პროდუქტებში ხელსაყრელი თანხა გადაუხადოს, მიჰყიდოს გლეხს, რაც მას სჭირდება, ისე რომ ხელი არ მოითბოს. ამისათვის საჭიროა სამომხმარებლო საზოგადოებების შექმნა. გარდა ამისა, ჩვენ გვინდა გლეხები უზრუნველვყოთ იაფი მუშახელით. ამ მიზნის მისაღწევად ზღვისპირა ქალაქებში უნდა მოისპოს კაპიტალისტები, მა-

შინ მუშები ნება-უნებლიეთ დაუბრუნდებიან სოფლებს. და ბოლოს, ფულითაც უნდა გავუმართოთ გლეხს ხელი. ამისათვის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსება გვაქვს განზრახული. ბანკის მეშვეობით სახელმწიფო გლეხს მისცემს სესხს მცირე პროცენტით. ასეთ პირობებში ყველა შესძლებს სახლის აშენებას. სინათლის გაყვანას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ყიდვას, რამდენსაც მოინდომებს. ასეთია ჩვენი პროგრამა, ისლანდიის ახალი პიონერების პროგრამა. დადგება დრო, როცა ისლანდიელი გლეხი თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე გახდება. ჩვენ გვინდა, რომ ისლანდიელმა გლეხმა შესაფერი ადგილი დაიჭიროს, რომ მას ისე სცემდნენ პატივს, ისე აფასებდნენ, როგორც ეკუთვნის ამ წოდებას. გლეხი ხომ იმისთვისაა მოწოდებული, რომ თვით შემოქმედს მოეხმაროს წყვდიადის ძალებთან ბრძოლაში.

— ჰო, გამიგონია ეგ სიმღერა, — თქვა ბაირტურმა და ტანი მოიქექა.

— კი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაიგო, მეგობარო, რომ შენ გზას გიჩვენებენ, გასწავლიან, როგორ დადგე ფეხზე, გაიმართო წელში.

არა, სწორედ ეს არ ესმის ბიარტურს. მის თავში როგორღაც ვერ ლაგდება ის, რომ კულაკებსა და კულაკების შვილებს მისი სიკეთე უნდათ, უნდათ შეძლებული გახდეს ის. იმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, თუ ისინი დააარსებდნენ ქალთა კავშირებს და სამომხმარებლო საზოგადოებებს, — მხოლოდ თავისთვის დაარსონ რამდენიც უნდათ.

— მე ხომ დახმარებას არა ვთხოვ მდიდრებს. დიდი ხნის ლოდინი დასჭირდებათ, ვიდრე გუდბიარტურ იოუნსონი მათ დუდუკზე დაიწყებს ცეკვას. აქამდე ასე იყო: თქვენ, მდიდრები ხვეჭავდით ფულს კავშირის დახმარებით თუ კავშირის დაუხმარებლად, მაგრამ როცა ზარალს ნახულობდით, მცირე არ იყო ის ზარალი. და ამიტომ ვერასოდეს ვერ შემიტყუებთ მაგ კავშირებში, მერე თქვენი ზარალი ხომ ისევ ჩემმა კისერმა უნდა ზღოს. ოცდაათი წელიწადია ვიბრძვი და აი წელსღა მოვახერხე მამასახლისის ვალისგან განთავისუფლება. ვინ იცის, იქნებ როგორმე მოვახერხო კარგი ფარეხის აშენება, ბატკნებისთვის ცალკე ბინის მოწყობა. ცხვარი არ დამკლებია, გამიმრავლდა, მარტო სამოცდაათი ნერბი მყავს გაუკრეჭავი და მაკე, ოცი ბუწიც. და ამას იმით მივაღწიე, რომ აქამდე ძროხა არ ვიყოლიე. დრო მომეცით და იმდენ ძროხას ვიყიდი, რედსმირშიც არ გყავდეთ. სახლის აშენებასაც შევძლებ, ისე სიამოვნებისთვის, თორემ ჩემი სახლი ურიგო როდია, კოჭები ჯერ მაგარი აქვს, მდიდრებთან შეამხანაგება კი იმ ვაჭრის წინააღმდეგ, ვინც პატიოსნად მექცეოდა მას აქეთ, რაც ვიცნობ, — მთელი ოცი წლის მანძილზე...

— და იმით დამთავრდება, რომ ბოლოს მრეველის სარჩენი გახდები,— შეაწყვეტინა ინგოულფ არნარსონმა.

ამის გაგონებაზე ბიარტურს ცეცხლი წაეკიდა და უკვე უთავბოლო ლაპარაკი დაიწყო. თქვა, რომ ის თავისუფალი კაცია, მისთვის, დალახვროს ეშმაკმა. სულ ერთია და... დეე, ცოცხლად აკუწონ, როგორც გუნვერი აკუწეს რედსმირის სასაფლაოს წინ. ის ხომ არ დახებდათ, დასწყევლა და შეაჩვენა ყველა, და აკი უწიათ კიდეც. ქალთა კავშირი ანდა სამომხმარებლო საზოგადოება? არა. ბიარტური ამაზე არ წავა!..

— მამა და ინგი, აბა, წავიდეთ. ნუთუ ვერა ხედავთ, რომ ტყუილუბრალოდ ჰკარგავთ დროს? მარტო წავალ. იცოდეთ, იყავით აქ, თუ ასე მოგწონთ წყლის ნაყვა.

ეს მამასახლისის ქალიშვილმა თქვა. მოთმინება აღარ ეყო, მამასა და ძმასაეით ჯიუტი არ იყო, არ ესმოდა ძლიერნი ამა ქვეყნისანნი რისთვის იკლავდნენ თავს, კარგავდნენ ამდენ ძალას ამ გლეხის დასაყოლიებლად, ცდილობდნენ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ. გადაერჩინათ იგი. ჯანდაბას მისი თავი და ტანი. აკეთოს სისულელეები, რამდენიც უნდა. კისერიც უტეხია. ვინ იცის, კიდე: რამდენ ხანს იყურყუტებდნენ აქ, მას რომ არ შეეხსენებინა, წასვლის დროაო.

— ამ გოგონას აუსტა სოულილია ჰქვია. — უთხრა მამასახლისმა თავის ვაჟს და ძასპინძლის ბავშვზე მიუთითა. გოგონა საძოვარზე იდგა, ფოცხს დაურდნობოდა და გაოცებული უყურებდა მიმავალ სტუმრებს, — მეთოთხმეტე წელში გადადგა.

— ჰო. სწორია, — უპასუხა რწმუნებულმა, სადავე მოსწია, ცხენი შეაყენა და გოგონას თვალი შეავლო,— დამავიწყდა კიდეც. გამარჯობა, აუსტა, რამოდენა გოგო ბამხდარხარ!

— ცხვირსახოცი თუ იყიდე? — ჰკითხა მამასახლისმა. — ზამთარში ხომ მოგეცი ფული.

— ის მონეტა, — დაუყვირა ზღურბლთან მდგარმა ბიარტურმა, — ჭაობში ჩაუვარდა და ჩაიძირა. შემთხვევით, რასაკვირველია... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... ის ფული ისეთი იყო...

— წყეული გაქირიანი, — ჩაილაპარაკა მამასახლისმა.

— ჩქარა, რაღას უდგეხართ, — ჭაობის მხრიდან დაუყვირა მათ ქალიშვილმა, — აღარ აპირებთ შინ წამოსვლას?

— რა კარგი გოგო გამხდარხარ, აუსტა სოულილია! მშვიდობით! მშვიდობით! — დაუყვირა ბავშვს რწმუნებულმა.

თავი ოცდამეთერთმეტე

სიმღერის შესახებ

ეს ჩიტების ერიამულით
მზის სიმივით ცახცახებს,
ეს რა ცეკვა დაუწყიათ
მდინარეში კალმახებს.

სამხრეთიდან ყველა მგალობელი ფრინველები მოფრინდნენ შინ ჭაობში; ხევსა და ბორცვებზე მოდებულ რძესავით თეთრ ბალახს ახლადამოწვერილი ლოთქო ბალახი ჩანეოია. დადგა გაზაფხული — ძროხის საბალახოდ გაშვების დრო. ოჯახში მთელი კვირა ლაპარაკობდნენ ამის თაობაზე, მაგრამ ფიხაა ასეთი ზეიმისთვის ნათელი, თბილი დღის შერჩევა უნდოდა. დადგა კიდეც ნანატრი დღე: ბოსლის კარი გაღეს. ძროხა ტორტმანით კარს მიუახლოვდა, ნესტოებს ბერავდა, ქშინავდა, ფრუტუნებდა, აი, მან თავი გაჰყო კარში და დაიბღავლა. ზამთრის წყვდიადისა და სიმყრალის შემდეგ — გაზაფხულის სხივი და კეთილსურნელება!

ეა ოოულოდხელი ცვლილეაა, ძროხა უცებ ვერ ეგუება ამას. ხუტორის წინ მოედანზე გავიდა და ხმამაღალი ბღავილით მიესალმა გაზაფხულს, ტორტმანობდა, გაუბედავად ადგამდა ფეხს, თითქოს მიწას არ ენდობაო. ხარბად ისუნთქავდა ჰაერს, მერე ისევ დაიბღავლა, მაგრამ უცებ შეწყვიტა. ხომ არ ესიცხრება. ნეტა? ზამთრის წყვდიადსა და სიმყრალეში ბოსელში რომ იყო გამომწყვდეული, ხშირად ოცნებობდა ნათელ, თბილ დღეზე, მწვანე ბდელოეაცე და აო სჯეროდა, ნატვოა თუ აუხდეოდა. უცებ მოწყდა ადგილს, ჩორთით დაეშვა ფერდობზე. აღარ შეეძლო სიხარულის შეკავება. აი, სილაღე, ნამდვილი სილაღე? ზამთრის ტყვეობის შემდეგ, მართალია, სხეული როგორლაც შებოჭილი, მოუქნელი გაუხდა, მაგრამ მაინც აბზიკა კუდი და ოთხაძოღებით გაენთო ჭაობისკენ. ხან აქეთ მიაწყდებოდა, ხან იქით გაუხვევდა, შემოირბენდა დიდ მანძილს, მანძილი არ აშინებდა. ზმუოდა, ბრდღვინავდა — ეს გახლდათ გაზაფხულის ცეკვა. ბავშვები სიცილ-ხარხარით, ყივილ-ხივილით მისდევდნენ, ვიდრე ძროხამ ჭაობში არ შეტოპა, მუხლამდე ჩაეფლო ბლანტეში, მძიმედ აქშინდა. შუადღემდე ინავარდა ასე; მერე კი დაშოშინდა და ბალახს დაუწყო ძოვა. პირველ დღეებში ძროხას მოწყალედ რთავდნენ ნებას საბალახოცე ეძოვა. ბიარტუოა სოა ბალახის ყოველი ბღუჯი, თითქმის ყოველი ღერი ენანებოდა. საძოვარზე საკმარისი ბალახი იყო ძროხის გამოსაკვებად, მაგრამ თივა ყველაზე ძვირფასი საკვებია ცხვრისთვის ზამთარში. პატრო-

ნი ძველებურად მტრულად უყურებდა ბუკოდლას, რომელიც მის ხუტორში შემოიჭრა და ყველაფერი თავდაყირა გადაატრიალა. ძაღლი პატრონის მაგალითს ბაძავდა. ეს ბებერი ქოფაკი დიდი კონსერვატორი გახლდათ, ისეთი ჭკუით კი არ გამოირჩეოდა, როგორიც დედამისს ჰქონდა, ახალშობილი ბავშვის მოვლა, ვადარჩენა რომ შეეძლო. ტიტლას ზღურბლთან უყვარდა ქვაზე ჯდომა, პირქუშად იცქირებოდა, თითქოს სულ თვლემდა, მაგრამ თან ისე ფხიზლობდა. რომ ძროხის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა, უცებ უჩუმრად მიეპარებოდა, უკანიდან მიჰქონდა იერიში, ფეხებში ეტანებოდა საკბენად. ძროხა თავს იცავდა, ტლინკებს ჰყრიდა, ურქენდა, ხან გაეკიდებოდა კიდეც, მაგრამ მალე თავს ანებებდა, გრძნობდა, რომ ძაღლი მასზე ცქვიტი და მარჯვე იყო. და აი, დგანან ერთმანეთის პირისპირ: ძაღლს თავი აუწევია, კბილები დაუკრეჭია, ღრინება, ხან შეჰყეფს კიდეც, ძროხა თავს აქნევს და ფრუტუნებს...

— ვერ უყურებ ამ ოხერ პირუტყვს, აბა თუ მოასვენოს ძაღლი? — წამოიძახებდა ამის დანახვაზე ბიარტური. ის მუდამ ძაღლის მხარეზე იყო.

ბიარტური ჯავრობდა, ვერ მოენელებია, რომ ბავშვებს მადა დაეკარგათ. ძალისძალად ჭამდნენ ეგრეთ წოდებულ მეორეხარისხოვან თევზს — დამარილებულ ქარიყლაპიას და ვირთევზას, შარშანდელ ცვრიან ძეხვს. არასაკადრისად მიაჩნდა ცოლის საქციელიც, დღედაღამ რომ ლოცავდა პირუტყვს, ვისი წყალობითაც დაჰკარგეს ბუნებრივი მადა მისმა შვილებმა, მერე რამდენიმეული გადაყარა ამ თევზში, მათ კი პირის დაკარებაც აღარ უნდათ.

ერთხელ მთისკენ გაირეკეს ძროხა, ბალახით დაფარულ ფართო ხევში აიყვანეს. ქორფა მოლი უკვე ამოწვერილიყო შარშანდელი ჩამჭკნარი ბალახის ღეროებში. ჭაობს ხასხასა მწვანე სამოსი ეცვა, მთელი ხეობა აზურმუხტებულიყო, მაგრამ ძროხას თვალში არ მოუვიდა ეს მიყრუებული კუთხე, დასავლეთისკენ გაქცევას ლამობდა. მეორე დღეს უფროსი ბიჭები გააყოლეს ძროხას, პირუტყვს არც მათთან ყოფნა მოეწონა, თავის ამხანაგებთან უნდოდა, იმ ძროხებთან, უტირედსმირის ბოსელში რომ ედგნენ გვერდით. საათობით გაბმით ბღაოდა, დაბისკენ თავს იშვერდა. ბოლოს აღარ მოერიდა ბიჭებს, აიღო თავი და გაიქცა. დაიწყო ნამდვილი ნადირობა. ფერდობზე. ხრილთან დაეწივნენ ბიჭები, თავზე მარყუჟი გადააცვეს და შინ წაიყვანეს. დაქანცული და მორჩილი იდგა ძროხა სახლის წინ, ყბებზე ძარღვები დაბეროდა, გაოფთრებით აპარტყუნებდა ყურებს და ერთთავად სულ ბღაოდა. ვიდრე ფინა არ მივიდა მასთან. ქალმა პირუტყვს დაუყვავა, ალერსით გადაუსვა ხელი და მასლაათი დაუწყო ადამიანის ცხოვრებაზე. რა კარგია, როცა გყავს მეგობარი, ვისაც შეუძლია დაგამშვიდოს და ნუგეში გცეს ისეთ წუთებში, როცა არსაით გზა აღარა გაქვს. მეორე დღეს ფინამ გადაწყვიტა პატარა

ნოხის გავიყოლებ და თვითონ წავიყვან ძროხას საბალახოდო. დადგა საუცხოო დღეები, ერთფეროვანი — სწორედ ეს არის კარგი დღეების ნიშანი და ამიტომ სამუდამოდ ჩარჩა ბიჭს ხსოვნაში ის გაზაფხული. არაფერი არ ხდება, ცხოვრობ, სუნთქავ და მეტი არც არაფერი გინდა.

ცოტა ხანში საძოვარზე უკვე ამოიწვერა მატყელა, გაიფურჩქნა მოცვის წითელი და თეთრი ყვავილები, ნორჩ ბუჩქებში ბზუოდნენ ფუტკრები, უშენში ფრინველებმა უკვე დადეს პირველი კვერცხი, თუმც ჯერ მაინც არ ცხრებოდნენ, კვლავ სტვენდნენ სიყვარულის სიმღერას. ბორცვებშუა ნაკადულები ბორაკრაკებდა, მწვანედ ხასხასებდა ღარტაფები, სადაც ძროხა ბალახობდა, აზურმუხტებულიყო მთის კალთები, იქვე ამართული იყო კლდეები, სადაც ელფები ცხოვრობდნენ და მთელი დღე მზე კაშკაშებდა. შემდეგ ნისლი ჩამოწვა, ორი დღე არ გამოჩენილა მზე. გორაკები და ბურცოები ნისლში თითქოს უფრო მაღლა აიზიდნენ, მთები კი გაქრნენ, გაუჩინარდნენ, ხავსი უფრო ხასხასა ჩანდა ბურცოებზე, ყვავილების სურნელება უფრო ძლიერ იფრქვეოდა, ბალახი ცვრით დაინამა, ძვირფასი მარგალიტის ძაფი მოედო მიწას და ბალახს.

ნისლი მსუბუქი იყო, გაბერვირვალე, ცა შიგ იხედებოდა, მაგრამ აი, ჰორიზონტი მოახლოვდა, ღარტაფებს ზედ გადმოეფარა, ბურცოებმა კი თითქოს ცას მიაბჯინეს წვერი, ზევით მიიწევდა სურნელებაც, ის ბალახიცა და სიმღერაც. თითქოს შენც იქ ცხოვრობო, ღრუბლებში. ძროხა ენის რიტმიული მოძრაობით გლეჯდა ბალახს, ხან ნაკადულზე გადმოხრილ ტირიფის ტოტებს ეტანებოდა. ბიჭმა ღარტაფის პირას მოიკალათა, საქსოვით ხელში მჯდარი დედის გვერდით. და ისინი თვალს აღევნებდნენ ძროხას, ბალახს, ნაკადულს — ირგვლივ ყველაფერს.

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ერთხელ ეს კაცი თავისი ხუტორიდან სხვა ხუტორში წავიდა. უცებ ნისლი ჩამოწვა და გზა აებნა მგზავრს, იბორიალა, იბორიალა, ნაკადულს მიადგა და მოეჩვენა, თითქოს წყალმა აღმა იწყო დენა, მთისკენ. ბოლოს კლდეებსა და წაწვეტებულ ლოდებშუა ამოჰყო თავი, ირგვლივ უზარმაზარი, სწორედ აყუდებული კლდეები ამართულიყო და კაცმა გაიფიქრა, ალბათ ვეღარ გავაღწევ აქედანაო. ამ დროს ბურუსიდან გამოვიდა ცისფერ კაბაში გამოწყობილი ქალი, თავზე თეთრი ჩაჩი ეხურა, გამომყევიო, უთხრა იმ კაცს და წინ გაუძღვა. ცოტა ხანში მიიყვანა თავის კოხტა, დაწკრიალებულ ხუტორში, ხმა არ ამოუღია, ისე დაუდგა მგზავრს წინ მათლაფით წვენი. მან იმდენი ჭამა, რამდენიც სურდა, მერე მსუქანი ხორცი და ყავა მიართვა. კარგად რომ დანაყრდა მგზავრი, ქალი ისევ წინ გაუძღვა და გზაზე გაიყვანა. ნისლი უკვე აკრებილიყო, მგზავრმა იცნო ის ადგილი, სადაც

ქალმა მიიყვანა, მადლობა უნდა ეთქვა მისთვის მასპინძლობისა და დახმარებისათვის, მიიხედა უკან და ვეღარ იხილა თავისი მხსნელი, ცისფერკაბიანი ქალი გაუჩინარებულიყო, აღარც ხუტორი ჩანდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, იმ ადგილზე ჩვეულებრივი კლდე იდგა, აღარც წვეტიანი უშველებელი ლოდები იყო სადმე, ნაკადულიც თავქვე მიჩუხჩუხებდა".

„იყო და არა იყო რა, იყო კიდევ ერთი კაცი. გაზაფხულის ერთ მრუმე ღამეს ეს კაცი, ძალზე დაქანცული და გულდამძიმებული, შინ მიდიოდა. თურმე მამასახლისსა და ვაჭარს წაეჩხუბა, განწირული იყო, ქვეყნად არავის იმედი არ ჰქონდა. მრევლის კმაყოფაზე უნდა გადასულიყო. ვალის გადახდა ვერ მოახერხა, ვაჭარმა სურსათი აღარ მისცა, მამასახლისი კი დაემუქრა, სახლს წაგართმევო. ვინ იცის, საით უკრავენ თავს ჩემს ცოლ-შვილს, ბავშვებს აქეთ-იქით დაქსაქსავენ, სამუშაო დღეებში ჯაფით ჯანს გააგდებინებენ, შიმშილით სულს ამოხდიან, უქმეებში ქიმუნჯებით გაუმასპინძლდებიანო, ფიქრობდა გულმოკლული კაცი. შინ ჯალაბი მიელოდა, ის კი ხელცარიელი მიდიოდა. ნაგრამ ისეთი ამაყი იყო, რომ დახმარებას არავის სთხოვდა. დიახ, მძიმე იყო იმ კაცის ნაბიჯი, მაგრამ განა მარტო იმისი? ვინ მოსთვლის იმ ღამით კიდევ რამდენი მიაბიჯებდა ასე. რა უნდა ექნა?

უცებ კლდეში შუქი გამოკრთა.

ხშირად ჩაუვლია მას იმ კლდეებთან, ღამითაც. ბინდშიც და გაუკვირდა. ნეტა ეს შუქი საიდან გაჩნდაო. ამასობაში მიატანა კიდეც იმ ადგილს და რას ხედავს: მის წინ პატარა ხუტორია, ჭიშკართან კაცი დგას, ძალიან მოეწონა მგზავრს უცნობი: ეს იყო იმ ხუტორის პატრონი — ელფი. ელფმა საუბარი გაუბა კაცს, თავაზიანად, მოკრძალებით, დინჯად ლაპარაკობდა. ელფები სულ ასეთები არიან, მათ ხომ საზრუნავი არა აქვთ რა. მხოლოდ სიკეთეს ეძებენ და პოულობენ კიდეც. იმ კლდესთან გლეხს ყავა მიართვეს, ძალიან ტკბილი. ნაღებიანი და თვითონაც ვერ მიხვდა, უცნობს გულის ნადები როგორ გადაუშალა, უამბო თავისი გასაჭირი. გამომშვიდობებისას ელფმა უთხრა: „ხვალ. როგორც კი გაიღვიძებ, გარეთ გადი და მიმოიხედეო".

გლეხი შინ წავიდა. მის ჯალაბს უკვე ეძინა, ვერ გაბედა მათი გაღვიძება. რომ ეამბნა თავს დატეხილი უბედურება. დილით როცა თვალი გაახილა, აღგა, გავიდა გარეთ და რას ხედავს: ზედ ზღურბლთან აწყვია ფქვილით სავსე პარკები, შაქრით სავსე ყუთები, საუცხოო თევზი ტომრებით. ისეთი თევზი ქალაურ ხალხს თვალითაც არ უნახავს, დოქით სიროპიც კი დგას".

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი. უშენში, ხეობაში ცხოვრობდა უცხო ხალხთან. ოჯახის პატრონს ბიჭი საყდარში არასოდეს არ მიჰყავდა. ამ ბიჭუნას და-ძმა არ ჰყავდა. ერთ ზაფხულს, კვირა დილას, ჩვეულებისამებრ

ყველანი გამოიპრანჭნენ საგარეო სამოსში, შესხდნენ ცხენებზე და საყდარში წავიდნენ. ბიჭი იდგა, გასცქეროდა, როგორ დაუყვნენ მხედრები მდინარის გასწვრივ ბილიკს და მტვრის კორიანტელში გაეხვივნენ, შინ მისი და მოხუცების გარდა არავინ დარჩენილა. როგორ ფიქრობ, გული ეტკინა ბიჭს, თუ ეოა? ცრემლი წასკდა საცოდავ ბავშვს, გამოვიდა ხუტორიდან. აუყვა აღმართს მთისკენ. მიდიოდა და ფიქრობდა, ცხოვრებაში კეთილს მუდამ რატომ სძლევს პოროტიო, თითქოს ცხოვრებას სწორედ ეს ბოროტი წარმართავსო. მაგრამ იცი, რა გაიგონა იმ ბიჭმა კლდეებს შორის, მთის ძირში? ტკბილი გალობა ერთი, ორი ან სამი ადამიანის ხმა კი არა, მთელი მრევლი გალობდა. საეკლესიო მსახურებას ასრულებდნენ. ასეთი ტკბილი ფსალმუნი ჯერ არასოდეს მოუსმენია. მიმოიხედა, საიდან მოდის ეს ხმაო და დაინახა, რომ მის წინ კლდე კი არა, საყდარი დგას, კარი ღიაა, იქაურობა მზის შუქითაა გაჩირაღდნებული. საყდარში ელფები სხედან, მწვანე სამოსელში გამოწყობილი პასტორი საკურთხეველთან დგას. შევიდა ის ბიჭი იმ ჯადოსნურ საყდარში: თავის სიცოცხლეში არ ენახა ასეთი კეთილშობილი, ბედნიერი ხალხი. აი რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ერთმანეთში მშვიდობა და თანხმობა სუფევს, როცა ცხოვრებას გალობით ალამაზებენ. ფსალმუნის გალობა რომ დაამთავრეს. პასტორი ამბიონზე ავიდა. არასოდეს, არც მანამდე, აღარც შემდეგ არ გაუგონია ბავშვს ისეთი ქადაგება, სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში პასტორის სიტყვები და შემდეგ სულ იმაზე ფიქრობდა, რაც იქ გაიგონა, სულ იმის ცდაში იყო, ისე ეცხოვრა, როგორც იმ ქადაგებით მოუწოდებდა პასტორი თავის მრევლს, მაგრამ იქ მოსმენილი არავისთვის არ გაუმხელია. იქნებ პასტორი იმაზე ლაპარაკობდა, ადრე თუ გვიან ცხოვრებაში მაინც კეთილი გაიმარჯვებსო? შემდეგ პასტორი ისევ საკურთხეველთან მივიდა და წირვა დაიწყო. ისეთი გულში ჩამწვდომი, ტკბილი ხმით გალობდა, ჩვენი მიწიერი პასტორები ისე ვერაფოდეს ვერ იგალობებენ. ბიჭს მოეჩვენა. თითქოს გულზე ნაზად, ალერსიანად შეახო ვიღაცამ ხელი. გალობა დამთავრდა, წავიდა ყველა. ბიჭიც გამოვიდა საყდრიდან, მოიხედა უკან და აღარსად იყო საყდარი. აღარც ხალხი, გაქრა ყველაფერი, დარჩა მხოლოდ ის ჯადოსნური კლდე, სალი, შიშველი, როგორიც იყო მუდამ. კლდის ნაპრალებიდან სტვენა-ყივყივით გამოფრთხიალდნენ ჩიტები. ბიჭი ხშირად ადიოდა იქ, მაგრამ მას შემდეგ ჯადოსნური კლდე აღარ გაპობილა. იქ ნანახი და განცდილი კი სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში, ეს მოგონება ჰგვრიდა შვება-ნუგეშს. როცა გრძნობდა, რარიგ დაბეჩავებული და უბედურია. იგი თავდაბალი ადამიანი იყო და არ ემდუროდა თავის ბედს".

თეთრი ნისლით მობურვილი ციდან, სადაც უტკბილეს აღთქმასავით იმალებოდა მზე, დედას ურიცხვი მბზინავი მარგალიტი სცემდა ოიმაზე. ზღაპარი

რომ დაამთავრა, დედამ ისეთი ზეიმური სერიოზულობით მოკუმა ტუჩი, გეკონებათ, საღვთო თქმულებაზე ლაპარაკობდაო. თან ფრთხილად დაუსვა საქსოვს ხელი. ირგვლივ ყველაფერს თითქოს რაღაც დიადი იდუმალების სიომ დაჰქროლა, ღრმად, მშვიდად სუნთქავდნენ. დედის ყველაზე საუკეთესო შეგობარი ფერია იყო, ელფსაც იცნობდა, იმ ფერიის ძმას, მაგრამ ეს დიდი, დიდი ხნის წინათ იყო, ურდარსელში.

— ნუთუ თვალი ჩამივარდა? — ჩაილაპარაკა დედამ და ამოიოხრა. — ჰო, დიდი. დიდი ხნის წინათ იყო, ახლა რა მნიშვნელობა აქვს ამას? რაც იყო, ალარასოდეს არ დაბრუნდება.

ნონის კი ეჩვენებოდა, რომ ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია ეს, ამიტომ უთხრა დედას, მოდი შენს მეგობრებთან წავიდეთ, ჩვენც ელფებად ვადავიქცეთ, ვიდრე მამა და აუსტა ფიორდს იქნებიანო.

— ბუკოდლაც თან წავიყვანოთ, დედიკო, — სთხოვა ბიჭმა.

— არა, გვიანაა უკვე, — თქვა ჩაფიქრებით დედამ, — გარდა ამისა, ბებიას ვინ მოუვლის?

ამაზე ბიჭმა ვეღარ უპასუხა, სახეში მიაჩერდა დედას, აკვირდებოდა. იმაზე მშვენიერი ქვეყნად არავინ იყო, ქვეყნად ვერაფერი შეედრებოდა იმ დიდ სიკეთეს, სევდას, სინაზეს, რასაც ეს სახე გამოხატავდა. დიდი ხნის შემდეგ, როცა ნონის აგონდებოდა ის გარდასული დღეები, ყველაზე უწინ დედის სახე ცოცხლდებოდა მის წარმოსახვაში და ეჩვენებოდა, თითქოს იგი შეერწყა ლურჯ მიეებს, თითქოს მათთან ერთად განიცადა ამ დიადი სილამაზის ჭვრეტის ბედნიერება. ნონი მთელი არსებით ისევნებდა, კრძალვით, მოწიწებით აღვსილი იმ ძალისადმი, რომელიც აერთიანებს, ათანაბრებს დიდსა და მცირეს, სილამაზისა და სევდის ერთ ნაკადად აქცევს მას, მაშინ ქრება გულისთქმა, ყოველგვარი წადილი და განსაცდელის მძიმე ტვირთქვეშაც, მოუნელებელი სევდის წუთებშიც კი ფიქრობდა, ცხოვრება მაინც ღირს იმად, რომ ბოლომდე იცხოვროო.

როცა დადუმდება ვიოლინო,
ცაზე ისადგურებს შებინდება.
ბისლი სიზმარივით მირონინობს
და ველს თოვლნამქერი ეფინება.
როცა ფერმკრთალდება ცის ნაპირი
და თვალს ეშორება ველიანი,
მე ჩემს სათაყვანო ისლანდიელს
სიზმრად ვინახულებ ცრემლიანი.
გული უგულობით ვეღარ გაძლებს,
გულთა დაშორება რატომ ხდება?!

ალბათ ორი სიმი ერთ საკრავზე
ასე არასოდეს ატოკდება.
უცებ დაიწივლებს სიმი ერთი...
წყდება სიყვარული...
მაინც არ ისვენებს...
მერე გარდასულს და დავიწყებულს
გული სინანულით გაიხსენებს.

დედამ სიმღერა ასწავლა. როცა ბიჭი გაიზარდა და გაიგონა ზღვის ჰანგი, მაშინ იგრძნო, რომ დედის სიმღერების გახსენებაზე დიდი ბედნიერება არ არის რა. იმ სიმღერებში ჩაქსოვილი იყო კაცობრიობის ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი ოცნებანი. ბორკვები, სადაც დედა იჯდა ხოლმე, მის წარმოსახვაში იზრდებოდა, მთებად იქცეოდა, წვერით ცას ებჯინებოდა. მგალობელი ფრინველებიც კი გაოცებული უსმენდნენ მის სიმღერას ცხოვრების უმშვენიერეს ჰიმნს.

თავი ოცდამეთოთხმეტე

სამყაროს შესახებ

ივანობის წინა ღამეს ვინც მდინარეში გაებანება, შეუძლია სურვილი ჩაუთქვას.

ნორჩი, ტანკენარი აუსტა სოულილია ნაკადულის ნაპირს მიჰყვება, ჩადის ჭაობისკენ, შიშველ ფეხებს მიაშხლაპუნებს ტალახში. აუსტა ხვალ ქალაქში წავა, საკუთარი თვალით იხილავს სამყაროს.

უკვე დიდი ხანია, რაც აუსტა წინასწარ ტკბებოდა ამ სიხარულით, დღე-დაღამ ამაზე ოცნებობდა. ჯერ კიდევ ზამთარში ყოველ საღამოს ამ საოცნებო დღეზე ფიქრში იძინებდა. ასჯერ, ათასჯერ, სიზმრად თუ ცხადში ელანდებოდა ქალაქი. უკანასკნელი რამდენიმე ღამე დაძინებისა ეშინოდა, თვალგახელილი იწვა მომავალი ნეტარების მოლოდინში. დღევანდელმა დღემ შორით მონაბერი ქარივით ჩაუქროლა, გოგონას თითის წვერები დაუბუქდა, სახეზე ალმური ასდიოდა, არ ესმოდა, ვინ რაზე ლაპარაკობდა ოჯახში. აუსტამ რა ხანია მოიქსოვა მორუხო-ლურჯი წმინდა შალის ქვედა საცვალი და საგულდაგულოდ ინახავდა. ყოველ კვირა დღეს ამოიღებდა სკივრიდან საცვალს, მისი ცქერით ვერ ძღებოდა. ყავისფერი შალის ქვედატანიც მოიქსოვა, წითელი და ლურჯი ზოლები ჩააყოლა მთელ სიგრძეზე. ამ საღამოს კი მამამ დიდი სკივრი

ქალი. ოჯახში მარტო ამ საცავს ედო კლიტე და საგარეო ქურთუკში გახვეული კაბა ამოიღო.

— ჯერ ძალიან გამსდარი კი ხარ, — უთხრა მამამ, — მაგრამ მე მგონია, საინც დროა, დედაშენის საგარეო კაბა ჩაიცვა. ჩემი ქალი რომ ხალხში გამოჩნდება, რიგიანად უნდა ეცვას, აბა, თავს ხომ არ შეირცხვენს.

აუსტა სიხარულით წამოეენთო, თვალები გაუბრწყინდა. ეს იყო ნამდვილი საზეიმო წუთი, მართალია, წლების მანძილზე სკივრში ქსოვილი გაცრეცილიყო, გათხელებულიყო, მაგრამ ჩრჩილი არ მიჰკარებოდა, ვერც ნესტს ევნო რამე. ზღვისიქითური ღია ფერის ყვავილებით მოჩითული ქსოვილისგან იყო შეკერილი ეს კაბა, მკერდთან ფურჩალები ჰქონდა ასხმული. ბოლო ოცეულებში აუსტა სოულილია საგრძნობლად კი მოჩიტდა, უმაწვილქალური მომრგვალებაც დაეტყო მის ტანს, მაგრამ ჯერ მაინც გაჩხიკული მოზარდი იყო და ქალის კაბა. რა თქმა უნდა, არ მოერგებოდა. არც წელი ჰქონდა წელის ადგილზე. მხოლოდ ეშნოდ ჩამოეკიდა.

— ერთი შეხედეთ, ნამდვილი საფრთხობელა არ არის, რედსმირში რომ დგას. მდელოზე? — თქვა ჰელგამ.

მამამ ჰელგა გარეთ გააპანღურა.

კაბა მაინც შეენოდა გოგონას. მადლიერებით გულაჩუყებული ბავშვი ძალას კისერზე შემოეკვდა. ის თბილი ადგილი იპოვა წვერქვეშ და სახით მიეკრა. ბოლო ხანებში აუსტას ბაგეც დაუმსხვილდა. გვერდიდან ქვედა ტუჩი, თითქოს ოდნავ წინ წამოწეული მოუჩანდა, მაგრამ ლამაზად მოხაზული ჰქონდა. პირის ირგვლივ უკვე დაეტყო ისეთი ხაზი, როგორიც დიდებს აქვთ. სულ ბავშვი... მამის წვერი ქუთუთოებზე უხიცინებდა.

თბილი ტალახი კანჭებზე ეშხაპუნებოდა აუსტას, ფეხქვეშ ჭყაპა-ჭყუპი გაედიოდა. ამელამ აუსტა ცვარში გაებანება. თითქოს პირველად იგრძნოო თავისი სხეული. მდინარის ყურეში მდგარი ყანჩები თავდაკვრით ესალმებოდნენ გოგონას. ოცნობის წინა ღამეს ჭაობის არც ერთი ფრინველი არ არის ისე თავაზიანი, როგორც ყანჩა. შუაღამემ დაჰკრა, პირველი საათი დაიწყო. ჭაობში მეუფეს გაზაფხულის ღამე, ვით ნორჩი მზეთუნახავი.

ჩავიდეს თუ არ ჩავიდეს? აუსტა ყოყმანობს, ფეხის წვერებზე მიიპარება და აი უკვე დღეა. გამქვირვალე ნისლი იკრიბება ჭაობიდან, ზევით, ფერდობზე მიცურავს, სარტყელივით ერტყმის მთის წელს, მოკრძალებით უფარავს კალთას. ტბის მოსარკულ ზედაპირზე უცნაური არსების სილუეტი გამოჩნდა. წყლის კაცი ხომ არ არის?

ღარტაფი მდინარის ნაპირას — სწორედ აქეთ მოდის ცვრიან მიწაზე აღბეჭდილი ორი უსუსური ფეხის ნაკვალევი. ფრინველები დადუმდნენ. აუსტა

მდინარის ნაპირას ზის და ყურს უგდებს. იხდის გაცრეცილ საშინაო კაბას — ამ ცის ქვეშ, რომელსაც ძალუძს წაშალოს მთელი ცხოვრების ბნელი ზამთრის შოგონება, ივანობა ღამის ცის ქვეშ, და ამ ღამის ნორჩი ქალღმერთი, უკვე რომ გაუსხივოსნებია მზის შუქს, სრულყოფილია თავისი ქალწულებრივი სიშიშვლით. არაფერია იმაზე ძვირფასი, როგორც მღელვარე ღამე მოლოდინისა, ძვირფასია მისი იდუმალება, მისი ცვარ ნამი. სული და სხეული ერთ განუყოფელ მთელად იქცევა და წმიდაა მისი ლტოლვანი. აუსტამ მდინარეში თავი დაიბანა, საგულდაგულოდ დაივარცხნა თმა, ფეხები წყალში ჰქონდა ჩაყოფილი, თითები სილიან ფსკერში ჩაფლული. წყლის უცნაური ფრინველები ცურვით გარს უვლიდნენ, მერე უცებ რაღაცნაირი თავაზით და მოკრძალებით შემობრუნდებოდნენ მისკენ, როცა იგი სულ არ ელოდა ამას და თითქოს სალმის ნიშნად მდაბლად თავს ხრიდნენ. არავინ, ქვეყნად არავინ ცის ასეთი თავაზიანი სალამი.

გოგონა გაითოშა, წყლის ნაპირზე მოჰყვა სირბილს, ისეთ დაკლაკნილ, მიხვეულ-მოხვეულ კვალს ტოვებდა, როგორც მსოფლიოს დედაქალაქების ქუჩებია მიხვეულ-მოხვეული. თვითონ ისეთი ჰაეროვანი იყო, თითქოს ცვრისგან არის შექმნილიო, როგორც თვით ნისლი. უცნაური იყო ეს ლაქა მზიანი ღამის ცვარდაკრულ მწვანე ლანდშაფტზე. პატარა ხანი ირბინა ნაპირზე და გათბა.

გაიღვიძეს ფრინველებმა, ცა აელვარდა უხვი ფერებით, ერთი საათის შემდეგ მზე შეაცურებს სხივებს ცვარში, დევისპირას ფოთლებზე და ცვარი გაქრება მზის სხივებში — ივანობა ღამის ეს წმიდათა წმიდა ცვარი.

ამოიწვერა თუ არა მზე, ბიარტური ლოგინიდან წამოდგა, ერთი დიდი მწიკვი ბურნუთი აიღო და ჩაცმა დაიწყო. ნუთუ აუსტა სოულილიას ასეთ დიად დღეს გაღვიძება დაუგვიანდა? არა, ეს შეუძლებელია! გოგონა ადგა, თვალებს იფშვნეტს, რომ გადაიყაროს უძილო ღამის ზმანებები, მამას შეჰყურებს, ვიდრე ის ტანთ იცვამს. ბიარტური ცხენის შესაკაზმად წავიდა. აუსტამ თავისი ახალი საცვლები ამოალაგა სკივრიდან და ჩაიცვა სუფთა ტანზე, გუშინ რომ პირველად განიბანა მდინარეში, ტანზე, რომელიც გუშინ პირველად აღმოაჩინა, თითქოს ეს-ესაა უბოძესო. შალის ქვედატანი და შალის წინდები ჩაიცვა, ცხვრის ტყავის ხმალი და ახალი, დედისეული კაბა. დაფაცურობდა, აქეთ-იქით აწყდებოდა ოთახში. დედინაცვალი ყავას ხარშავდა. ბებიაც ადგა და როგორც ჩვევა ჰქონდა, საჩვენებელი თითი ჩაიყო უკბილო პირში.

— სათბურას წაღება არ დაგავიწყდეს, საბრალო ბავშვო. ამინდი თუ გაფუჭდა, მაგ თხელ კაბაში გაილუმპები.

ბებიის ასეთი ლაპარაკი აბა რა გასაკვირია. განა აუსტას აზრად მოუვიდოდა ხალხში ეს ჭუჭყიანი, დაფხრეწილი სათბურა გამოეჩინა?

— მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ თქვენი წამოვა.

— ცაზე ერთი ღრუბელი არ ჩანს, — მიუგო აუსტამ.

— ნუ ენდობი, გოგონი, კარგ ამინდს. გონს რომ მოხვალ, უკვე გვიან იქნება.

მაგრამ ასეთ ნათელ დღეს მხოლოდ კარგის გჯერა. მზე დაკაშკაშებს მწვანედ მოღაღანე ველს, ოცნებაში წასული ლურჯი მთები უდარდელად გაწოლილან ლაჟვარდი ცის ქვეშ, როგორც ფუფუნებაში აღზრდილი ბავშვები. გაბრწყინებულები, ბედნიერები, თითქოს არასოდეს ერთი ჩრდილიც არ დაეცემაო ამ უძირო მარადიულ ცაში მოკაშკაშე მზეს. ასეთ დილას ძველი დაგლეჯილი სათბურას ამოღება ავდრისგან თავდასაცავად იგივეა, რომ განგებგული ავიმღვრიოთ ავი ფიქრებით. და აუსტა სოულილია გამოემშვიდობა თავის ბუზღუნა ბებიას.

გოგონა უკვე დაადგა ფართო სამყაროსკენ მიმავალ გზას, მიაბიჯებს მამასთან ერთად. ბებერი ბლესი მატყლით დატვირთულ ოთხთვალას მიათრევს. შარაგზაზე რომ გავიდნენ, მამამ აუსტას მატყლის ტომრებზე დაჯდომინება დართო, თვითონ კი წინ მიუძღოდა ცხენს, სადავით მიჰყავდა. საამური დილა იყო. მომავალი დღისგან აუსტა არასოდეს არ ელოდა ისეთ დიდ რამეს, როგორც ახლა, თითქოს ეს არის ტყვეობიდან იხსნესო. ახალ-ახალი სივრცე იშლებოდა მის წინ, ცხოვრების უფერული, უღიმღამო დღეები თითქოს უკან ჩამოიტოვა. ისეთი გამახალისებელი, სურნელოვანი სიგრილე მოჰქონდა გაზაფხულის სიოს, ისე საამურად უხიცინებდა ნესტოებში, რომ არასოდეს უგრძვნია მსგავსი რამ. ფრინველთ სტვენა-გალობაც სხვაგვარი ეჩვენებოდა, ექოც კი აქ სულ ახლებურად ყღერდა, არც ჩიტები ჰგვანდნენ მათ ხეობის ფრინველთ, ეს ჩიტები ხომ სულ სხვა სამყაროსათვის გალობდნენ. გზის გაყოლებით ამართულ ბორცვებს ფორმა და საბურველი შეეცვალა. შეიცვალა მთების მოხაზულობა, უკან დარჩა ნაცნობ მთათა მწვერვალები, მდინარეებიც სხვა მიმართულებით მიედინებოდა, ღარტაფებში მიმალული უცხო ყვავილები უცნაური სურნელით აბრუებდა გამოუცდელ მოგზაურს. ოთხთვალა უმოწყალოდ ანჯღრევდა, ზევით ისროდა აუსტას. გზა ცუდი იყო, მაგრამ გოგონა ხარბად. მთელი თავისი გრძნობებით აღიქვამდა დღისა და გზის ყოველ წვირლმანს და ყველაფერი ისე ახალი ეჩვენებოდა, ვით პირველი დილა სამყაროს შექმნის შემდეგ.

მანანის ბუჩქებით დაფარული გორაკის კალთას აღმა მიუყვებოდნენ. ყო-

ველ თხემზე ეგებებოდნენ არნახული, უცხო ფრინველები და სტევენა-ჟღურ-ტულით აცილებდნენ მეორე თხემამდე. ასე მიაღწიეს უშენს. შუადღე იყო. თანდათან შეთხელდა მცენარეულობა და ბუჩქნარი, ცივმა ქარმა დაჰბერა და პატარა ქალს თვალწინ გადაეფინა ერთფეროვანი, რუხი უშენი, ფრინველები იშვიათადღა ხვღებოდათ, არსად ჩანდა ნაკადულები. საღღაც შორს, ძალიან შორს ლაპლაპებდა თეთრი ტბა. ერთიმეორეს ტალღებივით მისდევდა თიხნარი, შიშველი, თითქოს ქარს საგულდაგულოდ მოუხვეტიაო, ქვით დახორგილი ფერდობები, აქა-იქ ლაქასავით რომ ხავსი მოსდებოდა და მწირი მცენარეულობა. ერთ-ერთ ბორცვზე ცხვრებისა და ბატკნების ფარა მიფიცხებოდა მზეს და ბალახს ცოხნიდა, მგზავრების დანახვაზე დაფრთხა, გაიფანტა. გოგონა დროდადრო გადმოდიოდა ოთხთვალიდან, რომ სიარულში გამთბარიყო და მამას მ~ჰყვებოდა გვერდით, ფართო, ჩამოფართხუნებულ ჭრელ კაბაში გამოწყობილი. მიყრუებული და უკაცრიელი უშენის სიცივემ სევდა მოჰგვარა ორივე მგზავრს, არც ერთი არ იღებდა ხმას. აუსტას შიოდა, ერთფეროვანმა ლანდშაფტმა ხალისი დაუკარგა, ველარ ამჩნევდა უხილავსა და უცნობს, სიხარულით აღარ უძგერდა გული.

გოგონა სულ ელოდა, შემდეგ მოსახვევში რაღაც ცვლილებას, რაღაც ახალს დავინახავო, მაგრამ სურათი არ იცვლებოდა, ერთფეროვნებას არ უჩანდა დასასრული, თეთრი ტბა რახანია უკან ჩამოიტოვეს, აუსტა კი დაიღალა რაღაც განსაკუთრებულის ლოდინით. დაიწყო დაღმართი, დაჰყვნენ ხევის პირს, ქვევით მდინარე მიედინებოდა. აუსტამ აღმოსავლეთით, ხეობის იქით გაიხედა, იქნებ თხემს კიდევ მოვკრა თვალიო, მაგრამ ვერაფერი დაინახა და უცებ, თითქოს სამყარო ჩაიქცა, ძის ადგილზე დარჩა მხოლოდ უძირო ცის გაგრძელება, ოღონდ ეს ცა რაღაც უფრო ახლებური იყო, უფრო მოლურჯო. იქნებ ჰორიზონტზე ცა მოლურჯო-მომწვანო მოლაპლაპე მინის კედელს ებჯინება? ეს ახლებური სილურჯე ცის ქვეშ თითქოს შორეთის მთელ იდუმალებას მოიცავდა. და ამ უკიდეგანო სივრცით მოხიბლული გოგონა წამით შედგა, მას ეგონა, რომ მიაღწია ქვეყნის დასასრულს.

— მამი, — ჰკითხა გაუბედავად აუსტამ, — სადა ვართ?

— სად? უშენის აღმოსავლეთ ნაპირს მივაღწიეთ. ეს კი ზღვა არის.

— ზღვა! — დაიჩურჩულა გაოცებულმა აუსტამ, თან თვალს ვერ აშორებდა აღმოსავლეთით გადაჭიმულ ლურჯ საბურველს. აღტაცების ჟრუანტელმა დაუარა ტანში, როგორც კი გაიფიქრა, რომ ასეთი ბედნიერება ეღირსა. უშენის აღმოსავლეთ ნაპირზე დგას. იყურება იქით. სადაც მთავრდება დედამიწა და იწყება ოკეანე. მსოფლიო ოკეანე.

— ზღვის იქით მხარეს არაფერია? — ჰკითხა გოგონამ მამას.

— როგორ არა, იქით უცბო ქვეყნებია, — უპასუხა მამამ. ეამაყებოდა, რომ შეეძლო ბავშვისთვის აეხსნა, რაც მან იცოდა,—ქვეყნები და სამეფოები, რომლებზეც წიგნებში წერია.

— ჰო! — აღტაცებით აღმოხდა აუსტას.

მერეღა მიხვდა გოგონა, რა სულელური რამ ჰკითხა მამას. აკი უნდა სცოდნოდა, რომ სწორედ იმ ზღვაში ცურავდნენ სახელისა და დიდების მოსახვეჭად ახალგაზრდა გმირები, რომელთა შესახებ წიგნებში წაუკითხავს, და რომ ამ ზღვის იქით მდებარეობს ზღაპრული ქვეყანა. დახე, როგორ გაუღიმა ბედმა. მან იხილა ზღვა, იმ ზღაპრულ ქვეყნებს რომ გარს ეკვრის. ეს ხომ ზღვაა— საიდანაც იწყება გზა ზღაპრული, ჯადოსნური სამყაროსაკენ. ფერდობი რომ აათავეს, აღმოსავლეთ თხემზე მოიკალათეს დასასვენებლად. აუსტას მთლად გადაავიწყდა შიმშილი და, ამ სასწაულით მოხიბლული, დადუმებული გასცქეროდა ზღვას. ვერა, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ ასე უკიდეგანო იქნებოდა ზღვა.

აღმოსავლეთ მხარეს უშენი უფრო ციცაბოდ ეშვებოდა ქვევით. მალე გამოჩნდა კიდეც ქალაქის სახლების სახურავები, მუქი ყავისფერი ბოსტნები, ისარივით სწორი კვლებით. ქალაქი აუსტას წარმოდგენაში რაღაც არაჩვეულებრივი რამ უნდა ყოფილიყო, იმას კი ვერ მოისაზრებდა, თუ ამდენი კოპწია სახლი — ისეთი, როგორიც უტირედსმირში იდგა — შეიძლებოდა ერთიმეორის მიჯრით მოთავსებულიყო ქუჩის პატარა მონაკვეთზე. ამ სახლების მილებიდან ამოსული კვამლის სუნი სურნელოვანიც კი ეჩვენა — აბა, ტორფის მყრალ მხუთრს ხომ არა ჰგავდა, ზაფხულის საკანეში რომ ტრიალებდა. ცოტაც გაიარეს და გაუსწორდნენ კიდეც ფერდობის კალთაზე მიკრულ პირველ სახლებს. ხალხიც შემოხვდათ, ვინ ფეხით მოდიოდა, ვინ ფორნით, ზოგიც ცხენზე იჯდა. აგერ გამოჩნდა კოხტად გამოწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი, ყველას პაპიროსი ჰქონდა პირში გაჩრილი, გახამებულ საყელოზე ჰალსტუხი ეკეთათ — ასე გამოპრანჭვა სადაგ დღეს? როგორც ჩანდა, მეტისმეტად მხიარული ახალგაზრდები იყვნენ: აუსტას რომ შეხედეს, გადაიხარხარეს, მაგრამ ჩაუარეს თუ არა, დაავიწყდათ მისი არსებობა.

— მამი, ვინ არიან ეს ახალგაზრდები? — ჰკითხა ბიარტურს აუსტამ.

ბიარტური სულაც არ იყო აღტაცებული იმ ყმაწვილებით.

— ვინ არიან და ქარაფშუტები. მაგათ პაპიროსის ქაჩვის მეტი არა იციან რა.

აი, გავიდნენ ქვით მოკირწყლულ ქუჩაზე, გაჰყვნენ მიჯრით მდგარ კოპწია სახლებს. ფანჯრებზე ყველგან ფარდები იყო ჩამოფარებული, ქოთნებით იდგა ყვავილები. „ღმერთო ძლიერო, რა არ იზრდება ქვეყნად“,—გაიფიქრა აუსტამ, ამ დროს ორი ახალგაზრდა ქალიშვილი გამოჩნდა, ყაითნით შეკრული ხამლი

ეცვათ, პალტოში იყვნენ გამოწყობილი, ერთს წითელი ქუდი ეხურა, მეორეს ლურჯი. ისეთი კოხტაპრუწები იყვნენ, რომ ერთი მათგანი შორიდან აუსტამ უტირედსმირელ ოდურს შიამსგავსა. როცა ქალიშვილები მიუახლოვდნენ, აუსტა გაოცდა და დაიბნა. მეორე ქალიშვილიც ზედგამოჭრილი ოდური იყო.

ქალაქელი ჩვეულებრივი ქალიშვილები იყვნენ. გვერდით რომ ჩაუარეს მგზავრებს, ჩაიხითხითეს. ალბათ, ფიორდში სიცილი და მხიარულება ჩვეულებრივი ამბავია.

ბიარტურს ყურადღება არ მიუქცევია მათთვის, მაგრამ როცა აუსტამ ჰკითხა. ესენი ვინღა არიანო, ბიარტურმა უპასუხა:

— ეგ ქალიშვილები? ზედ ეტყობათ, რომ უსირცხვილოები იქნებიან, ერთთავად ცუდაობაში რომ ატარებენ წუთისოფელს და მშობლებს კისერზე აზიან.

თანდათან უფრო მეტიდროდ ეკვროდა სახლები ერთმანეთს, მათ შუა ეზოს ადგილიც კი არ ჩანდა, საძოვარზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. ქუჩაში მოქალაქეები და ჩამოსული ხალხი ირეოდა, დატვირთული ცხენები, ეტლები, ზღვაში კი ხომალდები იდგა. აუსტამ იმდენი რამ ნახა ახალი, რომ შეკითხვებით დაიღალა, რეტი დაესხა, ეჩვენებოდა, თითქოს სიზმარში მიჰქროდა სადღაც. ირგვლივ უცხო ხალხი ფუსფუსებდა. ერთიმეორეს არც კი ესალმებოდნენ. გონს მოსვლა ვერ მოასწრო გოგონამ, რომ უკვე ბრუნის მაღაზიაში იდგა დახლთან, მამის გვერდით. მაღაზია გაჭედილი იყო ყოველგვარი საქონლით, რასაც კი ჰქმნის მსოფლიო კულტურა. ანგელოზის ფრთებივით ქათქათა, თეთრი წინდები, საწვიმარი ლაბადები, ფინჯნები ზედ ამოზნექილი ყვავილებით, ნავთქურები, საღეჭი თამბაქო. დახლს უკან კარგად ჩაცმული წარმოსადეგი მამაკაცები იდგნენ, რაღაცას იწერდნენ დავთარში და მუშტარს ოქროს ძეწკვებს უჩვენებდნენ. ჩაფართხუნებულ, ჭრელ კაბაში გამოწყობილი გოგონა დაბნეული იდგა, წინდები ჩაჩაჩოდა, ხამლი ტალახში ჰქონდა ამოსვრილი. გაოგნებული იყო ამ დიდებულებით და უაზროდ გაჰყურებდა სივრცეს. ამ დროს მათთან მივიდა საწყობის გამგე, წარმოსადეგი, თავაზიანი კაცი, გაიყვანა ბიარტური ეგრეთ წოდებულ სადარბაზოში, აწონა მათი ჩამოტანილი მატყლი, ერთი-ორჯერ თვალი შეავლო აუსტას და თქვა:

— არც კი ვიცოდი, ბიარტურს თუ ასეთი დიდი გოგო ჰყავდა, თითქმის საპატარძლო. სწორედ ჩემი მანგისთვის იქნება შესაფერი.

ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი, შეაწყვეტინა ბიარტურმა, ტანადაა დიდი, თორემ ხნით პატარაა, ჯერ კონფირმირებულიც არ არისო. მეკუჭნავის სიტყვებზე აუსტა საშინლად გაწითლდა, გულში ემადლიერებოდა მამას, რომ სიტყვა მის ტანადობასა და წლოვანებაზე გადაიტანა. აუსტამ ჯერ არ იცოდა,

რომ ქალაქელები ხშირად ისეთ სისულელეს როშავენ, რაც ხეობაში საძრ-ხისად ითვლება.

შემდეგ აუსტა მამასთან ერთად შევიდა ვაჭრის კანტორაში. გოგონ-ი იცოდა, რომ ვაჭარს ბრუნი ერქვა. აქ კი გამოირკვა, რომ მას სხვა უცნაურ-სახელიც ჰქონია—ტულინიუს იენსენი. კანტორაში შესვლისას ისევ შეცბა-დ-დაფრთხა აუსტა, თითქოს რედსმირის საყდარში წირვის დროს საკურთხეველ-თან უხმესო. მამამისზე კი არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ამას. ს-ერთოდ, მამას ვერაფერი გააკვირვებდა, არც მაშინ დატყობია განცვიფრებ-როცა ტულინიუს იენსენი წამოდგა და მეგობრულად გადაეხვია. როგორც ჩანს, მამა წარჩინებული ხალხისგან შეჩვეულია ალერსიან შეხვედრას.

— მოხარული ვარ, რომ კეთილ და ეროგულ მეგობარს ვხედავ ასე-მძიმე დროში, როცა მეგობარი სანთლით საძებარი გახდა. რასაკვირველ-კრების შესახებ შენც გაიგებდი რამეს.

— რაღაც-რაღაცეებს კი მოვკარი ყური, — უპასუხა ბიარტურმა, — ჩემ-მდეც მოაღწია ხმამ ზოგიერთების ხიმანკლობაზე, რაღაც კავშირების დაარსებ-შესახებ. ამ გაზაფხულზე ზაფხულის სავანეში სტუმრებიც კი გვეწვივნ-მაგ საქმის თაობაზე. მაგრამ მე ჩემს ადათ-წესებს ვერავინ შემაცვლევინებ-მე საკუთარი ჭკუით ვცხოვრობ და არა სხვების მითითებით. თუნდაც ის სხვებ-უტირედსმირელები იყვნენ.

— კარგადაც იქცევი. რწმუნებული ინგოულფ არნარსონი მოთავეობს ინ-ეგრეთ წოდებულ სამომხმარებლო საზოგადოებას. რამდენიმე დღის წინა-გემით ჩამოიტანეს უვარგისი საქონლის პირველი პარტია და მთელი გლეხ-ბა, ვინც კი ჩემთან ანგარიშის გასწორება მოახერხა, მიაწყდა მათ. მაგრამ ვნ-ხოთ, როგორ აჭიკჭიკდებიან რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მდიდრების ვალებ-პატარა ხალხს დაიწერენ კისერზე და მათ მიწებს ყადაღას დაადებენ, როგორ-რაპსვიკის სამომხმარებლო საზოგადოების წევრებს დაემართა.

— რა მოგახსენო,—უპასუხა ბიარტურმა,—მე სხვის შემოსავალზე თვალ-არ მრჩება, არავისი არაფერი მეხარბება, მაგრამ სხვის ზარალზეც არ მსურ-პასუხი ვაგო.

ვაჭარი უმტკიცებდა ბიარტურს, სამომხმარებლო საზოგადოებები გლეხ-ბას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს, პირიქით, საბოლოოდ გააღატაკებ-მათ ისევე, როგორც სხვა მონოპოლისტური საზოგადოებები, რომლებიც მა-ტოოდენ იმისთვის არსებობენ, რომ ჩაახშონ ცალკეული პირების ინიციატივ-მათი თავისუფლება და დამოუკიდებლობაო.

— სამაგიეროდ, ჩემი დუქანი მუდამ ღიაა შენთვის, ძვირფასო ბიარტურ-

შენს განკარგულებაშია მთელი ჩემი საქონელი, წაიღე, რასაც ინებებ, ოჰო, ეს რამოდენა გოგო გყოლია, რა მშვენიერია!

— ტანადაა დიდი, თორემ ხნით ჯერ პატარაა, კონფირმირებულიც კი არ არის. ჭკვიანი გოგო მყავს, კითხვა იცის, იცის უძველესი საგები. აბა, თქვი, პატარა სოფლა, რა არის „ფარი ხისა“, გამოაჩინე შენი ცოდნა.

— აი, ეს მომწონს, ბარაქალა, პატარა ქალო, — წამოიძახა ვაჭარმა, როცა აუსტამ თქვა, რა არის „ფარი ხისა“,—ჩვენს დროში იშვიათად გამოინახება ისეთი ახალგაზრდა, რომ ედა* წაკითხული ჰქონდეს. ჩემს პატარა სვანვიტეს ვეტყვი ამ ამბავს. მან ხომ მხოლოდ დანიური წერა-კითხვა იცის.

— ჰმ, დანიური, — ჩაილაპარაკა ბიარტურმა ისეთი კილოთი, რომ მაინცადამაინც დიდი აღტაცება არ გამოუხატავს. — იქნებ ეს მდიდრებისთვის კარგიც არის, ჩვენთან კი, ხეობაში, ხალხი მეტი ნდობით ეკიდება უძველეს პოეტებს, როგორიც, მაგალითად, — მაგნუს მაგნუსონი იყო, მაგნუსის ტყიდან. ისლანდიაში მეორე ასეთი არასოდეს არ გამოჩნდება. სწორად უთქვამს მოხუცს:

სწავლულის სტილი კოხტა სტილია,
გემოს უსინჯავ, — მტკნარი წყალია,
ხალხის სიმღერას რა სჯობს, ნეტავი,
ღედის ნანინად რომ გისწავლია.

— მოდი, ვაჭარს მოასმენინე მაგნუსონის ყველაზე ბრწყინვალე პოემის შესავალი, სოფლა, ჩემო პატარავ.

აუსტამ მორჩილად დაიწყო პოემის მეთორმეტე სიმღერა ბერნოუტზე. თავდახრილი, სახეალეწილი იდგა და სხაპასხუპით კითხულობდა, ისე, რომ ზოგიერთი სიტყვის გარჩევა შეუძლებელი იყო. შუა ადგილს რომ მიაღწია, პწკარები აერია, სუნთქვა შეეკრა, უფრო აღელდა და ბოლოს ხმაც ჩაუწყდა. მიწა რომ გასკდომოდა და თან ჩაეტანა, ის ვერჩივნა.

— ჩინებულია, შესანიშნავია! — წამოიძახა ვაჭარმა, — აი, ამას ჰქვია ოსტატობა! — და მან ორივე ხელი გაუწოდა აუსტას, ამით იხსნა უხერხული მდგომარეობიდან.

მერე დაუმატა, რომ დარწმუნებულია, აუსტა უჩვეულო ნიჭის პატრონი გოგონაა, ამიტომ ერთი ბრჭყვიალა მონეტა უნდა აჩუქოს, რომ ლამაზი ცხვირსახოცი იყიდოს. როგორც ჩანს, წარჩინებულ კაცებს ცხვირსახოცების ჩუქება უყვართ. ხოლო ამის შემდეგ, ტულინიუს იენსენმა, რამდენიმე წუთის წინ რომ შესთავაზა ბიარტურს, ჩემი დუქანი, ჩემი საქონელი, შენს განკარგულებაშიაო, კარი გააღო და სტუმრები ზრდილობიანად გააბრძანა დუქნიდან.

---

* ედა—მითოლოგიური და საგმირო სიმღერების ისლანდიური კრებული შექმნ. X—XII ს.

დარჩენილი დრო მამა-შვილმა საყიდლებზე სირბილს მოანდომა. აუსტ-ს იყიდა პირველი ცხვირსახოცი, ყვავილებით მოჩითული ნაწიბურით. გარდა ამისა, ცისფერი მძივების აცმაც იყიდა და იმწამსვე ჩამოიკიდა ყელზე, რომ ქალაქელ ქალიშვილებს დამსგავსებოდა. ცხვირსახოცი კი ხელში ეჭირა, რადგან ჯიბე არ ჰქონდა.

მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრდა.

- მახსოვს, ერთხელ შეგპირდი, საგას გიყიდი-მეთქი ერვარ ოდაზე. — უთხრა ბიარტურმა და გოგონა წიგნის მაღაზიისაკენ წაიყვანა.

წიგნით მოვაჭრე დაუძლურებული ბერიკაცი იყო, ფეხზე ძლივს იდგა, ჯოხ-ს დაყრდნობილი დაფეხუცობდა გაჭირვებით, მაგრამ მაინც განთქმული იყო იმით, რომ დროებას ფეხდაფეხ მისდევდა. მაღაზია დიდი შენობების უკან მიუჟეულ, ძველი სახლის სხვენზე ჰქონდა გახსნილი. ჩაბნელებული, ჭრიჭინა გრძელი კიბე ადიოდა იმ სხვენისკენ და მამა-შვილს მოეჩვენა, დასასრული არ ექნება კიბესო. მოხუცი საქმეში იყო გართული, ნავთქურაზე ქვაბით წყალი დაედგა, ნედლი თევზის მოხარშვას აპირებდა. ორთქლს დაებურა მთელი ოთახი, წიგნების სიმძიმით ჩამოზნექილი თაროები ისე მიმალულიყვნენ ბუღში, როგორც კლდეები ნისლში. მოხუცმა ქვაბს თავი მიანება, სტუმრებს შეეგება.

— წიგნის ყიდვა თუ შეიძლება აქ? — იკითხა ბიარტურმა.

— ეგ იმაზეა დამოკიდებული, რომელი წიგნი გნებავთ, — უპასუხა ვაჭარმა.

— ჩემი სოულასთვის მინდა, — თქვა ბიარტურმა, — ძალიან მიეჩვია კითხვას. ჰოდა, ამ ზამთარს დავპირდი, საგას გიყიდი-მეთქი ერვარ ოდზე.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, კეთილო კაცო, — წამოიძახა ვაჭარმა, — ოცდაათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მაგ საგის უკანასკნელი ეგზემპლარი გავყიდე. ხალხი დღეს უკვე კულტურის სხვა საფეხურზე დგას, სამაგიეროდ „სოლომონის ოქროს საბადო“ მაქვს, გმირ უმსლოპოგაასის თავგადასავალს რომ მოგვითხრობს. უმსლოპოგაასი კი თავისებურად დიადი ადამიანი იყო, ჩემის აზრით, არაფრით ჩამოუვარდებოდა ერვარ ოდს.

— ჰოი, რაღაც არა ჭკერა ეგ, — მიუგო ბიარტურმა, — ახალმოდური რაზ ბოდვა იქნება. ვერავინ დამარწმუნებს, თითქოს ეგ ყმაწვილი, ახლა რომ ბრძანე, ერვარს რამით შეედრებოდეს. ის ისეთი ბრგე, ტალიკა ჭაბუკი იყო, რომ სიმაღლით დანიური თორმეტი წყრთა სიგრძისა იქნებოდა.

— დიახ, ჩემო კეთილო, ხალხი ერთ ადგილზე როდი დგას, ხალხი საუკუნეს უსწორებს ნაბიჯს და ჩვენც, წიგნით მოვაჭრეებმა, არ შეიძლება ანგარიში არ გაუვუწიოთ ამას. შენ რაღას იტყვი, პატარა ფრეკენ, ხომ მეთანხმები, რომ დროს არ უნდა ჩამოვრჩეთ? აბა, მოდი აქ, ჩემო კარგო, დახედე თანამედროვე

ლიტერატურას. აი ეს, საქვეყნოდ ცნობილი რომანია — იმ კაცზე, რომელიც კარეტაში მოჰკლეს. ეს კი მეცნიერული ნაშრომია პაპობის დროის აღვირახსნილობაზე. მწერალი აგვიწერს, რარიგ უწესო ცხოვრებას ეწეოდნენ ბერმონაზვნები შუა საუკუნეებში. ეს კი ჩელუხლებელი, ჯერ გაუჭრელი წიგნია, დიდ მოდაშია ახლა. ამის ყიდვას ხომ არ ინებებს პატარა ფრეკენი?

მართალია, წიგნით მოვაჭრე უკვე მიხრწნილი ბერიკაცი იყო. მაგრამ აუსტა სოულილია მაინც წამოენთო სახეზე, როცა მოხუცმა „ფრეკენი" უწოდა. ის ხომ თავის დღეში ოცნებასაც ვერ გაბედავდა იმაზე, რომ ოდესმე ვინმე — „ფრეკენო" მიმართავდა. ვერც იმას წარმოიდგენდა, თუ ასეთი კაცი, როგორც წიგნით მოვაჭრე იყო, ლიტერატურაზე წამოუწყებდა საუბარს. მაგრამ როცა გოგონამ წიგნის სატიტულო გვერდს დახედა, გაოცებისაგან გული კინაღამ შეეკუმშა. ის იდუმალი, გამოუთქმელი და დიდმნიშვნელოვანი რამ, რაზედაც მასთან არავის ულაპარაკია და მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა შეექმნა მას შემდეგ, რაც ვიკინგებზე დაწერილი საგები წაიკითხა და პირუტყვთა ცხოვრებას დააკვირდა, — ამაზე თურმე მთელი წიგნები ყოფილა დაწერილი: „სიყვარულის საიდუმლოება, კეთილი რჩევა-დარიგება, რომელიც მამაკაცსა და ქალს შორის დამოკიდებულებას ეხება".

„დამოკიდებულება? ღმერთო ძლიერო. — გაიფიქრა შიშით ათრთოლებულმა გოგონამ, თითქოს ელოდა. საცაა მამა სილას გამაწნავსო, — როგორ უნდა გავიგოთ ეს? დამოკიდებულება მამაკაცსა და ქალს შორის... ვაი, ნეტა მამამ კი არ დახედოს სათაურს". ჯერ არც ერთ წიგნს არ გაუცხოველებია ეგრერიგად მისი ცნობისმოყვარეობა და არც ერთ წიგნს არ შეუშინებია. გინდაც მარტო ყოფილიყო აქ, მაინც ვერ გაბედავდა ყიდვას. სწრაფად აარიდა თვალი იმ წიგნს, განზე გაიხედა, ვითომ ვერ შენიშნა, რას უჩვენებენო, მაგრამ სათაურმა ისე დაიპყრო მისი გული, რომ სხვა წიგნებისთვის ყურადღება არ მიუქცევია. რასაკვირველია, მამამაც დახედა და გაბრაზდა:

— ბინძური სასიყვარულო ისტორია იქნება, სამხრეთში რომ თითხნიან ქალების დასაღუპავად.

— ქალებს კი, პირიქით, ძალიან მოსწონთ ეს წიგნი, — შეესიტყვა გამყიდველი, — უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე, თუ მეტი არა, ოცდაათი ეგზემპლარი მაინც გავყიდე. დღემდე დიდი მოთხოვნა აქვს. მარტო მკვლელობათა აღწერით, ან მეცნიერული ნაშრომებით თავს ვერ გავიტანთ. ხალხს სიყვარულზე დაწერილი წიგნი უნდა. ბრგე და წარმოსადეგი იყო ერვარ ოდი, თორმეტი წყრთა სიმაღლე ჰქონდა, მაგრამ სიყვარული წყრთით როდი განიზომება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბიარტურმა კამათი დაუწყო წიგნების გამ-

ყიდველს თანამედროვეობის სულისკვეთებაზე და გარდასულ საუკუნეთა შედევრებზე. აუსტა გონებადაფანტული იდგა. მაშინღა გამოერკვა, როცა ნავთქურაზე მდგარი ქვაბიდან წყალი გადმოვიდა. წიგნების ამორჩევა იმით დამთავრდა, რომ ბიარტურმა პრინცესას ზღაპარი იყიდა და შვილს აჩუქა.

— მაგ კაცს ნამდვილად შვიდი უკანონო შვილი მაინც ეყოლება, რაკი ასეთი წიგნებით ვაჭრობს, — თქვა ბიარტურმა, როცა მშვიდობიანად ჩამოთავეს „სიყვარულის საიდუმლოებისაკენ“ ასასვლელი ბნელი, ჭრიჭინა კიბე

წინგადახრილი ბიარტური უშნოდ მიალაჯებდა, ვაკე ადგილზე სიარულს არ იყო ჩვეული. ჭრელ ფართო კაბაში გამოწყობილი მოხდენილი, მოკრძალებული გოგონა, გაოფლილ ხელში ცხვირსახოცი რომ ეჭირა, ყელზე კი ცისფერი მძივი ეკიდა, ფეხდაფეხ მისდევდა მამას, ისეთივე ფართო ნაბიჯების გადადგმას ცდილობდა. გამვლელ-გამომვლელნი თვალს აყოლებდნენ მამაშვილს.

საღამოს ფუნდუკში წავიდნენ ღამის გასათევად. შენობა დიდი იყო, ქუჩას კიბით უერთდებოდა. სხვენზე კიდევ ერთი სხვენი ედგა, შეუღებავი თუნუქით გადახურული. რა სახლი იყო ეს? ისეთი ხმაური გამოდიოდა იქიდან, აუსტა თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ასეთ კივილს, ღრიანცელს, ჟრიამულს, კარის ჯახუნს, ჭურჭლის ჭახაჭუხს, ქალიშვილების წიკვინს, ლანძღვა-გინებას და ძაღლების ყეფას გაიგონებდა სადმე. უოუოდ ეს არის საერო ღრეობა.

ვინ იცის, რა არ ხდება ასეთ სახლში დღის განმავლობაში! მრავალფეროვანი ცხოვრება ჩქეფდა ამ ხმებში, რომელთა გაგონებაზეც პატარა გოგონას სევდამ გული შეუკუმშა, როგორღაც ეულად იგრძნო თავი, თითქოს საკუთარ არარაობაში დარწმუნდა, თითქოს ცხოვრების მიღმა დარჩაო. ეს სახლი რაღაცით აგონებდა „სიყვარულის საიდუმლოებაზე“ დაწერილ წიგნს, მომხიბლაობით აღსავსეს, მხოლოდ მიუწვდომელს. რა ბედნიერები არიან, ვისაც აქ ცხოვრება შეუძლია, ცხოვრების ამ მაცთუნებელ ორომტრიალში, ამ ხმაურსა და მხიარულებაში ჩაბმულთ. იმ წუთებში აუსტას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს არავისთვისაა საჭირო, ზედმეტია ამქვეყნად. სასადილო ოთახში რომ შევიდნენ, იქვე კუთხეში, სკამზე ჩამოჯდა, ხმას არ იღებდა, არ ჩიოდა არაფერზე. მამამ ფუნდუკში შეყრილ მგზავრებს საუბარი გაუბა. მათ შორის უმეტესობა ისეთივე გლეხები იყვნენ, როგორც თვითონ და, რა თქმა უნდა, მაშინვე საძოვარზე, ვაჭრობასა და ჭიაზე გააბეს მუსაიფი. აუსტას შეება მოჭგვარა იმან, რომ ეს გლეხები ისეთი უცნაური თვალით არ უყურებდნენ, როგორც ქალაქის წარჩინებული ხალხი. ზოგმა გლეხმა ზედაც არ შეხედა. აუსტას საშინლად შიოდა, თან ისე იყო დაქანცული იმ დღის ნაირ-ნაირი შთაბეჭ-

ფდილებებით, იმის თავიც აღარ ჰქონდა, რომ ფეხსაცმლიდან ამოჭრილი საფეფნი გაესწორებინა. გარინდებული იჯდა, ერთ წერტილს მიჩერებოდა, ხელში დაკმუკნული, ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ეჭირა. მაგრამ აი, ოთახში მაღალ-მაღალი, ლამაზი, ღაჟღაჟა, ცისფერთვალება და მკერდსავსე ქალიშვილი შემოვიდა. აი ამას კარგად მოერგებოდა აუსტას ჭრელი კაბა. ქალიშვილი მშვიდი, მედიდური იერით გამოცურდა სამზარეულოდან, თან გამოჰყვა გრიასი და ერიამული, დიდი ლანგარით დადგა მაგიდაზე ახლად მოხარშული ცხელ-ცხელი თევზი და ხალხი სუფრასთან მიიპატიჟა. აუსტამ ქალიშვილს ცერად გაჰხედა. ეტყობოდა, რომ მარტო ლამაზი კი არა, ახტაჯანაც იყო. მოურიდებლად ჰკითხა აუსტას, ვისი შვილი ხარო, მამის გვერდით დასვა და ვიდრე ყველამ არ გადაიღო თავ-თავის ულუფა თეფშზე, სუფრასთან იდგა.

მგზავრები თევზის ჭამაში გაერთხენ, საუბარი შეწყდა, მიყუჩდა იქაურობა.

დაწოლის წინ კი ისევ ამოიდგეს ენა, კელავ ვაჭრობასა და ჭიას ეხებოდა ძათი საუბარი. ამასობაში სხვა სტუმრებიც მოვიდნენ ღამის გასათევად. ღმერთო ძლიერო, რა უცნაურად იქცეოდნენ, უცებ შემოსძახებდნენ სიმღერას, სწორ ადგილზე ბორძიკობდნენ, ბანდალებდნენ, ტალახში ამოგანგლულები იყვნენ, თვალები დაწითლებოდათ, თან უცნაური, მეავე სუნი უდიოდათ, ისეთი, საფუარს რომ უდის. აუსტას შეეშინდა, მოეჩვენა, რომ ეს კაცები ძალზე უცნაურად უყურებდნენ. წაეტანენ კიდეც, ხელის მოთათუნება დაუპირეს. ნუ გეშინია, მთვრალები არიანო, უთხრა მამამ, კაცები არ ეშვებოდნენ, ასეთი ნორჩი და ტურფა ქალი ვისი ცოლიაო, კითხულობდნენ, ბიარტურმა შეუტია მათ, დაეხსენით ბავშვს, ვერა ხედავთ, რომ პატარაა, ჯერ კონფირმირებულიც კი არ არის, ცამეტი წლისაო. კაცები იფიცებოდნენ, პატარა რა ბრძანებაა, უკვე გასათხოვარი ქალიაო. ამ დროს ერთმა მათგანმა იატაკზე ამოასაქმა. არავის გული არ მოსელია იმ ოცროდზე, ვითომც არაფერი მომხდარაო, არხეინად მასლაათობდნენ ვაჭრობაზე და, როგორც მუდამ ხდება, ორ ჯგუფად გაიყვნენ. ზოგი იმათ აქებდა, ვინც გლეხობას ათავისუფლებდა ვაჭართა კლანჭებიდან, სხვები ვაჭრებს უპერდნენ მხარს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უმოწყალოდ ძარცვავდნენ გლეხებს. ვაჭრების მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, გლეხებმა სამომხმარებლო საზოგადოებები უნდა დააარსონ, როგორც თინგეელმა გლეხებმა გააკეთეს ამ ოცდაათი წლის წინათო. აუსტას გრძენებოდა, რომ ვაჭრებს მეტისმეტად უმოწყალოდ ესხმოდნენ თავს — სისხლისმწოველებსა და ქურდებს უწოდებდნენ. განა მამა ტყუილად იცავდა ვაჭარს? მაგრამ ის კი ვერ გაეგო, რატომ ლანძღავდა ასე სასტიკად მამამისი ინგოულფ არნარსონს, იმ ლამაზ, კეთილ კაცს, ისე გულთბილად რომ მიესალმა აუსტას ამ გაზაფხულზე. რწმუნებულის მამამ კი, უტირედსმირელმა მამასახ-

ლისმა, ორჯერ აჩუქა ფული, ორ-ორი კრონი, ისე, არაფრის გულისთვის. აუსტას უნდოდა, რომ მამას მტრობა შეეწყვიტა მამასახლისის შვილთან, — იმას ხომ კეთილშობილება სახეზე აწერია, ზედ ეტყობა, რომ მართლა დასდებს თავს გლეხობისთვის.

კამათი თანდათან გაცხარდა. აუსტას ვეღარ გაეგო, ვინ უფრო ნაკლებ უნდა ჰყვარებოდა — ვაჭარი, თუ სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებული. სულ მამას ეტმასნებოდა, არ უნდოდა გვერდიდან მოცილებოდა. ერთი ხუტორელი ამტკიცებდა, ვაჭრები მარტო ქურდები კი არა, მკვლელებიც არიანო. ცოტა მაგალითის მოყვანა როდი შემიძლია, რომ თუ გავიხსენებთ, ვისაც ბრუნიმ კრედიტზე უარი უთხრა მძიმე გაჭირვების დროს, ვინც ბრუნის წყალობით შიმშილით დაიხოცა ამ უკანასკნელი წლების მანძილზეო. სამაგიეროდ, სამომხმარებლო საზოგადოებეი — თვით გლეხთა სავაჭრო საწარმოებია, ლატაკები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ იქ მათ აღარავინ გაძარცვავს და შიმშილით აღარ გაწყდებიანო. მეორე გლეხი შეესიტყვა: ძალიან შემცდარხარ, თუ გგონია, რომ სამომხმარებლო საზოგადოებებს ახლაც გლეხობა უდგას სათავეში, როგორც თინგეის ოლქში იყო ოცდაათი წლის წინათ. ეს საზოგადოებები ახლა კულაკებმა ჩაიგდეს ხელში, ამიტომ გამოიდო თავი რედსმირელმა მამასახლისმა სამომხმარებლო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ფიორდში. ნუთუ ჩვენში გამოერევა ისეთი მიამიტი კაცი, რომელიც დაიჯერებს, რომ მამასახლისი იოუნი ღარიბი გლეხობისთვის იღვწის? საქმე ის არის, რომ თვითონ კინაღამ მშრალზე დარჩა, ვიკში, თავის დუქანში, ხელი ჩოეცარა, სამოიხარებლო საზოგადოებამ მუშტარი წაართვა, ჰოდა, გადაწყვიტა, აქ, ფიორდში გაენაღდებია დაკარგულიო. არა, გლეხს სამომხმარებლო საზოგადოებიდან იმაზე მეტი ხეირი არ ექნება, რასაც თავის დროზე ვაჭრისგან ნახულობდა, ისევ ისე ჩაიხრჩობა ვალებშიო. ახლა კიდევ მონოპოლია... და... ნუთუ გაზეთებს არ კითხულობთ, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი?!

— მე არავისი არაფერი მმართებს, — თქვა ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა.

ის ორივე გლეხი, ცხარედ რომ კამათობდნენ, ვალებში იყვნენ ჩაფლული, ორივეს ძროხები ჰყავდა, ჰოდა, სადაც ძროხაა, იქ ვალიდან ვინ ამოვა? ამბა, ასეთი ხალხი რა ყურადღებას მიაქცევდა ბიარტურს, დამოუკიდებელ ადამიანს, არავისი რომ არაფერი ემართა! ისინი კი იმაზე დავობდნენ, ვისი ვალი სჯობია ჰქონდეს კაცს, ვაჭრის თუ სამომხმარებლო საზოგადოებისაო. გლეხები თანდათან გაწიწმატდნენ, ბოლოს ერთმა წამოისროლა: როგორ შეიძლება გონივრული მსჯელობა მოსთხოვო ისეთ კაცს, ვისაც საკუთარ ცოლთან თავისი მოვალეობის შესრულების უნარიც არ შესწევსო. არც მეორემ დაუთმო.

მოწმედ დაასახელა ყველა იქ მყოფი და საჯაროდ გამოაცხადა, ამ კაცის ცოლი უკვე თორმეტი წელიწადია თავის მოჯამაგირესთან ცხოვრობს და ეს უბედური საკუთარი შვილების მამაც არ არისო.

გეყოფათ სიბინძურის როშვა, — შეაწყვეტინა მათ ბიარტურმა, — ბავშვისა მაინც მოგერიდოთ და შეგრცხვეთ, — თუმც აუსტა არაფერ საუბოს არ ხედავდა ამაში, არც აინტერესებდა, ვინ ვის შვილებს ზრდიდა. ბიარტურს მოახსენეს, აქ საბავშვო ბაღი არ გახლავთ, კაცებში რა ეშმაკად გაერია ბავშვით, როცა ხედავ, ოთ სეოიობულ საკეეზე ვლაპარაკობთო. ასე, სიტყვა სიტყვას მოჰყვა და უკვე ადგილისა და ზუსტი დროის დასახელება დაიწყეს, ვისმა ცოლმა როდის, სად უღალატა ქმარს. „იმ დღეს მაგის ცოლს წითელი ქვედა საცვალი ეცვაო",—თქვა ერთმა. აქ უკვე სიტყვები აღარ კმაროდა, მუშტიკრივზე უნდა გადასულიყო საქმე „აჰა, შენ ამბობ, წითელი საცვალი ეცვაო? აბა, მაშ მიიღე — ახლა შენი ცხვირი ილაპლაპებს წითლად, თვალი კი ჩაგიშავდება". აუსტა სოულილია ახლოლა მიხვდა, რომ მართლა სერიოზულ საქმეზე ლაპარაკობდნენ. საგებში აღწერილ მიცვალებულთა მთებს არ მოუხდენია ბავშვზე ისეთი შემზარავი მთაბეჭდილება, როგორც წითელი საცვლის გამო ატეხილ ამ დაკა-დაკას. მაშასადამე ცუდი ხალხი ნამდვილად არსებობს. გლეხები შემოეხვივნენ მოჩხუბრებს, უნდოდათ გაეშველებინათ. ბიარტურიც ჩაერია და საქმე იმით დამთავრდა, რომ ყველა ძირს დაენარცხა, ფართხალებდნენ, ხელ-ფეხს იქნევდნენ. აუსტას ეჩვენებოდა, რომ ყველა ერთმანეთს ურტყამდა. ვაითუ მამა მოჰკლან? დაზაფრულმა გოგონამ შეჰკივლა, ხმამაღალი ტირილი მორთო. ძირს გართხმული, ერთიმეორეში ჩახლართული ხალხი ნელა მიგორავდა იატაკზე. ბოლოს, როგორც იქნა, გააშველეს მოჩხუბრები და გარეთ გააბრძანეს, სუფთა ჰაერზე. დაუწყეს დაშოშმინება, ცდილობდნენ მათ შერიგებას, თამბაქოთი გაუმასპინძლდნენ. ბიარტური რამდენიმე გლეხთან ერთად შემობრუნდა ოთახში, დამშვიდება დაუწყო აუსტას, მაგრამ გოგონა დიდხანს ზლუქუნებდა და კანკალებდა.

— მაძი, — აძოისლუკუნა აუსტამ, — შინ მინდა! მამიკო, საყვარელო, გამიშვი შინ!

ბიარტური ეფერებოდა თავის პატარა გოგონაწ, დამშვიდდი, ნუ ტირიხარო.

— ბრიყვები არიან, მაგით ირთობენ თავს. გადაუკრავთ სადღაც, ჰოდა. მამლაყინწობენ. გაიხადე ტანთ და დაწექი, დაიძინე. ოცდახუთ ერეს დავზოგავთ, თუ მარტო ერთ საწოლს ვიქირავებთ.

საწოლები ორსართულად იყო კედელზე მიჭედებული. გოგონამ ქვედა საწოლი აირჩია, გაიხადა ჭრელი კაბა, ქვედატანის გახდა კი ვერ გაბედა.

მშვიდობისმყოფელები კი დასხდნენ და დაწვრილებით ირჩევდნენ, რის, გამო ატყდა ჩხუბი, ვინ ტყუოდა, ვინ მართალი იყო. ოთახში ისმოდა მათი ხურჩული, ასახელებდნენ ცოლქმრული ღალატის შემთხვევებს, მოჰყავდათ ისეთი ფაქტები, რაც საერთო აზრით ყოვლად მიუტევებელი იყო. აუსტას არ ეძინა, მაგრამ მათ ჩურჩულს კი არ უგდებდა ყურს. ვერაფრით ვერ დაიმშვიდა გული, მთელი ტანი უთრთოდა, ის ამბები, რაც პოემებში იყო აღწერილი, აგერ საკუთარი თვალით იხილა, მაგრამ რაოდენ არაპოეტური და უგვანი იყო, რაც ნახა.

ცოტა გულზე მოეშვა, როცა დაინახა, რომ კაცებმა დაწოლა დააპირეს, ცხვირი გამოისუფთავეს, ფეხსაცმლის ყაითანი გაიხსნეს, შარვალი გაიხადეს. მამაც ჩამოჯდა საწოლის კიდეზე, გამოისუფთავა ცხვირი, გაიხსნა ფეხსაცმლის ყაითანი, გაიხადა შარვალი. აუსტა მოუთმენლად თვალს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას და ეჩვენებოდა, რომ მამა ზოზინობდა, ნელა იხდიდა ტანთ. პატარა შვება იგრძნო, მამა გვერდით რომ დაუწვა. ოჰ, როგორ ძლიერ მოუნდა მიკვროდა მამას, ასეთი დაუძლეველი წყურვილი არასოდეს უგრძვნია, როგორც ახლა, ამ ჩხუბის შემდეგ. თრთოდა, ძთელი ტანი უცახცახებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

— ცოტა მიიწიე, გოგონი. დალახვროს ეშმაკმა, ეს რა ვიწრო საწოლია. — აუსტამ გაიწია, ლამის კედელს გაეკრა. — აი, ასე, ჩემო კარგო, ახლა კი კედლისკენ შებრუნდი და დაიძინე.

აუსტა კედლისკენ შებრუნდა.

ძილი არ ეკარება აუსტას. კედელი ცივია, ამიტომ ხომ არ კანკალებს? საბანი ვიწროა, მამამ კი სულ თავისკენ გადაითრია, მთლად გადახადა. მამის ტანის სითბო მხოლოდ ზურგს უთბობს. აუსტას აერეოლებს. მამაკაცებმა მალე დაიძინეს, გაისმა მათი ხვრინვა. კედლიდან ისეთი სიცივე მოდის, რომ მთლად გაუფრთხო ძილი. დრო მიდის, მან კი ვერა და ვერ დაიძინა. ბოლოს, თვალი გაახილა. ფანჯრებზე ფარდებია ჩამოშვებული, ოთახში ბნელა. ალბათ შუაღამე გადავიდა უკვე. მუხლები მოუჩანს საბნიდან და ეჩვენება, რომ ტიხარის ხვრელებიდან საშინლად უბერავს. მამამ ღამე ნებისაც კი არ უსურვა, ხომ იცის, რა შიში ჰამა. ირგვლივ უცხო კაცები ხვრინავენ — ამ დიდ იდუმალებით მოცულ სახლში, დიდ სამყაროში — რომლის ხილვაც ისე სწყუროდა, რომ წინა ღამე თეთრად გაათენა. ახლა კი, როცა ამ სამყაროში მოხვდა, ისე შეეშინდა, მღელვარებისგან თვალი ვეღარ მოხუჭა. გარს ცუდი ხალხი ახვევია, რომელთა ცოლებიც წითელ საცვლებს იცვამენ. აბა, როგორ დაიძინებს აქ მარტო, ამ უცხო, გაუგებარ სამყაროში?

მარტო? არა, არა და არა. ის მარტო არ არისl ვიდრე მამა გვერდით ეგუ-

ლება, არასოდეს, არასოდენ არ იქნება ეული. რა მოხდა, თუ მამამ ღამე ნებისა არ უსურვა, ოღონდ კი აქ იწვეს მის გვერდით, ცოცხალი. მამა, საყვარელო, კარგო მამიკო, შენი პატარა აუსტა აქვეა, შენს გვერდით. თვითონაც არ იცოდა, რატომ გაახსენდა უცებ ის თეთრი, რბილი ადგილი მის ყელზე, საყელოსა და წვერს შუა, ის ადგილი ანაზდად უფანტავდა შიშსა და მღელვარებას. როგორც კი მიეკვრებოდა ტუჩებით. და იმიტომ, რომ ყველა ხვრინავდა, თვითონ კი ვერ დაიძინა, იმიტომ რომ კანკალებდა, ეულად გრძნობდა თავს, გული სევდით ეკუმშებოდა, შიშით თროოდა ამ სამყაროში, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო იმით, რომ მამა გვერდით ჰყავდა — ის, თვით უშიშროება, ლომგული, ვისაც ყველაფერი შეუძლია, არავისი არაფერი მართებს, რომელსაც ვერაფრით გააკვირვებ, რომელსაც ყველა კითხვაზე შეუძლია პასუხის გაცემა, ის. ზაფხულის სავანის ხელმწიფე და პოეტი — მან ნელა იწყო გადმობრუნება, ისე ნელა, რომ საწოლს ოდნავადაც არ გაუკრიალია, ისე რომ, ვერავინ შენიშნავდა, თუ გაინძრა, —ნელა-ნელა, მერე გაჩერდება, ისევ ნელა-ნელა. ოთახში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ხვრინვა არღვევდა მდუმარებას, თითქოს სხვა სამყაროდან მოდისო ეს ხმა, და ფრინველო ეიკეიკი ქუჩაში. დიდი ქალაქის ცაში რომ ეღურტულებდნენ. ბოლოს მთლად გადმობრუნდა მამისკენ. არა, აუსტა ეული არ არის ამ სამყაროში, აი ის ოვალგახელილი წევს მამის ძალუმ მკერდთან. აი, თავი გასწია მისკენ, თვალი დაბუჟა, სახე მის წვერში ჩამალა, ტუჩებით მიეკრა ყელზე იმას, ვინც შიშველი ხელით ებრძოდა ურჩხულს იმ ღამეს, როცა აუსტა დაიბადა.

აუსტას ჯერ ეჩვენებოდა, მამას სძინავს, ვერაფერს ამჩნევსო. დრო მიდიოდა, აუსტა ყურს უგდებდა მის სუნთქვას, მისი გულის ძალუმ, ყრუ ძგერას, მაგრამ მის ძალზე ფრთხილ, ნელ მოძრაობაზე მიხვდა, რომ არ ეძინა. აუსტას შერცხვა. ნეტა არ წამოდგეს და სილა არ გააწნას, გადმობრუნება რომ გაბედა, მან ხომ უბრძანა, პირით კედლისკენ შებრუნდიო და თავისი უმწეობით თავგზადაკარგული კიდევ უფრო მაგრა მიეკრა, გავიდა რამდენიმე წამი, მათ გულებს ბაგაბუგი გაუდიოდა ერთმანეთის პირისპირ. მის ყელზე სახით მიკრული აუსტა არ ინძრეოდა, თავს იმძინარებდა, მაგრამ აი, შეუმჩნევლად, მამამ ნელა გამოსწია მისკენ ხელი, ალბათ შემთხვევით, სულ ოდნავ შეიცვალა მდგომარეობა; ღილზე შეკრული საცვალი უცებ გაეხსნა და შემდეგ წამში თავის სხეულზე იგრძნო მისი თბილი, ძლიერი ხელის შეხება.

არასოდეს არ განუცდია მსგავსი რამ. შიში ხელად გაუქრა, ის თრთოლვა, ახლა რომ უვლიდა მთელ სხეულში და გულში, სულ სხვაგვარი თრთოლვა იყო, ბაგე ანაზდად შიმშილის გრძნობამ შეუყრყოლა, როგორც ემართება დამშეულ ადამიანს, ნუზლით საესე სუფრას რომ მიუჯდება. მაგრამ შიმშილის

ამ გრძნობას მისი მოძრაობა იწვევდა. ვერაფერი, ვერაფერი ვეღარ შეუშლიდა ხელს მიჰკვროდა მას მკერდზე და ამ უჩინარი ინსტინქტით გაბრუებულს, წამით გადაავიწყდა ყველაფერი, ორივე ხელით მაგრად შემოეჭდო მას. იქნებ სწორედ ეს არის სამყაროს ამოუცნობი მომხიბლაობა?

ამ დროს მოხდა ის, რასაც ვერასოდეს, ვერასოდეს ვეღარ დაივიწყებს. რამაც წარუშლელი კვალი დაამჩნია მის ახლადგაღვიძებულ ყრმობას და ააავსო ტანჯვის ფიალა, ბედმა რომ წილად არგუნა. სწორედ იმ წამში, როცა მის გარდა ქვეყნად ყველაფერი დაავიწყდა, მამამ ხელი ჰკრა და ლოგინიდან წამოდგა, სწრაფად ჩაიცვა წინდები და შარვალი, შეიკრა ფეხსაცმლის ყაითანი, ჩაიცვა ქურთუკი, ოთახიდან გავიდა და კარი გაიხურა. აუსტამ გაიგონა მისი ნაბიჯების ხმა დერეფანში, მერე ქვევით გაიჯახუნა შემოსასვლელი კარი და იგი გაქრა. დარჩა აუსტა მარტოდმარტო ამ მბვერინავ მამაკაცებში გაშეშებულ-გაოგნებული, ფიქრის ნატამალიც არ უტრიალებდა თავში. ის არ დაბრუნდა. გოგონას ნელ-ნელა წყენა შეეპარა გულში. რა გააკეთა ნეტა ისეთი? არაფერი არ ესმოდა, მაგრამ ბუნდოვნად გრძნობდა, რომ მოხდა რაღაც საზარელი, იმაზე ათასჯერ უარესი, რისთვისაც ამ ზამთარს სილა გააწნეს, როცა ერთ-ერთ საგიდან გაუგებარი ნაწყვეტის განმარტება მოითხოვა. მოხდა რაღაც ისეთი, რასაც თავის სიცოცხლეში არ აპატიებს ის. მაინც რა გააკეთა? და რატომ მაინცდამაინც მან გააკეთა? როგორ შეეძლო წარმოედგინა, რომ რაღაც საზარელი, დაუვიწყარი, მიუტევებელი იმალებოდა მის უბრალო, გულუბრყვილო ლტოლვაში — ის ხომ მხოლოდ ყელზე შემოეჭდო მას, სხვა არაფერი! მაინც რა, რა ქნა ისეთი? „კარგო, საყვარელო მამიკო, რა დაგიშავე? ნუთუ ასე ცუდი ვარ?“ ცრემლი წასკდა თვალიდან, ღაწვებზე ღვარად ჩამოედინა, თავი ბალიშში ჩარგო და აქვითინდა, თან ეშინოდა, მძინარე მამაკაცები არ გაეღვიძებინა. ალბათ მამა წავიდა, თუ გაეკიდება, გამოაგდებს.

ბოლოს ცრემლი გაუშრა, საწოლზე წამოჯდა და სასოწარკვეთით მიმოიხედა გარშემო. ჰო, წავიდა, წავიდა. უმწეო აუსტა მარტოდმარტო დარჩა ამ საზიზღარ სამყაროში. ვინ მიაწვდის ლუკმაპურს, როცა მოშივდება? იქნებ მაგნის ძაძასთან. იმ საწყობის გამგესთან. გუშინ მატყლი რომ აუწონათ, მისცენ დარჩენის ნება? თუ გამბედაობა მოიკრიბოს და პირდაპირ ვაჟარს მიადგეს შინ? ანდა, ეგებ იოუნის შვილმა, რწმუნებულმა ინგოულფ არნარსონმა, გაზაფხულზე ისე ალერსიანად რომ მოექცა, შეივრდომოს? ვერაფერი ვერ გაღაწყვიტა, არ იცოდა, რა გზას დადგომოდა. ამ დროს დაინახა, რომ ცისფერი მძივი გაწყვეტოდა, მძივი საბანზე მიმობნეულიყო. ეჰ, განა სულ ერთი არ არის? რაღა ეშმაკად უნდა მძივი, თუკი მამამ მიატოვა? მორჩა, დაღუპულია, განწირულია, მარტოდმარტოა ამქვეყნად.

აუსტა ფრთხილად მიიპარა კართან, გაძვრა ჩაბნელებულ დერეფანში და მალე ზღურბლს იქით ამოჰყო თავი. გაზაფხულის ნათელი ღამე იდგა უკაცრიელ ქალაქში. ეინეღლავდა. ნისლი წელამდე შემოხვეოდა ფერდობებს. აუსტამ არ იცოდა, რომელი საათი იყო. გათენებას ალბათ ჯერ კიდევ ბევრი დრო უკლდა. ქუჩებში ძე-ხორციელი არ ჰაჰანებდა. ზღვის ფრინველები გაჰკიოდნენ ფიორდებში, მათი კივილი არ ჰგავდა ფრინველთა ჩვეულებრივ გალობას. აუსტა უაზროდ გაჰყვა ქუჩას.

ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა ასეთ უკაცრიელ სამყაროს, ასეთ მოცარიელებულ ქალაქს. არსაით ჩანდა სიცოცხლის ნიშანკვალი. წვიმის რუხი საბურველი ეფინა შენობებსა და ხრეშს. ზოგი შენობა დაფერდებული იყო, ზოგან ფანჯრები ჩამტვრეული, თუნუქის სახურავებს აქა-იქ შემოცლოდა საღებავი, ზოგან ქარს თუნუქის მთელი ფურცელი აეგლიჯა, წვიმას გაფისული ქაღალდიდან ჩამოერეცხა ბათქაში და კედლებზე კონწიალობდა ქაღალდის ნახევები, ღობეზე ეყარა აყროლებული თევზის ფხები და თავები. კატამ გზაზე გადაირბინა და მიიმალა. აღარსად იყვნენ კოხტად გამოწყობილი მამაკაცები, აღარსად ტურფა ქალ'შვილები. სიცარიელესა და მდუმარებას დაესადგურებინა...

გოგონა გაუბედავი ნაბიჯით მიჰყვებოდა მთავარ ქუჩას მთისკენ. წვიმამ ემა დაუსველა, კაბა მთლად გაელუმპა, მაგრამ მისთვის სულ ერთი იყო. უცებ ნისლში პუნდოვნად შემოიხაზა ცხენისა და კაცის სილუეტი, ახლოს რომ მივიდა, აუსტამ მამა დაინახა.

— რა მოხდა? რატომ არ გქინავს? — ჰკითხა მამამ.

აუსტამ ხმა ვერ ამოიღო, თვალი დახარა და შებრუნდა.

— აქ დამიცადე, ცხენს შევაბამ ოთხთვალაში, — უთხრა მამამ.

აუსტა ქვაზე ჩამოჯდა. წვიმა თმიდან წურწურით ჩასდიოდა მკერდში, თითები გაეყინა, მაგრამ ისევ ისე იჯდა, მოდუნებული, გათოშილი, მშიერი, ძილმორეული. ბოლოს ღამე მდუმარებაში ბორბლების რახრახი გაისმა. მამა მოდიოდა, ოთხთვალაში შებმული ცხენი მოჰყავდა.

— ჩაჯექი, თუ გინდა, — უთხრა მამამ.

აუსტამ ფეხით სიარული ამჯობინა.

მამა ცხენს გაუძღვა, აჰყვა ციცაბო, დაკლაკნილ გზას მთის კალთაზე. აუსტა უკან მისდევდა. წვიმამ მოუხშირა, ზევით მძიმე საბურველივით დაეფინა მიდამოს. აუსტა კარგა ხანი იყო, თავფეხიანად გაელუმპა, თმიდან წყალი ზურგსა და მკერდში ჩასდიოდა, უცებ გაახსენდა თავისი ცხვირსახოცი, რომლის ყიდვაც ასე უხაროდა, ისეთი დიდი ხალისით რომ აჩუქეს ფული ძლიერთა ამა ქვეყნისა. რა იქნა პატარა აუსტა სოფლელის ცხვირსახოცი? დაჰკარვა. მაგრამ რა ვუყოთ, მისთვის უკვე სულ ერთია, არაფერი აღარ უნდა. ამ დროს

ატალახებულ გზაზე ფეხი დაუსხლტა, გაიშხლართა, ჭრელი კაბა ტალახში ამოესვარა და დაიხა.

— ცხენი დავასვენოთ აქ, უღელტეხილზე, ჩვენც წავიხემსოთ ცოტა, — უთხრა მამამ.

უკიდეგანო ზღვა, გუშინ ისე რომ გააოცა გოგონა, ახლა წვიმის საბურველსა და ნისლში იყო მიმალული. დაბლობზე გაშლილი დიდი ქალაქი თვალს მიეფარა, წინ კი ბურუსში გახვეული ბორცვების გრეხილები ამოიმართა. სახლამდე დარჩენილი გრძელი გზა თითქოს ცივი იყო და ბოლო არ უჩანდა. გოგონა ნაღვლიანად ფიქრობდა ერთფეროვან, მარადისობასავით უსასრულო მომავალ დღეთა მონაცვლეობაზე.

გზის პირას დასხდნენ სველ ქვაზე, მამამ ზურგი შეაქცია. მუხლებზე საგზლის ჩანთა ედო. მხარსზემოდან, შემოუბრუნებლად გადმოაწოდა ხმელი პურის ნაჭერი და გუშინდელი სადილის მონარჩენი თევზი. ცოტა ხნის წინათ ეუსტას შიოდა, ახლა კი მთლად დაჰკარგა მადა, წვიმით დასველებული ხმელი პური და თევზი ძალზე უკემური ეჩვენა და ზიზღით ყლაპავდა ყოველ ლუკმას. მამა ხმას არ იღებდა, ერთმანეთისკენ ზურგშექცევით ისხდნენ, წვიმის წვეთები წკაპუნობდა ქვებზე. რამდენიმე ლუკმა რომ ჩაყლაპა აუსტამ, წამოზიდა, განზე გადგა. ამოასაქმა, ჯერ გაჭირვებით ჩაყლაპული საჭმელი ამოუვიდა, მერე ნაღველა.

მათ უკან გადაშლილიყო უშენი ადგილი.

თავი ოცდამეცამეტე

მტარვალობა

ეს ზაფხული ღირსსახსოვარ ეტაპად იქცა ხუტორის ისტორიაში. ბიარტურმა პირველად დაიქირავა მუშახელი. დიდი ხნის შემდეგ, ბიარტურის ოჯახის წევრები, წარსულში მომხდარ რაიმე შემთხვევას თუ გაიხსენებდნენ, იტყოდნენ ხოლმე: იმ ზაფხულს მერე მოხდა ეგ, როცა კუდიანი ფრიდა აქ მუშაობდაო. ანდა: მანამდე მოხდა, ვიდრე ეშმაკი ალქაჯ ფრიდას შემოგვიგდებდაო.

ვინ იყო ეს ფრიდა?

ფრიდას დაქირავება შემდეგნაირად მოხდა: რაკი ხუტორში ძროხა გაიჩინეს, მეტი მუშახელი იყო საჭირო, რომ ზამთრის სამყოფი თივა მოემარაგე-

ბინათ. რედსმირელებმა, როგორც ძროხა იძულებით თავს მოახვიეს ბიარტურს, ასევე ძალდატანებით აჰკიდეს ფრიდაც. რა თქმა უნდა, ვიდრე ამაზე დაითანხმებდნენ, ბიარტური მაგარ-მაგარი სიტყვებით გაუმასპინძლდა მოძალადეებს, პირდაპირ მიახალა, რასაც ფიქრობდა მათზე. და ზაფხულის საკანში დედაბერი ფრიდა გამოცხადდა.

მამასახლისმა, მთელ დაბაში ჭკუასაკითხავმა კაცმა, რასაკვირველია, ბიარტურისთვის ისეთი მუშის გამორჩევა მოახერხა, როგორსაც გასწვდებოდა მისი ჯიბე. დიდი ხანი იყო უკვე, რაც ფრიდა დახმარებას ღებულობდა სამრეველოდან, საშინელი მურდალი და ავყია დედაკაცი იყო, ყველა გაურბოდა მის დაქირავებას. სულ ეჩხუბებოდა იმათ, ვისთანაც მუშაობდა, ყველას უკმაყოფილო იყო და ყველაზე უმოწყალოდ იმათ თათხავდა ხოლმე, ვისთანაც იმეამად იმყოფებოდა. ღარიბ-ღატაკ წყალწაღებულ ხალხად ოვლიდა მათ და ეს როდი იყო ძოკლებული ჭეშმარიტებას. თავის აზრებს, ჩვეულებრივ, ხმამაღლა გამოთქვამდა. დედაბერს ათასი სატკივარიც აწუხებდა და ერთთავად წამლებით იჭყიპებოდა. წამალი რომ გაუთავდებოდა, ლოგინში ჩაწვებოდა — ასეთი ფუფუნების ნებას დიახაც მივცემ ჩემს თავსო, გამოაცხადებდა. თავდაპირველად ექიმ ფინსენისგან უზიდავდნენ წამლებს, სამრეველო შემოსავლის ანგარიშზე, მაგრამ ბოლოს მამასახლისმა გადაწყვიტა, ამდენი ფულის ხარჯვა დედაბერის წამლებში ხელს არ მოგვცემს, ბეგარის გადამხდელებს მძიმე ტვირთად აწევსო და თვითონ დაიწყო მისთვის წამლების მზადება. თავის თავს მამასახლისი მედიცინის მცოდნედ თვლიდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მრეველის კმაყოფაზე მყოფ ხალხს ეხებოდა და უსასყიდლოდ მკურნალობდა მათ. მისი დამზადებული წამალი შხამივით მწარე იყო, თან სულ ბუზღუნებდა, როცა წამლისთვის მიაკითხავდნენ, მაგრამ მაინც არ ძუნწობდა და სავსე ბოთლს აძლევდა ფრიდას. ზოგჯერ ორ ბოთლსაც. ჩვეულებრივ, ამ ქალს ფულს არ უხდიდნენ სამუშაოში, იშვიათ შემთხვევაში, ცხარე ალოობის დროს, თუ მისცემდნენ გასამრჯელოს, მაგრამ იმ ზაფხულს მამასახლისმა ისე მოაწყო, რომ ბიარტურს ფრიდას მომსახურებაზე უპირატესი უფლებები მიენიჭა და ამიტომ კვირაში რამდენიმე კრონი უნდა მიეცა, აქედან ნახევარი მატყლით.

ფრიდას სწამდა ვინმე იესოპეტრუსი და მუდამ მას ჰვედრებდა თავის ლოცვებში. ზაფხულის სავანელებში, ამ უსიტყვო, ენადაცულ ხალხში, ერთიმეორისთვისაც კი რომ არაფერი ჰქონდათ სათქმელი, დედაბერი ფრიდა უცხო სხეულივით შეიჭრა. ბიარტურს ჩვევად ჰქონდა, როცა ეზოში საქმიანობდა, ოთახში მყოფ ცოლს გარედან ესაუბრებოდა, ისე ელაპარაკებოდა, თითქოს არავის მიმართავს, ჰაერში ისვრის სიტყვებსო. არც ის იცოდა, ესმოდა თუ არა მის ცოლს, რასაც ეუბნებოდა. ხან ამინდზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ხან

ოჯახის საქმეებზე აძლევდა დავალებას, პასუხს არ ელოდა, არც საჭირო იყო. ამის დანახვაზე უფროსი ბიჭები ჩუმად წაჰკრავდნენ ხოლმე ხელს ერთმანეთს, მაგრამ ვაი მათი ბრალი, თუ მამა თვალს შეასწრებდათ — სილაქებსა და მჯიღებს არასოდეს არ იშურებდა მათთვის, უმეტესად უფროს ბიჭს ხვდებოდა. ბიჭებს აკრძალული ჰქონდათ უქმად ჯდომა.

— ჰელგი, როგორ არ გრცხვენია? დაეხსენი მაგ ბიჭს. — ბიარტური დამნაშავედ მუდამ ჰელგის თვლიდა, „ბიჭი“ კი გვენდური გახლდათ.

ბებია იჯდა, ნელა ირწეოდა. რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. აუსტა სოულილიას მოზრდილი ქალის მავედრებელი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს მისი თვალები კედლის გამჭოლ ან ცის გამჭოლ იყურებოდნენ. მან გულში ჩაიმარხა ოცნებები, არავის უმხელდა თავის ფიქრებს, მსგავსად ბიარტურისა, ჩუმ-ჩუმად რომ თხზავდა ლექსებს და მერე, ყველას გასაოცრად, სტუმრებს უკითხავდა.

ჰოდა, ეს დამოუკიდებელი ხუტორი, სადაც ყველა პირდაცული იყო, მდუმარედ იმარხავდა გულში თავის საფიქრალს, უცებ სიტყვების მძვინვარე, შმაგმა ნიაღვარმა წალეკა. ერთ დღეს ზურგზე ბოხჩაწამოკიდებული დედაბერი ფრიდა ხუტორში მოვიდა. სულმოუთქმელად, ენაჩაუკრებავად ლაქლაქებდა დილიდან დაღამებამდე, ვიდრე დასაძინებლად არ დაწვა ბებიასა და ნონისთან ერთად ერთ საწოლში. ამ ენადაუბმელი დედაკაცის პირიდან ისე იღვრებოდა სიტყვები, როგორც ავდარში ლაფაროს ქვეშ შეუჩერებლად გადის წყალი. საძოვარზე თივას `რომ აგროვებდა, თავისთვის ლაპარაკობდა. ბიჭები მიეპარებოდნენ და ყურს უგდებდნენ. რაზე არ ყბედობდა: არჩევდა მრეველის საქმეებს, ვის როგორ მიჰყავდა მეურნეობა ხუტორში, ვინ ვისთან ღალატობდა ცოლს ან ქმარს. ვინ იყო ამა და ამ უკანონო ბავშვის მამა, აგინებდა მდიდარ გლეხებს, ცხვარს რომ შიმშილით ხოცავდნენ, დაბის პატივცემულ მოსახლეებს ქურდებად ნათლავდა, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მამასახლისს, პასტორს და მოსამართლესაც კი, თათხავდა მთელ უფროსობას, რას არ ამჩნევდა და ხედავდა იქ, სადაც სხვები ბლანტი ჭაობის მეტს ვერას ხედავდნენ. გამარჯვებული მუდამ თვითონ გამოდიოდა, რადგან ზურგს უკან ლაფს ასხამდა ხალხს, შიგადაშიგ წყევლა-კრულვით აფერადებდა სიტყვას, მაგრამ ყველაზე მეტად აღშფოთებაში მოჰყავდა ხალხის სამარცხვინო ჩაგვრას — „მტარვალობას“. ეს მის აკვიატებულ, აჩემებულ იდეად იქცა, დღისით თუ ღამით, ძილში თუ ცხადში ერთთავად ამ თემას უტრიალებდა, თავის თავს ელაპარაკებოდა, ხალხს, თუ შემთხვევით გამვლელს, ძაღლს, ცხვარს თუ უცოდველ, მგალობელ ჩიტუნებს, სულ ერთი იყო მისთვის. ამ „მტარვალობის“ წინააღმდეგ გამუდმებული, უიმედო პროტესტის გრძნობით აღვსილი ცხოვრობდა, ამიტომ რაღაც ბო-

·როტი, თავხედური, გამომწვევი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც აქვთ იმ საზარელი ჯიშის ცხოველებს, ზოგჯერ ძილში რომ ეზმანება ადამიანს: გარეგნობით ვერა სცნობს, მაგრამ მათ სიახლოვეს კი გრძნობს აშკარად. ბებია მოკაკულ ზურგს შეაქცევდა ხოლმე ფრიდას, გულისყურს ჩაიკეტავდა, ვითომ არ ესმოდა არაფერი, თითქოს ამ უშენი ადგილის მარადიულ მდუმარებაში ჩაეფლოო. ფრნა დროდადრო მორიდებით ჩაურთავდა შინაარსმოკლებულ ერთმარცვლოვან სიტყვებს, ჰელგი თვალმოჭუტული უსმენდა, ხან მზაკვრულად ჩაიხითხითებდა, ხან ქაბას დაუმალავდა დედაბერს, ხან ჩუმად კენჭს ჩაუგდებდა ფაფაში. ბიარტურს ყველაზე მეტად ხვდებოდა ფრიდას მათრახები, [illegible] ღირსადაც არ თვლიდა „წყეულ ალქაჯს“, ზიზღით, დამცინავი სახით ჩაუვლიდა გვერდით, გვენდური, როგორც სხვა ყველაფერში, ამაშიც მიმას ბაძავდა. პატარა ნონი კი სულ თვალებდაჭყეტილი უსმენდა, მის მახლობლად შედგებოდა, რომ უფრო კარგად დაენახა, როგორ ამოძრავებდა ენასა და ტუჩებს. აღტაცებაში მოჰყავდა ამ ენაჭარტალა დედაბრის სიტყვებს, ისე რომ ელაპარაკებოდა ხოლმე პატარა ნონის, როგორც მამაკაცს. არც გამოთქმებს არჩევდა, არც თემას.

„ზამთრის ერთ დილას ქარიშხალი ბობოქრობდა, დედოფალი თავისი სასახლის სარკმელთან იჯდა და ხელსაქმობდა...“ ღამე იდგა, აუსტა სოფლელია ზღურბლთან ჩამომჯდარიყო ქვაზე და ზღაპარს კითხულობდა. მეორე დღეს თივის აღება უნდა დაეწყოთ, მაგრამ აუსტას ძილი არც ახსოვდა. ერთხელ რომ ჩაიკითხა ზღაპარი თავიდან ბოლოადე, შუაღამე უკვე გადასული იყო და მაინც ისევ თავიდან დაიწყო კითხვა. როცა დაამთავრა, უკვე მზე ამოდიოდა. დიდხანს, დიდხანს გასცქეროდა გოგონა სამხრეთ მხარეს, აზრით ხელახლა განიცდიდა წაკითხულს. ის მეთოვლია პრინცესას კკალს მისდევდა, გადაიარა შვიდი მთა. მზარეულმა გადაარჩინა პრინცესა, მერე ცეროდენებმა შეიკედლეს. ათასნაირი განსაცდელი დაატყდა თავს, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა უფლისწული და პრინცესა ბროლის კუბოთი თავის სამეფოში წაასვენა. აუსტა მთელი გულით, ცხარედ თანაუგრძნობდა პატარა პრინცესას, ისე აღელვებდა მისი მწუხარება თუ სიხარული, რომ თვალი ცრემლით ევსებოდა, მკერდი უბორგავდა, — მაგრამ მწვავე და მტანჯველი გრძნობით კი არა, უფრო ტკბილი მღელვარებით, როგორიც იპყრობს ადამიანს, როცა კარგი, ლამაზი საქმისთვის აპირებს თავგანწირვას. აუსტასთვის ისე ახლობელი და გასაგები იყო ზღაპარი, ცრემლით სავსე თვალებით ისე ცხადად ხედავდა უფლისწულს,

თითქოს იქვე იდგა მის წინ ცოცხალი, ხედავდა თავის თავს ბროლის კუბოში— ხედავდა, როგორ მიჰქონდა უფლისწულის ამალას მისი კუბო. აი, წაი— ბორძიკეს და მას ყელში გახირული ვაშლის ნაჭერი ამოუვარდა. იგი წამოჯდა— შეხედა უფლისწულს, მიესალმნენ ერთმანეთს და გოგონას ეჩვენებოდა, რომ დიდი, დიდი ხანი, უხსოვარი დროიდან იცნობდნენ ისინი ერთურთს, ათასგვარი განსაცდელისა და ტანჯვის შემდეგ, რაც ბედმა წილად არგუნა მეთოვლია პრინცესას, ის დედოფალი გახდა. აუსტა პირველად მოხიბლა ასე ძლიერ პოეზიის ჯადოსნურმა ძალამ, ესოდენ დამაჯერებლად რომ გვიხატავს ადამიანის ბედ-იღბალს, ისეთი თანაგრძნობითა და ღრმა სიყვარულით კეთილისადმი, რომ ჩვენც უკეთესები ვხდებით, უფრო უკეთ გვესმის ცხოვრება: ჩვენ გვწამს, ვიმედოვნებთ, რომ კეთილი გაიმარჯვებს ყოველი ადამიანის ცხოვრებაში.

მართალია, ბიარტურმა ქალი დაიქირავა, მაგრამ მარტოხელა მეურნე გლეხის ადათ-წესები არ შეუცვლია, ძველებურად ბევრს შრომობდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ღამით დგებოდა, მასთან ერთად დგებოდნენ მისი უფროსი თანაშემწეები — ფინა და ფრიდა და გათენებამდე უსმელ-უჭმელი მუშაობდნენ. ბავშვებს ძილის ნება ეძლეოდათ, ვიდრე ბებია ყავას არ მოხარშავდა. ალიონზე ბებია უკვე ქურასთან ჯახირობდა. ცეცხლის გაჩაღებას იწყებდა. შვილიშვილების გაღვიძება არც ზამთარში იყო იოლი და არც ზაფხულში. ეს რანაირი ბავშვები არიან, თავის ღლეში არ უნახავს ასეთები. ბებიას მოთქმა-ვიშვიში არავის ესმოდა. მივიდოდა მოხუცი, დაუწყებდა მათ ნჯღრევას, მაგრამ ეს რეზინის გაჭიმვას ჰგავდა, როგორც კი შეუშვებდა შვილიშვილებს თავის სუსტ, ბებრულ ხელებს, იმწუთს ბავშვები უფრო მაგრად იძინებდნენ. ბავშვებს ისე ჰქონდათ ქუთუთოები დამძიმებული, თვალის გახელა უჭირდათ. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით გამოძვრებოდნენ ლოგინიდან, იწყებდნენ ჩაცმას, ისევ ეხუჭებოდათ თვალი, თითქოს წონასწორობას ჰკარგავდნენ და კვლავ ბალიშში ემხობოდნენ. ზოგჯერ ბებია ლაპარაკით და ნჯღრევით რომ ვერაფერს გააწყობდა, დაასველებდა პირსახოცს და სახეში უტყაპუნებდა ბიჭებს, რომ როგორმე აეწიათ ქუთუთოები. ამათგან სასიკეთო არაფერი გამოვაო, ყოველ დილით იმეორებდა მოხუცი.

ხანდახან დილით ბავშვებს ისე ეჩეოდა გული, ლუკმას ვერ იდებდნენ პირში, ვერც ყავას ეკარებოდნენ. ერთ საათს რომ წაიმუშავებდნენ, მერე მოსდიოდათ მადა და სულ ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები ელანდებოდათ. ბიჭები ჭაობს მიჰყვებოდნენ, კარდალით ყავა მიჰქონდათ უფროსებისათვის, ნელა მიიზლაზნებოდნენ, რეტდასხმული ცხვარივით ტორტმანებდნენ, ფეხი არ ემორჩილებოდათ, მუხლი სტეხდათ, სხეულს ჯერ კიდევ სწყუროდა მოსვენე-

შა. რა კარგი იქნებოდა, ამ ორ ბურცოს შუა რომ შეეძლოს წაქცევა. წაქცევა
ხომ არავის ეკრძალება? რა ვუყოთ თუ დასველდება, რა ვუყოთ თუ იმწამსვე
თავს ძალა უნდა დაატანოს წამოსადგომად, ერთი წუთით მაინც ხომ ჩაეხვე-
ვა ნეტარ ძილს. ხანდახან ისე ცუდად ხდებოდნენ, ცივი ოფლი ასხამდათ
შუბლზე, ხან კი გზად მომავალნი უცებ მოიკაკვებოდნენ, ასაქმებდათ, ოფლი
შუბლზე ეყინებოდათ, დალეული ყავა უკან ამოსდიოდათ, ოღონდ ტკბილი
კი აღარ იყო ეს ყავა, არამედ შხამივით მწარე. ღებინების შემდეგ პირი უც-
ნაური სითხით ევსებოდათ. დილით ხშირად ტკიოდათ კბილები, ხან მთელი
დღე გასტანდა ეს ტკივილი; ცხვირპირში უსიამოვნო გემოსა და სუნს გრძნობ-
დნენ.

უფროს ბიჭებს ცელი მისცეს, ნონი კი ქალებს ეხმარებოდა ბალახის მოგ-
როვებაში, რომ მცელავებს არ ჩამორჩენოდნენ. ბიჭები დღეში თექვსმეტ
საათს მუშაობდნენ, სამჯერ ისვენებდნენ, ორჯერ პურის საჭმელად, ერთხელ
ყავის დასალევად და თუ კარგი დარი იდგა, იქვე ღია ცის ქვეშ შეეძლოთ პა-
ტარა ხანი თვალის მოტყუება. როცა მზის სხივები უხვად იღვრებოდა, ბავშვე-
ბი მალე ივიწყებდნენ შრომის აუტანელ სიმძიმეს, ფიქრით წინ მიქროდნენ,
სიხარულს ჰგვრიდათ ოცნება მომავალზე, თავისუფალ ცხოვრებაზე, სხვა,
უფრო უკეთეს ადგილას. ასეთი მარადიული ოცნება აკეთილშობილებდა მო-
ნას ჯერ კიდევ კაცობრიობის ცხოვრების განთიადზე. ასეთ ნათელ დღეებში
ადამიანს ეჩვენება, რომ მზეც მის მხარეზეა. მაგრამ იმ ზაფხულს, სამწუხა-
როდ, იშვიათი იყო ისეთი კარგი დღე, როცა ბიჭები რიტმულად, ხალი-
სით იქნევდნენ ცელს და ფიქრით ოცნებების ქვეყანაში მიჰქროდნენ. ავდრი-
ანი ზაფხული იდგა და როცა ჭაობიან მდელოებზე ძვალ-რბილში ატანს ადა-
მიანს წვიმა, ადვილი აღარ არის სინამდვილის დავიწყება, ოცნება. ბავშვებს
ჩასაცმელიც კი არ ებადათ, რომ ავდარში ცოტათი მაინც დაეცვათ თავი, არც
საგარეო სამოსი გააჩნდათ. დაფხრეწილი სათბურა, ხამი ტილოს ან თხელი
ჩითის პერანგი — ეს იყო სულ მათი ავლადიდება. ასეთ მძიმე დროში,
მატყლს სხვა ვერაფრისთვის ვერ იმეტებდნენ, მხოლოდ პირველი საჭიროების
საგნებს ხმარდებოდა. ბიარტურს ჰქონდა ტყავის ქურთუკი, რომელსაც მხო-
ლოდ საზეიმო შემთხვევებში იცვამდა, მაგალითად, მეცხვარეთა შეკრებაზე ან
შემოდგომით, როცა ქალაქს მიდიოდა. მის სახლში მხოლოდ ეს ქურთუკი იმ-
სახურებდა სამოსის სახელწოდებას. ამიტომაც ბიარტური მუშაობის დროს ამ
ქურთუკს არ იცვამდა — იგი მარტოოდენ დამოუკიდებლობის სიმბოლო გახ-
ლდათ. მაგრამ ზოგჯერ, როცა დილიდანვე ცა ფეხად ჩამოვიდოდა და გამოდა-
რებას პირი არ უჩანდა, ბიარტური ქურთუკს ქალიშვილს მოახვევდა ხოლმე.
ჟუსტა ჩამოართმევდა, თავს არ ასწევდა, ქვემოდან ამოხედავდა უსიტყვოდ:

ეს იყო და ეს. დედაბერ ფრიდას კი, მიუხედავად იმისა, რომ სამრეველოს კმაყოფაზე იყო, მქისე მატყლის სქელი ქურთუკი და ხამი ტილოს ქვედატანიც ჰქონდა. იმ ზაფხულს გადაუღებლად თქორავდა, ძვალ-რბილში ატანდა წვიმა სამ პატარა, უმწეო მუშას და ქალს, ზამთარში მთელი ოთხი თვე; რომ ლოგინად იყო ჩავარდნილი მათი ძონძების ყოველი ბოჭკო გასაწური ხდებოდა, თავშალი თუ ქუდი სველ, უფორმო გუნდად იქცეოდა, ასევე თმა. წყალი წურწურით ჩასდიოდათ ზურგსა და მკერდში. ასე იდგნენ საათობით კოწიწა ტალახის გუბეში და ეჩვენებოდათ, თითქოს ღრუბლებიდან გადმომსკდარი დელგმა მარად იდენდა. სველ ბალახს ჭყაპაჭყუპი გაჰქონდა; ცელი თახდათან უფრო ძნიმდებოდა, დრო არ იძვროდა, თითქოს ისიც სველი პერანგივით მიეწებათო ტანზე.

ზაფხულის ალოობაა, დუმან ფრინველები, მარტო ღალღა დაფრთხიალებს; სადღაც მახლობლად და ჰყვება თავის უცნაურ, დაუსრულებელ ზღაპარს: ჰი, ჰი, ჰი, ჰი, მიჰქროდა ველად! ბედნიერი ფრინველები — წყალი არ ატანს მათ ფაფუკ, სქელ ბუმბულში, დედაბერი ფრიდას ლაქლაქსაც კი ახშობს წვიმის შხაპუნი. საათობით ბავშვებს საკუთარი მუცლის ბუყბუყის მეტი არა ესმოდათ რა. ისინი მარტო გალუმპულები და ილაჯგაწყვეტილები როდი იყვნენ, კუჭი ეწოდათ შიმშილით და არაკითარი იმედი არა ჰქონდათ კეთილისმყოფელი ელფების მოწყალებისა.

— ასეა, ასე, „მტარვალობას“ ვერსად გაექცევი. განა იმას ვჩივი, რომ ჭე მკლავს ეგ სატანა! ღმერთი და ხალხია მოწმე, მე დიდი ხანია სასიკვდილოდ მაწამეს, მრეველის სარჩენი გავხდი, მაგრამ იქამდე მაინც არ მივსულვარ, რომ ერთი ხელი ზედა ტანსაცმელი არ მებადოს, მიუხედავად ამდენი სიცრუისა, ჩაგვრისა და სიღატაკისა. დაიხსომე ჩემი სიტყვა, ბიჭუნი, ისე აწამებს ეგ საცოდავ დედაშენს, რომ მომავალ ზაფხულამდე ვერც კი მიიტანს სულს. წყეული მტარვალი!

და ასე გაუთავებლად, ერთი და იგივე, ერთი და იგივე.

მართლაც, იმის უარყოფა შეუძლებელი იყო, რომ დედა ზაფხულშიც ხშირად ავადმყოფობდა, იწვა ლოგინში, მუშაობა აღარ შეეძლო. რაც შეეხება ბავშვებს, იმათაც ერთთავად ჩამოსდიოდათ ცინგლი.

— თუმცა, რაღა მეთქმის, თვითონა ვარ დამნაშავე, ნეტა რისთვის ვაძლევ ნებას მამასახლისს, იმ გაქნილსა და გაიძვერას. სადაც მოეპრიანება, იქ მიკრას თავი, შემაგდოს ტილიანების ოჯახში, თანაც ისეთ ქვაწვიებთან, ყავა რომ ყავას არა ჰგავს იმათ სახლში. ყოველდღე, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი, უნდა ხეთქო დამარილებული ქარიყლაპია, ან შარშანდელი დამარილებული ხორცი, გულმუცელში ცეცხლს რომ გიკიდებს, თან ისეთი მჟავეა, სუნთქვა გეკვრის..

მაგრამ თუ გაბედე და კვირა დღეს ხორცის ნაჭერი მოითხოვე—იესოპეტრუს! ისეთ ცოდვად ჩაგითვლიან, რაღა კაცი მოგიკლავს და რაღა ეგ გითხოვია.

მტარვალობა — ეს სიტყვა ჰგავდა წყლის წვეთს, ნიადაგ რომ ეცემა ქვას და ამსხვრევს. და ეს წვეთი ბავშვებს გულზე განუწყვეტლივ ეცემოდა.

— ვითომ არ ვიცნობ ამ წყეულ კონკია-ჟღარუნებს. ვინ, მე? იმათი მონა, იმათი ფეხსაფენი რომ ვიყავი თითქმის ნახევარი საუკუნე? პირველად ხომ არა ვხედავ მათ? ჭკუის უკანასკნელი ნატამალი რომ დაუფანტიათ და ყველაფერს სწირავენ რეტდასხმულ ცხვარს. ეშმას ფუდამ იცნობ ქაჩაჩით. ყოველ მათგანს გამდიდრება ნებავს, მედიდურობასა და კუდაბზიკობაში ტოლს ვერავინ დაუდებთ: ისინი, რა თქმა უნდა, ბრევლის სარჩენი არ გამხდარან, ისინი დამოუკიდებლები ბრძანდებიან! დამოუკიდებლები! ჰმ, გამიგონია ეგ სიმღერა! ჰოდა, სად არის ეგ დამოუკიდებლობა? იქნებ იმ ცხვრის ნაწლავებშია, შიმშილით რომ ეხოცებათ? ვიცი, რაც არის მაგათი სიმდიდრე, ჩემო ბიჭუნი,— ყავის ნაცვლად მთხლე და აყროლებული თეკზი! ამიტომაც წოვს კოლუმკილი ტვინს მაგათ განაწამებ ბავშვებს, თავი კი ისე მოაქვთ, ვითომ ძალიან ზრუნავენ შვილებზე.

ბავშვები ხშირად ისე უგდებდნენ ყურს ფრიდას ლაქლაქს, როგორც ერთფეროვან ზღაპარს, ბევრჯერ თუ გაიმეორეს, თავს რომ გაბეზრებს. მამა ეუბნებოდა შვილებს, რა ყურს უგდებთ გამოჩერჩეტებული დედაბრის ჩქახვასო. თითქოს ამ უშენში რაღაც ახალი ხათა გამოტყვრა — ფსალმუნებისმაგვარი რაღაც — ოღონდ ამას ყოველგვარი მოწიწების გარეშე უსმენდნენ, კვირა დღეს კი ხელს არაფერი უშლიდათ, ეკუანებოდნენ დედაბერს.

მამის ავტორიტეტი აღიარებული იყო ოჯახში და ბავშვები უდრტვინველად მორჩილებდნენ. ის იყო უმაღლესი ხელისუფალი ხუტორში, მისგან გამომდინარეობდა ყოველივე. ამ პატარა სამყაროში იგი უძლეველი ბედისწერა გახდლათ. მართალია, მას არ თვლიდნენ ყველა უბედურებისა და განსაცდელის მიზეზად — მამის ერთმმართველობა ძირშივე ჰკვეთდა ყოველგვარ კრიტიკას მათი მხრიდან. მით უფრო არ შეეძლოო ერთსულოვნად, მტკიცედ აღდგომოდნენ, არ შეესრულებინათ მისი ბრძანება და მიუხედავად ამისა, გულში ბავშვებს მაინც ჩაესახა ბუნდოვანი უკმაყოფილება და მტრული გრძნობა მშობლისადმი. ამაში დიდი როლი ითამაშა დედის მუდმივმა ავადმყოფობამ და. მკვდარი ბავშვების დაბადებამ — შვილები შეუცნობლად მამას ადანაშაულებდნენ ამაში. აღშფოთებას ჯერ არ მოეკიდებინა ფეხი მათ გულში, მაგრამ ამ გაუთავებელი კოკისპირული წვიმებით, აგვისტოშიც რომ გასტანა, გაბეზრებულებს თრიდას ლაქლაქი უკვე ისე ობროდული აღარ ეჩვენებოდათ, თითქოს მიხვდნენ, დედაბრის სიტყვებში სიმართლის ნატამალი მაინც ურევიაო

და ამით დასაბამი მიეცა მათ აღშფოთებას. გულს უმღვრევდათ ეს ცივი თქეში; ეს გაუთავებელი ღვართქაფი, ძვალ-რბილში რომ ატანდა და დაკონკილ ტანსაცმელს რომ აწებებდა სხეულზე, სიხარულის ყოველგვარ სხივს უხშობდათ მთელი ამ გაჭიანურებული თექვსმეტსაათიანი, ულმობელი და უმოწყალო დღის მარქილზე. და თითქოს ახლა იეხილათ თვალიო, ახლა გაიგეს, რომ მათ მძიმე ხვედრს, ამ მონობასა და ჩაგვრას, თურმე რაღაც ასახსნელი, გარკვეული მიზეზი ჰქონია. ამ ბებერი ალქაჯის უსულგულო ყბედობაში ეღერდა ფარული, სამართლიანი პროტესტი ცხოვრების მძიმე უღლის წინააღმდეგ. ეს იყო ხმა, რომელიც თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოუწოდებდათ, და ეს მოწოდება თავისუფლებისაკენ ესოდენ უცნაური სახით დაედო გზად და ხიდად მათ ქვეცნობიერებას. ბოლო ხანებში პელგის უკვე აღარ ეჩალისებოდა დედაბრის გაბრაზება, აღარ ეჭყანებოდა და მამის ბრძანებებს ისე ცქვიტად აღარ ასრულებდა. თუ უწინ ზურგსუკან ეჭყანებოდა მამას, ახლა ისე გათამამდა, რომ აშკარადაც ჩადიოდა ამას. პატარა ნონიმ კი გამოაცხადა, რომ მან იცის, რატომ გახდა დედა ავად: მამას არ უნდა პალტო უყიდოს დედას, აი რატომ.

ნუთუ ამ უდაბნოში ერთი ოაზისი მაინც არ იყო? დიახ, გახლდათ ოაზისები: სადილობა—დამარილებული თევზი, წყალზე მოხარშული ფაფა (ძროხას ჯერ არ მოეგო) და ძველი ცვრიანი ძეხვი. აი მათი ცხოვრების მთელი სიხარული. იმედის პირველი სხივი მაშინ ინთებოდა, როცა მამა დიდი ხნის ნანატრ განკარგულებას გასცემდა — აუსტას შინ გაგზავნიდა სადილის გასაკეთებლად. გაწამებულ, გაბეზრებულ ბავშვებს ეჩვენებოდა, აღარასოდეს დადგებაო ეს წუთი. ბავშვებმა ისიც შეამჩნიეს, რომ რაც უფრო მალი-მალ აპარებდნენ თვალს მამისკენ, ის მით უფრო აგვიანებდა სასურველი განკარგულების გაცემას.

ბოლოს, დგებოდა ეს ნანატრი წამიც — აუსტა სოულილია შინ მიდიოდა კერძის გასაკეთებლად. ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა გზას, — ოვითონაც ხომ მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა ფოცხის გადაგდების და შინ წასვლის ნებას მისცემდნენ ცეცხლის დასანთებად. ცეცხლი! როგორც კი გააჩაღებდა ცეცხლს, გაიხდიდა სველ კაბას და ქურაზე დადებდა გასაშრობად. ხანდახან გაბედავდა, შაქარს პატარა კვნიწს ჩამოტეხდა, ენის ქვეშ ამოიდებდა. ქვაბში თევზს ჩადებდა და ცეცხლს მიუჯდებოდა გასათბობად.

თუმცა შეგცოდეთ, ნუ დაგვსჯი მაინც,
ნუ, ნუ აღმართავ მრისხანე მახვილს,
და როგორც ცოდვილ გომორას, სოდომს,
ჩვენც ჯოჯოხეთის ცეცხლში ნუ ჩაგვყრი.

წამით ისმინე ჩვენი ვედრება,
ფიქრი, ჩურჩული, თხოვნა, ხმაური, —
მოგვეც უფლება, ამ ქვეყანაზე
გამოვისყიდოთ დანაშაული.

საქსოვზე თავდახრილი ბებია ფსალმუნს ბუტბუტებდა, თვალს ზევით არ სწევდა. ყმაწვილმა ქალმა კი არც ღმერთი იცოდა, არც მისი მიზნები, სამაგიეროდ, იმ წუთებში, როცა გარეთ დელგმა ჩამოდიოდა, ის კი ჭერქვეშ თავშეფარებული ცეცხლთან იჯდა, ტკბებოდა სრული სიმშვიდით. დაღლილობა, სველი, დამძიმებული ბალახი, საფლობი ჭაობი, ღვართქაფი, წყლის ფრინველთა სევდიანი გნიასი, ყველა ეს წამით დავიწყებას ეძლეოდა. ნელ-ნელა თუხთუხს იწყებდა ფაფა, ოთახში დამარილებული თევზის სუნი დგებოდა, ქურაში ცეცხლი გუზგუზებდა.

მდელობზე ბიჭებს რა ხანია დაუბლაგვდათ ცელი, კუნთები მოუდუნდათ, ჩვარიკით გაუხდათ, უნდილად, ამაოდ უსვამდნენ ბალახს ცელს, აქეთ-იქით იფანტებოდა წყლის შხეფები და მიწის ბელტები... „ალბათ აუსტა სოფლიას დაეძინა, დააკიწყდა ფაფა“.

რაოდენ სასიხარულო იყო აუსტას დანახვა, როცა საძოვრის ნაპირას გამოჩნდებოდა ხოლმე კარდალით ხელში!..

სადილი მდელობზე... როგორც ყველა სხვა ჭეშმარიტი სიხარული, ესეც განსაკუთრებით ტკბილი იყო მოლოდინის წუთებში. მენიუ ეროხელ და სამუდამოდ გახლდათ დადგენილი: დამარილებული თევზი, ჭვავის პური, ცვრიანი ძეხვი და საკმაზის მაგივრად — გაუთავებელი წვიმა, უხვად რომ ესხმოდა საჭმელს. სამაგიეროდ, ზაფხულის სავანელ ბიარტურს სავედრებელი და საბჭეწარი არავისთვის არაფერი ჰქონდა, ვერც ლაციცობითა და ტრელობით დაიყოლიეს სხვებმა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე ვაჭარი და სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებული ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, მისი გულის მონადირებას ცდილობდნენ. დამარილებულ თევზს წვიმაში უფრო მძაფრი სუნი უდიოდა და დიდხანს ტრიალებდა ეს სუნი ჰაერში, თითქოს ტანსაცმელშიც კი გაუჯდებოდათ ხოლმე და ბავშვებს კიდევ უფრო შიოდათ, ნასადილევს თივის ხორომიდან რომ წამოდგებოდნენ.

როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ნასადილევს ბიარტური მაინც ისვენებდა, თივის ზვინზე გაწვებოდა და ხელად იძინებდა. ძილში გვერდს რომ შეინაცვლებდა, ზოგჯერ გადმოგორდებოდა ზვინიდან, პირდაპირ გუბეში მოადენდა ტყაპანს და იმ წუთს იღვიძებდა. მოსწონდა კიდეც ეს: კაცმა მთელი დღის მანძილზე ცოტა ხნით უნდა წაიძინოსო, იტყოდა. თუ ძილს გაიგრძელებდა, მუდამ ცუდ გუნებაზე დგებოდა. ქალები კი ნასადი-

ლევს ზვინქვეშ შეძვრებოდნენ, ნესტისაგან სიცივე აიტანდათ, თითები უბუჟ-დებოდათ, ფეხის ძვლები ტეხდათ, წამოდგებოდნენ და ისევ თავის ფოცხებს და ცელებს ჰკიდებდნენ ხელს. ბიარტური შათ წუწუნს რომ გაიგონებდა, უკ-ვირდა: ეს რა სულელები არიან? სულ ერთი არ არის მათთვის, დასველდე-ბიან თუ მშრალი იქნებიან? ნეტა მაცოდინა, ღმერთს რისთვის გიუჩენია ასე-თი უნდილები?

— არა, აუცილებლად მშრალები უნდა იყვნენ, წკეთი არ უნდა დაეცეთ. ფუი, ღმერთმა დასწყევლოს ასეთი ჭირვეულობა! ჩემი ცხოვრების ნახევარი სულ წვიმის ქვეშ გამიტარებია და, როგორც ხედავთ, თავს მშვენივრად ვგრძნობ!

თავი ოცდამეთოთხმეტე

მნიშვნელოვანი ამბები

ერთხელ, საღამო ხანს, ალოობა თითქმის რომ მიიწურა და დღემ საგრ-ძნობლად იკლო, მთიბავებმა დაინახეს, რომ ფერდობს კაცი მოჰყვებოდა, ბი-ლიკზე კი არ მოდიოდა, როგორც წესი და რიგია, არამედ გაშლილ ადგილზე, თან სადავით დასაპალნებული ცხენი მოჰყავდა. უცნობს ტბის აღმოსავლეთ ნაპირისკენ ეჭირა გეზი. რაღაც უცნაური კაცი ჩანდა, ეტყობოდა, აქაური არ იყო, თან არც მთლად ჭკვათამყოფელს ჰგავდა. ხომ არ მოსდეევენ ნეტავ? რას დაეხეტება აქ, სხვის მიწაზე? ელფი ხომ არ არის? ყოველ შემთხვევაში, ჩვეუ-ლებრივ ადამიანს არა ჰგავს. ბიარტურმაც კი მიატოვა თიბვა, დაეყრდნო ცე-ლის ტარს და თვალს ადევნებდა უცნაურ მგზავრს, გზაზე სიარულს რომ არ კადრულობდა. რა უნდა? მგზავრი ტბის ნაპირებს და ტბას ათვალიერებდა, თითქოს ჰაერსაც ამოწმებსო. უცხოელი სწავლულია თუ მიწით მოვაჭრე სპე-კულანტი სამხრეთიდან? იქნებ სხვისი მიწით ვაჭრობა უდევს გულში? მგზავ-რმა ცხენს ტვირთი ჩამოხსნა და ჭაობისკენ, ტბის აღმოსავლეთ ნაპირას გაუშ-ვა საბალახოდ. ეს რა ოხრობაა! მგზავრი ტბის ნაპირს გამოჰყვა, ხუტორელე-ბისკენ წამოვიდა. ყველა გაუნძრევლად იდგა და ელოდა. გამოცანა! საიდუმ-ლო! უცნობი კაცის გამოჩენა ჭაობებში—ამაზე უჩვეულო რაღა იქნება! ბავშ-ვებს დაღლაც კი გადაავიწყათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე თხუთმეტი საათი იყო, რაც მუშაობდნენ.

უცნობი არაფრით არ ჰგავდა სხვებს. თავშიშველი იყო, ყავისფერი პე-

რანგი ეცვა და ნაქსოვი უსახელოებო ზედატანი, შავგვრემანი იყო, ხმელ-ხმელი, ოდნავ მხრებაწურული, ნატიფი სახე ჰქონდა, წვერი ახლად გაპარსულ-ული, თვალები კი ჭკვიანი. უცხოელი ხომ არ არის?

— საღამო მშვიდობისა!

— საღამო მშვიდობისა! — თავშეკავებით უპასუხეს ხუტორელებმა.

დედაბერმა ფრიდამ კი უცებ დასტაცა ხელი ფოცხს, პროტესტის ნიშნად.

— დაეთრევიან აქ! მოგრიალდნენ უცხო მხრიდან... გდებულიყვნენ შინ... თუ უკვე ისე აქვთ თავისი საქმე დამში მოყვანილი, რომ აქეთ-იქით ხეტიალი შეუძლიათ?

— ზაფხულის სავანის მეპატრონეები ხართ? — იკითხა უცნობმა, როცა მიუახლოვდა ხუტორელებს.

— როგორ გითხრათ,—არცთუ თავაზიანად უპასუხა ბიარტურმა, ცელი ასწია და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უცნობისკენ, --- ასე ითვლება, რომ ეს ჩემი მიწაა. ვინც არ უნდა იყო, ვერ გამიგია, რა აზრი აქვს სხვის მიწაზე ხეტიალს და რაღაც-რაღაცეების თვალთვალს!

უცნობმა ხელი არავის ჩამოართვა, მიუხედავად იმისა, რომ ადათ-წესი ასე მოითხოვდა. იგი რამდენიმე ნაბიჯზე შედგა მასპინძლის წინ, თავი შეაბრუნა, გაიხედ-გამოიხედა საღამოს ბინდში, დინჯად ამოიღო ჩიბუხი და თამბაქო.

— მშვენიერი ხეობაა. ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი...

— მშვენიერი? — გაიმეორა ბიარტურმა. — ეგ იმას გააჩნია, როგორ თივას ავიღებთ. გამოგგზავნა ვინმემ?

გამოგზავნა? არა, არავის გამოუგზავნია. მაგრამ მეტისმეტად მოსწონს ეს ხეობა და ნებართვას სთხოვს, ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე კარვის დასადგმელად.

— დიახ, ჩემი მიწა სამხრეთით უშენის სიღრმემდე აღწევს, ჩრდილოეთით მთებამდე, დასავლეთით შუა უღელტეხილამდე, აღმოსავლეთით კი ხევამდე. მთელი ეს დაბლობი ჩემია.

უცნობმა გადაკვრით, ბუნდოვნად თქვა რაღაც იმაზე, რომ მთელი ამ მიწის სახნავებად გადაქცევა შეიძლება.

— სახნავია, თუ არ არის სახნავი, — შეესიტყვა ბიარტური, — მიწა ჩემია და მე არ მსურს აქ უცხო ხალხმა იხეტიალოს, ცხვირი ჩაყოს სხვის საქმეში, საცაა თოთხმეტი წელი გახდება, რაც ეს ხუტორი ავაშენე ძველ ნანგრევებზე, რედსმირის პატრონს უკვე მთლიანად გავუსწორე ანგარიში. მეუბნებოდნენ, თითქოს აქ მოჩვენებები დაძრწიან, მაგრამ მე არც მოჩვენებების მეშინია და არც ხალხისა... ცხვარიც კარგი მყავს.

უცნობმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

— კარგი თაოსნობაა ღარიბი გლეხკაცისათვის.

— არ ვიცი, ტრაბახს ვერ დავიწყებ. ერთი რამ კი ცხადია: ამ ჩვენი სამრეველოს მარტოხელა მეურნე გლეხებზე უარესად არა ვცხოვრობ, ბევრ სხვაზე უკეთაც კი მაქვს საქმე. ვალებში არა ვარ ჩაფლული, იმიტომ, რომ მუქთამჭამელებს არ ვუშვებდი ჩემს თივასთან ამ უკანასკნელ ზამთრამდე, ვიდრე ვიღაც-ვიღაცეებმა ძალით თავს არ მომახვიეს პირუტყვი. მაგრამ, რა თქმა უნდა, მდიდარ გლეხებთან თავის გატოლება ფიქრადაც არ მომივა, რაც მაქვს იმითაც კმაყოფილი ვარ, ამიტომ არავის ჩემს საქმეში ჩარევის ნებას არ მივცემ და არავითარი სურვილი არა მაქვს იმ რაღაც კავშირებში შესვლისა.

უცნობმა მაშინვე აუხსნა ბიარტურს, რომ თუ მან თქვა „კარგი თაოსნობაა“, იმას როდი გულისხმობდა, თითქოს ყველას უნდა მსხვილი მიწათმფლობელი გახდეს. არც თვითონ აპირებს მდიდარ გლეხებთან საქმის დაჭერას, ურჩევნია, მცირე შეძლების მქონე გლეხს ჩაუვარდეს ხელთ მისი ფული.

ბიარტურმა გაიფიქრა, ამ კაცს რაღაც ახალი სავაჭრო გეგმები თუ აქვსო და ამიტომ უთხრა, რომ მას მხოლოდ ერთ ვაჭართან აქვს საქმე. მძიმე დროს ის ვაჭარი ბევრ გაჭირვებულს უმართავს ხელს. და თუმცა მირელი იოუნი სამომხმარებლო საზოგადოებებს აყალიბებს, მოგებასაც კი ჰპირდებათ კარგ წლებში, ბიარტურს მაინც ჰგონია, რომ მოგების დიდ ნაწილს ისევ თვითონ იოუნი ჩაიჯიბავს. მას ხომ ყოველ შემოდგომაზე სამას ორმოცდაათი ბატკანი ჰყავს გასაყიდი, გლეხებმა კი, დიდი-დიდი, თითომ ოცდაათ-ორმოც ბატკანს მოუყაროს თავი შემოდგომაზე, ჰოდა, რა ერგებათ მათ, ფშუტი. და თუ საზოგადოება გაკოტრდა, მაშინ ვინღა ზღავს ზარალს? ისევ გლეხებს დააწვება კისერზე ყველაფერი, საკუთარი თუ იმათი ვალი. რაც შეეხება საქმეს, მეგობარო...

უცნობმა აჩქარებით უთხრა ბიარტურს, რომ აზრად არა აქვს მის საქმეებში ჩაერიოს და ვაჭართან კარგი დამოკიდებულება გაუფუჭოს, უბრალოდ მას ხეტიალი უყვარს თოფითა და ანკესით ზაფხულობით.

— რაკი გაგებული მაქვს, რომ შენ არც ნადირობით ხარ გატაცებული, არც თევზის ჭერა გიყვარს, გავიფიქრე, იქნებ ნება დამრთოს-მეთქი ამ ტბაში თევზაობის, რასაკვირველია, სასყიდლით.

— აქ არც ისეთი თევზი იცის, — უპასუხა ბიარტურმა. — ჭკვიანი კაცი ასეთ სისულეებზე დროს არ დაკარგავს. ფრინველსა და თევზს თუ დავიჭერ, მაგით ჩემს ცხვარს ვითომ რა შეემატება! იქნებ მდიდარი გლეხების ცხვრისთვის იყოს ეგ გამოსადეგი ან მათი შვილებისთვის. მხედველობაში მყავს რედ-

სმირელი მამასახლისის შვილი, ახლა რწმუნებულს რომ უძახიან, — აკი ამიტომაც აღზარდეს სპარსთა რელიგიის მიხედვით. ახლა ის ჩაუდგა თურმე სათავეში სამომხმარებლო საზოგადოებას, მამასთან ერთად რომ ჩამოაყალიბა, ისევე, როგორც ქალბატონმა დააარსა აქ ქალთა კავშირი იმისათვის, რომ უბრალო, უდანაშაულო ხალხს, უვარგისი პირუტყვი მოახვიონ თავს. ეგ ვაუბატონი ფრინველს თვალს რომ მოჰკრავს, ვერ მოისვენებს, თუ კისერი არ მოუგრიხა.

ამ დროს, დედაბერმა ფრიდამ მისთვის დამახასიათებელი მოურიდებლობით წამოიყვირა შორიდან:

— როგორ არ რცხვენიათ ამ წყეულ კონკია-ჟღარუნებს იმათი ლანძღვაგინების, ვინც მათზე მაღლა დგას! თვითონ კი სულსა ხდიან, ახრჩობენ ყველას და ყველაფერს, ცოცხალსა და მკვდარს, გარდა ტილებისა, ზედ რომ აღოღავთ.

უცნობმა ფრიდასკენ გაუშვა კვამლის ბოლქვი პირიდან, აღარ იცოდა, როგორი პოზიცია დაეჭირა ამ საკითხში.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ მაგ ოხერ დავრდომილს. პირველად კი არა როშავს ემაგ სისულელეებს, — უთხრა ბიარტურმა სტუმარს გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

უცნობმა საჭიროდ ჩათვალა თხოვნა გაემეორებინა ბიარტურისათვის.

— კარგი, რაკი მიწით სპეკულაციას არ ეწევი და კავშირებიდან არა ხარ მოგზავნილი, რა გაეწყობა, დაიდგი კარავი რამდენიმე დღით. ოღონდ ძალიან კი ნუ გამითელავ ბალახს. სპეკულანტები და რაღაც საზოგადოებების წევრები არ მჭირდებიან, ჩემი მიწა არ იყიდება, მე და ჩემი ჯალაბი ვცხოვრობთ მშვიდად და ტკბილად ჩვენი ცხვრებისთვის. თუ ცხვარი კარგადა გვყავს, ჩვენც კარგადა ვართ, ცხვრისთვის თუ ყველაფერი გვაქვს, ჩვენც ყველაფერი გვყოფნის. ეჰ, ერთი ამ ავდარს დაადგებოდეს საშველი...

როცა უცნობმა, როგორც იქნა დაარწმუნა ბიარტური, რომ მიწით მოვაჭრე არ იყო და არც კავშირის წევრი, მოლაპარაკება დაიწყო. უცნობი ჩვეულებრივი სამხრეთელი მოაგარაკე იყო, ერთი იმათთაგანი, ზაფხულში რომ ჩამოდიან დასასვენებლად და გასართობად. ვიღაცამ უთხრა თურმე, რომ ამ ადგილებში ბევრი თევზი იცის, მაგრამ ვინ უთხრა, ვერ გაეხსენებინა. სულ რამდენიმე დღე დარჩება აქ, ყველაფერი აქვს, არაფერი არ სჭირდება. ამის დასამტკიცებლად მგზავრმა საფულე ამოიღო. ფული ბლომად ჰქონდა, დასტადასტა ნამდვილი ფული, სამხრეთელებს ხომ ბანკი ხელთ აქვთ. ამბობენ, ამ ქაღალდებს, მგონი, საპირფარეშოშიც კი ხმარობენო. მიუხედავად იმისა, რომ ბიარტური საერთოდ ზიზღით უყურებდა ფულს, სქელმა დასტამ მაინც მოახ-

დინა შთაბეჭდილება და უცნობს დიჰმარებაც კი შესთავაზა კარვის დადგმაში. მაგრამ მგზავრმა უპასუხა, თვითონ გავართმევ თავს ჩემს საქმესო. ისევ ისე გულგრილად გამოემშვიდობა მათ, როგორც მიესალმა, წავიდა, იქ დასტოვა საუცხოო სურნელი და ლურჯი კვამლიც, ნელ-ნელა რომ გაიფანტა მდელობზე წყნარი საღამოს ჰაერში. უცნობი სიტყვაძუნწობდა, ციოდ ეჭირა თავი, ფული ჩეჩქივით ჰქონდა და ხუტორელებს ფანტაზია გაუცხოველდათ. ასეთი კაცი, ასეთი კეთილშობილი ბატონი, ზღაპრული უფლისწულივით მიუწვდომელი, და უცებ ხუტორელების მეზობელი გახდა. მისი სიახლოვე უღიმღამო დღეებში გამობრწყინებულ დღესასწაულს, ავდარში მზის სხივების კაშკაშს, რუხ ფონზე აციმციმებულ შუქის ლაქას ჰგავდა და ეს მიძინებულ ფიქრს აღვიძებდა, ახალისებდა უნუგეშო, სევდიან ცხოვრებას. იმ ღამეს აუსტა სოულილიას დაესიზმრა, რომ ყელში გახირული ვაშლის ნაჭერი ამოუვარდა.

მეორე დღეს ძროხამ მოიგო. ასე ერთ დღე-ღამეში უშენში ორი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

უკანასკნელი რამდენიმე კვირის მანძილზე ძროხა ძლიერ იტანჯებოდა. საბრალო! ფინას კარგად ესმოდა მისი მდგომარეობა და არავის ანებებდა ძროხის გადენას საბალახოდ ან მის მოყვანას საღამოს, მასავით ფრთხილად და რიდით ვერავინ აკეთებდა ამას, მასავით მოთმინებით არავინ ელოდა, ვიდრე ძროხა ფარეხის ვიწრო კარში გაჭირვებით შეიტანდა დამსხვილებულ ტანს, გვერდებს ერთთავად რომ უხახუნებდა კარის ამყოლებს. ფინას აზრადაც არ მოუვიდოდა, წკნელი გადაეკრა ბუკოდლასათვის, როცა ის ზანტად მიაბიჯებდა ტალახში, სამ-ოთხი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ჩერდებოდა, ფრუტუნებდა, ხვნეშოდა, შეხედავდა ფინას, ყურებს გააპარტყუნებდა და დაიზმუვლებდა. ისინი ღარტაფში ნაკადულთან შორდებოდნენ ერთმანეთს.

ფინა ფერდებზე ხელს უსვამდა ძროხას და ეუბნებოდა:

— მალე ხბო გვეყოლება, თავდიდა, სუსტი, გაფარჩხული ფეხებით... არა უშავს რა, ყველაფერი კარგად ჩაიელის, საღამოს შევხვდებით ერთმანეთს. აბა, წყნარად, წყნარად... ვიფიქროთ ერთმანეთზე.

ფინა შინ მიდიოდა. ძროხა ბალახს ძოვდა, ნელა იქნევდა ყბას, ცხვირს ჭმუხნიდა სიამოვნებისაგან. ნაკადულის ნაპირებზე ნოყიერი, ქორფა ბალახი იყო.

იმ საღამოს ფინას ძროხა იქ აღარ დაუხვდა, სადაც ჩვეულებრივ იყო ხოლმე. ეუცნაურა ეს ამბავი, რადგან მან იცოდა, რომ რაც უფრო ახლოვდებოდა მოგების დრო, ძროხა მით უფრო მშვიდდებოდა. კარგა ხანი იყო უკვე, რაც ბუკოდლა გაქცევას აღარ ლამობდა. ქალი გაჰყვა გზას, ერთი ბორცვიდან მეორისკენ მიდიოდა, შორს, შორს წავიდა, მთისკენ, თან ბუკოდლას ეძახდა.

ბოლოს ძროხამ უპასუხა, ერთი წაიზმუელა და გაჩუმდა. ხმა პატარა ღარტაფიდან მოდიოდა, ზედ ნაკადულის პირას რომ იყო, და მალე იპოვა კიდეც ძროხა. ბუკოდლას ხბო მოეგო.

ფინას ძალიან გაუჭირდა, ძროხა აღარ ემორჩილებოდა, გარს უვლიდა ხბოს, ყნოსავდა, ლოკავდა და ჩუმადაბლა ზმუოდა, არავის, არავის არ ამჩნევდა, არაფერს არ ხედავდა: ფინასთვის გასაგები იყო ეს. როცა ჩნდება პატარა, წინ ეღობება ყველაფერს, რაც მანამდე დედას უყვარდა. ძროხა ისე იყო ავსილი დედობრივი ბედნიერი გრძნობით, რომ ამან ადამიანის სიყვარული ჩაუხშო, თითქოს იმ დღეს ბუკოდლას ყველა სურვილი აუსრულდაო და აღარაფერი უნდოდა, სხვების თანაგრძნობა ზედმეტად მიაჩნდა. ფინამ დიდი გაჭირვებით მიდენა პირუტყვი სახლამდე.

ბიარტურს გაჩდა, ყველამ ძროხას მიაშურა, წინ ბავშვები მიქროდნენ, ეჩქარებოდათ ხბოს ნახვა. ეს იყო მოზვერი. დედასავით რუხი. ხალებით მოწინწკლული. აუსტა სოულილამ მისალმების ნიშნად გამობურცულ შუბლზე აკოცა მოზვერს, ძროხა კი ნელა ზმუოდა და უყურებდა მას. იმ საღამოს ტიტლა ერთხელაც არ მიტანებია ბუკოდლას უკანა ფეხებში საკბენად, არც კი შეუღრინა, კუდი უკანა ფეხებში ამოიძუა და როცა ძროხა სარქენად წამოვიდა მისკენ, ზრდილობიანად გადგა განზე, შორიდან მოწიწებით ათვალიერებდა ახალ ოჯახს. ფოცხის გატეხილ ტარს დაყრდნობილი მოხუცი ჰალბერაც მოჩანჩალდა, უნდოდა მოფერებოდა ძროხას და ხბოს. ასე გასინჯეთ, თვით ალქაჯმა ფრიდამაც კი გამოიჩინა გულმოწყალება:

— საბრალო, — თქვა ფრიდამ, თან დაატანა: — იესოპეტრუს!

ამ დროს ბიარტურიც გამოძვრა სახლიდან და ჩაილაპარაკა:

— დანები უნდა ავლესოთ.

— ასეც ვიცოდი. წყეულო მკვლელო! — დაიყვირა დედაბერმა ფრიდამ.

ფინამ მუდარით შეხედა ქმარს და გვერდით რომ ჩაუარა, თითქმის ჩურჩულით თქვა:

— ბიარტურ, ჩემო ძვირფასო!

ძროხა ბაგასთან დაბეს, ხბოც იქვე გვერდით დაუწვინეს. მოგვიანებით, როცა ყველა დასაძინებლად გაემზადა, ქალები კი გულაჩუყებული ლაპარაკობდნენ ხბოზე, ყველა ბედნიერი იყო იმით, რომ ხუტორში ნორჩი არსება გაჩნდა, რომ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და გულწრფელად ხარობდნენ ამით, ბიარტურმა ისევ გაიმეორა, რაც ცოტა ხნის წინათ თქვა:

— სამწუხაროა, რომ კვირამდე ვერ მოვიცლი ნაკლავის წასაღებად ფიორდში.

მეორე დღეს ოჯახი ხსენის ყველს შეექცა. ბოლო ხანებში კარგი დღეები

დაიჭირა. ერთ რამედ ღირდა ბუკოდლას ნახვა, უწინ ისეთი ეული რომ იყო, ახლა რა მსუბუქად, სწრაფად მიაბიჯებდა დილაობით თავის ბოჩოლასთან ერთად. მოზვერი ბორძიკით და კუნტრუშით მისდევდა. ბუკოდლას აღარც ნუგეშისცემა სჭირდებოდა, აღარც ალერსი, გაურბოდა ბავშვებს, ასე რომ შეუყვარდათ მოზვერი და მოსვენებას აღარ აძლევდნენ. ძროხა უდარდელად ბალახობდა მთის ძირას, შორს, შორს მიდიოდა თავის ხბოსთან ერთად, თითქოს ადამიანზე აღარ არის დამოკიდებულიო. უწინ ხომ სჭირდებოდა ფინას მფარველობა, ახლა კი გაურბოდა ხალხს. საღამოს, როცა ფინა მის წამოსაყვანად მივიდოდა, ბუკოდლა ისე უყურებდა, თითქოს ვერა სცნობს პატრონსო. მაგრამ ფინას სულ არ სწყინდა, კარგად იცოდა, რა არის დედობრივი სიხარული, რარიგ ამაღლებს ეს გრძნობა ადამიანს, რომ ყველა სხვა უმნიშვნელო და წვრილმანი ხდება. დიახ, ფინასთვის გასაგები იყო ამგვარი სიხარული. საღამოს ძროხა ძალზე ცოტა რძეს იწველიდა, მაგრამ ფინა ბიარტურს არ უმხელდა ამას, ეშინოდა, ხბოს მთელი დღე ჩაკეტავს ბოსელშიო. მისთვის იმის გაფიქრებაც კი აუტანელი იყო, რომ ამდენი ხნის მარტოობის შემდეგ ბუკოდლას თავის ხბოსთან ყოფნის სიხარულს მოაკლებდნენ.

კვირა დილაა. კვირას ჩვეულებრივ გვიან იღვიძებდნენ. მხოლოდ ბიარტურისთვის იყო სულ ერთი კვირა და სადაგი დღე. მაინც უთენია დგებოდა და საქმიანობდა. იმ კვირა დილას ბიარტურმა საძვრომში ამოჰყო თავი და იკითხა, რა მოხდა, ხომ არ გაწყდით ყველაო.

— ოჰო, კვირა დღესაც აღარ გვაყენებ? — წამოიძახა დედაბერმა ფრიდამ.

— ხბოს ჯიგარი ზღურბლთან დევს, — გამოაცხადა ბიარტურმა. — თუ გინდათ, რომ ღვარმა წაიღოს, ნება თქვენია, მე კი ნაკლავი მიმაქვს ფიორდში.

ფინა იმ დღეს ვეღარ წამოდგა ლოგინიდან, კედლისკენ შებრუნდა, ცუდად შეიქნა. მოხუცი ჰალბერა, ფრიდა და ბავშვები ადგნენ. ხბოს ჯერ კიდევ თბილი ჯიგარი ზღურბლთან იდო ვარცლში. ბებერ ბლესიზე ამხედრებული ბიარტური უკვე ჭაობს მიჰყვებოდა აღმოსავლეთით, უნაგირზე გარდიგარდმო ედო ხბო, ფიორდში მიჰქონდა ვაჭარ ტულინიუს იენსენთან.

— მაგისგან ყველაფერი მოსალოდნელია, ყველას გამოგღადრავთ ყელს, — თქვა დედაბერმა ფრიდამ, მერე ქოთქოთით და ლანძღვა-გინებით დაიწყო ჯიგრის გაწმენდა.

ბავშვები გაოგნებული იდგნენ სახლის წინ, თითი პირში ჩაეყოთ, დასცქეროდნენ ხბოს ჯიგარს, თან ყურს უგდებდნენ ფრიდას.

ბუკოდლას ხბო... მათ ახსოვდათ მისი გამოხედვა, ისე რომ იყურებოდა, როგორც ბავშვებმა იციან. ჯერ კიდევ გუშინ უყურებდათ, ჯერ კიდევ გუშინ

დაკუნტრუშობდა აქ, ტყუპად ასწევდა და დაუშვებდა წინა ფეხებს, მერე უკანა ფეხებს აჰყრიდა ტყუპად. მრგვალი შუბლი ჰქონდა, როგორიც აქვთ ხბოებს. აუსტა იტყოდა ხოლმე, სამფერიაო. უკვე ფერდობებზეც ადიოდა, ყნოსავდა ქონდარას და წვიმა რომ წამოვიდოდა, ფერდზე ეკვროდა დედას, ეფარებოდა.

სევდიანი კვირა დილა გაუთენდათ. ძროხა გაბმით ზმუოდა ბოსელში, გაჭირვებით გაიყვანეს გარეთ, გარეკეს მინდვრისკენ, მაგრამ მალე მობრუნდა უკან, ზღურბლთან შედგა და ისე აზმუვლდა, თითქოს სახლს ეეედრებაო შველას. მთა ყრუ გამოძახილით აძლევდა ბანს. ბუკოდლას მსხვილი თვალებიდან კურცხალი ჩამოსდიოდა, — ძროხებიც ტირიან.

მთელი ერთი კვირა ფინა ვერ გაეკარა ძროხას, არ შეეძლო მისი შეხედვა და დედაბერი ფრიდა წველიდა ბუკოდლას. ადამიანზე ულმობელი, ადამიანზე სასტიკი არა არის რა. როგორ შეუძლია ხალხს თავის გამართლება უმწეო პირუტყვებთან? პირველი დღეები მძიმეა, ძალზე მძიმე, მაგრამ დიდი ნუგეშია, რომ ბოროტმოქმედება და მწუხარება დროთა განმავლობაში დავიწყებას ეძლევა ისევე, როგორც სიყვარული.

თავი ოცდამეხუთმეტე

სტუმარი

გადაუღებლად ჩამოდის დელგმა. აუსტა სიულილია სადილის თადარიგს შედგომია, სველი კაბა გაუხდია, ქურაზე გადაუფენია გასაშრობად, კაბას ოხშივარი ასდის. აუსტა ფეხშიშველია, დაფხრეწილი ქვედატანისამარა დგას და ქიცვს აცლის თევზს. ქვაბში წყალი უკვე ბუშტებს ისვრის, საცაა ადუღდება.

უცებ ქვეეთი ფეხის ხმა გაისმა. კარი გაიღო, ვიღაც შემოვიდა ფარეხში, აჭრაჭუნდა კიბე, საძვრომის კარი ქვემოდან ამოაღო ვიღაცამ. აი, გამოჩნდა კაცი, მიმოიხედა, ულტობი ქსოვილის პალტო აცვია, საყელოთი, ღილებით და თასმებით გაწყობილი, ფეხზე კი ბრეზენტის ჩექმები — ეერავითარი ღვართქაფი ვერ გაატანდა. სტუმარს ისეთი ცისფერი თვალები ჰქონდა, ისეთი ალერსიანი გამოხედვა, რომ აუსტას ძალზე ახალგაზრდა ეჩვენა. კაცი მიესალმა მათ, მაგრამ აუსტამ პასუხის გაცემა ვერ გაბედა, მან მხოლოდ მდუმარედ იცოდა ხელის ჩამორთმევა, უცნობმა კი ხელი არ გამოუწოდა. სქელ პალტოში გამოწყობილმა ამ უცხო კაცმა დიდი ადგილი დაიკავა მათ პატარა ოთახ-

ში და აუსტას ეშინოდა, ემანდ თავი არ აჰკრასო ჭერს. არც მოხუცმა ჰალბერამ უპასუხა სალამზე. მხოლოდ ცერად გამოჰხედა, ქსოვა შეწყვიტა. სტუმარს ბაწარზე აცმული ნანადირევი ფრინველი და კალმახები ეპირა.

— ნედლი თევზი და ფრინველი მოგართვით მრავალფეროვნებისათვის,— თქვა უცნობმა.

ვაჟკაცური, მზედაკრული სახე ჰქონდა. თეთრი კბილები მარგალიტივით უბრწყინავდა, მისი ხმა კი აუსტას ძალზე მეღერი ეჩვენა.

— სოფლა. — ხრინწიანი ხმით უთხრა მოხუცმა გოგონას, — სტუმარს სთხოვე. დაბრძანდეს.

აუსტამ ვერც ახლა გაბედა ხმის ამოღება. ისეთი დაფხრეწილი ქვედატანი ეცვა, იმსიგრძე ხელები ჰქონდა, ფეხები ტალახში ამოსვრილი, მისი დახეული ქვედასაცველი ქურაზე იდო გასაშრობად და ოხშივარი ასდიოდა. აუსტა სტუმრისკენ გახედვასაც ვერ ბედავდა, ათასფრად მბზინავ თევზსაც კი აარიდა მზერა. ალბათ ამ კაცს ჰგონია, რომ ისინი მშივრები არიან. რა უნდა უთხრას? რას იტყოდა მამა?

— შოდი, რამდენიმე კალმახი ჩავდოთ ქვაბში, — უთხრა სტუმარმა გოგონას და დანა აიღო. წვრილი, სათუთი, მზედაკრული ხელები ჰქონდა, დანას მარჯვედ ხმარობდა, წამში გამოშიგნა თევზები, ქვირითი ჯამში ჩადო, გასუფთავებული თევზი კი ქვაბში.

— საუცხოო თევზია, ოთხი გირვანქა იქნება, — თქვა კაცმა და კალმახი ბებიას დაანახვა.

— დიახ, დიახ, — უპასუხა მოხუცმა, — ოღონდ იმათთვის, ვინც შეჩვეულია ნედლი თევზის ჭამას. საკუთარი გემოვნებით სხვისთვის საჭმელის შერჩევა არ შეიძლება. აი მე, მაგალითად, სულ ვერ ვიტან ნედლ თევზს, მტკნარი წყლისას ხომ მით უმეტეს. ნედლი თევზი და გარეული ფრინველის ხორცი კუჭისთვის მძიმეა, როგორც კი შეეჭამ, მაშინვე ტანზე გამომაყრის ხოლმე.

სტუმარმა კი თქვა, ახალი ხორცისა და ნედლი თევზისგან ტანზე არავის გამოაყრის, ახალი ყველაფერი სასარგებლოა ჯანმრთელობისთვისო.

— სადაური ბრძანდებით? — ჰკითხა მოხუცმა.

— სამხრეთელი ვარ.

— განა არა, მაშინვე მივხვდი. საბრალო, — ისეთი თანაგრძნობით თქვა ჰალბერამ, როგორსაც მოხუცები იჩენენ ხოლმე შორეული კუთხიდან ჩამოსული ადამიანის მიმართ.

აუსტა სოფლილია იდგა და უყურებდა, როგორ შიგნავდა თევზს სტუმარი, როგორი მარჯვე ხელები ჰქონდა, მოზომილი, დაჯერებული მოძრაობა. ისე სწრაფად, მარჯვედ ასუფთავებდა თევზს, თითქოს თავისით კეთდებაო ყვე-

ლაფერი. სტუმარი აუსტასკენ გვერდით შებრუნებული იდგა და ღაწვებზე თითქოს ღიმილი დასთამაშებდა, სინამდვილეში კი არ იღიმებოდა. ძალიან ლამაზი იყო და ძალიან კეთილი. სტუმარმა კალმახები ქვაბში ჩაღო, გააკეთო ქვაბი და აუსტას ქონი მოსთხოვა. მალე ოთახში მოხარშული კალმახის სუნი დადგა. ალბათ დიდი კაცია. ვერა, ვერავინ გაიგებს, რაზე ოცნებობდა აუსტა სოულილია იმ დღიდან, რაც ეს კაცი პირველად გამოჩნდა ხუტორში.

სტუმარმა ჩიბუხი ამოიღო, დატენა თამბაქოთი და გააბოლა. გრაკლას თაფლოვანი სუნისმაგვარი, ოღონდ უფრო მძაფრი და საამო სუნი დადგა. ტკბილ სურნელებაში იფურჩქნება მთელი სამყარო. სტუმრის წასვლის შემდეგ ის საამო სურნელი კიდევ დიდხანს ტრიალებდა ოთახში.

— ნახვამდის, — თქვა სტუმარმა და გავიდა. გაიხურა გარეთა კარი.

აუსტა სარკმელს მივარდა, უნდოდა შეეხედა, იმ ფართო პალტოში და ულტობი ქსოვილის ქუდში როგორ გარბოდა წვიმაში სტუმარი. არა, ასეთი კაცი წვიმას არ შეუშინდება. რა მსუბუქად მიდის. გოგონამ იგრძნო, რომ უცებ თავბრუ დაესხა და გული აუძგერდა. მანამ იდგა სარკმელთან, ვიდრე გული არ დაუმშვიდდა და წვიმამ არ დაუცხრო მღელვარება.

მოხუცს ახლაღა გაახსენდა, რომ სტუმრისთვის რაღაც უნდა ეკითხა, რაკი სამხრეთელი ყოფილა, მაგრამ რას იზამ, ძალზე მოტყდა და დაძაბუნდა. ყველაფერი ავიწყდება.

— შენ კი, სოულა, გრცხვენოდეს. ასე როგორ შეიძლება, ყავაც კი არ შესთავაზე იმ საწყალს.

აუსტა სოულილიას არ ესმოდა რას ეუბნებოდნენ, რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა: მკლავებმოშიშვლებული, ფეხშიშველი, ძველ ქვედატანში — ნამდვილი ჯოჯოხეთის მაშხალაა.

— ოჰო, ნანადირევი? — თქვა ბიარტურმა, როცა სალამოს შინ დაბრუნდა, თან ზიზღით დახედა სტუმრის მიერ დატოვებულ ფრინველს. — ჯერ არავინ გასუქებულა ნანადირევი ფრინველით.

— მოვხარშოთ? — ჰკითხა ფინამ.

— გამიგონია, ზოგი ხალხი გარეულ ფრინველს ჭამსო, — თქვა მოხუცმა ჰალბერამ.

— ამბობენ, ფრანგები ბაყაყებსაც შეექცევიანო, — უპასუხა ბიარტურმა.

ბიარტურმა ფრინველის ხორცს პირი არ დააკარა, მაგრამ თითქოს არ ჯავრობდა უცნობზე ასეთი ძღვენის მორთმევისთვის. კვირა დღეს, საუზმის შემდეგ კი, ბიარტურმა თავისიანებს უთხრა:

— უცხო ხალხისაგან საჩუქრების მიღებაში მარჯვეები ხართ, იმ საცოდა-

ვი უმაწვილისთვის კვირა დღეს ორიოდ წვეთი რძის გაგზავნას კი ვერ მოიფიქრებთ, საამისოდ არ გეყოფნით ჭკუა.

საქმე იმით დამთავრდა, რომ აუსტა სოულილიას ერთი ტოლჩა რძე მისცეს და გაგზავნეს უშენის აღმოსავლეთ ნაპირზე. სოულას პატარა ნონიც გაჰყვა. ბიჭმა ხელ-პირი დაიბანა და თმა დაივარცხნა. აუსტას თვალები, ერთი სწორი, მეორე ელამი, იმ დილას თითქოს გაუფართოვდა და ჩაუმუქდა. პატარა ქალმა ცხვრის ტყავის ხამლი და თავისი განსვენებული დედის კაბა ჩაიცვა, ქალაქში მოგზაურობის შემდეგ კაბა გარეცხა და დააკერა. გარეცხვის შემდეგ კაბამ მთლად დაჰკარგა პეწი, ძველ ძონძს დაემსგავსა. მაგრამ, საბედნიეროდ, რაც ძროხამ მოიგო, აუსტამ მოიკეთა, დამშვენდა, შესამჩნევად მოფერიანდა.

და-ძმა აღმოსავლეთისკენ მიჰყვებოდა ჭაობს, ტოლჩით რძე მიჰქონდათ. აუსტა ძალიან ღელავდა, ხმას ვერ იღებდა. სამი დღეა რაც წვიმამ გადაიღო, მაგრამ ჯერ მაინც კარგად არ გამოდარებულა, თივა ცოტაღა დარჩათ ასაღები. იმ დღეს კი მზემ გამოაჭყიტა. ჭაობში ბალახი უკვე გაიცრიცა, ჩაჟამდა, მზის სხივებმაც დაჰკარგა ნაზი, მოცისფრო ელფერი, როგორსაც გაზაფხული აძლევს მას. ღალღები უკვე გუნდ-გუნდად იკრიბებოდნენ, ჩიბუხა ისე მიიმალა ბალახში, ისე განმარტოვდა, თითქოს წარსული ცხოვრების ცოდვებს ინანიებსო; და უცებ ფეხქვეშ გაუფრთხიალდა აუსტას და შეაკრთო. დუმს ირგვლივ მიდამო, აღარ ისმის ფრინველთა გალობა, წკრიალებს მხოლოდ გულის სიმღერა.

კარავთან არავინ ჩანდა. შეცბუნებული ბავშვები . მოლოდინით შედგნენ, საგონებელში ჩავარდნენ, როგორ დააკაკუნონ უკარო სახლზე, წირთხლიც რომ არა აქვს? ბოლოს, მაინც მოიკრიბეს გამბედაობა და კარავში შეიჭყიტეს. კაცი საძილე ტომრიდან გამოძვრა და ნამძინარევი თვალები მიაპყრო ბავშვებს.

— ჩემთან მოხვედით?

— არა, — თქვა აუსტა სოულილიამ, კარავთან დადგა ტოლჩა, ძმას ხელი ჩაავლო და მოკურცხლეს.

— ჰეი, მოიცათ, — შეუძახა ბავშვებს კაცმა. — რა ვუყო ამას?

— ეგ რძეა, — არ გაჩერებულა, ისე უპასუხა პატარა ნონიმ.

— მოიცათ, — ისევ დააწია სიტყვა კაცმა.

ბავშვებმა ვერ გაბედეს ურჩობა, შედგნენ, მხეცებივით დამფრთხალები უყურებდნენ.

— რა მოგვიდათ, მოდით აქ, — დაუძახა კაცმა.

მაგრამ ბავშვებმა ვერ გაბედეს კარავთან მისვლა, იდგნენ და შორიდან

უყურებდნენ. კაცმა ტოლჩას ხუფი მოხადა, პირზე მიიდო, ფრთხილად მოსვა ერთი ყლუპი რძე, პირი მოიწმინდა და გადააფურთხა.

— მოიცათ, ერთად ვჭამოთ შემწვარი, — უთხრა კაცმა ბავშვებს.

ბავშვები ერთ ადგილზე იდგნენ გაშეშებული, მერე ბურცოზე ჩამოჯდნენ გვერდი-გვერდ, ვერ გაიგეს, რა არის „შემწვარი“ და ელოდნენ, ნეტა რა იქნებაო, თან კაცს შეჰყურებდნენ გაკვირვებულები. კაცი საშმლის თადარიგს შეუდგა, ფეხშიშველი იყო, შარვალ-ხალათი ეცვა, ბავშვებისკენ არ გაუხედავს, ისე გასძახა მათ:

— იქნებ ახლოს მოხვიდეთ, საშიში არაფერია.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა კაცი შებრუნდა, ბავშვებმა ამით ისარგებლეს და მიუახლოვდნენ. შემოდით კარავში, რისა გეშინიათო, უთხრა კაცმა, თან თვალს არიდებდა ბავშვებს, რომ არ დაეფრთხო ისინი. ბავშვები შეჰყვნენ კარავში. ჯერ ნონი შევიდა, მერე აუსტა, ორივე ზურგით მიეყრდნო დგარს. ისეთი თავგადასავალი ჯერ არ გადახდენიათ. კარავში თამბაქოსი, ხილისა და ნელსასუნებლის სუნი იდგა. აუსტა თვალს აღევნებდა კაცის ხელების მოძრაობას, მის ხელებს ნაღებიანი ყავის ფერი დაჰკრავდა, უყურებდა, როგორ აანთო პრიმუსი, როგორ დადო ტაფაზე კარაქი, მერე სამი გამოშიგნული იხვი და შემწვარი ხორცის სუნი შეერია სხვა სურნელს. კაცს სათუთ, მზედაკრულ ღაწვზე ისევ დასთამაშებდა ღიმილი. აუსტას უხაროდა, რომ ის თვალს არიდებდა მათ, არ უყურებდა.

— თამაში თუ იცით, ბავშვებო? — თვალაუწველად ჰკითხა კაცმა.

— არა, — უპასუხეს ბავშვებმა.

— ოო? რატომ? — გაუკვირდა კაცს.

— ჩვენ სულ ვშრომობთ, — უპასუხა პატარა ნონიმ.

— რატომ?

ეს ბავშვებმა აღარ იცოდნენ.

— რა კარგია, რა თავშესაქცევია თამაში, — თქვა კაცმა. ბავშვებმა ვერ გაიგეს, ვის გულისხმობდა, ვინ ჰყავდა მხედველობაში, ისინი, თავისი თავი, თუ სხვები. აუსტა შიშით წამოენთო, ვაითუ შეხედოს ახლა, ან რამე ჰკითხოს კიდევ?

— ფრინველს რატომ არ ჰხოცავთ? — ჰკითხა მან.

— მამას არ უნდა, — უპასუხა ისევ ნონიმ. მართალია, არ კი ახსოვდა, რომ მამას ამაზე რამე ეთქვას.

— რა უყავით იმ ფრინველს, ამას წინათ რომ მოგიტანეთ? მოხარშეთ? ოი, ოი, კარაქში უნდა შეგეწვათ.

— კარაქი ჩვენ არ გვაქვს.

— რატომ?

— მამას არ უნდა სადღვეებელის ყიდვა.

— მაშ რაღა უნდა მამათქვენს?

—ცხვარი, — უპასუხა ნონიმ.

კაცმა გაოცებით შეხედა ბავშვებს, თითქოს ახლაღა მიხვდაო, რომ ესაუბრება მათ, და შინაარსიც აქვს მათ საუბარს.

— ცხვარი? — ისე გაიმეორა მან, თითქოს პირველად გაიგონაო ეს ნაცნობი სიტყვა. გადააბრუნა იხვები და ის მხარე. რომლითაც ტაფაზე იდო ფრინველი, ყავისფრად დაბრაწულიყო. კარაქი შხიპინებდა ტაფაზე. კარავში ბუღი დადგა.

— მაშ მამათქვენს ცხვრის მეტი არაფერი უნდა? — თითქოს თავისთვის თქვა კაცმა და თავი გადააქნია. ბავშვებმა იგრძნეს, რომ იგი მამას არ ეთანხმებოდა, მაგრამ რატომ, ეს ვეღარ გაიგეს და ნონიმ გადაწყვიტა, ჰელგისთვის ეთქვა, ეს დიდი კაცი, როგორც ჩანს, მამას ყველაფერში არ ეთანხმებაო.

აუსტა თავით ფეხამდე ათვალიერებდა უცხოს—მის ქამარს, ფეხის თითებს, ყავისფერ ქსოვილის პერანგს, გადახსნილი საყელო რომ ჰქონდა. თავის დღეში არ უნახავს ასეთი პერანგი. ამ კაცს უთუოდ ყველაფერი აქვს, რაც უნდა. მისი სახლი ის ზღაპრული სახლი ხომ არ არის, დედის ლანგარზე რომაა დახატული? არა, ეს შეუძლებელია. იმ სახლის წინ ხომ ყმაწვილი ქალი დგას. ამას კი ტყეში, განმარტოებით უდგას სახლი, ისეთი, როგორიც ლამაზ კალენდარზე იყო დახატული. შარშანწინ ის კალენდარი ოთახიდან ფარეხში ჩაუვარდა და ცხვრებმა გათელეს. განმარტოებით, ტყეში, იქ მარტო ცხოვრობს. მის სახლში ბევრი ოთახებია, გაცილებით იმაზე ლამაზი, ვიდრე რედსმირის სახლშია. სავარძელიც აქვს, რედსმირელთა სავარძელზე უფრო ლამაზი.

მეთოვლია პრინცესას ზღაპარი სწორედ ამაზეა დაწერილი.

— რა გქვია? — ჰკითხა კაცმა აუსტას. გოგონას კინაღამ გული შეეკუმშა და დამფრთხალმა, აჩქარებით ჩაილაპარაკა:

—აუსტა სოულილია!

— აუსტა... რა? — ჰკითხა კაცმა.

— სოულილია, — მის მაგივრად პატარა ნონიმ უპასუხა.

— საოცარია! — თქვა კაცმა და ყმაწვილ ქალს შეხედა, თითქოს უნდა შეამოწმოსო, რომ ის მართლა მზის შროშანია. აუსტას გული აემღვრა იმის გამო, რომ ასეთი სულელური სახელი ერქვა. კაცმა კი გაუღიმა, მიუტევა, მის თვალებში რაღაც დიდი სიკეთე, რაღაც დიდი სინაზე გამოიხატა—სწორედ ის, რაც ასე სწყუროდა, რაც მუდამ სწყუროდა აუსტას გულს და ყმაწვილმა ქალ-

მა პირველად დაინახა ი ს ამ კაცის თვალებში... ვინ იცის, იქნებ ვერასოდეს, ვერასოდეს ვეღარ დაინახავს მემრის... დაინახა და გაიგო: დიახ, სწორედ ი ს იყო.

— ახლა კი მესმის, რატომ არის ეს ხეობა ასე მშვენიერი, — თქვა კაცმა.

ამაზე პასუხის გაცემა აუსტა სოულილიას არ შეეძლო. მშვენიერი ხეობა? დიდხანს იმტვრევდა თავს, ნეტა რას გულისხმობს? ყმაწვილ ქალს გაგონილი ჰქონდა, რომ არსებობს მშვენიერი მატყლი, მშვენიერი ნაქსოვი. ყველაზე ხ'მირად კი ესმოდა, ‘მშვენიერი ცხვარი, ოაგრამ ხეობა? ხომ უბრალო ჭაობია, ბლანტი ჭაობი... დგეხარ კოჭებამდე წყალში, ტოტებში უფრო ღრმაა. ხეობა ტბაა, სადაც წყლის კაცი ბუდობს; მაღალ გორაკზე დგას პატარა ხუტორი, მთა, სალი, პიტალო კლდეები, ზემოთ კი მწირი მზე. აუსტამ გახედა ხეობას, სადაც მთელი ზაფხული უქცევდა გაბინძურებულ, სველ თივას, თავით ფეხამდე გალუმპული და საცოდავი. დღეს აქ არც ცილა აქვს, არც საღამო, — და უცებ, ეს ხეობა მშვენიერია თურმე? „ახლა კი მესმის, რატომ არის ეს ხეობა ასე მშვენიერი!“ მაინც რატომ? არა, იმიტომ კი არა, რომ მას აუსტა სოულილია ჰქვია. თუ ეს ხეობა მშვენიერია, მშვენიერია მხოლოდ იმიტომ, რომ მას ეწვია საოცარი კაცი.

ხორცი შიშხინებდა.

— გარეთ გავიდეთ, — უთხრა კაცმა ბავშვებს. დასხდნენ ტბის ნაპირას. დღის სამი საათი იქნებოდა, ხეობაში თბილი ქარი დაქირქილებდა. კაცი ბალახზე გაიშოტა, თვალი ცას მიაპყრო, ბავშვები კი მას მიაჩერდნენ, მისი ფეხის თითებს ათვალიერებდნენ.

— აბა, მითხარით, რა იცით? — ცისოვის თვალი არ მოუწყვეტია, ისე ჰკითხა კაცმა.

— არაფერი, — უპასუხეს ბავშვებმა.

— მოჩვენებები გინახავთ ოდესმე?

— არა.

— რის გაკეთება შეგიძლიათ? — კვლავ შეეკითხა ჩამოსული.

ბავშვებმა გაიფიქრეს, უხერხულია ყველა კითხვაზე არას ძახილიო, არც პირდაპირ უნდოდათ იმის თქმა, რომ არაფერი იცოდნენ. რის გაკეთება იცის აუსტა სოულილიამ? გოგონა დიდხანს ცდილობდა გაეხსენებია რამე, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი გაიხსენა.

— ნონიმ სიმღერა იცის, — თქვა ბოლოს აუსტამ.

— იმღერე, ნონი, — სთხოვა კაცმა.

პატარა ნონის იმ წუთებში მთლად გადააავიწყდა, როგორ უნდა დაეწყო სიმღერა.

— რამდენი თითი მაქვს ფეხებზე?

— ათი, — წამოიძახა ნონიმ, მაგრამ იმ წუთს ინანა, ტყუილად ავჩქარდი. ჯერ უნდა დამეთვალა, ვინ იცის, ეგებ სამხრეთელს თერთმეტი თითი აქვსო. აუსტა შებრუნდა, რა სასაცილო კითხვაა! თავი ვეღარ შეიკავა, სიცილი წასკდა, მიიხედა კაცისკენ და დაინახა, რომ ის რაღაც უცნაურად უყურებდა, მერე უცებ გადაიხარხარა. ოი, როგორ დაიწვა აუსტა სოულილია სირცხვილით და მაინც ვერ შეიკავა სიცილი.

— აჰა, აკი ვიცოდი, — ზეიმურად თქვა კაცმა და წამოდგა, რომ შეეხედა, როგორ იცინოდა აუსტა. სიცილში გამოცოცხლდა და გაიფურჩქნა მთელი მისი არსება, თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი აუციმციმდა, — ის დანებდა. სახეზე ქალიშვილური სინაზის იერი დაედო.

იხვებისთვის უნდა მიეხედა. კარავთან საამო სუნი ტრიალებდა. ბავშვებს ნერწყვი მოერია ესოდენ გემრიელ, სურნელოვან საჭმელზე ფიქრით. კაცმა თუნუქის ქილა გახსნა, კომპოტი ჯამში გადმოღვარა, ისე იყო გართული საჭმელის მომზადებაში, რომ ბავშვებს ყურადღებას ვეღარ აქცევდა. აუსტას გული მოუვიდა პატარა ნონიზე. რა ჩერჩეტია ეს ბიჭი.

— რატომ არ იმღერე, შე შტერო, შენა. მაშ რისთვის წამომყევი? — შეუწყრა ძმას.

საღამოს კი, სახლის ზღურბლზე მჯდარი აუსტა მწარედ ნანობდა, რომ სამხრეთელ კაცს მეთოვლია პრინცესას ზღაპარი არ უამბო, თავიდან ბოლომდე ზეპირად რომ იცოდა. „ზამთარია, ქრის ქარბუქი, დედოფალი თავისი სასახლის სარკმელთან ზის და ხელსაქმობს...“ ერთი პირობა კი დააპირა ზღაპრის მოყოლა, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ სწორად ვერ გამიგოსო. ასე იყო თუ ისე, აუსტა მაინც ძლიერ ნანობდა იმაზე, რაც უთქმელი დარჩა. აუსტა ტბის ნაპირას მდგარი კარვისკენ იყურებოდა, ბინდბუნდში მაინც მოჩანდა კარავი. დიდხანს იჯდა იქ, გადაწყვეტილი ჰქონდა, ვიდრე ყველა არ დაიძინებს, არ დავწვებიო და უცებ დაინახა ჭაობის დასავლეთ მხარეს მიმავალი კაცი, თითქოს დაბაში მიდიოდა. ის იყო.

ზაფხულის სავანეში უკვე დასაძინებლად ემზადებიან, ის კი დასავლეთ მხარეს მიდის, უღელტეხილისკენ.. ნეტა ასე გვიან საით გაუწევია? იქნებ ყოველ საღამო დადის იქით? უწინ კი არ შეუმჩნევია აუსტას. განა იმან არა თქვა, რომ ეს ხეობა მშვენიერია? რას გულისხმობდა? არაფერს? ხუმრობით თქვა; აუსტამ კი დაიჯერა? თუ ხეობა მშვენიერია, დასავლეთით რაღად მიდის, რისთვის უნდა გადაიაროს უღელტეხილი? საცაა დაღამდება, აცივდა კიდეც.

აუსტას ორი დღე არ უნახავს იგი, არც მისი თოფის ხმა გაუგონია. მერე მოვიდა ის. გვიანი საღამო იყო, დასაძინებლად ემზადებოდნენ. კიდევ კარგი,

აუსტას ჯერ კაბა არ ჰქონდა გახდილი. ბინდში კაცმა თავი ამოჰყო საძ-ვრომში და თქვა: „საღამო მშვიდობისა!“ ჯიბიდან ბრჭყვიალა კოლოფი ამოი-ღო. ქალები უკვე ქვედატანის ამარა იდგნენ, კაცს ანთებული ჩიბუხი ეჭირა, ქაჩავდა, სხვენი წამში გაივსო სურნელოვანი კვამლით.

— მივდივარ, — თქვა კაცმა.

— რა გეჩქარება? — ჰკითხა ბიარტურმა. — აქამდე ასე მეგონა, რომ თქვენ, სამხრეთელები არასოდეს არსაით არ მიიჩქარით. მე ხომ არ გაგდებ, მეგობარო!

— ჰო, მაგრამ მაინც მივდივარ.

— ამას წინათ ჩემს ბავშვებს შემწვარი ფრინველით გამასპინძლებიხარ,— უთხრა ბიარტურმა.

— აბა, ეგ რა საკ..პარაკოა, — უპასუხა კაცმა.

— მართალი ხარ. — კვერი დაუკრა ბიარტურმა, — ძალზე ნაზი საჭმე-ლია, ყუათი სულ არა აქვს. მასეთ რამეებს შიმშილობის დროს თუ ჭამდნენ. ამ ჩვენ ჭაობებში, ალბათ, ძალიან დასუსტდი, არა, საბრალოვ?

— პირიქით, წონაში მოვიმატე.

— ჩვენ უფრო მარილიანი და მეავე საჭმელები გვიყვარს. ჰო, რა უნდა მეთქვა. ალბათ მშენებლობის საქმეში ჩახედული იქნები. სახლის აშენებას ვა-პირებ და...

ამის გაგონებაზე, დედაბერმა ფრიდამ თავი ვეღარ შეიკავა:

— აშენებას? — სიტყვა შეაწყვეტინა ბიარტურს, — ურიგო არ იქნებო-და, ჯერ საკუთარი ჭკუა გადაგეკეთებინა და ბარემ შეგეღება კიდეც შიგნიდან და გარედან.

დიახ, სახლის დადგმა გადაწყვიტა, მაგრამ უფრო გონივრული იქნებოდა, თუ გამოჩერჩეტებულ, დავრდომილ პარაზიტებთან, ღვარძლი და ბოროტება რომ აღრჩობთ, არ დაეწყო ამაზე ლაპარაკი.

— ასეა თუ ისე, მოხარული ვიქნები, თუ კიდევ დაგინახავ ამ ჩემს მიწა-ზე, დღისით იქნება თუ ღამით.

კაცმა ბიარტურს მადლობა გადაუხადა სტუმართმოყვარეობისათვის და უთხრა, რომ ამ მშვენიერ ხეობაში კვლავაც ჩამოვა.

ბიარტურმა ახლაც ისე უპასუხა, როგორც პირველი შეხვედრისას:

— მშვენიერია, ამბობ? ეგ იმაზეა დამოკიდებული, როგორ თივას ავი-ღებთ.

სტუმარი ემშვიდობებოდა ხუტორელებს. ამ დროს მოხდა არაჩვეულებ-რივი რამ. მოხუც ჰალბერას თითქოს რაღაც ფიქრი უტრიალებდა თავში, ამ ქალს არასოდეს არ გამოუჩენია ვინმესთან გამოლაპარაკების სურვილი,

სტუმარს რომ ემშვიდობებოდა, თავისი სუსტი ხელით ჩააფრინდა ხელში და რაღაცის თქმას ლამობდა.

— სწორედ გავიგე, თუ არა, რომ ეს კაცი სამხრეთელია? — იკითხა ჰალბერამ.

— ჰო, — ხმამაღლა უპასუხა ბიარტურმა, რომ მოხუცს ზედმეტად არ შეეწუხებინა სტუმარი. — რასაკვირველია, სამხრეთელია, რამდენჯერ გითხარით ეგ.

მოხუცმა თქვა, რომ იმდენად მიხრწნილია, შეიძლება სწორად ვერც გაიგო, რა უთხრეს.

— ყველასთვის ნათელია, რომ ქვევით მიექანები, — შეაწყვეტინა ბიარტურმა.

— ჰოდა, მინდოდა მეკითხა ამ კაცისთვის... მეც ხომ სამხრეთელი ვარ... იქ და მყავს. იქნებ იცნობს ან ოდესმე შეხვედრია ჩემს დას-მეთქი, სამხრეთში.

— არა, — დაუყვირა ბიარტურმა, — ეგ შეუძლებელია. არ უნახავს ამ კაცს შენი და.

— შენ საიდან იცი, დალახვროს უშმაკმა? — ჩაერია დედაბერი ფრიდა.

მაგრამ სტუმარს უნდოდა დაწვრილებით გამოეკითხა მოხუცისათვის მისი დის ამბავი, ეგებ შემთხვევით შეხვედრია კიდეც. რა ჰქვია?

სტუმარმა ჯიბის ფარანი მიანათა მოხუცს. მოხუცი დაძაბული ყურადღებით აცეცებდა სიბერისაგან გამოხუნებულ თვალებს. მის დას ოდრუნი ჰქვია.

— ოდრუნი? რეიკიავიკში ცხოვრობს?

— არა, ის არსად არ ცხოვრობს. არასოდეს არ ჰქონია საკუთარი სახლი. მუდამ ბატონებს ემსახურებოდა, მედალანდში. იქიდანა ვართ წარმოშობით.

— ეე, აბა საიდან ეცნობება ამ კაცს ეგეთი ხალხი? წვრილფეხობა... — შეაწყვეტინა ბიარტურმა.

— უკანასკნელად მისგან ცნობა რომ მივიღე, ვიღაცის ოჯახში მუშაობდა მირდალში, ვიკის მახლობლად, და ლოგინად იყო ჩავარდნილი, ფეხი მოეტეხა თურმე. მისი თხოვნით მომწერეს წერილი. ფოსტით მივიღე, ასე ოცდაათი წლის წინათ. ორნი ვიყავით მხოლოდ.

— ალბათ რა ხანია ის უკვე საიქიოს გაემგზავრა, — თქვა ბიარტურმა.

— ფუი! — აღშფოთდა დედაბერი ფრიდა და ისევ ეკვეთა ბიარტურს საბრძოლველად. — ჩვენდა საბედნიეროდ, შენ არა ხარ ღვთისა და ხალხის გამგებელი.

სტუმარმა აუხსნა მოხუცს, რომ ოდრუნს არ იცნობდა, რადგან არასოდეს არ ყოფილა მედალანდში.

— ოო, მედალანდიდან ჩემი და დიდი ხანია გადავიდა. — თქვა მოხუცმ.
— მაგრამ მაინც სადღაც სამხრეთშია.
— აჰა! — თქვა სტუმარმა.
— დიდი დრო უნდა შორიდან ამბის მოსვლას, — თქვა მოხუცმა.
— მართალია, — დაუდასტურა სტუმარმა.
— აი, რა მინდა გთხოვო: სალამი გადაეცი ჩემს მაგივრად. თუ ოდესმე შეხვდები ოდრუნს. უთხარი, ქენი სიკეთე, რომ მე, მადლი უფალს, არა მიშავს რა, კარგად ვცხოვრობ, მიუხედავად იმისა, რომ დავძაბუნდი სულითა და ხორცით, როგორც თვითონ ხედავ. და უთხარი კიდევ, რომ ამ ცამეტი წლის წინათ დავკარგე ტოურარი. ჩემი ბიჭებიც დიდი ხანია ამერიკაში წავიდნენ. ახლა გათხოვილ ქალიშვილთან ვცხოვრობ აქ.
— ეს უკვე იცის! — დაუყვირა ბიარტურმა.
სტუმარმა ერთხელ კიდევ ჩამოართვა ხელი მოხუცს და შეჰპირდა, უსათუოდ სალამს გადაეცემ ოდრუნს, როცა სამხრეთში ვიქნებიო. სხვებსაც ჩამოართვა ხელი, აუსტასაც გამოემშვიდობა.
— აუსტა სოულილია, — თქვა მან, როგორც პატარა ბავშვს, ისე მოუთათუნა ხელი ლოყაზე და დაუმატა: — ლამაზი სახელი — ლამაზ ხეობაში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელი არასოდეს დამავიწყდება.
აუსტა იწვა, არ ეძინა, შეჰღაღადებდა ღმერთს, რომელსაც არ იცნობდა და ფიქრობდა, რომ ი ს არასოდეს არ დაივიწყებს მის სახელს, არასოდეს... შეჰხაროდა მომავალ ზაფხულს, როცა ი ს კვლავ ჩამოვა. შემდეგ ეკვმა ვაჭკრა: იმ საღამოს რისთვის მიდიოდა დასავლეთით, უღელტეხილისკენ?
მეორე დილას, ბავშვები რომ ადგნენ, ტბის ნაპირას აღარ დახვდათ კარავი.
კოკისპირულად წვიმდა. იგრძნობოდა შემოდგომის მოახლოვება. წვიმის გაუთავებელი შხაპუნით გულგაწვრილებულებს, ეჩვენებოდათ, რომ სხვა სამყაროდან გადმომსკდარი წყლის ნაკადი ნიადაგ იდენდა შეუნელებლად, მონოტონურად, თანაბარზომიერად, უძლეველი ძალით დგაფუნობდა წვიმა და სევდის საბურველში ხვევდა მიდამოს.
თამბაქოს სურნელი დიდხანს იდგა ოთახში. აუსტამ იგრძნო ეს სურნელი, როცა მინდვრიდან შინ დაბრუნდა კერძის გასაკეთებლად. მაგრამ ნელ-ნელა იგი მაინც განქარდა და ბოლოს გაქრა.

ბიარტური მშენებლობას იწყებს

უტირედსმირელი იოუნი, როგორც წესი, თვითონ ირჩევდა ცხვრის მუშტარს, ვისაც უნდოდა, იმას მიჰყიდიდა, ფასსაც თავის გუნებისად ადგენდა, გლეხებს კი გასაქანი არა ჰქონდათ, მიჯაჭვულნი იყვნენ ტულინიუს იენსენზე თავისი ვალებით. მთელ ოლქში მამასახლისი ერთადერთი კაცი იყო, დაუფარავად, ქვეყნის დასანახად რომ ამეღავნებდა სიძულვილს ტულინიუს იენსენისადმი. იოუნი შემოდგომაზე გლეხებისგან ყიდულობდა ცხვარს, მიერეკებოდა დიდ ფარას ჩრდილოეთით, გადაატარებდა უშენს, ჩადენიდა ვიკში და იქ დიდი მოგებით ჰყიდიდა. ვიკში მამასახლისი სავაჭრო სახლის თანამფლობელი იყო. მაგრამ დრო მიდიოდა, ხალხი თანდათან გაიტაცა სამომხმარებლო საზოგადოებებმა. ამ საზოგადოების ერთ-ერთი განყოფილება ვიკშიც გაიხსნა. სავაჭრო სახლი კი, მიუხედავად მამასახლისის ყოველგვარი მეცადინეობისა და თავგამოდებისა, გაკოტრდა. აი, რარიგ დიდ საფრთხეს უქმნის ამგვარი კავშირები ცალკეულ პირთ ასეთ მძიმე დროში, რაოდენ ძლევამოსილნიც არ უნდა იყვნენ ის პირნი. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი მარცხის შემდეგ იოუნი გააფთრებით თავს დაესხმოდა წვრილ გლეხობის გაერთიანებებს — ერთ-ერთი ამ გაერთიანების მეოხებით გაკოტრდა ვიკის სავაჭრო სახლი. მაგრამ რა მოხდა? მამასახლისმა რეიკიავიკიდან გამოიძახა თავისი ვაჟი, რწმუნებული ინგოულფ არნარსონი და მასთან ერთად ჩამოაყალიბა ფიორდში სამომხმარებლო საზოგადოება, გადაიბირა არა მარტო ვალებისაგან თავისუფალი ახლომახლო მცხოვრები გლეხობა, არამედ ისეთი ლატაკებიც, ვინც ბრუნის მძიმე უღელს ვერ დააღწია თავი. იოუნი ამ ხალხს ხელსაყრელ პირობებში აძლევდა სესხად ფულს, ოღონდ კი ბრუნისაგან განთავისუფლებულიყვნენ და მაინ საზოგადოების წევრი გამხდარიყვნენ. „ჩვენ, გლეხები, მხარში უნდა ამოვუდგეთ ერთმანეთს“, გაიძახოდა იოუნი, და იმ კაცმა, ვინც მუდამ განაპირებული იყო ყველასაგან, უცებ გლეხობის გაერთიანებისათვის დაიწყო ბრძოლა! ასეთმა ხალხმა მუდამ იცის რით, სად და როგორ გავიდნენ ფონს. თუ ისლანდიელ გლეხებს ვაჭრის მძიმე უღლისაგან თავის დაღწევა უნდათ, ზომები უნდა მიიღონ, ხელი გაანძრიონ, ერთმანეთს მხარში ამოუდგნენ და დაიცვან თავისი ინტერესებიო, — ქადაგებდა უტირედსმირელი იოუნი. სამომხმარებლო საზოგადოება კარგ ფასს უხდის გლეხებს პროდუქტში, იაფად აძლევს სხვა საქონელს. ეს არსებითად საქმიანი საწარმო კი არ არის, უფრო საქველმოქმედო საზოგადოებაა, გლეხებისგან დაარსებული თვითდახმარებისთვისო. მაგა-

ლითად, თუ გლეხი ოცდაათ ბატკანს გაჰყიდის მსოფლიო ბაზარზე, როცა საქონელი კარგად ფასობს, სამოც კრონ მოგებას ნახავს, ვისაც სამასი—ოთხასი ბატკანი ჰყავს გასასყიდი, თითქმის ათას კრონს მოიგებს. პატარა ბავშვისათვისაც კი ნათელია, რაოდენ სასარგებლოა ასეთი საზოგადოებები როგორც ღარიბი, ასევე შეძლებული გლეხობისათვის. არავინ არავის მოატყუებსო.

მაგრამ შემოდგომით გლეხებმა ბრუნის წერილი მიიღეს. ვაჭარი თავის კლიენტებს ატყობინებდა, რომ ესაა დაბრუნდა უცხოეთიდან, სადაც არაჩვეულებრივად იაფ ფასებში შეიძინა საქონელი და დადო ხელსაყრელი ხელშეკრულებები. ასე, რომ, შეუძლია არნახული უპირატესობები აღუთქვას კლიენტებს. წერილს დართული ჰქონდა პრეისკურანტი, საიდანაც ცხადი გახდა. რომ ყველა საქონელს სამომხმარებლო საზოგადოების მიერ დადგენილ ფასებზე გაცილებით ნაკლები ედო. არასოდეს ასე ხელსაყრელი არ ყოფილა ვაჭრობა, როგორც იმ შემოდგომაზე. თუ ინგოულფ არნარსონი გლეხს მეგობაროო ეტყოდა, ტულინიუს იენსენი ძვირფას მეგობარს უწოდებდა, თუ ინგოულფ არნარსონი გლეხს მხარზე ხელს დაჰკრავდა, ტულინიუს იენსენი ლოყაზე მოუთათუნებდა. თუ ინგოულფ არნარსონი გლეხს გადაეხვეოდა, ტულინიუს იენსენი — ჰკოცნიდა... ქრისტიანულმა სულისკვეთებამ ვაჭრობაში ყველა ჩვეული და გონივრული საზღვარი გადალახა, გლეხს აღარავინ ახსენებდა ვალს, თითქმის ძალით ახვევდნენ თავს ძვირფას საქონელს, თითქოს ჩაწოლილი საქონელი იყო. ასე თუ გაგრძელდებოდა ერთი-ორი წელიწადი. ყველა შეძლებული გახდებოდა.

ბიარტურმაც ისარგებლა შემთხვევით, ხე-ტყის მასალა და რკინეულობა იყიდა სახლის ასაშენებლად.

— გინდ ბეტონის ორსართულიანი სახლი აიშენე, — უთხრა ტულინიუს იენსენმა და გადაეხვია ბიარტურს, — თუ ფული გაკლია, ნუ მოგერიდება. მითხარი, გეთაყვა, მეგობრულ სამსახურზე არასოდეს არ დაგზარდები.

— მშენებლობას ვიწყებთ, — ამბობდნენ ზაფხულის სავანეში სიხარულით და მოუთმენლობით ატაცებული ბავშვები. ნეტა როგორი იქნება ჩვენი სახლი, ორსართულიანი, როგორც უტირედსმირშია, თუ ერთსართულიანი. როგორიც მთების მეფეს უდგას, მკითხაობდნენ პატარები. ყოველ შემთხვევაში, საცხოვრებელი ოთახის გარდა, დიდი სასტუმრო ოთახიც ექნებათ. მოზაალმა მშენებლობამ ფრთა შეასხა მათ ფანტაზიას, მაგრამ მამას ვერ უბედავდნენ რაიმეს კითხვას, იმ წუთს მკვახედ შეაწყვეტინებდა ლაპარაკს, არ უნდოდა თავისი გეგმების წინასწარ გამხელა. „თქვენი საქმე აკეთეთ", — ცივად მოუჭრიდა ხოლმე შვილებს. ბავშვები ემორჩილებოდნენ, ოცნებაში კი სულ უფრო კოპწია და მიმზიდველი ესახებოდათ ჯერ აუშენებელი სახლი. აუსტა

ხედავდა დიდ, ნათელ სამზარეულოს, დიდ ქურას ბევრი კომფორებით, ჭურჭ-
ლის კარადებსა და თაროებს, წინასწარ ხარობდა იმის წარმოდგენით, თუ რო-
გორ მიირბენდა ზაფხულში შინ სადილის გასაკეთებლად. და აი, იღება კარი,
ნათელ, დიდ სამზარეულოში სქელ პალტოში გამოწყობილი სტუმარი შემო-
დის, ხელში ნანადირევი უჭირავს, ფრინველი და ოვეზი, უწვდის აუსტას მე-
კობრულ ხელს, — ზოგიერთებს აქვთ ისეთი მეგობრული ხელი, რომ მთელი
ცხოვრების მანძილზე, თვით სიკვდილამდე გრჩებათ ხსოვნაში. ასე ფიქრობდა
ყმაწვილი ქალი, თან სწუხდა, ახალ სახლში სასტუმრო ოთახი თუკი გვექ-
ნება, სავარძელი და სურათები საიდანღა მოვიტანოთ.

სველი თივის უკანასკნელი ნარჩენები აიღეს. აუსტა სოულილია საგულ-
დაგულოდ აქუჩებდა თივას, მამა ხორომებს ჭკრავდა. აუსტას სიამოვნებდა
ჰამასთან ერთად მუშაობა, რა შეედრება იმას, როცა მამა აქებს? აი, უკანასკ-
ნელი ხორომი შეჰკრეს, ჩამოსხდნენ ზედ გალუმპულები, ტალახში ამოსვრი-
ლები. ბიარტურმა ბურნუთი შეიყნოსა და შრომა-ჯაფით დაქანცული დიდი
ხელები სველ მუხლებზე დაიწყო. აუსტას წყალი კოპებამდე წვდებოდა, დას-
ჯქეროდა თავის ფეხებს. მაღალი შუბლი ჰქონდა პატარა ქალს. არა, ასეთი ძა-
ლიან შუბლიანები მის გვარში არ არიან, ყველას დაბალი, ფართო შუბლი აქვს.
წარბებიც მოშვილდული აქვს, მუქი, ესეც სხვა წარმოშობაზე მეტყველებს,
ასევე მოყვანილი, თლილი ნიკაპი, მომრგვალებული ხაზით რომ ამთავრებს
ოვალურ ოვალს. რაოდენ მომხიბლავია მისი საკუთ, ლალისფერი ქვედა ტუჩი...
აი, მან შეხედა ბიარტურს, ბიარტურმაც დაინახა მისი თვალები. მარჯვენა თვა-
ლი საოცრად ნათელი, ახალგაზრდული, თითქმის ბედნიერი, სრულიად უშფო-
თველია, მაგრამ მარცხენა თვალიდან, ოდნავ რომ აელმებდა, სულ სხვა სული
იმზირებოდა, სულ სხვა გრძნობები — ამოუცნობი, შიშით შეკავებული ნაზი
ოცნება, როგორც მტრის ხელო ჩაკარდნილ ტყვეა აქვს. ეს დედამისის თვა-
ლია, იმისი თვალი, ვისაც გამოუთქმელი სიტყვები შეეყინა პირზე, დღენიადაგ
შიშში იყო და უცებ გაქრა; იმისი თვალი, ვინც ცოლად ჰყავდა და კი არ
ფლობდა მას. ყმაწვილი ქალი ყვავილივით ნაზი იყო, ნორჩი. ბიარტურს მოეჩ-
ვენა, რომ დრო-ჟამის ფარდის მიღმა ხედავდა გარდასულ დღეებს და უცებ
დაღლილობა იგრძნო, თითქოს შემოდგომამ შემოპქროლა სახეში; ანდა, უფ-
ო სწორად, მისი სახე გაიდღლაბა შემოდგომის უფერულ ნისლში. დგეხარ.
აკვირდები საკუთარ თავს და რაოდენ უცხო გეჩვენება შენივე ცხოვ-
რება!

— მამა, — თქვა აუსტამ, — როგორ მიხარია, რომ მშენებლობას
იწყებ.

და, უცებ, ყმაწვილმა ქალმა დაინახა მისი სახე, ის სახე, რომელიც მამას არა

სოდეს უჩვენებია, არასოდეს არავის დაუნახავს მის მეტს, თავის ოსტატურ ლექსებშიც კი არ გამოუხატავს — მისი სულის სახე... არავის, არავის არ უნახავს ეს სახე აუსტა სოულილიას გარდა. ბიარტურის ლექსები ისეთი ღვლარჭნილი იყო, რომ მათი შინაარსი კნინდებოდა. ასევე იყო მთელი მისი ცხოვრებაც. ოჰ, რარიგ უნდოდა აუსტას მკერდში ჩაკვროდა მამას, ჩაემალა სახე იმ ადგილას, წვერქვეშ. ბიარტური ადგა, სველი ხელი თმაზე გადაუსვა შვილს.

— როდისმე მამა დიდ სახლს აუშენებს თავისი ცხოვრების ყვავილს, — ოქვა მან, — ოღონდ ამ შემოდგომაზე კი ვერა.

ვერა, ამ შემოდგომაზე ვერა.

ამ შემოდგომაზე ბიარტური იმით დაკმაყოფილდა, რომ ძველი მიწური ფარეხის ადგილზე, ათი წლის წინათ რომ ააშენა ნაკადულის ნაპირას, ახალი ფარეხი ააგო და თუნუქით გადახურა. ძროხის სადგომში ბატკნების ბინა გამართეს, საცხოვრებელი ოთახის ქვემოთ კი ძროხისა და ცხენის სადგომები. იატაკი ქვით მოაგეს, გვერდითა კედელში კარი გაჭრეს და იქიდან ნაკელს გარეთ ჰყრიდნენ...

მიუხედავად იმედების გაცრუებისა, ფარეხის მშენებლობა მაინც დიდი მოვლენა იყო ზაფხულის საავანეში. ხუტორში მოვიდა უცხო ხალხი — მშენებლები, მთელ ოლქში განთქმული ოსტატები. დაიწყეს მუშაობა, დაჭრილი ტორფის ფენებით ამოიყვანეს კედლები. შიგადაშიგ კორდი დააყოლეს და ფარეხი ზოლებიან ქსოვილს დაემსგავსა. მუშებში ნასწავლი ხუროც ერია, სახაზავით, ფანქრით და ხერხით შეიარაღებული. თუმც თვალებში კი ეტყობოდა ხუროს, რომ ყველაფერს გუხებაში ანგარიშობდა.

ნედლი ბურბუშელის სუნი, შემოდგომის წვიმასა და ტალახის მჭახე სურნელს შეერია. ყოველდღე, სადილობისას, ბიარტურის ოთახში ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა, ტრიალებდა საღეჭი თამბაქოს სუნი მუშებს პირზე ეკერათ ლექსები, სამომხმარებლო საზოგადოება, ცხვარი და ისევ ცხვარი. ჰყვებოდნენ სადღაც შორეულ კუთხეში მომხდარ ახალ ამბებს, დავობდნენ, ჩხუბობდნენ, სვამდნენ დაშაქრულ ყავას...

— ოდითგანვე ასე იყო, ვაჭარი უნამუსოდ იქცეოდა, ჩაგრავდა გლეხს, ჩალის ფასად ყიდულობდა, მამასისხლად ჰყიდდა, ოღონდ კი ბლომად მოეხვეჭა ფულები. ყველამ კარგად იცის, რომ ვაჭარი გლეხის მოსისხლე მტერი იყო და არის.

— ვაჭრები მძიმე დროში მაინც ბევრს უმართავდნენ ხელს.

— ეჰ, ხანგრძლივი არ არის ეგ სიყვარული. თუ ცოტა გაიზარდა შენი ვალი, დადგენილ თანხას თუ ასცდა რამდენიმე კრონით, მორჩა, ერთ მუჭა

ფქვილსაც აღარ მოგცემენ. რამდენი ტანჯვა-ვაების გადატანა უხდება დავალიანებულ გლეხს, ვიდრე რომელიმე მეზობელს ან ნაცნობს დაითანხმებს. რომ მან თავის ანგარიშზე გამოუტანოს ის ერთი მუჭა ფქვილი.

— სამომხმარებლო საზოგადოებებმა პროცენტების დარიცხვაც დააწესეს. დანარიცხს აკეთებენ იმ თანხაზე, რასაც შენ საქონელში მიიღებ. განა ვაჭარს აზრად მოუვა როდისმე პროცენტების დარიცხვა?

— რედსმირელებისგან რა გასაკვირია ემაგ პროცენტების დაწესება! ალბათ, ლომის არჩიევს თვითონ მოსდებენ ტორს.

— შემნახველი სალაროს დაარსებაც გადაუწყვეტიათ ფიორდში. ვინც იქ ფულს შეიტანს, რენტას მიიღებს.

— რენტას?

— ჰო, რენტას. შეიტან შემნახველ სალაროში ფულს და შენი თანხა თითქოს მრავლდება იქ. რომელიმე დარბაისელი კაცი სესხად გაიტანს ფულს და უფრო დიდ პროცენტს იხდის ამაში.

— დიახ, რედსმირელები იმაზეც კი წავლენ, რომ სესხად გაცემული ფული დაჰკარგონ. გამოსავალს მაინც გამონახავენ, დარდი ნუ გაქვო, ზარალს ერთი ორად აინაზღაურებენ.

რაც არ უნდა ეთქვათ, როგორც არ უნდა ექოთ და ედიდებინათ სამომხმარებლო საზოგადოებები, ბიარტური მაინც ვაჭრის ერთგული დარჩა. ღარწმუნებული იყო, რომ მისთვის გაცილებით უმჯობესია ვაჭართან დაიჭიროს საქმე, ვიდრე მამასახლისთან. მტკიცედ სწამდა, ეს საზოგადოებები ბოლოდ იმისთვის დააარსეს, რომ თვითონ ისარგებლონ პროცენტებითაც და მოგებითაცო. ბიარტურმა გუნებაში რამდენიმე სტროფიც კი შეთხზა.

უპოვარივით შარაზე გამოვალ,
ლუკმას ვიმათხოვრებ გლახაკის დარად,
ყველა უღირსისგან მივიღებ წყალობას,
რედსმირის წყალობას კი, — არა!
მხეცებში ვიცხოვრებ...
ჭაობის
ჯუჯებში ვიცხოვრებ გომბეშოს დარად,
ყოველგვარ ჯოჯოხეთან ვიცხოვრებ თანხმობით,
რედსმირთან — არა და არა!

მაგრამ ვაჭრებსა და სამომხმარებლო საზოგადოებებზე მაღლა დგას — ოცნება გულისა, განსაკუთრებით შემოდგომაზე, საღამო ჟამს. შეჰყურებ ღრუბლებს, სამყაროს თავზე რომ მიმოჰქრიან, და თვალწინ გეშლება საოცარი სურათები. აუსტა სოულილია პატარა სარკმელთან ზის, თვალს ადევნებს ღრუბელთ სრბოლას. ქვემოთ ფინა ელაპარაკება ძროხას, აჭმევს და ელის,

როდის მოსწყურდება პირუტყვს. ბებია თავის საწოლზე მოკუნტულა, თითი პირში ჩაუდვია, ფსალმუნს ბუტბუტებს. რა უცნაური ადამიანია: უცებ ირკვევა, რომ მას სამხრეთში და ჰყოლია.

აუსტა ცას შეჰყურებს და, აი, ღრუბლებში ჩნდება სამყაროს რომელიღაც ნაწილების უცნაური მოხაზულობა, მწვანედ ლივლივებს ცვალებადი ნაპირებით შემოზღუდული ზღვა, ზღაპრული ქვეყნები და ქალაქები. აი, მწვანედ მოსარკული ზღვის სიღრმიდან ამოიზიდნენ მეწამულად მოელვარე სასახლეები, მემდეგ ისევ ზღვაში ჩაიმალნენ თავისი კოშკებითურთ, გაქრა ზღვაც, მის ადგილზე ჩნდება აყვავებული ბაღნარი, ბაღს გარს არტყია უცნაური, ფანტასტიკური მთები ცოცხალი მწვერვალებით. მწვერვალები თავს უკრავენ, ეხვევიან ერთურთს, ვიდრე არ გამქრქალდებიან. უწინ აუსტა სარკმელთან არა მჯდარა, ახლა კი შეჰყურებს ცას და თავის ფიქრებს მ ა ს ზ ე ღრუბლებში წარმოქმნილ ცვალებად სურათებს უკავშირებს.

მ ა ს ზ ე. არამიწიერი ფერებით მოელვარე ზღაპრული ქვეყნები, ზღვები, ზღვაზე მოქანავე ნავები, ეს ქალაქები და ბაღნარი, რომელთაც მსრბოლავ ღრუბლებში ხედავს — ყველა ეს მარტოოდენ უტყვი ფიქრია მ ა ს ზ ე, მოგონებებია არარასებულზე, ოცნებაა მომავალზე, უნიადაგო, დროის მიღმა. ი ს, ი ს, ი ს... აუსტას ესმის, როგორ ხარბად ისუნთქავს ძროხა ჰაერს, ესმის, დედა როგორ ელაპარაკება პირუტყვს ცხოვრებაზე... იქ კი, ღრუბლებში, აუსტა მ ა ს ი ა ნ ერთად დაჰქრის ქვეყნებში, როგორც ერთი ხალხური სიმღერა ამბობს:

ჩემი შეყვარებული შემოდგომის გზით მოდის,
ნეტა, რატომ ვღელადი, ნეტა, რატომ ვტიროდ??
როგორც აფრა ეული, მე მის ხომალდს ეშლები,
როგორც ჩიტი ნიბლია, მის ანძაზე ვეშვები.
ჩემი შეყვარებული შორს ცხოვრობდა, სულიკო,
გზა. ბილიკი. ერთთავად თოვლით დაფარულიყო...
მაგრამ მე ხომ მჯეროდა მზის და გაზაფხულისა,
ბედი გამოჩნდებოდა იმედდაკარგულისა.
გაზაფხულის ბაღში გვაქვს პაემანი ორთავეს,
ალუბლები უჩვენოდ ოხრავენ და შფოთავენ.
რაც რამ მიოცნებია, არ გამქრალა ფიქრებად,
ჩემი შეყვარებული მედამ ჩემთან იქნება.

ნეტავი ასე გაგრძელდებოდეს მარად, ასე რომ გაგრძელდებოდეს უკუნითი უკუნისამდე ამ ცვალებად, მოკაშკაშე ფერთა რიალი.

ასე უსმენს აუსტა სოულილია ყოველ საღამოს ცის უტყვ მუსიკას.

პატარა ყვავილი

მიუხედავად იმისა, რომ ბიარტურს ზამთარში ძროხაც გამოსაკვები ჰყავდა, ახალი ფარეხი ისეთი ფართო იყო, რომ სულმა წასძლია და კიდევ დაეპირა ცხვრის ყიდვა. უხაროდა, როგორც კი ფარის ნავროტზე გაშვების საშუალება მიეცემოდა. ბავშვები დარაჯობდნენ ცხვარს ჭაობში.

ბიარტურს უყვარდა ცხვარი, სულ თავის ფარაზე ფიქრობდა და ცხვრის კარგი მომვლელის სახელიც ჰქონდა დამკვიდრებული, მაგრამ დაბეჯითებით მაინც არავის შეეძლო ეთქვა, როგორ გამოიზამთრებდა ცხვარი, უფრო საშიში კი გაზაფხული იყო გაზაფხულზე ხომ პატარა მიზეზი საკმარისია, რომ ცხვარმა შენი ჭირი წაიღოს. ასე იყო საუკუნეობით. ეს უცოდველი პირუტყვი მართლაც სწორედ გაზაფხულზე წყდება.

სამაგიეროდ, იმ ზამთარს ხალხი შედარებით უკეთ ცხოვრობდა. ეს პირველი ზამთარი იყო, უკანასკნელი წლების მანძილზე, რომელსაც ფინა ფეხზე ატარებდა. ფეხმძიმობის ნიშნები მხოლოდ მარტის დამდეგს დაეტყო. ჰალბერასავით ფინასაც სუსტი ფილტვები ჰქონდა. დილით, ქურაში ცეცხლის დანთებისას კვამლი რომ დგებოდა, ორივე ქალს საშინელი ხველა აუტყდებოდა ხოლმე, საღამოობითაც აბრჩობდათ ხველა. გარდა ამისა, სახლში ძროხის ფუნის და ცხენის შარდის მძაფრი სუნი ტრიალებდა, ესეც ცუდად მოქმედებდა ფილტვებზე და ფინა ერთთავად შეუძლოდ იყო.

როგორც ყოველთვის, ახლაც ფინა უვლიდა ძროხას, მაგრამ ბოლო ხანებში ბუკოდლასათვის საძოვარზე მოთიბული ბალახის მიცემა აუკრძალეს. ქალი დაუზოგავად და ხელგაშლით ხარჯავდა კარგი თივის იმ პატარა მარაგს, რომელსაც ბიარტური ნერბებისათვის და ბატკნებისათვის ინახავდა, რადგან ისინი სხვა საკვებს ცუდად ჭამდნენ. ფინა თივას დაუყრიდა ძროხას, წყალს დაალევინებდა, დაჰგვიდა ბოსელს, გაჰქონდა ნაკელი, ასუფთავებდა ბაგას, — ძროხა ვალში არ დარჩება ადამიანს, კარგი მოვლისათვის სამაგიეროს მიუხდავს. ქალი ძველი სავარცხლით აურავებდა ძროხას, თან დიდხანს ელაპარაკებოდა. ხშირად, ბიარტურის მალულად, ძაღლს მოჰპარავდა თევზის ნარჩენებს და ძროხას აჭმევდა, იშვიათად ცომსაც აძლევდა. ზოგჯერ ძროხა მოიწყენდა. აბღავლდებოდა გაბმით, ბრაზიანად, თითქოს აღარ სჯერა, რომ ოდესმე კიდევ დადგებაო გაზაფხული. ფინას ესმოდა, რომ ძროხის გული ასეთ წუთებში მოუსვენრად სცემდა, რომ ცხოვრება ამაო და მტანჯველი ეჩვენებოდა. არც თვითონ უნახავს სიხარული ცხოვრებაში, ესმოდა პირუტყვის წუ-

ხილი, მაშინვე ჩავიდოდა ბოსელში, თავსა და კისერზე ხელს უსვამდა პირუტყვს, ესაუბრებოდა, ადრე თუ გვიან ცხოვრებაში მაინც კეთილი გაიმარჯვებსო, და ერთხაც თანდათანობით მშვიდდებოდა, ცოხნას იწყებდა. ბებერი ბლესი ამ დროს ტიხარს იქით ზიზღით ფრუტუნებდა. ცხენს უკვე იმედი გადაუწყდა, აღარ ეგონა, თუ ოდესმე თავს დააღწევდა ასეთი სულელი პირუტყვის მეზობლობას, დღენიადაგ რომ იცოხნებოდა და ზმუოდა. ბავშვებმა დედისაგან ისწავლეს ძროხის სიყვარული, აფასებდნენ პირუტყვს იმის გამო, რომ ის რძეს აძლევდა მათ. რძემ მათ ოჯახში რაღაც ხალისი და სიხარული შეიტანა. მოხუცი ჰალბერაც კი გეახლებოდათ, ზოგჯერ ტიტლასაც შეხვდებოდა ცოტა რძე. მხოლოდ ბიარტური არ აკარებდა პირს, ამ „მადის წამხდენ, კუჭის შეკრულობის გამომწვევ სასმელს". ავადმყოფ ბატკნებს კი წამლობდა რძეში მოხარშული საღეჭი თამბაქოთი.

ბავშვები მოფერიანდნენ, თვალში ახალგაზრდული სიჯანსაღის სხივი ჩაუდგათ. უწინ ერთთავად ცივდებოდნენ, სულ სურდო ჰქონდათ, სულ მოთენთილები და მოდუნებულები იყვნენ. ახლა სიზანტე სადღაც გაქრა, გამოცოცხლდნენ, გული აღარ უმძიმდათ, აღარ ეჩვენებოდათ, რომ გულ-მუცელი წყლითა და ჰაერით ჰქონდათ სავსე. აუსტა სოულილიას უკეთ ესმოდა პოემების ყველაზე ბუნდოვანი ადგილები. პოემებს მამა აძლევდა წასაკითხად, წერაც ასწავლა, კვამლით გარუჯულ მინაზე გამოჰყავდათ ასოები და ზეპირ ანგარიშშიც გაიწაფა. ამ ზამთრის მანძილზე გოგონა ისე გაიზარდა, კაბები ისე ღაუვიწროვდა, რომ სახელოებსა და გვერდებში ნაჭრის ჩადგმა დასჭირდა. ის უკვე თოთხმეტი წლის ლოყებლაჟღაჟა, გულმკერდაბურცული დიდი გოგო იყო. ბოლო ხანებში რაღაც უცნაური შეგრძნება ჰქონდა და დროდადრო უქეიფოდ ხდებოდა. კაბა ისე დამოკლებოდა, რომ მძლავრი, მომრგვალებული მუხლისთავები მოუჩანდა და კაბას ფართო ქობა შემოაკერეს.

ზამთარში ხუტორს პასტორი თევდორე ეწვია, აუსტას უთხრა, აბა წამიკითხე რამეო და როცა გოგონამ კითხვა ჩაათავა, აღტაცებაში მოვიდა მისი მიღწევებით. აუსტამ უფროს ძმასაც ასწავლა კითხვა. — კარგია, ძალიან კარგი, მაგრამ საღვთო სჯულიდან რაღა იცის? — იკითხა პასტორმა. თურმე აუსტას არ უსწავლია საღვთო სჯული, იშვიათად ლოცულობდა, ჰვედრებდა ღმერთს, რომელზეც არაფერი არ იცოდა.

— არ ვარგა ასე, არა, — თქვა პასტორმა. — ეს უკანონოა. ბავშვის კონფირმირების დრომ მოაღწია უკვე.

— რაღაც არაფერი მწამს ახალმოდური ქრისტიანობისა, — უთხრა ბიარტურმა. — უწინ კარგი პასტორი გვყავდა. ვინც განსვენებულ გუდმუნდურს

იცნობდა, მთელი ცხოვრება ვერ დაივიწყებს. იმ კაცმა ისეთი ჯიშის ცხვარი გამოიყვანა, რომ ჩვენ კუთხეში სამარადისოდ დარჩება მისი ხსოვნა.

ეს ახალი პასტორი კი, ფუი! მაგასაც პასტორი ჰქვია! პირტიტველი ღლაპი! აბა, რა გაეგება ცხვრისაᲗ მართალია, ცხვარზე ლაპარაკი კი უყვარს, ყველას არწმუნებს, ამ საქმის დიდი მცოდნე ვარო, ერთთავად „სასოფლო-სამეურნეო მოამბიდან“ ნასესხები რაღაც თეორიებით არის გატაცებული, ბოლო ხანებში კი აიჩემა, გლეხებმა სპეციალური დავთარი უნდა შეიძინონ, დამლა დაადონ თავის ცხვარს, ყოველი ცხვარი თავისი ნომრით აღნიშნონ დავთარში, რომ შემოდგომაზე ბატკნების ჩამომავლობის დადგენა შეეძლოთო. პასტორი ამბობდა, დიდი ცოდვა, მიუტევებელი დანაშაული იქნება როგორც ცხვრის, ასევე საკუთარი თავისა და ოჯახის წინაშე, თუ სანაშენოდ ყველაზე სუსტ ბატკნებს დასტოვებთ იმ მოსაზრებით, რომ მათ სარფიანად ვერ გაასაღებთ. ასეთ შემთხვევაში მომავალი თაობის მამამთავრები ყველაზე სუსტი ეგზემპლარები გამოდგებიანო.

— პასტორი გუდაუსდური თავის დღეში არავის ელაპარაკებოდა ცხვარზე, — თქვა ბიარტურმა, — არასოდეს არ ჰქონია დავთარი და სხვა ამის მსგავსი რამ, გარდა ძველებრაული წიგნისა, მაგრამ ცხვრის უდიდესი მცოდნე იყო. მისი მოჯამაგირეები ამბობდნენ, თავის ცხვრის ნაკვალევს სხვისი ცხვრის ნაკვალევისაგან არჩევსო. ჩვენს სამრევლოში მისი მსგავსი კაცი აღარ დაიბადება.

პასტორი და ბიარტური შეთანხმდნენ, რომ აუსტა მომავალ წლამდე დაიცდიდა, ვიდრე ჰელგიც წამოიზრდებოდა და კონფირმაციაზე ერთად წარსდგებოდნენ. მაგრამ პასტორმა დაბეჯითებით მოითხოვა, ბავშვებმა ამ ზამთარს დაბაში უნდა იარონ საღვთო სჯულის შესასწავლად, თუნდაც მხოლოდ აუცილებელი საფუძვლის გასაცნობადო. გარდა ამისა, სხვაც ბევრი რამ აქვთ საწავლი, რაც მათი ასაკის ბავშვებმა უნდა იცოდნენ, გეოგრაფია, ზოოლოგია და ისლანდიის ისტორიაო.

— „გეოგრაფიაო“, ბრძანე! ორივეს თავისი ხელის გულივით აქვს შესწავლილი ეს ხეობა, იციან ყოველი ბორცვი, ყოველი კლდე, წყარო, ჩაკადულის ყოველი მისახვევ-მოსახვევი. არასოდეს, როგორი ამინდიც არ უნდა იდგეს, მხარი არ შეეშლებათ. რაც შეეხება ზოოლოგიას, ამ ხუტორში ყოველი ცხვარი იციან, პირუტყვებთან გაიზარდნენ და ესმით მათი; ისლანდიის ისტორია კი, ვინ იყო გრიმურ ეგირი, პატარა სოულა?

აუსტა სოულილიამ დარცხვენით უპასუხა:

— ის გონგუროლფის მტერი იყო.

—სწორია, — თქვა ბიარტურმა, — სიკვდილის შემდეგ სად ამოჰყო თავი გრიმურმა? — აუსტამ დარცხვენით დახარა თავი და თქვა:

— ჯოჯოხეთში!

— აი, ხოჭ ხედავ, რა დაემართა გრიმურს, პასტორო თევდორე? — გადაიხარხარა ბიარტურმა. ცოტა ხნის შემდეგ კი დაუმატა. — მშვიდობით ბრძანდებოდე, პასტორო თევდორე, ეცადე თვითონ არ გაება სადმე მახეში.

მარტის დამდეგი იყო. ბიარტური ცხვრის დასახედად წავიდა ჭაობისაკენ. ცვალებადი ამინდი იდგა, ხან თოვლი ბარდნიდა, ხან გადაიწმინდებოდა ცა და მზეც თვალს გამოაჭყეტდა. ბიჭები რიგრიგობით მწყემსავდნენ ფარას. უცებ ბიარტურმა შეამჩნია, ერთ ცხვარს, ხეტიას რომ უძახდა, თავი მთლად გასისხლიანებული ჰქონდა. რქა თუ მოიტეხაო, გაიფიქრა, მაგრამ როცა კარგად გაუსინჯა თავი, ნახა, რომ რქები მთელი ჰქონდა, ორივე ყურზე კი რაღაც ნიშანი დაედოთ. ვერ გაარჩია, რა ნიშანი იყო, ან საერთოდ რა მოხდა იქ. ცხვარს ორივე ყური დაჭრილი ჰქონდა. ბიარტური საგონებელში ჩავარდა. შინ რომ დაბრუნდა, თავისიანებს ჰკითხა, ხეობაში ხომ არავის ჩაუვლია ქვეითად ან ცხენითო? არა, არავისთვის მოგვიკრავს თვალიო, უპასუხეს.

— თუ მართლა არავინ დაგინახავთ, — თქვა ბიარტურმა, — მაშასადამე, აქ ენი წლის მანძილზე პირველად მოხდა ასეთი უცნაური ამბავი. — და უამბო მათ, ერთ-ერთ ცხვარს ორივე ყურზე რაღაც უცნაური ნიშანი აქვს დადებულიო.

ჰელგიმ მოულოდნელად უპასუხა:

— მომეჩვენა, თითქოს ვიღაც მხედარი პირდაპირ ტბაში შევიდა, როცა თოვდა.

— ტბაში? ჭკუაზე შეიშალე! რა ფერის ცხენი იყო?

— ეს კი ვერ გავარჩიე, მგონი ცხენი არც კი იყო, — უპასუხა ჰელგიმ.

— მხედარი ვიღას ჰგავდა, შე შტერო, შენა?

— საშინლად ბარდნიდა იმ დროს და ვერც ამის გარჩევა მოვახერხე. — თქვა ბიჭმა, — მგონი ადამიანს არც კი ჰგავდა.

— მაშ რასა ჰგავდა?

ბიჭმა ვერ აუწერა მამას, რაც დაინახა. რაღაც მრგვალი იყო, გუნდასა ჰგავდა, მოგორავდა და ტბაში ჩავარდაო.

ბიარტური ჩაფიქრდა, ჩაფიქრდნენ სხვებიც. საქსოვზე თავდახრილი მოხუცი ჰალბერა, რაღაცას ბუტბუტებდა. ეჰ, ცუდი ნიშანია, ცუდი!

— იცოდე, გაზაფხულზე ოთხი თვალი გამოიბი. ყველამ რაღაც-რაღაცეები შევნიშნეთ აქ, ხუტორში. ვიცოდი, განა არა, რომ მოჩვენება კიდევ გამოიჩენდა თავს. მაგრამ დღისით-მზისით ფარაში ცხვრის გამორჩევა და დამღის დადება...

უკანასკნელი რამდენიმე დღე შედარებით თბილი ამინდი იდგა და უცნა-

ური შემთხვევით დაჯავრიანებულ ხალხს დარდი გადაეყარა. თბილი ქარი ქროდა, გაზაფხულის შხაპუნა წვიმა მოდიოდა, დაბლობში თოვლი დადნა. ღარტაფები ამწვანდა, გამოიხედა მოყვითალო-მოყავისფრო ჩამკკნარი ბალახით დაფარულმა ხეობამ, საძოვრებიც შემწვანდა, მდინარე გაიხსნა, ტბაზეც დაიძრა ყინული. ფინა ღია კართან იდგა და ისუნთქავდა გაზაფხულის სუფთა ჰაერს. ყვავები ხუტორიდან გაფრინდნენ.

პატარა ნონიმ ცხვრის ძვლები ფერდობზე აიტანა. ერთ დღეს ახალი ამბით დაბრუნდა შინ: მესერის ძირში ბაბუაწვერამ ამოჰყო თავიო, თქვა. წლის ამ დროს მთის ხეობაში იშვიათი მოვლენაა — გაშლილი ბაბუაწვერა. დედა და შვილები გავიდნენ ერთად, უნდოდათ ენახათ პატარა ყვავილი, ასე თამამად და სიხარულით რომ ამოჰყო მიწიდან გვირგვინი ზამთრის მზის შესაგებებლად. ბაბუაწვერა — მარადისობის ყვავილი! დედა-შვილნი აღტაცებისაგან გულაჩუყებულნი დიდხანს, დიდხანს დაჰყურებდნენ ამ ახალ მეგობარს, გაზაფხულის ამ მხიარულ მაცნეს ზამთარში. უტყვი მოწიწებით, როგორც მლოცავარნი, რომელთაც წმინდანის ნაწილების ხელის დაკარების ნება დართეს. თითის წვერებით ნაზად ეხებოდნენ ყვავილს, თითქოს ეუბნებიანო: „შენ მარტო არა ხარ, ჩვენც ვცხოვრობთ, ვეშურებით სიცოცხლეს". ეს დღე ბათთვის განსაკუთრებული შუქით იყო გაცისკროვნებული. ზამთრის საშინელებანი ხელად გაქრა, როგორც ცა იყო უღრუბლო და მოწმენდილი, ისეთივე ნათელი ჩაუდგათ გულში. ეს იყო მარად დაუვიწყარი, ყველაზე ბედნიერი დღე მათთვის, უცებ მექვავიას ხმა შეესმათ. მექვავიის პირველი სიმღერა განსაკუთრებით წკრიალებს: თითქოს მოკრძალებაც ისმის ამ ხმაში, მადლიერებაც. წყვეტილიცაა, როგორც მძიმე სუნთქვა სასიკვდილო საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ; და მაინც მშვიდი სიხარული ჟღერს ამ ხმაში.

ყმაწვილმა ქალმაც, საღვთო სჯული რომ არ იცოდა, დაივიწყა ზამთარი. ნუთუ შიში არ იპყრობდა გრძელი ზამთრის ქარბუქიან დღეებში? როგორ არა, ეშინოდა, ეშინოდა ყველას. ღამე უსასრულოდ გრძელდებოდა, დღე დღეს არ ჰგავდა, ცხოვრობ გაზაფხულისთვის, მაგრამ თითქოს აღარც კი გჯერა, რომ ოდესმე გაზაფხულდება. პირველი ბაბუაწვერა, პირველი მექვავია — თითქოს ყველაფერი მოვიდა, რისთვისაც ცხოვრობ, ვიდრე მოკვდებოდე. მალე ჭაობი ამწვანდება, სიცოცხლე ახალი ძალით იფეთქებს, როგორც შარშან, — გუბეებში ჩამდგარი ყანჩები ყმაწვილი ქალებივით თავაზიანად მოგესალმებიან: მთებში პატარა ჩანჩქერი აღმა ასტყორცნის შხეფს, მზისკენ, და ი ს ჩამოვა — ი ს ჩამოვა შორეული მხარიდან...

დადგა წითელი პარასკევი, ყველაზე გრძელი დღე წელიწადში. ზაფხულის საავანელები ბუნდოვნად გრძნობდნენ, რომ იმ დღეს ვიღაც ჯვარს აცვეს.

ღმერთი იყო ის, თუ იესოპეტრუსი. საერთოდ, ჯვარცმაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, არასოდეს არ ენახათ ჯვარი და ძნელი წარმოსადგენი იყო მათთვის, თუ როგორ აცვეს ჯვარზე ვიღაც. არა, არავითარ ინტერესს არ იჩენდნენ ამისადმი. დაბაში კი დღენიადაგ ამ ძველ მონაგონზე ჰქონდათ ლაპარაკი და სწორედ იმ დღეს აცივდა, გაფუჭდა ამინდი, საღამოს ქარი ამოვარდა, ცა ღრუბლებით დაიგრაგნა. ოჯახი დასაძინებლად ემზადებოდა, როცა თოვა დაიწყო. საღამო ხანს ზაფხულის სავანელი ბიარტურიც მოიღუშა. შუაღამე იქნებოდა, რომ წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და გარეთ გავიდა ამინდის შესამოწმებლად. თოვდა, ბარდნიდა, უკვე გოჯის სისქედ დაფენოდა მიწას თეთრი საბურველი. დილას კი საშინელი ქარბუქი ამოიჭრა და ყინვა დაიჭირა.

ოჯახში ყველაზე ნაკლებ ბიარტურს ახარებდა ადრიანი გაზაფხული. გულს როდი უჩუყებდა გაზაფხულის ნიშნები, დიდად არ ენდობოდა პატარა ყვავილს, ან ჩიტის ჭიკჭიკს. მიუხედავად თბილი დღეებისა, მისი ცხვარი ცუდ შეგომარეობაში იყო. ავდრიან ზაფხულში აღებული თივა დამპალი გამოდგა, და რაკი მინდვრები თოვლით მთლად არ იყო დაფარული, ამიტომ აპყვა ცთუნებას, უფრო ხშირად გაპყავდა ცხვარი გარეთ, ვიდრე ეს მართებული სასარგებლო იყო. ყველაზე მეტად მაინც ის აწუხებდა, რომ ცხვარს ჭია გაუჩნდა და ჭიის ჩვეულებრივი თანამგზავრები —ხველა, ფაღარათი, მოთენთილობა. საკვები თითქოს არ შეერგო მათ, ზოგი ისე დამწლეულდა და გაილია, რომ ბიარტურს ეშინოდა, არ გაწყდნენო, თან ფიქრობდა, ისევ ფარეხში ხომ არ გამოვამწყვდიო, საძოვარზე აღებული თივით, ან ცომით ხომ არ ვკვებოო. ახლა კი ეს ქარიშხალიც დაერთო, ძნელი გამოსაცნობი იყო, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სააღდგომო უამინდობა, ცხვარი უკვე მიეჩვია გაზაფხულის ქორფა ბალახის წიწკნას ჭაობის ტოტთან, ახლა ისევ ფარეხში უნდა შეერეკა, ღმერთმა უწყის, კიდევ რამდენი ხანი უნდა ეკვება დამპალი თივით.

საშინელი დარი იდგა, მძვინვარებდა ქარბუქი, მთა ისე ზუზუნებდა, თითქოს ტროლები გადაირიენენ და მთელი თავისი დოლები აადგანდგარესო. კიბის თავთან გაწოლილი ძაღლი მთელი ტანით ცახცახებდა, ბავშვები ლოგინში შეეუჭკულიყვნენ. აღდგომის პირველი დღე იმ იშვიათ დღეთაგანი იყო, როცა მოხუცი ჰალბერა თავიდან ბოლომდე კითხულობდა უამინდობის საწინააღმდეგო ფსალმუნს. ეს საოცარი ფსალმუნი ქარბუქსა და ბორგენეულზე მთელ ფსალმუნებში ყველაზე ამაზრზენი ეჩვენებოდათ ბავშვებს. ფსალმუნის საზარელი გმირი — ბორგნეული, დევნილი, გააფთრებული — სიზმრებში ეცხადებოდა მათ მას შემდეგაც კი, როცა ქარბუქი ჩაცხრა. წლების მანძილზე ამ ფსალმუნის გახსენება ზაფხულშიც, როცა გული საგულეს ჰქონდათ,

მთელ სიხარულს უშხამავდათ. სრულიად რომ არ ელოდნენ, მაშინ ამოუტივტივდებოდათ მეხსიერებაში ფსალმუნი:

ვასწყვიტა ჯაკვი — ბორკილი,
რაღაც ველური სიავით,
ისევ დაიწყო ბრძოლა და
ცხელი მახვილის ტრიალი.
სისხლისსმა იყო საზარი...
შინ კი, მღვიმეში, ტანჯული
თავად ისჯიდა თავის თავს,
თვით იყო თავის მსაჯული.

თუ მოხუცი ჰალბერა ამ ფსალმუნს ბოლომდე იგალობებდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ ქვეყნად არსებულმა ავმა სულებმა მიწაში თუ მიწის ზემოთ, თავი აიწყვიტეს. შიშით შეპყრობილი, ყოველივე ამქვეყნიურისგან განდგომილი ჰალბერა ისე გალობდა ფსალმუნს, თითქოს განკითხვის ჟამი მოახლოვდაო, ავიწყდებოდა ყოველგვარი მიწიერი ზრახვები, ნელა ირწეოდა წინ და უკან, მკერდზე გადაეჯვარედინებია დაგრეხილ-დაკოჟრებული ხელები და ჭრინწიანი ხმით გალობდა გაზეპირებულ ფსალმუნს.

არასოდეს ზამთარი ისე ძლევამოსილი არ ეჩვენება ადამიანს, როგორც გაზაფხულის ასეთ დღეებში. და საბრალო, ალალ ბავშვებს, შეძრწუნებულებს ამ ულმობელი ძალით, გარს რომ ეხვია პატარა დამოუკიდებელ ხუტორს, უტყვი შიშით უთრთოდათ გული.

აღდგომა დილას დედამ ფეხთ გაიხადა და ისევ ჩაწვა.

თავი ოცდამეთვრამეტე

ბრძოლა

ხუთი დღე მძვინვარებდა ქარბუქი — და ასეთ მოკლე დროში რარიგ დასუსტდა ცხვარი! პირს აღარ აკარებდნენ ჭაობის დამპალ თივას. ბიარტურს სხვა გზა არა ჰქონდა, საძოვარზე აღებული თივა უნდა ეძლია, აქამდე მხოლოდ ბატკნებსა და ძროხას რომ აჭმევდა. მაგრამ განა რამდენ ხანს ეყოფოდა ეს მცირეოდენი მარაგი მთელ ფარას და ძროხას? რასაკვირველია, პირველ რიგში ცხვარზე უნდა ეზრუნა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვერც ძროხას მოაკლებდა კარგ თივას. ბრელოს ხომ ბუკოდლა არ ეკარებოდა, იდგა სავსე

ბაგასთან და ბრაზიანად ზმუოდა. დღითი დღე უშრებოდა რძე. ალბათ იმ დრომდე ვერც მიაღწევს, როცა ნავროტზე გაშვება შესაძლებელი გახდება. მანამდე დიდი დროა, ყოველ შემთხვევაში ივანობის დღესასწაულამდე ხომ არ მოხერხდება ეს, სამაგიეროდ, თუ ამინდი გამოკეთდება და მინდვრად თოვლი დადნება, იქნება ამ თივის ნარჩენით როგორმე გადავარჩინო ცხვარიო, ფიქრობდა ბიარტური. არჩევანი უნდა გაეკეთებინა ძროხასა და ფარას შორის და რაც უფრო გრძელდებოდა უამინდობა, მით უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ერთ მხარეს უნდა დაეძლია მეორე... აი, რაოდენ მძიმე განსაცდელია გაზაფხულის ქარბუქი პატარა ხუტორისათვის ხეობაში. არაფერი გასაკვირი არ არის, თუკი ასეთ დღეებში ჩავარდნილ ადამიანს მოლოხავს, მოდრეკს შიში, უძილო ღამეებიც ამძაფრებს ამ გრძნობას, თვით უმშვენიერესი მოგონებანიც კი ჰკარგავს ელვარებას სიძველისაგან გალეული, გამწვანებული ვერცხლის მონეტასავით. ბავშვები ხედავდნენ, რომ დილით მამა უძილობისაგან თვალებდაწითლებული დგებოდა. დედა კი ღამღაწობით უჩუმრად ღვრიდა ცრემლს და დილით სახე შეშუპებული ჰქონდა. ფინა ჯერ კიდევ ჩადიოდა ქვევით, თავის ძროხასთან, რომ მოფერებოდა, ენუგეშებინა იგი.

— ამინდი მალე გამოკეთდება, — ამბობდა ფინა, — მალე შენთვის და ჩვენთვისაც გამობრწყინდება მზე, თოვლი დადნება და ცხვარი ჭაობზე გავა საბალახოდ, მაშინ საძღომად გექნება კარგი თივა. ამობიბინდება კურთხეული მწვანე ბალახი და პატარა ნონი დედასთან ერთად ფერდობზე აიყვანს ბუკოდლას. ფრინველები კი...

არა, ალარ ემორჩილებოდა ენა, სიტყვა პირში უწყდებოდა, ბაგაში დამპალი თივა იდო, ძროხა პირს არ აკარებდა, საცოდავად ზმუოდა. სიტყვები რას უშველიდა ამ დროს. ფრინველები იქნებ კიდეც აჭიკჭიკდნენ ზაფხულში, მაგრამ... ქალი მდუმარედ უსვამდა ხელს ძროხას. განა ფრინველთ გალობა ანუგეშებს სიკვდილის პირას მდგომს? შეშფოთებული ქალი ეფერებოდა ძროხას, ის კი გაბმით ზმუოდა.

სააღდგომოდ ამოვარდნილი ქარბუქი, როგორც იქნა, ჩადგა, მზემ გამოანათა, თოვლმა სწრაფად იწყო დნობა, მაგრამ ჯერ მაინც ცვალებადი ამინდი იდგა, ღამღამობით ყინავდა. ბიარტურმა ჭაობისკენ გარეკა ცხვარი. ისლის ნორჩი. ყლორტები ზოგან სანახევროდ, ზოგან მთლად ჩამჭკნარიყო ყინვისაგან, თოვლის თეთრი საფარველიდან გამოიხედა ატალახებულმა, მთლად გადაშავებულმა ველ-დაბლობებმა. ცხვარი ისე დასუსტებულიყო, გაჭირვებით გამორეკეს ფარეხიდან. ზოგი იქვე დავარდა. ნაკადული კი გადაიარა ცხვარმა, მაგრამ მეორე ნაპირზე ასვლა გაუჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ნაპირი მუხლამდე წვდებოდათ. წინა ფეხებს რომ მოიკიდებდნენ ნიადაგზე, უკანა ფეხებს

უძლურად აფხარკალებდნენ, ტანი ვეღარ აჰქონდათ, ბიარტურმა სათითაოდ ხელით აიყვანა ცხვარი მეორე ნაპირზე, მაგრამ ცხვრები იქვე გაწვნენ, წამოდგომის თავი აღარ ჰქონდათ. ბიარტური ხან ერთს წაავლებდა რქაში ხელს და წამოაყენებდა, ხან მეორეს. ცხვარს სიარული აღარ შეეძლო, მუხლებზე მისხავდნენ. რას იზამ, ასე ყოფილა პირველ ახალმოშენეთა დროიდან, ცოტას რომ წახოხდებოდნენ, ისევ გვერდზე გადაქანდებოდნენ, ქვემოთ, ბლანტ ჭაობში ეფლობოდნენ, აღარ ცდილობდნენ ამოსვლას. ყვავები კვლავ დაუბრუნდხენ ჭაობს, თავს დასტრიალებდნენ ფარას, ელოდნენ, როდის მიეცემოდათ შესაძლებლობა, რომ კლანჭებით ზურგში ჩაფრენოდნენ ცხვარს, ცოცხლად გაეფატრათ, ამოეკორტნათ თვალები. ერთხელ ზედ საძოვრის ნაპირას დავარდა სამი ცხვარი, მაშინაც არ გაინძრნენ, როცა ბიარტურმა ძაღლი მიუსია. ტიტლა ყეფით გარს ურბენდა დავარდნილ პირუტყვებს, ისინი კი მხოლოდ თვალებს აფახულებდნენ. ბიარტურმა ჯიბის დანა ამოიღო, ბალანი გადაუწია, ყელი გამოჭრა და ჭაობში ჩაფლა სამივე.

თითქმის მთელი ფარა დაავადებული იყო ჭიით. ზოგი ფარეხში დატოვა ბიარტურმა, ეგებ კარგი მოვლით გამოვაკეთოო, მაგრამ ცხვარი თივას პირს არ აკარებდა, დილით ერთი ან რამდენიმე ცხვარი ეგდო მკვდარი, ან სულთმობრძავი. ბიარტურმა ფინას ჭვავის ფქვილის ცომის მოზელა დაავალა, ზოგი ჭამდა ცომს, ზოგი არც იმას მოეკარა. ჭვავის ფქვილიც ცოტაღა ჰქონდათ, დიდხანს არ ეყოფოდათ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ აღარ ჭამდნენ პურს. საღამოს ბიარტური ცხვრების შეტყუებას ცდილობდა ფარეხში, წინ გაწვდილ ხელში ჭვავის კვერულა ეჭირა, უკან-უკან იხევდა, რამდენიმე ნაბიჯს რომ გადადგამდა, კვერს მოაკბეჩინებდა ცხვარს. ძნელი იყო ასეთი ხერხით ყოველი ცხვრის ცალ-ცალკე შეტყუება ფარეხში. ბავშვები, როგორც შეეძლოთ, ეხმარებოდნენ მამას, რომ ამ ახალი ხერხით შეეგდოთ ცხვარი ფარეხში.

დიახ, როცა ზაფხულში ხედავ ცხვარს, ამ ამაყ პირუტყვს, მთის იალაღების სამკაულს, უშენის დედოფალს, როგორ ლაღად დანავარდობს იგი ფერდობებზე, სერზე გადმომდგარი ბღავის ან ტირიფის ბუჩქნარიდან ეშმაკურად იჭყიტება, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს სწორედ ის საცოდავი არსებაა, რომელსაც გაზაფხულზე ხედავთ ჭაობში.

ბიარტურს ნელ-ნელა ეცლებოდა ხელიდან ცხვარი, კლავდა დავარდნილ პირუტყვს, მაგრამ უმეტესი ნაწილი მაინც კარგ მდგომარეობაში იყო, ჯანმრთელი ცხვარი მადიანად ჭამდა, ამიტომ თივა არ უნდა დაეშურებინა, ვიდრე ერთი ღერი მაინც ეგულებოდა შინ. ზვინი კი დღითი დღე ილეოდა. ძროხა გაძვალტყავდა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ნაკლებ რძეს იძლეოდა.

რაღა თქმა უნდა, ოჯახს არ ჰყოფნიდა რძე, მიუხედავად იმისა, რომ ბიარ-

ტურმა ახალი წესი შემოიღო — ასეთი წესი იშვიათი როდია გაზაფხულზე. დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამდნენ, ხალხიც და პირუტყვიც შიმშილობდა. ერთხელ ფინამ ჯოხი გამოთალა, თავი მომრგვალებული დაუტოვა და ზედ მატყლის სქელი ძაფის ფუნჯი მოაბა. ბავშვები გაოცებული უყურებდნენ ამ უცნაურ იარაღს.

— დედი, ეგ რა არი?

— სათქვეფელა, — უპასუხა ფინამ. — იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი, გაჭირვებული ქალი. ერთხელ იესო ეწვია ამ ქალს, ასწავლა ასეთი სათქვეფელას გაკეთება და რძის ათქვეფა. რომ რძე მომატებოდა.

იმ რამდენიმე წვეთ რძეში, რის გამოწველაც კიდევ შეიძლებოდა ბუკოდლას ცურიდან, ფინამ კვეთის პატარა ნაჭერი ჩადო და რძის ათქვეფა დაიწყო. რძემ იმატა, იმატა და ქვაბი პირამდე გაავსო, ვინ იცის, კიდევ რამდენს მოიმატებდა, თქვეფა რომ არ შეეწყვიტა ფინას. ბავშვებმა დალიეს ათქვეფილი რძე და აღტაცებაში მოვიდნენ იესოს გამონაგონით.

ერთ საღამოს ფინამ ქმარს უთხრა:

— ბიარტურ, ჩემო ძვირფასო, როგორმე დაბაში უნდა ჩახვიდე და ცოტაოდენი კარგი თივა იშოვო.

უკანასკნელ დღეებში ბიარტური ხმას არავის სცემდა, მხოლოდ ბრძანებებს იძლეოდა მოკლედ, მოკვეთით, როგორც შკიპერი საფრთხის ჟამს, და ახლა უცებ ისე აფეთქდა, თითქოს ბასრი დანა დაუსვესო კანზე:

— ვინ, მე? მე ჩავიდე დაბაში? იქ ჩემი არავის არაფერი მართებს, არავის.

— კი, მაგრამ, ჩემო კარგო, ხომ იცი, რომ ძროხას რძე გაუშრა. საშინელი შესახედავია ის საცოდავი, დღითი-დღე ილევა და დნება.

— ეგ მე არ მეხება, — მიახალა ბიარტურმა, — არც კი ვიფიქრებ დაბაში თივის სესხებას. ჩვენ დამოუკიდებელი ხალხი ვართ. მე თავისუფალი კაცი ვარ და საკუთარ მიწაზე ვცხოვრობ.

— ბუკოდლამ ისეთი სიკეთე დაგვდო, — თქვა ფინამ.

— დიახ, ვიცი, — წამოისროლა ბიარტურმა, — კიდევ იმდენ სიკეთეს გვიზამს, რომ მალე ბოლოს მოგვიღებს ყველას, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი წყალობით მთელი ცხვარი გამიწყდება.

—სულ ცოტა კარგი თივა, — ემუდარებოდა ცოლი.

— ვერავითარი ძალა, მიწიერი თუ ზეციერი, ვერ მაიძულებს ჩემი ცხვრის ღალატს. თორმეტი წელიწადი ოფლს ვღვრიდი იმისათვის, რომ ფარა გამეჩინა, თვრამეტი წელიწადი დღედაღამე გასწორებული მქონდა, წელებზე ფეხს ვიდგამდი, ვიდრე ვალი არ გავისტუმრე. ცხვრის წყალობით წელში გავიმარ-

თე, ცხვარმა გამხადა დამოუკიდებელი და არასოდეს თხოვნით არავის ვეახლები. ასეთ სირცხვილზე არ წავალ. ჰმ, ვემუდარო ვიღაცას, თივა გამოვთხოვო გაზაფხულზე. ძროხას კი, ძალით რომ მომახვიეს თავს მამასახლისმა და ქალთა კავშირმა იმისათვის, რომ ჩემს შვილებს მადა დაჰკარგოდა, ჩემს ცხვარს კი თივა მოჰკლებოდა, მალე გავუსწორებ ანგარიშს, დიახ, მალე.

— ბიარტურ, — ყრუ ხმით უთხრა ფინამ და დაბნევით შეხედა იმ გადაულახავი შორეთიდან, რომელიც ზოგჯერ ორ ადამიანს აშორებს, — თუ შენ ბიკოდლას დაკვლა გადაგიწყვეტია, ჯერ მე მომკალი.

თავი ოცდამეცხრამეტე

სიკვდილი გაზაფხულზე

არა და არ დაადგა ამინდის გამოკეთებას საშველი, ცა მოქუფრული იყო, ქარი ზუზუნებდა, ხან სეტყვა წამოუშენდა. მთელ სახლში დაავადებული პირუტყვის მყრალი სუნი იდგა. ჭია აწამებდა ცხვარს, მათი ხრინწიანი ხველა, ძროხის საცოდავ, გაბმულ ბღავილს ერთვოდა. დილით ფარეხში ხან ერთი, ხან რამდენიმე ცხვარი ეგდო მკვდარი, ცოცხლების ფეხით გათელილი. ზოგს კიდევ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი და ბიარტური კლავდა მათ, მერე ჭაობში ფლავდა, დანას ხავსზე წმენდდა, იგინებოდა, წყევლიდა ამქვეყნად ყველაფერს. უკვე ოცდახუთი ცხვარი დაჰკარგა, სულ მოზარდეული, საკუთარი ხელით გამოზრდილი. ზუსტად იცოდა, რომელი ცხვარი რომლის ნაშობი იყო, სათითაოდ ახსოვდა ყოველი პირუტყვი, როგორც ახსოვთ ახლო მეგობარი, მისი ზნე, გარეგნობა. ამ პირუტყვებთან იყო დაკავშირებული განვლილ წელთა მოგონებები. ბიარტურს ახსოვდა, როგორი ხალისიანები იყვნენ ისინი, რა ხშირი, ხუჭუჭი ბეწვი ჰქონდათ, შემოდგომაზე მთის იალაღებიდან რომ ჩამორეკავდა ხოლმე, ახსოვდა, როგორ ამაყობდნენ თავისი ბატკნებით, როგორ ლოკავდნენ ახალშობილ ბატკნებს გაზაფხულზე მწვანედ მოღაღანე ღარტაფებში. ყოველ მათგანს თავისი ნიშნები ჰქონდა, თავისებური ზნე, თავისებური აგებულება, დაწყებული რქების მოყვანილობიდან. ერთს შუბლზე გამოფშეკილი ქოჩორი ამშვენებდა, მეორეს ყვითლად მოთრთვილული ბეწვი, მესამეს ცხვირზე ფუნჯივით ეკიდა ბალანი, ერთი მორცხვი გლეხის ქალივით მფრთხალი იყო, მეორე მკვირცხლი და ლაღი, თვალის დახამხამებაში გადაეკლებოდა ღობეს, გადაცურავდა მდინარეს წყალდიდობის დროს, მესამეს ღარ-

ტაფებში უყვარდა მალვა... და მან საკუთარი ხელით გამოსჭრა მათ ყელი, სისხლიანი ჭრილობიდან ჭიები გამოცოცდნენ, ცხვრებს მთლად დახრული ჰქონდა ფილტვები ჭიისაგან. რინგა, სკედლა, სკესა, კემპა, გიდლა და სხვები — ეს პირუტყვები მისი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა, მისი ბურჯები იყვნენ. ოცდახუთი... რომლის ჯერია ახლა?..

ბარდნის და ბარდნის შეუნელებლად, დღესაც ვერ გარეკავენ ცხვარს ჭაობში. სამს ხვალ გამოსჭრის ყელს ბიარტური: კაუპას, ლაუდგას და სპურას. ხუტორში დანა პირს არ უხსნის ხალხს. თივის ზვინს უკვე თავი მოხადეს, საბრჯენები შეუდგეს კორდის თავსახურავს. ძროხა ფეხზე ვეღარ დგება. მთელი დღე გაუჩერებლად თოვს, საღამოს ისევ აბობოქრდა ქარბუქი, პატარა სარკმელი თოვლით მოიფიფქა. ქარი საკვამურიდან უკან აბრუნებს კვამლს ოთახში, სულის მოთქმა უჭირთ მხუთრისა და სიმყრალისაგან.

სადღაც კი ჰყვაოდა ბაღები, ბრწყინავდა სასახლეები, ნუთუ ხეობაში ჩაკარგული ეს პატარა ხუტორი მთელ სამყაროს გადაავიწყდა? ეს უსახელო ხალხი კი? ნუთუ დიდებით არავინ შემოსავს მათ გმირობას, წიგნებს არავინ დაწერს მათზე? ნუთუ ყველასაგან მიტოვებულნი და დავიწყებულნი არიან ისინი?

არა, მთლად ასე არაა: ზღურბლს სტუმრები მოადგნენ, ქარის ზუზუნში ისმის ცხენების ფრუტუნი, აკაზმულობის ჟღარუნი, უცხო ხალხის ხმა. ეს დაძაბულობის შენელებაა, ეს გახლავთ განთავისუფლება იმ უტყვი შიშისაგან, მძიმედ რომ დასწოლია მთელ სახლს. ეს ანაზდეული, მოულოდნელი სიხარულია ხალხისა და ძაღლისთვის.

საძვროშის ხვრელში თოვლით მოფიფქული ქალი გამოჩნდა, მის ჩაპუტკუნებულ ტანს უფრო საჩინოდ ხდიდა ვიწროდ შემოტმასნილი რეიტუზები, ალერსიანი მოცისფრო-მონაცრისფრო თვალები ჰქონდა, ქარისგან ატკრაციალებული ლოყები. კიბის თავზე თოვლი ჩამოიფერთხა და გაიცინა — ჰა, ჰა, ჰა! გამოაჩინა მაგარი, თეთრი კბილები და შეიკურთხა. მისი შოლტი ამ უბადრუკ სახლში, სადაც ერთი ისეთი ნივთი არ მოიპოვებოდა, რომ ოცდახუთი ერე მაინც ღირებულიყო, ფუფუნების საგანს ჰგავდა. მირელი მამასახლისის ქალიშვილი ოდური გახლდათ. ქალიშვილს ოთახში ფეხდაფეხ ამოჰყვა გამცილებელი, მამასახლისის ერთ-ერთი მოჯამაგირე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ოდურის ჩაყვანა ფიორდში. ხვალ ოდური საფოსტო ხომალდით მიემგზავრება სამხრეთში, უფრო ბედნიერ მხარეს.

— ოო, დიდად პატივცემული ფრეკენი რარიგ შეთქვირებულა! — წამოიძახა ბიარტურმა და ალერსიანად შემოჰკრა ხელი ოქროზე, — ერთ ძვალსაც ვერ მოუსინჯავ, ხელად შეატყობ, რომ ურიგოდ არ ჰკვებავენ. აბა, კარგი,

შაგარი ყავა მოართვით, შაქარს ნუ დაინანებთ, წყალწყალა სასმელს ნაჩვევი არ გახლავთ. ნუთუ ის პაწია გოგონა დგას ახლა ჩემს წინ, მეხლამდე ძლივს რომ მწვდებოდა, როცა პირველად დავქორწინდი?

ბავშვები გვერდში ამოუდგნენ ერთიმეორეს და აღტაცებით მიაჩერდნენ სტუმარს. რამოდენაა, როგორი ჩაპუტკუნებული, რა მხიარული, რა ზორბად იგინება. რა შორეულ გზას დასდგომია! ოდურმა უკვე ჩამოიფერთხა თოვლი და დგას. ვით მოწიფული მსხმოიარე ხე, ახლად გაშლილი ყვავილების სიმძიმით რომ გადაზნექილა. არა, ასეთ ამინდში შეუძლებელია უშენის გადავლა, ძით უფრო ქალისთვის ეს სასიკვდილოდ თავის გაწირვაა. აქ უნდა შეიცადოს, ვიდრე ქარბუქი ჩადგება. ქალიშვილმა მიიხედ-მოიხედა: სად ჩამოჯდეს? საწოლებზე გასწორებული საბნები ნდობას არ უღვიძებდა და ცოლ-ქმრის საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, მასპინძლებს სთხოვა, ყურადღებას ნუ მომაქცევთო და იმედი გამოთქვა, ქარბუქი საღამომდე ჩადგებაო. ბოლოს, ზრდილობის გამო იკითხა მასპინძლის ცხვრის ამბავი.

— მარტის დამდეგს ვიღაც იყო აქ და ერთ-ერთ ჩემს ცხვარს ნიშანი დაადო, — თქვა ბიარტურმა, — თქვენთან ხომ, დაბაში, ამაზე უარესებიც ხდება.

— დიახ, ცუდი ამბები მოდის დაბიდან, — კვერი დაუკრა მოჯამაგირემ, — ისტადალელმა ოულაფურმა ორმოცამდე ცხვარი დაჰკარგა, რას არ აკეთებდა, როგორ არ წამლობდა, სულ მეცნიერული წესით, მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო. უნდირხლიდელ ეინარს ოცდაათი ცხვარი დაეღუპა უკვე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმქვეყნად უკეთესი საძოვრები დახვდება მათ. გილტეიგელმა ტოურირმა უკვე სათვალავი დაჰკარგა, იმდენი პირუტყვი დააკლდა. ამ უბედურებას ისიც დაემატა, რომ მისმა უმცროსმა ქალიშვილმა ბუში გააჩინა.

— რატომ არ მისთხოვდა თავის სატრფოს? — იკითხა მამასახლისის ქალიშვილმა.

ბიარტურმა გაიცინა და უპასუხა:

— რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო. — მერე დაუმატა: — სულ კი ძროხების ბრალია. ბოლოს საქმე იქამდე მივა, რომ წყეული ღორმუცელები შენც შეგსანსლავენ. ამ ოხრებს ხმელთაშუა ზღვასავით უძირო მუცლები აქვთ.

— სამაგიეროდ, მთების მეფესთან მშვიდობაა, ზარალი არ უნახავს, — თქვა მოჯამაგირემ. — უტირედსმირში ცხვარს ცომს აკმევენ, მაგრამ მაინც ბალზე დასუსტდნენ, როგორც ხშირად ხდება გაზაფხულზე, და უკვე რამდენიმე ცხვარი დაკლეს.

დიახ, ბიარტურმა იცის, ასე იყო მუდამ რედსმირში. თუმცა, ერთი

ცხვრით ნაკლები ეყოლება თუ მეტი, მამასახლისისთვის რა მნიშვნელობა აქვს, მისთვის თავი და თავი საფერხე ცხენების კვებაა.

ქარბუქი არ ცხრებოდა, ქალიშვილმა ნერვიულობა დაიწყო. წარამარა ჩარბოდა ქვევით, კარს აღებდა, გარეთ იხედებოდა, თოვლი პირდაპირ სახეში სცემდა. არასოდეს ისეთი მჩხვლეტავი არ არის თოვლი, როგორც გაზაფხულზე. ოდური ხან იგინებოდა, ხან მიყუჩდებოდა, ბოლოს ისტერიკა დაემართა, მთლად დაჰკარგა ჭკუა, გადაირია.

— ჩემი ძმა ინგოულფი ამ საღამოს მიმელის, ეგონება, რომ დავიღუპე. ღმერთო ჩემო, რა ბოხდება, გემს რომ ვერ ჩავუსწრო?

ნუ სწუხარ, ამეღამ ჩაცხრება ქარბუქი.

— ღმერთო, ღმერთო ჩემო, ოღონდ კი ჩავუსწრო. ოღონდ არ დამაგვიანდეს!

— ქარბუქი მალე ჩადგება.

— იესო, ყოვლად ძლიერო, რა მოხდება, თუ გემს ვერ ჩავუსწარი?

— რა უნდა მოხდეს, სხვა გემით წახვალ.

— თუ იმ გემს ვერ ჩავუსწარი...

— სამხრეთში არაფერი შეიცვლება, თუ მეორე ხომალდში ჩაჯდები.

— არა, იმ გემს უნდა ჩავუსწრო, — ჯიუტად გაიმეორა ქალიშვილმა, — თუნდაც დავიღუპო ამ უშენში. რადაც არ უნდა დამიჯდეს, შაბათს სამხრეთში უნდა ვიყო.

— რა მოხდა ისეთი?

არც ერთი სიტყვა პასუხად. სასოწარკვეთილება. ქალიშვილი წუწუნებდა, ჰაერი არ მყოფნისო აქ, არც საჭმელს მიეკარა, არც სასმელს, მაგრამ ღამის გასათევად მაინც ამ აქოთებულ სახლში დარჩა, რაღგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ტანთ არ გაუხდია. საძაგრავში გაეხვია და ერთმანეთზე მიდგმულ ორ ყუთზე დაწვა. ლოგინში ჩაწოლაზე უარი გაუცხადა, ამის გაგონებაც არ უნდოდა. მთელი ღამე ისმოდა მისი ოხვრა-გმინვა. წარამარა ჩარბოდა ქვევით. რაშია საქმე, ღამის ქოთანი ხომ არ სჭირდებაო, იკითხა ბიარტურმა. არა, გარეთ გახედვა უნდა, უნდა გაიგოს, მოიწმინდა ცა თუ არა. გულიც ერევა... შაბათს რეიკიავიკში უნდა იყოს.

ცუდად ეძინათ იმ ღამეს ხუტორში. რა დარჩენია რეიკიავიკში? ვის უნდა შეხვდეს? განა აუსტასაც ასეთივე მაღალი შუბლი და მოშვილდული წარბები არ აქვს, როგორც ოდურს? აუსტა აწურწუტებული მოზარდი აღარ არის, ნამდვილი ყმაწვილი ქალია, სევდითა და სასოწარკვეთილებით შეპყრობილი. მ ი ს ი სახლი, — ფიქრობდა აუსტა, — ტყეში დგას განმარტოებით. იმ სახლის წინ არ ჩანს ქალიშვილი, როგორიც ღვეზელის ლანგარზეა დახატული.

არა, განმარტოებითაა ტყეში შეყუჟებული, ისეთივე სახლია, როგორიც ეხატა კედლის კალენდარზე, შარშანწინ ოთახიდან ბოსელში რომ ჩაუვარდა და ცხვრებმა ფეხით გათელეს. აუსტა პირველი დაეუფლა ი მ ა ს, ი გ ი მათთან მოვიდა სტუმრად, ოდურთან ხომ არ მისულა. ღმერთო ძლიერო, როგორ ოცნებობდა მთელი ზამთარი, გაზაფხულზეც კი, როცა სიკვდილი ესტუმრა ხუტორს. ახლაც მის თვალს ძილი არ ეკარებოდა, იწვა და მხურვალედ ოცნებობდა, როგორც უწინ, უფრო მხურვალედაც კი. მაგრამ ზოგს ბედი აქ დარჩენას და სიკვდილთან პირისპირ შეყრას არგუნებს ხვედრად, ზოგი კი სამხრეთში მიემგზავრება.

აუსტა სოულილიამ გამთენიის ხანს ძლივს ჩასთვლიმა და მალე მხიარულმა კისკისმა გამოაღვიძა. მამასახლისის ქალიშვილი იცინოდა, თურმე გამოიდარა და ოდური სიხარულით აღარ იყო. გამგელებული ეცა თავის ბუტერბროდებს. არა, არ დაიგვიანებს, ჩაუსწრებს ხომალდს. მართალია, თანამგზავრი კი ეშვობდა, ამინდი სანდო არ არისო, მაგრამ მამასახლისის ქალიშვილმა ისევ გადაიკისკისა და წამოიძახა:

— ჯანდაბას ამინდი, განა სულ ერთი არ არის, — კვლავ ჯანდაბა ახსენა, ქვევით ჩავიდა ცხენებთან და იქიდან ამოსძახა გამყოლს:

— რაღას უცდი, უკვე შეიძლება გამგზავრება.

გამყოლი კი იჯდა და მასპინძლებთან ერთად ყავას შეექცეოდა.

— რა ყვირილი ასტეხა!

— მიეჩქარება გოგონას, — თქვა ბიარტურმა.

— ჰო, — დაეთანხმა გამყოლი. — ეს დედაკაცები, გათხოვებას რომ დაუპირებენ, სულ ასე დაგიჟდებიან ხოლმე.

— თვალი მატყუებს, თუ მართლა ძალზე დამრგვალებული აქვს თეძოები? — ეკითხა ბიარტურმა.

— მე მგონია, ძნელი შესამჩნევი არ არის ეგ.

— აჰა, მაშასადამე, თქვენს კუთხეში ვიღაცას შემოუვლია?

— შენ გგონია, მარტო შენს ხუტორში ნადირობენ ის სამხრეთელი გმირები სამომხმარებლო საზოგადოებიდან?

— მაშ იმ ხროვიდან იყო ის ეშმაკის კერძი? რატომ მაშინვე ვერ მივხვდი, — თქვა ბიარტურმა.

და მაინც შარაგზამდე მიაცილა სტუმრები.

ამინდს ისეთი პირი უჩანდა, რომ ისევ დაიწყებდა თოვას. ქვესკნელმაც უყოს პირი! არა, ნუთუ ამ ჭინკებს დროზე არ შეუძლიათ საბნიდან გამოძვრომა? ბიარტურმა სატომრე ნაჭერში გახვეული დანები აიღო, გამოხსნა და საწოლზე დადო იმ მხარეს, სადაც თვითონ იწვა. თაროდან სალესი ქვა ჩამოი-

ღო, დააფურთხა და გაისმა ისეთი ხმა, რომელმაც გაჰკვეთა სულიერი თუ უსულო...

— ჰელგი, ადექი, საქმე მაქვს შენთან.

ჰელგი უნდილად წამოიზლაზნა, ჩაიცვა შარვალი და წინდებს დაუწყო ძებნა. მამა დანებს ლესავდა. ბავშვები საბანქვემოდან იჭყიტებოდნენ. ბიარტურმა თმის ღერი გამოიგლიჯა და დანას პირი მოუსინჯა. მერე ყუთიდან ამოიღო დაჟანგებული სახრახნისი, შარვალზე გაისვ-გამოისვა და გალესა.

— ჩაიცვი თუ არა, შე უქნარა?

— რა უნდა გავაკეთო?

— რა უნდა გააკეთო და რასაც გეტყვი. ჩადი ქვევით.

მამამ ხელისკვრით წინ გაიგდო ბიჭი და თვითონ უკან გაჰყვა. ფინა შეშლილივით უყურებდა კიბის თავთან მისულ ქმარს, ორივე ხელში რომ დანა ეჭირა. იქნებ ეგონა ამ გატანჯულ ქალს, ასე რომ სწამდა კეთილის გამარჯვება და რძეს ისე თქვეფავდა, როგორც ქრისტემ ასწავლა, რომ მოტეხდა ამ უდრეკ ნებას დაპყრობისადმი, რომელზეც მთელი საუკუნის მანძილზე — ისლანდიის არსებობის ათასი წლის მანძილზე — შენდებოდა თავისუფლება და დამოუკიდებლობა ერისა.

ქალი კისერზე შემოეჭდო ქმარს და შეჰღაღადა:

— ეს ჩემს მოკვლას უდრის, გუდბიარტურ, ვეღარ ვუყურებ ჩემი შვილების ტანჯვას, აღარ შემიძლია იმის დანახვა, თუ როგორ შიმშილობენ ისინი.

ქალი ქვითინებდა, მთელი ტანი უცახცახებდა, ცრემლით დაცვარულ ყვავილს ჰგავდა.

მაგრამ ქმარმა მხრის აქნევით მოიშორა ცოლი და კიბეზე დაეშვა. ქალი შეშლილივით გაჰყურებდა.

ერთ ხანს ნელი ფაჩუნი ისმოდა ქვემოდან. ბიარტურმა თოკის კონას წვერი გამოუშალა, მერე შეჰკრა მარყუჟი, ძროხა წამოაყენა. ბუკოდლა ძლივს იდგა ფეხზე, საცოდავად კვნესოდა. ბიარტურმა გაჭირვებით გამოიყვანა პირუტყვი სადგომიდან, გაისმა ძროხის სევდიანი ბღავილი.

და იმ წუთს ზაფხულის სავანელი ფინას წინ ჩაიმხვლა ყველაფერი. ამ ჩუმი, თვინიერი ქალის, ასე რომ უყვარდა სიმღერები, რომელმაც ბევრი ბავშვი შობა სამშობლოს საკეთილდღეოდ და სიკვდილისთვისაც. იგი კეთილი იყო, ელფებს მეგობრობდა, მაგრამ მისი გული დიდხანს სცემდა შიშითა და ძრწოლით. სიცოცხლე? თითქოს იმ წუთებში სიცოცხლე თავის პირველ საწყისს დაუბრუნდა. მუხლმოკვეთილი ფინა მდუმარედ, უხმოდ ჩაუვარდა მკლავებში მოხუც ჰალბერას, — მიესვენა დედის ჩამომჭკნარ მკერდზე. ვით მტლე და მტვერი.

(1932 წ. ესკიზების მიხედვით)

ბარსელონა — კოპენჰაგენი
1933—34 წ. ზამთარი.

ნაწილი მესამე

თავი მეოთხმოცე

სახლის ზღურბლთან

თუ სიკვდილი გაზაფხულზე ეწვია ოჯახს, მთელი ზაფხული მოშხამულია მძიმე მოგონებებით და როგორი ფიქრები უტრიალებთ გულში შემოდგომაზე, ზამთრის დამდეგს?

— წელს რომ გრძელი ზამთარი დაგვიდგეს, — დაიწყო საღამოს ბინდში სახლის ზღურბლთან მჯდარმა უფროსმა ძმამ, — ვთქვათ და ზამთარი გაჭიანურდა, აღარ დაადგა საშველი, ისე იწყო ტრიალი, აი, ძაღლი რომ ტრიალებს ხოლმე, როცა კუდით ვინმეს უჭირავს. ტრიალებს, ტრიალებს. და აღარ შეუძლია გაჩერება, რამდენიც არ უნდა გააჩეროო. რა იქნება მაშინ?

და თავის თავს თვითონვე უპასუხა:

— რა იქნება და არაფერი. უარესი რაღა მოხდება.

— ასეთი ზამთარი არ არსებობს, — უპასუხა უმცროსმა ძმამ. — მაგრამ, დავუშვათ, რომ მართლა დადგა ასეთი ზამთარი და გაგრძელდა, ვთქვათ, ეს წელიწადს... მაშინ, ამ ხნის მანძილზე, აი იმ ჩვენი მთის მწვერვალზე ავალ.

— რისთვის?

— რომ იქიდან სხვა ქვეყნებს გადავხედო.

— რომელ სხვა ქვეყნებს?

— რომლებზეც დედა მიამბობდა, როცა ცოცხალი იყო.

— არავითარი სხვა ქვეყნები არ არსებობს.

— მე კი გეუბნები, რომ არის სხვა ქვეყნები. მე ისიც მინახავს, ქარი როგორ აბრუნებს უკან ჩანჩქერს, აღმა, მთის მწვერვალისკენ.

უფროსმა ძმამ, რა თქმა უნდა, არც კი ინება ამაზე პასუხის გაცემა. რო-

გორ არა, ხელად დაუჯერა! ტყუილი დაახეთქა ნონიმ და ეგ არის. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უფროსმა დაწყებული საუბარი განაგრძო:

— ანდა დაკრძალვა ავიღოთ! ვთქვათ, დიდხანს გაგრძელდა, ვთქვათ, პასტორმა სიტყვა აღარ დაამთავრა, ილაპარაკა. ილაპარაკა გულის გამაწვრილებლად, აი, ისე, წვიმა რომ ჩამოდის ნოლმე სახლის სახურავიდან და დიდხანს, დიდხანს წკაპუნებს. ვთქვათ, ეს ორმოცდაათი წლის მანძილზე პასტორმა სულ „ამინ“ იძახა. მაშინ? რა იქნება მაშინ?

— ეგ შეუძლებელია, ხალხი ადგება და წავა.

— მერე კუბო, ბრიყვო? შენ გგონია, კუბოც ადგება და წავა?

— კუბოს ხალხი წაიღებს.

— შენს ჭკუაზე ხარ, ნონი? ნუთუ გგონია, რომ ვინმე გაბედავს კუბოს წაღებას, ვიდრე პასტორი უკანასკნელად არ იტყვის „ამინს“?

— დედას რომ ვასაფლავებდით, მაშინაც ლაპარაკობდა პასტორი, მაგრამ როცა ყავა მოუნდა, გაჩერდა... მე ვიცოდი, რომ პასტორი, როცა იქნებოდა, გაათავებდა ლაპარაკს.

უფროსმა ძმამ უმცროსისკენ მიიწია, მფარველურად მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ნონი, შენ ჯერ ისე პატარა ხარ, არც არის გასაკვირველი, თუ ზოგი რამ არ გესმის.

— ძალიან კარგადაც მესმის ყველაფერი, — სიტყვა მოუჭრა უმცროსმა და მხრის აქნევით ჩამოიშორა ძმის ხელი. — რაც შენ გესმის, მეც მესმის. შენზე მეტიც ვიცი.

— კარგი, — უპასუხა უფროსმა. — რაკი ასეთი ჭკვიანი ხარ, მაშ მითხარი. რას ნიშნავს დამარხვა?

უმცროსი ძმა ჩაფიქრდა, გადაწყვიტა, უსათუოდ სწორი პასუხი გაეცა ძმისთვის. დიდხანს ფიქრობდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. არა, არ შეეძლო ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა.

უფროსმა თვითონვე გასცა თავის თავს პასუხი:

— დამარხვა — დამარხვაა, შე შტერო, შენა!

ნონი გაოცდა, ასეთი უბრალო რამ როგორ ვერ მოვიფიქრეო!

— დამარხვა არასოდეს არ მთავრდება, — განაგრძო უფროსმა. — გინდაც ხალხი დაიშალოს, გინდაც პასტორმა უკანასკნელად თქვას „ამინ“, გინდაც ჩანჩქერი აღმა წავიდეს, როგორც შენ ამბობ, თითქოს შარშან გაზაფხულზე ნახე ასეთი რამ, თუმც ცოცხალი ტყუილი კი დაახეთქე, ვის უნახავს აღმა ასული ჩანჩქერი? დიახ, დამარხვას დასასრული არა აქვს-მეთქი და იცი, რატომ?

— დამეხსენი, აღარ მინდა შენთან ლაპარაკი, სულელო!

— იმიტომ, რომ მკვდარი არასოდეს არ გაცოცხლდება!

— სულ იმის ცდაში რატომ ხარ, რომ ყველაფერში მაჯობო, შენ გამოხვიდე გამარჯვებული. დამეხსენი-მეთქი, — შეუტია ნონიმ ძმას და განზე გაიწია.

— გეშინია?

— არა.

ბინდმა იძალა, აგრილდა. ჰორიზონტზე მრეში ღრუბლები შეჩქვიფდა, გაავდრებას აპირებდა. ბებია კი ელოდა და ელოდა ახალ მთვარეს.

— ნონი, უური მიგდე, გინდა რამე გიამბო?

— არა, არ მინდა, — უპასუხა პატარამ. — სულაც არ მინდა შენთვის უურის დაგდება.

— გამიგონე, ნონი, ჩვენ რომ აქ ვიჯდეთ ასი, ას ორმოცდაათი წელიწადი და მთელი ამ ხნის მანძილზე ბინდი იდგეს, როგორც ახლაა, მამა კი სულ ერთ და იმავე ცხვარს აქმევდეს ერთი და იგივე ხორომიდან გამოძრობილ ერთი და იგივე კონა თივას, და...

— მამა რომ შინ იყოს, ორივეს მაგრა მოგხვდებოდათ, უსაქმოდ რომ ყრიხართ აქ და სისულელეებს როშავთ, იმის მაგივრად რომ ხელი გაანძრიოთ, — წამოიძახა შუათანა ძმამ, გვენდურმა, რომელიც ქურდულად მიეპარა ჰელგისა და ნონის.

უცნაური ის იყო, რომ შუათანა ძმას იმან კი არ შეუტია, ვინც გაუჩერებლად ლაპარაკობდა, არამედ იმან, ვისაც „ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ესმოდა".

— ჩვენ შენ არ გელაპარაკებით, — მიახალა ნონიმ გვენდურს.

უფროსმა ძმამ კი დაუმატა:

— არც ისეთი სულელები ვართ, რომ შენ გელაპარაკოთ.

გვენდური არასოდეს არ ჩაფიქრებულა იმაზე, თუ რა არის სული. უფროსი და უმცროსი ძმა კი, მარტო რომ დარჩებოდნენ, ერთთავად სულზე ლაპარაკობდნენ. ეს აერთიანებდა მათ და შეეკვრნენ ერთმანეთს შუათანა ძმის წინააღმდეგ, შრომის მეტი რომ არა ახსოვდა რა.

— ყოველ შემთხვევაში, მამა იმას მაინც იტყვის, რომ მე თქვენზე ჭკვიანი ვარ, — თქვა შუათანა ძმამ.

— მერე რა, სამაგიეროდ, დედას ჩვენ უფრო ვუყვარდით.

— ჰმ, დედას! თქვენ კი ერთი ცრემლიც არ გადმოაგდეთ დედის დამარხვაზე. მირელმა გუდნიმ თქვა, რომ სამარცხვინოდ იქცეოდით. დედას მარხავენ, ესენი კი დგანან, ცხვრებივით დაუჭყეტიათ თვალები და პასტორს მიჩერებიანო.

— ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ღრიალს მოვრთავდით მამაჩვენის საამებლად?

არა, ნურას უკაცრავად. ზლუქუნს არ დავიწყებთ. ჩვენ იომსის ვიკინგებივით ვართ. შენ ღრიალებ, ჩვენ კი ლანძღვა-გინებას უფრო მოვყვებით, ვიდრე წირპვლას.

ამ გაცხარებულ ჩხუბში რომ იყვნენ, კარში თავი გამოჰყო აუსტა სოულილამ, გახედა ბინდში გახვეულ გზას, კაბის კალთაზე შეიწმინდა წვრილი თითები და ძმებს ჰკითხა:

— ბიჭებო, ის არ გინახავთ?

— ვინ ის?

— როგორ თუ ვინ? არც ისეთი სულელები ხართ. კარგად იცით, ვიზეც გეკითხებით.

— რა იყო, მოკვდა ის, თუ რა არის?

— როგორ არა გრცხვენიათ? ენა როგორ მოგიბრუნდებათ მამაზე ასეთი რამის სათქმელად?

— მაგათ სწორედ ეგ უნდათ. უნდათ, რომ მამა მოკვდეს, — თქვა გვენდურმა, — მაშინ ხელს აღარ გაანძრევენ, ეყრებიან აქ, ზღურბლთან, და ძაღლებივით იწკავწკავებენ მთელი დღე.

პატარა ნონი შეესიტყვა:

— თქვენ იკითხეთ, თქვე საცოდავებო, თორემ ჩვენ, თუ მოვინდომებთ, ერთ მშვენიერ დღეს ავდგებით და სამოგზაუროდ წავალთ, მთელ ქვეყანას მოვივლით.

— ძალიანაც კარგს იზამთ, თუ წახვალთ. წაბრძანდით. რაც მალე გააკეთებთ მაგას, მით უკეთესია. არავის შეშურდება თქვენი ბედი, — უპასუხა აუსტამ ბიჭებს და შინ შებრუნდა. მან ხომ გამოცდილებით იცოდა, რაც არის მოგზაურობა.

ბიჭები ზღურბლზე დარჩნენ.

— ეგეც ღრიალებდა, — თქვა ჰელგიმ.—ხმამაღლა, რადგან აღარ შეეძლო გაჩუმება.

— ეგ ხომ წარამარა ტირის. გუშინ საღამოსაც, გუშინწინაც იწირპლებოდა. მაგისთანა მტირალა დედამიწის ზურგზე მეორე არ მოიძებნება.

— მაგას არც კი ეკუთვნოდა ტირილი. ეგ ხომ დედაჩვენის შვილი არ არის, არც ჩვენ მოგვხვდება ნათესავად.

— რას ამბობ, რომელი ჩვენი თვისტომი ეგ არის?

— თვალებზე ხელად შეატყობ, რომ ჩვენიანი არაა, ცალ თვალს აელმებს.

— ჰო, მართლა, თვალმარღია.

— აქაოდა გულმკერდი ქალივით დამიმრგვალდაო, წარმოიდგინა, ვითომც დიდია უკვე და მბრძანებლობს აქ... სინამდვილეში სულაც არ არის დიდი,

ტყუილად გავიდა ასე თავს. გუშინ საღამოს, ლოგინში რომ წვებოდა, კარგად დავათვალიერე... ვაი, ყური კი არ მოჰკრას, რაც ვთქვი, თორემ თუ გაიგონა, როცა არ ელი, მაშინ წამოგკრავს ქიმუნჯს.

— მე მაგისი სულაც არ მეშინია. იცი, ჰელგი, მაგასაც მიუძღვის ბრალი დედაჩკენის სიკვდილში. გახსოვს, პალტო დედას კი არა, მაგას უყიდეს. დღეში ორჯერ მაგას ისტუმრებდნენ გაცხარებულ მუშაობაში შინ დასასვენებლად. დედა კი, ისეთი ავადმყოფი, დილიდან დაღამებამდე შეუსვენებლად მუშაობდა.

— ნონი, გახსოვს, როგორ ჩაუვარდა დედა ბებიას მკლავებში და ვეღარ წამოდგა? გახსოვს, როგორ კანკალებდა?

ბიჭმა ამაზე პასუხის გაცემა ვერ გაბედა.

— ეგ იმ დღეს მოხდა, მამამ ბუკოდლა რომ დაკლა, — განაგრძო ჰელგიმ. უმცროს ძმას არც ახლა ამოუღია ხმა.

— ნონი, თუ შეგიმჩნევია ასეთი რამ: ზოგიერთი ადამიანი სიცოცხლეშივე მკვდარი რომ არის? ნუთუ ადამიანის თვალებში ვერა ხედავ ამას? მე კი ხელად ვამჩნევ, ერთი შეხედვით ვარჩევ ცოცხალს მკვდრისაგან. იმ დღეს, დედა ბებიას რომ ჩაუვარდა მკლავებში, უკვე მკვდარი იყო, წუთისოფელს მოწყდა. გახსოვს, როგორი თვალებით გვიყურებდა საღამოობით?

— კარგი, ჰელგი, გეყოფა, რატომ მტანჯავ მუდამ?

— ხომ ასრულდა ყველაფერი, რაც შერეკილმა დედაბერმა ფრიდამ გვიწინასწარმეტყველა შარშანწინ? ეს სულ მამაკაცის მტარვალობაა, — თქვა მან, — ყველას ბოლოს მოგიღებთო.

ასე ამბობდა უფროსი ძმა. ზოგიერთი ადამიანი უცნაური ნიჭითაა დაჯილდოვებული, მას თითქოს ესმის ბედისწერის ნაბიჯების ხმა, მისი თვალები მიმართულია ყოვლად მიუწვდომელისკენ, ის ხედავს სამყაროს მიღმა მდებარე თავბრუდამხვევ სივრცეებს, იმ სივრცეებს, რომელთაც ღმერთი ჩვეულებრივ მოკვდავთა თვალს არიდებს, უმალავს. ნათელმჭვრეტელობის ასეთი უნარი აფრთხობდა უმცროს ძმას, შეცბუნებული იყო, თავს უმწეოდ გრძნობდა, თვითონ ხომ ვერას ხედავდა, საკუთარი ოცნებების გარდა?

— ჰელგი, რომ იცოდე, რარიგ მინდა, ჩქარა გავიზარდო, — ეტყოდა ხოლმე ნონი უფროს ძმას. იგი ოცნებით ცდილობდა (ეს ნიჭი განსვენებული დედისგან დაჰყვა) თავის დაცვას ბედისწერისა და იმისაგან, რაც ამ ბედისწერის მიღმა იდგა. რა კარგი იქნებოდა, ფრთები რომ ჰქონდეს, ცად აიჭრას ფრინველივით, გადაუქროლოს უშენს, უტირედსმირის მაღალ გალავანს, ტელეგრაფის მავთულებს... მაგრამ როგორც არ უნდა ეოცნება, მაინც გრძნობდა, რომ უფრთო იყო ოთხფეხი პირუტყვივით, და უფროსი ძმა თითქოს ეკლიანი მავთულის ზღუდის მაგივრობას უწევდა. მის ძმას შეეძლო ბინდის გაწელვა, იგი

ბინდს მარადისობად აქცევდა და ეს მარადისობა აღსავსე იყო ერთი შეძახილით: „ამინ!“ ახლაც კი, როცა ნონიმ განზე გაიწია, ზღურბლის კიდეზე ჩამოჯდა, უფრო ცივად და სამარისებურად გაისმა „ამინ“.

ნონის უცებ ბრწყინვალე აზრი დაებადა:

— ყური მიგდე, ჰელგი, — უთხრა უფროს ძმას. — რაღას ვუცდით, რატომ არ გავიქცევით შინიდან? გახსოვს ის ნაშვილები ბიჭი, გილეში რომ იზრდებოდა? ამ გაზაფხულზე გაიქცა. ჰო, გაიქცა! ირბინა, ირბინა აღმოსავლეთით და ვიკში ამოჰყო თავი.

— იმ ბიჭს ვიკში მშობლები ჰყავს, — უპასუხა ნონის უფროსმა ძმამ. — დედ-მამამ თავისთან წაიყვანა, როცა ის მთიდან ჩამოვიდა. ჩვენ ვინ შეგვივრდომებს? ვინ წაგვიყვანს? არაეინ. საით წავიდეთ? არსაით გზა არ გვაქვს.

ისინი ისევ ზღურბლზე ისხდნენ. ბინდი უფრო და უფრო ჩამოწვა, განსაკუთრებით უმცროსი ძმის ირგვლივ. ის ხომ, თავისდა საუბედუროდ, ნათელ მომავალზე ოცნებობდა. ასე ისხდნენ დიდხანს, ბოლოს ნონის მოთმინება აღარ ეყო და ისევ თავიდან დაიწყო:

— როცა დედა ახალგაზრდა იყო, ტყის ფერიებთან მეგობრობდა, თავის სამშობლოში, ურდარსელში. შარშან, მე და დედა ერთად რომ ვმწყემსავდით ფერდობზე ბუკოდლას, მაშინ მიამბო ყველაფერი. ხშირად მიგალობდა სიმღერებს. დიდი, დიდი ხნის წინათ, როცა სულ პატარა ვიყავი, თურმე ფერიამ უთხრა დედას, რომ ოდესმე მეც ვიმღერებ...

ბიჭმა ვერ გაბედა იმის თქმა, რომ მომავალში, როგორც ფერიამ უწინასწარმეტყველა, მთელი ქვეყნისთვის უნდა ემღერა. ეშინოდა, უფროსი ძმა სასაცილოდ აიგდებს ჩემს სათუთ ოცნებასო, რადგან ყველაზე სანუკვარი სურვილებიც კი უღრმესი სევდითაა მოცული და პატარა ბიჭმა მოკრძალებით თქვა:

— ალბათ რედსმირის საყდარში ვიმღერებ.

— რას არ უამბობენ პატარა ბავშვებს. ნუთუ ეს არ იცი? ჰოდა, რატომ? სწორედ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ პატარები ვართ. დედა მეც მიამბობდა ფერიებზე. მან მითხრა, რომ შორეულ მხარეს ცხოვრობენ ფერიები, რომ იქ ყველაფერი სხვანაირია, ქარბუქიც, კარგი ამინდიც, მზეც, ღრეებიც კი სულ სხვაგვარიაო. მერე დედას ბავშვი შეეძინა და ის ბავშვი მოკვდა, თვითონ კი დიდხანს ლოგინად იყო ჩავარდნილი. ღამეებს თეთრად ვათენებდი მაშინ, ყურს ვუგდებდი მის სუნთქვას, მის ტკივილს ვგრძნობდი. ხანდახან, საღამო ხანს, ქარბუქში შინიდან გავიქცეოდი, მივადგებოდი ერთ კლდეს, მერე მეორეს, მესამეს, ვეჩურჩულებოდი მათ. ყინულის ქერქს შემოვამტვრევდი, რომ უკეთ გაეგონათ ჩემი ნათქვამი, ვემუდარებოდი, უშველეთ დედას-მეთქი. იმიტომ, რომ მის მონაყოლ ზღაპრებში კლდეები შველოდა ხალხს. ერთ ღამეს ათ, რა-

ტომ ოცდაათ კლდეს არ ვთხოვე შველა. ვფიქრობდი, თუ ერთ კლდეში არ არიან ელფები, მეორეში იქნებიან-ძეთქი, ეგებ შეისმინონ ჩემი მუდარა, უშველონ დედას, გვიშველონ ყველას. დედა კი მაინც მოკვდა. მითხარი, რატომ არ უშველეს ელფებმა დედას? შენ ხომ ფიქრობ, ყველაფერი მესმისო. იმიტომ არ უშველეს, ნონი, რომ ისინი არ არსებობენ. არა, არც ამ კლდეში. არც იმ კლდეში, არც ერთ კლდეში არ არიან, გესმის? დედა იმიტომ გვიყვებოდა ამ ზღაპრებს, რომ ჩვენ პატარები ვიყავით, თვითონ კი ძალიან კეთილი იყო.

— ტყუილებს ჩმახავ, — ცრემლნარევი ხმით შესძახა ნონიმ. უფროსი ძმის სიტყვები მწარედ მოხვდა გულში.

— როცა წამოვიზარდე, — განაგრძო უფროსმა ძმამ, — დღისით ხშირად მივატოვებდი ხოლმე საქმეს, ავირბენდი ოთახში, სადაც ავადმყოფი დედა იწვა, მინდოდა მეკითხა, მართალია თუ არა, რასაც მიამბობდა. მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გავბედე ამის კითხვა. „თუ მართალია,—ვფიქრობდი,—მაშინ ელფები უშველიან დედას, გვიშველიან ყველას, თუ ტყუილია, რისთვის უნდა გაიგოს დედამ, რომ უკვე პატარა აღარა ვარ და ყველაფერი მესმის?“ მერე მამა შემოვიდოდა და გამაგდებდა ხოლმე.

— მიჰქარავ, მიჰქარავ, მიჰქარავ! — აყვირდა პატარა-ნონი და უფროს ძმას მუშტები დაუშინა, თითქოს ეს იყო ყველაზე თვალსაჩინო, დამამტკიცებელი საბუთი, რომ არსებობს სხვა უკეთესი სამყარო.

— ნონი, გახსოვს, უამინდობის საწინააღმდეგო ფსალმუნი? — ჰკითხა ჰელგიმ ნონის, როცა ის გაჩერდა. — ყური მიგდე, ნონი, რაღაცას გიამბობ.

— არ მინდა, — უთხრა ნონიმ. — თავი დამანებე! ვერ გამიგია, რას ჩამაცივდი, რატომ არ დამეხსნები?

— თუ შეგიმჩნევია, ნონი, როგორც კი რაიმე მოხდება, ბებია მაშინვე იტყვის ხოლმე: „განა არა, ვიცოდი, ამაზე უარესსაც ელოდეთ... დილიდანვე გულმა შემომკვნესა. ცუდი ნიშანია“. რაც არ უნდა მოხდეს, ვერც სიხარულს შეატყობ, ვერც მწუხარებას. არაფერზე დაიჩივლებს. გახსოვს, რა თქვა, დედა რომ გარდაიცვალა და აუსტამ ზეწარი გადააფარა? ბებიამ დედას აკოცა და თქვა: „სულაც არ მიკვირს“.

— ეგ იმიტომ, რომ ბებია ღრმა მოხუცია, თითქმის ასი წლისაა, — ისე ჩუმად ჩაილაპარაკა ნონიმ, თითქოს თავისთვის თქვაო.

უფროსი ძმა ამაზეც შეეკამათა:

— არა, ნონი, არა. ეგ იმიტომ, რომ ბებიას ყველაფერი ესმის, ყველაფერი იცის, რაც ხდება ცისა და მიწის შუა. გახსოვს ის ბორგნეული, მხეცებში რომ იბუდებდა? სწორედ იმაზეა ლაპარაკი უამინდობის ფსალმუნში. ვისაც ბებიის ესმის, მას ყველაფერი ესმის.

— დედა არასოდეს არ კითხულობდა ფსალმუნებს, — თქვა პატარა ნონიმ. — მამა კი ამბობს, არავითარი იესო ქრისტე არ არსებობსო.

— იქნებ, მართლაც არ არსებობს, მაგრამ ის შლეგი კი, ფსალმუნში რომ არის ნახსენები, სხვა ვინ იქნება, თუ არა კოლუმკილი? ეს ნამდვილად ვიცი. საიდან ვიცი? საიდან და, საკუთარი თვალით ვნახე. როდის? განა ერთხელ და ორჯერ? ერთ საღამოს მამა შინ მოერეკებოდა თავის ფარას, კოკისპირულად წვიმდა, ჩვენი ერთი ცხვრისათვის ვიღაცას ყურები ჩამოეხია, აი, მაშინ დავინახე კოლუმკილი. საკუთარი თვალით დავინახე, როგორ მივიდა ერთ ცხვართან და რაღაცას უკეთებდა, არ ვიცი კი რას. ჰო, ნონი, ის ნამდვილად კოლუმკილი იყო.

— კოლუმკილი? — ჰკითხა შეცბუნებულმა ბიჭმა.

— შარშან ზამთარს ყოველდღე რომ გვეხოცებოდა ცხვარი, სულ კოლუმკილის ჯადოქრობის ბრალი იყო. ამიტომ გაწყდნენ; კი, ის იყო, ის... შვიდგზის მოჰკლეს და შვიდგზის აღსდგა მკვდრეთით... ამ ხეობაში ხომ მან დაანგრია ხუტორი, შვიდგზის დაანგრია, ჰო, ეს მთელმა სამრეველომ იცის. მე ყოველ დღე ვხედავ კოლუმკილის.

— მიჰქარავ, არაფერსაც არ ხედავ! — შესძახა ატირებულმა ნონიმ და ისევ დაუშინა ძმას მუშტები.

— იცი, ნონი, რატომ ვხედავ? — ჰკითხა უფროსმა ძმამ. ხელი ჩასჭიდა პატარა ნონის და ყურში ჩასჩურჩულა: — იმიტომ, ძმაო, რომ მეც მკვდარი ვარ. აბა, თვალებში ჩამხედე და დარწმუნდები, რომ ცოცხალი აღარა ვარ.

ორი ძმა—ორი წინააღმდეგობა: ერთი ავსებს მეორეს. მარადიული წინააღმდეგობაა განსახიერებული ადამიანში. ეს იყო შემოდგომაზე, სახლის ზღურბლთან, ბინდბუნდში, როცა ყოფნა-არყოფნას შორის იშლება საზღვარი.

ღრუბლებიდან ნამგალა მთვარე გამოცურდა.

თავი ოცდამეერთე

ვირთაგვები

(საშობაო მარხვა)

ბიარტური ფარეხში მიდის. საშინლად ყინავს, დღესაც ვერ გარეკავენ ცხვარს საძოვარზე. მოხუცი ჰალბერა, ჩვეულებისამებრ, ებრძვის ცეცხლს. ძლივსღა ამოძრავებს გახევებულ თოლებს. კვამლში გახვეული ბავშვები

საპანქვეშ მოკუნტულან, სძინავთ, ან უკვე გაიღვიძეს და ყურს უგდებენ ფიჩხის სუსტ ტკაცუნს. ასე იყო შარშან, ასე იყო შარშანწინ. მანამ, ვიდრე ბებია აუსტასთვის მოიცლის და ამაოდ შეეცდება მის გაღვიძებას, პატარა ნონიც ამაოდ ცდილობს გულისყური მოიკრიბოს იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს ხადმე. ოდესმე, ვის რა შეიძლება შეემთხვას! შარშან მთელი ოჯახი იტანჯებოდა. შეძრწუნებულები, თრთოლვით ყურს უგდებდნენ მძიმე სუნთქვას, საშუდამოდ რომ შეწყდა უკვე, როგორც ერთ სიმღერაშია — შეწყდა ქღერა გაწყვეტილი სიმისა. წავიდა, განქარდა მწუხარება, რომელშიც თავისებური სიხარულიცაა. რადგან მწუხარება განაახლებს, ააღორძინებს ყოველივეს, რაც კი ჩაკვდა ჩვენს სულში. ლამაზი ლანგარიც დიდი ხანია გატყდა.

ჯერ ცეცხლი არც კი გაჩაღებულიყო, რომ მამის ფეხის ხმა გაისმა, გაბეღებული. სწრაფად მოაბიჯებდა, ამოვიდა თუ არა ზევით, დასტაცა ხელი ცხვრების დასაკლავ დანას და ბუდიდან ამოაძრო.

— ოჰო, როგორც ეტყობა, კიდევ ვიღაცის მოსპობა გადაუწყვეტია, — ჩაილაპარაკა მოხუცმა ჰალბერამ.

ბიარტური მოლაპლაპე დანით ხელში მივიდა შვილებთან და ლოგინიდან წამოაყენა.

— აბა, ბავშვებო, წამოდით ფარეხში, ნახეთ, რაც მოხდა და მაშინ ბებიაც გაიგებს ყველაფერს.

— ნეტა ვიღას გააკვირვებ იმით, რატ აქ ხდება?—თქვა მოხუცმა.—ყოველ შემთხვევაში, მე ვერა.

იმ ზამთარს ფარეხი სწრაფად ცარიელდებოდა: სუსტები იღუპებიან, უკეთესები რჩებიანო, ამბობდა ისტადალელი ოულაფური, საკუთარ თავსა და სხვებს ანუგეშებდა ამ სიტყვებით, ადგილობრივი და უცხოეთის გაზეთები ერთიანად რომ იყო აჭრელებული. მართლაც, იმ ზამთარს ბიარტურის ფარეხში, ბაგასთან, ისეთი ჩინებული ეგზემპლარები იდგნენ, ულამაზესნი, რომ უკეთესს ვერაფერს ნახავდა კაცის თვალი. მართალია, ცოტანი დარჩნენ, მაგრამ ბიარტურმა ძალზე შეიყვარა ისინი, მგონი, იმაზე მეტად, ვიდრე უწინ მთელი ფარა უყვარდა. ბიარტურს არ ჩვეოდა წუწუნი, არც ახლა ჩიოდა, ცხვარი გამიწყდაო. ზოგიერთს უყვარს ვიშვიში, ბიარტური კი ასეთი აზრის იყო. ადამიანს ის უნდა ახარებდეს, რაცა აქვს, უფრო სწორად, ის, რაც დიდი დანაკლისის შემდეგ შერჩაო. ყოველგვარ განსაცდელსა და უბედურებაზე, რაც კი შეიძლება გლეხს თავს დაატყდეს, ჭია როდი გახლავთ უარესი, გაცილებით საშიშია ავი სული, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებ, გინდაც ბლომად გქონდეს კარგი თივის მარაგი, პირუტყვს მაინც არაფერი შველის, სულ-

დობა მცირდება. მართალს ამბობდა მოხუცი ჰალბერა, ჯერ სადა ხართ, ამაზე უარესსაც მოელოდეთო. ავმა სულმა თავი აიწყვიტა და ბობოქრობს.

იმ დილას ბიარტური ცხვრებისთვის საკვების მოსამზადებლად წავიდა ფარეხში და რა დაინახა? ღმერთო ძლიერო, ეს რა ჩაჭედილა კიბის საფეხურებში? მკვდარი ცხვარი, ხერხემალჩამტვრეული, ჩვარივით მოთელილი. რქით გამოსდებოდა კიბის ნაპირს. ბიარტურმა თავი ვეღარ შეიკავა, უნებლიეთ აღმოხდა წყევლა. მერე ცხვარი ამოათრია, ფარეხის წინ დადო თოვლის ნამქერზე და შინ წავიდა შვილების წამოსაყვანად. ჰოდა, დგას შვილებთან ერთად ღრუბლიანი ცივი დილის მოცისფრო შუქში და გაოცებული დაჰყურებს მკვდარ პირუტყვს. არის ისეთი დღეები, როცა ყველაფერი უაზრო და გაუგებარი გვეჩვენება, არის ისეთი დღეებიც, როცა ყოველივე ნათელი და გასაგებია.

ალბათ ცხვარს სათივეზე უნდოდა ასვლა, ზევით რომ მიფორთხავდა, კიბის საფეხურებში ჩაიჭედა რქით და დაიხრჩოო, თქვა გვენდურმა.

- ჩერჩეტი! — წამოისროლა ჰელგიმ.

პატარა ნონიმ ძმას ხელი სტაცა, მაგრამ უმალ გაუშვა. აუსტა სოულილია კბილს კბილზე აცემინებდა.

— სულ არა ჰგავხარ დედაშენს, — შეუწყრა ბიარტური ბავშვს. — განა იმას უბრალო რამე შეაშინებდა და კანკალს დაიწყებდა?

აუსტა მოყვა ბატკაცებას, რომ მას არაფრის არ ეშინია, შიში ხომ სამარცხვინოა, სცივა და ამიტომ კანკალებს.

ოჯახი ისე ააღელვა ამ ამბავმა, რომ ორი დღე ვეღარ დაიმშვიდეს გული.

ხუტორს დაბიდან ამოსული ხალხი მოაწყდა, მოდიოდნენ სრულიად უცნობი კაცები, ბიარტურს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, პირქუშად შეხვდა ყველას, არავითარი სურვილი არა მაქვს ვიღაც ვიგინდარები შემოვიჩვიო სახლში და ყავით გავუმასპინძლდე, მაგათთვის ნარცხი უფრო უპრიანი იქნებაო. ღმერთმა უწყის, ვინ არიან, პატიოსანი ხალხი კია? ეგებ სულაც ისინი იპარავენ ცხვრებს? უწინ ასეთმა ნაძირალებმა ზაფხულის სავანის გზა არ იცოდნენო.

— რაო, რა მოხდაო? თუ ამის გამოსაძიებლად გარჯილხართ, მაშინ გადაეცით სხვებს, რომ ხახამშრალები დარჩით. არაფერიც არ მომხდარა, გესმით!

და პირში ჩალაგამოვლებული სტუმრები თავთავიანთ გზას გაუყვნენ.

მესამე დღეს ბიარტური ბატკნების დასახედად წავიდა, ფარეხში ფეხი შედგა თუ არა, უცებ რაღაცას აჰკრა თავი. „ეს რაღაა?“ — გაიფიქრა და მოჰყვა წყევლა-კრულვას. მისი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ბატკანი თოკით ჭერზე იყო ჩამოკიდებული. ბიარტურმა შეჭრა თოკი, გულდასმით გასინჯა და დარწმუნდა, რომ ოჯახში ასეთი თოკი არ ჰქონია. „არა, შეუძლებელია, ასეთ რამეს ვერ მოიფიქრებდა ადამიანი!“ ბიარტურს არ შეეძლო დაჯერება. რომ

ქვეყნად არსებობდა ისეთი სასტიკი და სულმდაბალი ადამიანი, რომელიც ცხვარს ჩამოახრჩობდა. „არა, ადამიანი ვერ იზამდა ამას!“ — ბიარტურმა ფარეხს შემოუარა, დააკვირდა თოვლს, თოვლი მკვრივი იყო, მოყინული, არ-სად ჩანდა ნაკვალევი. არა, რაღა მაინცადამაინც ზაფხულის სავანელი ბიარტუ-რის სახლში დატრიალდა ასეთი სასწაულები, რომელსაც არც ეშმა სწამს, არც ტარტაროზი, არც მოჩვენებები? მიუხედავად იმისა, რომ ბიარტურს გულზე ცეცხლი შემოენთო, მაინც არაფერი შეიმჩნია, შინ რომ მივიდა, შვილებს არ აგრძნობინა, რა ბოღმა ახრჩობდა, ერთი ბატკანი მატყლით გამძღარა და დავკა-ლიო, თქვა. არ უნდოდა ვისმეს და, მით უფრო, მის შვილებს, ეგრძნოთ, რომ შეხედულება შეეცვალა, რომ ძველებურად მტკიცედ ვეღარ უარყოფდა მოჩვე-ნებებისა და ავსულთა არსებობას. მას ხომ სწორედ ეს სიმტკიცე აძლევდა დიდ მორალურ ძალას, როგორიც სხვას არ გააჩნდა. არ უნდოდა შვილებს ეგრძნოთ მისი მღელვარება, მაგრამ ბოლო ხანებში მომხდარმა უცნაურმა ამბებმა ძალზე შეაშფოთა, მარტო რომ შევიდოდა ფარეხში, დაღვრემილი ათვალიერებდა თავის ცხვრებს, თან ჩუმად დუდუნებდა: „ჯანდაბას, ეშმაკებში“, — დღეში ასჯერ იმეორებდა ამ სიტყვებს, ისე იყო მოშლილი, რომ საქმეს გულს ვეღარ უდებდა, ხელს ვერაფერს ჰკიდებდა ვერც შინ, ვერც გარეთ.

— სუფთა წინდები მომეცი, გოგონი, — უთხრა ბიარტურმა აუსტას.— და-ბაში მივდივარ.

— დაბაში?

— ჰო, მგონი ფარეხში ვირთაგვები გაჩნდნენ, — ისე მოიგონა ბიარტურმა, როგორც კიბოთი დასნეულებული არწმუნებს ყველას, მუცლის გვრემა მაწუ-ხებს, მეტი არაფერიო.

— ვირთაგვები? — გაიოცეს დაბაში, — საიდან გაჩნდნენ? თაგვები რომ გეთქვა, კიდევ ჰო, მაგრამ ვირთაგვები კი, საოცარია...

ბიარტურმა მოხუცებსაც შეუარა — ოულაფურსა და ეინარს. ისინი ისხდნენ და ამინდზე ბჭობდნენ, თან ბურნუთს იყრიდნენ ცხვირში, როგორც შობის დღეებშია მიღებული. ბიარტურმაც შეიყარა ბურნუთი, ჩაერია საუბარში. შეუ-ძლებელია, საიდან უნდა გაჩენილიყვნენ ვირთაგვებიო, შეიცხადეს ოულაფურმა და ეინარმა. ბიარტურმა უპასუხა, რომ, მისი აზრით, დიდი განსხვავება არ არის თაგვსა და ვირთაგვას შორის. ეინარმა თქვა, რომ ადვილი შესაძლებელია მის შეხედულებას ანგარიში არც კი გაუწიონ, არაფრად ჩააგდონ, მაგრამ ის მაინც დარწმუნებულია, რომ ვირთაგვა ვირთაგვაა, თაგვი კი თაგვი. ჰო, მართლა, ვიდ-რე არ დავიწყებია, ერთი ლექსი უნდა მისცეს ბიარტურს, ფსალმუნის ყაიდაზეა დაწერილი, შემოდგომაზე თიბვას რომ მორჩნენ, მაშინ შეთხზა.

— თავის დროზე, — დაიწყო მან, — შენს პირველ ცოლზე და ასევე მეო-

რე ცოლზე შევთხზე ლექსები. ორივე საუცხოო ქალი იყო, მათი მსგავსი ძნელად მოიძებნებოდა სადმე. მაგრამ გამოუცნობია გზები უფლისა. რაც შეეხება მაგ შენს საქმეს, თუ თაგვი გაჩნდა ფარეხში და თუ ცხვარს ყელში ჩააფრინდა, მაშინ, როგორც ძველი ხალხი ამბობს, თუმც გაზეთებში კი ჯერ არაფერი დაუწერიათ ამაზე, თაგვი ისე უნდა მიაჭყლიტო ჭრილობაზე ცხვარს, რომ შიგნეულობა ზედ მიეწებოს. ეს უებარი საშუალებაა.

— მოსახსენიებელი ლექსები იგივე ფსალმუნებია, მე კი ფსალმუნების მოტრფიალე არ გახლავართ, დალახვროს ეშმაკმა, გინდ ცოცხლებზე იყოს დაწერილი, გინდ მკვდრებზე, სულ ერთია, — თქვა ბიარტურმა. — შენ ეს დიდი ხანია იცი, ეინარ. იომსის ვიკინგებზე არასოდეს არავის დაუწერია ფსალმუნები, მაგრამ ისინი გმირულად დაეცნენ ბრძოლაში, და რამდენადაც მახსოვს, გრეტირისათვის შური იძიეს მიკლაგარდში* ყოველგვარი ფსალმუნების გარეშე. გრეტირი კი, თვითონაც კარგად მოგეხსენება, პირველი კაცი იყო ისლანდიაში. მართალია, ჩემი ორივე ქალი იმქვეყნად გადაბარგდა, მაგრამ მაინც არ მესმის, რა საჭიროა ფსალმუნების მიტმასნება. ყოველგვარი საღვთო თუ სასულიერო სიტყვა გუნებას მიმღვრევს. აი, თუ რომელიმე თქვენგანი კატას მომყიდის, მეგობრულ დახმარებად ჩავთვლიდი. გინდაც კატა ავი იყოს, მაინც მადლობელი დაგრჩებით.

საღამო ხანს ბიარტურმა ტომრით კატა მიიყვანა შინ და იატაკზე დასვა.

— ეს რა არის? — იკითხეს ბავშვებმა.

— კატაა, — უპასუხა ბიარტურმა და ოჯახი მთელი საღამო შეჰხაროდა კატას.

მთელი დაბა ისე აალაპარაკა ამ ამბავმა, როგორც ამინდზე ლაპარაკობდნენ გაუთავებლად. ახლა ყველას ეს ეკერა პირზე, ერთიმეორეს გადასცემდნენ: „ზაფხულის სავანეში ვირთაგვები გაჩენილან“. და აი, კიბის თავზე დგას კატა, ცქვით, თითქოს ქადილით ავლებს ოვალს იქაურობას, გუგები გაფართოვებია. აი, ასწია თათი და საცოდავად დაიკნავლა, თუმც მხნედ კი ეჭირა თავი. ისლანდიაში, რაც უნდა შესაბრალისად კნაოდნენ კატები, სიმხდალეს მაინც ვერ დასწამებენ, ვერავინ გაბედავს იმის თქმას, რომ ისინი მშიშრები არიან.

— ბავშვებო, თვალი გეჭიროთ კატაზე, ძაღლს არ შეებას, — გააფრთხილა შვილები ბიარტურმა შინიდან გასვლისას და უცებ გაიფიქრა: „ეს რა ამბავია ჩემს თავს, შევიშალე, თუ რა არის? ერთი უყურეთ, ვითომ დავიჯერე, რომ კატა რამეს მიშველის?“

მაშ ასე, ხუტორში გაჩნდა კატა. დღისით-მზისით იჯდა ოთახში და ყურს

---

* მიკლაგარდი — კონსტანტინეპოლი (ძველისლანდიურად).

უგდებდა, როგორ გაავებით ყეფდა ძაღლი ეზოში. კატა აღიზიანებდა ძაღლს. როგორც კი მიუახლოვდებოდა, ძაღლს ბალანი აეშლებოდა, ყმუილს მოჰყვებოდა. ძაღლი რომ ოთახში ავიდოდა, კატა ხელად შეხტებოდა ფანჯრის რაფაზე, იქ მისთვის საკმარისი ადგილი იყო, ერთ ხანს იქიდან ყურადღებით ადევნებდა თვალს ძაღლს, თანდათან უწვრილდებოდა გუგები და ბოლოს ფილოსოფიური იერით ნაბავდა თვალს. როგორც კი ძაღლი გავიდოდა, კატა ისკუპებდა რაფიდან და მოხუცი ჰალბერას ლოგინზე გადახტებოდა, საგულდაგულოდ გაილოკავდა ტანს, მერე გორგალივით დაეხვეოდა და ტკბილად იძინებდა. მოხუცი ავაზაკსა და გაიძვერას უძახდა კატას და მაინც კატა სულ მას ეტმასნებოდა. რადგან იგი იმდენად სიტყვებს კი არ აფასებდა, რამდენადაც მოპყრობას, მოხუცი კი ისეთი გულმოწყალე იყო, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა. საოცარია, როგორ ეტმასნებიან კატები მოხუცებს. იქნებ ამის მიზეზი ის არის, რომ მოხუცებს არ ახასიათებთ ჭირვეულობა, არც მოულოდნელი სიფიცხე და აფეთქება, მათთან გულმშვიდად გრძნობენ თავს — ეს გახლავთ სიბერის მთავარი ღირსება. თუმც, ვინ იცის, იქნებ ერთმანეთისკენ ის უფერული, უღიმღამო რაღაც იზიდავთ, რაც ქრისტიანობის, სულზე წარმოდგენის მიღმა იმალება?

თავი ოცდაოთხი

მარცხენა ღაწვი

რა ქნა „ავაზაკმა“ კატამ, მოუღო თუ არა ბოლო შორეულ ხეობაში მდგარ ხუტორში ვაი-ვაგლახსა და ხათაბალას? მოახერხა რამე?

ყოველ საღამოს ბიარტური იღლიაში ამოიჩრიდა კატას და ფარეხში მიჰყავდა. რა თქმა უნდა, დიდ იმედებს არ ამყარებდა კატაზე, ფხიზლობდა, გვიანობამდე არ წვებოდა. მოხუცი ჰალბერა და ბავშვები რომ დაიძინებდნენ, ის კიდევ დიდხანს ტრიალებდა ფეხზე. აუსტა სოულილია ყველაზე გვიან წვებოდა, ფუსფუსებდა, რეცხავდა, აკერებდა, მერე იბანდა, თავი წესრიგში მოჰყავდა. აუსტამ უკვე მიაღწია იმ ასაკს, როცა გოგონები კოპწიაობას იწყებენ. თავს უვლიან, საგულდაგულოდ იბანენ. აუსტაც ღამე გააცხელებდა წყალს და იბანდა წვივებს მუხლამდე, ყელს, გულ-მკერდსა და მხრებს. „დეე, — ფიქრობდა ბიარტური,—ყოველ ქალიშვილს უყვარს სისუფთავე, ჭუჭმპალაობა, კოხტაობა. ეს რამდენიმე წელიწადს გასტანს. ახალგაზრდობა ხომ გაფურჩქვნის ხანაა. განა ბალახი არ ისრუტავს ცვარს ზრდის დროს? შვილები რომ გაუჩნდებათ, ქა-

ლებს თავის მოსავლელად აღარ სცალიათ“. ბიარტურმა ლამპა ჩააქრო, დაწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო, მაგრამ ჯერ დაძინებას არ აპირებდა. აუსტა სანთლის შუქზე თმას ივარცხნიდა, სარკის ნატეხში იყურებოდა, ქვედატანის ამარა იდგა. მერე სამხრეები ჩამოიწია და იღლიები დაიბანა. „საყვარელი ბავშვი, დაქალიშვილდა უკვე. ასეა, აბა აქ რას გააწყობ“. მაგრამ აუსტამ კარგად იცოდა, რომ მამა უყურებდა, ამიტომ შებოჭილი იყო, საგულდაგულოდ არ შეეძლო დაბანა, ეს ხომ ურცხვობა იქნებოდა. უცნაურია, მაგრამ აუსტა თითქოს სულ იმის ცდაში იყო, რომ მამა დაერწმუნებინა, ცუდს არასოდეს მოვიმოქმედებ, გულშიაც არ გავივლებო. რა იყო ამის მიზეზი, რად ცდილობდა ამას? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ბავშვობისას, უცხო ქალაქში, ერთხელ ის მამას მიეკრა და მას შემდეგ ვერა და ვეღარ დაივიწყა ეს. როცა კი გაახსენდებოდა ის წუთი, ალმური გადაუვლიდა სახეზე, განსაკუთრებით უწინ, ვიდრე მისი დედინაცვალი ცოცხალი იყო. ამოუტივტივდებოდა თუ არა მეხსიერებაში ეს სურათი, თავზარდაცემული თრთოდა. საოცარია უზაკველი ბავშვობის ცთომილება, რაოდენ სიცოცხლისუნარიანია და დიდხანს სტანჯავს, გულს უღრღნის ადამიანს. სინამდვილეში ხომ საიმისო არაფერი მომხდარა! გოგონა დააფრთხო დიდმა სამყარომ, მაშინ პატარა ბავშვი იყო, მან კი ხელი ჰკრა და წავიდა. აუსტა ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, ამ ამოუხსნელი, ბუნდოვანი შემთხვევის გახსენებაზე გული შიშით ეკუმშებოდა და ეს შიში მუდამ თან სდევდა. როგორც კი ამაზე დაფიქრდებოდა, უფრო უცხოველდებოდა შიში, როცა მტკიცედ გადაწყვეტდა, აღარ ვიფიქრებ ამაზეო, უფრო მწვავედ სტანჯავდა მოგონება, ძილშიც კი არ ასვენებდა, ელანდებოდა უცნაური მხეცები, აჩრდილები, ბოროტი ხალხი, ხან ხეობაში დაეხეტებოდა გზააბნეული, გამოსავალს ვერ პოულობდა. უფრო ხშირად კი სიბინძურე, ნაგვის გროვა ეზმანებოდა, ყრიდა იმ ნაგავს, ასუფთავებდა იქაურობას, მაგრამ ნაგავი ისევ და ისევ გროვდებოდა. რა იყო, ისეთი რა ჩაიდინა? ურიგო რამ ხომ გულშიაც არ გაუვლია. ის უმწეო, უბედური იყო— და მეტი არაფერი. ამგვარი ფიქრები დიდხანს, დიდხანს სდევდა და აწამებდა ბავშვს. ოო, არა, არასოდეს მამაკაცის წინ არ გაიხდის პერანგს, მით უფრო მამის წინ.

ბიარტური ხედავდა მხოლოდ მის ღაწვს, რომელზეც სანთლის შუქი სცემდა; რა თქმა უნდა, წარმოდგენაც არ შეეძლო, თუ რანაირი ფიქრები სტანჯავდა აუსტას. ეს იყო აუსტას მარცხენა ღაწვი და ეჩვენებოდა, თითქოს მის სულსაც მარცხენა მხრიდან ხედავდა, ხედავდა უკუღმა პირით გადმობრუნებულ სულს, უბედურებითა და სევდით აღსავსეს. იგი ათასი წლით იყო უფროსი ყმაწვილქალზე, ეს სხვა საუკუნის სული იყო—უნდო, მერყეევი სურვილებით, ვნებიანი აღქმით, სევდითა და საშინელი სიძულვილით აღსავსე. როცა

მარჯვენა მხრიდან შეხედავდა გოგონას, მისი ქვედა ტუჩი ლამაზად მოხაზული და სავსე ჩანდა, მარცხენა მხრიდან კი მოღრეცილი, არც კი გჯეროდათ, რომ თხუთმეტი წლის გოგონაა. თითქოს აუსტას სახე რაღაც დიდ დანაკარგზე, თითქმის სიბრმავეზე მეტყველებდა,—ეს სიბრმავე კი საოცრად შეესატყვისებოდა მის შინაგან სამყაროს, რომლისთვისაც უცხოა ლტოლვა უკეთესისკენ, თითქოს იგი გამსჭვალული იყო სიკვდილისადმი ისეთი ზიზღით, რაც აიოლებს ყოველგვარი მარცხის გადატანას, რაგინდ გულისმომწყველელიც უნდა იყოს ეს მარცხი.

— ყური მიგდე, გოგონი, — თქვა ბიარტურმა და გაიფიქრა: „ეს რა მემართება. გამოვყეყეჩდი, ჭკუაზე შევიშალე?“

აუსტამ სწრაფად აიწია სამხრეები და შიშით მიაჩერდა, თითქოს სუნთქვაც კი შეეკრა, თვალებში რაღაც უთრთოდა. რა დააშავა?

არაფერი, მას მხოლოდ უნდოდა ეთხოვა, რომ გოგონა მისკენ მარჯვენა მხრით შებრუნებულიყო, მარჯვენა მხრიდან უყვარს ადამიანის ყურება, დედამისსაც ასე ეუბნებოდა, როცა ეარშიყებოდა, დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ.

— მარცხენა მხრიდან სულ სხვანაირი ხარ, თითქოს ბოროტმა ფერიამ შენს ადგილზე სხვა დააყენაო, ვიღაც მახინჯი. აი ასე, ასე კარგია. არ გაცივდე, ხშირად ბანაობ, დიდხანს გიყვარს ჭყუმპალაობა, ეგ კი მავნებელია. როცა ძალიან საჭიროა, მაშინ დაიბანე მხოლოდ. აი, მე დიდხანს არ ვბანაობ ხოლმე. დილით ბებიას მოეხმარე, მოტყდა უკვე, დაძაბუნდა და ცეცხლის დანთება უჭირს.

ცოტა ხნის შემდეგ ბიარტური წამოდგა და ფარეხში წავიდა შესამოწმებლად, წესრიგზეა თუ არა ყველაფერიო.

ყველაფერი წესრიგზე იყო. კატის მწვანე თვალები ხან ფარეხის შორეულ კუთხეში გამოანათებდა, ხან ბაგასთან, ხან კიდევ კიბის საფეხურზე. კატას და ბიარტურს ერთმანეთი ეზიზღებოდათ. ბიარტურს ძაღლი უფრო უყვარდა. შინ რომ დაბრუნდა ბიარტური, აუსტა დაწოლილი დახვდა. „კარგად თუ დაიფარა საბანი საბრალო ბავშვმა?“ მიუხედავად იმისა, რომ კატა ფარეხში ჰყავდა, ბიარტურს გული მაინც არ ჰქონდა საგულეს, ღამე რამდენჯერმე დგებოდა და ფარეხში მიდიოდა, დაათვალიერებდა, ოთხივე მხარეს გადააფურთხებდა და გამობრუნდებოდა.

ცა ვარსკვლავებით მოჭედილა. ძაღლი ჰაერს უყეფს. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივადაა. — ხალხს მშვიდად სძინავს, ხედავენ სიზმრებს, ეზმანებათ ვერცხლის მონეტები — ორი კრონი, ხან ოცდახუთი ერე, ხან თვალუწვდენელი ზღვა და ხან პატარა ტბა.

თავი ოთხმოცდამესამე

საუბარი ზეგუნებრივ ძალებთან

საშობაო მარხვის მეორე ნახევარში ამინდი შეიცვალა. თოვა დაიწყო. თოვდა და თოვდა განუწყვეტლად, ბარდნიდა მშვიდად, წყნარად, დაჟინებით. შესცქერი ამ ფანტელებს, ნელა რომ ეშვება დაბლა და გეჩვენება, თითქოს მთელ სამყაროს მოსწყდი, თითქოს არც კი არსებობ.

— რა კარგია, როცა არაფერი არ ხდება, — თქვა ბიარტურმა. — ზოგი ვერ იტანს ერთფეროვნებას, არა, კეთილ ინებე და, როგორც პატარა ბალღებს, მიართვით ცვალებადობა. გონიერ ადამიანს ცვალებადობა არ უყვარს.

მაგრამ ქვეყნად არავინ ისე იოლად არ იტანს ერთფეროვნებას, როგორც კატა. აი, სარკმელთან მონამქერებული თოვლის ბორცვები ამოიმართა, თითქოს რუხ-მოცისფრო შალის საბნებში გახვეულანო, კატა კი ზის და ზის, თვალებს წკურავს, სასაცილო გამომეტყველება აქვს—მედიდური და ცბიერი. აი, შეწყდა თოვა, ცა მოიწმინდა, ყინვამ იმძლავრა, სუსხიანმა ქარმა თოვლი მობუქა. იქ ზამთარს თ�ა საკმაო ჰქონდათ, სტიქიური უბედურება აღარ აშინებდათ ხუტორელებს. ბობოქრობს თუ არა ავი სული ძველებურად? არა, თითქოს დაშოშმინდა. შიში, რამაც ბიარტური დაბაში კატის საძებრად ჩაიყვანა, თითქმის მთლად მიუნელდა. ბიარტურმა კატას ზურგზე ხელი გადაუსვა და თქვა: „ემანდ ძაღლს არ შეებას“. ბოლო ხანებში მომბდარ უცნაურ ამბებზე რომ ფიქრობდა ბიარტური, თვითონვე უკვირდა, ვერ გაეგო, როგორ მოხდა, რომ დაიჯერა, თითქოს კატა მოერეოდა ავ სულს. მიუხედავად ამისა, მაინც გული დაიარხეინა. ღამღამობით აღარ მიდიოდა ფარეხში ცხვრების დასახედად.

მართალია, ბიარტურმა კატა გაიჩინა, მაგრამ ავმა სულმა როდი დაყარა ფარ-ხმალი. არა, ის ყინვას ელოდა, რომ თოვლზე ნაკვალევი არ დაეტოვებინა. ერთ დილას ბიარტური, ჩვეულებისამებრ, წავიდა ცხვრების მისახედად. ფარეხში რომ შევიდა, ფარანი აანთო, მიმოიხედა და საზარელი სურათი გადაეშალა თვალწინ: ათი ცხვარი ეგდო ძირს, ზოგი მკვდარი, ზოგიც სულთმობრძავი; ზოგისთვის ყელი გამოეღადრათ, ზოგისთვის თავის ქალაში ჟანგიანი ლურსმანი ჩაერჭოთ, ზოგისთვის კი კომბლით გაეხეთქათ თავი. ძნელია ასეთ საზარელ, შემაძრწუნებელ ამბავზე ლაპარაკი და უთუოდ ამიტომ იყო, რომ გუდბიარტურ იოუნსონი არც მაშინ და არც შემდეგ არავის ელაპარაკებოდა ამაზე, თავგზადაკარგულმა, სიმწრით გადარეულმა ბიარტურმა ქუდი მოიშვლიპა, ხელები თავზე შემოიჭირა და ასე იდგა ერთ ხანს. მერე სათითაოდ გასინჯა ცხვარი, ზოგი კიდევ სუნთქავდა, ისინი დაკლა და გულზე მოწოლილ ბოღმას გასაქანი მისცა.

შებრუნდა. ხელები დამუშტა, წყევლა-კრულვას უთვლიდა კოლუმკილის, მის კახპას—გუნვერს, იფურთხებოდა, ორთაბრძოლაში იწვევდა მათ, გადმოანთხია ბიბლიური თუ წარმართული წყევლა-კრულვა, გამოდით, ღია ადგილზე, ამ ფარეხის წინ შემებითო, მიმართავდა ის ავ სულებს, სხვა, აბა, რა შეეძლო, რაღა დარჩენოდა? ორთაბრძოლაში იწვევდა ყველა ავ სულს ერთად: გამოიჩინეთ ვაჟკაცობა ორთაბრძოლაში, თუ ღირსების რამ ნატამალი გაგაჩნიათ, გამოდით, ნუ იმალებითო. ვითომ რა დიდი ეშმაკობაა, ქურდულად შემოპარვა და პირუტყვის ხოცვა, როცა ყველას სძინავს? — ყვიროდა ბიარტური, თან მუშტს ულერებდა გახევებულ ცასა და მიდამოს. მერე ხმა ჩაუწყდა, ენა დაება და აყმუვლდა. აყმუვლდა ძაღლიც. ეს მკრეხელობაა, ნამდვილი მკრეხელობა. მორჩა, დაღუპულია. აღმოსავლეთით სუსტი ნათელი ჩავარდა ცაში.

ბიარტურს თავში გაუელვა, წყევლა-კრულვით ავ სულს როგორ მოვიშორებო. გაახსენდა ერთი ძველი თქმულება ეშმაზე, რომელსაც ხალხის წყევლა ძალას ჰმატებდა. რა გზას დადგომოდა, რა უნდა ეღონა? იქნებ მოხუცი ჰალბერა როგორმე ფარეხში მოჩანჩალდეს და თავისი ფსალმუნი იგალობოს? ან იქნებ პასტორი ამოიყვანოს? ეგებ ძველებრაულ ენაზე ახსენონ იესო ქრისტე? ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა ღვთისმეტყველება ირწმუნა. არა, ის თავისუფალი კაცია, რელიგია არ სჭირდება. განა მოჩვენებებთან პირისპირ შებმისა ეშინია? არა, არასოდეს არ შეშინებია სიბნელის, საერთოდ არაფრის.

ძველი თქმულება ამბობს, რომ მოჩვენებების დათრგუნვა შეიძლება, თუ რომელიმე უძველეს ენაზე წარმოთქვამენ ქრისტეს სახელს, ამ ძალას მორჩილებსო ავი სული. თუმცა, რა იმედი უნდა ჰქონდეს იმისა, რომ ახალგაზრდა, ქაჩალი პასტორი თევდორე თავისი განსწავლულობით სძლევს და ალაგმავს ავ სულს, როცა სხვა პასტორებმა, შელოცვის ოსტატებმა ვერა გააწყეს რა? ერთადერთი კაცი მათ კუთხეში, ვისაც ძალუძდა ავ სულთა დათრგუნვა, დიდი ხანია მიიცვალა.

ბავშვები თოვლში იდგნენ და თვალს ადევნებდნენ მამის ყოველ მოძრაობას. კედლის შვერილზე ბიარტური ერთიმეორეზე ალაგებდა მკვდარი ცხვრების თავებს. ბოლოს პატარა ნონიმ დუმილი დაარღვია:

— მამი, — თქვა მან. — ჩვენი ჰელგი ხშირად ხედავს რაღაც უცნაურს ხუტორის მახლობლად.

ბიარტური წელში გასწორდა, ხელში სისხლიანი დანა ეჭირა.

— მაინც რას? — იკითხა მან.

— არაფერს, ტყუის, — თქვა ჰელგიმ.

— ეტყუი? ნუთუ დაგავიწყდა, შარშან გაზაფხულზე რას მეუბნებოდი, როცა მამა ქალაქს იყო წასული. ჩვენ კი სახლის წინ ვისხედით ქვაზე და ჩანჩქერზე ვლაპარაკობდით?

ბიარტური მივიდა თავის უფროს ვაჟთან და მტკიცე ხმით უთხრა, მიამბე. რა ნახეო. ბიჭი უარზე დადგა, არაფერიც არ მინახავსო. მაშინ ბიარტურმა შვილს მხარში ჩაავლო ხელი და დაემუქრა: თუ ახლავე არ გითქვამს ყველაფერი, იცოდე, ცუდი დღე დაგადგებაო. დამფრთხალმა ბიჭმა ენის ბორძიკით ჩაიდუდუნა, რომ რამდენჯერმე დაინახა ერთი ბიჭი, თუმცა ბიჭი კი არა, ვიღაც ჭაბუკი. მაგრამ დედაბერივით ჭაღარა, გრძელი ნაწნავები ჰქონდაო.

— სად ნახე?

რამდენჯერმე დავინახე, ფარეხიდან ჩვენი სახლისკენ რომ მოხტოდა. ბავეკიდე კიდეც.

— რათ დაძიმალე, აქამდე რატომ არ მითხარი ეგ ამბავი?

— ვიცოდი, არ დამიჯერებდით.

— მერე საით წავიდა?

— არ ვიცი, დახტოდა.

ამიწერე, როგორი იყოო, უბრძანა შვილს ბიარტურმა

ბიჭი უფრო დაიბნა, მოჰყვა უთავბოლო ლაპარაკს. ხან ეჩვენებოდა თურმე, რომ ჭაბუკს წვერი ჰქონდა, ხან — ნაწნავები, ბოლოს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ქალის კაბაში იყო გამოწყობილი.

— კაბაში? — გაიმეორა გაოცებულმა ბიარტურმა. — როგორი კაბა ეცვა?

— წითელი. კისერზე რაღაც ჰქონდა შემოხვეული.

— კისერზე? მაინც რა, როგორ გგონია?

— არ ვიცი, მგონი ბრიჯს ჰგავდა.

— ბრიჯს? ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი! — დაიქუხა ბიარტურმა და ისეთი სილა სტკიცა შვილს, რომ ბიჭი შეტორტმანდა. — ესეც შენ! ნუ როშავ სისულელეებს!

ზებუნებრივი მოვლენები იმით არის უსიამოვნო, რომ ადამიანის წარმოდგენაში ყოველგვარ მოვლენებს ერთმანეთში ურევს: ფეხქვეშ მიწა ირყევა თითქოს, გონება დაჰქრის მისთვის სრულიად უჩვეულო, უცხო სფეროში, ადამიანს ვერ გაუბედია სწორი დასკვნის გამოტანა, რაგინდ საღი გონებით იყოს ეს დასკვნა ნაკარნახევი—საზღვარი მოვლენათა შორის, ერთიმეორის საწინააღმდეგო მოვლენათა შორისაც იშლება, ქრება და სიკვდილი სიკვდილი აღარ არის, სიცოცხლე—სიცოცხლე, როგორც ამბობს უნდირხლიდელი ეინარი. ადამიანი თავს უყრის, აჯგუფებს მოვლენებს, თითოეულს ცალკე ჯგუფს მიაკუთვნებს. როგორც ბანქოს ალაგებენ ფერის მიხედვით. მაგრამ აი, იდუმალი ძა-

ლები იჭრებიან ცხოვრებაში, მძლავრობენ, არღვევენ, მიაქანებენ ყველაფერს, როგორც შემოდგომის დელგმას მიაქვს მოთიბული ბალახი. ზოგი ასე ხსნის ზებუნებრივ მოვლენებს: ღმერთს უნდა ხალხს დაანახოს, მე თქვენზე ბრძენი ვარო. ზაფხულის სავანელი ბიარტური რაღა აზრისაა, ნუთუ თავს გააბრიყვებინებს ამ იდუმალ ძალებს? ხალხს ხომ არ მიმართავს დახმარებისა და რჩევისათვის? თუ შელოცვას დაენდობა და ხელს არ გაანძრევს, ვიდრე ავი სული მთელ ფარას არ გაუჟლეტს და ხუტორს არ დაუნგრევს, როგორც ეს 1750 წელს მოხდა?

წყნარი საღამო იდგა, ბიარტური არ ჩქარობდა ცხვრის შერეკვას ფარეხში. ლაბორიალობდა საძოვარზე, თავის თავს ელაპარაკებოდა, უკურთხებდა ზებუნებრივ ძალებს, ვერც ამჩნევდა, საით მიდიოდა, და უცებ დაინახა, რომ მთის დასავლეთ კალთასთან მისულა. უნდირხლიდელ ეინართან ან სხვა რომელიმე ნაცნობთან შეხვედრა ხომ არ უნდოდა?

ცაზე ნამგალა მთვარე გამობრწყინდა. ბინდი გახშირდა. ბევრს მოსწონს საღამოს ბინდი, იტყვიან ხოლმე, ეს დღის ყველაზე ლამაზი დროაო. მთის მწვერვალზე ზამთრის მყუდრო ხედში მოჩანს ქვებით დახორგილი ყორღანი — აქ არის დამარხული ბოროტი სული კოლუმკილი. ყორღანი უფსკრულის პირასაა, მისი ერთი მხარე მთვარის შუქითაა განათებული, მეორე კი ჩრდილშია: ეს არც დღეა, არც ღამე. მთვარის ნაზი შუქი მიდამოს რაღაც უზაკველი მომხიბლაობის, თითქმის დიადი სიმშვიდის იერს აძლევდა, მაგრამ ბიარტური ვერ ამჩნევდა ამ სიმშვენიერეს, ისე მიჰქროდა ყორღანებისკენ, როგორც გაფთრებული მხეცი უბედური მსხვერპლისკენ, რომ მოსპოს იგი. მაგრამ უცებ როდი ეკვეთა მტერს. არა, ის დაიხარა, გაყინული მიწიდან პატარა ქვა აიღო და ზურგსუკან დამალა.

— აი სად განისვენებთ ორივე, — თქვა და განუზომელი ზიზღით დახედა საფლავებს.

შედგა ყორღანთან, მიწას ფეხი დაჰკრა, მაგრამ მ ა თ არაფერი უპასუხეს. ბიარტურმა კი განაგრძო მ ა თ თ ა ნ ლაპარაკი, უმტკიცებდა, გავიგე, მიგიხვდით, რაც გაქვთ გულშირ. გარკვევით უთხრა მ ა თ, რომ ბრალსა სდებს ორივე ცოლისა და შვილების სიკვდილში. ახლა კი, როგორც ჩანს, ჩემს ცხვარს დარიეთ ხელიო.

— რა გაეწყობა, განაგრძეთ, განაგრძეთ, თუკი გაბედავთ, მაგრამ ჩემს დამორჩილებას მაინც ვერ ეღირსებით. სასაცილოც კია ამაზე ფიქრი. გიდაც მთები გადმოამხოთ ჩემს ხუტორს, თუკი გაბედავთ, გააკეთეთ ეს. აი, მე აქა ვდგავარ და ვიდგები სულის ამოხდომამდე. სისულელეა იმის ფიქრი, რომ ოდესმე დამიმორჩილებთ.

პასუხი არავის გაუცია. მხოლოდ ნაზი ვარსკვლავები აციმციმებდნენ მშვენიერ თვალებს, დასცინოდნენ მიწიერ კაცსა და მის მტრებს.

მაშინ ბიარტურმა თქვა:

— ხელში ქვა მიჭირავს, — და გაიქნია ხელი, რომელშიც ქვა ეჭირა. — ბაგრამ ნურას უკაცრავად, თქვენს საფლავზე არ დავაგდებ ამ ქვას. თქვენ ამბობთ: „აჰა, შეშინებია ეაჟბატონს, რაკი ჩვენს საფლავზე იკადრა მოსვლა ქვით ხელშიო“. თქვენ ამბობთ: „როგორც იქნა, მოიტანა ქვა, უთუოდ იმის შიში უღრღნის გულს, რომ აუსტა სოულილიასაც ისე დაჰკარგავს, როგორც დაჰკარგა ორივე ცოლიო“. არა-მეთქი, გეუბნებით, მე ზაფხულის სავანელი ბიარტური ვარ, თავისუფალი კაცი, ყველაზე თავისუფალი ისლანდიელი პირველი ახალმოშენეებიდან დღემდე. გინდაც მთები გადმომამხოთ, ჩემგან ქვას მაინც ვერ ეღირსებით!

ავი სულებისადმი ზიზღის გამოსახატავად, ბიარტურმა ხელი მოიქნია და ქვა უფსკრულში გადაუძახა. ქვას ხათქახუთქი გაუდიოდა კლდეზე, ვიდრე უფსკრულის ფსკერზე არ დავარდა. ამ ხმას ექომ ყრუდ მისცა ბანი და თითქოს უფსკრულის ფსკერიდან ძველი წინაპრების ხმა გაისმა, თითქოს ტროლი და მისი ამალა გაოცდა, ეს ვინ გაგვიფრთხო მარადიული ძილი და სიმშვიდეო. ძაღლმა უფსკრულთან მიირბინა, ყეფა ასტეხა. და რაკი ბიარტურმა უკვე გაუსწორა ანგარიში შავბნელ ძალებს, აწი რაღად სთხოვდა ვისმეს დახმარებას. მტკიცედ გადაწყვიტა, მარტო, ხელდახელ შებმოდა ურჩხულებს სამკვდრო-სასიკოცხლო ბრძოლაში. ბიარტური შებრუნდა და ხეობისაკენ გაუყვა გზას.

თავი ოცდამეოთხე

პარაკლისი

დაბის მოსახლეები ქალაქიდან შინ რომ ბრუნდებოდნენ, გზად ზაფხულის სავანეში, ბიარტურთან შეივლიდნენ ხოლმე, ბავშვებს აალაპარაკებდნენ, გამოსტყუებდნენ, რა მოხდა, როდის, როგორ და ცხელ-ცხელი ამბები მიჰქონდათ დაბაში. შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა. ზაფხულის სავანეში მოჩვენებები დაძრწიანო, ყველას ეს ჰქონდა სალაპარაკოდ. ზამთარში, როცა გულისა და გონების შესაქცევარს მოკლებული არიან, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი ხარბად ებღაუჭება ყურმოკრულ ამბავს, იოლად სჯერა გაგონილის. ამიტომაც ირწმუნა ყველამ, ვირთაგვები არაფერ შუაშია, ბიარტურის ოჯახში მოჩვენებამ დაატ-

რიალა ცოდვა-ბრალიო. ჩვენ ხომ ასეთი მიდრეკილება გვაქვს—დაუჯერებელს ვირწმუნებთ, სარწმუნო კი გვეეჭვება.

ხალხმა დაბიდან ხეობაში სიარულს მოუხშირა. როცა მოჩვენების მზაკვრობაზე უნდათ გაიგონ რამე, არც ძალ-ღონეს იშურებენ, არც დროს, აიტაცებენ გაგონილს და გულის სიღრმეში ინახავენ. ბიარტური ცნობისმოყვარეებს ეუბნებოდა: ვინც ძალზე მოწადინებულია, ირბინოს დამთხვეულივით, ცვითოს ფეხსაცმლის ლანჩები. ეს მათი პირადი საქმეა, მე კი არაფრად მეჭაშნიკება ავსულებზე ლაქლაქი. ღამე კატამ დააფრთხო ცხვარი, მიაწყდნენ კედლებს, ბაგებს, ზოგმა თავი გაიხეთქა, ზოგს ჟანგიანი ლურსმანი შეერჭო თავში, ეგ იყო და ეგო.

ბავშვებს კი დიდ სიამოვნებას ანიჭებდა სტუმრების შექცევა. იდგნენ სახლთან, კედლის ძირას და ცნობისმოყვარეებს უყვებოდნენ, რა მოიმოქმედა, რა ქნა ავმა სულმა. მათ ხომ პირველად ეღირსათ ესოდენ დიდი პატივი—ხალხი უსმენდა. რედსმირის მეპატრონე ქალმა ბიარტურის მალულად აუსტა სოულილიას გამოუგზავნა ყავა, შაქარი და ერთი ნიჭიერი უცხოელი მწერლის წიგნი—„უბრალო ცხოვრება“. თურმე ნუ იტყვით, ბიჭებს თავისი თვალით უნახავთ მოჩვენება. გამოლაპარაკებიან კიდეც. უფრო ხშირად უფროსი და უმცროსი ძმა ხედავდა მოჩვენებას. როგორც კი შევიდოდნენ ფარეხში, იმწუთს გამოეცხადებოდათ. ბიჭები სიბნელეში ხედავდნენ მის მოელვარე თვალებს, მართალია, კარგად არ ესმოდათ, რას ეუბნებოდა მოჩვენება, რადგან დუდღუნით. გაურკვევლად ლაპარაკობდა, მაგრამ ის მაინც გაარჩიეს, რომ მოჩვენებას მობეზრდა ასეთი ცხოვრება, ყველასგან მივიწყებული და მიტოვებულია, ჰოდა. გამოეცხადა ხუტორელებს, შეატყობინა, რომ მანამ არ მოისვენებს, ვიდრე ჯეროვან პატივს არა სცემენ, — ქადაგება, ფსალმუნები, ლოცვანი — უმჯობესია სულის მოსახსენიებელი. ზოგიერთი სტუმარი მივიდოდა ფარეხთან, ხმადაბლა იგალობებდა რომელიმე ფსალმუნს, ან „მამაო ჩვენოს“ წაიკითხავდა. აუსტა სოულილია ძლივს ასწრებდა ყავის ადუღებას. „დიახ, — თქვა მოჩვენებამ, — მე მინდა, რომ ხვალ უფრო მეტი სტუმარი მოვიდეს აქ“. იგი რომელიმე წარმართული კერპი კი არ იყო, ნამდვილი ღმერთი გახლდათ და ხალხისგან მოითხოვდა ლოცვას „მომეც ჩუენ დღეს...“

როგორც ჩანს, მისთვის სარგებლობა მოჰქონდა ლოცვას.

რას არ ჰყვებოდნენ მრევლში ამ მოჩვენებაზე: ხეობაში სახლებს ანგრევს, დღისით-მზისით, ქვეყნის დასანახად დახტის სახლების სახურავებზე და იქადნებაო: ვაი იმას, ვისაც ჩემი არა სწამს და ჩემთვის არ ლოცულობსო. და აი, ამ პატარა ხუტორმა, რომლის არსებობაც უწინ არავის ახსოვდა, მთელი ოლქის, თითქმის მთელი იმ მხარის ყურადღება მიიპყრო, სრულიად უცხო ხალხი, ისე-

ოები, ვინც არასოდეს არავის უნახავს, ძაღლებიანად ამოდიოდნენ ხეობაში, ზოგჯერ სახლშიც შეეჭრებოდნენ ბიარტურს. ამ ახლად გამოჩენილ მოჩვენებაზე შეთხზული ლეგენდები, კამათი და მსჯელობა, ხალხის აზრი, ფილოსოფიურ-რელიგიური განმარტებები რომ შეგვეკრიბა და ჩაგვეწერა, ბიბლიოთეკა წიგნი გამოვიდოდა. დაბაში ხალხი პარტიებად დაიყო, გაჩნდა რაღაც, თითქმის სექტისმაგვარი, ჯგუფები. რაც ხუტორში მოხდა, ზოგიერთი ამაში გამოცხადებას ხედავდა. ზოგი კითხულობდა, მაინც რაში გამოიხატა ეს გამოცხადებაო. ზოგი კი სულ საწინააღმდეგოს ამტკიცებდა: არაფერი ზებუნებრივი არ მომხდარა, ცხვრებმა ერთმანეთი ღახოცესო. ერთი აშბობდა, მოჩვენება უზარმაზარიაო, მეორე გაიძახოდა, საშუალო ტანისაა, მესამე კი სწამდა, რომ მოჩვენება სულ პატარაა, დაღმეჭილი. ზოგიერთი ისტორიულ მონაცემებს ეყრდნობოდა და ამტკიცებდა, მოჩვენება მამაკაციაო, ზოგი ამბობდა, მდედრობითი სქესისა გახლავთო, ზოგიერთის აზრით კი მოჩვენება უსქესო იყო და ამ საკითხზე ფრიად ღირსშესანიშნავი თეორიაც განავითარეს.

ხმა გავრცელდა, შობას მოჩვენება ზაფხულის სავანის დანგრევას აპირებსო. ასეთი ხმა ბიჭებმა დაჰყარეს, ბიარტურის შვილებმა, მოჩვენებასთან მეგობრულ ურთიერთობაში რომ იყვნენ. ვისაც ზაფხულის სავანელებზე გული შესტკიოდა. პასტორს სთხოვეს, ხეობაში ადით და ილოცეთ, რაკი მოჩვენებას ღვთის სახელით მიმართავთ, ეგებ გული მოულბეს და შეიწყნაროს ის ხალხიო. პასტორს გაუხარდა. მისი სამწყსო ღვთისმოსაობით არ გამოირჩეოდა და ეამა, რომ გარემოების ზეგავლენით მაინც გაიხსენეს ღმერთი. მას შემდეგ, რაც ეს სამრევლო ჩაიბარა, ხალხს მხოლოდ საყდრის კათედრიდან ახსენებდა შემოქმედს, რადგან ხედავდა, რომ ყოველივე სასულიერო თუ საეკლესიო გულს არ ხვდებოდა და ზოგჯერ სიცილის გუნებაზე აყენებდა მათ.

ერთ საღამოს ხუტორში იმდენი ხალხი შეიყარა, გეგონებათ, რაღაც დიდი ღღესასწაული გაუმართავთო. კარგი ამინდი იდგა, ცა ვარსკვლავებით იყო მოფენილი, ბადრი მთვარე დაჰნათოდა მიდამოს. ყინავდა. ახალგაზრდების ჯგუფიც ამოვიდა, ჩადგნენ მონამქერებული თოვლის ბორცვებშუა სულელური სახით და გულისფანცქალით ელოდნენ, რომ საცაა გამოჩნდებოდა ის იდუმალი და საშინელი რაღაც, რაც მიმალული იყო ამ ცივ, ლურჯ ბინდბუნდში. ფიორდელი ჭაბუკი, ზამთარში ერთ-ერთ ხუტორში რომ მუშაობდა, ახალმოდური საცეკვაო სიმღერით ართობდა ხალხს. სხვებიც აჰყვნენ, ამით ცდილობდნენ შიშის დათრგუნვას. სტუმრებში არა მარტო თავგადასავლების მოყვარულები იყვნენ, ხანშიშესულებიც ერიენენ, მასპინძლის ძველი, ერთგული მეგობრები, მათ შორის მთების მეფეც, ამ ორი წლის წინათ რომ სამრევლო საბჭოში მოახერხა გაძვრომა და ახლა რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა დააწვა, ისიც ასეთ მძიმე

დროს. ახალგაზრდა, თავმელოტი პასტორიც დაიყოლიეს და ამოიყვანეს. პასტორმა ცხვრებზე გაუბა მასლაათი გლეხებს, დროა ცხვრის გამოფენაზე ვიზრუნოთ, როგორმე უნდა მოვახერხოთ და სამხრეთიდან ცხვრების სპეციალისტი ჩამოვიყვანოთო. პასტორი ეყრდნობოდა „სასოფლო-სამეურნეო მოამბეში“ გამოქვეყნებულ სტატიებს—მეცნიერების ამ უკანასკნელ სიტყვას. ზოგიერთებმა ბავშვები განზე გაიყვანეს, გამოკითხეს, როდის ნახეთ მოჩვენება, როგორია და რას ამბობდაო. გულდამძიმებული, მოქურუხებული ბიარტური კუშტად შეხედა სტუმრებს, ცივად პასუხობდა სალამზე, იდგა თავისთვის განზე და რომელიღაც ლექსის ნაწყვეტებს დუდუნებდა.

ხალხი გაუბედავად ტკეპნიდა ერთ ადგილს თოვლში, ზოგი სახლშიც შევიდა. ბევრი გრძნობდა. რომ მისი სტუმრობა არაფრად ეპიტნავებოდათ. ბოლოს ხმა ამოიღო კედლელმა ჰროდლოგურმა, საქმიანმა, პირდაპირმა მოხუცმა, უმოქმედობას რომ ვერ იტანდა.

— აბა, ჩემო კეთილებო, დროა უკვე, დავიწყოთ, რაღას ვუცდით?

ჰროდლოგურს მხედველობაში ჰქონდა ლოცვით ფარეხის გარშემოვლა, რაც ბოლო ხანებში წეს-ჩვეულებად იქცა და გამოთქმამ — „გარშემოვლა“ თავისი ადგილი დაიმკვიდრა ენაში.

სხვებმაც მხარი აუბეს:

— დროა, დავიწყოთ!

ვიღაც გაგზავნეს ბიჭების მოსაყვანად, უხმეს ახალგაზრდებსაც, ფერდობზე რომ გაიფანტნენ, რადგან ღამე თავისი მქრქალი, ლურჯი ჩრდილით მაცოუნებელი საფარია არა მარტო მოჩვენებებისთვის, არამედ სიყვარულისთვისაც.

მოირბინეს თვალებგაფართოებულმა ბიჭებმა. პასტორი „სასოფლო-სამეურნეო მოამბიდან“ ამოკრეფილ ახალ თეორიებზე გაცხოველებული ბაასი ცდილობდა დაევიწყებინა იდუმალი ძალები, მაგრამ რაკი ჰროდლოგურმა ხალხს მოუწოდა დავიწყოთო, პასტორმა ამოიხვნეშა და უპასუხა:

— კარგი, დავიწყოთ, სახელითა უფლისათა!

ბოთების მეფე, ეინარი და ოულაფური დაწალიკებით მიდიოდნენ, უცნაური რამ გამომეტყველება ჰქონდათ, ხელები ზურგს უკან შემოეწყოთ, წვერში თივის ბრელო მოსდებოდათ. ზოგი ძაღლი წინ მოექცა მლოცველთა ჯგუფს, ზოგი უკან და ისეთი მედიდური იერით მიაბიჯებდნენ, თითქოს ესმით ამ წუთების სიდიადეო. ჭაბუკებმა ქალიშვილებს ხელკავი გაუკეთეს, ქალიშვილები კრთოდნენ. წითლდებოდნენ მოჩვენების მოლოდინში, ბიარტური კი ფიქრობდა, გოგო-ბიჭებმა აქ სულ სხვა რამისთვის მოიყარესო თავი.

— ბიჭებო, აბა შედით ფარეხში და ჰკითხეთ, რომელ მხარეს წავიდეთ,— უთხრა ჰროდლოგურმა ბავშვებს, — სჯობია წინასწარ გავიგოთ, რა ნებავს, თო-

რემ მოჩვენებებს ხან ის უნდათ, რომ მზის მიმართულებით ვიაროთ, ხან საწინააღმდეგო მხარეს ირჩევენ.

ჰელგიმ ნონის ხელი ჩაჰკიდა და ფეხაკრეფით მიიპარნენ ფარეხთან — მათ მეტს არავის, არავის არ შეეძლო მოჩვენებასთან ლაპარაკი. ბიჭებმა ურდული გამოაძრეს, კარი გააღეს და ფრთხილად შეიჭვრიტეს ფარეხში.

— ჩუ! — დაისისინა ჰელგიმ და ხელით ანიშნა ხალხს, უკან დაიხიეთო. — ახლოს ნურავინ მოხვალთ.

რაღაც არაბუნებრივი შიშით დაზაფრული ცხვარი ადგილს მოწყდა, ფარეხის შორეულ კუთხე-კუნჭულებში მიიყუჟნენ. ბიჭები ფარეხში შევიდნენ და კარი შიგნიდან ჩარაზეს. დაბიდან ამოსულმა ხანშიშესულმა ქალმა გალობა წამოიწყო: „ვადიდოთ უფალი“. ზოგი აჰყვა, მხოლოდ ჰროდლოგურმა თქვა, ახლა არა ღირს გალობაო. მისი აზრით, როგორც ყველა სხვა საქმე, ესეც დადგენილი წესის მიხედვით უნდა გაეკეთებინათ. უცებ ხალხი შეჩოჩქოლდა, გაიღო ფარეხის კარი და ბიჭები ზურგშექცევით, ისე გამოცვივდნენ იქიდან, თითქოს ვიღაცამ გამოსტყორცნაო გარეთ. გამოხტნენ. ძირს დაეცნენ და თოვლში კოტრიალს მოჰყვნენ. თურმე მოჩვენებამ უბრძანა, ცხრაჯერ შემოუარეთ ფარეხს და ცხრა სტროფი იგალობეთო.

— ცხრა პწკარი ხომ არ თქვა? — დიდი ამბით იკითხა ეინარმა.

ასე იყო თუ ისე, პარაკლისი დაიწყო. მოხუცები, ვისაც როგორ შეეძლო, ისე გალობდნენ ფსალმუნს, ძაღლები ყეფდნენ. ახალგაზრდებმა არ იცოდნენ ფსალმუნი. სხვაგან ჰქროდა მათი გონება. ყველა შიშით კრთოდა და თოვლზე დაფენილი ლურჯი ჩრდილები ერთმანეთს ჩაეხლართა.

ბიარტური განზე იდგა, ტიტლას უხმო, რომ სტუმრების ძაღლებს არ შებმოდა.

მალე ცხადი გახდა ყველასათვის, რომ ახალგაზრდობას არაფრად ეპიტნავებოდა გალობით ფარეხის გარშემოვლა. ერთი ჯგუფი უკვე გამოეყო ხალხს და ფერდობს დაუყვა, ის ახალი სიმღერები უნდოდათ მოესმინათ, რომლის ჰანგზეც ფიორდში ცეკვავდნენ.

ორი გულადი კაცი თვითნებურად შეიჭრა ფარეხში, ძალიან უნდოდათ მოჩვენების ხილვა, მაგრამ დიდხანს არ დარჩენილან იქ. ზღურბლზე გადაბიჯება ვერც მოასწრეს, რომ სათივის შორეული კუთხიდან ვიღაცამ წყვილი, მოელვარე თვალი შემოანათაო. შემზარავი მწვანე თვალები არაფრით ჩამოუვარდებოდა იმ კუდიანის თვალებს, გრეტირზე დაწერილ საგაში რომ არის აღწერილი. დიდი, დიდი ხნის შემდეგ, როცა ეს ორი გულადი ვაჟკაცი მოხუცდება, უთუოდ თავის შვილიშვილებს უამბობენ, საკუთარი თვალით როგორ იხილეს ისლანდიის საგებში აღწერილი კუდიანი. მაგრამ საქმე მარტო თვალების დანახ-

ვით როდი ამოიწურა, მათ შეესმათ საზარელი ხმა, ასეთ ხმას ისლანდიის ვერც ერთი პირუტყვი ვერ გამოსცემდა. არა, ეს სულდგმულის ხმა როდი იყო, დაჟანგებული ანჯამების ყურთასმენის წამღებ ღრიჭინს უფრო ჰგავდა, პასტორმაც წამით შეჰყო თავი ფარეხში და თქვა, ისეთი არსების ხმა იყო, რომელსაც საუკუნო წამება აქვს მისჯილი, ცათა სასუფევლის წინ დგას, კარი კი დახშული აქვსო. ამ მოყვითალო-მწვანე თვალებს ციური შუქი არასოდეს უხილავს, ვერც ვერასოდეს იხილავენო. პასტორმა შემთხვევით ისარგებლა, დაიწყო ლოცვა, შეჰღაღადა უფალს, განუხვენ ტანჯულს კარნი ცათა სასუფევლისანიო. სწორედ ამ დროს, გულმოსული მთვარე მრომე ღრუბელს ამოეფარა, თოვლიდან ანარეკლი მკრთალი შუქი წყვდიადმა შთანთქა, ლანდშაფტის მოხაზულობა გაქრა და ღამის ამ უგუნურ სადარაჯოზე მდგარ ხალხს წყვდიადში ერთიმეორე არარეალური ეჩვენებოდა, უნებლიეთ ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს იმის შიშით, რომ უცებ მარტოდმარტო აღმოჩნდებოდნენ ფარეხის წინ. რის გაკეთება შეეძლოთ კიდევ? იდგნენ ხელიხელჩაკიდებულები და კანკალებდნენ. წყვდიადი თანდათან უფრო ჩამუქდა და ჩაშავდა, ციოდა კიდეც. რა კარგი იქნებოდა ახლა ცხელი ყავა.

თავი ორმოცდამეხუთე

სულის შესახებ

ვიღაცამ შესთავაზა ყავა. ყველა ხალისით დაეთანხმა და რელიგიური ცერემონია დამთავრდა. სტუმრები მასპინძლის მიწვევას არ დაელოდნენ, დაუპატიჟებლად აიკრიბნენ საცხოვრებელ ოთახში, თითქმის მთელმა ოლქმა მოიყარა იქ თავი და ბიარტურის პატარა ოთახში იატაკი ისე აჭრიალდა, გეგონებათ, საცაა ჩაინგრევაო. ახალგაზრდებს სთხოვეს, ქვევით ჩაბრძანდითო. აქ რა უნდათ, დალახვროს ეშმაკმა? განა ქალიშვილების წიკვინისა და მუსიკალური ვარჯიშის დრო და ადგილია აქ? ვისაც ყავის დალევა უნდა, ქვევით დაიცადოს. უფროსები კი ოთახში დარჩნენ, გაჭირვებით მოთავსდნენ საწოლებზე. ქალებმა ცეცხლის გაჩაღება დაიწყეს.

— მაშ, ასე? — თქვა ერთმა.

— ხათაბალაა! — ბანი მისცა მეორემ.

— ასეა და... — დასძინა მესამემ.

კელდელი ჰროდლოგურის გარდა, ყველა ჯერ კიდევ იდუმალებით მოცე-

ლი ამბის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, უჭირდათ სანიადაგდღეო საკითხებზე გულისყურის გადატანა.

ჰროდლოგური თავს როდი იმტვრევდა იმაზე ფიქრით, თუ რა მოხდა, როგორ და რა მიზეზით. იგი გულმშვიდად ხვდებოდა ყოველგვარ განსაცდელს, არაფრის შიში არა ჰქონდა, არც ზებუნებრივის, არც ბუნებრივის, ფიქრობდა მხოლოდ იმაზე, თუ რა უნდა ექნა ამა თუ იმ შემთხვევაში.

—ძვირფასო პასტორო, — მიმართა ჰროდლოგურმა სულიერ მამას,—მოგეხსენებათ, რომ ორი საუცხოო ბატკანი მყავს. ვერ შეველიე, დასაკლავად ვერ გავიმეტე შემოდგომაზე. მაგრამ მგონი ჭკუა წავაგე, ვერა ვკვებავ, როგორც საჭიროა. ისე კი ვიცი, თუ გავყიდი, ურიგო ფასს როდი ავიღებ, ჰოდა, როგორმე რომ მოვახერხოთ, „სასოფლო-სამეურნეო მოამბიდან“ შემოვიტყუოთ ვინმე ამ ჩვენს კუთხეში, ეგებ რაიმე მიეწერა უფროსებისათვის ჩემს ბატკნებზე.

— ურიგო აზრი როდია, — უპასუხა გახარებულმა პასტორმა. რაკი ერთი კაცი მაინც გამოჩნდა ისეთი, ვინც ირწმუნა მისი ცოდნა მეცხვარეობის დარგში და დაინახა, თუ რარიგ იღვწის პასტორი ცხვრის ჯიშის გასაუმჯობესებლად. პასტორმა დაიწყო ლაპარაკი, თუ რა დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხს ცხვრის გამოფენამ დასავლეთში. ამ საკითხზე ბევრი რამ დაიწერა გაზეთებში, განსაკუთრებით სახორცე ცხვარზეო.

საუბარში ჩაერია მთების მეფეც (მართალია, თემის საბჭოში კი გაძვრა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა, წინ ვერ წაიწია, საშუალო საფეხურზე დარჩა. მთელი წელიწადი მერყეობდა. ვერ გადაეწყვიტა, ვისი მხარე დაეჭირა, ვაჭრის თუ სამომხმარებლო საზოგადოებისა): როცა ორი ძლიერი მტერი ებრძვის ერთურთს, მოთმინებით უნდა დაელოდო, რომელი დასძლევსო, და ისიც იმ აზრის იყო, რომ ასეთ მძიმე დროში დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ ყველა შეიგნებს, რაოდენ სასარგებლოა მათთვის ცხვრის ჯიშის გაუმჯობესება და ამისთვის იბრძოლებსო.

— მაგრამ, — დაუმატა მან. — სახორცე ცხვრის მოშენების მომხრე არ გახლავართ, რადგან მძიმე ზამთარს, მაგალითად, როგორიც შარშან იყო, სახორცე ცხვარი ვერ უძლებს; თუმც სპეციალისტები კი გვიმტკიცებენ, გამძლეაო: მე თუ მკითხავთ, სამაგალითო ჯიში რედსმირელთა ჯიშია, ამტანიც არის, ვერც სიმწლევეს დასწამებ, მტერსაც კი არ მოუბრუნდება ენა თქვას, ნასუქი არ არისო. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ეგ ცხვარი პირველობს, ვიდრე სხვა ახალი უკეთესი ჯიში არ გამოჩნდება.

ისტადალელი ოულაფური ყურს უგდებდა მთების მეფეს და უცებ გაახსენდა, რომ რამდენიმე დღის წინ გადასახადების განაწილება უნდა ეწარმოე-

ბინათ, უნდოდა გაეგო, ღარიბი გლეხობა როგორ დაბეგრეს. თავის დროზე ოულაფურმა აკი ხმა მისცა მთების მეფეს და იმედი ჰქონდა, მხარს დაგვიჭერსო. მთების მეფეს პასუხისმგებლობის გრძნობა აქვსო, ფიქრობდა ოულაფური, სიტყვას არ გადაუხვევს. იბრძოლებს ღარიბების ინტერესების დასაცავადო. გარდა ამისა, ოულაფურს იმის იმედიც ჰქონდა, რომ მთების მეფე თავის თანაშემწედ გაიხდიდა ძაღლების მკურნალობის საქმეში და ამით მცირე დამატებით შემოსავალს გაიჩენდა. აქაც მთების მეფის იმედით იყო.

— ჰო, გადასახადები, — სერიოზულად თქვა მთების მეფემ. — უნდა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო ოულაფურ, რომ ასეთ მძიმე დროში მრევლის საქმეების მართვა-გაძღოლა სახალისო და სასიხარულო როდია. მარტო მამასახლისი და მოსამართლე კი არა, მთელი მთავრობა გეტყვის: ასეთ მძიმე დროში გადასახადების განაწილება ხუმრობა საქმე არ გეგონოთო. ძალზე გამწვავდა კონკურენცია, არავინ იცის, ვინ გაიმარჯვებს, ვინ დაეხმარება ხუტორელებს—ბრუნი, რომელიც გაღატაკებულ გლეხობაზე ზრუნავს, თუ სამომხმარებლო საზოგადოება. თავისი მხრით ხომ ეს საზოგადოებაც იღვწის გლეხკაცისათვის. იქნებ მთელი ჩვენი იმედები მამასახლის იოუნზე უნდა დავამყაროთ. ანდა ჩვენი კეთილისმყოფელი სამრევლო გახდება, თუმცა სამრევლოს სალარო გამოცარიელებულია.

— სულ მაგას არ გავიძახი, — სიტყვა შეაგება ოულაფურმა, არ შეიმჩნია, რარიგ გაუცრუა იმედები სამრევლო საბჭოს წევრმა, რომელსაც არჩევნებში ხმა მისცა, — წუთისოფელი ისე მოკლეა, რომ საწყალი კაცი ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევს, არც კი უნდა ჩნდებოდეს ამქვეყნად. მაგრამ მითქვამს და ვიმეორებ, ჩვენთან რომ ყველაფერი სამართლიანად, სინდისიერად კეთდებოდეს, უმოწყალოდ რომ არ გვყვლეფავდნენ, რაც ჩვენ ნაჯაფარში გვერგება, მთლიანად გვაძლევდნენ, საშუალებას არ გვისპობდნენ, ქალაქში ვიყიდოთ პური ჩვენი არსობისა... მანამდე რომ მოვახერხებდეთ რიგიანი სახლის დადგმას, ვიდრე ჭლექი არ დაგვილპობს შვილებს, როგორც, მაგალითად, მე დამემართა... ეჰ, ღალახვროს ეშმაკმა, რა უნდა მეთქვა... არ ვიცი, დავაღწევ თუ არა თავს ვალებს, გინდაც შრომაში დღედაღამე გავასწორო კიდევ სამი ათასი წლის მანძილზე.

უნდირხლიდელი ეინარი ჩაერია საუბარში და თქვა, მაოცებს თქვენი ლაპარაკი, ახლა, ხსეთ სერიოზულ ვითარებაში, როცა ავი სული გამოცხადდა ხუტორში და გლეხის ცხოვრებაში იჭრებაო. ნუთუ ასეთ წუთებში მაინც არ შეგიძლიათ დაივიწყოთ თქვენი ჭირ-ვარამი, შიმშილი, ავადმყოფობა, როგორც უფალი გვიბრძანებსო.

— მე არ წამომიწყია ეს ლაპარაკი, — შეაწყვეტინა ოულაფურმა. — ჩემი

დღე და მოსწრება იმას გავიძახი. უბრალოდ ენის ტარტარს მეცნიერულ, სერიოზულ საკითხებზე მსჯელობა სჯობია-მეთქი. მაგრამ როცა ასეთ სერიოზულ საკითხებზე მიდგება საქმე, საწყალ კაცს უჭირს. რას გაიგებ და გაარკვევ, თუ ქვეყანას მოწყვეტილი ხარ, ჯაფასა და ჭაპანწყვეტაში მიაჩანჩალებ ამ წუთისოფელს ავადმყოფ ბავშვებთან და ილაჯგაწყვეტილ ცოლთან ერთად? ათი წელიწადია უკვე, რაც „ხალხთა მეგობრობის" კავშირს გამოვეთხოვე. ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანს ეხვდებოდი. მართალია, „წიგნის მოყვარულთა წრე" კი ჩამოვაყალიბეთ, მაგრამ დღეგრძელი არ გამოდგა, დიდი ხანია დაიშალა. ზოგი ვირთაგვებს ადანაშაულებს ამაში, მე კი კარგად ვიცი, რომ ხუთი წლის განმავლობაში ძე-ხორციელს არ გაუბედნია წიგნის კარადის გაღება. ჰოდა. ასეთ უმეცარ, უბირ ხალხს რის გარჩევა, ან რა საკითხზე მსჯელობა შეგვიძლია?

— აფსუსია ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება, — თქვა ეინარმა.— დღეს აქ განათლებული ხალხიც გვირევია, როგორც, მაგალითად, ჩვენი პასტორია, ამიტომ მინდა შემთხვევით ვისარგებლო. რამდენადაც ვიცნობ ჩვენს პასტორს, უბირ ხალხთან საუბარს არ თაკილობს. განსვენებული პასტორი გუდმუნდური კი ვერაფრით ვერ ურიგდებოდა ჩვენს უმეცრებას. ჰოდა, რა მინდოდა მეკითხა: რით აიხსნება, პატივცემულო პასტორო, რომ ზოგიერთის სული ვერსად ჰპოვებს სიმშვიდეს ვერც ზეცაში, ვერც დედამიწაზე და ვერცა მიწის ქვეშ?

— იქნებ ამის მიზეზი ის არის, რომ ეშმამ ჩაიბუდა მათში? —.სიტყვა შეაგება ეინარს, გილელმა კრუსიმ.

პასტორი ჩაფიქრდა, შესაფერ პასუხს ეძებდა. ყველამ თავ-თავისი აზრი გამოთქვა, მაგრამ ნათელი მაინც ვერ მოჰფინეს ამ საკითხს. ოულაფურმა თქვა, რომ ერთი მისი ნაცნობის ოჯახში წიგნის ფურცლებში გახვეული ფინჯნები მოიტანეს. ჰოდა, დაიმოწმა იმ დახეული წიგნის ფურცლები და გამოაცხადა, უცხოელი მეცნიერები მტკიცედ უარყოფენ ავი სულების არსებობასო.

— არა, ჩემო ძვირფასო ოულაფურ. — თქვა მთების მეფემ, — ფიქრად არასოდეს მომივა ასეთი რამ, მით უფრო, ახლანდელ დროში. მე ყოველთვის მწამდა და დღესაც მწამს, რომ არსებობს ბოროტი და კეთილი. ამასვე გვასწავლის რელიგია, მაგალითად სპარსთა, როგორც უტირედსმირელი ფრუსგან გამიგონია, ჰოდა, ეს განათლებული ქალი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ყველგან ლაპარაკობს, ქალთა კავშირი იქნება ეს, ოლქი თუ სხვა რამ ადგილი, კეთილისა და ბოროტის არსებობაზე და მათ შორის ბრძოლაზე. და თუ უჩინარ ძალებზე ვილაპარაკებთ, ჩემის აზრით, ისინი არც ისე კეთილები არიან, როგორც ზოგიერთსა ჰგონია, და არც იმდენად ბოროტები, როგორადაც ხატავენ მათ. ალბათ, ჭეშმარიტება სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ.

ბოლოს პასტორმაც ამოიღო ხმა, საკმაო დრო ჰქონდა პასუხის მოსაფიქრებლად.

— თანამედროვე აზროვნებას, — დაიწყო თევდორემ, — უფრო სხვაგვარი შეხედულება შეეფერება. მე უკვე მოგახსენეთ, როდესაც ფარეხთან ვიდექით. ამ შემთხვევაში, რომლის მოწმენიც დღეს გავხდით, ცხადია, ჩარეული გახლავთ ტანჯული სული, მშფოთვარედ რომ დაძრწის სამყაროსა და სამყაროს შუა.

მოთმინებადაკარგულმა ეინარმა უცებ წამოიყვირა:

— გავბედავ და მოგახსენებთ, პატივცემულო პასტორო, რომ თქვენ ცოტა არ იყოს გადაამლაშეთ. ჩემს სინდისზე იყოს, რასაც ვამბობ. მართალია, განსვენებულ პასტორ გუდმუნდურს მაინცდამაინც თვალში არ მოვდიოდი, აბუჩად იგდებდა ჩემს ლექსებს, მაგრამ რა გაეწყობა, განა ამ ლექსებს სახელის მოსახვეჭად, ქება-დიდების მოსაპოვებლად ვთხზავ? არა, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის. პასტორი გუდმუნდური მკაცრი, უხიაკი კაცი იყო, უმეცრებს ძაღლად არ აგდებდა, მაგრამ რაც შეეხება რელიგიას, ამაში ძლიერი გახლდათ. განა ის ყურადღებას მიაქცევდა რაიმე ახალმოდურ აბდაუბდას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ახალმოდური და მიღებული იყო? მით უფრო, არასოდეს არ იტყოდა, თითქოს სატანა და მისი დამქაშები სხვა ვინ იქნებიან, თუ არ ტანჯულ-გვემული სულებიო. მართალია, კარგი ყოჩები და ცხვრები ჰყავდა გუდმუნდურს, მაგრამ არც სარწმუნოების საკითხში შეეშლებოდა რამე, იცოდა, ვინ და რა სწამდა! ჰოდა, ასე მგონია, რომ ეს არ იცის ზოგიერთმა თქვენგანმა ახალგაზრდა პასტორებიდან, მიუხედავად იმისა, რომ მოდასა და ფეხის ხმას აჰყოლიხართ.

პასტორი თევდორე ცდილობდა დაერწმუნებინა ეინარი, ახალგაზრდა პასტორებმაც იციან, ვინ და რა იწამონო. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ახალგაზრდები თავის აზრებს უფრო სხვაგვარად გამოთქვამენ, ვიდრე ძველი პასტორებიო.

— ნება მიბოძეთ, პატივცემულო პასტორო, კიდევ ერთი შეკითხვა მოგცეთ, — მიმართა პასტორს გათამამებულმა ეინარმა. — გწამთ თუ არა ძველი და ახალი აღთქმა, ყველაფერი, რაც იქ წერია, სიტყვა-სიტყვით?

— დამშვიდებული ბრძანდებოდე, ძველი აღთქმაც მწამს და ახალიც,— მიუგო პასტორმა.

— ჰოდა, მაშ ნება მიბოძეთ, ზოგიერთი რამ გკითხოთ. გწამთ თუ არა, რომ უფლისა ძემ იესომ მკვდრეთით აღადგინა ლაზარე მას შემდეგ, როცა მის გვამს საფლავში უკვე ხრწნა შეეპარა?

პასტორი ჩაფიქრდა, ცხვირსახოცი ამოიღო, გაოფლილი შუბლი მოიწმინდა, დიდი რწმენით, მტკიცედ თქვა:

—დიახ, მწამს, რომ უფლისა ძემ, იესო ქრისტემ, სამი დღის დამარხული ლაზარე მკვდრეთით აღადგინა. სამ დღეში კი არა მგონია გახრწნილიყო მიცვალებული.

— ლპებოდა ის საწყალი ბერიკაცი თუ არა, ეგ მე არ მესაქმება, ჯანდაბას მისი თავი და ტანი! — შეაწყვეტინა პასტორს ოულაფურმა და მკივანა ხმით, სხაპასხუპით განაგრძო: — მთავარი ის გახლავთ, რომ ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა ლაზარე. მაგრამ რაკი დღეს პასტორი ჩვენთან არის, ჩვენ კი ყავის მოლოდინში ვსხედვართ აქ და ვსაუბრობთ, ეინარისა არ იყოს, მეც მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ზოგი რამ ვკითხო პასტორს. მინდა გავიგო, პირადად თქვენ, პასტორო თევდორე, რა აზრისა ხართ სულზე?

პასტორმა თავი გადახარა და ნაღვლიანი ღიმილით მიუგო, რომ ამ საკითხზე საკუთარი შეხედულება არ აქვს, რომ ბრმად მისდევს ძველ შეხედულებას. დიახ, სული, რა თქმა უნდა, უკვდავია, ასე რომ არ იყოს, სული არც იქნებოდა.

— ეგ მეც ვიცი, — წამოიძახა პასტორის პასუხით უკმაყოფილო ოულაფურმა, — სწორედ ასე უთხრეს განსვენებულ იოუნ არნარსონს იმ წუთებში, როცა თავი უნდა მოეკვეთათ მისთვის. ახლა კი ერთი ამბავი უნდა გიამბოთ, შარშან ერთმა ნაცნობმა სამხრეთელების ერთ-ერთი სოლიდური გაზეთი მათხოვა და იქ წავიკითხე. ჰოდა, აი რა ეწერა იმ გაზეთში: თურმე დედაქალაქში განსვენებული წარჩინებული ხალხის სული ავეჯში იბუდებს.

ბერიკაცი ოულაფური ოულაფურად დარჩა. რანაირი სისულელეც არ უნდა მოეჩმახათ, ეს სისულელე გაზეთის ფურცლებზე ან წიგნში თუ იყო დაბეჭდილი, ყველაფრისა სჯეროდა. გლეხებმა თავი გადააქნიეს და ჩაიცინეს.

— იცინით, არა? — თქვა ოულაფურმა. — რა გაეწყობა, იცინეთ, ნება თქვენია, ნუ დაიჯერებთ, თუ არ გინდათ, მაგრამ, აბა, რომელი თქვენგანი გაიხსენებს ერთ ისეთ შემთხვევას, რომ მე ტყუილუბრალოდ ამეხირებინოს რამე? დიახ, დედაქალაქში წარჩინებულ ხალხთა სული ავეჯში იბუდებს. დიდი ახირებული ხალხი კი ხართ, ჩემმა მზემ, თქვენც და ყველა აქაური. იმის დაჯერება არც ერთს არ გინდათ, რაც თქვენი ფარეხიდან ასი იარდის იქით ხდება. ამავე დროს არაფერი გწამთ ქვეყნად, არც ზეციერი, არც მიწიერი, გარდა იმისა, რასაც ხედავთ და არ ხედავთ საკუთარ ბოსლებში.

ოულაფურს პასტორი გამოექომაგა, რაღაცნაირი დარცხვენილი ხმით დაუკრა კვერი, სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები ნამდვილად იყოო. დედაქალაქში ზოგიერთმა წარჩინებულმა პირმა, უკანასკნელ ხანებში შენიშნა ასეთი უჩვეულო მოვლენაო. მაგრამ დაბეჯითებით არავის შეუძლია თქვას, მართლა სულია თუ არა ავეჯის უცხაური მოძრაობის მიზეზიო. გონიერი ხალხი ამბობს, თით-

ქოს ავეჯში ისეთმა გზაკვალდაკარგულმა სულებმა ჩაიბუდეს, რომელთაც ციური სხივი ვერ იხილესო.

— კიდევ ერთი კითხვა მინდა მივცე პასტორს, — ცხარედ განაგრძო ოულაფურმა. — რა არის სული? როცა პირუტყვს თავს სჭრიან, სად მიდის სული? კისრის მალებიდან ხომ არ გამოდის და მერე ზეცისკენ მიფრთხიალებს? ბუზივით ქრება თვალწინ? და, საერთოდ, რა არის სული? ბლინს ხომ არა ჰგავს, რომლის ჩახვევა და ჩაყლაპვაც შეიძლება, როგორც ცრუპენტელა ბიარნსი გვარწმუნებს? რამდენი სული აქვს კაცს? იესო ქრისტემ ლაზარე მკვდრეთით რომ აღადგინა, მას შემდეგ მოკვდა თუ არა ლაზარე? და როგორ ხდება, რომ სულები მოხელეებს თავაზიანად ეპყრობიან, ამ ხეობაში მცხოვრებ ღარიბ გლეხკაცს კი ზარალს აყენებენ?

სწორედ ამ დროს, როცა სულზე ასეთი გაცხარებული მსჯელობა ჰქონდათ, საძვრომში თავი ამოჰყო მასპინძელმა, კუშტად მოავლო თვალი ხალხით გაჭედილ ოთახს და წამში გახსნა იმ ოხრობის ხლართი, რომელიც მისმა ძველმა მეგობარმა ოულაფურმა აახუხულავა.

— მე და ჩემი ოჯახი დაწოლას ვაპირებთ დასაძინებლად, — თქვა მასპინძელმა პირქუშად. — მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, აღარ შეგვიძლია ასეთი მიქარვის მოსმენა სულებზე. თუ ფსალმუნების გალობის ჟინმა მოგიარათ, სხვაგან სადმე შეიკრიბეთ, ჩემი სახლიდან შორს. მე უკვე მართლმსაჯულებას მივმართე, მოვიდეს, იპოვოს დამნაშავე და დასაჯოს. ახლა, აქედან რომ გახვალთ, გთხოვთ, ისე ჩათვალოთ, თითქოს აქ არ ყოფილხართ. გადმოდგი ქურიდან წყალი, აუსტა, მე არ ვიცნობ ამ ხალხს. ესენი აქ ჩემს სანახავად არ მოსულან.

მაშ ასე, იმ ღამეს ბიარტურს არავისი დანახვა არ უნდოდა, ვეღარ სცნობდა თავის საუკეთესო მეგობრებს, გაჰყარა ისინი სახლიდან. ვეღარც მათ იცნეს ძველი მეგობარი, ანდა, უფრო სწორად, მეგობრის სახე, სიაფთრით მოქცეული სახე, სწორედ იმ წუთებში რომ გამოჩნდა, როცა გზააბნეულები დაპორიალობდნენ ზებუნებრივ მოვლენათა გაუვალ ტევრში—ის კი თითქოს ყველაფერში გაერკვა, ყველაფერი გაიგო და თხოულობდა მარტოოდენ მართლმსაჯულებას. და ბიარტურის ძველი თუ ახალი მეგობრები, დანაშაულზე წასწრებული ქურდებივით დარცხვენილები, ერთიმეორის მიყოლებით ჩუმად გაიძურწნენ სახლიდან, გამომშვიდობებაც კი დაავიწყდათ, გადაიარეს მონამქერებული თოვლის მთა და ყველა თავ-თავის გზას დაადგა.

რარიგ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მას შემდეგ ოლქში აღარავის უხსენებია ის ღამე. ის ღამე ამოიშალა სამრევლოს ისტორიიდან იმ ირემივით, რომელზეც ოდესღაც ამხედრდა ბიარტური და მდინარე იეგულა გადაცურა-

მომდევნო დღეებში ეს წვეროსანი კაცები, ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, შინ იქნებოდა, თუ სხვაგან სადმე, ისე დარცხვენით გადახედავდნენ ერთურთს, როგორც ქალ-ვაჟი, რომელთაც წინა ღამეს ძალზე შორს შესტოპეს და გადაწყვიტეს, აღარ გაებედათ ასეთი რამ. მრავალი წლის შემდეგაც დაბის მცხოვრებნი იმ ღამეს ისე იგონებდნენ, როგორც რაიმე სამარცხვინოს და ეს მოგონება იმალებოდა მათი გულის კუნჭულში, ვით ავადმყოფური ფანტაზიით წარმოქმნილის სახე, სირცხვილის, რაღაც დანაშაულის გრძნობას რომ ჰბადებს ადამიანის გულში. ლურჯი, მოციმციმე ჩრდილები, რომელიღაც ზღაპრული არსების ცეცხლისმფრქეველი თვალები, ფსალმუნების მკრეხელური გალობა, ყავა, რომელსაც ვერ ეღირსნენ, და ზაფხულის სავანელი ბიარტური, ხელი რომ ჰკრა მეგობრებს, გაეთიშა, განუდგა იმათ, ვინც იმიტომ ავიდა ხეობაში, რომ თავს დასხმოდა მის მტერს კოლუმკილს.

თავი ორმოცდამეექვსე

მართლმსაჯულება

გუდბიარტურ იოუნსონის ზემოხსენებული გამარჯვების შემდეგ მოჩვენება ერთ ხანს აღარ გამოჩენილა. როგორც გაზაფხულზე დღისით კლავენ ავადმყოფ ცხვარს, ასევე მოჰკლა იმ ღამეს ბიარტურმა რელიგიისა და ფილოსოფიის რწმენა, მან მთელ თავის მეგობრებს კარზე მიუთითა, ბავშვებს კი დაწოლა უბრძანა. ზოგი ამტკიცებს, ბიარტურმა კატაც ჩამოახრჩოო. თუ მოჩვენებას ეგონა, რომ ბიარტური სულით დაეცემოდა, გაჰყიდდა თავის ავლადიდებას და სადმე გადასახლდებოდა, ძალიან შემცდარა, ამაოდ გარჯილა და დამაშვრალა ეშმა, გუდბიარტურ იოუნსონი სალ კლდესავით შეუვალი იყო. მართალია, დიდი ზარალი კი ნახა, მაგრამ ერთი გოჯითაც არ დაუხევია უკან. რაც მას შემდეგ მოხდა, ის მარტოოდენ გამოძახილი გახლდათ ადრე მომხდარი მოვლენებისა.

ზამთრის ბუნიობაა, ცა დილიდანვე მოიქუფრა, მრეშმა, სქელმა ღრუბლებმა დაბლა დაიწია, შუა ფერდობზე დაეკიდა, ირგვლივ წყვდიადი ჩამოწვა, წყვდიადშა სულშიც დაისადგურა, შუადღისას ოდნავ ინათა, მაგრამ კვლავ იძალა უკუნმა, მოკლე შუადღემ ვერ გაჰფანტა წყვდიადი. ოლქის მოსამართლეს ელოდნენ. ბიარტურს იმ დღეს ბიჭებისთვის დავალებები არ მიუცია, თითქოს უცდიდა, ჯერ ხელისუფალთ გადაწყვიტონ, ბოლოს და ბოლოს ვინ არის ამ ხუტო-

რის პატრონი, მე თუ ეშმაო. როცა ბიარტური გადარჩენილი ცხვრებისთვის თივის დასაყრელად წავიდა ფარეხში, გვენდური უკან გაჰყვა და ძაღლიც თან წაიყვანა. უფროსი ბიჭი სარკმელთან იჯდა, მუხლები შეეტყუპებინა და ძველ ნაფხაჭნებს აკვირდებოდა მაგიდაზე, ხმას არ იღებდა, გინდაც ეკითხათ რამე, პასუხს არავის აძლევდა, არც თითისტარს მოჰკიდა ხელი. პატარა ნონი ბებიას გვერდით მიჯდომოდა და ქსოვდა, ხანგამოშვებით თვალს გააპარებდა უფროსი ძმისკენ, გრძნობდა, რას განიცდიდა ძმა, გრძნობდა იმ ამოუხსნელი, მახვილი ალღოთი, რომელსაც სიტყვები არ სჭირდება. მერე მივიდა უფროს ძმასთან და ისეთი კილოთი უთხრა, თითქოს მისი დამშვიდება უნდაო:

— ჰელგი, რა მოგვივიდა, მიაფურთხე მაგას! როგორ გგონია, ვითომ რას უზამს მოსამართლე მოჩვენებას?

უფროს ძმას ხმა არ გაუღია. ნონი ერთ ხანს კიდევ იდგა იქ, მერე ისევ ბებიას მიუჯდა გვერდით. სახლში გამეფებულ მდუმარებას მხოლოდ ბებიის ნელი, ძლივსგასაგონი ბუტბუტი არღვევდა.

მამასახლისი მთიდან ჩამოვიდა მოსამართლის შესახვედრად, რომელიც ქვეევიდან, ქალაქიდან უნდა ამოსულიყო საქმის გამოსაძიებლად. მაგრამ მოსამართლე არ ჩანდა. მამასახლისი აღრენილი იყო, ილანძღებოდა, ქოთქოთებდა, სად მცალია ასეთი სისულელეებისთვისო. არა, ასეთ ამინდში ის ეშმაკის კერძი მოსამართლე როგორ გაბედავს ხეობაში ამოსვლასო. ეს სწავლული კაცები, დაუსტვენს თუ არა ქარი, საბნის ქვეშ იმალებიან. არა, არ ამოვა, თავის ძვირფას თავს როგორ გაიმეტებს მოსამართლეო, ბობოქრობდა მამასახლისი. მერე მასპინძლის საწოლზე გაწვა. მაღალყელიანი, სქელი წინდები ეცვა და აუსტას სთხოვა, გამხადეო. არც სტუმარი და არც მასპინძელი დიდი თავაზიანობით არ გამოირჩეოდა.

— სულ რომ რაღაც გემართება, — აბუზღუნდა ისევ მამასახლისი და სათუთუნეს დაუწყო ძებნა. — ხან ცოლი გიკვდება, ხან პირუტყვი გიწყდება, ხან ეშმა და ავი სული გაწიოკებს.

— რაც შეეხება სიკვდილსა და ეშმას,—უპასუხა ბიარტურმა.—მე არავინ მომიწვევია აქ ფსალმუნების საკნავლებლად და ათასი სისულელის დასაროშად სულებსა და სხვა მისთანებზე... ღვთისა და ხალხის სასაცილოდ, მთელი მრევლის სამარცხვინოდ. რაც შეეხება იმას, რომ მართლმსაჯულება მოვითხოვე, მოვითხოვე სამართლიანობა, ამის გაკეთება ყოველ თავისუფალ ადამიანს შეუძლია თავისუფალ ქვეყანაში. მე მარტო ის ვიცი, რომ მთავრობა ყოველ წელიწადს ბეგარასა და ათას გამოსაღებს მთხოვს. მე კი ახლა პირველად მივმართე მთავრობას, ასე რომ მისი არაფერი მმართებს.

— ყური მიგდე, — დაიწყო მამასახლისმა და ენის ქვეშ საღეჭი თამბაქო

ამოიდო, — მოდი, უკანვე მომყიდე ეს ხუტორი, ერთხელ კიდევ გამასულელე და გამაცურე.

უკანასკნელ დღეებში გამოვლილი მღელვარების შემდეგ ბიარტურმა მტკიცედ გადაწყვიტა, გულგრილად შეხვედროდა ყველაფერს, რაც უნდა დატყდომოდა თავს. ვერა, მამასახლისი ვერ გამოიყვანს მოთმინებიდან.

— ჩემო ძვირფასო, ჩემო იოუნ,—თანაგრძნობით უთხრა ბიარტურმა. — შენ ხომ ისე ვერ გასძლებ, თუ არ იოხუნჯე.

— ვერ გამიგია, რისთვის იკლავ თავს აქ, რას ჩაბღაუჭებიხარ ამ ხუტორს? შენი ორივე ცოლი უფლისად მიიცვალა, პირუტყვი გაგიწყდა, ბავშვები თითქმის ყველა დაგეხოცა. არა, აბა რას ჰგავს ეს? აგერ მანდა დგას საბრალო სოულბერტი, თუ რა ჰქვია. უკვე მოზრდილი გოგო, მაგრამ წარმართი და უმეცარი, მაგის კონფირმაციაზე არავინ იწუხებს თავს, ფიქრადაც არავის მოსდის, — თქვა მამასახლისმა.

— ოჰო, ეს კი ახალი ამბავია! — წამოიძახა ბიარტურმა. — როდის აქეთ გახდი ქრისტიანული სარწმუნოების ასეთი თავგამოდებული ამაგდარი? ეტყობა, უკვე უახლოვდები იმ ასაკს, როცა სულზედაც უნდა იზრუნოს კაცმა. არა?

— მაგაზე შენ თავს ნუ იწუხებ. ქრისტიანული სარწმუნოება მუდამ იყო ჩემი ბურჯი. აი რატომ მოვითხოვ, რომ სხვებსაც სწამდეს. ასე რომ არა, კახონის ძალასაც ფეხს დააბიჯებენ. ქრისტე ღმერთის ხატება, განსვენებული დედაჩემისგან ბოძებული, ჩემს ოთახში ჰკიდია კედელზე.

— დიახ, და რუსთხელმწიფის სურათიც. — ჩაურთო ბიარტურმა.

— დიახ, რუსთხელმწიფის სურათიც. უნდა მოგახსენო, რომ ის ხელმწიფე პატივცემული მმართველი გახლდათ. ღირსეულად უძღვებოდა თავის ქვეშევრდომებს. ქვეშევრდომები კი, რაგინდ უჩვეულონიც უნდა ყოფილიყვნენ, შენისთანა ჯიუტი წარმართები მაინც არ იქნებოდნენ, ისეთები, ათას ხიფათში რომ ებმიან, ერთთავად ურჩხულები და ავი სულები გარს რომ ახვევიათ.

— ჰმ... — ჩაიფრუტუნა ბიარტურმა. — გრეტირი აუსმუნდარსონი არც ისე დიდი ღვთისმოსავი იყო, მაგრამ მთელი სამხრეთი აღსდგა მისთვის შურის საძიებლად, მთელი სამხრეთი, თვით მიაკლაგორდამდე, და მას ისლანდიის უდიდესი ადამიანი უწოდეს.

მამასახლისმა არც კი იკადრა ასეთ სისულელეზე და მიეთმოეთებზე პასუხის გაცემა, პირიდან საღეჭი თამბაქო გამოიღო, დასაძინებლად მოემზადა, მოვილაპარაკებთ, როცა გავიღვიძებო. უთხრა მასპინძელს, ფეხები საწოლზე შეალაგა და პირით კედლისკენ გადაბრუნდა.

— ცოტაოდენი გამხმარი ფუნა შეყარე ღუმელში, სოულა, ძვირფასო, — უთხრა ბიარტურმა გოგონას და ეზოში ჩავიდა.

ბარდნიდა და ბარდნიდა დაუსრულებლად, დღე გაჭიანურდა, ძლივს მიზოზინობდა, მაგრამ ვინ იცის, ეგებ არც იძვროდა, როგორც მოსამართლის მოლოდინში საწოლზე გაშოტილი მძინარე მამასახლისი.

ზამთრის მოკლე დღეებში ყველაზე უსიამოვნო სიბნელე როდია. შესაძლოა უფრო მეტად არასასიამოვნოა, თუ ეს წყვდიადი იმდენად თვალშეუვალი არ არის, რომ დაივიწყო უსასრულობა, რომლის სიმბოლოსაც ზამთრის დღე წარმოადგენს, უსასრულობა, რომელიც მარტოოდენ მართლმსაჯულებას თუ ენათესავება და ისევე ავსებს სამყაროს, ისევე უმოწყალოა, როგორც მართლმსაჯულება. ზამთარი და მართლმსაჯულება დები არიან. გაზაფხულზე, როცა მზე ანათებს, უფრო კარგად გესმის, რომ ერთიც და მეორეც ბოროტებაა. დღეს ყველაზე მოკლე დღეა. შესაძლოა, ვინც ამ დღეს გადაიტანს, გადარჩეს. რაც არ უნდა მოხდეს, ამის იმედი მაინც უნდა გქონდეს. დღეს სამართლიანობის, მართლმსაჯულების დღეა. ეს პატარა ადამიანები ამ პატარა ხუტორში მოელიან მართლმსაჯულებას, რომელიც სამყაროს ავსებს, მაგრამ მოკლებულია გაგების უნარს. მართლმსაჯულება, სამართლიანობა მოითხოვა მამამ. სიმართლე მამის მხარეზეა, რომელმაც თავის ცხვრებისათვის მოიმარაგა თივა, რადგან ცხვრები ხომ თვით სამართლიანობაა. რა ვუყოთ, თუ დედა დამარხულია და ბავშვებიც სამარეში წვანან, ბიარტურისთვის ხომ ყველაფერზე ძვირფასი მხოლოდ ცხვარია. იგი ხომ ისეთი ადამიანი არაა, რომელიც ოცნებობს, სულზე ფიქრობს, ან ისეთი, ვინც თავის იმედებს ამბოხებაზე ამყარებს და მართლმსაჯულება — ხომ მტერია მისი? იგი ხომ იმდენად გონიერი არაა, რომ მშვიდობა მოიპოვოს. მართლმსაჯულება კი თავისი არსით სისულელეა, ბოროტებაცაა. მასზე ბოროტი არაფერია. ამის გასაგებად საკმარისია ყური მიუგდო, როგორ ფშვინავს მამასახლისი. საკმარისია შეიყნოსოს ამ მაჭკატების სუნი, მართლმსაჯულების ქურუმებისთვის რომ აკეთებენ.

და ბიარტურის უფროსი ვაჟიშვილი შინიდან გავიდა, კარი გაიხურა.

მამასახლისს გულის ძილით სძინავს, ხვრინავს, გეგონებათ ამ კაცს, მკვეთრად მოხაზული ძლიერი სახე რომ აქვს, მთელი ცხოვრება თვალი არ მოუხუჭავს.

— სოულა, ჩემო გოგონი, ცხვრის მკერდის ნაჭერი ხომ არა გაქვს შემონახული, რომ მამასახლისს გაუმასპინძლდე, როცა გაიღვიძებს? წელს ხომ ზაფხულის სავანეში ხორცის ყაირათი არ სჭირდებათ, მთელი კასრები და გობები სავსეა ხორცის ნუგბარი ნაჭრებით, რომლის ყიდვაც არავინ ინდომა, უსულადოაო, თქვეს! გაგონილა, აბა, სადაური უსულადოა, დალახვროს ეშმაკმა? რა

შუაშია აქ უსულადო? სულ სისულელითა და ცრურწმენით მოსდით ეს. მაგრამ ახლა მართლმსაჯულება გამოარკვევს ყველაფერს. ჰელგი სადღაა?

ჰო, ჰელგი სად არის? რაო? ამ ცოტა ხნის წინ განა აქ არ იჯდა, ოთახში? არაფერია, მოვა, დღეს მისი ჯერია, ცხენს უნდა მიხედოს. მამასახლისი კი გაღვიძებას არც აპირებს. თუმცა, რა ჩვენი საქმეა, იძინოს თავისთვის, რამდენიც უნდა, მაგ ბებერმა ქოფაკმა.

ცხადია, მოსამართლე ასეთ ამინდში ხეობაში ამოსვლას არც იფიქრებს. მთელი მიდამო უკუნეთშია ჩაძირული, ბარდნის და ბარდნის შეუნელებლად, თვალთან თითს ვერ მიიტან. ზედ სახლის წინ თოვლის მთა ამოიმართა. ამ მთის იქით რომ გაიხედო, მოგეჩვენება, თითქოს სამყარო გაქრა, არც ხაზი, არც ერთი მუქი ლაქა, თითქოს დაბრმავდი ან ღრმა ძილით გძინავსო.

— სად გადაიკარგა ის ბიჭი? გვენდურ, აბა ჩადი ქვევით, გაიხედ-გამოიხედე, არა მგონია სახლიდან შორს წავიდეს.

ყველამ ძღომაზე ჭამა და ბიარტური თვითონ წავიდა შვილის საძებრად. ამასობაში მამასახლისმაც გაიღვიძა, წამოჯდა საწოლზე თმააბურძგნული და მოჰყვა მთქნარებას.

— ააა, — პირი დააღო მამასახლისმა.

— ჩვენი ჰელგი... — თქვა აუსტამ. — არ ვიცით, სად წავიდა, სად გადაიკარგა.

— ჰელგი? — იკითხა მამასახლისმა.

— დიახ, ჰელგი, ჩემი ძმა, — მიუგო აუსტამ.

— აჰა! — გაეხმიანა გოგონას მამასახლისი, რომელიც ჯერ კარგად არ იყო გამოფხიზლებული. კიდევ დაამთქნარა და სათუთუნეს დაუწყო ძებნა. — შენი ძმა ჰელგი? ყური მიგდე, გოგონი, ბიარტურს უნდა ურჩიო, რომ ეს ხუტორი მომყიდოს. შენ კი, როცა მოისურვებ, ჩვენთან შეგიძლია წამოხვიდე, ნებართვის თხოვნაც არ გჭირდება... სულ განსვენებულ დედაჩემს მიგიგავს ტუჩები.

— ჰოო? — უპასუხა გოგონამ.

— ალბათ მეთექვსმეტე წელში გადადექი, არა?

დიახ, ერთი თვის უკან შეუსრულდა თხუთმეტი წელი.

— მართლაც რომ ძალზე საამარცხვინო საქმე დაგვემართა, მაშინვე უნდა წაგვეყვანე, მაგრამ რას იზამ? რას აკეთებ, თევზს ხომ არ ხარშავ?

— არა, ხორცია.

— ჰო, ამ საშობაოდ ზაფხულის სავანეში ხორცი არ გაკლიათ.

— მაჭკატები გაგიკეთე, — უთხრა აუსტამ.

— ეჰ, რა ხანია მაგისთანა რამეებს აღარ გეახლები. ერთი ნაჭერი ხორცი მირჩევნია. არა, ერთი უყურე, რა მიყო იმ ოხერმა მოსამართლემ, როგორ შე-

მომიტყუა აქ, თვითონ კი არხეინად ზის შინ, წევს თბილ ლოგინში და უდარდელად ხვრინავს. ეტყობა, ამ საღამოს აქედან ვეღარ გავაღწევ.

აუსტა ღელავდა, სად არის ნეტავ, სად გადაიკარგა ის ბიჭი? რაღაც ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა, შიში შეეპარა და მამასახლისს დაბნეული უსმენდა, ჯეროვანი პატივი ვერ სცა. აუსტა ქვევით ჩავიდა, აცოცდა თოვლის მთაზე. მამასახლისი კი შინ დარჩა, მოხუც ჰალბერასთან და ნონისთან ერთად. იოუნმა სათუთუნე ამოიღო, დახედა თამბაქოს, გაიზმორა, დაამთქნარა, ტანი მოიქექა და გადაწყვიტა, მოხუცს უნდა გამოველაპარაკოო.

— რას იტყვი, ჩემო ძვირფასო ბერა, რა აზრისა ხარ ამ ოხრობაზე, რაც აქა ხდება? — უთხრა მამასახლისმა მოხუცს.

— რაო? — ჩაეკითხა ჰალბერა.

— ხომ არ გეჩვენება, ბერა, რომ ცაც და დედამიწაც გადაირია?

მამასახლისი თითქოს ალერსიანად მიმართავდა მოხუცს, მაგრამ მის პასუხს არ დაუცადა, ისევ დააღო პირი და მთქნარებას მოჰყვა.

— მე უკვე აღარ ვფიქრობ ბევრს, აღარც ვლაპარაკობ, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან მოხდებოდა, რაც მოხდა, ან ამაზე უარესი რამ. აქ ვიღაც მოქმედებს, ამ ხუტორში და, ცხადია, ის ვიღაც ღვთის ანგელოზი არ არის. დიახ, არ ყოფილა ანგელოზი და არც იქნება.

— დიახ, არ ყოფილა და არც იქნება,—კვერი დაუკრა მამასახლისმა.—ბერა, საწინააღმდეგო ხომ არა გექნება რა, დაბაში, კარგ ხუტორში რომ მოგაწყოს ვინმემ... თუკი მოსამართლე თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაამტკიცებს, რომ მასაც შეუძლია რამის გაკეთება და ბიარტურს კანონის სახელით გააპანღურებს ამ ხუტორიდან...

— ოო, თუ ხელისუფალნი გადაწყვეტილებას მიიღებენ, მე ვინ რას მკითხავს. თუმცა, სულ ერთი არ არის, რაც მომივა? მამასახლისმა იცის, მე და განსვენებული ტოურარი ორმოცი წელიწადი ვცხოვრობდით ურდარსელში და ამ ხნის მანძილზე ჩვენს ხუტორში საკვირველი არაფერი მომხდარა. იქ, ზევით, მთაში კარგი მეზობლები გვყავდა, ამ ხუტორში კი დღე ისე არ გავა, რამე განსაცდელი და ხათაბალა არ დატრიალდეს, ერთი თუ არა, მეორე გამოტყვრება. ამით ის კი არ მინდა ვთქვა, ყოველივე ღვთის ნება არ არის-მეთქი... მაგალითად, მე რომ ცოცხალი ვარ, თუკი ამას სიცოცხლე ჰქვია, ჩემი საცოდავი ქალი კი მიწაში წევს, დასტოვა შვილები, სახლ-კარი შუა მკაში. იმაზე აღარაფერს ვამბობ, შარშან ცხვარი რომ გაგვიწყდა. ახლა კიდევ ეს ახალი ხათაბალა დაგვატყდა თავს, ეშმაკის ახალი ხრიკები.

— ჰო, სულ ეშმაკის ხრიკებია, — კვერი დაუკრა მამასახლისმა.

მოხუცი ერთ ხანს რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის.

— რაო? — ჰკითხა მამასახლისმა.

— რაო? — გაიმეორა ჰალბერამ.

— ჰო, ის მინდოდა მეკითხა, რას ფიქრობ-მეთქი ამ მოჩვენებაა თუ რაღაც ჯანდაბაზე.

— რაკი მამასახლისმა ჩემი ყურის დაგდება ინება, — თქვა მოხუცმა ჰალბერამ, — მაშ, მოგახსენებ, ძვირფასო იოუნ, რომ ჩემს ყმაწვილქალობაში ერთი კარგი ადათი არსებობდა, დიახ, ძალზე კარგი ადათი. ძველ შარდს მიაშხეფებდნენ იმ ადგილს, სადაც უცნაური რამ ხდებოდა, და ავი სული კუდამოძუებული გარბოდა. დიახ, ამას უფრთხოდა უწმინდური. მაგრამ ამ ჩვენ კაცს ვერაფერს შეასმენს ადამიანი, ვერ გააგონებ, თუ რამე ქრისტიანულ რწმენას ეხება. არა, ის ბიარტური გახლავთ, სულ სხვანაირი, განსაკუთრებული და მუდამ ასეთი იყო. ძველი ზნე-ჩვეულება და ადათ-წესი ვიღას ახსოვს! ახლა, ვინ რად აგდებს, სასაცილოდაც არ ჰყოფნით.

— მართალი ხარ, მართალი. აბა ბიარტურთან რა გაგივა, საშინელი გაქირიანია, სულ ასეთი იყო თავისი დღე და მოსწრება. ღმერთსა ვფიცავ, მადლი იქნება, კაცი რომ ადგეს და ბავშვები წაართვას, ხეირიან ხალხს მისცეს გასაზრდელად, თუნდაც სასამართლოს ძალით. შენ კი, ჩემო საბრალო ბერა, დარწმუნებული ვარ, გ̇ილელი მარკუს იოუნსონი უარს არ გეტყვის, შეგივრდომებს. ეს კაცი უკვე ოცდაათი წელიწადია მოხუცებს უვლის. უწყინარი, კეთილი კაცია, არასოდეს ხელს არ დააკარებს მოხუცს.

— ჩემგან საყვედურს ვერავინ გაიგონებს, — ჩაიჩიფჩიფა მოხუცმა, — ყოველივე ღვთის ნებით ხდება. ჩემგან ხომ თითქმის აღარაფერი დარჩა, მე ხომ აღარც კი ვცხოვრობ, ვერც სიკვდილი მომიხერხებია. დაიჯერებ კი, ზოგჯერ მავიწყდება, ვერაფრით ვერ ვიხსენებ. ვინ ვარ? მაგრამ ის კი მინდა, რომ პატარა ნონი სადმე ჩემს ახლოს იყოს, იმიტომ, რომ ამ ბავშვს კარგი თავი აქვს და კარგი ხელები, აფსუსია, ასეთი ბავშვი ვინმეს სამოწყალო გახდეს. დაბადებიდან აქ მიწევს, გვერდით.

— კარგი, ამაზე მოსამართლეს მოველაპარაკები, თუ სახლის გაყიდვა გადაწყდა.

— დიახ, მამასახლისი, რა თქმა უნდა. მოელაპარაკება მოსამართლეს იმაზე, რასაც საჭიროდ მიიჩნევს, ასე იყო და ასე იქნება მუდამ. მე რომ მკითხონ, რასაკვირველია, ურდარსელში მირჩევნია წასვლა. ცხოვრებისგან რაიმე განსაკუთრებულს არასოდეს ველოდი, ახალგაზრდობაშიც კი. არც არაფრის შიში მქონდა, არც ხალხის, არც ეშმაკებისა. და თუ ასეთია ნება უფლისა, რომ ეს ხუტორი სამუდამოდ გამოცარიელდეს, გასაკვირი აქ არაფერია, ამას ყველა ელოდა. ყველამ იცის, რას წარმოადგენს ეს ადგილი. ჰოდა, სულ ერთი არ არის

განა, ძვირფასო მამასახლისო, რაც მომივა? დავბრმავდი, დავყრუვდი, თითები გამიშეშდა და გამიხევდა. გული გამომიშრა. სულ ერთია-მეთქი, სადაც ვიქნები, იქ თუ აქ, მაგრამ ურდარსელში მაინც ლამაზი დაისი იცის...

მამასახლისი ერთ ხანს გაოცებით შესცქეროდა მოხუცს. რას იზამ, როცა კაცი უკვე კაცი აღარ არის! მისი თქმისა არ იყოს, აღარც ცოცხლებში ურევია, არც მკვდრებში. მართალი მოგახსენოთ, მამასახლისმა აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ გაეგრძელებინა საუბარი. ნიკაპზე ხელი ჩამოისვა, დაამთქნარა, მერე საღეჭი თამბაქო ჩაკბიჩა.

— ხომ არ ინებებ, ბეჩავო? — გულთბილად ჰკითხა მამასახლისმა მოხუცს.

მოხუცმა ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა სტუმარი, მაგრამ ბოლოს მაინც მიხვდა, რომ ის თამბაქოს სთავაზობდა.

— ცოტა გაგასალისებს, — აუხსნა მამასახლისმა.

მოხუცმა ზრდილობიანად უთხრა უარი:

— არა. არა, არა, — ჩაიჩიფჩიფა მან. — არასოდეს არ გამისინჯავს მაგის ვემო. რა თავში ვიხლი თამბაქოს? ისედაც კარგად ვიცი, რომ ყოველივე ღვთის ნებით ხდება და რომ ეს კარგის მომასწავებელია.

თავი ოცდამეშვიდე

მარჯვენა ღაწვი

დიდი დრო არ უნდა, რომ ბიჭის ფეხის ნაკვალევი დაფაროს თოვლმა, თუ განუწყვეტლად ბარდნის, განსაკუთრებით მაშინ, როცა დღე მოკლეა, ღამე კი გრძელი, გაჭიანურებული. ნაკვალევს სწრაფად დაფარავს თოვლი. უშენი კვლავ თოვლის თეთრ, გლუვ საბურველშია გახვეული, გაქრა მოჩვენებებიც, გარდა იმ ერთი მოჩვენებისა, ეული ბიჭის გულში რომ ცოცხლობდა, ვიდრე თოვლმა არ წაშალა მისი ფეხის ნაკვალევი.

ყველაზე გრძელი ღამის შემდეგ დილით ადამიანი როგორ გრძნობს თავს?

შიში, დიახ, შიში, მგონი უშენშიც კი გაუჯდება ხოლმე ადამიანს გულში და მაშინ ბედნიერება უკვე აუხდენელი, შეუძლებელი ეჩვენება. სამაგიეროდ, ხუტორში ხორცი ახლა თავზე საყრელად ჰქონდათ. მრგვალი კასრები, ოთხკუთხა ყუთები პირთამდე იყო სავსე. დაბაში თქვეს: მძორიაო. ჰმ, ეს რა საკადრისია, სადაური მძორია? მაინც არავინ იყიდა და სხვა რაღა გზა ჰქონდათ, თვითონ უნდა ეჭამამათ, ჩვეულებრივი, ნასუქი ცხვრის კარგი ხორცი იყო, საშობა-

ოდ რომ შემოინახავენ ხოლმე, არა, მაინც რა აქვს ამ ხორცს დასაწუნი, ნასუქი ცხვრის საუცხოო ხორცს? ბიარტურის ოჯახში ასეთ ცხვარს დასაკლავად არასოდეს იმეტებდნენ, დღესასწაულებშიც კი ბებერი ცხვრის ძარღვიან, მაგარ ხორცს შეექცეოდნენ. ბავშვები მოფერიანდნენ, თავი დაუმძიმდათ, მოდუნდნენ, მოეშვნენ მუცლის აშლილობისაგან: დილით, ყავასთან ერთად ხორცი, შუადღისას საუზმედ—ხორცი, ხაწიწი, გამდნარი ქონი... ძაღლიც კი ისე ძღებოდა, რომ განძრევა უჭირდა. ჰოდა, მეტი რაღა უნდა ადამიანს?

აი, შობაც დადგა.

იმ საღამოს, როცა მოხუცი ჰალბერა ადრიანად შეწყვეტდა ქსოვას, ჩხირებს განზე გადადებდა და აუსტას ეტყოდა: „აბა, გოგონი, ახლა კი შეგიძლია ობანაო“, — მაშინ, მხოლოდ მაშინ იწყებოდა შობა. ჰალბერას ეგონა, აუსტა მარტო შობის წინა ღამეს ბანაობდა, ისიც მას მერე, როცა თვითონ უბრძანებდა. თავად კი ისე მოტყდა და დაძაბუნდა, სადღა ჰქონდა დაბანის თავი. განა ამით ამოიწურებოდა სადღესასწაულო მზადება? არა, ასეთი განკარგულების შემდეგ ჰალბერა მოიხდიდა შალის ძველ, დახეულ თავშალს, სკივრიდან ამოიღებდა შავი აბრეშუმის თავსაფარს და მოიხვევდა. ეს თავსაფარი მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. შუაგული ჯერ კიდევ მთელი ჰქონდა, ნაპირები კი გაცრეცილი ბებრული, ძარღვიანი თითების შეხებისაგან, რამეთუ რამდენიმე თაობა ალერსით ხელს უსვამდა ამ თავსაფარს, როგორც მსოფლიო სიმდიდრის ნაწილაკს, ან კიდევ იმის ნივთიერ საბუთს, რომ ასეთი სიმდიდრე არსებობს. მაგრამ სამზადისი ამით არ ამოიწურებოდა. შობა ხომ სამკაულების დღესასაწულია. თავსაფარს რომ მოიხვევდა ჰალბერა, ახლა საყურეებს ამოიღებდა. უშენ, მიყრუებულ ადგილებში საყურეები ცივილიზაციის სიმბოლოა, ისიც აგრეთვე მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას. სიძველით გაშავებულ ვერცხლის საყურეს ყურის ბიბილოში გაიყრიდა მოხუცი, თან ბუტბუტებდა და იმანჭებოდა, ეს მუდამ თან სდევდა ამ ოპერაციას. და მხოლოდ ამის შემდეგ დგებოდა შობა, იწყებოდა დღესასწაული.

ბიარტურმა აუსტას ცხვრის მთელი გვერდის მოხარშვა დაავალა. მოხარშული ხორცი უკვე გობში იდო და ბიარტური მივიდა ხორცის გასასინჯად. გვერდი მსუქანი იყო, სურნელოვანი. მიუხედავად უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბებისა, ბიარტურმა მაინც ვერ დაფარა აღტაცება და თქვა:

— აი, ამას ჰქვია დღესასწაული, ნამდვილი შობა.

ბავშვებს არ ახსოვდათ, რომ მამას ოდესმე ისე ეხსენებინოს შობა, როგორც განსაკუთრებული რამ. ახლა კი მამამ თქვა, ყველას როდი ჰყავს ისეთი ცხვარი, რომ შობას თავი მოიწონოს ჩინებული ხორციოთ. ბავშვები მოღუშულები ისხდნენ, გულგრილად, მდუმარედ ყლაპავდნენ ხორცს. სამნიღა დარჩნენ

და ეს სამი ერთთავად ფიქრობდა უფროს ძმაზე, რომელიც გაქრა, თოვლშ ჩაიკარგა. მთელი დაბა ფეხზე დადგა, ორი დღე ეძებეს ბიჭი, მაგრამ ამაოდ. ზაფხულის საკანელ ბიარტურს დარდი და ურვა არ უყვარდა: დანაკარგს ვეღარ დაიბრუნებო, იცოდა თქმა. შვილებზე გაბრაზდა, შობა დღესაც კი ასე კრიჭა-შეკრულები და მოღუშულები რად ხართ, ცხვირ-პირი რად ჩამოგტირინთო. და აი, დაწოლის დროც დადგა: იწყება შობა ღამე, მუცლის გვრემით გამოწვეული მოუსვენარი ძილით ან, საერთოდ, სიფხიზლით.

როცა ყველა დაწვა, აუსტა სოულილიამ ცეცხლზე ქვაბით წყალი დადგა, ფუსფუსებდა ჭრაქის შუქზე, თმა დაივარცხნა. ბიარტური საწოლზე გაწოლილიყო და გოგონას უცქეროდა. შობა ღამის მდუმარება გაცხელებული წყლის შიშინმა დაარღვია. აუსტა მამას თვალს არიდებდა. იმიტომ ხომ არ იქცევა ასე, რომ ცუდი გოგოა? ოჰ, როგორ მოხდა, რომ ისევ ი ს გაახსენდა, კვლავ ი მ ა ზ ე ფიქრმა გაჰკრა გულში? მას ხომ ცუდი არაფერი ჩაუდენია. მაგრამ ამ ზამთარს არა და არ შორდება ეს აკვიატებული მოგონება. აუსტა ამ მოგონებას რატომღაც დედის სიკვდილს უკავშირებს, თითქოს მასაც მიუძღვის დანაშაული, თითქოს მისი ბრალი იყო, რომ მამა საკმაო წამლებს არ ყიდულობდა დედისთვის. არც პალტო უყიდა... და მაინც, პატარა რომ იყო აუსტა, იმ ღამეს, იმ უცხო ქალაქში, გულში ცუდი არა გაუვლია რა, უბრალოდ მაშინ სხვანაირად არ შეეძლო მოქცევა. ახლაც, ამ შობა ღამეს, ასეთ მშვიდობიან დროსაც კი შუა ზამთარში აუსტა კვლავ შიშმა შეიპყრო. ეს იმის შიშით იყო გამოწვეული, რაც არ მომხდარა სინამდვილეში, იმის შიშით, რომ არ მიუტევეს რაღაც და ეს გამოუთქმელი, მტანჯველი „რაღაც“ ჩადგა მათ შუა, მასა და იმ რაღაც იდუმალს, გამოუცნობს შუა. იქნებ ორივე ებრძვის იმ „რაღაცას“ და თვითონაც არ ესმით, რა არის ის? ორივე ცალ-ცალკე ებრძვის, როცა საკუთარ თავთან რჩებიან? ის ძლიერია, აუსტა სუსტია. დიახ, მათ შუა თვალუწვდენი ზღვაა. ბიარტურის ცხოვრება მეტად ლამაზად იყო ნაგალობევი, რომ რითმებით შერწყმოდა ნის ჯერ უთქმელ, უტყვ ცხოვრებას, ბიარტურის გულოვნობა—მის სინაზეს. მაშინაც კი, როცა ბიჭი დაიკარგა, დაიკარგა ის, ვინც აქ ცხოვრობდა, სუნთქავდა ამ ჭერქვეშ, სულ რამდენიმე დღის წინ მამამ უბრძანა, ხმა გაიკმინდეთო. აუსტამ მთელი ღამე ტირილში გაათენა, მას კი ეძინა. იქნებ ძმის სიკვდილზე ასე მწარედ არც ეტირა, მაგრამ, როცა ახსენდებოდა, რა საზარელმა, განუჭვრეტმა წყვდიადმა შთანთქა ის ბიჭი, გული უკვდებოდა. მართალია, ძმა ცუდად ექცეოდა, მაგრამ აუსტამ ყველაფერი მიუტევა. მამა კი? არა, ცხადია, ისინი ვერასო+ დეს ვერ გაუგებენ ერთიმეორეს. აუსტა სოულილია და ბიარტური? ბიარტურს ეძინა, როცა აუსტა ღამეებს თეთრად ათენებდა, ცხარე ცრემლით ძმას მისტიროდა. ჰოდა, როგორ შეიძლება ერთიმეორის წინ დანაშაულის გამოსყიდვაზე

იფიქრონ, თუ ერთურთის არა ესმით რა? არა, გინდაც გაშიშვლდეს, მთლად გაიხადოს ყველაფერი, როგორც არ უნდა იბანოს ტანი, მაინც ვერ ჩამოირეცხავს იმ ბუნდოვანი, ამოუხსნელი დანაშაულის ლაქას, სხეულს რომ უბოქავს და გულს უხუთავს. ის კი წევს. კეფით მიბჯენია საწოლის ზურგს და გაოცებული უყურებს, ორთქლი და ჩრდილი როგორ ეთამაშება ნორჩ სხეულს.

მისი მარჯვენა ღაწვი იმით გამოირჩეოდა, რომ დღის განმავლობაში არასოდეს არ იყო ერთნაირი, ხან შიშს გამოხატავდა, ხან მოლოდინს, როგორც ზაფხულის ცაცა ცვალებადი: ხან მზის სხივებითაა გაბრწყინებული, ხან ჩრდილი დაეფინება. ასეთი ღაწვი—როგორც ცოცხალი არსება—უმწეოა თავისი გამახვილებული მგრძნობიარობით ყველაფრის მიმართ, რაც ხდება შიგნით და გარეთ, თითქოს ქალიშვილის სულიცა და სხეულიც ერთი მთლიანი გაშიშვლებული ნერვია, რომელიც ვერ ეგუება ბოროტებას და, ვინ იცის, ეგებ ცხოვრების გზაზე ბოროტების გარდა არა დახვდეს რა. ასეთ სულს მხოლოდ ბედნიერების მოლოდინი თუ იხსნის და არა თვით ბედნიერება. რა ეშველებოდა ამ ქალიშვილს, მარცხენა ავი ღაწვი რომ არა ჰქონდეს? დიახ, მის მარცხენა ღაწვში აშკარად იგრძნობა ძალა, რომელიც ბოროტებასთან ბრძოლის უნარზე მეტყველებს.

ბიარტურმა აუსტას უხმო, მოდი აქ, სათქმელი რამ მაქვს შენთანო. არა, ყურმა არ მოატყუა, ნამდვილად უძახის. და აუსტა მიუახლოვდა მამას. დაჯექიო, უთხრა ბიარტურმა, დიახ, უნდა მოელაპარაკოს, უკვე დიდი გოგოა, გონიერი. აუსტამ არაფერი უპასუხა და ბიარტურმა პირდაპირ უთხრა:

— საშობაო დღესასწაულის შემდეგ მარტო დაგტოვებთ აქ. აღდგომამდე აღარ დავბრუნდები.

აუსტამ გაფართოვებული, მუდარით სავსე თვალები შეანათა, სახე მოენისლა.

— ბევრი ცხვარი დავკარგე. აკი ოდინიც* ამბობს, ცხვრები კვდებიანო.

— ჰო!

აუსტას ბევრი რამის თქმა უნდოდა. უნდოდა ეთქვა, მე და ჩემი ძმები მხარში ამოგიდგებით, ხელს შეგიწყობთ, რომ ცხვარი ისევ მოიმრავლოო. მაგრამ რაკი მიდის, ღირს კი ახლა ლაპარაკი?

— მე არ ვჩივი, არ ვწუწუნებ, — განაგრძო ბიარტურმა. — ჩვენს კუთხეში სხვამაც ბევრმა ნახა ზარალი. ანდაზა ამბობს: ვიდრე ბალახი ამობიბინდება, ცხენი ფეხებს გაფშიკავსო. მაგრამ მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ. არ იფიქრო, თით-

* ოდინი—ომის ღმერთი, ვიკინგებისა და სკალდების მფარველი (სკანდ. მითოლ.)

ქოს დიდად ვაფასებდე სიცოცხლეს. მაგრამ მაინც ვიბრძოლებ, ვიბრძოლებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

აუსტა შეჰყურებდა მას, გული ძალუმად უძგერდა. ესმოდა, რომ ბიარტური სერიოზულ საქმეზე ელაპარაკებოდა, მაგრამ იმის გაგება უჭირდა, რასაც ის ეუბნებოდა. ორ ადამიანს ვერ გაუგია ერთმანეთისა, ამაოდ ცდილობენ ჩაწვდნენ ერთურთის გულს და სწორედ ეს ამაო ცდა არის საშინელება.

— შარშან იყო თუ შარშანწინ, კარგად აღარ მახსოვს, შეგპირდი, სახლს აგიშენებ-მეთქი. ჰოდა, რაკი ითქვა, უნდა გაკეთდეს კიდეც.

— სახლი? — გაიოცა აუსტამ. აღარც კი ახსოვდა.

— ჰო, სახლს აგიშენებ-მეთქი. მე იმათ ვუჩვენებ... მე... — ბიარტურმა დამუშტული ხელი ნაზად შეახო მხარზე. — როცა კაცს ცხოვრების ყვავილი ჰყავს, ცხადია, სახლის აშენებაც მოუნდება.

აუსტას ხშირი, ხუჭუჭა, წაბლისფერი თმა ჰქონდა, მოშვილდული წარბები, მისი გრძელი, მუქი წამწამების ქვეშ ცრემლის მსხვილი კურცხალი დაიმალებოდა. ბიარტურმა ისევ შეავლო თვალი ნაზ, მომრგვალებულ ღაწვზე, მან კი თავი დახარა და თითქოს სული შეუგუბდაო, ჩურჩულით ჰკითხა:

— მაშ, მიდიხარ?

— შენი იმედით ვტოვებ სახლს, შინ თუ გარეთ. ხვალ გვენდურსა და შენ აგიხსნით, როგორ უნდა აჭამოთ ცხვარს.

აუსტა სოულილიას ტირილი წასკდა, თანდათან უფრო მოერია შიში, გულში გაუჯდა, ყელში წაუჭირა, სასოწარკვეთილებას მიეცა. უიმედობის წუთებში, რაღაც უცნაური, ტკბილი გრძნობით რომ იპყრობს ადამიანის სულსა და სხეულს, აღარ იცოდა, რა ეთქვა, მასში ხომ სასოწარკვეთილება ლაპარაკობდა! ნეტავი ავად გახდებოდეს და მოკვდებოდეს, როგორც დედამისი მოკვდა აქ, შუაზამთარში, თოვლითა და ყინულით დაფარულ ამ უკაცრიელ ჭეობაში.

— ღმერთო, გეევედრები, მომკალი, დამასამარე. არ მინდა სიცოცხლე, არა, არ მინდა ბედნიერება, ერთი ბედნიერი წუთიც კი... მე ვარ დამნაშავე, სულ ჩემი ბრალია, რომ დედინაცვალი მომიკვდა... კარგად რომ მომეკლა, უკეთ მეზრუნა იმაზე... საბრალო ჰელგის ისე უყვარდა დედა, დღედაღამ იმაზე ფიქრობდა. ამ შემოდგომაზე, ერთხელ, საღამო ხანს, ჰელგი კარის ზღურბლთან იჯდა და ჩემი ყურით გავიგონე, რომ თქვა, მეც მკვდარი ვარ უკვეო... ნეტა მე ამბნეოდა გზა იმ სიბნელეში, მე დავღუპულიყავი, დავმარხულიყავი თოვლში. ვიცი, მჯერა, რომ სიკვდილი ძალზე კარგია. შენ თუ წახვალ მამა, მე ვეღარავინ მიშველის... — სასოწარკვეთილი გოგონა მწარედ ქვითინებდა, მამას ეკვროდა, მისი თავი ბიარტურის მხარზე თრთოდა.

ბიარტური დაიბნა, სიტყვა ველარ გამონახა. ვერ გაეგო, უკვირდა ხოლმე, რატომ ტირის ხალხიო. ცრემლს ვერ იტანდა, მაშინვე გუნება აემღვრეოდა, როგორც კი მტირალ ადამიანს დაინახავდა... მაგრამ თავისი ცხოვრების ყვავილს, ამ უმანკო ბავშვს როგორ გაუწყრებოდა. წყალი და ყრმობა განუყრელი თანამგზავრებია... თანაც შობა ღამე იყო... და ბიარტურმა ისევ გაუმეორა აუსტას, სახლის აშენებას რომ შეჰპირდა. ნუთუ დაავიწყდა? ეს იყო შემოდგომაზე, მას შემდეგ, როცა დედაბერი ფრიდა წავიდა მათი ხუტორიდან. ნეტა კი აქ არ მოხისფეხებულიყო.

მაგრამ გამოირკვა, რომ აუსტა სოულილიას მაინცდამაინც სახლი კი არ უნდოდა, თავის მიწურ ქოხს როდი სწუნობდა. იქნებ ოდესღაც, დიდი, დიდი ხნის წინათ ჰქონდა ასეთი სურვილი, ახლა კი მიწურითაც კმაყოფილი იქნება, თუკი მამა არ წავა, დარჩება თავის სოულასთან, თუ არ მიატოვებს თავის პატარა აუსტა სოულილიას.

— მე რომ აქ მარტო დავრჩე, ყველა იმის შემდეგ, რაც მოხდა და რაც შეიძლება კიდევ მოხდეს!..

ბიარტური უმტკიცებდა, არაფერიც არ მოხდება, მე ვარ თავდებიო, იცის, რასაც გულისხმობს აუსტა, მოჩვენებებზე ფიქრობს. ჰოდა, ახლა ბიარტური აუსტას იმასვე ეტყვის, რაც ხშირად უთქვამს თავისი ძაღლისათვის: . რასაც ეძიებ, იმას ჰპოვებო. ვისაც მოჩვენებების არსებობა სჯერა, შეეყრება კიდეც მათ. მან ქალაქს წასვლა გადაწყვიტა, უნდა მოეწყოს რამე საქმეზე, ცოტაოდენ ფულს თავი მოუყაროს და შემოდგომაზე იყიდოს ცხვარი. თავის ცხოვრებაში პირველად მიიღებს ფულად გასამრჯელოს შრომაში. იმედი აქვს, რომ ბრუნისთან მოეწყობა, თუკი ბრუნი ცოცხალია, იქნებ ისე შეტრიალდეს საქმე, რომ ბავშვები მარტო არ დარჩნენ. ფიორდში ერთი კაცი ეგულება... მაგრამ ბიარტურმა სიტყვა აღარ დაამთავრა, არ უნდოდა ბევრი დაპირების მიცემა.

— ნუ დარდობ, გოგონი, აბა, რა გაქვს სადარდელი. დედაშენი მარტოდმარტო იყო, როცა მოკვდა აქ, ამ ოთახში, რამდენიმე წლის წინათ. აბა, რატომ უნდა ნანობდე, რომ ქვეყნად გაჩნდი. ახლა შენი ძალისა და უნარის გამოცდის შესაძლებლობა გეძლევა და შენ იცი, როგორ გამოიჩენ თავს. ამაში არავინ არაფერს გამოგვართმევს. ბედის სამდურავი კი სჯობია მაშინ ვთქვათ, როცა იმქვეყნად ვიქნებით. აბა, შეიმშრალე ცრემლი და წადი, დაიძინე.

ამით დამთავრდა საუბარი, ბიარტური დაჯდა. აუსტამ თავი ჩაჰქინდრა და ჭურისკენ წავიდა. ტირილისგან ყელში რაღაც მოებჯინა, მაგრამ ეს არაფერია. სახელგანთქმული ორატორი, ოვიეთ ოქროპირი რომ ყოფილიყო, მაინც ვერას გააწყობდა.

მამა დაწვა, გაეხვია საბანში. სარკმელს მიღმა მოლურჯო თოვლი იდო,

მაგრამ მინებზე ყინულის ნაყშები არ ჩანდა. ქურა გახურებულიყო, ქვაბში წყალი დუღდა, ოხშივარი ადიოდა, ოთახში გრძელი ჩრდილები გაწოლილიყო, ლამპა ბჟუტავდა, შობა ღამე იდგა. ვერა, ვერავითარი ძალა, ულმობელი თუ ლმობიერი, ვერ მოსტეხდა მას, გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა. ძნელი იყო ასეთ მამასთან საქმის დაჭერა, მაგრამ აუსტა სოულილია არასოდეს არ ინატრებდა სხვა მამას. აუსტა უცებ მოეშვა (ასე ემართებათ გულამოსკვნილი ტირილის შემდეგ), მოდუნდა, მისთვის უკვე სულ ერთი იყო ყველაფერი. თითქოს შიგნით ყველაფერი გადმოუდუღდა, ორთქლის ბოლქვებად ჰაერში დაეკიდა, ნისლივით დააწვა და სულს უხუთავდა. ჯერ კიდევ მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ ცრემლი თანდათან შეაშრა წამწამებზე, თითქოს ცოტა დაშოშმინდა. ნელა იწყო წინდის გახდა, შემდეგ ქვედატანი გაიძრო და სკამზე დააწყო. ანგარიშმიუცემლად აკეთებდა ამას, არც მარჯვნივ გაუხედია, არც მარცხნივ, აწი როგორც არ უნდა მოიქცეს, ყველაფერი სწორი იქნება. დიდხანს იდგა ქურასთან, ცხელი წყლით სავსე ქვაბზე ხესავით გადახრილი. ლამპის მკრთალ შუქზე მოჩანდა მისი მაღალი მკერდის ნაზი მოხაზულობა, ორთქლის ჩრდილები დასრიალებდა კედელზე, ტუჩი ტირილისგან აბურცოდა და წამწამებზე შეაშრა მლაშე ცრემლი.

თავი ოცდამეერვე

თეთრი ალი

ყველგან, სადაც კი ღვივის სიცოცხლის ნაპერწკალი, სულ სხვადასხვანაირია ადამიანური განცდები — მწუხარეცაც და სიხარულიც. ამ მიყრუებულ ხეობაში რაღაც სასწაულის ძალით გადარჩენილმა ბავშვებმა იგემეს მწუხარება დიდიც და მცირეც, ყოველგვარი უბედურება, ნიადაგ რომ ატყდებოდათ თავს დღესასწაულში, თუ ჩვეულებრივ დღეებში. თუ დედათქვენი ზაფხულის პირველ მზიან დღეს გამოესალმა სიცოცხლეს, თუ მამამ სწორედ შობას გადაწყვიტა შინიდან წასვლა, უფროსი ვაჟიშვილის დაღუპვის შემდეგ, თქვენ უკვე შეცნობილი გექნებათ მწუხარების სახესხვაობა. მცირე ნაღველს დიდი მწუხარება ახშობს. მამის წასვლის შემდეგ ბავშვებმა უფრო მწვავედ იგრძნეს ობლობა. მამის მაგივრობა, იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება ვინმემ გაუწიოს ბავშვებს, დედის მაგივრობას კი ქვეყნად ვერავინ გასწევს. ამ შუა ზამთარში ბავშვებს სულ თვალწინ ედგათ ზაფხულის ის მზიანი დღე—დედის კუბო, ფა-

რეხში რომ დგას ფორანზე, აქა-იქ ჩამოკონწიალებულ ბუზის საჭერ ქაღალ-დებს შუა, მზე კი კაშკაშებს, ვითომც აქ არაფერიაო. დიდი ბუზი ერთფეროვა-ნი, გაბმული ბზუილით აწყდება ფანჯრის ჩარჩოს, სულ არ ანაღვლებს, რომ ამ ოჯახში ჩაქრა სიცოცხლე, გაჩერდა ტანჯვითა და სიყვარულით აღსავსე გული, რომ პატარა ოთახში დაისადგურა სიკვდილის სიმშვიდემ, რომელსაც საერთო არა აქვს რა გულის სიმშვიდესთან.

დღესაც, როცა სარკმელი თოვლითაა მოფიფქული, ის მეყვსეული ხმა, ის სხვა სამყარო, ერთადერთი, უცვლელი, უსულგულო და უცხო ბგერა, კვლავ ცოცხლდება ბავშვების მეხსიერებაში. ყოველი მათგანი თავისებურად იგონებს და განიცდის იმ დღეს, ერთიმეორეს თვალს არიდებენ. ცა და ყინულით შე-ჯავშნული მთები მზის შუქით დაფერილა, ამ საშინელ, სუსხიან ყინვაში ბლაუ-ფიედლის მწვერვალი ანთია, რიალებს თეთრი ალი და ბავშვებს ჰგონიათ, რომ ბურჯი გამოეცალა მათ სიცოცხლეს, ჩაიმხვლა, ჩაიქცა. ყინულჭრილთან მდგა-რი, უშფოთველი, მშვიდი ცხვარი გასცქერის თეთრად შესუდრულ უშენს და შეჰბღავის: მას არ ძალუძს თავისი ხასიათის თვისებები გადასცეს ხალხს. იმ დღეს უკანასკნელად რომ აჭამეს ცხვარს, ბიჭები იქვე, ფარეხის წინ ჩა-მოჯდნენ თოვლის ბორცვზე და უხალისოდ მიაჩერდნენ ერთფეროვან. თვალშენაჩვევ სივრცეს. ორივე თავის საფიქრალს მიეცა, არც ერთი ხმას არ იღებდა... მძიმეა, აუტანელია ცხოვრება, როცა დღე-ღამეს შრომაში აცხო-რებ, წუთი მოსვენება არ გაქვს, მაგრამ უფრო მძიმეა და აუტანელი ცხოვრე-ბა, როცა არავინ გვყავს ჭკუის მასწავლებელი, ვინც მიგითითებს, როგორ მო-იქცე, რა უნდა ქნა. უმცროს ბიჭს ბებია გაახსენდა. აი, ვინ იცის ყველაფერი. ოღონდ კარგად უნდა დაუგდო ყური, რომ გაარჩიო მისი ნათქვამი. და ნონიმ უფროს ძმას გაუზიარა თავისი ნაფიქრი. ბებიაჩვენმა ყოველთვის წინასწარ იცის, რაც მოხდება. წინასწარმეტყველივით გეტყვის და მერე, ვითომც აქ არაფერიაო, ისევ თავის ჩხირებს მიუბრუნდებაო.

— ეგ რა გასაკვირია, ერთთავად თუ ქსოვს, — უპასუხა პატარა ნონის უფროსმა ძმამ. — თითქმის ას წელს მიუღწევია და სხვა რაღა უნდა აკეთოს? შენ ისა თქვი, ჩვენ რა ვქნათ, რა გვეშველება?

— ჩვენ თამბაქო გვინდა.

— თამბაქო? — გაუკვირდა გვენდურს, ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ბიჭი.

— დიახ, თამბაქო. ვისაც შემოქმედისა არ ესმის, თამბაქოა მისი მხსნელი ჩემი ყურით გავიგონე, ეს რომ უთხრა ბებიამ მამასახლისს.

— შემოქმედი? — გაიმეორა გვენდურმა. — რომელი შემოქმედი? მგონი თვითონაც არ გესმის, რას როშავ.

— მე იმას გეუბნები, — უთხრა პატარა ნონიმ, — როცა თამბაქოს ღეჭავ, აღარაფერზე ფიქრობ და აღარ ნაღვლობ, გინდაც ყველაფერი შენი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდეს, შემოქმედის ნებით.

— ჩვენი განსვენებული ძმისა არ იყოს, შენც რაღაც გაუგებარ აბდაუბდას ჩმახავ. გირჩევნია, იმაზე იფიქრო და იოცნებო, რომ მალე გავიზარდოთ. ძაძას მხარში ამოვუდგეთ, ცხვარი მოვიმრავლოთ, სამჯერ უფრო დიდი ფარის პატრონები გავხდეთ, გავიჩინოთ ძროხები, დიდი მეურნეობა, როგორიც რედსმირშია, ავიშენოთ სახლი და ვინ მოსთვლის კიდეე რა.

— მეც ხშირად ვფიქრობ მაგაზე, — უპასუხა ნონიმ. — მაგრამ ღმერთმა უწყის, ეგ როდის მოხდება? ხანდახან იმაზეც ვფიქრობ, როგორ წავიდე აქედან, თუ, მაგალითად, ასი წლის მანძილზე არაფერი მოხდა, არაფერი შეიცვალა. იმიტომ, რომ აქედან წასვლა შეიძლება, თუმც ჩვენი განსვენებული ძმა კი ჩამჩიჩინებდა ერთთავად, მაინც არაფერი გამოვაო. ბევრი ხერხიც მოვიგონე აქედან წასვლისა, მაგრამ თუ არაფერი შეიცვალა, თუ ბევრი, ბევრი წელი გაივლის და ვერ მივაღწევ მიზანს, მაინც ძალა ჩემს ხელთაა, შემიძლია ისე მოვაწყო, რომ ჩემთვის სულ ერთი გახდეს ყველაფერი, გინდაც ცხვარი ვერ მოვიმრავლოთ, ვერც ძროხები გავიჩინოთ და ვერც სახლი ავიშენოთ. ეს ძალა კი — თამბაქოა. თამბაქო უნდა ვღეჭოთ.

გვენდურ გუდბიარტურსონმა აღარ ინება ასეთი სისულელისთვის ყურის დაგდება, ხმის ამოუღებლად წამოდგა და წავიდა.

ახალმა გრძელმა დღემ კვლავ მოჰფინა შუქი თოვლით დაბურულ მიდამოს და ადამიანთა პატარა, მფრთხალ გულს. ძმები ისევ თოვლის იმ ბორცვზე დგანან. ირგვლივ, როგორც წინა დღეს, თოვლის თეთრი საბურველის მეტი არაფერი ჩანს, არც ერთი მუქი ლაქა, არც ერთი. გვენდურ გუდბიარტურსონმა მოურიდებლად, პირდაპირ მიახალა ძმას:

— ყური მიგდე, ნონი. შენ თამბაქო მოიპარე, შარშანს აქეთ ბატკნებისთვის რომ ინახავდა მამა? კართან რომ ყუთი დგას, იქ იდო სხვა ხარახურასთან ერთად.

— გუშინ ისე მომეჩვენა, თითქოს შენ თამბაქოზე უარი თქვი. დღეს რაღა მოხდა, რატომ მოგეპრიანა?

— თუ ახლავე არ მოგიცია თამბაქო, იცოდე, მაგრა მიგბეგვავ, — დაემუქრა გვენდური უმცროს ძმას.

ბიჭები ეცნენ ერთმანეთს, მანამ ძიძგილაობდნენ და ფართხალებდნენ, ვიდრე გვენდურმა პატარა ნონის ჯიბიდან არ ამოაცალა დაობებული საღეჭი თამბაქო.

— აჰა, მარტო აპირებდი ამის შეჭმას, არა, ღორმუცელავ?

ბოლოს ძმები შერიგდნენ, ჯერ დაყნოსეს თამბაქო, მერე ენის წვერი აუსვეს და პირი გააწკლაპუნეს. ძმურად გავიყოთ შუაზე და დღეში ერთი ფირფიტის მეტს ნუ შევჭამთო, შეთანხმდნენ. მაგრამ დღის მიწურულს, ორივეს საშინლად ასტკივდა მუცელი, ღებინება დააწყებინათ, თავბრუ ესხმოდათ, რის-ვაი-ვაგლახით აბობღდნენ ოთახში. აუსტამ ტანთ გახადა ძმებს და ლოგინში ჩააწვინა. აუსტა საგონებელში ჩავარდა, რა მოუვიდათო, ბევრი იფიქრა, თავი იმტვრია, მაგრამ ბიჭებმა პირში წყალი ჩაიგუბეს, სიტყვა არ წამოცდენიათ იმ წამალზე, რომელიც ასე აბალისებს, ასე ესალბუნება სულსა და გულს, გინდაც ყველაფერი ღვთის ნებით, შენი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდეს.

აუსტა სოულილია ნართს ახვევს და ფიქრობს საღამოზე. როგორ შეეძლო არ ეფიქრა ყოველ მომავალ საღამოზე, ესოდენ უსასრულოდ რომ აგრძელებს, აჭიანურებს წარმავალ დღეს? აუსტა აზრით უბრუნდება გუშინდელ დილას, იხსენებს, როგორ ჭრაჭუნობდა კიბე მამის ფეხქვეშ, უკანასკნელად რომ ჩავიდა ქვევით, როგორ გაიჟღარუნა აკაზმულობამ, როცა მამამ ლაგამი ამოსდო ბებერ ბლესის და ზედ შეჯდა. უნაგირის გარდიგარდმო ყუთი ედგა, როგორ გაღრაჭუნა ყინვით შემკვრივებულმა თოვლმა ცხენის ფლოქვებქვეშ. ეს გამგზავრება—საგის პირველ ნაწილს ჰგავს. დიდხანს, დიდხანს ფიქრობს ამაზე აუსტა, იხსენებს ყოველ წვრილმანს, რომ მერე შვებითა და სიხარულით იფიქროს მის დაბრუნებაზე. მამა საღდგომოდ ჩამოვა. იქნებ აღდგომა „წითელი“ იყოს, როგორიც შობაა „თეთრი“?* გაივლის კიდევ ბევრი, ბევრი საღამო, აუსტა სოულილია უცებ გაიგონებს აკაზმულობის ჟღარუნს, ის ლაგამს წაჰყრის ცხენს და კვლავ აჭრაჭუნდება კიბე და, აი, საძვრომის ხვრელში გამოჩნდება მისი სახე, მისი ფართო, ღონიერი მხარბეჭი. ჩამოვიდა! აუსტა მიჰქრის იმ მომავლის ზმანებისაკენ, აი, უკან ჩამოიტოვა ურიცხვი, ურიცხვი საღამო, გრძნობს, რომ უკვე შეუძლია ნახტომი გააკეთოს და, აი, დგას ამ უსასრულო საღამოების პირისპირ, საღამოების, რომლებიც უნდა მოვიდეს და უნდა წავიდეს, როგორც მიცვალებულები გაივლიან ცოცხალი ადამიანის გულში. ასე ცოტა რამ არის საჭირო ცოცხალი ადამიანის სანუგეშოდ. მაგრამ აუსტა სოულილიას არაფერი აქვს სანუგეშო.

— ბები, შობის დღესასწაული რომ გაივლის, რა იქნება მერე?

— რაო? — ჩაეკითხა ჰალბერა. — განა რამე იქნება კიდეე? საბედნიეროდ, მგონი მეტი არაფერი არ უნდა იყოს.

— კი, მაგრამ, ახალი წლის შემდეგ რაღაც ხომ უნდა იყოს, ბები?—„მე

---

* „წითელი შობა—თეთრი აღდგომა“—ისლანდიური ანდაზა. „წითელი მიწა“ ისლანდიურად თოვლით დაუფარავ მიწას ნიშნავს.

იმის გაგება მინდა, აღდგომამდე თუ არის კიდევ რაიმე დღესასწაული“, — გაიფიქრა აუსტამ, მაგრამ რატომღაც კითხვა ვერ გაბედა.

— არა, არა მგონია. რვა დღის შემდეგ ნათლიღებაა, მაგრამ ეს დიდ დღესასწაულად არ ითვლება. მოკლე ხანში დიდი დღესასწაული აღარ იქნება, არა.

— ჰო, ნათლიღება, — სწორედ ამის გაგება უნდოდა აუსტა სოულილიას. დღესასწაულები—მომავლისკენ გაჭრილი საფეხურებია და როცა ამ საფეხურებს ითვლი, იოლად ივიწყებ ურიცხვ საღამოებს. დიახ, ნათლიღების შემდეგ კი?

— მერე ტორის* თვეც დადგება.

„ტორის თვე“, — ნაღვლიანად ფიქრობს ყმაწვილი ქალი. ეს თვე თოვლის, ქარბუქის, თოვლის დნობის და ყინვის მონაცვლეობას ახსენებს. ამიტომაცაა უაზრო. თოვლის დნობა, რომელსაც ყინვა ენაცვლება, ყინვა და კვლავ თოვლის დნობა, და ასე საუკუნიდან საუკუნემდე.

— არა, ბები, ტორის თვეზე კი არ გელაპარაკები, მე დღესასწაულები მქონდა მხედველობაში, დღესასწაულები...

— ჩემს ყმაწვილქალობაში, ხალხი აკვირდებოდა, როგორი ამინდი იდგა წმიდა პავლესა და მირქმის დღეს. მაშინ სულ სხვა დრო იყო, ხალხი ძველ წეს-ჩვეულებებს მისდევდა.

აუსტა სოულილია ელოდა დიდმარხვის ოთხშაბათს: ახსოვდა, რომ ამ ოთხშაბათის შემდეგ დიდი დრო აღარ რჩებოდა აღდგომამდე. აღდგომამდე კი, არც მეტი და არც ნაკლები, კიდევ ტორის თვე და გოუას** თვე იყო დარჩენილი, შემდეგ ამისა დაიწყებოდა დიდმარხვის ცხრა კვირა. ცხრა კვირა! ვინ აიტანს ასეთ მოლოდინს? აუსტამ მაინც გული გაიმხნევა, თავი დაიმედა, არა უშავს, დიდმარხვის ცხრა კვირაც გაივლის და მერე, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ, აღდგომაც კარს მოგვადგებაო.

— მანამდე, მგონი, ყველიერი უნდა იყოს.

— მერე კი, ბები, დიდმარხვა დადგება. ჰოდა, აღდგომაც შორს აღარ იქნება, ხომ?

— თითქოს ასეა, — უპასუხა ბებიამ და ისევ თავი დახარა, ცერად დახედა თავის ჩხირებს. — ჩემს ახალგაზრდობაში მარხვა ყველიერის ოთხშაბათ დღეს იწყებოდა.

---

* ტორის თვე—შუა (მეოთხე)ზამთრის თვე, იწყება იანვრის შუა რიცხვების შემდეგ და მთავრდება თებერვლის შუა რიცხვების შემდეგ. ისლანდიური კალენდარი თავისებურია: წელიწადი ორად იყოფა: „ზამთარი“ და „ზაფხული“. დაახლოებით შუა „ზამთარში“ დგება ტორის თვე, მას მოსდევს გოუას თვე და ეინმაუნუდურის თვე.

** გოუას თვე—თებერვლის შუა რიცხვებიდან მარტის შუა რიცხვებამდე.

— რომელი მარხვა?

— დიდმარხვა, ყველაზე უდიდესი, ჩემო გოგონი. როცა მეთექვსმეტე წელში ხარ, გეჩვენება, რომ აღდგომა დიდმარხვის პირველი კვირის შემდეგვე დგება. ჩემს ახალგაზრდობაში სულელს დაუძახებდნენ ქალს, თუ არ იცოდა, რა არის დიდმარხვა, როგორი უქმეებია ამ მარხვის მანძილზე, მაგალითად, ხარება.

— წითელი პარასკევი? — იკითხა აუსტამ, — ოდესმე ხომ უნდა დადგეს წითელი პარასკევი?

— მე მგონია, მანამდე მაგნუსის წირვა და კიდევ დიდი ოთხშაბათი უნდა იყოს.

აუსტა სოულილიამ მთავარ სალაპარაკო თემად აღდგომა აირჩია, მაგრამ მისი ცდა იმით დამთავრდა, რომ გზა აებნა კალენდარის ამ უღრან ტევრში, დაჰკარგა ორიენტაცია და დანებდა. ნართი დაინამა მის გაოფლილ თითებში, დაიხლართა, წარამარა ეკვანძებოდა და ვეღარ ხსნიდა.

ახლგაზრდობას რატომ ვერ ჰგვრის ნუგეშს იმის ფიქრი, რომ ყველაფერი თავის დროზე მოვა, როგორც ამას შემოქმედი ინებებს?

— დიდი უქმე განა ყოველთვის უპირატესია პატარა უქმეზე, — გულთბილად უთხრა მოხუცმა ჰალბერამ გოგონას. — კარგად მახსოვს, ერთხელ სამებას დიდი თოვლი იდო, განსვენებულმა მამაჩემმა ძროხა გარეთ გადენა, რომ ყინულიდან ამოშვერილი, ჩამჭკნარი ბალახი ძოეწიწკნა. საბანი შემოვახვიეთ ზურგზე პირუტყვს, ცური ჭინჭით ამოვუკარით. ჩემს ახალგაზრდობაში ზოგჯერ ივანობას საშინელი ქარბუქი მძვინვარებდა.

თავი ორმოცდამეცხრე

უკეთესი დროება

რა არის ეს? ლაგამი ეღარუნებს? ყინული ხომ არ წკრიალებს ცხენის ფლოქვებ ქვეშ? ბლესი ხომ არ ფრუტუნებს თოვლსა და სიბნელეში? ბლესია, ჰო, ნამდვილად ბლესია. ბავშვები თვალის დახამხამებაში ჩაცვივდნენ ქვევით და თოვლში გაჭრილი გვირაბით ავიდნენ თოვლის ბორცვზე.

— ჰეი, არის ვინმე აქ?

— მადლობა ღმერთს, — დაიჩურჩულა ვიღაცამ სიბნელეში, სადღაც

მათ მახლობლად. — მადლობა ღმერთს. ჩანს, მართლა მოუგნია ცხენს სახლისთვის. აქა ვარ, აქ, ჩემთან მოდით.

ბავშვები იქით წავიდნენ, საიდანაც ხმა შეესმათ და მალე დაინახეს უცნობი კაცი. კაცმა გათოშილი ხელი გაუწოდა მათ. როგორც მოსულს, ისე დამხვდურებს ერთნაირად გაეხარდათ ერთმანეთის დანახვა.

— სახლის კარია ეს? — იკითხა უცნობმა.

— არა, ეს თოვლში გაჭრილი გვირაბის შესასვლელია, — უპასუხეს ბავშვებმა.

— თუ ღმერთი გწამთ, ჩქარა შემიყვანეთ შინ, — თქვა უცნობმა. — მგონი, ავად გავხდი. თვითონვე მიკვირს, რა სასწაულმა გადამარჩინა, როგორ არ გავიყინე ამ უშენში. ისეთ საშინელ ქარბუქში მოვხვდი.

ვიდრე გვენდური ბებერ ბლესის თავლაში დააბინავებდა, აუსტამ და პატარა ნონიმ სტუმარი თოვლში გაჭრილი გვირაბით შინ შეიყვანეს.

— ეგრე ნუ გარბიხართ, ბავშვებო, ვერ მოგყვებით, მე ხომ ჯოხს ვებჯინები.

სტუმარი როგორც იყო აბობღდა ოთახში ამავალ კიბეზე, გაჩერდა საძვრომთან და მოხუც ჰალბერას მიესალმა. იდგა ერთ ადგილას მობუზული, ძაგძაგებდა, მთაში სამოგზაუროდ ვერ იყო გამოწყობილი. ცხადია, ქალაქელი კაცია. ისე გავითოშე, მეშინია, ფილტვების ანთება არ დამემართოსო, .თქვა უცნობმა. დიდი ხნის შემდეგ ბავშვები ხშირად იხსენებდნენ ამ წუთებს და უკვირდათ: რა უცნაურია, როგორი ბებერი გვეჩვენა, კიბის თავთან რომ იდგა, ის კი მთლად ახალგაზრდა ყოფილაო. არც ერთი მისი მოძრაობა, არც ერთი ღილი მის სამოსზე არ გამოპარვია ბავშვების ხარბ თვალებს, ქვეყანას რომ იყვნენ მოწყვეტილები, თოვლით დაფარულ უდაბნოში მდგარ ქოხში გამომწყვდეულები და საშინლად სწყუროდათ რაიმე ახლის დანახვა ან გაგონება. ხამლიც ქალაქური აცვია, ეტყობა, წარჩინებული კაცია. პირველად მოხუცი ჰალბერა გამოერკვია და სტუმარს ჰკითხა, საიდან ინებე მობრძანებაო.

— ქვემოდან, ფიორდიდან ვარ, — მიუგო სტუმარმა.

— მაგდენი კი გამეგება, საბრალოვ, — უპასუხა მოხუცმა. — აბა, ჩემო გოგონი, გაინძერი, სტუმარს მიეხმარე ზედა ტანსაცმელისა და წინდების გახდაში. მარდად დატრიალდი, ცხელი ყავაც მიართვი მგზავრს. ჩვენთან ხომ არ ინებებთ ღამის გათევას?

— დიახ, საბედნიეროდ, გზის გაგრძელება აღარ მჭირდება, — დაიჩურჩულა სტუმარმა. — დიახ, დიახ, — ისე ჩურჩულებდა უცნობი, თითქოს დიდ საიდუმლოს უმხელს ვინმესო. აშკარა იყო, ადგილიდან დაძვრაც კი უჭირდა.

აუსტა სოულილიას იმედი ჰქონდა, რომ სტუმარი არ გახდებოდა ავად

ფილტვების ანთებით. ეშინოდა, ავად რომ გახდეს, ვერ მოვუვლიო, პატარა ქალს ისეთი დიდი პასუხისმგებლობა დააწვა, მისი იმედით დატოვეს ოჯახი. და, აი, პირველი სტუმარიც ეწვია. ნეტა რა უნდა ქნას, რა გააკეთოს სტუმრის პატივსაცემად, როგორი სიტყვებით უნდა მიმართოს, რა შესთავაზოს. ბოლოს ისევ სტუმარმა დაარღვია დუმილი და დაიჩურჩულა:

— დიახ, აქედან აღარსად მომიწევს წასვლა. მე გუდბიარტურ იოუნსონმა გამომგზავნა. რასაკვირველია, მოკითხვას გითვლით, თუმც ამის თქმა კი დაავიწყდა. მასწავლებელი გახლავართ, მთელი ზამთარი თქვენთან ვიქნები, თვითონაც არ მჯერა, მაგრამ ეს მაინც ასეა.

სტუმარმა გაიხადა გაქუცული, ქალაქური პალტო და ცალი ხამლი. მეორე ხამლის გახდას არ აპირებდა. ფეხიც როგორღაც უცნაურად გაფშეკილი ეჭირა. თითქოს ძვლამდე გაატანა ყინვამ და გაუშეშდაო. აუსტამ კინაღამ ჰკითხა, რა მოგივიდათო, მაგრამ თავი შეიკავა. ეგებ ყმაწვილი ქალისთვის შეუფერებელია უცხო კაცისადმი მზრუნველობის გამოჩენა, გინდაც იმის შიში ჰქონდეს, რომ სტუმარს ფეხი მოეყინა? უცნობი საწოლზე წამოწვა და აუსტას სთხოვა, დამაფარე რამეო. აუსტას არასოდეს არ დაუფარებია მამაკაცისთვის საბანი, შეცბა, გული აუძგერდა, მაგრამ მაინც მივიდა და ისე გაახვია, როგორც თავის ძმებს ახვევდა, როცა პატარები იყვნენ და ის უვლიდა მათ. სტუმარმა მარჯვენა ფეხი არ შესწია საბანქვეშ, უცნაურად გაფშეკილ-გაშეშებული ედო ლოგინზე. აუსტამ აღარ იცოდა, რა ექნა.

მაღალი შუბლი ჰქონდა სტუმარს, შუბლზე ხშირი, მაგრამ სწორი თმა ჩამოშლოდა, სახის სწორი ნაკვთები ყინვისაგან მოპრუწოდა. შეძგიბული კანი სითბოში ნელ-ნელა გაეშალა და სახე ძალზე დაუმშვენდა. როცა აუსტა საბანს აფარებდა, დაინახა, რომ სტუმარს ყავისფერი პერანგი ეცვა. მაშ ასე, კვლავ ეწვიათ სტუმარი. მოვიდა მათთან ნდობით და დასახლდა აქ. არა, ძე-ხორციელმა არ უნდა გაიგოს. აუსტა არავის, არავის დაპატიჟებს ამ ზამთარს, რომ ქვეყანას არ მოსდონ ეს ამბავი. ამ სტუმარს აუსტას ვეღარავინ წაართმევს, როგორც უწინ წაართვეს, როცა პატარა იყო.

— ახალი რა არის? — ჰკითხა მოხუცმა ჰალბერამ სტუმარს.

სტუმარმა ბედ-იღბალზე ჩამოაგდო სიტყვა. ბედისწერის მიუწვდომელ, ამოუცნობ გზებზე, ავადმყოფ კაცს რომ ასეთ სახიფათო გზას გაუყენებს ამ შუა ზამთარში. მერედა ვის? იმას, ვისაც ათეული წლები გაუტარებია ქალაქებში, ღუმელით გახურებულ ოთახებში, საუცხოო სითბოში.

— დიახ, გამიგონია. ათას რამეს ამბობენ მაგ ღუმელებზე, — თქვა მოხუცმა ჰალბერამ. — არასოდეს თვალით არ მინახავს ეგ ღუმელი და მთელი ცხოვრება ისე გავატარე, ფრჩხილიც არ წამომტკივებია, თუ სათვალავში არ

ჩავაგდებთ ჭინჭრის ციებას. თხუთმეტი წლისა ვიქნებოდი მაშინ, ერთ ღამეს გამომაყარა მხოლოდ, მაგრამ დილით ჩვეულებრივ წამოვდექი და ჩემს საქმეს შევუდექი. სულ ნედლი თევზის ბრალი კი იყო, ბიჭებმა ტბაში რომ დაიჭირეს. ეგ სამხრეთში მოხდა, იქიდან გახლავარ წარმოშობით.

სტუმარი ერთ ხანს გასუსული იწვა და ფიქრობდა ამ საოცარ მოხუცზე, რომელსაც უკანასკნელი სამოცდახუთი წლის მანძილზე ფრჩხილიც არ წაჭოსტკენია და ღუმელი თვალით არ უნახავს. ბოლოს, სტუმარმა ისევ დაილაპარაკა, მოხუცს უთხრა, კარგად თუ ჩავუფიქრდებით, იქნებ იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ღუმელში მოგუზგუზე ცეცხლი,—ეს მსოფლიო ცივილიზაციის ნიშანი — სწორედ ის ცეცხლი გახლავთ, რომელიც უფრო აცხოველებს ადამიანის გულში დანთებულ ტანჯვის ჩაუქრობელ კოცონსო. ჰოდა, საკითხავია, რა უფრო სასარგებლოა ადამიანის სხეულისთვის, სიცივე თუ ღუმელში აგუზგუზებული ცეცხლი, ცივილიზაციას თან რომ ახლავს. ეგებ პირველი სჯობს მეორეს? მართალია, როცა ქვეყანას ხედავ, ნაირსახოვანი, თვალწარმტაცი სურათი გეშლება თვალწინ, მაგალითად, კალიფორნიის მოშრიალე ტყეები ან ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაშლილი მზით მოოქროვილი პალმის ხეივნები. მაგრამ რაც უფრო მომხიბლავია, რაც უფრო თვალისმომჭრელად ბრწყინავს ბუნება—მით უფრო ცივი და უგრძნობელია ადამიანის გულიო.

— თუმცა, — დაუმატა სტუმარმა, — მე მუდამ მიყვარდა ბუნება და როცა კი შესაძლებლობა მომეცემოდა, მუდამ ვცდილობდი დავმტკბარიყავი ამ ბუნებით.

— დიახ, — უპასუხა მოხუცმა. ჰალბერამ მასწავლებლის ჭკვიანური სიტყვების ნახევარიც ვერ გაიგო, რაც გაიგო, ისიც თავისებურად წაღმა-უკუღმა შეატრიალა და ჩაიჩიფჩიფა:

— ვერ გამიგია, ეს რა ხუშტურმა მოუარა ბიარტურს. თვითონ წავიდა, კეთილი ხალხი კი არ დაზოგა და ასეთ ამინდში გამოისტუმრა ჩვენკენ?

— ჩემზე ნუ სწუხართ, ბები. დროა ცოტა დავისვენო, ცოტა ხნით მაინც მოვწყდე ცივილიზაციის ჭაობს, — მოკრძალებით მიუგო სტუმარმა მოხუცს,— კარგა ხანია დიდ სამყაროში ვტრიალებ, ვტრიალებ კაცობრიობის ოკეანეში. როცა კაცი იმდენ სიმწარეს იგემებს, ისეთ ტანჯვას გამოივლის, როგორც მე, გული პატარა სამყაროსკენ მიუწევს. უბრალო, ბედნიერი ცხოვრებისკენ, როგორიც, მაგალითად, ამ ოჯახშია. მაგრამ განა ჩემსავით ყველას გაუღიმებს ბედი, რომ აქ ამოჰყოს თავი? დიდი სამყარო თავის ნადავლს ებღაუჭება, ხალისით როდი უშვებს ხელიდან. დღეს, აქეთ რომ მოვდიოდი, ამ საშინელ გზაზე, ამ მიუვალ მთებში, გავიფიქრე, მორჩა, ჩემი აღსასრულის საათმა დაჭკრა-მეთქი, როგორც წიგნებში წერენ: ერთ მტერს გაექცევა კაცი და მეორე—.

უფრო სასტიკსა და ულმობელს ჩაუვარდება ხელშიო. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, რომ იტყვიან. თუ სასწაულის ძალით სიკვდილს გადავურჩი, ავადმყოფობას ხომ მაინც ვერ ავცდები-მეთქი, ვფიქრობდი. მაგრამ აი, მოდის ჩემსკენ მშვენიერი ქალიშვილი, ცხოვრების ყვავილი, მოაქვს ყავა და ვხედავ, რომ ჯერ ადრეა სიკვდილი, ცოტა ხანს კიდევ უნდა ვიცოცხლო. არა, ბები, არა, ადამიანი არასოდეს არ არის ისე განწირული, რომ სიკვდილამდე ერთხელ მაინც არ გაუღიმოს ბედმა. — მადლიერებით აღვსილმა სტუმარმა წამოიწია საწოლზე და ცხოვრების ყვავილს ყავა ჩამოართვა.

ხამლიანი ფეხი ჯოხივით ჰქონდა გამოშვერილი და ბიჭები თვალს ვერ აშორებდნენ ამ უჩვეულო ფეხს, ეჩვენებოდათ, რომ სწორედ ეს იყო მათი სტუმრის წარჩინების უტყუარი ნიშანი. აუსტამ ჭვავის პურის ნაჭერს სქლად წაუსვა ვირთევზას ქონი და, წარმოიდგინეთ, ზედ შაქარიც მოაყარა. ასეთი რამ არავისთვის არ გაუკეთებია, იშვიათად, მალულად თავისთვის თუ გააკეთებდა, რადგან დიდ ფუფუნებად მიაჩნდა ქონწასმულ პურზე შაქრის მოყრა. სტუმარმა თქვა, ამაზე გემრიელი ჯერ არაფერი მიჭამიაო.

— მადლობა ღმერთს, — დაუმატა სტუმარმა, — თურმე ქვეყნად კიდევ არსებობენ ისეთი ქალიშვილები, რომელთაც გაწითლების უნარი შერჩენიათ.— ეს იმიტომ თქვა, რომ აუსტას ალმური აჰკრავდა ხოლმე სახეზე, როცა ის მადლობას ეტყოდა. ნუთუ მართლა ასე ემაღლიერება ამ ტანწვრილ, სუსტ გოგონას, ნიდაყვებგამოხეული, გაცვეთილი კაბა რომ აცვია? მერედა ვინ? ის, ვისაც კაცობრიობის ცხოვრების ოკეანე უნახავს, ოო, რაოდენ შემწყნარებელია დიდი ადამიანი? აუსტამ მტკიცედ გადაწყვიტა, ისე მოქცეულიყო, ყველაფერი ისე გაეკეთებინა, რომ ამ კაცის მადლობა დაემსახურებინა. მან ხომ დასთმო კალიფორნიის მოშრიალე ტყეები, დასთმო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაშლილი, მზით მოოქროვილი პალმის ხეივნები, გადმოიარა დათოვლილი უშენი იმისათვის, რომ მათ ასწავლოს. აუსტას დილით ადგომა მუდამ უჭირდა, ახლა კი ხალისით წამოფრთხიალდებოდა ხოლმე უთენია და მაჭკატებს აკეთებდა, რომ დილის ყავასთან ერთად მიერთმია სტუმრისათვის. რა თქმა უნდა, იმას ვერ ვიტყვით, რომ ამ კაცის სახეს მაშინაც კი ეფინა ღიმილი, როცა მისი ბაგე არ იღიმებოდა, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ის ზამთარში ესტუმრათ, უწინდელი სტუმარი კი, მუდამ მოღიმარი სახე რომ ჰქონდა,—ზაფხულში. მასწავლებლის ჭკვიანი თვალები, რაღაც ისეთი სიკეთის, მხიარულების შუქს აფრქვევდნენ, თითქოს შენს სულში იხედებიან, თითქოს ამ თვალებს შეუძლია შენი სულისა და სხეულის ყველა ამოცანის ამოხსნაო. მძიმე წუთებში უსათუოდ გაგახსენდება ასეთი თვალები და გწამს, რომ შვებას მოგგვრიან,

განუგეშებენ. არა, აუსტას აღარ რცხვენოდა, ცოტა კი წითლდებოდა, მაგრამ ჰაინც ისე გათამამდა, რომ მამის ამბავიც კი ჰკითხა მასწავლებელს.

— დიახ, ჩემო ძვირფასო, ის ნამდვილი ვიკინგია,—თქვა მასწავლებელმა,— და თურმე ამ ვიკინგს წაბლისფერთმიანი, ფერმკრთალი გოგონა ჰყოლია. წარმოდგენაც არ მქონდა ამაზე.

— იმედია, ბრუნი უარს არ ეტყოდა ბიარტურს. ალბათ უკვე მოაწყო, არა? — ჰკითხა მოხუცმა ჰალბერამ.

— არა, ბები, ვაი რომ არა!—უპასუხა მასწავლებელმა.—წავიდა ის დრო, როცა ვაჭრები მონოპოლისტები იყვნენ, ყველაფერს მოთავეობდნენ. როგორც იქნა, აგვეხილა თვალი, გამოვფხიზლდით, საკმაოდ მოვმწიფდით იმისათვის, რომ დემოკრატიის მადლით და სიკეთით ვისარგებლოთ.

— ბოდვაა, — მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

— ახლა მთავარი ავან-ჩავანი ინგოულფ არნარსონ იოუნსონი გახლავთ, — თქვა მასწავლებელმა. — იმათ, ვინც ქვრივ-ობლების ძარცვით ხელს ითბობდა, ღირსეული სასჯელი მიუზღეს უკვე. დადგა ახალი, სხვა საუკუნე, რომელიც დიდი შეხლა-შემოხლის მიზეზი გახდა, რომელმაც თამამად გამოიწვია ბრძოლაში წარსული. იგი სამართლიანობას მოითხოვს, ჩაგრულთა და ღატაკთა ქომაგია, იგი გრძნობს თავის ძლევამოსილებას, თავის სიდიადეს, როგორც ნათქვამია „ახალი საუკუნის ხოტბაში“. ძალაუფლება იმათ ხელში გადავიდა, ვინც ვაჭრობის საქმეს საღ საძირკველზე აგებს. შობის წინა დღეებში ტულინიუს იენსენი ხომალდში ჩაჯდა და გაემგზავრა ისლანდიიდან. ჩვენ ვიბრძოდით ვაჭრობის იმ პრინციპებისათვის, რომელთაც ნერგავს ინგოულფ არნარსონი და ჩვენ გავიმარჯვეთ. ინგოულფ არნარსონმა უცხო ქვეყნები მოიარა, გაეცნო და ეზიარა მოწინავე ეკონომისტების ჰუმანიურ იდეებს და თავის ქვეყანაში ცდილობს ამ იდეების განხორციელებას, იბრძვის ამისათვის. ბევრ რამეს მიაღწია კიდეც. მან შეუმსუბუქა მდგომარეობა იმათ, ვინც მთელი ცხოვრება ვაჭრის მონობაში ღაფავდა სულს, მან სესხი მისცა ისეთ ღატაკებს, რომელთაც წლების მანძილზე ახლოს არ იკარებდნენ ვაჭრები, ერთ მუჭა ჭვავის ფქვილსაც კი არ აძლევდნენ. ჩვენ დავეხმარეთ ინგოულფ არნარსონს ძალაუფლების მოპოვებაში. მე ვიცნობ ერთ წვრილშვილ, ღატაკ კაცს, რომელსაც შიმშილით სული ძვრება, რომელიც გატაცებულია ლიტერატურით, უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებით. ამ კაცს ინგოულფ არნარსონმა მთელი კასრი დამარილებული ხორცი და სხვადასხვა სანოვაგით სავსე ყუთი გაუგზავნა უფასოდ. გარდა ამისა, სამუშაოც უშოვა ორი კვირით, სასაკლაოზე მოაწყო. რას იტყვით ამაზე? ჩვენ ქვეყანაში ხომ ბევრია უმუშევარი, ბევრია ისეთი წყალწაღებული, რომელთაც სხვა გზა აღარა აქვთ, სამოწყალოდ უნდა გაიშვი-

რონ ხელი, ჰოდა, რამ მიიყვანა ასეთ საკალალო მდგომარეობამდე ჩვენი ხალხი? იმან, რომ შეეურიგდით, შეეჩვიეთ, ვითმენდით ვაჭრების თვითნებობას, გვეგონა, რომ ჩვენი ხსნა მარტო ამ წურბელების ხელში იყო, უკანასკნელ წვეთამდე რომ გვწოვდნენ სისხლს, ტყავს რომ გვაძრობდნენ. დიახ, დიდედა, ინგოულფ არნარსონ იოუნსენი დიდი კაცია. ძალზე ეკიანი და მოხერხებულიც გახლავთ, მთელი ქვეყანა გააცურა. უწინ დიდი თანამდებობა ეჭირა, მაგრამ დასთმო, სასწორზე დადო თავისი სიცოცხლე და რეპუტაცია ჩაგრულთა დასახსნელად. უფლებამოსილნი ხომ გულაზიზობით არ გამოირჩევიან, არავითარ ხერხს არ თაკილობენ, რას არ წერენ გაზეთებში იმათზე, ვინც ღარიბებს ეხმარება. და მაინც ჩვენი გავიტანეთ, ინგოულფ არნარსონი ბრუნის სახლში ჩავასახლეთ. უკანასკნელად რომ შევხვდი გუდბიარტურ იოუნსონს, მას ინგოულფის ავეჯი გადაჰქოხდა ბრუნის კოშკიან სახლში და, რამდენადაც ვიცი, გუდბიარტური სამომხმარებლო საზოგადოების საწყობში მოეწყო სამუშაოდ.

— ასეა, ჩემო ბატონო, — დაიწყო მოხუცმა ჰალბერამ, — ასე იყო და ასე იქნება. ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან. ბევრი აგინებს ვაჭრებს. რა თქმა უნდა, ძნელია ფულის შენარჩუნება, თუ ყველას ამ ფულზე უჭირავს თვალი. ახალი ცოცხი კარგად ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასა, და ყველა ძველ ცოცხს აგინებს. ბევრი ვაჭრის სიკვდილს მოვესწარი, ჩემო ძვირფასო...

მასწავლებელი გონს მოეგო, ამ გადაყრუებულ დედაბერთან რა საჭიროა ასეთ საქმეზე დაწვრილებით ლაპარაკი, გაიფიქრა და სიტყვა ასე დაამთავრა: სამართლიანობის მზე მაინც აღმობრწყინდება, მალე ჩვენთვისაც დადგება უკეთესი დროო.

— დიახ, ჩვენთვისაც დადგება უკეთესი დრო! — ეს იყო მისი მისამღერი. ბომელმაც ისე გაიწკრიალა, როგორც ახალმა ნათელმა მელოდიამ ზამთრის ყრუ, ბნელ მუსიკაში, რათა გაეთბო ამ ცივი ქროლვით გათოშილი, ულმობელი კალენდრის მკაცრი კანონებით დაბეჩავებული ხალხის გული.

ჰოდა, გამოირკვა, რომ დღესასწაულები უკვე აღარავის აინტერესებს, არც თამბაქოა შვების ერთადერთი წყარო, როცა შემოქმედი, რომლის გადაწყვეტილებანიც ესოდენ გაუგებარია, მწუხარებას გიგზავნის შენ.

შემდეგ ამისა, მასწავლებელმა ბარგის ამოლაგება დაიწყო. ბავშვებს ნება დართო მოშორებით დამდგარიყვნენ და ეცქირათ მისთვის.

უწინარეს ყოვლისა, ტომრიდან საკუთარი ნივთები ამოალაგა—ის ნივთები, მკვიდრად რომ აკავშირებს ადამიანს ცხოვრებასთან, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ასატანს ხდის ამ ცხოვრებას. რა ნივთები იყო? დაკერებული პერანგი და ცალი წინდა, ერთადერთი ამოკემსილი წინდა! რაღაცნაირი იდუმალი სერიოზულობით აიღო ხელში ეს საგნები, თითქოს მათ ჯადოსნური თვისებე-

ბი აქვთო, და ხმის ამოუღებლად ამოდო ბალიშქვეშ. დიახ, დიახ, დიდმა ადა-ბიანებმა წვრილმანებში ასე იციან თავის გამოჩენა! ბავშვებმა თვალი გააყო-ლეს და დაინახეს, როგორ გაუჩინარდა ნივთები ბალიშქვეშ. შემდეგ მასწავ-ლებელმა ამოიღო ბავშვებისთვის განკუთვნილი ნივთები—სახელმძღვანელო-ები, რაც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის თანახმად ჩამოეტანა. მასწავ-ლებელმა ოთხკუთხედ შეკრულას სიყვარულით გადაუსვა ხელი და თქვა:

— მაშ ასე, ჩემო კარგო ბავშვებო, თქვენ ახლა დაინახავთ: ამ შეკრულა-ში სამყაროს სიბრძნეა დამალული!

დიახაც ასე გახლდათ: შეკრულაში იყო ახალი წიგნები, საღებავის სუნი უდიოდა. ყოველი წიგნი პრიალა ქაღალდში იყო გახვეული და თეთრი ბაწრით შეკრული. ამ სხვადასხვა ფერის დასურათებულ წიგნებში საუცხოო, წარმო-უდგენელი ამბები იყო დაბეჭდილი. ერთ წიგნში აღწერილი იყო უცხო ჯი-ნის ნადირები, მეორეში—უცხო ხალხი და გარდაცვლილი ხელმწიფეები; მე-სამეში—სხვადასხვა ქვეყნები, მეოთხეში—ციფრთა რთული მეცნიერება, მე-ხუთეში—ისლანდიაში დიდხანს ნალოდინევი ქრისტიანობის გავრცელება, ყვე-ლაფერი, ყველაფერი, რაც კი სწყუროდა სულს. ახალ-ახალი წიგნები, ესაა ლუქნიდან გამოტანილი, ღმერთო, რას არ გაიგებ ამ წიგნებიდან!

— ცოდნას ადამიანი უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს, მის ცხოვრებას უფრო ნათელს ხდის, ხალისს მატებს. დიახ, დიახ, ყოველი ჩვენგანისთვის მა-ლე დადგება უკეთესი დრო.

მასწავლებელმა ბავშვებს გამოუცხადა, წიგნი ვერ იტანს ჭუჭყიან ხელებს, მარტო თითის წვერებით შეგიძლიათ შეეხოთო.

— ჯერ ქაღალდი გადავაკრათ ყოველ წიგნს, არ შეიძლება ყდის დასვრა. ყუის შემოძენძა. წიგნი ადამიანისთვის ყველა განძზე ძვირფასია. წიგნმა იხსნა ხალხი მონოპოლიის და ეპიდემიის დროს, ვულკანის ამოფრქვევის დროს. დიდ თოვლზე აღარაფერს ვამბობ, ქვეყნის კიდით-კიდემდე მიმოფანტულ სახ-ლებს რომ მოანამქერებს. და ასე იყო წლობით, საუკუნიდან საუკუნემდე. ეს კარგად იცის მამათქვენმა, თუმც ძალზე ჯიუტი გოგრის პატრონი კია. ჰოდა, მან სპეციალური კაცი გამოგიგზავნათ ამ წიგნებით. ამიტომ სათუთად მოეპყა-რით წიგნებს.

მამისადმი მადლიერების გრძნობით გულაჩუყებულ ბავშვებს ლამის ცრემ-ლი მოერიათ. წავიდა, მაგრამ შვილები როდი დაივიწყა. აი, თურმე როგორი მამა ჰყოლიათ! აუსტა სოულილიამ ბიჭებს უთხრა: ახლა ხომ დარწმუნდით, როგორია მამაჩვენიო. აბა, რომელი მამა გაუგზავნის შვილებს სპეციალურ კაცს იმისათვის, რომ მათ ყოველივე ისწავლონ?

— ამ წიგნებში უცხო ქვეყნებზე თუ წერია რამე? — ჰკითხა პატარა ნოდიმ მასწავლებელს.

— როგორ არა, ჩემო ბიჭუნი, ახალ და ძველ ქვეყნებზე. იმ ახალ ქვეყნებზე, ნორჩი ქალწულებივით რომ ამოდიან ზღვიდან და ზაფხულის მზის პირველ სხივებში ავლებენ თავის ძვირფას ნიკარებსა და მარჯნებს; ძველი ქვეყნების სურნელოვან ხეივნებსა და მშვიდად მოშრიალე ფოთლებზე, იტალიის ლურჯ მთებზე ამართულ, მთვარით განათებულ ათასწლოვან ციხე-კოშკებსა და თეთრად მოქათქათე ქალაქებზე, დღენიადაგ მზის სხივებში მოლივლივე მშვიდ, მწვანე ზღვას რომ უწვდიან ხელებს. მართალია თქვენი და, ყველას როდი გაუღიმებს ასე ბედი, რომ უდიდესი ქვეყნების შესახებ გაიგოს რამე, ისიც ისეთი კაცის პირიდან, ვისაც საკუთარი თვალით უნახავს, ვისაც თავისი ფეხით მოუვლია ეს ქვეყნები.

ბავშვები ვეღარ მოწყდნენ წიგნებს, მაგრამ მასწავლებელმა ყოველ წიგნში მხოლოდ თითო სურათის დათვალიერების ნება დართო და მათ იხილეს რომის ხედი—მათი ხუტორის წინ ამართულ მთასავით უზარმაზარი ქალაქის. ნახეს ჟირაფი, რომელსაც იმსიგრძე კისერი ჰქონდა. მათი ქოხის კართან რომ დამდგარიყო, თავს საკვამურ მილს მიუწვდენდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვებმა ვერც კი გაიგეს, როგორ მიიწურა საღამო, ასე შეუმჩნეველად ჯერ არ გაჰპარვიათ იგი. ბავშვებმა ფრთხილად გააბვიეს წიგნები ქაღალდში. ათასი რამის კითხვა უნდოდათ, მაგრამ მასწავლებელმა თქვა, დღეისთვის ესეც გეყოფათ, დაღლილი ვაო, გარდა ამისა, სიხარბეს ნუ გამოიჩენთ, ამ სიბრძნის წყაროს ერთბაშად ნუ დაეწაფებით, უცებ ნუ მოიწადინებთ ბევრის გაგებასო.

მასწავლებელმა დაწოლა დააპირა, ბიჭები იქვე იდგნენ და მოწიწებით აღსილნი უყურებდნენ, როგორ იხდიდა იგი ტანთ. მარტო აუსტა სოულილიამ გაარიდა თავი და ბებიას მიუჯდა გვერდით. მასწავლებელმა თავისი ჯოხი ლოგინზე დადო, საბანი წააფარა, ნეტა სული ხომ არა აქვს ამ ჯოხს, ბოლოს მარჯვენა ფეხიდან დაიწყო ხამლის გახდა. გაიხსნა ყაითანი, თითქოს დიდი ძალდატანება სჭირდებოდა ყოველი მოძრაობისათვის. რაღაცით თითქოს მამასახლისს მოჰგავდა, ხან კი წიგნით მოვაჭრეს. ფუი, ეს რა სულელური აზრები უტრიალებს თავში!.. როგორ ახველებს ცხვირსახოცში... დიახ, ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ის განსაკუთრებული კაცია. მეორე ხამლი? ნეტა რა ნახეს ბიჭებმა, მეორე ხამლი რომ გაიხადა? ფეხი. მაგრამ ჩვეულებრივი ფეხი კი არა, ცოცხალი თეთრი კანით დაფარული, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ბუსუსიანი მოთეთრო კანით, — არა, განსაკუთრებული ფეხი—მუქი ფერის, გაპრიალებუ-

ლი, უხორცო და უსისხლო — ფაბრიკის ნაწარმი. პატარა ნონი ვერ მოერია თავის გრძნობებს და განცვიფრებულმა წამოიყვირა:

— სოულა! მოდი, ერთი დახედე, როგორი ფეხი აქვს!..

აუსტა სოულილიამ, რასაკვირველია, არ მოისურვა მამაკაცის ფეხის დანახვა. ეს ლამაზი არ იქნება მისი მხრივ.

— როგორ არ გრცხვენია, ნონი, რას ჰგავს ეს, აბა, როგორ იქცევი? — ეკადმოისროლა ზურგშექცევით მჯდარმა აუსტამ. მაგრამ მეორე დღეს გულმა ვეღარ მოუთმინა და ძმებს ჰკითხა, მითხარით, როგორი ფეხი აქვს მასწავლებელს, რა ნახეთ არაჩვეულებრივიო. ბიჭებმა ცხვარს თივა დაუყარეს თუ არა, ჰაშინვე აუსტასთან მიირბინეს, ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს, ერთად უყვებოდნენ, რაც ნახეს. გასაოცარი კაცია, რა კარგი იქნება მასთან სწავლა და რამდენი რამ გვეცოდინება, გაზაფხულზე სწავლას რომ მოვრჩებითო. ბავშვები ერთთავად მასწავლებელზე ლაპარაკობდნენ, ყველაფერი უკვირდათ, აოცებდათ — ამ კაცის ჩურჩულით ლაპარაკი—თითქოს საიდუმლოს უზიარებს ვისმესო, ხის ფეხი. ჯოხი, რომელსაც გვერდით იწვენდა ლოგინში, გეგონებათ ცოცხალი არსებაა. დიახ, ზაფხულის სავანელ ბავშვებს ნამდვილად გაუღიმა ბედმა: როგორი კაცი ცხოვრობს მათ სახლში! ბავშვები რატომღაც დარწმუნებული იყვნენ. რომ სწორედ მათმა მასწავლებელმა წაართვა ბრუნინს ის კოშკებიანი სახლი და ინგოულფ არნარსონს გადასცა იმისათვის, რომ იგი ანწყალ ხალხს დახმარებოდა, დაერიგებინა მათთვის თითო მუჭა ჭვავის ფქვილი. მაინც რა უცნაურია, ამ წარჩინებულ ლამაზ კაცებს, შორეული ქალაქებიდან რომ ჩამოდიან, ყავისფერი პერანგები აცვიათ?..

აი, მათ ოთახში წევს კაცი, რომელსაც მოუვლია ძველი და ახალი ქვეყნები, მზის პირველ სხივებში და მთვარის შუქში რომ ლივლივებენ, კაცი, რომელსაც იმდენი, იმდენი რამ უნახავს... ნეტავ კი აუსტა სოულილიამ დაიხსომოს ყველაფერი, რასაც ეს საოცარი კაცი ჰყვება, რომ შემდეგ სხვებს უამბოს... არა, არავის არა აქვს ასეთი ენა, არავინაა ასეთი ოქროპირი. იგი აქ წევს. შესაცქერის მათ, ჭკვიანი, სერიოზული თვალებით. აი, საბანი წაიფარა და მთებში ძნელი, სახიფათო მოგზაურობის შემდეგ ისვენებს მათ სახლში, მათ ჭერქვეშ. ეს გზა ხომ მან მათი გულისთვის განვლო. მათი გულისთვის გამოემშვიდობა ათასწლოვან, მშვიდად მოშრიალე ხეივნებს, სადაც დარბოდა და გაიზარდა. ოო, რომ შეეძლოთ, რითიმე გადაუხადონ ამ სიკეთის სამაგიერო! იმ ღამეს, დასაძინებლად რომ დაწვნენ ბიჭები, გაიფიქრეს, ბებიაჩვენივით ას წელიწადს ისე ვიცხოვრებდით, თამბაქოს არ გავეკარებოდით, არ მოგვბეზრდებოდა ყოველ დილა-საღამოს ტანთ გახდა და ჩაცმაო. დიახ, ეს იყო ნამდვილი ბედნიერება. სიხარულითა და იმედით სავსე მომავლის მოლოდინი.

— ჰო, — ჩურჩულებდა მასწავლებელი, — ეს არის უბრალო, გულუბრყვილო ხალხის სამეფო. რა უცნაურია, რომ აქ ამოვყავი თავი მას შემდეგ, რაც ამაოების ბაზარი მოვიარე ვრცელ ქალაქებში, — მასწავლებელმა ამოიოხრა და დაუმატა: — დიახ, დიახ, დიახ. ბევრი გზა-ბილიკი ვტკეპნე, ბევრ ციცაბო ფერდობზე ვიბობღიალე. ვცხოვრობდი ხალხით გაჭედილ სამყაროში—ეგოიზმის სამყაროში, სადაც სული შფოთავს, ღელავს, ფართხალებს, ფრთებს აფათქუნებს, სადაც სანიადაგდღეო ცხოვრებისეულ ჭაობში ყინვასავით მსუსხავი მარტოობის სიცივე ჩაგსაფრებია, სადაც დუღს და გადმოდის სიმშვიდეს, უბწყინვლოებას და სიყვარულს მოკლებული ცხოვრება. აქ კი, ვგრძნობ, კარგად ვიქნები.

— აუსტა სოულილია, ქენი სიკეთე და ფინჯნით სულ ცოტა ყავა დამიდგი. ვაითუ ღამით გული ამტკივდეს. თუმცა, მჯერა კი, რომ ამეღამ გული არ ამტკივდება.

ბიჭებმა ტანთ გაიხადეს და ლამპა ჩააქრეს, ჭრაქიღა ბეუტავდა ბებიის თაროზე. აუსტას უცებ გაახსენდა, რომ მას შემდეგ, რაც მამა წავიდა, არ დაუბანია და მაშინვე შეუდგა საქმეს, დაიბანა, თმა დაივარცხნა, მერე საწოლთან მივიდა და ძველი, დაფხრეწილი კაბა რომ გადაიძრო თავზე, შარიშური გაისმა. ქვედატანის გახდა ვერ გაბედა, მასწავლებელმა არ დამინახოსო და ასე, ქვედატანიანად შეძვრა საბანში, თავისი ძმის გვენდურის გვერდით. ამ დროს ბებიამ ჭრაქი ჩააქრო.

— ღამე მშვიდობისა! — გაისმა სიბნელეში მასწავლებლის ჩურჩული.

აუსტა სოულილიამ აღარ იცოდა. რა ეპასუხა ასეთ თავაზიანობაზე, გულ-აუძგერდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც დაიჩურჩულა:

— დიახ...

მასწავლებელმა უკვე ხვრინვა ამოუშვა, ბავშვებს კი ძილი არ ეკარებოდათ, შეჰხაროდნენ მომავალ ახალ ცხოვრებას, წიგნების სუნი ჯერ კიდევ უხიცინებდათ ცხვირში.

აუსტა სოულილიას ნელ-ნელა აერია ფიქრები, ქუთუთოები დაუმძიმდა. თვალი მილულა და შეუმჩნევლად შესრიალდა რაღაც უცნაურ, მერყევ სამყაროში, სადაც ესოდენ უგუნური და უაზრო ეჩვენებოდა ყოველივე, მაგრამ, ვინ იცის, ეგებ სწორედ ეგ იყო ნამდვილი სამყარო. საკვამური მილებიდან მხეცებს თავი ამოეყოთ, მთა წარმტაც საყდრად ქცეულიყო, მას რამდენიმე სამრეკლო ჰქონდა და ყოველი სამრეკლოსკენ ბნელი, ჭრიალა კიბე ადიოდა. აუსტა სოულილიას ერთ-ერთ სამრეკლოზე უნდოდა ასვლა. ფრთხილობდა, ეშინოდა, მაგრამ რაკი გზას შეუდგა, ძალაუნებურად უნდა გაეგრძელებინა, ასულიყო ზევით, სულ ზევით. ადის აუსტა, კიბე კი ჭრიჭინებს და ჭრიჭინებს...

აუსტამ იცის, რომ მამა უკან მოჰყვება და ეშინია: რომ მიიხედოს, მამას მკლავებში ჩაუვარდება და მაშინ მაგარ სილას მიიღებს, აი, აუსტამ თანდათან აუიქარა ნაბიჯს, კიბეზე არბის, პირველი უნდა ავიდეს იმ სამრეკლოზე. მაგრამ ბალე სული შეუგუბდა, შიშით ცახცახებს და მაინც სიხარულით მიხტის საფეხურიდან საფეხურზე, უნდა ავიდეს იმ სამრეკლოზე, უსათუოდ უნდა ავიდეს. ვერა, ვერავინ გაიგებს ამას. კიბე კი თანდათან ვიწროვდება, აუსტა უკვე კედლებს ეხლება, საფეხურები საშინლად ჭრიალებს და შიში სძლევს სიხარულს. ღმერთო ძლიერო, როგორ მოხვდა საყდარში, ნაცვლად იმისა, რომ გარეთ მდგარიყო მშვიდად, არხეინად. და თუ ვერ მოასწრო სამრეკლოზე ასვლა, მამა საცაა დაეწევა და სილას გააწნავს. ამ დროს ზევით რაღაც ხვრელი გამოჩნდა. არა, ხვრელი კი არა, ღრიჭოდ გამოღებული კარი, იქიდან ვიღაც დასცქერის: აუსტას უყურებს. თითქოს ეცნაურება ეს სახე. ნეტა ვინ არის? რას უქადის? სიხარულს? არა, არა! ეგ ხომ წიგნით მოვაჭრე ის გონჯი ბერიკაცია, რომელსაც იმდენი უკანონო შვილი ჰყავს, სულ ყველა ავები და გონჯები? მოხუცი ჯოხს ტაყრდნობია, ყავისფერი პერანგი აცვია... ნეტა, ამ მაიმახმა სად იშოვა ეს ყავისფერი პერანგი?.. მოხუცი აუსტა სოულილიას უცდის წიგნით ხელში. „მოდი, საინტერესო წიგნს გიჩვენებ, დიდ მოდაშია ახლა. დახედე, ძვირფასო ფრეკენ, ნუთუ, არ მოგწონს?“

აუსტამ გაიღვიძა, ოფლში გაღვრილია, თრთის, ცახცახებს იმ გამოუცნობი. გაუგებარი შიშით, ცუდ სიზმრებს თან რომ სდევს, ამ შიშს თავს ვეღარ აღწევს მთელი ღამე და მეორე დღესაც გაჰყვება შიშისა და დაღლილობის გრძნობა.

თვალი რომ გაახილა აუსტამ, ყურში ჯერ კიდევ ედგა საკუთარი ყვირილის გამოძახილი. ლოგინში წამოჯდა, ღრმად ამოიხვნეშა, მის გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, თითქოს ურო ეცემა გავარვარებულ რკინას გრდემლზეო. ოფლით დანამული ხელი შუბლზე გადაისვა. არა, არა და არა, არავითარი საფრთხე და განსაცდელი არ მოელის, ეს მხოლოდ ავი სიზმარი იყო. აქვე ახლოს წევს მასწავლებელი, რომელიც იმისთვის ჩამოვიდა აქ, რომ მათ უკეთესი ხანა დაუდგეთ, რომ მათი ცხოვრება შეივსოს. დილით მაჭკატებს გამოუცხობს, რომ მალე მოიკეთოს მასწავლებელმა... პატარა ქალს ნელ-ნელა გაუქრა შიში, მასწავლებლის სუნთქვას ყური მიუგდო და გულით უსურვა მას ყველა სიკეთე. დიახ. მათთვისაც დადგება უკეთესი დრო. და აუსტა სოულილია ისევ დაწვა

პოეზია

და ალმობრწყინდა შუქი ცოდნისა.

თურმე მსოფლიო კულტურის მაცნენი—ეს მარტო ქალაქი რომი და ჟირაფი კი არ ყოფილა, როგორც, შესაძლოა, პირველ საღამოს წარმოიდგინეს ბავშვებმა, არამედ სპილოც. დანიაც და ბევრი სხვა რამ. ყოველდღე ეცნობოდნენ ახალ მხეცებს, ახალ ქალაქებს, ახალ ხელმწიფეებსა და ღმერთებს, თუ აღარაფერს ვიტყვით ციფრებზე, ასეთ პაწიებზე და ესოდენ ძლევამოსილებზე. ერთი შეხედვით მკვდარი რომ ჩანან, ყოველ მათგანს თავისი მნიშვნელობა აქვს, მათი შეკრებაც შეიძლება და მერე შენი სურვილისამებრ ამოკითხვა...და ბოლოს—პოეზია, რომელიც კიდევ უფრო დიდია, ვიდრე უდიდესი ქვეყანა, მოელვარე სასახლესავითაა აზიდული და ადამიანს ფრთებს ასხამს, სული არწივივით დანავარდობს, ცოდან კი შუქი იღვრება და ქარი ბობოქრობს.

დილაობით, როცა ცხვარს აშმევდნენ ბავშვები, გაოცებული ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ ასე მოულოდნელად როგორ შემოიჭრა მათ ნაღვლიან ცხოვრებაში ადამიანი, რომელმაც არა მარტო იცოდა ყველაფერი, რაც წიგნებში წერია. არამედ საკუთარი თვალით ენახა და შემოეველო ეს სამყარო, ბან მარტო ქალაქები და სამხეცეები როდი ნახა, არამედ იხეტიალა ტყეებში. სადაც ადამიანი პოულობს სიხარულს, ანდა, თუ სიხარულს არა, ყოველ შემთხვევაში, სიმშვიდეს მაინც და იცოდა ადამიანის გულში ჩამწვდომი სიტყვებიც. თუ გვენდური მცირედით კმაყოფილდებოდა, ფიქრობდა, რომელი პირუტყვია ცხვარზე უფრო სასარგებლო, ან ანგარიშში ვარჯიშობდა, გადაამრავლებდა ცხვრებს ბატკნებზე, დაითვლიდა იატაკის ფიცრებსა და ჭერის კოჭებს, შეაჯამებდა, გამოაკლებდა ერთიმეორეს, პატარა ნონი სულ შორეულ ქვეყნებზე ოცნებობდა, აზრით ამ ქვეყნებს უტრიალებდა. ბიჭს ეჩვენებოდა, თითქოს ახლაღა მიიღო სარწმუნო საბუთი იმისა, რომ ეს ქვეყნები არსებობს, რომ კეთილმა ხალხმა ბავშვების გასართობად და საამებლად როდი მოიგონა ეს.

აუსტა სოულილია? პოეზიის ფრთები შორს მოაქროლებდა აუსტას, იქ. საიდანაც გაზაფხულის ერთ ღამეს თითქოს შორეული ექო შეესმა, როცა იმ პატარა გოგოს ამბავი წაიკითხა, შვიდი მთა რომ გადაიარა. ის ექო აუსტას ყურში ახლაც სიმღერასავით ჟღერდა და ამ სიმღერაში ყმაწვილი ქალი თავის თავს ხედავდა. ბედნიერება, ბედისწერა, მწუხარება — ყველაფერი გასაგები გახდა მისთვის. თუ ხრიოკ ადგილას ქვა-ღორღში ამოსულ ყვავილს დაინახავ, თავს ეკითხები, ესოდენ შეუპოვრად, ესოდენ ჯიუტად რად მიიკვლევს გზას

სიცოცხლე, რად ებრძვის ათას დაბრკოლებას? ხომ არ მოვწყვიტო ეს ყვავილი და მისი ღეროთი ჩემი ყალიონი გამოვწმინდო? ნუ, ნუ მოწყვეტთ ყვავილს. ეს პატარა მცენარეც მღელვარებით ფიქრობს წუთისოფლის წარმავლობასა და უსაზღვროებაზე და ამ ქვა-ღორღში ცოცხლობს სიკეთისადმი სიყვარულით ისევე აღტყინებული, როგორც თქვენ და მე. ფრთხილად, ნუ, ნუ მოგლეჯთ ყვავილს: ეგებ, ეს პატარა აუსტა სოულილიაა.

აუსტამ ბავშვობიდან შეისწავლა სკალდების მაღალფარდოვანი ენა, მათი სიმღერები და ახლა გამოადგა ეს წინასწარი მომზადება. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ სკალდების სიმღერები ნაკლებნაყოფიერ, მცენარეულობით მწირ, ქვა-ღორღით მდიდარ ქვეყანას ჰგავდა, მაშინ, როცა ახალი პოეზია ყვავილების მომხიბლავი სუნთქვით, ყვავილების სევდიანი სურნელებით იყო გაჟღენთილი. მასწავლებელი სულ სხვანაირად კითხულობდა ლექსებს. ბიარტური მახვილს რითმაზე, განსაკუთრებით შინაგან რითმაზე სვამდა, მასწავლებელი კი გასაოცარი მეტყველი ჩურჩულით კითხულობდა, — ის ხომ სკალდების საიდუმლოებასაც ჩასწვდა. როცა მასწავლებელი ლექსებს კითხულობდა, მათ ოთახში ყოველი უსულო საგანი ცოცხლდებოდა, ამ საგნებს თავისი საიდუმლოება ჰქონდა. და როცა აუსტა საწოლის ცივ კიდეს ხელს გადაუსვამდა, ეჩვენებოდა, რომ ისეთი თბილი და რბილი იყო ეს კიდე, თითქოს მასში ცოცხალი გული ფეთქავსო. მასწავლებელმა ის სიტყვებიც იცოდა, რომელთაც აუსტა სოულილია ღრუბლებში ხედავდა და ამაოდ ცდილობდა მათ ამოკითხვას, როცა პირველად იგრძნო სიყვარული, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ პატარა იყო და განა შეეძლო ჩაწვდომოდა ღრუბლების საიდუმლოებას? ის ხომ იმას ეძებდა, რაც იქ არ იყო. ის კაცი, მაშინ რომ მოვიდა სანადიროდ და საღევზაოდ, პოეზიას არ იცნობდა, არა, ნამდვილად არაფერი გაეგებოდა პოეზიისა, რომელიც ყველაზე უძვირფასესია ადამიანისთვის. თუ იოუნის ქალიშვილი ოდური მისთხოვდა იმ მონადირეს, ცხადია, მისგან ვერასოდეს გაიგონებს პოემას, და აუსტა სოულილიას გული სიამაყით აევსო.

მართალია, მონადირეს სახე ერთთავად უღიმოდა, მაგრამ განა მისი თვალები ასეთ შუქმფინარ სხივს გამოსცემდნენ, განა ასე ბრწყინავდნენ? არა, არც მის ხმას გააჩნდა ის იდუმალი მომხიბლაობა, როგორიც ამ კაცის ხმას აქვს, კაცისა, რომელმაც ზეპირად იცის ყველა პოემა, რომელიც ჩურჩულით კითხულობს, კითხულობს ისე, რომ ტანში ჟრუანტელი გივლის, გულში ცრემლი გიდუღს და ცოცხლდება უსულო საგნები.

შორეულ ხუტორში მცხოვრები ყმაწვილი ქალი ყველაზე უფრო თითქოს სათნოებაზე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დიდ, თავგანწირულ ადამიანზე დაწერილ ლექსებს უნდა მოეხიბლა, რომლებშიც გამოხატული იქნებოდა იმ ადამი-

ანთა ზღაპრული თავდადება რაღაც განსაკუთრებით მშვენიერისათვის, მაგალითად, სამშობლოსათვის. გასულ წელს, გაზაფხულის იმ ღამეს, თვითონაც ხომ იგრძნო ასეთი თავდადების სურვილი, როცა სახლის ზღურბლთან გარინდებული ოცნებობდა, მაგრამ ეს ასე როდი იყო. მას ყველაზე მეტად აღელვებდა, ამაღლებულ სევდას ჰგვრიდა და მთელი სამყაროს გულში ჩაკვრის წყურვილს უღვიძებდა ლექსები აუსრულებელი ოცნებით გამოწვეულ მწუხარებაზე, რომელიც ლოდივით დასწოლია გულს, და ამ მწუხარების სილამაზეზე. მაგალითად: მიტოვებულ ხომალდზე, შემოდგომით რომ დაიმსხვრა და ყველასთვის უსარგებლოა ახლა, ნაპირზე გდია უსაქმოდ და უანძოდ, ან ბუმბულშემოძარცვულ, უმწეო, სასოწარკვეთილ ფრინველზე, გრიგალი რომ ათამაშებს. ახეთქებს აქეთ-იქით, ანდა დადუმებულ არფაზე, რამეთუ დამკვრელი აღარ არის. აი, რა ეხებოდა მის სულს, აი. რა იყო მისთვის გასაგები. და თუმც კოლმას სიმღერაში არ იყო შინაგანი რითმა. აუსტა სოულილიამ მაინც დაიზეპირა. განა შეიძლებოდა წარმოდგენა იმისა. რომ ყმაწვილ ქალს გულში ჩასწვდებოდა კოლმას ეს სიმღერა, უშენის მკვიდრ ქალ-ვაჟის სიყვარულზე რომ არის დაწერილი? მაგრამ საღამოს, როგორც კი ლოგინში ჩაწვა ყმაწვილი ქალი, მის გულში ანაზდად აჟღერდა ქალ-ვაჟის სიყვარულზე თქმული ეს სიმღერა. ცრემლი ღვარად დაედინა ღაწვებზე და სიყვარულით ალმოდებული დასტიროდა არა მარტო კოლმას, არა მარტო საკუთარ თავს, არამედ მთელ სამყაროს:

...
მთვარევ. ნუ ეფარები
ღრუბელს შავზე შავს,
გამინათე მიმწუხრში
ერთადერთი გზა,—
მე ჩემს შეყვარებულთან
უნდა გავჩნდე კვლავ.
ქარიშხალო, დაწყნარდი,
გეყო ხეთა თხრა,
ქარო, ნუ ახმაურებ
წამით წყაროს წყალს, —
დე, მიჯნურმა გაიგოს
ჩემი გულის ხმა.

ცრემლი რომ დაემალა, აუსტამ სახე ბალიშში ჩარგო: დე, ნურავინ გაიგებს. რომ იგი ოსიანს დასტირის. განა აუსტა სოულილიას გარდა ვინმეს აზრად მოუვა მისი ბედის გამო ქვითინი? მაგრამ მაინც რატომ ტიროდა? ტიროდა იმიტომ, რომ მას, ისევე როგორც ოსიანს, ესმოდა სიყვარული და უშენის იდუმალება. და ვისაც სიყვარული ესმის, უშენის იდუმალებასაც გაიგებს.

ის მონადირე მისისიპის სანაპიროზე... ოო, მას მთელი სამყარო შემოუვლია. ლექსი ამბობს, რომ ის დაიბადა „მშვენიერ საფრანგეთში. იქ ცხოვრობდნენ ჩემი კეთილშობილი მშობლები“... დიახ, მთელი ქვეყანა შემოუვლია. ყველაფერი, ყველაფერი უნახავს, რითაც კარგია, რითაც საამურია ცხოვრება. ბავშვობისას სენას სანაპიროზე კრეფდა ყვავილებს. იზრდებოდა პარიზში, მხიარულებით მომჯადოებელ ქალაქში. იზრდებოდა საყვარელ ძმებთან ერთად. ჰყავდა ლამაზი მეგობარი ქალები, ასჯერ, ათასჯერ უფრო ლამაზი, ვიდრე აუსტა სოულილიაა:

ვერ დავივიწყებ ციმციმა თვალებს,
ვერც მღიმარ ტუჩებს ვერ დავივიწყებ...

და მაინც ვერსად ჰპოვა ის ბედნიერება, რომელზეც ოცნებობდა, სიმშვიდე. რომელიც სწყუროდა. და აუსტას ესმოდა მისი, სწორედ ამიტომ უყვარდა იგი. რომ მან ვერსად ჰპოვა სიმშვიდე, ვერსად ჰპოვა ბედნიერება. გულის სიღრმეში უფრო იმიტომ უყვარდა, რომ ის გამოექცა იმ სამყაროს და ახლა შეფარებია ტყით დაფარულ ბორცვს, ქვემოთ კი მისისიპი ღრიალით მიაქანებს ტალღებს:

მშიერი მგლების ყმუილი ისმის,
ირემი შიშით წყალში ჩამდგარა...
ავაზამ ყისლის სუნი იყნოსა
და იძაბება, როგორც ზამბარა.

აუსტა სოულილიას ყოველთვის თავისებურად ესმოდა პოეზია. მაგალითად, ერთ საღამოს ტანთ გაიხადა, ჩაწვა ლოგინში და თავი მოიმძინარა. ასე ჩვეოდა, როცა ძილი გაუფრთხებოდა ხოლმე. აუსტა უცდიდა, როდის ჩააქრობდა ბებია ჭრაქს. დრო მიდიოდა, ჭრაქს არ აქრობდნენ, აუსტა იწვა და უცებ თვალი ჰკიდა მასწავლებელს. მასწავლებელი საწოლზე იჯდა, ლოყით ხელს დაყრდნობოდა, თმა ხელზე ჩამოშლოდა. აუსტა დააკვირდა მის მკაფიო პროფილს, ბურჩხა წარბებს, მის თვალებს. ოო, ეს თვალები ხომ თვით პოეზიაა მთელი თავისი მომხიბლავი ფერების და შუქის თამაშით. აუსტა შესცქეროდა მის მოშიშვლებულ ყელს, პერანგის გადახსნილი საყელოდან რომ მოუჩანდა... ის კი იჯდა, ერთ წერტილს მიჩერებული, თავის საფიქრალს მისცემოდა. ზუსტად ისე. როგორც ერთ ლექსშია:

ძალიან ბევრი ქვეყანა ენახე
და, აი, ვამბობ ამაყად ბოლოს. —

თრობა, გართობა სუყველგან არის.
სიმუდროვე კი ტყეშია მხოლოდ.

და დამპალი ჭერი მთელი თავისი კოჭებით მოშრიალე ულრან ტყედ იქცა, სადაც ლაღად დანავარდობენ ირმები და ავაზები, თებერვლის ქარბუქის ზუზუნი, თოვლის ნამქერები რომ მოუყრია, მდინარე მისისიპის ტალღების ხვაფუნია. ის კი, ვინც სამყაროს თვალ ყარმტაც ქალაქებს გამოექცა, ზის აქ და თავის წარსულს ჩაჰფიქრებია:

ვარდები დაჭკნა, დაჭკნა სრულად, —
უნაზეს ყრმობის დიბა და ფარჩა,
ტუჩლებს თეთრი გამოერია,
სამკელი მაინც არა და არ ჩანს.
ოდეს გავყურებ გზაშარას განვლილს,
ბულს დარდის ცეცხლი ღეღენით ნაცრავს,
გულს დარდის ცეცხლი ერთთავად ნაცრავს.
ეკალბარდს ვუმზერ ვარდების ნაცვლად.

არა. გმირული ღვაწლი, თავგანწირვა, სათნოება კი არ ხიბლავს ყმაწვილ ქალს, მას ხიბლავს გულისთქმაზე დაწერილი ლექსები; გულისთქმაზე. რომელიც ძალზე გვიან ანდა სულაც არ ასრულდება: ბედნიერებაზე, სტუმარივით რომ გეწვევა, ანდა სულაც არ გეწვევა... აუსტამ თავისებურად განჭვრიტა ეს კაცი, პოეზიის სხივმფინარ შუქში დაინახა იგი: ულრანი ტყის მყუდროებაში გაბარტოებით რომ იჯდა ყველაზე ლრმა. წყალუხვი მდინარის ნაპირას და თავის საფიქრალს მისცემოდა.

თავი ოცდამეთერთმეტე

ღმერთი

ახლა ღმერთი ვახსენოთ.

თითქმის ორ წელიწადზე მეტი იყო, რაც აუსტა და ბიჭები ღმერთზე ფიქრობდნენ, ცდილობდნენ ღმერთი შეეცნოთ, ჩასწვდომოდნენ მის ფიქრს, მის არსებას, სად იმყოფება და ნამდვილად მართავს თუ არა სამყაროს!

და აი, ბავშვებმა მიიღეს ორი წიგნი ღმერთზე — ბიბლია და კათეხიზმო. ჰყავდათ მასწავლებელი, რომელსაც მთავარი მაინც უნდა სცოდნოდა ამ უჩვეულო ქმნილებაზე, ყველა სხვა არსებაზე მაღლა რომ იდგა. ბავშვებმა ინტე-

რესით მოისმინეს, როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო, მაგრამ როცა მასწავლებელს ჰკითხეს, რისთვის გააკეთა ესო, პასუხი ვერ მიიღეს. ბავშვებს გაუძნელდათ იმის გაგება, თუ რა არის ცოდვა, ან როგორ გაჩნდა ცოდვა ამქვეყნად, ან ქალი ასე რატომ მოხიბლა ვაშლმა. ვაშლი თვალით არ ენახათ და გადაწყვიტეს, კარტოფილის ერთ-ერთი ჯიში იქნებაო. ისიც ძნელი გასაგები იყო, რატომ მოხდა მსოფლიო წარღვნა. ორმოცი დღე და ღამე გადაუღებლად წვიმდაო. მერე რა მოხდა. მათ კუთხეში წელიწადში ზოგჯერ ორასი დღე და ღამე დელგმა ჩამოდის, მაგრამ ქვეყანა არ წაულეკია, და როცა ამის შესახებ ჰკითხეს მასწავლებელს, მოეჩვენათ, რომ მას გული მოუვიდა, რადგან ცივად თქვა: „მე ხომ მაგაზე პასუხს არ ვაგებო!“

ბიბლიაში ნათქვამია, რომ ღმერთი თორმეტი ანგელოზის თანხლებით ესტუმრა ერთ ცნობილ კაცს უცხოეთში, მაგრამ აღწერილი კი არ იყო, როგორ გამოიყურებოდა ღმერთი. მგონი, წვერი არა ჰქონდაო, არც თუ გულდაჯერებით უპასუხა მასწავლებელმა, რომელიც ამ დროს საწოლზე იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და უაზროდ ჭერს მიშტერებოდა. პატარა ნონის ძალიან აინტერესებდა, ტანთ ეცვა ღმერთს, თუ შიშველი იყო.

— როგორ არ გრცხვენია, — შეუწყრა ძმას აუსტა სოულილია.

ღმერთმა ხალხს გამოუგზავნა თავისი ერთადერთი ძე, კეთილი კაცი, რომელიც ხალხს იგავებს უყვებოდა და სასწაულებს ახდენდა, მაგრამ ამ იგავებმა ბავშვებს რატომღაც ისტადალელი ოულაფური გაახსენა. ის ხომ გადარეული იყო არაჩვეულებრივ, უცნაურ, იდუმალებით მოცულ მოვლენებზე, ამიტომაც აბუჩად იგდებდა ყველა. ბავშვებმა ცალი ყურიდან მეორეში გაუშვეს ღვთის ძის იგავები და სასწაულები, თითქოს ეს სასწაულები სადღაც შორეულ ხუტორში ხდებოდა, ქვეყნად არავინ იცოდა, სად, რომელ კუთხეში იყო ეს ხუტორი, თვით პატარა ნონისაც კი, ერთთავად შორეულ ქვეყნებზე რომ ოცნებობდა, არ უნდოდა იმ ხუტორში მოხვედრა. და რაკი მასწავლებელიც ცალყბად პასუხობდა მათ, სიტყვის ბანზე აგდებას ცდილობდა, ბავშვებმა გადაწყვიტეს, ამ ამბებში ალბათ ძალიან უგვანი რამ არისო. ქრისტე ჯვარს აცვეს. პატარებს რაღაც არაბუნებრივ სისასტიკედ მოეჩვენათ ეს, ჯვარი თავის დღეში არ ენახათ და რატომღაც ჯვარცმა შობის წინა დღეებში მათ ხუტორში მომხდარ ამბებს დაუკავშირეს, იმ ამბებს, რომელთაც სახელსაც კი ვერ მოუნახავთ, რაც მხოლოდ საზარელ სიზმრებში ელანდება ადამიანს და შიშით დაზაფრული იღვიძებს. ასეთ სიზმრებს მაშინ ხედავს ადამიანი, თუ უხერხულად წევს, ლეიბი აბურდული აქვს და თვალს გაახელს თუ არა, იმედით, მოლოდინით გასცქერის სარკმელს, ვინძლო მალე გათენდესო.

შიშით შეძრწუნებულმა აუსტა სოულილიამ კითხვა შეწყვიტა და წიგნი

დაკეცა. არ უნდოდა, პატარა ნონის მოესმინა ასეთი საშინელი ამბები, ვიდრე ცოტა არ წამოიზრდებოდა. ის ხომ შთაბეჭდილებიანი, მგრძნობიარე ბავშვია, და აუსტამ ბიბლია თაროზე შემოდო.

ამგვარად, ბავშვებმა ვერაფერი გაიგეს იმაზე, თუ როგორ აღსდგა მკვდრეთით ძე უფლისა და როგორ ამაღლდა. არასოდეს ჩვენებიათ ღმერთი ისე შორეული. აუსტა სოულილიას გული გაუტყდა ღმერთზე, მაგრამ რაღაც ბუნდოვანი რწმენა მაინც ჰქონდა, ვიდრე კათეხიზმოს კითხვა არ დაიწყო და არ ჩაუკვირდა წაკითხულს. ბევრს ფიქრობდა ამაზე, ცდილობდა მკვდრეთით აღედგინა ქრისტე და ხშირად უთავბოლო შეკითხვებს აძლევდა მასწავლებელს. მაგრამ ღმერთმა ამით ვერაფერი მოიგო.

— ოდესმე თუ გილოცია, თუ შეეედრებიხარ ღმერთს? — ჰკითხა აუსტა სოულილიამ მასწავლებელს.

მასწავლებელი კარგა ხანს დუმდა, თითქოს არ აპირებდა პასუხის გაცემას, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ულოცნია.

— რა შესთხოვე?

მასწავლებელს თვალი არ აუწევია, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა და ბოლოს ძლივძლივობით ამოღერღა, რომ იგი ღმერთს ევედრებოდა, ფეხი შემინარჩუნეო, როცა საავადმყოფოში იწვა. ფეხი კი მოჰკვეთეს.

აუსტა სოულილიამ თქვა:

— მე მგონია, ეგეთი ფეხი ურიგო არ არის, შენ რომ გაქვს, ლამაზია.

იმ დღეს ღმერთმა შეწყვიტა არსებობა.

ერთხელ აუსტამ მასწავლებელს ჰკითხა:

— აქ წერია, რომ ღმერთი ყოვლად მოწყალეა. ყველა უბედური ეცოდება?

— ეფიქრობ, რომ ასეა, — უპასუხა მასწავლებელმა.

— მაშ თვითონაც არ იქნება ბედნიერი.

— ვიცი, — თქვა მასწავლებელმა და უცებ მოთმინება დაჰკარგა: — ერთი მართალი სიტყვა არ წერია მანდ. სისულელეა თავიდან ბოლომდე. ეგ სულიერად სუსტი ხალხისთვისაა დაწერილი.

აუსტა სოულილიამ თქვა:

— მამაჩემი ძლიერია!

— მართალი ხარ, — კვერი დაუკრა მასწავლებელმა. — სალ კლდესავით მტკიცეა.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე აღარ უხსენებიათ ღმერთი.

მესამე დღეს აუსტამ ისევ ღმერთზე ჩამოაგდო სიტყვა:

— ამ დილით, თვალი გავახილე თუ არა, უცებ გავიფიქრე, რომ ღმერთი

ნამდვილად უნდა არსებობდეს. აბა, როგორ გაჩნდა ყველაფერი, თუ ღმერთი არ არის?

— დიახ, რაღაც ამგვარი რამ უთუოდ არსებობს, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა არის.

დუმილი.

მეოთხე დღეს აუსტამ იკითხა:

— ღმერთმა რატომ ხელი არ შეუშალა ქვეყნად ცოდვის გაჩენას?

მასწავლებელი, თითქოს ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ, გაუნძრევლად იჯდა თავის საწოლზე, ერთ წერტილს მიშტერებოდა. ბოლო ხანებში ხშირად იჯდა ასე გარინდებული. მერე უცებ წამოდგა, გაფართოებული თვალებით ჩააცქერდა ყმაწვილ ქალს და მისი კითხვა გაიმეორა:

— ცოდვა?

უცებ საშინელი ხველა აუვარდა. ისე ჩაბჟირდა, რომ სახეზე წამოჭარხლდა, ყელზე ძარღვები დაებერა, თვალებიდან ცრემლი გადმოსცვივდა. როცა სული მოითქვა და ცრემლი მოიწმინდა, ძლივს გასაგონად დაიჩურჩულა:

— ცოდვა... კაცისთვის ღვთისგან ბოძებული ყველაზე წარმტაცი მადლია

აუსტა სოულილია ერთ ხანს გაშტერებული უყურებდა მასწავლებელს, მაგრამ ვერაფრის კითხვა ვერ გაბედა, შეეშინდა ესოდენ მოულოდნელი დასკვნებისა. გარდა ამისა, მასწავლებელი იმ დღეს ძალზე მძიმედ სუნთქავდა, აუსტა სოულილია ადგა და მალულად შემოდო კათეხიზმო თაროზე, ბიბლიის გვერდით.

— დიახ, ეს გარდაუვალია, — დაიჩურჩულა მასწავლებელმა. — გარდაუვალია.

ყმაწვილმა ქალმა ვერც ახლა გაბედა ეკითხა, რა არის გარდაუვალი. სჯობს მანამ არაფერი გავიგო ამ გარდაუვალზე, ვიდრე იგი არ დადგებაო, და აუსტა ჩუმად იჯდა, ფიქრობდა თავისთვის: იქნებ ყველაზე გარდაუვალი ის არის, როცა ადამიანის გულში ორი საწინააღმდეგო გრძნობა ებრძვის ერთმანეთს, ვიდრე ერთ-ერთი არ გაიმარჯვებს, ირმისა და ავაზასი არ იყოს, ტყეში რომ მიიმალებიან მონადირის დანახვაზე. საღამოს მასწავლებელმა წერილი დაწერა, დაკეცა, დააწერა მისამართი: „ექიმ ფინსენს“ და დააწება.

— ჩემო კარგო გვენდურ, — უთხრა მასწავლებელმა, როცა გვენდური და ნონი შინ დაბრუნდნენ. — ქალაქისკენ მიმავალ კაცს თუ დაინახავ, სთხოვე ეს წერილი ფიორდს წაიღოს და ექიმ ფინსენს გადასცეს. ხველების წამალსა ვთხოვ.

საღამოს აუსტას ესმოდა, როგორ ოხრავდა და ამთქნარებდა მასწავლებელი. ხან დუდუნს მოჰყვებოდა: „ჰო, ჰო“, ან „ოო“. ხან ცხარეც

ახურჩულდებოდა: „არა, სრულიად არ არის საჭირო". ანდა: „განა სულ ერთი არ არის?"

აუსტას შეეშინდა, ალბათ მასწავლებელს უკვე ძობეზრდა ამ ჭერდაბალ ჭოხში ცხოვრება, დარწმუნდა, რომ აქ არ არის ბედნიერება, არც ის გულუ-ბრყვილობაა, რასაც ეძებდა და ეგონა, რომ ჰპოვებდაო. მასწავლებლის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩული უფრო აფრთხობდა, ვიდრე მისი ხველა. ხველას აუსტა შეჩვეული იყო, ახველებდა მისი დედინაცვალი, ახველებს ბებია დილი-დან დაღამებამდე. გული მოუკლა იმ.ს ფიქრმა, რომ მასწავლებელი მათ ოჯახ-ში კარგად ვერ გრძნობდა თავს, წასვლა უნდოდა, მათი მიტოვება.

და აუსტამ ისე ჰკითხა მასწავლებელს, როგორც ხშირად ეკითხებოდა დედინაცვალს:

— წყალი ხომ არ გინდა? — დაჩვეული იყო წყლის შეთავაზებას, როცა ცუდად გახდებოდა ვინმე: ცივი წყალი ცოტა ახალისებს ადამიანს.

— არა, — უპასუხა მასწავლებელმა და ეს სიტყვა კვნესასავით გაისმა.

აუსტა თვალს აპარებდა, ისევ მალვით უყურებდა მასწავლებელს. არა, უძლურია, არაფრის გაკეთება არ შეუძლია ამ კაცისთვის. რა უნდა ქნას, რა მოხდება, თუ წავა? ის ხომ თავს არ ზოგავდა, რაც კი შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა მის საამებლად. ხორცის ყველაზე უკეთეს ნაჭერს მას სთავაზობდა. დღეში ექვსჯერ, ხან რვაჯერ ადუღებდა ყავას და უმასპინძლდებოდა. საცაა გაუ-თავდება კიდეც ყავა. მაგრამ თურმე ამაოა ყველაფერი. რა უნდა ქნას, რა წყალში ჩავარდეს ახლა? მასწავლებელს დღითი დღე უფრო უფუჭდებოდა ვუნება, სულ მოღუშული იყო, ისე ხშირად აღარ უკითხავდათ ლექსებს, რო-გორც უწინ, თანდათან უკლო ლაპარაკს მსოფლიო კულტურაზე. ეტყობა, თავი ვეღარ გაართვა მძიმე ფიქრებს. აუსტას გულით უნდოდა ენუგეშებინა მასწავ-ლებელი, ალერსიანი სიტყვა ეთქვა მისთვის. მართალია, ჯერ ძალზე ახალ-გაზრდა იყო, მაგრამ გამოცდილებით იცოდა, რაოდენ ძნელია, როცა ადამიანი ეულად გრძნობს თავს, რარიგ ათბობს, ესალბუნება გულს ამ დროს ალერსიანი სიტყვა. მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა, ხმა ვეღარ ამოიღო, შებრუნდა, თვალი ცრემლით აევსო.

ერთხელ ჰალბერა ძლივძლივობით მილასლასდა მასწავლებლის საწოლ-თან, დახედა მას და უთხრა: როგორც ჩანს, სუსტი აგებულებისა ხარ. ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, რომ ახალგაზრდა ჯანმრთელი კაცი მთელი დღე ლოგინში ეგდოს, თავქვეშ ხელამოდებული, და ჭერს შესცქეროდესო. ერთ ხანს მასწავლებელი დაზაფრული შეჰყურებდა ამ ბებრულ, დანაოჭებულ სა-ხეს, უკვალოდ რომ წაშლოდა იმედის ნიშანწყალი და მარტოოდენ უსაზღვრო მოთმინება ეხატა ზედ.

— თამბაქოს ხომ არ ინებებ? — ჰკითხა მოხუცმა მასწავლებელს.

მაგრამ მასწავლებელს თამბაქო არ უნდოდა, მან თავი გადააქნია და ხელითაც ანიშნა, არაო!

— დაჯექი, ბები. — დაიჩურჩულა მასწავლებელმა.

როგორც კი ბიჭებმა ქალაქს მიმავალ კაცს წერილი გაატანეს, მასწავლებელი მეორე დღიდანვე მოუთმენლად ეკითხებოდა მათ:

— ქვევიდან მომავალი არავინ გამოჩენილა? თუ ვინმეს თვალს მოჰკრავთ, ბავშვებო, მაშინვე გაიქეცით და ჰკითხეთ, ხომ არ გამოატანა ექიმმა ფინსენმა ჩემთვის ხველების წამალი.

დღითი დღე უფრო და უფრო მოუსვენრად წრიალებდა მასწავლებელი. წარამარა ეკითხებოდა ბიჭებს, ქვევიდან მომავალი მგზავრი ხომ არ გამოჩენილაო. პირდაპირ ბალღად იქცა. აუსტა სოულილია თანაუგრძნობდა მას, ვინ მოსთვლის, დღეში რამდენჯერ ადიოდა თოვლის ბორცვზე, თვალს მოიჩრდილავდა და გასცქეროდა გზას, ხომ არ მოჩანს მგზავრიო. თუ გამვლელს დაინახავდა. მაშინვე ბიჭებს დაუძახებდა, გაიქეცით, შეხვდითო. მაგრამ ხველების წამალი არავის მოჰქონდა.

აჰა, დადგა ის წუთიც, რომელსაც აუსტა სოულილია ძრწოლვით ელოდა ყოველდღე, მას შემდეგ, რაც მასწავლებელს მოუსვენრობა და უგუნებობა შეატყო. აუსტამ ყავა აადუღა, მიართვა მასწავლებელს, მან კი სთხოვა, დაჯექი აქ. დამიცადე, ვიდრე ყავას დავლევო. აუსტამ ცარიელი ფინჯანი ჩამოართვა და მუხლებზე დაიდგა, აღარ იცოდა, წასულიყო, თუ მჯდარიყო იქ. მან ხომ პირველად სთხოვა, გვერდით დამიჯექიო, ამიტომ ვერ ბედავდა ადგომას, ვიდრე მასწავლებელი თვითონ არ ეტყოდა.

— თუ ხვალაც არავინ ჩამომიტანს ფინსენის წამალს, თვითონ მომიხდება ფიორდში წასვლა, — თქვა მასწავლებელმა.

სხვას რომ ეთქვა ეს, აუსტა გაფართოებული, მავედრებელი თვალებით შეხედავდა, მაგრამ ახლა ანაზდად მოენისლა სახე, რაღაც სხივი ჩაუქრა, მისკენ გახედვასაც ვერ ბედავდა, გასუსული იჯდა და ფინჯანს დაჰყურებდა. მძიმე დუმილი ჩამოდგა. მასწავლებელი აცქერდებოდა ყმაწვილ ქალს, მისი ნორჩი სხეულის მოხდენილ ნაკვთებს, ძველი, გაცრეცილი კაბა რომ ჰფარავდა, მაგრამ რაც უფრო ძველი იყო ეს კაბა, მით უფრო ცხოველად ეხატებოდა წარმოსახვაში ამ სხეულის სინატიფე—ნამდვილი ყვავილია, ნაზი ყვავილი, რომელიც ღმერთმა შეჰქმნა მყინვარებს იქით, შეჰქმნა და დაივიწყა თვალუწვდენელ. მწირ, ქვაღორღიან ველზე ამოზრდილი, განსაკუთრებით მომხიბლავი ყვავილი. ბოლოს მასწავლებელი ისე შეეხო ყმაწვილ ქალს, როგორც ქვა-ღორღში ამოსულ ნაზ ყვავილს, ალერსით გადაუსვა ხელი მხარზე, ზურგზე და წამით შეა-

ჩერა ხელი მის წელზე. როცა მასწავლებელმა ხელი მოაშორა, ყმაწვილმა ქალმა თავი ასწია, კითხვით შეხედა მასწავლებელს, მის თვალებში ისეთი სევდა და უმწეობა გამოიხატა, როგორიც ბავშვს აქვს, როცა სცემენ და თან დასამშვიდებლად შაქრის ნატეხს შეაჩეჩებენ ხელში. მაგრამ აუსტას არაფერი უთქვამს, სწრაფად გააქნია თავი, თითქოს ინსტინქტურად თავდასაცავად მოუტა თვალი და ისევ გაახილა. მასწავლებელმა ოფლიანი ხელი ხელზე დაადო ღა თვალებში ჩახედვა დაუპირა. ჩასცქერი ამ თვალებს, ვიდრე არ დაგავიწყდება, ვინა ხარ.

ყმაწვილ ქალს ყელში რაღაც მოებჯინა, სწრაფად წამოდგა, მასწავლებლის ხელი მოიშორა.

განა თავიდანვე ნათელი არ იყო, განა არ უნდა სცოდნოდა, რომ აქ მისი ადგილი არ არის, ნამქერში ჩაკარგულ ამ პატარა ქოხში? ო, რისთვის, რისთვის მოვიდა აქ!.. რად ზრუნავდა აუსტა, რად უვლიდა ყოველდღე ისე, როგორც ლედა პატარა ბავშვს, მასზე ფიქრში რატომ ათენებდა და აღამებდა? იმიტომ ევლებოდა ასე თავს, რომ წასულიყო? რა უნდა ქნას აუსტა სოულილიამ, ეს რომ მართლა წავიდეს? ვიღას მოუაროს ასე მონდომებით, ვისზე იზრუნოს?

თავი ოცდამეთოთხმეტე

ჟამი სურვილის აღსრულებისა

როცა პატარა ნონი, წამლის ბოთლით ხელში, ზარზეიმით ოთახში ამოვარდა, აუსტა სოულილიას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, თანაგრძნობით გაცისკროვნებული თვალი შეანათა მასწავლებელს და სიხარულით ხელი ხელს შემოჰკრა, მაგრამ უცებ გული ჩასწყდა, რადგან მის სახეზე ვერ ამოიკითხა ის კმაყოფილება, როგორსაც ელოდა. მასწავლებელმა ბიჭს ხელიდან გამოგლიჯა წამლის ბოთლი, შლეგივით ზეზე წამოიჭრა, ბოთლზე დაწებებულ ეტიკეტს ჩააშტერდა, ფაციფუცით შეჩურთა ბოთლი ბალიშქვეშ და იკითხა, საჭმელი მალე იქნება თუ არაო. აუსტა სოულილიამ ქურას ფიჩხი შეუკეთა.

ყმაწვილმა ქალმა გაბედა და მორიდებით ჰკითხა მასწავლებელს, შენ რომ გინდოდა, ის წამალი გამოგიგზავნეს, თუ არაო. ეჩვენებოდა, თითქოს სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული მათი მომავალი. რაც უნდოდა, თუ ის არ გამოუგზავნეს, მაშინ რაღა გამოვა, გინდ ჰქონია ეგ წამალი, გინდ არაო. მასწავლე-

ბელმა ამ შეკითხვას წაუყრუა და ბავშვებს გამოუცხადა, დღეს ვეღარ გამეცადინებთ, სჯობია ადრე დავწვეთო.

— მოდი, მართლა ადრე დავწვეთ, რომ მასწავლებელს წამალი შეერგოს,— უთხრა ძმებს აუსტა სოულილიამ.

ბავშვები დროზე ადრე დაწვნენ, მარტო მოხუცი ჰალბერა დარჩა ზეზე, იჯდა და პატარა ლამპის შუქზე ქსოვდა, თან რაღაცას ბუტბუტებდა, ვიდრე მისი დაძინების დროც არ მოვიდა. ჰალბერამ ლამპა რომ ჩააქრო, აუსტას უკვე გულის ძილით ეძინა და საუცხოო სიზმარს ხედავდა. ასეთ კარგ სიზმარს რომ ხედავს ადამიანი, გაღვიძება აღარ უნდა ხოლმე. აი, აუსტას კვლავ გადაეშალა თვალწინ შეუდარებელი, თვალწარმტაცი სურათი: ტყის მომხიბლავი ლანდშაფტი, ძველ კალენდარზე რომ იყო დახატული. კალენდარი დიდი ხანია აღარ არსებობს, რამდენიმე წლის წინათ ოთახიდან ფარეხში ჩაუვარდა და ცხვრებმა ფეხით გათელეს, მაგრამ სურათი ჩარჩა ხსოვნაში, ხშირად ეზმანებოდა ის შეუდარებელი, არაბუნებრივი სიმწვანე. აი, ტყე, ახლაც ისუნთქავს ველური ქონდარას მძაფრ სურნელებას. ასეთი სურნელი მთიდან მოაქვს ქარს, განსაკუთრებით კვირა დილით, ვიდრე ცხრათვალა მზის სხივები აჰკრეფს ღამის ცვარს. აუსტა ნელა ჩაყურყუმელავდა, ისე შესრიალდა სურნელებით დაბანგულ ჰაერში, როგორც ფრინველი მთების მწვერვალებს ზემოთ ფრთის გაუქნევლად დალივლივებს, დაფარფატებს ცაში. ამაში არაფერია საშინელი, აუსტას არაფერი აწუხებს, არაფერი აღონებს, ის ბედნიერია, ბედნიერი. არავინ მოსდევს, არავინ უპირებს დაჭერას. ასეთი საღი ძილით სძინავს ზოგჯერ ახალგაზრდებს. აუსტას ეჩვენება, თითქოს მის ფეხქვეშ თუ ფრთებქვეშ დუდუნებს დედამიწა, მას, აუსტას, ეჩურჩულება რაღაცას, კლდეებით გარშემორტყმული მთაც ეჩურჩულება, უკითხავს მშვენიერ პოემას. აუსტას გაეღვიძა, არ იცოდა, რა დრო იყო, დიდხანს ეძინა, თუ ცოტა ხანს. ოჰ, რა საუცხოო სიზმარი იყო, მის ცხოვრებაში პირველად მოხდა, რომ აუსტას გული შიშით არ შეუთრთოლდა ირგვლივ გამეფებული ღამის წყვდიადის დანახვაზე. და უცებ მის სმენას კვლავ მისწვდა ჩურჩული. არა, არ დასიზმრებია. დიახ, ეს პოემაა... აქ... ოთახში... ის არის... ლექსს კითხულობს. რატომ არ სძინავს, რატომ კითხულობს ლექსს? აუსტამ წამოიწია და ნელა ჩაახველა. მან კი ერთი სტროფი კიდევ წაიკითხა:

— მე ვარ, — უთხრა მან აუსტას.

— ძილი გაგიკრთა? — ჰკითხა აუსტამ.

მასწავლებელმა უპასუხა:

უმშვენიერეს
გოგონას—იას

დღეს სული ჩემი მზით აუვსია.
ო, როგორც ღვინო,
მათრობს და მალხენს,
ჰგავს გაღვივებულ
ოცნებას — ოადარს,
ო, ასეთ ძალას
თუ ფლობდა ევა,
სამოთხეში რომ ხვდებოდა ადამს?

— რას კითხულობ? — გაოცებით ჰკითხა აუსტამ.

— ერთ ძველ პოემას.

— ხომ არ ავდგეთ? — ჰკითხა აუსტამ, რადგან გაიფიქრა, იქნებ მოეხასიათა და ახლა გვამეცადინოსო.

— ახლოვდება დრო, — განაგრძო მასწავლებელმა ჩურჩულით. აუსტას მოეჩვენა, რომ მასწავლებელი მას ეჩურჩულებოდა, სწორედ მას მიმართავდა იმ უცნობი პოემის სიტყვებით. მაინც, რა უცნაურად კითხულობს, თითქოს რასაც ამბობს, მის გასაგონად ამბობს, მას—მხოლოდ აუსტა სოულილიას, ეხება. ყმაწვილ ქალს შერცხვა, დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო, განსაკუთრებით ახლა, ამ შუაღამეს. ლექსები ხომ დღისით ხმამაღლა, ყველას გასაგონად უნდა იკითხოს ადამიანმა, თუმც მათი შეცნობა კი მხოლოდ ღამის სიჩუმეშია შესაძლებელი. მაგრამ როგორ უნდა გაიგოს ყმაწვილმა ქალმა ლექსები, თუ მათ ღამე, ჩურჩულით მხოლოდ მას უკითხავენ? შეიძლება თუ არა, ისე მიიღოს ეს ლექსები, როგორც დღის სიმღერა ყველასთვის გასაგონი?

მე კვლავ ვიხსენებ
ბაგეთა მისთა
უცნაურ ძახილს,
კვლავ მიხმობს იგი
უნაზეს სახით...
მიხმობს, მეძახის
ზურმუხტის დარი
სიტყვა — ოქროსფერ
ხბოზე ძვირფასი,
სიტყვა — ყოველგვარ
ბეჭედზე მყარი.

არა, ეტყობა, იგი მხოლოდ თავისთვის კითხულობდა, ეტყობა, მას აუსტა ჯერ კიდევ პატარა ჰგონია, ალბათ ფიქრობს, რომ მას არ შეუძლია ასეთი არა-

ჩვეულებრივი ლექსების გაგება. მართალია, აუსტა უვლის, ყავით უმასპინ-ძლდება, საჭმელს უმზადებს მასწავლებელს, მაგრამ, ალბათ, მის თვალში იგი მაინც პატარა გოგონაა. ჰოდა, აზრი არა აქვს მხოლოდ მას მიმართოს ასეთი ლექსით. აუსტას კი კარგა ხანია ეჩვენება, რომ ის დიდი, მოზრდილი ქალიშვილია, თუმც არავისთვის უგრძნობინებია ეს. გარდა ამისა, ვერ წარმოიდგენდა, თუ სამიჯნურო ლექსებში მოხსენებული იქნებოდა ხბო, გინდაც ოქროს ხბო. რა შუაშია აქ ხბო? არა, შეუძლებელია ეს სერიოზული პოემა იყოს და იგი აუსტას გასაგონად კითხულობდეს, ის ჰყავდეს მხედველობაში. რა, რა უნდა თქვას ახლა აუსტა სოულილიამ?

ნისლმა დაჩრდილა უეცრად
ჩვენი სამოთხე ველური, წმინდა,
ჩიტების ჟივილ-ხივილი
აღარ ჩამოდის ციდან.
გაზაფხულს ვითხოვ ნიადაგ,
ვითხოვ ბედსა და ხალისს,
გემშვიდობები, ზამთარო,
შენ გელოდები, მაისს!

არა, მადლობა ღმერთს, ასეთ უცნაურ პოემას მასთან აბა რა საერთო უნდა ჰქონდეს. არც ისეთი სულელია, რომ დაიჯეროს, თითქოს შუქმფინარი თვალები აქვს, თითქოს ის იყოს ულამაზესი მთელი ქვეყნის ქალიშვილებში. ეს პოემა, ალბათ, რომელიმე სკალდმა დაწერა ასი წლის წინათ და მიუძღვნა ვილაც ქალიშვილს. აუსტა არასოდეს გარეულა ქალიშვილების საზოგადოებაში. ის ხომ ქვა-ღორღში ამოწვერილი ბალახის ღერივითაა. დარწმუნებულია, რომ სხვა ქალიშვილები მასზე გაცილებით ლამაზები არიან. გარდა ამისა, ის ჯერ ქალიშვილი არც არის, ჯერ ისევ პატარა გოგოა. რა ვუყოთ, თუ თავი დიდად მიაჩნია, ამას ხომ ვერავინ ამჩნევს, თვითონაც ხომ არავისთვის გაუმხელია, მხოლოდ გულში ფიქრობდა ასე, რომ უკვე ქალიშვილია. რას იტყვის მამა, ეს რომ გაიგოს? აუსტა ჯერ კონფირმირებულიც კი არ არის. აუსტას თითოეული სტროფი აღელვებდა, რა უნდა ქნას, თავს ვეღარ იკავებს.

ხელები შუქს ასხივებენ,
შუქს, მზის ნათელის ფერს,
დარდი გაქვს,
დაგავიწყდება
დარდიც, ნაღველიც დღეს...
ხმა მისი მიცავს ავისგან
და გულს სიამეს მფენს.

ასეთი უცნაური ხმით რად კითხულობს, თითქოს სხვამ არ უნდა გაიგოს, რასაც ამბობს, გარდა იმ ერთისა, ვისთვისაც ლაპარაკობს? ნუთუ არ იცის, რომ პატარა გოგოს არ შეუძლია ყველაფრის გაგონება, რომელიც, მართალია, უკვე გაიზარდა, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცის, ისიც ასეთ დროს, შუაღამისას? არა, ველარ გაუძლებს, გრძნობას დაჰკარგავს, იქნებ მოკვდეს კიდეც. ის, ვისაც ძალუძს თავის ნებაზე ატაროს ყმაწვილი ქალი, გააკეთებინოს ყველაფერი, რასაც მოსთხოვს, ის, ვინც იცის პოეზია, იცის ისტორია, უნახავს ქვეყნები, ნუთუ არ დაინდობს, არ შეიბრალებს ესოდენ უბწეო პატარა ქალს?

მე ჩემს ოცნებას ვწვდები და
ცეცხლი შედება გზნებით,
ბედნიერებას ნებივრად
ჩემს სამეფოში ვხვდები,
ბინდი ქრება და ერთდება
შეყვარებულთა გზები.

აფორიაქებული აუსტა ლოგინიდან წამოიჭრა, ხელის ფათურით მოძებნა ასანთი, ფაციფუცით აანთო ლამპა და უცებ გაახსენდა, რომ შიშისა და მღელვარებისაგან ქვედატანის ჩაცმა დავიწყებოდა. სწრაფად გადაიცვა და თეძოებზე ჩამოისვა ხელი. ღმერთო ძლიერო, ეს რა დაემართა, რა საშინელებაა, ალბათ დაინახა მასწავლებელმა.

აუსტამ თავის აქნევით უკან გადაიყარა შუბლზე ჩამოშლილი თმა და მასწავლებელს შეხედა. როგორც ჩანს, წამალმა უკვე არგო, თავს კარგად გრძნობს, ისე გახალისდა, რომ თვალი ველარ მოხუჯა, ვერც ლოგინში გაჩერდა. საწოლზე ზის, ლოყები უღაქღაქებს, თვალები უბრწყინავს, ღრმა ნაოჭებიც კი გაშლია, სახე გადატკეცია და ჭაბუკს დამსგავსებია. მასწავლებელს თითქმის ბავშვური სიხარულით უბრწყინავდა სახე, წამლის ბოთლი მუხლებში ედგა. უღიმოდა ყმაწვილ ქალს, ლამპის შუქს, რომელიც მან აანთო. ლამპის შუქმა ბიჭები გააღვიძა, წამოჯდნენ ლოგინში, რომ უკეთ დაენახათ მასწავლებელი.

— წამალი მოგიხდათ, უკვე კარგად ხართ? — ჰკითხეს ბიჭებმა.

— ძალიან კარგად. ამაზე უკეთესად ღარ შეიძლება იყოს ადამიანი. ბედნიერი ვარ! უსაზღვროდ ბედნიერი!—თქვა მასწავლებელმა და დაუმატა: — კეთილიც. უსაზღვროდ კეთილი! ჰოდა, რატომ ვარ ასე ბედნიერი? — და მან ისე დაიწყო წამლის ბოთლის ქნევა, თითქოს მთელ სამყაროს იწვევს ბრძოლაშიო. — იმიტომ, ჩემო პატარებო, რომ ამღამ უნდა მოისპოს ტანჯვა-ვაება. მე აღვგავე იგი პირისაგან მიწისა. მოვსპე. გავაქრე უბედურება, ავადმყოფობა. ამღამ მე გახლავართ სამყაროს მეუფე, მე წარვმართავ მას.

მორჩა, მოისპო მწუხარება, ტანჯვით აღარავის უთრთის დაკოდილი გული,

მოისპო სიღატაკე, აღარსად არის მიწური ქოხი ნაკადულის ნაპირას, ნახევრად შიშველი ბავშვები. ფარა გაშლილა იალაღზე, ჭია აღარ უღრღნის ცხვარს ფილტვებს, დამოუკიდებელი კაცის ცხენს ზურგი აღარ ეზნიქება მძიმე ტვირთის თრევით, სამაგიეროდ, ეკვატორთან, სილით დაფარულ უდაბნოში ტყე აშრიალდა, მონადირე, ირემი და ავაზა გულთბილად, მეგობრულად ესალმებიან ერთმანეთს მდინარე მისისიპის ნაპირზე. ყველაფერი, რაც კი სწყურია თქვენს გულს, აგისრულდებათ. მაშ, მოდით ჩემთან, ჩემო ბიჭებო, გადამეხვიეთ, ჩაუთქვით, რასაც ნატრობთ და გულისთქმა აგისრულდებათ. დაჰკრა სურვილის ჩათქმის ჟამმა.

ბავშვებმა დიდხანს ვერაფერი გაიგეს, ვერ მიხვდნენ, რა უხაროდა ეგრეერიგად მასწავლებელს. ეს სიხარული იმ ლექსების გაგრძელება ხომ არ იყო, რომლებიც მან ასწავლათ? მაგრამ მისმა ნათქვამმა მთლად გაუკრთოთ ძილი, გამოძვრნენ საბნებიდან და მასწავლებელთან მივიდნენ, რომ სამყაროს აღორძინებაში მიეღოთ მონაწილეობა. მასწავლებელმა გვერდით მოისვა ბიჭები, გადაეხვია, თან რომელიღაც უცნაური ბალადის ნაწყვეტებს დუდუნებდა.

ეს სურვილების ჩათქმა ბიჭებისთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ თავდაპირველად არც კი იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. გაგონილი ჰქონდათ, იმ წუთებში, როცა სურვილი უნდა ჩაუთქვან, ადამიანი ხშირად მუნჯდებაო. გარდა ამისა, იშვიათად მიხვდება ვინმე, რომ დადგა ის საათი, სწორედ ის წამა, რომელზეც მთელი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობდნენ, და ელოდნენ კიდეც. პატარა ნონიმაც კი, ვისაც სჯეროდა სურვილების ჩათქმისა, ამ პატარა ნონიმ—ოცნების პირმშომ—როცა ეს წუთი დადგა, ფარ-ხმალი დაჰყარა. აუსტას კი ყველაფერი ფანტაზიად მიაჩნდა. უცნაურია, მაგრამ სწორედ გვენდური, მიწიერი, ოცნების უნარს მოკლებული ბიჭი, პირველი გამოერკვა და პირველი მიხვდა, რომ ეს ჟამი ნამდვილად დადგა. იგი კელდელ ჭროდლოგურს ჰგავდა, რაც ხელთ მიეცემოდა, არ გაუშვებდა, კვლევა-ძიებას არ მოჰყვებოდა, რა როგორ არისო და მან პირველმა ჩაუთქვა თავისი სურვილი:

— მე მინდა, ცხვარმა კარგად გამოიზამთროს და მამაჩემმა ამ ზამთარს ბევრი ფული იშოვოს, რომ შემოდგომაზე კიდევ იყიდოს ცხვარი.

— მეგობარო, — უთხრა გვენდურს მასწავლებელმა და გადაჰკოცნა, — შენი ნატვრა აღსრულდება, ცხვარი მშვიდობიანად გამოიზამთრებს და გამრავლდება. წყვილ-წყვილ, ერთიმეორეზე უკეთეს ბატკნებს მოიგებს და ჩამოგიყვანთ შემოდგომაზე, იალაღიდან რომ დაბრუნდება. მთელ ოლქში არავის ეყოლება ისეთი ბატკნები. ასევე გაიზრდება მამათქვენის კრედიტი ფიორდში. თქვენს ხუტორამდე გამოიყვანენ სარკესავით სწორ გზატკეცილს და ამ გზატკეცილით უშენში შემოაბიჯებს მსოფლიო კულტურა. კულტურას კი წკრიალ-

ელარუნით მოჰყვება ვერცხლის დიდი მონეტები. აქ, ამ ბორცვზე, ზღაპრულ სასახლესავით აიმართება ქვიტკირის ორსართულიანი სახლი. სახლი უმძლავრესი ელექტრონათურებით გაჩირაღდნებული.

ამით დამთავრდა გვენდურის ნატვრაზე ლაპარაკი. პატარა ნონიმ გუნებაში გადაწყვიტა, გინდაც მხოლოდ ფანტაზია იყოს, ასეთი წუთის ხელიდან გაშვება მაინც ჭკუასთან ახლოს არ იქნებაო, — ვთქვათ და ფუჭი ოცნება არ არის?

ასე იქცევა სასიკვდილო სარეცელზე მწოლი ადამიანი—ღმერთს ევედრება შველას. იქნებ, მართლა არსებობს ღმერთი, იქნებ მართლა შეისმინოს ჩემი ვედრებაო. რას ჩაუთქვამს პატარა ნონი ამ წმიდათა წმიდა წუთებში, როცა განგება ყოველი სურვილის აღსრულებას ჰპირდება? ზოგი ერთადერთი სურვილით ცოცხლობს—ისინი ბედსვიანები არიან, რამეთუ ცხოვრებას მარტოოდენ ერთი სურვილის დატევა შეუძლია. დედამ, ცხოვრების ნარეკლიანი გზით მავალმა ქალმა, ერთადერთი ოცნება ჩააქსოვა შვილს. მას სხვა ქვეყნების ნახვა უნდოდა.

— რომელი ქვეყნების? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— ტყიანი ქვეყნების, — უპასუხა ნონიმ, — იქ, სადაც მისისიპი მიაგელვებს ტალღებს, როგორც სიმღერაშია ნათქვამი, სადაც უღრანი ტყეებია, სადაც ირმები და ავაზები ბუდობენ. ასეთ ქვეყნებზე ვოცნებობდი.

— ᲛᲝᲫᲘᲢᲐᲜᲔ ქაღალდი, მელანი და კალამი, — უბრძანა მასწავლებელმა პატარა ნონის.

როცა ნონიმ მიუტანა ყველაფერი, მასწავლებელი მაგიდაზე დაიხარა და სწრაფად, მსხვილი ასოებით, ხელგაკვრით ისე დაიწყო წერა, რომ კალამს წრიპინი გაუდიოდა. გაოცებული ბიჭი თვალს აყოლებდა მისი ხელის მოძრაობას და ვეღარ გადაეწყვიტა, სიზმარში ხედავდა, თუ ცხადში ხდებოდა ყველაფერი.

იქნებ ყველაფერი ეს თამაშია, ოცნებაა? იქნებ ეს წუთი — ცხოვრების ერთ-ერთი იმ მწვერვალთაგანია, რომელიც განსაზღვრავს შენი მომავლის გზას.

— აჰა, გამომართვი,—უთხრა მასწავლებელმა ბიჭს და რაღაცნაირი ზვიადი მოძრაობით გაუწოდა წერილი, — როგორც კი შესაძლებლობა მოგეცემა, გაგზავნე ეს წერილი ფიორდში, ჩემო პატარავ, ეს ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი წერილია, ნატვრა აგისრულდება.

გაოგნებულმა ბიჭმა კონვერტს დახედა. წერილი ვიღაც უცხოელი მანდილოსნის სახელზე იყო დაწერილი. ოლქის მოსამართლის ოჯახში ხომ არ ცხოვრობს ის მანდილოსანი? მაგრამ კონვერტზე დაწერილებით არაფერი იყო მითითებული.

დაწოლის წინ პატარა ნონიმ ჯადოსნური წერილი ბებიას თაროზე შემოდო

და ყურის ბიბილოზე იჩქმიტა. სიზმარში ხომ არ ელანდება? ვაითუ ხვალ, როცა გაიღვიძებს, ვეღარსად ნახოს წერილი. ვაითუ ტყუილი გამოდგეს?

დილით, როგორც კი თვალი გაახილა ბიჭმა, თაროს ეცა, ხელი მოაფათურა. თქვენ წარმოიდგინეთ—თაროზე მართლა იდო კონვერტი და ზედ ძლევამოსილი სიტყვები ეწერა. უცხოელი მანდილოსნის მისამართი, იმ მანდილოსნის, ოლქის მოსამართლის ოჯახში რომ ცხოვრობდა. მან დაავლო ხელი კონვერტს და პირველსავე მგზავრს სთხოვა, გადაეცა ეს წერილი მისთვის, ვისაც ეკუთვნოდა.

მაშ ასე, მეორე ნატვრაც ასრულებულია. ახლა მესამის რიგია.

მასწავლებელმა ბიჭებს უთხრა, ახლა კი შეგიძლიათ დაწვეთ და დაიძინოთო.

როცა ყველამ დაიძინა, მასწავლებელმა ლამპა ჩააქრო და აუსტა სოულილიას გადაეხვია.

თავი ორმოცდამეცამეტე

გარდაუვალი

ოო, ეს საშინელება იყო.

ამაზე უფრო საშინელი, ამაზე უფრო საზარელი აღარაფერი მოხდება.

ღმერთო, რომელიც ხარ ცათა შინა,
ყოვლისშემძლე ხარ, ღმერთო ძლიერო,
ბიშველე მე ჩემს ბრძოლაში ახლა,
სხვა ვინ მიშველის საბედნიეროდ.
გული აღივსო შხამით და ცოდვით,
ლამის აღმევსოს ბინდით გონება,
და სული ჩემი ეშმაკებს ოდით
ძლივს უმკლავდება, ძლივს ეომება.
ბოლო არ უჩანს შიშსა და სევდას,
ქუხს ჯოჯოხეთი შავი ცოდვებით
და მე, ცოდვილი, ნამდვილად ვხედავ,
ნამდვილ ჯოჯოხეთს ვუახლოვდები.
ცეცხლს მივეცემი ადრე თუ გვიან,
ბოლო არ უჩანს შენს მრისხანებას,
ადრე თუ გვიან ეს დრო, ეს სულიც
ალბათ ჯოჯოხეთს დაემგვანება.

აუსტა სოულილია ქურასთან იდგა, ყურს უგდებდა ფსალმუნს. ყმაწვილ ქალს ქალწულებრივი ხელები ჰქონდა, მაგრამ გაუხეშებული, გალურჯებული, ხელისგული ფართო, მაჯა წვრილი, სახსრები ოდნავ შემსხვილებული, თითები მკერავი ქალივით გრძელი, დიდ თითზე ძარღვი ამობერვოდა, მაჯებიც დასრულებული ქალივით მაგარი ჰქონდა. აუსტამ ქურიდან ნაცარი გამოსვეტა, შეაწყო მანანის გაშავებული ტოტები, ქონდარა არყის ხის წვრილი ყლორტები და ცეცხლი წაუკიდა. უცებ ატკრციალდა ფიჩხი, აუსტამ ზედ წივის ფირფიტები დაალაგა. საკვამურში ქარი ჩავარდა და ოთახი კვამლით გაივსო.

მაშ ასე, აუსტა სოულილია უკვე დიდი ქალია, ცეცხლს ანთებს დილ-დილობით. წავიდა, უკვალოდ გაქრა ბავშვობა, ვეღარ დაიბრუნებ ვერასოდეს.

მარტის მიწურული იყო, სარკმლიდან მკრთალი შუქი შემოიჭრა. ციცა დილა იდგა, განსაკუთრებით ცივი—იმ ღამის შემდეგ. ყმაწვილ ქალს აურეოლებდა, ერთთავად კბილს კბილზე აკერდა, თმა გაწეწოდა, ცალი ნაწნავი ჩამოშლოდა. ძველი, დაფხრეწილი კაბა, ფაციფუცით რომ გადაიცვა და არ ჩამოისწორა ტანზე, წელთან ამობურცოდა. როცა დაიხრებოდა, ფეხის კუნთები მოუჩანდა, წვრილ, გახუვითარებელ, ბავშვურ მუხლებთან შედარებით — მსხვილი, გამობერილი, თითქმის უხეში კუნთები და სავსე, მაგარი კანქვები. აუსტა სოულილიას პერანგის ჩაცმა დაავიწყდა. სად არის მისი პერანგი? წინდები არ აუწევია, კოჭებზე ჩამოჰკეცია ნაოჭ-ნაოჭ, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას... აუსტას ეჩვენებოდა, თითქოს თეძოები განზე გაეწია, მერედა ვის? იმას, ვინც ლერწამივით წვრილი იყო? მარტო თეძოები კი არ გაეწია, ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ თევზივით გაუფატრეს მუცელი, ნაჭერ-ნაჭერ დაჭრეს ბასრი დანით. დიახ, ბასრი დანით!.. ყველაფერი ტკიოდა, თავიდან ფეხამდე; ყოველ მოძრაობაზე ხან სად გაჰკრავდა მწვავე ტკივილი, ხან სად. თითქოს მარტო გამოფატრული და დაჭრილი კი არა, გასრესილიც იყო, გათელილიც. ერთი რამ უნდოდა, ერთი რამ სწყუროდა: ნეტა შემეძლოს დავწვე, ჩავიმალო ჩემ საბანში და ვიძინო, ვიძინო დაუსრულებლივ, რომ არავინ დავინახო და არაფერი გავიგონოო. მან ხომ განთიადის ხანსღა ჩასთვლიმა და უცებ ელდანაკრავივით ზეზე წამოენთო, არა, ამაზე უფრო საშინელი აღარაფერი შეხვდება, არასოდეს, არასოდეს!..

ყმაწვილი ქალი ბებიას თვალს არიდებდა და მაინც ხედავდა, აზრით ხედავდა, როგორ მიმჯდარა იგი თავის კუთხეში, ნელა ირწევა, საქსოვი მუხლებზე უდევს, თავი უძიგძიგებს, დანაოჭებული სახე თითქოს რუნული წარწერებითა აქვსო აჭრელებული, მოუსვენრად აცეცებს თვალებს მძიმე, ჩალურჯებული ქუთუთოების ქვეშ, მაგრამ ეს თვალები ყველაფერს ხედავენ, ყველაფერს ამჩნევენ, ყველაფერი იციან. ეს თვალები—თვით ცხოვრებაა, თვით სინამდვი-

ლეა თავისი ღმერთითა და ეშმათი, ყველა იმით, რაც ფეხდაფეხ მოგდევს ზმანებებით სავსე იმ ღამის შემდეგ, არეული ზმანებებით, უღრანი ტევრნარივით რომ შემოგეჯარებიან და გზას ვეღარ იკვლევ. და ასე, ცად აფრენის, სანუკვარი სურვილებისა და ოცნებების შემდეგ—ბებიას ძველთაძველი ფსალმუნები, რომელიც გამთენიისას გაისმის. მანამ, ვიდრე დღე თავის უფლებებს მოიპოვებდეს, ვიდრე აბრიალდება მინავლებული ცეცხლი ყოველდღიურობისა—გესმის ფსალმუნი და ამ ფსალმუნისაგან სიტკბოების აწ გამქრალი წუთი მრავლდება უსასრულო ტანჯვაზე, როგორც ათასი მრავლდება მილიონზე; გეგონებათ, მთელი ცხოვრება ერთ ღამეში დაიხარჯაო, თითქოს იგი ერთ ღამეს შესწირე. ყმაწვილ ქალს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დაჭრეს, აკუწეს და სისხლიდან იცლება. ოო, არა, არასოდეს, არასოდეს...

მეჩურჩულება მაცდური სული
და ღვთის სამსჯავროს საჯაროდ წყევლის,
მეჩურჩულება. რომ სააქაოს
და საიქაოს წამება მელის.
რომ ჯოჯოხეთში ცეცხლს შემინთებენ,
ოდეს ამ მიწას დავტოვებ ერთობ,
ო, მიწყალობე მე ცოდვილს ახლა
წყალობა შენი, მოწყალე ღმერთო!

კვამლი ბოლქვებად გამოდის ქურიდან, აუსტა პირზე ხელს იფარებს, ცდილობს ხველა შეიკავოს, რომ არავინ გააღვიძოს. ნეტა არავინ გაიღვიძოს, ნეტავ იძინონ, სულ იძინონ, ოღონდ კი არ დაინახონ, ყურადღება არ მიაქციონ მას, ხმა არ გასცენ, ნეტავ ღამემ სამუდამოდ დაისადგუროს ქვეყნად, არასოდეს აღარ გაჩაღდეს ცეცხლი, აღარ ადუღდეს წყალი. აუსტას სწამდა, რომ ის აღარ არის, რაც იყო, რომ სულ სხვანაირი გახდა, მის დანახვაზე ყველა დაფეთდება, ვერავინ იცნობს, გააგდებენ. მისი ძმები უკვე მისი ძმები აღარ არიან, ანდა თვითონ აღარ არის მათი და. დიდი ხანია უკვე, რაც აუსტამ იცის, რომ თვითონ ისეთი არ არის, როგორც ისინი. პატარაობიდანვე შურდა მათი, ესმოდა, რომ ისინი რაღაც იდუმალი მიზეზით მასზე მაღლა იდგნენ, რაღაც დააკლეს აუსტას, არ მისცეს, ჰოდა, დადგა ჟამი განკითხვისა. ასეთი რამ იმათ არასოდეს არ შეემთხვევა, ამიტომ გაუჭირდებათ, ვერ გაერკვევიან მის ბედ-იღბალში და ეს სამუდამოდ დააშორებს ერთურთს. ვერა, ქვეყნად ვერავინ გაერკვევა, ვერ გაიგებს, რაც მას შეემთხვა. ის მარტოა, მარტოდმარტო დგას სამყაროს გარეთ—და ეს გამოუსწორებელია, ასე მარტოობაში დალევს სულს. მორჩა, გაწყდა ყოველგვარი კავშირი ნათესავებთან, იწყება სრულიად ახალი ცხოვრება. ყველაფერი ძველებურად დარჩება, მარტო თვითონ გამოიცვალა, არავის არაფე-

რი შემთხვევია, მარტო მას შეემთხვა. აწი მისთვის დღე დღე აღარ იქნება, ყოველი დღე უცხო გახდება მისთვის და არა მარტო უცხო—ამოუხსნელი ამოცანა, ლაბირინთი, გამოუვალობა. რომ შეიძლებოდეს, მთელი საუკუნე იდგეს აქ, ამ ჯერ გაუთბობ წყალთან, არ ელოდოს მათ გაღვიძებას, ვისაც უკვე სამუდამოდ მოწყდა, ვისთანაც აღარაფერი აკავშირებს, იცხოვროს ანდა, უფრო სწორად, არ იცხოვროს სადღაც ყოფნა-არყოფნას შუა, მინავლებულ კერასთან ესმოდეს ფიჩხის ტკაცა-ტკუცი ალიონის რუხ ბინდბუნდში, არ ეძიოს ღამის განცდების ახსნა-განმარტება და მხოლოდ შორეულ ბუნდოვან ზმანებასავით ახსოვდეს ის უსახელო საშინელი ფრინველი თავისი მტაცებლური ნისკარტით, რომელმაც ერთხელ, ერთად ერთხელ გადაუქროლა ფრთების ფათქუნით მათ ჭაობს.

მაგრამ ერთი წამის შემდეგ კვლავ იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ რა მოხდა, რატომ მოხდა, ეძებდა მიზეზს, ახსნას ცდილობდა. მთავარია—რა გააკეთა მან? არაფერი, არაფერი არ გაუკეთებია, ის ხარობდა მისი სიხარულით, რაღაც უცნაურმა დენმა დაუარა მთელ სხეულში, მიეკრა მას, მაგრამ სრულიად უნებლიეთ—იმიტომ, რომ დენმა დაუარა სხეულში ღამე, როცა მან ლამპა ჩააქრო. განა ესაა დანაშაული? რატომ უვლის ადამიანს მთელ ტანში დენი? ეს თვით ცხოვრებაა—აქ ვერაფერს გააწყობ, შენ ხომ ცოცხალი ხარ. განა ეს აკრძალულია? მაშ რატომ გაჩნდა ქვეყნად, თუ ასეა? რატომ შერჩა სიცოცხლის ნაპერწკალი, როცა ძაღლის გვერდით იწვა — თბილი ძაღლის, რომელსაც რწყილები ჰყავდა და უთუოდ ჭიაც? მამამისმა რატომ თან არ წაიყვანა ძაღლი მაშინ, როცა მთაში წავიდა დაკარგული ცხვრის საძებრად? არა, მას ცუდი არაფერი ჩაუდენია, არაფერი ცუდი — იმ წუთიდან მოყოლებული, ძაღლის გვერდით რომ იწვა, ვიდრე დღემდე. რაღაც უცნაურმა დენმა დაუარა...

და მაინც... მან ნება მისცა... რატომ მისცა ნება? რატომ, რატომ არ გაახსენდა მამა? კარგო, საყვარელო მამიკო! მამის გახსენებაზე, თითქოს ლახვარი ჩასცეს გულში. ვერა, ის ვერასოდეს ვერ გაიგებს. ის, რომელმაც მთელი სახლი, შინ თუ გარეთ, ყველაფერი მას მიანდო, ვინც ასწავლიდა თავის შენახვას და სიფრთხილეს, რომელმაც ერთი წამით, ერთი ხანმოკლე წამით მიიკრა მკერდზე...

უმაწვილ ქალს ტირილი წასკდა, ვეღარ დაიმშვიდა გული. ხელები აიფარა სახეზე, ცრემლი მის თითებში ჟონავდა და ქურაზე შემოდგმულ ქვაბში ცვიოდა კურცხლები. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფერდებზე ნიდაყვები მიიჭირა, რომ შეეკავებინა ქვითინი, მაგრამ ტირილი — განსაკუთრებული სტიქიაა, ცრემლი—ნაკადი, რომელსაც საგანგებო ძალა მართავს, ვერა, ვერ დასძლევს, ვერ მოერევა ამ ძალას, ვერა... ასე იყო ღამითაც, როცა ის მოეხვია, ერთად რომ იყვნენ, ერთურთს რომ აღარაფერი აშორებდათ და მას სჯეროდა,

რომ ეს თვით სიხარულია. ჰოდა, დაავიწყდა მამა, დაავიწყდა ყველაფერი, ყველაფერი ამქვეყნად... და მაინც უნდოდა გაქცეოდა ამას... მაგრამ ვერ ძოახერხა, ვერ შესძლო, ვერ შესძლო, ვერა... ამას ვერ გაექცევი, რადგან ეს თვით ცხოვრებაა. ჰოდა, უნდა იდგეს აქ, მდუღარება უნდა აფრქვიოს ამ მინაელებულ ცეცხლზე, თვითონ რომ დაანთო.

მე როგორც ძაღლი ვკანკალებ შენს წინ
და საწყალობელ თვალებით გიმზერ,
გთხოვ შემიცოდო, ამ ქვეყანაზე
ჩემი ცოდვების ნუ ეძებ მიზეზს.
აქ ყველას მახე უგია თურმე,
სულს გასაქანი არა აქვს მუდამ...
ო, ღმერთო ჩემო, ჯოჯოხეთისგან
მიხსენი!
ღმერთო, მიშველო უნდა!

ამ ღვთისმოსაურმა ფიქრებმა სადღაც მის უკან, მომნანიებელ ცოდვილთა ბრბოსავით ბუბუნით ჩაიარეს და მარადიული მტერი დაუფარავი ფლანგიდან ეკვეთა. მთელი ურდო მტრებისა ასამართლებდა, განაჩენი გამოჰქონდათ, იმოწმებდნენ რელიგიას. უმაწვილ ქალს აუტანელი სევდით, მწარედ შემოჰკვნესა გულმა. ქრისტიანულმა მორალმა სატანჯველდ გასწირა ადამიანი—აქვს თუ არა ამ ტანჯვას საზღვარი? აუსტა უცებ ადგილს მოწყდა, ბებიას ქარიყით ჩაუქროლა და ზევით აიჭრა, შედგა მასწავლებლის საწოლთან, თითქოს მისთვის ამ კაცის მკლავებში იყო ჭეშმარიტი წმინდა თაშესაფარი. შიშით, ძრწოლეით მიადო თითები ლოყაზე, მერე გადახსნილი საყელოს ქვეშ შეუყო ცივი ხელი... მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ენუგეშებინა, გადაერჩინა იგი, მასწავლებელმა ძილში შესაბრალისად წამოიკვნესა და კედლისკენ შებრუნდა, საბანი ჩამოუცურდა, გამოუჩნდა შიშველი სხეული. აი, სად ყოფილა აუსტას პერანგი, მის გვერდით დეეს მოგუნდავებული. კვლავ შიშითა და ძრწოლეით დასტაცა აუსტამ ათრთოლებული ხელი პერანგს და სწრაფად გადააფარა მასწავლებელს საბანი: თავის დღეში არ უნახავს შიშველი მამაკაცი. საბედნიეროდ, ვერც ახლა დაინახა, რადგან ჯერ კარგად გათენებული არ იყო და სარკმლიდან მკრთალი შუქი აღწევდა ოთახში. რა, რა გააკეთა აუსტამ? ვინ არის ეს კაცი?

თითქმის უკვე გათენებული იყო, როცა აუსტა ძმებთან ერთად ფარეხში წავიდა. მარტის გრილი ქარი ეამა და როცა ცხვრებს თივას უყრიდა, ცოტა დაშოშმინდა, მაგრამ ძმებს თვალებში ვერ უყურებდა, სახეს არიდებდა, ეშინოდა, ვერ მიცნობენო. მასწავლებელი კი იწვა კედლისკენ პირშექცეული და

ადგომას არ აპირებდა. აუსტა ისევ მივიდა მასთან, ყური მიუგდო, სუნთქვა არ ისმოდა და შეეშინდა: ხომ არ მოკვდა?

— ყავა არ გინდა? — რამდენჯერმე ჰკითხა ჩურჩულით, — ცხელია, დალევ?

არა, არ მომკვდარა, გაიღვიძა, თვალი გაახილა. აუსტას საშინლად გაუხარდა, მიუხედავად იმისა, რომ მან არაფერი უპასუხა, მხოლოდ მწარედ ამოიკვნესა. არა უშავს რა, გაუვლის, თავი ინუგეშა აუსტამ და ყავა მიუტანა, წამოჯდომაში მიეშველა.

მასწავლებელს ჩათეთქვილი, ავადმყოფური სახე ჰქონდა, წვერი აბურდული, თმა აწეწილი, აუსტას თვალს არიდებდა. ის კი ჩამოჯდა მის საწოლზე, მიუხედავად იმისა, რომ მას არ უთხოვია, დაჯექიო, და გატეხილი სავარცხელი გადაუსვა თმაზე.

— დალიე ყავა, — ნელა ეჩურჩულებოდა აუსტა, თან თმას უვარცხნიდა.

დიახ, თმას უვარცხნიდა! წარმოუდგენელია, დაუჯერებელია, მაგრამ მაინც ამას აკეთებდა ყმაწვილი ქალი, ბალიშიც გაუსწორა, მხარსუკან ამოუდვა, ხელი შეაშველა, ახლოს მიუჯდა. აკეთებდა უბრალოდ, დაუფიქრებლად, ისე, თითქოს თავისით კეთდება ყველაფერიო. უწინდელი მოკრძალებისა და მორცხვობის კვალიც აღარ ეტყობოდა. „გტკივა რაძე, ხომ არაფერი გინდა?“ — ეჩურჩულებოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რაც თვითონ დაემართა, იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა ამ კაცს მოსვლოდა.

— ვკვდები, ვკვდები, — დაიჩურჩულა მასწავლებელმა და ყავა მოსვა, — თავი დამანებე, არა ვარ ღირსი.

მასწავლებელს მადლობა არ უთქვამს, თმა რომ დავარცხნეს და ცარიელი ფინჯანი ჩამოართვეს, კვნესით მიესვენა ბალიშზე, აუსტა სოულილიამ გულმოდგინედ შემოუკეცა საბანი. ყმაწვილ ქალს ყელში რაღაცამ წაუჭირა, მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, იმან კი ზედაც არ შეხედა, ერთი ალერსიანი სიტყვა არ უთხრა, არაფერი უჩურჩულა

ასე იწვა ერთ ხანს. აუსტაც იქვე იჯდა, ნაზი, ერთგულებით სავსე მზერა მიეპყრო მისთვის. უცებ მასწავლებელს ბაგე ‘ეერხა და გაისმა ჩურჩული:

— ღმერთო, ყოვლად ძლიერო, მიშველე! ღმერთო! ყოვლად ძლიერო, მოიტევე მე!

არა, ასეთ წამებას ვერ გაექცეოდა აუსტა, იჯდა იქ, მის გვერდით, ყურს უგდებდა მის ოხვრა-გმინვას. წამალი გათავდა, ბოთლი ცარიელი იყო, და აღარავინ დარჩა, ღმერთის გარდა.

ღმერთო მიშველე, შენ გეაჯები,
იყავი ჩემი შემწე და მცველი,

შენ გეჯები, როგორც განთიადს,
რომ ცისიერი წამით ჩააქრო
ჯოჯოხეთური ცეცხლი, რომელიც
ჩემს სულში ასე უღვთოდ ანთია!

იმ დღეს ღმერთი უცებ მთავარ მოქმედ პირად გადაიქცა ხუტორში. ყველას ეჩვენებოდა, რომ შეიცხეს იგი, ყველამ თავისებურად. აი, თურმე როგორია ღმერთი?..

მასწავლებელმა ღვთისმოსაურ აღტყინებაში თვით მოხუც ჰალბერას გადააჭარბა: ბებიას გარითმულ-გაზეპირებულმა ლოცვებმა ელფერი დაჰკარგა მისი სულის გაურითმავ კივილთან შედარებით. წარამარა წამოჯდებოდა საწოლზე, სასოწარკვეთილებით სავსე, გაფართოებულ თვალებს მიაპყრობდა ერთ წერტილს, შუბლიდან ცივ ოფლს იწმენდდა და გმინავდა:

— ღმერთო ჩემო, დავიღუპე! ღმერთო ჩემო, ეს რა ჩავიდინე, ეს რა ვქენი... ღმერთო ძლიერო, თუ ჩემი მოსპობა გაქვს გადაწყვეტილი, მომსპე ახლავე, საბოლოოდ გამანადგურე.

ყმაწვილმა ქალმა წყალი შესთავაზა: რატომღაც ეგონა, რომ ცივ წყალს შეუძლია სულისა და სხეულის განკურნება.

მასწავლებელმა წყალი მოსვა და კენესით მიესვენა ბალიშზე. აუსტა იმედოვნებდა, იქნებ დაიძინოსო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად მასწავლებელი ისევ წამოჯდებოდა და კვლავ გაისმოდა მისი მოთქმა:

— ღმერთო, ეს რა ვქენი, ეს რა ჩავიდინე!

აუსტა აღარ სთავაზობდა წყალს, მისკენ დაიხარა და უჩურჩულა:

— არაფერი არ გაგიკეთებია, — მერე პირი ყურზე მიადო და უფრო ხმადაბლა ჩასჩურჩულა: — შენ უნდა გაგეკეთებინა ეს. თუ ცუდია, რაც მოხდა, მარტო მე ვარ დამნაშავე. მაგრამ ცუდი ამაში არაფერი იყო, შენ ჩემთვის არ მოგიყენებია მწუხარება, თუ გინდა, კიდევ გააკეთე. მამა ვერაფერს გაიგებს... ღმერთი არც ისეთი სასტიკია, როგორც შენ გგონია.

აუსტამ ხელები კისერზე შემოაჭდო მას, ლოყით ლოყაზე მიეკრა და მტკიცედ გადაწყვიტა, სიცოცხლის დასასრულამდე მასთან ერთად ეცხოვრა. რაც უფრო იტანჯებოდა მასწავლებელი, აუსტას მით უფრო ავიწყდებოდა საკუთარი თავი.

მასწავლებელი ისევ მიწვა, მაგრამ აუსტასთვის ხელი არ გაუშვია: რაოდენ ტკბილია შეხება იმ ხელისა, სულში აბობოქრებულ ქარიშხალს რომ აცხრობს. იგი მილულული თვალებით შესცქეროდა ყმაწვილ ქალს სახეში. ამ სახეში იყო მისი ხსნა და თანდათან დამშვიდდა.

თავი ორმოცდაშვიდეთოთხმეტე

როცა ცხოვრების ყვავილი გუყავს

ბიარტური მთელი ღამე გზაში იყო. შუაღამისას გამოვიდა ქალაქიდან, გარიჟრაჟმა რომ მოატანა, უკვე უშენის დასავლეთი ფერდო დაინახა. ვნების კვირა იდგა, ციოდა, ღამე მიილია. ათასი ნაბიჯი, ათასი ფიქრი — ყველაფერი ირევა ერთმანეთში, როგორც უძილო ღამეს, ზოზინით რომ მისდევს საათი საათს წყვდიადში და ათასი რამ გიტრიალებს თავში, ვიდრე გათენდება. ცოტაც და ცისკრის ცივი შუქი დაეფინება დათოვლილ უშენს, ხეობას, მთების კლდოვან მწვერვალებს, აქა-იქ რომ ამოუყვიათ თავი ყინულის ქერქქვეშ მბზინავ, გაყინულ ნაკვალევს და ყველაფერი ოქროსფრად დაიფერება. ბიარტური გასცქერის თავის სამფლობელოს, ვალებისგან გაწმენდილს, დიდი, დიდი ხნის წინათ რომ იყიდა, და განთიადის მოცისფრო შუქით დაფერილ თავის სახლს ესალმება შორიდან. გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ ორი კვირა გავიდა, კიდევ ორი კვირა და ზაფხულიც კარს მოადგებათ, ჭანჭრობი კი ჯერ მთლად დაფარულია ყინულის თხელი ქერქით, ყინულის დნობას არც ტბაზე უჩანს პირი, უშენის სამხრეთი მხარე მთლად გადათეთრებულია, იქვე ამართული ლურჯი მთები კი ისეთ ცისფერ სამოსში გახვეულან, თითქოს მიწასთან და ყოველივე მიწიერთან საერთო არაფერი აქვთო.

ზედ მთის ნაპრალთან დგას მისი, ბიარტურის, პაწია სახლი, ირგვლივ დატკეპნილი თოვლია, სახლის პირდაპირ კი, ხეობაში, ყინულის გრძელი ლოლუები ჰკიდია. აქედან, სადაც ის დგას, გარკვევით მოჩანს თოვლით დაფარული სახლის სახურავი. ბიარტურმა ტვირთი ძირს დადო, დგას, გასცქერის თავის სამფლობელოს, სადაც ცხოვრობს მისი პატარა ოჯახი და „ცხოვრების ყვავილი", აუსტას რომ შეარქვა და ერთხელ უცხო კაცთანაც წამოსცდა ეს. დგას აქ მეომარივით, რომელიც უცხო ქვეყანას წავიდა საბრძოლველად, თუმც გამარჯვების იმედი არ ჰქონდა, ამაოდ მიაჩნდა ეს ბრძოლა, მაგრამ ახლა ძლევამოსილი ბრუნდება, ბრუნდება ნადავლით: მოაქვს სურსათი, საქონელი და, რაც ყველაზე საოცარია, სამომხმარებლო საზოგადოების კრედიტი.

ამ სამყაროში ერთი დღესასწაულიდან მეორე დღესასწაულამდე შეიძლება მოხდეს ყოვლად დაუჯერებელი, ყოვლად მოულოდნელი ამბები. მოულოდნელობა კი მუდამ ერთნაირად აოცებს ხევის მკვიდრ გლეხს იმიტომ, რომ ამ „ღვთის თანაშემწეს", როგორც რედსმირელი ფრუ უწოდებს მათ, ღმერთმა განკვრეტის ალღო ძალზე ძუნწად მიამადლა, ავიწყდება, რომ შობიდან აღდგომამდე შეიძლება დედამიწა გადატრიალდეს და ყოველგვარი გაფრთხილება-

ნებართვის გარეშე, თავდაყირა დაჯდეს ზღვაზე. ვაჭარი, ვისთანაც ზაფხულის საკანელ ბიარტურს ჰქონდა საქმე, მისი დიდი ნდობით სარგებლობდა. ვაჭრის სიმდიდრე—კოშკებიანი სახლი—შურის გრძნობას არ უღვიძებდა. განა ბიარტური არ ამბობდა: „მე რა მესაქმება, დალახვროს ეშმაკმა, მის კოშკებთან და სასახლეებთან? გაიძახიან, ბრუნი უკანასკნელ წვეთამდე სისხლს სწოვს გაჭირვებულ ხალხსო, მაგრამ რაკი ის ბებერი ავაზაკი მე ნამუსიანად მექცევა, ამიტომ მეტს მისგან არას მოვითხოვ“. ასეთი აზრისა იყო და ვერაფერმა შეაცვლევინა ეს აზრი, ვერც გონივრულმა მოსაზრებებმა, ვერც საბუთებმა, ვერც მუქარამ და დაპირებებმა. მერედა რა გამოუვიდა? ერთ მშვენიერ დღეს გამოირკვა, რომ ვაჭარი გაქრა, სადღაც გაემგზავრა, აღარ არსებობს, აორთქლდა. დუქანი ცარიელია, სავაჭრო დავთრები არავინ იცის სად არის, კოშკებიანი სახლი კი ველში გაიყიდა. ასე მოულოდნელად დაინგრა ის საძირკველი, რომელზეც ხეობის მკვიდრი გლეხი აგებდა თავის ცხოვრებას. ეს ძლევამოსილი გოლიათები—კომერსანტები, ცალი ფეხი ისლანდიაში რომ აქვთ და მეორე შიგ კონტინენტში, ანაზდად აღიგვებიან ხოლმე პირისაგან მიწისა. ასე და ამგვარად დაიკარგა, რაც ბიარტურს ერგებოდა და უბედურება ის იყო, რომ ხელს ვერავის დაადებდა, პასუხს ვერავის მოსთხოვდა. ასე იყო საქმე ზამთარში, როცა ბიარტური ფიორდში წავიდა სამუშაოს საძებრად. ბრუნი გაკოტრდა, მიითვისა სხვისი ფულები და გადაიკარგა. ცხვრის გაწყდომის და იმ ზარალის შემდეგ, რაც ავმა სულმა ძიაყეხა, ბიარტური მშრალზე დარჩა.

ღმერთები და ხალხი რომ შეერთებულიყვნენ და ერთად ებრძოლათ მის წინააღმდეგ, ამაზე სასტიკად ვერ გაასწორებდნენ მიწასთან დამოუკიდებელ ადამიანს. და უბედურება ის იყო, რომ პასუხს ვერავის მოსთხოვდა, ჯავრს ვერავიზე იყრიდა...

ბიარტური მაინც წავიდა ოლქის მოსამართლესთან.

— სად არის თქვენი ნაქები მართლმსაჯულება, — დაიქუხა ბიარტურმა, — თუ იმის ნებას აძლევთ ვინმეს, კაცს ყველაფერი წაართვას, ისედაც რომ სული ვერ მოუბრუნებია, ათას გაჭირვებასთან ერთად, ვინ იცის, ეგებ ავი სულებიც შეუჩნდნენ? რა ჯანდაბად მინდა მოსამართლე, თუ არ დამიცავს, თუ ჩემს ნაჯაფარს სხვას გაატანს? ამ ზამთარს შენ ვერ გაბედე ხეობაში ამოსვლა. თურმე ნუ იტყვით, ცუდი ამინდი იყო და აბა როგორ გამოიმეტებდი თავს. მე კი შენი გულისთვის უფროსი ვაჟი დამეღუპა: შეეშინდა, ქარბუქში გავიდა შინიდან, გზა აებნა, იბორიალა მთებში, შენ კი ამ დროს შენს სახლში, თბილ ლოგინში ნებივრობდი. მამასახლისი ხომ სულწაწყმედილია, მაგრამ ის მაინც ჩამოვიდა. ჰოდა, ახლა შენი ჯერია, დაგვანახე ერთი, რის მაქნისი ხარ, გამო-

ითხოვე ჩემი ფული, თუკი ასეთი რამ კანონი წერია ემაგ ოხერ თქვენს ძველ წიგნში.

მოსამართლემ ტულინიუს იენსენს დაუჭირა მხარი:

— ფირმა გაკოტრდა, ერთ ერესაც ვერავინ მიიღებს, ყოველ შემთხვევაში, მრავალი წლის მანძილზე. მე აქ არაფერ შუაში ვარ. ხელმწიფემ უკვე დანიშნა სპეციალური მოხელე ამ საქმის გამოსაძიებლად. მაგრამ, როცა კაცი კოტრდება, ვეღარაფერს გააწყობ. ყველა გარემოება უნდა გავითვალისწინოთ: ბრუნი უკვე კარგა ხანია ზარალს ნახულობდა, ბოლოს სამომხმარებლო საზოგადოებამ გადაიბირა მთელი მისი კლიენტები. აი, როგორია საქმის არსი. შენ და სხვა შენისთანებს საკუთარი ფულის დაბრუნების სრული შესაძლებლობა გქონდათ. თვითონ ხარ დამნაშავე. იმის მაგივრად, რომ თავის დროზე შესულიყავი სამომხმარებლო საზოგადოებაში, გააჭიანურე, ფეხს ითრევდი.

— თავის დროზე? ყველაზე საწყენი ის არის, — თქვა ბიარტურმა,—რომ თავის დროზე ჭკუა არ მეყო და ყელი არ გამოვღადრე იმ ტარტაროზს.

— საკუთარ თავს დააბრალე! — უპასუხა მოსამართლემ.

— სამწუხაროა, რომ ბუნებით ასეთი გულკეთილები ვართ. გაჩენის დღესვე უნდა მოგვეხრჩო ეს ქურდბაცაცები და მძარცველები.

— ვინ არიან ქურდბაცაცები და მძარცველები?

— ვინ? ბრუნი და ყველა ისინი, ვისაც შენ თავგამოდებით იცავ, არ გეგონოს, თითქოს თქვენ—მოსამართლეებს, უფროსობას, მოხელეებს, ეშმაკების მთელ ხროვას, ვაჭრებზე უკეთესად გთვლიდეთ. თქვენ ყველა ავაზაკს ელოლიავებით, ხელს უწვდით, ამისი არ გეშინიათ. მაგრამ ქარბუქში კი მთის გადავლას ვერა ბედავთ, თუნდაც ამაზე იყოს დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლე.

— იქნებ დაბრძანდე. ბიარტურ, რომ უფრო მშვიდად, გულდინჯად ვილაპარაკოთ ამ საქმეზე!

— მაშინ დავჯდები, როცა თვითონ მოვინდომებ.

— თამბაქოს ხომ არ ინებებ?

— რას შემომთავაზებ, ეგ შენი საქმეა, რას მივიღებ, ჩემი საქმე გახლავთ.

ამის შემდეგ ბიარტური ექიმთან, ალთინგის დეპუტატთან წავიდა.

— ტულინიუს იენსენს ყველა პატიოსან კაცად თვლიდა, — უთხრა ექიმმა ფინსენმა ბიარტურს, — მეც კარგად ვიცნობდი ბრუნის და, რამდენადაც ვიცი, არასოდეს არავინ მოუტყუებია. თვითონ კი დარჩა მოტყუებული, სხვები აბრიყვებდნენ. მთელი მისი უბედურება იმ დღიდან დაიწყო, როცა გლეხობამ ირწმუნა სამომხმარებლო საზოგადოების თაოსნების ბრტყელ-ბრტყელი სი-

ტყვები. ამან, სწორედ ამან დაღუპა ბრუნი, გააკოტრა. გლეხობამაც უმტყუნა, იმედი არ გაუმართლა.

— მე ჩემი ფულის დაბრუნება მინდა, — თქვა ბიარტურმა, — მორჩა და გათავდა. ბრუნიმ გაგიყვანა შენ ალთინგში, მე კი ხმას გაძლევ მას მერე, რაც ხმის უფლება მივიღე. როგორ ფიქრობ, რათ გაძლევდი ხმას? შენი სათვალეების გულისთვის ხომ არა? თუ ჩემს ფულს არ დამიბრუნებენ, ეშმაკმა მოგცეს მაშინ ხმა ჩემს მაგივრად. და თუ შენ, ალთინგის წევრი, ხმამაღლა ამბობ, რომ ხალხის ძარცვა ნებადართულია, მაშინ მე მთავრობის წინააღმდეგი ვარ.

— ყური მიგდე, ბიარტურ. მე უკვე მოვხუცდი, დროა პოლიტიკას თავი დავანებო, განზე გავდგე. მაგრამ რაკი მე და შენ ძველი მეგობრები ვართ და ერთი პარტიის წევრები, ნება მიბოძე, პურის ნამდვილი კარგი არყით გაგამასპინძლდე.

— მე ერთი რამ მინდა: ის, რაც მერგება.

— მძიმე დროა, მძიმე, ჩემო კარგო ბიარტურ. საზღვარგარეთაც კოტრდება ხალხი და მერე როგორ? რაც აქ, ისლანდიაში, დაიკარგა, სახსენებელიც არ არის იმასთან, რაც ამერიკაში დაკარგა ხალხმა.

— ვაგლახ! რამდენი რამის გადატახა უხდება ადამიანს. მაშ, მოსამართლეზე უკეთესი არც შენ ყოფილხარ, თურმე შენც ქურდბაცაცებისა და ავაზაკების კუდი ბრძანდები.

— ძე მუდამ ვიღვწოდი ხალხისთვის, ვცდილობდი რამე გამეკეთებინა როგორც ალთინგში, ისე ჩემს საექიმო პრაქტიკაში. იაფად ვაძლევდი წამლებს იმათ, ვინც არჩევნებში ხმას მაძლევდა. ყოველწლიურად ასობით კრონს ვკარგავდი ავადმყოფების წამლებში და არავის სინდისი არ აწუხებდა იმის გამო, რომ წამლის ფულის გადახდა ავიწყდებოდა. მაგრამ არავის ვემდური, არაფერს ვჩივი.

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბრუნი ჩემი ანგარიშიდან მუდამ გირიცხავდა იმ შხამიანი სასმელის ფულს, რითაც ჩემი ორივე ცოლი იშყიპებოდა და, თუ ორივე საიქიოს გაემგზავრა, ამაში შენც გირევია ხელი.

— ჩემს ცხოვრებაში არ გამიგონია ასეთი ლაპარაკი. იქნებ, ჩემო ბიარტურ, ბედმა იმ ახალ ხალხთან უფრო გაგიღიმოს, მთელი ქვეყნის ქვეშამოგებას რომ აპირებენ, — უთხრა ექიმმა.

— თქვენზე, ბრუნის კუდებზე უარესი მაინც არ იქნებიან რედსმირელები. ყოველ შემთხვევაში, უწინ ასე ვფიქრობდი. ახლა კი აღარ ვიცი, რა ვიფიქრო.

ექიმიც და მოსამართლეც ისე ელაპარაკებოდნენ ბიარტურს, როგორც ჭირვეულ ბავშვს. და აი, ის კვლავ ქუჩაში დგას, მოტყუებული, გაბრიყვებული.

ერთი გამოსავალიღა დარჩა: რედსმირელებს უნდა მიადგეს კარს, მკლავებში ჩაუვარდეს ინგოულფ არნარსონ იოუნსონს. ყველა სხვა გზა მოჭრილია.

ტულინიუს იენსენს ბიარტური აქამდე მფარველ ანგელოზად თვლიდა, ინგოულფ არნარსონს კი მიწასთან ასწორებდა. ოცდაათი წელიწადი ღვარა ოფლი რედსმირელებისათვის, ჯერ მოჯამაგირეობდა მათთან, მერე მიწა შეისყიდა და რამდენიმე წელიწადი იხდიდა ვალს, ბოლოს, როგორც იქნა, თავისუფლება მოიპოვა, მაგრამ ამით არა შეცვლილა რა, ისევ ისეთი ავაზაკებისათვის იდგამდა წელებზე ფეხს. ბიარტურს ეგონა, ავაზაკიც არის და ავაზაკიცო, ერთიმეორეზე უკეთესი ამათშიც მოინახებაო. მაგრამ აი, ბრუნი გაიქცა, ხელს გააყოლა მისი ფული, დასტოვა მშრალზე. სად წავიდეს, ვის მიადგეს? თურმე ნუ იტყვით, ავაზაკები სულ ერთი ყალიბისანი ყოფილან, არაფრით არ განირჩევიან ერთიმეორისაგან, გინდ ზღვის პირას ცხოვრობდნენ და გინდ დაბაში. ერთს მაინც ვერ წაართმევ რედსმირელებს, ისინი არ გაქცეულან შორეულ ქვეყანაში და ბიარტურის ფული არ წაუღიათ. ასე გამოდის, რომ ვინც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, ტულინიუს იენსენს ვერ დაეყრდნობა. ინგოულფ არნარსონი ბრუნიზე უარესი მაინც არ იქნება. მეორე მხრივ, მძიმეა მისთვის დახმარების თხოვნა სამომხმარებლო საზოგადოებაში. ნუთუ რედსმირელთა წყალობით შეიძლება თავისუფლების მოპოვება—ნამდვილი თავისუფლების, რომელიც დამოუკიდებელს გახდის ხეობის მკვიდრ ღარიბ გლეხს?..

— აჰა, მობრძანდა დამოუკიდებელი კაცი! დროა, დრო ჩვენს საზოგადოებაშიც შემოიხედოთ.

— ზრდილობის გამო არ მოვსულვარ, — დარცხვენით უპასუხა ბიარტურმა.

— დიახ, ჩემო ძვირფასო ბიარტურ, ვიცი, გავიგე უკვე. შენი დასაკლავი დანა შენვე გამოჩხრიკე. ჩემს რჩევას ყური არ ათხოვე, ჩაებღაუჭე იმ ბრუნის და აღარ ეშვებოდი. მაგრამ რაც იყო იყო, მეგობარო, მე არ გემდური. რასა იქ, როგორ ცხოვრობ?

— როგორ ვცხოვრობ? ასეთ კითხვაზე პასუხს არ ვიძლევი. მე მგონია, არავის არაფერი ესაქმება იმასთან, თუ როგორ ვცხოვრობ მე ან ჩემი ოჯახი. უბედურება დამატყდა: ცხვარი გამიწყდა. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია. ისლანდიაში ასე იყო იმ დღიდან, როცა პირველად დასახლდა აქ ხალხი, ასეა დღესაც. ასე ხდება ყოველ გაზაფხულზე. რედსმირელებსაც გაუწყდა ცხვარი. ჩემი ცხვარი უკეთ იტანს ზამთარს, ვიდრე რედსმირელებისა.

— არა, მე იმ უცნაურ ამბებს ვგულისხმობდი, ამას წინათ რომ დატრიალდა შენთან. გავიგე, რომ უფროსი ვაჟი დაჰკარგე...

— მერე შენ რა? ბიჭი ჩ ე მ ი იყო...

— ამბობენ, კოლუმკილის ოინებიაო.

— კოლუმკილი? რომელი, ის ხომ არა, სპარსთა რელიგიასთან რაღაც კავშირში რომ იყო?

— კარგი, კარგი, ამაზე ნულარ ვილაპარკებთ. მითხარი, რით შემიძლია გემსახურო?

— არაფრით. მე გამძარცვეს. სამუშაოზე მინდა მოწყობა. იმის თხოვნას არ ვაპირებ, ვინმემ რამე გააკეთოს-მეთქი ჩემთვის. მე ვიმუშავებ სხვისთვის, ოღონდ ხელფასზე.

— ასე, ჩემო ბიარტურ, ყველაფერი, რასაც შარშან გეუბნებოდი, აგიხდა, ჩემი ბრალი არ არის, რომ არ დამიჯერე. ჩვენს ქვეყანაში ორი პარტიაა: ერთი პარტია ძარცვავს გლეხკაცს, მეორე პარტიას გლეხობის ფეხზე დაყენება უნდა. შენ გწამდა პირველი პარტიის. ჰოდა, რა გამოვიდა? გაიგე. მეგობარო, გაიგე, ჩვენ იმისთვის გვინდა ძალაუფლების მოპოვება, რომ ხალხს კეთილდღეობა მოვუტანოთ.

— ჰო, ილაპარაკე, ილაპარაკე, ინგი, ჩემო ბიჭუნი! ოღონდ მე არავისი არა მჯერა და ყველაზე ნაკლებ შენი სიტყვებისა. ამიტომ არავის ვთხოვ მოწყალებას, არც ვჩივი, არც ვწუწუნებ. ცხვარი ცოტაღა შემრჩა, მაგრამ რა გაეწყობა, თავიდან დავიწყებ ყველაფერს. ზოგიერთი იტყვის: მეტი რაღა უნდა? სულ რამდენიმე წელიწადია, რაც ახალი ფარეხი აიშენაო. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მე კოშკებიან სასახლეებზე ვოცნებობ, ძალიან შემცდარა. ჩემო ძვირფასო ინგი, ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია და არც არასოდეს მომივა, მაგრამ როცა კაცს ცხოვრების ყვავილი ჰყავს...

ბიარტური უცებ გონს მოეგო, მიხვდა, რარიგ შორს შესტოპა და გაჩუმდა, ასე რომ სათქმელი ვეღარ დაამთავრა.

თ ა ვ ი ო რ ვ ო ც დ ა მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს დ ღ ე ე ბ ი

დადნა თუ არა საძოვარზე თოვლი, ცხვარი საბალახოდ გაუშვეს. ბიარტური და ბიჭები შინ რომ ბრუნდებოდნენ, სუფრა მუდამ გაშლილი ხვდებოდათ. აუსტა სადღაა? ნაკადულის პირას წინდებს რეცხავს ან თოკზე გაფენილ სარეცხს დარაჯობს, ან დერეფანში ცომს ზელს... ყმაწვილ ქალს ოთახში იშვიათად თუ ხედავდნენ, დასაძინებლადაც მაშინ წვებოდა, როცა ყველას ეძი-

ნა. თუ მამა და ძმები შინ იყვნენ, ამ დროს აღარ იბანდა გულ-მკერდსა და ფეხებს, შეძვრებოდა ლოგინში, წაიფარებდა საბანს და იწვა გაუნძრეველად. სულ თავჩაღუნული დადიოდა, თითქოს სახეს არიდებს სხვებს, არ უნდა ვინმემ შეხედოსო, გრძელი, ხშირი წამწამები, ისედაც რომ უფარავდა თვალებს, სულ დახრილი ჰქონდა, თითქოს ვერ ბედავს ადამიანს თვალი გაუსწოროსო. შეკითხვაზე ცალყბად პასუხობდა მამას, სულ გაურბოდა, თავს არიდებდა.

ბიარტურს ეუცხოვებოდა ეს, რადგან აუსტა მუდამ პირდაპირ უყურებდა, ფართოდ გახელილ, ნდობით სავსე მავედრებელ თვალებს მიაპყრობდა ხოლმე, ის კი მაშინ თითქოს ვერ ამჩნევდა ამას. ახლა თვითონ აცქერდებოდა უმაწვილ ქალს ჩაციებით, ქალი კი გაურბოდა.

აქ, ამ ხუტორში, გულჩახვეული ხალხი ცხოვრობდა, ერთმა არ იცოდა, რას ფიქრობს მეორე. იქნებ ეს ცუდი არც არის. ერთი შეხედვით, თითქოს ამ ოჯახის წევრები ერთი ყაიდისა უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არა, ასე როდი იყო. არსად მოიძებნებოდა ერთი დედ-მამის შვილებში ასეთი განსხვავებული ხასიათის მქონე, როგორც ამ პატარა ხუტორში. მაგალითად, ბიარტურის ორი ვაჟიშვილი: აბა როგორ გაუგებდნენ ისინი ერთმანეთს? ერთი ოცნებობდა გარკვეულ ადგილას გარკვეული მიზნების მიღწევაზე, მეორე კი ბუნდოვანი ოცნებების განხორციელებაზე სულ სხვა, შორეულ ქვეყნებში.

თოვლის დნობა. თოვლ-ჭყაპი. ყინულის ლოლუები რა ხანია ჩამოდნა. ჩანჩქერი აბობოქრდა. პატარა ნონი დგას და მოჯადოებული შეჰყურებს გაზაფხულის მუშაობას. სამხრეთის ქარი ჰქრის, დროდადრო ჩანჩქერს ზევით აიტაცებს ხოლმე, მთის მწვერვალისაკენ.

— შენ საქმეს მიხედე, რას დაგიჭყეტია თვალები, — შეუწყარა პატარა ნონის უფროსი ძმა.

ისინი საძოვარზე იდგნენ, აქეთ-იქით ფანტავდნენ ნაკელს. ეს ჩანჩქერი ხეობაში, ეს სამხრეთის ქარი ადამიანის სულიერით იცვლება ბუნებასთან ერთად, რომელიც ყველაფერს თავის დაღს ასვამს. პატარა ნონი დედას ელაპარაკებოდა ხოლმე ამაზე, დედას ესმოდა მისი და უზიარებდა შვილს თავის ოცნებებს. ახლა აღარავის ესმის პატარა ნონისა და ის ჯერ კიდევ დედის ოცნებებით, დედის სურვილებით ცხოვრობს. ნონი განმარტოებას ეძებს, მთლად აღვსილია პოეტური სევდის, პოეტური ნაღველის შეგრძნებით. ცხვარს რომ მისდევს, მღერის, მღერის სულ სხვადასხვანაირ ჰანგზე, ისეთ ჰანგზე, არასდროს რომ არ გაუგონია. მის მკერდში უცნაური საკრავია, მაგრამ პატარამ ჯერ არ იცის ამ ინსტრუმენტზე დაკვრა, მარტო ფრთხილად ეხება სიმებს, განცვიფრებით, გულის ფანცქალით უგდებს ყურს ამ ბგერებს, ხან ცახცახებს, ხან თვალ ცრემლით ევსება. თვალები კი ღრმა აქვს, გონივრული, ანკარა, ვით წყარო. ვით წყაროს ფსკერზე მბზინავი ვერცხლი.

მთების კალთებზე ბალახი ამოიწყერა, ბიარტურს ეშინოდა, ამინდი შეიცვლებაო და არ უნდოდა ხუტორიდან შორს გაეშვა ცხვარი. იგი ხშირად მიდიოდა უშენის სამხრეთ და აღმოსავლეთ კალთებისკენ, ქვევით მიერეკებოდა ცხვარს. რაც უფრო სტანჯავდა, გულს უმძიმებდა ოჯახში დასადგურებული მდუმარება, მით უფრო შვებას ჰგვრიდა გაზაფხულის გამახალისებელი სიგრილე. დამდნარი თოკლის სუნი, მზით განათებული შორეთი და მარადისობის შეგრძნება, რადგან უშენში არ შეიძლება არ შეიგრძნო მარადისობა. თოვლი ნელ-ნელა ემორჩილებოდა მზეს, დნებოდა. შმორის, მანანის და ფერდობებზე თოვლქვეშ ამოწვერილი ქორფა ბალახის სურნელი ტრიალებდა. ცხვრები დაბორიალობდნენ ყოველ კუთხეში და ყველაფერს ჭამდნენ, რასაც კი თოვლქვეშ იპოვნიდნენ, მაგრამ უცებ გამოენთებოდნენ ღარტაფიდან ან ხეობიდან, ბაწარაღებით მიქროდნენ ზევით, ქარის პირისპირ, უკიდეგანო შორეთისკენ, მარადისობისკენ, რადგან ცხვარსაც ახასიათებს თავისუფლებისკენ ლტოლვა.

რამდენიმე დღე იყო უკვე, რაც ხეობას ყვავი დასტრიალებდა. ბიარტურმა გადაწყვიტა შემოეელო ხეობა, გაეგო, რას უმიზნებდა მტაცებელი ასე დაკინებით. მდინარე ადიდდა, გადმოლახა ნაპირები, მერე ისევ დაიწია, ისე ფართოდ აღარ იყო გაშლილი, როგორც რამდენიმე დღის წინათ. უცებ ძაღლი შედგა და მდინარიდან ამოგდებულ რაღაცას დაუწყო ყეფა. ყვავი ჩხავილით დასტრიალებდა ხეობას. ბიარტური არ ფიქრობდა, რომ იქ ლეშს იპოვიდა, რადგან იმ გზაფხულზე ცხვარი არ მოკვდომია და რაც მან იქ იპოვა, არ ჰგავდა პირუტყვს — ეს უფრო ადამიანის გვამს ჰგავდა. დიახ, ტანადი ჭაბუკის გვამი იყო. ეტყობა, ზამთარში კლდიდან გადმოვარდა, იდო იქ თოვლქვეშ და როცა მდინარე კალაპოტში ჩადგა, ქვიშაზე დარჩა გამორიყული. გვამი გახრწნილიყო, ვერც კი იფიქრებდით, თუ ადამიანია, სახე გადღლაბნოდა, წაშლოდა, უბაგეებო პირი თითქოს ცას შესცინოდა. თვალები აღარ ჰქონდა, ტანსაცმელი შემოლპობოდა, დამპალი ქსოვილი ძვლებს მოსდებოდა, ჩაწებებოდა. გარდა ამისა, მტაცებლებსაც თავისი საქმე გაეკეთებინათ. საზარელი სურათი იყო. ბიარტურმა რამდენჯერმე ჯოხი შეახო გვამს, ძაღლს დაუტია და ჩაიდუდუნა:

— რასაც დასთეს, იმას მოიმკი, — დიდი მწიკვი ბურნუთი შეიყარა ცხვირში. ძაღლი გამწარებული ყეფდა. — ხმა გაიკმინდე, თავს ნუ იდებ, — დაუტია ძაღლს ბიარტურმა. — სულ ერთია, ამას შენ ვერ გაიგებ. ზოგ-ზოგები კოლუმკილის დააბრალებენ, მაგრამ განა ის უფრო სწორი არ არის, რომ ყოველი ჩვენგანი თავის ბედ-იღბალს საკუთარი მკერდით ატარებს?

მაინც არ იყო მისთვის ადვილი იმის აღიარება, რომ კოლუმკილის არა-

ვითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა კაცის ბედთან. დიახ, ყველაფერი, რასაც ჩმახავენ კოლუმკილზე, მტკნარი სიცრუეა. ასე ამბობდა, მაგრამ იმის ფიქრს მაინც ვერასოდეს დააღწევდა თავს, რომ ამ მონაჩხმახებში მეტი სიმართლეა, ვიდრე თვით სიმართლეში.

უშენში ცხოვრობს ეშმა, სანსლავს ხალხს. რამით ხომ უნდა დასდოს პატივი მიცვალებულს, რაკი იპოვა იგი, და რაც შეიძლება ჩქარა უნდა გააკეთოს ეს, თორემ ცხვარი უკვე ზევით წავიდა. ბიარტურს ახალი, სქელი, თბილი ხელთათმანები ეკეთა, მარჯვენა ხელიდან წაიძრო ხელთათმანი და ზედ დააგდო გვამს, რადგან უზრდელობად ითვლება, თუ პატივი არ ეცი მიცვალებულს და ისე წახვედი. რამდენიმე წუთში ბიარტური უკვე ხეობის ნაპირას გაჩნდა, როგორც ფიქრობდა, ცხვარი მართლა მთის კალთას შეჰფენოდა. ერკემალი ზევით მიჰქროდა. აი, შორეული კლდის მწვერვალზე გადმოდგა და მთელი ცხვარი მიჰყვა, გაიჭრნენ ბლაუფიედლისკენ. ბიარტური გაეკიდა ცხვარს, უხაროდა, რომ ასე ადრიან გაზაფხულზე მისი ფარა უკვე განდეგილივით ეძებდა განმარტოებას მთების უკიდეგანო სივრცეში.

— ჰალბერა, — უთხრა საღამოს ბიარტურმა მოხუცს და ცალი ხელთათმანი გადაუგდო, — მომიქსოვე ზუსტად ასეთი, მარჯვენა ხელისთვის.

— მეორე რაღა იქნა? — გაოცდა ჰოხუცი, ბიარტურს არასოდეს არ დაუკარგავს ხელთათმანი.

— ამაზე ნუ ვილაპარაკებთ, მოხუცო, — უპასუხა ბიარტურმა.

— ნუ ვილაპარაკებთ? — იკითხა ჰალბერამ, ასწია მოძიგძიგე თავი და ოდნავ შებრუნდა, როგორც ჩვევად ჰქონდა, როცა ვინმეს ელაპარაკებოდა. მეტი არაფერი უკითხავს, რა საჭიროა, არა, აღარ არის საჭირო.

თავი ორმოცდამეთექვსმეტე

უფროსი და

გაავდრდა, ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, თითქოს ქვეყანას წალეკვას უპირებსო. ურიცხვი ნაკადული მოჩხრიალებდა ფერდობებზე, მთლად ჩამორეცხა, თუკი სადმე თოვლი იყო შემორჩენილი და ზღვაში ჩაიტანა. როცა მზემ ისევ გამოიხედა, მთები მწვანე სამოსელში გაეხვია, ბალახში თაკი ამოჰყო ბაიებმა, თბილმა ქარმა დაპბერა. ნაკადულიც ადიდდა, ნაპირები გადმოლახა და კვლავ თავის კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ბიარტურის უმცროს

ბიჭს არ უნახავს ეს. ჯერ წელიწადიც არ გასულა და უკვე აუკრძალეს ნაკადულის ნაპირას უქმად ხეტიალი. სულელივით დგას აქ, საძოვარზე, და აქეთ-იქით აბნევს ნაკელს. მერედა ვინ: ის, ვისაც ელფებმა უწინასწარმეტყველეს საოცარი უცხო ქვეყნების ხილვა! ზამთარში ნონი ისე შეეთვისა იმ ქვეყნებს, როცა თავის წიგნებს კითხულობდა, ცხადად ხედავდა მათ, ახლა კი, გაზაფხულზე, ის ქვეყნები თვალს მიეფარნენ, ჰორიზონტზე გაუჩინარდნენ. საკმარისი იყო აუსტასთვის შეეხედა პატარა ნონის, უმალ რწმუნდებოდა, რაოდენ მიუწვდომელი იყო მისთვის ის ქვეყნები, ზამთარში ესოდენ ცხადად, გარკვევით რომ ეხატებოდნენ უკიდეგანო, დაოოვლილი უდაბნოს თეთრ ფონზე. მაგრამ სულს არ სჩვევია დანებება. გაზაფხული—მისი ფრინველები, შორეულ ქვეყნებიდან მოფრენილნი. მისი ქარი, მისი ცა, მარადისობა,—გაზაფხული უხმობს, იზიდავს. ყოველთვის, რთცა კი გამოვა გარეთ, გადმოაბიჯებს კარის დაბალ ზღურბლს და ეზოში შედგება, ესმის გაზაფხულის ხმა, გაზაფხული უხმობს, უძახის, უხმობს, უძახის, ის კი ყურს უგდებს, სევდით გული ეკუმშება. მას შემდეგ უგდებს ამ ხმას ყურს, რაც მასწავლებელი წავიდა. მასწავლებელი კი აღდგომის წინა დღეებში გამოეთხოვა მათ. აქამდე ნონის არ შეუმჩნევია, თუ აუსტამ ტირილი იცოდა, მაგრამ ერთ კვირას, დღის მიწურულს, ნონიმ აუსტა ღარტაფში იპოვა. ნონი დასთან მივიდა, მაგრამ აუსტა არც გაინძრა, ვერც კი იგრძნო, ვინმე თუ იდგა იქ. ნონიმ უფრო ახლოს მიიწია და დაინახა, რომ აუსტას მხრები უთრთოდა, ბალახში პირქვე ჩამხობილიყო და მწარედ ქვითინებდა. აჰა, აკი იცოდა ნონიმ, ყოველთვის იცოდა, რომ აუსტა ისეთი არ არის, როგორიც თვითონ და გვენდურია, არ არის მათსავით სრულყოფილი ქმნილება, მათზე დაბლა დგას, მაგრამ აუსტა სოულილია ხომ მისი უფროსი დაა და ნონის სიბრალულით აევსო გული. თვითონ ბოლო ხანებში იშვიათად ტიროდა, განსაკუთრებით შარშან ზაფხულს აქეთ. მალე, სულ მალე ნონი დავაუკაცდება. აუსტა,—ხმადაბლა შეუძახა დას ნონიმ. აუსტა შეკრთა, წამოჯდა, სველი სახე კაბის კალთით მოიწმინდა, მაგრამ ცრემლი მაინც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

— რა გაღრიალებს, სოულა! — გაოცდა ნონი.

— არაფერი, — უპასუხა აუსტამ სლუკუნით.

— დაგეკარგა რამე? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჰო, — უპასუხა აუსტამ.

— მაინც რა, რა დაკარგე?

— არაფერი.

— ჰოდა, არაფერი არა გაქვს სატირელი, — უთხრა ბიჭმა.

— სულაც არ ვტირი, — უპასუხა ცრემლის ფრქვევით აუსტამ.

— მამამ გაწყენია?

— ჰო.

— რაო, რა გითხრა?

— არაფერი.

— გცემა?

— ჰო, ერთხელ, დიდი, დიდი ხნის წინათ. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, დამავიწყდა კიდეც. ო, არა, სულაც არ ვუცემივარ.

— მაშ რაღა გაღრიალებს? ალბათ, რაღაც გინდა ძალიან და ამიტომ ტირი, არა?

— ჰო, — ხარბად, სულშეგუებებით უპასუხა აუსტამ და ისევ აქვითინდა.

— მაინც რა გინდა? — ჰკითხა ბიუმა.

— არ ვიცი, არ ვიცი, — ამოიგმინა აუსტამ და უფრო გულამოსკვნით ატირდა.

— სოულა, კარგო, საყვარელო, მითხარი, გემუდარები, რა გინდა. იქნებ მე გიშოვო, როცა გავიზრდები?

— შენ არაფერი არ გესმის. ჯერ ისე პატარა ხარ... არავის, არავის არ ესმის. მე თვითონაც არ მესმის, თუმცა კი ამაზე ვფიქრობ დღედაღამ..

— მითხარი, ჩემო სოულა, იმიტომ ხომ არა ტირი, რომ შენ ისეთი არა ხარ, როგორც ჩვენ, ბიჭები? — ჰკითხა პატარა ნონიმ დას თანაგრძნობით. მან იცოდა, რომ ისინი ახლა შეეხნენ ადამიანის სხეულის ისეთ საიდუმლოებას, რომ ამაზე გადაკვრითაც უხერხულია რამის თქმა. იქნებ ცუდად მოიქცა ნონი, მაგრამ სიტყვა უნებლიეთ მოწყდა ბაგეს.

— ჰო, — ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა აუსტამ სასოწარკვეთილებით.

— რა ვუყოთ მერე, ჩემო სოულა, — დაიჩურჩულა ნონიმ. ძალიან უნდოდა ენუგეშებინა და, ლოყაზე ხელი მოუთათუნა ალერსით, — ამას ვერავინ გაიგებს. მე არავის არ ვეტყვი, გვენდურსაც ვთხოვ, რომ არავის, არავის არ უთხრას, გესმის.

— მაშასადამე, შენ იცი? — ჰკითხა აუსტამ, კაბის კალთას ხელი გაუშვა და თვალებში ჩახედა ძმას.—იცი?

— არა, სოულა, საყვარელო, მე არაფერი არ ვიცი. არც მითვალთვალებია... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, სულ ერთია, ეს ვერაფერს გამოასწორებს. როცა მე გავიზრდები და სახლს ავიშენებ უცხო ქვეყანაში, ჩემთან წაგიყვან და იქ კარტოფილს გაჭმევ.

— კარტოფილს? რად მინდა კარტოფილი?

— ისე, როგორც ბიბლიაში წერია...

— ბიბლიაში კარტოფილზე არაფერი წერია.

— იმაზე გეუბნები, იმ ქალმა რომ შეჭამა...

— არა, არ მინდა, რაც ბიბლიაში წერია, — ამოისლუკუნა აუსტამ, ტირილით დასიებული თვალები სივრცეს მიაშტერა და დაუმატა: — ღმერთი... იგი სულის მტერია...

ბიჭმა უცებ ჰკითხა:

— სოულა, მითხარი, იმ ღამეს, როცა მასწავლებელმა გვითხრა, ჩაუთქვით, ვისაც რა გწადიათო, შენ რა ჩაუთქვი?

აუსტა სოულილიამ გამომცდელი თვალით შეხედა ძმას. მარჯვენა თვალს უფრო შესამჩნევად აელმებდა ახლა, ტირილის დროს ასე ემართებოდა. მერე თავი დახარა და ბალახის ღერს დაუწყო წიწკნა.

— არავის ეტყვი?

— არავის, არავის. მაშ მითხარი, რა ინატრე?

— სიყვარული, — უპასუხა აუსტამ და ისევ ამოუჯდა გული, ქვითინებდა, თან იმეორებდა: — სიყვარული, სიყვარული, სიყვარული...

— ეგ რაღაა?

აუსტა ისევ ჩაემხო ბალახში, მხრები ისევ ისე აუთრთოლდა, როგორც ცოტა ხნის წინათ, როცა ნონი თავს წაადგა მტირალს.

— სიკვდილი მინდა, სიკვდილი, სიკვდილი...

ნონიმ აღარ იცოდა, რით ეშველა ესოდენ დიდი მწუხარებისათვის, ჩუმად მიუჯდა დას გვერდით გაზაფხულის ქორფა ბალახზე და მის გულში დამალული სიმები შეირხა, ათრთოლდა, აჟღერდა.

პირველად ჩაიხედა ადამიანის სულის ლაბირინთში. ის ჯერ უძლური იყო, ვერ ვაუგებდა დას, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გრძნობდა და იტანჯებოდა მასთან ერთად. დიდი, დიდი ხნის შემდეგ ნონიმ ამ მოგონებას ხორცი შეასხა ერთ სიმღერაში — უმშვენიერეს სიმღერაში, როგორსაც კი იცნობს სამყარო. ის როდი კმარა, თუ გაიგებ რაოდენ უმწეოა ადამიანის სული, თუ ჩასწვდები ადამიანის სულის ორი საწინააღმდეგო ძალის ბრძოლას, არა, ეს არ არის ის საწყისი, საიდანაც სიმღერა იბადება. უმშვენიერესი სიმღერის წყარო—თანაგრძნობაა, დიახ, თანაგრძნობა აუსტასადმი, ამ მიწის შვილისადმი.

თავი ორმოცდამეჩვიდმეტე

ბიჭი და ქვეყნები

ყველაზე საკვირველი ოცნებაში ის არის, რომ ოცნება ხორციელდება. მართალია, ამის აღიარება არავის სურს, მაგრამ მაინც ასე იყო და ასე იქნება მუდამ. ადამიანს თუ ოცნება აუსრულდა, არც კი უკვირს, გეგონებათ, ამაში მოულოდნელი არაფერიაო. მიზნის დასახვა და მიზნის მიღწევის გადაწყვეტილება ერთმანეთს ენათესავება, ორივე ერთსა და იმავე გულში თვლემს.

ეს ამაღლების წინა დღით მოხდა. იმ ხანებში, როცა ხეობაში ხშირია მგზავრი, მაგრამ მგზავრებიდან იშვიათად თუ გადაუხვევდა ვინმე გზიდან, რომ ხუტორში შეეხედა. იმ დღეს კი ერთმა კაცმა შეიარა ზაფხულის სავანეში. უცნობს თვალში მოსახვევდრი არაფერი ჰქონდა, არავითარი ნიშანი იმისა, თუ რა საქმეს ეწევა ან რა დანიშნულება აქვს ცხოვრებაში, თითქოს მისი დანიშნულება სწორედ წერილის გადაცემა იყო, სხვა არაფერი. მრავალი წლის შემდეგ იოუნ გუდბიარტურსონს უნდოდა მეხსიერებაში აღედგინა იმ კაცის სახე, იერი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა. მოკლედ, წერილის მომტანი ჩვეულებრივი კაცი იყო, რომელსაც სწორედ იმიტომ ვერ ამჩნევ, რომ ჩვეულებრივია. მგზავრმა ზაფხულის სავანელ ბიარტურს ბარათი გადასცა, გამოემშვიდობა და თავის გზას დაადგა.

ბიარტურს არასოდეს არავისგან არ მიუღია წერილი, ეს პირველი შემთხვევა იყო, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ ანგარიშებს, რომელთაც ვაჭარი უგზავნიდა. დამოუკიდებელი ადამიანები ხომ წერილებს არ ღებულობენ, ეს უფრო იმათი საქმეა, ვინც სხვაზეა დამოკიდებული. ბიარტურმა ორჯერ ხმამაღლა წაიკითხა მისამართი, ხელში შეატრიალა წერილი, დახედა კონვერტის ორივე მხარეს, გახსნა და ბარათი ამოიღო. ბიჭები უჩუმრად მიეპარნენ. ბიარტურს ქაღალდი მოშორებით, ცერად ეჭირა, წარბი შეეჭმუხნა და უკან თავგადაწეული კითხულობდა, მაგრამ მის სახეზე შეუძლებელი იყო იმის ამოკითხვა, თუ რის მაცნე იყო ქაღალდი. ორჯერ რომ ჩაიკითხა, კეფა მოიფხანა და ისევ შეუდგა კითხვას. მესამედ ჩაიკითხა, ბარათი ჯიბეში ჩაიდო და წავიდა. ასე რომ, ბიჭებმა ვერ გაიგეს, რა ახალი ამბავი იმალებოდა ამ ბარათში.

ნათელი ღამე იდგა, ბუმბულისებრი ღრუბლებით დაგრაგნილი ცა დაჰყურებდა მწვანედ მოლივლივე ჭაობს. ფრინველებს ისე ეხალისებოდა გალობა, რომ საღამოსაც არ დადუმდნენ, უსტვენდნენ, არაკრაკებდნენ თავის საგალობელს. დიახ, გაზაფხული წინ, სულ წინ მიდიოდა, ყოველი დღით, ყოველი საღამოთი უფრო მკვიდრად იკიდებდა ფეხს, იკრებდა ძალას. ბიარტური ერ-

თხელ კიდევ წავიდა საძოვრის სამხრეთ ნაპირას მაკე ცხვრის დასახედად, რო-მელსაც უნდა მოეგო. მართალია, უკვე ძილის დრო იყო, მაგრამ ბიარტურმა წასვლის წინ თავის უმცროს ბიჭს დაუძახა, გამომყეიო.

— მე წამოვალ შენთან ერთად, მამი, პატარა ხონი დაწვეს და დაიძინოს,— უთხრა გვენდურმა მამას.

— ნონი წამოვიდეს-მეთქი, ვთქვი. შენ დაწექი. სამაგიეროდ, დილით ნონი-ზე ადრე გაგაღვიძებ, — უპასუხა მამამ.

ბიარტური ფართო ნიბიჯით მიდიოდა ჭაობისკენ, ნონი ცუხცუხით მის-დევდა, ბურცოდან ბურცოზე მიხტოდა. ისინი ქვევით ჩავიდნენ. წერწეტა ცერცველებსა და ლურჯგვირგვინიან ბაიებს უკვე აეყარათ ტანი, სისვნარიც იყო იქ. იხვებს ბუდე გაეკეთებინათ და ახლა მდინარის რუხ, მოსარკულ ზედაპირ-ზე ისვენებდნენ. ყბედი ღაღა აედევნა ბიარტურს, უყვებოდა თავის გრძელ, საუცხოო საგას. ყურს რომ უგდებ მის ნაამბობს, გეჩვენება, თითქოს ეს გრძე-ლი საგა ღარიბია შინაარსით. სულ: ჰი-ჰი-ჰი და ასე მთელი საუკუნე.

მაგრამ ოდესმე შორეულ მხარეში გაგახსენდება ეს საგა და უცებ აღმოა-ჩენ, რომ ის ბევრ სხვა საგაზე გაცილებით ლამაზია და მომხიბლავი, იქნებ ყველაზე მომხიბლავიც ქვეყნად. და შენ იმედოვნებ, რომ კვლავ გაიგონებ ამ საგას სიკვდილის შემდეგ, როცა შენ ღამით ჭაობებში ხეტიალის ნებას დაგ-რთავენ, ამაღლების წინა ღამეს, შენი სიკვდილის შემდეგ, და კიდევ ერთხელ გაიგონებ სასწაულებით სავსე ამ საგას—სწორედ ამას და არა სხვა რომელიმეს.

ბიარტურმა და ნონიმ ჭაობიან მდელობზე იპოვეს ცხვარი, უკვე მოეგო. ეს კარგია. ბიარტურმა დაიჭირა ბატკანი, ნიშანი დაადო. ცხვარი მიუახლოვდა ბიარტურს და ნელა შეჰბღავლა. ბიარტურმა ხელი ჩაავლო ცხვარს, გაუსინჯა ცური—საკმარისად აქვს რძე თუ არა? საკმარისად აქვს, ხვალ ამაღლებაა, ყმა-წვილი ქალი დაბაში ჩავა, ერთი კვირა დარჩება პასტორის ოჯახში — სამების კონფირმაციაზე უნდა წარსდგეს. გათენებისას ალბათ გაწვიმდება, დიდი წვი-მა წამოვა. იწვიმოს, კარგია ბალახისთვის. ბიარტური ზედ წყლის ნაპირთან ჩამოჯდა ბორცვზე, დააცქერდა როგორ მიდუდუნებდა მდინარე. გალმა ნაპირ-თან წყვილი იხვი ცურავდა და იქიდან ესალმებოდნენ ბიარტურს. ნონი გვერ-დით მიუჯდა მამას, ისიც მდინარეს დააცქერდა. ისეთ უშფოთველობას, ისეთ სიწყნარეს დაესადგურებინა ირგვლივ, თითქოს ჭაობს თავისი დანაშაულის გამოსყიდვა უნდაო. რის მოწმე, რის მნახველი არ იყო ეს ჭაობიანი დაბლობი. ახლა უშენი ემშვიდობებოდა თავის რჩეულს, ემშვიდობებოდა უკანასკნელად.

— მაშ ასე. პატარა იოუნ, — თქვა ბიარტურმა. მამას არასოდეს ასე არ მიუმართავს ნონისთვის, ახლა კი უცებ იოუნი უწოდა, ბიჭს კი არ უყურებდა აძ დროს, თავის წინ ჩამავალ წყალს დასცქეროდა.

— რაღაც მინდა გითხრა, ვიდრე შინ დავბრუნდებით.

დუმილი.

— ქვევით, ფიორდში ცხოვრობს ერთი მანდილოსანი. მე პირადად არ ვიცნობ, არც მინახავს, მაგრამ ის კი გამიგონია, რომ არსებობს ასეთი ქალი, შგონი, მოსამართლეს ენათესავება. თუმცა, ეგ ჩემი საქმე არ არის. ასეა თუ ისე, ის მანდილოსანი უცხოელია, ერთი დიდი ქვეყნის მკვიდრი. სადღაც, დასავლეთში მდებარეობს ის ქვეყანა, ზოგი ამერიკას უძახის. ეს სამყაროს სხვა ნაწილია.

— ვიცი, — უპასუხა პატარა ნონიმ.

— ოჰო, მართლა იცი? — ჰკითხა მამამ.

— ვიცი, ამ ზამთარს ვისწავლეთ.

— აა! მაშ ასე! ყველაფერი როდი უნდა დაიჯერო, რასაც გასწავლიან. ერთი რამ კი მართალია, იქ გაცილებით უკეთესი საძოვრებია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. ათას ზღაპრებს ჰყვებიან ამერიკაზე, თითქოს იქ ზამთარ-ზაფხულ იალაღებზეა ცხვარი გაშვებული, თითქოს იქ სულ სხვანაირად ჰკვებავენ პირუტყვს. ეს, რა თქმა უნდა, მოჩმახულია, მაგრამ იქ კაცს ხელობის შესწავლა შეუძლია. ჰოდა, ხელობა ჭაბუკისთვის შესაფერი საქმეა, თუ მას დამოუკიდებლობა უნდა.

— ჰო, — თქვა ბიჭმა, — იქ მდინარეც არის!

— მდინარე? მდინარეები სხვა ქვეყნებშიცაა.

— ქალაქებიც!

— ეშმაკმა წაიღოს ქალაქები! ნუ იჯერებ ყველაფერს, რასაც ქალაქებზე ჩმახავენ. მაგრამ ასეა თუ ისე, იმ უცხოელ მანდილოსანს სთხოვეს თურმე, რომ შენ თან წაგიყვანოს, როცა სამშობლოში დაბრუნდება. ერთ შენს ნათესავს, რომელიც იქ ცხოვრობს, გადაუწყვეტია წაგიყვანოს, რომ ხელობა რამ შეისწავლო. როგორც გავიგე. ფულიც გამოუგზავნია. მანდილოსანი შაბათ დილას აპირებს გამგზავრებას. განსვენებულ დედაშენს სულ რაღაც განსაკუთრებული უნდოდა შენთვის. ჰოდა, ჩემის აზრით, უნდა წახვიდე.

ბიჭს ხმა არ ამოუღია.

— ხვალ საღამოს ფიორდში ჩაგიყვან, — განაგრძო ბიარტურმა, — რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წასვლა გწადია.

ბიჭს არც ახლა ამოუღია ხმა.

— გინდა წასვლა?

— ჰო, მინდა! — თქვა პატარა ნონიმ და ტირილი წასკდა.

— ოჰო, მაშ ასეა საქმე? მე იმიტომ გეკითხები, გინდა თუ არა წასვლა-

მეთქი, რომ კაცმა მხოლოდ ის უნდა გააკეთოს, რაც თვითონ სწორად მიაჩნია. — ბიარტური წამოდგა და დაუმატა: — რასაც გეუბნებიან, იმის ნახევარი დაიჯერე, ნახევარი ცალი ყურიდან შეორეში გაუშვი, ჭკუას არ წააგებ. ყოველთვის თუ სიმტკიცეს გამოიჩენ და გააკეთებ იმას, რაც სწორად მიგაჩნია, მოგებული დარჩები.

მამა-შვილი შინ რომ დაბრუნდა, უკვე ყველას ეძინა. პატარა ნონიმ ჩუმად გაიხადა ტანთ და ბებიას გვერდით მიუწვა.

აღარ ტიროდა. ჭაობიდან ფრინველთ გალობა ისმოდა. თუ ეს ფრინველთ გალობის ექო იყო, გაზაფხულის ამ წყნარ ღამეს რომ ჟღერდა მის გულში და დადუმებას არ აპირებდა? ეს იყო ის ხმა, რომელიც ვერასოდეს ვერ დაივიწყა მისმა გულმა, რაგინდ შორეულ მხარეს არ უნდა წასულიყო, რაგინდ დიდებული ყოფილიყო დარბაზები, სადაც მას იღებდნენ, — ისლანდიის ფრინველთ გალობა გაზაფხულის მოკლე, წყნარ ღამეს ჭაობში.

წავიდა მკაცრი ზამთარი და უშენს ნაზი, რბილი, თავისი ზომიერებით მომხიბლავი გაზაფხული ესტუმრა. ბიჭი ხედავდა ახალ ქვეყნებს, ზღვიდან რომ ამოდიან ნორჩი ქალწულებივით და დილის მზის პირველ სხივებში ალივლივებენ თავის ძვირფას ნიჟარებსა და მარჯნებს, ხედავდა ძველ ქვეყნებს, სურნელოვან ბაღნარებს, ქათქათა ქალაქებს, ხელებს რომ უწვდიან მწვანედ მოსარკულ ზღვას, კალიფორნიის მოშრიალე ტყეებს, მზით მოოქროვილ პალმების ხეივნებს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ხედავდა მდინარე მისისიპის მახლობლად გაშლილ უღრან ტყეებს, სადაც ირმები და ავაზები ეძიებენ თავშესაფარს. მან კი მთელი ამ სამყაროსთვის უნდა თქვას საგალობელი.

განა ბედნიერება არ არის, განა არ არის უდიდესი ბედნიერება, იწვე ხელისგულის ოდენა სარკმლის ქვეშ ბებიის გვერდით და ხედავდე სამყაროს უკიდეგანო სივრცეს, შენს თვალწინ რომ გადაიშალა? ხედავდე უკიდეგანო სივრცეს, რომლისთვისაც ხარ შობილი? არა, სულში მას სიმშვიდე ედგა, სიმშვიდე გაზაფხულის ღამისა, ღამის მდუმარება. მაგრამ ძილი არ ეკარებოდა, ეჩვენებოდა, რომ არასოდეს, არასოდეს არ მოუნდება დაძინება, თითქოს დღეიდან მისი ცხოვრება გაზაფხულის ერთი დაუსრულებელი ღამე იქნება ყველა იმ ქარიშხლის შემდეგ, მის თავზე რომ გადაიარა, რაც განიცადა მან, ესოდენ პაწიამ. წარვიდნენ დღენი, როცა მას არწმუნებდნენ, ამ მთის იქით ქვეყნები არ არისო, წარვიდნენ ღამენი, როცა ქვაბები და ტაფები თაროებსა და კარადაში სიტყვებს წარმოთქვამდნენ, რათა განედევნათ სევდა და ცხოვრების სიცარიელე. როცა მამის მძლავრი ხვრინვის გაგონებაზე წარმოუდგებოდა უცხო, უკიდეგანო სამყაროში მოგზაურობა, მოგზაურობა განუსაზ-

ღვრელ დროში. რომელი მოგზაურობა? ის მიდის, ის თვითონ მიდის სამოგზაუროდ.

არა, როგორ მოხუჭავდა თვალს, ამის გაფიქრებაც არ შეეძლო. ჭერის დანახვა უნდოდა, იმ ნუკრისა, კაცად რომ წარმოედგინა, ცალთვალა ცოცხალ კაცად. ნონი უფრო შორს წავიდა, ნუკრი თავის ნათესავად აქცია და ახლა ამ ნათესავმა ფული გამოუგზავნა... მაშასადამე, ყველაფერი სრულდება. ყველაფერი, რასაც წარმოსახვით ჰქმნის ადამიანი, სინამდვილედ იქცევა და ერთ მშვენიერ დღეს შენ ამ სინამდვილის, რომელიც ოდესღაც თვითონ შექმენი, მონა ხდები და უკვე ნაღვლობ, გული გწყდება წარსულ დღეებზე, როცა ეს სინამდვილე არ არსებობდა, როცა თითქმის არაფერი იყო, გარდა ფუჭი მონაგონისა ამ ნუკრზე, ჭერის ძელზე რომ არის. ნონის უკვე სევდით მოენისლა თვალები. „დედა“,—გაიფიქრა მან. დედა წარმოუდგა თვალწინ—ის, ვინც ყველაზე მაღლა იდგა, ვინც ყველას სჯობდა. გაახსენდა მისი კვნესა, მტკივნეულად გულში რომ უვლიდა და ეს ტკივილი მთელი ცხოვრება გაჰყვება, ჩაექსოვება მის ყოველ სიმღერას. რანაირ ტყეში, როგორ წარმტაც ქვეყნებშიც არ უნდა იყოს, ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ამას, ვერასოდეს დაივიწყებს იმ დღეებს, როცა ჭაობიდან თავამოყოფილი ბურცოები იმ სიმაღლე ეჩვენებოდა, რომ წვერით ცას ებჯინებოდა. ვერა, ვერ დაივიწყებს. ნონის ეჩვენებოდა, რომ უკან იხედება რაღაც უჩვეულო, გაუგონარი ცხოვრების მწვერვალიდან, ზღვებსა და ქვეყნებს იქით, წლებისა და დროის მიღმაა და კვლავ ხედავს ამ პატარა ოთახს, უბრუნდება იმ ღამეებს, როცა სიბნელეში თრთოლვით ყურს უგდებდა დედის კვნესას და ფიქრობდა: სძინავს, თუ არა? ტყეში, უცხო ქვეყნებში, სადაც უნდა იყოს, ეს პატარა ოთახი ხშირად წარმოუდგება თვალწინ.

— მაშ ასე, ჩემო ბიჭუნი, — უთხრა დილით ბებიამ. საკვირველია, რომ ბებიას იმ დილით საქსოვისთვის ხელი არ უხლია, იჯდა უქმად, რაც მისთვის უჩვეულო იყო, და თითქმის ნახევრად მოხუჭული თვალებით აკვერდებოდა პატარა ნონის, ოდნავ გვერდზე შებრუნებული იჯდა, პირში თითი ჩაეყო. — ეჰ, რას არ მოვესწარი, რისი მნახველი არ ვარ!

სარკმლიდან შემოჭრილი მზის შუქი იატაკზე ზოლებად დაეფინა და იმ ნათელ ზოლებში ცეკვავდა, ტრიალებდა მტვრის ურიცხვი ნაწილაკი. აუსტა სოფლილია სარკმელთან იჯდა, ნონის ტანსაცმელს აკერებდა. ნონის საგარეო ქურთუკი არ ჰქონდა. ბებიამ წინდები და ხელთათმანები მოუქსოვა, აუსტამ კი ამერიკაში გამგზავრების წინ ახალი ხამლი შეუკერა.

ნონის უცბად გაახსენდა, რომ ერთხელ. უსაქმობისაგან გადაწყვიტა ბებოს სახეზე ნაოჭები დაეთვალა. ახლა კი ამის თავი არ ჰქონდა, ისე წავა, ვერ

დაითვლის ბებოს ნაოჭებს, მაგრამ ეს ნაოჭები სამუდამოდ ჩარჩება ხსოვნაში, ყოველი, ყოველი ნაოჭი. ნონი უკანასკნელად იდგა ბებოს საწოლთან და მდუმარედ ათვალიერებდა ხან ერთ, ხან მეორე საგანს. შესცქეროდა კოჭებშუა ჩაძოზნექილ ჭერს, ჭინჭში გახვეულ ორ დანას, ლოგინზე გასწორებულ, მატყლის შეუღებავი ძაფით ნაქსოვ გადასაფარებლებს, მერხებს, პრიალი რომ გაჰქონდათ იმის გამო, რომ ათეული წლები ეხახუნებოდა ხალხი, არცთუ სუფთა იატაკს, ფეხქვეშ რომ იზნიქებოდა, პატარა სარკმელს, ერთი მთელი მინაღა რომ შერჩენოდა, ჭაობის ერთ კუთხეს, მდინარის მოლაპლაპე კლაკნს, პატარა ქურას, მთელი ამ წლების მანძილზე ერთთავად რომ შიგ ცეცხლი გუზგუზებდა და ათბობდა ოჯახს, სადაც ახლა გამურული ქვაბი იდგა ფაფის ნარჩენით. სარკმელთან კი აუსტა სოულილიაა, ვისაც ელაპარაკა იქ, მწვანე ღარტაფთან, მერე ვეღარ გაუბედა იმაზე ლაპარაკი. საბრალო უფროსი და. მან შეიცნო სიყვარული და ახლა სიკვდილი სწყუროდა. დიახ, სიყვარული.... სიყვარული საშინელია და პატარა ნონის ჟრუანტელი უვლიდა, გული სტკიოდა იმის გამო, რომ აქ უნდა დასტოვოს აუსტა მარტოდმარტო თავისი სიყვარულის ალში გახვეული. მაგრამ რას იზამ? მან ბარათი მიიღო. ბარათი მისი ბედისწერაა. აუსტას კი არ მიუღია ბარათი: დედამისი მოკვდა მანამ, ვიდრე შვილისთვის რამის ჩათქმას მოასწრებდა. ერთადერთი მადლი, რაც მას ეღირსა, საცოდავი ძაღლის სითბო იყო; ზამთარში კი, როცა სურვილის ჩათქმის ჟამმა დაჰკრა, აუსტამ სიყვარული ჩაუთქვა, სიყვარული, ყველაზე საშინელი რამ ამქვეყნად. აუსტა სოულილია, მე უნდა წავიდე. სიყვარულში კი ვერავინ ვერაფერს გიშველის, გარდა საკუთარი თავისა. ახლა შენ დაბაში ჩახვალ, პასტორთან, კონფირმაციისთვის მოემზადები... მე კი, მე ბარათი მივიღე.

მოხუცმა ჰალბერამ ბალიშქვეშ ხელი შეჰყო და პატარა ფუთა გამოაძრო. ამ ფუთაში იყო გამოკრული მთელი მისი ავლადიდება: ქსოვილის ნაკუწები, ძაფის ნაწყვეტები. და ბებიამ ბებრული, აცახცახებული თითებით დაიწყო ფუთის გახსნა.

— ჯერ კიდევ აქა ხარ, ონავარო? — თქვა ბებიამ და, როგორც იყო, გახსნა თავისი ფუთა.

— ჰო, ბები, — უპასუხა ბიჭმა.

ბებიამ თავისი ორად ორი საუნჯე ამოიღო: აბრეშუმის თავსაფარი და ყურის გამოსაწმენდი ჩხირი. ჰალბერამ გადაწყვიტა, გამომშვიდობებისას თავისი საუნჯე ეჩუქებინა პატარა ნორისთვის, გაჩენის დღიდან გვერდით რომ ეწვა. ამაზე უკეთესი არა ებადა რა და რას მისცემდა.

— კარგს ვერაფერს მოგცემ, ჩემო ბიჭუნი, ეს წვრილმანია, — უთხრა ბებომ, — მაგრამ თავსაფარი მაინც გამოგადგება, დღესასწაულებში ან კარგ

ამინდში შემოიხვიე ხოლმე კისერზე. ჩხირი კი დიდი ხანია ჩვენს საგვარეულოში ინახება.

მოხუცს არ უგალობნია ფსალმუნი, არ უხსენებია იესო ქრისტე ან კურია, არ გაუფრთხილებია ბიჭი, ცოდვას ერიდეო, არ უთხოვია, სალამი გადაეცი ჩემს ვაჟიშვილებსო ამერიკაში, რადგან ვინც მედალანდზე შორს იყო წასული, იმათთან ნათესაურ კავშირს ვეღარ გრძნობდა. პატარა ნონიც აღარ უხსენებია წასვლის დღიდან.

მაგრამ ეს კი უთხრა პატარას:

— მე მინდა, ჩემო ბიჭუნი, ორი რამ გახსოვდეს: — ამ დროს უფრო ძლიერ უცახცახებდა დანაოჭებული სახე, — მე გოხოვ, არასოდეს უხეშად არ მოექცე შენზე დაბლა მდგომს და არ აწვალო პირუტყვი.

— მადლობა გადაუხადე, საყვარელო ნონი, ბებოს, — სთხოვა აუსტამ ძმას, — ერთადერთი რამ, რაც მას ებადა, შენ მოგცა.

ნონიმ მდუმარედ გაუწოდა ხელი ბებიას, ვერაფერი უთხრა, არ იცოდა. როგორი სიტყვებით გადაეხადა მადლობა ასეთი საჩუქრისათვის.

გზად მიმავალ ბიჭს ბებიამ გაატანა ის, რაც მის თვალში ხელშეუხები იყო, აუცილებელი იყო საშობაო დღესასწაულისთვის, იმ უბადრუკი შობისთვის, ამ ქვეყნის ხალხს რომ უთენდება, და პატარა ნონი მიხვდა, რომ ბებია აწი აღარ იდღესასწაულებდა შობას.

თავი ოცდამეთვრამეტე

რედსმირელი მანდილოსნის დამარცხება

სამების წინა დღეა. აუსტა სოულილია დაბიდან ბრუნდება. იმედი ვიქონიოთ, რომ იქ საკმაოდ გაანათლეს ქრისტიანული რწმენის საკითხებში. მაგრამ რა მოხდა, დღეს რატომ მოდის? ბიარტური დაბაში ერთ ქალს მოელაპარაკა, აუსტასათვის კაბის შეკერვა დაავალა და ფულიც წინასწარ გადაუხადა. შეთანხმებული იყვნენ, რომ აუსტა სამება საღამოს, კონფირმაციის შემდეგ ჩამოვიდოდა. მაგრამ ასეა თუ ისე, აუსტა შაბათ საღამოს დაბრუნდა, ერთი დღით ადრე.

აი რა მოხდა:

სისვ ცხენზე ამხედრებული მანდილოსანი ფრთხილად მოიკვლევდა გზას ბლანტ ჭაობში. მანდილოსანს იმსიფართე კაბა ეცვა, რომ შიგ ნახევარი მრევ-

ლი ჩაეტეოდა და ბებერ, კოჭლ ჯაგლაგზე კი არ იყო ამხედრებული, რედსმირელ სორლიზე იჯდა, ყველაზე ფეხმარდ, მსუბუქ ცხენზე, ამაყად რომ თავი აუღერია. მხედარს ბურცოდან ბურცოზე ხტომა-ხტომით მოჰყვებოდა მუხლამდე თიხაში ამოგანგლული, თავჩაქინდრული აუსტა, არც აქეთ იყურებოდა, არც იქით. აუსტა ტიროდა.

ბიარტური, როგორც სტუმართმოყვარე მასპინძელი, მანდილოსნის შესაგებებლად გაეშურა, თავაზიანად მიესალმა, ცხენს სადავეში ჩაავლო ხელი, ყველაზე მშრალი ბილიკით გამოიყვანა საძოვარზე, თან დროდადრო შებრუნდებოდა და ეხუმრებოდა სტუმარს.

— თეთრი ყვავი ამ კუთხეში ძვირი სანახავია. — იხუმრა მასპინძელმა.

ეზოს რომ მიაღწიეს, ბიარტურმა მანდილოსანს დაქვეითებაში უშველა და კვლავ გაეხუმრა:

— დღითი დღე სულ უფრო ემსგავსებით ნამდვილ რედსმირის, — თქვა მან, რადგან მანდილოსანი რომის პაპივით მედიდური და ჩათქვირებული იყო. — გვენდურ, ბიჭო, — მიუბრუნდა ბიარტური შვილს, — საძოვრის ნაპირას გაიყვანე სორლი, იქ იბალახოს, მე და ფრუ კი აქ დავრჩებით, ვიდრე ყავას მოგვიმზადებენ. შენ კი, სოულა, მარდად აირბინე ოთახში, ნახე, თუ კიდევ ღვინის ქურაში ნაკვერჩხალი. ვიდრე შენ წასული იყავი, მე და გვენდური მაინცდამაინც თავს არ ვიწუხებდით ცეცხლის დასანთებად. გასულ კვირას მთელი ერთი კვირის საყოფი თევზი მოვხარშეთ. მაგრამ, რაშია საქმე, ჩემო პატარავ, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი? შენ ხომ ისლანდიის უდიდესი პოეტი ქალის საზოგადოებაში იმყოფები.

აუსტა სოულილიამ ხმა არ გასცა მამას. დაიკუზა, რომ წითრხლისთვის თავი არ აეკრა, და დაღვრემილი შევიდა შინ. ბიარტური და მამასახლისის მეუღლე ეზოში დარჩნენ, მუსაიფი გააბეს ისლანდიის გაზაფხულის პოეტურ და პრაქტიკულ მხარეზე, ორივე თავისებურად აკვირდებოდა ამ ხეობაში გაზაფხულს.

— მალე დაადოლებინებს ბერიკაცი იოუნი თავის ცხვარს? — ჰკითხა ბიარტურმა მანდილოსანს.

— მგონი, მალე.

— ცხვარი, რა თქმა უნდა, კარგ მდგომარეობაში ჰყავს, როგორც მოსალოდნელია, არა?

— დიახ, დიახ.

— ცოტა ცხვარი არ დაკარგა, მაგრამ, საბედნიეროდ, კიდევ ბლომად დარჩა.

— ბალახი? ისე არა? აქაც, უშენში, ცუდად არ ხარობს. მელიებსა და

სხვა მტაცებლებს ამ გაზაფხულზე მაინცდამაინც არავინ შეუწუხებია, არა? კარგია, კარგი. არც აქ გამოჩენილან, ანდა რას იხეირებდნენ, მძორი წელს არ არის. მელია კი არა, თოლიასთვისაც არ მომიკრავს თვალი. თუმცა მახსენდება, ყვავი კი დასტრიალებდა ერთხელ ხეობას. ჭიის საქმე როგორღაა, ხომ არ მოედო ცხვარს? არა? აქაც გაწყდა იმათი სახსენებელი. მშვიდობიანად დავადოლებინე, ერთი ნერბიღა დარჩა, ისიც დღეს მოიგებს, თუკი იმარჯვა ბებერმა კაპამ, როგორც სჩვევია. ამ ცხვარს ძალზე ვაფასებ და ვუფრთხილდები, სწორედ იმის დასახედად მივდიოდი ახლა ჭაობის სამხრეთ მხარეს. მინდა ვნახო, როგორ ერევა საქმეს.

— რაო, ორიოდე სიტყვა გაქვს ჩემთან სათქმელი? აბა, მეტს რას ვაკეთებთ, აკი ვლაპარაკობთ? სახლს უკან გავიდეთ, მთისკენ? ეს რაღაც ახალია. პირველად კი არ მთავაზობს პატივცემული ფრუ ბუჩქებისკენ გადახვევას, მაგრამ უწინდებური სიმკვირცხლე აღარ მომდევს.

რედსმირელი მანდილოსანი კი ხუმრობის გუნებაზე არ გახლდათ. კაბის კალთა აიწია, რომ ფეხი არ დაებიჯებინა ზედ, გაუხვია სახლს უკან, გაჰყვა ნაკადულის ნაპირს, ბოლოს ზედ წყლის პირას შედგა და ბიარტურს შესთავაზა, ბურცოზე ჩამოვსხდეთო.

— კაცმა რომ თქვას, თქვენს მაღალშობილებას კი არ უნდა შემოეთავაზებინა ჩემთვის დაჯდომა, მე უნდა გთავაზობდეთ, რადგან თქვენ ახლა ჩემს მიწაზე იმყოფებით, — ისევე იხუმრა ბიარტურმა, მაგრამ მისი ხუმრობა კვლავ ცივად მიიღეს.

სტუმარ-მასპინძელი ჩამოჯდა, ფრუმ სათუთი, პატარა, ფუნთუშა, სადრეკებთან ჩაჩვრეტილი ხელი რამდენჯერმე გადაუსვა ბალახს აქტიორული ეესტით. ჯანდაბას, ნეტა კიდევ რა აქვს გულში? ისევ მზაკვრულ ხრიკებს ხომ არ უწყობენ? იქნებ ეს ერთი მტკაველი მიწა წაართვან? კინ იცის, ეგებ საქმე იქამდე მივიდეს, რომ სახლიც დაუნგრიონ? ღმერთმა უწყის, რას არ იკადრებენ კიდევ? და ბიარტურმა ბურნუთი შეიყნოსა.

— ნებას თუ მომცემთ, თქვენს ბრწყინვალებას ბურნუთი შევთავაზო? ინებეთ, ძალ-ღონის მოკრებაში გიშველით! — შესთავაზა ბიარტურმა ფრუს.

მაგრამ ფრუ არც თამბაქოს მოყვარული გახლდათ და არც ოხუნჯობის.

—არ ვიცი, — დაიწყო ბოლოს ფრუმ, — შეატყვე თუ არა, ბიარტურ, რომ შენი ქალიშვილი შინ დაბრუნებისას სიხარულით არ ბრწყინავდა?

— ხომ არ ეუცნაურა, რაკი ერთი ბებერი, კოჭლი ჯაგლაგი ვერ გამონახეთ მისთვის, რომ შინ ფეხით არ მოჩანჩალებულიყო? თუმცა, იქნებ საფერხე ცხენების გარდა ყველა ტორფის ჭაობში გყავდათ გარეკილი. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, მე და ჩემი ჯალაბი ფეხით სიარულს ნაჩვევი ვართ.

— ცხენი კი შესთავაზეს, მაგრამ არ ინდომა, გაჯიუტდა, საშინელი თავნებობა გოგო ყოფილა. სულ შენა გგავს.

— იქნებ ეგ უკეთური გოგო ჯერ კერ განიმსჭვალა ქრისტიანული მორჩილებით? როგორც ჩანს, იმ ჩურჩუტმა პასტორმა რაღაც აწყენია. ტუქსავს ჩვეული არ არის. ჩვენს ოჯახში მუდამ მშვიდობა და სიწყნარე სუფევს. რაც შეეხება რელიგიას, არასოდეს ძალა არ დამიტანებია, არ ჩავციებივარ, ისწავლე ღვთისმეტყველება-მეთქი. გულახდილად თუ ვიტყვი, ეგ სარწმუნოება საკმაოდ მომაბეზრებელი და უსარგებლოა საზოგადოებისათვის, თუმც განსვენებული პასტორი გუდმუნდური კი მეცხვარეობის საქმის დიდი მცოდნე იყო. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სარწმუნოების საკითხში ჩემი სოფლა კარგად გარკვეული არ არის, მაინც თავდებად დავუდგები, რომ იმ ქალიშვილებზე სულელი არაა, ვინც ხვალ კონფირმაციაზე წარსდგება... რაც შეეხება ძველისაველ საგებს, ამაში ტოლს ვერავინ დაუდებს მისი ხნის ახალგაზრდებში, ქალიშვილი იქნება თუ ჭაბუკი. ერთ რამეში კი ყველა ერთნაირები არიან ტირიან, როცა მათ ტუქსავენ. რა არის აქ გასაკვირველი?

— არა, რელიგია აქ არაფერ შუაშია, — უპასუხა ფრუმ, — სამწუხაროდ, აი, რა უნდა გითხრა, — და ფრუმ კვლავ აქტიორული ჟესტით ხელი გადაუსვა ბალახს, თითქოს ღრმა ფიქრს მისცემიაო.

მაგრამ ბიარტურმა ფიქრი შეაწყვეტინა:

— არ მახსოვს, გითხარი თუ არა, ერთი ბებერი ცხვარი მყავს, ბევრი გაჭირვება გამოგვიელია ერთად, პასტორ გუდმუნდურის ჯიშისაა, სახელად კაპა შევარქვი. ისეთი უცნაური ზურგი აქვს, გეგონება, ლაბადა აქვს მოგდებულიო. ჰოდა, ამ ჩემს კაპას ძალზე საეჭვოდ გაეწია განზე ფერდები. საეჭვოდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ქონი სულ არა აქვს ნეკნებზე მოდებული. მეშინია, ვაითუ ტყუპი მოიგოს, გაუჭირდება საბრალოს ორი ბატკნის გამოკვება. ამიტომ ვაპირებდი ჭაობის სამხრეთით წასვლას ამ საღამოს, ყოველ წუთს შეიძლება მოიგოს.

— კარგი, ჩემო ბიარტურ, დიდხანს არ დაგაყოვნებ.

და ფრუმ პირდაპირ დაიწყო:

— აი, რის თქმა მინდოდა: გუდნის, ჩვენ მნე ქალს, მუდამ გული შესტკიოდა და განსაკუთრებით ზრუნავდა აუსტაზე. ამას თავისი მიზეზები აქვს. ჰოდა, როცა აუსტა დაბაში ჩამოვიდა ერთი კვირით, გუდნიმ გადაწყვიტა, გოგონამ ჩემთან დაიძინოს, ვიდრე აქ იქნებაო. პირველ საღამოსვე შეამჩნია გუდნიმ, რომ აუსტას რაღაც აწუხებდა, რაღაც სიმძიმე აწვა გულზე, სულ ჩაფიქრებული, დაბნეული იყო. რამდენჯერმე უნდა გაემეორებინათ კითხვა, რომ გულისხმას მოსულიყო, პასუხი გაჭირვებით უნდა ამოეგლიჯათ პირიდან.

საღამოს, დასაძინებლად რომ დაწვნენ, გუდნის ესმოდა, როგორ ქვითინებდა ბალიშში თავჩარგული აუსტა, თითქმის შუაღამემდე ქვითინებდა.

მანდილოსანი გაჩუმდა, ისევ ბალახს გადაუსვა ხელი, ჯერ დამთავრებული არ ჰქონდა სათქმელი, მაგრამ სიმსუქნისაგან ქოშინი სჭირდა და სულის მოთქმა უჭირდა.

ბიარტურს კი ხელოვნური პაუზებისა არა გაეგებოდა რა და ფრუს ჰკითხა:

—მერე რა მოხდა? განა თქვენთვის ახალი ამბავია, რომ ახალგაზრდებს გული ყელში ჩრიათ, განსაკუთრებით გოგოებს? ჩემს ძაღლს და ჩემს ცოლებს სულ იმას ვეუბნებოდი ხოლმე: მდედრობითი სქესი გაცილებით საცოდავია მამრობით სქესზე-მეთქი.

— პირველი ორი-სამი ღამის განმავლობაში გუდნიმ ვერაფრით ვერ ათქმევინა აუსტას, რა აწუხებდა, კრინტი ვერ დააძვრევინა.

— სწორია, დამოუკიდებლობას შეჩვეული ადამიანი რისთვის გადაუხსნის გულს სხვას და ჩაუკაკლავს, რასაც ფიქრობს? გარდა ამისა, ხომ გაგიგონია: ღღეს ავდარია, ხვალ გამოიდარებსო.

— აუსტა ისე იყო გაოგნებული, რომ გავიფიქრე, იქნებ ჩვენი რცხვენია და ერიდება, ხალხს შეუჩვეველია, ამიტომ მოსდის ასე. თავისი ხნის გოგოებიჭებსაც გაურბოდა, არ გაერია იმათში, როცა ისინი თამაშობდნენ და მხიარულობდნენ.

— რისთვის უნდა ცვითოს ხამლი უაზრო კუნტრუშში? — ჩაურთო ბიარტურმა.

— ჰოდა, გუდნიმ შეამჩნია, რომ დილდილობით გოგო ცუდად ხდებოდა, რაღაც მოდუნებული იყო, დაღვრემილი, რამდენჯერმე აღებინა კიდეც ტანთ ჩაცმის დროს.

— ცხენის ხორცი თუ შეეზიზღა.

— უკაცრავად, ჩვენ არასოდეს არ ვუმასპინძლდებით სტუმრებს ცხენის ხორცით, ძვირფასო ბიარტურ. ყოველ შემთხვევაში, მე სიტყვაც არ გამიგონია ამაზე. ბავშვებმა წინა საღამოს გემრიელი რაგუ მიირთვეს და გუდნიმ გაიფიქრა, ზომაზე მეტი ხომ არ უჭამია გოგონასო? ხანდახან ეჩვენებოდა, რომ აუსტა ხარბად ეტანებოდა საჭმელს. მაგრამ როცა მეორე და მესამე დილასაც განმეორდა ერთი და იგივე, გუდნის ეჭვი შეეპარა და ღამით აუსტა ტანთ რომ იხდიდა, კარგად დაათვალიერა. გუდნი გააოცა იმან, რომ აუსტას თავის ხანთან შედარებით სხეული ფიზიკურად ძალზე განვითარებული აქვს, თითქმის დასრულებულ ქალსა ჰგავს, ამასთან — ეს ჩვენც მაშინვე თვალში გვეცა, როგორც კი დავინახეთ, — წელში შესამჩნევად დამსხვილებულია. საერთოდ

ხომ წერწეტა გოგოა. ჰოდა, გუდნიმ აუსტას უთხრა, ალბათ, გული იმიტომ გერევა, რომ კუპი არა გაქვს წესრიგშიო, ხელი მოუსვა მუცელზე და, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. ჩააცივდა გოგოს, გამოტყდიო, მაგრამ ვერას გახდა, ვერაფერი ათქმევინა და ბოლოს მე დამიძახა. რასაკვირველია, ხელად მივხვდი ყველაფერს და ვუთხარი, რა აზრი აქვს დამალვას-მეთქი. მაშინ კი გვითხრა აუსტამ, რომ უკვე ოთხი თვის ორსულია.

ბიარტურმა ისე შეხედა ფრუს, როგორც ცხენმა იცის, რაღაც გაურკვეველ ხმას რომ გაიგონებს: აი, ყურები ცქვიტა, ყელი გაძგიბა, საცაა მოწყდება ადგილს, მერე სწრაფად ასწია თავი, გადადგა პირველი ნაბიჯი, მაგრამ ჯერ მაინც ვერ გაიაზრა, რა ხდება.

ბიარტურმა სულელივით გადაიხარხარა და მანდილოსანს ჰკითხა:

— ფეხმძიმედო? ჩემი სოულა? ვერა, ამჯერად ვეღარ გამაცურებ, პატივცემულო ფრუ.

— ისე გამოდის, რომ მე ხუტორ-ხუტორ დავდივარ და ტყუილებს ვჩმახავ? ყველა ყველა და ამას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემს სიტყვებს ასე უნდობლად შეხვდებოდი. მე ყოველთვის კარგი მინდოდა შენთვის და ყოველი გლეხისთვის. ჩემი გული, ჩემი სახლი მუდამ ღია იყო თქვენთვის, გლეხებისთვის, ვიცავდი ყოველივე კეთილშობილურს ჩვენს ქვეყანაში. გლეხის საქმე წმინდა საქმედ მიმაჩნდა, გლეხის საზრუნავი — პირად საზრუნავად, მისი მარცხი — საკუთარ მარცხად. ჩემთვის ცხადია, რომ ისლანდიელი გლეხის თავდადებული ბეჯითი შრომაა ის ბერკეტი, რომელსაც ხალხის კეთილდღეობა უნდა დაეფუძნოს.

— დიახ, რედსმირელი იოუნის და სხვა მისი მსგავსების, — ღვარძლიანად ჩაურთო ბიარტურმა. — მაგრამ განა იოუნი და მისთანანია ხალხი? ამას ვამბობ მე, მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათ წელიწადზე მეტი ვღვრიდი ოფლს მაგათთვის და ახლა იძულებული გავხდი მაგათ სამომხმარებლო საზოგადოებისათვის მიმემართნა.

— ნება შენია, ძვირფასო ბიარტურ, რწმენას ნუ შეიცვლი, მაგრამ ერთს კი გეტყვი: ყოველთვის, როცა სამრეველო საბჭო შენი კერის დანგრევას აპირებდა, გიცავდი და ვამბობდი: „ისლანდიელი გლეხის წყალობით ხალხმა მთელი საუკუნის მანძილზე სული შეინარჩუნა, თავი დაანებეთ-მეთქი ჩემს ბიარტურს!“ მაგრამ ახლა საქმე ისე შეტრიალდა, რომ გულახდილად გეტყვი, მართალი იყო სამრეველო საბჭო. თხუთმეტი წელიწადი გიცავდი თავგამოდებით, ძიუხედავად იმისა, რომ მთელი სამრეველო ეპეის თვალით გიყურებდა. ჰქონდათ კიდეც საამისო მიზეზი: ჯერ იყო და ისე უცნაურად მოკვდა შენი პირველი ცო-

ლი, შემდეგ ყოველ წელიწადს გეხოცებოდა შვილები—ან დაბადებისას, ან ძუძუ-თები და წელიწადი ისე არ გავიდოდა, რომ ზურგზე კუბოწამოკიდებული ჩვენს პატარა სასაფლაოზე შვილის დასამარხად კარს არ მოგვდგომოდი. შარ-შან გარდაგეცვალა მეორე მეუღლე, ყველამ იცის, რა მიზეზით; ამას მოჰყვა ზამთარში ცხვრის გაწყვეტა და უფროსი ვაჟიშვილის დაღუპვა. მაინც გიცავ-დი, გიცავდი თავგამოდებით. ახლა კი, მორჩა, მეტი აღარ შემიძლია. ყველა იმ საშინელი უბედურების შემდეგ, რაც ზამთარში დაგატყდა, ფეხი დაჰკარი და ფიორდში წაბრძანდი, იქიდან კი ვიღაც ბნელი პიროვნება, ლოთი, სათოკე არა-მზადა, რომელიც თავისი შვილებიანად მრევლს აწევს სარჩენად და, ყველა ამ სიკეთესთან ერთად, გადამდები სნეულებითაც არის ავად—ჭლექიანია, გამოუგ-ზავნე შვილებს და პატარა აუსტა სოულილიას, უკვე ქალიშვილობაში ფეხ-შედგმულ გოგონას.

— კმარა, ქალბატონო, გეყოფა! აქედან დაიკარგე, ჯანდაბამდის გზა გქო-ნია, გესმის? შენს მიწაზე კი არ ბრძანდები, ჩემს მიწაზე ხარ... და თუ დღეს აქ აუსტა სოულილიას გულისთვის მობრძანდი, მაშ, მოგახსენებ, რომ დაიგვია-ანე, დაიგვიანე, გესმის, თხუთმეტი წლით. სხვა ვინმემ ხომ არა, შენ მომახვიე თავს ეგ ბავშვი, როცა ჯერ კიდევ დედის საშოში იყო, და თუ ის ჩემ შვილად ითვლება, ითვლება მხოლოდ იმიტომ, რომ სასიკვდილოდ გასწირე იგი, მიწა მომყიდე იმიტომ, რომ სხვის მიწაზე მომკვდარიყო და არა შენს მიწაზე. ნუთუ გგონია, თითქოს თავიდანვე არ ვიცოდი, ვის შვილსა ვზრდიდი? იგი დაიბადა მაშინ, ეშმაზე ამხედრებული სასიკვდილოდ რომ მივქროდი და რაღაც სასწაუ-ლით გადავრჩი. და თუ შენ ამტკიცებ, ტყუილი არასოდეს არ მითქვამსო, მაშინ მოგახსენებ, რომ შენ ტყუოდი ჩემს ქორწილში, იქ, ნიდურკოტში, როცა კა-რავში მაღალფარდოვან, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ისროდი, ათას ახალმო-დურ მიეთმოეთებს უცხოელთა რელიგიასა და სხვა ასეთებზე იმის შემდეგ, როცა შენი შვილის ნაშიერი თავს მომახვიე, რომ როგორმე დაგეცვა საკუთა-რი ოჯახის სახელი. და თუ ახლა მე მადანაშაულებ იმაში, რომ აუსტა სოული-ლია ფეხმძიმედაა, უკაცრავად, ეგ მე სრულებითაც არ მეხება. ჯერ ერთი — ჩემგან არ არის ფეხმძიმედ; მეორე — მე არ ვერგები აუსტას ნათესავად და არც პასუხისმგებლობა მაკისრია. ეს შენ ხარ მისი ნათესავი და პასუხისმგებ-ლობაც შენ გეკისრება. ის ჩაისახა თქვენს სახლში, რედსმირში, და მერე კი თავიდან მოიშორეთ. მაგრამ ახლა მე არაფერ შუაში ვარ, ჯოჯოხეთისკენ გზა გქონიათ ყველას, თქვენი ბუშებიანად. დეე, თქვენი გვარი ატარონ მათ, ფეხ-მძიმედ არიან თუ არა, მე ეგ აღარ მეჭება.

— ყური მიგდე, — დაიწყო ფრუმ მორიდებით და იმ ბურცოზე, სადაც ბიარტური იჯდა, ბალახი მოწიწკნა, — მოდი მშვიდად მოვილაპარაკოთ, რო-

გორც გონიერ ხალხს შეშვენის, მოვილაპარაკოთ ყველაფერზე, რაც მოხდა. იცი, რას გეტყვი, ჩვენ ხალისით მივცემთ თავშესაფარს აუსტას ფეხმძიმობის პერიოდში.

— რაც გინდათ, ჰქენით, ჯანდაბამდის გზა გქონიათ, ეგ მე აღარ მეხება. მისცემთ თავშესაფარს თქვენს შვილებს, თუ გააგდებთ, ნება თქვენია, მე არ მესაქმება-მეთქი, გაიგეთ. ერთი რამ ვიცი, ჩემი ვალი პირნათლად მოვიხადე იმ დროს, როცა თქვენ ხელი აიღეთ თქვენს მოვალეობაზე, როცა თქვენი ბავშვი ჩემი ძაღლის მუცელქვეშ სულს ღაფავდა, მიატოვეთ, დეე, მოკვდესო. მე კი ავიყვანე ეგ თქვენი ბავშვი, მივეცი მას თავშესაფარი, საზრდო, სითბო, ის იყო ჩემი ცხოვრების ყვავილი თხუთმეტი წლის მანძილზე, მაგრამ ახლა მეტი აღარ შემიძლია, მომბეზრდა, კმარა. თქვენ გინდათ კერა დამინგრიოთ, ამყაროთ ამ ჩემი მიწიდან? რა გაეწყობა, გააკეთეთ, თუკი გაბედავთ, თუკი ამის უფლება გაქვთ. მაგრამ ვთქვი და ვიმეორებ, ჯანდაბამდის, ჯოჯოხეთამდე გზა გქონიათ თქვენი ბუშებიანად, მე და ჩემს შვილებს კი თავი დაგვანებეთ. მეტი არაფერი გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი. ცხვარს უნდა მივხედო, საძოვრის სამხრეთ კალთაზე მივდივარ. უნდა ვნახო, მოიგო თუ არა.

ამ სიტყვებით წავიდა ხეობელი გლეხი ჭაობის სამხრეთ ნაპირისკენ, წავიდა ისე, რომ სტუმარს არ გამომშვიდობებია. ძაღლი პატრონს გაედევნა. ბიარტურს უკან არ მოუხედავს. პოეტი ქალი კი გაოგნებული იჯდა, შეცბუნებული გაჰყურებდა მიმავალ მასპინძელს, რომელიც უძლეველ ლაშქარს ჰგავდა. თვითონ დარჩა დამარცხებული.

თავი ოცდამეცხრამეტე

მე ვარ

კარგა შეღამებული იყო, ბიარტური რომ შინ დაბრუნდა. დიდხანს დაჰყო გზაში, ორ ცხვარს მოერეკებოდა, ერთს უკვე მოეგო, მეორეს ჯერ კიდევ არა. დედა ცხვარს ცური სავსე ჰქონდა, კაპას კი, ბებერ, მჭლე ცხვარს, საეჭვოდ რომ დამძიმებულიყო, ცური მთლად დაჩუტოდა. თუ ტყუპი მოიგო, ფიქრობდა ბიარტური, გაუჭირდება, ვერ გამოჰკვებავს ბატკნებსო. ბიარტურს იმიტომ შეუგვიანდა ასე, რომ ცხვრები სულ გაქცევას ლამობდნენ, ძაღლი ებრძოდათ, ბიარტური კი ძაღლს უჯავრდებოდა, არ უნდოდა, ჩქარა გაერეკა ცხვრები, გზაფხულზე ნერბი ნელა უნდა ატაროს კაცმა. დედა ცხვარი ბატკნიანად გაექცა, ბიარტურმა, როგორც იყო, დაიჭირა, მაგრამ ამასობაში კაპამ

სხვა მხარეს გაქუსლა. ახლა იმას გამოუდგა. დედა ცხვარმა ისარგებლა შემთხვევით და ისევ მოკურცხლა. ხან ერთი გაექცეოდა, ხან მეორე. ასე წვალობდა, მაგრამ მაინც თავისას მიაღწია, ცხვრებს როდი ჩამოუვარდებოდა სიჯიუტეში. ძალზე ბევრი ისწავლა ცხვრებისაგან თავისი ცხოვრების მანძილზე, რომ იმათთვის დაეთმო. ბოლოს, როგორც იქნა, მოდენა ცხვარი საძოვარზე. ახლა დედა ცხვარი უნდა შეეგდო ფარეხში და როგორმე მოეწველა.

სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. თითქოს გაწყდაო ყველა, ალბათ, დაიძინეს უკვე. ბიარტურს არავისი გაღვიძება არ უნდოდა, მარტო გავართმევ თავს საქმესო, ფიქრობდა. ცხვარს არ უნდოდა ფარეხში შესვლა, გარბოდა, წრეს უვლიდა, ბიარტური დასდევდა, თითქოს არც ერთი არ აპირებდა დათმობას, მაგრამ ბოლოს მაინც ცხვარი დანებდა და წაცუხცუხდა ფარეხისკენ. ბატკანი ჯერ ეზოში დაკუნტრუშობდა, მერე ბოსტანში შევარდა, იქიდან ფარეხის სახურავზე აბობღდა და შებღავლა. სახურავიდან ისევ ბოსტანში ჩახტა ბღავილით, გაჰყვა ნაკადულის ნაპირს, ბლაუფიედლისკენ. ბიარტურმა ცხვრის თავი ფეხებში მოიქცია, ბადია შეუდგა და წველა დაიწყო. ცხვარი ტლინკებს ჰყრიდა, ფართხალებდა გამწარებული, მაგრამ ბიარტურმა მაინც ჩამოწველა ორი-სამი ტოლჩა რძე. მერე გაუშვა ცხვარი და ის მაშინვე ბღავილით გაიქცა შვილის საძებრად. კაპა კი მშვიდად წიწკნიდა ბალახს საძოვრის ნაპირას.

ნათელი ღამე იდგა, გრილოდა. უშენის აღმოსავლეთით ცა საავდრო ღრუბლებით დაიფარა. მთები ნისლში გაეხვია. ფრინველები მიყუჩდნენ, მხოლოდ დროდადრო სამხრეთიდან ისმოდა გაგარის ხმა, შესაბრალისად რომ დასტიროდა მდინარეს.

ზღურბლს რომ გადააბიჯა, ბიარტურმა დაინახა, იქვე, კართან, ყუთზე ვიღაც იჯდა მოკუნტული. ეს აუსტა გახლდათ. თავისი ნიდაყვებგამოხეული კაბა ეცვა, ხელები მუხლებზე ეწყო—ახლად მოწიფული ქალის ხელები, გრძელი მტევნებით, წვრილი თითებით, თავისებურად გაღუნული დიდი თითით, როგორც მკერავ ქალებსა აქვთ. აუსტას თავისი ასაკისთვის შეუფერებელი, მსხვილი კანჭები და ძალზე მომრგვალებული თეძოები ჰქონდა. უკვე დაქალებულიყო რედსმირელი ქალბატონის შვილიშვილი. იგი არ განძრეულა, თავი ზევით არ აუწევია, როცა ბიარტური შევიდა, ისევ ისე მოკუნტული იჯდა ყუთზე, თავი მკერდზე ჰქონდა ჩამოვარდნილი. ეძინა, თუ ეშინოდა ბიარტურის და ვერ ასწია თავი, თვალი ვერ გაუსწორა? ბიარტურმა სილა გაანნა, აუსტა შეტორტმანდა, ცალი ხელი კედელს წაატანა, რომ არ დაცემულიყო. თვალი დახუჭა, მეორე ხელი მოღუნა, ნიდაყვი სახეზე აიფარა, კიდევ გარტყმის მოლოდინში, მაგრამ ბიარტურს ხელი აღარ აუწევია.

— აჰა, ესეც შენ, იმისათვის, რომ ლაფი დაასხი მიწას, რომელიც მე ვი-

ყიდე. საბედნიეროდ, შენში ჩემი ერთი წვეთი სისხლი არ არის. ჰოდა, გთხოვ, ბუში უფრო ახლო ნათესავებთან გააჩინო.

— კარგი, მამა, — უპასუხა აუსტამ. ძლივს მოითქვა სული და სახეზე მკლავაფარებულმა, ზღურბლს მიაშურა. — მე წავალ.

ბიარტურმა გაიარა დერეფანი, კიბეს აჰყვა და ოთახის კარი ჩარაზა.

კარგია სილა რომ გააწნა და გააგდო. ეს გარტყმა ისე მწვავე როდი იყო, როგორც მოლოდინის შიში. აუსტამ იცოდა, რაც ერგებოდა და იცოდა, რომ მიიღო კუთვნილი. ამ სილამ მძიმე ლოდი ჩამოხსნა მხრებიდან. ეს თავისებური კონფირმაცია გახლდათ. ახლა ის თავისუფალია. აუსტა იდგა ეზოში და ისე გაჰყურებდა გაზაფხულის ღამეს — მისი ცხოვრების გაზაფხულის ღამეს, როგორც უფსკრულის პირას მდგარი ადამიანი, რომელსაც იმედი აქვს, რომ სიცოცხლის შესანარჩუნებლად ამ უფსკრულს გადაახტება. გული გამალებით უცემდა, მაგრამ არ ტიროდა. ნესტიანი, გამქვალავი სიცივე იდგა, უშენს საავდრო ღრუბლები ჩამოაწვა, ხან ერთ მხარეს შეჩქვიფდებოდა, შავი კედელივით აიმართებოდა, ხან მეორე მხარეს, ადგილს ინაცვლებდა.

აუსტა სოულილიას დასავლეთით არ გაუხედია, აღმოსავლეთ მხარეს გასცქეროდა. დიახ, მამამ ერთბაშად მოხსნა მოლოდინის შიში, გაუთავისუფლა სული და სხეული. ორივესთვის ნათელია ყველაფერი და აუსტა უცებ, თითქოს ზეშთაგონების ძალით მიხვდა ყოველივეს, გინდაც ბიარტურს არ ეთქვა, მაინც მიხვდებოდა, რომ მასში ბიარტურის ერთი წვეთი სისხლი არ არის. ეს სილა, ახლა რომ გააწნეს, სიმართლის წამი იყო მათ ცხოვრებაში, მანამდე მათი ერთად ცხოვრება, ურთიერთდამოკიდებულება სიყალბეზე იყო აგებული. აუსტა სოულილია ისე ცხოვრობდა ბიარტურთან, როგორც ტროლთან, თვითონაც ტროლი იყო. და აი, დგას აქ, დახშულ კართან, უკვე გამოირკვა, რომ ის სრულიად არ ეკუთვნის ტროლების საგვარეულოს. ერთ წამში ვანთავისუფლდა ჯადოსაგან და იქცა ადამიანად, იქნებ პრინცესადაც კი, როგორც მეთოვლია და სხვა გოგონები, ზღაპრად რომ არიან აღწერილი? არავითარი მოვალეობის გრძნობა აღარ აკავშირებთ ერთმანეთთან. შორს, შორს აქედან!

ჭაობის აღმოსავლეთ მხარეს რომ მიაღწია, უნებლიეთ ფეხებზე დაიხედა და დაინახა, რომ გაცვეთილი ხამლი ეცვა, კაბაც დახეული, თავშიშველი იყო. ხუთუ ასეთი თხუპნია, კონკია-ეღარუნა გოგო შეიძლება პრინცესად იქცეს. როგორც საგებშია აღწერილი? რა ვუყოთ, თუ ხამლი დაუსველდა. უკან არც კი მიუხედავს თავისი სახლისკენ. ახლა ის პრინცესასავით თავისუფალია და გზას დაადგა, მიდის მასთან შესახვედრად, თავის მიჯნურთან. ახდა ზღაპარი ხეობაში მცხოვრებ გოგონაზე, ოცნება რომ უყვარდა. აუსტა ხომ მას ეკუთვ-

ნის, დარჩება მასთან სამუდამოდ, არასოდეს, არასოდეს არ მიატოვებს. იმისი თეთრი სახლი ზღვისპირას დგას, ვრცელ მდელობზე. იქიდან აუსტა დაინახავს, როგორ მიმოდიან დიდი ხომალდები, აუსტაც გაემგზავრება მასთან ერთად უცხო ქვეყნებში, იქ, სადაც მზის სხივებით ოქროსფრად აელვარებული პალმის ხეივნებია. დიახ, დიახ, დიახ... მთელი ღამე უნდა იაროს, რა ვუყოო, თუ ხამლი შემოაცვდება, ის ახალს აჩუქებს. დიდხანს კი არ მოუნდება მისი თეთრი სახლის ძებნას, იქ, ზღვის ნაპირას. აუსტა კარზე დააკაკუნებს, დილაადრიანად, ვიდრე ის გაიღვიძებს. ის გაიგონებს კაკუნს და იკითხავს: „ვინ არის?“ — „მე ვარ!“ — ეტყვის აუსტა.

ვიდრე სამხრეთისკენ მისდევდა ჭაობს, მისი გული ეღერდა, ზარივით რეკდა, ზეიმობდა. არ ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ მსუბუქად მიაბიჯებდა, კი არ მიდიოდა, მიჰქროდა, მისი გულიც, თითქოს მიჰქროდა, მიისწრაფოდა ბედნიერებისკენ, თავისუფლებისკენ, სიყვარულისკენ. ის იყო ღარიბი გოგონა, რომელიც პრინცესად იქცა. არა, აუსტა არავის არ ეკუთვნის, ეკუთვნის მხოლოდ მას, მხოლოდ მას. მიდის და ჩაესმის მისი ხმა, ასჯერ, ათასჯერ კითხულობს: „ვინ არის?“—და აუსტაც ასჯერ ათასჯერ უპასუხებს: „მე ვარ!“ მსუბუქი, სხარტი ნაბიჯით მისრიალებს აუსტა სოულილია უშენის დაკლაკნილ ბილიკზე. აუსტა ის მეოცნებე გოგო კი აღარ არის, ჯადოსნურ ცვარში რომ განიბანა ივანობა ღამეს. არა, მან არ იცოდა, ვინ არის, სად მიდის. ის შეყვარებული ქალია, უკან დასახევი გზა და ხიდი თავისი ხელით რომ გადაწვა, რათა მიჯნურამდე მიეღწია. ეს ჭეშმარიტებაა, ეს არის სიყვარული და უშენი. ამას იქით რაც დაემართება — ეს უკვე ნამდვილი ცხოვრება იქნება.

სიყვარული და უშენი. ღრმა ხევებში ჯერ კიდევ ჩაწოლილა თოვლი, თოვლქვეშ აქა-იქ მოჩანს ტალახიანი მიწა. აუსტას ცივი, ნესტიანი ქარი ეგებება, მალე ხამლი მთლად გაძვრება ფეხიდან, ფეხები სტეხს, სტკივა. სწყურია აუსტას, წყურვილით იხრჩვება და მონამქერებული თოვლის ძირას მოლაპლაპე გუბეს ეწაფება. რა უგემურია ეს წყალი. აუსტას შია, დაიქანცა, უცებ თოვლჭყაპი წამოვიდა, ატყდა ქარბუქი და ყმაწვილი ქალი წყვდიადმა შთანთქა. ერთ წამში გაილუმპა თავით ფეხამდე, შიში უფრო მოერია. უშენი საშიშია, იქნებ ცხოვრებაც საშიშია, უფრო საშიში? გაახსენდა ჰელგი, თავისი ძმა, რომელიც აქ, ამ უშენში დაიღუპა, გაქრა ზამთარში, მის კვალს ვერსად მიაგნეს. ბევრი, ბევრი უმსხვერპლია უშენს. მამამისი კი არ დაიღუპება აქ... და უცებ გაახსენდა, რომ ის სულაც არ არის მისი მამა, რომ ის ტროლია, ამიტომაც მან შიში არ იცის. აუსტა სოულილიას კი ეშინია, აუსტა შეიძლება დაიღუპოს. შიშმა სძლია შიმშილიც და დაქანცულობაც და უცებ გულში გაუელვა, იქნებ სწორად არ მოიქცა, ფეხებში ხომ არ უნდა ჩავარდნოდა მამას,

შემოხვეოდა, პატიება ეთხოვა? არა, არა და არა! აუსტა ცდილობდა დაეძლია შიში და ამიტომ ისევ თეთრ სახლზე დაიწყო ფიქრი, ზღვის პირას მდგარ თეთრ სახლზე. რომელ სახლზე? იქნებ იქ სულაც არა დგას თეთრი სახლი? ეგებ იქ შავი, უბადრუკი ქოხია, ერთხელ რომ ახსენა იმან გაკვრით, ქოხი, სადაც მშიერი ბავშვები არიან თავშეფარებული? არა, არა, ეს შეუძლებელია! ის თეთრ სახლში ცხოვრობს, ზღვის პირას. სულ მალე, სულ მალე მიაღწევს იქ. მისი მიჯნური კარს მოადგება, დილის მზის სხივებში გახვეული, ზღვაში ჟი ხომალდები იქნებიან და ის ჰკითხავს: „ვინ არის?"

სწორედ ამ დროს დაინახა აუსტამ, რომ სადღაც შორს თეთრად იელვა მოლაპლაპე პატარა ტბამ. ქარბუქი ჩაცხრა. უთუოდ ის ტბაა, საშინელ სიზმრებში რომ ეზმანებოდა... ოო, რატომ, რატომ ხდება ასე, როცა ადამიანი ეულია და უბედური, საცოდავი, უბადრუკი ტბა ეზმანება და არა ოკეანეს უკიდეგანო სივრცე? მაშასადამე, ჯერ ძლიერ მცირე მანძილი გაუვლია, მარტოდმარტოა, დაქანცული, ტერფებდახეთქილი, წინ გრძელი გზა აქვს, მაგრამ გულში იმედის სხივი უღვივის. ისევ დაეწაფა გუბეს და გაჭირვებით წამოდგა. კვლავ ჩაესმა მიჯნურის ხმა, დგას თავისი თეთრი სახლის კარსუკან და კითხულობს: „ვინ არის?" და აუსტა მეათასედ პასუხობს: „მე ვარ!"

იმ ღამით ზაფხულის სავანელ ბიარტურს ტანთ არ გაუხდია. წარამარა გადიოდა საძოვარზე დატოვებულ ცხვრებთან. შუაღამე რომ გადავიდა, ბებერი კაპა დაწვა და ცოხნა დაიწყო. მეორე ცხვარი მთისკენ წავიდა, კლდის ძირას მიწვა თავის ბატკანთან ერთად.

მშვიდად სუნთქავდა მიყუჩებული მიდამო. დილის მგალობლები უკვე აყღურტულდნენ, სხვები კი ჯერ დუმდნენ.

დიახ, ბიარტური არ შემცდარა, კაპა საცაა მოიგებს.

დილაადრიანად კაპამ სამი ბატკანი მოიგო. საცოდავი პაწიები წამოდგომას ლამობდნენ, კაპა კი იდგა და ლოკავდა მათ. ყოჩაღ კაპა, დედაბერო, სამი ბატკანი მოიგე. რანაირი გაჭირვება და უბედურება არ გადაუტანიათ ერთად კაპასა და ბიარტურს: ჭიები, შიმშილობა, მოჩვენებები და ერთი უყურეთ ამ დედაბერს, ვითომც აქ არაფერიო, სამი ბატკანი მოიგო. ბიარტური აფასებდა კაპას, როგორც მეთაურს და ამიტომ არ დაკლა შარშან შემოდგომაზე. ახლა კი კაპამ სიკეთისთვის სამაგიერო გადაუხადა, სამი ბატკანი აჩუქა. ეს დიდი გამარჯვებაა ისეთი კაცისთვის, ვისაც ცხვარი გაუწყდა და ცოტაღა შერჩა. მაგრამ საბრალო კაპას ცური მთლად დაჩუტული ჰქონდა. ბიარტურმა რძე შეათბო, ბატკნები იღლიაში ამოიჩარა და სახლისკენ წავიდა. კაპა ფეხდაფეხ

გაჰყვა, შეშფოთებით ბღაოდა. პირუტყვები ხომ უნდოდ ეკიდებიან ადამიანს, მაშინაც კი როცა მას სიკეთე უნდა მათთვის. ბიარტური სახლის ზღურბლზე ჩამოჯდა, მუხლებში მოიქცია ბატკნები, ფრთას აწებდა რძეში და პირში აწვეთებდა. ღმერთო ძლიერო, რა პაწია პირი აქვთ, რა საცოდავები არიან. ჰო. დასატრაბახებელი აქ არაფერია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხედავ მათ ასეთ უმწეობას. კაპა ეზოში იდგა და ეჭვით ადევნებდა თვალს ბიარტურს. ბეფრთხალი იყო კაპა, ადამიანს არ ენდობოდა: უთუოდ პასტორ გუდმუნდურს დაემსგავსა, რომელმაც გამოიყვანა ეს ჯიში, ისიც უნდოდ უყურებდა ადამიანს. მაგრამ როცა კაპა მიხვდა, რასაც აკეთებდა ბიარტური, ნელ-ნელა წავიდა მისკენ და დედობრივი შიშით მიაჩერდა ჭკვიანი, დიდი, ბოშავო-მოყვითალო თვალებით. თანაგრძნობა სანთლით საძებარი სათნოებაა, მაგრამ ოდესმე იგი მაინც გაიმარჯვებს მთელ სამყაროში. იქნებ არც ისეთი შესანიშნავი იყო ეს უშენი, არც ისეთი შესანიშნავი იყო ეს ეზო უშენში, მაგრამ ზოგჯერ აქ არაჩვეულებრივი ამბები ხდებოდა: პირუტყვსა და ადამიანს ესმოდა ერთიმეორის. ეს სამება დილას მოხდა. კაპა სულ ახლოს მივიდა ბიარტურთან. აი, ზის ბიარტური სახლის ზღურბლზე, მკლავებში ჩაბღუჯული ჰყავს მისი სამი ბატკანი. კაპამ ნდობით ატაკა ცხვირი ულამაზო სახეში ბიარტურს, თითქოს მადლობას უხდისო, წვერში შეანჩქლია თბილი ამონასუნთქი და ნელა დაიბღავლა.

რომი—ნიცა
1934/35 წ. ზამთარი

ნაწილი მეოთხე

თავი მესამოცე

როცა მოჰკლეს ფერდინანდი

ეგრეთ წოდებული მსოფლიო ომი — ნაპოლეონის ომების შემდეგ — ჩვენი ქვეყნისთვის ღვთით გარდმოვლენილი უდიდესი მადლია. ამ კურთხეულმა მსოფლიო ომმა ხალხი გაჭირვებისგან იხსნა, ჩვენი კულტურა მოსპობას გადაარჩინა, გაზარდა მოთხოვნილება თევზსა და თევზის ქონზე. მშვენიერი მსოფლიო ომი! ღმერთმა ქნას, რაც შეიძლება ჩქარა იფეთქოს კიდევ ერთმა ასეთმა ომმა! ეს ომი კი თურმე იმიტომ დაიწყო, რომ სადღაც ერთი საწყალი უცხოელი ჭაბუკი მოუკლავთ, რომელსაც სახელად ფერდინანდი რქმევია და ბოროტი ადამიანები ისე შეუწუხებია ამ ფერდინანდის დაღუპვას, რომ ერთმანეთს დარევიან და აგერ უკვე სამი წელია ისე კეპავენ ერთურთს, როგორც გობში ხორცს ვკეპავთ.

ამ საუბარში იყვნენ გლეხები ზაფხულის სავანელი ბიარტურის ოთახში, მთაში ცხვარზე სალაშქროდ წასვლის წინ. თვითონ მთელი ცხოვრება იბრძოდნენ, მათი ომი გაცილებით მწვავე იყო მსოფლიო ომზე და ომის საბაბიც უფრო საფუძვლიანი, ვიდრე ფერდინანდის მკვლელობა.

— მე მგონია, ხალხმა შვებით ამოისუნთქა მას შემდეგ, რაც ის შეჩვენებული ჭაბუკი თავიდან მოიშორეს, — თქვა ზაფხულის სავანელმა ბიარტურმა.

— ამაზე ვერაფერს ვიტყვი, — სიტყვა ჩამოართვა მასპინძელს უნდირხლიდელმა ეინარმა, — სულ ერთია, ყურადღებას მაინც არავინ მიაქცევს. მე ან სხვა ჩემისთანები რას ვიტყვით მსოფლიო ისტორიაზე. ისე კი, გამიგონია. ფერდინანდი ერთი ძალზე პატარა სახელმწიფოს მეფე იყოო. იმ ქვეყნის სახელი ვერაფრით ვერ დავიხსომე. არც ის ვიცი, საზრიანი ყმაწვილი გახლდათ თუ

არა განსვენებული, — ისლანდიელები ხომ ხელმწიფეს არაფრად ვაგდებთ, ჩვენ მხოლოდ მთების მეფეებს ვაფასებთ. გარდა ამისა, ყველა თანასწორი ვართ უფლისა წინაშე, ვიდრე გლეხს დამოუკიდებელი კაცი ჰქვია, თუ გლეხი სხვისი მოჯამაგირე არ არის, თავისი თავის ხელმწიფე თვითონ ბრძანდება, მაგრამ ფერდინანდია, თუ რა ერქვა, მაინც ადამიანი იყო. ჰოდა, ქრისტიან კაცს არ შეშვენის მისი ურიგოდ მოხსენიება. კაცი მუდამ კაცია.

— ჩვენთვის სულ ერთია, რა ბედი ეწვია იმ უმაწვილს, ან რა ერქვა, — საუბარში ჩაერია გილიელი კრუსი, — მაგრამ ვფიქრობ და ვერ გამიგია, ივ წყეული ფერდინანდის გულისთვის მაინც რატომ უნდა აეტეხათ ჩხუბი?

— გაუშვი, იჩხუბონ, იმ ობრებმა! — თქვა ბიარტურმა. — რაც მეტს იჩხუბებენ, მით უკეთესია. ახლა მაინც მოიშლიან კუდაბზიკობას და მამლაყინწობას, სიმწარეს რომ იგემებენ. ყველაფერს კარგად შეექცევიან, რაც არ უნდა შესთავაზო, ყველაფერს ყიდულობენ. თანდათან იწევს პროდუქტების ფასი. მალე ჩვენგან ნეხვსაც იყიდიან. ჰოდა, ცხრილონ ერთიმეორე, ვიდრე ამას სხვა ხალხისთვის სარგებლობა მოაქვს. საზღვარგარეთ ხალხი ბლომადაა, თავს არავინ მოიკლავს იმათი ჯავრით.

— ზოგჯერ ხალხი იდეალისთვის იბრძვის, — გაამართლა უცხოელები უნდირხლიდელმა ეინარმა, რომელსაც ყოველთვის ეჩვენებოდა, რომ ბიარტურმა მეტისმეტი მკვახე ლაპარაკი იცოდა, პოეზიაშიც ასეთი უხეში იყო.

— შენ ხომ ძველი პოეტი ხარ, ბიარტურ, — დაუმატა ეინარმა, — უნდა იცოდე, სადაც ომია, იქ იდეალიც არის. მართალია, იმ ხალხის თვალში, ვისაც უფრო მნიშვნელოვან საქმეზე უხდება ფიქრი, შეიძლება ჩალის ფასიც არა ჰქონდეს ემაგ იდეალებს, მაგრამ ზოგი მაინც იდეალისთვის იბრძვის.

— იდეალი? — გაიოცა ბიარტურმა. მისთვის უცხო იყო ეს სიტყვა.

— აზრი-მეთქი, მინდოდა მეთქვა, — აუხსნა ეინარმა.

— ასეთი რამ პირველად მესმის, რომ ახლანდელ ომს აზრი აქვს. იბრძვიან მხოლოდ დამთხვეულები, — უპასუხა ბიარტურმა. — უძველეს ხანაში სულ სხვა იყო. მაშინ ვიკინგები შორეულ ქვეყნებში მიდიოდნენ, ომობდნენ, იპყრობდნენ ქვეყნებს მზეთუნახავის გულისთვის, რომელსაც თავის ცხოვრების ყვავილად თვლიდნენ. დღეს ამისათვის აღარავინ იბრძვის, დღეს რაიმე ძიზნისათვის კი არ იბრძვიან, სისულელის ან სიჯიუტის გამო ყლეტენ ერთმანეთს და უნდა ბოგახსენოთ, რომ სისულელეც კარგია, თუკი ვინმესთვის სარგებლობა მოაქვს.

— ჩემის აზრით, ძვირფასო ბიარტურ, — თქვა მთების მეფემ, — ამ საქმეს სხვა მხრიდანაც უნდა შეხედოს კაცმა. ასეთი მსოფლიო ომი მართლა მადლი და ბარაქა ხომ არ არის, მარტო გლეხის საქონლის სარფიანად გასა-

ღება როდია, განადგურებაა, დიდი უბედურებაა იმ ხალხისთვის, სადაც ეს ომია. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ამ დღეებში საფრანგეთში დაინგრა უძველესი, დიდებული ტაძარი, რომელიც მთელი საუკუნე იდგა მათს მიწაზე.

— მე რა მენაღვლება, რამდენი ტაძარიც უნდათ, იმდენი დაანგრიონ საფრანგეთში, — ზიზღით ჩაიფრუტუნა ბიარტურმა, — გინდ იმ მებრძოლებმა რედსმირის საყდარიც მიაყოლონ ზედ, გული არ დამწყდება.

— სამწუხაროდ, მარტო ტაძრები კი არ ინგრევა. ზოგჯერ ქალაქებს, დიდ ქალაქებს მიწასთან ასწორებენ. პარიზში, ლონდონში ურიცხვი ოქრო და ძვირფასი თვალი დაიკარგა, თუ აღარაფერს ვიტყვით დიდებული სასახლეებისა და ბიბლიოთეკების დანგრევასა და განადგურებაზე.

— ჩემი ოქრო და ჩემი ძვირფასი თვლები არ დაკარგულა და... არც ჩემი სასახლეები დაუნგრევიათ, — თქვა ბიარტურმა. — რაც შეეხება ბიბლიოთეკებს, ჩვენი სამრეველოს ბიბლიოთეკაში ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მატლი და ჩრჩილი ღრღნის წიგნებს, არავითარი ომი არ სჭირდება წიგნების განადგურებას.

— ძვირფას ქანდაკებებზე რაღას იტყვი, სროლის დროს რომ ინგრევა და მათი ნამსხვრევები იფანტება ქალაქში?

— ქანდაკება? ეგ რაღა ოხრობაა? ისე ლაპარაკობ, თითქოს ოდესმე თვალით გენახოს ქანდაკება.

მთების შეფეს მეტი რა ჩარა ჰქონდა, ხმა გაიკმინდა. მართლა არ ენახა ნამდვილი ქანდაკება. არც ერთ მათგანს წარმოდგენა არ ჰქონდა ქანდაკებაზე. ერთხელ რედსმირელმა ფრუმ კი ჩამოუგდოთ სიტყვა ამაზე, გილტეიგელი ტოურარის ქალიშვილმა კი რამდენიმე წლის წინათ ფაიფურის პატარა ძაღლი იყიდა, ეგ იყო და ეგ.

— აი, გინდაც ფაიფურზე....

— რა დიდი უბედურებაა, მასეთი ხარახურა თუ დაიმსხვრევა. რა საჭიროა, ვთქვათ, ფაიფური? მარტო ხალხის გასაბრიყვებლად და გასაღიზიანებლად არის მოგონილი, — წამოიძახა ბიარტურმა, რომელსაც არაფრად ესაჭიროებოდა ფაიფური. — ჰოდა, სულაც არ მეცოდება ის ხალხი, ვინც ახლა თიხის ჯამით ან მიხანქრის ტოლჩით შეექცევა კერძი იქნება თუ ყავა. ჩემი დღე და მოსხრება ამ ჭურჭლით ვჭამ და ვსვამ, მაგრამ, როგორც ხედავთ, არაფერი მიჭირს.

— მე კი ასე მგონია, — თქვა გილტეიგელმა ტოურირმა, — ომობენ და იბრძვიან ამისათვის, რომ თავაწყვეტილი გარეწრები შეიჭრნენ უცხო ქვეყნებში და იქაურ ქალებზე ძალა იხმარონ. ერთმა უცხოეთში ნაცხოვრებმა კაცმა მიამბო, დედამიწის ზურგზე მხოლოდ ქვეწარმავლებში ისე არავინ დასდევს

ქალებს, როგორც ჯარისკაცები და გენერლებიო. ისეთი ამბები გავიგე იმ ოხრებზე, უცხოელ ჯარისკაცებსა და გენერლებზე, ენა არ მომიტრიალდება იმის გასამეორებლად. გინდაც გიამბოთ, ისლანდიაში ძე-ხორციელი არ დამიჯერებს. მე თვითონ სამი ქალიშვილი მყავს, მეტს არაფერს ვიტყვი, ჰოდა, ბოლო ხანებში ხშირად ბედს ვუმადლი, რომ ჩვენს ქვეყანას ააცდინა ასეთი ხვედრი. წარმოგიდგენიათ ფრანგი ან გერმანელი ჯარისკაცები და გენერლები რომ შემოვიდნენ აქ და თავხედურად, უტიფრად შეგვიგინონ უმანკო ქალები?

— ეჰ, გინდ იყოს ომი, გინდ არა, ქალები მაინც თავისას იზამენ, — თქვა ბიარტურმა. — ბევრის მომსწრე გახლავარ და ამიტომ მგონია, ქალების უმეტესობა უარს არ იტყვის თავის შექცევაზე. არავის მოსწონს სიმართლე, მაგრამ სიმართლეს მაინც ვერსად გაექცევი.

გილტეიგელმა ტოურირმა იწყინა, მეტისმეტად მკვახედ და უხეშად გამოგივიდაო. საბრალო ქალიშვილები! მას გულმშვიდად არ შეეძლო თავის ქალებზე ფიქრი. მაგრამ რაც მართალია, მართალია: ქალიშვილებს რომ იმდენი სიმტკიცე ჰქონდეთ, ეშმაკურ ფანდებსა და ძალადობას გაუძლონ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა მათთვისო, დაასკვნა ბოლოს ტოურირმა.

— დიდ განსხვავებას ვერა ვხედავ ეშმაკურ ფანდებსა და ძალადობას შორის, თუ ბოლო ერთნაირი აქვს, — თქვა ბიარტურმა.

ეინარი ამ საუბარში არ ჩარეულა, მისი მეუღლე და ერთადერთი ქალიშვილი ჭლექმა იმსხვერპლა, ასე რომ, ძალადობის საფრთხე მას არ ემუქრებოდა, მაგრამ თავის აჩემებულ თემას კი დაუბრუნდა და თქვა:

— საკუთარ ვეთანხმები მთების მეფეს. ცალი თვალით რომ შეეხედოთ ამ იდეალს, რისთვისაც ხალხი იბრძვის, მეორე თვალით კი მკვდრებსა და დასახიჩრებულებს გადავხედოთ, აბა, რა გვეთქმის? მხოლოდ ერთი რამ: სჯობია ადამიანის სიცოცხლეზე იზრუნო, ვიდრე იდეალზე. თუ იდეალი მიზნად კაცობრიობის ცხოვრების გაუმჯობესებას კი არ ისახავს, არამედ მილიონობით ხალხის გაწყვეტას, უმჯობესი არ არის იდეალს გვერდი ავუაროთ? თუ იდეალი სიცოცხლე არ არის, თუ სიცოცხლე იდეალი არ არის, მაშინ რაღაა იდეალი? და რა არის სიცოცხლე?

— იდეალისთვის თუ ელეტენ ერთმანეთს, საკუთარ გოგრას მოჰკითხონ, — სიტყვა ჩაურთო ბიარტურმა. — ვისაც ომი უნდა, თავის გაწირვაც უნდა შეეძლოს. და თუ იმ ტარტაროზებს ასე მოსწონთ ერთმანეთის ელეტა, თანაც სისულელის — რაღაც იდეალის გამო, თავში ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი. ყოველ შემთხვევაში, მე ამაზე არ ვინაღვლებ. ჯანდაბამდის

გზა ჰქონიათ და იმასაც ვიტყვი: იბრძოლონ, იბრძოლონ, რაც შეიძლება დიდხანს. ოღონდ ხორცსა და მატყლზე უფრო აიწიოს მაზანდა.

— თუ იმით დამთავრდა საქმე, რომ ერთმანეთი მთლად გაჟლიტეს? — საუბარში ჩაერია გილიელი კრუსი.

— მაშინ ჩვენ, მეგობრებო, სანდალს აღვჭურავთ, — უპასუხა ბიარტურმა, — და სამხრეთ ქვეყნებისკენ გავცურავთ. ვნახავთ, როგორი საძოვრებია იქ და გადავწყვეტთ, ღირს თუ არა სამხრეთში ცხვრის მოშენება. რა გულიანად გავიცინებ. თუ დავინახე, რომ გილტეიგელი ტიურირის შვილიშვილები ბაბუაწვერას კრეფენ ლონდონის ნანგრევებზე, მას შემდეგ რაც იქ მილეწ-მოლეწეს მთელი მათი წყეული ფაიფური და ქანდაკებები. ვინ იცის, იქნებ იმ სანაპიროზე, სადაც პარიზს მიწასთან გაასწორებენ, ბალიც გავაშენო. ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— ჩემო ბიარტურ, — დაიწყო მთების მეფემ, — სწორი იყო ეინარი, როცა თქვა, რომ შენ მეტისმეტად გადაამლაშე. ომის მიზეზი განა მუდამ სისულელეა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, მე და შენ, ამ საკითხზე ასე ხელაღებით არ უნდა ვმსჯელობდეთ. ამ ომმა ბარაქა და კეთილდღეობა მოუტანა ჩვენს ხალხს, დღითი დღე ვმდიდრდებით, მაგრამ, მეორე მხრივ, არც ეინარი არის მართალი, როცა ამბობს, რომ ომის მიზეზი უსათუოდ იდეალიაო. მე ახლა ისე კი არ გელაპარაკებით, როგორც სამრეველო საბჭოს წევრი, ომს სამრეველოსთან არაფერი საერთო არა აქვს. მე მხოლოდ ჩემს პირად შეხედულებას გიზიარებთ ამ ეგრეთ წოდებულ ომზე. რა არის ომი? ომი არის განხეთქილება, აზრთა წინააღმდეგობა. ჰოდა, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს განხეთქილება ხშირად სრულიად უბრალო გაუგებრობის ნიადაგზე ჩნდება. რამდენადაც_მესმის, ბრძოლა მიმდინარეობს უმთავრესად საფრანგეთსა და გერმანიას შორის, თუმც ინგლისიც დიდ როლს თამაშობს, განსაკუთრებით ზღვაში. ინგლისს ხომ ურიცხვი დიდებული სამხედრო ხომალდი აქვს, რომელი ერთი არ იამაყებდა ასეთი ხომალდებით, მათ რაიმე სასარგებლო საქმეს რომ ახმარდნენ. ერთ ზაფხულს, ომი ახალი დაწყებული იყო, მაშინ ოლქის ექიმთან ვიყავი ფიორდში, პირუტყვის წამლის თაობაზე უნდა მოვლაპარაკებოდი. ჰოდა, ვისხედით და ყავას შევექცეოდით. სიტყვა ჩამოვარდა ომზე. ექიმი ადგა, ერთი ძველისძველი დასურათებული წიგნი გადმოიღო და მიჩვენა ორივე ქვეყანა — საფრანგეთი და გერმანია, ისე ვხედავდი, რორგორც ჩემი ხელის გულს, გულდასმით დავათვალიერე, კეთილსინდისიერად შევადარე ერთმანეთს და დავრწმუნდი, რომ მათ შორის განსხვავება არა არის რა. არსებითად, ეს ერთი ქვეყანაა. მათ შუა, არამც თუ ფიორდი, ყურეც კი არაა. ორივე ქვეყანაში ტყეებია, მთები, მინდვრები, ქალაქები, ერთნაირი ბუნება —

არავითარი განსხვავება! რაც შეეხება ხალხს, გავბედავ და მოგახსენებთ, რომ თუ ძათი გარეგნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც სურათებიდან ჩანს, არც ბოროტები, არც სულელები არ უნდა იყვნენ, სრულიად ჩვეულებრივი ხალხია, ოღონდ გერმანელებს თმა უფრო მოკლედ აქვთ შეკრეჭილი, ფრანგების უმრავლესობა კი ძველი მოდის მიხედვით იყენებს წვერს, ზუსტად ისე, როგორც ჩვენი დაბის კაცები. ზოგი წვეროსანია, ზოგი წვერგაპარსული და მე მგონია, რომ ფრანგებიც და გერმანელებიც პატიოსანი, კარგი ხალხია. ჩვენებურებს ჰგვანან. ამიტომ ვფიქრობ და თუ საჭირო შეიქნა, თინგშიც საჯაროდ გამოვაცხადებ ჩემს აზრს — ეს განხეთქილება ამ ორ ერს შორის გაუგებრობის მიზეზით მოხდა. გერმანელებს ჰგონია, ჩვენ ფრანგებზე უკეთესები ვართო, თავის მხრივ ფრანგებიც დარწმუნებული არიან, რომ გერმანელებზე მაღლა დგანან, სინამდვილეში მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. განა მხოლოდ ვარცხნილობაა მთავარი? ფრანგებს ჰგონია, ჩვენი ქვეყანა უკეთესიაო, მაშინ, როცა მათ ქვეყნებს შორის იოტის ოდენა განსხვავება არ არის. ასევე ფიქრობენ გერმანელებიც თავის ქვეყანაზე. მაგრამ მაინც ძნელია, როცა ორი ქვეყანა იბრძვის, ერთ-ერთის მხარდაჭერა. უფრო გონივრული იქნება, თუ ორივეს დაუჭერ მხარს, ორივეზე კარგს იტყვი. არ დაგიმალავთ. რომ ძე მოთმინებით ველი, რომელი გაიმარჯვებს, — ჩემთვის სულ ერთია, რომელი, მაგრამ ველი და ვიმედოვნებ, რომ ერთ-ერთი მოერევა მეორეს და მაშინ უფრო დიდი იმედი გვექნება იმისა, რომ ისინი გაერთიანდებიან, ერთ ქვეყნად იქცევიან — ბუნება ხომ ორივეს ერთნაირი აქვს და უკვე არავითარ განხეთქილებას და გაუგებრობას ადგილი არ ექნება მათ შორის.

თავი სამოცდამეერთე

რწმენის შესახებ

მსოფლიო ომი გრძელდებოდა, ამდიდრებდა ხალხს და ქვეყანას. ბევრნი— განსაკუთრებით გულკეთილები — სხვას არას უწოდებდნენ ამ ომს, თუ არა ღვთით გარდმოვლენილ მადლს. ოთხ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ბრძოლა არ წყდებოდა და რაც უფრო გრძელდებოდა, მით უფრო მეტ კმაყოფილებას იწვევდა. ნეტა მთელი საუკუნე გასტანოსო, ნატრობდა კეთილი ხალხი. საზღვარგარეთ სულ უფრო და უფრო იწვევდა ფასი ისლანდიურ საქონელზე, კონტინენტზე სახელმწიფოებს მეტოქეობა ჰქონდათ გაჩაღებული ისლანდიური საქონლის შესატანად თავის ქვეყანაში. ეს მებრძოლები, უნარიანი,

მაგრამ ისლანდიელთათვის სრულიად გაუგებარი ხალხი, უწინ გულგრილად რომ უყურებდნენ ისლანდიელთა ტანჯვას, მათ მორობას, ვაპრის უღელქვეშ გმინვას და ათას სხვა ვარაის, ახლა ერთიმეორეს ხელიდან გლეჯდნენ ისლანდიურ საქონელს, ხელს უწყობდნენ მათ ქვეყანაში კეთილდღეობისა და სიმდიდრის ზრდას. ბევრმა ისლანდიელმა გლეხმა მოახერხა უკვე მიწის იმ ნაკვეთის შესყიდვა, რომელიც უწინ იჯარით ჰქონდა აღებული — რამეთუ მიწაა ერთადერთი ჭეშმარიტი საგანძური. მათ კი, ვინც ომამდე ჯოჯოხეთური ჯაფით და თავგანწირვით შეიძინეს მიწის ნაკვეთები, სახლების გამართვას მიჰყვეს ხელი. ვისაც ვალი ჰქონდა, ახალი, უფრო დიდი ვალის აღების შესაძლებლობას აძლევდნენ, ვისაც არავისი არაფერი ემართა, საკრედიტო დაწესებულებები ალერსიანად ხელს უწვდიდნენ და ეფერებოდნენ. ხალხი უწინდელთან შედარებით მეტს თესდა, გაიმრავლეს პირუტყვი, ზოგმა სასწავლებელშიც მისცა შვილი, ზოგი გლეხის ოჯახში გაჩნდა ფაიფურის ძაღლები ყველა ზომისა, ზოგის სახლში კი მუსიკალური ინსტრუმენტიც. მანდილოსნებმა თითებზე ლითონის ბეჭდები წამოიცვეს, საგარეო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შეიძინეს, რაც უწინ მშრომელი კაცისთვის აუხდენელი ოცნება იყო. მთავრობამ საზოგადო სამუშაოების ვრცელი პროგრამა დაისახა და ისეთ დაბებში, რომლის მკვიდრთაც ალთინგში ინგოულფ არნარსონ იოუნსონისთანა კაცთმოყვარე, ენერგიული დეპუტატი ჰყავდა, გაიყვანეს გზები და ხიდებიც ააგეს. გზატკეცილი გაიყვანეს ფიორდიდან თვით რედსმირამდე, ასე რომ, ზაფხულის სავანეს ახლა კარგი გზატკეცილი ჩაუდიოდა და უკვე ამ გზაზე სიშინელი სისწრაფით მქროლავი თვითმოძრავი ფორნები აფრთხობდა ცხენებს. მოგების, რაც შეიძლება მეტი ფულის მოხვეჭის დევნაში, იმ პერიოდში კი ქვეყნის კიდით კიდემდე მიმოფანტულ ხუტორებსა და დაბებს ფული ზედ აწვიმდა, ზოგიერთმა დაჰკარგა საღი აზროვნების უნარი. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მიწის ფასი მეტისმეტად გაიზარდა, რომ სააღმშენებლო ციებ-ცხელებამ კეთილგონიერების ყოველგვარი საზღვარი გადალახა, რომ ბავშვებს სკოლაში. ბევრ რამეს ასწავლიდნენ, მაგრამ ასწავლიდნენ მეტად ზერელედ. გამონაკლისი იყო ისეთი ხალხი, ვინც არ აჰყვა ფეხის ხმას, არ შესცვალა ცხოვრების ნირი, არ ყიდულობდა ფაიფურის ძაღლებს, სკოლის ხარჯს ერიდებოდა და ბავშვებს არ ასწავლიდა, ნელ-ნელა იმრავლებდა საქონელს, ზომიერებას იჩენდა ყველაფერში, აუჩქარებლად, დინჯად მიიკვლევდა გზას უფრო მაღალი მიზნისკენ. მათ რიცხვს ეკუთვნოდა ზაფხულის სავანელი ბიარტურიც.

ფუფუნება არც ახლა ხიბლავდა და იზიდავდა მას, ცოტცოტაობით აგროკვებდა ფულს ცხვრის საყიდლად და მოჯამაგირეების დასაქირავებლად. უწინ წლების ანგარიშს იმ ზაფხულიდან იწყებდა, როცა მის ხუტორში თავი ამოჰყო წყე-

ულმა ალქაჯმა ფრიდამ — შავუკულმართობის განსახიერებამ. მაგრამ ეს ამბავი შორეულ წარსულს ჩაბარდა. ახლა ორას ორმოცდაათი ცხვარი ჰყავდა, ორი ძროხა და სამი ცხენი. ზაფხულობით მთიბავები ჰყავდა დაქირავებული, ზამთარში ერთი მოჯამაგირე და მნე ქალი ეწესახურებოდა. ძველი ფარეხი, საცხოვრებელი ოთახის ქვეშ, საჯალაბოდ გადააკეთა, კედელში გაჭრილი ხვრელის ადგილას, საიდანაც ნაკელს გარეთ ჰყრიდნენ. სარკმელი ჩასვა. პატარა ნაკადულები ერთ დიდ მდინარეს აქმნიანო, ამბობს ანდაზა. ეს იყო უმტკივნეულო, უშფოთველი მოძრაობა წარმატებისკენ, ყოველგვარი ქვრებისა და გადატრიალების გარეშე, თავისთავად მიედინებოდა ყოველივე. ბიარტური იოტის ოდენადაც არ შეცვლილა, არაფერში არ უყვარდა გადაჭარბება, თავს მხოლოდ იმის ნებას აძლევდა, რომ ძველებურად მოატყუებდა ხოლმე თვალს ოთხიოდ წუთით, გაწვებოდა თივის ხორომებზე იმ იმედით, რომ ცოტა ხანში უსათუოდ გადმოგორდებოდა იქიდან, და ყველაფერს სჯობდა მისთვის, თუ გუბეში გაადენდა ტ ყაპახს. მოჯამაგირეებისაგან საქმეში კეთილსინდისიერებას მოითხოვდა, ზამთარში იქნებოდა თუ ზაფხულში, ძველებურად თხზავდა ლექსებს და თავისთვის დუდუნით კითხულობდა. მოხუცი ჰალბერა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, იგი იმ სანთელს ჰგავდა, რომლის ჩაქრობაც უფალ ღმერთს დაავიწყდა, იჯდა თავისთვის, დუდუნებდა ფსალმუნებს და ქსოვდა, ვერ ამჩნევდა ვერაფერ ახალს, ახალი ცხოვრების ყლორტებს. სულ უარობდა, არა სჯეროდა, თუ ხეობაში გზატკეცილი გაიყვანეს, რომ თვითმოძრავი ფორნები დაგრიალებდა ამ გზაზე, რომ ფიორდიდან მათ ხეობამდე ეს ფორანი ორმოცდახუთ წუთში ამოდიოდა. ხეობიდან რედსმირის ჭაობებამდე კი თხუთმეტ წუთში. საერთოდ, მას არ სჯეროდა, თუ არსებობს რაიმე გზა, გარდა უფლის გზებისა. ხალხი სიხარულით ატყობინებდა, დიდედა, მსოფლიო ომიაო. ნეტა ერთი რას ამბობთ, თუ მართლა ომობს ვინმე, ჩვეულებრივი ჩხუბი იქნება, როგორიც მუდამაა უცხოეთშიო. ეს რა მოიგონეს, მსოფლიო ომიო! ისიც კი არ სჯეროდა, თუ სადმე არსებობდა რაღაც მსოფლიო. სამაგიეროდ, ახირებული ჰქონდა, ეს ხუტორი დაწყევლილია, კაცს აქ განსაცდელი უდარაჯებს და ეს განსაცდელი ადრე თუ გვიან გამოტყვრებაო. კოლუმკილის თავისი ბრეჭყალებიდან ჯერ არავინ გაუშვია, ყველას კისერი მოუგრიხა, ვინც კი ამ ხუტორს ებღაუჭებოდა ოდესმეო.

— ურდარსელში კი, სადაც მე ორმოცი წელიწადი გავატარე, ძალიან ლამაზი დაისი იცოდა, და არასოდეს უცნაური არაფერი მომხდარა.

სულ ნაღვლობდა თავის მშობლიურ სახლზე.

ახლა კი საჭიროება მოითხოვს გიამბოთ კოოპერაციულ გაერთიანებებზე, გლეხთა სამომხმარებლო საზოგადოებებზე. სადაც ასეთი საზოგადოებები იქ-

ბნება, შუაკაცებს იქ ადგილი აღარა აქვთ, გლეხები ზომიერ ფასს იღებენ თავის საქონელში, ყველაფერი დაფუძნებულია ურთიერთდახმარებაზე ვაჭრობაში, მშენებლობაში, წარმოებასა თუ მეურნეობაში. ასეთი საზოგადოება იმისათვის იღვწის, რომ გლეხი გადაარჩინოს, ფეხზე დააყენოს. ფიორდის სამომხმარებლო საზოგადოებამაც, როგორც ყველა სხვამ, მტკიცედ გაიდგა ფეხი და მომძლავრდა. პარაზიტ ვაჭრებს ერთიმეორის მიყოლებით მოეღო ბოლო, ვინც გადარჩა, მათი ბედიც ბეწვზე ეკიდა. გლეხობამ ნელ-ნელა ხელთ იგდო ვაჭრობა, მეურნეობა, მშენებლობა და ელექტროგანათების საქმეც. დედაქალაქის გლეხთა გაზეთებში იწერებოდა, რომ ახლა ისლანდიაში საფუძველი ჩაეყარა მსხვილ სასოფლო მეურნეობას, რომელიც სავსებით უპასუხებს დროის მოთხოვნას, რომ იგი გახდება ისლანდიელთა შემოსავლის მთავარი წყარო, ხალხის თავისუფლების ქვაკუთხედი, ხალხის ნაციონალური თავისუფლების შენარჩუნების თავდები, ხალხის სულიერ-ფიზიკური ზრდის თავდებიო. ვინც გლეხის ინტერესების წინააღმდეგ იბრძვის, ხალხის მოსისხლე მტერია — შორს შუაკაცები! სამომხმარებლო საზოგადოებები ხელს უწყობს თავის წევრებს ყოველგვარი ხარჯების მეოთხედის დაზოგვაში, ეს საზოგადოებები შექმნილია კაპიტალიზმის ძალმომრეობასთან საბრძოლველად, წვრილ მწარმოებელთა და ხალხის უფლებების დასაცავად. მაგრამ ეს არ არის მთავარი. სამომხმარებლო საზოგადოებები მარტოოდენ ეკონომიური გამორჩენისთვის როდი იბრძვიან, ისინი იღვწიან ხალხის აღსაზრდელად, მათი თვალსაწიერის გასაფართოებლად, ისინი ხალხს გულშემატკივრობასა და სუსტი-სადმი სიბრალულს ასწავლიანო.

დედაქალაქის გაზეთებს ქებით ცამდე აჰყავდა გლეხის კულტურა. ყველაფერი გლეხს! გლეხი ერის სასიცოცხლო ძარღვია, ერის ბურჯი! მაღალმთიანი ხეობა — ერის დიდების აკვანია. მხოლოდ ისლანდიელი გლეხის ცხოვრებას ეთქმის ჯანსაღი ცხოვრება! ნაყოფიერ ველზე მომუშავე გლეხი სუნთქავს სუფთა ჰაერს, ეს ჰაერი იდუმალი სასიცოცხლო ძალასავით ეღვრება მიელ სხეულში, აკაჟებს მას სულიერად და ფიზიკურად. ქალაქის მოსახლეებს წარმოდგენა არა აქვთ იმ სიმშვიდეზე, რითაც სოფლად გვაჯილდოვებს დედა-ბუნება და რაკი მოკლებულნი არიან ამ სიმშვიდეს, მათი სული წუთიერი ჟინის აღსრულებაში ეძიებს კმაყოფილებას. ეს კი, რა თქმა უნდა, აჭირვეულებს ადამიანს და იგი მხოლოდ ამ წუთისთვის ცხოვრობს. მეცხვარე აღვსილია გულოვნებით, იგი თოვლსა და ქარბუქს გაუკაჟებია. სოფლად ცხოვრებას რა სჯობია — ეს არის ხალხის აღზრდის ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი და საფუძველი. გლეხი თავისი მხრებით ეზიდება სოფლურ კულტურას, წინდახედულებასა და სიდინჯეს ყველაზე მაღლა აყენებს ქვეყნისა და ხალხის საკე-

თილდღეოდ. რა მოუვიდოდა ერის ისტორიას, რომ იგი თევზის ქონით სავსე ჭრაქის მბჟუტავ შუქზე არ იწერებოდეს ზამთრის გრძელ ღამეებში? რა მოუვიდოდა, რა დონეზე იქნებოდა ჩვენი ხალხის განათლება, რომელიც ცივილიზებული ხალხის განათლებაზე მაღლა დგას, რომ გლეხის ბავშვი ფეხის ადგმისთანავე არ სწავლობდეს კითხვას, კვამლით გარუჯულ მინაზე არ სწავლობდეს წერას, არ ისმენდეს სახარებას თავისი ფარეხის კუთხეში, მამისგან არ ესმოდეს უძველესი ჰეროიკული ლექსები. და საგები, არ ესმოდეს ბებიის სიმღერები, საღამოს, ძილის წინ არ იზეპირებდეს ჰელდგრიმ პიეტურსონის ლექსებს? ან თვით ბუნება? დიახ, ისლანდიის თვალწარმტაცი ბუნება — მისი ღარტაფები, ჩანჩქერები, მთები, გორაკები! აი, რატომ არის მთიელი ხალხი ნამდვილი ხალხი, ბუნების ჭეშმარიტი შვილები. მათი ცხოვრების აზრი ხომ ღვთის შემწეობაშია.

აქამდე ასეთი საჯარო ქადაგებით გლეხის კულტურის უპირატესობაზე და გლეხთა წოდების მნიშვნელობაზე დროდადრო გამოდიოდა მხოლოდ რედსმირელი ფრუ, — იქნება მას გულისტკივილი ალაპარაკებდა, სინანული იმისა, რომ თვითონ მოწყდა ქალაქს? ასეთი სიტყვით ფრუ უფრო ქორწილებში მიმართავდა გლეხებს, მაგრამ დაბაში ყურადღებას არავინ აქცევდა ამას, ისევე, როგორც პასტორის ქადაგებას. ახლა კი მისი აზრები ერთობ აიტაცა დედაქალაქის სოლიდურმა გაზეთებმა, ქვეყნის ყოველი კიდით რომ იგზავნება. ჰოდა, ღეჭდნენ, უტრიალებდნენ ამ თემას გაუთავებლად, თითქოს გაზეთის ყოველი სვეტიდან ფრუ შემოგყურებდათ, ხედავდით მის მედიდურ სახეს, რომის პაპას რომ მოგვაგონებდა, მის ცივ ღიმილს, თითქოს მან სრული ჯამარჯვება მოიპოვა. გლეხის კულტურით უცებ ყველა დაინტერესდა, ხალხმა ირწმუნა ეს სახარება. აღარ არსებობდა, მოისპო სიღატაკე, წარსულის ყოველგვარი მოჩვენებები. კოლუმკილი? ვიღა დაუგდებდა ყურს ახლა ასეთ მიეთმოეთებს? არა, ისლანდიელი გლეხი გამოერკვა საუკუნო ძილისაგან. ისიც საკითხავია, ეძინა კი მას ოდესმე? ყოველ შემთხვევაში, მან ყველას გასაოცრად და მოულოდნელად შექმნა თავისი პარტია. რომელიც ებრძოდა კონსერვატორებს, ეგოისტებს, შუაკაცებს და ქურდებს, — კოოპერატორთა პარტია, წვრილ მწარმოებელთა, გლეხობისა და ენერგიული, პროგრესიული ხალხის პარტია, სიმართლისა და იდეალების პარტია. ინგოულფ არნარსონ იოუნსონი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ალთინგში უსამართლობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა, ახალი იდეებისათვის — ოქროს ხანისათვის დაიწყო ბრძოლა. ზაფხულის სავანელი ბიარტური კი ერთი იმათთაგანი, ვინც ინგოულფს ხმა მისცა არჩევნებში და ბიარტურის კრედიტი სამომხმარებლო საზოგადოებაში წლითი წლობით იზრდებოდა. სწამდა რაიმე ზაფხულის სავანელ ბიარტურს

ინგოულფ არნარსონის ან სხვა რედსმირელებისა? ძნელი სათქმელია. ერთი რამ კი უდავოა: გაზაფხულზე, როცა რედსმირის მახლობლად, ნაპრალზე ხიდის აგება დაიწყეს, სწორედ ინგოულფ არნარსონმა იბრძოლა და მიაღწია კიდეც იმას, რომ ალთინგმა კრედიტი გახსნა ფიორდიდან რედსმირამდე გზატკეცილის გასაყვანად და ხიდების ასაგებად. ერთ საღამოს, ჯერ სამუშაო დღე დამთავრებული არ იყო, ბიარტური უღელტეხილისკენ წავიდა, იმ ხანად იქ აშენებდნენ ხიდს, მივიდა მუშებთან და გამოელაპარაკა. ეს საუბარი ერთგვარ წარმოდგენას მოგვცემს იმაზე, თუ რა ან ვინ სწამდა ზაფხულის სავანელ გლეხკაცს.

მუშები სოლს არჭობდნენ კლდეში, წვრილად ამტვრევდნენ ქვას და მერე სატეხით ახარატებდნენ. ხიდს იმ ადგილას აგებდნენ, სადაც მდინარე ვიწრო ხეობაში ჩადიოდა, საჭირო იყო მაღალი ხიმიჯების დადგმა და მათი გამაგრება ქვით.

— ქვას ამტვრევთ, ბიჭებო? — ჰკითხა ბიარტურმა მუშებს. ეამაყებოდა, რომ მის ნაკვეთზე მდგარ კლდეს სახელმწიფოსთვის სარგებლობა მოჰქონდა.

— ვამტვრევთ, ჰო, დალახვროს ეშმაკმა, რას ვიზამთ ახა? გოგოების ხვევნა-კოცნა კი გვერჩივნა, მაგრამ...

— იმისთვის კი არ მოვსულვარ აქ, რომ უწმაწური ლაპარაკი გამიბათ.

— არცა ღირს შენთან ასეთი ლაპარაკი, როცა ღმერთმა იმის შნო არ მოგცა, რომ ორი გოგო მაინც გაგეჩინა. გოგოები რომ გყავდეს, უფრო მხიარულად ვიქნებოდით.

— თუ ჩემთან დაჭიდება გინდათ რომელიმეს, უფრო მაგარ რამეზე უნდა ივარჯიშოთ, თორემ ეგ ქვა, თქვენ რომ ამტვრევთ, ყველივით რბილია.

— რა გინდა, რისთვის გარჯილხარ? — ჰკითხეს მუშებმა.

—შეკითხვების მოცემა თქვენი საქმე არ არის, ყოველ შემთხვევაში აქ, ჩემს მიწაზე. მე შეგეკითხებით, თქვენ კი მიპასუხეთ.

— ხელმწიფეა, რაღა, ნამდვილი ხელმწიფე!

— ვისაც სხვისი არა მართებს რა, დიახაც რომ ხელმწიფეა, — მიუგო ბიარტურმა. — თუ მუშას დავიქირავებ, იმაზე ნაკლებ გასამრჯელოს კი არ მივსცემ, რასაც სახელმწიფო აძლევს. იმის საკითხავად მოვედი, რომელიმე თქვენგანს თუ შეუძლია-მეთქი საფლავის ქვის გამოთლა?

— საფლავის ქვისა? — მუშებმა ღრეჭას თავი დაანებეს, პატივს სცემდნენ მწუხარებას. — არა ძმობილო, ეგ საქმე არ გვისწავლია, სუფთა სამუშაოს ვერ ვიკისრებთ.

— არცა გთხოვთ სუფთა ნამუშევარს. ცოტაი მაინც თუ დაემსგავსა საფლავის ქვას, ზევით ვიწრო იყოს, ქვემოთ ფართო, მეტი არა მინდა რა.

— მაგას როგორმე მოვახერხებთ, — უპასუხეს მუშებმა. — მაგრამ მაგ საქმეს თავისუფალ დროს მოვკიდებთ ხელს, თავისი ფასიც ექნება.

ბიარტურმა უთხრა, რომ ძუნწობა საერთოდ არ ახასიათებს, ასეთ საქმეში ხომ ფით უფრო. მუშებს კარგად ესმოდათ ეს: ახლობელის საფლავი კაცისთვის წმიდათა წმიდაა, ამ დროს ერეს დაზოგვას არავინ გამოეკიდება.

დაიწყო მორიგება, დიდხანს ვაჭრობდნენ. ორივე მხარე ზრდილობიანად. მორიდებით ლაპარაკობდა, განსაკუთრებით მუშები. როგორც მათთვის, ისე ბიარტურისთვის პირველი იყო ასეთ საქმეზე ლაპარაკი. ბოლოს შეთანხმდნენ. ბიარტურმა რამდენჯერმე გაუმეორა მათ, სუფთა ნამუშევარს არ მოვითხოვო. წარწერა? ჰო, წარწერა. საქმე გართულდა, რადგან მუშები წერაში მაინცდამაინც დაოსტატებულები არ იყვნენ.

— თავსატეხს კი არაფერსა გთხოვთ, — უთხრა ბიარტურმა, — საკმარისია ადგილსამყოფელი, განსვენებულის სახელი და იმის სახელი, ვინც ქვა დაუდგა.

— შენი განსვენებული მეუღლისთვის გინდა?

— არა, — უპასუხა ბიარტურმა, — არც მთლად მასეა. ყოველ შემთხვევაში, ქალი კია განსვენებული. ქალი, რომლის მიმართაც მე და ყველა აქაური უსამართლობას ვიჩენდით. ხშირად საღად ვერ ვმსჯელობთ, ვცდებით, სწორედ ვერ ვიქცევით, განსაკუთრებით მაშინ, როცა გვიჭირს და იმის შიში გვიღრღნის გულს, ვაითუ სხვისი პურის ჭამა მოგვიხდესო.

— რედსმირშია დასაფლავებული?

— რედსმირში? ის?—იტყოცა ბიარტურმა და ამაყად დაუმატა: — არა, ო, არა, რედსმირელებსა და მათ სასაფლაოს ის არ სწყალობდა. ჩემს მიწაზე გახლავთ დამარხული, აი იმ ბორცვზე, კლდის პირას.

მუშები გაოცებული მიაჩერდნენ ბიარტურს, აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ.

— მოჩვენებაზე ხომ არ ამბობ? — როგორც იყო, ხმა ამოიღო ერთმა მუშამ.

— დაგვცინი, თუ რა არის, შე ოხერო? — იკითხა მეორემ.

არა, ბიარტური არ დასცინოდა მათ, მისთვის საერთოდ გაუგებარი იყო, როგორ შეიძლება ვისმეს დაცინვა. დიახ, ის სერიოზულად ლაპარაკობდა. დიდი ხანია გადაწყვიტა, დედაბერი გუნვერისთვის ქვა დაედო, მთელი საუკუნეა წევს აქ, ბიარტურის სამფლობელოში. იმ საცოდავს ცილი დასწამეს, ეშმას ამფსონობა დააბრალეს და ბიარტური ფიქრობდა, დროა ამ უსამართლობას ბოლო მოეღოსო. ის ერთი უბედური ქალი იყო, ისეთივე უბედური, როგორც თვითეული ჩვენგანიო. თვითონაც ხომ გამოცდილი ჰქონდა გაჭირვება, მაგრამ მისი ტანჯვა-ვაება როგორ შეედრებოდა იმას, რაც ქვეყანას დაატყდა ძვე-

ლად. მაგალითად, შიმშილობა, ან ვაჭართა მონოპოლია, როცა, როგორც გადმოცემა ამბობს, ღვთისგარეგანი კოლუმკილი მეუფებდა ხალხზე? ადვილი შესაძლებელია, ქალმა მართლა შესცოდა ხალხის წინაშე. მაგრამ ვის არ შეუცოდავს? ამბობენ, ხალხს ხოცავდაო! თუ ჩავუფიქრდებით, „განა სხვას არავის მოუკლავს კაცი? რა არის ხალხი? მძიმე წლებში ხალხი თქვენს ფეხქვეშ დაფენილ მტვერზე უმცირესია. ბიარტურმა თქვა, იმ ქალს ჩემს მეზობლად ვთვლი. აქამდე არაფრით მიცია პატივი. ჰოდა, აი როცა უკეთესი დრო დაგვიდგა ხმელეთსა და ზღვაზე, მინდა გამოვისყიდო დანაშაული იმ ქალის მიმართ, რომელსაც ვერავინ გაუგო, და ქვით მინდა შევამკო მისი საფლავიო, ძველს ნეღარ გავიხსენებთ, ის მზადაა თავისი სახელიც კი მისცეს განსვენებულს. და ბიარტურმა ქვაზე ასეთი წარწერა შეუკვეთა: „გუნვერს — ბიარტურისაგან“.

თავი სამოცდამეორე

ბილეთი

გვენდური წამოიზარდა.

მაღალი ბიჭი დადგა, გარეგნობით მამას ჰგავდა, ოღონდ უფრო რბილი ხასიათი ჰქონდა. საკვირველია, მაგრამ გვენდურს სულ არ აინტერესებდა პოეზია და ლექსთწყობა. თუმცა ეს უკვე აღარ ითვლებოდა ნაკლად, ისედაც ურიცხვი ლექსი იყო დაწერილი, რაზეც გნებავთ და როგორც გნებავთ, მათ შორის ბევრი ფრიად ოსტატურიც. გარდა ამისა, გვენდური ისეთ ხანაში იზრდებოდა, როცა ხალხი პოეზიაზე კი არა, მსოფლიო ომზე ფიქრობდა, ხმელეთსა და ზღვაზე გარდმოვლენილ ამ კურთხევაზე. გვენდური მკვრივი, ჩასხმული ჭაბუკი იყო. მხარბეჭგანიერი, ცოტა მოუქნელი, ქერა თმას იშვიათად ივარცხნიდა და იკრეჭდა. სახე აქერცლილი ჰქონდა. მისი კეთილი თვალებიდან, რომელთაც გამჭრიახობა აკლდა, სიმტკიცე და ნებისყოფა გამოსჭვიოდა. რა არის ნებისყოფა? იგი ღონიერი გახლდათ.

მამისერთა ბიჭს ეძახდნენ. ზაფხულის სავანელი გლეხიკაცის ერთადერთ შემკვიდრეს. ეს კი დიდ რამეს ნიშნავდა. იმხანად, როცა პატარა ცხვარი ოცდაათი-ორმოცი კრონი და უფრო მეტიც ღირდა, როცა მათ კარ-მიდამოში გაჩნდა ჯერ ერთი, მერე მეორე ძროხა, ამას აღარ გამოუწვევია უკმაყოფილება და დავა ოჯახში, ყოვლად ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ. გუშინდელი ღა-

ტაკი დღეს უკვე მუშას ქირაობდა გაზაფხულსა და შემოდგომაზე. და ეს მუშები, მიუხედავად იმისა, რომ დიდ გასამრჯელოს იღებდნენ და დღეში მხოლოდ თოთხმეტ საათს მუშაობდნენ, როგორი დარიც უნდა მდგარიყო, საზოგადოების საფეხურზე მაინც გაცილებით დაბლა იდგნენ ზაფხულის სავანელი გლეხის შვილზე. ერთ მშვენიერ დღეს გვენდური ამ პატარა სამეფოს მემკვიდრე გახდება. პატარაობიდან მუშაობდა ამ კარ-მიდამოში, სიზმრად თუ ცხადში სულ მეურნეობაზე ოცნებობდა, უყვარდა მიწა, უყვარდა შეუცნობლად, სიძნელეს არ გაურბოდა, იდეალებით თავს არ იცხელებდა. ხარობდა იმით, რომ დოლი დროზე დაიწყო და მშვიდობიანად დამთავრდა, რომ ცხვარმა კარგად გამოიზამთრა და გაზაფხულზე საძოვარზე გარეკავენ. სხვა სიხარული მან არ იცოდა. ვინ იცის, ეგებ ეს ჯრის ჭეშმარიტი სიხარული? გვენდურს არ აწუხებდა ის, რომ მათი სახლი ცოტა დაფერდდა, არც ამჩნევდა ამას.

ბიარტურის აზრით, მისი შვილი სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ის სწყინდა და გულს აკლდა, რომ გვენდურისთანა ექვსი ბიჭი არა ჰყავდა. მაგრამ რას იზამ? ბიჭს ჩვიდმეტი წელი შეუსრულდა, ჯერ პირზე დედის ხსენი არ შეშრობია და უკვე ექვსი მეწველი ცხვარი ჰყავს, ტყავის ფეხსაცმელი, საგარეო ლურჯი კოსტიუმი და ძეწკვიანი საათიც აქვს. ისლანდიელ ჭაბუკებში ბევრი როდი მოინახება ისეთი, რომ ჩვიდმეტი წლის ასაკში ამგვარი სიმდიდრის მფლობელი იყოს. ქონება მუყაითი, ბეჯითი შრომით მოიპოვება, სახლის ზღურბლზე უქმად ჯდომა, სისულელეებზე ყბედობა, მოჩვენებების აყოლა და ამფსონობა, როგორც მისი ძმები აკეთებდნენ, ხეირს არავის დააყრის, ამიტომაც მოკვდა ორივე, ორივე თავისებურად, გვენდური კი ექვსი მეწველი ცხვრის პატრონია.

იმ ხანებში დაბებში მღელვარებამ იჩინა თავი, ზოგი ამას რღვევას უწოდებდა და ბევრს როდი გამოაჩნდა იმდენი სიმტკიცე, რომ ამ მღელვარებას და რღვევას მტკიცედ შეხვედროდა. ვერა, ბევრმა ვერ გამოიჩინა სიმტკიცე! ყველაზე მეტად ეს ფულს 'შეეხო: უმეტესობას ხომ ასე მიაჩნია, ფული ცხოვრების ერთადერთი წყაროა. ბევრი გაქვს, ცოტა გაქვს, თუ არც ცოტა და არც ბევრი, ამაზეა დამოკიდებული კაცობრიობის ცხოვრებაო. ხალხმა უცებ აღმოაჩინა, რომ ფული იმაზე გაცილებით მეტი ყოფილა, ვიდრე ეგონათ. ვისაც უწინ ასი კრონი გააჩნდა, ახლა ათას კრონსაც აღარ სჯერდებოდა, ათას კრონზე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს სახლს უკან გასვლაზეაო ლაპარაკი. წუწუნა ბერიკაცებიც კი, ათეული წლების მანძილზე რომ გროში არ უშოვნიათ თავისი შრომით, ისეთ თანხაზე აწარმოებდნენ საქმეს, რომ უნებლიეთ გახსენდებოდა ასტრონომიული საგის—ნიალის ციფრები. გილტეიგელმა ტოურირმა კარ-მიდამო იყიდა, ხმა დადიოდა, ნაღდი ფულით გაასწორა ანგარიშიო. მაგრამ

ტოურირი რა გასაკვირია, როცა ჭლექიანმა ფილოსოფოსმა, ისტადალელმა ოულაფურმაც კი ორმოცი ათას კრონზე ხელი მოაწერა ნასყიდობის ქაღალდს. ზოგს ფული ფიორდის ბანკში შეეჭქონდა. ამ ბანკს რაღაცით უკავშირებდნენ რედსმირელი მამასახლისის გვარს, რადგან ხმა დადიოდა, ასი ათასი კრონი აქვს იქ შეტანილი. მაგრამ არა გვგონია მართალი იყოს ეს, არავინ ისე არ წუწუნებდა, ვალებში ვიხრჩვებიო, როგორც მირელი იოუნი. ამ ბანკში მეანაბრეებს დიდ პროცენტს უხდიდნენ. ამბობდნენ, ჩაწერენ თუ არა შენ შეტანილ თანხას ბანკის წიგნში, შენი ფული ვირთაგვასავით გამრავლდებაო. მეანაბრეებში იყო ზაფხულის სავანელი ბიარტურიც, მას დიდი პატივით იღებდნენ ბანკში და პროცენტებს უხდიდნენ. ასე გამოდიოდა, რომ ამ პროცენტებს რედსმირის მფლობელები აძლევდნენ. არა, რაღაც წაღმა-უკუღმა ტრიალებს ყველაფერი.

მამასახლისი ეწვია ზაფხულის სავანეს, სამი საფერხე ცხენი მოჰყვა, ახალი ჩექმა ეცვა, უთუოდ ვალის ანგარიშში მისცეს. მსოფლიო ომი დიდსა და პატარას ერთნაირად უხვად აჯილდოვებდა საჩუქრებით. მამასახლისმა დაიჩივლა გზაში ჩემმა ერთმა ცხენმა ნალი დაჰკარგაო და მერე სინანულით უთხრა ბიარტურს:

— ხადავ. ამ ოხერი გზატკეცილის გაყვანამ როგორ გაატიალა სიბოვრები ჭაობში.

— ეგ ჩემი ჭაობია, — უპასუხა ბიარტურმა.

— შენი სიდედრი რასა იქს, კიდევ ცოცხალია?

— ცოცხალია, მაგრამ შენ ხარჯზე კი არ ცხოვრობს, არც შენ პურსა სჭამს! ჯერ არ უჭამია სხვისი პური. თუმცა ერთ დროს კი სთავაზობდი, აქედან წაგიყვანო, გინდოდა მრევლის სამადლო გამხდარიყო.

— მის კარ-მიდამოს რაღა მოუვიდა?

— რომელ კარ-მიდამოს?

— ჰალბერას საკუთარ კარ-მიდამოზე გეკითხები!

— ისევ თავის ადგილზეა, სანგდილის უშენში.

— შენს მორჯულებას არ დაადგა საშველი. სულ ასეთი ჯიუტი იყავი შენი დღე და მოსწრება, ვირივით გაქირიანი, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი და ტანი, გაზაფხულზე, კარგ ამინდშიც რომ არ ამოგივა პირიდან ერთი თბილი სიტყვა!

— ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო, — უპასუხა ბიარტურმა.

— ამბობენ, კარ-მიდამოს გაყიდვას და იქ გადასახლებას აპირებსო.

— სად იქ? მიუქარავთ.

— თუ ასეა, იქნებ ხეირიანი სახლი აიშენო აქ?

— ავაშენებ, როცა მომეხასიათება.

— ჰოდა, მინდოდა გამეგო, მართალია თუ არა, რასაც ამბობენ. იქნებ მევე მომყიდო ჩემი „საზამთრისი“.

— თვრამეტი წელიწადია, რაც ამ კარ-მიდამოს ზაფხულის სავანე პქვია, ძვირფასო იოუნ. თუმცა იქნებ დაგავიწყდა, ისე იშვიათად ვხედებით ერთმანეთს, რომ გასაკვირი არც კია. ასეა თუ ისე, მე მგონია, რედსმირი უფრო ადრე შემოუერთდება ზაფხულის სავანეს, ვიდრე ზაფხულის სავანე რედსმირს.

— რედსმირი იყიდება. სამოცდაათი ათასი კრონი დიდე და რედსმირი შენია.

— ვიყიდი, თუ მომეპრიანა.

— ჰოდა, იფიქრე, დრო კიდევ არის. მაგრამ ვიდრე გადაწყვეტ რამეს, ჩემი „საზამთრისი“ მომყიდე, ათი ათას კრონს მოგცემ.

—ჰო, ყალბი ფულით, რა თქმა უნდა.

— თხუთმეტ ათას კრონს მოგცემ, — წამოისროლა მამასახლისმა.

ამის პასუხად ბიარტურმა მაგარ-მაგარი სიტყვები აკადრა. უწინაც ბევრჯერ შეუმკია ასე.

ამასობაში მამასახლისის ცხენიც დაჭედეს.

— მითქვამს, თხუთმეტი ათასი-მეთქი! — ისევ წამოიძახა მამასახლისმა და ცხენზე შეჯდა. — იმის თავდები კი არ გახლავართ, რომ კიდევ გავიმეორებ ერთხელ ნათქვამს. თუ სახლის აშენებას აპირებ, ნება შენია. ან თუ სესხის მიღება გინდა ბანკში, არც ამაში შეგიშლი ხელს.

თხუთმეტი ათასი კრონი! ეს ხალხის მყვლეფელი წურბელა, დაკერებულ შარვალს რომ ვერ ელეავა, ეს წუწურაქი, ორ ერეს ისე რომ ვერ მისცემს ადამიანს, თუ ხელში ოთხჯერ მაინც არ შეატრიალა მონეტა, „თხუთმეტ ათას კრონს მოგცემო“, ამბობს. თავის ჭკუაზეა ნეტა? რასაკვირველია, ის თხუთმეტათასიანი დასტა ყალბი ფულის დასტა იქნება, რაკი თავისი შრომით არ უშოვია. ასეთ ფულს ვინ იშოვის შრომით? კარგი იქნება, გაეკიდოს კაცი, დაეწიოს და მოჰკლას, როგორც ეიგილ სკალაგრიმსონმა* ქნა, როცა სკალაგლამმა** ოქროთი და ძვირფასი თვლებით მოჭედილი თავისი ფარი, ზედ რომ უძველესი საგები ეწერა, ბორგეში დატოვა. ფულს მთავაზობს კარ-მიდამოში? რედსმირის მეპატრონეები რატომ თავს არ დაანებებენ ჩეობელ გლეხს? ერთთავად რად აცთუნებენ, ერთი შეხედვით, თითქოსდა სახარბიელო

---

* ეიგილ სკალაგრიმსონი — ისლანდიელი სკალდი მე-10 ს-სა, თავგადასავლებითა და ბრძოლებით მდიდარი მისი ცხოვრების გზა აღწერილია საგაში ეიგილზე.

** სკალაგლამი — ამავე საგის გმირი.

წინადადებით? არა, ბიარტურს მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი, ბოლომდე დარჩეს ამ მიწის პატრონად, სიცოცხლის დასასრულამდე იცხოვროს აქ, ამ მიწაზე, სადაც თავის ცხვრებთან ერთად ცხოვრობდა, ცხოვრობდა თავისი ცხვრებისთვის. ერთ მშვენიერ დღეს ისიც მოკვდება, როგორც ცხვრები კვდებიან, მისი ერთადერთი შვილი, მისი ძე ასწევს ხეობელი გლეხის დროშას, გლეხის კულტურას წინ წარუძღვება, მომავლისაკენ, რათა მან საუკუნეების მანძილზე იარსებოს. თუ ის, ბიარტური, სახლს ააშენებს, — მას კი გადაწყვეტილი აქვს ამის გაკეთება, როცა დრო მოვა, ააშენებს თავისი, და არა რედსმირელების სურვილით, ან სხვა ვინმეს მითითებით. „ჩემო ძვირფასო გვენდურ, არ შეცდე, არ მოგხიბლონ ფულით, და თუ შენ იცხოვრებ აქ, — მე კი ვიცი, რომ იცხოვრებ, როგორც მხოლოდ ამ მიწის მფლობელი“. ამ მიწაზე ცხოვრობს ცხვარი, საღი, მაგარი, ზამთარს კარგად იტანს, სქელი ბეწვი აქვს. ცხვრის მოვლა-მოშენება, სწორედ ეს არის — გლეხის გმირული ღვაწლი. დიახ, ყველას როდი აქვს ისეთი სიმტკიცე, რომ სალ კლდესავით მედგრად შეხვდეს ცთუნებას, არ დამორჩილდეს ასეთ მძიმე, არეულ დროში, როცა ყოველივე, ფული თუ შეხედულებები, სწრაფად ჰკარგავს თავის ფასს, როცა ხალხსა და საგნებს შორის ირღვევა დროისა და სივრცის შეგრძნების მკვიდრი კედლები, როცა შეუძლებელი შესაძლებელი ხდება, როცა იმათი ოცნებაც კი ხორციელდება, ვისაც არასოდეს გაუბედნია ოცნება. ცხვრები განებივრებული მოხელეებივით პურით იკვებებიან, გემრიელ ქაშაყს სათლებით წინ უდგამენ ძროხებს, ჩვეულებრივ ძროხებს, რომლებიც ნთქავენ ქაშაყს, ყურს ცქვიტავენ, თვალს ხუჭავენ ნეტარებისაგან. ისლანდიელები საკუთარი ხომალდებით მიცურავენ ამერიკაში, რაც ცხრაასი წლის მანძილზე არ ღირსებიათ, დაწყებული იმ დროიდან, როცა განსვენებულმა ლეიფმა* აღმოაჩინა და კვლავ დაჰკარგა ეს ქვეყანა. დიახ, ყველაფერში იგრძნობა დიდი, მძლავრი გაქანება და ბედნიერების ამ ქაოსში, ამ სიმდიდრეში, მდინარესავით რომ მიედინება ქვეყნის არხებში, როცა ხალხს უდიდესი მოვლენები აღარ აკვირვებს, მოულოდნელ მარცხსაც აღარაფრად აგდებენ, არ ნაღვლობენ, მისტერ გუდმუნდურ-გუდბიარტურსონის, ესე იგი — გვენდურის სახელზე წერილი მოვიდა. წერილის მისაღებად მას რედსმირში მოუხდა ჩასვლა, რადგან ხელი უნდა მოეწერა, რომ პირადად ჩაიბარა ბარათი. ბარათს ამერიკული მარკა ჰქონდა დაწებებული. გვენდურს შეეშინდა, რედსმირელებმა არ მიაკვლიონ ჩემს საიდუმლოსო და ხეობაში ასვლამდე ბარათი არ გაუხსნია. თავის კარმიდამოს რომ მიაღწია, ჩამჭკნარი ბალახით დაფარულ მდელობზე დაჯდა. მაი-

* ლეიფ ეირიკსონი — ნორვეგიელი ზღვათმოგზაური, 999 წ. მიაღწია ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროს.

სის დამდეგი იყო, ჯერ არ ამოწვერილიყო ქორფა ბალახი. კონვერტი რომ გახსნა, იქიდან ცისფერი ორი ქაღალდი გადმოვარდა. ქაღალდებზე მისთვის უცნობი ასოები და რაღაც უცნაური, კაური ხელმოწერა დაინახა. მესამე ქაღალდს ნონი აწერდა ხელს და გვენდურმა შემდეგი წაიკითხა: „ბიძია გიგზავნის ორას დოლარს იმისათვის, რომ ფულის მიღებისთანავე წამოხვიდე ამერიკაში. ომი დამთავრდა, მშვიდობაა, გამოხვალ ის, რაც გინდა". როგორც უნდა გიყვარდეს შენი მიწა, ეგ სიყვარული მაინც არ არის ისე დაუძლეველი, რომ ამერიკაში წასვლაზე ხელი აგაღებინოს. ხალხი დიდი ხომალდებით მიცურავს უკიდეგანო ზღვის მეორე სანაპიროსკენ. ჩადის ამერიკაში. ერთადერთი, რაც ხელს უშლის ადამიანს უცხო მხარეში წავიდეს — მიწის სიყვარული კი არა— მხოლოდ ხელმოკლეობაა. ასე მიდიოდნენ ისლანდიელი მთიელი გლეხები — ერის შნო და ლაზათი, ისლანდიელთა სასიცოცხლო ძარღვი, მათი ხსნა, გლეხური კულტურის მედროშენი — ორმოცი წლის მანძილზე, ეთხოვებოდნენ თავის სამშობლოს. ამ ლტოლვილებს ისეთი სულელური გამომეტყველება ჰქონდათ, როგორც ისრაელის შვილებს უდაბნოში. მათ თან მიჰქონდათ ხის გობი და ბუმბულის საბანი, ზღვის ფრინველის სუნი რომ უდიოდა, თითქოს ამერიკაში არც გობი იშოვნებოდა, არც საბანი. ასე ყოფილა პოლონეთშიც, პოლონელი ხალხის სასიცოცხლო ძარღვიც, როგორც ამბობენ. ორმოცდაათი თუ მთელი ასი წლის მანძილზე ილტვოდა ამერიკისაკენ. და დღესაც ილტვის, თუკი შემთხვევა მიეცემა. იმათაც თან მიჰქონდათ თავისი საყვარელი ფორნის ბორბალი და ბალიში, იმის შიშით, რომ ამერიკაში ვერც ერთს იშოვნიდნენ, ვერც მეორეს. ავიღოთ, მაგალითად, ისლანდიელი ჭაბუკი, მდელობზე რომ მოუკალათებია, ჩამჭკნარ ბალახში, გუდმუნდურ გუდბიარტურსონი, ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი, ექვსი მეწველი ცხვრის, ტყავის ფეხსაცმლის, ლურჯი კოსტიუმის და კიდევ ბევრი სხვა რამის პატრონი. არსად მოიძებნება მეორე ისეთი ჭაბუკი, რომელიც გუდმუნდურ გუდბიარტურსონზე უფრო მტკიცედ იყოს დაკავშირებული თავის მიწასთან, უფრო უყვარდეს ეს მიწა, ეს მთა, ზღვა, მშობლიური სახლი — ათასგვარ შესაძლებლობათა ეს დაუშრეტელი წყარო, როგორიც შეუძლია მისმა ბავშვურ გონებამ დიბატოს მომავალზე ოცნების დროს, გაზაფხულის საღამოს. მასზე ბედნიერი არავინ იყო აქ. ამ მთის დედოფლის მკერდზე, როგორც საგებში იტყვიან. მაგრამ აი, კონვერტიდან გამოცურდა ცისფერი ორი ქაღალდი და ყველაფერი დამთავრებულია. უკვე ღრმად დარწმუნებულია, რომ უკანასკნელად ესმის ისლანდიის ფრინველთ გალობა, აზრით უკვე ეთხოვება ხეობას — მის მშობელ დედას, იმ ხეობას, რომელსაც შეერწყა, შეესისხლხორცა, რომელშიც გაითქვიფა უკვე, ეთხოვება, მიდის. მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ამერიკაში მიაღწევს ყველაფერს,

„რადაც უნდა, იმად გახდება“ იმ ქვეყანაში, სადაც მარტო რქოსანი პირუტყვის სათვალავს ეწევიან, მეწველ ცხვარზე არავინ ფიქრობს, არც ლაპარაკობს. იქნებ ხელობა ისწავლოს, დურგალი გახდეს, ვინ მოსთვლის რამდენი ისლანდიელი წასულა იქ, გადაუცურავს ზღვა და ხელობა უსწავლია? ისინი, ვისაც საუკუნეების მანძილზე ერთი ლურსმანი არ დაუჭედებიათ, ახლა სახლებს აშენებენ იქ, სადაც ბედის საძიებლად წავიდნენ და ამით აინაზღაურეს დანაკლისი, დაიამეს ნატკენი გული. ეს იყო თავისებური შურისძიება მიწის პატარა ნაკვეთისა და ტორფისადმი, დასაბამიდან დღემდე, მთელი ცხოვრება თავს რომ აკლავდნენ ერთი ლუკმა პურისათვის, ჯერ კიდევ ნაპოლეონის ომების დროიდან.

შინ რომ დაბრუნდა გვენდური, უცებ მოეჩვენა—ღმერთია ამის მოწმე,— რომ მათი სახლი მეტად სასაცილოდ იყო დაფერდებული და დაპატარავებული, უნდოდა ეთქვა მამისთვის, რომ ამერიკაში მიდის, მიიღო ცისფერი ორი ქაღალდი — ბლომად ფული... ომი დამთავრდა, რასაც მოინდომებს, იმას ისწავლის. იქნებ რქოსანი პირუტყვის მოშენებას მიჰყოს ხელი, ან დურგლობა ისწავლოს.

მამა ზღურბლთან იდგა, ჩაფიქრებული გაჰყურებდა ხეობას. იქნებ მამას ოცნებაში ეხატებოდა, როგორ მრავლდება და იფურჩქნება მისი მოდგმა? თუმცა, ვინ იცის, იქნებ არც ეზმანებოდა ასეთი რამ, იქნებ არც კი გააჩნდა ისეთი იდეალი, რომელზეც შეიძლება რაიმე დაიწეროს? ეგებ ვერაფერ პოეტურს ვერ ხედავდა თავის მძიმე შრომაში? ყოველ შემთხვევაში, იმაზე მეტს ვერა, რასაც ფრანგები და გერმანელები, მილიონობით ხალხი რომ გაელიტეს სრულიად უმიზეზოდ, პირადი სიამოვნებისათვის, როგორც ზოგიერთი ფიქრობდა. მაგრამ ერთი რამ კი უდავო იყო: ოდესმე ისიც მოკვდება, წავა მოუსავლეთში. ვინ იზრუნებს მაშინ ცხვარზე? ნუთუ ცისფერი ორი ქაღალდი საკმარისია იმისათვის, რომ ჭკუაზე გადაიყვანოს გლეხის ჯანსაღი ბიჭი, თავისი ქვეყნის საუკუნოვანი წარსულის გამგრძელებელი, თავის ქვეყანასთან, თავის ხალხთან გაიგივებული? და აი, ამ პატარა მანძილის გამოვლისას ბორცვიდან თავის სახლამდე, მან უღალატა სამშობლოს, თავის ხალხს, საკუთარ თავს, თავის ნამყოს აწმყოს და მომავალს.

ბიარტურმა მხოლოდ ეს უთხრა:

— ნუ გჯერა ამერიკიდან მოსული წერილებისა, რასაც ისინი იწერებიან პირუტყვის კვებაზე, მტკნარი სიცრუეა.

— მაშინ ხელობას ვისწავლი, დურგალი გავხდები, — თქვა ჭაბუკმა.

მამამ ზიზღით გადააფურთხა:

— მინახავს დურგლებიც, თავის დღეში ხეირიანი არაფერი გაუკეთებიათ,

დაწანწალებენ კარდაკარ და სხვის სახლებში ლურსმნებს აჭედებენ. აგორებული ქვა ხავსს ვერ მოიკიდებს.

ჭაბუკი ჯიუტად დუმდა.

ცოტა ხნის შემდეგ მამამ უთხრა:

— თითქმის ყველა შვილი დამელუპა და არასოდეს დამიჩივლია. რაც იყო, იყო. მაგრამ შენ, შენ ხომ იცი ცხვრის მოვლა, გიყვარს ცხვარი? იცოცხლე, მაგრა აგიჩრელებდი ზურგს. ერთი წლით უმცროსი რომ იყო.

— თუ კაცმა ამდენი ფული მიიღო, — დაიწყო გვენდურმა, — რატომ არ უნდა ისარგებლოს შემთხვევით და არ წავიდეს დიდ ქვეყანაში?

— დიდი ქვეყანა? სულელური მიეთმოეთებია! ზაფხულის სავანე არც ერთ ქვეყანას არ ჩამოუვარდება და ის, ვინც ზაფხულის სავანეში ვერ ივარგებს, არც ერთ ქვეყანაში არ გამოდგება. შენგან კაცი არასოდეს არ გამოვა, სადაც არ უნდა წახვიდე. სულ სხვაა შენი ძმა იოუნი, იმას დაბადებითვე დაჰყვა მოგზაურობის ჟინი, სისხლხორცში ჰქონდა გამჯდარი პატარაობიდან, ის ცხვარზე არ ფიქრობდა, სულ სხვა რამ უტრიალებდა თავში. შენ კი? შენ ხომ შეგიძლია ცხვრის მოვლა-მოშენება. არსად არ გაგიშვებ, იცოდე, შენთვის მინდოდა ეს მიწა დამეტოვებინა, ვფიქრობდი, მადლიან მიწასავით, შეგიძლია წელიწადში ორი მოსავლის მოწევა-მეთქი. აი, როგორ მქონდა წარმოდგენილი შენი მომავალი. ჩემ შვილებში ყველაზე ერთგული შენ იყავი მამისა და თუმც ჯერ ულვაში არ ამოგსვლია, მაინც, ვინ იცის, იქნებ კარგი ოჯახის შვილი შეირთო და შეძლებული გლეხი გახდე.

ჭაბუკმა დინჯად უპასუხა:

— ჩვიდმეტი წელი შემისრულდა და თვითონვე შემიძლია ჩემი საქმის გადაწყვეტა. მართალია, ცხვარი მიყვარდა, მაგრამ თუ არაფერს ვამბობდი, ეს იმას კი არ ნიშნავს, თითქოს ცხვრის გარდა არაფერი მაინტერესებდა და არაფერზე ვოცნებობდი. რა იცი შენ, რაზე ვფიქრობდი? თუ შემთხვევა ხელში ჩამივარდებოდა, არ გავუშვებდი. დაოწმურებული ვარ, რომ ყველა ჩემსავით ფიქრობს — ახალგაზრდა იქნება თუ ხანდაზმული. ხალხი ვერ ბედავს ოცნებას, იმედის ნაპერწკალსაც იხშობს გულში, მუშაობს, მუშაობს თავისი დღე და მოსწრება. მეც არ მჯეროდა, თუ ბედი გამიღიმებდა, ასეთ შემთხვევას ხელში ჩამიგდებდა, ვიდრე წერილი არ გავხსენი. ვერ ვბედავდი-მეთქი ოცნებას, მაგრამ სულ კი ველოდი რაღაცას, ოვითონაც არ ვიცი, რას. ვინ იცის, ეგებ ეს პირველად და უკანასკნელად გამიღიმა ბედმა. გიჟი ხომ არა ვარ, გიჟი მაშინ ვიქნები, თუ არ ვისარგებლებ ერთადერთი შემთხვევით და არ წავალ დიდ სამყაროში, მეც არ ვცდი ბედს, არ გავხდები ის. რაზედაც ოცნებობ, როგორც სხვები, ვინც ოცნებაზე ხმამაღლა ლაპარაკს ბედავს.

—ასეთი სისულელეების გაგონებაც არ მინდა. არაფრის გაგონება არ მინდა იმ შეჩვენებულ სამყაროზე! რა იცი შენ იმ სამყაროზე? რა არის სამყარო? შენი სამყარო აქაა. ზაფხულის სავანე. ჩემი ხუტორი — აი ის, სამყარო... და თუ ჭკუიდან გადახვედი, ცხელებამ აგიტანა და გინდა მზე ხელით დაიჭირო ზზოლოდ იმიტომ, რომ ამერიკული ცისფერი ქაღალდები დაინახე, მაშ იცოდე რომ ეგ ფული ყალბია, როგორც უშრომლად ნაშოვი. ყველა სხვა ფული. გაიგებ, აღრე თუ გვიან გაიგებ, რომ ზაფხულის სავანე — აი, ეს არის ნამდვილი სამყარო, ჰოდა, ჩემი სიტყვები მოგაგონდება.

ივი დუმილი ჩამოდგა.

თავი საოცდავეხამე

დგას კლდე ზიზველი და ზავი...

ბიარტური შვილის გადაბირებას და დარწმუნებას კი არ ლამობდა. როცა ჩაგონებას უწყებ ვისმე. ეს შენი სისუსტის ნიშანია. დამოუკიდებელი კაცი მარტო საკუთარ საქმეზე ფიქრობს. სხვის საქმეში არ ჩაერევა ოვიდონ ხომ არავის მისცემდა რჩევისა და ჩიჩინის ნებ·ს. მაგრ·მ იმ დღიდან გვენდურმა შეწყვიტა მისთვის არსებობა. არც .არაფერს ავალებდა. აღარც ელაპარაკებოდა, მოჯამაგირესთან ერთად მდელობზე ღრმა თხრილი გაჰყავდა, დილიდან დაღამებამდე თავგადაკლული მუშაობდა. არც გვენდური იღებდა ხმას. მაგრამ განშორება კი უმძიმდა, გული შიშით და სევდით ეკუმშებოდა. მიწის სიყვარული გვენდურს სისხლხორცში ჰქონდა გაჟღარი. ეს არ თხოულობდა სიტყვებსა და განმარტებას და ახლა ეჩვენებოდა. რომ მოწყდა მიწას, მიჰქრის ჰაერში სადღაც, ცარიელ სივრცეში, გამოუცნობ შორეთში. მაგრამ აოაფრის შეცვლა არ შეეძლო. ადამიანი ცხოვრობს სინამდვილის სამყაროში, ბავშვობიდან ეთვისება მას. თამამად უსწორებს თვალს. მაგრამ აი, შორეთი უხმობს. იზიდავს. თავისი უჩინარი შესაძლებლობებით, მას ხელში აქვს შესასვლელი ბილეთი. — ცისფერი ორი ქაღალდი. უკვე აღარ ცხოვრობს სინამდვილის სამყაროში, ვეღარ ეწყობა, გამბედაობა არ ყოფნის თამამად გაუსწოროს თვალი. იგი უკვე სტუმართმოყვარე შორეთის ტყვეა, შორეთის მიმზიდველი ომედების ტყვე, — იქნებ, მთელი სიცოცხლის მანძილზე, იქნებ, უკვე დაღუპული კაცია.

— ხვალ მივდივარ, — უთხრა გვენდურმა მამას.

პასუხი არ გასცეს.

— ჩემს ცხვრებს ხომ არ იყიდი?

— არა, მაგრამ შენი ხათრით შემიძლია ტორფის ჭაობში ჩავახრჩო ისინი.

— კარგი. რაკი ასეა, მაშინ აუსტა სოულილიას ვაჩუქებ ჩემს ცხვრებს, ქალაქს რომ ჩავალ. .

— რაო? — უთხრა მამამ. — შეიშალე! მაშ, შენსას არ იშლი, ჭართლა მიდიხარ?.. მოგკლავენ, იცოდე.

— ომი უკვე დამთავრდა, აღარავინ იბრძვის.

მეტი არაფერი უთქვამთ ერთიმეორისთვის.

— ბები. — უთხრა გვენდურმა მოხუც ჰალბერას. — ხვალ მივდივარ.

— იმედია შორს არსად აპირებ წასვლას, ჩემო ბიჭუნი!

— ამერიკაში მივდივარ, ბები!

ჰალბერას საქსოვი მუხლებზე დაუვარდა, ცერად გამოხედა ბიჭს, მერე ჩხირით მოიფხანა თავი და თქვა:

— ეს რა მითხარი, ბიჭო? მთელი ტილები აქეთ-იქით გამეფანტა. — და ისევ საქსოვს მიჰყო ხელი.

დილით გვენდური მთლად მოშლილ-მოთენთილი ადგა. ბებიას გამოეშვიდობა, მაგრამ ამ გამომშვიდობებაში არაფერი იყო პოეტური. ბებიამ არც კი სთხოვა, სალამი გადაეცი ჩემს შვილებსო. შამამ ცხენი აბა მისცა და ჭაბუკი ფეხით გაუდგა გზას აღმოსავლეთისკენ. საგარეო ლურჯი კოსტუმი ეცვა, ძეწკვიანი საათი და პრიალა ფეხსაცმელი ცხვირსახოცში გამოკრა და ღელიაშ ძოიჩარა, შარვალი წინდებში ჩაიტანა, გზაში რომ არ დასვროდა. ბარგი კი წინასწარ ჰქონდა გაგზავნილი.

ჭიკჭიკებდნენ, ეღურტულებდნენ ჩიტები. თეთრი ნისლი დასწოლოდა მთებს, ბალახი დაცვარულიყო, ყავისფერ ჭაობს აქა-იქ სერავდა ბილახმოდებული მიწის მშრალი ზოლები.

მამა უკვე თხრილში მუშაობდა. გვენდური გამოსამშვიდობებლად მივიდა. ბიარტურმა თხრილიდან ამოსვლა არც კი იკადრა, მოკლედ ესროლა: „მშვიდობით“.

— მამა, — დარცხვენით უთხრა თხრილის ნაპირას მდგარმა ჭაბუკმა, — მშვიდობით, ავად ნუ მომიგონებ.

— მე ის მაღონებს, ჩემო შვილო, რომ ვიცი, ძალიან გაგიჭირდება. — უთხრა ბიარტურმა. — პატიოსანი კაცი იქ ხეირს ვერ ნახავს. აქ სულ სხვაა აქ შენ შეგიძლია დამოუკიდებელი კაცი გახდე, როგორც მე ვარ. შენ კი გასწირე შენი სამეფო, გასწირე იმისათვის, რომ სხვისი მონა გახდე. მაგრამ რაღა

აზრი აქვს ლაპარაკს. რა გაეწყობა, მარტო დავრჩები და ვიმუშავებ, ვიდრე ცოცხალი ვარ. ასე გადაეცი პატარა ნონის. მშვიდობით.

ასე დაჰკარგა ბიარტურმა უკანასკნელი შვილი, დაჰკარგა მაშინ, როცა დამოუკიდებლობისთვის დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მიზანს მიუახლოვდა, ოითქმის ხელით შეეხო. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეეწირა მისი შვილები, გვენდური კი ახლა მიდის. დეე, წავიდეს, ვისაც წასვლა უნდა, იქნებ უმჯობესიც კია ეს. ადამიანის ძალა მარტოობაშია. კაცი მარტო ჩნდება და მარტო კვდება. თვითონ რატომ არ უნდა იცხოვროს მარტოდმარტომ? ასე გაიზოდის, რომ სწორედ მარტოობა ყოფილა ცხოვრების მიზანი. ის-ის იყო ჭაბუკი მცირე მანძილით გასცდა ჭაობს, ბიარტურმა ისევ ბარს დაავლო ხელი. მაგრამ უცებ რაღაც აზრმა გაუელვა, თავი ამოჰყო თხრილიდან და გვენდურს გასძახა.

— დაიცა, ბიჭო; — ამოვიდა თხრილიდან, გაეკიდა შვილს და დაეწია. — გუშინ საღამოს, რაღაცას მეუბნებოდი აუსტა სოულილიაზე, კარგად ვერ გავიგე, რა თქვი?

— მე გითხარი, აუსტა სოულილიას ვაჩუქებ-მეთქი ჩემს ცხვრებს, თუ შენ არ იყიდი.

— ჯა, აი თურმე რა გითქვამს. მაშ მშვიდობით. ომი გინდაც დამთავრებული იყოს, ვინ არის იმის თავდები, რომ იქ არ მოგკლავენ. ის დამთხვეულები ოთხი წელიწადი ომობდნენ და ნუთუ შენ გჯერა, რომ ასე უცებ დაჭკვიანდნენ, გულკეთილები გახდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ ზავი დადეს? არა, გიჟი — გიჟია.

ჭაბუკმა ასეთ ღრმააზროვან შენიშვნაზე შესაფერი პასუხი ვერ გამონახა.

— ჰო, რა მინდოდა მეთქვა კიდევ, — განაგრძო ბიარტურმა. — თუ აუსტა სოულილიას ნახავ, უთხარი, რომ ადრიან გაზაფხულზე უშენის სამხრეთ მხარეს დავეხეტებოდი და, როცა კლდეს მივადექი, უცებ ორი სტროფი შევთხზე. მომისმინე:

იქ, სადაც ხევი მუდამ შავია,
ცაც საზარელი სინახავია,
კლდეა შიშველი,
კლდის პირ ქარები
რაღაც საზარელ ამბებს ბღავიან,
ბალახი რჩი, არ ჩანს ბალახიც,
არ ჩანს პატარა შუქის ნასახიც,
კლდე დაუბკრიათ მიმწუხრის ძალებს,
ხევები შიშით ხუჭავენ თვალებს.

— დაიხსომებ?

— ყველაფრის დახსომება შემიძლია, რაც გასაგებია, — უპასუხა გვენდურმა. — მაგრამ „მიმწუხრის ძალები“ რაღაა, არ მესმის.

— ეგ შენ არ გესაქმება, ეს მხოლოდ ლექსია კლდეზე. მე თვითონაც არა მწამს წუვდიადის ძალები, არც არასოდეს მწამდა და ამის დასამტკიცებლად უთხარი აუსტა სოულილიას, რომ ქვა დავადე გუნვერის საფლავს და ზედ ჩემი სახელი ამოვაკვეთინე. მაგრამ ლექსში, რაც მინდა, ყველაფრის თქმა შეიძლია.

გვენდურმა დაიზეპირა ლექსი, მეტი არაფერი უკითხავს მამისთვის.

— სხვა რა გითხრა, მოიკითხე აუსტა სოულილია და უთხარი, რომ აქ ყველაფერი ძველებურადაა, ოღონდ ძალზე მკაცრი ზამთარი გამოვიარეთ და ჩვენი სახლი ცოტა დაფერდდა. მაგრამ როცა ახალ სახლს ავაშენებ, ისე ავაშენებ, რომ მყარი საძირკველი ჰქონდეს. ეგ დღეც შორს არ არის.

თქვა ეს ბიარტურმა და ისევ თავის საქმეს დაუბრუნდა.

თავი საოცდავეოთხე

საუბარი ზღაპრულ ქვეყანაზე

ამერიკაში წასვლა უკვე აღარავის მიაჩნია სათაკილოდ. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ხომ არსებობდა შეხედულება, თითქოს ამერიკაში მარტო ისეთი წყალწაღებული ღატაკი თუ წავიდოდა, რომელიც დღეს თუ არა ხვალ სამრეველოს უნდა დასწოლოდა კისერზე სარჩენად, ან კიდევ ციხეში ამოეყო თავი.

ახლა ამერიკაში გამგზავრებას უკვე სხვა ოვალით უყურებდნენ. ეს იყო ჩვეულებრივი მოგზაურობა უცხო ქვეყანაში. ამერიკაში წამსვლელებს უსაქმურებსა და მაწანწალებს აღარ უძახდნენ, აღარ ამასხარავებდნენ: საჰრეველო დამპალ საქონელს გზავნის უცხოეთშიო. არა, ახლა ზღვისიქითურ ქვეყანაში ფულიანი ხალხი მიდიოდა, მიდიოდა მდიდარ ნათესავებთან ან მეგობრებთან. დიდად პატივცემულ ხალხთან. ზღვის იქით დასახლებული ისლანდიელები დიდად პატივცემული ადამიანები გახდნენ. სარწმუნო ცნობები ჰქონდათ. რომ მათ თანამემამულეებს ფული ბლომად მოეპოვებოდათ. ზაფხულის სავანელი გვენდური, უწინ რომ ფიორდში ზედ არავინ უყურებდა, ახ-

ლა ქალაქში ფულით გატენილი ჯიბით ჩავიდა, ასობით, იქნებ ათასობით კრონიც ედო ჯიბეში დ [illegible] პატიოსანმოქალაქედ იქცა. ხომალდის მოლოდინში. ვიდრე მის პასპორტს გააფორმებდნენ, გვენდური მოსამართლის ოჯახში შეეფეცეოდა ყავას. მოსამართლის მეუღლეც კი გამობრძანდა, რომ შეეხედა მისთვის. ის ხომ ამერიკაში მიემგზავრებოდა.

ერთმა განათლებულმა კაცმა, რომელსაც გვენდური არ იცნობდა, ჭაბუკი ქუჩაში გააჩერა, თავის ოჯახში ყავაზე მიიპატიჟა და ასწავლა რამდენიმე სიტყვა: „იეს“ „მონი“ და „ოლრაიტ“, რომ ამერიკაში არ დაბნეულიყო. სახომალდო კანტორაში მთელი ერთი საათი უხსნიდნენ გვენდურს. არიგებდნენ, როგორ უხდა მოქცეულიყო რეიკიავიკში, ვინ უნდა მოენახა, ვისთვის მიეცა ხომალდის ბილეთის ფული. ერთი კაცი სიგარით გაუმასპინძლდა გვენდურს, მაგრამ ბიჭს იქვე, სანაპიროზე ამოასაქმა. ქუჩაში ხშირად აჩერებდნენ გამვლელები:

— შენა ხარ?

ის არის, ის.

ქალები ფარდას ასწევდნენ, სარკმლიდან იყურებოდნენ, თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ გვენდურს რომანტიკული ცნობისმოყვარეობით, მათ იცოდნენ, რომ ეს ჭაბუკი ამერიკაში მიდის. ის არის, ის. ბიჭები სახლის კუთხეს მოეფარებოდნენ და უყვიროდნენ: „ამერიკა! ამერიკა! ჰეი!“ ასე დიდების ბურანში გაირბინა ორმა დღემ. გვენდურმა იყიდა დანა და ოთკი. ამერიკაში წამსვლელისათვის ხომ თავი და თავი ეს არის. ხომალდი მეორე დღეს უნდა ჩამომდგარიყო. სამზადისი დამთავრდა, ნაჩევარი დღე კიდევ მის განკარგულებაში იყო. ახლა აუსტა სოულილია უნდა მოვიძებნოო, გადაწყვიტა გვენდურმა. მიიკითხ-მოიკითხა და ძალე მიაგნო. თურმე აუსტა ერთი მეოევზის ოჯახში მუშაობდა მოახლედ. მისი გოგონა უკვე ხუთი წლისა იყო.

— ბიორტი ჰქვია, — უთხრა აუსტამ გვენდურს. — მე ოვითონ დიდი ბავშვი ვიყავი მაშინ, ეს რომ შემეძინა და უკეთესი სახელი ვერ მოვიგონე. ტანად დიდია ჩემი გოგო, თავის ასაკთან შედარებით. საჭმელი ახლა საკმარისი აქვს. ცალ თვალს ჩემსავით აელმებს. რას იზამ, დედას დაემსგავსა.

აუსტამ შვილს აკოცა. ამ ხუთი წლის მანძილზე თვითონ ძლიერ გამოცვლილიყო. დაქალებულიყო. ახლა გვენდურის წინ ახალგაზრდა, მაღალი, გრძელფეხება ქალი იდგა. თეძოები ზოძაზე განიერი ჰქონდა. მხრები კი ვიწრო. ცოტა მოხრილიც იყო, აღარ ჰქონდა ისეთი სავსე, მაღალი მკერდი, როგორც თხუთმეტი წლის ასაკში. მოვერცხლისფრო-რუხი თვალები, მუქი წარბები, ხშირი წამწამები და ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ბაგის ნაზი, რბილი მოხაზულობა, უწინ რომ ასე ამშვენებდა, ახლა მკვეთრ, მკაცრ იერს აძლევდა

შას საბეს. ფ·სა კბილი ჩა[illegible]ეობდა. თვალს უფრო აელმებდა — ალბათ დაღლილობის გამო. ხელის მტევნები გრძელი ჰქონდა, გამხდარი, მაგრამ ლამაზი მოყვანილობისა. მხრები გალეული, ყელი ჯერ კიდევ ნორჩი და თეთრი, ხმა ჩიტი და ბჭახე. აუსტას თმა შეეკრიჭა, ერთი კულული სულ თვალზე ეფინებოდა. მთელი მისი იერი რაღაც დიდ ძალაზე და ამავე დროს სისუსტეზე მეტყველებდა, მიმზიდველიც იყო და უსანდომოც, არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიგექცია მისთვის, თვალში არ გცემოდა, ერთი უფერული ნაკვთი არა ჰქონდა, თვალებიც ძალზე ცოცხალი და მეტყველი. მისი ყოველი მოძრაობა რაღაც ღრმა თავისებურებას გამოხატავდა. მასში ყველაფერი ეწინააღმდეგებოდა ერთიმეორეს — სიხარული და სევდა, დამცირება და სიამაყე. ამ ქალის ცხოვრების გზა მწვავე ტანჯვის გზა იყო, გინდოდა მოფერებოდი, გულთბილად მოქცეოდი, ამავე დროს გინდოდა ხელი გეკრა და კვლავ მისკენ მიგიწევდა გული, იმიტომ, რომ ვერ გაუგე მას. ან საკუთარ თავს ვერ გაუგე. გვენდურმა უმალ იგრძნო. რაოდენ მაღლა იდგა აუსტა მაცზე, მიუხედავად იმისა, რომ საბრალო ქალი ჭუჭყიანი თეთრეულის გროვასთან იდგა შეცბუნებული, თითქოს თავისი მხრებით ზიდავსო მთელი ხალხის საუკუნოვანი დამცირების სამარცხვინო ტვირთს. და აი, დგას გვენდურის წინ აუსტა, წინა კბილი უკვე გაფუჭებია, ხელი ჩაუკიდია თავისი უკანონო შვილისათვის... გვენდური ახლაც ისევე გააოცა აუსტამ, როგორც წინათ. როცა ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ, როცა ის მათი უფროსი და იყო. არა, ისინი ერთმანეთის ნათესავები არ არიან...

— ამერიკაში მივემგზავრები. — უთხრა გვენდურმა აუსტას.

— საბრალო ბიჭო, — გულგრილად, ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე თქვა აუსტამ.

— აქ ახლა კარგი დრო დაუდგა ხალხს, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკაში უფრო დიდი რამის მიღწევა შეუძლია ადამიანს.

— ვინ გამოგგზავნა ჩემთან?

— არავინ, გამოსამშვიდობებლად მოვედი.

აუსტამ ცივად გაიცინა.

— რატომღაც მეგონა, ჩვენ ოჯახში მარტო შენ იყავი უდარდელი, არასოდეს არაფერზე არ ინაღვლებდი, მეგონა, შენც გახდებოდი დამოუკიდებელი კაცი. როგორც ზაფხულის სავანელი ბიარტური.

ეს სიტყვები: „ზაფხულის სავანელი ბიარტური", — ცივი ღიმილით თქვა. მტკიცედ. ის აღარ იყო მგრძნობიარე და გულჩვილი.

გვენდური ჩაფიქრდა, აუსტას არ უყურებდა, ეშინოდა აზრის ძაფი არ გაწყვეტილ

— იცი რა... — თქვა ბოლოს ჭაბუკმა. — არის ისეთი ძალა... იგი თავის ნებაზე გვატარებს, ხელში ვუავართ ჩაჭედილი. არ ვიცი, რა ძალაა ეს. მამას ხომ მტკიცე ხასიათი აქვს, მაგრამ არც ის არის თავისუფალი. ვიღაც მასზე ძლიერს და მტკიცეს უჭირავს ხელში.

აუსტა ყურადღებით ჩააცქერდა გვენდურს, თითქოს მის სულში ჩაწვდომას ლამობსო, თითქოს აინტერესებს, რის გაგება შეუძლია ამ ჭაბუკსო...

— კოლუმკილიზე ხომ არ ამბობ? — ცივად ჰკითხა აუსტამ მას.

იმ დღეს თითქოს და-ძმა ერთმანეთს აოცებდა.

— არა, — უპასუხა გვენდურმა, — ეს ის ძალაა, რომელიც არასოდეს არ მოასვენებს ადამიანს, გამუდმებით ამოქმედებს, მბრძანებლობს მასზე, აიძულებს იმუშაოს.

— მართალი გითხრა, ვეღარ გცნობ, გვენდურ, თითქოს ის გვენდური აღარა ხარ, უწინ რომ იყავი.

— ეს იმიტომ, რომ ფული მივიღე. როცა კაცს ფული აქვს, ყველაფერს სულ სხვა თვალით უყურებს.

— და მაინც შენ ვერასოდეს თავს ვერ დააღწევ მას.

— ვის?

— ზაფხულის სავანელ ბიარტურს. გინდაც გძულდეს, იგი მაინც შენში ცხოვრობს და შენ საკუთარი თავი გძულს. ვინც იმას ლანძღავს, თავის თავს ლანძღავს.

ეს ვეღარ გაიგო გვენდურმა.

— შორეულ ქვეყანაში თუ წახვალ და ახალ ცხოვრებას დაიწყებ, იქნებ მაშინ გახდე თავისუფალი, — თქვა გვენდურმა.

აუსტამ ცივი ხმით გადაიხარხარა:

— მეც ასე ვფიქრობდი იმ ღამეს, შინიდან რომ წამოვედი, როცა იმან გამომაგდო. ღმერთს მადლობას ვწირავდი იმისათვის, რომ მან გამომაგდო. ფეხშიშველი მოვყვებოდი უშენს, მოვდიოდი მთელი ღამე, გათენებამდე. მე სხვა ქვეყანაში მივდიოდი.

— შენ?

— ჰო, მე ჩემს ამერიკაში მივდიოდი. შენც წადი შენს ამერიკაში. ბედნიერ მგზავრობას გისურვებ.

— შენც მამაჩემივით ხომ არ ფიქრობ, რომ იქ ვერაფერს მივაღწევ?

— არა, ამას არ ვამბობ, ძვირფასო გვენდურ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენში ცხოვრობს ზაფხულის სავანელი ბიარტური და ჩემშიც, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ვენათესავები.

— იცი, ის ხომ კარგია,—თქვა გვენდურმა.—მამა იმ ხალხის რიცხვს ეკუთ-

ვნის, ვინც არასოდეს არ ნებდება. ამ დღეებში ოხუთმეტი ათასი კრონი შეაძლიეს კარ-მიდამოში და ცივი უარით გაისტუმრა, ჩემი ყურით გავიგონე. ასეთი სიმტკიცის პატრონი ბევრ რამეს მიაღწევდა, უცხო ქვეყანაში, მაგალითად, ამერიკაში რომ წასულიყო. როგორც ამბობენ, იქ მარტო რქოსანი პირუტყვის სათვალავს ეწევიან.

— ახლა თვითონ არა თქვი, რომ არის ისეთი ძალა, რომელიც თავის ჭკუაზე გვატარებს, რომელსაც ხელში ვყავართ ჩაჭერილი?

— ეს ისე ვთქვი, მე ხომ კოლუმკილის არსებობა არა მწერა.

— ეგ არც არის კოლუმკილი, — უპასუხა აუსტამ. — ეგ ის ძალაა, რომელიც სამყაროს მართავს, რაც გინდა ის დაარქვი, ჩემო გვენდურ.

— ღმერთია?

— დიახ, თუ ღმერთს ნებავს, რომ ადამიანმა სიკვდილამდე იმუშაოს მონურად, წელგაუმართავად, რომ მას აკლდეს ყველაფერი, რის მოცენაც ცხოვრებას შეუძლია. — მაშინ ეგ ძალა ღმერთია. მაგრამ, ჩემო კარგო გვენდურ, საქმეს უნდა მივხედო, ველარ გავჩერდები შენთან.

— მოიცა, ყური მიგდე. აუსტა, — სთხოვა გვენდურმა. აუსტის ნათქვამიდან ვერაფერი გაიგო, მისთვის ეს ღრმა სიბრძნე იყო. — რაღაც უნდა გიოხრა გამოთხოვებისას... აი, მე მივდივარ და მინდა ჩემი ცხვრები გაჩუქო.

წასასვლელად გამზადებული ქალი უცებ შემობრუნდა და გვენდურს მიაჩერდა, მის მზერაში გულწრფელი სიბრალული გამოიხატა, ისე იბრალებენ ხოლმე სულელს, როცა ლაპარაკში მთელ თავის თავს გამოამეღავნებს. მერე ისევ ცივად გაიცინა და თქვა:

— მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო გვენდურ, მაგრამ საჩუქრებს ღვით ზაფხულის საკანელი ბიარტურის ვაჟისგანაც არ მივიღებ. ნუკი მიწყენ. პირველად როდი ვამბობ უარს საჩუქრებზე. შარშან ზამთარს, როცა მე და ჩემი გოგო ეშმშილობდით, ფიორდის გარეუბანში ცივ სარდაფში ვიყინებოდით, ერთ საღამოს ჩემთან საიდუმლოდ მოვიდა ყველაზე ძლევამოსილი კაცი ამ კუთხეში და მითხრა, რომ მე მისი შვილი ვარ. შემომთავაზა ბევრი ფული, მითხრა, რომ მზრუნველობას არ მოგვაკლებდა მე და ჩემ შვილს და იცი რა ვუპასუხე? მირჩევნია მომიკვდეს ეს შვილი, ვიდრე შენგან რამე მივიღო-მეთქი... — აუსტამ ისევ ცივად გაიცინა და დაუმატა: — მე და ბიორტიც ხომ დამოუკიდებელი ადამიანები ვართ, თავისუფალი საბელმწიფო, ზაფხულის საკანელ ბიარტურზე, ჩემი გოგოს სეხნიაზე. ნაკლებ როდი გვიყვარს თავისუფლება. თავისუფლებაში შიმშილით სიკვდილი გვირჩევნია სხვისგან მოწყალების მიღებას.

აი როგორი იყო ეს ქალი, უშენიდან გაზაფხულის ერთ დილას რომ ფე-

ხით ჩამოვიდა აქ. მთელი ღამე იარა. მოდიოდა ყმაწვილი ქალი, ბოდიოდა და ოცნებობდა წმიდათა წმიდაზე. ხამლი შემოეხა, ფეხშიშველი დარჩა. ისიც ამერიკაზე ოცნებობდა, ისიც ამერიკაზე ამყარებდა იმედებს. ბავშვობას ჯკან რომ ბოიტოვებ და მოწიფული გახდები — აი, რა არის ამერიკის აღმოჩენა. ამით ამაყობდა ახლა ძმის წინ, რომელმაც ჯერ ვერ აღმოაჩინა ეს !ახელ-განთქმული ქვეყანა, თავისი უმწეო ოცნებების საგანი. დიას, სამება იყო, ადრიანი დილა, ყმაწვილ ქალს ეჩვენებოდა, რომ ზღვიდან ამოიმართნენ ახალი ქვეყნები, დილის მზის პირველ სხივებში ალივლივებდნენ თავის ძვირფას ნიეარებსა და მარჯნებს. ხედავდა ძველ ქვეყანასაც, სურნელოვან ბაღნარებს, მშვიდად მოშრიალე ტყეს, პალმის ხეივნებს. ზღვის პირას კი, მდელობზე მ ი ს ი სახლი იდგა, „თეთრი სახლი". ის საოცნებო თეთრი სახლი გაფისული ქაღალდით გადახურული შავი ქოხი გამოდგა, პაწია !არკმლის რაფაზე. ზღვას რომ გადაჰყურებდა, მიწით სავსე დაჟანგებული თუნუქის ორი ქილა იდგა, საკვამური მილი გადაბრეცოდა, კარისკენ კი ორი ჩამტვრეული !აფეხური ადიოდა. ტყე სადღა იყო? სახლის ირგვლივ მიმოფანტული იყო ნაპირზე გამორიყული ჩამჭკნარი წყალმცენარეები. იქვე პატარა, ერთი ნაბიჯის სიგანე ნაკადული ჩამორბოდა. ორი ბიჭი თამაშობდა ნაკადულის ნაპირას, ბრტყელი ჯოხებით ამოჰქონდათ შლამი ფსკერიდან. ყმაწვილი ქალი ნაკადულთან შედგა, მისი ხნის გოგონა, ოღონდ მასზე უფრო გამხდარი, ატირებულ ბავშვებს !შოშმინებდა. ბავშვები საყმაწვილოსაგან გალურჯებულები და გაფითრებული იყვნენ. ზღურბლზე კი იდგა დიალახლისი, ფეხმძიმე. ხელში ძუძუთა ბავშვი ეჭირა და ილანძღებოდა. ლექსთმჩხაპნელები, კაცთმოძულე ცრუპინტელები სწორედ აუსტასა და მისი მიჯნურისთვის წერენ წიგნებს მზის შუქითა და ოცნებებით აღსავსე ზღაპრულ ქვეყნებზე, ოქროსფრად დაფერილ ხეივნებზე. წერენ იმისათვის, რომ მოატყუონ ისეთი ადამიანები, როგორიც აუსტა და მისი მიჯნურია, დასცინონ, თავსლაფი დაასხან მათ! ყმაწვილი ქალის მიჯნურს ქვეყნად არა ებადა რა ასეთი ოცნებების გარდა და არა ეხერხებოდა რა უგონოდ დათრობის გარდა.

გვენდურს გაახსენდა, რომ მამის დავალება არ შეუსრულებია. ერთი წუთი კიდევ მოიცადეო, უთხრა აუსტას..

— მამამ მთხოვა გადმომეცა შენთვის, რომ ზაფხულის !ავანეში ყველაფერი ძველებურადაა. ახალი მარტო ის არის, რომ სახლის აშენებას აპირებს.

აუსტამ გაოცებით შეჰყვირა:

— მამამ დაგავალა, ჩემთვის გეთქვა ეს?

— არა, არ დაუვალებია, ისე თქვა. მან ლექსის წაკითხვა დამავალა.

და გვენდურმა ლექსი წაუკითხა.

აუსტამ გაიცინა:

— სალამი გადაეცი მამაშენს, — სულ გადააავიწყდა, რომ გვენდური ამერიკაში მიდიოდა, — უთხრა, წინასწარ ვიცი, როგორ ფარეხსაც ამენებს სახლის მაგიკოად, რომ საკმაოდ კარგად მაქვს შესწავლილი მისი უაზრო ლექსები, რომელთაც დიდი გაჭირვებით თხზავს. მე დანიშნული მყავს, ახალგაზრდა ნასწავლი ვაჟი, ნამდვილი პოეტი. სანდეირეში მას შესანიშნავი პატარა სახლი აქვს და დედასთან ერთად ცხოვრობს. ორი წლის წინათ მთხოვა, ცოლად გავყოლოდი. ის არასოდეს არ გამომგდებს სახლიდან, იმიტომ რომ ვუყვარვარ... ასე მოახსენე ზაფხულის სავანელ ბიარტურს.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. აი თურმე როგორი გახდა ყმაწვილი ქალი. გაიმარჯვა მარცხენა ღაწვმა. თუმცა, იქნებ სწორედ ამან იხსნა უმწეო, უსუსური მარჯვენა ღაწვი, ზაფხულის სავანელ ბიარტურს რომ მიაპყრო აუსტა სოულილიამ ივლისის იმ ღამეს?

თავი სამოცდამეხუთე

ამერიკა

— შენ ხარ? — ჰკითხა მან.

— დიახ, მე ვარ, — უპასუხა ქაბუკმა.

ასე გაიცნეს ერთმანეთი.

მაღალი სახლი, ოთხკუთხა კოშკით, მზის სხივებში ბანაობს. გარს არტყია მწვანედ მოღაღანე დიდებული ბაღი. დღე იწურება და ჩამავალი მზის მოწითალო ათინათი დასთამაშებს ხეხილის ფოთლებს.

— გიხარია? — ჰკითხა მან.

მას მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, მუხლებამდე ვიწრო, შემოსხეპილი, მუხლსზემოთ კი გაშლილი, მკლავები მხრებამდე მოშიშვლებული ჰქონდა. სადავით ეჭირა ნაპატივები, ფიცხი, ჯიშიანი ორი ცხენი. ცხენებს აბრეშუმივით უბზინავდა კანი. ყმაწვილ ქალს ოქროსფერ კულულებზე მზის შუქი დასთამაშებდა, ნორჩი მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, წვრილი წელი ჰქონდა, მისი წარბები თითქოს უდარდელად მიფრიხავდნენ აქეთ-იქით, თვალები კი ერთიდროულად ცასაც მოგაგონებდათ და ცაში მოლივლივე მიმინოსაც, მის სახეს სინორჩის ფერი დაჰკრავდა — შეუდარებელი ფერი ქვეყნად — ახლადმოწყალილ სქელ რძეს რომ მოჰგავს და თითქოს ოდნავ მოწითალო, ან სულ ოდ-

ნავ მომწვანო ფერი გადაჰკრავს. ის თვით სილამაზეა. ჭაბუკს არასოდეს უნა ხავს მსგავსი მშვენება. ყმაწვილი ქალი ოდნავ ცხვირში ლაპარაკობდა. მკლეერი ნოტით ამთავრებდა ყოველ ფრაზას. იცინოდა, როცა ხუმრობდა და იცინოდა მაშინაც, როცა სერიოზულად ლაპარაკობდა. გვენდური სულ დაიბნა.

— არავინ გიშლის, შემოდი ბაღში, — უთხრა ყმაწვილმა ქალმა.

გვენდურმა ჭიშკარი შეაღო.

— ცხენები დამიჭირე, ვიდრე მოვალ. — უთხრა ყმაწვილმა ქალმა და გაუჩინარდა.

დგას გვენდური ბაღში, ცხენები სადავით უჭირავს, ცხენები ტოკავენ მოუთმენლად ეხახუნებიან ჭაბუკს, ის კი დგას, ელოდება დიდხანს, დიდხანს ის არ ჩანს. ალბათ აღარ გამოვა, გაიფიქრა გვენდურმა და სწორედ ამ დროს გამოჩნდა კიდეც.

— შოკოლადი გინდა? — ჰკითხა გვენდურს და შოკოლადი გაუწოდა.

—კიდევ გინდა? — ისევ გაუწოდა შოკოლადი. — ნეტა შენთან ერთად მივდიოდე. ოჰ, რარიგ მინდა ამერიკაში წასვლა, რომ იცოდე! ყური მიგდე, ხომ არ წამიყვან თან?

გვენდურს ალმურმა აჰკრა სახეზე. ასეთი ქალიშვილი წაიყვანოს თან? ეს რაღაც მთლად სწორი არ არის. მაგრამ მაინც დაეთანხმა. დიახ. წაიყვანს ამერიკაში. ხომალდი ამეღამ ჩამოდგება, ხვალ დილით ადრე აუშვებს იალქნებს. ყმაწვილმა ქალმა გადაიკისკისა. რა სასაცილოა, რომ ჭაბუკმა მისი წაყვანა გადაწყვიტა.

— რა კეთილი ხარ, — უთხრა ყმაწვილმა ქალმა სიცილით. — სჯობია ჯერ ცხენებით გავისეირნოთ. ქურანზე შენ შეჯექი. მართალია, მარტო ავშარის ამარაა. მაგრამ არა უშავს რა. რედსმირში მინდა წასვლა, ბებია და ბაბუა უნდა მოვინახულო. დაუნაგირებული არ არის ქურანი. მაგრამ რა ვუყოთ, რედსმირი აგერაა, ყურის ძირში, სულ რაღაც ერთი მილის მანძილზე.

დიახ. დიახ, დიახ, მისთვის სულ ერთია, გინდ თხუთმეტი მილი იყოს რედსმირამდე. მაინც წავა შეუკაზმავი ცხენით და გვენდური ზურგზე მოეკლო ცხენს. ვერ მოასწრეს ამხედრება, რომ ცხენები ადგილს მოწყდნენ. თეთრი რაში ოთხამოლებით მიაქროლებდა ყმაწვილ ქალს, ქურანი მისდევდა. შეუძლებელი იყო მისი შეკავება, ერთთავად თავს იქნევდა, ჭიმავდა ავშარას. ყმაწვილმა ქალმა გზატკეცილზე გადაუხვია, სავაჭრო მოედნიდან ზევით მიმავალ გზაზე, ქურანი უკან მიჰყვა, სულ ფრუტუნებდა, თავს იქნევდა. ოითქოს პირველად ამოსდესო ავშარა. ყმაწვილი ქალი დროდადრო მობრუნდებოდა სიცილით გადმოხედავდა ჭაბუკს, ოქროსფრად მბზინავ თმას ქარი უწეწავდა. გუდმუნდურ გუდბიარტურსონს არასოდეს ჰყოლია ასეთი ზღაპრული, ფიცხი

მერანი! ციცაბო ფერდობი ისე აიარეს ცხენებმა, თითქოს სწორ გზაზე მიდიანო, ქარივით მიჰქროდნენ დაკლაკნილ გზაზე და ჭაბუკი ფაფარში ჩააფურინდა ცხენს, რომ არ გადმოვარდნილიყო.

მხედრებმა მალე მიაღწიეს მანანის ბუჩქებით დაფარულ უშენს, გაჰყვნენ ხრამის ნაპირს, რომლის იქითაც მწვანედ ბიბინებდა მდელობი. მაგრამ თეთრამ უცებ შეიცვალა გეზი, თვალის დახამხამებაში შეტრიალდა, გადაეკლო ხრამს და ბრახ... ყმაწვილი ქალი პირაღმა გდია ბალახში, ფეხებს ჰაერში ასავსავებს. ქურანმა თეთრას მაგალითს მიბაძა, ისეთი ძალით აჰყარა ფეხები, რომ გვენდური ყირამალა გადატრიალდა, თავზე გადაეკლო ცხენს და მიწაზე გაიშხლართა. მხედრებისაგან განთავისუფლებული ცხენები გაიჭრნენ მდელობზე, თავის ქნევითა და ფაფარის ფრიალით მიჰქროდნენ ერთ ხანს, მერე შედგნენ და ბალახის ძოვა დაიწყეს. ყმაწვილი ქალი ბალახში გდია და კისკისებს.

გვენდური წამოხტა და ჰკითხა:

— ხომ არაფერი იტკინე?

მაგრამ ყმაწვილ ქალს გაჩერება აღარ შეუძლია, კისკისებს და კისკისებს, არაფერი ამის მსგავსი არ გადახდომია.

გვენდური ცხენების დასაბორკავად წავიდა, როცა დაბრუნდა, ყმაწვილი ქალი უკვე ბალახში წამომჯდარიყო და თმას ისწორებდა. გვენდური გვერდით მიუჯდა. სადღაც ქვევით, თითქოს ჩიტის თვალსაწიერიდან უყურებენო, მოჩანდა სავაჭრო მოედანი, ბაღები, სახლების ახლადშეღებილი სახურავები — უტყუარი საბუთი კეთილდღეობისა, რაც ხალხს მსოფლიო ომში მოუტანია. იქიდან ზღვაც ჩანდა, მშვიდი, მოსარკული, ჰორიზონტამდე გადაჭიმული, მარადისობასავით უკიდეგანო ზღვა. თითქოს დაუჯერებელია, რომ სამყარო ამ ზღვის იქით არ მთავრდება, რომ იქით ნაპირზე იწყება სხვა, უკეთესი სამყარო. ნუთუ ეს მართალია?

— რა ბედნიერი ხარ, რომ ზღვით იმოგზაურებ!

— ძალიან შემეშინდა, ხომ არაფერი იტკინა-მეთქი, — უთხრა გვენდურმა, — რა ფიცხი ცხენებია!

— რას ამბობ, ამან გაგაკვირვა? ჩვეულებრივი ცხენებია, აი, ხომალდით გამგზავრება ამერიკაში კი...

— რა გქვია? — ჰკითხა გვენდურმა.

ყმაწვილმა ქალმა ეშმაკურად გადახედა, გადაიკისკისა, გამოაჩინა სწორი, თეთრად მოელვარე კბილები.

— რაში გჭირდება ჩემი სახელი, თუკი ამერიკაში მიდიხარ?

— ისე მინდა გავიგო!

— არა, არ გეტყვი. მანამ არ გეტყვი, ვიდრე ამერიკიდან არ დაბრუნდები. ყური მიგდე, რა უნდა აკეთო იქ, რა უნდა გამოხვიდე, როცა ამერიკაში ჩახვალ?

— ჯერ თვითონაც არ ვიცი, — ისეთი კილოთი უთხრა ჭაბუკმა, თითქოს იცის, მაგრამ გამხელა არ უნდაო.

— არ იცი, თუ არ გინდა მითხრა?

— ამერიკაში რადაც გინდა. იმად გახდები. არავინ იცის, რას აკეთებს იქ ჩემი ძმა. ის კი ცხადია, რომ ფული ჩეჩენეთით აქვს, სულ ცისფერი ქაღალდები. მთელი დასტა ფული გამომიგზავნა. ამერიკის ზოგი კუთხე სულ უღრანტყით არის დაფარული, ურიცხვი ნადირია იქ.

— ნადირი? — მღელვარებით გაიმეორა გოგონამ. — ნადირობას ხომ არ აპირებ?

— რა თქმა უნდა, ვიხადირებ. - - რა კარგი ქნა, ნადირზე რომ ჩამოაგდო სიტყვა. ის ხომ მართლა აპირებს ნადირობას.

— ყური მიგდე, — დაიწყო ყმაწვილმა ქალმა, -- შენი ძმის სურათი ხომ არა გაქვს? იმისი, რომელიც ამერიკაშია. — სურათი გვენდურს არა ჰქონდა — მაინტერესებს როგორია, ალბათ ისეთი იქნება... განსაკუთრებული, როგორც ნამდვილი უცხოელი, არა?

— ჩემი ძმა მაღალი ბიჭია, ჩემზე გაცილებით მაღალი. სიმღერაც იცის მერე როგორ მღერის! კარგად იცვამს. დარწმუნებული ვარ, რომ ორი კი არა, სამი ხელი საგარეო ტანსაცმელი აქვს. ძალიან ჭკვიანია. ქვეყნად ისეთი არა არის რა, იმან რომ არ იცოდეს. პატარაობიდან სულ მოგზაურობაზე ოცნებობდა.

— ისიც ნადირობს?

— დიახ, ნადირობს, ირმებზე და ავაზებზე. ოკეანე და ბოლო არ უჩანს იმ ტყეს, სადაც ის ცხოვრობს. ერთი თვე უნდა ვიმგზავრო, რომ იქამდე მივაღწიო.

— წარმოგიდგენია, რა საინტერესოა?.. ოჰ, რომ იცოდე, როგორ მინდა ამერიკაში წასვლა!

გვენდურს თავისი თავისა თვითონვე უკვირდა, უკვირდა, რომ ნამდვილი მამაკაცივით იქცეოდა, შეკითხვებზე თამამად პასუხობდა ამ მშვენიერ ქალიშვილს, რომელთანაც ისე საამო იყო ყოფნა, არასოდეს, არასოდეს ასე თავისუფლად არ მოწყვეტია პირიდან სიტყვები, გეგონებოდათ, ყოველი სიტყვა, რომელსაც ეუბნებოდა ყმაწვილ ქალს, სრულიად უმნიშვნელო სიტყვებიც კი — ყვავილად იქცეოდა. მაგრამ უცებ ერთმა აზრმა გაუელვა და გაოცდა:

— ვერ გამიგია — დაიწყო გვენდურმა, — რატომ გინდა ასე ქლიერ

ამერიკაში წასვლა, როცა აქ კოშკიან სახლში ცხოვრობ, სამომხმარებლო საზოგადოების დუქანში, რაც გინდა, ყველაფრის ყიდვა შეგიძლია, ასეთი საუცხოო ცხენები გყავს...

ყმაწვილი ქალი ჩაფიქრდა და უპასუხა:

— შენ, რა თქმა უნდა, მართალი ხარ. ისე ვამბობ, სისულელეა ამაზე ლაპარაკი. რა მინდა ამერიკაში. არასდიდებით არ წავალ. თუ მამა წამიყვანს მაშინ სულ სხვაა. მაგრამ როცა სხვები მიდიან იქ, თავგზას ვკარგავ. მეც არ ვიცი, რა მომდის. იმიტომ, რომ ის ქვეყანა სადღაც შორს. შორს არის. იმიტომ, რომ ზღვა მიყვარს. ზღვა ისეთი თვალუწვდენია, რომ ზღაპარსა ჰგავს.. ისინი კი, ვინც იქიდან ბრუნდებიან, დიდი კაცები ხდებიან. პატარა რომ ვიყავი. ასე მეგონა, საზღვარგარეთ მხოლოდ რჩეული, დიადი ადამიანები მიდიან-მეთქი. როგორიც, მაგალითად, მამაჩემია, იქნებ ეს სისულელეა, მაგრამ იქნებ სწორიც არის, არა? ყური მიგდე. ნუ დამივიწყებ, როცა ამერიკაში ჩახვალ.

— არ დაგივიწყებ, — ჩურჩულით უპასუხა გვენდურმა, სახეზე წამოენთო და თავი დახარა. თვალი ვეღარ გაუსწორა ყმაწვილ ქალს, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი მას უყურებდა.

— იცი რა უნდა გითხრა? შენი ძმა შემიყვარდა. მიამბე რამე მასზე. არასოდეს არ დაბრუნდება აქ?

— არა, ჩემი ძმა არასოდეს არ დაბრუნდება. მე კი, იქნებ დავბრუნდე, — გვენდურმა გამბედაობა მოიკრიბა და დაუმატა: — თუ შენ ინდოეთს, დავბრუნდები.

ყმაწვილმა ქალმა თავით ფეხამდე შეათვალიერა ჭაბუკი, თითქოს გონებაში შეაფასაო იგი, თითქოს ასწონ-დასწონაო მისი დღეანდელი დღე და მომავალი, ერთმანეთში ურევდა სინამდვილესა და ფანტაზიას, ცალი თვალით ჭაბუკს შეჰყურებდა, მეორე ზღვისკენ ეჭირა. ეს ზღვა უნდა გადაეცურა ჭაბუკს და ყმაწვილ ქალს სწორედ ამიტომ შეუყვარდა იგი, რომ მას უნდა გადაეცურა უკიდეგანო ზღვა, რომ იგი დიდი კაცი უნდა გამხდარიყო ზღვის იქითა მხარეს, იმიტომ, რომ იქ. ტყეში, ბევრი ნადირია, იმიტომ, რომ იქიდან უკვე ნამდვილი მამაკაცი დაბრუნდება...

— დაგელოდები, ვიდრე დაბრუნდები.

ის ყრმა იყო, ძალზე ნორჩი, თხუთმეტი წლის, ან იქნებ თოთხმეტისა. სასაცილო წვრილმანობა იქნებოდა, ამის ზუსტად დადგენა რომ მოგვეწადინებინა, რადგან ის თვით ყრმობა იყო, ყრმობა, რომელიც არ უგრძვნიათ ზათხულის სავანელ ბავშვებს. არა, გვენდურს არასოდეს არ შეხვედრია ასეთი გოგონა. არც ყმაწვილ ქალს შეხვედრია გვენდურის მსგავსი ჭაბუკი.

— იქიდან რომ დაბრუნდები, უფრო მაღალი იქნები, ვიდრე ახლა ხარ. აქ კი უფრო გაშლილი, — და ყმაწვილმა ქალმა მხრებზე და მკერდზე ხელი დაუსვა ჭაბუკს. — ღია ნაცრისფერი საზაფხულო კოსტუმი გეცმება, ყავისფერი ხამლი, ქუდი, ზოლიანი პერანგი და გეჭნება ბევრი, ბევრი ფული. გარდა ამისა, ულტობი ქსოვილის ფართო მაკინტოში. ჰოდა, მიამბობ მაშინ, როგორ ნადირობდი უღრან ტყეებში ირმებსა და ავაზებზე. — ყმაწვილმა ქალმა თავი უკან გადასწია, ცას მიაპყრო თვალი და ოცნებას მიეცა. მერე გაიცინა, გვენდურისკენ დაიხარა და მზის ალერსიან შუქზე ოქროსფრად მოლივლივე მის თმაში, იქ, სადაც გაყოფილი ჰქონდა, გვენდურმა თეთრი ზოლი დაინახა. ყმაწვილი ქალი ლამის მკლავებში ჩაუწვა ჭაბუკს, მიეკრა, თან კისკისებდა. გაოგნებულ გვენდურს არ ესმოდა ცხადი იყო თუ სიზმარი ყოველივე. რაღა წასვლის წიხ, სწორედ წასვლის წიხ შეემთხვა ეს? და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ უსათუოდ, უსათუოდ დაბრუნდება ამერიკიდან.

შინ წასვლის დრო იყო, ყმაწვილმა ქალმა თმა გადაივარცხნა, ამ დროს თავი გვერდზე ჰქონდა გადაწეული. გვენდური მიშტერებოდა მას და უნებლიეთ თვითონაც გვერდზე გადასწია თავი.

— ცხენები უნდა დავიჭიროთ, -- თქვა ყმაწვილმა ქალმა.

დაიჭირეს ცხენები. თეთრა და ქუთანა ფრუტუნებდნენ, ლაგამის წაყრას ლამობდნენ, ერთს გვენდურმა ჩაავლო სადავეში ხელი, მეორეს ყმაწვილმა ქალმა და ერთხელ კიდევ აღტაცებით გადახედა ზღვას, რომელიც ჭაბუკს უნდა გადაეცურა. ჭაბუკი კი თვალს ვერ აშორებდა მას.

—ახლა კი დროა გამოვეთხოვოთ ერთმანეთს, — ნაღვლიანად თქვა ყმაწვილმა ქალმა და ცხენის თავსზემოდან გაუწოდა ჭაბუკს თბილი, ფაფუკი ხელი, გვენდურმა ხელი ჩამოართვა. გოგონა მიხვდა, რომ ჭაბუკს არ უნდოდა მასთან განშორება, უხაროდა კიდეც ეს და თან სევდაც მოერია.

— როცა იქიდან დაბრუნდები, მე შეგხვდები, -- უთხრა ყმაწვილმა ქალმა, რომ გვენდურიც და თავისი თავიც ესუგეშებინა.

გვენდურს არაფერი უპასუხია. ყმაწვილი ქალი შედგა, თეთრ ცხენს კისერზე დაადო ხელი და ჭაბუკს შეხედა.

— საუცხოო ცხენები გყავს, — უთხრა გვენდურმა და თეთრ ჭაკს ალერსით ფაფარზე ხელი გადაუსვა.

ყმაწვილმა ქალმა გაიცინა. სულ ერთნაირები არიან ეს ყმაწვილები, ერთთავად საბაბს ეძებენ დროის მოსაგებად.

— მომყიდე შენი ცხენები, — სთხოვა გვენდურმა.

— მოგყიდო? შენ ხომ მიდიხარ, რათ გინდა ცხენები?

— ჩემი ცხენები იქნებიან. მე ბევრი ფული მაქვს.

— როცა ამერიკიდან დაბრუნდები, გაჩუქებ ამ ცხენებს.

— რა გქვია?

— აკი გითხარი, როცა დაბრუნდები, სახელს მაშინ გეტყვი-მეოქი.

— შენი სახელი თუ არ მეცოდინება, აბა, როგორ ვიცხოვრო იქ?

— წერილის მოწერას ხომ არ აპირებ?

— რატომაც არა.

— ცოტა კიდევ გავიაროთ, მოვილაპარაკოთ ამაზე.

დაძრეს თუ არა ცხენები, თეთრა ისევ წინ გაეცთო, ქურანა მიჰყვა. მიწა მშრალი იყო და უცებ გაეხვივნენ მტვრის ბოლქვებში, ქარი სახეში სცემდათ, ორივე იცინოდა, მიქროდნენ ჩამავალი მზისკენ. ეს იყო ფანტასტიკური არსებების ქროლვა ღრუბლებში, მზის მოლადღადე ალისკენ.

ეს იყო ქვეყნად ყველაზე წარმტაცი მოგზაურობა. ცხენები გამალებული მიქროდნენ, ნაბიჯს არ ანელებდნენ, ჭაბუკი და ქალიშვილი არ ლაპარაკობდნენ. სადღაც შორს, უშენში თეთრად ალაპლაპდა ტბა, გამოჩნდა ირგვლივ შემოჯარული შავი კლდეები, ხავსი, თეთრი ჩამჭკნარი ბალახი და წითელი თიხა. სამხრეთით კი, შორს, მოციისფრო-მოცისფრო ნისლი მარმაშივით შემოხვეოდა მთებს და მოჩანდა დათოვლილი მყინვარები. ზღვა დიდი ხანია თვალს მიეფარა. დღე მიიწურა. ცხენების ფლოქვების თქარაქურზე ბალახიდან ჭყივილით ამოფრთხიალდნენ ველის დამფრთხალი ფრინველები, საძოვარზე გაშლილი ფარა წამოიშალა და გაიფანტა.

ჯერ ტბას არ მიახლოვებოდნენ, რომ ყმაწვილმა ქალმა ცხენი ნებაზე მიუშვა, ქურანი ძველებურად გაჰყვა თეთრას, ჯერ ხავსმოდებულ ქვებზე მითქარუნებდნენ, მერე ჭაობი გადაჭრეს და ტბის ციცაბო, ბალახოვან ნაპირს მიადგნენ. ეს ყველაზე მაღალი ადგილი იყო იმ მიდამოში.

ტბაში წყვილი გედი ცურაედა, ჩრდილები გაგრძელდა, მზე ჰორიზონტს დაეკიდა, აგრილდა. ყმაწვილი ქალი დაქვეითდა, გვენდურიც ჩამოხდა ცხენიდან. თეთრ ჭაკს უნაგირზე დამაგრებული ჰქონდა დახვეული თბილი ლაბადა. გოგონამ ჩამოხსნა ლაბადა, მოიხვია, ჯიბიდან ტკბილეული ამოიღო და ჭაბუკს გაუნაწილა. შემდეგ ტბის ნაპირზე ჩამოჯდა და გვენდურს უთხრა:

— დაჯექი, — გვენდური გვერდით მიუჯდა. — შეხედე გედებს, — უთხრა გვენდურს და გედებს მიაჩერდა. — ხომ არა გცივა?

— არა, — უპასუხა გვენდურმა.

— მე კი გატყობ, რომ გცივა, ჩემკენ მოიწი, ლაბადას მოგახვევ, შენ ტანსაცმელს კვამლისა და ბუმბულის სუნი უდის, — უთხრა ყმაწვილმა ქალმა. გვენდურმა მისკენ მიიწია.

— რაო, რა თქვი, კვამლისა და ბუმბულის სუნიო?

— ჰო, მაგრამ შენ ლამაზი თმა გაქვს, — და თეთრი, ფაფუკი ხელი გადაუსვა თავზე, —აქაც ფართო ხარ, აი აქაც. თვალები კი ისეთი გაქვს, ნამდვილი მამაკაცის.

გედები ნაპირთან მოცურდნენ, უყურებდნენ ქალ-ვაჟს და დროდადრო ჩუმად სიოდნენ.

— შეხედე, რა ლამაზები არიან, როგორ ცურავენ, რა მომხიბლავია მათი ყოველი მოძრაობა.

— დიახ, — უპასუხა გვენდურმა. ის უყურებდა გედებს და ხედავდა იმის, რასაც ყმაწვილი ქალი ხედავდა. გვენდურს ჯერ მოეჩვენა, რომ ტბაში წყლის ჩვეულებრივი ფრინველები ცურავდნენ, მაგრამ ახლა კი მიხვდა, რომ გედები იყვნენ, დედალ-მამალი გედი, უბრალო ფრინველები კი არა, არამედ წყვილი და ამაში რაღაც ღრმა აზრი იყო.

— მათ ერთმანეთი უყვართ, — თქვა ყმაწვილმა ქალმა, თან გედებს თვალს არ აშორებდა.

გვენდურს ხმა არ ამოუღია, მდუმარედ შეეხო მის ხელს, უნებლიეთ, სხვა რით უნდა ეპასუხნა? შეიგრძნო ქალის ნორჩი ხელის სითბო. ეს უკვე თვით სიცოცხლე იყო. ასე ეჭირა მისი ხელი და გედებს შეჰყურებდა. გედები კი ნელა ცურავდნენ ნაპირთან ახლოს, თან მათ შეჰყურებდნენ.

— მომხიბლავები არიან, არა? — ჰკითხა ყმაწვილმა ქალმა ჭაბუკს და უცებ შეაჟრჟოლა, მიეკრა, მისი თმა სახეში უხიცინებდა გვენდურს და იგი ცხელი ტუჩებით დაეკონა ქალს ლოყაზე.

— ფიორდში როგორ დაბრუნდები ახლა? — ჰკითხა ყმაწვილმა ქალმა და ეშმაკურად შეანათა თვალები.

— არსად არ მიმეჩქარება,—უპასუხა გვენდურმა,—ღამე გრძელია,—და მერე ჩუმად დაუმატა: — ისე მიყვარხარ, ისე! მითხარი, მართლა დამელოდები?

— ჩუ... ნურაფერს იტყვი, — უპასუხა ქალმა და შიგ ტუჩებში აკოცა გვენდურს, ჯერ ერთხელ აკოცა და გაიცინა, მერე ორჯერ აკოცა, ამოისლუკუნა და მხურვალედ დაეკონა ჭაბუკს, თითქოს ის მისი საკუთრება ყოფილიყოს, — და თვალი დახუჭა.

როცა გვენდური დიდი, დიდი ხნის შემდეგ წამოდგა მისი თბილი ლაბადიდან, მზე კარგა ხნის ჩასული იყო, გედები გაქრნენ, იქნებ არც კი იყვნენ იქ. იქნებ თვალმა მოატყუა და ეს ღამეც ჩვეულებრივი ღამე იყო, გაზაფხულის ღამე უშენში?

ყმაწვილმა ქალმა ცხენების დაჭერა უბრძანა, შებრუნდა, შეიმალა თავის ლაბადაში და ნახევრად გადაწოლილი ისწორებდა კაბას, თმა გადაივარცხნა.

გვენდური გაოგნებული იყო, ერთი აზრიც კი არ უტრიალებდა თავში, დაჭკარგა წარმოდგენა სივრცესა და დროზე. ცხენები შორს წასულიყვნენ, ტბის მეორე ნაპირზე ბალახობდნენ, ქურანას ავშარა წაეყარა და გვენდურს დიდი ჭაპანწყვეტა დაადგა, ცხენი გაურბოდა, ახლოს არ იკარებდა, ჭაბუკი ხან გუბეში ჩავარდა, ხან ტალახში მუხლამდე ჩაეფლო, მისი პრიალა ხამლი აღარ პრიალებდა. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო, ქურანა თეთრ ჭაკთან მიიტყუა, ამერიკაში წასაღებად ნაყიდი თოკი, ლაშებში ამოსდო, ცხენების პატრონს მიჰგვარა. ყმაწვილი ქალი თვალის დახამხამებაში მოეკლო უნაგირზე თეთრას და მიუშვა. ცხენი შურდულივით გაიჭრა.

ქურანას კი ვერა და ვერ მოერია გვენდური. ცხენი ხტოდა, ტლინკებს ჰყრიდა და გვენდური ახლოდა მიხვდა, რომ გაუხედნავ კვიცზე იჯდა. დიდი წვალებისა და ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, გზაზე გაიყვანა ცხენი. ყმაწვილი ქალი უკვე შორს წასულიყო, თეთრა ოთხამოღებით, შურდულივით გადაჰქროდა ბორცვიდან ბორცვზე. ქურანამ დაიჭიხვინა და ამხანაგს გამოუდგა. მაგრამ თურმე დიდი ამტანობით არ გამოირჩეოდა, მალე დაიქანცა, გაიქაფა, ფერდობზე ფეხი დაუსხლტა, წაიქცა და მხედარი ძირს დასცა. გვენდურს ორიევე ლოყა დაეკაწრა, წამოხტა თუ არა, უმალ საათი ამოიღო ჯიბიდან, ხომ არ გამიტყდაო. არა, საათი არ გატეხილა, მაგრამ ღამის ორ საათს კი უჩვენებდა. ღამის ორი საათია, გვენდური ისე შორსაა ფიორდიდან, ალბათ გათენებამდე ვერც მიაღწევს იქამდე. ცხენს რაღა უყოს? ხომ უნდა დაუბრუნოს პატრონს, ვიდრე ფიორდში ფეხით წავა?

— ჰეი-ჰეი! — გასძახა გვენდურმა დაწინაურებულ ქალს.

მაგრამ მათ შორის მეტად დიდი მანძილი იყო და — ყმაწვილი ქალი ბორცვს მიეფარა. უნდა დაეწიოს, უსათუოდ უნდა დაეწიოს, დაუბრუნოს ცხენი. და გვენდურმა ორფად გამონასკვა თავისი თოკი, რომ როგორმე მოერჯულებინა ქურანი, ისევ მოახტა ცხენს და გაქუსლა.

— ჰეი, ჰეი, — უყვიროდა ყმაწვილ ქალს. — ეჰეი! შენი ცხენი, შენი ცხენი!

მაგრამ როცა მიაღწია უშენის დასავლეთ ნაპირს, საიდანაც მოელი ხეობა მოჩანდა თვით ზაფხულის სავანამდე, სამი საათი გახდა, განთიადი ახლოვდებოდა. თეთრას ფლოქვებით აყენებული მტვრის ბოლქვები სადღაც შორს, შორს, ქვემოთ მიიწევდა, ხეობის დასავლეთით. თეთრა შურდულივით მიჰქროდა, ოდნავადაც არ შეუნელებია ნაბიჯი. შეუძლებელია, შეუძლებელი, ვეღარ დაეწევა, მით უფრო, რომ ქურანი სუსტი გამოდგა, დაიქანცა უკვე. გვენდური დაქვეითდა, ახლადგაღვიძებული კრონშნეპები ყოველი კლდიდან, ყოველი ბორცვიდან შემოსჭყიოდნენ რაღაცას. ჩქარა უნდა გადაწყვიტოს, რა

ქნას, რა გზას დაადგეს! თუ ცხენს აქ გაუშვებს და ფიორდში ფეხით წავა, ჩაუსწრებს კია ხომალდს? ალბათ ვეღარ ჩაუსწრებს, თუ. რა თქმა უნდა, გემმა არ დაიგვიანა. უკვე სამი საათი იყო, გვენდური ცხენმა საშინლად გააწვალა, ორჯერ გადმოვარდა, გახელებულმა ჭენებამაც დაქანცა, გარდა ამისა, საშინლად შიოდა და უცებ გაახსენდა, რომ გუშინ დილას აქეო, სასტუმროში რომ ისაუზმა, პირში ლუკმა არ ჩასვლია, გარდა იმ ტკბილეულისა, ყმაწვილი ქალი რომ გაუმასპინძლდა.

თუ თავისი ხებით, პატრონის უკითხავად ქურანას ფიორდისკენ გააქროლებს — ეს კი ეპატიება, ასეთ უკიდურეს გასაჭირში მყოფს, — ჩაუსწრებს თუ ვერა გემს? და გვენდურმა გადაწყვიტა, რომ ბედი უნდა ეცადა, რომ მხოლოდ უკიდურესი გაჭირვება აიძულებდა ჩაედინა ეს და რომ უპატიოსნებას ვერავინ დასწამებდა. ისევ მოახტა ცხენს, მაგრამ ქურანა გაჯოქდა. ბევრი ურტყა ფერდებში მუხლები თუ მუშტები და მაინც ვერ გადააღგმევინა ნაბიჯი. ცხენი ყალყზე დგებოდა, ადგილიდან კი არ იძვროდა, მან იცოდა, რომ მისი ამხანაგი, რომლის გვერდითაც თავლაში იდგა, ალმოსავლეთისკენ წავიდა და ვერავითარი ძალა სხვა მხარეს ვერ წაიყვანდა. იმედი რომ გადაუწყდა, გვენდურმა ნებაზე მიუშვა ცხენი. როგორც კი თავისუფლება იგრძნო ქურანამ, ადგილს მოწყდა, გახელებული გაენთო ხეობისკენ, თავს აქნევდა, გამწარებული ფრუტუნებდა. ჭიხვინებდა. ჭაობს რომ მიაღწიეს, იქვე, ზაფხულის სავანესთან, გვენდურმა თვალი ჰკიდა, როგორ გადაიქროლა ერთ-ერთ ბორცვზე თეთრამ. მაშასადამე, ჯერ კიდევ მხედველობის არეში ყოფილა. გვენდურმა, როგორც იყო, დიდი გაჭირვებით გადაიყვანა ცხენი თავისი ხუტორისკენ მიმავალ ბილიკზე. ოოკი მოხსნა და გაუშვა. ცხენს სულ დაჭრილი ჰქონდა თოკისგან ყბები, უცებ გაგორდ-გამოგორდა ბალახში, მერე წამოხტა, ტანი შეიფერთხა და დაიფრუტუნა, მთლად გაქაფულიყო, ძაგძაგებდა. ირიჟრაჟა, ხუტორის ჩრდილი უზარმაზარ სასახლეს ჰგავდა. მხოლოდ გარიჟრაჟზე, მზის ამოსვლამდე დგას ასეთი ზეიმური წუთები, როცა ირგვლივ ყველაფერი გარინდულია, როცა მდუმარება, სილამაზე და მყუდროება მეფობს. ახლაც ასე იყო ბუნება განაბული. უნაზესად ეღერდა ფრინველთ გალობა, მომხიბლავად ლაპლაპებდა მოსარკული ტბა და ჭაობში ჩამდინარე მდორე წყალი. ცისფერ მთებს თვალი ზეცისკენ აღეპყრო, თითქოს საერთო არაფერი აქვთ ამ ქვეყანასთანო, მთელი ხეობა ისე შორს იყო სინამდვილისგან თავისი სიტურფით, თავისი მომხიბლავი მყუდროებით, თითქოს ისიც მოწყვეტია ამ სამყაროსო. არის ისეთი წუთები, როცა გეჩვენებათ, რომ თქვენც არაფერი გაქვთ საერთო ამ სამყა-

როსთან, ადამიანს ამ დროს აღარ ესმის საკუთარი თავისა და ვერც ვერასოდეს გაუგებს, გინდაც მარად იცხოვროს.

ხუტორში ყველას ეძინა, გათენებას კარგა ხანი უკლდა. ჭაბუკისთვის ეს იყო საოცარი დღე, მსგავსი რამ არასოდეს არ განუცდია. ბალახში ჩაჯდა, თავისი ბოსტნის მესერთან და ჩაფიქრდა. ფიქრობდა ამერიკაზე, იმ საუცხოო ქვეყანაზე, ზღვის იქითა ნაპირზე რომ მდებარეობდა, ამერიკა, სადაც ყველას შეუძლია მიზანს მიაღწიოს. ნუთუ სამუდამოდ დაკარგა იგი? ოჰ, ეგ არც ისე დიდი დანაკარგია! სიყვარული უკეთესია, სიყვარული უფრო ღირსსაცნობია, ვიდრე ამერიკა. სიყვარული — ეს ერთადერთი ნეშმარიტი ამერიკაა! მართლა უყვარს გოგონას გვენდური? დიახ, უყვარს, ნამდვილად უყვარს! ისეთს ვერაფერს დაასახელებთ, რაც თავის თავს ისე არ ჰგავდეს, როგორც სამყარო, — სამყარო ნამდვილი საოცრებაა. იქნებ იმიტომ გაექცა გოგონა, რომ რედსმირელთა ერთ-ერთ საუკეთესო, ცნობილ ცხენზე იჯდა და თავი ვერ გაართვა? ამ განუმეორებელ, ამ ზღაპრულ ღამეს ჭაბუკმა იწამა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა იგი უკვე მდიდარი გლეხი გახდება, ის გოგონა ცოლად წაიყვანა. და რაკი ასე დაიწყო ყველაფერი, განა შეიძლება სხვაგვარად დამთავრდეს? მან ჰპოვა თავისი ბედნიერება, თუმც ეს ბედნიერება დღეს მას გაექცა. მაგრამ გვენდური იმით ამართლებდა ყმაწვილი ქალის საქციელს, რომ ფიცხმა ცხენმა თავი წაართვა. გვენდური ამერიკული ფულით იყიდის ჯიშიან ცხენს და თავის გოგონას გვერდით, საკუთარ რაშზე ამხედრებული იქროლებს აქეთ-იქით. გვენდური მესერის ძირას გაიშოტა ბალახზე, თვალი მიაპყრო ლაჟვარდ ცას, ერთმანეთს ადარებდა სიყვარულს, რომელიც ჰპოვა, და ამერიკას, რომელიც დაჰკარგა. დიახ, სიყვარული უფრო ღირსსაცნობია, სიყვარულია მოავარი. სულ თვალწინ ედგა ყმაწვილი ქალი: აი, მიჰქრის იგი უშენის ბორცვებზე, როგორც აჩრდილი ნათელ ღამეში, კალმით ნაჩატი, მიმინოსავით მოქნილი გოგონა, ქარი უწეწავს ოქროსფერ კულულებს, მისი ლაბადა ფერდებზე ეტყლაშუნება თეთრას, ის კი, გვენდური, უკან მისდევს, მიაგელვებს ქურანას ბორცვიდან ბორცვზე, ვიდრე ყმაწვილი ქალი ცისფერ სივრცეს არ შეერწყა და თვითონაც არ ჩაიძირა იმ სივრცეში. გვენდურს დაეძინა.

თავი სამოცდამეექვსე

პოლიტიკა

რაში იყო ინგოულფ არნარსონის წარმატების საიდუმლო? რა ნიჭის წყალობით ავიდა ესოდენ სწრაფად ძლევამოსილების მწვერვალზე: უსახელობიდან — დიდებამდე, არარაობიდან — ხელისუფლების სათავემდე? ჯერ კიდევ

ჭაბუკი იყო ინგოულფი, როცა თავისი ქვეყნის პირველი თავკაცების რიგში ჩადგა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა გახდა, ალთინგში თავის პარტიას თაოსნობდა. მისი პორტრეტი ყოველდღე იბეჭდებოდა გაზეთებში, მსხვილი შრიფტით აწყობილი მისი გვარით გაზეთის ფურცლები იყო აჭრელებული. იქნებ გარდასულ დროის სახელოვანი ადამიანებივით ისიც დღე-ღამეს შრომაში ასწორებდა და ამით მოიხვეჭა დიდება? თუ თვალი სულ იმაზე ეჭირა, სად რა იყიდებოდა ჩალის ფასად, რომ მერე დიდი მოგებით გაეყიდა და სხვისი უბედურებით ესარგებლნა? მიწის ნაკვეთებს ხომ არ იძენდა იაფად და როცა მიწის ფასი იწევდა, მამასისხლად ჰყიდდა? გაზაფხულზე სესხად ხომ არ აძლევდა გაჭირვებულ ხალხს თავას და ცხვარს ხომ არ იტოვებდა გირაოდ? ან იქნებ შიმშილობის დროს სურსათით და ფულით ხელს უმართავდა ხალხს და მევახშურ პროცენტებს აძრობდა? იქნებ შიმშილით კუჭს იხმობდა, ციხიდან გამოქცეული ბოროტმოქმედივით. უკაცური ადგილებით რომ მიიკვლევს გზას და უკანასკნელ ლუკმას იზოგავს. დღეში ერთხელ ხომ არ ჭამდა ღატაკი გლეხებივით, წელგაუმართავად რომ დღეში თვრამეტ საათს შრომობენ და მაინც ვერ ამოდიან ვალიდან, ვაჭარი მაინც უხურავთ კრედიტს და სასიკვდილოდ სწირავთ? ერთადერთი, ისიც ფეხმომტვრეული სკამი ხომ არ ედგა სახლში? მაწანწალასავით ან მოჯამაგირესავით ჭუჭყიანი, დაკონკილი სამოსი ხომ არ ეცვა? სკივრის ძირში ხომ არ კეცავდა, ერთიმეორეზე ხომ არ ალაგებდა ათასკრონიან ქაღალდებს, ვიდრე გამსესხებელ სალაროს გააღებდა და დაწესებული პროცენტით ფულის სესხად გაცემას დაიწყებდა, საწყალ ხალხს კი ერთთავად შესწუწუნებდა, ვალებში ვარ ჩაფლული და მალე ალბათ სულსაც დავაგირავებ ვალის დასაფარავადო? არა, ასეთი არ გახლდათ ინგოულფ არნარსონი. ინგოულფი დიდი გაქანების კაცი იყო, ეს დედისგან დაჰყვა. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ იქნებ ხომალდების მფლობელი იყო, მისი მეთევზეები თვეობით ზღვაში აღამებდნენ, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ, მოგებას კი ინგოულფ არნარსონი სულ თავისკენ ითვლიდა, მეთევზეებს გროშებს უხდიდა და მათ ჯალაბი შიმშილით ეხოცებოდა? ინგოულფი კი წითელი ხის ძვირფას ავეჯს ყიდულობდა და შინ ელექტროგანათებაც ჰქონდა გაყვანილი? იქნებ დანიასა და სხვა შორეულ ქვეყნებში ჰყიდდა ხორბალს, ტყავს აძრობდა ისედაც სულთმობრძავ ადამიანებს? საკუთარი დუქანი ხომ არა ჰქონდა, ფეხქვეშ ხომ არ ეგებოდა მდიდარ გლეხებს, თვითონ რომ ადებენ ფასს თავის საქონელს და ვაჭარს ემუქრებიან, თუ ამ ფასზე ყაბულს არა ხარ, ცხვარს სხვას მივყიდითო, ღატაკებს კი, ვინც დროზე ვერ უხდიდა ვალს, კრედიტს უხურავდა გაზაფხულზე, სულსა ჰხდიდა, წელის გამართვის საშუალებას არ აძლევდა? არა, ინგოულფ არნარსონი სოფლის მევახ-

შეთა და ვაჭართა სისხლიანი გზით როდი მიდიოდა დიდებისკენ, არც იმ გზით, რომელიც დღემდე ითვლება დიდებისა და პატივისკენ მიმავალ ერთადერთ გზად, — თუ იმ გზებზე ვილაპარაკებთ, რომელთაც მართლმსაჯულებისა და ისლანდიელთა საზოგადოების აღიარება ჰპოვეს.

პატივი და დიდება ინგოულფ არნარსონს უპირველესად ყოველისა თავისმა იდეალებმა მოუპოვა, კაცობრიობისადმი მისმა ურყევმა სიყვარულმა, რწმენამ იმისა, რომ ხალხს ცხოვრების უკეთესი პირობები და განათლება სჭირდება. მან მიზნად დაისახა ისლანდიელებისთვის შეემსუბუქებინა არსებობისათვის ბრძოლა, გაეუმჯობესებინა ქვეყნის მმართველობის სისტემა, მიეღწია იმისათვის, რომ მთავრობა ვაჭართა სასტიკი ძალაუფლების უსუსური დანამატი კი არ ყოფილიყო, არამედ წვრილ მწარმოებელთა და, უპირველეს ყოვლისა, გლეხობის ძლევამოსილი მოკავშირე, მათი მარჯვენა ხელი გამხდარიყო არსებობისათვის ბრძოლაში და პარაზიტებისათვის გასაქანი არ მიეცა. ინგოულფ არნარსონს უნდოდა მხარში ამოდგომოდა გლეხობას, მაღლა აეყვანა ისინი საზოგადოების საფეხურზე, რომ მათი პატივსაცემი და სასიქადულო შრომა დაფასებულიყო არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. რაღა გასაკვირველია, რომ ასეთი იდეებისთვის მებრძოლი კაცი გლეხობამ თავის წარმომადგენლად აირჩია ალთინგში, სადაც მათი კეთილდღეობის საკითხი წყდებოდა.

ეს საარჩევნო ოლქი უწინ უპატრონოდ იყო მიგდებული. იმას ვერ ვიტყვით, თითქოს მოხუც ფინსენს, რომელსაც ბრუნი უდგა მხარში, ხმა არ აემაღლებინოს ალთინგში, არა, ექიმი ფინსენი ათეული წლების მანძილზე იბრძოდა იმისათვის, რასაც იმ დროს „მარადიულ საკითხს“ უწოდებდნენ. ეს „მარადიული საკითხი“ ის გახლდათ, რომ აეძულებინათ მთავრობა სახსრები გამოეყო ფიორდში ნავმისადგომისა და მოლოს ასაგებად. რამდენჯერმე მიაღწიეს კიდეც მიზანს, რამდენჯერმე ააგეს ნავმისადგომი და მოლო, მაგრამ რამდენჯერაც ააგეს, ზღვამ იმდენჯერ წალეკა გაზაფხულზე. ისევე აგებდნენ ახალს და იგივე მეორდებოდა ყოველ წელს.

მას შემდეგ, რაც ინგოულფ არნარსონი ალთინგის დეპუტატი გახდა, ნავმისადგომის აგების საკითხი საჯაროდ აღარ წამოუჭრიათ. სამაგიეროდ, მან დაიწყო გზების გაყვანა და ხიდების აგება ისეთ საარჩევნო ოლქებში, სადაც მოსახლეობა რიცხვობრივად სჭარბობდა. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი გახლდათ. შემდეგ იგი შეუდგა დიდი მოცულობით ახალი მიწების დახვნის და გლეხობისათვის ხეირიანი სახლების აგების ორგანიზაციას. განზრახული ჰქონდა რეიკიავიკის სახალხო ბანკის ლიკვიდაცია, რადგან ეს ბანკი თეზით მოვაჭრე სპეკულანტების კეთილდღეობის დაუშრეტელ წყაროდ იქცა, და მის

ნაცვლად უნდოდა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსება, მით უფრო რომ სახელმწიფო უკვე იყო თავდები მისი ვალების დიდი ნაწილისა. ინგოულფს ასე ჰქონდა განზრახული, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკი მცირე პროცენტით გასცემდა სესხს გლეხებზე მეურნეობისა და შენებლობისთვის. გარდა ამისა, ინგოულფს უნდოდა სახელმწიფო სახსრებიდან შეექმნა სპეციალური ფონდი და გლეხობისთვის გაეცა სესხი სამეურნეო იარაღების: გუთნების, ფოცხების, ტრაქტორების, სათიბი მანქანების, საქსოვი მანქანებისა და სეპარატორების შესაძენადაც კი. აპირებდა საზოგადო სახსრების ფონდის შექმნასაც — ნაკელის ცისტერნების ასაგებად. ინგოულფ არნარსონი ნაკელის გროვისა და ნაკელის ღია ორმოების სასტიკი მტერი იყო. განზრახული ჰქონდა სოფლის ელექტროფიკაციაც, მაგრამ ეს ჯერ ბუნდოვანი შორეული მომავლის საქმე გახლდათ. ძილში თუ ცხადში, მთელი მისი გულისყური სასოფლო-სამეურნეო საკირბოროტო საკითხებს უტრიალებდა. მართალია, ინგოულფი ჯერ კიდევ ითვლებოდა სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარედ და თავის ადგილსამყოფელად ფიორდს თვლიდა, მაგრამ უმეტეს ხანს დედაქალაქში ატარებდა, იქ მუშაობდა, თავისი პარტიის გაზეთს რედაქტორობდა, სათავეში უდგა სასესიათშორისო კომიტეტებს და კიდევ სხვა პოსტებიც ეჭირა, რაც გლეხობამ მას მიანდო. კოოპერაციის კავშირში თანაშემწე ჰყავდა. ინგოულფ არნარსონი არასოდეს არ ფიქრობდა პირად სარგებლობაზე, მოკლედ რომ ვთქვათ, იგი გახლდათ თავისი დროის ჭეშმარიტი ინგოულფ არნარსონი,* იმ განსხვავებით, რომ იოუნსონს ეძახდნენ.

გაზაფხულზე ახალი არჩევნები უნდა დაწყებულიყო. თითქოს წინ ვერაფერი დაუდგებოდა ინგოულფს, თითქოს მასზე შესაფერ კანდიდატს ვერ გამონახავდა ხალხი, მაგრამ, ნურას უკაცრავად. ასე იოლი როდია კაპიტალიზმის ძალმომრეობის აღმოფხვრა, მიუხედავად იმ მარცხისა, რაც კაპიტალიზმმა უკვე განიცადა.

უკანაკნელ წლებში — კეთილდღეობის ეპოქაში, სავაჭრო პატარა ქალაქებში არათუ შენელდა ეგოისტური მისწრაფებანი, კიდევ უფრო გაძლიერდა. ზემოხსენებულ საარჩევნო ოლქში კი შედიოდა ისეთი პატარა სავაჭრო ქალაქები, როგორიც ფიორდი და ვიკია, სადაც გეზს აძლევდნენ გემთმფლობელები, ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, აგრეთვე ერთი ახლად გამომცხვარი კომერსანტი, რომელმაც გარს შემოიკრიბა დამოუკიდებელი ადამიანები სავაჭრო პატარა ქალაქებიდან თუ სოფლებიდან და გლეხის ქალიც კი შეირთო

---

* ინგოულფ არნარსონი იყო ისლანდიელი ერთ-ერთი პირველი კოლონისტთაგანი. მამასახლისის ვაჟს მის პატივსაცემად შეარქვეს ეს სახელი.

ცოლად — მთების მეფის ქალიშვილი. ხმა დადიოდა, ეს კომერსანტი ერთ დროს თაღლითობისთვის პასუხისგებაში ყოფა მიცემული და სასჯელიც მოიხადაო.

ვიკში თანდათან ფეხს იკიდებდა უცხოეთიდან შემოჭრილი ახალი მოძღვრება — ეგრეთ წოდებული სოციალიზმის მოძღვრება. რეიკდალიდან სპეციალურად დაგზავნილი წამქეზებლები ყოველნაირად ცდილობდნენ სწორი გზიდან აეცდინათ მეთევზეთა ქოხმახების მკვიდრნი და ისეთი წყალწაღებულები, რომელთაც სულს იქით არა ებადათ რა, აემხედრებინათ ისინი როგორც ღვთის, ისე ხალხის წინააღმდეგ. თითქოს ღმერთიც და ხალხიც წინასწარ არ ყოფილიყვნენ ზიზღით განმსჭვალულნი ამ მოძღვრების მიმართ.

ინგოულფ არნარსონი ამბობდა:

—სოციალიზმი ბოდვაა, სოციალისტები აცდენენ ღატაკებს ურიცხვი დაპირებებით, რომელთა აღსრულებაც შეუძლებელია მანამ, ვიდრე კაცობრიობა არ მიაღწევს ღვთაებრივ სრულქმნილებას. მათი ჭეშმარიტი მიზანი მხოლოდ ძარცვა და ხალხის ჟლეტაა.

მაგრამ სოციალისტების შიში სულ არ ჰქონდა ინგოულფ არნარსონს. მას საფრთხე სულ სხვა მხრიდან ემუქრებოდა. როგორც გამოირკვა, კაპიტალისტებმა ინგოულფ არნარსონის საწინააღმდეგოდ წამოაყენეს ისეთი გავლენიანი კაცი, რომელსაც მთელი ბანკი უჭერდა მხარს, სწორედ ის სახალხო ბანკი. რომლის გაუქმებაც განიზრახა მან, რომ მის ნაცვლად სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ბანკი დაეარსებინა, რომელსაც სათავეში მისი მომხრეები ჩაუდგებოდნენ, თუკი ამის რწმენებულებას მიიღებდა. რეიკდალელმა თაღლითებმა თავისი კანდიდატი, ბანკის დირექტორი გაგზავნეს სოფლებში მათი სახარების საქადაგებლად. ჰოდა, რა გამოირკვა? თურმე ნუ იტყვით. კაპიტალისტების ეს უპრინციპო მოციქული იმდენად გათავხედდა, რომ ამომრჩევლებს აღუთქვა არა მარტო იმის გაკეთება, რასაც უკვე შეჰპირდა მათ ინგოულფ არნარსონი. არამედ ელექტროფიკაციაც სულ ახლო მომავალში და განა მარტო საარჩევნო ოლქებში, მთელს ისლანდიაში. ინგოულფ არნარსონმა თქვა:

— რაღა ამ თავხედის დაპირებები და რაღა სოციალისტების ბოდვა, განსხვავება მხოლოდ ის არის, ვინ უფრო მეტად აფრენს. მართალია, ბანკის დირექტორი ძარცვა-მკვლელობისთვის არ აქეზებს გლეხებს, მაგრამ ის ხომ ემსახურება მდიდრების მესუფრეების იმ პატარა ჯგუფს, უამისოდაც რომ ძარცვავენ და ხოცავენ ხალხს პირველი ახალმოშენეების დროიდან დღემდე, ასე რომ სოციალიზმის ქადაგება აღარ სჭირდებოდათ.

ბანკის დირექტორმა გლეხობას გააცნო თავისი პროგრამა, აღუთქვა იმა-

ზე მეტი, რასაც ინგოულფ არნარსონი ჰპირდებოდა: იგი ეფიცებოდა ხალხს, რომ თუ მას აირჩევდნენ, სულ მოკლე ხანში განახორციელებდა გეგმებს. შემდეგ ქალაქებს მიაშურა. ვიკის მოსახლეებს შეეპირდა, რომ მათ ქალაქში გახსნიდა დიდ ბანკს, დააარსებდა დიდ სანაოსნო კანტორას. ფიორდში ხალხს აღუთქვა მაღაროს და ძვლის საფქვავი ქარხნის აგება. ბუნებრივია, რომ ზღვისპირა რაიონების მოსახლეობას ჭკუაში დაუჯდა ასეთი დაპირებები და ბანკის წარმომადგენელს აქაც გაუჩნდა მომხრეები. ძვირფასი იყო ყოველი წუთი, ინგოულფ არნარსონი უკვე სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდა. რას იზამს ინგოულფი? არა, ღრმად პატივცემულო ამომრჩევლებო, განა ინგოულფ არნარსონი ისეთი მიამიტი კაცია, რომ ნება მისცეს ვინმეს მისი საკუთარი პოლიტიკური სატყუარათი მიიზიდოს ხალხი?

რა ქნა ინგოულფ არნარსონმა? მან მკვდრეთით აღადგინა „მარადიული საკითხი" — მისი წინამორბედის, ექიმ ფინსენის აჩემებული საგანი — ნავსადგომისა და მოლოს აგება. და კიდევ მეტიც. ინგოულფი შეეპირდა ხალხს, რომ თუ მას აირჩევდნენ, პატარა ნავმისადგომსა და მოლოს კი არ დასჯერდებოდა, ისეთ დიდ ნავმისადგომს ააგებდა, რომ ნახევარი მილიონი კრონი დაჯდებოდა. მშენებლობის ასეთი ვრცელი პროგრამა იმის საწინდარი გახლდათ, რომ არა მარტო ფიორდის, არამედ მეზობელი ქალაქის — ვიკის მუშებსაც ექნებოდა სამუშაო. ინგოულფის სიტყვით, ნავსადგურის აგების შემდეგ სახელმწიფო კიდევ სხვადასხვა ნაგებობის მშენებლობას დაიწყებდა, ეაგრამ ამის ჩამოთვლა ბევრ დროს წაგვართმევს. ნავსადგურის საკითხი არასოდეს არ ითვლებოდა ისეთ საჭირბოროტო საკითხად, როგორც ახლა. ბანკის დირექტორმა ფიორდის მცხოვრებთ მაღაროსი და ძვლის საფქვავი ქარხნის აგება აღუთქვა, ინგოულფ არნარსონმა ძვლის საფქვავ ქარხანას ვიკში გადაანაცვლებინა ადგილი, სანაოსნო დიდი კანტორის საბადლოდ კი (ეს ბანკის დირექტორის მთავარი სატყუარო იყო) გემის წვრილ მეპატრონეთა კომპანიას აღუთქვა სახელმწიფო დიდი სუფსიდია და არწმუნებდა, რომ მათი კომპანია ახლო მომავალში აყვავდებოდა, ვიკის მოსახლეობა, თვით უკიდურესი ღატაკებიც კი, კეთილდღეობის მაღალ საფეხურზე ავიდოდნენ. რაც შეეხება მაღაროს, ააგებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხარისხიანი ნახშირი აღმოჩნდებაო. როცა საქმე ასე შორს წავიდა, ძნელი იყო იმის გამორკვევა. თუ რომელი კანდიდატი აძლევდა მათ უკეთეს დაპირებებს და ახლა არჩევნების შედეგი დაპირებებზე კი აღარ იყო დამყარებული, არამედ ორატორის ხელოვნებაზე, იმაზე, თუ რომელი მათგანი შესძლებდა თავისი მჭევრმეტყველებით ხალხის გულის მონადირებას. ხმები დადიოდა, მუშებმა, რაკი მუდმივი სამუშაოს შოვნის იმედი მიეცათ, ზურგი შეაქციეს სოციალიზმსო მუდმივი სამუ-

შაო თუ გეექნება, როგორმე წელს მოვიმაგრებთ და მეთეეზეთა ამხანაგობაში პაის ყიდვას მოვახერხებთო.

— ვინ იცის, როგორ შეტრიალდება საქმე, — უთხრა მთების მეფემ ბიარტურს, — ასეთ ვითარებაში ძნელია ერთ მხარეს გადახრა. ყოველ შემთხვევაში — პოლიტიკაში. ინგოულფ არნარსონი, რა თქმა უნდა, ნიჭიერი ჭაბუკია, ნიჭიერი დედ-მამისშვილი, ჩინებული ორატორიცაა, მაგრამ მე შარშანვე ვიგრძენი, რომ აქ ბევრ ხმას დაჰკარგავდა. სანაპირო ქალაქების მოსახლეობა ერთხმად ლაპარაკობს კერძო თაოსნობაზე, ამიტომ მე შარშანვე გამოვაცხადე, რომ სამომხმარებლო საზოგადოებიდან გამოვედი. ჩემი პირადი საქმეები აქ არაფერ შუაშია; პოლიტიკა კერძო საქმე არ არის და ახლა კერძო პირივით კი არ ვლაპარაკობ. მეორე მხრივ, რა გასაკვირია, თუ ჩემს სიძეს ჩავაბარე მთელი ჩემი საქმეები ვიკში? ამიტ ჩრდილი კი არ მინდა მივაყენო რედსმირელებს. ინგოულფ არნარსონის დაპირებებისაგან, ჰაი, ჰაი, რომ ნერწყვი მოგდის კაცს, მაგრამ რა მოხდება, თუ ის არ აირჩიეს, ნება მიბოძე გკითხო? თუ მისი პარტია დამარცხდა? რასაც უკვე ბევრი წინასწარმეტყველებს! მაშინ დიდხანს მოგვიწევს ნაკელის ცისტერნების და საქსოვი მანქანების ლოდინი, ასევე ხეირიანი სახლებისა. ჰოდა, რა დღეში ჩავარდებიან ისინი, ვინც ინგოულფ არნარსონს მიემხრობა? მაშინ ხომ ყველაფერი ბანკის დირექტორზე იქნება დამოკიდებული. ვერა, დედაქალაქელ თაოსნებს ეგრე ადვილად კვანტს ვერავინ გამოსდებს, ამიტომ ვამბობ, პირს არავის დაგვწვავს-მეთქი, თუ დიდი კაცის გულს მოვიგებთ.

ერთი რამ ცხადი იყო: ვიდრე მთების მეფე სამომხმარებლო საზოგადოებაზე იყო დამოკიდებული, ვერ გაბედავდა იმის გაკეთებას, რასაც ახლა აკეთებდა თავისი სიძის იმედით. მან სახლის მშენებლობა დაიწყო, ყოველდღე მიჰქონდათ მის ეზოში სატვირთო მანქანებით ცემენტი და ხე-ტყე. სახლი ივნისში უნდა დაემთავრებინათ.

ბიარტურმა ქვეშ-ქვეშ გაჰხედა მთების მეფეს და თქვა:

— ჰმ! ყველას როდი შეუძლია ქალიშვილი მიათხოვოს ვაჭარს.

— ჩემო კარგო ბიარტურ, თქვენგან ხომ ჯერ არავინ დამოყვრებია რედსმირელებს? ჰოდა, ვერ გამიგია, რატომ უნდა გამოიდო თავი მათი გულისთვის? — ჰკითხა მთების მეფემ.

— დამოყვრებას რა მნიშვნელობა აქვს? — ცოტა არ იყოს იწყინა ბიარტურმა. — მე ხმას ვაძლევ იმას, ვისთანაც საქმე მაქვს. და კიდევაც მივცემ ხმას, ვიდრე მას პატიოსნად მიჰყავს საქმე. იქნებ შენ გაქვს საიმისო საბაბი, რომ თავზე ევლებოდე დედაქალაქელ თაოსნებს, ასე რომ ტრაბახობ მათი ახლობლობით, მე კი — არა.

— სახლის აშენებას აპირებ თურმე?

— გინდაც ასე იყოს, რა შუაშია აქ პოლიტიკა?

— როგორ თუ რა შუაშია? — მიუგო მთების მეფემ. — ჩემის აზრით, თუ მშენებლობის დაწყებას აპირებ, ბანკის იმედით უნდა იყო.

— არა მგონია, სამომხმარებლო საზოგადოებიდან გამიჭირდეს სამშენებლო მასალის მიღება.

— ცარიელი სამშენებლო მასალით შორს ვერ წახვალ, ძვირფასო ბიარტურ, — სიტყვა ჩამოართვა მთების მეფემ. — შუშების ხარჯს რაღას უზამ? ნუთუ გგონია, რომ დურგლები და ქვის მთლელები ხელს გაანძრევენ, თუ მაშინვე ნაღდი ფულით არ გაუსწორე ანგარიში? რამდენიმე ათასი თუ არ გექნა ხელთ, მშენებლობას ვერ დაიწყებ, უამისოდ არაფერი გამოგივა.

— ფულის შოვნა არ გამიჭირდება, — უპასუხა ბიარტურმა, — ამ ცოტა ხნის წინათ ერთი კაცი იყო აქ, პატარა კაცი არ გახლავთ, ჰოდა, მითხრა, როცა გინდა მოდი და შემნახველი ბანკიდან მიიღე სესხიო.

—ჰო, შემნახველი ბანკიდან, — სიტყვა შეაგება მთების მეფემ. — მე ცუდს ვერაფერს ვიტყვი შემნახველ ბანკზე. რედსმირელი იოუნი ჩემთან ერთად იჯდა სამრევლო საბჭოში ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. იმას ლაპარაკი აღარ უნდა, რომ იოუნი შესანიშნავი ადამიანია. რომ მისი ბრალი არ არის, თუ არაკეთილსინდისიერი ხალხი ჯერ გასაქანს არ აძლევს, გვასესხე ფულიო, მერე კი იმ პროცენტებზე, რომელზეც თავიდან თანასმა იყვნენ, საჩივარი შეაქვთ სასამართლოში. სულაც არ მიკვირს, რომ იოუნმა დააარსა შემნახველი ბანკი, საცა მისი ფული მუდმივ ბრუნვაშია და მხოლოდ კანონით დაწესებულ ექვს პროცენტს იგებს. კერძო პირისგან ფულის სესხებას ბანკიდან სჯობია სესხის გამოტანა. მართალია, იოუნი უწინ თორმეტი პროცენტიდან ოცდახუთ პროცენტამდე იგებდა, მაგრამ ეს საეჭვოო იყო. შემნახველი ბანკი კი ნაღდი საქმეა, სოლიდური, თუ შემთხვევით დაგჭირდა პატარა თანხა, მაგრამ მხოლოდ პატარა თანხა და მოკლე ვადით, დიდ თანხას ასეთი ბანკიდან იმ პირობით, როგორიც იქ არის დადგენილი, არავინ გამოიტანს. ვისაც მშენებლობის დაწყება უნდა, სჯობია დიდი ბანკიდან გამოიტანოს სესხი, რადგან იქ ორმოცი წლის ვადით აძლევენ.

— რაში მჭირდება ასეთი გრძელი ვადა? ორ წელიწადში გავასწორებ ანგარიშს. ყველა იმას გაიძახოდა, ომი დამთავრდა, ზავი დადეს და ახლა საქონლის ფასი დაეცემაო, მაგრამ თვითონაც კარგად ხედავ, რომ ამ გაზაფხულზე მატყლზე ერთიორად აიწია ფასმა. საიმედო ხალხისგან მაქვს გაგონილი რომ შემოდგომაზე კიდევ უფრო აიწევს ცხვრის ფასი.

მთების მეფე ჩაფიქრდა, დაბნევით ისვამდა წვერზე ხელს. ასეთი ჩვეულე-

ბა ჰქონდა, ვიდრე თავის აზრს იტყოდა, ათასნაირად ატრიალებდა სათქმელს. მის თვალში აზრს მხოლოდ მაშინ ჰქონდა ფასი, როცა მის წერილობით გამოთქვამდა, როცა ეს აზრი ოფიციალური დოკუმენტის სახეს იღებდა. ძლიერ დიდხანს მუშაობდა მოხელედ, რომლის მზრუნველობაზეც მინდობილი იყო პირუტყვი, ხალხი და მღვდლები; ამიტომ ნაჩქარევად დასკვნის გამოტანა არ უყვარდა.

— კარგი, ჩემო ბიარტურ, კარგი, — თქვა ბოლოს მთების მეფემ. — მე მხოლოდ მეგობრული რჩევა მინდოდა მომეცა, თუმც ეს საქმე მე არ მეხება. არ იფიქრო, თითქოს ოფიციალური პირივით მოვედი შენთან. მეორე მხრივ, ვერც იმის მტკიცებას დავიწყებ, მხოლოდ კერძო პირივით გელაპარაკები-მეთქი. არა, არც ესა ვარ, არც ის. შენც კარგად იცი, კოოპერაციულ მოძრაობას არასოდეს ვუპერდი მხარს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობაში ბევრ სასარგებლოსა და კეთილშობილურს ვხედავ და რედსმირელთა კარგ მხარეებსაც მუდამ პირველი ვამჩნევდი და ვაღიარებდი ხმამაღლა, განსაკუთრებით ფრუს. მართალია, მუდამ საშუალო გეზი შეეჭირა, ამიტომ ვთვლიდი, რომ ორივეე მხარე მართალი იყო, ყოველ შემთხვევაში მანამ, ვიდრე არ დამტკიცდა, რომ ერთი მხარე ცდებოდა. ახლა კი მინდა გითხრა, მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ვარ რწმუნებული — თუმც წერილობით არ მაქვს ეს რწმუნება, რომ ხელსაყრელი პირობებით სესხი შემოგთავაზო. ეს იქნება იპოთეკური სესხი ორმოცი წლის ვადით სახალხო ბანკიდან, თუკი მშვენებლობას აპირებ. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ შენ, როგორც დაშოუკიდებელი ადამიანი, მე კი ვიცი, რომ დამოუკიდებლობის სიყვარული სისხლში გაქვს გამჯდარი, გაიგებ, რას მოითხოვს ჩვენი დრო. მოკლედ, თუკი ქკუა გეყოფა იმისათვის, რომ იქით შებრუნდე. სათაც საქმეა.

თავი სამოცდაშვიდე

საფერხე ცხენი

იმ გაზაფხულზე დიდსა და პატარას პირზე ეკერა ზაფხულის სავანელი გვენდურის სახელი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამერიკაში აპირებდა გამგზავრებას, მეორე, იმიტომ, რომ განზრახვაზე ხელი აიღო, მესამე. იმიტომ. რომ ცხენი იყიდა — დოღის ცხენი — რომელიღაც შორეული სოფლის გლეხისაგან და დიდძალი ფული მისცა. გვენდურს დასცინოდნენ: ხედავო, რა ქნა მაგ შტერ-

მა? მთელი ღამე ინგოულფ არნარსონის ერთადერთ გოგოს სდია უშენში და ხომალდს ვეღარ ჩაუსწროო. სასაცილოა, მაშ რა არის! ეროი ამბობდა, ბიჭი შეირეკაო, მეორე გაიძახოდა, ცხენი არაფრად ვარგა, შებერებულიაო, სულელი, ნამდვილი სულელი! უწინ არავინ ამჩნევდა ზაფხულის სავანელ გვენდურს, ახლა კი ცნობილი გახდა. როგორც შტერი, როგორც შერეკილი. ყურს მოჰკრავდა თუ არა გვენდური, აქა და აქ კრება უნდა შედგესო, მოახტებოდა თავის ტაიჭს და დანიშნულ ადგილზე გაჩნდებოდა.

გლეხები უშნოდ ხითხითებდნენ მის დანახვაზე. ქალაქელები დასცინოდნენ, ამასხარავებდნენ ამ სოფლელ ხეპრეს, ძვირფას ცხენზე ამხედრებული რომ დაჰქროდა ბაზრიდან ბაზარში, მთელი ღამე რომ სდია უშენში ალთინგის დეპუტატის ერთადერთ ასულს. ჩარჩები გზაზე გადაუდგებოდნენ, კბილებს უსინჯავდნენ მის ცხენს, მოურიდებლად პირში დასცინოდნენ ჭაბუკს. მოდი კარგი ოინი მოვუწყოთ, ეს ცხენი გამოვტყუოთ და ამაზე უარესი შევაჩეჩოთთ, ამბობდნენ.

ერთ კვირა დღეს დაბის მოსახლეობა წინასაარჩევნო კრებაზე მიიწვიეს რედსმირში. პასტორმა ამ შემთხვევით ისარგებლა და კრების დაწყებამდე წირვა გამართა. ვინც ადრე მოვიდა, ყველა დაესწრო წირვას. საერთოდ კი, პოლიტიკისადმი გაზრდილი ინტერესი იმის საბუთი გახლდათ, რომ უბრალო ადამიანმა ძველ რწმენას დაღწია თავი და უკვე გაიგო, რომ მის ცხოვრებას მიწიერნი წარმართავენ და არა ზეციერნი.

წირვა ჯერ დაწყებული არ იყო, გვენდურმა რომ საყდართან ცხენი მიაჭენა. თავლასთან სოფლის ბიჭებს მოეყარა თავი, გვენდურის დანახვაზე უშნოდ მოჰყვნენ ღრეჭას. ამით აგრძნობინებდნენ, რომ ჰკიცხავდნენ, განზრახვაზე ხელი რაკი აიღო და ამერიკაში არ წავიდა, ზოგი ცივად, მტრული თვალით ათვალიერებდა მის ცხენს. გვენდურმა ცხენი შეაყენა, მალულად თვალი გააპარა ორსართულიანი დიდი სახლისკენ, აეხედა მეზონინს — ხომ არავის შეუნიშნავს იქიდან, რომ გვენდური თავის რაშზე ამხედრებული მობრძანდა? არა, იმ დიდებული სახლის ფანჯრებიდან არავინ აპირებდა ეზოში თავმოყრილი ვიგინდარების თვალიერებას. ფანჯრის რაფაზე ქოთნებით მდგარ ყვავილებს (მგოსანი ქალის საკუთრება გახლდათ) მზის სხივებისკენ გაეწვდინათ ფურცლები. ჭაბუკმა გაიფიქრა, ალბათ, ბამასახლისის ოჯახი უკვე საყდარშიაო, ცხენი თავლაში დააბინავა და საყდარში შევიდა, იქვე, კართან ჩამოჯდა სულ ბოლო სკამზე და ხალხს თვალი მიმოავლო. ის პირველ რიგში იჯდა, ამბიონის მახლობლად; წითელი ქუდი ეხურა, ხალხის რიგები აშორებდა მათ და ამ ურიცხვ თავებში მხოლოდ ქუდით იპოვა გვენდურმა მისი თავი და უცებ მოეჩვენა, რომ დენმა დაუარა, განუმსჭვალა მთელი სხეული, ამ დენისაგან ფილტ-

ვები ძალზე გაუფართოვდა, გული კი შეეკუმშა, სმენა საშინლად გაუმახვილდა. ბგალობელთა ხმამ გააყრუა, თვალზე ბურუსი გადაეფარა. დრო მიდიოდა, გუგუნი კი არ წყდებოდა. როგორ მივიდეს მასთან? როგორ დაუნიშნოს პაემანი? ოღნავ ხომ არ გაჰკრას ნიდაყვი, როცა გვერდით ჩაუვლის წირვის შემდეგ და ხომ არ უჩურჩულოს: „ქუჩაში დამელოდე, სახლს უკან". არა, აბა ეს რა საკადრისია, როგორ შეიძლება საყდარში გოგონას გაჩერება, ისიც ასეთი გოგონასი. არა, როგორ ჰკადრებს, სახლს უკან დამელოდეო. სულ სხვაა, თუ ეტყვის, გამომყევი, ჩემი ცხენი მინდა გაჩვენოო. მაგრამ გვენდურს უცებ გაუელვა თავში, რომ საყდარში ცხენზე არ შეიძლება ლაპარაკი, რომ საღვთო წერილში ცხენი არსად არის ნახსენები, სახედარი კი მგონი უნდა იყოს მოხსენებული. ჭაბუკი თითქოს ბურუსში ხედავდა, როგორ გამოვიდა პასტორი საკურთხევლიდან და ფსალმუნის გალობა დაიწყო. ყველა წამოდგა, გვენდური ადგა და დაინახა, რომ მ ა ს ლურჯი პალტო ეცვა. არავის, არავის არა აქვს ქვეყნად ასეთი ლამაზი მხრები. დიახ, ეს მხრები მძიმე ტვირთისაგან არ არის შექმნილი. ოქროსფერი კულულები მოუჩანდა ქუდქვეშ და ეს ძვირფასი, წითელი ქუდი სწორედ რომ შეეხამებოდა მათი შეხვედრის საზეიმო წუთს. გოგონა მკაცრი და ამაყი ჩანდა. ოჰ, ნეტა გამოიხედოს მისკენ, ერთი წუთით, ერთი წამით მაინც, რომ გვენდურის სიყვარული გადაეცეს მას, გვენდურის გულიდან მოხეთქილი სიყვარულის ტალღები. რა უნდა ქნას, თუ ცხენის სანახავად არ მოინდომა წამოსვლა? ხომ არ აჩუქოს ეს ცხენი? ძვირფასი ცხენია, თითქმის ათასი კრონი უღირს და მაინც სიხარულით აჩუქებს გვენდური, თუკი მიიღებენ მის საჩუქარს. შინ ფეხით წავა, მუხლებზე იხოხებს, თუკი უბრძანებენ. ჭაბუკს საშინლად უნდოდა გამოეხატა, რასაც გრძნობდა, გვენდური ხომ მისი ყურმოჭრილი ყმა გახდა იმ წუთიდან, როგორც კი პირველად დაინახა. რაც უნდა უბრძანოს, ცხენით წასვლა, თუ ოთხზე ხოხვა, ყველაფერს აუსრულებს. მან ხომ უკვე მოუტანა მსხვერპლად მთელ სამყაროში უდიდესი ქვეყანა, სადაც ადამიანს ყველაფრის მიღწევა შეუძლია, სადაც ადამიანი მთელი ცხოვრება უაზროდ არ მუშაობს... დიახ, ისინი ერთად იწვნენ ტბის ნაპირას, ტბაში კი გედები ცურავდნენ, წყვილი გედი, დედალ-მამალი. რა მოუვიდათ იმ გედებს? სად გაქრნენ? ხომ არ ეზმანა ყველაფერი? არა. არა, ისინი ერთად იწვნენ, მას უყვარდა გვენდური, მერე კი გაექცა, თეთრ რაშზე ამხედრებული გაუჩინარდა ცისფერ შორეოში...

— ქრისტეს მიერ დანო და ძმანო, რამეთუ ვბედავ და გიწოდებთ დასა და ძმას. იცით თუ არა თქვენ, ექვსი ასო, ექვსად ექვსი პაწია ასო, ზე რომ ილტვიან?

პასტორი, როგორც იყო, ავიდა ამბიონზე. ნეტა გააჭიანურის ქადაგება,

რომ მოსაფიქრებელი დრო იპოვოს გვენდურმა, გადაწყვიტოს, რა ქნას, რომ ზეშთაგონება ეწვიოს.

— იფიქრეთ, დანო და ძმანო, იმ ექვს ასოზე, მხოლოდ იმ ექვს პაწია ასოზე, ჩვენს ზემოთ რომ არიან ამართულნი.

აჩუქებს, დიახ, აჩუქებს ცხენს. მაგრამ ვაითუ არ მიიღოს, უარი თქვას? თუ მიიღებს, გვენდური მისი მადლიერი, მისგან დავალებული დარჩება. იქნებ თქვას: „ცხენები მე არ მაკლია, ჩემი თავლა სავსეა საუკეთესო ცხენებით, მაგრამ ასეთი ლამაზი ცხენი ჯერ არ მინახავსო. მივიღებ შენგან ამას, იმიტომ, რომ ეს შენ მაჩუქე, იმიტომ, რომ შენ ისეთი ლამაზი ხარ, ისეთი ფართო ხარ აქ, აი აქაც. მაგრამ შინ რომ ფეხით მოგიწევს წასვლა?“ გვენდური უპასუხებს: „ეგ არაფერია, სიხარულით წავალ ფეხით, არა მარტო წავალ, მუხლებზე ვიხოხებ, ძაღლივით ვიყეფებ, თუ გინდა. მალე, სულ მალე ზაფხულის საკანის ძფლობელი გავხდები, სახლის აშენებას ვაპირებთ, ისეთი სახლის, როგორიც რედსმირშია, ოღონდ ჩვენ ქვიტკირის სახლს ავაშენებთ, თქვენი კი ხისაა... ღმერთო ძლიერო, მიშველე, საყდარში ხომ არ შეიძლება ცხენზე ლაპარაკი, მხოლოდ სახედარზე შეიძლება“.

— ვინ გამოიყვანეს? — ზეიმურად იკითხა პასტორმა და ამბიონზე დახარა თავი. ზაფხულის საკანელ ჭაბუკს გულით სწყუროდა, რომ ახლა მის ცხენზე ყოფილიყო ლაპარაკი, მისი ცხენის გამოყვანაზე.

— გამოიყვანეს ი გ ი,—თქვა პასტორმა, მკვეთრად, ხაზგასმით თქვა, ი გ ი. სამწუხაროდ, ჭაბუკმა არ იცოდა, ვისზე იყო ლაპარაკი.

— ვინ გამოიყვანა ი გ ი? — იკითხა პასტორმა და თვალი მოავლო მლოცველებს.

ჭაბუკი შიშმა აიტანა იმის გაფიქრებაზე, რომ კითხვაზე პასუხის გაცემას მოსთხოვდნენ. მაგრამ პასტორმა თავის თავს თვითონვე უპასუხა:

— იგი პილატეს მეომრებმა გამოიყვანეს! როდის გამოიყვანეს? ხუთ საათზე გამოიყვანეს. სად? ღია ცის ქვეშ. რატომ გამოიყვანეს? იმიტომ, რომ იქ დარჩენის ნება არ მისცეს მათ.

ჭაბუკმა შვებით ამოისუნთქა.

ჩუმად რომ გავიდეს საყდრიდან, არ დაუცადოს ქადაგების დამთავრებას? მგონი ვერავინ შეამჩნევს. სულ უკანა რიგში ზის, შეუძლია მუხლი მოიყაროს, მერე ხოხვით წავიდეს კარისკენ და გარეთ გავიდეს. თავლიდან გამოიყვანს თავის ბედაურს, საყდრის კართან დადგება და წირვის დამთავრებას დაელოდება. ჰო, საყდრის კართან დადგება, თავისი ცხენის გვერდით, როცა ის გამოვა, სადავეს ხელში ჩაუდებს და ეტყვის: „ცხენი შენია!“ მაგრამ უცებ გაახსენდა ხალხი. რას იტყვის ხალხი? ურიგო ხომ არ არის, ხომ არ დასძრახავენ იმი-

სათვის, რომ მან, ღარიბი გლეხის შვილმა, რედსმირელი მამასახლისის შვილიშვილს ცხენი აჩუქოს? მასხარად ხომ არ აიგდებენ? იქნებ მან იწყინოს კიდეც, თავხედობად ჩაუთვალოს? გვენდურს ცივმა ოფლმა დაასხა, როცა გაიფიქრა, რომ ქვეყნის მასხარა გახდებოდა. რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო ებნეოდა გონება.

— ქრისტეს მიერ დანო და ძმანო,—თქვა პასტორმა,—დრო მიდის.—ამ ღრმააზროვანი სიტყვების შემდეგ ხანგრძლივი პაუზა გააკეთა, წინ გადმოიხარა, თვალი მოავლო მლოცველებს, თითქოს სულში უნდაო ჩასწვდეს ყოველ მათგანს, განსაკუთრებით ზაფხულის სავანელ გვენდურზე შეაჩერა მზერა. — დრო მიდის, — გაიმეორა მან. — გუშინ შაბათი იყო, დღეს კვირაა, ხვალ ორშაბათი დადგება, ზეგ სამშაბათი... ცოტა ხნის წინათ პირველი საათი იყო, ახლა ორი საათია, მალე სამი გახდება, მერე ოთხი...

ჭაბუკს ეჩვენებოდა, რომ ღრმა აზრით სავსე ამ სიტყვებს პასტორი, უწინარეს ყოვლისა, მის გასაგონად ამბობდა. მას მიმართავდა. იმის გაფიქრებაზე, რომ დრო მიდის, მან კი ვერაფერი გადაწყვიტა, შუბლი და საფეთქლები ოფლით მოენამა. ქადაგება დასასრულს უახლოვდებოდა, წითელქუდიანი მხოლოდ ერთხელ შეინძრა, უკან გადმოიწია ოდნავ, ყმაწვილი ქალი თვალს არ აშორებდა პასტორს, თითქოს მისი სული ხარბად ნთქავდა პასტორის ბაგეთაგან მოწყვეტილ ყოველ სიტყვას, თითქოს ცხოვრებაში მხოლოდ ამ სიტყვებით უნდა იხელმძღვანელოსო. საცოდავ გვენდურს კი მარტო ცალკეული ფრაზები ესმოდა, თავში ათასხაირი ფიქრი უტრიალებდა.

— და განიპო მთა, ძვირფასო დანო და ძმანო, და ტაძრის ფარდა ჩაიხა თავიდან ბოლომდე და გამეფდა წყვდიადი დედამიწასა ზედა. დიახ, მთელს დედამიწაზე.

დიახ, ჭეშმარიტად გამეფდა წყვდიადი. ქადაგებას საცაა დაამთავრებენ, აი, დაამთავრეს კიდეც, დაიწყეს უკანასკნელი ფსალმუნის გალობა. დიდი ხანი იყო უკვე, რაც ჭაბუკს აღარაფერი ესმოდა, ვეღარაფერს ხედავდა. ყველა წამოდგა, ადგა ისიც. აქ დაუცადოს, ვიდრე არ ჩაუვლის, თუ გარეთ გავიდეს? გვენდური ელოდა. შეხედოს თუ არა, როცა ჩაუვლის? შეხედოს და მზერას ჩააქსოვოს მთელი თავისი სიყვარული, თუ თვალი დახაროს, მორჩილად, სასოწარკვეთილებით? გვენდური ისე მიშტერებოდა წითელ ქუდს, თითქოს უნდოდა მოზღვავებული სიყვარულის ნაკადი გადაეფრქვია მისთვის და უცებ დაინახა, რომ ის, ის არ არის, ვინც ეგონა. დაბის მცხოვრები, ხანშიშესული ქალი, რომელმაც ბუში გააჩინა, ტოურირის შუათანა ქალიშვილი იდგა იქ, ამაზრზენი წითელი ქუდი ეხურა. ჭაბუკმა გაჭირვებით მოითქვა სული, გულში საშინელი სიცარიელე იგრძნო, ირგვლივაც საშინელი სიცარიელე გამეფდა.

მაშ, ამაოდ მჯდარა ამდენ ხანს საყდარში, მაშ, ამაოდ იტანჯებოდა სულიერად ფსალმუნთა გალობის და ქადაგების დროს.

მღვდელმსახურების დამთავრების შემდეგ ხალხი საყდრიდან ეზოში გამოიფინა. მამასახლისის ფანჯრის ქვეშ პრიალა მანქანა იდგა. ცნობისმოყვარე გლეხები შემოეხვივნენ მანქანას, ვინ მინებზე აკაკუნებდა მოღუნული თითით. ვინ საბურავს აჭერდა ხელს, ამოწმებდა, მაგარია თუ არაო. გვენდურმაც დააკაკუნა მანქანის სარკმელზე, ხელი დააჭირა საბურავს. ალთინგის დეპუტატი წირვის დროს ჩამოსულიყო, ახლა თავის მშობლების სახლში, სასტუმრო ოთახში იჯდა. ამ დროს ბანკის დირექტორიც მოგრიალდა მანქანით თავის მომხრეებთან ერთად. მანქანა მოშორებით გააჩერეს. მამასახლისი სტუმრების შესაგებებლად გაეშურა, ისეთი დაკონკილი და მოთელილი ქურთუკი ეცვა, გეგონებათ, ძაღლის საფენად ეგოთ აქამდე და ახლა, ამ საზეიმო წუთისთვის გამოაძრეს ძაღლს ქვეშიდანო. საყელო ინგლისური ქინძისთავით ჰქონდა შეკრული, შარვალი წინდებში ჩატანებული, მოკლედ, ისეთი საცოდავი შესახედავი იყო, რომ ძვირფას პალტოში გამოწყობილმა პატივცემულმა ბატონებმა ძლივს შეიკავეს უნებლიე მოძრაობა, კინაღამ ხუთი ერე ჩაუდეს ხელში, ის რომ მათ მიესალმა. სტუმრები დარბაზში შეიპატიჟეს, დეპუტატები ყავას მიირთმევენ და მერე გამოვლენო. ხალხი დასხდა, გვენდურიც დაჯდა სკამზე, ქუდი მუხლებზე დაიდო. ერთმა ბიჭმა ბურნუთი შესთავაზა და გვენდურს დააცემინა. გამობრძანდნენ კანდიდატები. ინგოულფ არნარსონ იოუნსონი, განა ქვეყნად მეორე იმისთანა კაცი მოინახებოდა? რა დიდებულია, რა მაღალი, როგორი ფართო მხარბეჭი აქვს, ქერაა. ღვთით დავიწყებულ ხეობებში მან გაიყვანა ჩინებული გზები ღარიბი გლეხობისათვის, ააგო ხიდები. მისი სახე, მისი მბრძანებლური გამოხედვა სათვალის მიღმა ისე ბრწყინავს, თითქოს მზესავით შუქს ჰფენს საცოდავ გლეხებს, მჟღერი, ძალდაუტანებელი ხმით ლაპარაკობს, ქათქათა მანჟეტებით დამშვენებულ პატარა ხელებს ისე ნარნარად ამოძრავებს. მისი სიტყვების აზრს აღარც კი უნდა ჩაუკვირდეს ადამიანი. საკმარისია ამ მეტყველ ხელებს ადევნოს თვალი. ზაფხულის სავანელ ჭაბუკს უკვირდა, რატომ ყველა არ ეთანხმებაო ინგოულფ არნარსონს, გულისძგერით ფიქრობდა იმაზე, რომ მისი ქალიშვილი უყვარს, რომ ეს ძლევამოსილი კაცი, რომლის ახალთ-ახალი მანქანაც სარკმლის ქვეშ დგას, არსებითად მისი სიმამრია.

კრებაზე წამოაყენეს ყველა საჭირბოროტო საკითხი. ილაპარაკეს: სამომხმარებლო საზოგადოებებსა და გლეხობაზე, ვაჭრების ძალმომრეობასა და შუაკაცებზე, ბანკთა გაკოტრებასა და გემთმფლობელთა კომპანიების ზარალზე, კრედიტზე გლეხობისთვის, აგრარულ კანონპროექტზე, ინვენტარის შესაძენ ფონდზე, ნაკელის ცისტერნებზე, ექსპორტსა, გზებსა და ხიდებზე, სატე-

ლეფონო ქსელზე, ახალი მიწების მოხვნაზე, განათლებაზე, საცხოვრებელი სახლების მშენებლობასა და სოფლების ელექტროფიკაციაზე. ინგოულფ არნარსონი წარამარა დგებოდა, იჯგიმებოდა, არტისტულად იქნევდა ხელებს, ათითებდა თავის მოწინააღმდეგეზე, ამტკიცებდა, სწორედ ის არის პირდაპირი მიზეზი იმისა, რომ ბანკები დიდ ზარალს ნახულობენ, სპეკულანტები ფლანგავენ საჯალხო დანაზოგს ამ კაცის წყალობით, გემთმფლობელების კომპანიებმა ფინანსიური სკანდალებით ისახელეს თავი, რომ ქოხმახებში თავშეფარებულ ღატაკთა რისხვის—ჭლექის მიზეზიც ეს კაცი გახლავთ, კრონის კურსის დაცემის მიზეზიც, ესე იგი, მშრომელთა ურცხვი ძარცვის ხელშემწყობი, რომ ეს კაცი განათლების საკითხში ისეთ პოლიტიკას ადგია, მალე თავის თანამემამულეებს ზანგების დონეზე დაიყვანს. და ახლა, როცა გლეხობა ერთიანდება თავისი ინტერესების დასაცავად, თავისი მონაპოვრის შესანარჩუნებლად, ეს კაცი კვლავ აუმხედრდა გლეხობას, უნდა დაამციროს ის წოდება, საუკუნეების მანძილზე მხრებით რომ მიაქვს მძიმე ტვირთი, იცავს ქვეყნის კულტურას ათასი განსაცდელისგან.

გვენდური თავის თავს უკვე ინგოულფ არნარსონის სიძგდ თვლიდა და ყველაფერში ეთანხმებოდა, უსაზღვროდ აღტაცებული იყო ამ გენიალური კაცით, რომელიც იმით არ დაკმაყოფილდა, რომ შესანიშნავი გზატკეცილები გაიყვანა, ააგო ხიდები, მას უნდა ყოველ გლეხს ჰქონდეს ხეირიანი სახლი. და გვენდურს ვეღარ გაეგო, ზოგიერთები რატომ უსმენდნენ ასეთი გულისყურით ინგოულფის მოწინააღმდეგეს, ამ სქელ კაცს, რომელიც ორატორული ხიჭით არ გამოირჩეოდა, სამარცხვინო სიმშვიდით იტანდა ლანძღვას; და, მიუხედავად ათასი ბოროტმოქმედებისა, რაც ჩაედინა, უტიფრადაც ღიმებოდა, როცა ინგოულფი დაუფარავად, პირში ახლიდა ბრალდებებს. საკვირველი ის არის, რომ ეს კაცი დღემდე არ დაუპატიმრებიათ! ბოლოს, როცა ორივე კანდიდატმა ელფეროვნად დაუხატა მსმენელებს, თუ როგორ აპირებს ქვეყნის გადარჩენას, კრება დახურულად გამოაცხადეს. ხალხი დაიშალა, კანდიდატები ხმამაღალი სიცილით გავიდნენ ბაღში, თითქოს ასეთი გულითადი მეგობრები არასოდეს არ ყოფილან, როგორიც დღეს გახდნენო. კრებამ ბევრი ასი-ამოვნა, მაგრამ მთელ ამ ხალხში არავინ ისე მხიარულად არ გრძნობდა თავს, როგორც ის ორი კაცი. ჭიშკართან მოწინააღმდეგეები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, ხელი ჩამოართვეს, მრავალმეტყველად დიდხანს უყურებდნენ ერთურთს თვალებში, როგორც მიჯნურები საიდუმლო შეხვედრის შემდეგ. ბანკის დირექტორი გაემგზავრა. გლეხებმაც თავლიდან გამოიყვანეს ცხენები და ჯგუფ-ჯგუფად წავიდ-წამოვიდნენ თავთავისი გზით. გვენდური კი ფეხს ითრევდა, რამდენჯერმე შემოუარა მამასახლისის სახლს, მალულად სარკმელ-

ში შეიჭვრიტა: უკანა კარზე ხომ არ დავაკაკუნო, ჩაქუჩი ხომ არ ვთხოვო ცხენის დასაჭედად? ან ერთი ჭიქა წყალი? არა, რა აზრი აქვს? რომელიმე მოსამსახურე გამოვა და ამით მთლად წახდება საქმე, ბოლოს კარგი აზრი დაებადა: შოლტს დავმალავ ბაგაში, წავალ, გზიდან გამოვბრუნდები, დავაკაკუნებ კარზე, ალბათ მოჯამაგირე გამოვა, ვთხოვ, თუ იპოვით ჩემს შოლტს, შემინახეთ-მეთქი. მამასახლისის ოჯახში იქნებ ამაზე დაიწყონ ლაპარაკი, ახსენონ ჩემი სახელი და, ვინ იცის, ეგებ მალულად გამოვიდეს ვინმე შოლტის მოსაძებნად, იქნებ მ ა ნ იპოვოს შოლტი? გვენდურმა თავლის კედელში, ქვებში ღრმად შემალა შოლტი და წავიდა. ბორცვს რომ მიაღწია, ცხენი მოაბრუნა. როცა მამასახლისი ეზოში შევიდა, იქ აღარავინ დახვდა. სწორედ იმ წუთში გაიღო სადარბაზო კარი, ფართო პალტოში გამოწყობილი ინგოულფ არნარსონი გამოვიდა დედის თანხლებით. დეპუტატმა დედას აკოცა, მანქანის კარი გააღო და ჩაჯდა. შემდეგ ცისფერ კაბაში გამოწყობილი, ოქროსფერკულულებიანი გოგონა გამოვიდა, პალტო მკლავზე ჰქონდა გადაკიდებული, კისერზე შემოეჭდო ბაბუას, გადაჰკოცნა, წამში ჩამოფრთხიალდა კიბეზე და მანქანაში მამას შეუჯდა გვერდით, თეთრი ხელი დაუქნია ბებიას და ბაბუას. გვენდურმა მანქანის მინის იქით დაინახა ღიმილით გაბრწყინებული მისი სახე—ეს იყო ჯადოსნური ზმანება. ძრავა ამუშავდა და როცა მანქანა დაიძრა, გოგონამ მამას გაუღიმა: მზე ბრჭყვიალებდა მანქანის მინებზე და ლაქზე, როცა მამა-შვილმა ჯაუარა გვენდურს, არც ერთს არ დაუნახავს მოცარიელებულ მოედანზე საყდრის წინ მარტო მდგარი ჭაბუკი, რომელიც მათ შეჰყურებდა, როცა მანქანამ გვერდით ჩაუარა და ბენზინის საამო სუნი შეაფრქვია. არასოდეს არ უგრძვნია გვენდურს ასეთი სიცარიელე. თავლაში შევიდა, სამალავიდან გამოიღო თავისი შოლტი, ცხენს მოახტა და გაჰქუსლა. მანქანა ბორცვს მიეფარა, მაგრამ მეორე წუთში უკვე უღელტეხილზე გამოჩნდა. ეს რა გიჟური აზრი მოუვიდა—ცხენის ჩუქება? გვენდურმა ისე გამხეცებით გადაჭკრა შოლტი ცხენს, რომ პირუტყვმა დაიჭიხვინა. მართალი არიან, ნამდვილი ბებერი ჯაგლაგია. უვარგისია, უვარგისი. უნდა გაყიდოს. დიახ, გაჰყიდის, თუკი გასულელდება ვინმე და ამის ყიდვას მოისურვებს.

— ცოტა ხანს დამიცადე აქ, ჩემო მეგობარო, — უთხრა შვილს ალთინგის დეპუტატმა, — ერთი წუთით შევიხედავ ამ ქოხში, ბერიკაცს მინდა მოველაპარაკო, — მან მანქანა გზის პირას მიაყენა, ძრავა გამორთო. — ხომ არ წამოხვალ ჩემთან ერთად?

— არა, — უპასუხა შვილმა. — მეშინია, ხამლი დამესვრება.

ყმაწვილმა ქალმა თვალი გააყოლა მამას. წარმოსადეგი, მხარბეჭგანიერი ინგოულფი ხუტორისკენ მიდიოდა.

ბიარტური საძოვარზე იყო ამ დროს, სტუმრის შესაგებებლად გამოეშურა, „ძვირფასი ინგი“ უწოდა დეპუტატს და შინ შეიპატიჟა. მაგრამ ინგოულფ არნარსონს ეჩქარებოდა, წუთით შეიარა თავის ძველ მეგობართან, თავის ძუძუმტესთან. მხიარულად მხარზე ხელი დაჰკრა მეგობარს და ჰკითხა, კრებაზე რატომ არ მოხვედიო. სადა მაქვს იმის დრო, რომ კრებებზე ვიარო, ათას როშვასა და მიქარვებს ყური ვუგდოო, — უპასუხა ბიარტურმა.

— რაღა გითხრა აბა, — თქვა ღიმილით ალთინგის დეპუტატმა. — ჩემის აზრით, საჭირბოროტო საკითხებზე კამათის მოსმენა ყველასთვის სასარგებლოა, გონებას წმენდს.

— მე ეგ არ მიმაჩნია საჭირბოროტო საკითხებზე კამათად, თქვენ რომ კვირა უქმე დღეს შეიყრებით და ერთმანეთს ჯანდაბაში ისტუმრებთ. ძველ დროს ეს არ ითვლებოდა კამათად. მაშინ დიდი გმირული საქმეები ხდებოდა, ქვეყნად ჭეშმარიტი დიადი ხალხი ცხოვრობდა, ისინი ერთმანეთს ორთაბრძოლაში იწვევდნენ, ან ლაშქარს შეკრებდნენ და მტრის ურიცხვ ურდოს მუსრს ავლებდნენ.

ალთინგის დეპუტატს იმის დრო არ ჰქონდა, რომ ძველ პოემებში ნაქები პოლიტიკისთვის ეგდო ყური. მან თურმე საიდანღაც გაიგო, რომ ზაფხულის სავანელი ბიარტური სახლის აშენებას აპირებს. თუ მართალია ეს, როდის აპირებს მშენებლობის დაწყებას?

— როცა მომეხასიათება, მაშინ დავიწყებ, — უპასუხა ბიარტურმა.

— თუ ზაფხულში აპირებ აშენებას, სჯობია ახლავე მოვილაპარაკოთ, თორემ ამ კვირის ბოლომდე ფიორდიდან წავალ და არჩევნების დამთავრებამდე აღარ დავბრუნდები.

— ჩემო ძვირფასო ინგი, ნუთუ დარწმუნებული ხარ, რომ სხვებმა უფრო ხელსაყრელი პირობები არ შემომთავაზეს? — ჰკითხა ბიარტურმა.

— მე არავითარ პირობებს არ გთავაზობ, ეს გაუგებრობაა, — უპასუხა ალთინგის დეპუტატმა. — სამომხმარებლო საზოგადოება საწვრილმანო დუქანი არ გახლავთ. ჩვენ ვაჭრუკანებივით კი არ ვიტყუებთ მყიდველებს. სამომხმარებლო საზოგადოება—ეს შენი პირადი, ღვიძლი საქმეა. შენ თვითონ ადგენ პირობებს, შენ, და არა გარეშე ხალხი, ადგენ ცემენტის ფასს და სხვა სამშენებლო მასალის ფასს, შენვე, და არა სხვა ვინმე, მოსთხოვ საკუთარ თავს ვალის გადახდას. მე მხოლოდ გეკითხები, როგორი ბრძანებების მოცემას ინებებ? მე შენი მსახური ვარ. როდისთვის გინდა სამშენებლო მასალის მი-

ღება? შენს მაგივრად მე ვიანგარიშო, რა თანხის გამოტანა დაგჭირდება, თუ თვითონ გააკეთებ ამას?

— ხეირს არ მომცემს შემნახველი ბანკიდან ფულის გამოტანა. სჯობს ჩვეულებრივი ბანკიდან გამოვიტანო.

— ე, ჩემო ძვირფასო ბიარტურ, ეგ ჩვეულებრივი ბანკი ისე კარგია, რომ არ გამიკვირდება, თუ ჩვენი მთების მეფე საშობაოდ ხუტორთან ერთად მთელ თავის ავლადიდებას დაჰკარგავს და სიძეს კარს მიადგება მოჯამაგირედ. რაც შეეხება მის სიძეს, თუ მოვინდომე, ხელად ციხეში ვუკრავ თავს. დამიჯერე, ძვირფასო, ზაფხული გასული არ იქნება, რომ მე უკვე სახელმწიფო ბანკს ჩავიგდებ ხელში და მაშინ ან ეგ თაღლითების გროვა გაკოტრდება, ან მე ინგოულფ არნარსონი არ ვიქნები. გაიხსენებ ჩემს სიტყვას. ცუდ დღეში ჩავარდებიან ისინი, ვინც მაგ ავაზაკებს დაუჭერს მხარს და თავის ბედ-იღბალს მიანდობს. ჩვენი შემნახველი ბანკი კი, ძვირფასო ბიარტურ, ნაღდი საქმეა, მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიან სესხს არ იძლევა. ანდა რა ხეირია გრძელვადიან სესხში? როცა ხუტორს ტვირთად აწევს გრძელვადიანი იპოთეკა, მისი მფლობელი მარტო ქაღალდზე ირიცხება ხუტორის პატრონად.

ეს იყო ფინანსიური დიდი საკითხი და ბიარტური შეყოყმანდა. ის ხომ უბრალო გლეხი იყო, მთიელი, შიშველი ხელებით ებრძოდა ბუნებას და მოჩვენებებს. თუ რამ ისწავლა, მხოლოდ უძველესი პოემებიდან და საგებიდან. უყვარდა ეს საგები, სადაც ბრძოლებია აღწერილი, გმირების ბრძოლები, ზედმეტ სიტყვებს რომ არ ხარჯავენ და ელეტენ ერთურთს.

— სამშენებლო მასალა ჩვენთან ერთი მესამედით იაფია, ვიდრე ვიკში,— განაგრძო დეპუტატმა, — მოკლე ხანში ჩვენი საზოგადოება უცხოეთიდან მიიღებს ცემენტს. ასეთი შემთხვევა შეიძლება მეორედ აღარ მოგვეცეს. გარდა ამისა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შემოდგომაზე კიდევ აიწევს ცხვრის ფასი ორმოცდაათ კრონამდე.

— კაცი ხეირიანად ვერასოდეს ვერ გაიგებს, როდის ამბობთ მართალს და როდის სტყუით, — უთხრა დეპუტატს ბიარტურმა, — მაგრამ მე მაინც მგონია, რომ თქვენ მუდამ სტყუით.

ალთინგის დეპუტატს გაეცინა, მხარზე ხელი დაჰკრა ბიარტურს და უთხრა:

— მაშ ასე, ხვალვე შემიძლია გამოგიგზავნო პირველი ურემი ცემენტი. დანარჩენი თავისთავად გაკეთდება. ჩემს მოადგილესთან შეგიძლია ნახო ნახაზები. დურგლები და კალატოზები სამომხმარებლო საზოგადოებას არ აკლია, რაც შეეხება სესხს, დაახლოებით ვიცი, რამდენი დაგჭირდება. შემოიარე ჩემთან, დაწვრილებით მოვილაპარაკოთ ამაზე ხვალ ან ზეგ.

მანქანა გზაზე იდგა, ზაფხულის სავანის წინ. საფერხე ცხენი დაფრთხა, ყურები ცქვიტა, მხედარი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფერდებზე უჭერდა ფეხებს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დაქვეითებულიყო და სადავით წაეყვანა ცხენი. ჩამავალი მზის სხივებზე უფრო ბრწყინავდა და ლაპლაპებდა მანქანა, რაღაც უცნაური, ფანტასტიკური ჩანდა, სრულიად არ ეხამებოდა იქაურ ბუნებას. გვენდურმა პირდაპირ მანქანისკენ წაიყვანა ცხენი. მანქანის ღია სარკმლიდან გამოიძახა ცისფერი კვამლი. ყმაწვილი ქალი წინა საჯდომზე იჯდა და პაპიროსს ეწეოდა. გვენდურმა დაინახა მისი მხრები, თეთრი ყელი, ოქროსფერი კულულები და ღაწვი. ჭაბუკი უკვე მიუახლოვდა მანქანას, მაგრამ ქალმა ზედ არ შეხედა. სარკმლიდან ისევ გამოდიოდა პაპიროსის კვამლი და რგოლებად ეხვეოდა. გვენდური ზედ მიადგა მანქანას.

— საღამო მშვიდობისა!

ყმაწვილი ქალი შეკრთა, უცებ დამალა პაპიროსი, მაგრამ მერე ისევ მიიტანა პირთან.

— რად შემაშინე? — ჰკითხა ჭაბუკს მელოდიური, ოდნავ ცხვირისმიერი ხმით.

— ჩემი ცხენი მინდა გიჩვენო, — უპასუხა გვენდურმა და გაუღიმა.

— ცხენი? — ისე იკითხა ყმაწვილმა ქალმა, თითქოს პირველად ესმის ამ პირუტყვის სახელიო.

— ჰო, ცხენი, — გაუმეორა გვენდურმა და ისიც უთხრა, თუ რა მისცა. მისი ცხენი მთელ ოლქში ყველაზე ძვირფასი იყო.

— მერე მე რა მესაქმება მაგ ცხენთან? — იკითხა ყმაწვილმა ქალმა.

— ნუთუ ვეღარ მცნობ? — შეცბა ჭაბუკი.

— არ მახსოვს, — ხმადაბლა თქვა ყმაწვილმა ქალმა, პირდაპირ გაჰყურებდა გზას თავისი მამის მანქანის სარკმლიდან, ხელში პაპიროსი ეჭირა. გვენდური თვალდაჭყეტილი მიჩერებოდა.

ბოლოს ყმაწვილმა ქალმა თავი მოაბრუნა, მედიდურად შეათვალიერა ჭაბუკი თავით ფეხამდე და ისეთი კილოთი ჰკითხა. თითქოს პირადად მას მიაყენესო შეურაცხყოფა:

— რატომ ამერიკაში არ წახვედი?

— იმ ღამეს დავიგვიანე, ვეღარ ჩავუსწარი ხომალდს.

— მეორე ხომალდით რატომ არ წახვედი?

— ცხენის ყიდვა ვამჯობინე.

— ცხენის?

გვენდურმა გამბედაობა მოიკრიბა და უთხრა:

— მე ვფიქრობდი, რომ აქაც შემიძლია კაცი გავხდე, რაკი შენ გაგიცანი!

— მაწანწალავ! — წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა.

გვენდურს სისხლი ყელში მოაწვა, წამოჭარხლდა, ღიმილი შეეყინა სახეზე, ზედა ტუჩი აუთრთოლდა.

— მაწანწალა არ გახლავართ, — დაიყვირა მან, — დაგიმტკიცებ ამას. დიახ, გაიგებ როდისმე.

— თუ შუაგზაზე მიატოვე დაწყებული საქმე, მაშასადამე, მაწანწალა ხარ. მაწანწალა, უქნარა და ლაჩარი. დიახ, ლაჩარი. მრცხვენია, არცკი მინდა გავიხსენო, რომ შენ შეგხვედე. და მით უფრო ვიწვი სირცხვილით, შენ რომ გელაპარაკები.

გვენდურმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, თვალები აენთო.

— ჩვენც ავაშენებთ სახლს, ისეთ სახლს, როგორიც რედსმირშია, იქნებ იმაზე დიდი და უკეთესიც ავაშენოთ!

ყმაწვილმა ქალმა ზიზღით ჩაიცინა.

— თქვენ, რედსმირელები, — დაიყვირა გვენდურმა, — დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენი გაქელვა შეგიძლიათ. ასე გეგონათ მუდამ. — უფრო ახლოს მივიდა მანქანასთან და მუშტი ზედ ცხვირთან შეუტრიალა ყმაწვილ ქალს.— მაგრამ დამაცადეთ, მე თქვენ გიჩვენებთ!

— თავი დამანებე, მე შენ არ გელაპარაკები!

— რამდენიმე წლის შემდეგ ზაფხულის სავანის პატრონი გავხდები, ისეთივე მდიდარი გლეხი, როგორც ბაბუაშენია. იქნებ იმაზე მდიდარიც გავხდე. აი, ნახავ!

ყმაწვილმა ქალმა კვამლის ბოლქვი გამოუშვა პირიდან, თვალმოჭუტულმა შეათვალიერა ჭაბუკი.

— მამაჩემი მთელი ქვეყნის მბრძანებელი გახდება, — თქვა მან, წინ გადაიხარა, თვალი გაახილა, მუქარით ჩააცქერდა ჭაბუკს, — მთელი ისლანდიის მბრძანებელი, მთელი ისლანდიის...

გვენდური მოიბუზა, თვალი დახარა.

— ასე სასტიკად რად მექცევი? ხომ იცი, რომ შენი გულისთვის დავთმე ამერიკა, შენი გულისთვის არ წავედი, მეგონა, რომ გიყვარდი.

— ვირო! იქნებ ოდნავ მაინც მყვარებოდი, ამერიკაში რომ წასულიყავი,— უპასუხა ყმაწვილმა ქალმა, უცებ გონებამახვილური აზრი დაებადა და წამოისროლა: — სულ ოდნავ მეყვარებოდი, განსაკუთრებით მაშინ, თუ არასოდეს არ დაბრუნდებოდი. ვაი, მამა მოდის! — და მან პაპიროსი თხრილში ჩააგდო.

— ვის ელაპარაკები, ჩემო მეგობარო? — ჰკითხა ინგოულფ არნარსონმა შვილს. — აი, ეს კი შესანიშნავია.

მანქანაში ჩაჯდა და სიგარას ძოუკიდა.

— ხუტორელი ყმაწვილია, ამერიკაში მიდიოდა, — უპასუხა შვილმა.

— აა, ის არის, — თქვა ალთინგის დეპუტატმა და სტარტერს ფეხი დააჭირა, გაათავისუფლა ძრავა. — კარგად მოქცეულა ჭაბუკი, ამერიკაში რომ არ წავიდა. ძალიან კარგად, სიძნელეებს აქ, სამშობლოში უნდა ვებრძოლოთ, უნდა ვებრძოლოთ და დავძლიოთ. გწამდეს შენი მშობლიური მიწის, ჭაბუკო, და იგი უხვად დაგაჯილდოვებს. ყველაფერი ისლანდიისათვის! რამდენი წლისა ხარ?

ჭაბუკი ჯერ მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო, საარჩევნო ხმის უფლება არა ჰქონდა.

ალთინგის დეპუტატმა ბერკეტს ხელი დააჭირა, უცებ დაჰკარგა ინტერესი ხუტორელი ჭაბუკისადმი, მანქანა დაძრა, დაბნევით მიიტანა ცალი თითი ქუდთან, თითქოს ემშვიდობებაო ჭაბუკს, ან იქნებ ქუდის შესწორება უნდოდა.

ასე გაემგზავრნენ. მანქანამ გზაზე მტვრის ბუღი ააყენა, ცოტა ხანში მტვერი ისევ დაჯდა.

თავი სამოცდამერვე

თანამედროვე პოეზია

ყველაზე დახლართული საქმეებიც კი ასე თუ ისე მოგვარდება ხოლმე, თუმცა გარკვეულ დრომდე ზოგიერთს არა სჯერა ეს. ჩვენი ოცნებებიც ხორციელდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამისათვის ხელსაც არ ვანძრევთ. გონს მოსვლა ვერ მოასწრო ბიარტურმა, რომ პირველი ურემი ცემენტი უკვე ეზოში ჰქონდა. ამბობენ, როცა ადამიანი უკეთეს სახლში ცხოვრების ღირსი გახდება, ეს უკეთესი სახლი, თითქოს მიწიდან ამოვიდა, უცებ ამოემართებაო წინ. ცხოვრება ყველაფერს გვაძლევს, რისი ღირსნიც ვართ. და არა მარტო ცალკეულ პირთ, არამედ მთელ ხალხს. მაგალითად, ავიღოთ ომი. ომმა ფეხზე დააყენა არა მარტო ცალკეული პირნი, არამედ ზოგიერთი ხალხებიც, მათი მხრივ ყოველგვარი მეცადინეობის გაუწევლად. საეჭვოა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რაგინდ უბრძნესნი არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ისლანდიელი ხალხისთვის ოდესმე იმის მეასედი გაეკეთებინოთ, რაც გააკეთა სისხლისმღვრელმა ომმა, სადღაც უცხო ქვეყანაში რომ ტრიალებდა. მას შემდეგ, რაც ბიარტური პატივცემული კაცი გახდა, აღარ უარჰყოფდა იმას, რომ წარსულში ზაფ-

ხულის სავანეს ბევრი ჭირ-ვარამი და განსაცდელი უნახავს, მაგრამ რას იზამ, მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო. სამაგიეროდ, მას სხვისი პური არ უჭამია. სხვისი პური—ეს ყველაზე საშინელი შხამია თავისუფალი და დამოუკიდებელი ადამიანისთვის. ეს არის ერთადერთი, რასაც შეუძლია წაართვას კაცს დამოუკიდებლობა და ჭეშმარიტი თავისუფლება. იყო დრო, როცა ზოგიერთებს უნდოდათ ბიარტურისათვის ძროხა ეჩუქებინათ, მაგრამ ის ისეთი კაცი არ გახლავთ, რომ თავის მტრებისგან საჩუქრები მიიღოს. და თუ მან ერთი წლის შემდეგ დაკლა ის ძროხა, დაკლა მხოლოდ იმიტომ, რომ შორს იყურებოდა, ხედავდა შორეულ მიზანს. აკი მაშინვე თქვა, რომ ტყუილუბრალოდ ფულის ფლანგვას არ აპირებს, ფული მომავალში უფრო დასჭირდება; იქნებ, სასახლეც კი აიშენოს. ახლაც ასე თქვა სამომხმარებლო საზოგადოებაში: თუ აშენებაა, აშენება იყოს, ორსართულიანი სახლი მინდა, მეზონინითო. სამომხმარებლო საზოგადოებაში, როგორც იყო, დაარწმუნეს, რომ მისთვის ერთსართულიანი სახლი სჯობს. კარგი სარდაფი და სხვენი ექნება, იგივე სამსართულიანი სახლი გამოგივაო. მან მიიღო სესხი შემნახველი ბანკიდან. მიწის ცარიელი ნაკვეთი არ ითვლებოდა საკმაო გარანტიად გრძელვადიანი სესხის მისაღებად; სესხს მხოლოდ ერთი წლის ვადით აძლევდნენ. ჩვეულებრივად გირავნობის პირველ სიგელზე მხოლოდ ოცდაათ პროცენტს უხდიდნენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სამომხმარებლო საზოგადოება თავდებად დაუდგებოდა გლეხს. სამომხმარებლო საზოგადოებამ კი ამის სანაცვლოდ მიწის გირავნობის მეორე სიგელი მოითხოვა. სამაგიეროდ, შემნახველ ბანკში ბიარტურს შეჰპირდნენ, რომ შემოდგომაზე კიდევ მისცემდნენ სესხს, როცა სახლის მშენებლობას მოათავებდა და გირავნობის ახალ სიგელს გააკეთებდა, აშკარად სახლსა და მიწის ნაკვეთზე ერთად. ამ მეორე სესხით დაჰფარავდა ბიარტური სამშენებლო მასალის ვალს სამომხმარებლო საზოგადოებაში. ამგვარი სამსახურის სანაცვლოდ, ბიარტურმა არჩევნებში ხმა მისცა ინგოულფ არნარსონ იოუნსონს, რათა იგი კვლავ გამხდარიყო ალთინგის წევრი, მჯდარიყო ალთინგის სხდომებზე, როგორც მათი წარმომადგენელი, გადაეჭრა ხალხის საჭირბოროტო საკითხები. ამრიგად, სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე კვლავ გავიდა ალთინგში და ამით ვაჭრებს ლახვარი ჩასცეს.

დიდი ზეიმი ჰქონდათ მათ, ვინც სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარეს მისცა ხმა, ბანკის დირექტორის მომხრეებმა კი ყურები ჩამოჰყარეს, დანა პირს არ უხსნიდათ, მწარედ ნანობდნენ, რადგან სახალხო ბანკს უკვე წყალი შეუდგა, გაკოტრების პირზე იყო მისული, გარდა ამისა, მათ ხომ დაუფარავად გამოამჟღავნეს მტრული განწყობილება რედსმირელებისადმი. რაღა უნდა ექნათ ახლა, ვიღას მიდგომოდნენ გაჭირვებაში, საკუთარი ხელით

რომ დაიტეხეს თავს? ამასთან ერთად, ახალი საფრთხეც ელოდათ: თურმე უცხოელებს ძალა გამოელია, აღარ შეეძლოთ ომი და მოკლე ხანში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასი დაეცემოდა.

საძირკვლის ამოსაყვანად ბორცვზე, ძველი მიწური ქოხის სამხრეთ მბაარეს ამოთხარეს ქვაბული. ამოაშენეს საძირკველი და სარდაფი. საუცხოო სარდაფი გამოვიდა. ხელოსნებმა ერთი კვირით შეწყვიტეს მუშაობა, შემდეგ ოთახების ამოყვანას შეუდგნენ. ოთხი ოთახი და სამზარეულო იყო დაგეგმილი. ბიარტურის ეზოში ახლა მარტო ბავშვები აკლდათ, პატარა ცნობისმოყვარე ბავშვები, უწინ რომ ანცობდნენ და დანავარდობდნენ იქ, როცა ფარეხს აშენებდნენ. ახლა იმდენი საინტერესო რამ იყო აქ: ხისა და ბეტონის სუნი, ჩაქუჩების კაკუნი, ბეტონსარევების ხმაური, მუშები, მანქანები და ცხენები, სილა და ხრეში. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ორმაგი კედლების ამოყვანა, არც რკინა-ბეტონს იყენებდნენ; ჩვეულებრივი, უბრალო, მაგრამ სქელი კედლები ამოიყვანეს. თიბვის დრო რომ მოახლოვდა, სხვენიდა ჰქონდათ ამოსაშენებელი და სახლი გადასახურავი. მაგრამ ამ დროისთვის ბიარტურს ფული გამოელია და ქალაქს წავიდა შემნახველი ბანკიდან ახალი სესხის გამოსატანად, ინგოულფ არნარსონი ფიორდში არ დაუხვდა და, მიუხედავად იმისა, რომ ბანკში შემოდგომისთვის შეპირებული იყვნენ მეორე სესხის გაცემას, ახლა უარით გამოისტუმრეს. სამომხმარებლო საზოგადოებაში გაზაფხულზე არ აღმოაჩნდათ გადასახურავი შიფერი და ფანჯრის მინები, ძალზე ბევრი იშენებდა სახლს, დუქანი გამოცარიელებული იყო, მასალის მეორე პარტიას ელოდნენ, ფანჯრის მინები ზაფხულში უნდა მიეღოთ, შიფერი კი შემოდგომაზე. „დავიცადოთ, ვნახოთ, საქონლის ფასი აიწევს თუ დაეცემაო“, — ამბობდნენ სამომხმარებლო საზოგადოებაში. ასე რომ, ბიარტურის სახლი მთელი ზაფხული დაუმთავრებელი იდგა. მეტისმეტად ულაზათო სურათი იყო. გზაზე გამვლელები თვალით ეძებდნენ პატარა. ბალახით დაფარულ სახლს, რომელსაც წინ აფარებოდა ეს უფორმო ურჩხული. თითქოს ქარიშხალმა მილეწ-მოლეწა ყველაფერი და ნანგრევებიღა დასტოვაო, ისე გამოიყურებოდა იქაურობა. მაგრამ თუ ვინმე ფიქრობდა, რომ ბიარტურის სახლი ასე დარჩებოდა მოუთავებელი, ძალზე შემცდარა. ომი ერთი წლის დამთავრებული იყო, მაგრამ შემოდგომაზე ისე აიწია ცხვარზე ფასმა, ასეთი ფასები ისლანდიაში ადრე სიზმრადაც არ მოლანდებიათ. და შემოდგომაზე რედსმირელმა ფრუმ ქალთა კავშირების ყრილობაზე, დედაქალაქში, ფრთოსანი სიტყვა წამოისროლა: „ისლანდია — ციური ქვეყანაა“.

ორმოცდაათ კრონად ფასობდა ერთი ცხვარი. დედაქალაქის გაზეთები აღტაცებისაგან იგუდებოდნენ, ქებით ცამდე აჰყავდათ გლეხის კულტურის

უპირატესობა წარსულში თუ აწმყოში, განსაკუთრებით ადიდებდნენ გლეხის ღვაწლს. ბიარტურმა შემნახველ ბანკში მიიღო მეორე სესხი, შემდეგ ხე-ტყე, მინები, გადასახურავი შიფერი, დაიქირავა ხელოსნები და შემოდგომაზე სახლი უკვე გადახურული ჰქონდა. ოღონდ, როცა სხვენის გამართვას შეუდგნენ, სარდაფის კედლები დაიბზარა. ათისთავმა გამოაცხადა, ეს ნამდვილად მიწისძვრის შედეგიაო. ამ ზაფხულს მიწისძვრა არ ყოფილაო, უპასუხა ბიარტურმა.

— კორეაში იყო მიწისძვრა, — მოახსენა ათისთავმა და თან დაანუგეშა: — ეგ უბრალო ბზარებია, მაგათი შეკეთება ადვილია.

მიუხედავად ბზარებისა, ამ სახლის შეხედვაზე მის პატრონს მომავალი ცხოვრების წარმტაცი სურათები ეხატებოდა ოცნებაში. ბიარტური უყურებდა სახლს და თავისთვის რაღაცას დუდუნებდა.

როცა მთიდან ცხვარი ჩამორეკეს, მამა-შვილი ფიორდს გაემგზავრა ორი ფორნით. ათასი წვრილმანი რამ ჰქონდათ საყიდი ოჯახისთვის. ბიარტური მთელი გზა ხმას არ იღებდა, მაგრამ უშენის აღმოსავლეთ მხარეს რომ მიაღწიეს, დუმილი დაარღვია და გვენდურს უთხრა:

— მაშ ასე, არა? გაზაფხულზე მითხარი, თითქოს აუსტა სოულილიამ ჩემს ლექსებს უშნოდ შეთითხნილი ლექსები უწოდა!

— ჰო, რაღაც ამდაგვარი მითხრა, — მიუგო გვენდურმა.

— და რომ მისი მეგობრები თანამედროვე პოეზიას აძლევენ უპირატესობას. ასე თქვი, არა?

— დიახ, აუსტას დანიშნული ჰყავს. თანამედროვე ახალგაზრდა პოეტი.

— ძნელი არ არის ისე წერა, როგორც თანამედროვე პოეტები წერენ, — თქვა ბიარტურმა, — ეგ ფაღარათსა ჰგავს, შინაგანი რითმა არ გააჩნია, მარტო ბოლო რითმა აქვს.

გვენდურს არ ეხერხებოდა ლექსების თხზვა და ვერაფერი უპასუხა მამას.

ცოტა ხნის შემდეგ ბიარტურმა დაიწყო:

— ყოველ შემთხვევისათვის, თუ ვინცობაა კიდევ შეხვდი ქალაქში აუსტა სოულილიას, თანამედროვე ლექსს წაგიკითხავ, დაიხსომე და გადაეცი, სულ სამი სტროფია. ნულარ იტყვის, თითქოს ასეთი უბრალო რამის დაძლევა მიჭირდეს.

— გადავცემ, თუკი დამამახსოვრდა.

— არსად წამოგცდეს, ყმაწვილო, ერთი მოსმენით რომ სამი სტროფის დახსომება არ შეგიძლია, — ბიარტურმა კიდევ რაღაც ჩაილაპარაკა თავისთვის და დაუმატა: — ომზეა ეს სამი სტროფი. მომისმინე:

ძალიან ბევრი დაეცა ომში,
საზარელ ომში დაეცა ყველა,

მაგრამ მე რა ვქნა, არ მეცოდება
არაკინ,
ახლა ნაკლებად ვეღლავ.
ოგავის ახსნას ამაოდ ელამობ,
ომი დაიწყო ავდარში, დარში,
სულ ერთადერთი ყვავილის გამო,
რომელსაც ღერო მოსტეხეს მაშინ.
და ჩემი ლექსიც ყვავილთან ერთად
მოკვდა...
არ ვიცი, რამ გამახაროს,
აწ აღარაფერს არ ვეძებ მეტად,
დამშრალა ჩემი იმედის წყარო.

— უკეთესი არ იქნება, თვითონ მიხვიდე სოულასთან? — ჰკითხა გვენდურმა.

— მე? — იტაცა ბიარტურმა. — არა, ასეთ ხალხთან საერთო არაფერი მაქვს.

— როგორ ხალხთან?

— ვინც ჩემი ნდობა არ გაამართლა. განა ამის შემდეგ მევე უნდა ვეახლო და ქედი ძოვუხარო? არა, ვინც იმედი გამიცრუა, იმას შეუძლია მოვიდეს და პატიება მთხოვოს. მე იოტის ოდენა დანაშაულს არა ვგრძნობ არაფერში. გარდა ამისა, ის ჩემი სისხლი და ხორცი არ არის.

— სულ ერთია, მაინც უნდა მიხვიდე მასთან, — უთხრა ჭაბუკმა მტკიცედ, — დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ცუდ დღეშია. შენ ხომ შინიდან გააგდე. გააგდე მაშინ, როცა ფეხმძიმედ იყო.

— შენი საქმე არ არის, ვინ გავაგდე და როდის. ღმერთს უმადლოდე, რომ შენც არ გაგაგდე. მაგრამ იცოდე, თუ კიდევ გამიბედავ ასეთ თავხედურ ლაპარაკს, არც შენ აგცდება ეგ დღე.

— დარწმუნებული ვარ, რომ სოულას ძალიან გაუხარდება, თუ მოინახულებ.

ბიარტურმა ერთბაშად, მოსხლეტით მოსწია სადავე და წამოიძახა:

— არა, არასოდეს, ცოცხალი თავით მე მასთან მიმსვლელი არა ვარ. — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კი დაუმატა: — მაგრამ თუ მოვკვდი, სალამი გადაეცი ჩემგან და უთხარი, რომ შეუძლია დამშარხოს, როგორც წესი და რიგია.

აუსტა სოულილია ახალი გადასული იყო სანდეირში, თავისი საქმროს სახლში. სახლი კი არა, უფრო მიწური ქოხი იყო, გოფრირებული თუნუქით გადახურული, იმ ქოხების მსგავსი, როგორშიც ზანგები ცხოვრობენ ცენტრალურ აფრიკაში. ფანჯრის რაფაზე ჟანგმოდებული თუნუქის ორი ქილა

იდგა, ერთი ქილიდან ამოწვერილიყო ყვავილის ღერი, ისიც იბრძოდა არსებობისათვის. ოთახში ორი საწოლი იდგა, ერთი აუსტასა და მისი საქმროსათვის, მეორე საქმროს დედისთვის, ვისი საკუთრებაც გახლდათ ეს ქოხი. საქმრო უმუშევარი იყო. აუსტა ცივად არ შეხვედრია გვენდურს, მაგრამ მარცხენა ღაწვი საგრძნობლად სძლევდა მარჯვენას, გაფითრებული იყო, როგორღაც გამშრალ-გაცბუნებული, წინა გაფუჭებული კბილი ამოეღო და ცარიელი ადგილი კბილსა და კბილს შუა შავად მოუჩანდა. გრძელი საუბარი არ გაუბამს, არ უკითხავს, რატომ არ წახვედი ამერიკაშიო, უთუოდ გასაკვირველს არაფერს ხედავდა იმაში, რომ გვენდურმა გადაიფიქრა ამერიკაში წასვლა, რადგან მას არაფერი სწამდა ამერიკისა. გვენდური ხელად მიხვდა, რომ აუსტა ფეხმძიმედაა, ჩუმად იჯდა, დაჰყურებდა ქალს ხელის გრძელ მტევნებზე, რომლებშიც სასიცოცხლო დიდი ძალა იგრძნობოდა, გამხდარ მხრებზე. აუსტას უცებ ხველა აუვარდა.

— გაციებული ხარ? — ჰკითხა გვენდურმა.

— არა, სულ ასე მახველებს, დილდილობით სისხლიც კი ამომაქვს, — უპასუხა აუსტამ.

გვენდურს აინტერესებდა, როდის აპირებდა ჯვრის დაწერას აუსტა, მაგრამ ქალი მომავალ ქორწინებაზე ისე ამაყად ვეღარ ლაპარაკობდა, როგორც გაზაფხულზე, როცა ბიარტურის ვაჟს გამოუცხადა, დანიშნული ვარ, ჩემი საქმრო ახალგაზრდა, თანამედროვე პოეტიაო.

— განა რომელიმეს გაინტერესებთ. როგორ ვცხოვრობ? — ჰკითხა აუსტამ ძმას.

— მამაჩემმა ამ დილით სამი სტროფის დაზეპირება მიბრძანა, — დაიწყო გვენდურმა, — ომზეა დაწერილი, თანამედროვე ყაიდის ლექსია. წაგიკითხო?

— არა, არ მინდა მაგის მოსმენა, — მოკლედ მოუჭრა აუსტამ.

— მე კი მგონია, რომ მაინც უნდა წაგიკითხო, — უპასუხა გვენდურმა და წაიკითხა, რაც დაავალეს.

აუსტა უსმენდა, თვალებში სითბო ჩაუდგა, რაღაც ნაზი, ლმობიერი იერი დაედო სახეზე, თითქოს საცაა ტირილი წასკდებაო, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გულში ჩაიმარხა, რასაც გრძნობდა და უსიტყვოდ შეტრიალდა.

— ახალი სახლი უკვე გადახურულია, შემოდგომაზე გადავალთ, — უთხრა გვენდურმა.

— ოჰო, მაშ ასეა? მერე მე რა მესაქმება თქვენ სახლთან?

— მგონი, მამას თავისი გეგმები უნდა ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, რომ დიდი ოთახი შენთვის უნდა, შენ მოგცემს, თუ ჩამოხვალ.

— მე? — წამოიძახა აუსტამ და ამაყად ასწია თავი. — მე დანიშნული ვარ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტზე, რომელსაც ვუყვარვარ.

— მე კი მგონია, სოულა, რომ შენთვის შინ დაბრუნება სჯობს, — უპასუხა გვენდურმა.

— ნუთუ შენ ფიქრობ, რომ ოდესმე მივატოვებ იმ კაცს, რომელსაც ვუყვარვარ?

ქურასთან მდგარმა მოხუცმა ქალმა თავი ვეღარ შეიკავა და საუბარში ჩაერია:

— თუ ასეა, ცოტა ლმობიერად უნდა მოექცე იმ საცოდავს, თორემ შინ ვეღარ ჩერდება, სისხლი აქვს შენგან გამშრალი.

— ტყუილია, — გაწიწმატდა აუსტა, მოხუცს მიუბრუნდა, — მე მიყვარს იგი. დიახ, ყველაზე მეტად მიყვარს ამქვეყნად. არავითარი უფლება არა გაქვს, უცხო ხალხს უთხრა, თითქოს ცუდად ვექცევი მას. გაცილებით იმაზე უკეთ ვექცევი, ვიდრე იმსახურებს. განა მე მის ბავშვს არ ვატარებ მუცლით? გინდაც მუხლის ჩოქვით მოხოხდეს აქ ის ზაფხულის სავანელი ბიარტური და პატიება მთხოვოს ყველა იმ ბოროტებისთვის, რაც გაუკეთებია ჩემთვის, ჩემი დაბადების დღიდან, მაინც არაფრის გაგონება არ მინდა მის სახლზე. გულშიც კი არ გავივლებ. თუნდ ერთი ნაბიჯი გადავდგა მისკენ. ასე მოახსენე ბიარტურს: ვიდრე სული მიდგა, ფეხის დამდგმელი არა ვარ ზაფხულის სავანეში. თუ მოვკვდი, შეუძლია დამმარხოს.

თავი სამოცდამეცხრე

როცა კაცი უცოლოა

ახალი სახლი აშენებამდე გღლის, არაქათს გაცლის. უცნაურია, რომ ადამიანს უსათუოდ სახლში სჭირდება ცხოვრება, ნაცვლად იმისა, რომ თავისი ოცნების სავანეთი დაკმაყოფილდეს. უკვე ბევრი რამ ითქვა, ახალს ვერაფერს ვიტყვით ზაფხულის სავანეზე ბიარტურის მომავალ კერაზე. კორეაში, როგორც ზემოთ ბრძანა ათისთავმა, მიწისძვრა მოხდა, მაგრამ მშენებლობა მაინც დაამთავრეს. სარკმლის ჩარჩოებში მინები ჩასვეს, სახურავს ზემოთ ამოიმართა საკვამური მილი, სამზარეულოში ხელსაყრელ ფასად ნაყიდი სამკომფორიანი ქურა გაჩნდა. როცა ზღურბლი და ხუთსაფეხურიანი კიბეც ამოაშენეს, დერეფნის გაკეთებას შეუდგნენ, რამეთუ სახლს უსათუოდ უნდა ჰქონდეს დე-

რეფანი. ახალ სახლში შემოდგომაზე უნდა შესულიყვნენ. ასე ჰქონდათ გადაწყვეტილი. ყველაზე დიდი ოთახი ლირსით მოაგეს. ზოგი ურჩევდა ბიარტურს, ლირსი შეღებეო, ზოგი კი ეუბნებოდა, უცხოეთის გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები დააწებეო, მაგრამ ბიარტური ზიზილპიპილოების მოყვარული არ გახლდათ და თქვა, სახლში ნაგავს არ დავაგროვებო. შემოდგომის დამდეგს ძლიერი ქარიშხალი ამოიჭრა, ამას შტორმის ქარი მოჰყვა აღმოსავლეთიდან და თოვლიც წამოვიდა. ახალ სახლში ისე დაზუზუნებდა ქარი, როგორც გარეთ. რატომ ჰქროდა ქარი სახლში? იმიტომ, რომ არც ერთ ოთახს კარი არ ჰქონდა ჩამობმული. თავის დროზე დაავიწყდათ კარის შეკვეთა, ახლა კი დურგლები დაბანდებული იყვნენ.

— რამდენიმე ფიცარი შეჰკარი, მაგას რა დიდი რამ უნდა, — სთხოვა დურგალს ბიარტურმა.

ქვიტკირის სახლს ეგეთი კარი ვერაფერს უშველის, ქარი ისევ იქირქილებს შიგ, ჩარჩოს კი დიდებულს გაგიკეთებო, — უთხრა დურგალმა ბიარტურს და დაუმატა:

— ისიც უნდა მოგახსენო, ჩემო კარგო, რომ ასეთი ჩარჩოსთვის საუკეთესო ხის, კარგად შეკრული, კარგ ჩამოსაბმელებზე ჩამოკიდებული კარია საჭირო.

— მჭედელი ხელად გამიკეთებს ანჯამებს, რა დიდი რამ უნდა, — უპასუხა ბიარტურმა.

— არა, მეგობარო, ანჯამები არ გამოგვადგება, სკივრს ხომ არ ვაკეთებთ. საუკეთესო ხარისხის ჩამოსაბმელები გვჭირდება. ასეთ კარგ დროში კარი ჩამოსაბმელებზე უნდა ეკიდოს, — უპასუხა დურგალმა.

— ჯანდაბას, ჯოჯოხეთის ცეცხლშიაც დამწვარა ეს სახლი: — დაიყვირა გაალმასებულმა ბიარტურმა. ვერ მოენელებია, რომ ამ ქვის ურჩხულმა ზღვა ფული შთანთქა.

კარი არც ისე დიდი უბედურებაა. მართალია, სახლი გადახურულია, მაგრამ სად არის ის მოწყობილობა, ურომლისოდაც სახლი სახლს არ ჰგავს? გლეხს საწოლიც კი არ გააჩნდა. ძველ ქოხში გაურანდავი ფიცრების საწოლები კედლებში იყო ჩატანებული, იმათ ვერ გადმოიტანდი აქ. მაგიდაც ცუდად გარანდული ფიცრებისაგან იყო შეკრული და ფანჯრის რაფაზე მიშედებული. ანკი რა მაგიდა იყო ის, თუნდაც ასე გადმოტანა შესაძლებელი ყოფილიყო. მართალია, დრომ კარგად გარანდა, მაგრამ დრომ სხვა საქმეც გააკეთა, ფიცარი დააფრაკდა და დალპა. არც კარადა გააჩნდათ, ერთადერთი თარო იყო კედელზე მიმაგრებული, ისიც კედელთან ერთად დალპა. სკამები? არა, ზაფხულის სავანეში სკამი თვალით არავის უნახავს. ისეთი ფუფუნების საგნებზე,

როგორც, მაგალითად, ფაიფურის ძაღლები, ფარდები ან სურათებია, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მათი მიწურის კედლები არასოდეს დაუმშვენებია ქრისტეს გამოსახულებას. ჰალდგრიმ პიეტურსონის ან რუსთ ხელმწიფის სურათ. მოკლედ, ცარიელ-ტარიელები იყვნენ, არაფერი ისეთი არ ებადათ, რაც ყოველი სახლისთვისაა საჭირო. ამგვარად, როდესა: ევროპაში ცივილიზაციის მაღალ დონეს ეპოტინება, მარტო კარი კი არა, ათასი სხვა რამ-დაბრკოლება ეღობება და ბიარტურმა გადაწყვიტა, ერთი ზამთარი კიდევ გაეტარებინა ძველ ქოხში. მით უფრო, რომ, როგორც ჩანდა, ადრე აპირებდა აცვევებას, და იდგა ბორცვზე ამართული ახალი სახლი, ვით მოგონება წარსულ კარგ დროებაზე, იდგა და თავის გასაოცარ ფასადს უჩვენებდა სამყაროს.

ახლა კი რამდენიმე სიტყვა უნდა მოგახსენოთ მნე ქალებზე. ძნელია. მეტისმეტად ძნელი, მნე ქალის ხელში ჩავარდნა. მნე ქალები ცოლებისგან იმით განსხვავდებიან, რომ თავნებობენ მაშინ, როცა გათხოვილი ქალის ვალი მორჩილებაა. მნე ქალები გამუდმებით რაღაცას მოითხოვენ, ცოლები კი მაშინაც გვემადლიერებიან, როცა არაფერს ვაძლევთ. მნე ქალები სულ წუწუნებენ, ხან ეს აკლიათ, ხან ის, ცოლები კი იმითაც კმაყოფილი არიან, რაც აქვთ. მნე ქალები ზოგ საქმეს უკ ერისობენ, ტუჩს იბზუებენ, ეს მათ ღირსებას არ შეეფერება, ცოლის ბუზღუნს კი ვინ მიაქცევს ყურადღებას? მით უარესი მისთვის, თუ ხმის ამოღება გაბედა. იმაზე აღარაფერს ვიტყვით, რომ მნე ქალებს წარამარა უფუჭდებათ გუნება, სულ აღრენილები არიან. მნეს შეუძლია სახლის პატრონს სისხლი გაუშროს, თუ რაიმე მის გუნებისად არ კეთდება. „სჯობს სამი ცოლი გყავდეს ერთად, ვიდრე ერთი მნე ქალი“, — იტყოდა ხოლმე ბიარტური, მაგრამ ამ საკითხში ის თანმიმდევრობას ვერ იჩენდა. მაინც მნე ქალი ერჩივნა, რომელიმე კაპასი ალქაჯი, გაუთავებლად რომ ეკინკლავებოდა.

პირველი სამი წლის მანძილზე სამი მნე ქალი გამოიცვალა, თითო თითო წელიწადს ჰყავდა: ერთი ახალგაზრდა, მეორე შუახნისა, მესამე კი მოხუცი. ახალგაზრდა მნეს ვერ შეეგუა, შუახნისამ გაამწარა, მოხუცმა სისხლი გაუშრო. ბოლოს გაურკვეველი ასაკის მნე ქალი დაიქირავა და მალე დარწმუნდა, რომ მასთან შეგუება შეიძლებოდა. ბრუნგილდა ერქვა ქალს, მაგრამ ყველა ბრუნიას უძახდა. უკვე ორი წელიწადი იყო, რაც ბრუნგილდა ბიარტურის სახლში ცხოვრობდა და მისი უპირატესობა წინა სამ მნესთან იმაში მდგომარეობდა, რომ ბრუნია სახლის პატრონებს კეთილად და თბილად ექცეოდა. ახალგაზრდა მნე ქალი ყველაზე გემრიელ, ნუგბარ ლუკმას მალავდა, მოჯამაგირეს აჭმევდა და ღამით მასთან ლაციცობდა, ისე რომ, მეორე დღეს მოჯამაგირეს აღარაფრის თავი არ ჰქონდა. ბრუნია ასეთ რამეს არ აკეთებდა. შუახნის მნე ისტერიული იყო, გაბოროტებული ღმერთზეც და ხალხზეც,

ბრუნია კი—მშვიდი, თავაზიანი. მოხუცი მნე ერთთავად ბიარტურის დამცირებას ცდილობდა, მისი სახლის სახურავს ალაგ-ალაგ რომ წვიმა ატანდა, პასტორის დიდებული სახლის სახურავს ადარებდა და ერთთავად მოთქვამდა. რომ იქ ქარებით დასნეულების საფრთხე არ მოელოდა, იქ უდარდელად ცხოვრობდა. არა, ახალი მნე არ იყო ჭირვეული, თავაზიანად ექცეოდა ბიარტურს, ცილს არასოდეს დასწამებდა, არ ჰკიცხავდა, მაგრამ ქალთა სქესის დამახასიათებელ წვრილმანობას მაინც მოკლებული არ იყო. როგორც ყველა ქალი, ბრუნიაც ფიქრობდა, რომ ცხოვრებამ დაჩაგრა, ვერ მიიღო ის, რაც ეკუთვნოდა, რომ ბედი სდევნის, ვერავინ გაუგო მას. სულ ელანდებოდა, თითქოს ეჭვით უყურებდნენ, ქურდობას სწამებდნენ, უსამართლონი იყვნენ მის მიმართ და ამიტომ ერთთავად მზირზე იყო შემართული, თავდასასხმელად გამზადებული.

— ყავის ნალექი ხბოს მივეცით, — გამოაცხადებდა ბრუნია, თუ ბიარტური სთხოვდა, დილის მონარჩენი ყავა გამიცხელეო.

— რასაკვირველია, მე მოვიპარე, — გამოაცხადებდა ბრუნია, თუ ბიარტური ზრდილობიანად ჰკითხავდა, დილას თევზის კუდი რომ დავტოვე, რა იქნაო.

— მგონი აქ ხალხს ჰგონია, რომ გვიანობამდე ვგორაობ ლოგინში, ქალბატონივით ვნებივრობ, — წამოიძახებდა ბრუნია, თუ ბიარტური ეტყოდა, ძროხები უფრო ადრე უნდა მოვწველოთ დილითო.

ბრუნია გაუთხოვარი იყო. ხმა დადიოდა, რომ ოდესღაც უყვარდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ცოლიანი გამოდგა და აქამდე ვერ. დაივიწყა სატრფოო. ამბობდნენ, მდიდარიაო. საკუთარი ცხენი ჰყავდა, ქურანა ჭაკი, რომელიც სიბერემდე გაუხედნავი დარჩა და რომელიც ბრუნიას ძლიერ უყვარდა. გარდა ამისა, ერთი ისეთი განძის მფლობელიც გახლდათ ბრუნგილდა, რომელიც მთელი ოლქის მშრომელ ხალხზე მაღლა აყენებდა მას. ეს განძი დასაშლელი საწოლი გახლდათ, რომლის გადატანაც შეიძლება ერთი ადგილიდან მეორეზე, მოკლედ, ავეჯის პატრონი იყო. ჰქონდა კარგი ლეიბი, ხშირად დაშლიდა ხოლმე და ანიავებდა, როგორც კი მზიანი დღე გამოვიდოდა, და კიდევ უფრო თხელი ლეიბი, წმინდა ბუმბულის საბანი და საუცხოო ბალიში. ბალიშის პირზე ამოქარგული ჰქონდა: „ღამე მშვიდობისა!“ მოკლედ, საიმედო ქალი იყო, წარმოსადეგი, ვეება, კაცის ძალა ჰქონდა და თუმცა კატასავით უყვარდა სისუფთავე, არავითარ ჭუჭყიან საქმეს არ ერიდებოდა, არ მიზეზიანობდა, დღედაღამ რომ ეზიდა ნაკელი, ხმას არ ამოიღებდა. უთუოდ ხელები ოდესღაც მოეყინა, დაკლული ცხვრის ფერი დაჰკრავდა, მოწითალო-მოლურჯო კოფთა ტანზე ჰქონდა შემოსხეპილი, კორსეტს არ ატარებდა და ამი-

ტომ სქელი ჩანდა, კარგ, მაგარ მუშა ცხენსა ჰგავდა. დაქარულ ღაწვებზე საამური ახალგაზრდული სიწითლე დაჰკრავდა. მაგრამ როცა შესცივდებოდა, ღაღაჟა ღაწვები ოდნავ ულურჯდებოდა. თვალები ნათელი ჰქონდა, გონივრული, პირის ირგვლივ მკაცრი ხაზები გასდევდა, რაც შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს, მისი ფიქრები და გრძნობები სავსებით შეუზღუდავი იყო კრიტიკისადმი მიდრეკილებით, რაც ასე ახასიათებთ თანამედროვეთ. ისეთი დაძაბული, ცივი კილოთი იცოდა ლაპარაკი, თითქოს ვიღაცამ ცილი დასწამა და სამართალში მისცესო. სულ ისეთი ვრძნობა ჰქონდა, თითქოს ვიღაცამ გული ატკინა, თითქოს ვიღაცამ აწყენინა.

ყინვებს უცებ წვიმა და თოვლქყაპი მოჰყვა. რაკი ახალ სახლში აპირებდნენ გადაბარგებას, ზაფხულში ძველი ქოხი არ შეუკეთებიათ და ოთახში წვიმა ჩამოდიოდა. ბიარტურმა ითმინა, ითმინა და ბოლოს ქვევით გადაბარგდა, საჯალაბო დიდ ოთახში. მოხუც ჰალბერას არ უყვარდა ადგილის გამოცვლა, ცივი უარი თქვა ქვევით ჩასვლაზე, საბანზემოთ ტომრები გადაიფარა და გაუნძრეველად იწვა, ვიღრე ამინდი არ გაშოკეთდა. ერთ საღამოს ბრუნიამ ბიარტურს ვახშამი მიართვა, ბიარტურმა ჯამი მუხლებზე დაიდგა და ჭამა დაიწყო, ბრუნია კი იქვე იდგა და შესცქეროდა მას. ჭამა რომ მოათავა ბიარტურმა, ბრუნია შებრუნდა, ასე აკეთებდა მუდამ, როცა ბიარტურს ელაპარაკებოდა. და თითქოს კედელს ეჩურჩულებაო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— რა აზრი აქვს დიდი და ლამაზი სახლის აშენებას, თუკი კაცი ჩაცუცქული ზის ასეთ საძაღლეში, სადაც დაცხრილული სახურავიდან ღვარად ჩამოდის წვიმა? რა ამბავს ასტეხავდნენ, ჩემი გამოისობით რომ მომხდარიყო ეს?

— სახურავიდან ჩამოსული წყალი დიდ ვნებას არავის მიაყენებს, ეგ წყალი სასარგებლოა. ისე კი, რას იზამ, დროზე ვერ შევუკეთე კარი.

— სიამოვნებით გადავიხდიდი ჩემი პატარა სენაკის კარის საფასურს, დროზე რომ ეთხოვათ ჩემთვის.

— მე მგონია, ჩემი სახლის კარი ჩემი ფულით უნდა გაკეთდეს, — უპასუხა ბიარტურმა, — გარდა ამისა, მარტო კარი კი არ გვაკლია. ვერ მოვასწარი ქალაქს წასვლა ახალი სახლისთვის ავეჯის საყიდლად, და ზამთარიც კარს მოგვადგა.

— აქამდე უავეჯოდაც კარგად გავდიოდით იოლად, — უპასუხა ბრუნიამ, — მაგრამ თუ ეს საჭირო იყო, მე შემეძლო ორი სკამის ყიდვა საკუთარი ფულით და საწოლის თხოვება, ანდა, ყოველ შემთხვევაში, საწოლის გაზიარება, ამ სახლში რომ ერთ სულდგმულთან მაინც შეიძლებოდეს რამეზე მოლაპარაკება.

— ჰმ! — ჩაიფრუტუნა ბიარტურმა და ბრუნიას შეხედა.

ვინ იტყოდა, რომ ბრუნია წარმოსადეგი, მარჯვე, მშრომელი ქალი არ იყო, გონიერი, პატივმოყვარეობას მოკლებული, მშვიდი და თვინიერი? ბიარტურს შეეძლო ცოლად შეერთო, ანდა უბრალოდ გაეზიარებინა მასთან სარეცელი, როგორც თვითონ ქალი სთავაზობდა ესოდენ ტლანქად. ბიარტური ვერაფერში დაემდურებოდა ბრუნიას, ამ კლდესავით მაგარ ქალს, რომელსაც დრომ ვერა დააკლო რა, ვერ დაადო თავისი დაღი, ვერც დაუტატანებდა. როგორც ამას ქალი იმსახურებდა. არა, ბიარტური თავის თავს გამოუტყდა, უაზრობაა, სისულელეა ჯამაგირი უხადო ქალს, როცა შეგიძლია ლოგინში შეუძვრე ისეთ ჩინებულ საწოლზე, რომლის მსგავსი მთელ ოლქში არ მოიპოვებაო. ბიარტურს სომ არასოდეს არ ღირსებია ასეთ ჩინებულ საწოლზე წოლა. გარდა ამისა, ბრუნიას ბანკში ფულიც ჰქონდა.

— უნდა მოგახსენო, ძვირფასო ბრუნია, რომ თუ შემოდგომაზე ახალ სახლში ვერ გადავედი, უფულობის გამო არ მომხდარა ეგ. რამდენი კარიც მჭირდებოდა, იმდენის ყიდვა შემეძლო და არა მარტო კარის, საწოლების. სკამების და სურათებისაც კი, ქრისტე-ღმერთის გამოსახულების. ან რუსთ ხელმწიფის სურათისა. კედლებზე დასაკიდებლად.

— მე იმას არ ეკითხულობ, რატომ არ გადახვედი-მეთქი, — თქვა ბრუნიამ და ისევ კედელს უჩურჩულა: — დადის კაცი, დაბორიალებს, თხზავს ლექსებს იმათთვის, ვისაც არ ესმის, ან არ უნდა ამ ლექსების გაგება, სხვებს კი ერთ თბილ სიტყვას არ აღირსებს. არა, სხვებს სახურავიდან აწვეთავთ წყალი, მაგრამ ვის ენაღვლება, დეე, აწვეთოს, სხვების ხვედრი მარტო ეს არის.

— სახურავიდან ჩამოსული წყალი არავის აუნებს, — გაიმეორა ბიარტურმა. — გაცილებით უარესია, თუ წიგნით უწვეთავთ.

როცა კაცი უცოლოა, ხანდახან იძულებული ხდება ქარაგმებს მიმართოს, რომ მნე ქალი ჩააჩუმოს.

თავი სამოცდამეათე

— პროცენტების პროგლემა

განა გასაკვირველი იყო, ხალხი თუ ფიქრობდა, ბიარტური შეცდა, სახლი არ უნდა აეშენებინაო?

მაგრამ ნება მიბოძეთ, გკითხოთ, მთების მეფის საქმე როგორღაა? იქნებ

ომას უფრო გაუღიმა ბედმა? არა, მართალი მოგახსენოთ, ბიარტური მთების მეფესთან შედარებით უფრო ბედნიერი გამოდგა.

ბიარტურის უკარო, ცარიელი სახლი ჯერ კიდევ იდგა საძირკველზე ბანკიდან მიღებული სესხით, პროცენტების ანგარიშში კი ცხვარს აბარებდა. მთების მეფეს უფრო ცუდად წაუვიდა საქმე, მის სახლს ყოველი ბურჯი გამოეცალა. ჩინებულად მოპირკეთებული, ისეთი ავეჯით გაწყობილი სახლი იყო, რედსმირელთა სახლს არაფრით ჩამოუვარდებოდა, არც ერთი ცივილიზებული ადამიანი არ იუკადრისებდა ასეთ სახლში ცხოვრებას, მაგრამ მთების მეფე იძულებული გახდა. გამოთხოვებოდა თავის ქერას. თურმე შეძლებულ გლეხსაც. ასეთ კარგ დროშიც კი, არ გააჩნია ადამიანურად ცხოვრების სახსარი. ასე ყოფილა და იქნება მარად. უბრალო ადამიანისთვის მარტო ისეთი ქონია ხელმისაწვდომი, როგორშიც ცენტრალური აფრიკის ზანგები ცხოვრობენ, ისიც იმ პირობით, თუ ვაჭარი წყალობას მოიღებს და სულის შესანარჩუნებლად გადმოუგდებს ორიოდ ლუკმას, რომ საბოლოოდ არ ჩაქრეს მასში ოდნავ მბჟუტავი სასიცოცხლო ნაპერწკალი. ასე მიათრევდა თავის წუთისოფელს ისლანდიელი ხალხი მთელი საუკუნის მანძილზე. რას იზამ, თავს ზევით ძალა არ არის. ძველ დროში ვაჭრის ვალი ჩვეულებრივი ამბავი იყო, თუ ვალი იმატებდა, ვაჭარი კრედიტს უხურავდა გლეხს. არავინ ხმას არ იღებდა, არავინ წუხდა იმაზე, რომ გლეხობა შიმშილით იხოცებოდა, — ეს თითქოს ლელოს გატანადაც კი ითვლებოდა. მაგრამ მაინც ასე ძაღლუმადურად ცხოვრება სჯობდა ბანკის ბადეში გახვევას, როგორც ახლა ხდება. მართალია, უწინ გლეხებს შიმშილით სული ძვრებოდათ, მაგრამ დამოუკიდებლები და თავისუფლები იყვნენ, მათი შეცდომა ისაა, რომ პრმად მიენდვნენ ბანკს, ვერ დაინახეს, რა საფრთხე ემუქრებოდათ. სინამდვილეში ბანკი მხოლოდ იმათთვის არის უსაფრთხო, ვისაც დიდი ვალი აქვს—ერთი მილიონიდან ხუთ მილიონამდე. იმ დროს, როცა ბიარტურმა გაჰყიდა თავისი საუკეთესო ძროხა, რომ სახლის მშენებელი ხელოსნების ვალი გაესტუმრებინა, სესხის ანგარიშში შეეტანა ათასი კრონი, პროცენტების ანგარიშში კი, რაც ექვსას კრონს შეადგენდა, ცხვარი ჩააბარა, მთების მეფემ გაჰყიდა თავისი ხუტორი იმ ფასად, რა ფასადაც ჰქონდა დაგირავებული და ქალაქში წავიდა ხელცარიელი, მაგრამ მაინც უხაროდა, იოლად გადავრჩიო. ამასობაში სახალხო ბანკი ინგოულფ არნარსონმა ჩაიგდო ხელთ და იმ კოლოსალური სესხის წყალობით, რაც მთავრობამ ინგლისიდან მიიღო, სახელმწიფო ბანკად გადააქცია. რასაკვირველია, ვალის გადავადებასა ან ჩამოწერაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, თუ საქმე მილიონებს არ ეხებოდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასი კი სწრაფად ეცემოდა. დიახ, იმ შემოდგომაზე, როცა ზაფხულის სავანელი ბიარტურის სახლს არსებობის ერთი წელიწადი შეუსრულდა, ფასები სწრაფად დაეცა პროდუქტებზე. მსოფლიო ომი ვაჭრებსა და მრეწველებს აღარ აფარებდა წყალობის კალთას. უცხოეთში, ერთიმეორის ჟლეტის ნაცვლად, ცხვრის მოშენებას მიჰყვეს ხელი. სამწუხაროდ, ისლანდიური ხორცი აღარავის უნდოდა მსოფლიო ბაზარზე, არავის სჭირდებოდა ისლანდიური მატყლი, უცხოელების ცხვარი უკვე შეიმოსა მატყლით. ბიარტური თვალს ადევნებდა, როგორ ქრებოდა ასობით ცხვარი პროცენტების ანგარიშში, მაგრამ სისხლის ამგვარ გამოშვებას ისეთივე სიმტკიცით ხვდებოდა, როგორც უწინ, შიმშილობის წლებში, — ვაჭრებსა და მოჩვენებებს. ბიარტური არ ჩიოდა. ვალის ყულფი თანდათან მსხვილდებოდა, საქონლის ფასი კი ეცემოდა და მაინც არ შედრკა ბიარტური, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ებრძოლა თავისუფლებისათვის, თავი კედლისთვის ეხალა, ვიდრე ტვინის ნატამალი შერჩებოდა. მის გამუდმებულ ბრძოლაში თავისუფლებისათვის ახალი ერა დადგა — ბრძოლა ისეთ „ნორმალურ“ ეკონომიურ პირობებში, როგორიც არ შეიძლებოდა არ დაბრუნებულიყო, როცა ზებუნებრივი ბედნიერება გაქრა, მსოფლიო ომმა რომ მოუტანა ხალხს; იმ მომეტებული ოპტიმიზმის, რამაც ღატაკი გლეხი იმ ზომამდე გაასულელა, რომ ხეირიან სახლში ცხოვრება მოისურვა, ნიშანკვალიც აღარ დარჩა.

როცა „ბუმი“ მიწყდა, ბიარტური უკვე იმ საფლობში იჯდა, რომელსაც თავი დააღწია მძიმე წლებში. შიმშილობის წლებში შეინარჩუნა თავისუფლება, — კეთილდღეობის წლებში კი პროცენტების მონა გახდა. მძიმე წლებში არავისი არა ემართა რა, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ეხოცებოდა, მიწურ ქოხში ცხოვრობდა, ვაინჩარობით გაჰქონდა თავი, გამუდმებით შიმშილობდა, მაგრამ თურმე ის დრო სჯობდა ამ კეთილდღეობის ხანას. როცა მომრავლდა გამსესხებელი ორგანიზაციები და ყველას მშენებლობის ციებ-ცხელება შეეყარა.

იმ დროს, როცა ინგოულფ არნარსონმა აღადგინა სახალხო ბანკი სააქციო კაპიტალის რამდენიმე მილიონი კრონის წყალობით, ისლანდიის მთავრობისგან რომ მიიღო — ესე იგი, ლონდონის ბანკიდან, — ფიორდში სამომხმარებლო საზოგადოების ახალი თავმჯდომარე ჩავიდა.

„ეს რა საშინელი ქაოსია, რა დომხალია, — გაბრაზდა ახალი თავმჯდომარე და, რაც მეტს არჩევდა საქმეებს, მით უფრო ედებოდა ცეცხლი. უზომოდ დიდი თანხა ჰქონდა ხალხს სესხად გატანილი. — რასა ჰგავს ეს! სასწრაფოდ უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები“, — ბრძანა სამომხმარებლო საზოგადოების ახალმა თავმჯდომარემ და ისინი, ვისი ვალიც ქონების საფასურს აღემა-

ტებოდა, გაკოტრებულად გამოაცხადეს. გაკოტრებულებს ღმერთისთვის მადლი უნდა შეეწირათ, რომ ასე იოლად გადარჩნენ. ისინი კი, ვისგანაც კიდევ შეეძლოთ ცოტაოდენი რამის გამოცინცვლა, ყელში მარყუჟწაჭერილები ჰყავდათ, სისხლთან ერთად უნდა გამოეწოვათ მათთვის პროცენტები და, მგონი, ასეთ ყოფას ისევ გაკოტრება. შინიდან ხელცარიელი წასვლა სჯობდა. სამომხმარებლო საზოგადოების მესვეურები ასეთ გლეხებს მცირე ულუფას ურიგებდნენ. მხოლოდ იმდენ პროდუქტს აძლევდნენ, რომ სული შერჩენოდათ, ძაღლუმადურად ეცხოვრათ, ოღონდ პროცენტის გადახდა მოეხერხებინათ; ხან ამ მცირე ულუფასაც არ იმეტებდნენ, თუ რომელიმე მდიდარი გლეხი თავდებად არ დაუდგებოდა გაჭირვებულებს. ყავამ და შაქარმა ჩაილულის წყალი დალია, ეს მხოლოდ მდიდრებისთვის იყო ხელმისაწვდომი. ხორბალს ისე ცოტას აძლევდნენ. რომ პირის ქარად არ ეყოფოდათ, ზოგს იმ ერთ ჯამ ხორბალსაც არ აძლევდნენ, ტანისამოსის ყიდვას სასტიკად უკრძალავდნენ, განსაკუთრებით იმათ, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა ტანსაცმელი. რაც შეეხება თამბაქოს, ამაში დიდი გულუხვობა გამოიჩინეს. მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც გლეხობას უფასოდ აძლევდნენ თამბაქოს ცხვრის დასაცავად ქეციისა და ჭიისაგან. მაგრამ ვინაიდან ეს ჩინებული წამალი. შინაგან წამლადაც ვარგოდა, თამბაქოს ღარიგებამ აღტაცების გამოძახილი გამოიწვია. ასეთ თამბაქოს „ხაზინა“ და „საჭიაო“ შეარქვეს. თვით რედსმირელი მამასახლისიც კი ეკონომიისათვის „ხაზინას“ ეწეოდა, ვითომ ჩემთვისაც მძიმე დროა ახლაო.

— ეს უკვე მეტისმეტია, — თქვა ბიარტურმა, როცა გაიგო, რამდენი პროდუქტი უნდა მიეცათ მისთვის მეორე ზამთრის გასატარებლად სახლის აშენების შემდეგ. — ნუთუ იმის ყიდვა არ შეიძლება, რაც მჭირდება და რის ყიდვაც მინდა? თუ თქვენ უარს მეტყვით, სხვაგან ვიყიდი!

— ნება შენია, — უპასუხეს სამომხმარებლო საზოგადოებაში, — მაგრამ ასეთ შემთხვევაში მთელ შენს ქონებას ყადაღას დავადებთ.

— რაო? მონა ხომ არა ვარ, ან ძაღლი?

— არ ვიცით, — უპასუხეს მას. — ჩვენ კანონის თანახმად ვმოქმედებთ.

ამრიგად, ბიარტურმა მიიღო ნახევარი ტომარა ჭვავის ფქვილი, ნახევარი ტომარა შვრიის ფქვილი, ნაყარნუყარი თევზი კი ბლომად მისცეს, რადგან სამომხმარებლო საზოგადოების საწყობები გატენილი იყო ასეთი თევზით. უხვად უბოძეს თამბაქოც. მას შემდეგ. რაც დამოუკიდებელი კაცი გახდა, პირველად უთხრეს უარი პურის ფქვილზე, რომელსაც ოჯახში მაჭკატებისთვის იზოგავდნენ, რომ სტუმარს გამასპინძლებოდნენ, თუ ოდესმე ეწვეოდათ ვინმე. ყავასა და შაქარზე ხომ კრინტის დაძვრაც არ შეიძლებოდა, მხოლოდ ნაღდ ფულზე ჰყიდიდნენ. უწინ ბიარტური არც დაფიქრდებოდა, ერთი მაგრა შეუ-

აურთხებდა მათ. ვინც მარწუხებს უჭერდა საწყალ გლეხს, მაგრამ ახლა ვისთვის შეეკურთხებინა? კანონისთვის?

და მაინც, ცისა და ქვეყნის ჯიბრზე. შემოდგომაზე ბიარტური ახალ სახლში გადავიდა. მართალია, სახლს ბევრი რამ აკლდა, მაგრამ დიდი ოთახი და სამზარეულო, ასე თუ ისე, მაინც მოიყვანეს წესრიგში, ჩამოჰკიდეს სამი კარი, ერთი გარეთა, ორიც შიგნით, ჩამოსაბმელებზე, როგორც დურგალი ბრძანებდა. ბიარტურმა ფიორდში ორი ძველი საწოლი იყიდა თავისთვის და. გვენდურისთვის, სიდედრისთვის კი ფიცრებისგან შეკრა საწოლი, გარდა ამისა, რაღაც მაგიდისა და პატარა სკამის მაგვარიც გამოჩორკნა, წარმოდგენა არავის ჰქონდა. თუ დურგლობა შეეძლო. და აი, გადავიდნენ ახალ სახლში, ყველა ერთ ოთახში დაბინავდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ქურამ უმტყუნათ, ხრჩოლავდა, მთელი სახლი გაივსო კვამლით. მოიწვიეს მცოდნე ხალხი, ითათბირეს. გამოთქვეს ბევრი საინტერესო მოსაზრება და ბოლოს ბრალი საკვამურ მილს დასდეს: ერთი ამბობდა, მილი მეტისმეტად მაღალია, ამიტომ ვერ იტაცებს კვამლსო, მეორე ამბობდა, პირიქით, მილი მოკლეა და სწორედ ეს უშლისო, ზოგი გაიძახოდა, მილი ზომაზე ფართოა, ან პირიქით, ზომაზე ვიწროა და ამიტომ კვამლს ვერ ატარებსო. ზოგმა კი მოიშველია მეცნიერული თეორია, რომელზეც გაზეთებშიც კი წერდნენ: თუ საკვამური მილი ზღვის მოქცევის დროს ამოიყვანე, ჯახირს ვერ ასცდებიო. როგორც ჩანს, ბიარტურის სახლის მილი მოქცევის დროს იყო ამოყვანილი, კვამლი ბოლქვებად გამოდიოდა ქურიდან, ავსებდა მთელ სახლს, მიუხედავად ფილოსოფიური კამათისა. ეჭვს გარეშეა, რომ ქურის გასამართავად დიდი ხარჯის გაღება დასჭირდებოდა, ასეთი ხარჯის გაწევა კი არა ღირდა, ქურა უზომოდ ბევრ საწვავს ნთქავდა.

ადგა ბიარტური და ძველი პრიმუსი იყიდა, კერძს იმაზე აკეთებდნენ, სამზარეულოში კი უქმად იდგა ქურა, როგორც თავისებური მორთულობა.

თავი სამოცდამეთერთმეტე

გოლიათები შემოდგომაზე

ბრუნია ყოველ შემოდგომაზე თავის ქურანა ცხენით ქალაქს მიდიოდა ზამთრის სურსათის საყიდლად, მთელი კვირა რჩებოდა იქ. ეს მისი შეებულება იყო. როგორც ყველას, მასაც თავისი ნაცნობ-მეგობრები ჰყავდა. საქმეს რომ მოაგვარებდა, შეჯდებოდა თავის ფაშატზე და მიათოხარიკებდა ზა-

ფხულის სავანისკენ. უნაგირზე გადაკიდებული ჰქონდა პარკები და შეკრულები, მოჰქონდა წვრილმანი საქონელი—ჩითი. ძაფი, ნამცხვარი, რომელსაც გამოზოგვით, მხოლოდ საზეიმო დღეებში შეექცეოდა და ზოგჯერ წესიერ ხალხსაც უმასპინძლდებოდა. ცოტაოდენი ყავა მოჰქონდა, ცოტაოდენი შაქარი, მაგრამ ამ შემოდგომაზე მნე ჩვეულებისამებრ ცხენზე ამხედრებული კი არ დაბრუნდა, ფეხით მოდიოდა, კარგა მაგრა დასაპალნებული ქურანი კი საფავით მოჰყავდა. ბრუნია მხიარულ გუნებაზე იყო. ბიარტურს სთხოვა. ბარგის შინ შეტანა მიშველეო.

— ამდენი რა გიყიდია? — გაუკვირდა ბიარტურს.

— არაფერი, წვრილმანია, ლაპარაკიც კი არ ღირს, — უპასუხა ბრუნიამ.

ქალს უცებ არ უნდოდა ეთქვა. რაც ჩამოიტანა. ცოტა თავი მოსწონდა, ოდნავ ბედნიერიც იყო, ოდნავ გაამაყებულიც. ვინ იცის, იქნებ უშენს რომ მოჰყვებოდა, გულის სიღრმეში ხარობდა იმის წარმოდგენით, თუ როგორ ცნობისმოყვარეობას გამოიჩენდა ბიარტური, გამოკითხვას დაუწყებდა, რა ჩამოიტანეო. მაგრამ ბიარტურს ოდნავადაც არ გამოუჩენია ცნობისმოყვარეობა. ჩვეულად არ ჰქონდა შეკითხვებით ვისიმე შეღონება: რაც უნდა, ის იყიდოს, ეგ მაგის საქმეაო, გაიფიქრა, ხმის ამოუღებლად შეიტანა ნავაჭრი დერეფანში. მერე ცხენს აკაზმულობა აჰყარა და მუშტის კვრით გააგდო ეაობისკენ. შემოდგომის ბნელი საღამო იდგა.

ბიარტურმა ეზოში რაღაც საქმე გაიჩინა და შინ მანამ არ შევიდა, ვიდრე დაწოლის დრო არ დადგა. ეშინოდა, თუ ადრე შეეალ, ბრუნია ნამცხვრით გამიმასპინძლდებაო, რადგან ქალი მუდამ ასე აკეთებდა, როცა ქალაქიდან ჩამოდიოდა, ახლა კი ბიარტურს სულ არ ეპიტნავებოდა ნამცხვარი, იმის შიშიც ჰქონდა, რომ ბრუნია რაღაც ისეთს ეტყოდა, რასაც აუცილებლად კინკლაობა მოჰყვებოდა. მაგრამ დერეფანში რომ შევიდა, გულმა ვერ მოუთმინა, ნეტა რა ჩამოიტანა ქალმაო და სანთელი აანთო. დერეფანში იდო ნახევარი ტომარა თეთრი ფქვილი, პარკით ბურღული, თავი შაქარი და ყუთი, რომელსაც საბაყლო საქონლის სუნი უდიოდა — ყავის. ქიშმიშის და კიდევ რაღაც საამო სუნი ისეთი სანოვაგის, რომლის ყიდვაც ვალებში ჩაფლულ დამოუკიდებელ ბლეხებს აუკრძალეს თავისუფალ ქვეყანაში. ბიარტურმა ყუთს ერთი ფიცარი ააგლიჯა, ჩაიხედა შიგ—და დაინახა... მაინც, რა დაინახა ისეთი? სურნელოვანი საღეჭი თამბაქოს შეკრულა! კაცს მთელი თვე თვალით არაფერი უნახავს „ხაზინის“ თამბაქოს გარდა და უცებ გული მოუვიდა, აღარ აინტერესებდა კიდევ რა იდო ყუთში, სწრაფად ჩააქრო სანთელი და ოთახში შევიდა

მოხუც ჰალბერას უკვე ეძინა, გვენდურიც კედლისკენ პირშებრუნებული იწვა. საგარეო კაბაში გამოწყობილი ბრუნია კი თავის საწოლზე იჯდა და

შეკრულებს ხსნიდა. როგორღაც იმედგაცრუებულივით დახედავდა ნავაჭრს და განზე აწყობდა. ბიარტურს ზედაც არ შეხედა. სულ ცოტა ხნის წინათ სიამაყით გაბრწყინებული ქალი ახლა თავჩაქინდრული დასცქეროდა თავის ჩამოტანილ ნივთებს, მოლოდინის სიხარული ჩაქრობოდა.

— წვავენ ზეთს ტყუილუბრალოდ! — ჩაიბურდღუნა ბიარტურმა და პატრუქს ისე ჩაუწია, რომ ლამპა ძლივსღა ბჟუტავდა.

ბრუნიამ ამჯერად თავის ჩვეულებას უღალატა და ბიარტურს არაფერი უპასუხა, მხოლოდ ნელა ამოისლუკუნა ცოტა ხნის შემდეგ. ბიარტურმა ფეხსაცმლის ყაითნების გახსნა დაიწყო, უნდოდა მალე შემძვრალიყო ლოგინში, საბანი თავზე წაეფარებია, ვიდრე ბრუნია ნამცხვარს შესთავაზებდა, თვალს არიდებდა ქალს, თან მის საქციელზე ფიქრობდა. რა დაემართა? ჭკუიდან გადავიდა, თუ რა არის? აკი გონიერი ქალი იყო, არც ისე ახალგაზრდაა, არ შეეფერება ასეთი ფლანგვა და თავქარიანობა. მთელი ცხოვრება შრომობდა, კაპიკს კაპიკზე ადებდა, წუწურაქობდა, თავისთვის არაფერს იმეტებდა, წელიწადში ერთი გირვანქა ნამცხვრის გარდა, ახლა კი ზის გამჩვირული იმის გამო, რომ მას სიხარულით გული არ შეუღონდა, რაკი მთელი საპალნე სანოვაგე მოზიდა ქალბატონმა მის სახლში, მის ახალ დიდ სახლში. რასაკვირველია. ბრუნია ერთგული ქალია, პატიოსანი, ყბედი არ არის, ცუდს ვერაფერს ეტყვის იმაზე, არა, ცუდი არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ ერთხელ გაბედა და ცხვირი ჩაყო სხვის საქმეში. წარმოსადეგი ქალია, ჯან-ღონით სავსე, ჩასუქებული, სათვალე რომ გაუკეთო, ზედგამოჭრილი რედსმირელი ფრუ იქნება, ისეთი, გაფურჩქვნის ხანაში, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ იყო. გარდა ამისა, სუფთაა და ფაქიზი; მის ტანზე დაფხრეწილ, აჩეჩილ-დაჩეჩილ ჭუჭყიან კაბას ვერა ნახავ. სახლის კუთხეებში არ აგროვებს ნაგავს, გემრიელ კერძს აკეთებს, შრომა არ ეთაკილება, დღედაღამ შეუძლია ნაკელის ზიდვა, ნებივრობა ჩვეად არა აქვს, არ ქალბატონობს. შეძლებულიც არის, ბანკში კაპიტალი აქვს დაბანდებული. და თუ მისი ფაშატი სიმკვირცხლეს ვერ დაიტრაბახებს, ფაშატი ხომ მაინც ფაშატია. მარტო მაგის დიდებული საწოლი რადა ღირს, ყველაზე შესანიშნავი ნივთია ბიარტურის სახლში, ალბათ რედსმირელ ფრუსაც არ ღირსებია ასეთ რბილ ლოგინში წოლა.

არა, როგორც ჩანდა, ბრუნია არ აპირებდა ბიარტურისათვის ნამცხვრის შეთავაზებას, ამის ხასიათზე არ იყო, მაგრამ დიდხანს კი იჯდა თავის საწოლზე, ხელები უმწეოდ დაეწყო მუხლებზე. ბინდბუნდში ბიარტური თვალს აპარებდა ქალისკენ.

ბრუნიას სახეზე ჩრდილმა გადაურბინა. უცებ მოუსვა ხელი ნავაჭრს და ისე ჩაყარა სკივრში, როგორც უვარგისი, ძველმანი ჭინჭები, მერე ამოიოხრა,

ლოგინს გადასაფარებელი გადააძრო, ჩვეულებისამებრ საგულდაგულოდ დაკეცა, გადასწია წითელუჯრედიანი ქსოვილის შალითაში ჩამჯდარი საბანი და ქათქათა ზეწარი, საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ტანთ გახდა დაიწყო. გაიხსნა კოფთა, გაიხადა ქვედატანი, ყველაფერი საგულდაგულოდ დაკეცა და ჩაალაგა სკიერში. ბრუნიას თავისი ხელით ნაქსოვი მსხვილი ძაფის ქვედასაცვალი ეცვა, როცა იხდიდა, თითქოს მისი სხეული იზრდებოდა და იშლებოდა, შემოტმასნილი ტანსაცმლისაგან განთავისუფლებული. მკერივი, მოქნილი თეძოები ჰქონდა, ეტყობოდა, ჯერ კიდევ შეეძლო შვილების შობა, მუხლები და ბარძაყები ძლიერი. ყელი ახალგაზრდული, ნორჩი ქალწულივით მკერივი და მაღალი მკერდი. ბრუნიამ პერანგი გაიხადა. დიახ, გოლიათია, გოლიათი ქალი. თვითონაც ხომ გოლიათია ბიარტური, გოლიათური მხარბეჭი და ძალოვანი გულმკერდი აქვს. რომელიც ყველაფერს უძლებს. ბრუნიამ ლამის პერანგი ჩაიცვა, ლამპა ჩააქრო და, როცა ლოგინში ჩაწვა, საწოლმა გაიჭრიალა.

ბიარტურს ძილი არ ეკარებოდა, შამფურივით ტრიალებდა ლოგინში, შურდა თავისი ვაჟის, უკვე გულის ძილით რომ ეძინა და არხეინად ხვრინავდა. რამდენჯერმე ხმადაბლა შეიგინა, ბრაზობდა, რომ სულელური ფიქრები ერეოდა თავში და ძილს უფრთხობდა. ოჰ, როგორ უნდოდა თამბაქო! „წყეული „ხაზინა“, — ფიქრობდა იგი, — წყეული სამომხმარებლო საზოგადოება, ამოსაგდები შემნახველი ბანკი, წყეული სახლი!“ ამ ახალ სახლში რაღაც ისეთი ამაზრზენი სუნი ტრიალებდა, რომ ბიარტურს ეჩვენებოდა, ჟაკი დაიხრჩვებაო. სულ ცოტა, ერთი ბეწო საღეჭი თამბაქო რომ მისცა, ამ ოხერი „ხაზინის“ ნაცელად! რა უნდა ქნას? ძველი ხალხი ამბობს, უძილობას ლექსები შველისო და ბიარტურმა დუდუნით დაიწყო კითხვა:

...სიმღერა წამალზე ძლიერად მოქმედებს
მიმწუხრში,
დარდის და წუხილის ჟამს,
ველური თაფლივით,
როდესაც მიპირს,
მე წამლის მაგიერ
სიმღერას ვსვამ.

ამის შემდეგ აეკვიატა უხამსი ლექსები, მოაწყდნენ, მიეძალნენ, ხროვად ერეოდნენ თავში, ეღობებოდნენ რთულრითმიან ლექსებს.

რა ხანია ყველამ დაიძინა, ბიარტურის თვალს კი ძილი არ ეკარება, წრიალებს, გვერდს ინაცვლებს, იგინება. აწამებს სურვილის ცეცხლი, დაუძლეველად, საშინლად უნდა თამბაქოც. „დალახვროს ეშმაკმა, გავალ დერე-

ფანში, სულ ცოტას ჩამოვტეხ, რომ დავმშვიდდე, თამბაქოს მაინც დავღეჭავ, თუ სხვა უკეთესი არა მაქვს რა“.

ბიარტურმა შარვალი ჩაიცვა, გამოძვრა ლოგინიდან, ფეხები ჩაჰყო ფეხსაცმელში, ცდილობდა არ ეხმაურა, მაგრამ შემოდგომის ღამე ბნელია, ძალზე ბნელი. ის კი კართან უნდა მივიდეს. ბიარტური ხელის ცეცებით წავიდა წინ, უცებ რაღაც მრგვალს, თბილს შეეხო... რა არის? წინ გაიშვირა ხელი და სახეში ატაკა ბრუნიას, თურმე მის საწოლთან მისულიყო.

— ვინ არის? — გაისმა ბრუნიას ჩურჩული წყვდიადში.

— გაგაღვიძე? — ჰკითხა ბიარტურმა, რადგან ეგონა, რომ ბრუნიას ეძინა.

— შენა ხარ? — დაიჩურჩულა ბრუნიამ.

საწოლი აკრაჭუნდა, ალბათ ბრუნია ბიარტურისკენ გადმობრუნდა და წამოდგომა დააპირა.

— ჰმ, არა, არა! — თქვა ბიარტურმა.

ისევ ხელის ცეცებით წავიდა საწოლის გასწვრივ, იპოვა კარი, გააღო და კვლავ ეცა ცხვირში საბაყლო ნუგბარი საქონლის საამო სუნი, მაგრამ ბიარტურს აღარ ახსოვდა, რომ საღეჭი თამბაქო უნდოდა, მას მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ამ უცხო ქალმა იყიდა სანოვაგე და მის სახლში მოიტანა. ვითომ რაო. ძაღლია თუ მონაა? ეს პირველად შემოიტანეს მის სახლში სხვისი პური.

ბიარტური გარეთ გავიდა. მიწისპირა ქარი ჰქროდა, საშინლად ციოდა, მაგრამ სიცივეს არ გრძნობდა. ეზოს კუთხეში საჭიროება მოიშორა, ხამლში შიშველფეხჩაყოფილი, შარვლისა და პერანგის ამარა იდგა და სიხარულით ისუნთქავდა სუფთა, გამახალისებელ ჰაერს, ნესტისა და აგურის სუნის შემდეგ, მის სახლში რომ ტრიალებდა. ნამდვილად მავნეა ასეთ სახლში ცხოვრება. ნეტა რა ეშმაკად ააშენა?

ესეც ასე, ისუნთქა სუფთა ჰაერი, ახლა კი ძილის დროა. ისევ ხელის ცეცებით აიარა ხუთი საფეხური, შევიდა დერეფანში, კვლავ შეუხიცინა ცხვირში საბაყლო საქონლის სუნმა—საამო, ნაღდი ფულით ნაყიდი, ნუგბარი, უხვი სანოვაგის სუნმა. არა, ეს პირველად და უკანასკნელად გაბედა უცხო ადამიანმა ბიარტურის სახლში თავისი პურის შემოტანა.

დილით ბიარტური ადრე ადგა, ცოტა ხანს ეზოში იმუშავა და მერე ადუღებული ცხელი წყლის დასალევად შინ შევიდა. ბრუნიამ ყავა დაუსხა, დიდი ფინჯანი გაუესო, ცხვირში ეცა გემრიელი ყავის სურნელოვანი ორთქლი. ვერც ერთი მისი ცოლი ვერ ხარშავდა ასეთ ყავას, ბიარტურის აზრით, მარტო მისი ცოლები კი არა, მთელ დაბაში არავის შეეძლო ასეთი ყავის მოდუღება. კერძსაც გემრიელს აკეთებდა ბრუნია, მისი გაკეთებული კერძი მადის აღმძვრელი იყო. მნე ბიარტურისკენ ზურგშებრუნებული იდგა, მხოლოდ ერ-

თხელ შეხედა წამით, როცა ყავა გაუწოდა. უპასუხა თუ არა ბრუნიამ ბიარ-ტურს, როცა ის მიესალმა: „დილა მშვიდობისაო!“ იქნებ ბიარტურს არ უთქვამს: „დილა მშვიდობისა?“ ბიარტური რამდენიმე წამი დასცქეროდა ფინჯანს. დიახ, მას უყვარდა ყავა, ძალიან უყვარდა ყავა, მაგრამ მაინც არ დაკარა პირი, ფინჯანი განზე გადადგა და მოურიდებლად უთხრა ბრუნიას:

— ბრუნგილდა, უნდა წახვიდე. მე ასე მინდა!

ბრუნიამ შეხედა მას. უნდა წავიდეს? არა, მოტეხილი, მობეზრებული. ულამაზო სახე არ ჰქონდა ბრუნიას, ოი, არა, ახალგაზრდა ქალივით სანდომიანი სახე ჰქონდა, და ახლა ძალით შეჰყურებდა ბიარტურს.

— შენ ალბათ ფიქრობ... — წაილუღლუღა ქალმა და ხმა ჩაუწყდა.

გოლიათი ქალი ისე მოიბუზა, თითქოს სილა გააწნესო, სახე ტანჯვით მოელრიცა, თავი ხელებში ჩარგო და გულამოსკვნით ატირდა. ასლუკუნდა, როგორც პატარა ბავშვი. ბიარტურმა კარი გაიხურა და სამუშაოდ წავიდა.

ბრუნია მთელი დღე ნამტირალევი, თვალებდასიებული დადიოდა და ხმას არ იღებდა. მეორე დღეს შეკრა თავისი ბარგი-ბარხანა და წავიდა.

თავი სამოცდამეთორმეტე

როცა იდეალები ხორციელდება

ნუთუ ინგოულფ არნარსონ იოუნსონის იდეები არც ერთ დარგში არ განხორციელდა? როგორ არა! განხორციელდა. განხორციელდა ყველგან, ყოველ დარგში! სასოფლო-სამეურნეო ახალი კანონი ძალაში შევიდა. ხალხი დიდ პრემიებს ღებულობდა ახალი მიწების დიდი ფართობის დამუშავებაში, პატარა ახალი ნაკვეთის დამუშავებაშიც კი აძლევდნენ ჯილდოდ რამდენიმე კრონს. აჯილდოვებდნენ იმათ, ვინც ბეტონის კარგი ბაკები და სათივეები ააგო, სესხს აძლევდნენ სასოფლო-სამეურნეო ძვირფასი მანქანების შესაძენად: ტრაქტორების, ფოცხების, გუთნების, სალეწი მანქანების და საქსოვი მანქანებისაც კი. ნაკელის ცისტერნების საკითხიც კეთილად დაგვირგვინდა, გლეხობამ მიიღო დახმარება ნაკელის კარგი ცისტერნების და კომპოსტის ორმოების ასაგებად. სახელმწიფო ბანკში სპეციალური განყოფილება გაიხსნა, „სამშენებლო განყოფილება“ და იქიდან გლეხებს საცხოვრებელი სახლების ასაგებად აძლევდნენ სესხს მცირე პროცენტებით, ოღონდ იმ პირობით, რომ მათ უნდა აეგოთ დიდებული, თანამედროვე სტილის სახლები, არმირებული ბეტონის ორმაგი კედლები

უნდა ამოეყვანათ, მოეპირკეთებინათ ფირფიცარით, იატაკი ლინოლიუმით მოეგოთ, გაეყვანათ წყალსადენი, კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა და ელექტროგანათება, რადგან გამოცდილებამ დაანახათ, რომ იაფად, უხეიროდ აგებულ სახლს ზარალის მეტი არა მოაქვს რა. ბოლოს მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ხალხს მსხვილი ვალები ჩამოაწერეს და დიდი კარ-მიდამოს მფლობელი მდიდარი გლეხები გაბედნიერდნენ, ახლა უფრო გიგანტური ვალის აღება შეეძლოთ. სამომხმარებლო საზოგადოებები სულ უფრო იფურჩქნებოდა, როგორც შეეფერება ამხანაგობის საწყისებზე დაარსებულ სავაჭრო წარმოებას, რომელსაც ვერსაიდან ვერ ჰიუდგებოდნენ შუაკაცები და სხვა მათი მსგავსი პარაზიტები, ვინც მეწარმეთა ხარჯზე სუქდებოდა. გლეხებს აძლევდნენ ფულად ჯილდოს, რამდენიმე კრონიდან ათას კრონამდე, იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენ პროდუქტს ჩააბარებდა სამომხმარებლო საზოგადოებას. უტირედსმირელი მამასახლისი რამდენიმე ათასი კრონით დააჯილდოვეს, როგორც საუკეთესო მეურნე; მას აძლევდნენ მაღალ პრემიებს, მან დაამუშავა ახალი მიწის დიდი ფართობი და საქონლის საუცხოო ბაკი ააგო. გარდა ამისა, სასოფლო-სამეურნეო ფონდიდან დახმარებაც უბოძეს ტრაქტორის, ახალი გუთნების, ფოცხების, ახალი სამკალი მანქანის, ახალი თივაასაღები მანქანის და სხვა იარაღების შესაძენად, თვით საქსოვი მანქანისთვისაც კი. ამით არ ამოიწურა გულუხვობა. ცისტერნის ასაგები ფონდიდანაც მისცეს დახმარება და მან მთელს ოლქში ყველაზე საუკეთესო ცისტერნები ააგო. ამასობაში გამოირკვა, რომ თურმე მისი სახლი ძალზე დაძველდა, დანგრევის პირზე იყო მისული და „სამშენებლო ფონდიდანაც“ მისცეს სესხი. ააშენა თანამედროვე სტილის არმირებული ბეტონის ორმაგკედლებიანი დიდი, ორსართულიანი სახლი, მეზონინითა და სარდაფით, იატაკები ლინოლიუმით მოაგო, გაიყვანა წყალსადენი და კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა, ფრუსთვის საბაზანო ოთახი, გაიყვანა ელექტროგანათება, ცივი და ცხელი წყალი. ასეთი ადამიანები, როგორიც იყო უტირედსმირელი მამასახლისი და ის ფიორდელი თაღლითი, რომელმაც მთების მეფე გადაარჩინა—ერის სიამაყეა. თაღლითი? არა, ის მხოლოდ თანამედროვე ფინანსისტი გახლდათ, რატომღაც მოეპრიანა და სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. მთების მეფემ კი, იმ საცოდავმა ბენტერამ, არაფერში არ იცოდა ზომა. მიუხედავად იმისა, რომ ერთთავად ზომიერებას ქადაგებდა, ერთთავად საშუალო გემზე ლაპარაკობდა, მაგრამ ის ხომ ფინანსისტი არ იყო. და აი, ახლა, ამ სიბერეში მთების მეფე დღიურ მუშად მუშაობს ქალაქში და სიძის სამოწყალო გახდა. არა, მთების მეფის სახლის ახალი მეპატრონე როდი იყო თაღლითი: როგორც კი სახლი დაისაკუთრა, მაშინვე მივიდა სამრეველო საბჭოში, ხელად

მიიღო დახმარება სასოფლო-სამეურნეო ახალი მანქანების შესაძენად, ააშენა საქონლის დიდებული ბაკი და პრემიაც მიიღო. დახმარება მისცეს ნაკელის ცისტერნის ასაშენებლად, სამომხმარებლო საზოგადოებას იმდენი პროდუქტი ჩაბარა, რომ პრემიაც უბოძეს, მთების მეფის სახლში გაიყვანა ელექტროგანათება. ასეთ ხალხს რომ გადახედავ, უნებლიეთ იმ დასკვნამდე მიდიხარ, რომ მსოფლიო ამაოდ არ ჩაბმულა ომში, სისხლი ამაოდ არ დაღვრილა.

დავიწყოთ გილტეიგელი ტოურირიდან, რომლის მხიარულ ქალიშვილებსაც ერთ დროს აბრეშუმის თხელი წინდებისკენ გაურბოდათ თვალი. ტოურირს არც ისე ცუდად წაუვიდა საქმე, როგორც მოსალოდნელი იყო. მის უმცროს ქალს ბედმა გაუღიმა, შეძლებულ კაცს მისთხოვდა და ახლა ქალაქში ცხოვრობს. ერთი სიტყვით, მოხუც ტოურირს არც ისე კარგად ჰქონდა აწყობილი საქმე, რომ დიდ დავალიანებას დიდ კაცად ექცია და არც ისე ცუდად, რომ მისი ავლადიდება გაეყიდათ, ომის დამთავრებისას ის უკვე საშუალო შეძლების გლეხად ითვლებოდა, დაბის მოსახლეობამ მთების მეფედ აირჩია, დასდევდა და იპერდა მათ ცხვარს მთებში, წამლობდა ძაღლებს, პატარა პასუხისმგებლობა როდი დაეკისრა, მაგრამ არც ჯამაგირი ჰქონდა ურიგო. მოხუცი კარგად უძღვებოდა ორივე საქმეს, აღარ წუწუნებდა ქალების თავქარიანობაზე და აშკარა იყო, რომ სამრეველო საბჭოში გაძვრომა ედო გულში. თითქოს უცნაურია, მაგრამ ტოურირი, ასეთ მძიმე დროში, სწორედ გზასაცდენილმა ქალიშვილებმა იხსნეს, ისინი განსაკუთრებული მიზეზებისა გამო მამის ჰერქვეშ დარჩნენ და შრომობდნენ მისთვის ომის წლებში, თავის უკანონო შვილებსაც ამუშავებდნენ. ტოურირმა ვერ გაბედა თავისი ჯალაბისთვის სახლის აშენება, მხოლოდ ცხვრის ფარეხი ააგო და კარგადაც მოიქცა, მწარე გამოცდილებამ დაგვანახა, რომ რაც ნაკლებს აკეთებ ხალხისთვის, მით უკეთესია.

სხვები? სხვები ძველებურად მიათრევდნენ მძიმე ჭაპანს, სულს ხდიდათ გადასახადები: პირუტყვის საკვების ხარჯი, საკუთარი სარჩოს საყიდლად თუ მიწის მოსახნავად აღებული ვალი, სტანჯავდათ საქონლის ჭირი, ავადმყოფობა და სიკვდილი, — ინგრულფ არნარსონის იდეები კი ცხოვრებაში ხორციელდებოდა იმიტომ, რომ ამ იდეების წყალობით შეღავათისა და ყოველგვარი სიუხვის კალთას მხოლოდ მდიდარ გლეხებს აბერტყავდნენ თავზე.

ისტადალელმა ოულაფურმა თავის ხუტორზე ნასყიდობის სიგელს მოაწერა ხელი, მაგრამ ცხოვრობდა ისევ იმ მიწურ ქოხში, რომელმაც იმსხვერპლა მისი ცოლ-შვილი. კაცის დღე არც ისე გრძელია, რომ ღატაკმა გლეხმა მოასწროს ფეხზე დადგომა, წელში გამართვა, — ამბობენ, სწორედ ასე სწერია ერთი უცხოელი მეცნიერის წიგნშიცო.

კელდელი პროდლოგური დიდი ხახი ცხოვრობდა მაძასახლისისაგან იჯარით აღებულ ხუტორში, კურთხეული ომის დასასრულს პროდლოგურმა მოახერხა სესხის მიღება ამ ხუტორის შესასყიდად და ახლა ვაინჩარობით იხდიდა პროცენტებს. სახლი ჰქონდა, საქმე კი ისე წაუვიდა, რომ სულის მოსაბრუნებლად მეორე ომისთვის უნდა ელოდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ იმ დრომდე მამასახლისმა ხუტორი წაართვას, თუ ვერ შეიტანს პროცენტების ანგარიშში ფულს! რა ვუყოთ, დეე მოხდეს, რაც მოსახდენია. პროდლოგურმა ვერა და ვერ ისწავლა ბუნებრივისა და ზებუნებრივის გარჩევა ერთიმეორისაგან, იგი მუდამ მორჩილად ხვდებოდა, რასაც წილად არგუნებდა ბედი, კერის დანგრევასაც მორჩილად შეხვდება, თუკი აქამდე მივა საქმე.

უნდირხლიდელმა ეინარმა ორიოდ წელიწადში ცოტათი შეამცირა თავისი ვალი, მაგრამ ხუტორის მფლობელი ვერა და ვერ გახდა, ვერც სახლი აიშენა. ვალმა ისევ იმატა. თავის ცხვარში თუ იმდენს აიღებს, რომ ბეგარა გადაიხადოს და საქონლის საკვები იყიდოს, ეგეც დიდი საქმე იქნება. ექიმის ვალი დაიცდის, ნაყარნუყარ თევზის ყიდვაზეც თავს შეიკავებს, როგორმე უამისოდ გავლენ იოლად. ადამიანის სიცოცხლე—ადამიანის სიცოცხლეა. თუ ვინმე გარდაიცვლებოდა, ეინარი ძველებურად თხზავდა სულის მოსახსენიებელ ლექსებს და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღატაკი გლეხების მიმართ ღმერთი იმქვეყნად უფრო მოწყალე იქნება, ვიდრე ამქვეყნადაა და ღატაკები იქ მაინც ლატკებებიან ყველა იმ სიკეთით, რაც ეკუთვნის უკვდავ სულთა პატრონებს.

ნუთუ იმ სიახლეთა დანერგვისას, რომელთაც ახორციელებდა ინგოულფ არნარსონი, ღატაკ გლეხებს სიკეთის ნატამალი მაინც არ მიეცხოთ? რაღა გვეთქმის? საქმე ის არის, რომ არავითარი აზრი არა აქვს რომელიმე ღარიბი გლეხისთვის სახელმწიფო სალაროდან დახმარების შეთავაზებას ტრაქტორის, ახალი სალეწი მანქანის საყიდლად, ან გრძელვადიანი სესხის შეთავაზებას თანამედროვე სტილის დიდებული ორმაგკედლებიანი ბეტონის სახლის ასაგებად, თუნდაც პრემიების შეპირებას ახალი მიწების მოხვნის, პროდუქტების ჩაბარების ან ნაკელის ცისტერნის აგებაში, როცა ოჯახში ერთადერთი ძროხა ჰყავთ არავითარი აზრი არა აქვს შეღავათისა და უპირატესობის აღთქმას ვინმესთვის, გარდა მდიდარი ხალხისა. მხოლოდ მდიდრებს აქვთ გზა ხსნილი შეღავათისა და უპირატესობისაკენ, სიღატაკე სწორედ იმით გამორჩევა, რომ ღატაკს ხელი არ მიუწვდება იმ სიკეთემდე, რომელსაც უხვად თავს აყრიან მდიდრებს. თუ გლეხი ღარიბია, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერასოდეს ვერ ისარგებლებს იმ პრივილეგიებით, რასაც აღუთქვამენ ან სთავაზობენ პოლიტიკური მოღვაწეები, ეს გახლავთ „იდეების“ მონობა, მსხვერ-

ალთშეწირვა იმ იდეებისათვის, რომელნიც მდიდარს უფრო ამდიდრებენ, ღატაკს კი უფრო აღატაკებენ.

ბიარტურმა ზამთარ-ზაფხული გაატარა თავის ახალ სახლში. ეს იყო დედამიწის ზურგზე ყველაზე უხეირო სახლი, საშინელი ცივი შენობა. შობა რომ მოახლოვდა, მოხუცი ჰალბერა უკვე ლოგინად ჩავარდა, ბიარტურმა მისი საწოლი ცხვრის ცარიელ ფარეხში გადაიტანა, რომ სიცივით არ გათოშილიყო დედაბერი. თვითონაც საშინლად ტანჯავდა სიცივე, შიშმაც კი აიტანა, სიბერე ხომ არ შემეპარაო, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ მისი ვაჟიც, რომელიც აყვავების ხანაშია, ასევე სასტიკად იტანჯებოდა. ვერა და ვერ გამოშრა სახლის კედლები, ყინული მოედო, ფანჯრის მინებიც ერთთავად შეჭირხლული იყო, ქარი დაქირქილებდა სახლში. მამა-შვილს თვითონ უხდებოდა კერძის კეთება, რა თქმა უნდა, ეს გულს არ უმხიარულებდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, აღარავინ ებუზღუნებოდათ, არავინ ამტკიცებდა, მე ვარ მართალიო.

ზაფხულში ბიარტურმა ერთხელ კიდევ დაიქირავა მთიბავები ისლანდიური ცხვრისთვის თივის მოსამარაგებლად, მიუხედავად იმისა, რომ ჭიებისა და მელიების მეტს ქვეყნად აღარავის უნდოდა ისლანდიური ხორცი, ფასი თანდათან ეცემოდა, არც ერთ მომხმარებელს არ სჭირდებოდა ისლანდიური ცხვარი, არც არასოდეს დასჭირებია. მთავრობამ სახალხო შემოსავლის მთავარ წყაროზე, მეთევზეობაზე, დასთმო უპირატესი უფლება, ამის სანაცვლოდ უცხოელებს მიჰყიდეს დამარილებული ხორცი მცირე რაოდენობით, ეს ხორცი უცხო ნავსადგურში იდო კასრებით და ლპებოდა, მერე ზღვაში ჰყრიდნენ ცხვრის გაყიდვის შემდეგ. ბიარტურმა ისეთ მცირე თანხას მოუყარა თავი, რომ მხოლოდ მთიბავებს გაუსწორდა და ბეგარა გადაიხადა, პროცენტების და სესხის დასაფარავად გროშიც აღარ დარჩა, გინდაც მთელი თავისი ფარა გაეყიდა, ეს მაინც ზღვაში წვეთი იქნებოდა. და ბიარტური ქალაქს წავიდა, ბანკში უნდოდა ეთხოვა, ვადა გამიგრძელეთო. ბანკში ძე-ხორციელი არ ეჯანებდა, ერთი გალეული, ჭლექიანი, მელოტი კაცის მეტი. ამ კაცმა ზანტად გადაფურცლა თავდავთარი და ბიარტურს მოახსენა, რომ ვადის გაგრძელება არ შეუძლია, რადგან შემოდგომაზე ვიკში იხსნება სახალხო ბანკის ფილიალი და ფიორდის შემნახველი ბანკი მას უერთდება, ახლა მხოლოდ ბანკის დირექტორს შეუძლია ვადის გაგრძელებაო და ბიარტურს ურჩია, წადი რეიკიავიკში, ნახე ინგოულფ არნარსონი, აუხსენი შენი მდგომარეობა, იქნებ დაგეხმაროსო. ბიარტური შინ წავიდა „მოსაფიქრებლად". იქნებ არც კი ღირდა ამაზე ფიქრი? გინდ იფიქრე, გინდ არა, ისინი მაინც თაღლითები არიან. ვიდრე ბიარ-

ტური ფიქრობდა და გამოსავალს ეძებდა, ხმა დაირხა, ინგოულფ არნარსონმა დასტოვა ბანკის დირექტორის პოსტი და პრემიერ-მინისტრად არის დანიშნულიო.

თავი სამოცდამეცამეტე

ძალლები, სულები და სხ. და სხ.

„აუქციონი. ამით ვაცხადებთ, რომ სახალხო ბანკის ვიკში არსებული ფილიალის მოთხოვნით, რედსმირის ოლქში ‘ლეაარე ხუტორი—ზაფხულის სავანე იყიდება აუქციონით, ვალის, პროცენტების და გასაყიდი ხარჯების დასაფარავად. აუქციონი დანიშნულია 29 მაისს, დღის სამ საათზე“.

მოსამართლე სკულასონ იოუნი.“

ასეთი განცხადება გამოაკრეს გაზაფხულის დამდეგს ვიკსა და ფიორდში, და დაბეჭდეს „იურიდიულ მოამბეში“. ცოტა ხნის შემდეგ კი ბიარტურსაც შეატყობინეს, იყიდება შენი ხუტორიო. ბიარტურს არაფერი უთქვამს, ჩვეულად არ ჰქონდა სინანული იმისა, რაც დაჰკარგა. ჯავრის აყოლა არ იცოდა, რაც არ უნდა დატყდომოდა თავს. „თუ დაჰკარგე, რაც გებადა, დაკმაყოფილდი იმით, რაც დაგრჩა“. საკმაოდ ჭკვიანი იყო, ესმოდა, რომ ცხვრით ედგა სული, ცხვარს უნდა ჩაბღაუჭებოდა, მოფრთხილებოდა, ასი სულიღა შერჩა, ერთი ძროხა და სამი მუშა ცხენი, გარდა ამისა, ყვითელი ძუკნაც ჰყავდა, მისი პირველი ძუკნის, ტიტლას ჩამომავალი, მეოთხე თაობა.

იმ საღამოს, როცა შეატყობინეს ეს ამბავი, ბიარტური ძველ ფარეხში შევიდა, მოხუცი ჰალბერას საწოლთან შედგა და გამოელაპარაკა:

— გახსოვს თუ არა, ძვირფასო ბერა, რომ ჩრდილოეთ მხარეს, სანდგილის უშენში ოდესღაც ხუტორი გქონდა?

— ხუტორი? — ჰალბერას გარკვეული პასუხის მიცემა არ შეეძლო, დიდი ხანია ყველაფერი გადაავიწყდა.

— ალბათ იქვე იქნება ის ხუტორი, რა მოუვიდოდა, აბა?

— ჰო, კარგი ხუტორი იყო, — გამოეხმიანა დედაბერი, — ორმოცი წელიწადი ვიცხოვრე იქ და არავითარი ხათაბალა თავს არ დაგვტყდომია. აქ კი დღეს ერთი უბედურება გამოტყვრება, ხვალ მეორე.

— ზაფხულის სავანეს უნდა გამოვეთხოვოთ, — გამოუცხადა ბიარტურმა.

— ვიცოდი, განა არა, რომ ასეთი ბოლო გვექნებოდა, — მიუგო ჰალბერამ, — წყეული ეშმა მუდამ აქ იყო და სამუდამოდ აქ დარჩება. კოლუმკილის ბრჭყალებს ვერავინ გადაურჩა, ვერც ერთი, ვინც ამ ხუტორს ებღაუჭებოდა. მე ხომ ზაფხულის სავანე არასოდეს არ მიმაჩნდა ჩემს სახლად.

ბიარტურმა წაუყოლა, არ უნდოდა მოჩვენებებზე ლაპარაკის გაბმა, მას ხომ არც მოჩვენება სწამდა, არც სხვა ზებუნებრივი არსებები, გარდა იმათი, რომელთაც პოეზიაში იხსენიებენ, და პირდაპირ საქმეზე დაუწყო ლაპარაკი:

— როგორ ფიქრობ, ძვირფასო ბერა, გაზაფხულზე იჯარით ხომ ვერ მომცემ შენს ხუტორს?

— ურდარსელში ლამაზი დაისი იცის, — თქვა მოხუცმა, — როცა ნეტარჭსენებული ტოურარი საგარეო პერანგს ჩაიცვამდა, მოახტებოდა ცხენს და დააჭენებდა უშენში, იქვე ადგილზე კრეჭდა ხოლმე ცხვარს, სადაც დაიჭერდა. კარგი ძაღლებიც ჰყავდა.

— მართალსა ბრძანებ, ძვირფასო ბერა, ჩინებული ძაღლები ჰყავდა განსვენებულ ტოურარს, — დაუმოწმა ბიარტურმა, — მახსოვს მისი ყავისფერი ძაღლი. ეაჰ, რა ძაღლი იყო! სიბნელეში ისე ხედავდა, როგორც სხვები დღის სინათლეზე. იშვიათი პირუტყვი იყო. მეც მყავდა კარგი ძაღლები, ძვირფასო ბერა, ერთგული პირუტყვები, არასოდეს არ უღალატიათ ჩემთვის. ერთი ყვითელი ძუკნა მყავდა, ამ ჩვენი ძუკნის დიდედის დედა, სანთლით რომ ეძებო, მეორე იმისთანა ძაღლს ვერსად იპოვი. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ სიკვდილ-სიცოცხლე მის ხელთ იყო.

ასეა თუ ისე. ადამიანს თავისი ძაღლის მოგონება მაინც შერჩა, არავის ძალუძს ამის წართმევა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ომი და ამ ომის შემდეგ დიდი ადამიანის „იდეები“ მტკრის კორიანტელად აიმართა ღატაკი გლეხის გზაზე და ჰორიზონტი დაუფარა.

— ვაგლახ, ძვირფასო ბიარტურ, ხედავ, როგორ შეტრიალდა საქმე? — სინანულით უთხრა ბიარტურს გილტეიგელმა ტოურირმა.

გაზაფხულის დამდეგი იყო, რამდენიმე გლეხი ფარეხის ღობეზე იჯდა, ის იყო ცხვრებს ნიშანი დაადეს, ხელები გასისხლიანებული ჰქონდათ, ცხვრები კი მათ ფეხებთან ეყარნენ და გამწარებული ბღაოდნენ.

— ახლა შენი ჯერია, — უპასუხა ტოურირს ბიარტურმა, — ყველამ თვალნათლივ დავინახეთ, რომ ძაღლს აქიმობა ვერავის იხსნის განსაცდელისაგან.

— რა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო, — გაბზარული ხმით მიუგო ამრეზილმა ტოურირმა, — ძაღლებზე პასუხს არ ვაგებ, მაგრამ ჩემის აზრით

მთავარი ის არის, რომ კაცს საკუთარი შვილების რწმენა ჰქონდეს, რაც უნდა მოხდეს. მე მუდამ მწამდა ჩემი ნაშიერებისა, რაც უნდა შემთხვეოდათ, ფიქრადაც არ მომსვლია მათთვის ხელი მეკრა და სახლიდან გამეგდო. ჰოდა, ისინი მუშაობდნენ ჩემთვის და ამავე დროს თავისთვისაც. თუ შვილების გწამს, ეს იმას ნიშნავს, რომ სამშობლოსიც გწამს.

დიახ, ტოურირი საშუალო შეძლების პატრონი გახდა, კილოზე ხელად შეატყობდა კაცი, წელი წამოიდგა უკვე, ხალხში გამოვიდა იმის წყალობით, რომ ქალიშვილებმა ბაბუად აქციეს და დარჩნენ მამის ჭერქვეშ თავისი უკანონო შვილებიანად. ამგვარად ტოურირს ომის წლებში უფასო მუშახელი ჰყავდა, მოიპოვა პატივი და ამიტომ სწამდა სამშობლოსი—ყველაფერი ისლანდიისათვის!

— ჩემს შვილებს არასოდეს შეურცხვენიათ მამა, — თქვა ბიარტურმა, — ისინი დამოუკიდებლები იყვნენ. ჩემი შვილები.

გლეხები მიხვდნენ, რომ საქმე ცუდად წავიდა, ცოტაც და აყალმაყალი ატყდებოდა, ეს კი კარგს არაფერს მოუტანდათ. მძიმე დუმილი ჩამოდგა. ისტადალელმა ოულაფურმა შემთხვევით ისარგებლა, რომ თავის აჩემებულ თემაზე ჩაერთო სიტყვა. მან გამოცდილებით იცოდა, თუ შემთხვევას ხელიდან გაუშვებ, მორჩა, ვეღარ დაიჭერ, ამიტომ დუმილი დაარღვია:

— საერთოდ, მე ასეთი აზრისა ვარ, — თქვა მან, — რომ ახლანდელ დროში, თუმცა მუდამ ასე იყო, სახლის აშენებით კაცი დამოუკიდებელი ვერ გახდები. ისლანდიაში, პირველი ახალმოშენებებიდან მოყოლებული დღემდე, მშრომელ კაცს არ ღირსებია ისეთი სახლის აშენება, რომელსაც შეიძლება სახლი დაარქვა. ახლაც ასეა, რა ყრია, აბა რა ხეირია სახლის აშენებაში? ჩვენთვის მიწური ქოხიც უპრიანია. რა მოხდა, თუ მთელ სიცოცხლეს მიწურში ვატარებთ? წუთისოფელი ისე მოკლეა, რომ ჩვენ სიცოცხლეს არც კი ჰქვია სიცოცხლე. სულ სხვაა, უკვდავები რომ ვიყოთ, მაშინ რაღაც აზრი ექნებოდა სახლის აშენებას.

უნდირხლიდელმა ეინარმა თქვა:

— მე ოულაფური არა ვარ. თუ ხანდახან გამოვთქვამ ჩემს აზრს, გამოვთქვამ ჩემებურად, სწავლულივით არ შემიძლია ლაპარაკი. მე ის მინდა მოგახსენოთ, რასაც ვფიქრობ საკუთარ თავზე. ვიცი, რომ სული არსებობს, სული უკვდავია და სწორედ ამიტომ ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, როგორ სახლში გავატარებ წუთისოფელს, სადაც სულს წამება აქვს მისჯილი. თუ გაჭირვებაში მიათრევ შენს დღეს, მიწურ პატარა ქოხში, ვალებში ჩაფლული, იმის სახსარი არა გაქვს, რომ ერთხელ მაინც მოიძღო კუჭი, ათასი სატკივარიც გღრღნის,

გინდაც ასე იყოს, სული მაინც სულია. სული იყო და დარჩება უკვდავი, მისი ადგილი უკეთეს სამყოფელშია.

— ჯანდაბამდის გზა გქონია შენი სისულელეებით! — ზიზღით წამოიძახა ბიარტურმა და ღობიდან ჩამოხტა.

კელდელმა ჰროდლოგურმა ახლა ჭიაზე ჩამოაგდო სიტყვა.

თავი სამოცდამეთოთხმეტე

საგის დასასრული

სხვისი პური

იმ გაზაფხულს, როცა ბიარტურმა ჩრდილოეთ მხარეს, ურდარსელში ისეთივე ქოხი ააშენა, როგორიც ოდესღაც ზაფხულის სავანეში—ასეთ მიწურ ქოხებს, ვისაც როგორ ეხერხებოდა, ისე აშენებდნენ,—უტირედსმირის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარემ თავისი ყოფილი „საზამთრისი" იყიდა იმ ფასად, რა ფასადაც ბიარტურმა დააგირავა. მუქთად ჩაიგდო ხელშიო, ასეთი აზრის იყო ყველა. მამასახლისი იქ მელიის საშენის გამართვას აპირებდა. თურმე ადამიანის უსასტიკესი მტერი მელა კი არა, ცხვარი ყოფილა. ბიარტურმა თავისი ცხვარი წაასხა ჩრდილოეთში, სანდგილის უშენში, ავლადიდებაც თან წაიღო, თავის ჩანავლებულ კერაში კი მოხუცი ჰალბერა დასტოვა, მის წაყვანას ქალაქიდან დაბრუნების შემდეგ აპირებდა. ურდარსელელი ბიარტურის სახელით იგი პირველად ჩავიდა ქალაქში გვენდურთან ერთად. სამომხმარებლო საზოგადოების დიდი ვალი ედო და ჭვავის ფქვილიც აღარ მისცეს, მხოლოდ მოხუცი ჰალბერას სახელზე დაჰპირდნენ პროდუქტის მიცემას, თუ მის მინდობილობას მოიტანდა. რა აზრი ჰქონდა ჩხუბს, გინებას, სულ ერთია, ყურს არავინ დაუგდებდა, მისთვის პასუხის გასაცემად არავის ეცალა; საწყობში მომუშავე ბიჭი თუ ესროდა მოკლედ, მოკეტე პირიო, სხვა არავინ მიაქცევდა ყურადღებას, ვის სტაცებდა ხელს, ვის ჩასცხებდა მუშტს, იმას მაინც არ მოხვდებოდა, ვისთვისაც გულით უნდოდა ცხვირ-პირში ედრუზა. თავისი საუკეთესო ორი ცხენი ურდარსელში ასაგები ქოხის მასალაში მისცა და შერჩა მხოლოდ ოცდაექვსი წლის ბებერი ბლესი, ის ბლესი, რომელიც კარგად გვახსოვს, გვახსენდება ის დღე, როცა როზას კუბო ფარეხში იდგა. ჰაუ, რა დრო გავიდა მას შემდეგ! ზამთრის დღეა. ბლესი კარის წირთხლზე გამოუბავთ, გარედან იყურება ფარეხში, ნიდურკოტელი ტოურდური დგას შვილის კუბოსთან და ფსალმუნს გალობს. ბევრის გაანცდა შეუძლია ცხენს, ამ ცხენმაც განი-

ცადა ყველა ის უბედურება, რაც მისმა პატრონმა — ზაფხულის სავანელმა გლეხმა. ბლესი მძიმე წლებში ამ გლეხის ერთადერთი ცხენი იყო, ერთი მრავალთაგანი გახდა კეთილდღეობის წლებში და ახლა კვლავ პატრონის ერთადერთი ცხენია, გაძვალტყავებული, დაუძლურებული, გაქეციანებული, ცალი თვალით დაბრმავებული! საბრალო ბებერი ცხენი! მაგრამ ამ ბებერ ცხენს ისეთივე ამტანი, კაჟივით გული აქვს, როგორც მის პატრონს.

ფიორდში გვიან ჩავიდნენ. ბიარტურმა ვერ გაბედა მაშინვე უკან გაბრუნება, ძალიან დაიქანცება ცხენიო და ბლესი საბალახოდ გაუშვა. მაგრამ ბლესის კბილებიც აღარ უვარგოდა, დიდი დრო სჭირდებოდა გასაძღომად. მეტი რა გზა იყო, ის ღამე იქ უნდა გაეტარებინათ. დაბინდდა, სამომხმარებლო დუქანი უკვე დაიკეტა, მამა-შვილმა თავისი საქმეები მოაგვარა და ქუჩაში გამოვიდნენ, მთელი დღე ლუკმა არ ჩასვლიათ პირში, ორივეს შიოდა, კაპიკი არც ერთს არ ედო ჯიბეში, საშინლად უნდოდათ ყავა, მაგრამ ამაზე არაფერს ამბობდნენ. ბურუსი ჩამოწვა, ზღვის მხრიდან ცივი ქარი უბერავდა.

— არა, არ გაავდრდება ამელამ, — თქვა ბიარტურმა, ცას რომ ახედა, — სადმე ბაღის ღობესთან მივწვეთ, ერთი-ორი საათი თვალი მოვატყუოთ.

ქალაქში რაღაც არეულობა იყო, მაგრამ ურდარსელელ ბიარტურს თავისი დარდი აწუხებდა და ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის. საქმე ის იყო, რომ ინგოულფ არნარსონის „იდეები“ ფიორდშიც ხორციელდებოდა. ორი კვირის წინათ შეუდგნენ ფიორდში ნავსადგურის მშენებლობას. თავის დროზე ხომ ნავსადგურის აშენების პროგრამა საარჩევნო კომპანიის დროს ახლანდელმა პრემიერ-მინისტრმა წამოაყენა, შემდეგ კი მისთვის დამახასიათებელი ენერგიით გაიტანა ეს საქმე ალთინგში და დაამტკიცა. ო, არა, ინგოულფ არნარსონი ისეთი კაცი არ გახლდათ, უკან დაეხია, დაპირება არ შეესრულებინა. გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა, ვიკის მკვიდრებიც ჩაებნენ მშენებლობაში, მიატოვეს ოჯახი, ჩამოვიდნენ ფიორდში, დაბინავდნენ ძველ ბარაკებში, სადაც უწინ თევზს ასუფთავებდნენ, ახლა კი მათთვის საცხოვრებელი მოაწყვეს. მუშებს დაპირდნენ, რომ ხელფასს ისეთივე განაკვეთის მიხედვით გადაუხდიდნენ, როგორც სხვა მშენებლობებზე. დაიწყეს ცნობილი მოლოს აღდგენა, ამისათვის ბევრი ქვა და ბეტონი იყო საჭირო. მუშები ანგრევდნენ კლდეს, ეზიდებოდნენ ქვას, ასე გავიდა ერთი კვირა, დადგა ხელფასის გაცემის დღე და გამოირკვა, რომ მუშებს იმედი გაუცრუეს, რომ მათ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდათ ხელფასზე და ამ გროშებით, რაც ახლა შესთავაზეს, ოჯახს ვერ შეინახავდნენ, ცოლ-შვილი შიმშილით გაუწყდებოდათ. მაშ, მშვიდობით აუხდენელო ოცნებავ, ამიერიდან წელში ვეღარ გავიმართებით, ხალხში ვერ გამოვალთ. ამ განაკვეთს „მშიერი განაკვეთი“ შეარქვეს, ასეთ პოლიტიკას,—მუშების გაყვლეფის პოლი-

ტიკა და გამოაცხადეს, რომ ისინი ილაშქრებენ ისეთი საზოგადოებრივი წესის წინააღმდეგ, რომლის წყალობითაც მუშას პირიდან ლუკმას აცლიან და სასიკვდილოდ სწირავენ! თითქოს ასეთი წესი ახალი ხილი იყო მათთვის! მუშებმა ხელფასის გადიდება მოითხოვეს, მაგრამ არავის ჰქონდა განაკვეთის შეცვლის რწმუნებულება. ვის რა ენაღვლება, თუ მუშებს ცოლ-შვილი შიმშილით გაუწყდება? ისლანდიელთა საზოგადოებრივი წესი წმიდათა წმიდაა! მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, შეწყდა მუშაობა. ფიორდში უწინ არასოდეს არ გაფიცულან მუშები და ახლა ამ მოძრაობას ვიკელები ჩაუდგნენ სათავეში, რადგან მათ ერთხელ უკვე მოაწყეს გაფიცვა თავის ქალაქში და გაიმარჯვეს კიდეც: გაფიცვის შემდეგ მათ ოჯახებს ერთი ხანი აძლევდნენ ჭვავის პურსა და ნაყარნუყარ თევზს. ფიორდელები ორ ბანაკად გაიყვნენ: უმეტესობა გაფიცულთა მხარეზე იყო, ზოგმა კი ხელი ჩაიქნია. რაც იქნება იქნება, ვიმუშავებთ, ისლანდიის დამოუკიდებლობას მსხვერპლად შევეწირებითო. ათისთავები ახალ ბრიგადებს ადგენდნენ, თავს უყრიდნენ იმათ, ვინც ასეთ ხელფასზე უარბულს იყო. წვრილი მესაკუთრეები და წვრილი ბურჟუები უსასყიდლოდ სთავაზობდნენ დახმარებას მშენებლობის ხელმძღვანელებს, რამეთუ ისლანდიის ხალხის დამოუკიდებლობასა და საზოგადოებრივ წესრიგს იცავდნენ. მაგრამ გაფიცულებმა ფეხი არ მოიცალეს სამეშაო ადგილიდან, პიკეტებიც კი დააყენეს და მოხალისეებს არ უშვებდნენ. რამდენჯერმე დაერივნენ ერთმანეთს ისინი, ვისაც საკმაო ქონება ჰქონდა, ისლანდიელთა დამოუკიდებლობისათვის და საზოგადო წესრიგისთვის იღვწოდა, და ისინი, ვისაც ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებოდა. იყო ერთი ცემა-ტყეპა. ხელჩართული ბრძოლა, ზოგს ძვლებიც ჩაუმტვრიეს. წარმოიშვა ისეთი ეჭვები და სიტყვები, უწინ არავის რომ არ გამოუთქვამს, — მოვიდნენ აქ. ურცხვი გადამთიელები, საზოგადოების ნაძირალები, მშვიდობის დასარღვევად. გაფიცულები პირდაპირ ამბობდნენ, რომ უნდა შექმნან საზოგადოებრივი ახალი წესები და მუშები შიმშილით სიკვდილისგან იხსნან. პატარა ქალაქში არ იყო პოლიცია, რომ მოერჯულებინა ისინი, თავიდან გამოებერტყა მათთვის ასეთი სისულელეები და, ამრიგად, საზოგადო წესი, მასთან ერთად ხალხის დამოუკიდებლობა საფრთხეში აღმოჩნდა. ბოლოს, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ მთავრობას დაურეკა და სთხოვა პოლიციელთა რაზმი გამოგზავნეთ იმათ დასაცავად, ვისაც მუშაობა უნდა და გადამთიელი მეამბოხეების დასასჯელად, ხელს რომ უშლიან სხვებს მუშაობაშიო. მთავრობა ხალისით გამოეხმაურა ამ თხოვნას და აცნობა მოსამართლეს, რომ გამოგზავნილია პოლიციელთა რაზმი კატერით. ამბობდნენ, გაფიცულები თავდასაცავად მოემზადნენო, ბრძოლა ატყდებაო, ქალაქი ღელავდა და შიშით ელოდა მეორე დღეს.

ჰოდა, რაღა გასაკვირველია, თუ ზაფხულის სავანელი ბიარტურისთვის არავის ეცალა? ყველა იმაზე ფიქრობდა, რით დამთავრდება არეულობაო.

გვიანი საღამო იყო, მუშების ხმა მიწყდა, ზღვის მერცხლების ჭყივილიღა ისმოდა. ღამემ გამჭვირვალე საბურველში გახვია ქალაქი. ხეობელი გლეხი და მისი ვაჟიშვილი გზის პირას ჩამოსხდნენ, მიძინებული, ჩაბნელებული სახლის წინ, ბალახს ღეჭდნენ და ხმას არ იღებდნენ.

ბოლოს შვილმა დაარღვია დუმილი:

— აუსტა სოულილიასთან ხომ არ წავიდეთ? — ჰკითხა მამას. — ყური მოვკარი, ავად არისო.

მამას ხმა არ გაუცია.

— აუსტა სოულილიასთან ხომ არ წავიდეთ-მეთქი? — გაუმეორა გვენდურმა, — ამბობენ, საქმრომ მიატოვაო.

ისევ დუმილი.

— მამი, დამიჯერე, აუსტა სოულილიას ძალიან გაუხარდება ჩვენი ნახვა. დარწმუნებული ვარ, ყავითაც გაგვიმასპინძლდება.

— ხმა ჩაიწყვიტე, ხომ არ გინდა, მაგრა მიგბეგვო, შე წყეულო მაწანწალავ, შენა. შენგან კაცი არასოდეს არ დადგება.

საუბარი ამით დამთავრდა.

დიდხანს იჯდა მამა-შვილი ჩუმად, უცებ ხმაური შეესმათ და დაინახეს გზაზე ნელი ნაბიჯით მომავალი კაცი. კაცი ნაშურის შარვალ-ხალათში იყო გამოწყობილი, ქუდი კეფაზე მოეგდო, დროდადრო შედგებოდა, სახლებს ათვალიერებდა, დაინახა ბიარტური და გვენდური, ნელა წამოვიდა მათკენ და რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით შედგა. ჯიბიდან პაპიროსის ნამწვავი ამოიღო, დახედა, მერე მამა-შვილს გადახედა, ისევ პაპიროსის ნამწვავს დააცქერდა, გაიცინა, ასანთს გაჰკრა, ნამწვავს მოუკიდა და მიუახლოვდა მათ.

— საღამო მშვიდობისა, ძმებო! — მიესალმა უცნობი მამა-შვილს.

ბიარტურმა და გვენდურმა უხალისოდ უპასუხეს სალამზე, არც ერთი არ განძრეულა, ბალახის ღერო კბილებში ჰქონდათ გაჩრილი და თხრილს დაჰყურებდნენ. კაცმა რამდენჯერმე შემოუარა მათ გარშემო, მერე ცას ახედა და თქვა:

— ისევ მოიღრუბლა.

გლეხებმა არაფერი უპასუხეს.

— დაწყევლილი კუთხე. როგორ მინდა ჩემს სახლში ყოფნა, თუმცა არც იქ ვიქნები უკეთეს დღეში ასეთ არეულ დროს. — თქვა კაცმა.

— სადაური ხარ? — ჰკითხა ბიარტურმა.

— ვიკელი გახლავარ. მეგონა, აქ სულს მოვიბრუნებდი, მაგრამ ხეირი

ვერც აქ ვნახე. რა ხმები დაყარეს, რა განგაში ატეხეს, მოიტყუეს ხალხი და. ბოლოს ყველა მოგვაღორეს. ყური მიგდე, მეგობარო, — თქვა კაცმა და ისე შეხედა ბიარტურს, თითქოს უცებ რაღაც კარგი აზრი დაებადაო, — პურს ხომ ვერ მომყიდი?

— პური მოგყიდო? შენს ჭკუაზე ხარ? სადა მაქვს გასაყიდი პური?

— აჰა, მაშ ასეა საქმე? — ჩაილაპარაკა უცნობმა და როგორღაც უაზროდ გაიღრიჭა.—თუმცა, რა მეთქმის... პურის საყიდელი ფული მაინც არა მაქვს.

დუმილი ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ უცნობმა დაილაპარაკა:

— ყველგან, ყოველ ნაბიჯზე გატყუებენ, ტყუილში ჩაიხრჩო ქვეყანა. ჯანდაბას ყველაფერი!.. რომელ წიგნში წერია ეს?

— მგონი საღვთო წერილში, — უპასუხა ბიარტურმა.

— ჰო, რამ გამომასულელა ასე, რასაკვირველია, საღვთო წერილში წერია!

— გაფიცული ხართ? — ჰკითხა ბიარტურმა. — როგორ არა გრცხვენიათ? არ გირჩევნიათ, იმუშაოთ?

— რა ყრია მუშაობაში, თუ ყინულზე გაგაცურებენ? იმედია, იმათ არ ეკუთვნით, ვინც მუშაობის გაგრძელებას აპირებს.

— დიახ, იმათ ვეკუთვნი, — მიუგო ბიარტურმა. — მე მუდამ ვშრომობდი, ოღონდ სხვას კი არ ვემსახურებოდი, დამოუკიდებელი კაცი ვარ, ჯერ კიდევ მქვია დამოუკიდებელი კაცი.

— ამბობენ, რომ ხვალ პოლიციის რაზმი მოგვადგება,—თქვა უცნობმა,— იმედი მაქვს, იმათგანი არ იქნები, ვინც ინგოულფ არნარსონს, იმ პირსისხლიან ეოფაკს, ხმა მისცა არჩევნებში?

ბიარტურმა ამაზე პასუხის გაცემა არ ინება.

— დალახვროს ეშმაკმა, როგორ გაძნელდა ლუკმაპურის ყიდვა, — თქვა უცხობმა, — ბიუებმა პურის საშოვრად გამომგზავნეს, ყავის ადუღებას ვაპირებდით.

— ახლა არა თქვი, პურის საყიდელი ფული არა მაქვსო? — ჰკითხა ბიარტურმა.

უცნობმა ისევ შეხედა ბიარტურს, ენა გააწკლაპუნა და უაზროდ გაიღრიჭა.

— ყიდვას არც ვაპირებდი, ხელი უნდა მომეფათურებინა საფუნთუშეში.

— საფუნთუშე დიდი ხანია დაიკეტა, — უპასუხა ბიარტურმა.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა, თუ პური არ გადამალეს.

— გადამალეს?

— ჰო, ჰო, გადამალეს. ისეთი ფუნთუშა დიდი პურები ვნახე საღამოსაკენ საათზე, სუფთა ჭვავის პური იყო.

უცნობმა მოათავა პაპიროსის ნამწვავის წევა.

— როგორ ფიქრობ, გაავდრდება? — ჰკითხა ბიარტურს და ცას ახედა.

— არა მგონია, — უპასუხა ბიარტურმა.

— ჩემთვის სულ ერთია, გაავდრდეს რა! — თქვა კაცმა — რა სიცოცხლეა ჩვენი სიცოცხლე. ფუი, დალახვროს ეშმაკმა, იცი, რა ხანია ქალთან არ ვყოფილვარ!

— აჰა! — თქვა ბიარტურმა.

— თუმცა ეს უკეთესიცაა, — თქვა ისევ კაცმა, — ჯანი უნდა შევინახო. თუ ხვალ პოლიციელების რაზმი მოგვადგა... ყური მიგდე, მხარს ხომ არ აგვიბამ?

— ვის წინააღმდეგ?

— ვისი და იმ წყეული სატანის, ინგოულფ არნარსონის წინააღმდეგ!

ბიარტური დაფიქრდა და უპასუხა:

— ვერა, ჩხუბისთვის აღარ ვვარგივარ.

— ბარის ტარებით და ჯოხებით ვართ შეიარაღებული...

— ოჰო, რაღა გიჭირთ! — თქვა ბიარტურმა.

— მაგრამ, თუ ის ტარტაროზები შეიარაღებული მოვლენ და თოფებს დაგვიმიზნებენ, რაღა თქმა უნდა, დავნებდებით, ასე გვაქვს გადაწყვეტილი. უმეტესობა ჩვენში წვრილშვილის პატრონია, მათ შორის მეც. შვილები რომ არ მყავდეს, ცას ქუდად არ მივიჩნევდი, დედამიწას ქალამნად, ესროლათ, რამდენიც უნდოდათ. ყური მიგდე, რას უზიხართ აქ, ელით რასმე? რაიმე განსაკუთრებულს? — ჰკითხა უცნობმა ბიარტურს.

— არაფერს, — უპასუხა ბიარტურმა, — მხოლოდ იმას ველი, რომ ჩემმა ცხენმა მუცელი ამოივსოს, ოცდახუთ წელს გადააბიჯა უკვე. შინ წასასვლელი ვარ, უშენი გვაქვს გადასავლელი, დილაადრიანად გავუდგებით გზას.

— ნუთუ, ძმებო, მანამდე წახვალთ, ვიდრე შეხლა-შემოხლა არ დამთავრდება? აქ რას უზიხართ, წამოდით ჩვენთან. ყავა დავლიოთ, პური ვჭამოთ!

— პური გაქვთ?

— პური? — გაოცებით დაუბრუნა კითხვა უცნობმა. — ჰო, ჰო, საკმარისი პური გვაქვს, წამოდით.

უცნობი ენაჭარტალა კაცი იყო, ისეთი ნდობით, მეგობრულად ელაპარაკებოდა, რომ გლეხები წამოდგნენ და გაჰყვნენ. უცნობი პირდაპირ კი არ მიდიოდა გზაზე, რაღაც უცნაურად იკანკლურად დადიოდა, ხან ჩერდებოდა, სახლებს ათვალიერებდა. მამა-შვილი კი სწორად მისდევდა გზას. უცნობმა ორჯერ გააჩერა ისინი, დამიცადეთო და რომელიღაც სახლს მიეფარა.

— ვაჰ, რა საოცარია! — თქვა მან, — ისე დაფრთხა ხალხი, რომ დედაკაცებმა სამზარეულოს კარიც კი გამოკეტეს, — და გაიცინა.

როგორც ჩანდა, მართლა სასაცილოდ ეჩვენებოდა ეს, რაკი იცინოდა. მაგრამ ბიარტური და გვენდური ვერაფერ სასაცილოს ვერ ხედავდნენ ამაში. უცნობი ენას არ აჩერებდა, ლაპარაკობდა პოლიციელებზე, ამინდზე, ქალებზე, ყველაფერზე, რაც კი თავში მოუვიდოდა.

— მე მგონია, — თქვა მან, — სულელი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთ დროში ქალი შეირთოს.

— ნუთუ? — ჰკითხა ბიარტურმა.

— დიახ, უტვინო უნდა იყოს, — დაუდასტურა უცნობმა და ისევ გააწკლაპუნა ენა.

— ნუ შეირთავდი შენც რა, — უთხრა ბიარტურმა.

— ყური მიგდე, ძმობილო. ერთ აქაურ ჭაბუკს ველაპარაკე, დიდი მებრძოლი ჭაბუკია და იცი, რა მითხრა: „სჯობს მთავრობამ ხალხი დახოცოს, ვიდრე შიმშილით ამოხადოს სულიო“.

— სისულელეს როშავ! — მიახალა ბიარტურმა.

— არა, არა, — აჩქარებით უპასუხა უცნობმა, — ეს ჭეშმარიტებაა, მეც ამ აზრისა ვარ. უბრალო ხალხი ისეთი გაქნილი ხომ არ არის, რომ ახლანდელ წესებს აუღოს ალღო, შეუხმატკბილდეს. თაღლითებისაა ეს ქვეყანა.

ბიარტურისთვის ეს აზრი ძნელი გასაგები იყო და არაფერი უპასუხა.

— არც იარაღი გვაბადია, — განაგრძო უცნობმა, — იარაღი რომ გვქონდეს, მაშინ სულ სხვა იქნებოდა. ჰოდა, მეტი რა გზა იყო, ავდექით და იმათი ბარის ტარები მოვიპარეთ მათვე საცემად. მაგრამ თუ თოფებით შეიარაღებული პოლიციელები მოვლენ, მაშინ მორჩა... დამიცადეთ ცოტა ხანი, აქ ერთი დედაკაცი ცხოვრობს.

უცნობი ერთ-ერთი მაღალი სახლის უკან მიიმალა. ფანჯრის რაფებზე ყვავილების ქოთნები იდგა, იქვე გვერდით საქათმე იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ უცნობი საიდანღაც გამოძვრა, ხელში დიდი, შავი პური ეჭირა.

— ხელი გავიკაწრე, — თქვა მან და განაკაწრზე ენა დაისვა, — არა უშავს რა, წავიდეთ.

— იმედია, ეგ პური მოპარული არ იქნება?

— ერთი შენც, მოგცლია, ნახე რაღა სალაპარაკო! — მიუგო უცნობმა, ხალათი აიწია, შარვლის სარტყელში პური ჩაიჩურთა და ზედ ხალათი ჩამოიფარა. — არა უშავს რა-მეთქი, ის დედაკაცი რამდენიმე ხუტორის მფლობელი ბრძანდება, პასტორის ქვრივი გახლავს.

ბიარტური შედგა და თქვა:

— აღარ მოვდივარ!

— წამოხვალ, — უპასუხა უცნობმა, — წამოხვალ და ყავასაც დალევ. რა-კარგი პურია, იფ. იმ დედაკაცს ეს პური სულ არ სჭირდება.

— არასოდეს არაფერი მომიპარავს და არც ქურდისთვის ხელი დამიფარებია, — თქვა ბიარტურმა.

— არც მე მომიპარავს უწინ,—მიუგო უცნობმა,—მაგრამ რას იზამ, როცა ყველა შენ გძარცვავს და მოკვლითაც კი გემუქრება. კაპიტალიზმმა ამ ომში ხომ თავისი სიამოვნებისათვის ათი მილიონი კაცი გაულიტა. ჰოდა, მე მგონია, ამ ერთი პურის დაკარგვას ვერ შენიშნავს. კაპიტალიზმი იმას სჯის ყველაზე სასტიკად, ვინც არაფერს იპარავს. ჰოდა, რატომ არ უნდა მოვიპარო? ციხეში ნამყოფი ხალხი ამბობს, რომ იქ უკეთ ცხოვრობდნენ. ამ პურის პატრონ დედაკაცს კი სხვა საქმე არ აქვს რა, საიჯარო გადასახადს კრეფს თავისი ხუტორებიდან. მე თუ მკითხავ, ხუტორის მეპატრონეობას გაცილებით სჯობს ციხეში ჯდომა. დარწმუნებული ვარ, რომ ციხეში კაცი უფრო დამოუკიდებლად იგრძნობს თავს. წამოდით, წამოდით, ძმებო. ალბათ ყავა უკვე ადუღეს და ქვეყნად, კაპიტალიზმის გარდა, სხვა ქურდი არ არსებობს.

ბარაკში ათ-თორმეტ მუშას მოეყარა თავი, აბოლებულ ნავთქურაზე ედგათ ქვაბით წყალი, ყავა უკვე დუღდა და ახალმოსულებმა ხარბად შეისუნთქეს ამ სასმელის საამო სუნი.

— ეგ ყმაწვილები ვინღა არიან? — იკითხეს მუშებმა.

— ესენი გზის პირას ისხდნენ და თამბაქოს ღეჭავდნენ, — უპასუხა უცნობმა ამხანაგებს, მაგრამ მან სიმართლე არ თქვა, ბიარტური და გვენდური, თამბაქოს კი არა, ბალახს ღეჭავდნენ, — და ყავაზე დავპატიჟე.

— პური მოიტანე?

— კი, კი, — უბრალოდ უპასუხა უცნობმა, — ყველას გვეყოფა. შემოდით, ძმებო!.. გულმშვიდად შეგიძლიათ მიიღოთ ესენი. ესენიც კაპიტალიზმის წინააღმდეგი არიან.

მასპინძლებმა სტუმრები ბარაკში შეიყვანეს, მერხზე ჩამოჯდომა შესთავაზეს. ზოგს გაგონილი ჰქონდა ზაფხულის სავანელი ბიარტურის სახელი, იცოდნენ, რომ სახლს იშენებდა, ისიც გაეგოთ, ვალის დასაფარავად როგორ გაუყიდეს ავლადიდება, და გამოკითხვა დაუწყეს, რა მოხდა, როგორ მოხდაო. მაგრამ ბიარტური ხმას არ იღებდა. ბოლოს ყავა მიაწოდეს ბიარტურს, მან სიამოვნებით და მადლიერებით ჩამოართვა ფინჯანი, მაგრამ როცა საქმე პურზე მიდგა, ისევ აემღვრა გული. სხვისი პური იყო. რას არ მისცემდა ერთ ნაჭერ პურში. გვენდურმა პურის დიდ ნაჭერს დაავლო ხელი, თან მამას შეხედა.

— ამაზე შენვე აგებ პასუხს, — უთხრა ბიარტურმა.

— მითხარი, ბიარტურ, — მიმართა ზაფხულის სავანელ გლეხს ერთმა მუ-

შამ, რომელსაც საოცრად გულღია გამოხედვა, ძალზე ცოცხალი სახე ჰქონდა, — იცი თუ არა შენ, რა ჰქნეს რუსმა გლეხებმა?

ბიარტურმა არაფერი უპასუხა.

— უხსოვარ დროიდან ისინი დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ, როგორც გარეული კატები, უფრო სწორად, როგორც ისლანდიელი ხუტორელები, მაგალითად, შენ. კაპიტალიზმი ძარცვავდა, ჟლეტდა მათ. ამ რვა წლის წინათ კაპიტალიზმმა ომი დაიწყო, ხოცავდა ამ გლეხებს ძაღლებივით, თავისი სიამოვნებისთვის. ასე ჟლიტა და კუწა სამი წლის განმავლობაში, ზოგჯერ დღეში ორასი ათასი კაცი იღუპებოდა. ბოლოს რუს გლეხებს აევსო მოთმინების ფიალა, გაერთიანდნენ თავის ამხანაგებთან, ქალაქელ მუშებთან, დაამხეს კაპიტალიზმი და მოჰკლეს ხელმწიფე. ხელში აიღეს ყველაფერი, რაც მათ კაპიტალისტებმა მოჰპარეს, დააარსეს, შექმნეს ახალი საზოგადოება, სადაც ვერავინ გამდიდრდება სხვისი შრომით, სხვის ხარჯზე. ამას ჰქვია კოლექტიური საზოგადოება.

— უყურე შენ, — გაეცინა ბიარტურს, — მაშ, რუსთ ხელმწიფეს მზე დაუბნელეს?

ბიარტური გახალისდა, უამბო მუშებს, როგორ ცხოვრობდა, რა მოჰპარეს და რა წაართვეს.

— ერთი ნაჭერი პური მეც მომეცით, ბიჭებო, — ვეღარ მოითმინა ბიარტურმა, რადგან ყველა მადიანად იღმურძლებოდა, ნახევარი პური შესანსლეს უკვე. ბიარტურს სქელი ნაჭერი მოუჭრეს. გემრიელი პური იყო.

— ვინ იცის, იქნებ იმათ ჩემი ჩაგვრისთვისაც იძიონ შური, — თქვა ბიარტურმა, — როგორც გრეტირ ძლიერისთვის იძიეს შური აღმოსავლეთში. მიკლაგარდში. სამაგიეროდ, გრეტირ ძლიერი ისლანდიის დიად ადამიანად ითვლებოდა.

— შენ ჯერ არ მომკვდარხარ, — უთხრა ერთმა მუშამ, — ხვალ მხარში ამოგვიდგები და ჩვენთან ერთად იბრძოლებ.

— არა, — უპასუხა ბიარტურმა, — ადგილსამყოფელი გამოვიცვალე, როგორც გითხარით, და ფიორდში ბრძოლისთვის არ მცალია.

— ერთ მშვენიერ დღეს მშრომელები დავამხობთ ქურდებს და მკვლელებს, მაშინ ინანებ, რომ არ დაგვეხმარე, მხარში არ ამოგვიდექი.

— მე მუდამ დამოუკიდებელი ადამიანი ვიყავი, — თქვა ბიარტურმა,—მე მინდა ჩემი მამული მქონდეს. ხვალ დილაადრიანად, როგორც კი ცხენი გაძღება, ურდარსელში წავალ. ეს გადაწყვეტილია. ჩემს გვენდურს კი შეუძლია დარჩეს აქ და, თუ თქვენ კუდით ქვას ასროლინებთ რედსმირელებს, ტირილს არ დავიწყებ. ყური მიგდე, შვილო, თუ გინდა დარჩი ამ ბიჭებთან. ვინ იცის,

ეგებ სწორედ ამათ მოგცენ ის შენი ამერიკა, რომელზეც მთელი წელიწადი ნაღვლობდი.

ყავის სმას რომ მორჩნენ, მუშები მერხებზე მიეყარნენ, ორ-ორი და სამ-სამი ერთად დაწვა და საბნის მაგივრად. რაღაც ძონძები გადაიფარეს. გვენდურსაც შესთავაზეს დაწოლა.

— თუ გავიმარჯვებთ, ამ ბიჭსაც ექნება სამუშაო, — უთხრეს მუშებმა ბიარტურს, — ჩვენს კავშირში ჩავწერთ.

ყველა დაწვა, ბარაკი მიყუჩდა. დაწვა ბიარტურიც, გულს აზიდებდა, ეჩვენებოდა, საცაა ამომასაქმებსო, — რა თქმა უნდა, ეს მოპარული პურის ბრალი იყო. ცოტა ხანში გულზიდებამ გაუარა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა, ვერაფრით ვერ მოხუჯა თვალი, თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა: საზიზღარ ქურდბაცაცებში ხომ არ მოხვდა? ესენი ხომ მოძალადეები არიან, ყაჩაღები, მთავრობის დამხობა და ქვეყნის გაძარცვა უნდათ. ძალიან ხომ არ აჩქარდა, შვილს ამ ყაჩაღებთან დარჩენა რომ ურჩია? რა საერთო აქვს მას, თავისუფალ კაცს, ამ ბრბოსთან, ან მის შვილს რა საერთო აქვს? რა ეშმაკმა მოახსოვეხა აქ, ის, დამოუკიდებელი კაცი, ახლა რომ მიიღო მეორე ხუტორი? მაგრამ სხვა მხრივ, ვინ იცის, იქნებ ესენი სამართლიანი ხალხია? და თუ ეს ასეა, მაშინ პირველად შეხვდა სამართლიან ხალხს თავის ცხოვრებაში. ორში ერთი უნდა იყოს: თუ მთავრობაა სამართლიანი—მაშინ ესენი ბოროტმოქმედები არიან, თუ ეს ხალხია სამართლიანი—მაშინ მთავრობა ყოფილა ბოროტმოქმედი. ძნელი იყო ასეთი საკითხის გადაჭრა ერთ ღამეში და ბიარტური ნანობდა, რომ აქ მოვიდა. მუცელი ჰგვრემდა, არ ასვენებდა მოპარული პური, ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი ცხოვრების მანძილზე ახლა განიცადა ყველაზე დიდი მარცხი, ისე რცხვენოდა, რომ სისხლი მოაწვა სახეში, აი, ადგება ახლა, გავა კარში და ალბათ იქვე კართან ამოასაქმებს ამ დამცირების ლუკმას. მაგრამ ბიარტური არ ადგა, მის ირგვლივ კი უკვე გაისმა ხვრინვა.

თავი სამოცდამეთხუთმეტე

რუსთხელმწიფე დაამხეს

დიდი წვალების შემდეგ ბიარტურმა, როგორც იყო, დაიძინა, თვალი რომ გაახილა, ბარაკში უკვე შუქი იდგა, დილის მზე იყურებოდა ღია კარიდან. ბიარტური ადგა, მზეს გაჰხედა, დაახლოებით დილის ექვსი საათი იქნებოდა, სულ

სამი საათი სძინებია. მუშები ჯერ კიდევ ხვრინავდნენ. წუხანდელი თავგადასავალი, მოპარული პურის ჭამა, საუბარი ყავის სმის დროს აჩრდილისებურ ზმანებასავით ჩარჩა ხსოვნაში, თითქოს რაღაც არასაკადრისი დაესიზმრაო და უცნაურია, რომ სწორედ მას შეემთხვა ეს. ბიარტურს ზურგი სტეხდა, ხელ-ფეხი უბეშოდა. საუბარს კიდევ არა უშავს, რას არ გაიგონებს კაცი, მაგრამ პური, ის წყეული პური რომ არ შეეჭამა! და უცებ გაახსენდა, რომ ამ ხალხს მისცა ბიჭი. თავი სადა ჰქონდა? ყავაში გასაბრუებელი რამ ხომ არ ჩაუყარეს ნეტა? ბიარტური ბარაკის ზღურბლთან იდგა, ხან გარეთ გაიხედავდა, ხან მძინარე მუშებს გადაავლებდა თვალს, ფიქრობდა, რა ექნა, როგორ წავიყვანო გვენდურიო. ნელა წავკრავ ხელს და გავაღვიძებო, გადაწყვიტა, ფეხაკრეფით წავიდა შვილისკენ. გვენდურს მშვიდად ეძინა ორ მუშას შუა, ორი ზორბა, ბრგე ჭაბუკი ეწვა აქეთ-იქით, განიერი მხარბეჭი ჰქონდათ, ენერგიული ნიკაპი, ტლანქი, ნაჯაფარი. დაკოჟრებული ხელები. რა ტკბილად სძინავს ჩემს შვილს ამ ორ ბრგე ჭაბუკს შუა, გაუელვა ბიარტურს და შეყოყმანდა, ღირს თუ არა გვენდურის წაყვანაო. ალბათ ამ ბიჭებში ჩემი შვილი თავს კარგად იგრძნობს, როცა გაიღვიძებს, და განა ამისთანა ჭაბუკებისთვის უფრო უპრიანი არ არის თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონობა და მართვა? მაგრამ უცებ შეშფოთდა, ვაითუ ინგოულფ არნარსონის გამოგზავნილი ვაებატონები შეიარაღებული დაესხნენ თავს, დახოცონ მუშები და მოუკლან შვილიც? მაშინ რაღა ქნას? არა, ურჩევნია გააღვიძოს გვენდური, წაიყვანოს მთაში, ვიდრე აქ დასტოვოს იმისათვის, რომ ავაზაკებმა ქუჩაში ძაღლივით მოჰკლან! ბიარტურს ხომ ძლიერ უყვარდა ეს ბიჭი, არ ამჟღავნებდა, თორემ ძლიერ უყვარდა. მართალია. გვენდური კინაღამ წავიდა ამერიკაში, მაგრამ მაინც დამოუკიდებლობის სიყვარულმა გაიმარჯვა მის გულში, დარჩა მანასთან, მამასთან ერთად უნდა იბრძოლოს, დასძლიოს სიძნელეები თავის სამშობლოში. რა გაეწყობა, — გაიფიქრა ბიარტურმა,—ერთხელ და ორჯერ ხომ არ მიწვნევია შვილის დაკარგვის სიმწარე,—და გაახსენდა, როგორ მიჰქონდა ზურგზე წამოკიდებული ბავშვები უუთით, რედსმირის სასაფლაოზე დასამარხავად. გაახსენდა ის შვილებიც, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაჰკარგა. იქნებ უკეთესიც იყოს, თუ მის უკანასკნელ შვილსაც იგივე დაემართება, რაც სხვებს? ვისაც ვაჟკაცობა არ ეყოფა, მარტოობას შეუდრკება, ის არც არის დამოუკიდებელი კაცი. გრეტირ აუსმუნდარსონი უსახლკარო იყო, შარაგზის ყაჩაღი, ცხრამეტი წელიწადი დაძრწოდა ისლანდიის მთებში, ვიდრე დრანგეიში არ დაიპირეს. მაგრამ გრეტირისათვის შური იძიეს მიკლაგარდში, დედამიწის ზურგზე ყველაზე დიდ ქალაქში. იქნებ ოდესმე, რომელიმე დიდ ქალაქში ბიარტურისთვისაც იძიონ შური? და უცებ გაახსენდა, რუსთხელმწიფე მოსპეს, გული სიხარულით

შეუთრთოლდა. ნეტა ახლა რას იტყვის, უტირედსმირელი ბერიკაცი იოუნი?

ბიარტურმა გადაწყვიტა გვენდური იქ დაეტოვებინა და ფეხაკრეფით გავიდა ბარაკიდან.

შინ დაბრუნებაზე უნდა ეფიქრა, საბალახოზე დატოვებული ცხენი უნდა მოენახა, მაგრამ ნაცვლად ამისა ბიარტური მეთევზეთა დაბაში დაყიალობდა, დაბნევით პასუხობდა სალამზე მოხუც მეთევზეებს, უთენია რომ ამდგარიყვნენ, ზოგი ხელისგულისოდენა ბოსტანში მუშაობდა, ზოგი ბადეს შლიდა, ზოგი ბადეს კემსავდა. ბიარტურმა უცებ მტკიცე გადაწყვეტილებით იბრუნა პირი ქალაქის გარეუბნებისკენ, სადაც ყველაზე უბადრუკი ქოხმახები მჭიდროდ მიჰკვროდა ერთმანეთს. ქალაქის ამ უბანს სანდეირი ერქვა, არასოდეს არ ყოფილა იქ, მაგრამ იქაური მოსახლეებიდან კი ზოგიერთს იცნობდა. ქალები უკვე გამოსულიყვნენ ქოხებიდან, ტომრებს ფერთხავდნენ. ერთ ქოხთან მუშები შეჯგუფულიყვნენ. ბიარტურისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, უთუოდ, კრება ჰქონდათ.

გზის პირას ერთი გამხდარი, წვრილი გოგონა ჩაცუცქულიყო და თიხის ღვეზელებს აკეთებდა. ის იყო ბიარტურს გვერდით უნდა ჩაევლო ბავშვისთვის, რომ სწორედ იმ წუთს გოგონა წამოდგა, თიხით დასვრილი ხელი მუცელზე გაისვ-გამოისვა, თავის ასაკთან შედარებით გრძელი ხელ-ფეხი ჰქონდა, სახე კი არაბავშვური, თითქოს გამოცდილების დაღი ამჩნეოდა. როგორც კი ბავშვმა ბიარტურისკენ სახე მიაბრუნა, ბიარტური შედგა, ეცნაურა მისი თვალები, ცალი სწორი, მეორე ელამი. ეს ხომ აუსტა სოულილიაა.

— რაო, რა თქვი? — ჰკითხა ბიარტურმა ბავშვს, რადგან მოეჩვენა, რომ მან რაღაც უთხრა.

— მე არაფერი არ მითქვამს, — უპასუხა ბავშვმა.

— ასე ადრიანად რამ აგაყენა, შე საცოდავო, ჯერ მხოლოდ დილის ექვსი საათია.

— ვერ დავიძინე, ყივანახველა მჭირს. დედამ მითხრა, შენთვის სუფთა ჰაერზე ყოფნა სჯობიაო.

— ოო, ხველა ბატონები გჭირს! დაგახველებს, აბა რა იქნება, ასეთი სიფრიფანა კაბა გაცვია.

ბავშვმა არაფერი უპასუხა. ისევ ღვეზელების კეთება დაიწყო. ბიარტურმა თავი მოიქექა.

— მაშ ასე, ჩემო ძვირფასო სოულა, — თქვა ბიარტურმა. — ვაი, შე საცოდავო!

— მე სოულა არა ვარ, — უთხრა გოგონამ.

— მაშ, ვინა ხარ?

— ბიორტი მქვია. — ამაყად უპასუხა ბავშვმა.

— კარგი, ჩემო ძვირფასო ბიორტ, დიდი განსხვავება არ არის, — თქვა ბიარტურმა.

ბიორტმა მინანქრის ძველ ფინჯანში სილა ჩაყარა და გამოსაცხობად ქვაზე დადგა.

— საშობაო ღვეზელს ვაცხობ, — უთხრა ბიარტურს და გაუღიმა.

ბიარტური მდუმარედ შეჰყურებდა ბავშვს.

— რას უდგეხარ აქ? რას მიყურებ?

— მოდი, დედაშენთან წავიდეთ და ყავა დავლიოთ!

— ჩვენ ყავა არ გვაქვს, მარტო ცხელ წყალს ვსვამთ, — უპასუხა ბავშვმა.

— ცარიელ წყალზე ბევრი გადადის ახლა.

ბავშვს ხველა აუვარდა, ჩაბეირდა, გალურჯდა, მიწაზე გაწვა, ვიდრე ხველამ არ გაუარა. რომ წამოდგა, ისევ ჰკითხა ბიარტურს:

— აქ რას უდგეხარ? რატომ არ მიდიხარ?

— იმიტომ არ მივდივარ, რომ თქვენთან ერთად მინდა დავლიო ცხელი წყალი, — უპასუხა ბიარტურმა.

ბავშვმა გამომცდელი თვალით შეხედა ბიარტურს და მერე უთხრა:

— მაშ, წავიდეთ და დავლიოთ!

თუ წუხელ სხვისი პური ჭამა, ისიც მოპარული პური, ამ პატარა გოგონას სახლში რატომ არ უნდა დალიოს წყალი, ბიარტური ღობეზე გადაძვრა და ბავშვთან ერთად ქოხისკენ წავიდა.

არასოდეს, არასოდეს არ ყოფილა სულით ასე დაძაბუნებული, როგორც წინა ღამეს, რომელმაც უკვე განვლო, და ასევე ამ მზიან დილას. ისიც კი საეჭვოა, არის თუ არა კიდევ ბიარტური დამოუკიდებელი ადამიანი.

ოთხკვადრატიანი სარკმელი ძირამდე იყო გაღებული, მხოლოდ ერთ კვადრატს შერჩენოდა მინა, ორში ტომარა ჩაეჩურთათ, მესამე კი ფიცრით იყო აჭედილი. ბიორტი წინ მიუძღოდა სტუმარს. ოთახს, როგორც ჩანდა, ოდესღაც ქალაქურ ყაიდაზე შპალერი ჰქონდა გაკრული, მაგრამ დროთა ვითარებაში შპალერი ნესტისგან ჩაშავებულიყო, ობი მოსდებოდა, აქა-იქ აყრილიყო და ჩამოხეული ქაღალდი ჩამოკონწიალებული ეკიდა კედლებზე. ერთ საწოლზე იმ ქოხის პატრონი მოხუცი ქალი იწვა, მეორეზე აუსტა სოულილიას ეძინა თავის პატარა ბავშვთან ერთად. სარკმელთან ყუთი, დამტვრეული სკამი და მაგიდა იდგა, მაგიდაზე კი ნავთქურა.

— უკვე დაბრუნდი? — ჰკითხა აუსტამ შვილს და ლოგინზე წამოიწია, როცა კარში ბიორტი დაინახა. შალის გულამოღებული პერანგიდან მოშვებული ჩამოკიდებული ძუძუები მოუჩანდა, თმა აბურძგნული ჰქონდა, გამხდარი,

გაფითრებული იყო. ბიარტურის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, თავი ისე გააქნია, თითქოს ზმანებას იშორებსო, მაგრამ ეს ზმანება როდი იყო, ბიარტური ოთახში იდგა, დიახ, ბიარტური.

— მამა, — დაიკივლა აუსტამ, თითქოს იხრჩობაო, ჰაერი ხარბად შეისუნთქა, თვალები დაუმრგვალდა, გუგები გაუფართოვდა, სახე ისე გაებადრა, თითქოს ამ ერთ წამში გასუქდა და გაახალგაზრდავდაო.

და ისევ დაიკივლა თავგზაარეულმა:

— მამა! მამა!

მერე ქვედაკაბას დასწვდა, ფაციფუცით გადაიცვა, თეძოებზე ჩამოისწორა, ლოგინიდან წამოიჭრა, ფეხშიშველი გაექანა მისკენ, კისერზე შემოეჭდო და სახე მის წვერქვეშ, მკერდზე ჩამალა.

დიახ, ბიარტური იყო. აუსტა კვლავ მიეკრა ლოყით იმ ადგილს, წვერქვეშ. მოვიდა, მოვიდა! ბოლოს თავი ასწია, სახეში შეაცქერდა და ამოიოხრა.

— აღარ მეგონა, თუ ოდესმე მოხვიდოდი!

— ჩემო საბრალო გოგო, უნდა ვიჩქაროთ, აბა, მარდად ააღუღე წყალი, ჩააცვი ბავშვებს. დღეს თან უნდა წაგიყვანო.

აუსტა გაშეშებული იდგა ერთ ადგილზე, ბიარტურს თვალს ვერ აშორებდა და იმეორებდა: მამა! მამა! არა, არ მჯერა, ნუთუ მართლა შენ ხარ!

ბიარტური აუსტას საწოლთან მივიდა. აუსტამ მოჯადოებულივით გააყოლა თვალი მამას, რომელიც მის ბავშვს დააცქერდა. ძუძუთა ბავშვის დანახვაზე ბიარტურს მუდამ გული სიბრალულით ევსებოდა.

— როგორი პაწიაა, ერთი ციცქნა, — თქვა ბიარტურმა. — დახე ერთი, რა სუსტია, რა უსუსურია კაცის მოდგმა! აი, ამისთანა პაწიას რომ დაინახავ, მაშინ ნათლად წარმოგიდგება ადამიანის უმწეობა.

— არა, კიდევ არ მჯერა, თუ მართლა შენ ხარ! — წამოიძახა აუსტამ და ისევ მივიდა ბიარტურთან.

— ტანთ ჩაიცვი, ჩემო პატარავ, გრძელი გზა გვიძევს, — უთხრა ბიარტურმა.

აუსტამ ჩაცმა დაიწყო და უცებ ხველა აუვარდა.

— რატომ არ დაბრუნდი, ვიდრე აქამდე არ მიხვიდოდი, ვიდრე ასე დაგისუსტდებოდა ფილტვები, — უთხრა ბიარტურმა, — სახლი აგიშენე, როგორც დაპირებული ვიყავი, მაგრამ ამით ვეღარ გავიხარებთ, უკუღმა წავიდა ჩემი საქმე და ახლა მოხუცმა ჰალბერამ იჯარით მომცა თავისი ხუტორი.

— მამა! — დაუსრულებლივ იმეორებდა აუსტა და სხვა ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა.

— მე ჩემს აზრს ვერაფერი შემაცვლევინებს. მითქვამს და გავიმეორებ,

რომ კაცი, ვიდრე ცოცხალია, არ უნდა დანებდეს, არ უნდა შედრკეს, გინდაც ყველაფერი გამოაცალონ ხელიდან და ცარიელ-ტარიელი დასტოვონ. ჰაერს ხომ ვერ წაართმევენ. ასე, ჩემო გოგონი! წუხელ კი მოპარული პური ვქამე და ჩემი შვილი დავუტოვე იმ ხალხს, ვისაც მთავრობის დამხობა გადაუწყვეტია. ჰოდა, ამ დილით ვთქვი, აუსტასთან წავალ-მეთქი.

თავი სამოცდამეთერთმეტე

სიცხლე მდელოზე

— გადაიკარგე და აღარ გამოჩნდი, გოგონი, რა ხანია არ მინახვიხარ, — უთხრა მოხუცმა ჰალბერამ აუსტას საღამოს, მარტო რომ დარჩნენ. უკანასკნელ ღამეს ათევდნენ ზაფხულის სავანეში. ბიარტურმა სურსათი წაიღო ურდარსელში. — მე მეგონა, რომ მოკვდი.

— ჰო, ბები, მე მართლა მოვკვდი, — უპასუხა აუსტამ.

— საოცარია! ყველა კვდება ჩემს გარდა.

— ჰო, მაგრამ მე მკვდრეთით აღვსდექი, ბები.

— რაო? — ჰკითხა ჰალბერამ.

— მკვდრეთით აღვსდექი-მეთქი.

— ოო, არა, ჩემო გოგოხი, მკვდრეთით ჯერ არავინ აღმსდგარა.

ჰალბერა შებრუნდა, საქსოვ ჩხირებზე ამოკრეფილ თვლებს დახედა და მკვდრეთით აღდგომის ფსალმუნი ჩაიკითხა დუდუნით.

საღამოს აუსტამ ბავშვები წაიყვანა ნაკადულთან. გაოცებული ათვალიერებდა უშნოდ აჩონჩხილ ახალ სახლს. მის მახვილ კუთხეებს, სარკმელებზე შემორჩენილ ცემენტს, ჩალეწილ მინებს. ირგვლივ ისე იყო მიწა ამოთხრილი, რომ ეს ნაგებობა ნანგრევს უფრო ჰგავდა, თითქოს ყუმბარა დასცემია, მიუღეწ-მოულეწია და გადაუთხრია იქაურობაო. მაშ ესაა ის სახლი, რომელსაც ბიარტური აშენებდა იმ იმედით, რომ აუსტა სოულილია დაბრუნდებოდა? აუსტაც ოდესღაც ოცნებობდა ზღვის პირას, მდელობზე მდგარ თეთრ სახლზე. ახლა კი სინანულით მოიგონებს ზაფხულის სავანის ამ პატარა ქოხს, მის მომრგვალებულ ხაზებს, ჰარმონიულ პროპორციებს. ამ ქოხთან იყო დაკავშირებული მისი წმიდათა წმიდა განცდები, სანუკვარი ოცნებები... და მაინც რა საამოა ამ მთების ხილვა. ისევ აქ დგანან, თავის ადგილზე. აუსტას კი ეჩვენებოდა, რომ ასმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც მათ დაშორდა.

ტბაც იქვეა, სადაც იყო, მდორე მდინარეც ძველებურად ერთვის ჭაობს. ზაფხულის ერთ ღამეს, ივანობის წინა ღამეს, აუსტა სოულილია უშენში გამოვიდა ვრცელი სამყაროს დასანახად. ერთხელ უცხო კაცმა ჩახედა თვალებში და აუსტას მოეჩვენა, რომ მისი გული მარად შემოინახავდა ამ მზერის სიტკბოს. აუსტას მანამ დაუნგრიეს ცხოვრება, ვიდრე ცხოვრებას დაიწყებდა, დაუნგრიეს ისევე, როგორც გუდბიარტურ იოუნსონს თავისი კერა და ოცნება დამოუკიდებლობაზე. აუსტა ორი შვილის დედაა, იქნებ სამისაც, მაგრამ ვის რა ესაქმება.

აუსტამ ბავშვები მოიყვანა აქ, აკოცა მათ და უთხრა: „შეხედეთ ჩემს ძველ ნაკადულს“. აუსტა ჰგავდა მთის დაუცავ ქანს, რომელსაც ანადგურებს ქარი, რადგან არაევინ და არაფერი არ იცავს მას—არც ღმერთი, არც ხალხი. ხალხი ხომ ერთიმეორესაც არ იცავს. ღმერთი კი? ამას მაშინ გაიგებ, როცა ჭლექით მოკვდები. ეგებ ყოვლად ძლიერმა დაინახა, რარიგ ეწამა, რა ტანჯვა გამოიარა აუსტამ? მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, იმ საღამოს აუსტას მაინც ეჩვენებოდა, რომ ჯერ კიდევ არ დაბერებულა, ჯერ კიდევ შეუძლია ოცნება მომავალზე, ახალ მომავალზე. იმედი ხომ სიცოცხლეს ნიშნავს.

მეორე დღეს ბიარტური თავისი ჯალაბით ურდარსელის გზას დაადგა. ბლესის ზურგზე გადაჰკიდა ორი კალათი—ერთი მოხუცი ჰალბერასათვის, რომელმაც ოთხმოცდაათ წელს გადააბიჯა, მეორე—ბავშვებისთვის და ცხენს წინ გაუძღვა, აუსტა სოულილია გვერდით მიჰყვებოდა, დასავლეთით ეჭირათ გეზი, უღელტეხილისკენ. ძაღლი ძუნძულით მისდევდათ, ხალისით ყნოსავდა ყველაფერს, რასაც გზაზე დაინახავდა, როგორც საერთოდ იციან ძაღლებმა გაზაფხულის სურნელებით დაბანგულ დღეს. ხმას არავინ იღებდა. ისინი ყარიბებს ჰგვანდნენ, შემოიხვევით რომ გადაიღამეს ხრიოკ, უდაბურ ადგილას. ეს ცხოვრების ხრიოკი იყო. გზას უფრო შორეული ხრიოკისკენ მიჰყავდა ისინი. არავინ დრტვინავდა, არავინ ჩიოდა რასმე! ნუ აჰყვები დარდს, ნუ დასტირი იმას, რაც დაჰკარგე! ბორცვზე რომ ავიდნენ, ბიარტურს თავისი ხუტორისკენ არც გაუხედავს, მაგრამ როცა გუნვერის ყორღანს გაუსწორდნენ, შარაგზიდან გადავიდა, ხელი დაავლო საფლავის ქვას, რომელიც გუნვერს დაადო, და ხეობაში გადაუძახა.

ახლა კი იცოდა, რომ გუნვერი და კოლუმკილი განუყრელნი იყვნენ, გუნვერი მუდამ მასთან იყო მძიმე თუ კარგ დროში, ის ახლაც მასთანაა. ერთხელ კიდევ დაუნგრიეს საწყალ გლეხს კერა. ისინი არ გამოცვლილან, დარჩნენ იმად, რანიც იყვნენ საუკუნეების მანძილზე. ეს კი სულ უბრალო მიზეზის გამო: იმიტომ, რომ გლეხიც დარჩა იმად, რაც იყო დასაბამიდან დღემდე. უცხოეთში ამტყდარმა ომმა თითქოს ცოტა შეუმსუბუქა ხვედრი, მაგრამ ეს მოჩვენები-

თი შვება იყო, მირაკი გახლდათ. ღატაკი გლეხი ვერასოდეს თავს ვერ დააღწევს გაჭირვებას, ვიდრე ადამიანი ადამიანის ქომაგი და მოსარჩლე კი არ არის, მოსისხლე მტერია, რომ ღატაკი გლეხის ცხოვრება, დამოუკიდებელი კაცის ცხოვრება თავისი არსით პირის ბრუნება გახლავთ, გაქცევა, მას მისდევენ, მისდევენ მოსაკლავად, ის კი გარბის ღამის გასათევად ერთი ადგილიდან მეორეში და თანდათან უფრო უარესში გადადის. აი, ადგილსამყოფელს იცვლის ღარიბი გლეხის ოჯახი, მთელი ოთხი თაობა იმ ოცდაათი თაობიდან, რომლებიც იცავდნენ, ინახავდნენ სიცოცხლის ნაპერწკალს ამ ქვეყანაში. ვისთვის? ყოველ შემთხვევაში, არა თავისი თავისთვის და თავისიანებისთვის. ღარიბი გლეხები ლტოლვილებს ჰგვანან, ხანგრძლივი ომის შემდეგ, მტრისგან განადგურებულ ქვეყანაში რომ უგზოუკვლოდ დაბორიალობენ, ეს ხალხი კანონგარეშე გამოცხადებულ, დევნილ ხალხსა ჰგავს. რომელ ქვეყანაში? ყოველ შემთხვევაში, არა თავის ქვეყანაში. ერთ უცხოურ წიგნში წერია ლეგენდა ადამიანზე, რომელიც სრულქმნილი გახდა იმით, რომ ღამე გამოდიოდა თავისი მტრის მიწაზე და პურს თესავდა. საგა ზაფხულის სავანელ ბიარტურზე ეს არის საგა ადამიანზე, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე, თავისი დღე და მოსწრება პურს თესავდა მტრის მიწაზე. ეს გახლავთ საგა დამოუკიდებელ ადამიანზე.

უშენი. ჭაობი. გაისმა საშინელი გრუხუნი. კლდეზე ხათქახუთქით დაეშვა გუნვერის საფლავის ქვა უფსკრულისკენ.

უღელტეხილზე, საიდანაც უტირედსმირი მოჩანს, მგზავრებმა შარაგზიდან გადაუხვიეს, ჩრდილოეთით აიღეს გეზი, სანდგილისკენ. ბავშვმა დაიძინა, ჭრიჭინებდა კალათები, მოხუცი ჰალბერა გამხმარი, გალურჯებული თითებით ებღაუჭებოდა უნაგირს, ის შინ ბრუნდებოდა უშენში შემთხვევით გადაღამების შემდეგ.

თანდათან გაჭირდა სიარული ამ გაუკვალავ ბილიკებზე, ნიადაგი ზოგან მოშვავებული იყო, ზოგან ნაპრალი, ჭაობი, ქვები ხვდებოდათ. აუსტას ძალა გამოეცალა, მდელოზე დაეცა, ხველა აუვარდა. ხველამ რომ გაუარა, დაიკვნესა, წამოდგომა ვეღარ შესძლო. ბიარტურმა ჩამოხსნა კალათები, მოხუცი ჰალბერა ძირს დასვა, ბავშვებიც ამოიყვანა კალათიდან და ცხენი საბალახოდ გაუშვა. პატარა ბიორტმა თითი პირში ჩაიყო, დასცქეროდა დედას, ჰალბერას კი ჩვილი მუხლებზე ეწვა და არწევდა:

სადაც გუნვერია — იქ სისხლის ღვარია,
გუნვერთან ვერავის ვერ გაუხარია,—
იძინე, იძინე, ბალღო!

ყველა გააოცა იმან, რომ მდელო სისხლით შეიღება, როგორც სიმღერაში იყო. ელოდნენ, რადის მოიკრებდა ძალას აუსტა სოულილია. შეცბუნებული ბიარტური გაანზე გადგა, ჰატარა ბიორტი კი დედას ეკითხებოდა, ხომ არაფერი გტკივაო. არა, არაფერი სტკივა, მაგრამ სიარული აღარ შეუძლია. აუსტა მდელოზე იწვა, პირიდან სისხლის წვრილი ნაკადი გადმოსდიოდა, თვალები დაეხუჭა და ნელა კვნესოდა. მოხუცმა ჰალბერამ ცერად დახედა ქალს და ჩაიჩიფჩიფა:

— ვიცოდი, განგაბრა! ყიდევ ერთი მიცვალებულის კოცნა მომიწევს!

ბიარტური მიხვდა, რომ ახალგაზრდა ქალს სიარული აღარ შეეძლო, ბავშვები და მოხუცი ისევ კალათებში ჩასხა, კალათები ცხენს გადაჰკიდა, აუსტა სოულილია კი ხელში აიყვანა, მაგრად მომეჭიდე კისერზეო, უთხრა, და ცხენს წინ გაუძღვა. ციცაბო ფერდობი რომ აიარეს, აუსტამ დაიჩურჩულა:

— კვლავ შენთან ერთად!

მან უპასუხა:

— მაგრად მომეჭიდე კისერზე, ჩემო ყვავილო.

— დიახ, — დაიჩურჩულა აუსტამ, — მუდამ, სანამ ცოცხალი ვარ, ერთადერთი ყვავილი ვიქნები შენი. შენი ცხოვრების ყვავილი. და იცი, მალე არ მოვკვდები, არა, არც ისე მალე.

და კვლავ გზას გაუდგნენ.

1935 წ. გაზაფხული.
რეიკიავლიდი — ლაუარვანტი.

შინაარსი

ისლანდიელი პიონერი

ნაწილი პირველი

თავი პირველი. კოლუმკილი	3
თავი მეორე. მიწა	8
თავი მესამე. ქორწილი	14
თავი მეოთხე. მსრბოლავი ღრუბლები	27
თავი მეხუთე. საიდუმლო	34
თავი მეექვსე. სიზმრები	36
თავი მეშვიდე. გულის დაავადება	42
თავი მერვე. ხორშაკი	47
თავი მეცხრე. გასეირნება „ტყეში“	49
თავი მეათე. მთაში ლაშქრობის წინ	56
თავი მეთერთმეტე. სექტემბრის ღამე	69
თავი მეთორმეტე. ექიმის რჩევა	78
თავი მეცამეტე. პოეტი ქალი	80
თავი მეთოთხმეტე. გამოთხოვება	84
თავი მეთხუთმეტე. ძებნა	89
თავი მეთექვსმეტე. რითმები	94
თავი მეჩვიდმეტე. შინ დაბრუნება	102
თავი მეთვრამეტე. უტირედსმირი	103
თავი მეცხრამეტე. სიცოცხლე	111
თავი მეოცე. რუდუნი	114
თავი ოცდამეერთე. მეჯინეები	126
თავი ოცდამეორე. ქარბუქი	135
თავი ოცდამესამე. გამოსათხოვარი სიტყვა	137
თავი ოცდამეოთხე. ყინვის ალი	138

ვალიხვან თავისუფალნი

ნაწილი მეორე

თავი ოცდამეხუთე. ზამთრის დილა	141
თავი ოცდამეექვსე. დღე	155

თავი ოცდამეშვიდე. საღამო	169
თავი ოცდამერვე. ლიტერატურა	174
თავი ოცდამეცხრე. ძროხა . .	178
თავი ოცდამეათე. ძლიერნი ამა ქვეყნისანი	183
თავი ოცდამეთერთმეტე. სიმღერის შესახებ	191
თავი ოცდამეთორმეტე. სამყაროს შესახებ	197
თავი ოცდამეცამეტე. მტარვალობა . .	216
თავი ოცდამეთოთხმეტე. მნიშვნელოვანი ამბები	226
თავი ოცდამეთხუთმეტე. სტუმარი	233
თავი ოცდამეთექვსმეტე. ბიარტური მშენებლობას იწყებს.	244
თავი ოცდამეჩვიდმეტე. პატარა ყვავილი	250
თავი ოცდამეთვრამეტე. ბრძოლა . .	256
თავი ოცდამეცხრამეტე. სიკვდილი გაზაფხულზე	260

მძიმე დრო

ნაწილი მესამე

თავი მეორმოცე. სახლის ზღურბლთან . .	266
თავი ორმოცდამეერთე. ვირთაგვები (საშობაო მარხვა)	273
თავი ორმოცდამეორე. მარცხენა ღაწვი	278
თავი ორმოცდამესამე. საუბარი ზებუნებრივ ძალებთან	281
თავი ორმოცდამეოთხე. პარაკლისი .	285
თავი ორმოცდამეხუთე სულის შესახებ	290
თავი ორმოცდამეექვსე. მართლმსაჯულება	297
თავი ორმოცდამეშვიდე. მარჯვენა ღაწვი	304
თავი ორმოცდამერვე. თეთრი ალი	310
თავი ორმოცდამეცხრე. უკეთესი დროება	315
თავი ორმოცდამეათე. პოეზია .	327
თავი ორმოცდამეთერთმეტე. ღმერთი . .	331
თავი ორმოცდამეთორმეტე. ჟამი სურვილის აღსრულებისა.	337
თავი ორმოცდამეცამეტე. გარდაუვალი . .	344
თავი ორმოცდამეთოთხმეტე. როცა ცხოვრების ყვავილი გუავს	351
თავი ორმოცდამეთხუთმეტე. გაზაფხულის დღეები	356
თავი ორმოცდამეთექვსმეტე. უფროსი და	359
თავი ორმოცდამეჩვიდმეტე. ბიჭი და ქვეყნები	363
თავი ორმოცდამეთვრამეტე. რედსმირელი მანდილოსნის დამარცხება	369
თავი ორმოცდამეცხრამეტე. მე ვარ	376

ნაწილი მეოთხე

კეთილდღეობის წლები

თავი მესამოცე. როცა მოკვლეს ფერდინანდი 382
თავი სამოცდამეერთე. რწმენის შესახებ 387
თავი სამოცდამეორე. ბილეთი 394
თავი სამოცდამესამე. დგას კლდე შიშველი და შავი... 402
თავი სამოცდამეოთხე. საუბარი ზღაპრულ ქვეყანაზე 405
თავი სამოცდამეხუთე. ამერიკა 411
თავი სამოცდამეექვსე. პოლიტიკა . . . 421
თავი სამოცდამეშვიდე. საფერხე ცხენი . 429
თავი სამოცდამერვე. თანამედროვე პოეზია . 441
თავი სამოცდამეცხრე. როცა კაცი უცოლია . 447
თავი სამოცდამეათე. პროცენტების პრობლემა . . 452
თავი სამოცდამეთერთმეტე გოლიათები შემოდგომაზე . 456
თავი სამოცდამეთორმეტე. როცა იდეალები ხორციელდება 461
თავი სამოცდამეცამეტე. ძაღლები, სულები და სხვა და სხვა 466
თავი სამოცდამეთოთხმეტე. საგის დასასრული. სხვისი პური. 469
თავი სამოცდამეთხუთმეტე. რუსთხელმწიფე დაამხეს 478
თავი სამოცდამეთექვსმეტე. სისხლი მდელოზე 483

რედაქტორი ც. ჯაფარიძე
მხატვარი ნ. იანქოშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ლ. ეძგვერაძე

გადაეცა წარმოებას 25/IV-68 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/XI-68 წ. ქაღ. ზომა 70×90¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 35,98. სააღრ.-საგამომც. თაბახი 29.32 ტირაჟი 40 000. შეკვ. 7637.

ფასი 1 მან. 60 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა №5,
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Главполиграфпрома Государственного комитета
Совета Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.

Халлдор Лакснесс

Самостоятельные люди

(Роман)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

1968